Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

18

ᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ
ᲠᲙᲙ(Ბ) IX ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ
II ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

18

1912 აპრილი — 1913 მარტი

წინასიტყვაობა

მეთვრამეტე ტომში შედის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც მან დაწერა 1912 წლის აპრილში — 1913 წლის მარტში რუსეთის ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ ნაწარმოებები, რომლებშიც ლენინი იძლევა რუსეთში ახალი რევოლუციის მოახლოების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების ანალიზს; ამუშავებს ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკას ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობებში; ამხილებს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობას და მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტების, ვპერიოდელეების გამცემლურ როლს მუშათა მოძრაობაში. ასეთებია სტატიები: «რევოლუციური აღმავლობა», «პოლიტიკური პარტიები რუსეთში», ბროშურა «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში», «ლიკვიდატორები პარტიის წინააღმდეგ», «როგორ ამხილებს ლიკვიდატორებს პ. ბ. აქსელროდი» და სხვა.

ნაწარმოებთა დიდი ჯგუფი: «IV სათათბიროს არჩევნების კამპანია და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები», «რეფორმისტების პლატფორმა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პლატფორმა», «არჩევნების შედეგები», «მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის» და სხვ. მიძღვნილია IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიისადმი, არჩევნების შედეგებისა და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმიანობის შეფასებისადმი.

სტატიებში «არსი «აგრარული საკითხისა რუსეთში»», «სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება», «უკანასკნელი სარქველი» და სხვ. ლენინი ააშკარავებს სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის არსს და ცხადყოფს მისი კრახის გარდუვალობას.

ტომში დაბეჭდილია პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირის რეზოლუციები, რომლებშიც მოცემულია სახელმძღვანელო მითითებანი რუსეთში ს.-დ. მუშაობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

ტომში იბეჭდება თხუთმეტი ნაწარმოები, რომლებიც პირველად არის შეტანილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში. ეს ნაწარმოებნი მიძღვნილია ლიკვიდატორებთან ბრძოლისადმი და ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის საკითხების დამუშავებისადმი.

წერილში ი. ბ. სტალინისადმი ლენინი სადირექტივო მითითებებს აძლევს IV სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს.

დოკუმენტი «სათათბიროში მუშა დეპუტატებისა და მათი დეკლარაციის საკითხისათვის» წარმოადგენს დეკლარაციის პროექტს IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის.

ნაწარმოებებში: «არალეგალური პარტია და ლეგალური მუშაობა», «პასუხი ლიკვიდატორებს», «თავდაპირველი პოსტსკრიპტუმი ბროშურისა «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში»», «შეიძლება თუ არა ახლა მუშათა მოძრაობის საფუძველი იყოს «კოალიციათა თავისუფლების» ლოზუნგი?», «წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი», «ლიკვიდატორობასთან დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ. თეზისები», «თავდაპირველი პოსტსკრიპტუმი სტატიისა «რევოლუციური გაფიცვის და ქუჩის დემონსტრაციების განვითარება»» ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ლიკვიდატორთა შეხედულებებსა და ტროცკის, რომელიც სავსებით უჭერდა მხარს ლიკვიდატორებს.

სტატიები «კადეტები და მსხვილი ბურჟუაზია» და «კონსტიტუციური ილუზიების დამსხვრევა» მიძღვნილია კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიის — კადეტების სათათბიროს ტაქტიკის მხილებისადმი.

ნაშრომებში «აჯანყებანი არმიასა და ფლოტში», «მუშები და «პრავდა»», «წინათ და ახლა» მოცემულია რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და ლეგალური ბოლშევიკური პრესის განვითარების ანალიზი.

პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირის «ცნობაში» შეჯამებულია თათბირის შედეგები.

IV სათათბიროს არჩევნების კამპანია და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები

პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციების დაწყება ლენაზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო მოწმობენ რუსეთში მუშათა მასების რევოლუციური მოძრაობის ზრდას. რევოლუციური ატმოსფეროს ეს დაძაბვა მკაფიო შუქს ჰფენს პარტიის ამოცანებსაც და მის როლსაც საარჩევნო კამპანიაში.

კრიზისი ძლიერდება ახალ ვითარებაში. შავი სათათბირო, რომელიც მემამულეებს ძალაუფლებას აძლევს, ბურჟუაზიას — ასპარეზს გარიგებისათვის, პროლეტარიატს — პატარა ტრიბუნას, ამ ვითარების აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს. ჩვენ გვჭირდება ეს ტრიბუნა, ჩვენ გვჭირდება საარჩევნო კამპანია მასებში რევოლუციური მ უ შ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. ჩვენ გვჭირდება არალეგალური პარტია მთელი ამ მუშაობის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, თავრიდის სასახლეშიც, ყაზანის მოედანზეც, მუშათა მასობრივ კრებაზეც, გაფიცვის დროსაც, სოციალ-დემოკრატი მუშების რაიონულ კრებაზეც, პროფესიული კავშირის ღია კრებაზეც. მხოლოდ უიმედოდ ბრმა ადამიანებს შეუძლიათ ახლაც კი ვერ დაინახონ, თუ რამდენად სულელური, რამდენად დამღუპველია მუშათა კლასისათვის ოტზოვიზმი და ლიკვიდატორობა, კონტრრევოლუციის ზეიმის ეპოქის დაშლისა და რღვევის ეს ნაყოფი. ნაროდნიკების მაგალითმა თვალნათლივ დაგვანახვა, რა სკანდალური ნ უ ლ ი გამოდის «ტრუდოვიკების», აგრეთვე «რუსსკოე ბოგატსტვოსა»[1] და «სოვრემენნიკის»[2] ლეგალური ლიტერატორების ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ი ს ა და სოციალისტ-რევოლუციონერთა «პარტიის» ო ტ ზ ო ვ ი ზ მ ი ს შეერთებით.

გავუკეთოთ საერთო ჯამი იმას, თუ რა გვიჩვენა პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნო მობილიზაციამ. სამი ბანაკი გამოჩნდა მკაფიოდ: 1) მემარჯვენენი მთავრობის მომხრენი არიან — პურიშკევიჩიდან გუჩკოვამდე. შავრაზმელი მემამულე და ძველი ყაიდის ვაჭარი თავგამოდებით იცავენ მთავრობას. 2) ლიბერალური ბურჟუები — «პროგრესისტები» და კადეტები სხვადასხვა «ნაციონალთა» ჯგუფებთან ერთად — მთავრობის წინააღმდეგი და რევოლუციის წინააღმდეგი არიან. ლიბერალიზმის კონტრრევოლუციურობა ახლანდელი ისტორიული მომენტის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. ვინც ვერ ხედავს «კულტურული» ბურჟუაზიის ამ კონტრრევოლუციურობას, მას ყველაფერი დავიწყებია და ვერაფერი ვერ უსწავლია, იგი ამაოდ ატარებს დემოკრატის სახელს, სოციალისტზე რომ აღარა ვთქვათ რა. ხოლო ტრუდოვიკები და «ჩვენი» ლიკვიდატორები ცუდად ხედავენ და ცუდად ერკვევიან! 3) დემოკრატიის ბანაკი, რომელშიც მხოლოდ რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, ანტილიკვიდატორებმა, შემჭიდროებულად, ორგანიზებულად, მტკიცედ, ნათლად გაშალეს თავიანთი დროშა რევოლუციისა. ტრუდოვიკები და ჩვენი ლიკვიდატორები მერყეობენ ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის, ლეგალურ ოპოზიციასა და რევოლუციას შორის.

კლასობრივი ფესვები, რომლებიც ჰყოფს პირველ და მეორე ბანაკს, აშკარაა. მაგრამ ლიბერალებმა მოახერხეს თავგზა აებნიათ ბევრისათვის, ვოდოვოზოვიდან დანამდე, იმ კლასობრივი ფესვების საკითხში, რომლებიც ჰყოფს მეორე ბანაკს მესამისაგან. ლიბერალის «სტრატეგია», რაც მიამიტურად წამოაყრანტალა ბლანკმა «ზაპროსი ჟიზნი»-ში[3], რთული როდია: კადეტები ოპოზიციურ ცენტრს, შუაში შებმულ ცხენს წარმოადგენენ; გვერდებზე შებმული ცხენები («ფლანგები») არიან პროგრესისტები მარჯვნით, ტრუდოვიკები და ლიკვიდატორები მარცხნით. ამ «სამცხენა ეტლით»

ბ.ბ. მილიუკოვებს იმედი აქვთ «გასწიონ» ტრიუმფისაკენ «პასუხისმგებელი ოპოზიციის» როლში.

ლიბერალთა ჰეგემონია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მოასწავებდა ამ მოძრაობის დამარცხებას და ყოველთვის ამის მომასწავებელი იქნება. ლიბერალი წაჯექ-უკუჯექობს პურიშკევიჩების მონარქიასა და მუშათა და გლეხთა რევოლუციას შორის და ამ უკანასკნელს ღალატობს ყ ო ვ ე ლ სერიოზულ მომენტში. რევოლუციის ამოცანაა გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს ლიბერალების ბრძოლა მთავრობასთან და გ ა ა ნ ე ი ტ რ ა ლ ო ს ლიბერალიზმის მერყეობა და ღალატი.

რევოლუციით დააფრთხონ და ამ გზით გაიყონ ძალაუფლება პურიშკევიჩთან და რომანოვთან, ხოლო ერთად გასრისონ რევოლუცია, — აი ლიბერალების პოლიტიკა. და ამ პოლიტიკას ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობა ხელმძღვანელობს. აქედან წარმოდგება კადეტების იაფფასიანი «დემოკრატიზმის» თამაში და მათი რ ე ა ლ უ რ ი შეერთება ეფრემოვების, ლვოვების, რიაბუშინსკებისა და კომპანიის ყოვლად ზომიერ «პროგრესიზმთან».

გამოვიყენოთ ის ბრძოლა, რომელსაც ლიბერალები პურიშკევიჩებთან ძალაუფლების გაყოფისათვის ეწევიან, ა რ ა მ ც დ ა ა რ ა მ ც ა რ დავუშვათ, რომ ხალხში შეიქმნას ლიბერალისადმი «რწმენა», — იმისათვის, რომ განვავითაროთ, გავაძლიეროთ, განვამტკიცოთ მასების რევოლუციური შეტევა, რომელიც ამხობს მონარქიას, საბოლოოდ სპობს პურიშკევიჩებსა და რომანოვებს, ასეთია პროლეტარული პარტიის ტაქტიკა. არჩევნებში: დავრაზმოთ დემოკრატია მემარჯვენეების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და კადეტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, «გამოვიყენოთ» ხელახლა კენჭისყრის დროს, პრესაში, კრებებზე ლიბერალების ბრძოლა მემარჯვენეებთან. აქედან წარმოდგება აუცილებლობა რევოლუციური პლატფორმისა, რომელიც ახლავე უნდა სცილდებოდეს «ლეგალურობის» ფარგლებს. აქედან წარმოდგება რესპუბლიკის ლოზუნგი, რაც უპირდაპირდება «კონსტიტუციური» ლოზუნგე-

ბით, «რასპუტინ-ტრეშჩენკოს კონსტიტუციის» ლოზუნგებით ლიბერალურ თამაშს. ჩვენი ვალია ვამზადოთ რევოლუციურ მებრძოლთა არმია ყველგან, ყოველთვის, ყველა ადგილას, მუშაობის ყველა ფორმაში, საქმიანობის ყველა ასპარეზზე, ყველა მობრუნებისას, როგორიც კი შეიძლება გვარგუნოს რეაქციის გამარჯვებამ თუ ლიბერალიზმის ღალატმა ან კრიზისის გაჭიანურებამ და სხვ.

შეხედეთ ტრუდოვიკებს. ესენი არიან ნაროდნიკული ლიკვიდატორები **sans phrases** *. ჩვენ რევოლუციონერები ვართ, «გადაკვრით» ამბობს ბ-ნი ვოდოვოზოვი, მ ა გ რ ა მ... როგორ შეიძლება 129-ე მუხლის[4] წინააღმდეგ მოვიქცეთო, დასძენს იგი. გერცენის დაბადებიდან ასი წლის შემდეგ მრავალმილიონიანი გლეხობის «პარტიას» პატარა ფურცელიც კი — თუნდაც ჰექტოგრაფიული! — ვერ გამოუცია 129-ე მუხლის საწინააღმდეგოდ!! მიდრეკილება აქვთ რა ბლოკისაკენ «პირველ რიგში» ს.-დ-თან, ტრუდოვიკებს ვერ მოუხერხებიათ გარკვევით ილაპარაკონ კადეტების კონტრრევოლუციურობის შესახებ, ვერ მოუხერხებიათ დასაბამი მისცენ გლეხთა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ პარტიას. 1905 — 1907 და 1908 — 1911 წლების გაკვეთილმა კი სწორედ ასე დააყენა საკითხი: ან რესპუბლიკისათვის ბრძოლა ან პურიშკევიჩის ჩექმის ლოკვა, მარკოვისა და რომანოვის როზგის ქვეშ წოლა. სხვა არჩევანი გლეხობას არა აქვს.

შეხედეთ ლიკვიდატორებს. მიუხედავად მარტინოვების, მარტოვებისა და კომპანიის მიკიბ-მოკიბვისა და წაჯექ-უკუჯექობისა, ყოველი კეთილსინდისიერი და გონებაგახსნილი მკითხველი აღიარებს, რომ რ — კოვმა[5] ს წ ო რ ე დ მ ა თ ი შეხედულებები შეაჯამა, როცა თქვა: «არ უნდა შევიქმნათ ილუზიები: მზადდება ფრიად ზომიერი ბურჟუაზიული პროგრესიზმის გამარჯვება». ამ ფრთოსანი სიტყვის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი აზრი ასეთია: რევოლუცია ილუზიებია; «პროგრესისტების» მხარდაჭერა — რეალობა. ნუთუ ახლა ყველა,

* — ულაპარაკოდ. რ ე დ.

ვინც კი განზრახ არ ხუჭავს თვალს, ვერ ხედავს, რომ სწორედ ამას ამბობენ ოდნავ სხვანაირი სიტყვებით დანები და მარტოვები, როცა ისვრიან ლოზუნგს: «სათათბიროს (მეოთხე სათათბიროს, მემამულეთა სათათბიროს) გამოგლეჯა რეაქციის ხელიდან»? როცა ასეულჯერ უბრუნდებიან ორი ბანაკის იდეას? როცა გაჰყვირიან, ლიბერალური ბურჟუების პროგრესული მუშაობა «არ ჩაშალოთო»? როცა «მემარცხენე ბლოკის» წინააღმდეგ იბრძვიან? როცა თვითკმაყოფილებით აფურთხებენ «ჟივოე დელოში»[6] «საზღვარგარეთულ ლიტერატურას, რომელსაც არავინ არ კითხულობს»? როცა სჯერდებიან სინამდვილეში ლეგალურ პლატფორმას, ორგანიზაციის შექმნის ლეგალურ ცდებს? როცა ლიკვიდატორულ «საინიციატივო ჯგუფებს»[7] ქმნიან და კავშირს წყვეტენ რევოლუციურ რსდმ პარტიასთან? ნუთუ ცხადი არ არის, რომ იმავე ჰანგზე მღერიან ლევიცკებიც, რომლებიც ფილოსოფიურად აღრმავებენ ლიბერალურ იდეებს უფლებისათვის ბრძოლის შესახებ, ნევედომსკებიც დობროლიუბოვის იდეების თავიანთი ახალი უკულმართი «გადასინჯვით»,* დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ, სმირნოვებიც, რომლებიც «პროგრესიზმს» ეკეკლუცებიან, და «ნაშა ზარიასა»[8] და «ჟივოე დელოს» ყველა სხვა რაინდიც?

სინამდვილეში დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები ვერასოდეს ვერ შეძლებდნენ, კიდევაც რომ სურდეთ, მემამულეებსა და ბურჟუებში «პროგრესისტების» გამარჯვების «ჩაშლას»! ეს მთლად ლიტონი ფრაზებია. სერიოზული უთანხმოება აქ როდია. ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პოლიტიკის განსხვავება ამაში როდია. «მხარი დაუჭირონ» პროგრესისტებს, რომელთა «გამარჯვებებშიც» ხედავენ «კულტურული ბურჟუის ძალაუფლებასთან მიახლოებას», ეს არის ლიბერალური მუშათა პოლიტიკა.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, პროგრესისტების «გამარჯვებაში» დემოკრატიული აღმავლობის არაპირდაპირ

გამოხატულებას ვხედავთ. პროგრესისტების შეტაკებანი მემარჯვენეებთან უნდა გამოვიყენოთ, არ ვარგა პროგრესისტებისათვის მხარდაჭერის შიშველი ლოზუნგი. ჩვენი ვალია განვავითაროთ დემოკრატიული აღმავლობა, მზრუნველობით აღვზარდოთ ახალი, ახალ რუსეთში ახლებურად მზარდი რევოლუციური დემოკრატია. თუ მან, წინააღმდეგ ლიბერალებისა, ვერ შეძლო განმტკიცება და გამარჯვება, — მაშინ არჩევნებში პროგრესისტებისა და კადეტების ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი «გამარჯვება» სინამდვილეში სერიოზულს ვერაფერს შეცვლის რუსეთის მდგომარეობაში.

დემოკრატიული აღმავლობა რომ დაიწყო, ეს ახლა უდავოა. იგი უფრო ძნელად, უფრო ნელა, უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო მოგვესურვებინა, მაგრამ იგი მიმდინარეობს. მ ა ს უნდა «დავუჭიროთ მხარი» და განვავითაროთ როგორც საარჩევნო, ისე ყოველი სხვა მუშაობით. დავრაზმოთ რევოლუციური დემოკრატია, — გამოვჭედოთ ნაროდნიკული ლიკვიდატორობისა და ნაროდნიკული ოტზოვიზმის ულმობელი კრიტიკით გლეხთა რესპუბლიკური პარტია, — ხოლო უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად «შინ» გავიწმინდოთ ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან, განვამტკიცოთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობა პროლეტარიატში და არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, — ასეთია ჩვენი ამოცანა. რით გათავდება მზარდი რევოლუციური კრიზისი, — ეს დამოკიდებულია არა ჩვენზე, არამედ ათასობით მიზეზზე, რევოლუციაზე აზიაში და სოციალიზმზე ევროპაში; მაგრამ ჩვენზე დამოკიდებულია მასებში თანმიმდევრული და განუხრელი მუშაობის წარმოება მარქსიზმის სულისკვეთებით, და მხოლოდ ეს მუშაობა ა რ ა ს ო დ ე ს არ ჩაივლის უკვალოდ.

«სოციალ-დემოკრატი» № 26,
1912 წ. 8 მაისი (25 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორები პარტიის წინააღმდეგ

პარტიული კონფერენციის წინააღმდეგ ყველა ჯურის ლიკვიდატორები ლეგალურ რუსულ პრესაში ეწევიან დევნას, რომლის გრაციოზული უსირცხვილობა უნდა შეშურდეთ ბულგარინებსა და ბურენინებს [9]. «ჟივოე დელოში» მოთავსებული სტატიები, რომლებიც აშკარად დაკითხვას უწყობენ დელეგატებს იმის შესახებ, თუ ვინ გამოგზავნა ისინი, და ცენზურის მფარველობით თავს ესხმიან იმას, რის დაცვაც ლეგალურ პრესაში არ შეიძლება, წარმოადგენენ ლიტერატურული პატიოსნების ელემენტარული წესების დავიწყების ისეთ ნიმუშს, რომ მათ არა მარტო კონფერენციის მომხრეთა პროტესტი უნდა გამოეწვიათ, არამედ საერთოდ ყველა პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწის ზიზღიც. ხოლო «Vorwärts»-ის [10] ანონიმური ინფორმატორის სტატიებს უტიფარი მკვეხარობისა და ყბედის სიცრუის ისეთი სუნი ასდის, რომ უეჭველი ხდება — ამ სტატიების ლიკვიდატორული შეკვეთა ხელში ჩავარდნია გამოცდილ კაცს *.

მაგრამ ჩიხში მიმწყვდეული ლიკვიდატორთა ჯგუფები და წრეები როდი სჯერდებიან პარტიის წინააღმდეგ ცილისწამების კამპანიას. ისინი ცდილობენ მოიწვიონ თავიანთი კონფერენცია. რა თქმა უნდა, მიღებულია ყველა ზომა, რომ

---

* გერმანელი ამხანაგებისათვის რომ გაეცნო რსდმ პარტიაში არსებული ნამდვილი ვითარება, ცენტრალური ორგანოს რედაქციამ გერმანულ ენაზე გამოსცა სპეციალური ბროშურა, რომელიც ამხილებს, სხვათა შორის, «Vorwärts»-ის ანონიმის ხერხებს. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 639 — 655. რ ე დ.).

ორგანიზაციულ კომიტეტს[11], რომელიც ამ კონფერენციას იწვევს, «პარტიულობის», «არაფრაქციულობის», «გაერთიანების» სახე მისცენ. ეს სიტყვები ხომ ისე მოხერხებულია,... როცა საჭიროა ლიკვიდატორულ ანკესზე წამოაგონ ყველა, ვინც რაიმე მიზეზით უკმაყოფილოა პარტიული კონფერენციით. ტროცკის მიანდეს ხოტბა შეესხა ორგანიზაციული კომიტეტისა და მომავალი ლიკვიდატორული კონფერენციის ყველა სათნოებისათვის: მაშ ვისთვის უნდა მიენდოთ ეს, თუ არა «პროფესიონალი გამაერთიანებლისათვის». და მანაც ხოტბა შეასხა... ვენის სტამბის განკარგულებაში არსებული ყველა შრიფტით: «ვპერიოდელები, გოლოსელები, ბოლშევიკი-პარტიელები, მენშევიკი-პარტიელები, ეგრეთწოდებული ლიკვიდატორები და არაფრაქციულები — რუსეთში და საზღვარგარეთ — მტკიცედ უჭერენ მხარს... ორგანიზაციული კომიტეტის მუშაობასო» («პრავდა»[12] № 24).

საბრალომ კვლავ... იცრუა და კვლავ ანგარიშში მოტყუვდა. 1912 წლის კონფერენციის წინააღმდეგ ასეთი ზათქით და ზარით მომზადებული ბლოკი ლიკვიდატორთა ჰეგემონიით სრულიად ირღვევა და ირღვევა იმიტომ, რომ ლიკვიდატორებმა მეტად აშკარად გამოაჩინეს თავიანთი ყურები. პოლონელებმა უარი განაცხადეს ორგანიზაციულ კომიტეტში მონაწილეობაზე. პლეხანოვმა უკანასკნელის წარმომადგენელთან მიწერ-მოწერის შემდეგ გამოარკვია რამდენიმე საინტერესო დეტალი: 1) რომ კონფერენცია ნავარაუდევია იყოს «დამფუძნებელი», ე. ი. არა რსდმ პარტიის, არამედ რაღაც ახალი პარტიის კონფერენცია, 2) რომ მის მოწვევას საფუძვლად უდევს «ანარქიული» პრინციპი, 3) რომ «კონფერენციას ლიკვიდატორები იწვევენ». მას შემდეგ, რაც ამხ. პლეხანოვმა გამოარკვია ეს გარემოებანი, ჩვენ ველარ გაგვაკვირვებდა, რომ ეგრეთწოდებულმა ბოლშევიკმა (?!) — შემარიგებლებმა გული მოიცეს და გადაწყვიტეს ემხილებინათ ტროცკი იმაში, რომ მან... სიმართლე არ თქვა, როცა ისინი ორგანიზაციული კომიტეტის მომხრეებად ჩარიცხა. «ეს ორგანიზა-

ციული კომიტეტი თავისი ახლანდელი შემადგენლობით, თავისი აშკარა ტენდენციით — მთელ პარტიას მოახვიოს თავს თავისი დამოკიდებულება ლიკვიდატორებისადმი, ორგანიზაციული ანარქიის იმ პრინციპებით, რომლებიც მან საფუძვლად დაუდო თავისი შემადგენლობის შევსებას, — ეს ორგანიზაციული კომიტეტი ოდნავაც ვერ უზრუნველყოფს ნამდვილად საერთოპარტიული კონფერენციის მოწვევას», — ასე იხსენიებენ ახლა ორგანიზაციულ კომიტეტს ჩვენი გათამამებული «პარტიელები». სად იმყოფებიან ახლა ჩვენი მემარცხენენი მემარცხენეთაგან, ვპერიოდელები, რომლებმაც თავის დროზე იჩქარეს ხელი მოეწერათ ორგანიზაციული კომიტეტისადმი თანაგრძნობაზე, — ეს არ ვიცით, მაგრამ ამას არცა აქვს მნიშვნელობა: მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლიკვიდატორული ხასიათი კონფერენციისა, რომელსაც ორგანიზაციული კომიტეტი იწვევს, გამორკვეულია პლეხანოვის მიერ უდავო სიცხადით, და რომ «შემარიგებელთა» სახელმწიფო კაცებს ქედი უნდა მოეხარათ ამ ფაქტის წინაშე. ვინღა დარჩა? აშკარა ლიკვიდატორები და ტროცკი...

ამ ბლოკის საფუძველი აშკარაა: ლიკვიდატორები სარგებლობენ სრული თავისუფლებით «წინანდებურად» გაატარონ თავიანთი ხაზი «ჟივოე დელოსა» და «ნაშა ზარიაში», ხოლო ტროცკი — საზღვარგარეთიდან — ფარავს მათ რრრევოლუციური ფრაზით, რომელიც მას არაფრად უღირს, მათ კი არაფრით არ ბოჭავს.

ამ ამბიდან ერთი პატარა გაკვეთილი გამომდინარეობს ერთიანობის საზღვარგარეთელ მონატრულთათვის, რომლებმაც ამას წინათ პარიზში შეთხზეს ფურცელი «ზა პარტიუ» [13]. პარტია რომ აშენო, ამისათვის არ კმარა შეგეძლოს იყვირო: «ერთიანობა», საჭიროა კიდევ გქონდეს რაიმე პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პროგრამა, პოლიტიკური მოქმედების პროგრამა. ლიკვიდატორების, ტროცკის, ვპერიოდელების, პოლონელების, ბოლშევიკ(?)-პარტიელების, პარიზელი მენშევიკებისა და სხვ. და სხვ. და სხვ. ბლოკი წინასწარ განწირული იყო სკანდალური ჩაფუშვისათვის, ვინაიდან აგებული იყო

უპრინციპობაზე, ფარისევლობასა და ლიტონ ფრაზაზე. ხოლო მონატრულთათვის ცოდვა არ იქნებოდა ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტათ თავიანთთვის ურთულესი და უძნელესი საკითხი: ვისთან სურთ ერთიანობა? უკეთუ ლიკვიდატორებთან, რატომ არ იტყვიან ამას მიუკიბ-მოუკიბავად; ხოლო თუ ლიკვიდატორებთან გაერთიანების წინააღმდეგი არიან, რაღა ერთიანობას ნატრობენ?

იანვრის კონფერენცია და მის მიერ არჩეული ორგანოები ერთადერთია, რაც ამჟამად სინამდვილეში აერთიანებს რსდმ პარტიის ყველა მუშაკს რუსეთში. მის გარეშეა მხოლოდ ბუნდელებისა და ტროცკის დაპირება — მოიწვიონ ორგანიზაციული კომიტეტის ლიკვიდატორული კონფერენცია — და «შემარიგებლები», რომლებიც ლიკვიდატორული გაბრუების შემდეგ უგუნებობას განიცდიან.

«სოციალ-დემოკრატი» № 26,
1912 წ. 8 მაისი (25 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

გერცენის ხსოვნას

ასი წელი გავიდა გერცენის დაბადებიდან. მის ხსოვნას აღნიშნავს მთელი ლიბერალური რუსეთი, თანაც დაკვირვებულად უვლის გვერდს სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს, გულმოდგინედ ფარავს, რით განსხვავდებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი გერცენი ლიბერალისაგან. გერცენს იხსენიებს მემარჯვენე პრესაც, რომელიც ცილისწამებით ირწმუნება გერცენი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ჩამოშორდა რევოლუციასო. ხოლო საზღვარგარეთულ, ლიბერალურ და ნაროდნიკულ, სიტყვებში გერცენის შესახებ ფრაზების მეტი არაფერია.

მუშათა პარტიამ უნდა მოიხსენიოს გერცენი არა ობივატელური ქება-დიდებისათვის, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, იმ მწერლის ნამდვილი ისტორიული ადგილის გასარკვევად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში.

გერცენი ეკუთვნოდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას. თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი «ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, მოჩხუბრები, მათრახისა და ჰარამხანის გმირები» და ყოვლადკეთილი მანილოვები. «და მათ შორის — წერდა გერცენი — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დევგმირები, თა-

ვით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი» [14].

ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და «განწმინდა» იგი. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს «რევოლუციის ალგებრას». იგი წავიდა ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ, გაჰყვა ფეიერბახის კვალს. პირველი წერილი «წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ», — «ემპირია და იდეალიზმი», — რომელიც დაწერილია 1844 წელს, გვიჩვენებს მოაზროვნეს, რომელიც, ახლაც კი, მთელი თავით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრადიდეალისტზე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

სწორედ ამ «შეჩერებამ» გამოიწვია გერცენის სულიერი კრახი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. გერცენი უკვე წასული იყო რუსეთიდან და ამ რევოლუციას უშუალოდ აკვირდებოდა. იგი მაშინ დემოკრატი, რევოლუციონერი, სოციალისტი იყო. მაგრამ მისი «სოციალიზმი» ეკუთვნოდა 1848 წლის ეპოქაში არსებულ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იმ უამრავ ფორმათა და ნაირსახეობათა რიცხვს, რომლებიც საბოლოოდ ჩაკლეს ივნისის დღეებმა. არსებითად ეს სრულებითაც არ იყო სოციალიზმი, არამედ ყოვლადკეთილი ფრაზა, კეთილი ოცნება, რომლითაც მოსავდა თავის მ ა შ ი ნ დ ე ლ რევოლუციურობას როგორც ბურჟუაზიული დემოკრატია, ასევე მისი გავლენისაგან გაუთავისუფლებელი პროლეტარიატი.

გერცენის სულიერი კრახი, მისი ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ — ეს იყო კრახი ბურჟუაზიული ილუზიებისა სოციალიზმის მიმართ. გერცენის სულიერი დრამა იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ნაყოფი და ანარეკლი იყო, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უკვე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო. ეს ვერ გაიგეს და არც შეეძლოთ გაეგოთ რუსეთის ლიბერალური ენამრუშობის რაინდებს, რომლებიც ახლა თავიანთ კონტრრევოლუციურობას ფარავენ მაღალფარდოვანი ფრაზებით გერცენის სკეპტიციზმის შესახებ. სკეპტიციზმი ამ რაინდებისა, რომლებმაც უღალატეს რუსეთის 1905 წლის რევოლუციას, რომლებმაც რევოლუციონერის დიად წოდებაზე ფიქრიც კი დაივიწყეს, არის დემოკრატიიდან ლიბერალიზმზე გადასვლის ფორმა, — იმ ლაქიურ, საზიზღარ, ბინძურ და მხეცურ ლიბერალიზმზე, რომელიც ხვრეტდა მუშებს 1848 წელს, რომელიც აღადგენდა დანგრეულ ტახტებს, რომელიც ტაშს უკრავდა ნაპოლეონ III-ეს და რომელსაც სწყევლიდა გერცენი, თუმცა ვერ გაეგო მისი კლასობრივი ბუნება.

გერცენის სკეპტიციზმი — ეს იყო ფორმა «ზეკლასობრივი» ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიებიდან პროლეტარიატის მკაცრ, განუხრელ, უძლეველ კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლისა. ამის დამადასტურებელია: «წერილები ძველი ამხანაგისადმი», ბაკუნინისადმი, რომლებიც დაწერილია გერცენის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1869 წელს. გერცენი კავშირს წყვეტს ანარქისტ ბაკუნინთან. მართალია, კავშირის ამ გაწყვეტაში გერცენი ხედავს ჯერ კიდევ მხოლოდ უთანხმოებას ტაქტიკაში და არა უფსკრულს თავისი კლასის გამარჯვებაში დარწმუნებული პროლეტარის მსოფლმხედველობასა და თავისი ხსნის იმედდაკარგული წვრილი ბურჟუის მსოფლმხედველობას შორის. მართალია, გერცენი აქაც კვლავ იმეორებს ძველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაზებს, თითქოს სოციალიზმი უნდა გამოდიოდეს «ქადაგებით, რომელიც თანაბ-

რად იქნება მიმართული მუშისა და მეპატრონისადმი, მიწათმოქმედისა და ქალაქელი მდაბიოსადმი». მაგრამ მაინც, ბაკუნინთან კავშირს რომ წყვეტდა, გერცენმა თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ ინტერნაციონალს, იმ ინტერნაციონალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი, — იმ ინტერნაციონალს, რომელიც შეუდგა პროლეტარიატის «ლაშქრის შეკრებას», «მუშათა სამყაროს» გაერთიანებას, რომელიც «ზურგს აქცევს მუქთახოლათა სამყაროს»! [15]

გერცენმა, რომელმაც ვერ გაიგო 1848 წლის მთელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული არსი და მარქსამდელი სოციალიზმის ყველა ფორმა, მით უმეტეს ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ბუნება. გერცენი «რუსული» სოციალიზმის, «ნაროდნიკობის» ფუძემდებელია. გერცენი «სოციალიზმს» ხედავდა გლეხების განთავისუფლებაში მიწით, თემურ მიწათმფლობელობაში და «მიწის ფლობის უფლების» გლეხურ იდეაში. თავის სანუკვარ აზრებს ამ თემაზე იგი მრავალგზის ავითარებდა.

ნამდვილად გერცენის ამ მოძღვრებაში, ისევე როგორც მთელ რუსულ ნაროდნიკობაში — თვით ახლანდელი «სოციალისტ-რევოლუციონერების» გახუნებულ ნაროდნიკობამდე — სოციალიზმის ნასახიც არ არის. ეს ისეთივე ყოვლადკეთილი ფრაზაა, ისეთივე კეთილი ოცნებაა, რომელიც მოსავს რუსეთში ბურჟუაზიული გლეხური დემოკრატიის რევოლუციურობას, როგორიც დასავლეთში «1848 წლის სოციალიზმის» სხვადასხვა ფორმა იყო. რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდნენ გლეხები 1861 წელს და რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო ძლიერ გამოეთხრებოდა ძირი მებატონე მემამულეთა ძალაუფლებას, მით უფრო სწრაფად, თავისუფლად და ფართოდ განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში. «მიწის ფლობის უფლებისა» და «მიწის გათანაბრებითი განაწილების» იდეა სხვა არა არის რა, თუ არ ფორმულირება გლეხების რევოლუციური მისწრაფებისა

თანასწორობისაკენ, გლეხებისა, რომლებიც იბრძვიან მემამულეთა ძალაუფლების სრული დამხობისათვის, მემამულური მიწათმფლობელობის სრული მოსპობისათვის.

1905 წლის რევოლუციამ ეს სავსებით დაამტკიცა: ერთი მხრივ, პროლეტარიატი სავსებით დამოუკიდებლად გამოვიდა რევოლუციური ბრძოლის მეთაურად და შექმნა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; მეორე მხრივ, რევოლუციური გლეხები («ტრუდოვიკები» და «გლეხთა კავშირი»), იბრძოდნენ რა მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის ყველა ფორმისათვის თვით «მიწის კერძო საკუთრების მოსპობამდე», იბრძოდნენ სწორედ როგორც მეპატრონენი, როგორც წვრილი მეწარმენი.

ამჟამად კამათი მიწის ფლობის უფლების «სოციალისტურობის» შესახებ და ა. შ. მხოლოდ იმას უწყობს ხელს, რომ დ ა ა ბ ნ ე ლ ო ს და დაფაროს ნამდვილად მნიშვნელოვანი და სერიოზული ისტორიული საკითხი: რუსეთის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზიისა და რევოლუციური გლეხობის ი ნ ტ ე რ ე ს თ ა განსხვავების შესახებ; სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ რევოლუციაში ლიბერალური და დემოკრატიული, «შემთანხმებლური» (მონარქისტული) და რესპუბლიკური ტენდენციის შესახებ. სწორედ ეს საკითხი დააყენა გერცენის «კოლოკოლმა» [16], თუ შევხედავთ საქმის არსს და არა ფრაზებს, — თუ გამოვიკვლევთ კლასობრივ ბრძოლას, როგორც «თეორიათა» და მოძღვრებათა საფუძველს, და არა პირიქით.

გერცენმა შექმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ეს მისი დიდი დამსახურებაა. «პოლიარნაია ზვეზდამ» [17] აღადგინა დეკაბრისტების ტრადიცია. «კოლოკოლი» (1857 — 1867) მედგრად იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის. მონური დუმილი დაირღვა.

მაგრამ გერცენი მემამულეთა, ბატონკაცთა წრეს ეკუთვნოდა. მან რუსეთი დატოვა 1847 წელს, მას არ უნახავს რევოლუციური ხალხი და არ შეიძლებოდა ჰქონოდა მისდამი რწმენა. აქედანაა მისი ლიბერალური აპელაცია «ზედაფენე-

ბისადმი». აქედანაა მისი ურიცხვი მოთაფლული წერილები «კოლოკოლში» ალექსანდრე II ჯალათისადმი, რომლებსაც ახლა ისე ვერ წაიკითხავ, რომ ზიზღი არ მოგგვაროს. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი, რომლებიც რევოლუციონერ-რაზნოჩინცების ახალ თაობას წარმოადგენდნენ, ათასგზის მართალი იყვნენ, როცა უსაყვედურებდნენ გერცენს ამ გადახვევას დემოკრატიზმიდან ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ, მიუხედავად გერცენის მთელი მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა.

როცა ლიბერალური უხამსობის ერთ-ერთმა უსაზიზღრესმა ტიპმა, კაველინმა, რომელიც წინათ აღტაცებული იყო «კოლოკოლით» სწორედ მისი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ტენდენციებისათვის, კონსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა, თავს დაესხა რევოლუციურ აგიტაციას, გაილაშქრა «ძალადობისა» და მისდამი მოწოდების წინაალმდეგ, შეუდგა მოთმინების ქადაგებას, გერცენმა ამ ლიბერალ ჭკუის კოლოფთან კავშირი გ ა წ ყ ვ ი ტ ა. გერცენი თავს დაესხა მის «მჭლე, უაზრო, მავნე პამფლეტს», დაწერილს იმ მიზნით, რომ მით «ფარულად ეხელმძღვანელა ლიბერალობის ხასიათზე დამდგარ მთავრობას», თავს დაესხა კაველინის «პოლიტიკურ-სენტიმენტალურ სენტენციებს», რომლებიც ხატავდნენ «რუს ხალხს პირუტყვად, მთავრობას კი ჭკვიანად». «კოლოკოლმა» მოათავსა სტატია «საფლავზე წარმოთქმული სიტყვა», სადაც ამათრახებდა «პროფესორებს, რომლებიც ქსოვენ თავიანთი ქედმაღლურ-ნამცეცა უბადრუკი იდეების დამპალ ქსელს, ექს-პროფესორებს, რომლებიც ოდესღაც გულმართლები იყვნენ, შემდეგ კი გაბოროტდნენ, რაკი დაინახეს, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობა ვერ თანაუგრძნობს მათს დაჩიავებულ აზრს». კაველინმა მაშინვე იცნო თავი ამ პორტრეტში.

როცა ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, საზიზღარი ლიბერალი კაველინი წერდა: «დაპატიმრებანი მე აღმაშფოთებელი არა მგონია... რევოლუციურ პარტიას მიაჩნია, რომ მთავრო-

ბის დასამხობად ყველა საშუალება კარგია, მთავრობა კი თავს იცავს თავისი საშუალებებითო». ხოლო გერცენი თითქოს ამ კადეტს უპასუხებდა, როცა ჩერნიშევსკის გასამართლების გამო ამბობდა: «აქ კი უბადრუკი ადამიანები, ქონდრის კაცები, ჭიაღუა ადამიანები ამბობენ, რომ არ უნდა ვლანძღავდეთ ავაზაკთა და არამზადათა ამ ხროვას, რომელიც ჩვენ გვმართავსო».

როცა ლიბერალმა ტურგენევმა კერძო წერილი მისწერა ალექსანდრე II-ეს, არწმუნებდა მას თავის უქვეშევრდომილეს გრძნობებში და ორი ოქრო შესწირა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობისას დაჭრილი ჯარისკაცებისათვის, «კოლოკოლი» წერდა «თმაჭაღარა მაგდალინელზე (მამრობითი სქესისა), რომელმაც ხელმწიფეს მისწერა, ძილი აღარა მაქვს და ვიტანჯები იმის გამო, რომ ხელმწიფემ არ იცის, როგორ მოვინანიე ცოდვაო». და ტურგენევმა მაშინვე იცნო თავი.

როცა რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ერთბაშად ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვისათვის, როცა მთელმა «განათლებულმა საზოგადოებამ» ზურგი შეაქცია «კოლოკოლს», გერცენი არ შემდრკალა. იგი განაგრძობდა პოლონეთის თავისუფლების დაცვას და ალექსანდრე II-ის მსახურ დამწუნარებელთა, ჯალათთა, ჩამომხრჩობთა გამათრახებას. გერცენმა იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება. «ჩვენ ვიხსენით რუსის სახელის ღირსება — სწერდა იგი ტურგენევს — და ამისათვის დავისაჯეთ მონური უმრავლესობისაგანო».

როცა მოდიოდა ცნობა, რომ ყმა გლეხმა მემამულე მოკლა საცოლისათვის წამუსის ახდის ცდის გამოო, გერცენი «კოლოკოლში» დასძენდა ხოლმე: «ძალიან კარგადაც მოქცეულაო!». როცა იუწყებოდნენ, სამხედრო უფროსების თანამდებობას აწესებენ «მშვიდი» «განთავისუფლებისათვისო», გერცენი წერდა: «პირველი ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელიც თავისი რაზმით გლეხებს მიემხრობა, ნაცვლად იმისა, რომ ახრჩობდეს მათ, რომანოვთა ტახტზე დაჯდებაო». როცა პოლკოვნიკმა რეიტერნმა თავი მოიკლა ვარშავაში (1860 წელს), რომ ჯა-

ლათების დამხმარე არ გამხდარიყო, გერცენი წერდა: «თუ დახვრეტაა, უნდა დახვრიტო ის გენერლები, რომლებიც ბრძანებას იძლევიან ესროლონ უიარაღოებსო». როცა ბეზ-დნაში 50 გლეხი დახოცეს და მათი მეთაური ანტონ პეტროვი სიკვდილით დასაჯეს (1861 წლის 12 აპრილს), გერცენი «კოლოკოლში» წერდა:

«ო, ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდე მოღწევა, რუსეთის მშრომელო და ტანჯულო!.. როგორ გასწავლიდი შეიზიზღო შენი სულიერი მოძღვარნი, რომლებიც დაგიყენეს პეტერბურგის სინოდმა და გერმანელმა მეფემ... შენ გძულს მემამულე, გძულს მოხელე, გეშინია მათი — და სავსებით მართალი ხარ; მაგრამ ჯერ კიდევ გჯერა მეფისა და მღვდელმთავრისა... ნუ გჯერა მათი. მეფე მათთანაა, და ისინი მისი ხალხია. მას ხედავ შენ ახლა, შენ, ბეზდნაში მოკლული ჰაბუკის მამავ, შენ, პენზაში მოკლული მამის შვილო... შენი მოძღვარნი შენსავით უმეცარნი, შენსავით ღარიბნი არიან... ასეთი იყო სხვა ანტონი (არა ეპისკოპოსი ანტონი, არამედ ბეზდნელი ანტონი), რომელიც ყაზანში შენი გულისათვის აწამეს... შენი წმინდანების სხეულები ორმოცდარვა სასწაულს ვერ მოახდენენ, მათდამი ლოცვა მტკივან კბილებს ვერ განკურნავს; მაგრამ მათმა ცოცხალმა ხსოვნამ შეიძლება მოახდინოს ერთი სასწაული — შენი განთავისუფლება».

აქედან ჩანს, რა საზიზღრად და სულმდაბლად სწამებენ ცილს გერცენს მონურ «ლეგალურ» პრესაში მოკალათებული ჩვენი ლიბერალები, რომლებიც განადიდებენ გერცენის სუსტ მხარეებს და ჩქმალავენ მის ძლიერ მხარეებს. გერცენის ბრალი კი არა, მისი უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში 40-იან წლებში. როცა მან დაინახა იგი 60-იან წლებში — იგი უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა.

აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევო-

ლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და «ნაროდნაია ვოლიას» გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. «მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები» — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას.

აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას; — სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; — სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას. ამ გაკვეთილებით გამდიდრებული, პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ყველა ქვეყნის სოციალისტ მუშებთან თავისუფალი კავშირისაკენ, გასრესს იმ ქვეწარმავალს, მეფის მონარქიას, რომლის წინააღმდეგაც გერცენმა პირველმა აღმართა ბრძოლის დიადი დროშა მასებისადმი მიმართული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი რ უ ს უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ.

«სოციალ-დემოკრატი» № 26,
1912 წ. 8 მაისი (25 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში

30 მილიონი გლეხის შიმშილობამ კვლავ და კვლავ გამოაცოცხლა რუსეთში გლეხობის მდგომარეობის საკითხი. ჩვეულებრივად ამ საკითხზე მსჯელობისას მხედველობიდან უშვებენ მთავარს, სახელდობრ მსხვილი, უმთავრესად თავადაზნაურული, მემამულური მიწათმფლობელობის შეფარდებას გლეხობის მდგომარეობასთან. ჩვენ გვინდა სწორედ ამ მთავარს მივაპყროთ მკითხველთა ყურადღება.

1907 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა «1905 წლის მიწათმფლობელობის სტატისტიკა». ამ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რომლებსაც არასგზით არ შეიძლება დავწამოთ გლეხებისადმი მიკერძება, შეიძლება საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ შიმშილობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე.

მთავრობის სტატისტიკამ ევროპის რუსეთის 50 გუბერნიაში მიწის რაოდენობა 395 მილიონი დესეტინით განსაზღვრა. მაგრამ ეს ციფრი საქმის ნამდვილი ვითარების სურათს არ იძლევა, იმიტომ რომ მასში შედის 100 მილიონ დესეტინაზე მეტი სახაზინო მიწები შორეულ ჩრდილოეთში, არხანგელსკის, ოლონეცისა და ვოლოგდის გუბერნიებში. სოფლის მეურნეობისათვის ეს მიწები მეტწილად გამოუსადეგარია: ეს შორეული ჩრდილოეთის ტუნდრები და ტყეებია. ჩვეულებრივ ამ მიწებს მხოლოდ იმისათვის იხსენიებენ, რომ მიჩქმალონ იმ მიწის ნამდვილი განაწილება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოფლის მეურნეობისათვის.

თუ გამოვაკლებთ ამ მიწებს, მივიღებთ ვარგისი მიწის საერთო რაოდენობას 280 მილიონ დესეტინას (დამრგვალებულად). აქედან კერძოსამფლობელო მიწას 101 მილიონ დესეტინას ანგარიშობენ, ხოლო სანადელოს — 139 მილიონს. უნდა გამოვყოთ მსხვილი მემამულური და წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა.

დიდი მამულების შესახებ მთავრობის სტატისტიკა ასეთ ცნობებს იძლევა:

მ ი წ ი ს კ ე რ ძ ო პ ი რ ა დ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა
ე ვ რ ო პ ი ს რ უ ს ე თ შ ი:

სამფლობელოთა სიდიდე	სამფლობელოთა რიცხვი	მიწა დესეტინობით	საშუალოდ ერთ სამფლობელოზე დესეტინობით
500-დან 2 000 დეს-დე	21 748	20 590 708	947
2 000 » 10 000 »	5 386	20 602 109	3 825
10 000 დესეტ-ზე მეტი	699	20 798 504	29 754
ს უ ლ	27 833	61 991 321	2 227

ეს მონაცემები სრული არ არის, ვინაიდან ჩათვლილი არ არის არც საუფლისწულო მიწები, არც მსხვილ სავაჭრო საზოგადოებათა მიწები და სხვა. მაგრამ მაინც მ თ ა ვ ა რ ი რამ რუსეთის მემამულური მიწათმფლობელობის შესახებ შეგვიძლია გავიგოთ ამ მონაცემებიდან. შ ვ ი დ ა ს მემამულეს 21 მილიონი დესეტინა აქვს, ესე იგი თითქმის ო ც დ ა ა თ ი ა თ ა ს ი დ ე ს ე ტ ი ნ ა თ ვ ი თ ე უ ლ ს.

28 ათასზე ნაკლებ მემამულეს აქვს **62** მილიონი დესეტინა მიწა, ესე იგი საშუალოდ 2 2 0 0 დ ე ს ე ტ ი ნ ა თ ვ ი თ ე უ ლ ზ ე. საჭიროა ამას დავუმატოთ საუფლისწულო მიწები — მათ ხ უ თ მილიონ დესეტინაზე მეტს ანგარიშობენ. შემდეგ ს ა მ მ ი ლ ი ო ნ-ნ ა ხ ე ვ ა რ დესეტინაზე მეტი მიწა ეკუთვნის 272 «სავაჭრო-სამრეწველო, საფაბრიკო და სხვა» ამხანაგობას. ეს უეჭველად დიდი მამულებია, — მათი მთავარი მასა თავმოყრილია პერმის გუბერნიაში; აქ ც ხ რ ა ასეთ ამხანაგობას ეკუთვნის თ ი თ ქ მ ი ს მ ი ლ ი ო ნ-ნ ა ხ ე ვ ა რ ი დესეტინა მიწა (ზუსტი ციფრია: 1 448 902).

მაშასადამე, სულ გამოდის 70 მილიონ დესეტინაზე არა ნაკლები, არამედ ნამდვილად მეტი მიწა, რაც ყველაზე მსხვილ მემამულეებს ეკუთვნის. ამ მსხვილ მემამულეთა რიცხვი 30 ათასს ვერ აღწევს.

ავიღოთ ახლა გლეხთა მიწათმფლობელობა. მთავრობის სტატისტიკის მონაცემებით, ყველაზე მცირენადელიან გლეხებს ჰქონდათ სანადელო მიწა:

სანადელო მიწა:

ნადელების ოდენობა	კომლთა რიცხვი	მიწა დესეტინობით	საშუალოდ 1 კომლზე დესეტინობით
5 დესეტინამდე.....	2 857 650	9 030 333	3,1
5—8 »	3 317 601	21 706 550	6,5
8—15 »	3 932 485	42 182 923	10,7
სულ.....	10 107 736	72 919 806	7,0

ამრიგად, ათ მილიონ გლეხურ ოჯახს — დაახლოებით 13 მილიონი საერთო რაოდენობიდან — 73 მილიონი დესეტინა მიწა აქვს. საშუალოდ კომლზე მოდის შვიდ-შვიდი დესეტინა. ამას უნდა დაემატოს წვრილი კერძოსამფლობელო მამულები: 10 დესეტინამდე მიწის მფლობელი 409 864 ითვლება, მიწა კი მათ 1 625 226 დესეტინა აქვთ, ე. ი. ოთხ დესეტინაზე ნაკლები თითო კომლზე. მაშასადამე, გამოდის ათ მილიონ-ნახევრამდე გლეხური ოჯახი 75 მილიონი დესეტინა მიწით.

ახლა შეგვიძლია შევაერთოთ ეს ძირითადი მონაცემები, რომლებსაც ძალიან ხშირად ივიწყებენ ან არასწორად წარმოადგენენ გლეხთა საკითხზე მსჯელობის დროს:

მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა: 30 ათასი მფლობელი — 70 მილიონი დეს. მიწა.

წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა: ათ მილიონ-ნახევარი მფლობელი — 75 მილიონი დეს. მიწა.

ცხადია, ეს საერთო მონაცემებია. გლეხების მდგომარეობისა და დიდი მამულების მნიშვნელობის უფრო დაწვრილებით შესასწავლად უნდა ავიღოთ მონაცემები სხვადასხვა

ოლქების ან რაიონების მიხედვით, ზოგჯერ ცალკეული გუბერნიების მიხედვითაც კი. მაგრამ როგორც მთავრობის, ისე ლიბერალური და ნაწილობრივ თვით ნაროდნიკული ბანაკის ეკონომისტები ძალიან ხშირად ჩ ქ მ ა ლ ა ვ ე ნ მიწის საკითხის ა რ ს ს სწორედ ცალკეულ ოლქებზე ან საკითხის ცალკეულ კერძო მხარეებზე მითითებით. მიწისა და გლეხთა მდგომარეობის საკითხის ა რ ს ე ბ ი თ მნიშვნელობაში რომ გავერკვეთ, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ მოყვანილი ძირითადი მონაცემები და არავის უნდა დავანებოთ ძირითადი მიჩქმალოს კერძო მხარეებით.

ამგვარი მიჩქმალვის მაგალითებს მოვიყვანთ შემდეგ სტატიაში *. ახლა კი გამოვიტანოთ პირველი ძირითადი დასკვნა. მიწა ევროპის რუსეთში ისეა განაწილებული, რომ 500 დესეტინაზე მეტის მქონე უმსხვილესი მემამულეები ფლობენ 70 მილიონ დესეტინას, თანაც ამ მემამულეთა რიცხვი 30 ათასსაც ვერ აღწევს.

გლეხების უდიდეს უმრავლესობას კი, სახელდობრ ათმილიონ-ნახევარ ოჯახს, 13 მილიონი გლეხური ოჯახის საერთო რაოდენობიდან, აქვს 75 მილიონი დესეტინა მიწა.

მემამულის ყველაზე დიდი მამულის საშუალო ოდენობაა 2 2 0 0 დ ე ს ე ტ ი ნ ა. წვრილი გლეხური ნაკვეთის საშუალო ოდენობაა შ ვ ი დ ი დესეტინა.

ოცდაათი ათასი უმსხვილესი მფლობელის მიწები ათი მილიონი გლეხური კომლის ხელში რომ გადავიდეს, ამ კომლთა მიწათმფლობელობა თ ი თ ქ მ ი ს გ ა ო რ კ ე ც დ ე ბ ა.

მემამულეებსა და გლეხებს შორის რა სამეურნეო ურთიერთობა გამომდინარეობს მიწის ასეთი განაწილებიდან, ამაზე შემდეგ.

«ნევსკაია ზვეზდა» № 3,
1912 წ. 6 მაისი
ხელმოწერა: რ. ს ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 72 — 77. რ ე დ.

ტრუდოვიკები და მუშათა დემოკრატია

IV სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კამპანიამ ცოტა-ოდენი გაცხოველება გამოიწვია და გააძლიერა ინტერესი პოლიტიკური საკითხებისადმი. ლენის ამბებით გამოწვეულ-მა ფართო მოძრაობამ ეს გაცხოველება სერიოზული გახადა, ხოლო ეს ინტერესი განსაკუთრებით საარსებო. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ახლაა დროული განვიხილოთ საკითხი ტრუდოვიკების, ე. ი. გლეხთა დემოკრატიის, დამოკიდებულებისა მუშათა დემოკრატიისადმი.

ბ-ნი ვ. ოდოვოზოვი სტატიაში «შრომის ჯგუფი და მუშათა პარტია» («ზაპროსი ჟიზნი» № 17) აყალიბებს ტრუდოვიკების თვალსაზრისს ამ საკითხზე და უპასუხებს ჩემს სტატიებს «ზვეზდაში»[18]: «ლიბერალიზმი და დემოკრატია»*. დავა ეხება იმ ორი პოლიტიკური მიმართულების თვით არსს, რომლებიც რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედის ინტერესებს გამოხატავენ. ამიტომ ყოველი დემოკრატი ვალდებულია უდიდესი ყურადღებით მოეპყროს დავის საგანს.

I

მუშათა დემოკრატია კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე დგას. დაქირავებული მუშები თანამედროვე საზოგადოებაში გარკვეულ კლასს შეადგენენ. ამ კლასის მდგომარეობა ძირეულად განსხვავდება წვრილ მეპატრონეთა,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 683 — 694. რ ე დ.

გლეხთა კლასის მდგომარეობისაგან. ამიტომ ერთ პარტიაში მათს გაერთიანებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

მუშების მიზანია დაქირავებული მონობის მოსპობა ბურჟუაზიის ბატონობის აღმოფხვრის გზით. გლეხების მიზანია დემოკრატიული მოთხოვნები, რომლებსაც შეუძლიათ მოსპონ ბატონყმობა, მთელი მისი სოციალური საფუძვლებითა და გამოვლინებით, მაგრამ არ ძალუძთ ოდნავადაც შეეხონ ბურჟუაზიის ბატონობას.

ერთისა და მეორის საერთო ამოცანები ამჟამად რუსეთში ერთმანეთთან აახლოებენ გლეხთა და მუშათა დემოკრატიას, რომლებიც არ შეიძლება სხვანაირად მიდიოდნენ, თუ არა ცალცალკე, მაგრამ შეუძლიათ — და ვალდებულიც არიან წარმატების ინტერესებისათვის — ერთად იმოქმედონ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც დემოკრატიზმს ეწინააღმდეგება. თუ მოქმედების ეს ერთობლიობა ანუ მოქმედების ერთობა არ განხორციელდა, თუ გლეხთა დემოკრატიამ თავი არ დააღწია ლიბერალთა (კადეტთა) მეურვეობას, რუსეთში სერიოზულ დემოკრატიულ გარდაქმნებზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ასეთია მუშათა დემოკრატების, მარქსისტების შეხედულებანი, რომლებსაც მე ვავითარებდი ორ სტატიაში: «ლიბერალიზმი და დემოკრატია».

ტრუდოვიკებს, რომელთა შეხედულებებსაც ბ-ნი ვოდოვოზოვი გადმოგვცემს, სურთ «ზეკლასობრივი» პარტია იყვნენ. ერთი პარტია, მათი რწმენით, «სავსებით შეძლებს ემსახუროს სამი საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს»: გლეხობის, მუშათა კლასისა და «მშრომელი ინტელიგენციის» ინტერესებს.

მე ვთქვი, რომ ეს «რწმენა» ეწინააღმდეგება 1) ეკონომიური მეცნიერების ყველა ჭეშმარიტებას, 2) იმ ქვეყნების მთელ გამოცდილებას, რომლებმაც განვლეს რუსეთის თანამედროვე ეპოქის მსგავსი ეპოქები, 3) რუსეთის გამოცდილებას რუსეთის ისტორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვან, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში — 1905 წელს. მე სასაცილოდ ავიგდე ჭეშმარიტად-კადეტური პრეტენზია «მოიცვან»

სხვადასხვა კლასები და მოვაგონე, რომ კადეტები ბ-ნ მაკლაკოვებს «მშრომელ ინტელიგენციას» უწოდებენ.

ბ-ნი ვოდოვოზოვი, რომელსაც სრულად და დალაგებულად არ მოჰყავს ჩემი ეს მოსაზრებანი, ცდილობს მიპასუხოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მაგალითად, პირველი მოსაზრების წინააღმდეგ იგი ამბობს: «გლეხობა არის მასა, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს; მისი ინტერესები შრომის ინტერესებია, და იგი, ამიტომ, შეადგენს ერთ რაზმს შრომის დიდ არმიაში, ისევე როგორც მეორე რაზმს მუშები შეადგენენო».

ეს არის არა მარქსისტული ეკონომიური მეცნიერება, არამედ ბურჟუაზიული: შრომის ინტერესების შესახებ ფრაზის საშუალებით აქ მიჩქმალულია ძირეული განსხვავება წვრილი მეპატრონისა და დაქირავებული მუშის მდგომარეობაში. მუშას წარმოების არავითარი საშუალება არა აქვს და ყიდის თავის თავს, თავის ხელებს, თავის ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა ს. გლეხს აქვს წარმოების საშუალებანი — იარაღები, პირუტყვი, მიწა, თავისი ან იჯარით აღებული, — და ყიდის თავისი მეურნეობის პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ს, იგი არის წვრილი მეპატრონე, წვრილი მეწარმე, წვრილი ბურჟუა.

გლეხები რუსეთში ახლაც ქირაობენ თავიანთი მეურნეობისათვის სულ მცირე 2 მ ი ლ ი ო ნ სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშას. ხოლო მემამულეთა ყველა მიწა უსასყიდლოდ რომ გადავიდეს გლეხების ხელში, ისინი გაცილებით უფრო მეტ მუშას დაიქირავებენ.

გლეხების ხელში მიწის ასეთი გადასვლა მთელი გლეხობის, ყველა დაქირავებული მუშის, მთელი დემოკრატიის საერთო ინტერესს შეადგენს, იმიტომ რომ მემამულური მიწათმფლობელობა საფუძველია ისეთი ტიპის მემამულური პოლიტიკური ძალაუფლებისა, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გააცნო რუსეთს პურიშკევიჩმა, შემდეგ მარკოვ მე-2 და სხვა «მესამესათათბიროელებმა», ნაციონალისტებმა, ოქტიაბრისტებმა და სხვ.

აქედან ჩანს, რომ საერთო მიზანი, რომელიც ახლა გლეხებისა და მუშების წინაშე დგას, არ შეიცავს სრულიად არა-

ფერს სოციალისტურს, წინააღმდეგ უვიცი შავრაზმელების, ხოლო ზოგჯერ აგრეთვე ლიბერალების შეხედულებისა. ეს მიზანი მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულია. ამ მიზნის მიღწევა რუსეთისათვის თავისუფლების მიღწევა იქნებოდა, მაგრამ სრულებითაც არ მოსპობდა დაქირავებულ მონობას.

სხვადასხვა კლასების ერთობლივი მოქმედების სერიოზულად დაყენებისათვის, ასეთი მოქმედების მტკიცე და ნამდვილი წარმატებისათვის, საჭიროა იმის ნათელი შეგნება, თუ რაში ეთანხმება ერთმანეთს და რაში განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ კლასთა ინტერესები. ყოველგვარ შეცდომას, «გაუგებრობას» ამ მხრივ, ფრაზებით საქმის ყოველგვარ მიჩქმალვას არ შეიძლება უაღრესად დამღუპველი მნიშვნელობა არ ექნეს, არ შეიძლება ძირი არ გამოუთხაროს წარმატებას.

II

«სამიწათმოქმედო შრომა განსხვავდება საფაბრიკო შრომისაგან; მაგრამ საფაბრიკო შრომაც ხომ განსხვავდება დუქანში ნოქრის შრომისაგან, — და მაინც «ზვეზდა» გულმოდგინედ უმტკიცებს ნოქრებს, რომ ისინი მუშებთან ერთად წარმოადგენენ ერთ კლასს, რომ ამიტომ ისინი სოციალ-დემოკრატიას უნდა უყურებდნენ, როგორც თავის წარმომადგენელს»...

ასეთ პასუხს იძლევა ბ-ნი ვოდოვოზოვი მოსაზრებებზე წვრილ მეპატრონეთა და დაქირავებულ მუშათა ღრმა კლასობრივი განსხვავების შესახებ! ბ-ნ ვოდოვოზოვის მსჯელობა აქაც გამსჭვალულია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ჩვეულებრივი სულისკვეთებით. წვრილი მეპატრონე-მიწათმოქმედი იმავე კ ლ ა ს ს ეკუთვნის, რომელსაც მეფაბრიკე ან წვრილი მეპატრონე-ხელოსანი, წვრილი მეპატრონე-ვაჭარი; განსხვავება აქ არის არა კლასებს შორის, არამედ პ რ ო ფ ე ს ი ე ბ ს შორის. სამიწათმოქმედო დაქირავებული მუშა ეკუთვნის იმავე კლასს, რომელსაც საფაბრიკო და საავაჭრო დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მუშა.

ეს ჭეშმარიტებანი — ყველა სრულიად ანბანურია, მარქსიზმის თვალსაზრისით. და ბ-ნ ვოდოვოზოვს ტყუილად ჰგონია, რომ, თუ იგი «ჩემს» მარქსიზმს «მეტად გამარტივე-

ბულს» უწოდებს, ამით დაფარავს საქმისარსს, სახელდობრ იმას, რომ ტრუდოვიკები მუდამ გადადიან მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიიდან ბურჟუაზიულზე.

ასეთსავე აბნეულობას და იმავე მიმართულებით იჩენს ბ-ნი ვოდოვოზოვი, როცა ცდილობს ჩემი მითითება ყველა ქვეყნის გამოცდილებაზე და რუსეთის გამოცდილებაზე — წვრილ მეპატრონეთა და დაქირავებულ მუშათა ღრმა კლასობრივი განსხვავების შესახებ — უარყოს იმაზე მითითებით, რომ ზოგჯერ ერთ კლასს წარმოადგენენ სხვადასხვა პარტიები ან პირიქით. მუშები ევროპაში ზოგჯერ მიჰყვებიან ლიბერალებსა და ანარქისტებს, კლერიკალებს და სხვ. მემამულეები ზოგჯერ დაყოფილი არიან სხვადასხვა პარტიებს შორის.

მერე რას ამტკიცებს ეს? მხოლოდ იმას, რომ გარდა კლასობრივი გასხვავებისა, სხვა განსხვავებანიც, მაგალითად, რელიგიური, ეროვნული და სხვ. — ახდენენ გავლენას პარტიების ჩამოყალიბებაზე.

ეს ფაქტი სწორია, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს მას ჩვენს დავასთან? აღნიშნავს თუ არა ბ-ნი ვოდოვოზოვი რუსეთისათვის იმ განსაკუთრებულ ისტორიულ, რელიგიურ, ეროვნულ თუ სხვა პირობებს, რომლებიც უერთდებოდნენ ამ შემთხვევაში კლასობრივ განსხვავებას?

ბ-ნ ვოდოვოზოვს სრულიად არავითარი ასეთი პირობები არ აღუნიშნავს და არც შეეძლო აღენიშნა. დავა იყო მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, შესაძლებელია თუ არა ჩვენში «ზეკლასობრივი» პარტია, რომელიც «ემსახურებოდეს სამი კლასის ინტერესებს» (ამასთან სასაცილოა კლასს უწოდებდე «მშრომელ ინტელიგენციას»).

ამ კითხვაზე ნათელ პასუხს იძლევა თეორია: შეუძლებელია! ასევე ნათელ პასუხს იძლევა 1905 წლის გამოცდილება, როცა ყველა კლასობრივმა, ჯგუფურმა, ეროვნულმა და სხვა განსხვავებამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ყველაზე აშკარა და ყველაზე მასობრივი მოქმედებით რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტში. მარქსიზმის თეორია დაადასტურა 1905

წლის გამოცდილებამ, რომელმაც დაგვანახვა, რომ რუსეთში შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ერთიანი გლეხურ-მუშური პარტია.

სამივე სათათბირომ იგივე დაგვანახვა.

მაშ რა შუაშია აქ იმაზე მითითება, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ზოგჯერ ყოფილა ერთი კლასის დაყოფა რამდენიმე პარტიად ან სხვადასხვა კლასის შეერთება ერთი პარტიის ხელმძღვანელობით? ეს მითითება სრულიად არაფერ შუაშია. ამ მითითებით ბ-ნი ვოდოვოზოვი მხოლოდ სცილდება — და ცდილობს მკითხველიც მოაცილოს — განსახილველ საკითხს.

რუსეთის დემოკრატიის წარმატებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მან იცოდეს თავისი ძალები, რომ იგი ფხიზლად უყურებდეს საქმის ვითარებას, რომ მას მკაფიოდ ესმოდეს, თუ რა კ ლ ა ს ე ბ ი ს იმედი შეიძლება ჰქონდეს. ილუზიებით თავის მოტყუება, კლასობრივი განსხვავების მიჩქმალვა ფრაზებით, ამ განსხვავებისათვის თავის არიდება კეთილი სურვილებით — უაღრესად მავნეა.

პირდაპირ უნდა ვაღიაროთ რუსეთში გლეხებისა და მუშების ღრმა კლასობრივი განსხვავება, რომელიც შეუძლებელია აღმოიფხვრას კაპიტალისტური საზოგადოების ფარგლებში, ბაზრის ბატონობის ფარგლებში. პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რაში ეთანხმება ა ხ ლ ა ერთმანეთს მათი ინტერესები. უნდა გავაერთიანოთ თვითეული კლასი, მჭიდროდ დავრაზმოთ მისი ძალები, განვავითაროთ მისი შეგნება და განვსაზღვროთ ეს საერთო ამოცანა.

«რადიკალური» (ვიღებ ბ-ნ ვოდოვოზოვის გამოთქმას, თუმცა იგი მოხდენილი არ მგონია) გლეხთა პარტია სასარგებლო და აუცილებელია.

«ზეკლასობრივი» პარტიის შექმნის ყოველი ცდა, გლეხებისა და მუშების ერთ პარტიად გაერთიანების ცდები, რაღაც არარსებული «მშრომელი ინტელიგენციის» განსაკუთრებულ კლასად გამოყვანის ცდები უაღრესად მავნე და დამღუპველია რუსეთის თავისუფლებისათვის, იმიტომ რომ ასეთი ცდები-

საგან არაფერი არ შეიძლება გამოვიდეს, იმედის გაცრუების, ძალების დაკარგვის, შეგნების დაბნელების მეტი.

სავსებით თანავუგრძნობთ რა თანმიმდევრულ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის შექმნას, ჩვენ ვალდებული ვართ ვებრძოლოთ ასეთ ცდებს. მუშები ვალდებული არიან აგრეთვე ებრძოლონ ლიბერალების გავლენას დემოკრატიულ გლეხობაზე.

III

იმის შესახებ, თუ როგორია ლიბერალების დამოკიდებულება ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი, კადეტებისა ტრუდოვიკებისადმი, ამ უკანასკნელთა კონფერენციას ნათელი და გარკვეული არაფერი უთქვამს [19]. ტრუდოვიკებს არ ეტყობათ იმის გაგება, რომ სწორედ დემოკრატიული გლეხობის დამოკიდებულება ლიბერალებისაგან იყო 1905 — 1906 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ამ მოძრაობის წარმატება შეუძლებელია, თუ გლეხობის ფართო და ხელმძღვანელმა ფენებმა არ შეიგნეს დემოკრატიზმის განსხვავება ლიბერალიზმისაგან, თუ არ განთავისუფლდნენ ლიბერალთა მეურვეობისა და ბატონობისაგან.

ბ-ნი ვოდოვოზოვი ამ ძირეული მნიშვნელობის საკითხს მეტად გაკვრით და არადამაკმაყოფილებლად შეეხო. იგი ამბობს, «კადეტთა პარტია უმთავრესად ქალაქის მოსახლეობას ემსახურებაო». ეს სწორი არ არის. კადეტთა პარტიის კლასობრივი ფესვებისა და პოლიტიკური როლის ასეთი განსაზღვრა არაფრად არ ვარგა.

კ.-დ. პარტია ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტიაა. ამ პარტიის (ისევე როგორც «პროგრესისტების») სოციალურ საფუძველს წარმოადგენენ ბურჟუაზიის ეკონომიურად უფრო პროგრესული (ოქტიაბრისტებთან შედარებით) ფენები, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ხოლო ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი ამ პარტიას მიჰყვება ჯერ კიდევ მხოლოდ ტრადიციის (ე. ი. უბრალო მიჩვევის, გუშინდელის ბრმად გამეორების)

გამო და ლიბერალების მიერ პირდაპირ მოტყუების შედეგად.

კადეტები, დემოკრატებს რომ უწოდებენ თავს, იტყუებენ თავს და ატყუებენ ხალხს. ნამდვილად კი კადეტები კონტრრევოლუციური ლიბერალები არიან.

რუსეთის მთელმა ისტორიამ, განსაკუთრებით XX საუკუნის, განსაკუთრებით 1905 — 1906 წლების მთელმა ისტორიამ სავსებით დ ა ა მ ტ კ ი ც ა ეს, ხოლო წიგნმა «ვეხი»[20] განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, ცხადად, მთლიანად დ ა გ ვ ა ნ ა ხ ვ ა, გამოააშკარავა ეს. და კადეტთა დიპლომატების ვერავითარი «შენიშვნები» «ვეხის» შესახებ ვერ შეცვლის ფაქტს.

რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველმა ხანამ, XX საუკუნის პირველმა ათეულმა წელმა ცხადყო, რომ მოსახლეობის ფართო მასები, რომლებიც დემოკრატიისაკენ მიილტვიან, ჯერ კიდევ საკმაოდ შეგნებული ვერ არიან, ვ ე რ გ ა ნ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ე ნ ლიბერალიზმს დემოკრატიზმისაგან, ემორჩილებიან ლიბერალთა ხელმძღვანელობას. სანამ ეს არ შეიცვლება და რამდენადაც ეს არ იცვლება, რუსეთის რაიმე დემოკრატიულ გარდაქმნაზე ლაპარაკიც მეტია. ეს ფუჭი ლაყბობა იქნება.

რა მოსაზრებებს გამოთქვამს ბ-ნი ვოდოვოზოვი ამ წანამძღვრების წინააღმდეგ, რომლებზეც აგებული იყო ჩემი სტატია? «ტრუდოვიკებს — წერს იგი — ახლანდელ პირობებში უაღრეს უტაქტობად (!!) მიაჩნიათ მეტად ბევრის ლაპარაკი კადეტების კონტრრევოლუციურობაზე...»

გაგონილა! რა შუაშია აქ «ტაქტიანობა»? რა შუაშია აქ «მეტად ბევრი»? თუ მართალია, რომ კადეტები კონტრრევოლუციური ლიბერალები არიან, სიმართლის თქმა სავალდებულოა. ბევრი უნდა ილაპარაკო კონტრრევოლუციურ მემარჯვენეებსა და კონტრრევოლუციურ ლიბერალებზე თუ ცოტა, — ეს სრულებითაც არ არის სერიოზული საკითხი: ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, როცა პუბლიცისტი ლაპარაკობს მემარჯვენეებზე, ყოველთვის, როცა იგი ლაპა-

რაკობს ლიბერალებზე, იგი სიმართლეს უნდა ამბობდეს. ტრუდოვიკებმა მემარჯვენეებზე სიმართლე თქვეს. ჩვენ ვაქებთ მათ ამისათვის. ლიბერალებზე ტრუდოვიკები თვითონ ალაპარაკდნენ — და ბოლომდე არ თქვეს სიმართლე!

ჩვენ მხოლოდ ამას ვუსაყვედურებთ ტრუდოვიკებს.

«მეტად ბევრი» თუ მეტად ცოტა, — ეს სრულებით არაფერ შუაშია. დაე ტრუდოვიკებმა ათასი სტრიქონი მიუძღვნან მემარჯვენეებს, ხუთი — ლიბერალებს, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნება. და ამის გამო როდი ვედავებოდით ჩვენ ტრუდოვიკებს. ჩვენ იმის გამო ვედავებოდით მათ, რომ ამ «ხუთ სტრიქონში» (— თქვენს თავს დააყვედრეთ, ბ-ნო ვოდოვოზოვ, რომ დაგაში იხმარეთ თქვენი უადგილო: «მეტად»! —) ლიბერალებზე სიმართლე არ არის ნათქვამი.

ბ-ნმა ვოდოვოზოვმა თავი ააარიდა იმას, რომ არსებითად ეპასუხნა კითხვაზე: კონტრრევოლუციონერები არიან თუ არა კადეტები?

ტრუდოვიკების მიერ ამ კითხვაზე პასუხისათვის თავის არიდება დიდი შეცდომაა, რაც სინამდვილეში იმას მოასწავებს, რომ დემოკრატთა ნაწილი და ყოფილ მარქსისტთა ნაწილი დამოკიდებულია ლიბერალიზმზე.

ეს კითხვა XX საუკუნის პირველი ათი წლის მთელი ისტორიის მიერ გარდუვალად არის დაყენებული.

ახლა რუსეთში ყველგან, მოსახლეობის უაღრესად სხვადასხვა ფენებში, იზრდებიან ახალი დემოკრატიული ელემენტები. ეს ფაქტია. ეს მზარდი დემოკრატიული ელემენტები თანმიმდევრული დემოკრატიზმის სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ. ასეთი აღზრდა შეუძლებელია ისე, თუ არ განვუმარტეთ ნამდვილი არსი ლიბერალებისა, რომლებსაც ხელთ აქვთ ასობით ორგანო და ასეული ადგილი სათათბიროში და, ამრიგად, მუდმივად ახდენენ გავლენას ყალბი-დემოკრატიული მიმართულებით ადამიანთა გაცილებით უფრო დიდ რიცხვზე, ვიდრე ეს მისაწვდომია ჩვენი ქადაგებისათვის.

დემოკრატია უნდა რაზმავდეს თავის ძალებს. ტრუდოვიკებს ჩვენ ყოველთვის შევაქებთ მათი დემოკრატიული სიტყვებისათვის მემარჯვენეთა შესახებ. მაგრამ მათი დემოკრატიზმი თანმიმდევრული არ იქნება, თუ მ ა შ ი ნ, როცა ისინი ლიბერალებზე ლაპარაკობენ, ილაპარაკებენ ლ ი ბ ე რ ა ლ ი ს ე ბ უ რ ა დ, ნაცვლად იმისა, რომ ილაპარაკონ დემოკრატის შესაფერი ენით.

არჩევნებში იბრძვის არა ორი ბანაკი, არამედ სამი. ერთმანეთში ნუ რევთ, ბატონო ტრუდოვიკებო, მეორე (ლიბერალურ) და მესამე (დემოკრატიულ) ბანაკს. ნუ ჩქმალავთ მათ შორის განსხვავებას — ამ ცუდი საქმისათვის «მ ე ტ ა დ ბ ე ვ რ ს» ზრუნავენ ლიბერალები.

«პრავდა» №№ 13 და 14;
1912 წ. 8 და 9 მაისი
ხელმოწერა: ბ. ბ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური პარტიები რუსეთში

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ყველა პარტიას აიძულებს გააძლიეროს თავისი აგიტაცია, მოიკრიბოს ძალები «თავისი» პარტიის რაც შეიძლება მეტი დეპუტატის გასაყვანად.

ამასთან ჩვენშიც, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, ჩაღდება ყოვლად უცერემონიო წინასაარჩევნო რეკლამა. ყველა ბურჟუაზიული პარტიები, ესე იგი ისინი, რომლებიც იცავენ კაპიტალისტთა ეკონომიურ პრივილეგიებს, რეკლამას უკეთებენ თავიანთ პარტიებს სწორედ ისევე, როგორც ცალკეული კაპიტალისტები რეკლამას უკეთებენ თავიანთ საქონელს. გადახედეთ სავაჭრო განცხადებებს რომელ გაზეთშიც გნებავთ — დაინახავთ, რომ კაპიტალისტები იგონებენ ყველაზე «ეფექტიან», მყვირალა, მოდურ სახელწოდებებს თავიანთი საქონლისათვის და აქებენ მას, აბსოლუტურად არაფერს არ თაკილობენ, სრულიად არ ერიდებიან არავითარ სიცრუესა და ჭორს.

საზოგადოება — დიდ ქალაქებსა და სავაჭრო ადგილებში მაინც — დიდი ხანია მიეჩვია სავაჭრო რეკლამას და იცის მისი ფასი. სამწუხაროდ, პოლიტიკური რეკლამა თავგზას უბნევს გაცილებით მეტ ხალხს, მისი მხილება გაცილებით უფრო ძნელია, ტყუილი აქ ბევრად უფრო მტკიცედ ძლებს. პარტიების სახელწოდებებს — ევროპაშიც და ჩვენშიც — ზოგჯერ პირდაპირი სარეკლამო მიზნით ირჩევენ, პარტიების «პროგრამები» ძალიან ხშირად მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების მოსატყუებლად იწერება. რაც უფრო მეტია პო-

ლიტიკური თავისუფლება კაპიტალისტურ ქვეყანაში, რაც უფრო მეტია დემოკრატიზმი, ე. ი. ხალხის ძალაუფლება და ხალხის წარმომადგენლები, ხშირად მით უფრო უსირცხვილოდ ჩაღდება პარტიული რეკლამა.

როგორ გავერკვეთ, ასეთი ვითარებისას, პარტიულ ბრძოლაში? ხომ არ ნიშნავს ეს ბრძოლა, მოტყუებითა და რეკლამით, რომ საერთოდ უსარგებლოა და მავნეც წარმომადგენლობითი დაწესებულებები, პარლამენტები, ხალხის წარმომადგენელთა კრებები, როგორც ცდილობენ დაგვარწმუნონ გააფთრებული რეაქციონერები, პარლამენტარიზმის მტრები? არა. როცა წარმომადგენლობითი დაწესებულებები არ არის, მოტყუება, პოლიტიკური სიცრუე, ყოველგვარი თაღლითური ფანდები გაცილებით უფრო მეტია, და ხალხს გაცილებით უფრო ნაკლები საშუალება აქვს ამხილოს სიცრუე, მიაგნოს სიმართლეს.

პარტიულ ბრძოლაში რომ გავერკვეთ, სიტყვებს კი არ უნდა ვენდოთ, არამედ შევისწავლოთ პარტიების ნამდვილი ისტორია, შევისწავლოთ არა იმდენად ის, რასაც პარტიები თავის თავზე ამბობენ, არამედ ის, რასაც ისინი აკეთებენ, როგორ იქცევიან სხვადასხვა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას, როგორ უჭირავთ თავი ისეთ საქმეებში, რომლებიც ეხება საზოგადოების სხვადასხვა კლასების, მემამულეების, კაპიტალისტების, გლეხების, მუშებისა და სხვათა საარსებო ინტერესებს.

რაც უფრო მეტი პოლიტიკური თავისუფლებაა ქვეყანაში, რაც უფრო მტკიცე და დემოკრატიულია მისი წარმომადგენლობითი დაწესებულებები, მით უფრო ადვილია ხალხის მასებისათვის გაერკვნენ პარტიულ ბრძოლაში და ისწავლონ პოლიტიკა, ე. ი. ამხილონ მოტყუება და მიაგნონ სიმართლეს.

ყოველი საზოგადოების პოლიტიკურ პარტიებად დაყოფა ყველაზე მკაფიოდ აშკარავდება ღრმა, მთელი ქვეყნის შემარყეველი, კრიზისების დროს. მთავრობები მაშინ იძულებული ხდებიან დასაყრდენი ეძებონ საზოგადოების სხვადასხვა კლა-

სებში; სერიოზული ბრძოლა უკუაგდებს ყოველგვარ ფრაზებს, ყოველივე წვრილმანსა და შემთხვევითს; პარტიები მთელ ძალღონეს ძაბავენ, მიმართავენ ხალხის მასებს, და მასები, რომლებიც სწორი ინსტინქტით ხელმძღვანელობენ და აშკარა ბრძოლის გამოცდილებით არიან გათვითცნობიერებული, მიჰყვებიან იმ პარტიებს, რომლებიც ამა თუ იმ კლასის ინტერესებს გამოხატავენ.

ასეთი კრიზისების ეპოქები ყოველთვის მრავალი წლითა და ათეული წლითაც კი განსაზღვრავენ მოცემული ქვეყნის საზოგადოებრივი ძალების პარტიულ დაჯგუფებას. მაგალითად, გერმანიაში ასეთი კრიზისი იყო 1866 და 1870 წლების ომები; რუსეთში 1905 წლის ამბები. არ შეიძლება გავიგოთ ჩვენი პოლიტიკური პარტიების არსი, არ შეიძლება გავერკვეთ, რომელ კლასებს წარმოადგენს ესა თუ ის პარტია რუსეთში, თუ ამ წლის ამბებს არ დავუბრუნდით.

რუსეთის პოლიტიკური პარტიების მოკლე მიმოხილვა დავიწყოთ უკიდურესი მემარჯვენე პარტიებით.

უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე ვხვდებით რუსი ხალხის კავშირს.

ამ პარტიის პროგრამა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული რუსი ხალხის კავშირის მოამბეში, «რუსსკოე ზნამიაში», რომელსაც ა. ი. დუბროვინი სცემს:

«რუსი ხალხის კავშირი, რომელიც 1907 წლის 3 ივნისს იმის ღირსად ჩაჭდა, რომ ტაჭტიდან მეფემ მოუწოდა იყოს მისი საიმედო დასაყრდენი, წარმოადგენდეს ყველასთვის და ყველაფერში კანონიერებისა და წესრიგის მაგალითს, აღიარებს, რომ მეფის ნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით: 1) თუ სრულად გამოვლინდება ძალა მეფის თვითმპყრობელობისა, რომელიც განუყრელად და საარსებოდ დაკავშირებულია რუსეთის მართლმადიდებელ, კანონიკურად მოწყობილ ეკლესიასთან; 2) თუ რუსი ეროვნება იბატონებს არა მარტო შიდა გუბერნიებში, არამედ განაპირა მხარეებშიც; 3) თუ იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ რუსი ადამიანებისაგან შემდგარი სახელმწიფო სათათბირო, როგორც თვითმპყრობელის მთავარი თანაშემწე მის სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმიანობაში; 4) თუ სრულად დაცული იქნება რუსი ხალხის კავშირის ძირითადი დებულებანი ებრაელთა შესახებ და 5) თუ სახელმწიფო სამსახურიდან განიდევნებიან

ის მოხელეები, რომლებიც მეფის თვითმპყრობელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს ეკუთვნიან».

ჩვენ ზუსტად გადმოვიღეთ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე თ ა ეს საზეიმო დეკლარაცია ერთი მხრივ იმისათვის, რომ უშუალოდ გაგვეცნო მკითხველისათვის ორიგინალი, ხოლო მეორე მხრივ — იმის გამო, რომ აქ გადმოცემული ძირითადი მოტივები ძალას ინარჩუნებენ III სათათბიროს უმრავლესობის ყველა პარტიისათვის, ე. ი. «ნაციონალისტებისთვისაც» და ოქტიაბრისტებისთვისაც. ამას ქვემოთ დავინახავთ.

რუსი ხალხის კავშირის პროგრამა იმეორებს, არსებითად, ბატონყმობის დროინდელ ძველ ლოზუნგს — მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა. იმ საკითხში, რომლის მიხედვითაც ჩვეულებრივ გამოჰყოფენ რუსი ხალხის კავშირს მისი მომდევნო პარტიებისაგან, სახელდობრ: რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში «კონსტიტუციური» საწყისების აღიარება თუ უარყოფა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსი ხალხის კავშირი ს რ უ ლ ე ბ ი თ ა ც არ არის საერთოდ წარმომადგენლობითი დაწესებულებების წინააღმდეგი. ამოწერილი პროგრამიდან ჩანს, რომ რუსი ხალხის კავშირი მომხრეა სახელმწიფო სათათბიროს არსებობისა «თანაშემწის» როლში.

რუსეთის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონსტიტუციის თავისებურება დუბროვინელს გადმოცემული აქვს და სწორადაც, ე. ი. ფაქტიური ვითარების შესაბამისად. ნაციონალისტებიც და ოქტიაბრისტებიც თავიანთ ნამდვილ პოლიტიკაში სწორედ ამ პოზიციაზე დგანან. «კონსტიტუციაზე» დავა ამ პარტიებს შორის საგრძნობწილად წარმოადგენს სიტყვებზე დავას: «მემარჯვენენი» სათათბიროს წინააღმდეგი არ არიან, მხოლოდ განსაკუთრებით გულმოდგინედ აღნიშნავენ, რომ იგი «თანაშემწე» უნდა იყოს, მისი უფლებების ყოველგვარი გარკვევის გარეშე, ნაციონალისტები და ოქტიაბრისტები თავის მხრივ არავითარ ზუსტად გარკვეულ უფლებებს არ მოითხოვენ და სრულებითაც არ ფიქრობენ უფლების რეალურ გარანტიებზე. და ოქტიაბრიზმის «კონსტიტუციონა-

ლისტები» სავსებით ურიგდებიან «კონსტიტუციის მოწინააღმდეგეებს» სამი ივნისის კონსტიტუციის საკითხში.

საერთოდ სხვა მოდგმის ხალხებისა და განსაკუთრებით ებრაელების დევნა პირდაპირ, ნათლად, გარკვეულად არის დაყენებული შავრაზმელთა პროგრამაში. ისევე როგორც ყოველთვის, ისინი აქ უფრო უხეშად, უბოდიშოდ, უფრო კადნიერად გამოთქვამენ იმას, რასაც მთავრობის დანარჩენი პარტიები მეტად თუ ნაკლებად «მორცხვად» ან დიპლომატიურად მალავენ.

ნამდვილად, როგორც ეს ყველამ და ყოველმა იცის, რომელიც ოდნავ მაინც იცნობს III სათათბიროს საქმიანობას, ისეთ პრესას, როგორიცაა «ნოვოე ვრემია», «სვეტი», «გოლოს მოსკვი» [21] და სხვ., სხვა მოდგმის ხალხთა დევნაში ნაციონალისტები და ოქტიაბრისტებიც მონაწილეობენ.

საკითხავია, რა არის მემარჯვენეთა პარტიის სოციალური საფუძველი? რომელ კლასს წარმოადგენს იგი? რომელ კლასს ემსახურება?

ბატონყმობის ლოზუნგებისაკენ დაბრუნება, რუსეთის ცხოვრებაში ყოველივე ძველის, შუასაუკუნეობრივის დაცვა, სამი ივნისის — მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი — კონსტიტუციით სრული კმაყოფილება, თავადაზნაურობისა და მოხელეთა პრივილეგიების დაცვა, ყოველივე ეს ნათელ პასუხს იძლევა ჩვენს კითხვაზე. მემარჯვენენი მებატონე მემამულეების, გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს პარტიას შეადგენენ. ტყუილად ხომ არ იყო, რომ სწორედ ამ საბჭომ ასეთი თვალსაჩინო, უფრო მეტიც, ხელმძღვანელი როლი შეასრულა მეორე სათათბიროს გარეკვაში, საარჩევნო კანონის შეცვლასა და 3 ივნისის გადატრიალებაში.

რუსეთში ამ კლასის ეკონომიური ძალა რომ გავარკვიოთ, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ძირითადი ფაქტი, რომელსაც ამტკიცებს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული, 1905 წლის საადგილმამულო სტატისტიკის ციფრები.

ევროპის რუსეთში 30 000-ზე ნაკლებ მემამულეს აქვს 70 000 000 დესეტინა მიწა; ამ დენივე აქვს ყველაზე მცირენადელიან 10 000 000 გლეხურ კომლს. ერთ უმსხვილეს მემამულეზე ეს იძლევა საშუალოდ 2 300 დესეტინამდე მიწას; ერთ უღარიბეს გლეხზე 7 დესეტინა მიწას — ოჯახზე, კომლზე.

სავსებით ბუნებრივი და გარდუვალია, რომ გლეხს ასეთი «ნადელით» ცხოვრება არ შეუძლია, არამედ შეუძლია მხოლოდ ნელ-ნელა კვდებოდეს. მილიონთა მუდმივი შიმშილობა — ისეთი, როგორც წლევანდელი შიმშილობაა — კვლავ არღვევს რუსეთში გლეხურ მეურნეობას ყოველი მოუსავლიანობის შემდეგ. გლეხები იძულებული არიან იჯარით აიღონ მიწა მემამულისაგან — ყოველნაირი შრომამიგების პირობით. მიწისათვის გლეხი თავისი ცხენით, თავისი იარაღებით მუშაობს მემამულის სასარგებლოდ. ეს იგივე საბატონო ბეგარაა, მხოლოდ მას ოფიციალურად არ ეწოდება ბატონყმობა. 2 300 დესეტინა მიწის ნაკვეთებზე მემამულეებს მეტ წილად არც შეუძლიათ აწარმოონ სხვანაირი მეურნეობა, თუ არა კაბალური, შრომამიგებითი, ე. ი. საბატონო მეურნეობა. დაქირავებული მუშებით ისინი ამ ვეებერთელა მამულების მხოლოდ ნაწილს ამუშავებენ.

შემდეგ, მემამულე თავადაზნაურთა იგივე კლასი აწვდის სახელმწიფოს ყველა უმაღლეს და საშუალო მოხელეთა უდიდეს უმრავლესობას. მოხელეთა პრივილეგიები რუსეთში მემამულე თავადაზნაურთა პრივილეგიებისა და საადგილმამულო ძალაუფლების მეორე მხარეა. აქედან გასაგებია, რომ გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო და «მემარჯვენე» პარტიები არა შემთხვევით, არამედ გარდუვალად, არა ცალკეულ პირთა «ბოროტი ნების» გამო, არამედ უაღრესად ძლიერი კლასის ინტერესთა ზეგავლენით იცავენ ძველი ბატონყმური ტრადიციების პოლიტიკას. ძველმა მმართველმა კლასმა, ნაბოლარა მემამულეთა კლასმა, რომელიც წინანდებურად მმართველ კლასად რჩება, შექმნა თავისი შესაბამისი პარტია. სწორედ ეს პარტია არის «რუსი ხალ-

ხის კავშირი» ანუ სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს «მემარჯვენენი».

მაგრამ, რაკი არსებობენ წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, რაკი უკვე აშკარად გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე მ ა ს ე ბ ი, როგორც ისინი ჩვენში გამოვიდნენ 1905 წელს, — ყოველი პარტიისათვის აუცილებელი ხდება ამა თუ იმ ფარგლებში მიმართოს ხალხს. რით შეუძლიათ მემარჯვენე პარტიებს მიმართონ ხალხს?

რა თქმა უნდა, მემამულეთა ინტერესების დაცვაზე პირდაპირ ლაპარაკი არ შეიძლება. ლაპარაკობენ საერთოდ ძველის შენარჩუნებაზე, მთელი ძალღონით ცდილობენ გააღვივონ უნდობლობა სხვა მოდგმის ხალხებისადმი, განსაკუთრებით ებრაელებისადმი, აიყოლიონ სრულიად განუვითარებელი, მთლად გონება ბნელი ადამიანები რბევისათვის, «ურიის» დევნისათვის. ცდილობენ თავადაზნაურთა, მოხელეთა და მემამულეთა პრივილეგიები დაფარონ სიტყვებით სხვა მოდგმის ხალხების მიერ რუსების «ჩაგვრის» შესახებ.

ასეთია «მემარჯვენეთა» პარტია. მისმა წევრმა პურიშკევიჩმა, მემარჯვენეთა ყველაზე გამოჩენილმა ორატორმა III სათათბიროში, ძალიან ბევრი და წარმატებით იმუშავა, რათა ე ჩ ვ ე ნ ე ბ ი ნ ა ხალხისათვის, რ ა სურთ მემარჯვენეებს, რ ო გ ო რ მოქმედებენ, ვ ი ს ემსახურებიან ისინი. პურიშკევიჩი ნიჭიერი აგიტატორია.

«მემარჯვენეების» გვერდით, რომლებსაც III სათათბიროში 46 დეპუტატი ჰყავთ, დგანან «ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ი» — 91 დეპუტატი. მემარჯვენეთაგან ისინი სრულიად უმნიშვნელო რამით განსხვავდებიან: არსებითად ეს არის არა ორი, არამედ ერთი პარტია, რომელმაც ერთმანეთში გაინაწილა «შრომა» სხვა მოდგმის ხალხის, «კადეტის» (ლიბერალის), დემოკრატისა და სხვათა დევნისათვის. ერთნი უფრო უხეშად, მეორენი უფრო დახვეწილად ერთსა და იმავეს ა კ ე თ ე ბ ე ნ. მთავრობისთვისაც ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა, რომ «უკიდურესი» მემარჯვენენი, რომლებსაც შეუძლიათ ყოველგვარი სკანდალი და რბევა მოახდინონ, გერცენშტეი-

ნების, იოლოსების, კარავაევების მკვლელობა ჩაიდინონ, ცოტა განზე იდგნენ, თითქოს ისინი «აკრიტიკებდნენ» მთავრობას მარჯვნიდან... მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა განსხვავებას არ შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს.

ოქტიაბრისტები III სათათბიროში 131 დეპუტატია, რასაკვირველია, მათ შორის «მემარჯვენე ოქტიაბრისტების» ჩათვლით. ოქტიაბრისტები ახლანდელ პოლიტიკაში არსებითად არაფრით არ განსხვავდებიან მემარჯვენეებისაგან, მაგრამ ისინი განსხვავდებიან მათგან იმით, რომ გარდა მემამულისა ეს პარტია ემსახურება კიდევ მსხვილ კაპიტალისტს, ძველი ყაიდის ვაჭარს, ბურჟუაზიას, რომელიც ისე დააფრთხო მუშების, ხოლო მათ შემდეგ აგრეთვე გლეხების გამოღვიძებამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რომ მან მთლიანად იბრუნა პირი ძველი წესების დაცვისაკენ. რუსეთში არიან ისეთი კაპიტალისტები — და ისინი ცოტანი როდი არიან, — რომლებიც სრულებითაც არ ეჭცევიან მუშებს უკეთესად, ვიდრე მემამულეები ყოფილ ყმებს; მუშები, ნოქარი მათთვის იგივე შინაყმები, შინამოსამსახურეები არიან. ამ ძველი წესების დაცვას ვერავინ ვერ შეძლებს მემარჯვენე პარტიებზე, ნაციონალისტებსა და ოქტიაბრისტებზე უკეთ. არიან ისეთი კაპიტალისტებიც, რომლებიც 1904 და 1905 წლების საერობო და საქალაქო ყრილობებზე «კონსტიტუციას» მოითხოვდნენ, მაგრამ მუშების წინააღმდეგ მზად არიან სავსებით შეურიგდნენ სამი ივნისის კონსტიტუციას.

ოქტიაბრისტთა პარტია მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავარი კონტრრევოლუციური პარტიაა. ეს III სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიაა: 131 ოქტიაბრისტი 137 მემარჯვენესა და ნაციონალისტთან ერთად მესამე სათათბიროს სოლიდურ უმრავლესობას შეადგენს.

1907 წლის სამი ივნისის საარჩევნო კანონმა უზრუნველყო უმრავლესობა მემამულეებისა და უმსხვილესი კაპიტალისტებისათვის: ყველა საგუბერნიო საარჩევნო კრებაში, რომლებიც სათათბიროში დეპუტატებს გზავნიან, უმ-

რავლესობა ეკუთვნით მემამულეებს და 1-ლი საქალაქო (ე. ი. მსხვილ კაპიტალისტთა) კურიის ამრჩევებს. ისიც კია, რომ 28 საგუბერნიო კრებაში უმრავლესობა მარტო მიწათმფლობელთა ამრჩევებს ეკუთვნით. 3 ივნისის მთავრობის მთელი პოლიტიკა გატარებულია ოქტიაბრისტთა პარტიის დახმარებით, III სათათბიროს ყველა ცოდვისა და დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა მას აკისრია.

სიტყვიერად, თავიანთ პროგრამაში, ოქტიაბრისტები იცავენ «კონსტიტუციას» და... თავისუფლებასაც კი! სინამდვილეში ეს პარტია მხარს უჭერდა ყველა ღონისძიებას, რაც მიმართული იყო მუშების წინააღმდეგ (თუნდაც კანონპროექტი დაზღვევის შესახებ, — გაიხსენეთ სათათბიროს მუშათა საკითხის კომისიის თავმჯდომარე ბარონი ტიზენგაუზენი!), გლეხების წინააღმდეგ, თვითნებობისა და უკანონობის შეზღუდვის წინააღმდეგ. ოქტიაბრისტები მთავრობის ისეთივე პარტიაა, როგორც ნაციონალისტები. ეს გარემოება ოდნავაც არ იცვლება იმით, რომ დროდადრო — და განსაკუთრებით არჩევნების წინ! — ოქტიაბრისტები «ოპოზიციურ» სიტყვებს წარმოთქვამენ. ყველგან, სადაც კი პარლამენტი არსებობს, ძველთაგანვე იყო და მუდამ არის ბურჟუაზიული პარტიების ეს ოპოზიციობის თამაში, თამაში, რომელიც მათთვის უვნებელია, ვინაიდან არავითარ მთავრობას იგი სერიოზულად არ მიაჩნია, თამაში, რომელიც ზოგჯერ სარგებლობას მოკლებული როდია ამომრჩევლის წინაშე, რომელიც ოპოზიციურობით უნდა «მოთაფლო».

მაგრამ ოპოზიციობის თამაშის სპეციალისტებსა და ვირტუოზებს წარმოადგენს მესამე სათათბიროს მთავარი ოპოზიციური პარტია — კ.-დ., კონსტიტუციური «დემოკრატები», «ხალხის თავისუფლების» პარტია.

თამაშია თვით სახელწოდებაც ამ პარტიისა, რომელიც სინამდვილეში სრულებითაც არ არის დემოკრატიული პარტია, ოდნავაც არ არის სახალხო. იგი არის პარტია არა თავისუფლებისა, არამედ ნახევართავისუფლებისა, თუ მეოთხედთავისუფლებისა არა.

ნამდვილად ეს არის პარტია ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომელსაც გაცილებით უფრო ეშინია სახალხო მოძრაობისა, ვიდრე რეაქციისა.

დემოკრატს აქვს ხალხისადმი რწმენა, აქვს მასების მოძრაობისადმი რწმენა, ყოველნაირად ეხმარება მას, — თუმცა ხშირად (ასეთები არიან ბურჟუაზიული დემოკრატები, ტრუდოვიკები) მცდარი წარმოდგენა აქვს ამ მოძრაობის მნიშვნელობაზე კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში. დემოკრატი უფრო გულწრფელად მიისწრაფვის ანგარიში გაუსწოროს მ თ ე ლ შუასაუკუნეობრიობას.

ლიბერალს ეშინია მასების მოძრაობისა, აფერხებს მას და შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ იცავს შუასაუკუნეობრიობის ცნობილ, თანაც უმთავრეს დაწესებულებებს იმის გულისათვის, რომ დასაყრდენი ჰქონდეს მასის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მუშების წინააღმდეგ. გაინაწილონ ძალაუფლება პურიშკევიჩებთან — და სრულებითაც არა ის, რომ მოსპონ პურიშკევიჩების ძალაუფლების ყველა საფუძველი — აი რისკენ მიისწრაფვიან ლიბერალები. ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხის მეშვეობით — ამბობს დემოკრატი წვრილი ბურჟუა (მათ შორის გლეხი და ტრუდოვიკი), რომელიც გულწრფელად მიისწრაფვის პურიშკევიჩელობის ყველა საფუძვლის მოსპობისაკენ და რომელსაც არ ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაქირავებული მუშების ბრძოლას კაპიტალთან. პირიქით, პურიშკევიჩთან გაინაწილოს ძალაუფლება მ უ შ ე ბ ზ ე და წ ვ რ ი ლ მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ზ ე — აი ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ნამდვილი მიზანი.

კადეტებს I და II სათათბიროში უმრავლესობა ჰყავდათ ან გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ. მათ გამოიყენეს იგი უაზრო და სამარცხვინო თ ა მ ა შ ი ს ა თ ვ ი ს: მარჯვნით ლოიალურობასა და მინისტერიაბელობას თამაშობდნენ (ჩვენ შეგვიძლია ყველა წინააღმდეგობა მშვიდობიანად გადავჭრათ, არც გლეხი დავაზარალოთ და არც პურიშკევიჩს ვაწყენინოთ), მარცხნით — დემოკრატიზმს. მარჯვნით კადეტებმა ამ თამაშის შედეგად ბოლოს და ბოლოს პანღური მიიღეს.

მარცხნით კადეტებმა სამართლიანად დაიმსახურეს ხალხის თავისუფლების გამყიდველთა სახელწოდება. ორივე პირველ სათათბიროში ისინი მუდამ ებრძოდნენ არა მარტო მუშათა დემოკრატიას, არამედ ტრუდოვიკებსაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ტრუდოვიკების მიერ წამოყენებული ადგილობრივი საადგილ-მამულო კომიტეტების გეგმა (I სათათბირო), ეს ელემენტარულად დემოკრატიული, ანბანურად დემოკრატიული გეგმა, კადეტებმა ჩაშალეს, იცავდნენ რა მემამულისა და მოხელის მეთაურობას გლეხის მიმართ მიწათმომწყობ კომისიებში!

III სათათბიროში კადეტები თამაშობდნენ «პასუხისმგებელ ოპოზიციას», ოპოზიციას ნათესაობითი ბრუნვით. ამის გულისთვის ისინი არაერთხელ აძლევდნენ ხმას მთავრობის ბიუჯეტებს («დემოკრატები»!), ისინი ოქტიაბრისტებს უხსნიდნენ თავიანთი «იძულებითი» (გლეხებისათვის იძულებითი) გამოსყიდვის უშიშროებასა და უვნებლობას — გაიხსენეთ ბერეზოვსკი 1-ლი, ისინი ტრიბუნაზე გზავნიდნენ კარაულოვს «ღვთისმლოცველი» სიტყვების წარმოსათქმელად, ისინი ზურგს აქცევდნენ მასების მოძრაობას, ისინი მიმართავდნენ «ზედაფენებს» და გასაქანს არ აძლევდნენ ქვედაფენებს (კადეტების ბრძოლა მუშა დეპუტატების წინააღმდეგ მუშათა დაზღვევის საკითხში) და სხვ. და ა. შ.

კადეტები კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის პარტიაა. თავიანთი პრეტენზიით — შეასრულონ «პასუხისმგებელი ოპოზიციის», ე. ი. აღიარებული, კანონიერი, ოქტიაბრისტებისათვის კონკურენციის გასაწევად დაშვებული ოპოზიციის, არა სამი ივნისის რეჟიმისადმი, არამედ სამი ივნისის რეჟიმის ოპოზიციის როლი, — ამ პრეტენზიით კადეტებმა საბოლოოდ დაისამარეს თავი, როგორც «დემოკრატებმა». როზანოვისა და ანტონ ვოლინსკის მიერ გადაკოცნილი კადეტთა იდეოლოგების, ბ. ბ. სტრუვეს, იზგოევისა და კომპანიის უსირცხვილო ვეხური ქადაგება და III სათათბიროში «პასუხისმგებელი ოპოზიციის» როლი, ეს ერთი მედლის ორი

მხარეა. ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიას, რომელსაც პურიშკევიჩები ითმენენ, სურს პურიშკევიჩის გვერდით დაჯდეს.

კადეტების ბლოკმა «პროგრესისტებთან» ამჟამად, IV სათათბიროს არჩევნებში, კადეტების ღრმა კონტრრევოლუციურობის კიდევ ახალი დადასტურება მოგვცა. პროგრესისტებს დემოკრატიზმის ოდნავი პრეტენზიაც არა აქვთ, 3 ივნისის მთელ რეჟიმთან ბრძოლაზე კრინტსაც არ ძრავენ, რაიმე «საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე» არც კი ოცნებობენ. ესენი არიან ზომიერი ლიბერალები, რომლებიც არ მალავენ თავიანთ ნათესაობას ოქტიაბრისტებთან. კადეტების კავშირმა პროგრესისტებთან ყველაზე დაბრმავებულ «კადეტთა დამქაშებსაც» კი უნდა დაანახვოს კადეტთა პარტიის ნამდვილი არსი.

დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს რუსეთში წარმოადგენენ ყველა ჯურის ნაროდნიკები, ყველაზე მემარცხენე ესერებიდან ვიდრე ენესებამდე და ტრუდოვიკებამდე. ისინი ყველანი ხალისით წარმოთქვამენ «სოციალისტურ» ფრაზებს, მაგრამ შეგნებული მუშებისათვის შეუწყნარებელია თავი მოიტყუოს ამ ფრაზების მნიშვნელობის საკითხში. ნამდვილად არავითარ «მიწის ფლობის უფლებაში», არავითარ მიწის «გათანაბრებითს განაწილებაში», არავითარ «მიწის სოციალიზაციაში» სოციალიზმის ნ ა ს ა ხ ი ც არ არის. ეს უნდა ესმოდეს ყველას, ვინც იცის, რომ სასაქონლო წარმოება, ბაზრის, ფულის, კაპიტალის ბატონობა არათუ არ ილახება, არამედ, პირიქით, უფრო ფართოდ ჩაღდება მიწის კერძო საკუთრების გაუქმებისა და მისი ახალი, თუნდაც უაღრესად «სამართლიანი» განაწილების დროს.

მაგრამ ფრაზები «შრომითი საწყისისა» და «ნაროდნიკული სოციალიზმის» შესახებ გამოხატავენ დემოკრატის ღრმა რწმენას (და გულწრფელ მისწრაფებას), რომ შესაძლებელია მოისპოს და საჭიროა მოისპოს მ თ ე ლ ი შუასაუკუნეობრიობა მიწათმფლობელობაში, ხოლო მასთან ერთად პოლიტიკურ წყობილებაშიც. თუ ლიბერალები (კადეტები) მიისწრაფ-

ვიან პურიშკევიჩებთან გაინაწილონ პოლიტიკური ძალაუფლება და პოლიტიკური პრივილეგიები, ნაროდნიკები სწორედ იმიტომ არიან დემოკრატები, რომ ისინი მიისწრაფვიან და უნდა მიისწრაფოდნენ ამჟამად მიწათმფლობელობის ყ ვ ე ლ ა პრივილეგიისა და პოლიტიკაში ყ ვ ე ლ ა პრივილეგიის მოსპობისაკენ.

რუსეთის გლეხობის უდიდესი მასის მდგომარეობა ისეთია, რომ პურიშკევიჩებთან არავითარ კომპრომისზე (რაც ლიბერალისათვის სავსებით შესაძლებელი, მისაწვდომი და მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ი ა) მას ოცნებაც არ შეუძლია. ამიტომ წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიზმს ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი ხნით მასობრივი ფესვები აქვს რუსეთში, და სტოლიპინის აგრარულ რეფორმას, გლეხის წინააღმდეგ პურიშკევიჩების ამ ბურჟუაზიულ პოლიტიკას, დღემდე მტკიცე არაფერი შეუქმნია, გარდა... 30 მილიონის შიმშილობისა!

მილიონობით დამშეული წვრილი მეპატრონე არ შეიძლება არ მიისწრაფოდეს ს ხ ვ ა, დემოკრატიული, აგრარული რეფორმისაკენ — რომელსაც კაპიტალიზმის ჩარჩოებიდან ამოხტომა არ შეუძლია, რომელიც დაქირავებულ მონობას ვერ მოსპობს, მაგრამ რუსეთის მიწაწყალზე შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე ო ბ რ ი ო ბ ი ს მოსპობა შ ე უ ძ ლ ი ა.

ტრუდოვიკები საშინლად სუსტი არიან III სათათბიროში, მაგრამ ისინი მ ა ს ე ბ ი ს წარმომადგენელი არიან. ტრუდოვიკების მერყეობა კადეტებსა და მუშათა დემოკრატიას შორის გარდუვალად გამომდინარეობს წვრილ მეპატრონეთა კლასობრივი მდგომარეობიდან, ამასთან მათი შეკავშირების, ორგანიზაციისა და განათლების განსაკუთრებული სიძნელე ქმნის ტრუდოვიკების უკიდურეს პარტიულ გაურკვევლობასა და უფორმობას. ამიტომაც ტრუდოვიკები — მემარცხენე ნაროდნიკთა სულელური «ოტზოვიზმის» ხელშეწყობით — ლიკვიდირებული პარტიის სავალალო სურათს წარმოადგენენ.

ტრუდოვიკების განსხვავება ჩვენი, თითქმის-მარქსისტი, ლიკვიდატორებისაგან ის არის, რომ პირველნი ლიკვიდატო-

რები არიან სისუსტით, მეორენი კი — სიბოროტით. დავეხმაროთ სუსტ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, გამოვგლიჯოთ ისინი ლიბერალთა გავლენას, შევამჭიდროოთ დემოკრატიის ბანაკი კონტრრევოლუციური კადეტების წინააღმდეგ, და არა მარტო მემარჯვენეების წინააღმდეგ — ასეთია მუშათა დემოკრატიის ამოცანა.

ამ უკანასკნელის შესახებ, რომელსაც თავისი ფრაქცია ჰყავდა III სათათბიროში, ჩვენ აქ შეგვიძლია მხოლოდ ცოტა რამე ვთქვათ.

მუშათა კლასის პარტიები ევროპაში ყველგან ყალიბდებოდნენ ისე, რომ თავისუფლდებოდნენ საერთოდემოკრატიული იდეოლოგიის გავლენისაგან, სწავლობდნენ გამოეყოთ დაქირავებული მუშების ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ ფეოდალიზმთან. ბრძოლისაგან, სხვათა შორის, სწორედ ამ უკანასკნელი ბრძოლის გაძლიერებისათვის, ყოველგვარი მერყეობისა და გაუბედაობისაგან მისი განთავისუფლებისათვის. რუსეთში მუშათა დემოკრატია სავსებით გაემიჯნა ლიბერალიზმსაც და ბურჟუაზიულ დემოკრატიასაც (ტრუდოვიკობას), რაც უაღრესად სასარგებლოა საერთოდ დემოკრატიის საქმისათვის.

ლიკვიდატორული მიმდინარეობა მუშათა დემოკრატიაში («ნაშა ზარია» და «ჟივოე დელო») იზიარებს ტრუდოვიკობის სისუსტეს, ქებადიდებას ასხამს უფორმობას, მიილტვის «მოსათმენი» ოპოზიციის მდგომარეობისაკენ, ხელს იღებს მუშათა ჰეგემონიაზე, სჯერდება სიტყვებს «ღია» ორგანიზაციის შესახებ (ლანძღავს არა ღია ორგანიზაციას), ქადაგებს ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას. ამ მიმდინარეობის კავშირი კონტრრევოლუციის დროინდელ რღვევასა და დაცემულობასთან თვალსაჩინოა, მისი ჩამოშორება მუშათა დემოკრატიისაგან აშკარა ხდება.

შეგნებული მუშები, რომლებიც არაფრის ლიკვიდაციას არ ახდენენ, კავშირდებიან ლიბერალური გავლენის საწინააღმდეგოდ, ირაზმებიან როგორც კლასი, ავითარებენ პროფესიული და სხვ. შეკავშირების ყოველგვარ სახეებს, გამოდიან რო-

გორც დაქირავებული შრომის წარმომადგენლებიც კაპიტალის წინააღმდეგ და როგორც თანმიმდევრული დემოკრატიის წარმომადგენლებიც რუსეთის მთელი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და მისდამი ყოველგვარი დათმობის წინააღმდეგ.

ილუსტრაციის სახით ვათავსებთ ცნობებს III სახელმწიფო სათათბიროს პარტიული შემადგენლობის შესახებ, რაც ამოღებული გვაქვს სათათბიროს 1912 წლის ოფიციალური «ცნობარიდან».

III სახელმწიფო სათათბიროს პარტიული შემადგენლობა

მემამულენი:

მემარჯვენეები	46
ნაციონალისტები	74
დამოუკიდებელი ნაციონალისტები	17
მემარჯვენე ოქტიაბრისტები	11
ოქტიაბრისტები	120
სულ მთავრობის პარტიები	268

ბურჟუაზია:

პროგრესისტები	36
კადეტები	52
პოლონური კოლო	11
პოლონეთ-ლიტვა-ბელორუსიის ჯგუფი	7
მუსლიმანთა ჯგუფი	9
სულ ლიბერალები	115

ბურჟუაზიული დემოკრატია:

შრომის ჯგუფი	14

მუშათა დემოკრატია:

სოციალ-დემოკრატები	13
სულ დემოკრატები	27
უპარტიოები	27
სულ	437

III სახელმწიფო სათათბიროში ორი უმრავლესობა იყო: 1) მემარჯვენენი და ოქტიაბრისტები = 268 437-დან; 2) ოქტიაბრისტები და ლიბერალები = 120+115=235 437-დან. ორივე უმრავლესობა კონტრრევოლუციურია.

«ნევსკაია ზვეზდა» № 5,
1912 წ. 10 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

ანკეტა
მსხვილი კაპიტალის ორგანიზაციების შესახებ [22]

რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების სამრეწველო-ეკონომიურმა განყოფილებამ მოაწყო ანკეტა «რუსეთში სავაჭრო-სამრეწველო კლასის საზოგადოებრივი ორგანიზაციების» — უფრო სწორად რომ ვთქვათ, მსხვილი კაპიტალის ორგანიზაციების შესახებ. ამ ანკეტის შედეგები ახლა მოცემულია ბ-ნ გუშკას [23] წიგნში: «სავაჭრო-სამრეწველო კლასის წარმომადგენლობითი ორგანიზაციები რუსეთში» (სპბ. 1912). მასალაც, რომელსაც ეს წიგნი შეიცავს, და დასკვნებიც, რომლებსაც ავტორი საკმაოდ გარკვეულად სახავს, დიდი ყურადღების ღირსია.

I

ტექნიკური საზოგადოების ანკეტა მიძღვნილი იყო, არსებითად, კაპიტალისტთა «წარმომადგენლობითი» ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ყველა ორგანიზაციის დაახლოებით 80%-ს შეადგენენ. დაახლოებით 15% მოდის კარტელების, ტრესტების, სინდიკატების წილად; დაახლოებით 5% დამქირავებელთა კავშირების წილად; დანარჩენი — საბირჟო კომიტეტების, ყრილობათა საბჭოებისა და სხვ. წილად. ეს უკანასკნელი ორგანიზაციები თვითონ ამჯობინებენ უწოდონ თავს «წარმომადგენლობითი» ორგანიზაციები. მათი ამოცანაა ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლების ორგანოებზე.

დამქირავებელთა კავშირები, ბ-ნ გუშკას აზრით, დაქირავებულ მუშებთან «უშუალო» კლასობრივ ბრძოლას ეწევიან, ხოლო წარმომადგენლობითი ორგანიზაციები — «მეშვეობითს» კლასობრივ ბრძოლას, «ბრძოლას სხვა კლასებთან სახელმწიფო ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მეშვეობით».

ეს ტერმინოლოგია, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. იგი ერთბაშად გვიჩვენებს ერთ-ერთ ძირითად ნაკლს, რომელიც ბ-ნ გუშკას აქვს «პროფესორული», ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების უმრავლესობასთან ერთად. თითქოს აღიარებულია კლასობრივი ბრძოლის ცნება, თითქოს იგი ედება საფუძვლად გამოკვლევას. ნამდვილად კი ეს ცნება ვიწროვდება და მახინჯდება. მართლაც, ბ-ნ გუშკას მიხედვით გამოდის, რომ კაპიტალისტების ბრძოლა დაქირავებულ მუშებთან არსებული პოლიტიკური წყობილების ფარგლებში «უშუალო» კლასობრივი ბრძოლაა, ხოლო თ ვ ი თ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლა არის «მ ე შ ვ ე ო ბ ი თ ი» კლასობრივი ბრძოლა! რაღას ეკუთვნის ბრძოლა თვით «სახელმწიფო ხელისუფლებისათვის»?

მაგრამ ბ-ნ გუშკას «მსოფლმხედველობის» ამ ძირითად შეცდომაზე ჩვენ თავის ადგილას მოგვიხდება ლაპარაკი. მისი ნაშრომის მნიშვნელობა თეორიაში კი არ არის, არამედ ფაქტების შეჯამებაშია. ყოველ შემთხვევაში ის მონაცემები, რომლებიც გაბატონებული ტიპის ორგანიზაციებს ძოიცავენ, მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენენ.

რუსეთში მსხვილი კაპიტალის «წარმომადგენლობითი» ორგანიზაციების საერთო რიცხვი 1910 წელს განსაზღვრულია 143-ით. მათგან 71 საბირჟო საზოგადოებაა თავიანთი კომიტეტებით. შემდეგ ვაჭრობისა და მანუფაქტურათა 14 კომიტეტი, 3 ვაჭართა გამგეობა, «შეერთებული» ჯგუფის 51 ორგანიზაცია (ყრილობები, მათი საბჭოები, სათათბირო კანტორები და სხვ.) და გაურკვეველი ჯგუფის 4 ორგანიზაცია. ანკეტას უპასუხა სულ 62 ორგანიზაციამ, ე. ი. ნახევარზე

ნაკლებმა. ყველაზე საინტერესო «შეერთებული» ჯგუფის 51 ორგანიზაციიდან ანკეტას უპასუხა 22-მა.

დამახასიათებელია მონაცემები ორგანიზაციების წარმოშობის დროის შესახებ. 32 საბირჟო კომიტეტიდან, რომლებმაც ანკეტას უპასუხეს, 9 წარმოიშვა ასი წლის განმავლობაში 1800-დან 1900 წლამდე; 5 — ოთხ წელიწადში, 1901 — 1904; 9 რევოლუციის ორ წელიწადში — 1905 — 1906; და 9 — 1907-დან 1910 წლამდე.

«აქ სრული სიცხადით — წერს ბ-ნი გუშკა — იჩენს თავს ის ბიძგი, რომელიც მღელვარე 1905 წლის საზოგადოებრივმა მოძრაობამ მისცა კაპიტალის წარმომადგენელთა თვითორგანიზაციის პროცესს».

შეერთებული ჯგუფის 22 ორგანიზაციიდან მხოლოდ 7 წარმოიშვა 1870-დან 1900 წლამდე; 2 — 1901-დან 1904-დე; 8 რევოლუციის ორ წელიწადში, 1905 — 1906; და 5 — 1907-დან 1910 წლამდე. მთელი ეს «ყრილობათა საბჭოები» საერთოდ მრეწველობის წარმომადგენელთა, სამთო მრეწველთა, ნავთის მრეწველთა და სხვ. და ა. შ. უმთავრესად რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ეპოქის ნაყოფია.

მრეწველობის დარგების მიხედვით ორგანიზაციები განსხვავდებიან შემდეგნაირად. საბირჟო კომიტეტების ჯგუფებიდან ჭარბობენ შერეული დარგები; ეს კომიტეტები ჩვეულებრივ აერთიანებენ მოცემული ადგილის მრეწველობისა და ვაჭრობის ყველა დარგს. ვაჭრობისა და მანუფაქტურათა კომიტეტების ჯგუფში პირველი ადგილი უკავია საფეიქრო საქმეს. უმთავრეს — შეერთებულ ჯგუფში ორგანიზაციების თითქმის ნახევარი მოდის მრეწველობაზე და არა ვაჭრობაზე, სახელდობრ სამთო საქმესა და მეტალურგიაზე.

«დარგების სწორედ ეს ჯგუფი (სამთამადნო და ლითონის მრეწველობა) შეადგენს რუსეთის თანამედროვე სამრეწველო «გვარდიის» ორგანიზაციების ეკონომიურ ბაზისს», — წერს ბ-ნი გუშკა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უყვარს «მაღალი სტილით» ლაპარაკი თავისი კვლევის საგანზე.

მოცემული ორგანიზაციის ვაჭრობისა და მრეწველობის მთელ დარგში ბრუნვის ან წარმოების თანხის გამორკვევა ორგანიზაციების მხოლოდ ნაწილში მოხერხდა. გამოვიდა ჯამი 1 570 მილიონი მანეთი, აქედან 1 319 მილიონი მანეთი აქვთ ორგანიზაციების წევრებს. მაშასადამე, ორგანიზებულია 84%. ორგანიზაციების 3 134 წევრის ბრუნვა 1 121 მილიონ მანეთს შეადგენდა, რაც საშუალოდ 1 წევრზე იძლევა 358 ათას მანეთს. მუშების რიცხვი ორგანიზაციების 685 წევრთან დაახლოებით 219 ათასია (ავტორი 111-ე გვერდზე შეცდომით ანგარიშობს 319 ათასს), ე. ი. საშუალოდ ორგანიზაციის ერთ წევრზე მოდის 300-ზე მეტი მუშა.

ცხადია, რომ საქმე ეხება სწორედ მ ს ხ ვ ი ლ ი და, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვით უ მ ს ხ ვ ი ლ ე ს ი კაპიტალის ორგანიზაციებს. ბ-ნ გუშკას სავსებით მკაფიოდ აქვს ეს შეგნებული, როცა აღნიშნავს, მაგალითად, რომ საბირჟო კომიტეტების წევრებად და ვაჭრობისა და მანუფაქტურათა კომიტეტების წევრებად ხვდებიან მხოლოდ მსხვილი და ყველაზე მსხვილი ვაჭრები და მრეწველები, — რომ მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობების ორგანიზაცია «უმსხვილესი» კაპიტალისტური საწარმოებისაგან შედგება.

ამიტომ ტყუილად ლაპარაკობს ავტორი თავისი წიგნის სათაურში «რუსეთში სავაჭრო-სამრეწველო კ ლ ა ს ი ს» ორგანიზაციებზე. ეს სწორი არ არის. ეს კვლავ დავიწროებაა კლასის ცნებისა. ბ-ნ გუშკას ნაშრომში ნამდვილად საქმე ეხება ფ ე ნ ა ს და არა კლასს. მართალია, უმსხვილეს კაპიტალისტთა ფენა, რა თქმა უნდა, ეკონომიურად ბატონობს ყველა დანარჩენზე, უთუოდ ახშობს მათ თავისი ბრუნვის სიდიდით; ყოველივე ეს უეჭველია. მაგრამ მაინც ეს ფენაა და არა კლასი. უდიდესი მანძილია, მაგალითად, ამ ფენის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების პოლიტიკურ როლსა და მის პოლიტიკურ ბატონობას შორის, მის პოლიტიკურ ბატონობასა და სავაჭრო-სამრეწველო კლასის პოლიტიკურ ბატონობას შორის.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ბ-ნ გუშკას შემდეგი მსჯელობა: «ჩვენ რუსეთში — წერს იგი — იმის გამო, რომ ჩვენში, როგორც ცნობილია, კაპიტალის არაჩვეულებრივი კონცენტრაციაა, რომელიც აღემატება მის კონცენტრაციას გერმანიაშიც კი, მივეჩვიეთ ძალიან დიდი მასშტაბი გამოვიყენოთ იმის განსაზღვრისათვის, თუ რას ეწოდება მსხვილი ან არამსხვილი საწარმო»...

გერმანიასთან შედარება სწორი არ არის. ჩვენში, მაგალითად, ურალზე არ არის ან ძალიან ცოტაა წვრილი საწარმოები სამთო და მეტალურგიულ მრეწველობაში სრულიად განსაკუთრებული მიზეზებით — იმის გამო, რომ მრეწველობის სრული თავისუფლება არ არსებობს, იმის გამო, რომ არსებობს შუასაუკუნეობრიობის ნაშთები. გინდაც ჩვენში საერთოდ მიღებული (ანუ, რაც იგივეა, ჩვენი ნაროდნიკული) განსხვავება საფაბრიკო-საქარხნო და «კუსტარული» მრეწველობისა, განა იგი შეუძლებელს არ ხდის ჩვენი სამრეწველო სტატისტიკის შედარებას გერმანულ სტატისტიკასთან. განა იგი ძალიან ხშირად არ ატყუებს დამკვირვებელს «არაჩვეულებრივი კონცენტრაციის» შესახებ რუსეთში და ფარავს უამრავ წვრილ გლეხურ საწარმოთა «არაჩვეულებრივ» დაქუცმაცებულობას?

II

საინტერესოა აღინიშნოს ანკეტის ზოგიერთი მონაცემები უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. ავტორი იძლევა, მაგალითად, შეჯამებულ ცნობებს მათი ბიუჯეტების შესახებ. შეერთებული ჯგუფის 22 ორგანიზაციის ბიუჯეტი იძლევა 3 950 000 მანეთ შემოსავალს, ხოლო ყველა ორგანიზაციის შემოსავლის საერთო ჯამი—$7^1/_4$ მილიონ მანეთს. «ჩვენი 56 ორგანიზაციის ეს $7^1/_4$-მილიონიანი წლიური ბიუჯეტი, — წერს ბ-ნი გუშკა, — ალბათ $1^1/_2$ — 2-ჯერ გადიდდებოდა, რომ შეგვეტანა საფინანსო ანგარიშები სხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც ჩვენს ანკეტაში არ შესულან».

მაგრამ ამ ბიუჯეტის მეტი წილი, სახელდობრ 4½ მილიონი მანეთი, სამეურნეო და საქველმოქმედო მიზნებზე იხარჯება. წმინდა წარმომადგენლობითს ფუნქციებზე 56 ორგანიზაცია 2,7 მილიონ მანეთს ხარჯავს. «პასუხების ან საფინანსო ანგარიშების მეტი წილის მიხედვით წარმომადგენლობაზე გაწეულ ამ ხარჯებში პირველი ადგილი უკავია მოსამსახურეთა შენახვას, შემდეგ ბინის დაქირავებას. ამასთან ხარჯების უმეტესი წილი მოდის მოსამსახურეთა შენახვაზე ორგანიზაციათა 64,4%-ში, ბინაზე — 26,7%-ში».

ეს ციფრები, მაშინ როცა კაპიტალისტთა იმ კავშირების ბრუნვა, რომლებიც გამოკვლეულ იქნენ, 1 319 მილიონ მანეთს შეადგენს, მოწმობენ ფრიად მცირე ხარჯებს, ასე რომ ბ-ნ გუშკას მაღალფარდოვანი დასკვნა — ხარჯების ბიუჯეტი «რუსეთში სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ძ ლ ი ერ ე ბ ი ს მ ა ჩ ვ ე ნ ებ ე ლ ი ა ო»! (ხაზგასმა ავტორისაა),—კვლავ მოწმობს იმას, რომ ავტორს მეტისმეტად უყვარს «ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები».

«მესამე ელემენტს», ე. ი. ინტელიგენციას, რომელიც კაპიტალისტთა კავშირებს ემსახურება, ავტორი უძღვნის თავისი წიგნის მე-9 თავს. აღმოჩნდა, რომ 29 საბირჟო კომიტეტმა აჩვენა მე-3 ელემენტის 77 წარმომადგენელი, რომლებიც ამ კომიტეტებში მსახურობენ; შემდეგ შეერთებული ჯგუფის 22 ორგანიზაციამ აჩვენა 180 ასეთი მოსამსახურე. ჩვენებათა უმრავლესობით თითო ორგანიზაციაზე მე-3 ელემენტის 2 — 4 წარმომადგენელი მოდის. ვინაიდან კაპიტალისტთა კავშირები არაიშვიათად შემცირებულად აჩვენებენ ამგვარ მონაცემებს, ავტორს შესაძლებლად მიაჩნია დასკვნა, «რომ კაპიტალის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების სამსახურში, პასუხსაგებ თანამდებობებზე, იმყოფება ინტელიგენციის არმია (!!) რიცხვით ს უ ლ მ ც ი რ ე ა თ ა ს ი კ ა ც ი», მდივნები, ბუხჰალტრები, სტატისტიკოსები, იურისკონსულტები და სხვ.

ცოტა რამ ყოფილა საჭირო, რომ ბ-ნმა გუშკამ «არმიაზე» დაიწყოს ლაპარაკი.

კაპიტალისტთა კავშირების გამომცემლობა შემდეგი ციფრებით ხასიათდება. ანკეტის პასუხად გარდა შევსებული ბლანკებისა შედგა მთელი ბიბლიოთეკა — 288 ტომი — ყრილობათა შრომები, ანგარიშები, წესდებები, მოხსენებითი ბარათები, რომლებიც გასასყიდად სრულებითაც არ გამოსულა.

ცხრა ორგანიზაცია სცემს პერიოდულ ჟურნალებს: «გორნო-ზავოდსკოე დელო», «ნეფტიანოე დელო», «პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლია», «იზვესტია როსს. ობშჩესტვა ვინოკურენნიხ ზავოდჩიკოვ» და სხვ.. ამ გამოცემათა გამოსული ნომრების მთელ რიცხვს ავტორი განსაზღვრავს 2 624 «ტომით», ამას ბ-ნი გუშკა უმატებს 452 ტომ «შრომებს», ყოველწლიურ ანგარიშებს და სხვ., აგრეთვე არაპერიოდულ გამოცემათა 333 ტომს, საერთო ჯამს 3 409 «ტომით» განსაზღვრავს და მას «სოლიდურს» უწოდებს. გამოცემათა საერთო რიცხვი ალბათ 4 — 5 ათას ტომს შეადგენს.

«ეს ბიბლიოთეკა — გაუზვიადებლად — შეიცავს მთელ საგანძურს, აღტაცებით ამბობს ბ-ნი გუშკა, უმდიდრეს მასალას, თუ შეიძლება ასე ითქვას, რუსეთში მსხვილი ბურჟუაზიის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესასწავლად... ამ ძვირფასი მასალის შეუსწავლელად არ შეიძლება სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ რუსეთის გაბატონებული საზოგადოებრივი ძალების ბალანსზე, კერძოდ რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალურ ბუნებასა და როლზე როგორც 1905 წლამდე, ისე მის შემდეგ».

ასეთ გამოხდომებს რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური ბუნებისა და როლის საკითხში ბ-ნი გუშკა ძალიან ხშირად მიმართავს. ღირს ცალკე განვიხილოთ ეს გამოხდომანი იმის გამო, რომ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, და იმის გამო, რომ მას ამახინჯებს ავტორი, რომელიც უზომოდ აზვიადებს და სწორედ ამიტომ წამდაუწუმ ფიცულობს, «გაუზვიადებლად» ვლაპარაკობო.

III

«განსაბილველი ორგანიზაციების საქმიანობის სიმძიმის ცენტრი, — წერს ბ-ნი გუშკა, — როგორც წარმომადგენლობითი, ე. ი. ისეთი ორგანიზაციებისა, რომელთა დანიშნულებაა სამრეწველო-სავაჭრო კლასის ინტე-

რესთა წარმომადგენლობა, ბუნებრივად იმაშია, რომ ჩამოაყალიბონ პოზიცია ამ კლასის წარმომადგენლებისა სხვადასხვა საკითხში, რომლებიც მის ინტერესებს ეხება, და დაიცვანეს პოზიცია სხვადასხვა საშუალებით».

უეჭველია, რომ «სიმძიმის ცენტრი» სწორედ აქ არის. ანკეტის ფურცლებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი იმას, თუ რა საკითხები განუხილავთ კაპიტალისტთა ორგანიზაციებს და რა შუამდგომლობანი აღუძრავთ მათ. აჯამებს რა მიღებულ ცნობებს, ავტორი გამოჰყოფს მისი აზრით «საერთო თვისების საკითხთა» გრძელ სიას. უმნიშვნელოვანეს საკითხთა ჯგუფები ასეთი გამოდის: a) მუშათა დაზღვევა, უქმეებში დასვენება და სხვ.; b) საშემოსავლო გადასახადი, სარეწაო დაბეგვრა და სხვ.; c) საბაჟო პოლიტიკა; d) გზები; e) სააქციო კომპანიები, კრედიტი და სხვ.; f) საზღვარგარეთის საკონსულოები, სტატისტიკა, სამთამადნო უწყების ორგანიზაცია; g) ვაჭრების მონაწილეობა საერობო დაწესებულებებში, სახელმწიფო საბჭოში, მთავრობის კანონპროექტების წინასწარ განხილვაში და სხვ.

ბ-ნი გუშკა ამის შესახებ დაასკვნის: «ყოველ შემთხვევაში, როგორც საკითხთა და შუამდგომლობათა ჩამოთვლილი ჯგუფებიდან ჩანს, ჩვენი ორგანიზაციების საქმიანობის სფერო ძალიან ფართოა»... ასეთ დასკვნას რომ კითხულობ, უნებურად ჩერდები და აკვირდები, შემთხვევით გამოტოვებული ხომ არ არის სიტყვა არა. ვინაიდან აშკარაა, რომ ავტორის მიერ მოყვანილი სამოქმედო სფერო ძალიან არა ფართოა. მაგრამ აქ საქმე სიტყვის წამოცდომაში როდია, არამედ ავტორის ძირეულ «გონებაგანწყობილებაში». «ძნელია დაასახელო, — ფიქრობს იგი, — ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ცოტად თუ ბევრად არსებითი დარგი, რომელსაც არ მოიცავდეს კაპიტალის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საქმიანობის სფერო».

ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: ბ-ნი გუშკა უაღრესად სერიოზულად გვთავაზობს ასეთ აშკარა სიცრუეს და ათასნაირად იმეორებს მას!

«ძნელია დაასახელო»... მაგრამ საარჩევნო კანონი? მაგრამ აგრარული საკითხი? თუ ეს «ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების არსებითი დარგები» არ არის?

ბ-ნი გუშკა «სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას» ვაჭართა პოზიციების ვიწრო სარკმლიდან უცქერის. მას ვერასგზით ვერ გაუგია, რომ მისი აბსოლუტური გადმოცემა სწორედ შეზღუდულობას მოწმობს და სრულებითაც არა სიფართოეს. შეზღუდულობით განირჩევა ვაჭრების მიერ აღძრული საკითხები, ვინაიდან ეს საკითხები მხოლოდ ვაჭრებს ეხება. ზოგადპოლიტიკურ საკითხებამდე კაპიტალისტები ვერ მაღლდებიან. «მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა დაშვება» ამა თუ იმ ადგილობრივ ან ცენტრალურ დაწესებულებებში — აი მათ შუამდგომლობათა «გაბედულების» ზღვარი. იმის შესახებ, თუ საერთოდ როგორ უნდა მოეწყოს ეს დაწესებულებები, მათ ფიქრი არ შეუძლიათ. ისინი იღებენ სხვისი მითითებით ჩამოყალიბებულ დაწესებულებებს და იხვეწებიან, რომ მათ იქ ადგილი მისცენ. ისინი მონურად დგებიან სახელმწიფო ნიადაგზე, რომელიც მათს კლასს როდი შეუქმნია, და ამ ნიადაგზე «შუამდგომლობენ» თავიანთი წოდების, თავიანთი ჯგუფის, თავიანთი ფენის ინტერესებისათვის ისე, რომ აქაც კი ვერ ამაღლებულან მთელი კლასის ინტერესთა ფართო გაგებამდე.

ბ-ნი გუშკა აღმაშფოთებლად ამახინჯებს საქმეს და პირდაპირ ხოტბაზე გადადის. «ენერგიული და მტკიცე ზეგავლენა ხელისუფლების ორგანოებზეო», წერს იგი. «ჩვენს ორგანიზაციებს» «ეს თვითონ ჩინებულად (!!) ესმით»... «მსხვილი კაპიტალის ორგანიზაციები გადაიქცნენ ნამდვილ წინასათათბიროდ, რომელსაც ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, მეტი გავლენა აქვს კანონმდებლობაზე, ვიდრე სახელმწიფო სათათბიროს — მით უმეტეს», ვითომ ოხუნჯობს ავტორი, «რომ კაპიტალისტურ პარლამენტს არ შეეფარდება

87-ე მუხლი[24], და კაპიტალის ორგანიზაციები ჯერ კიდევ არც ერთხელ განზრახ არ დაუთხოვიათ 3 დღით...»

ეს ოხუნჯობა თვალსაჩინოდ მოწმობს ბატონ სამრეწველო ბობოლათა და მათი მეხოტბის გუშკას გონებაშეზღუდული თვითშემოქმედების უსაზღვრობას. წვრილმანი, სულ წვრილმანია მხედველობიდან გამოშვებული: სათათბირო აყენებს საკითხებს მთელი სახელმწიფოებრივი მმართველობისა და ყველა კლასის შესახებ, შედის რა საერთო-სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა რიცხვში, ბობოლა ვაჭრების ორგანიზაციები კი მამაცობად თვლიან მ ა რ ტ ო ვაჭართა საკითხების, მ ა რ ტ ო ვაჭრების უფლებათა საკითხების დაყენებას.

ბ-ნი გუშკა იქამდე მიდის, რომ მოჰყავს უფის საბირჟო კომიტეტის სიტყვები 1905 — 1906 წლების ანგარიშიდან: «თვით მთავრობა ბირჟის დაწესებულებათა მთელი რიგი ძირეული გარდაქმნებით სახავს... თ ა ვ ი ს შ ე ს ა ფ ე რ თ ა ნ ა შ ე მ წ ე ე ბ ს», და ამ სიტყვებს «სწორს» უწოდებს, ხაზგასმით წერს მათ, ლაპარაკობს «მთავრობასთან ცოცხალ და აქტიურ თანამშრომლობაზე».

ასეთ რამეებს რომ კითხულობ, უნებლიეთ გაგონდება გერმანული სიტყვა: **Lobhudelei** — მლიქვნელური შექება ან შექებით მლიქვნელობა. 1905 — 1906 წელს «ბირჟის დაწესებულებათა» «ძირეულ გარდაქმნაზე» თავმომწონედ ლაპარაკი! ეს ხომ ლაქიის თვალსაზრისია, რომელსაც ბატონი ნებას აძლევს «ეთათბიროს» მზარეულს სადილის მოწყობაზე და სხვ., თანაც ორივეს «თავის ღირსეულ თანაშემწეებს» უწოდებს.

თუ რამდენად უახლოვდება ბ-ნი გუშკა ამ თვალსაზრისს, ეს ჩანს XV თავის იმ ქვეთავიდან ორგანიზაციების შუამდგომლობათა შედეგების შესახებ, რომელსაც მან ასეთი სათაური გაუკეთა: «წასაგები პოზიციები». «არ შეიძლება იმის უარყოფა, — ვკითხულობთ აქ, — რომ არის რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ა რ გ ი, რომლებშიც კაპიტალის წარმომადგენელთა შუამდგომლობანი და მოთხოვნანი მართლაც აწყდებიან წინააღმდეგობას მთავრობის მხრივ». შემდეგ მოყვანილია მაგალითები

ასეთი რიგით: 1) სახაზინო ტყეების დარგი; ხაზინა თვითონ არის ტყის მრეწველი; 2) რკინიგზის ტარიფების დარგი; ხაზინა თვითონ არის მეწარმე; 3) საერობო წარმომადგენლობის საკითხი და 4) სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში წარმომადგენლობის საკითხი. «ორივე შემთხვევაში, — ამბობს ავტორი უკანასკნელ ორზე, — რა თქმა უნდა, თავს იჩენს ბიუროკრატიის ინტიმური სიახლოვე მეორე გაბატონებულ კლასთან — მემამულე-მიწათმფლობელ კლასთან».

«მაგრამ თუ გვერდს ავუვლით აღნიშნულ მცირეოდენ საკითხებს, — განაგრძობს კმაყოფილი ბ-ნი გუშკა, — უნდა ვთქვათ, რომ ყველა დანარჩენ დარგში... ჩვენი ანკეტის მონაცემები ვაჭარ-მრეწველთა კლასის პოზიციას გვიხატავენ, როგორც მომგებიან პოზიციას»...

ეს ხომ პირდაპირ თვალმარგალიტია! წასაგები პოზიციაა ტყე, რკინიგზები, ერობა და პარლამენტი. «მაგრამ თუ გვერდს ავუვლით აღნიშნულ მცირეოდენ საკითხებს», მაშინ პოზიცია მომგებიანია!

და თავისი წიგნის «დასკვნაში», ებრძვის რა «ტრადიციულ ცრურწმენას» ვაჭარ-მრეწველთა კლასის დაბეჩავებისა და უუფლებობის შესახებ, ბ-ნი გუშკა მაღლდება, შეიძლება ითქვას, პათეთიკურ **Lobhudelei**-მდე:

«სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია რუსეთის სახელმწიფოებრიობის მაგიდასთან ადგილს იკავებს არა როგორც უუფლებო, დაბეჩავებული კლასი, არამედ იგი გამოდის როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სასურველი სტუმარი და თანამშრომელი, მისი «ღირსეული თანაშემწე», მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დადგენილი ჩვეულების მიხედვითაც და კანონის, დაწერილი უფლების მიხედვითაც, თანაც არა მარტო გუშინდლიდან».

ეს სავსებით გამოსადეგია რომელიმე კრესტოვნიკოვის, ავდაკოვის, ტიზენგაუზენის და ძმათა მათთა ოფიციალურ სიტყვაში, როცა მინისტრს უმასპინძლდებიან. სწორედ ამგვარი, სწორედ ასეთი ენით დაწერილი სიტყვები ნაცნობია ყოველი რუსი ადამიანისათვის. მხოლოდ საკითხავია, რა ვუწოდოთ

«მეცნიერს», რომელიც სერიოზული ანკეტის «მეცნიერულად» დამუშავებას ჩემულობს, ხოლო ლიტერატურაში გადმოაქვს მლიქვნელ ვაჭართა სადღეგრძელოები და «ანკეტის დასკვნად» ასაღებს მათ?

«კეთილადმოსაგონარი ძველი დროიდან — განაგრძობს ბ-ნი გუშკა — ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ შეხედულება, რომელიც მტკიცე ცრურწმენად იქცა და რომლის მიხედვით კაპიტალისტურ რუსეთში ის წინააღმდეგობა ჩანს, რომ მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ეკონომიურად ბატონობს, პოლიტიკურად კვლავ დამონებული რჩება. ჩვენი ანკეტის მთელი მასალა საგრძნობლად არღვევს ამ ტრადიციულ კონცეფციას».

ყოვლად უსაზღვროდ უნდა გაუხამსო მარქსიმზი, რომლის ტერმინებითაც კეკლუცობს ბ-ნი გუშკა, რომ ანკეტა კაპიტალისტთა ორგანიზაციების შესახებ ჩათვალო ისეთად, რომელსაც შეუძლია მოგვცეს «მასალა» აბსოლუტიზმისა და მემამულეების მიერ ბურჟუაზიის პოლიტიკური დამონების შესახებ. მასალას, რომელიც ნამდვილ პასუხს იძლევა ამ საკითხზე, ავტორი თითქმის არ შეხებია და ვერც შეეხებოდა, რაკი მოცემული ანკეტის ფარგლებში რჩებოდა.

ანკეტა, რომელიც ჩვენი ბურჟუაზიის ცხოვრების ერთ მხარეს ეხება, პირიქით, ადასტურებს მის პოლიტიკურ დამონებას. ანკეტა ცხადყოფს, რომ ბურჟუაზია ეკონომიურად წინ მიიწევს, — რომ ბურჟუაზიის ცალკეული, კერძო უფლებები ფართოვდება, — რომ იზრდება მისი ჩამოყალიბება კლასად, — რომ ძლიერდება მისი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ცვლილებები ხდება, კიდევ უფრო ღრმა ხდება წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, აბსოლუტიზმისა და მემამულეთა ხელში პოლიტიკური ძალაუფლების 99/100-ის შენარჩუნებასა და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის ეკონომიურ გაძლიერებას შორის.

ბ-ნი გუშკა, რომელიც მარქსისტული ტერმინებით კეკლუცობს, სინამდვილეში ჩვეულებრივი სოციალ-ლიბერალიზმის თვალსაზრისს იზიარებს. ამ ლიბერალიზმის შეფერადება მარქსისტული ფრაზეოლოგიით რუსეთის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა — ან, თუ გნებავთ, სენი. ლიბერალიზ-

ბის თვალსაზრისზე მდგომი ბ-ნი გუშკა რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური ბუნების საკითხს წააწყდა და დაახლოებითაც კი ვერ გაიგო, თუ რაოდენ ფართო და რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საკითხი.

რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივმა ბუნებამ სერიოზული ცვლილება განიცადა 1905 წლის შემდეგ. ეს არის ცვლილება ბურჟუაზიული მიმართულებით. მესამე სათათბირო, «ვეხის» ლიბერალიზმი, მთელი რიგი სხვა ნიშნები მოწმობენ, რომ ჩვენი ძველი ხელისუფლების «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე» ახალი «ნაბიჯი» გადაიდგა. მაგრამ ამ ახალ გზაზე კიდევ ერთ ნაბიჯს რომ დგამს, იგი ძ ვ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა, და პოლიტიკური წინააღმდეგობანი ამით საერთოდ მატულობენ. ბ-ნი გუშკა სერიოზულ საკითხს წააწყდა, მაგრამ გამოამჟღავნა, რომ უნარი არ შესწევს გაერკვეს მასში.

IV

ამუშავებდა რა საკმაოდ სპეციალური ანკეტის მასალებს, ბ-ნი გუშკა შეეხო კიდევ ერთ უდიდესი მნიშვნელობის პრინციპულ საკითხს, რომელზეც საჭიროა ცალკე შევჩერდეთ. ეს არის საკითხი «1905 წლის როლის» შესახებ, როგორც ბ-ნ გუშკას წიგნის XIII თავის ერთ-ერთ ქვეთავს ეწოდება.

ანკეტის ბლანკის 41-ე კითხვას, ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს სხდომათა რიცხვის შესახებ უკანასკნელი 5 წლის თვითეული წლის მიხედვით, მხედველობაში ჰქონდა გამოერკვია, თუ რამდენად გაძლიერდა ორგანიზაციების საქმიანობა 1905 წელს. ანკეტის მასალის მიხედვით «არ ჩანს — ბ-ნ გუშკას სიტყვით — ჩვენი ორგანიზაციების ცხოვრებაში ასეთი მოვლენა», ე. ი. საქმიანობის შესამჩნევი გაძლიერება.

«ეს გასაგებიცაა», შენიშნავს ბ-ნი გუშკა.

რით ხსნის იგი ამ მოვლენას?

«დამქირავებელთა» კავშირებს — მსჯელობს იგი — უნდა გაეძლიერებინათ თავიანთი საქმიანობა 1905 წელს საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერების გამო.

«წმინდა წარმომადგენლობითი ტიპის ორგანიზაციები კი — განაგრძობს ბ-ნი გუშკა — რამდენადმე საწინააღმდეგო მდგომარეობაში იყვნენ: მათი მთავარი კონტრაგენტი — მთავრობის ხელისუფლება — სწორედ 1905 წლის განმავლობაში იმყოფებოდა იმ ძალის მდგომარეობაში, რომელიც თავს იცავდა, ყველაზე ნაკლებად ჰქონდა თავისი თავის რწმენა და იმსახურებდა სხვების ნდობას. იმ «გადარეულ» წელს, «როცა მმართველობა წავიდა», — ყველას, მათ შორის მრეწველებსაც, ეგონა (განსაკუთრებით წლის ბოლოს), რომ ძველი «მმართველობა» აღარც მობრუნდებოდა.

აი რატომ იყო, რომ კაპიტალის წარმომადგენლობითს ორგანიზაციებს იმ ხანად საფუძველი არ ჰქონდათ გაეძლიერებინათ თავიანთი წარმომადგენლობის აქტივობა მთავრობის ხელისუფლების ორგანოების მიმართ».

ეს ახსნა არაფრად არ ვარგა. მართლაც რომ «მმართველობა წასულიყო», ძველი პოლიტიკური მმართველობის წასვლას აუცილებლად უნდა გაეძლიერებინა ახალი ეკონომიური მმართველობის აქტივობა, გადაექცია იგი ახალ პოლიტიკურ მმართველობად. თუ ხელისუფლება უმთავრესად თავს იცავდა, როგორღა შეიძლებოდა, რომ ამ ხელისუფლების «თანამშრომელსა და ღირსეულ თანაშემწეს» (როგორც ახასიათებს ბ-ნი გუშკა სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიას) არ გაეძლიერებინა თ ა ვ ი ს ი საქმიანობა, როცა იცავდა ამ ხელისუფლებას და თავის თავს? ჩვენი ავტორი სრულებით არ დაჰკვირვებია იმას, რასაც ამბობს, და დასჯერდა მხოლოდ ყველაზე იოლი, ყველაზე გაცვეთილი სიტყვების რახარუხს. იგი, შესაძლოა, გრძნობდა, რომ საქმე ეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომლის გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია პასუხი, ან რომლის გადაწყვეტასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული პასუხი უფრო ზოგად საკითხზე ბურჟუაზიის პოლიტიკური როლის შესახებ, — და თითქოს შეუშინდა იმას, რომ სერიოზულად მისდგომოდა მნიშვნელოვან საკითხს, თითქოს გაექცა მას.

დააკვირდით ავტორის შემდეგ მსჯელობას იმავე პუნქტზე 1905 წლის როლის შესახებ:

...«კაპიტალის ორგანიზაციებს არც იმის ხალისი ჰქონდათ, რომ ხშირად შეკრებილიყვნენ, რათა ჩამოეყალიბებინათ თავიანთი დამოკიდებულება იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი, რომლებიც მაშინ მთელ ჩვენს ქვეყანას აღელვებდა: რაკი უკანა პლანზე იყვნენ დაწეულნი

სახალხო მოძრაობის ფართო ტალღით, ისინი ამჯობინებდნენ დალოდებოდნენ მათ გარშემო გაჩაღებული ბრძოლის შედეგებს; ბოლოს კი, როცა «მმართველობამ» არაორაზროვნად გამოიჩინა მიდრეკილება კვლავ «მოსულიყო» თავის ადგილას, — ვაჭარ-მრეწველთა კლასის ორგანიზაციებიც თანდათანობით დაუბრუნდნენ თავიანთი წარმომადგენლობითი საქმიანობის ჩვეულებრივ ფორმასა და ინტენსივობას».

«კაპიტალის ორგანიზაციები უკანა პლანზე იყვნენ დაწეულნი სახალხო მოძრაობის ფართო ტალღით»... ძალიან კარგი! მაგრამ ბ-ნი გუშკა კვლავ არ უფიქრდება იმას, რასაც ლაპარაკობს. ვის წინააღმდეგ იყო მიმართული სახალხო მოძრაობის ფართო ტალღა? — ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ. მაშ როგორ მოხდა, რომ ამ ხელისუფლების «თანამშრომელი და ღირსეული თანაშემწე» უ კ ა ნ ა პლანზე დაწეული აღმოჩნდა? იგი — თუ მართლაც თანამშრომელი და ღირსეული თანაშემწე იყო — მით უფრო ენერგიულად უნდა გამოსულიყო წ ი ნ ა პლანზე, რაც უფრო დიდია მისი ეკონომიური ძალა, რომელიც დამოკიდებული არ არის პოლიტიკური ხელისუფლების ძველ ორგანიზაციაზე.

როგორ მოხდა, რომ ძველი ხელისუფლების «თანამშრომელი და ღირსეული თანაშემწე» ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ «ლოდინს ამჯობინებდა»?

ბ-ნი გუშკა აპირებდა ომი გაემართა ეკონომიურად გაბატონებული ბურჟუაზიის პოლიტიკური დამონების თეორიის წინააღმდეგ, მაგრამ, საქმეს შეუდგა თუ არა, თავგზა აებნა! პირიქით, ის თეორია, რომლის დანგრევასაც იგი დაგვპირდა, დასტურდება მოვლენათა მსვლელობით 1905 წელს.

მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალსაც და რუსეთის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსაც 1905 წელს არა მარტო «ლოდინის» პოზიცია ეკავათ, არამედ ფრიად გარკვეული კონტრრევოლუციური პოზიციაც. ფაქტები, რომლებიც ამას მოწმობენ, საკმაოდ ცნობილია ყველასათვის. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აბსოლუტიზმისა და მემამულეთა კლასის ძალებთან შედარებით უმსხვილესი კაპიტალი რამდენადმე «უ კ ა ნ ა პ ლ ა ნ ზ ე დ ა წ ე უ ლ ი» იყო.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში «სახალხო მოძრაობის ტალღის» უდიდესმა აზვირთებამ ყველაზე მეტად ბურჟუაზია დასწია უკან?

ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, იმიტომ რომ «ბურჟუაზიული რევოლუციის» ცნების მხოლოდ სრული დამახინჯება იწვევს იმ შეხედულებას, თითქოს ბურჟუაზიული რევოლუცია სუსტდება, როგორც კი ბურჟუაზია განზე დგება. ეს უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ პროლეტარიატი და გლეხობა, ხოლო ბურჟუაზიას მერყევი მდგომარეობა უჭირავს. ბურჟუაზია, რომელიც პოლიტიკურად დამონებულია მემამულეებისა და აბსოლუტიზმის მიერ, მეორე მხრივ, კონტრრევოლუციურ მდგომარეობას იკავებს მუშათა მოძრაობის გაძლიერებისას. აქედან წარმოდგება მისი მერყეობა, მისი «უკანა პლანზე» დაწევა. იგი ძველი წესწყობილების წინააღმდეგიც არის და მისი მომხრეც. იგი მზად არის დაეხმაროს ძველ წესწყობილებას მუშების წინააღმდეგ, მაგრამ სავსებით შეუძლია «მოეწყოს» და კიდევაც გააძლიეროს და გაფართოოს თავისი ბატონობა ყოველგვარ მემამულეთა გარეშე და ძველი პოლიტიკური რეჟიმის ყოველგვარი ნაშთების გარეშე: ამას ნათლად მოწმობს ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა ამერიკა და სხვ.

აქედან გასაგებია, რატომ არის, რომ «სახალხო მოძრაობის ფართო ტალღის» ყველაზე მეტმა აზვირთებამ და ძველი ხელისუფლების ყველაზე მეტმა დასუსტებამ შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის გამალებული უკანდახევა «უკანა პლანზე». ეს სწორედ ის კლასია, რომელიც შეიძლება ნეიტრალიზებულ იქნეს ახლის ბრძოლაში ძველთან, დემოკრატიის ბრძოლაში შუასაუკუნეობრიობასთან, ვინაიდან, თუმცა ეს კლასი უფრო შეჩვეულად, მყუდროდ, მარჯვედ გრძნობს თავს ძველთან, მაგრამ შეუძლია იბატონოს ახლის სრული გამარჯვების დროსაც.

V

როცა რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების ანკეტაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი ბ-ნ ა. ერმანსკის სტატიას ლიკვიდატორული «ნაშა ზარიას» №№ 1 — 2 და 3-ში. ბ-ნი ერმანსკი მეტად დაწვრილებით გადმოგვცემს ბ-ნ გუშკას ნაშრომის შინაარსს, მაგრამ ერთხელაც არ შენიშნავს, რომ არ ეთანხმება მას! თითქოს იმ კაცს, რომელიც თავს მარქსისტად თვლის, შეუძლია სოლიდარული იყოს ვაჭრობა-მრეწველობის ბობოლათა მეხოტბის წყალწყალა ლიბერალიზმთან!

ბ-ნი ერმანსკი ბ-ნ გუშკაზე უფრო შორსაც კი მიდის მარქსისტულად ოდნავ შეფერადებული სოციალ-ლიბერალიზმის იმავე მიმართულებით, à la * ბრენტანოსა და ზომბარტისა.

«წარმომადგენლობითი ტიპის ორგანიზაციები—წერს ბ-ნი ერმანსკი — კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციები არიან მისი სრული მოცულობითა და საერთონაციონალური (ნაწილობრივ თვით ინტერნაციონალური) მასშტაბით. ანკეტის მონაცემები გვიხატავენ ორგანიზაციების მიერ განხილული საკითხების თითქმის უსაზღვრო სფეროს სურათს. ჩვენი ორგანიზაციების საქმიანობა საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თითქმის ყველა ამოცანას მოიცავს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ეკატერინოსლავის საბირჟო კომიტეტი». ასე მსჯელობს ბ-ნი ერმანსკი ჟურნალში, რომელიც მარქსიზმის პრეტენზიას აცხადებს! ეს მსჯელობა თავიდან ბოლომდე აშკარა სიყალბეა. კლასობრივი ბრძოლის ცნება მარქსის გაგებით აქ შეცვლილია კლასობრივი ბრძოლის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი გაგებით. საერთონაციონალურად და საერთოსახელმწიფოებრივად გამოცხადებულია სწორედ ის, რასაც არ მოეპოვება ს ა ე რ თ ონაციონალურისა და ს ა ე რ თ ოსახელმწიფოებრივის ძირითადი ნიშანი: სახელმწიფო ხელისუფლების წყობა და «საერთოსახელმწიფოებრივი» მმართველობის, საერთოსახელმწიფოებრივი პოლიტიკის მთელი სფერო და სხვ.

* — მსგავსად. რ ე დ.

შეხედეთ, რა უკიდურესობამდე მიდის თავისი უგნური გულმოდგინებით ბ-ნი ერმანსკი. ედავება რა იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც «რუსეთის კაპიტალისტური ბურჟუაზია» (მას სურს თქვას მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია) დუნეა, ნაკლებად განვითარებული და სხვ., იგი ეძებს «თანამედროვე ფორმულას», რომელიც გამოხატავდეს «მსხვილი ბურჟუაზიის ფაქტიურ მდგომარეობას რუსეთში».

მერე რა ირკვევა? ასეთ ფორმულად ბ-ნ ერმანსკის მიუჩნევია ავდაკოვის სიტყვები, ნათქვამი სამთამადნო მრეწველობის საქმეთა საბჭოში იმის შესახებ კამათის დროს (უსმინეთ!), მოწყობილიყო თუ არა ახლებურად სამთამადნო მრეწველობის ყრილობები, რომლებსაც არჩეული თავმჯდომარეები ეყოლებოდათ. პრაქტიკა (რუსეთისა) ისეთია, — თქვა ავდაკოვმა, — «რომ დღემდე ჩვენ არასოდეს არავის არაფერში არ შევუვიწროებივართ».

«აი ფორმულა, — წერს ბ-ნი ერმანსკი, — რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თანამედროვეობას».

აბა, რაღა თქმა უნდა! არ ავიწროებდნენ გონებაჩლუნგ და შემამულის სახელმწიფოებრივი პრივილეგიების უღლის მორჩილად მზიდავ ვაჭრებს სამთამადნო მრეწველობის ყრილობათა ორგანიზაციაში! ნაცვლად იმისა, რომ დასცინოს მაღალფარდოვანი ლაპარაკის მოყვარულ კიტ კიტიჩ ავდაკოვს, ბ-ნი ერმანსკი მეტისმეტი გულმოდგინებით შუბლს იტეხს და გვარწმუნებს, რომ ავდაკოვი კიტ კიტიჩი არ არის, რომ მან მოგვცა «თანამედროვე ფორმულა», რომელიც გამოხატავს «მსხვილი ბურჟუაზიის ფაქტიურ მდგომარეობას რუსეთში»! ხოლო კიტ კიტიჩ ავდაკოვი სავსებით ჰგავს გასუქებულ კამერდინერს, რომელიც ფიქრსაც ვერ ბედავდა იმაზე, რომ თავისი ბატონის ნაცვლად თვითონ გამხდარიყო სრული ბატონ-პატრონი, გულაჩუყებულია იმით, რომ ბატონი ნებას აძლევს საფარეშოში ეთათბიროს მოახლეს, მზარეულს და სხვ.

ბ-ნ ერმანსკის სტატიის შემდეგი ტირადა ცხადყოფს, რომ მას არ სურს გაიგოს სწორედ ეს განსხვავება კამერდინერისა და ბატონის მდგომარეობას შორის:

«აქ აგრეთვე ზედმეტი არ იქნება გავაკეთოთ ერთი დაპირისპირება: — წერს იგი — ყველას ახსოვს, რა გადაჭრით და, ასე ვთქვათ, საქვეყნოდ უწოდეს «უაზრო ოცნება» ერობელთა მისწრაფებებს «შინაგანი მმართველობის საქმეებში მონაწილეობისაკენ»; მეორე მხრივ, პეტერბურგის საბირჟო კომიტეტი ჯერ კიდევ კონსტიტუციამდელ დროს, აცხადებდა რა «მმართველობის საქმეებში საბირჟო საზოგადოებათა მონაწილეობის უფლების (ეს დაიხსომეთ!) რაც შეიძლება ფართოდ გავრცელების» აუცილებლობას, სრული საფუძვლით დასძენდა: «საბირჟო საზოგადოებათა ეს უფლება რაიმე სიახლეს არ შეადგენს, ვინაიდან საბირჟო საზოგადოებანი ნაწილობრივ უკვე სარგებლობენ ამ უფლებით». ის, რაც «უაზრო ოცნება» იყო სხვებისათვის, ის იყო არა ოცნება, არამედ სინამდვილე, რეალური კონსტიტუციის ელემენტი მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებისათვის».

«ის» იყო, მაგრამ არც იყო, ბ-ნო ერმანსკი! თქვენი «დაპირისპირება» ცხადყოფს, რომ თქვენ უნარი არ შეგწევთ ან სურვილი არა გაქვთ ერთმანეთისაგან განასხვავოთ მისწრაფება (მემამულეთა კლასისა) — თვითონ გახდეს სრული ბატონი და მისწრაფება (გამდიდრებული ბურმისტრისა, ფედკასი ან ვანკასი) — ეთათბიროს ბატონის სხვა მსახურებს. ეს ორი რამ დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სავსებით ბუნებრივია, რომ ბ-ნ ერმანსკის დასკვნები მთლად ისეთი გამოუდის, როგორც ლარინს. მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებმა — წერს ბ-ნი ერმანსკი — «უკვე დიდი ხანია დაიკავეს რუსეთში გაბატონებული კლასის პოზიცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით».

ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა. აქ დავიწყებულია თვითმპყრობელობაც და ისიც, რომ ძალაუფლება და შემოსავალი კვლავ მიწათმფლობელ-მებატონეთა ხელშია. ბ-ნ ერმანსკის ტყუილად ჰგონია, რომ «მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში» ჩვენი თვითმპყრობელობა «აღარ იყო მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმური». «მხოლოდ და მხოლოდ» ასეთი ის ალექსანდრე II-ის ეპოქაშიც აღარ ყოფილა ნიკოლოზ I-ის ეპოქასთან შე-

დარებით. მაგრამ სრულიად შეუწყნარებელია ერთმანეთში არიო ბატონყმური რეჟიმი, რომელიც მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ბატონყმურის თვისებებს კარგავს და ნაბიჯს დგამს ბურჟუაზიული მონარქიისაკენ, და «მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლების სრული ბატონობა».

VI

«ნაშა ზარიას» რედაქციამ, როგორც სჩვევია, ბ-ნ ერმანსკის სტატიას დაურთო «შენიშვნა»: ავტორი «სათანადოდ ვერ აფასებს, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის (მსხვილი ბურჟუაზიისათვის) პოლიტიკურ ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეობასო».

შენიშვნების სისტემა მკვიდრადაა დაბუდებული ლიკვიდატორებში. მთელ რიგ სტატიებში ერმანსკი უაღრესად დაწვრილებით ავითარებს შეხედულებებს კლასობრივ ბრძოლაზე ლიბერალური სულისკვეთებით. ჟურნალის ქადაგება ლიბერალური ქადაგებაა... ხოლო მარქსიზმის «მშვენიერ დღეთა მოგონებანი» მოქცეულია ორ სტრიქონიან შენიშვნაში! «ნაშა ზარიას» მკითხველებს ზრდიან მარქსიზმის შემცვლელი ლიბერალიზმის სულისკვეთებით, რედაქციაკი «თავს იზღვევს» — შენიშვნით, მთლად ისე, როგორც კადეტური «რეჩი» [25].

საქმე სრულებითაც მარტო ის როდია, რომ ბ-ნი ერმანსკი «სათანადოდ ვერ აფასებს» საკითხის გარკვეულ მხარეს. საქმე ის არის, რომ მისი შეხედულება კლასობრივ ბრძოლაზე თავიდან ბოლომდე არასწორია. საქმე ის არის, რომ იგი ძირეულ შეცდომას უშვებს თვითმპყრობელობის სოციალური სტრუქტურის შეფასებისას. ჩვენ დიდი ხანია მივუთითებდით და კვლავ დაუცხრომლად მივუთითებთ, რომ ა მ საკითხს გ ვ ე რ დ ს ვ ე რ ა უ ვ ლ ი ვერავითარი ჩაცინებით «1908 წლის (ან 1912 წლის) პასუხების» გამო და სხვ... ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გვერდი აუარო ამ საკითხს ცოტად თუ ბევრად სერიოზულ პუბლიცისტიკაში.

უთანხმოება, ერთი მხრივ, ერმანსკის და ლარინსა და, მეორე მხრივ, «ნაშა ზარიას» რედაქციას შორის არის აშკარა და

თავისებურად პატიოსანი ლიკვიდატორების უთანხმოება ლიკვიდატორობის დიპლომატებთან. ამ მხრივ ილუზიები არ უნდა შევიქმნათ.

ლარინი წერდა: ხელისუფლება ჩვენში უკვე ბურჟუაზიული გახდაო. ამიტომ მუშები უნდა დაირაზმონ არა რევოლუციის მოლოდინში (და არა «რევოლუციისათვის», დასძინა მან), არამედ ქვეყნის კონსტიტუციურ განახლებაში მონაწილეობისთვისო. ერმანსკი, რომელიც მ ე ო რ ე მხრიდან უდგება საკითხს, არსებითად იმეორებს ლარინის პ ი რ ვ ე ლ წანამძღვარს, ამასთან დასკვნებს მხოლოდ გადაკვრით აღნიშნავს, მათზე პირდაპირ არ ლაპარაკობს.

მარტოვი ისევე «უსწორებდა» ლარინს, როგორც «ნაშა ზარიას» რედაქცია უსწორებს ერმანსკის: ხელისუფლება ჯერ კიდევ ბურჟუაზიული არ არის, და მუშებისათვის «საკმარისია» ხელი ჩასჭიდონ კონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგობას აბსოლუტიზმთანო.

ამრიგად, დასკვნებში მარტოვსა («ნაშა ზარიას» რედაქციასთან ერთად) და ლარინ-ერმანსკის შორის თანხმობა გამოდის, რაც სავსებით ბუნებრივია, როცა მათ შორის თანხმობაა მუშათა პოლიტიკაზე ლიბერალური შეხედულების ძირითად წანამძღვარებში.

ჩვენ კი კვლავ ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება ძირიანად არასწორია. საქმე ის როდია, «სათანადოდ ვერ აფასებს» ერმანსკი თუ «გადაჭარბებით აფასებს» მარტოვი გუჩკოვების, რიაბუშინსკებისა და კომპანიის «გამემარცხენებას». საქმე ის როდია, «სათანადოდ ვერ აფასებს» ერმანსკი თუ «გადაჭარბებით აფასებს» მარტოვი, «რა მნიშვნელობა აქვს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ა თ ვ ი ს პოლიტიკურ ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეობას». საქმე ის არის, რომ ო რ ი ვ ე ნ ი არა მარტო «სათანადოდ ვერ აფასებენ», არამედ პირდაპირ ვერ ე რ კ ვ ე ვ ი ა ნ, რა მნიშვნელობა აქვს მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ა და მისი მიმდევარი ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის, რომელიც თავისუფალია ლიბერალიზმის თანამედროვე მერყეობი-

საგან, «პოლიტიკურ ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეობას»! ისინი ორივენი ფიქრობენ მხოლოდ ე რ თ «პოლიტიკურ ხელისუფლებაზე» და ივიწყებენ მ ე ო რ ე ს.

ისინი ორივენი მაღლა იყურებიან და ვერ ხედავენ ქვედა ფენებს. მაგრამ, თუ ათი რიაბუშინსკი და ასი მილიუკოვი ბუზღუნებს და ლიბერალურად აღშფოთებას გამოთქვამს, ეს იმას ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ ათეულ მილიონობით წვრილი ბურჟუა და ყოველნაირი «მდაბიო ხალხი» აუტანელ მდგომარეობაშია. და ეს მილიონებიც «პოლიტიკური ხელისუფლების» შესაძლო წყაროა. მხოლოდ ასეთი დემოკრატიული ელემენტების მჭიდროდ დარაზმვას მემარჯვენეების წინააღმდეგაც და ლიბერალთა მერყეობისაგან დამოუკიდებლადაც შეუძლია «გადაწყვიტოს» ის საკითხები, რომლებიც ისტორიამ XX საუკუნის დასაწყისში დააყენა რუსეთის წინაშე.

«პროსვეშჩენიე» № 5 — 7,
1912 წ. აპრილი — ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

არსი «აგრარული საკითხისა რუსეთში»

«აგრარული საკითხი» — თუ ამ ჩვეულებრივ, მოარულ ტერმინოლოგიას ვიხმართ — ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში არსებობს. მაგრამ რუსეთში საერთოკაპიტალისტური აგრარული საკითხის გ ვ ე რ დ ი თ არსებობს მ ე ო რ ე, «ჭეშმარიტად-რუსული» აგრარული საკითხი. მოკლედ რომ დავახასიათოთ ამ ორი აგრარული საკითხის განსხვავება, აღვნიშნავთ, რომ არც ერთ ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არსებობს წვრილ მიწათმფლობელთა ცოტად თუ ბევრად ფართო დემოკრატიული მოძრაობა მსხვილი მიწათმფლობელობის მიწების მათ ხელში გადასვლისათვის.

რუსეთში ასეთი მოძრაობა არსებობს. და, ამის შესაბამისად, ევროპის არც ერთ ქვეყანაში, გარდა რუსეთისა, მარქსისტები არ აყენებენ და არ იცავენ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მიწა წვრილ მიწათმფლობელთა ხელში გადავიდეს. რუსეთის აგრარულმა საკითხმა გარდუვალად წარმოშვა ასეთი მოთხოვნის აღიარება ყ ვ ე ლ ა მარქსისტის მიერ, მიუხედავად უთანხმოებისა, რაც დაკავშირებულია იმასთან, თუ რ ო გ ო რ უნდა მოეწყოს გადასაცემი მიწის მფლობელობა და გამგებლობა (გაყოფა, მუნიციპალიზაცია, ნაციონალიზაცია).

რით აიხსნება განსხვავება «ევროპასა» და რუსეთს შორის? იმით ხომ არა, რომ რუსეთის განვითარება თავისებურია, რომ იქ კაპიტალიზმი არ არსებობს, ან ჩვენი კაპიტალიზმი განსაკუთრებით უიმედო, უნუგეშოა? ასე ფიქრობენ ყველა ჯურის ნაროდნიკები. მაგრამ ეს შეხედულება სრულიად არასწორია, და ცხოვრებამ დიდი ხანია უარყო იგი.

განსხვავება «ევროპასა» და რუსეთს შორის წარმოდგება რუსეთის მეტისმეტი ჩამორჩენილობისაგან. დასავლეთში აგრარულ-ბურჟუაზიული წყობილება უკვე საკმაოდ ჩამოყალიბდა, ბატონყმობა დიდი ხანია აღგვილია, მისი ნაშთები უმნიშვნელოა და სერიოზულ როლს ვერ ასრულებს. მთავარი საზოგადოებრივი ურთიერთობა სოფლის მეურნეობის დარგში დასავლეთში არის დაქირავებული მუშის ურთიერთობა მეწარმესთან, ფერმერთან ან მიწის მესაკუთრესთან. წვრილ მიწათმოქმედს იქ შუალედი მდგომარეობა უჭირავს, იგი გადადის, ერთი მხრივ, დაქირავებულთა, სამუშაო ძალის გამყიდველთა კლასში (გლეხის ეგრეთწოდებული დამხმარე სამუშაოს ან დამატებითი საშოვარის მრავალი ფორმა), ხოლო, მეორე მხრივ, დამქირავებელთა კლასში (წვრილ მიწათმოქმედებთან დაქირავებულ მუშათა რიცხვი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონიათ).

რუსეთში, უეჭველია, უკვე განმტკიცდა და განუხრელად ვითარდება მიწათმოქმედების ასეთივე კაპიტალისტური წყობა. როგორც მემამულური, ისე გლეხური მეურნეობის ევოლუცია სწორედ ამ მიმართულებით ხდება. მაგრამ წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობა ჩვენში ჯერ კიდევ უაღრესად შევიწროებულია ბატონყმური ურთიერთობით. მოსახლეობის მასის, პირველ რიგში საერთოდ გლეხობის მასის ბრძოლა სწორედ ამ ურთიერთობასთან — აი რა არის რუსეთის აგრარული საკითხის თავისებურება. დასავლეთში ასეთი «საკითხი» ოდესღაც ყველგან არსებობდა, მაგრამ იგი იქ უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია. რუსეთში მისი გადაწყვეტა დაგვიანდა, 1861 წლის «რეფორმამ» იგი ვერ გადაწყვიტა, სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა ახლანდელ პირობებში მას ვერ გადაწყვეტს.

სტატიაში «მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში» («ნევსკაია ზვეზდა»[26] № 3) * ჩვენ მოვიყვანეთ უმთავრესი

* იხ. ეს ტომი, გვ. 20 — 23. რ ე დ.

მონაცემები, რომლებითაც ირკვევა რუსეთის თანამედროვე აგრარული საკითხის არსი.

70 მილიონამდე დესეტინა მიწა 30 000 უმსხვილესი მემამულის ხელში და დაახლოებით ამდენივე 10 მილიონი გლეხური კომლის ხელში — ასეთია სურათის ძირითადი ფონი. რა სამეურნეო ურთიერთობას მოწმობს ეს სურათი?

ოცდაათი ათასი უმსხვილესი მემამულე უმთავრესად ძველი ბატონკაცებისა და ძველი ბატონყმური მეურნეობის წარმომადგენლებია. 500 დესეტინაზე უფრო დიდი მამულების 27 833 მფლობელიდან თავადაზნაურია 18 102, ე. ი. თ ი თ ქ მ ი ს ო რ ი მ ე ს ა მ ე დ ი. უდიდესი ლატიფუნდიები, რომლებიც მათ ხელშია, — თვითეულ ამ უმსხვილეს მემამულეზე საშუალოდ 2 000 დესეტინაზე მეტი მიწა მოდის! — არ შეიძლება დამუშავებულ იქნეს მფლობელის ინვენტარითა და დაქირავებული მუშებით. საქმის ასეთ ვითარებაში საგრძნობწილად გარდუვალია საბატონო ბეგრის ძველი სისტემა, ესე იგი წვრილი კულტურის, წვრილი მეურნეობის არსებობა დიდ ლატიფუნდიებში, მემამულის მიწის დამუშავება წვრილი გლეხის ინვენტარით.

სწორედ ეს საბატონო ბეგრის სისტემა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ევროპის რუსეთის ცენტრალურ, ძველთაგანვე რუსულ გუბერნიებში, ჩვენი მიწათმოქმედების გ უ ლ შ ი. ეგრეთწოდებული შრომამიგება სხვა არა არის რა, თუ არ მეურნეობის საბატონო ბეგრის ძველი სისტემის პირდაპირი განგრძობა და გადმონაშთი. მეურნეობის აუტანელი კაბალური წესები, როგორც მაგალითად, საზამთროდ დაქირავება, ჩამონაჭერი მიწებისათვის მუშაობა, «ურთიერთთავდებობით დამუშავება» და სხვ. და ა. შ. — იგივე საბატონო ბეგარაა. გლეხური «ნადელი», მეურნეობის ასეთი სისტემის დროს, იმის საშუალებაა, რომ მ ე მ ა მ უ ლ ე უზრუნველყოფილი იყოს მუშახელით, და არა მარტო მუშახელით, არამედ ინვენტარითაც, რომელიც, რარიგ უბად-

რუკიც არ უნდა იყოს, მაინც გამოდგება მემამულის მიწის დასამუშავებლად.

უკიდურესი სიღატაკე გლეხთა მასისა, რომელნიც მიჯაჭვული არიან თავიანთ ნადელზე და არ შეუძლიათ ამ ნადელით თავი ირჩინონ, სამიწათმოქმედო ტექნიკის უკიდურესი პრიმიტიულობა, მრეწველობისათვის შინაგანი ბაზრის უკიდურესი განუვითარებლობა, — ასეთია საქმის ამ ვითარების შედეგები. და ყველაზე მკაფიო დადასტურება იმისა, რომ ძირითადად, არსებითად საქმე უცვლელი რჩება თვით ჩვენ დრომდე, არის 30 მილიონი გლეხობის ახლანდელი შიმშილობა. მხოლოდ დამონებულ წვრილ მეურნეთა მასის ბატონყმურ დაბეჩავებას, შებოჭილობას, უმწეობას შ ე უ ძ ლ ი ა გამოიწვიოს ასეთი საშინელი მასობრივი შიმშილობანი სწრაფი განვითარების პროცესში მყოფი და შედარებით უკვე მაღლა მდგომი (საუკეთესო კაპიტალისტურ მეურნეობებში) სამიწათმოქმედო ტექნიკის ეპოქაში.

ძირეული წინააღმდეგობა, რომელიც იწვევს ისეთ საშინელ უბედურებას, რაც დასავლეთ ევროპის გლეხობისათვის უცნობია შუა საუკუნეთა დროიდან, არის წინააღმდეგობა ჩვენს მრეწველობაში უაღრესად განვითარებულ, ჩვენს მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვნად განვითარებულ კაპიტალიზმსა და მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს შორის, რომელიც კვლავ შუასაუკუნეობრივი, ბატონყმური რჩება. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა არ შეიძლება, თუ ძველი მიწათმფლობელობის მძაფრი დამსხვრევა არ მოხდა.

ბატონყმურია არა მარტო მემამულური მიწათმფლობელობა, არამედ გლეხურიც. პირველის მიმართ საქმე ისე აშკარაა, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ბატონყმურ ლატიფუნდიათა, ვთქვათ, 500 დესეტინაზე უფრო დიდ მეურნეობათა, მოსპობა ძირს არ გამოუთხრის მსხვილ წ ა რ მ ო ე ბ ა ს მიწათმოქმედებაში, არამედ, პირიქით, გააძლიერებს, განავითარებს მას. ვინაიდან ბატონყმური ლატიფუნდიები წ ვ რ ი ლ ი კაბალური მიწათმოქმედების და-

საყრდენია და სრულებითაც არა მსხვილი წარმოებისა. მიწის უდიდეს, 500 დესეტინაზე მეტ, ნაკვეთებზე თითქმის შეუძლებელია ან, ყოველ შემთხვევაში, მეტად ძნელია რუსეთის მეტ წილ ადგილებში მ ს ხ ვ ი ლ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს წარმოება, მთელი მიწის დამუშავება მფლობელის ინვენტარითა და თავისუფლად დაქირავებული შრომით. ასეთ მფლობელობათა ზომის შ ე მ ც ი რ ე ბ ა წვრილი კაბალური მიწათმოქმედების დაღუპვისა და სოფლის მეურნეობაში მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის ერთ-ერთი პირობაა.

მეორე მხრივ, ნადელური გლეხური მიწათმფლობელობაც რუსეთში კვლავ შუასაუკუნეობრივი, ბატონყმური რჩება. და საქმე არა მარტო მისი იურიდიული ფორმაა, რომელიც ახლა იცვლება თემის ფელდფებელური დანგრევითა და მიწის კერძო საკუთრების დანერგვით, — საქმე აგრეთვე მისი ფ ა ქ ტ ი უ რ ი სახეა, რომელსაც თემის არავითარი განადგურება არ ეხება.

ფაქტიური მდგომარეობა წვრილი და უწვრილესი, მეტ წილად დაქუცმაცებული გლეხური «პარცელების» (= მიწის პაწაწკინტელა ნაკვეთების) უდიდესი მასისა, რომლებიც გამოირჩევიან ნიადაგის ყველაზე ცუდი ხარისხით (1861 წელს მებატონე-მემამულეთა ხელმძღვანელობით გლეხთა მიწის გამოყოფისა და მიწის გამოფიტვის გამო), — გარდუვალად აყენებს მათ კაბალურ ურთიერთობაში ლატიფუნდიის მემკვიდრეობითს მფლობელთან, ძველ «ბატონთან».

მხოლოდ უფრო თვალსაჩინოდ წარმოიდგინეთ ეს სურათი: 2 000-დესეტინიანი ლატიფუნდიების 30 000 მფლობელზე მოდის 10 000 000 კომლი გლეხი შვიდ-დესეტინიანი ნაკვეთით «საშუალო» კომლზე. ცხადია, რომ თემის ვერავითარი დანგრევა, მიწის კერძო საკუთრების ვერავითარი შექმნა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ვ ე რ შეცვლის კაბალას, შრომამიგების საბატონო ბეგარას, ბატონყმურ სიღატაკეს და დამოკიდებულობის ბატონყმურ ფორმებს, რომლებიც აქედან გამომდინარეობს.

ასეთი ვითარებით წარმოშობილი «აგრარული საკითხი» არის საკითხი ბატონყმობის იმ ნაშთების აღმოფხვრისა, რომლებიც რუსეთის კაპიტალისტური განვითარების აუტანელ დაბრკოლებად იქცა. აგრარული საკითხი რუსეთში არის საკითხი ძველი, შუასაუკუნეობრივი, როგორც მემამულური, ისე ნადელური გლეხური მიწათმფლობელობის მძაფრი დამსხვრევისა, რაც აბსოლუტურად აუცილებელი გახდა ამ მიწათმფლობელობის უკიდურესი ჩამორჩენილობის გამო, იმის გამო, რომ იგი და მთელი სისტემა სახალხო მეურნეობისა, რომელიც კაპიტალისტური გახდა, სრულებით აღარ შეესაბამებიან ერთმანეთს.

მსხვრევა მძაფრი უნდა იქნეს, იმიტომ რომ შეუსაბამობა მეტისმეტად დიდია, იმიტომ რომ ძველი მეტისმეტად ძველია, «ავადმყოფობა მეტისმეტად თავმინებებულია». მსხვრევა ყველა შემთხვევაში და ყველა მისი ფორმით არ შეიძლება თავისი შინაარსით ბურჟუაზიული არ იყოს, ვინაიდან რუსეთის მთელი სამეურნეო ცხოვრება უკვე ბურჟუაზიულია, და მიწათმფლობელობა აუცილებლად დაექვემდებარება მას, აუცილებლად შეეგუება ბაზრის მოთხოვნებს, ჩვენს ახლანდელ საზოგადოებაში ყოვლისშემძლე კაპიტალის ზეგავლენას.

მაგრამ, თუ მსხვრევა არ შეიძლება მძაფრი არ იყოს, არ შეიძლება ბურჟუაზიული არ იყოს, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება, ორი უშუალოდ დაინტერესებული კლასიდან, მემამულეთა და გლეხთა კლასებიდან, რ ო მ ე ლ ი კლასი გაატარებს ამ გარდაქმნას ან წარმართავს მას, განსაზღვრავს მის ფორმებს. ამ «გადაუწყვეტელ საკითხს» ჩვენ მივუძღვნით შემდეგ სტატიას: «სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება» *.

«ნევსკაია ზვეზდა» № 6,
1912 წ. 22 მაისი
ხელმოწერა: **რ. ს.**

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 161 — 169. რ ე დ.

წინასაარჩევნო მობილიზაციის ზოგიერთი შედეგი

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალები თითქმის ყველანი უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ. ყოველ შემთხვევაში, ძირითადი პარტიული დაჯგუფებანი იმდენად გარკვეულად გამოიკვეთნენ, რომ რაიმე სერიოზულ და არსებით ცვლილებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

მთავრობამ დიდი ხანია დაიწყო საარჩევნო კამპანია. მემარჯვენეები, ნაციონალისტები, ოქტიაბრისტები ადმინისტრაციის აშკარა დახმარებით «მუშაობენ». ამას წინათ «რეჩის» მიერ გამოქვეყნებული და ბევრი გაზეთის მიერ გადაბეჭდილი ცირკულარი გუბერნატორებისა ბოქაულებისადმი იმის შესახებ, რომ მიიღონ «ზომები», რათა არ დაუშვან «მემარცხენე» კანდიდატები არც რწმუნებულებად (განსაკუთრებით გლეხებისაგან), არც ამრჩევებად, რამდენადმე ხდის ფარდას შინაგან საქმეთა სამინისტროს «საარჩევნო» მანქანას. უეჭველია, ამ მხრივ ყოველივე შესაძლებელი — და შეუძლებელი — გაკეთდება ოპოზიციის წინააღმდეგ. ტყუილად კი არ იყო, რომ პრემიერი კოკოვცოვი მოსკოველი ვაჭრების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ასე დაჟინებით უსვამდა ხაზს იმას, თუ რა მავნეა «ოპოზიცია ოპოზიციისათვის».

მაგრამ, თუ დასაშვებია ეჭვი არ გვეპარებოდეს მთავრობისა და პოლიციის გულმოდგინებაში არჩევნების დროს, ასევე უეჭველია, რომ ამომრჩევლების განწყობილებაში მოხდა და ხდება ფართო ცვლილება «მარცხნისაკენ». მთავრობის

არავითარ ხრიკებს არ შეუძლიათ ამ ფაქტის შეცვლა. პირიქით, ხრიკებსა და «ღონისძიებებს» შეუძლიათ მხოლოდ გააძლიერონ უკმაყოფილება. და ადვილი გასაგებია, რომ, თუ ეს უკმაყოფილება მსხვილ ბურჟუაზიაში გამოიხატება შუბინსკის «ოპოზიციური» სიტყვით ან რიაბუშინსკის «ფრთხილი» გადაკრული მითითებით «მართვა-გამგეობის კულტურული ხერხების» სასურველობაზე ან კადეტური «რეჩის» მხრივ სამინისტროსადმი გესლიანი ჩხვლეტით, — რიაბუშინსკებზე, გოლოვინებსა და სხვებზე დამოკიდებულ «პატარა ადამიანთა» ფართო წრეში უკმაყოფილება გაცილებით უფრო მწვავე და სერიოზულია.

როგორია ჩამოყალიბებული პოლიტიკური დაჯგუფებანი ოპოზიციის ბანაკში, რომელიც პოლიტიკურად გამოხატავს ამ უკმაყოფილებას? ჩამოყალიბდა «პასუხისმგებელი», ლიბერალურ-მონარქისტული ოპოზიცია კადეტებისა და პროგრესისტებისა. მათ შორის ბლოკი ნათლად მოწმობს, რომ კადეტები გაცილებით უფრო «მემარჯვენენი» არიან, ვიდრე გვეჩვენებიან.

ჩამოყალიბდა მუშათა დემოკრატია, რომელმაც ამოცანად დაისახა არა კადეტურ-პროგრესისტული ოპოზიციისათვის «მხარდაჭერა», არამედ მემარჯვენეებთან (მათ შორის ნაციონალისტებთან და ოქტიაბრისტებთან) მისი კონფლიქტების გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა დემოკრატიის გასანათლებლად და დასარაზმავად. ჩამოყალიბდა, დასასრულ, ბურჟუაზიული დემოკრატიაც: ტრუდოვიკების კონფერენციაზე მან მხარი დაუჭირა შეთანხმებებს «პირველ რიგში ს.-დ-ებთან», ამავე დროს არ იძლევა კ.-დ-თა კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმთან ბრძოლის არავითარ გარკვეულ ლოზუნგს, ე. ი. პრაქტიკულად წინანდებურად მერყეობს მათ შორის.

როგორია პარტიების ამ წინასაარჩევნო «პოლიტიკური მობილიზაციის» შედეგები? პირველი და ძირითადი დასკვნა, რომელიც უკვე დიდი ხანია გააკეთა მუშათა დემოკრატიამ, ის არის, რომ ბრძოლაში ს ა მ ი ბანაკი არსებობს და არა ორი.

ლიბერალებს ძალიან სურთ საქმე ისე წარმოადგინონ, რომ არსებითად ორი ბანაკი იბრძვის, და ლიკვიდატორები, როგორც არაერთხელ იყო ნაჩვენები, მუდამ ამავე შეხედულებისაკენ ეშვებიან. კონსტიტუციის მხარეზე თუ კონსტიტუციის წინააღმდეგ? — იძლევიან ორი ბანაკის უთანხმოების ფორმულირებას კადეტები. ნამდვილად კი ეს ფორმულირება სრულიად არაფერს არ განსაზღვრავს, ვინაიდან ოქტიაბრისტებიც გვარწმუნებენ თავიანთ კონსტიტუციურობაში, და საერთოდ ლაპარაკი უნდა იყოს არა იმაზე, თუ რას შეიძლება ეწოდოს კონსტიტუცია და რას არ შეიძლება ეწოდოს ეს, არამედ ცნობილ ლიბერალურ თუ დემოკრატიულ მოთხოვნათა ზუსტ შინაარსზე.

სამი ბანაკი ირკვევა სწორედ მოთხოვნათა შინაარსით, **კლ**ასობრივი ტენდენციების რეალური განსხვავებით: მემარჯვენე ანუ მთავრობის ბანაკი; ლიბერალური ანუ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომელიც კონტრრევოლუციურ ნიადაგზე დგას; და დემოკრატიული. ამასთან საკითხი ეხება არა იმდენად «შანსებს» ამ საარჩევნო სისტემის დროს, — არა, საქმე გაცილებით უფრო რთულია, საქმე ეხება არჩევნების დროს პოლიტიკური ქადაგების მთელ ხასიათს, საარჩევნო კამპანიის მთელ იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს.

ლიბერალები თავიანთ «სტრატეგიას» საქმის ასეთ ვითარებაში ყოველდღიურად წარმართავენ იქითკენ, რომ ხელში ჩაიგდონ «მთელი» ოპოზიციური მოძრაობის ჰეგემონია. და ლიბერალურმა «ზაპროსი ჟიზნიმ» წამოაყრანტალა ამ სტრატეგიის ის «საიდუმლოება», რომელსაც «რეჩი» გულმოდგინედ მალავს. «პროგრესისტებმა — წერს ბ-ნი რ. ბ.[27] «ზაპროსის» № 13-ში — თავიანთი საარჩევნო კამპანია დაიწყეს მრავლისაღმთქმელი სვლით (!), შეადგინეს ეგრეთწოდებული «უპარტიო პროგრესული ბლოკი», რომელმაც პირველი დღეებიდან დიდი მიმზიდველი ძალა გამოიჩინა კ.-დ-ებზე უფრო მემარჯვენე ოპოზიციური პოლიტიკური წრეებისათვის». მეორე მხრივ, «შრომის ჯგუფის საარჩევნო პლატფორმა,

მიუხედავად თავისი უსახურობისა, — ნაწილობრივ, შესაძ-ლოა, მისი მეოხებით, — შეესაბამება დემოკრატიული ინტე-ლიგენციის ფართო წრეების მოთხოვნილებებს». «განსაზღვ-რულ პირობებში, შრომის ჯგუფი შეძლებდა კ.-დ-ებზე მარცხნით ისეთივე როლის შესრულებას, როგორიც კ.-დ-ებზე მარჯვნით პროგრესისტთა ჯგუფმა იკისრა. ოპოზიციური ფრონტი მაშინ შემდგარი იქნებოდა მოძრავი და მერყეევი, მაგრამ მოქნილი უკიდურესი ფლანგებისა და უძრავი, მაგრამ მედგარი ცენტრისაგან, რასაც სტრატეგიულად თავისი ხელ-საყრელი მხარეები აქვს პოლიტიკურ ბრძოლაშიც».

რასაც ბ. ბ. მილიუკოვები და შინგარიოვები გულში ფიქ-რობენ, ის ბ-ნ რ. ბ-ს ენაზე აკერია! კადეტებს სწორედ ორი «მოქნილი» ფლანგი ესაჭიროებათ: პროგრესისტები სამი ივ-ნისის ბურჟუაზიული ამომრჩევლის მისამხრობად და «უსახუ-რი» დემოკრატები დემოკრატიულად განწყობილი საზოგა-დოების მისამხრობად. ეს «სტრატეგია» ნამდვილად გამომდი-ნარეობს თვით კადეტური პარტიის ბუნებიდან. ეს არის კონტრრევოლუციურ ლიბერალთა პარტია, რომელმაც მოტ-ყუებით გაიყოლია ზოგიერთი დემოკრატიული ფენა, რო-გორც, მაგალითად, ნოქართა, წვრილ მოსამსახურეთა და სხვ. ნაწილი. სწორედ ასეთ პარტიას სჭირდება «უპარტიო პროგ-რესისტი» როგორც ნამდვილი კლასობრივი დასაყრდენი და უსახური დემოკრატი როგორც აბრა, რომელსაც გასავალი აქვს.

პროგრესისტის ტიპად შეიძლება გამოდგეს მემამულე ეფრემოვი და მილიონერი რიაბუშინსკი. უსახური დემოკ-რატის ტიპია ტრუდოვიკი ნაროდნიკული ბანაკიდან და ლიკვიდატორი მარქსისტული ბანაკიდან. აიღეთ კადეტთა პარტიის მთელი ისტორია, — და დაინახავთ, რომ იგი ყ ო-ვ ე ლ თ ვ ი ს სწორედ ისე მოქმედებდა, რომ სიტყვით დე-მოკრატიზმი გამოსვლოდა, საქმით კი «ეფრემოვული და რიაბუშინსკის შესაბამისი» ლიბერალიზმი. დაწყებული თუნდაც ადგილობრივი საადგილ-მამულო კომიტეტების

1906 წლის გეგმის ჩაშლით და დამთავრებული III სათათბიროში ბიუჯეტისათვის ხმის მიცემით ან მილიუკოვის «ლონდონის» ლოზუნგებით[28] და სხვ., ჩვენ ვხედავთ კ.-დ. პარტიის სწორედ ამ ბ უ ნ ე ბ ა ს და ყალბ-დემოკრატიულ ს ა-მ ო ს ე ლ ს.

ბ-ნი რ. ბ. «ზაპროსიდან» იმდენად მოუხერხებელია, რომ მას უცაბედად წამოსცდა სიმართლე, რომელსაც გულ-მოდგინედ უმალავენ დემოკრატებს და რომელსაც ხლართავენ ლიბერალები. პროგრესისტების პროგრამა, აღიარებს იგი, «საკითხს მკვიდრ, რეალურ ნიადაგზე აყენებს»! ამ პროგრამაში კი, წმინდა ოქტიაბრისტული ყაიდის ზოგადი ფრაზების (მაგალითად, «17 ოქტომბრის მანიფესტის სრული განხორციელება») მეტი არაფერია. მკვიდრი და რეალური ნიადაგი ეწოდება იმდენად ზომიერი, უტყვი, უძლური ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ნიადაგს, რომ მასზე რაიმე იმედის დამყარება პირდაპირ სასაცილოა. იმათ, ვინც «მირნოობნოვლენეცი» იყო 1907 წელს, — იმათ, ვისაც საშუალო ადგილი ეჭირა კადეტებსა და ოქტიაბრისტებს შორის III სათათბიროში, — აი ვის უწოდებენ მკვიდრ და რეალურ ნიადაგს!

მილიონერი რიაბუშინსკი პროგრესისტია. ამ ან ამგვარი პროგრესისტების ორგანოა «უტრო როსსიი». და სწორედ «რ ე ჩ ი», ორგანო კადეტებისა, რომლებმაც ბლოკი შეკრეს პროგრესისტებთან, წერდა: «ყველაზე უფრო კმაყოფილია (კოკოვცოვის სიტყვით) მოსკოველ მრეწველთა ორგანო «უტრო როსსიი»... იგი ბანს აძლევს კრესტოვნიკოვს: «საკაჭრო-სამრეწველო მოსკოვს უფლება აქვს თავი კმაყოფილად ჩათვალოს»». და «რ ე ჩ ი» თავის მხრივ დასძენდა: «რამდენადაც ეს დამოკიდებულია «გოლოს მოსკვისა» და «უტრო როსსიიზე», ისინი მზად არიან არავითარ ხაზს არ დაადგნენ და თავს კმაყოფილად გრძნობენო».

საკითხავია, სად არის საბუთი, რომ ეფრემოვს ან სხვა პროგრესისტებს «ხაზი» ა ქ ვ თ? ასეთი საბუთი არ არის. ასეთი პროგრესიზმისათვის მხარის დაჭერა, სულ ერთია,

პროგრესიზმი ეწოდება მას თუ კადეტიზმი, სხვა არა არის რა, თუ არ პოზიციის დათმობა დემოკრატიის მიერ. სხვა საქმეა გამოიყენო ბურჟუაზიასა და მემამულეებს შორის, ლიბერალებსა და მემარჯვენეებს შორის არსებული კონფლიქტები. მხოლოდ ასე შეუძლია დემოკრატს დააყენოს თავისი ამოცანები.

კადეტებისა და პროგრესისტების ლიბერალიზმის კონტრრევოლუციურობის ნათელი შეგნება აუცილებლად საჭიროა ამ ამოცანის შესრულებისათვის, იმ უაღრესად ფართო მასების პოლიტიკური განათლებისა და დარაზმვისათვის, რომლებიც ეკონომიურად დამოკიდებული არიან ეფრემოვებისა და რიაბუშინსკებისაგან. ამ ნათელი შეგნების უქონლობა მთავარი ნაკლია, რომელიც საერთოა ტრუდოვიკებისა და ლიკვიდატორებისათვის. ტრუდოვიკებს ლიბერალიზმის კლასობრივი დახასიათება სრულებით არა აქვთ, ლიკვიდატორებს აქვთ ფრაზები «რეაქციის ხელიდან ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს გამოგლეჯის შესახებ», ხელისუფლებასთან კადეტებისა და პროგრესისტების მიახლოების შესახებ, იმ ისტორიულად პროგრესული მუშაობის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებენ (იხ. მარტოვი და დანი), ყველაფერი ერთად კი იძლევა კადეტური «ფლანგის» სწორედ იმ როლს, რომლითაც ასე კმაყოფილია რ. ბ-იც.

ტრუდოვიკებისა და ლიკვიდატორების სუბიექტური სურვილები, რა თქმა უნდა, ასეთი როდია, მაგრამ საქმე მათ სუბიექტურ გეგმებში კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი ძალების ობიექტურ დაჯგუფებაში. ხოლო ეს დაჯგუფება, წინააღმდეგ ორი ბანაკის იდეის ყველა მომხრისა, წინააღმდეგ ღვარძლიანი ღრიანცელისა მუშათა დემოკრატიის დეზორგანიზებულობის შესახებ (იხ. ბ-ნ რ. ბ-ის იმავე სტატიაში), ცხადად გვიჩვენებს, რომ მესამე ბანაკი შეიქმნა. მისი ხაზი მკაფიოდაა წამოყენებული და ყველასთვის არის ცნობილი. მუშა-ანტილიკვიდატორები ადგანან ამ ხაზს, რაზმავენ ყველა დემოკრატს რ ო გ ო რ ც მემარჯვენეებთან, ი ს ე ლიბერა-

ლიზმთან საბრძოლველად. არავითარ ილუზიას არ იქმნიან რა კადეტების ლიბერალიზმის შესახებ, რომელიც უძლურია და ყველა ძირეულ საკითხში მონურად იხრის ქედს რეაქციის წინაშე, მუშები მის შეჯახებებს რეაქციასთან იყენებენ თავისთვის, თავიანთი კლასობრივი ორგანიზაციისათვის, თავიანთი დემოკრატიისათვის, რომელიც ახლა უხმაუროდ მწიფდება ეფრემოვებისა და რიაბუშინსკების მიერ დამონებულ ხალხის მასებში.

მემარჯვენეების ბრძოლამ «პასუხისმგებელ» ოპოზიციასთან ხელი უნდა შეუწყოს და კიდევაც შეუწყობს ხელს — მუშების ანტილიკვიდატორული ტაქტიკის მეოხებით — ისეთი «ოპოზიციის» შეგნებისა და დამოუკიდებელი ორგანიზაციის განვითარებას, რომელიც «პასუხისმგებელი» ოპოზიციის ნაკლებ საპატიო ტიტულს არ იჩემებს.

«ნევსკაია ზვეზდა» № 6,
1912 წ. 22 მაისი
ხელმოწერა: ბ. გ.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვა

1905 წლიდან გაფიცვების ოფიციალურ სტატისტიკაში, რომელსაც ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო აწარმოებს, შემოღებულ იქნა გაფიცვების მუდმივი გაყოფა ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვებად. ამ გაყოფის შემოღება მოითხოვა ცხოვრებამ, რომელმაც საგაფიცვო მოძრაობის თავისებური ფორმები წარმოშვა. ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის შეხამება — ასეთია ამ თავისებურების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. და ამჟამად, საგაფიცვო მოძრაობის გაცხოველებისას, მეცნიერული ინტერესები, მოვლენებისადმი შეგნებული დამოკიდებულების ინტერესები მოითხოვენ, რომ მუშები ყურადღებით დააკვირდნენ რუსეთის საგაფიცვო მოძრაობის ამ თავისებურ ნიშანს.

უწინარეს ყოვლისა მოვიყვანთ რამდენიმე ძირითად ციფრს, რომლებიც ამოღებულია გაფიცვების მთავრობისეული სტატისტიკიდან. სამი წლის განმავლობაში, 1905 — 1907 წლებში, რუსეთის საგაფიცვო მოძრაობა ისეთ სიმაღლეზე იდგა, როგორიც მანამდე მსოფლიოს არ ენახა. მთავრობის სტატისტიკა მხოლოდ ფაბრიკებსა და ქარხნებს თვლის, ასე რომ სამთამადნო საწარმოებიც, რკინიგზებიც, სამშენებლო სამუშაოებიც და დაქირავებული შრომის ბევრი სხვა დარგიც აღურიცხავი რჩება. მაგრამ მარტო ფაბრიკებსა და ქარხნებშიც კი 1905 წელს გაფიცული იყო 2 863 ათასი კაცი, ე. ი. 3 მილიონზე ცოტა ნაკლები; 1906 წელს — 1 108 ათასი, 1907 წელს — 740 ათასი. მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე 1894-დან 1908 წლამდე, როცა ევროპაში გაფიცვების

სტატისტიკის სისტემატური დამუშავება დაიწყეს, გაფიცულთა ყველაზე დიდი რაოდენობა წლის განმავლობაში ამერიკაში იყო — 660 ათასი.

მაშასადამე, რუსეთის მუშებმა მსოფლიოში პირველად განავითარეს ისეთი მასობრივი საგაფიცვო ბრძოლა, როგორიც 1905 — 1907 წლებში ვნახეთ. ახლა ინგლისელმა მუშებმა ეკონომიური გაფიცვის დარგში ახალი დიდი ბიძგი მისცეს მოძრაობას. რუსეთის მუშების მოწინავე როლი აიხსნება არა იმით, რომ ისინი დასავლეთევროპელებზე უფრო ძლიერი, უფრო ორგანიზებული, უფრო განვითარებული არიან, არამედ იმით, რომ ევროპაში ჯერ კიდევ არ ყოფილა დიდი ნაციონალური კრიზისები, რომლებშიც დამოუკიდებელი მონაწილეობა მიეღოთ პროლეტარულ მასებს. როცა ეს კრიზისები დადგება, მასობრივი გაფიცვები ევროპაში კიდევ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე რუსეთში 1905 წელს.

როგორი იყო ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის თანაფარდობა იმ ეპოქაში? მთავრობის სტატისტიკა ამაზე შემდეგ პასუხს იძლევა:

გაფიცულთა რიცხვი ათასობით:

	1905	1906	1907
ეკონომიურ გაფიცვებში.....	1 439	458	200
პოლიტიკურ გაფიცვებში....	1 424	650	540
სულ...	2 863	1 108	740

აქედან ჩანს ორივე სახის გაფიცვის მჭიდრო და განუყრელი კავშირი. მოძრაობის ყველაზე დიდი აღმავლობა (1905 წ.) განირჩევა ბრძოლის ყველაზე ფართო ეკონომიური საფუძვლით: პოლიტიკური გაფიცვა ამ წელს ეკონომიური გაფიცვის მტკიცე და სოლიდურ ბაზას ეყრდნობა. ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი მეტია პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვზე.

მოძრაობის დაცემასთან ერთად, 1906 და 1907 წლებში, ჩვენ ვხედავთ ეკონომიური ბაზის შესუსტებას: ეკონო-

მიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი გაფიცულთა მთელი რიცხვის $^{4}/_{10}$-მდე ეცემა 1906 წელს და $^{3}/_{10}$-მდე 1907 წელს. მაშასადამე, პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვები ერთმანეთს ეხმარებიან, ერთიმეორის ძალის წყაროს წარმოადგენენ. გაფიცვის ამ სახეების მჭიდრო კავშირი თუ არ იქნა, ნამდვილად ფართო, მასობრივი — და თანაც ს ა ე რ თ ო ს ა ხ ა ლ ხ ო მნიშვნელობის მქონე — მოძრაობა შეუძლებელია. მოძრაობის დასაწყისში ეკონომიურ გაფიცვას ხშირად თვისება აქვს გააღვიძოს და აამოძრაოს ჩამორჩენილნი, განაზოგადოს მოძრაობა, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს იგი.

მაგალითად, 1905 წლის პირველ მეოთხედში ეკონომიური გაფიცვა შესამჩნევად სჭარბობდა პოლიტიკურს: პირველზე მოდიოდა 604 ათასი გაფიცული, მეორეზე მხოლოდ 206. 1905 წლის უკანასკნელ მეოთხედში კი თანაფარდობა შებრუნებული გახდა: ეკონომიურ გაფიცვებზე მოდის 430 ათასი, ხოლო პოლიტიკურზე — 847 ათასი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრაობის დასაწყისში ბევრი მუშა პირველ პლანზე აყენებდა ეკონომიურ ბრძოლას, ხოლო ყველაზე დიდი აღმავლობის დროს პირიქით ხდებოდა. მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის კ ა ვ შ ი რ ი ს უ ლ მ უ დ ა მ არსებობდა. ამ კავშირის გარეშე, ვიმეორებთ, შეუძლებელია ნამდვილად დიდი მოძრაობა, დიდი მიზნების განმახორციელებელი მოძრაობა.

მუშათა კლასი პოლიტიკური გაფიცვის დროს გამოდის როგორც მთელი ხალხის მოწინავე კლასი. პროლეტარიატი ასეთ შემთხვევაში ასრულებს ბურჟუაზიული საზოგადოების არა უბრალოდ ერთ-ერთი კლასის როლს, არამედ ჰეგემონის, ე. ი. ხელმძღვანელის, მოწინავის, ბელადის როლს. ის პოლიტიკური იდეები, რომლებიც თავს იჩენენ მოძრაობაში, ატარებენ საერთოსახალხო ხასიათს, ე. ი. ეხებიან მთელი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად, ყველაზე ღრმა პირობებს. პოლიტიკური გაფიცვის ასეთი ხასიათი — როგორც 1905 — 1907 წლების ეპოქის ყველა მეცნიერი მკვლევარი აღნიშნავს — მოძრაობით აინტერესებდა ყველა კლასს და გან-

საკუთრებით, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ყველაზე ფართო, მრავალრიცხოვან და დემოკრატიულ ფენებს, გლეხობას და ასე შემდეგ.

მეორე მხრივ, ეკონომიური მოთხოვნების გარეშე, თავისი მდგომარეობის უშუალოდ და დაუყოვნებლივ გაუმჯობესების გარეშე, მშრომელთა მასა არასოდეს არ დათანხმდება წარმოიდგინოს ქვეყნის საერთო «პროგრესი». მასა ებმება მოძრაობაში, ენერგიულად მონაწილეობს მასში, დიდად აფასებს მას და იჩენს გმირობას, თავდადებას, სიმტკიცეს და დიადი საქმისადმი ერთგულებას მხოლოდ იმ პირობით, თუ გაუმჯობესდება მომუშავის ეკონომიური მდგომარეობა. სხვანაირად არც შეიძლება, ვინაიდან «ჩვეულებრივ» დროს მუშების ცხოვრების პირობები წარმოუდგენლად მძიმეა. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას როცა აღწევს, მუშათა კლასი ამავე დროს მორალურადაც, გონებრივადაც, პოლიტიკურადაც მაღლდება, უფრო მეტი უნარი შესწევს განახორციელოს თავისი დიადი განმათავისუფლებელი მიზნები.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოცემული გაფიცვათა სტატისტიკა სავსებით ადასტურებს მუშების ეკონომიური ბრძოლის ამ გიგანტურ მნიშვნელობას საერთო გამოცოცხლების ეპოქაში. რაც უფრო ძლიერია მუშების შეტევა, ცხოვრების მით უფრო მეტ გაუმჯობესებას აღწევენ ისინი. «საზოგადოების თანაგრძნობაც» და ცხოვრების გაუმჯობესებაც ბრძოლის მაღალი განვითარების შედეგია. თუ ლიბერალები (და ლიკვიდატორები) მუშებს ეუბნებიან: თქვენ ძლიერი ხართ, როცა «საზოგადოებაში» თანაგიგრძნობენო, მარქსისტი სულ სხვას ეუბნება მუშებს: თქვენ მაშინ თანაგიგრძნობენ «საზოგადოებაში», როცა ძლიერი ხართო. საზოგადოებად ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ მოსახლეობის ყოველნაირი დემოკრატიული ფენები, წვრილი ბურჟუაზია, გლეხები, ინტელიგენცია, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს მუშათა ცხოვრებასთან, მოსამსახურეები და ა. შ.

საგაფიცვო მოძრაობა ყველაზე ძლიერი იყო 1905 წელს. და რა ირკვევა? ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ამ წელს მუშებ-

მა უფრო მეტად მიაღწიეს ცხოვრების გაუმჯობესებას. მთავრობის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 100 გაფიცულიდან 1905 წელს მ ხ ო ლ ო დ 29 ამთავრებდა ბრძოლას ისე, რომ ვ ე რ ა ფ ე რ ს აღწევდა, ე. ი. სრულ დამარცხებას განიცდიდა. 10 წლის მანძილზე (1895 — 1904) 100-დან 52 გაფიცული ამთავრებდა ბრძოლას ისე, რომ ვერაფერს ვერ აღწევდა! მაშასადამე, მოძრაობის მასობრივმა ხასიათმა უდიდესი ზომით, თითქმის ერთიორად გაადიდა ბრძოლის წ ა რ მ ა ტ ე ბ ა.

ხოლო როცა მოძრაობამ შესუსტება იწყო, მაშინ ბრძოლის წარმატებამაც იკლო: 1906 წელს 100 გაფიცულიდან 33 ამთავრებდა ბრძოლას ისე, რომ ვერაფერს ვერ აღწევდა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მარცხდებოდა, 1907 წელს კი — 58; 1908 წელს 69-ც კი ასიდან!!

ამრიგად, სტატისტიკის მთელი რიგი წლების მეცნიერული მონაცემები სავსებით ადასტურებენ თვითეული შეგნებული მუშის საკუთარ გამოცდილებასა და დაკვირვებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის შეერთება და რომ ასეთი შეერთება გარდუვალია ნამდვილად ფართო და საერთოსახალხო მოძრაობაში.

ასევე, საგაფიცვო მოძრაობის ახლანდელი ტალღა სავსებით ადასტურებს ამ დასკვნას. 1911 წელს გაფიცულთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა 1910 წელთან შედარებით (100 ათასი ნაცვლად 50-ისა), მაგრამ მაინც ეს რიცხვი მეტად მცირე იყო; წმინდა ეკონომიური გაფიცვები შედარებით «ვიწრო» საქმედ რჩებოდა და ჯერ კიდევ ვერ იღებდა საერთოსახალხო მნიშვნელობას. პირიქით, ახლა ყველა და ყოველი ხედავს, რომ ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი მნიშვნელობა მიიღო მიმდინარე წლის საგაფიცვო მოძრაობამ აპრილის ცნობილი ამბების შემდეგ.

ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია თავიდანვე უკუვაგდოთ მოძრაობის ხასიათის ის დ ა'მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა, რომლის შეტანასაც ამ მოძრაობაში ცდილობენ ლიბერალები და ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები (ლიკვიდატორები). ლიბერალმა ბ-ნმა სევერიანინმა «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი»-ში[29]

მოათავსა სტატია იმის წინააღმდეგ, რომ საპირველმაისო გაფიცვას «შეერიოს» ეკონომიური ან «სხვა რაიმე» (დახე, დახე!) «მოთხოვნა», ხოლო კადეტურმა «რეჩმა» თანაგრძნობით გადაბეჭდა ამ სტატიის მთავარი ადგილები.

«ასეთი გაფიცვების დაკავშირება, — წერს ბ-ნი ლიბერალი, — სწორედ 1-ლი მაისის მომენტთან უფრო ხშირად უსაფუძვლოა... და როგორლაც უცნაურიც არის: მუშათა მსოფლიო დღესასწაულს აღვნიშნავთ და ამ შემთხვევის გამო მოვითხოვთ 10 პროცენტის მომატებას ამა და ამ ხარისხის მიტკალზე» («რეჩ» № 132).

ლიბერალისათვის «უცნაურია» ის, რაც მუშისათვის სავსებით გასაგებია. მხოლოდ ბურჟუაზიისა და მისი უზომო მოგების დამცველებს შეუძლიათ დასცინონ «მომატების» მოთხოვნას. მუშებმა კი იციან, რომ სწორედ მომატების მოთხოვნის ფართო ხასიათი, სწორედ ყოველმხრივი ხასიათი გაფიცვებისა ყველაზე მეტად იზიდავს ახალ მონაწილეთა მასას, ყველაზე მეტად უზრუნველყოფს შეტევის ძალას და საზოგადოების თანაგრძნობას, ყველაზე მეტად იძლევა როგორც თვით მუშების წარმატების, ისე მათი მოძრაობის საერთოსახალხო მნიშვნელობის გარანტიას. ამიტომ ლიბერალური დამახინჯების წინააღმდეგ, რომელსაც ქადაგებენ ბ-ნი სევერიანინი, «რუსკიე ვედომოსტი» და «რეჩი», გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ და მთელი ძალღონით მოვარიდოთ მუშები ამგვარ ვაი-მრჩევლებს.

ლიკვიდატორი ბ-ნი ვ. ეჟოვი ლიკვიდატორული გაზეთის «ნევსკი გოლოსის»[30] პირველ ნომერშივე გამოდის ასეთივე, წმინდა-ლიბერალური, დამახინჯებით, თუმცა საკითხს რამდენადმე სხვა მხრივ უდგება. ბ-ნი ვ. ეჟოვი განსაკუთრებით ჩერდება იმ გაფიცვებზე, რომლებიც გამოიწვია დაჯარიმებამ მაისობაში მონაწილეობისათვის. სამართლიანად აღნიშნავს რა მუშების არასაკმაო ორგანიზებულობას, ავტორი ამ სამართლიანი მითითებიდან აკეთებს უაღრესად მცდარ და მუშებისათვის უაღრესად მავნე დასკვნებს. ბ-ნი ეჟოვი არაორგანიზებულობას იმაში ხედავს, რომ ერთ ფაბრიკაში გაფიცული იყვნენ მხოლოდ პროტესტისათვის, მეორეში ეკონომიურ

მოთხოვნებს უმატებდნენ და ა. შ. ნამდვილად კი გაფიცვების ფორმების ამ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ა შ ი ჯერ კიდევ არავითარი არაორგანიზებულობა არ არის: სისულელეა წარმოვიდგინოთ ორგანიზებულობა მაინცდამაინც ერთფეროვნების სახით! არაორგანიზებულობა სრულებითაც არ არის იქ, სადაც მას ბ-ნი ეჟოვი ეძებს.

მაგრამ გაცილებით უარესია მისი დ ა ს კ ვ ნ ა:

«ამის მეოხებით» (ე. ი. გაფიცვების სხვადასხვაობისა და პოლიტიკასთან ეკონომიკის შეხამების სხვადასხვა ფორმების მეოხებით) «შემთხვევათა მნიშვნელოვან რაოდენობაში პროტესტის პრინციპული ხასიათი (ხუთი შაურისათვის ხომ არ გაფიცულან) მიიჩქმალა, იგი გართულებულ იქნა ეკონომიური მოთხოვნებით»...

ეს ჭეშმარიტად აღმაშფოთებელი, თავიდან ბოლომდე ცრუ და თავიდან ბოლომდე ლიბერალური მსჯელობაა! იმის ფიქრი, რომ «ხუთი შაურის» მოთხოვნას შ ე უ ძ ლ ი ა «მიჩქმალოს» პროტესტის პრინციპული ხასიათი, ნიშნავს კადეტის დონემდე დაშვებას. პირიქით, ბ-ნო ეჟოვ, «ხუთი შაურის» მოთხოვნა არა დაცინვის, არამედ სრული ცნობის ღირსია! პირიქით, ბ-ნო ეჟოვ, ეს მოთხოვნა კი ა რ «ჩქმალავს», არამედ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს «პროტესტის პრინციპულ ხასიათს»! ჯერ-ერთი, ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი ა გ რ ე თ ვ ე პრინციპული და უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხია, და მეორეც, მე კი არ ვასუსტებ, არამედ ვაძლიერებ ჩემს პროტესტს, როცა პროტესტს ვაცხადებ ჩაგვრის არა ერთი, არამედ ორი, სამი და ა. შ. გამოვლინების წინააღმდეგ.

ყოველი მუშა გულისწყრომით დაგმობს ბ-ნ ეჟოვის მიერ საქმის აღმაშფოთებელ ლიბერალურ დამახინჯებას.

ეს ბ-ნ ეჟოვს სრულებითაც არ წამოსცდენია. შემდეგ იგი კიდევ უფრო აღმაშფოთებელ რამეს წერს:

«საკუთარ გამოცდილებას უნდა ეკარნახა მუშებისათვის, რომ მიზანშეწონილი არ არის გაართულონ თავიანთი პროტესტი ეკონომიური მოთხოვნებით, სწორედ ისევე, როგორც ჩვეულებრივი გაფიცვა გაართულონ პრინციპული მოთხოვნით».

მართალი არ არის, ათასგზის არ არის მართალი! სირცხვილი «ნევსკი გოლოსს», ასეთ სიტყვებს რომ ბეჭდავს. სავსე-

ბით მიზანშეწონილია ის, რაც ბ-ნ ეჟოვს მიზანშეუწონელი ჰგონია. ყოველი მუშის საკუთარი გამოცდილებაც და რუსეთის ძალიან ბევრი მუშის ცოტა ხნის წინანდელი გამოცდილებაც იმის საწინააღმდეგოს მოწმობს, რასაც ბ-ნი ეჟოვი გვასწავლის.

მხოლოდ ლიბერალებს შეუძლიათ პროტესტს აცხადებდნენ თუნდაც სრულიად «ჩვეულებრივი» გაფიცვის «პრინციპული მოთხოვნებით» «გართულების» წინააღმდეგ; ეს ერთი. და მეორეც, ძალიან ცდება ჩვენი ლიკვიდატორი, ახლანდელ მოძრაობას «ჩვეულებრივი» გაფიცვების საზომით რომ ზომავს.

და ტყუილად ცდილობს ბ-ნი ეჟოვი დამალოს თავისი ლიბერალური კონტრაბანდა უცხო დროშით, ტყუილად რევს ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის შეხამების საკითხს როგორც ერთის, ისე მეორის მომზადების საკითხში! რა თქმა უნდა, ვამზადებდეთ და ვემზადებოდეთ, თანაც რაც შეიძლება საფუძვლიანად, მწყობრად, დარაზმულად, მოფიქრებულად, მტკიცედ, ყოველივე ეს ფრიად სასურველია. ამაზე დავა არ შეიძლება. მაგრამ უნდა ვამზადებდეთ, წინააღმდეგ ბ-ნ ეჟოვისა, სწორედ ორი სახის გაფიცვის შეხამებას.

«ჩვენ წინაშეა ეკონომიური გაფიცვების ხანა, — წერს ბ-ნი ეჟოვი. — გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, ეს გაფიცვები მუშათა პოლიტიკურ გამოსვლებთან რომ გადაბლართულიყო. ასეთი აღრევა მავნე გავლენას მოახდენდა მუშების როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ბრძოლაზე».

უფრო შორს წასვლა, ვგონებ, აღარ შეიძლება! ამ სიტყვებიდან ცხადზე უცხადესად ჩანს ლიკვიდატორის დაცემა ჩვეულებრივი ლიბერალის დონემდე. ყოველი ფრაზა შეცდომას შეიცავს! ყოველი ფრაზა პირდაპირ საწინააღმდეგოდ უნდა გადააკეთო, სიმართლე რომ მიიღო!

მართალი არ არის, რომ ჩვენ წინაშეა ეკონომიური გაფიცვების ხანა. სწორედ პირიქით. ჩვენ წინაშეა არა მარტო ეკონომიური გაფიცვების ხანა. ჩვენ წინაშეა პოლიტიკური გაფიცვების ხანა. ფაქტები, ბ-ნო ეჟოვ, თქვენს ლიბერალურ

დამახინჯებებზე უფრო ძლიერია, და თქვენ რომ მიგელოთ გაფიცვების სტატისტიკური ბარათები, რომლებსაც ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში აგროვებენ, მთავრობის ეს სტატისტიკაც კი სავსებით გააბათილებდა თქვენს აზრს.

მართალი არ არის, რომ «გადახლართვა» შეცდომა იქნებოდა. სწორედ პირიქით. გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, მუშებს რომ ვერ გაეგოთ სწორედ ასეთი «გადახლართვის» მთელი თავისებურება, მთელი მნიშვნელობა, მთელი საჭიროება, მთელი პრინციპული აუცილებლობა. მაგრამ მუშებს, საბედნიეროდ, ჩინებულად ესმით ეს და ზიზღით უკუაგდებენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსების ქადაგებას.

დასასრულ, მართალი არ არის, რომ ასეთი შერევა «მავნე გავლენას მოახდენდა» ორივე ფორმაზე. სწორედ პირიქით. იგი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო გავლენას ახდენს ორივეზე. იგი აძლიერებს ორივეს.

ბ-ნი ეჟოვი ჭკუას არიგებს მის მიერ აღმოჩენილ ვიღაც «ფიცხ ადამიანებს». მოუსმინეთ:

«საჭიროა ორგანიზაციულად განვამტკიცოთ მუშათა მასების განწყობილება»... წმინდა ჭეშმარიტებაა! — ...«საჭიროა გავაძლიეროთ აგიტაცია პროფ. კავშირებისათვის, ჩავაბათ პროფ. კავშირებში ახალი წევრები»...

სრული სიმართლეა, მ ა გ რ ა მ... მაგრამ, ბ-ნო ეჟოვ, შეუწყნარებელია შ ე ზ ღ უ დ ო თ «ორგანიზაციული განმტკიცება» მარტო პროფ. კავშირებით! გახსოვდეთ ეს, ბ-ნო ლიკვიდატორო!

...«ეს მით უფრო საჭიროა, რომ მუშებს შორის ახლა ცოტა როდი მოიპოვება ფიცხი ადამიანი, რომელიც გატაცებულია მასობრივი მოძრაობით და მიტინგებზე გამოდის კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომლებიც თითქოს უსარგებლო და ზედმეტია»...

ეს ლიბერალური ცილისწამებაა მუშების მიმართ. «კავშირების წინააღმდეგ» კი არ გამოდიოდნენ მუშები, რომლებმაც გუნება გაუფუჭეს და მუდამაც გაუფუჭებენ გუნებას ლიკვიდატორებს. არა, მუშები გამოდიოდნენ ორგანიზაციული განმტკიცების მარტოოდენ «პროფ. კავშირებით» იმ შ ე ზ-

ლუდვის წინააღმდეგ, რომელიც ასე ცხადად ჩანს ბ-ნ ეჟოვის წინა ფრაზიდან.

მუშები გამოდიოდნენ არა «კავშირების წინააღმდეგ», არამედ მათი ბრძოლის ხასიათის იმ ლიბერალური დამახინჯების წინააღმდეგ, რომლითაც გაჟღენთილია ბ-ნ ეჟოვის მთელი სტატია.

რუსეთის მუშა საკმაოდ მომწიფებულია პოლიტიკურად, რომ გაიგოს თავისი მოძრაობის დიდი საერთოსახალხო მნიშვნელობა. იგი საკმაოდ მომწიფებულია, რომ გაიგოს ლიბერალური მუშათა პოლიტიკის მთელი სიყალბე, მთელი უბადრუკობა, და ყოველთვის ზიზღით უკუაგდებს მას.

დაიბეჭდა 1912 წ. 31 მაისს
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდაში» № 10
ხელმოწერა: ი ვ. პ ე ტ რ ო ვ ი

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია ტექსტთან
კრებულისა
«მარქსიზმი და ლიკვიდატორობა»,
ნაწილი II, სპბ, 1914 წ.

გადასახლების საკითხი

როგორც ცნობილია, გლეხების გადასახლებაზე მთავრობა და კონტრრევოლუციური პარტიები განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდნენ. გადასახლება მოწოდებული იყო, ყველა კონტრრევოლუციონერის აზრით, თუ რადიკალურად არ გადაეჭრა, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მაინც შეენელებინა და უვნებელეყო აგრარული საკითხი. აი რატომ იყო, რომ გადასახლების განსაკუთრებული რეკლამირება და ყოველნაირად წაქეზება დაიწყეს სწორედ მაშინ, როცა მოახლოვდა, ხოლო შემდეგ განვითარდა გლეხთა მოძრაობა ევროპის რუსეთში.

რაც მთავრობის წარმომადგენლებსა და უფრო შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს, მაგალითად, ოქტიაბრისტთაგან, გულში აქვთ, ის ისეთ აშკარა რეაქციონერებს, როგორიცაა კურსკის ზუბრი მარკოვი მე-2, ენაზე აკერიათ. და ამ დეპუტატმა გულახდილად, საქები პირდაპირობით, განაცხადა გადასახლების საკითხის სათათბიროში განხილვისას: «დიახ, მთავრობამ აგრარული საკითხი სწორედ გადასახლებით უნდა გადაჭრასო» (1-ლი სესია).

ეჭვს გარეშეა, რომ სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში გადასახლებას შეეძლო ერთგვარი როლი შეესრულებინა რუსეთის სამეურნეო განვითარებაში. ცხადია, ეს როლი გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ ახლაც კი, როცა გლეხების სრულიად აუტანელი მდგომარეობა ისეთია, რომ რუსი გლეხი მზად არის არა მარტო ციმბირში გაიქცეს, არამედ ცხრა მთას იქითაც; ახლაც კი, როცა მიწამცირე და უმიწაწყლო გლეხებს,

იმისათვის რომ მემამულეთა ლატიფუნდიების ცქერის ცდუნებას მოაშორონ, ყოველნაირად აქეზებენ გადასახლებისა და გასახლებისათვის; როცა 9 ნოემბრის ბრძანებულებამ[31] უაღრესად გაუადვილა გადასახლებულთ სამშობლოში თავიანთი მეურნეობის ნაშთების ლიკვიდაცია; ახლაც კი, როგორც ბუნებრივი მატების აპოლოგეტებმაც უნდა აღიარონ; და მხოლოდ იმ გუბერნიებში, რომლებიც გასახლებულთა ყველაზე დიდ პროცენტს იძლევიან (სამხრეთი, დასავლეთი და რუსეთის შავნიადაგიანი ცენტრი), იგი უდრის ბუნებრივ მატებას ან მხოლოდ ოდნავ აღემატება მას.

მიუხედავად ამისა, ციმბირში ჯერ კიდევ არის გადასახლებისათვის ვარგისი თავისუფალი მიწების მნიშვნელოვანი მარაგი. მართალია, ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული იმისათვის, რომ იგი თუნდაც დაახლოებითი სიზუსტით განისაზღვროს. კულომზინი ჯერ კიდევ 1896 წელს საკოლონიზაციო მიწების მარაგს 130 ათას სულობრივ წილს ანგარიშობდა. მას შემდეგ გამოყოფილ იქნა ათჯერ მეტი წილი, ხოლო მარაგი ჯერაც არ ამოწურულა. პირიქით, გადასახლების სამმართველოს გამოანგარიშებით, 1900 წლისათვის გადასასახლებლად ვარგისი მიწების არსებული მარაგი განსაზღვრულია 3 მილიონი სულობრივი წილით — 6 მილიონი გადასახლებულისათვის. როგორც ვხედავთ, ციფრები უაღრესად განსხვავებულია; მათი რყევის დიაპაზონი ფრიად მნიშვნელოვანია.

რაც უნდა იყოს, უკანასკნელ ციფრებში კიდევაც რომ სათვალავში არ მივიღოთ ერთგვარი პროცენტი, რაც ჩვეულებრივი ბიუროკრატიული უდარდელობის წილად მოდის, მაინც უეჭველია, რომ მიწების მარაგი ციმბირში ჯერ კიდევ არის და რომ, მაშასადამე, იქ გადასახლებას შეიძლებოდა ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონოდა როგორც ციმბირისთვის, ისე რუსეთისათვის, ოღონდ თუ მიზანშეწონილად იქნებოდა მოწყობილი.

სწორედ ამ **conditio sine qua non** *-ს არ ასრულებს ახლანდელი მთავრობა. გადასახლების საქმის ახლანდელი ორგა-

* — საჭიროებულო პირობა. რ ე დ.

ნიზაცია ერთხელ კიდევ გვიჩვენებს და ამტკიცებს, რომ ჩვენი «ძველი წესწყობილება» აბსოლუტურად მოკლებულია უნარს დააკმაყოფილოს მოსახლეობის სრულიად ელემენტარული სამეურნეო საჭიროებანი; გადასახლების ცუდი დაყენება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მდგომარეობის ახლანდელ ბატონ-პატრონებს უნარი არ შესწევთ თუნდაც რაიმე გააკეთონ ქვეყნის სამეურნეო პროგრესისათვის.

სწორედ გადასახლების პოლიტიკის მიმართულების, ხასიათისა და განხორციელების გარკვევისადმი იყო მიძღვნილი ყოველ წელიწადს ს.-დ. დეპუტატთა სიტყვები გადასახლების სამმართველოს საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვის განხილვისას.

რა მიზანს ისახავს მთავრობა გლეხების გადასახლებისას? აი ძირითადი საკითხი, რომელიც განსაზღვრავს ყველა დანარჩენს, ვინაიდან მთავრობის საგადასახლებო პოლიტიკის მიზნით განისაზღვრება მთელი მისი ხასიათი.

დეპუტატმა ვოილოშნიკოვმა, რომელიც ს.-დ. ფრაქციის სახელით გამოვიდა სათათბიროს მე-2 სესიაზე, ასე დაახასიათა ის ამოცანები, რომლებსაც მთავრობა ისახავს გლეხების გადასახლებისას. «გადასახლების პოლიტიკა — თქვა დეპუტატმა ვოილოშნიკოვმა — მთავრობის მთელი აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი რგოლია. მემამულეებს სუსტი და შეუძლო გლეხები სჭირდებოდათ როგორც იაფი მუშახელი, და მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა შეეფერხებინა გადასახლება და ადგილებზე დაეტოვებინა ჭარბი მოსახლეობა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: იგი გულმოდგინედ იბრძოდა თვითნებური გადასახლების წინააღმდეგ და ამით ცდილობდა დაეხურა ეს დამცავი სარქველი; მაგრამ მოსახლეობის იმ დროის ბუნებრივი მატება კვლავ გრძელდებოდა, დროება შეიცვალა; აღიმართა პროლეტარიატისა და დამშეული გლეხობის მრისხანე ღრუბელი მთელი თავისი შედეგებით. მთავრობამ და მემამულეებმა ხელი ჩასჭიდეს გადასახლებას და საფუძვლად დაუდვეს იგი, 9 ნოემბრის ბრძანებულებასთან ერთად, თავიანთ აგრარულ პოლიტიკას, მაგრამ იქ 9 ნოემბრის ბრძანებულების გატარებისას ყურადღება მიპყრობილი იყო შეძლე-

ბულებსა და ღონიერებზე, იმაზე, რომ მიწა ჩამოერთმიათ სუსტებისათვის და გადაეცათ იგი ღონიერი გლეხებისათვის, აქ კი საქმე ეხება იმას, რომ რაც შეიძლება მეტი სუსტი გლეხი გარეკონ ციმბირში, და თუმცა ამ ბოლო დროს შემჩნეულია შეძლებული გადასახლებულის საშუალო დონის ამაღლების ტენდენცია, მაინც, მთავარ მასას, სტოლიპინის ტერმინოლოგიით, კვლავ სუსტები შეადგენენ. ამ გულმოდგინედ გარეკვაში სწორედ ასევე იღებენ მონაწილეობას, ანუ, მე ვიტყვი, ამ მონაწილეობისათვის მოიზიდეს მიწათმომწყობი კომისიები.

მიწათმომწყობ კომისიებს ევალებათ მისცენ, ჩაურიცხონ გადასახლებულებს ნაკვეთები და ამით ბოლო მოუღონ ყოფილ აგრარულ არეულობას. ამრიგად, ბატონებო, 9 ნოემბრის ბრძანებულება, გადასახლების გულმოდგინე რეკლამირება, სუსტი გლეხების გულმოდგინედ გარეკვა ციმბირში და მიწათმომწყობი კომისიები — ეს ერთი და იმავე საკითხის, ერთი და იმავე პოლიტიკის ორი მჭიდროდ დაკავშირებული მხარეა. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ 9 ნოემბრის ბრძანებულების გატარება ხელს უწყობს ნადელებზე ღონიერი და შეძლებული გლეხების დამკვიდრებას სუსტი გლეხების ხარჯზე და ამით ხელს შეუწყობს ამ სუსტი, კოლონიზაციის თვალსაზრისით უვარგისი, ელემენტების გარეკვას მათთვის უცხო განაპირა მხარეებში. როგორც თემის მიმართ, ისე გადასახლების მიმართ, მთავრობის საგადასახლებო პოლიტიკა ხელმძღვანელობდა მხოლოდ ერთი მუჭა მებატონე-მემამულეებისა და, საერთოდ, გაბატონებული კლასების ინტერესებით, იმ კლასების ინტერესებით, რომლებიც ჩაგრავენ მუშათა მასებს და მშრომელ გლეხობას. მთავრობისათვის უცხოა ქვეყნის ელემენტარულ მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა გაგება» (სხდომა 77, სესია მე-2).

საქმის ეს მხარე ყველაზე სრულად გამოააშკარავა დეპუტატმა ჩხეიძემ (თავის სიტყვაში სახელმწიფო სათათბიროს მე-2 სესიაზე), რომელმაც დაწვრილებით დაგვიხატა კავკასიაში საგადასახლებო პოლიტიკის .სურათი.

სოციალ-დემოკრატმა ორატორმა, უწინარეს ყოვლისა, ფაქტებითა და ციფრებით დაამტკიცა, რომ ყველა ოფიციალური ცნობა კავკასიაში თავისუფალი მიწების შესახებ აშკარად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ დეპუტატი ჩხეიძე, მიკერძება და დამახინჯება რომ ვერავინ დასწამოს, სულ მუდამ სარგებლობდა ოფიციალური მონაცემებით და მთავრობის მოხელეთა მოხსენებებით. იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ჯერ კიდევ 80-იან წლებში შეკრიბა სახელმწიფო ქონებათა ყოფილმა მინისტრმა, «მარტო კავკასიაში სახაზინო მიწებზე დასახლებულ სახელმწიფო გლეხთა შორის ამიერკავკასიის ოთხ გუბერნიაში ითვლებოდა 22 000 სული სრულიად უმიწაწყლო, 66 000 — სულზე ერთ დესეტინამდე ნადელით, 254 000 — ერთიდან ორ დესეტინამდე ნადელით, 5 013 სული ორიდან ოთხ დესეტინამდე ნადელით, — სულ 1 000 000-მდე სული, რომელთა ნადელები კავკასიაში გადასახლებულთათვის ნადელის მიცემის მინიმალურ ნორმაზე ნაკლები იყო. ქუთაისის გუბერნიაში 29 977 კომლზე ითვლებოდა უმიწაწყლო და კომლზე ერთ დესეტინამდე ნადელის მქონე 2 541 კომლი, ერთიდან ორ დესეტინამდე — 4 227, ორიდან სამამდე — 4 016, სამიდან ხუთამდე — 5 321 კომლი. უახლესი ცნობებით, იმ სოფლების რიცხვი, რომლებსაც სრულებით არა აქვთ სახაზინო მიწა ან ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი ასეთი მიწით, ამიერკავკასიის ოთხ გუბერნიაში 46-მდე პროცენტს შეადგენს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 33 პროცენტამდე არაუზრუნველყოფილი კომლი ითვლებოდა. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროების ბაქოს კომიტეტის ანგარიშიდან ჩვენ ვიცით, რომ ასეთი, მიწით ნაკლებუზრუნველყოფილი სოფლები თავისი წრიდან გამოჰყოფენ უმიწაწყლოებს, რომლებიც სახლდებიან მიწის მნიშვნელოვანი ნადელის მქონეებთან და ასეთ დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მრავალ წელს. ხოლო სენატორი კუზმინსკი თავის ყოვლად უქვეშეკრდომილეს ანგარიშში შემდეგს ამბობს: «შემჩნეულია, რომ ზოგჯერ თვით გადასახლე-

ბულთა შემადგენლობა ისეთი პირებისაგან იქმნება, რომლებიც მიწათმოქმედებას ჩამორჩენიან და იმ მიწას, რომელიც საკოლონიზაციო მიზნებისათვის მიიღეს, იჯარით აძლევენ თანასოფლელებს ან მეზობელი სოფლის მკვიდრ გლეხებს». ამ-რიგად, ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ამიერკავკასიაში ითვლებოდა ასეულ ათასობით სახელმწიფო გლეხი, რომლებიც თითქოს უფრო უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე სხვა კატეგორიების გლეხები, რომლებსაც გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოთ მოჯამაგირენი. ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ადგილობრივი გლეხები იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ ის მიწები, რომლებიც გადმოსახლებულთ ეძლეოდათ».

ასეთია მონაცემები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ კავკასიაში სახელმწიფო გლეხების მიწით უზრუნველყოფაზე.

«რაც შეეხება, ეგრეთწოდებულ, დროებით ვალდებულ გლეხებს, — განაგრძობდა ორატორი, — გარიგების სიგელთა საფუძველზე ჩანს, რომ თბილისის გუბერნიაში სრულიად უმიწოდ დატოვებულ იქნა 1 444 კომლი და 386 კომლს საკარმიდამო მიწაც კი არ მიუღია. ეს შეადგენს თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა საერთო რაოდენობის 13 პროცენტს. ქუთაისის გუბერნიაში უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი რეფორმის დროს კიდევ უფრო დიდი იყო. კიდევაც რომ მივიღოთ ყმა-გლეხთა საერთო რაოდენობის თბილისის გუბერნიის პროპორცია, მაშინაც მათი რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში გამოვა 5 590 კომლი ანუ 25 000 სული, რომლებსაც ერთი ნაჭერი მიწაც არ მიუღიათ კავკასიაში გლეხთა განთავისუფლების დროს. რეფორმიდან 20 წლის შემდეგ, 1895 წელს, — განაგრძობს ავტორი ბარათისა სავალდებულო ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ, — ელისავეტპოლის გუბერნიაში ითვლებოდა 5 308 კომლი ანუ ორივე სქესის 25 000 სული უმიწაწყლო გლეხი. ბაქოს გუბერნიაში 3 906 კომლი ანუ ორივე სქესის 11 709 სული უმიწაწყლო. ხოლო აი მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ არიან უზრუნველყოფილი მიწით დროებით ვალდებული გლეხები, რომლებსაც თავიანთი ნადელები არ გამოუსყიდიათ, მაგრამ ერთგვარი მეურნეობა აქვთ. თბილისის გუბერნიაში სულზე მოდის 0,9 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 0,6 დესეტინა. იმათგან, ვინც გამოისყიდა, სულზე მოდის თბილისის გუბერნიაში 1,7 დესეტინა, ქუთაისის გუბერნიაში კი — 0,7 დესეტინა. ასეთია მიწით უზრუნველყოფა იმ გლეხებისა, რომლებსაც რაღაც მეურნეობა აქვთ. კავკასიაში გლეხების სამეურნეო მდგომარეობის საერთო დახასიათებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო მრეწ-

ველობის საჭიროების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ანგარიში. სხვადასხვა ოფიციალური გამოკვლევებიდან ამოღებული მონაცემებით, იმ გლეხების რაოდენობა, რომლებიც მწვავე გაჭირვებას განიცდიან, ქუთაისის გუბერნიაში 70 პროცენტს აღწევს. უფრო მეტიც, აქ მოხსენიებულია აგრეთვე ის, რომ მწვავე გაჭირვებას ქუთაისის გუბერნიაში განიცდის აზნაურთა 25%.

მიწის ნაკვეთების ასეთ მფლობელებს — განაგრძობს ანგარიში — თავიანთი სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ გარესაშოვარი აქვთ; ისინი სრულებით მოკლებული არიან შესაძლებლობას გასწიონ ხარჯები გაუმჯობესებაზე, ინვენტარსა და მინდვრების გაპატივებაზე. დიდ მოთხოვნილებას არ შეიძლებოდა არ მოეხდინა გავლენა საიჯარო ნადელების ღირებულებაზე, რომელიც შემოსავლის 60 პროცენტს აღწევს სანახევრო სისტემის დროს, ხოლო ზოგჯერ მიწის ნაყოფის ფარკვეული რაოდენობის გადახდისას მოუსავლიან წლებში საერთო შემოსავალს აღემატება. მიწის ფულადი იჯარით გაცემა იშვიათად გვხვდება, და იჯარა წელიწადში დესეტინაზე 10 მანეთს აღწევს. ეს ქუთაისის გუბერნიაში. ხოლო აი ზოგიერთი მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ არიან გლეხები უზრუნველყოფილი მიწით ელისავეტპოლის გუბერნიის ოთხ მაზრაში. აქ, იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც მფლობელთა მიწაზე მცხოვრებ ყველა გლეხს შეეხება, ჩვენ ვხედავთ, რომ ელისავეტპოლის გუბერნიის ოთხ მაზრაში, სახელდობრ: ჯიბრაილის, ზანგეზურის, შუშისა და ჯევანშირის მაზრებში მიწით უზრუნველყოფა აღწევს 0,6 დესეტინას სულზე. სენატორ კუზმინსკის გამოანგარიშებით, ბაქოს გუბერნიის ლენქორანის მაზრაში საშუალო ნადელი მფლობელთა მიწაზე დასახლებულთა მამრობითი სქესის ერთ სულზე აღწევს 0,5 დესეტინამდე. ყუბის მაზრაში 0,9 დესეტინამდე. ასეთია, ბატონებო, — დაამთავრა ორატორმა — გლეხთა უზრუნველყოფა მიწით ამიერკავკასიაში».

თუ მცირემიწიანობის მხრივ კავკასიელ გლეხთა მდგომარეობა ბევრით არაფრით განსხვავდება რუსეთის გლეხთა მდგომარეობისაგან, მაშინ საკითხავია, საიდანღა იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რისთვის ხდება იქ გადასახლება, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების განსახლება მოახდინონ?

გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილ-მამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება «განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის» კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის.

დეპ. ჩხეიძემ მოიყვანა აგრეთვე ოფიციალური წყაროებიდან ამოღებული მთელი რიგი მონაცემები, თუ როგორ ერეკებოდნენ ადგილობრივ მკვიდრთა მთელ სოფლებს თავიანთი მამაპაპისეული ადგილებიდან მიწის საკოლონიზაციო ფონდის შექმნის ინტერესებისათვის, როგორ აჭახრაკებდნენ მთელ რიგ სასამართლო პროცესებს, რათა გაემართლებინათ მთიელების მიწის ექსპროპრიაცია (თავადაზნაურობის წინამძღოლის თავ. წერეთლის მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ქუთაისის მაზრის მთიანი სოფლის კიკნაველეთის შესახებ) და ა. შ. და ყოველივე ეს ერთეული და გამონაკლისი ფაქტები კი არ არის, არამედ «ტიპიური შემთხვევები», როგორც სენატორი კუზმინსკიც აღნიშნავს.

ამის შედეგად გადასახლებულთა და მკვიდრთა შორის პირდაპირ მტრული ურთიერთობა იქმნება. მაგალითად, როცა ალარის საზოგადოება თავისი მიწებიდან გარეკეს, «გაასახლეს», როგორც გამოთქვამს სენატორი კუზმინსკი, «ისე, რომ მიწით არ უზრუნველყვეს, ბედის ანაბარად», ის გადმოსახლებულნი, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს მისი მიწა, ხაზინის ხარჯზე შეაიარაღეს: ადგილობრივ მაზრის უფროსებს წინადადება მიეცათ «იზრუნონ იმისათვის, რომ მუღანზე ახლად შექმნილი სოფლების გლეხები, მათ შორის პოკროვსკოელებიც, მომარაგებულ იქნენ იარაღით — 10 ბერდანის თოფით 100 კომლზე». ეს საინტერესო ილუსტრაციაა ახლანდელი პოლიტიკის «ნაციონალისტური კურსის» დასახასიათებლად.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატები ზეიმით აღნიშნავდნენ 1 700 000 დესეტინა საგადასახლებო ფონდის არსებობას, როგორც ამას კავკასიის მეფისნაცვალი იუწყება. მაგრამ როგორც მეფისნაცვალიც მოწმობს, ამ ფონდის თითქმის ნახევარი უკვე დაკავებულია გადასახლებულების მიერ, მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთ ადგილებშია, სადაც, როგორც კვლავ მეფისნაცვალი ადასტურებს, მიუჩვეველ სოფლის მეურნისათვის ფიზიკურად შეუძლებელია აწარმოოს მეურნეობა.

დეპ. ჩხეიძემ აგრეთვე დაახასიათა, როგორ აწყობს მთავრობა ახალდასახლებულებს ადგილებზე. «გადასახლებულთა ნაკვეთების არასაკმაო წყალმომარაგება და რწყვა, ნათქვამია მეფისნაცვლის ბარათში, უმთავრესად ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ადგილებში, იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რომ იქ უკვე დამკვიდრებული გადასახლებულნი უკანვე ბრუნდებიან. შავი ზღვის მხარიდან ახალდასახლებულნი გარბიან იმის გამო, რომ საურმე გზები არ არის არა მარტო ცალკეულ ახლადდასახლებულ პუნქტებს შორის, არამედ თვით გადასახლებულთა ნაკვეთების ფარგლებშიც. ამას უნდა დაემატოს, რომ გადასახლებულთათვის არახელსაყრელი, უჩვეულო კლიმატური პირობები, რასაც კავკასიის ბევრ ადგილას თან ახლავს მალარიული დაავადება, რითაც იღუპებიან არა მარტო ადამიანები, არამედ პირუტყვიც კი, თავის მხრივ, უგზოობაზე არანაკლებად უწყობს ხელს ნაკლებმტკიცე ახალდასახლებულთა გაქცევას ამ მხარიდან. აღნიშნული მიზეზების გავლენით განუწყვეტლივ ხდება გასახლება ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებიდან და დაღისტნის ოლქიდან, აგრეთვე თბილისისა და შავი ზღვის გუბერნიებიდან».

ამის შედეგად, აი როგორ შეფასებას აძლევს კავკასიაში გადასახლების საქმეს თვით მეფისნაცვალი. «ის დამოკიდებულება კავკასიის მოსახლეობისადმი მის საადგილ-მამულო საქმეებში, რაც ამ ბოლო დრომდე იყო პრაქტიკაში გამოყენებული», — ამბობს მეფისნაცვალი, — «აღარ შეიძლება შეწყნარებულ იქნეს და უკვე იმიტომ, რომ იგი, უეჭველია, საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის რევოლუციურ განწყობილებაში».

სრულიად ანალოგიურ ამოცანებს ისახავენ მთავრობა და მმართველი კლასები გლეხების ციმბირში გადასახლებისას; ამ შემთხვევაშიც, ისახავენ რა პოლიტიკურ მიზნებს, სრულებით არ უწევენ ანგარიშს არც გადასახლებულთა ინტერესებს და არც ძველ მკვიდრთა უფლებებს.

გასახლების ადგილებში, რუსეთში, გადასახლების საქმის გაძღოლა ახლა მინდობილი აქვთ მიწათმომწყობ კომისიებს,

საერობო უფროსებსა და გუბერნატორებს. საარსებოდ დაინტერესებულნი იმით, რომ შეამცირონ ადგილობრივი მიწამცირე და უმიწაწყლო გლეხობა, რომ ადგილებზე დატოვონ იგი მხოლოდ იმდენი, რაც დააკმაყოფილებს მსხვილი მიწათმფლობელობის საჭიროებას (როგორც დაქირავებული მუშახელის მიმწოდებელი), მიწათმომწყობი კომისიები იმდენად ენერგიულად ეწეოდნენ ღარიბი გლეხების «გასახლებას», რომ გადასახლების სამმართველოს ბუზღუნსაც კი იწვევდნენ. «მიწათმომწყობი კომისიები» — პროტესტს აცხადებდა გადასახლების საქმის ერთი მოხელე, — «ქმნიან სრულიად ღატაკთა პარტიებს, რომლებსაც ადგილიდანვე სჭირდებათ საგზაო დახმარება, სესხი არა სახლ-კარის მოწყობისათვის, არამედ გამოსაკვებად; მაგრამ თუ, როგორც გამონაკლისი, კიდევაც გვხვდება ისეთი გადასახლებული, რომელსაც მცირეოდენი ფულის მარაგი აქვს, ეს ფული მას მთლიანად ეხარჯება მგზავრობასა და კვებაზე».

და ეს «სუსტი» გერები საადგილ-მამულო პოლიტიკისა, რომელმაც თავის დევიზად გამოაცხადა «ძლიერებზე დაყრდნობა», მთელ გროვებად იგზავნებიან ციმბირში მოუწყობელი პირუტყვის ვაგონებით, რომლებიც გაჭედილია მოხუცებით, ბავშვებით, ორსული ქალებით. ამავე პირუტყვის ვაგონებში (განთქმული წარწერით — 40 კაცი, 8 ცხენი) გადასახლებულნი ამზადებენ საჭმელს, რეცხავენ საცვლებს, ხშირად აქვე წვანან გადამდები სენით დაავადებულნი, რომლებსაც გადასახლებულნი ჩვეულებრივად მალავენ, იმის შიშით, რომ მათ მატარებლიდან გადმოსხამენ და, ამრიგად, ისინი პარტიას ჩამორჩებიან. საბოლოო პუნქტებსა და სადგურებზე გადასახლებულები გადაყავთ ხოლმე უკეთეს შემთხვევაში სპეციალურად მოწყობილ კარვებში, ხოლო უარეს შემთხვევაში პირდაპირ ღია ცის ქვეშ, მზესა და წვიმაში. დეპ. ვოილოშნიკოვმა სათათბიროში ილაპარაკა, რომ მან თვითონ ნახა სრეტენსკის პუნქტზე ტიფიანი ავადმყოფები, რომლებიც უსაფროდ იყვნენ წვიმაში. და გადასახლებულთა მგზავრობის სწორედ ასეთ პირობებს, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ, ორი მი-

ნისტრი (სტოლიპინი და კრივოშეინი) «ასატანად» თვლიდა: «გადასახლებულთა მგზავრობის სანიტარული პირობები ასატანიაო», — ყოვლად უქვეშევრდომილესად მოახსენებენ ისინი, — «გზაში ბევრნი უჩვეულო მოხერხებულ პირობებსაც კი პოულობენო». ჭეშმარიტად, უსაზღვროა ბიუროკრატიული უდარდელობა!

«აღთქმულ ქვეყანაში» მიმავალ გზაზე ასეთ ტანჯვას რომ იტანენ, უღარიბესი გადასახლებულნი ბედნიერებას ვერც ციმბირში პოულობენ. აი, მაგალითად, როგორ დაახასიათა მათი მოწყობა ახალ ადგილებზე ოფიციალური მოხსენებებიდან მოყვანილი ციტატებით დეპ. ვოილოშნიკოვმა.

ერთი მოხელე (გადასახლების სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე) წერს: «მეტი წილი ნაკვეთები გაფანტულია უღრან, უწყლო, უნათესო, უსაძოვრო ადგილებში». მეორე დასძენს: «სესხის საქმემ სრულებით დაკარგა სახლ-კარის მოწყობის მნიშვნელობა; სესხების ოდენობა თავისთავად მეტად მცირეა სახლ-კარის მოწყობაში არსებითი დახმარების გასაწევად. სესხების გაცემის დამყარებულმა წესმა ეს საქმე პირწავარდნილ ფილანთროპიად გადააქცია, 150 მანეთი სესხის ფულით სახლ-კარის მოწყობა და ორ წელიწადს თავის რჩენა შეუძლებელია».

აი, მაგალითისათვის, აღწერა ახალდასახლებულთა სანიტარული მდგომარეობისა იმავე ოფიციალურ მოხსენებებში:

«ტიფის შემდეგ, — წერს ერთი მოხელე *, — არანაკლებ გავრცელდა აქ სურავანდი; თითქმის ყველა სოფელში, ყველა ქოხში არიან ამ სენით დაავადებულნი ან მისი კანდიდატები. ხშირად ერთ ქოხში წვანან როგორც ერთი, ისე მეორე სენით დაავადებულნი. ოკურ-შასის უბანზე მე ვნახე ასეთი სურათი: სახლის უფროსი წევს ტიფით ავადმყოფი აქერცვლის პერიოდში, მისი ორსული ცოლი მეტად დასუსტებულია ცუდი კვების გამო; ვაჟი, 12 წლის ბიჭუნა, ჯირკვლებგადიდებული და სურავანდით დაავადებულია; ცოლისდა დაავადებულია სურავანდით, სიარული არ შეუძლია, ძუძუთა ბავშვი ჰყავს; მისი ათი წლის ბიჭუნაც სურავანდიანია, ცხვირში სისხლი სდის და მუხლებში სისუსტეს გრძნობს, და მთელ ოჯახში მხოლოდ ამ ქალის ქმარია ჯანსაღი.

* «ბარათი», გვ. 8.

სურავანდისა და ტიფის შემდეგ განსაკუთრებით გავრცელებულია აკურრი. შეიძლება შევხვდეთ სოფლებს, სადაც უკლებლივ ყველა გადასახლებული დაავადებულია აკურით. ნაკვეთების ჯგუფები მდინარე ემნიაზე მთლად ულრანტყიანია, სადაც არც სახნავია, არც სათიბი, და ახალდასახლებულებმა ორ-სამ წელიწადში ძლივს დაამუშავეს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთები და აიშენეს უბადრუკი ქოხები. საკუთარ პურზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა; თავს ირჩენდნენ მხოლოდ და მხოლოდ სესხით, და როცა ეს უკანასკნელი გათავდა, დადგა პურის საშინელი ნაკლებობა; ბევრნი პირდაპირ შიმშილობდნენ. პურის ნაკლებობას უნდა დაემატოს სასმელი წყლის ნაკლებობა».

ასეთი მოხსენებები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. რა საშინელიც უნდა იყოს ეს ოფიციალური ცნობები, ეტყობა იქ მაინც მთლიანად არ არის ნათქვამი ყველაფერი, რაც არის და, ამრიგად, სინამდვილე შეფერადებულია. მაგალითად, საერთოსაერობო ორგანიზაციის რწმუნებული, თავადი ლვოვი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იყო და რომელიც, როგორც ცნობილია, ზომიერ შეხედულებათა ადამიანია, ასე ახასიათებს კოლონიზაციას ამურისპირა მხარეში:

«ქვეყნიერებას მოწყვეტა, როგორც უკაცრიელ კუნძულზე, ყრუ ტაიგის ჭაობებში, დაჭაობებულ დაბლობებსა და დაჭაობებულ მთებში, ცხოვრების, შრომისა და საზრდოობის სრულიად ველური პირობები აბეჩავებს სულიერად სუსტ და ღატაკ გადასახლებულს. თავისი უბადრუკი საცხოვრებლის მოსაწყობად მკაცრ ბუნებასთან ბრძოლის დასაწყისშივე ენერგიის მკირეოდენი მარაგი რომ გამოელევა, იგი აპათიას ეძლევა. სურავანდი და ტიფი ადვილად ერევა დასუსტებულ ორგანიზმს და სასაფლაოზე მიჰყავს იგი. 1907 წლის ბევრ სოფელში პირდაპირ წარმოუდგენელი სიკვდილიანობაა, 25 და 30 პროცენტი. იქ რამდენი კომლიცაა, იმდენივე ჯვარია, და ბევრი სოფელი ვაშწირულია იმისათვის, რომ მთლად გადასახლდეს ახალ ნაკვეთებზე ან ამოწყდეს. უბედური ოჯახების რამდენი მწარე ცრემლი იღვრება, რამდენი ძვირადღირებული დაკრძალვა ხდება სახელმწიფოს ხარჯზე შორეულ განაპირა მხარეში, ნაცვლად კოლონიზაციისა! მალე როდი დადგებიან ფეხზე გადასახლებულთა შარშანდელი გაძლიერებული ტალღის ნაშთები, რომლებიც ტაიგამ გაანადგურა. კიდევ ბევრნი ამოწყდებიან, ბევრნი გაიქცევიან, რუსეთში დაბრუნდებიან, სახელს გაუტეხენ ამ მხარეს თავიანთ უბედურებაზე თხრობით, დააფრთხობენ ხალხს და შეაფერხებენ შემდგომ გადასახლებას. ტყუილად კი არ არის, რომ წელს უმაგალითო ზომით ხდება ზღვისპირეთის ოლქიდან უკანვე გადმოსახლება და ხუთჯერ ნაკლებია იქ გადასახლებულთა ახალი ნაკადი».

თავადი ლვოვი სამართლიანად არის აღშფოთებული იმის გამო, რომ გადასახლებული მოწყვეტილია ქვეყნიერებას და მიგდებულია ციმბირის თვალუწვდენელ ტაიგებში, მეტადრე ციმბირის უგზოობის პირობებში. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ბრწყინვალედ მიმდინარეობს ახლა იქ ცალკეულ ხუტორულ მეურნეობათა დანერგვა და საოტრუბო ნაკვეთების გამოყოფა, ვინაიდან აგრარული პოლიტიკის იგივე ხელმძღვანელები აცხადებდნენ «ციმბირში საადგილმამულო პოლიტიკის გადამწყვეტი შემობრუნების (!) აუცილებლობას», «კერძო საკუთრების შექმნასა და განმტკიცებას», «ცალკეული გლეხებისათვის მათი ნაკვეთების დამკვიდრებას 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე», «გადასახლებულთა ნაკვეთების გამოყოფას, შეძლებისდაგვარად მიწის ოტრუბებად განაწილებით» * და სხვ.

სავსებით ბუნებრივია, რომ კოლონიზაციის ასეთ პირობებში, გადასახლების სამმართველოს მონაცემებით, 1903 — 1905 წლებში მოწყობილ გადასახლებულთა რიცხვიდან, 10 პროცენტს არ ჰყავდა არცერთი სული მუშა-პირუტყვი, 12 პროცენტს ჰყავდა მხოლოდ თითო სული მუშა-პირუტყვი, 15 პროცენტს არ ჰყავდა ძროხა და 25 პროცენტს არ ჰქონდა გუთანი (დეპუტატ გაიდაროვის სიტყვიდან 1-ლ სესიაზე. მაშინ იგი ს.-დ. ფრაქციის სახელით გამოდიოდა). ამიტომ დეპ. ვოილოშნიკოვმა, იმავე ოფიციალურ ცნობებზე დაყრდნობით, სავსებით სამართლიანად შემდეგნაირად შეაჯამა გადასახლების პოლიტიკის 1906 — 1908 წლების შედეგი:

«სამი წლის, 1906, 1907 და 1908 წლების, განმავლობაში ურალს იქით გადაყვანილ იქნა ორივე სქესის 1 552 439 სული, სანახევროდ ღატაკნი, რომლებიც მთავრობის რეკლამამ გაიტაცა უცნობ მხარეებში და რომლებიც ბედის ანაბარად იქნენ მიტოვებულნი. მათგან მოეწყო, — როგორც წერს გადასახლების სამმართველო, — 564 041 კაცი, უკანვე დაბრუნდა ორივე სქესის 284 984 სული. ამრიგად, გადასახლების სამმართველოს ცნობებით ვიცით 849 025 კაცის შესახებ, სად წავიდა დანარჩენი? სადღაა 703 414 კაცი? ბატონებო, მთავრობამ ძალიან კარგად იცის, თუ რა მწარე ბედი

* «ბარათი», გვ. 60, 61, 62.

ეწიათ მათ, მაგრამ მათზე იგი არაფერს გვეტყვის; მათი ნაწილი ძველ ბინადართა სოფლებს მიეწერა, ნაწილმა ციმბირის პროლეტარიატის რიგები შეავსო და მათხოვრობს.

მაგრამ უდიდეს ნაწილს მთავრობამ ძვირადღირებული დაკრძალვა მოუწყო, და აი რატომ არის, რომ მათ შესახებ მთავრობა დუმს».

ასე მართლდება მარკოვ II-ის იმედები გადასახლების გზით «გადაწყვიტოს აგრარული საკითხი». ასეთი ფაქტების წინაშე მსხვილი კაპიტალის ოქტიაბრისტი წარმომადგენლებიც კი იძულებული გახდნენ ეღიარებინათ «გადასახლების საქმის დეფექტები». ჯერ კიდევ 1-ლ სესიაზე ოქტიაბრისტებმა სურვილი გამოთქვეს (და სათათბირომ ეს სურვილი მიიღო) «შეიცვალოს და გაუმჯობესდეს გადასახლებულთა მგზავრობის პირობები», «შეიქმნას დასახლების რაიონებში მათი კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის საჭირო პირობები», «დაცულ იქნეს მიწების გამოყოფისა და გადასახლებულთა დასახლებისას ადგილობრივი გლეხობისა და სხვა მოდგმის მოსახლეობის ინტერესები და უფლებები». თავისთავად ცხადია, ეს ფრთხილი და განზრახ ორაზროვანი სურვილები დღემდე დარჩა «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა». და ოქტიაბრისტი კოდალები მოთმინებით იმეორებენ ამ სურვილებს წლითიწლობით...

«ნევსკაია ზვეზდა» № 11,
1912 წ. 3 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ა.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

რევოლუციური აღმავლობა [32]

სრულიად რუსეთის პროლეტარიატის გრანდიოზულმა მაისის გაფიცვამ და მასთან დაკავშირებულმა ქუჩის დემონსტრაციებმა, რევოლუციურმა პროკლამაციებმა და მუშათა მასების წინაშე რევოლუციურმა სიტყვებმა ცხადყვეს, რომ რუსეთი რევოლუციური აღმავლობის ხანაში შევიდა.

ეს აღმავლობა სრულებითაც არ ყოფილა უეცარი. არა, იგი უკვე დიდი ხანია მზადდებოდა რუსეთის ცხოვრების მთელი პირობებით, და მასობრივმა გაფიცვებმა ლენაზე მომხდარ დახვრეტასთან და 1-ლ მაისთან დაკავშირებით მხოლოდ საბოლოოდ განსაზღვრეს მისი დადგომა. კონტრრევოლუციის დროებითი ზეიმი განუყრელად იყო დაკავშირებული მუშათა მასობრივი ბრძოლის დაცემასთან. გაფიცულთა რიცხვი იძლევა თუმცა დაახლოებითს, მაგრამ სამაგიეროდ უთუოდ ობიექტურ და ზუსტ წარმოდგენას ამ ბრძოლის მასშტაბზე.

რევოლუციის წინ ათი წლის განმავლობაში, 1895 — 1904 წლებში, გაფიცულთა საშუალო რიცხვი წელიწადში 43 ათასი იყო (დამრგვალებით). 1905 წელს — 2¾ მილიონი, 1906 — 1 მილიონი, 1907 — ¾ მილიონი. რევოლუციის სამი წელი განირჩევა პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლის მ ს ო ფ ლ ი ო შ ი უ ძ ა გ ა ლ ი თ ო აღმავლობით. მისი დაცემა, რაც 1906 და 1907 წლებიდან დაიწყო, საბოლოოდ გამოირკვა 1908 წელს: გაფიცული იყო 175 ათასი. 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც აღადგინა მეფის თვითმპყრობელობა შავრაზმელ მემამულეთა და ვაჭრობა-

მრეწველობის ბობოლათა სათათბიროსთან კავშირში, მასების რევოლუციური ენერგიის დაცემის გარდუვალი შედეგი იყო.

სამი წელი, 1908 — 1910 წლები, შავრაზმული კონტრრევოლუციის პარპაშის, ლიბერალურ-ბურჟუაზიული რენეგატობისა და პროლეტართა გულგატეხილობისა და დაქსაქსვის ეპოქა იყო. გაფიცულთა რაოდენობა უფრო და უფრო კლებულობს და 1909 წელს 60 ათასამდე მცირდება, ხოლო 1910 წელს 50 ათასამდე.

მაგრამ 1910 წლის დამლევიდან იწყება შესამჩნევი მობრუნება. დემონსტრაციები ლიბერალ მურომცევის და ლევ ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სტუდენტობის მოძრაობა, გარკვევით მიგვითითებს, რომ სხვა სიომ დაჰბერა, დადგა ერთგვარი მობრუნება დემოკრატიული მასების განწყობილებაში. 1911 წელი გვაძლევს მუშათა მასების ნელ გადასვლას შ ე ტ ე ვ ა ზ ე: გაფიცულთა რიცხვი 100 ათასს აღწევს. სხვადასხვა მხრიდან მოდის იმის მაჩვენებელი ცნობები, რომ კონტრრევოლუციის ზეიმით გამოწვეული დაღლილობა, მოდუნება თავდება, რომ ისევ გაჩნდა მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა რევოლუციისაკენ. რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციამ 1912 წლის იანვარში, შეაჯამა რა მომენტის შეფასების შედეგი, აღნიშნა, რომ «დემოკრატიის ფართო წრეებში და პირველ ყოვლისა პროლეტარიატში აღინიშნება პოლიტიკური გამოცოცხლების დაწყება. 1910 — 1911 წლების მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციებისა და პროლეტარული მიტინგების დაწყება, ქალაქის ბურჟუაზიულ დემოკრატიაში მოძრაობის დაწყება (სტუდენტთა გაფიცვები) და სხვა — ყოველივე ეს გამოხატულებაა მასების მზარდი რევოლუციური სულისკვეთებისა 3 ივნისის რეჟიმის წინააღმდეგ». (იხ. «უწყება» კონფერენციის შესახებ, გვ. 18. *)

უკვე მიმდინარე წლის მეორე მეოთხედისათვის ეს განწყობილება იმდენად გაიზარდა, რომ თავი იჩინა მასების

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 558. რ ე დ.

მოქმედებით და შექმნა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა ღ მ ა ვ ლ ობ ა. უკანასკნელ წელიწადნახევარში მოვლენათა მსვლელობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ აღმავლობაში შემთხვევითი არაფერია, რომ მისი დადგომა სავსებით კანონზომიერია და გარდუვალადაა განპირობებული რუსეთის მთელი წინაგანვითარებით.

ლენაზე მომხდარი დახვრეტა გახდა იმის საბაბი, რომ მასების რევოლუციური განწყობილება მასების რევოლუციურ აღმავლობად გადაქცეულიყო. იმაზე ყალბი არაფერია, ვიდრე ლიბერალური მონაგონი, რომელსაც ლიკვიდატორების შემდეგ ტროცკი იმეორებს ვენის «პრავდაში», თითქოს «კოალიციების თავისუფლებისათვის ბრძოლა როგორც ლენის ტრაგედიის, ისე ჩვენს ქვეყანაში მისი მძლავრი გამოძახილის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს წარმოადგენს». ლენის გაფიცვაში სრულებითაც არ ყოფილა კოალიციების თავისუფლების არც სპეციფიკური და არც მთავარი მოთხოვნა. ლენაზე მომხდარმა დახვრეტამ სწორედ კოალიციების თავისუფლების უქონლობა კი არ გამოავლინა, არამედ უქონლობა თავისუფლებისა... პროვოკაციისაგან, საერთო უუფლებობისაგან, საერთო თვითნებობისაგან.

ლენაზე მომხდარი დახვრეტა, როგორც ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ «სოციალ-დემოკრატის»[33] № 26-ში, 3 ივნისის მონარქიის მ თ ე ლ ი რეჟიმის სავსებით ზუსტი ასახვა იყო. ლენის ამბების დამახასიათებელი სრულიადაც არაა ბრძოლა ერთ-ერთი უ ფ ლ ე ბ ი ს, თუნდაც ყველაზე კარდინალურის, პროლეტარიატისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების მოსაპოვებლად. ამ ამბების დამახასიათებელია ის, რომ იქ ყოვლად ელემენტარული კანონიერების ნატამალიც არ მოიპოვება ა რ ა ფ ე რ შ ი. დამახასიათებელია ის, რომ პროვოკატორი, ჯაშუში, ოხრანკელი, მეფის მსახური მასობრივი დახვრეტის გზას დაადგა რაიმე პოლიტიკური საბაბის გარეშე. რუსეთის ცხოვრების სწორედ ეს საერთო უუფლებობა, სწორედ ის გარემოება, რომ უიმედოა და შეუძლებელია ბრძოლა ცალკეული უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, სწორედ ეს

გაუსწორებლობა მეფის მონარქიისა და მთელი მისი რეჟიმისა ისე აშკარა გახდა ლენის ამბების მიხედვით, რომ ა ღ ა ნ თ ო მასები რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ცეცხლით.

თუ ლიბერალები ტყავში ძვრებოდნენ და ძვრებიან, ცდილობენ ლენის ამბებს და მაისის გაფიცვებს პროფესიული მოძრაობისა და «უფლებებისათვის» ბრძოლის ხასიათი მისცენ, ყოველი ადამიანისათვის, ვინც კი ლიბერალური (და ლიკვიდატორული) დავით არ არის დაბრმავებული, ცხადია სულ სხვა რამ. ცხადია მასობრივი გაფიცვის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხასიათი, რასაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ს.-დ. სხვადასხვა ჯგუფის (და ერთი ს.-რ. ჯგუფისაც კი!) პეტერბურგის წინასამაისო პროკლამაციამ, რომელსაც ჩვენ სრულად ვბეჭდავთ ქრონიკის განყოფილებაში და რომელიც იმეორებს რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის მიერ 1912 წლის იანვარში წამოყენებულ ლოზუნგებს.

მაგრამ ლენისა და მაისის გაფიცვების რევოლუციური ხასიათის მთავარი დამადასტურებელი ლოზუნგებშიაც როდია. ლოზუნგებმა ჩ ა მ ო ა ყ ა ლ ი ბ ე ს ის, რასაც მოწმობენ ფაქტები. მასობრივი, რაიონიდან რაიონში გავრცელებული გაფიცვების ფაქტი, — მათი უდიდესი ზრდა, — გავრცელების სისწრაფე, — მუშების გამბედაობა, — მიტინგებისა და რევოლუციური სიტყვების გახშირება, — მოთხოვნა გაუქმდეს ჯარიმა 1 მაისის დღესასწაულობისათვის, — რუსეთის პირველი რევოლუციიდან ჩვენთვის ნაცნობი შეხამება პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვისა, — ყოველივე ეს თვალნათლივ მოწმობს მოძრაობის ნამდვილ ხასიათს, რომელიც მ ა ს ე ბ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი მდგომარეობს.

გავიხსენოთ 1905 წლის გამოცდილება. მოვლენები გვიჩვენებენ, რომ მუშებში ც ო ც ხ ა ლ ი ა ტ რ ა დ ი ც ი ა რევოლუციური მასობრივი გაფიცვისა, და რომ მუშებმა ერთბაშად წამოსწიეს, გააცხოველეს ეს ტრადიცია. 1905 წელს მსოფლიოში უმაგალითო საგაფიცვო აღმავლობამ 810 ათასი გაფიცული მოგვცა წლის პირველ მეოთხედში და 1 277 ათასი

წლის უკანასკნელ მეოთხედში, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური გაფიცვის შეხამებით. დაახლოებითი გამოანგარიშებით, ლენის გაფიცვებმა 300 ათასამდე მუშა მოიცვა, მაისის გაფიცვებმა 400 ათასამდე, გაფიცვები კი სულ იზრდება და იზრდება. ყოველი ნომერი გაზეთებისა — ლიბერალური გაზეთებისაც კი — გვაუწყებს, თუ როგორ ძლიერდება საგაფიცვო ხანძარი. 1912 წლის მეორე მეოთხედი ჯერ კიდევ მთლად არ გასულა, ხოლო უკვე ახლა ისახება გარკვევით ის ფაქტი, რომ რევოლუციური აღმავლობის დასაწყისი 1912 წელს საგაფიცვო მოძრაობის მასშტაბის მხრივ ნაკლები კი არა, უფრო მეტიც არის, ვიდრე იგივე დასაწყისი 1905 წელს!

რუსეთის რევოლუციამ პირველად განავითარა ფართო მასშტაბით აგიტაციის, მასების ამოძრავების, დარაზმვისა და ბრძოლაში ჩაბმის ეს პროლეტარული მეთოდი. და ახლა პროლეტარიატი კვლავ და კიდევ უფრო მტკიცედ იყენებს ამ მეთოდს. მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ განახორციელებდა იმას, რასაც ახორციელებს ამ მეთოდით პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდი. უზარმაზარი ქვეყანა ვეებერთელა სივრცეზე გაფანტული, დაქსაქსული, დაბეჩავებული, უუფლებო, უვიცი, უამრავ ხელისუფალთა, პოლიციელთა, ჯაშუშთა მიერ «მავნე გავლენათაგან» გამიჯნული 150-მილიონიანი მოსახლეობით, — მთელი ეს ქვეყანა ამოძრავებას იწყებს. როგორც მუშათა, ისე გლეხთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდებიან გაფიცულებს. ასპარეზზე ერთბაშად ჩნდებიან ასეულ ათასობით რევოლუციური აგიტატორები, რომელთა გავლენა უსაზღვროდ ძლიერდება იმით, რომ ისინი განუყრელად არიან დაკავშირებული ქვედაფენებთან, მასასთან, რჩებიან მათს რიგებში, იბრძვიან ყოველი მუშის ოჯახის ყველაზე საარსებო საჭიროებისათვის, ამ უშუალო ბრძოლას საარსებო ეკონომიური საჭიროებისათვის უერთებენ პოლიტიკურ პროტესტს და მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლას. კონტრრევოლუციამ ხომ მილიონებსა და ათეულ მილიონებს ჩაუნერგა

მწვავე სიძულვილი მონარქიისადმი, მისი როლის გაგების ჩანასახები, და ახლა დედაქალაქის მოწინავე მუშების ლოზუნგი — გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! — ათასნაირი გზით, ყოველი გაფიცვის შემდეგ, განუწყვეტლივ მიდის და მიდის ჩამორჩენილ ფენებში, მიყრუებულ პროვინციაში, «ხალხში», «რუსეთის სიღრმეში».

უაღრესად დამახასიათებელია ლიბერალ სევერიანინის მსჯელობა გაფიცვაზე, რაც გულთბილად მიიღო «რუსსკიე ვედომოსტიმ» და თანაგრძნობით გადაბეჭდა «რეჩმა».

«აქვთ თუ არა მუშებს რაიმე საფუძველი, რომ საპირველმაისო გაფიცვას შეუერთონ ეკონომიური ან რაიმე (!) მოთხოვნები?» — კითხულობს ბ-ნი სევერიანინი და უპასუხებს: «თანამად ვფიქრობ, რომ არა აქვთ. ყოველი ეკონომიური გაფიცვა შეიძლება დაიწყოს და უნდა დაიწყოს მხოლოდ შანსების სერიოზული აწონ-დაწონის შემდეგ... აი ამიტომ ასეთი გაფიცვების დაკავშირება სწორედ 1 მაისის მომენტთან უფრო ხშირად უსაფუძვლოა... და როგორღაც უცნაურიც არის: მუშათა მსოფლიო დღესასწაულს აღვნიშნავთ და ამ შემთხვევის გამო მოვითხოვთ 10 %-ის მომატებას ამა და ამ ხარისხის მიტკალზე».

ასე მსჯელობს ლიბერალი! და ამ უსაზღვრო უხამსობას, სიმდაბლესა და საზიზღრობას თანაგრძნობით იღებენ «საუკეთესო» ლიბერალური გაზეთები, რომლებიც დემოკრატიულობას იჩემებენ!

ბურჟუას ყოვლად უხეში ანგარება, კონტრრევოლუციონერის ყოვლად საზიზღარი ლაჩრობა, აი რა იმალება ლიბერალის ეფექტიან ფრაზებში. მას სურს, რომ მეპატრონეთა ჯიბე ხელუხლებელი იყოს. მას სურს «დინჯი» და «უვნებელი» დემონსტრაცია «კოალიციების თავისუფლების» სასარგებლოდ! პროლეტარიატი კი ნაცვლად ამისა მასებს აბამს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ გაფიცვაში, რომელიც განუყრელად აკავშირებს პოლიტიკას ეკონომიკასთან, გაფიცვაში, რომელიც ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს იზიდავს მუშათა ცხოვრების დაუყოვნებლივ გაუმჯობესებისათვის ბრძოლის წარმატებით და ამავე დროს ამხედრებს ხალხს მ ე ფ ი ს მ ო ნ ა რ ქ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

დიახ, 1905 წლის გამოცდილებამ მასობრივი გაფიცვების ლრმა და დიდი ტრადიცია შექმნა. და არ უნდა დაგვავიწყდეს, რას იწვევენ ეს გაფიცვები რუსეთში. მასობრივი შეუპოვარი გაფიცვები ჩვენში განუყრელადაა დაკავშირებული შეიარაღებულ აჯანყებასთან.

დაე უკუღმა ნუ გაიგებენ ამ სიტყვებს. ლაპარაკი სრულებითაც არაა მოწოდებაზე აჯანყებისაკენ. ასეთი მოწოდება ამჟამად მეტისმეტი უგუნურება იქნებოდა. ლაპარაკია რუსეთში გაფიცვასა და აჯანყებას შორის კავშირის დამყარებაზე.

როგორ იზრდებოდა აჯანყება 1905 წელს? ჯერ-ერთი, მასობრივი გაფიცვები, დემონსტრაციები და მიტინგები ახშირებდა ხალხის შეტაკებებს პოლიციასთან და ჯართან. მეორე, მასობრივმა გაფიცვებმა აამოძრავა გლეხობა მთელი რიგი ნაწილობრივი, დაქსაქსული, ნახევრადსტიქიური აჯანყებებისათვის. მესამე, მასობრივი გაფიცვები ძალიან მალე მოედვა ჯარსა და ფლოტს, გამოიწვია შეტაკებანი ეკონომიურ ნიადაგზე («მუხუდოს» და სხვ. «ამბოხებანი»), ხოლო შემდეგ აჯანყებანი. მეოთხე, კონტრრევოლუცია თვითონ იწყებდა სამოქალაქო ომს რბევით, დემოკრატების ცემით და ა. შ.

1905 წლის რევოლუცია დამარცხებით იმიტომ სრულებითაც არ დამთავრებულა, რომ იგი «მეტისმეტად შორს» წავიდა, რომ დეკემბრის აჯანყება «ხელოვნური» იყო, როგორც ჰგონიათ რენეგატებს ლიბერალთაგან და სხვ.. პირიქით, დამარცხების მიზეზი ის არის, რომ აჯანყება არასაკმაოდ შორს წავიდა, რომ მისი აუცილებლობის შეგნება რევოლუციურ კლასებში არ იყო საკმაოდ ფართოდ გავრცელებული და მტკიცედ შეთვისებული, რომ აჯანყება არ იყო ერთსულოვანი, გადამწყვეტი, ორგანიზებული, ერთდროული, შემტევი.

ახლა ვნახოთ, არის თუ არა ამჟამად აჯანყების ზრდის ნიშნები? რევოლუციურ გატაცებას რომ არ ავყვეთ, მოწმედ ავიყვანოთ ოქტიაბრისტები. გერმანელ ოქტიაბრისტთა კავშირი პეტერბურგში ეკუთვნის მეტ

ნაწილად ეგრეთწოდებულ «მემარცხენე» და «კონსტიტუციურ» ოქტიაბრისტებს, რომლებიც განსაკუთრებით უყვართ კადეტებს და რომლებსაც ყველაზე მეტად შესწევთ უნარი (სხვა ოქტიაბრისტებთან და კადეტებთან შედარებით) «ობიექტურად» ადევნონ თვალყური მოვლენებს ისე, რომ მიზნად არ დაისახონ მთავრობის დაშინება რევოლუციით.

ამ ოქტიაბრისტების ორგანო, «St.-Petersburger Zeitung» *, კვირეულ პოლიტიკურ მიმოხილვაში 6 (19) მაისს შემდეგს წერდა:

«დადგა მაისი. მიუხედავად ამინდისა, იგი ჩვეულებრივ მაინცდამაინც სასიამოვნო ვერ არის ხოლმე დედაქალაქის მცხოვრებთათვის, იმიტომ რომ იწყება პროლეტარული «დღესასწაულით». წელს, როცა მუშები ჯერ კიდევ იმყოფებიან ლენაზე მომხდარი დემონსტრაციების შთაბეჭდილების ქვეშ, — 1-ლი მაისი განსაკუთრებით საშიში იყო. დედაქალაქის ჰაერში, რომელიც გაჟღენთილია ყოველნაირი ხმებით გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ, ხანძრის სუნი იდგა. ჩვენი ერთგული პოლიცია შესამჩნევად ღელავდა, იგი აწყობდა ჩხრეკას, აპატიმრებდა ცალკეულ პირებს, ამზადებდა დიდ რაზმებს იმისათვის, რომ არ დაეშვა ქუჩის დემონსტრაციები. პოლიციამ რომ უფრო გონებამახვილურს ვერაფერს მიაგნო, ვიდრე მუშათა გაზეთების რედაქციების ჩხრეკა და მათი რედაქტორების დაპატიმრებაა, ეს გარემოება არ მოწმობს იმ ძაფების მაინცდამაინც ღრმად ცოდნას, რომლებითაც ამოძრავებდნენ მუშათა ტიკინების ლაშქარს. ეს ძაფები კი არსებობს. ამას მოწმობს გაფიცვის დისციპლინიანობა და ბევრი სხვა გარემოება. ამიტომ არის ასე საშიში ეს სამაისო გაფიცვა, ყველაზე დიდი იმ გაფიცვებში, რომლებიც დღემდე ყოფილა, — გაფიცული იყო დიდი და მცირე სახელოსნოების 100 ათასი მუშა და 150 ათასიც კი. ეს მხოლოდ მშვიდობიანი პარადი იყო, მაგრამ ამ ჯარის დარაზმულობა ყურადღებას იპყრობს. და ეს მით უმეტეს, რომ მუშების ამასწინანდელ აღელვებასთან ერთად სხვა შემაშფოთებელი ამბებიც ხდებოდა. ჩვენი ფლოტის სხვადასხვა გემზე დააპატიმრეს მეზღვაურები რევოლუციური პროპაგანდისათვის. მთელი იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, ჩვენს ისედაც მცირერიცხოვან სამხედრო გემებზე ყველაფერი რიგზე ვერ არის... შემაძრწუნებელ ფიქრებს იწვევენ რკინიგზელებიც. მართალია, საქმე არსად გაფიცვის მოწყობის ცდამდეც კი არ მისულა, მაგრამ დაპატიმრებანი — განსაკუთრებით ისეთი თვალში საცემი, როგორიც

* — «ს.-პეტერბურგის გაზეთი». რ ე დ.

ნიკოლოზის გზის საგზურის უფროსის თანაშემწის ა. ა. უშაკოვის დაპატიმრებაა, — მოწმობენ, რომ ერთგვარი საფრთხე აქაც არსებობს.

მუშათა უსუსური მასების რევოლუციურ ცდებს, ცხადია, შეუძლიათ მხოლოდ მავნე გავლენა იქონიონ სათათბიროს არჩევნების შედეგზე. ეს ცდები მით უფრო უაზროა, რომ... მეფემ მანიფესტი დანიშნა, ხოლო სახელმწიფო საბჭომ მუშათა დაზღვევა მიიღო»!!

ასე მსჯელობს გერმანელი ოქტიაბრისტი. ჩვენ, ჩვენი მხრივ, შევნიშნავთ, რომ მეზღვაურთა შესახებ ადგილებიდან მივიღეთ ზუსტი ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ «ნოვოე ვრემია» აზვიადებს და ბერავს საქმეს. ოხრანკა, აშკარაა, პროვოკატორულად «მუშაობს». აჯანყების ნაადრევი ცდები სრული უგუნურება იქნებოდა. მუშათა ავანგარდს უნდა ესმოდეს, რომ რუსეთში დროული — ე. ი. ძლევამოსილი — შეიარაღებული აჯანყების ძირითადი პირობებია მუშათა კლასისათვის მხარდაჭერა დემოკრატიული გლეხობის მიერ და არმიის აქტიური მონაწილეობა.

მასობრივ გაფიცვებს რევოლუციურ ეპოქებში თავისი ობიექტური ლოგიკა აქვთ. ისინი ასეულ ათასობით და მილიონობით ნაპერწკალს ყრიან ყოველი მხრისაკენ, — ირგვლივ კი ფიცხი მასალაა უკიდურესი გაბოროტების, შიმშილით უმაგალითო წამების, უსაზღვრო თვითნებობის, «ლატაკის», «ტეტიას», რიგითი ჯარისკაცის უსირცხვილოდ და ცინიკურად აბუჩად აგდების სახით. ამას დაუმატეთ შავრაზმელთა უკიდურესად აღვირახსნილი დამრბევი ანტიებრაული დევნა, რასაც ფარულად აღვივებს და წარმართავს გონებაჩლუნგი და სისხლმოწყურებული ნიკოლოზ რომანოვის კარის ხროვა... «ასე იყო — ასე იქნება»[34]: თავის საუბედუროდ, თავისი კლასისა და თავისი მემამულე მეფის საუბედუროდ თქვა ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მინისტრმა მაკაროვმა!

მასების რევოლუციური აღმავლობა დიდ და პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებს ყოველ მუშა სოციალ-დემოკრატს, ყოველ პატიოსან დემოკრატს. «ყოველმხრივი მხარდაჭერა მასების მოძრაობისათვის, რომელიც იწყება (ახლა უკვე უნდა

ითქვას: მასების დაწყებული რევოლუციური მოძრაობისათვის) და მისი გაფართოება იმ ლოზუნგების დროშით, რომლებსაც პარტია მთლიანად ატარებს», — ასე განსაზღვრა ეს მოვალეობა რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციამ. პარტიის ლოზუნგები — დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია — მთელი დემოკრატიის ლოზუნგები, სახალხო რევოლუციის ლოზუნგები უნდა გახდეს.

მასების მოძრაობისათვის მხარდასაჭერად და მის გასაფართოებლად საჭიროა ორგანიზაცია და ორგანიზაცია. თუ არალეგალური პარტია არ არის, ისე არ შეიძლება ამ მუშაობის წარმოება და ზედმეტია მის შესახებ ფუჭი ლაპარაკი. მხარს ვუჭერთ და ვაფართოებთ რა მასების შეტევას, ამავე დროს საჭიროა გულდასმით გავითვალისწინოთ 1905 წლის გამოცდილება, უნდა განვმარტოთ აჯანყების აუცილებლობა და გარდუვალობა, ხოლო ამავე დროს გავაფრთხილოთ, რომ არ მიმართონ ამგვარ ნაადრევ ცდებს. მასობრივი გაფიცვების ზრდა, ბრძოლაში სხვა კლასების ჩაბმა, ორგანიზაციების მდგომარეობა, მასების განწყობილება, ყოველივე ეს თავისთავად მიუთითებს იმ მომენტს, როცა მთელი ძალები უნდა შეერთდნენ რევოლუციის ერთსულოვან, გადამწყვეტ, შეტევითს, უსაზღვროდ მამაც იერიშში მეფის მონარქიის წინააღმდეგ.

ძლევამოსილი რევოლუციის გარეშე რუსეთში თავისუფლება არ იქნება.

პროლეტარიატისა და გლეხობის აჯანყების გზით მეფის მონარქიის დამხობის გარეშე რუსეთში ძლევამოსილი რევოლუცია არ მოხდება.

«სოციალ-დემოკრატი» № 27,
1912 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპარტიის სრულიად რუსეთის 1912 წლის იანვრის კონფერენციის ლოზუნგები და მაისის მოძრაობა

ამ ნომრის სხვა ადგილას მკითხველი ნახავს იმ პროკლამაციის სრულ ტექსტს, რომელიც დაბეჭდეს და გაავრცელეს პეტერბურგის მუშებმა ამიერიდან განთქმული მაისობის წინ. უეჭველად ღირს განსაკუთრებით შევჩერდეთ ამ პროკლამაციაზე, ვინაიდან იგი უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში და ჩვენი პარტიის ისტორიაში.

პროკლამაციას ეტყობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეზორგანიზებულობის ერთგვარი მდგომარეობა დედაქალაქში, ვინაიდან მოწოდებას ხელს აწერს არა პეტერბურგის კომიტეტი, არამედ ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და ერთი სოციალ-რევოლუციური მუშათა ჯგუფიც კი. რუსეთის მეტ წილ ადგილებში ჩვენი პარტიის მდგომარეობა სწორედ ისეთია, რომ ხელმძღვანელ კომიტეტებსა და ცენტრებს მუდამ აპატიმრებენ და ისინი მუდამ კვლავ წარმოიშვებიან, ყოველნაირი საქარხნო, პროფესიული, ქვერაიონული და რაიონული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების, სწორედ იმ «უჯრედების» არსებობის მეოხებით, რომლებიც ყოველთვის იწვევდნენ ლიბერალთა და ლიკვიდატორთა სიძულვილს. ამ ვაჟბატონების ჟურნალის უკანასკნელ წიგნაკში («ნაშა ზარია», 1912, № 4) მკითხველს შეუძ-

ლია კვლავ და კვლავ დაინახოს, თუ როგორ იკლაკნება უძ-ლური გაბოროტებით შეპყრობილი ბ-ნი ვ. ლევიცკი, ლანძ-ღვა-გინებას ანთხევს და სისინებს იმის წინააღმდეგ, რომ «პარტია აღორძინებულ იქნეს პოლიტიკურად მკვდარი უჯრე-დების ხელოვნურად გაცოცხლების საშუალებით».

ხსენებულ პროკლამაციას განსაკუთრებულ ტიპიურობას, განსაკუთრებულ ღირსშესანიშნავობას ანიჭებს სწორედ ის გარემოება, რომ პეტერბურგის კომიტეტის დაპატიმრების გამო ასპარეზზე უნდა გამოსულიყვნენ სწორედ უჯრედე-ბი, რომლებიც პოლიციის ნებამ იხსნა ლიკვიდატორებისა-თვის საძულველი «ხელმძღვანელი ცენტრისაგან». ამ, ყოვე-ლი რევოლუციონერის თვალში სამწუხარო, გარემოების მეო-ხებით თავი იჩინა უჯრედების დამოუკიდებელმა ცხოვრებამ. უჯრედებს მოუხდათ ნაჩქარევად, გააფთრებულ დევნაში, რასაც მიმართავდა პოლიცია, — რომელიც პირდა-პირ მძვინვარებდა 1-ლი მაისის წინ, — მოეკრიბათ თავიანთი ძალები, დაემყარებინათ კავშირი, აღედგინათ «იატაკქვე-შეთი». ის ჯგუფები, წარმომადგენლები და სხვ., რომლებიც ხელს აწერენ პროკლამაციას, — ყოველივე ეს სწორედ ლიბე-რალებისა და ლიკვიდატორებისათვის საძულველი იატაკ-ქვეშეთია. მაშინ, როცა იგივე ლიკვიდატორთა ბელადი, ბ-ნი ლევიცკი, — «ნაშა ზარიასა» და «ჟივოე დელოს» სახე-ლით, — რა თქმა უნდა, ცოფმორეული თავს ესხმის «იატაკქვეშეთის კულტს» (იხ. დასახელებული წიგნის გვ. 33), პეტერბურგის პროკლამაციის სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ზუსტი და სრული დოკუმენტი, რომელიც ჩვენს წინაშე ააშკარავებს ამ იატაკქვეშეთის არსებობას, მის სიცოცხლისუნარიანობას, მისი მუშაობის შინაარსსა და მნიშვნელობას.

პეტერბურგის კომიტეტი განადგურებულია დაპატიმრე-ბებით — სწორედ აქ გამოჩნდება, როგორი არიან არალეგა-ლური უჯრედები თავისთავად, რას აკეთებენ და რის გაკე-თება შეუძლიათ, ნამდვილად რა იდეები აითვისეს და შეი-სისხლხორცეს და არა მარტო გადმოიღეს უმაღლესი პარ-

ტიული ინსტანციისაგან, — ნამდვილად რა იდეები სარგებლობენ მუშათა სიმპათიებით.

პროკლამაციიდან ჩანს, რას აკეთებენ უჯრედები: ისინი განაგრძობენ დროებით დანგრეული (იატაკქვეშეთის ყველა სხვადასხვა მტრის სასიხარულოდ) პეტერბურგის კომიტეტის მუშაობას. ისინი განაგრძობენ მაისობის მომზადებას. ისინი საჩქაროდ აღადგენენ კავშირს სხვადასხვა არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს შორის. ისინი იზიდავენ ესერ მუშებსაც, რადგან კარგად ესმით ცოცხალ რევოლუციურ საქმეში პროლეტარული გაერთიანების მნიშვნელობა. ისინი რაზმავენ ამ სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს და ერთ «ს.-რ. მუშათა ჯგუფსაც» კი ბრძოლის გარკვეული ლოზუნგებით. და აი სწორედ აქ იხატება მოძრაობის ნამდვილი ხასიათი, პროლეტარიატის ნამდვილი განწყობილება, რსდმ პარტიის და მისი იანვრის სრულიად რუსეთის კონფერენციის ნამდვილი ძალა.

ისეთი იერარქიული ინსტანცია, რომელსაც შეეძლოს ამ და არა იმ ლოზუნგთა წამოყენების დეკრეტირება, არ აღმოჩნდა დაპატიმრებათა გამო. მაშასადამე, გაერთიანება პროლეტარული მასისა, გაერთიანება სოციალ-დემოკრატი მუშებისა და სოციალ-რევოლუციონერთა ნაწილისაც კი შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ლოზუნგებით, რომლებიც ნამდვილად უდავოა მასისათვის, — მხოლოდ ისეთი ლოზუნგებით, რომლებიც ძალას იკრებენ არა «ზემოდან მიცემული დეკრეტით» (როგორც დემაგოგები და ლიკვიდატორები ამბობენ), არამედ თვით რევოლუციური მუშების რწმენიდან.

მერე რა აღმოჩნდა?

აღმოჩნდა, რომ პეტერბურგის კომიტეტის დანგრევის შემდეგ, როცა შეუძლებელი იყო მისი დაუყოვნებლივ აღდგენა, იმ პირობებში, როცა მუშათა ერთი ჯგუფი განსაკუთრებულ იდეურ, და არა ორგანიზაციულ, ზეგავლენას ახდენდა მეორეზე, მიღებულ იქნა ლოზუნგები რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონ-

ფერენციისა, რომელიც 1912 წლის იანვარში შეიკრიბა და ლიბერალების, ლიკვიდატორების, ლიბერის, ტროცკისა და კომპანიის პირდაპირ გააფთრებულ, ველურ სიძულვილს იწვევს!

«დაე ჩვენი ლოზუნგები იყოს — წერდნენ პეტერბურგელი მუშები თავიანთ პროკლამაციაში — დამფუძნებელი კრება, 8 საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია». და შემდეგ პროკლამაციაში გადმოსროლილია მოწოდება: «ძირს მეფის მთავრობა! ძირს 3 ივნისის თვითმპყრობელური კონსტიტუცია! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!»

ამ საგულისხმო დოკუმენტიდან ჩვენ ვხედავთ, რომ რსდმპარტიის კონფერენციის მიერ წამოყენებული ყველა ლოზუნგი აუთვისებია პეტერბურგის პროლეტარიატს და ამ ლოზუნგებით აღბეჭდილია რუსეთის ახალი რევოლუციის პირველი ნაბიჯები. იანვრის კონფერენციის ყველა ჯურის ცილისმწამებლებსა და მლანძღავებს შეუძლიათ, რამდენიც ნებავთ, განაგრძონ თავიანთი ბინძური საქმე. მათ პასუხი გასცა პეტერბურგის რევოლუციურმა პროლეტარიატმა. იმ მუშაობამ, რაც უკანასკნელ კონფერენციამდე ბევრად ადრე გააჩაღა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც მოუწოდებს პროლეტარიატს სახალხო რევოლუციის ბელადის როლისაკენ, თავისი ნაყოფი გამოიღო მიუხედავად პოლიციის მხრივ ყოველგვარი დევნისა, მიუხედავად რევოლუციონერთა მაისისწინა აღვირახსნილი დაპატიმრებებისა და დევნისა, მიუხედავად სიცრუის და ლანძღვა-გინების ნიაღვრისა ლიბერალურ და ლიკვიდატორულ პრესაში.

პეტერბურგის ასეულ ათასობით პროლეტარმა, — ხოლო მათ კვალზე რუსეთის ყველა კუთხის მუშებმაც — გაფიცვებსა და ქუჩის დემონსტრაციებს მიმართეს არა როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთმა ცალკეულმა კლასმა, არა მარტო «თავიანთი» პროფესიული ლოზუნგებით, არამედ როგორც ჰეგემონმა, რომელმაც აღმართა რევოლუციის

დროშა მთელი ხალხისათვის, მთელი ხალხის სახელით, ყველა იმ კლასის გასაღვიძებლად და ბრძოლაში ჩასაბმელად, ვისაც თავისუფლება სჭირდება, ვისაც უნარი შესწევს მოიპოვოს იგი.

პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა რუსეთში უმაღლეს საფეხურზე ავიდა. თუ 1905 წელს იგი მასობრივი გაფიცვებითა და გაპონადით დაიწყო, 1912 წელს, მიუხედავად პოლიციის მიერ ჩვენი პარტიის ორგანიზაციების განადგურებისა, მოძრაობა იწყება მასობრივი გაფიცვებითა და რესპუბლიკური დროშის აღმართვით! ცალკეულმა «უჯრედებმა», მუშათა დაქსაქსულმა «ჯგუფებმა» თავიანთი საქმე გააკეთეს, მიუხედავად უაღრესად მძიმე და ძნელი პირობებისა. პროლეტარიატმა შექმნა თავისი «სამაისო კომიტეტები» და ბრძოლა დაიწყო იმ კლასის შესაფერი რევოლუციური პლატფორმით, რომელიც მოწოდებულია დაქირავებული მონობისაგან გაათავისუფლოს კაცობრიობა.

მაისის მოძრაობა აგრეთვე გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ სიტყვას «გაერთიანების» შესახებ და როგორ ხდება მუშების გაერთიანება სინამდვილეში. ს.-რ. პარტიის წარმომადგენელი რუბანოვიჩი ბურცევის პარიზის გაზეთ «ბუდუშჩეეში»[35] წერს, რომ «უნდა აღინიშნოს ახლანდელი მაისობის შემდეგი შესანიშნავი თვისება: მოსამზადებელ კრებებზე პეტერბურგელი მუშები უარს ამბობდნენ ეცნოთ ის გაყოფა, რომელიც არსებობს სხვადასხვა სოციალისტურ ჯგუფებს შორის;... გაბატონებული იყო შეთანხმების ტენდენციაო». ჩვენ მიერ გადმობეჭდილი პროკლამაცია ცხადყოფს, რა ფაქტები გახდა საბაბი ასეთი დასკვნისათვის. ეს ის ფაქტია, რომ ს.-დ. უჯრედები, რომლებმაც ხელმძღვანელი ცენტრი დაკარგეს, აღადგენდნენ კავშირს ყველა და ყოველგვარ ჯგუფთან, იზიდავდნენ ყველა მუშას, რა შეხედულებისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, და ყველა მათ უქადაგებდნენ თავიანთ პარტიულ ლოზუნგებს. და ეს პარტიული ლოზუნგები სწორედ იმიტომ,

რომ ისინი სწორია, რომ ისინი შეესაბამებიან პროლეტარიატის რევოლუციურ ამოცანებს, რომ ისინი მოიცავენ საყოველთაოსახალხო რევოლუციის ამოცანებს, ყ ვ ე ლ ა მუშამ მიიღო.

გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა მოხდა იმის მეოხებით, რომ რსდმ პარტიის იანვრის კონფერენციამ თავი დაანება საზღვარგარეთულ პატარ-პატარა ჯგუფების გარიგებათა ფუჭ თამაშს, თავი დაანება რევოლუციური პარტიის ლიკვიდატორებთან ფუჭ ლოლიაობას და თ ა ვ ი ს დ რ ო ზ ე გამოვიდა ბრძოლის ნათელი და ზუსტი ლოზუნგებით. რევოლუციურ გამოსვლაში პროლეტარიატის გაერთიანება მიღწეულ იქნა პროლეტარული (ს.-დ.) და არაპროლეტარული (ს.-რ.) პარტიების შეთანხმებით კი არა, არა პარტიისაგან ჩამოშორებულ ლიკვიდატორებთან გარიგებებით, არამედ რუსეთის ს.-დ. ორგანიზაციების მუშაკთა მჭიდროდ დარაზმვით და მათ მიერ მომენტის ამოცანების სწორად გათვალისწინებით.

ეს კარგი გაკვეთილია იმათთვის, ვინც აყოლილია ბუნდელი ლიბერალებისა და ვენელი ტროცკების ლაყბობას და კიდევ შეუძლია სჯეროდეს «გაერთიანება»... ლიკვიდატორებთან. ლიბერის, ტროცკისა და ლიკვიდატორების ყბადაღებული «ორგანიზაციული კომისია» საქვეყნოდ გაჰყვიროდა «გაერთიანებაზე», მაგრამ სინამდვილეში არ შეეძლო მოეცა და არც მოუცია მუშათა რევოლუციური ბრძოლის ფაქტიურად გამაერთიანებელი ა რ ც ე რ თ ი ლოზუნგი. ლიკვიდატორები იძლეოდნენ თ ა ვ ი ა ნ თ, არარევოლუციურ, ლოზუნგებს, ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ლოზუნგებს, — მოძრაობა კი გვერდს უვლიდა მათ. აი რა უდევს საფუძვლად ტროცკისტულ ზღაპრებს «გაერთიანების» შესახებ!

23 აპრილს (6 მაისს) ვენაში ტროცკი ღმერთსა და ხატს ფიცულობდა, რომ იგი «აერთიანებს», ყოველნაირად წყევლიდა კონფერენციას და არწმუნებდა უდარდელ გულკეთილებს, რომ «კოალიციათა თავისუფლებისათვის ბრძოლა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ა» (!!) ლენის ამბებისა და მათი გამოძახილისა, რომ «ეს მოთხოვნა არის და იქნება პროლეტარიატის რე-

ვოლუციური მობილიზაციის ცენტრში (!!)». გავიდა სულ რაღაც ერთი კვირა, და ლიკვიდატორთა დამქაშის ეს უბადრუკი ფრაზები მტვერივით გაფანტეს — «სპბ ყველა ორგანიზებულ მუშათა წარმომადგენლებმა», «ს.-დ. ჯგუფმა გაერთიანებამ», «ცენტრალურმა ს.-დ. საქალაქო ჯგუფმა», «ს.-რ. მუშათა ჯგუფმა», «ს.-დ. მუშათა ჯგუფმა» და «მაისის კომიტეტების წარმომადგენლებმა».

პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა შეიგნო, რომ ახალი რევოლუციური ბრძოლა უნდა დაიწყოს არა ერთ-ერთი, თუნდაც მუშათა კლასისათვის ყველაზე არსებითი, ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებისათვის, არამედ მთელი ხალხის თავისუფლებისათვის.

პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა შეიგნო, რომ მან უნდა განაზოგადოს მოთხოვნები და არა დაახურდაოს ისინი, — რომ რესპუბლიკა შეიცავს კოალიციათა თავისუფლებას და არა პირიქით, — რომ საჭიროა ვურტყათ ცენტრს, თავს დავესხათ ბოროტების წყაროს, დავანგრიოთ მთელი სისტემა, მთელი წყობა მეფის შავრაზმული რუსეთისა.

პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა შეიგნო, რომ სასაცილოა და სისულელე წარუდგინო კოალიციათა თავისუფლების მოთხოვნა ნიკოლოზ რომანოვს, შავ სათათბიროს, სასაცილოა და სისულელე ივარაუდო, რომ შესაძლებელია რუსეთის ახლანდელი სახელმწიფოებრივი წყობილების, ჩვენი «3 ივნისის თვითმპყრობელური კონსტიტუციის» შეერთება კოალიციათა თავისუფლებასთან, — რომ საერთო და საყოველთაო უუფლებობის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც მთლიანად გაბატონებულია ხელისუფალთა თვითნებობა და პროვოკაცია, იმ ქვეყანაში, სადაც იმის «თავისუფლებაც» კი არ არის, რომ უბრალო დახმარება გაეწიოს ათეულ მილიონობით დამშეულთ, ასეთ ქვეყანაში მხოლოდ ლიბერალ მოლაყბეებსა და ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს შეუძლიათ «რევოლუ-

ციური მობილიზაციის ცენტრში» დააყენონ კოალიციათა თავისუფლება.

პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა შეიგნო ეს და გაშალა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი დროშა, მოითხოვს 8 საათიან სამუშაო დღეს და მემამულეთა მიწების კონფისკაციას, როგორც რევოლუციის ნამდვილად დემოკრატიული ხასიათის ერთადერთ გარანტიებს.

«სოციალ-დემოკრატი» № 27,
1912 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორები რევოლუციური მასობრივი გაფიცვის წინააღმდეგ

ამ ნომრის მოწინავე სტატია. უკვე ჩაბარებული იყო სტამბაში, როცა ჩვენ მივიღეთ ლიკვიდატორული «ნევსკი გოლოსის» № 1. ცნობილ ლიკვიდატორ ვ. ეფოვს «ნაშა ზარიადან» ერთბაშად ისეთი თვალმარგალიტით დაუჯილდოებია ახალი ორგანო, რომ ჩვენ სახტად დავრჩით! აბა მოუსმინეთ:

«ამის მეოხებით» (ე. ი. გაფიცვების სხვადასხვაობის მეოხებით, რომლებიც ხან იმით განისაზღვრებოდნენ, რომ პროტესტს აცხადებდნენ მაისობისათვის დაჯარიმების წინააღმდეგ, ხან ამ პროტესტს ეკონომიურ მოთხოვნებს უმატებდნენ და სხვ.) «შემთხვევათა მნიშვნელოვან რაოდენობაში პროტესტის პრინციპული ხასიათი (ხუთი შაურისათვის ხომ არ გაფიცულან) მიიჩქმალა (!??!), იგი გართულებულ იქნა ეკონომიური მოთხოვნებით...

საკუთარ გამოცდილებას უნდა ეკარნახა მუშებისათვის, რომ მიზანშეწონილი არ არის (!!) გაართულონ თავიანთი პროტესტი ეკონომიური მოთხოვნებით, სწორედ ისევე, როგორც ჩვეულებრივი გაფიცვა გაართულონ (!?) პრინციპული მოთხოვნებით.

საჭიროა ორგანიზაციულად განვამტკიცოთ მუშათა მასების განწყობილება. საჭიროა გავაძლიეროთ აგიტაცია პროფესიული კავშირებისათვის, ჩავაბათ პროფესიულ კავშირებში ახალი წევრები. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მუშებს შორის ახლა ცოტა როდი მოიპოვება ფიცხი ადამიანი, რომელიც გატაცებულია მასობრივი მოძრაობით და მიტინგებზე გამოდის კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომლებიც თითქოს უსარგებლო და ზედმეტია.

ჩვენ წინაშეა ეკონომიური» (მხოლოდ?) «გაფიცვების ხანა. გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, ეს გაფიცვები მუშათა პოლიტიკურ გამოსვლებთან რომ გადახლართულიყო (!!!). ასეთი აღრევა» მავნე (!!??) გავლენას მოახდენდა როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ბრძოლაზე».

აი მთლად ლიბერალური ბ-ნი სევერიანინი, რომელიც ლიკვიდატორს გადაუწერია! სრული გაუგებლობა იმისა, რომ

რევოლუციურ მასობრივ გაფიცვაში აუცილებლად შეერთებულია როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური გაფიცვა, — გონებაშეზღუდულობა, აღმავლობის რევოლუციური ხასიათის საშინელი დამახინჯება და იმის ცდები, რომ მას «ჩვეულებრივი გაფიცვების» საზომით მიუდგნენ, — ყოვლად რეაქციული რჩევა «არ გაართულონ» პოლიტიკა ეკონომიკით და არ «გადახლართონ» ისინი, — სტრუვესა და მაკლაკოვის შესაფერი გამოხდომაა ლეგალურ პრესაში რევოლუციური ს.-დ. მუშების წინააღმდეგ: «ფიცხი ადამიანები» «კავშირების წინააღმდეგი არიანო»!

ლიბერალს არ შეუძლია სხვანაირად გაიგოს რევოლუციური ს.-დ., თუ არა ისე, რომ იგი «კავშირების წინააღმდეგიაო». მაგრამ მუშები მიტინგებზე, რა თქმა უნდა, «კავშირების წინააღმდეგი» კი არ იყვნენ, არამედ იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ რევოლუციური ლოზუნგები შეიცვალოს ლიბერალური ლოზუნგებით, როგორც ამას სჩადიან ბ-ნი ეჟოვი და კომპანია. კოალიციათა თავისუფლება როდია ჩვენი ლოზუნგი, ამბობდნენ მუშები, არა მარტო და არა უმთავრესად «პროფესიული კავშირებით» შეიძლება «ორგანიზაციულად განმტკიცებულ იქნეს» ჩვენი მოძრაობა. ჩვენი ლოზუნგია რესპუბლიკა (იხ. მუშათა პეტერბურგის მოწოდება), ჩვენ ვაშენებთ არალეგალურ პარტიას, რომელსაც უნარი ექნება უხელმძღვანელოს მასების რევოლუციურ შეტევას მეფის მონარქიის წინააღმდეგ. აი რას ამბობდნენ მუშები მიტინგებზე.

ბ. ბ. ლიბერები და ტროცკები კი მუშებს არწმუნებენ, თითქოს შესაძლებელია სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატისა და მისი პარტიის «გაერთიანება» ლიბერალებთან à la * ბ-ნ ეჟოვისა, პოტრესოვისა და კომპანიისა!

«სოციალ-დემოკრატი» № 27,
1912 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

* — მსგავსად. რედ.

«ბამაერთიანებლები»

ლიკვიდატორები რაც ძალი და ღონე აქვთ «ერთიანდებიან». ამ დღეებში ისინი კინაღამ «გაერთიანდნენ» პე-პე-ესელებთან [36] — ეგრეთწოდებულ «ლევიცასთან», რომელიც პოლონური სოციალ-ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფრაქციას წარმოადგენს.

10 წელიწადზე მეტია სოციალ-დემოკრატია პოლონეთში აწარმოებს ბრძოლას პპს-ის სოციალ-ნაციონალიზმთან. შედეგად მოხერხდა მთელი რიგი ნაციონალისტური ცრურწმენის აღმოფხვრა პპს-ის («ლევიცის») ნაწილის თავში. მაგრამ ბრძოლა გრძელდება. პოლონელი მუშა სოციალ-დემოკრატები წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი არიან გაერთიანდნენ პპს-ის აღნიშნულ ფრაქციასთან, როგორც ორგანიზაციასთან, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ეს საქმისათვის მავნე იქნება. ცალკეული მუშები და ცალკეული ჯგუფები «ლევიციდან» სოციალ-დემოკრატიის რიგებში გადადიან, არ სურთ შეჩერდნენ პე-პე-ესური ნაციონალიზმის პრინციპების მხოლოდ ნახევრულ გადასინჯვაზე. და აი ამ დროს ჩვენი ლიკვიდატორები ცდილობენ «გაერთიანდნენ» პპს-ის ლევიცასთან!

ეს იგივეა, რომ რუსმა ს. დ-ებმა დაიწყონ «გაერთიანება» ბუნდის გვერდის ავლით, ვთქვათ, ეგრეთწოდებულ «სოციალისტ-სიონისტებთან» ან ლატვიის სოციალ-დემოკრატიის გარეშე ეგრეთწოდებულ «ლატვიის ს.-დ. კავშირთან» (სინამდვილეში ესერულთან)...

აღარას ვამბობთ საქმის ფორმალურ მხარეზე. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიამ სტოკჰოლმის ყრილობაზე რსდმ პარ-

ტიასთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც პოლონეთში რაიმე ჯგუფებს რსდმ პარტიაში შესვლა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ შევლენ პსდ ორგანიზაციაში. ხოლო რსდმ პარტიის 1908 წლის დეკემბრის სრულიად რუსეთის კონფერენციამ ხმის უდიდესი უმრავლესობით «ლევიცასთან» გაერთიანების საკითხის განხილვაც კი უარყო [37].

სავსებით ცხადია, რომ, როცა გამუდმებით გაჰყვირიან «გაერთიანებაზე», ტროცკი და მისი მეგობრები — ლიკვიდატორები სინამდვილეში ზრდიან გათიშვას იმავე პოლონეთში. რსდმ პარტიის ბედნიერება ის არის, რომ ლიკვიდატორთა მთელი ეს კომპანია, მათს კუდში მაჩანჩალა «შემარიგებლებთან» ერთად, სრულიად უძლურია რაიმე გააკეთოს სინამდვილეში — პოლონეთშიც კი. სხვანაირად, რა თქმა უნდა, პპს-თან ლიკვიდატორების გაერთიანება უაღრესად მკვეთრ გათიშვას შეიტანდა პოლონეთში.

რატომ დაადგნენ ლიკვიდატორები აშკარა ავანტიურის გზას? რა თქმა უნდა, — არა «კარგი ცხოვრების გამო». ხომ უნდა გაერთიანდნენ ვინმესთან, ხომ უნდა შექმნან რაღაც «პარტია». მათთან არ მიდიან სოციალ-დემოკრატები, პსდ, — ისინი იძულებული არიან სოციალ-დემოკრატების ნაცვლად აიყვანონ პე-პე-ესელები, რომლებსაც ჩვენს პარტიასთან საერთო არა აქვთ რა. რუსეთის ქალაქებში მათთან არ მიდიან ჩვენი ძველი პარტიული ორგანიზაციები, — ისინი იძულებული არიან აიყვანონ ს.-დ. უჯრედების ნაცვლად ლიკვიდატორთა ეგრეთწოდებული «საინიციატივო ჯგუფები», რომლებსაც რსდმ პარტიასთან საერთო არა აქვთ რა.

«კარგ ცხოვრებას ვინ გაქცევია»... განა დრო არ არის, ბ-ნო ლიკვიდატორებო, დაიწყოთ გაერთიანება ესერებთანაც (ესერთა ლიკვიდატორებთან?). ეს ვაჟბატონებიც ხომ «გაერთიანებისაკენ» მიისწრაფვიან. აი მაშინ გექნებათ მართლა «ფართო» პარტია. თვით ლარინი დარჩება კმაყოფილი...

* * *

სანამ ლიკვიდატორები «უცხო სახელმწიფოებთან» «ერთიანდებიან», მათს და შემარიგებლებს შორის გრძელდება ვაჭრობა თვით ამ ლიკვიდატორ-შემარიგებელთა ბანაკის «გაერთიანების» პირობებზე. ბ-ნი ვ. ლევიცკი «ნაშა ზარიაში» გამოდის «ყველა იმ მიმდინარეობისადმი» მიმართული სტატია-მანიფესტით, რომლებიც თანახმა არიან ებრძოლონ რსდმ პარტიის ამასწინანდელ კონფერენციას.

ბ-ნმა ლევიცკიმ სტატიას ასეთი სათაური გაუკეთა: «გაერთიანებისათვის — გათიშვის წინააღმდეგ». აბა, რით არ არის ტროცკი? მას შემდეგ, რაც პარტიელებმა საკადრისი პასუხი გასცეს ლიკვიდატორებს მუშაობის ყ ვ ე ლ ა სფეროში, ლევიცკიმ და კომპანიამ ძალიან «შემარიგებლური» ენა შეითვისეს. ო, ისინი მთლიანად «ერთიანობის» მომხრენი არიან. ისინი აყენებენ «გაერთიანების» მხოლოდ შემდეგ ოთხ მცირედ პირობას:

1) ბრძოლა რსდმ პარტიის კონფერენციის წინააღმდეგ, რომელმაც გააერთიანა ყველა სოციალ-დემოკრატი, გარდა ერთი მუჭა მერყეევებისა.

2) ნაცვლად პარტიისა, «ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ო ჯ გ უ ფ ი ს» შექმნა (ხაზგასმა ბ-ნ ლევიცკისაა, «ნაშა ზარია» № 4, გვ. 31). (თუ რა არის ლიკვიდატორთა «საინიციატივო» ჯგუფები, ეს ამ ცოტა ხნის წინათ ახსნა პრესაში პლეხანოვმა: იხ. მისი «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა»[38] № 16. ბუნდიც და ტროცკიც, რომლებიც ლიკვიდატორებს ემსახურებიან, უმალავენ თავიანთ მკითხველებს პლეხანოვის ახსნა-განმარტებას. ვერ დაუმალავთ, ბატონებო!)

3) არ იქნეს გამოცოცხლებული «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ მ კ ვ დ ა რ ი უ ჯ რ ე დ ე ბ ი» (იქვე, გვ. 33).

4) აღიარებულ იქნეს ლოზუნგი: «ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ე თ ი ს კ უ ლ ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ» (იქვე, გვ. 33).

პროგრამა დასახულია, თუმცა არც ისე გულახდილად და მტკიცედ, როგორც წინათ, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათლად.

და ლევიცკი იქვე ფრიად დაწვრილებით უხსნის ყველა ტროცკის: თქვენ ხომ არჩევანი არა გაქვთ, ბატონებო. მიიღეთ ჩვენი პირობები, სამაგიეროდ ჩვენ (ე. ი. ლევიცკი და კომპანია) სიამოვნებით ვთანხმდებით აი რაზე: «თავის სანუგეშებლად» თქვენ (ე. ი. ტროცკის და მის ამყოლ-დამყოლთ) შეგიძლიათ ილაპარაკოთ, რომ თქვენ კი არ წაიწიეთ ლიკვიდატორებისაკენ, — არამედ ლიკვიდატორებმა მოიწიეს თქვენკენ.

«ნაშა ზარიას» იმავე წიგნაკში მარტოვი წინასწარ ემუქრება IV სათათბიროს მომავალ ს.-დ. ფრაქციას, რომ, თუ ისიც ანტილიკვიდატორული იქნა, როგორც მისი ბედკრული წინამორბედი, — მაშინ «ბელოუსოვის[39] მსგავსი შემთხვევები უკვე გამონაკლისი კი არა, არამედ წესი გახდება», ე. ი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ლიკვიდატორები გ ა თ ი შ ა ვ ე ნ სათათბიროს ფრაქციას. საშიში სიზმარია... ბ-ნო ლიკვიდატორებო. ძალა რომ თქვენს ხელთ იყოს, თქვენ უკვე დიდი ხანია მოაწყობდით სათათბიროში თქვენს ლიკვიდატორულ ფრაქციას...

«გაერთიანების» საქმე საიმედო ხელშია — რაღა საქმელია...

უბადრუკი კომედია ლიკვიდატორულ-ტროცკისტული «გამაერთიანებლობისა» სრულიად უპრეტენზიო ადამიანებსაც აფრთხობს. გაერთიანება ხდება, ოღონდ — გაერთიანება არა ლიკვიდატორებთან, არამედ მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

* * *

ტროცკის, ლიბერის («ბუნდი»), ლიკვიდატორებისა და მათი ყბადაღებული «ორგანიზაციული კომისიის» წარმოუდგენელი ხლესტაკოველობის გამო ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია მივუთითოთ მკითხველებს, — რომლებსაც სურთ სერიოზულად და დაკვირვებულად შეამოწმონ სადავო საკითხები დოკუმენტების მიხედვით, და არა სიტყვებს ერწმუნონ, შემდეგი ფ ა ქ ტ ე ბ ი:

1911 წლის იენისში პარიზში შეიქმნა საზღვარგარეთის ორგანიზაციული კომისია ცეკისტთა კრებიდან ლიბერისა და

იგორევის წასვლის შემდეგ. პირველი ორგანიზაცია რუსეთში, რომელსაც საზღვარგარეთის ორგანიზაციულმა კომისიამ მიმართა, იყო კიევი. ტროცკიც კი აღიარებს, რომ ეს უდავოა. 1911 წლის ოქტომბერში კიევის მონაწილეობით შედგენილ იქნა რუსეთის ორგანიზაციული კომისია. 1912 წლის იანვარში მან მოიწვია რსდმ პარტიის კონფერენცია.

1912 წლის იანვარში შეიკრიბა ბუნდის, ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტისა და კავკასიის საოლქო კომიტეტის (სამივე ჯგუფი ლიკვიდატორულია) თათბირი. პოლონელები მთელ ამ წამოწყებას ლიკვიდატორულად აცხადებენ და მაშინვე ტოვებენ თათბირს. შემდეგ უარს აცხადებენ შესვლაზე «შემარიგებლები» და პლეხანოვი, რომელმაც «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» № 16-ში გამოაცხადა, რომ ამ კონფერენციას ლიკვიდატორები იწვევენო. ახლა 1912 წლის ივნისია, და ვერც ბუნდმა და ვერც ტროცკიმ ვერავინ ვერ «გააერთიანეს», გარდა გოლოსელებისა და ვპერიოდელებისა, რუსეთში ვერც ერთ სერიოზული და უდავო ორგანიზაცია ვერ მიიზიდეს, პლეხანოვს არსებითად ერთი სიტყვითაც ვერ უპასუხეს, «ნაშა ზარიასა» და მის მსგავს სხვა ორგანოებში ლიკვიდატორობის ქადაგება იოტის ოდენადაც არ შეუცვლიათ!

ფრაზები და კვეხნა კი «გაერთიანების» შესახებ დაუსრულებელია.

«სოციალ-დემოკრატი» № 27,
1912 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალებთან ჩვენი პოლემიკის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ

რევიზიონიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ცნობილი წარმომადგენელი, ბ-ნი პროკოპოვიჩი, «რუსსკიე ვედომოსტი»-ში გამოვიდა სტატიით «საფრთხის წინაშე». საფრთხე, ამ პოლიტიკოსის აზრით, ის არის, რომ IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს ბოქაულები მოახდენენ. საფრთხესთან ბრძოლის საშუალებაა — «გაერთიანება ქვეყნის ყველა კონსტიტუციური ელემენტებისა», ე. ი. როგორც ს.-დ. და ტრუდოვიკებისა, ისე კადეტებისა და პროგრესისტებისა.

მემარჯვენეკადეტური «რუსსკ. ვედომოსტი» განსაკუთრებულ სარედაქციო შენიშვნაში აცხადებს თავის «კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს» ბ-ნ პროკოპოვიჩის სტატიის გამო. «ოპოზიციური ძალების ასეთი გაერთიანება, — წერს გაზეთი, — ჩვენ ამჟამად მომენტის არსებით საჭიროებად მიგვაჩნია».

ოფიციალურ-კადეტური «რეჩი», მოჰყავს რა ბ-ნ პროკოპოვიჩის სტატიის შინაარსი და «რუსსკ. ვედომოსტის» აზრი, თავის მხრივ შენიშნავს:

«მაგრამ, თუ წავიკითხავთ ს.-დ. მიმართულების ორგანოებს, რომლებიც მთელ თავიანთ ღონისძიებებს ყველაზე მეტად ოპოზიციასთან საბრძოლველად წარმართავენ, არა გვგონია შეიძლებოდეს რაიმე რეალური მნიშვნელობა მივანიჭოთ ამ (ე. ი. «გამაერთიანებელ») მოწოდებას».

ამრიგად, კვლავ და კვლავ წამოყენებულია მნიშვნელოვანი საკითხი წინასაარჩევნო ტაქტიკისა და ლიბერალებთან მუშების დამოკიდებულების შესახებ. კვლავ და კვლავ გვიხდება

დავრწმუნდეთ, რომ ლიბერალები ამ საკითხს აყენებენ არა როგორც სერიოზული პოლიტიკოსები, არამედ როგორც მაჭანკლები. ისინი მიზნად ისახავენ არა ჭეშმარიტების გამორკვევას, არამედ მის დაბნელებას.

მართლაც, ჩაუფიქრდით შემდეგ გარემოებას. ესმით თუ არა ლიბერალებს «გაერთიანებად» პარტიების შეერთება? სულაც არა. ბ-ნი პროკოპოვიჩიც, «რუსსკ. ვედომოსტიც» და «რეჩიც» ერთხმად აცხადებენ, რომ არა.

მაშასადამე, გაერთიანებად ესმით ერთობლივი მოქმედება მემარჯვენეების წინააღმდეგ, პურიშკევიჩიდან გუჩკოვამდე? თითქოს, ასეა!

იბადება კითხვა, უარყოფს თუ არა «მემარცხენეთაგან» ვინმე ასეთ ერთობლივ მოქმედებას?

არავინ არ უარყოფს. ეს ყველამ იცის.

ლიბერალებთან შეთანხმება მემარჯვენეთა წინააღმდეგ ხმის მიცემის შესახებ, სწორედ ეს არის «გაერთიანება» არჩევნებში დემოკრატებისა და ლიბერალებისა. რითღა არიან უკმაყოფილო ლიბერალები? რატომ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ «მემარცხენეებმა» სავსებით გარკვეულად და ზუსტად ცნეს შეთანხმებანი? რატომ მორცხვად დუმილით უვლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ სწორედ ლიბერალებმა არაფერი ნათელი, გარკვეული, ზუსტი, ფორმალური არ თქვეს მემარცხენეებთან, დემოკრატებთან, მარქსისტებთან შეთანხმებებზე? რატომ არის, რომ როცა ისინი საარჩევნო ტაქტიკაზე ლაპარაკობენ, კრინტსაც არ ძრავენ კადეტთა კონფერენციის ცნობილ გადაწყვეტილებაზე, რომელმაც დასაშვებად ცნო ბლოკები «მემარცხენე ოქტიაბრისტებთან»?

ფაქტები თვალწინაა, ბატონებო, და ვერავითარი მიკიბმოკიბვა ვერ გიშველით. სწორედ მემარცხენეებმა, სწორედ მარქსისტებმა ნათლად, ზუსტად და ფორმალურად გამოთქვეს აზრი მემარჯვენეთა წინააღმდეგ ლიბერალებთან (მათ შორის როგორც კ.-დ.-ებთან, ისე პროგრესისტებთან) შეთანხმების

ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. სავსებით ზუსტ და ფორმალურ პასუხს მემარცხენეთა შესახებ თავი ააარიდეს ს წ ო რ ე დ კ ა დ ე-ტ ე ბ მ ა!

ბ-ნი პროკოპოვიჩი ამ ფაქტებს მშვენივრად იცნობს, და ამიტომ მის მხრივ სრულიად შეუწყნარებელია ჭეშმარიტების დამახინჯება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან დუმილით აუარა გვერდი მარქსისტების ზუსტ გადაწყვეტილებასა და კადეტების ორჭოფობას.

რით არის გამოწვეული ეს დუმილი? ეს ნათლად ჩანს «რეჩის» მოყვანილი სიტყვებიდან იმის შესახებ, რომ თითქოს ჩვენ «მთელ ჩვენს ძალ-ღონეს ყველაზე მეტად ოპოზიციასთან ბრძოლისაკენ წარვმართავთ».

«რეჩის» ფრაზა ისეა აგებული, რომ იქიდან გარდუვალად გამომდინარეობს: ლიბერალებთან გაერთიანებისათვის დემოკრატებმა ა რ უ ნ დ ა «წარმართონ მთელი ძალ-ღონე» ოპოზიციასთან ბრძოლისაკენ. მაშ გარკვევით თქვით ეს, ბატონებო! წამოაყენეთ თქვენი პირობა ზუსტად, ფორმალურად! თქვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ თქვენ ა რ შ ე გ ი ძ ლ ი ა თ გააკეთოთ ეს — ყველა გადიხარხარებდა, ასეთი პირობის ჩამოყალიბება რომ გესინჯათ. ასეთი პირობა რომ წამოგეყენებინათ, თქვენ გააბათილებდით თქვენსავე ნათქვამს, ვინაიდან თქვენ ყველამ ერთხმად აღიარეთ «ღ რ მ ა უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა» ლიბერალებსა და დემოკრატებს შორის (მარქსისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

ხოლო რაკი უთანხმოებაა, რაკი ეს უთანხმოება ღრმაა, მაშინ როგორღა შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს ბრძოლა?

ლიბერალიზმის სიყალბე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ის უარყოფს შეერთებას, აღიარებს ღრმა უთანხმოებას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეუძლებელია «ხელის აღება თვითეული პარტიის პროგრამის ძირითად დებულებებზე» («რუსსკ. ვედომ.»), ხოლო, მეორე მხრივ, ჩ ი ვ ი ს «ოპოზიციასთან ბრძოლაზე»!!

მაგრამ უფრო ახლო დავაკვირდეთ საქმეს. ჯერ-ერთი, მართალია თუ არა, რომ გაზეთები და ჟურნალები, რომლებზეც «რეჩი» ლაპარაკობს, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ყველაზე მეტად ოპოზიციასთან საბრძოლველად წარმართავენ? არა, ეს სრულებითაც არ არის მართალი. ლიბერალები ერთ, ერთადერთ საკითხსაც ვერ დაგვასახელებენ, რომლის მიხედვითაც დემოკრატები მთელ ძალ-ღონეს ყველაზე მეტად მემარჯვენეებთან საბრძოლველად არ წარმართავდნენ!! გააკეთეთ ცდა, ვისაც ამ სიტყვების შემოწმება გსურთ. აიღეთ მარქსისტების რომელიმე გაზეთის რომელიც გნებავთ, ვთქვათ, ზედიზედ სამი ნომერი. აიღეთ სამი საცდელი პოლიტიკური საკითხი და შეადარეთ დოკუმენტური მონაცემები, ვის წინააღმდეგ არის «მიმართული» ყველაზე მეტად მარქსისტების ბრძოლა თქვენ მიერ შერჩეულ საკითხებზე, თქვენ მიერ არჩეულ გაზეთის ნომრებში!

თქვენ არ გააკეთებთ ამ მარტივ და ყველასთვის მისაწვდომ ცდას, ბატონო ლიბერალებო, ვინაიდან ყოველი ასეთი ცდა ცხადს გახდის, რომ თქვენ მართალი არა ხართ.

უფრო მეტიც. მეორე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოსაზრება კიდევ უფრო დამაჯერებლად მეტყველებს თქვენს წინააღმდეგ. როგორ აქვთ დაყენებული თავიანთი ბრძოლა ლიბერალების წინააღმდეგ საერთოდ დემოკრატებს და განსაკუთრებით მარქსისტებს? მათ იგი დაყენებული აქვთ ისე და მხოლოდ ისე, რომ ყოველი, გადაჭრით და უთუოდ ყოველი საყვედური თუ ბრალდება ლიბერალების მიმართ თავისთავად შეიცავს კიდევ უფრო გადამწყვეტ საყვედურს, კიდევ უფრო მძიმე ბრალდებას მემარჯვენეთა წინააღმდეგ.

აი რაშია საქმის არსი, აი რა არის მთავარი ამ საკითხში! რამდენიმე მაგალითი თვალსაჩინოდ განმარტავს ჩვენს აზრს.

ჩვენ ბრალსა ვდებთ ლიბერალებს, კადეტებს, კონტრრევოლუციურობაში. გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ჩვენი

ამგვარი ბრალდება, რომელიც უფრო მეტი ძალით არ ხვდებოდეს მემარჯვენეებს.

ჩვენ ბრალსა ვდებთ ლიბერალებს «ნაციონალიზმში», «იმპერიალიზმში». გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ჩვენი ამგვარი ბრალდება, რომელიც უფრო მეტი ძალით არ იყოს მიმართული მემარჯვენეთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვუსაყვედურებდით ლიბერალებს იმას, რომ მათ ეშინიათ მასების მოძრაობისა. მერე? განა თქვენ შეძლებთ მონახოთ ჩვენს გაზეთებში ამ ბრალდების ისეთი ფორმულირება, რომელიც მიმართული არ იყოს მემარჯვენეების წინააღმდეგაც?

ჩვენ ვუსაყვედურებდით ლიბერალებს იმას, რომ ისინი იცავენ «ცნობილ» საშუალოსაუკუნეობრივ დაწესებულებებს, რომლებსაც შეუძლიათ «იმოქმედონ» მუშების წინააღმდეგ. ლიბერალებისათვის ა მ ა შ ი ბრალის დადება ნიშნავს ს წ ო რ ე დ ა მ ი თ ბრალი დასდო ამაშივე, და უფრო მეტ რამეშიც, ყველა მემარჯვენეს.

ამ მაგალითების რიცხვი შეიძლება გავადიდოთ რამდენჯერაც გნებავთ. ყოველთვის და ყველგან, სრულიად უგამონაკლისოდ, თქვენ ნახავთ, რომ მუშათა დემოკრატია ბრალს სდებს ლიბერალებს მხოლოდ და მხოლოდ მემარჯვენეებთან მათი სიახლოვისათვის, მემარჯვენეებთან მათი ბრძოლის გაუბედაობისა და ფ ი ქ ტ ი უ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, მათი ორჭოფობისათვის, რ ი თ ა ც მემარჯვენეებს ბრალსა სდებს უკვე არა «ნახევარ ცოდვაში», არამედ «მთელ ცოდვაში».

«ლიბერალებთან ბრძოლა» დემოკრატებისა და მარქსისტების მხრივ უფრო ღრმა, უფრო თანმიმდევრული, უფრო შინაარსიანი, მასების უფრო გამათვითცნობიერებელი და დამრაზმავია, ვიდრე მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ა. აი როგორია საქმის ვითარება, ბატონებო!

და, ამ მხრივ საეჭვო რომ არაფერი დავტოვოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ლიბერალებთან ჩვენი ბრძოლის აზრისა და მნიშვნელობის სულელური დამახინჯება, რომ თავიდან ავი-

ცილოთ, მაგალითად, სულელური თეორია «ერთიანი რეაქ-ციული მასის» შესახებ (ე. ი. ლიბერალებისა და მემარჯვე-ნეების აღრევის შესახებ რეაქციული ბლოკის, რეაქციული მასის ერთ პოლიტიკურ ცნებად), ჩვენ ყოველთვის ჩვენს ფორმალურ განცხადებებში მემარჯვენეებთან ბრძოლაზე ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ ვლაპარაკობთ, ვიდრე ლიბერალებთან ბრძოლაზე.

ბ-ნმა პროკოპოვიჩმა, ისევე როგორც ყოველმა განათლე-ბულმა ლიბერალმა, მშვენივრად იცის ეს. მან იცის, რომ, მაგალითად, სხვადასხვა პარტიების სოციალური, კლასობრივი ბუნების ჩვენს განსაზღვრაში მუდამ ხაზგასმულია მემარჯ-ვენეთა შუასაუკუნეობრიობა და ლიბერალთა ბურჟუაზიუ-ლობა. ეს ორი რამ დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შუასაუკუნეობრიობა შეიძლება მოსპო (და უნდა მოსპო), თვით კაპიტალიზმის ფარგლებშიც რომ რჩებოდე. ბურჟუა-ზიულობის მოსპობა ამ ფარგლებში არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება «მიმართო» (და კიდევაც უნდა მიმართო) ბურჟუა-ზიული მემამულისაგან ბურჟუაზიულ გლეხს, ბურჟუაზიული ლიბერალისაგან ბურჟუაზიულ დემოკრატს, ბურჟუაზიული ნახევრადთავისუფლებისაგან ბურჟუაზიულ სრულ თავისუფ-ლებას. სწორედ ასეთ მიმართვაში, მხოლოდ ასეთ მიმართვა-ში მდგომარეობს ჩვენი კრიტიკა ლიბერალიზმისა რუსეთის ახლანდელ მომენტში, ე. ი. ის კრიტიკა, რომელსაც ჩვენ წარვმართავთ ამ მომენტის უახლოესი და მორიგი ამოცანების თვალსაზრისით.

აიღეთ, მაგალითად, ბ-ნ პროკოპოვიჩის შემდეგი ფრაზა: «ხალხის მასების პოლიტიკური ცხოვრების ჯანსაღი პირო-ბების შექმნა — აი ის უახლოესი მიზანი, რომელიც აერთია-ნებს ამჟამად მემარცხენეებსაც და ოპოზიციასაც».

ამ ფრაზაზე უფრო უშინაარსო, უფრო ცარიელი, უფრო მაცთუნებელი არაფერია. ამ ფრაზას ხელს მოაწერს ოქტიაბ-რისტიც და გაქნილი «ნაციონალისტიც», ვინაიდან ეს ფრაზა ნათელს არაფერს იძლევა. ესაა უბრალო დაპირება, შიშველი

დეკლამაცია, თავისი აზრების დიპლომატიური დამალვა. მაგრამ, თუ ბ-ნ პროკოპოვიჩს, ისევე როგორც ბევრ სხვა ლიბერალს, ენა მიცემული აქვს იმისათვის, რომ თავისი აზრები დამალოს, ჩვენ შევეცდებით შევასრულოთ ჩვენი ვალი: გამოვამჟღავნოთ ის, რაც აქ იფარება. ავიღოთ, სიფრთხილისათვის, უფრო უბრალო, პატარა მაგალითი.

ორპალატიანი სისტემა არის თუ არა პოლიტიკური ცხოვრების ჯანსაღი პირობა? ვფიქრობთ, რომ არა. პროგრესისტები და კადეტები ფიქრობენ, რომ კი. ასეთი შეხედულებებისათვის ლიბერალებს ჩვენ ბრალსა ვდებთ ანტიდემოკრატიზმში, კონტრრევოლუციურობაში. და როცა ჩვენ ასეთ ბრალდებას ვაყალიბებთ ლიბერალების წინააღმდეგ, სწორედ ამით უფრო მეტად ვდებთ ბრალს ყველა მემარჯვენეს.

შემდეგ იბადება კითხვა, რა ვუყოთ ამ შემთხვევაში «მემარცხენეებისა და ოპოზიციის გაერთიანებას»? უარს ვამბობთ თუ არა ჩვენ ამ უთანხმოების გამო ლიბერალთან გაერთიანებაზე მემარჯვენეების წინააღმდეგ? არა, სრულებითაც არ ვამბობთ უარს. ლიბერალთა კონტრრევოლუციურ შეხედულებებს ამ საკითხზე, და პოლიტიკური თავისუფლების ყველა ანალოგიურ, გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ საკითხებზე ჩვენ ვიცნობთ დიდი ხანია, 1905 წლიდან, თუ უფრო ადრე არა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ 1912 წელსაც ვიმეორებთ: ხელახლა კენჭისყრის დროსაც და არჩევნების მეორე სტადიაშიც ლიბერალებთან შეთანხმება მემარჯვენეთა წინააღმდეგ დასაშვებია. ვინაიდან ბურჟუაზიული მონარქისტული ლიბერალიზმი, მთელი თავისი ორჭოფობის მიუხედავად, სრულებითაც არ არის ის, რაც ბატონყმური რეაქცია. ამ განსხვავების გამოუყენებლობა მთლად უვარგისი მუშათა პოლიტიკა იქნებოდა.

მაგრამ განვაგრძოთ. რ ო გ ო რ გამოვიყენოთ? რ ა პირობებშია შესაძლებელი «მემარცხენეებისა და ოპოზიციის გაერთიანება»? ლიბერალი ამ კითხვაზე უპასუხებს: გაერ-

თიანებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ მემარცხენეები ოპოზიციასთან განუხრელ ბრძოლას ეწევიანო. და ლიბერალი თავის აზრს ასე განმარტავს: რაც უფრო მცირეა მოთხოვნა, მით უფრო ფართოა თანახმათა წრე, მით უფრო სრულია გაერთიანება, მით უფრო მეტია ძალა, რომელსაც შეუძლია ამ მოთხოვნის განხორციელება; «ასატან» კონსტიტუციას ორპალატიანი სისტემით (და სხვა... როგორ გამოვთქვათ უფრო რბილად?.. დემოკრატიზმიდან მცირე გადახვევით) მხარს დაუჭერს ყველა დემოკრატიც და ყველა ლიბერალიც; ეს ძალიან ბევრია; ხოლო თუ «წმინდა» დემოკრატიზმს ჩააცივდებით, პროგრესისტებიც ჩამოგშორდებიან, ბევრ კ.-დ-საც «დააფრთხობთ», გამოვა «კონსტიტუციური ელემენტების» დაქსაქსვა და დაუძლურებაო.

ასე მსჯელობს ლიბერალი. ჩვენ კი სხვანაირად ვმსჯელობთ. თუ არ იქნა მასების შეგნება, ისე უკეთესობისაკენ რაიმე ცვლილება შეუძლებელია. ეს ჩვენი ძირითადი წანამძღვარია. ლიბერალი ზედაფენებს უყურებს, ჩვენ კი ვუყურებთ «ქვედაფენებს». თუ ხელს ავიღებთ ორპალატიანი სისტემის მავნებლობის განმარტებაზე ან თუნდაც იოტის ოდენად შევასუსტებთ «ბრძოლას» ამ საკითხზე ყოველნაირ ანტიდემოკრატიულ შეხედულებებთან, ამით ჩვენ «ვიმხრობთ» ლიბერალ მემამულეს, ვაჭარს, ადვოკატს, პროფესორს — ისინი ყველანი პურიშკევიჩის ღვიძლი ძმები არიან და პურიშკევიჩების წინააღმდეგ სერიოზულს ვერაფერს გააკეთებენ. როცა მათ «ვიმხრობთ», ამით მასებს ვიშორებთ — იმ აზრითაც, რომ მასები, რომლებისთვისაც დემოკრატიზმი დიპლომატიური აბრა და საჩვენებელი ფრაზა კი არ არის, არამედ არსებითი, ღვიძლი საქმეა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ეს მასები დაკარგავენ ნდობას ორპალატიანი სისტემის მომხრეებისადმი; — იმ აზრითაც, რომ ორპალატიანი სისტემის წინააღმდეგ თავდასხმის შესუსტება ნიშნავს მასების არასაკმაო შეგნებულობას, ხოლო თუ მასები შეუგნებელი, მძი-

ნარა, გაუბედავი არიან, რაიმე ცვლილება უკეთესობისაკენ შეუძლებელია.

ლიბერალებთან თქვენი პოლემიკით თქვენ მემარცხენეებსა და ოპოზიციას სთიშავთო, გვეუბნებიან კადეტები და ბ-ნი პროკოპოვიჩები. ჩვენ ვუპასუხებთ, რომ თანმიმდევრული დემოკრატიზმი იშორებს ყველაზე მერყევ, არასაიმედო, პურიშკევიჩობის ყველაზე შემწყნარებელ ლიბერალებს; ისინი ერთი მუჭა არიან; ხოლო იმხრობს მილიონობით ადამიანებს, რომლებიც ახლა იღვიძებენ ახალი ცხოვრებისათვის, «ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრებისათვის», ამასთან ამ სიტყვაში ჩვენ ვგულისხმობთ არა იმას, სრულებითაც არა იმას, რასაც ბ-ნი პროკოპოვიჩი გულისხმობს.

ორპალატიანი სისტემის ნაცვლად მაგალითისათვის შეიძლებოდა აგვეღო მიწათმომწყობი კომისიების შემადგენლობა: საჭიროა თუ არა გავლენის ერთი მესამედი მიეცეს მემამულეებს, მეორე — გლეხებს, მესამე — მოხელეებს, როგორც კადეტები ფიქრობენ, თუ არჩევნები სრულიად თავისუფალი უნდა იყოს ს ა ვ ს ე ბ ი თ დემოკრატიული საარჩევნო უფლებით? რას უნდა ვგულისხმობდეთ ამ პუნქტში «ხალხის მასების პოლიტიკური ცხოვრების ჯანსაღ პირობების» ქვეშ, ჰა, ბ-ნო პროკოპოვიჩ? ვის ჩამოვიშორებთ და ვის მივიმხრობთ თანმიმდევრული დემოკრატიზმით ამ საკითხში?

დაე ნუ გვიპასუხებს «რუსსკიე ვედომოსტი», რომ «ამჟამად პროგრამების ყველა სხვა პუნქტზე გაბატონებულია ერთი, ყველა პროგრესული პარტიისათვის საერთო პუნქტი, რომელიც მოითხოვს პოლიტიკური თავისუფლების განხორციელებას». სწორედ იმიტომ, რომ ეს პუნქტი გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ა — ეს სრულიად უდავოა, ეს წმინდა ჭეშმარიტებაა — საჭიროა, რომ უფართოესი მასები, მილიონობით და მილიონობით ადამიანები განასხვავებდნენ ნახევრადთავისუფლებას თავისუფლებისაგან და ესმოდეთ პოლიტიკური დე-

მოკრატიზმისა და აგრარულ გარდაქმნათა დემოკრატიზმის განუყრელი კავშირი.

მასების დაინტერესების, შეგნებულობის, მხნეობის, ქმედითობის, გამბედაობის, დამოუკიდებლობის გარეშე არც ერთ და არც მეორე დარგში აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

«ნევსკაია ზვეზდა» № 12,
1912 წ. 10 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

კაპიტალიზმი და «პარლამენტი»

დემოკრატიზმის ჭეშმარიტებებმა არ უნდა დაჩრდილოს ჩვენს თვალში ის გარემოება, — რომელსაც ხშირად მხედველობიდან უშვებენ ბურჟუაზიული დემოკრატები, — რომ წარმომადგენლობითი დაწესებულებანი გარდუვალად წარმოშობენ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლებაზე კაპიტალის გავლენის თავისებურ ფორმებს. ჩვენ პარლამენტი არა გვაქვს, — მაგრამ პარლამენტური კრეტინიზმი ლიბერალებს შორის, პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ე ბ ა ყველა ბურჟუაზიულ დეპუტატთა შორის რამდენიც გნებავთ იმდენია.

ეს ჭეშმარიტება მუშებმა კარგად უნდა შეითვისონ, თუ სურთ ისწავლონ წარმომადგენლობითი დაწესებულებების გამოყენება მუშათა კლასის შეგნების, დარაზმულობის, სინამდვილის, ქმედითობის გ ა ნ ს ა ვ ი თ ა რ ე ბ ლ ა დ. პროლეტარიატისადმი მტრული ყველა სოციალური ძალა — «ბიუროკრატია», მიწათმფლობელობა, კაპიტალი — უკვე იყენებენ ამ წარმომადგენლობითს დაწესებულებებს მუშების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. უნდა ვიცოდეთ, როგორ აკეთებენ ისინი ამას, — რომ ვისწავლოთ მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესებისა და მისი დამოუკიდებელი განვითარების დაცვა.

III სათათბირომ გადაწყვიტა პრემიები მისცეს ჩვენებურ მანქანათმშენებლებს. რომელ ჩვენებურს? — რუსეთში რომ «მუშაობენ»!

ხოლო თუ დააკვირდებით — აღმოჩნდება, რომ სწორედ უცხოელმა კაპიტალისტებმა გადმოიტანეს თავიანთი ქარხნები რუსეთში. საბაჟო გადასახადი დიდია, — მოგება განუსაზღვრელი — ჰოდა უცხოეთის კაპიტალიც რუსეთის შ ი გ ნ ი თ გადმოდის. მაგალითად, ამერიკის ტრესტმა — მილიონერ-კაპიტალისტთა კავშირმა — მოსკოვის ახლოს, ლიუბერცში სას.-სამ. მანქანების ვეებერთელა ქარხანა ააშენა. ხოლო ხარკოვში კაპიტალისტი მელგოზე, ბერდიანსკში კი კაპიტალისტი ჯონ გრიევსი სასოფლო-სამეურნეო მანქანებს აკეთებენ. რა ბევრი რამაა «ჭეშმარიტად რუსული», «ჩვენებური» ამ მეწარმეებში, არა?

მაგრამ, ცხადია, რუსი კაპიტალისტების ყოველმხრივი დახმარების გარეშე ისინი სრულებითაც ვ ე რ იმოქმედებდნენ რუსეთში. ხელი ხელსა ბანს. ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი კაპიტალისტები მოგებას იღებენ რუსი კაპიტალისტების დახმარებით, რომლებსაც ძალიან კარგი წილი ხვდებათ. ავიღოთ, მაგალითად, ლენის ოქროს საბადოები, ან ურალის სამთამადნო საწარმოები. რამდენი მილიონი გაიყვეს აქ უცხოელმა და რუსმა კაპიტალისტებმა!

სათათბირო აქ ძალიან სასარგებლოა ბ. ბ. მრეწველთათვის. კაპიტალისტებს სათათბიროშიც და სახელმწიფო საბჭოშიც ბლომად ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები, ამასთან მემამულეც ხომ ჩვენს დროში უკაპიტალოდ არარაობაა. და კაპიტალისტებსა და მემამულეებს სათათბიროს სახით ჰყავთ მზამზარეული აპარატი იმისათვის, რომ გაატარონ კანონები «პრემიების» (თ ა ვ ი ა ნ თ ი თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს), საბაჟო დაცვის (ე. ი. თავიანთი თავისათვის პრემიების მეორე ფორმის), კონცესიების (თავიანთი თავისათვის პრემიების მესამე ფორმა) შესახებ და ასე შემდეგ დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ლ ა დ.

ლიბერალი «სკეპტიკოსი» ლიბერალურ «რეჩში» კარგად წერდა ამის შესახებ. ისე გრძნობიერად წერდა «ნაციონალისტების» წინააღმდეგ (თვითონ დაინიშნეს თავისთვის «პრემიები» ბ-ნ გრიევსების, მელგოზეების, ელვორტებისა და სხვა

კომპანიების «ჩვენებური» მანქანათმშენებლობის წასახალისებლადო), რომ ცოტა მეც კი გადმომდო სკეპტიციზმი.

დიახ, «ნაციონალისტებს» ცუდად როდი ამხილებს ბ-ნი ლიბერალი «სკეპტიკოსი». მაგრამ რატომღა დუმს იგი კადეტებზე? როცა, მაგალითად, გოლოვინი კონცესიებს შოულობდა, ნუთუ სათათბიროს დეპუტატისა და სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარის მდგომარეობა არ ეხმარებოდა მას ამ სასარგებლო და მომგებიან საქმეში?

როცა მაკლაკოვი «თაღიევის» ჰონორარებს შეექცეოდა, ნუთუ სათათბიროს დეპუტატის მდგომარეობა არ უადვილებდა მას ესოდენ «ხელსაყრელი» საქმეების მიღებას?

ხოლო კიდევ რამდენმა კადეტმა მემამულემ, ვაჭარმა, კაპიტალისტმა, ფინანსისტმა, ადვოკატმა, საქმოსანმა გააფართოვა თავისი ოპერაციები, განამტკიცა თავისი «კავშირები», მოაჭახრაკა თავისი «საქმეები» დეპუტატის წოდების საშუალებით და იმ სარგებლობის, იმ ხელსაყრელობის გამოყენებით, რასაც ეს წოდება იძლევა?

ხოლო რა იქნება, რომ მოეწყოს ანკეტა სათათბიროს დეპუტატების მიერ და სათათბიროს დეპუტატების მონაწილეობით ჩატარებულ საფინანსო ოპერაციების შესახებ?

დიახ, მაგრამ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მიღებულია ზომები, რომ «კომერციული საიდუმლოება» დაცული იყოს, რომ არც ერთმა «პარლამენტმა» ასეთი ანკეტა არ დაუშვას.

მაგრამ მუშა დეპუტატებმა, უეჭველია, ბევრი რამ იციან ამ საკითხზე, და რომ გავისარჯოთ, თავი შევიწუხოთ, ცნობები შევკრიბოთ, მასალები შევარჩიოთ, გაზეთებში მოვძებნოთ, ბირჟაზე ცნობები ავიღოთ და ა. შ., შეიძლება თვითონვე ჩავატაროთ ძალიან საგულისხმო და ძალიან სასარგებლო «ანკეტა» სათათბიროს დეპუტატების საქმიანი ოპერაციე-

ბისა და ამ დეპუტატების მონაწილეობით ჩატარებული ოპერაციების შესახებ.

ევროპის პარლამენტებში ეს ოპერაციები საყოველთაოდაა ცნობილი, და მუშები ამ ოპერაციებს მუდამ ამხილებენ მოსაქმეთა სახელების გამომჟღავნებით — ხალხის ჭკუის სასწავლებლად.

«ნევსკაია ზვეზდა» № 13,
1912 წ. 17 ივნისი
ხელმოწერა: ა რ ა-ლ ი ბ ე რ ა ლ ი
ს კ ე პ ტ ი კ ო ს ი

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

არჩევნები და ოპოზიცია

მარქსისტებმა უკვე დიდი ხანია განსაზღვრეს თავიანთი პრინციპული დამოკიდებულება არჩევნებისადმი. მემარჯვენე პარტიები, პურიშკევიჩიდან გუჩკოვამდე, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია (კადეტები და პროგრესისტები) და დემოკრატია (მუშათა და ბურჟუაზიული, ე. ი. ტრუდოვიკები)— აი არჩევნებში მებრძოლი სამი ძირითადი ბანაკი. ამ ბანაკებს შორის განსხვავება ძირითადია: ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა კლასებს, ისინი განსხვავდებიან მთელი პროგრამითა და ტაქტიკით. მხოლოდ თვითეული ამ ბანაკის პოლიტიკის პრინციპული საფუძვლის ნათელი გაგებისას შეიძლება გავაკეთოთ სწორი პრაქტიკული დასკვნები საარჩევნო კამპანიის შესახებ.

მას შემდეგ, რაც მარქსისტებმა, დაახლოებით ნახევარი წლის წინათ, სავსებით ჩამოაყალიბეს ეს დებულებანი *, მათი სისწორე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დასტურდება ლიბერალური ოპოზიციის გამოსვლებით. ჩვენი «მეზობლები და მტრები მარჯვნიდან», რომლებიც სრულებითაც არ იზიარებენ ჩვენს შეხედულებებს, საქები გულმოდგინებით გვაძლევდნენ ამ შეხედულებათა სისწორის საუკეთესო დადასტურებას. შეიძლება გამოვაცხადოთ კანონი: კადეტის პოლიტიკური მოღვაწეობისა და პოლიტიკურ შეხედულებათა განვითარება იძლევა მარქსისტების შეხედულებათა საუცხოო დადასტურებას. ანდა სხვანაირად: როცა ლაპარაკს იწყებს კადეტი, დარ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 437 — 442. რ ე დ.

წმუნებული იყავით, რომ იგი ზოგიერთ მარქსისტზე ცუდად როდი გააბათილებს ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსების შეხედულებას.

აი რატომაა, სხვათა შორის, მუშებისათვის ორმაგად სასარგებლო ყურადღებით დააკვირდნენ კადეტთა პოლიტიკას: ჯერ-ერთი, კარგად გაიცნობ ლიბერალ ბურჟუას, ხოლო მეორე მხრივ, ისწავლი უფრო თვალნათლივ დაინახო მუშათა კლასის ზოგიერთ მომხრეთა შეცდომები.

სწორედ ამ ორმაგ სარგებლობას მოიტანს ალბათ «რ ე ჩ ი ს» ამასწინანდელი გამოსვლა «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი»-ში გაკეთებულ მნიშვნელოვან წინასაარჩევნო განცხადებათა გამო. ესაა ძველი «ეკონომისტის», ე. ი. 1897—1902 წლების დროინდელი ოპორტუნისტის ბ-ნ აკიმოვის (ვლ. მახნოვეცის) განცხადებანი. ეს განცხადებანი მდგომარეობენ «პროგრესული ბლოკის» პირდაპირ დაცვაში, რომლის «პლატფორმასაც» (სხვათა შორის: გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ ს!) ბ-ნი აკიმოვი, რომელსაც სურს თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებდეს, თვლის «სავსებით მისაღებად სოციალ-დემოკრატიისათვის».

ჩვენ გვეუბნებოდნენ და დღემდე გვეუბნებიან მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ბალღები (პარიზიდან კრასნოიარსკამდე) და ნაცადი დიპლომატები (ვენიდან ვილნომდე) [40], რომ ლიბერალური მუშათა პოლიტიკა «საფრთხობელაა». აბა შეხედეთ ბ-ნ აკიმოვს, პატივცემულო ოპონენტებო! თქვენ ალბათ ვერ შეძლებთ უარყოთ აქ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის აშკარა სახე. და თქვენ ვერ იტყვით, რომ აკიმოვი «უნიკუმია», ე. ი. ერთეული და თავისებურად ერთადერთი, უბადლო იშვიათობაა. ვინაიდან, რა ბევრი უბადლო თვისებაც არ უნდა ჰქონდეს ბ-ნ აკიმოვს, იგი მაინც ერთეული არ არის; ამის თქმა აშკარა ტყუილი იქნებოდა. იგი გამოვიდა ბ-ნ პროკოპოვიჩის შემდეგ და მის მომხრედ. მან იპოვა გავრცელებული ლიბერალური ორგანო — მოხერხებული ტრიბუნა, რომელსაც შორს მიაქვს მისი სიტყვები. მან იპოვა «კარგი პრესა» ლიბერალ ჟურნალისტთა შორის. ო, არა, იგი ერთეული

არ არის. მართალია, იგი დიდი ხანია არავითარ ჯგუფს აღარ ეკუთვნის. მართალია, სოციალ-დემოკრატის წოდებაზე მისი უფლება სრულიად ფიქტიურია. მაგრამ იგი წარმომადგენელია პოლიტიკური ხ ა ზ ი ს ა, რომელსაც ფესვები აქვს, რომელიც ცოცხლობს და, თუმცა ხშირად იმალება, მაინც მ უ დ ა მ იჩენს თავს, როგორც კი ოდნავი პოლიტიკური გამოცოცხლება დაიწყება.

«რ ე ჩ ი» ბ-ნ აკიმოვის მოსაზრებათა «ფხიზელ რეალიზმს სავსებით ჯეროვნად აფასებს» და განსაკუთრებული თანაგრძნობით უსვამს ხაზს მის აზრს, რომ «სოციალ-დემოკრატებმა ამჟამად უნდა წამოაყენონ თავიანთი პოლიტიკური ამოცანების ის ნაწილი, რომელიც მხარდაჭერას პოვებს ხალხის საკმაოდ ფართო, პოლიტიკურად ძლიერ წრეებში».

აბა, როგორ არ უნდა უხაროდეს ეს «რეჩს»! რასაც «ნაშა ზარია» ათასნაირი მიკიბმოკიბვით ამბობს, თანაც შენიშვნას შენიშვნაზე ახვავებს, კვალს ფარავს და დიდი ხნის გახუნებული ვითომდა მარქსისტული სიტყვებით კოხტაობს, ის ბ-ნმა აკიმოვმა წამოაყრანტალა პირდაპირ, უხეშად, მიამიტად, გულუბრყვილოდ... თითქმის წმინდანივით.

ფორმალურად «ნაშა ზარიასა» და «ნევსკი გოლოსს», რა თქმა უნდა, სრული შესაძლებლობა აქვთ აერიდონ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ბ-ნ აკიმოვისათვის. მაგრამ ფაქტიურად ფართო მკითხველი საზოგადოება, რომელიც დეტალებს არ იცნობს და რომელსაც დეტალები არ აინტერესებს, ამ ლიკვიდატორული გამოცემებიდან ითვისებს სწორედ «აკიმოვობას» და მხოლოდ მას. «არ ჩავშალოთ» პროგრესისტთა საქმეო, — წერდა მარტოვი. «წამოვაყენოთ ამოცანების ის ნაწილი», რომელიც პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ თ ა მხარდაჭერას პოვებსო, — წერს აკიმოვი, რომელიც, რა თქმა უნდა, შენიშვნას აკეთებს, რომ პროგრესისტთა უპარტიობა ყოველ პარტიას უადვილებს დაიცვას (ქაღალდზე) მისი დამოუკიდებლობა. წ ა მ ო ა ყ ე ნ ო ი მ ა ზ ე მ ე ტ ი ნაწილი ამოცანებისა, ვიდრე პროგრესისტებს ესიამოვნებათ, სწორედ ეს ნიშნავს «ჩაშალო» მათი საქმე: აი მარტოვის ლოზუნგის გაშიფრვა,

რაც მოცემულია ცოცხალი პოლიტიკური ბრძოლით, მოცემულია ბ რ ბ ო ს მიერ, რომელსაც კარგად წარმოადგენს აკიმოვი.

კადეტები და პროგრესისტები, როგორც აკიმოვი ფიქრობს, «ხალხის ფართო და პოლიტიკურად ძლიერი წრეები» არიან. ეს სწორედ ის ლიბერალური სიცრუეა, რომელზეც ამას წინათ წერდა «ნევსკაია ზვეზდა» სტატიაში ლიბერალებთან მარქსისტული პოლემიკის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ *. ნამდვილად კი ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია, მთლიანად აღებული, რომელიც მოიცავს კადეტებსაც და პროგრესისტებსაც და ბევრ სხვასაც, სრულებითაც არ არის ხალხის ფართო წრე და მაინც და მაინც ვერც პოლიტიკურად არის ძლიერი.

ხალხში ფართო წრე ბურჟუაზია ვერასოდეს ვერ იქნება. პოლიტიკურად ძლიერი იგი შეიძლება იყოს და ასეთიც არის მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, — მხოლოდ არა პრუსიაში, მხოლოდ არა რუსეთში. აქ მისი განსაცვიფრებელი, საშინელი, თითქმის წარმოუდგენელი პოლიტიკური უძლურება სავსებით აიხსნება იმით, რომ ამ ბურჟუაზიას გაცილებით უფრო ეშინია რევოლუციისა, ვიდრე რეაქციისა. პოლიტიკური უძლურება გარდუვალად გამომდინარეობს აქედან. და ყოველგვარი ის მსჯელობა ბურჟუაზიის «პოლიტიკური ძალის» შესახებ, რომელიც გვერდს უვლის რუსეთში საქმის ვითარების ამ ძ ი რ ი თ ა დ თავისებურებას, ძირშივე ყალბი და ამიტომ აბსოლუტურად უვარგისია.

ბ-ნი აკიმოვი გამოვიდა როგორც სავსებით გულახდილი და ზომიერი ლიბერალი: თქვენ, ბატონო კადეტებო და პროგრესისტებო, ჩვენ ძალად გთვლით, თქვენს პლატფორმას სავსებით ვიზიარებთ (თუმცა ეს პლატფორმა არ არსებობს!), თვითონ ჩვენ ამჟამად ვაყენებთ ამოცანების ი მ ნ ა წ ი ლ ს, რომელიც თქვენი მხარდაჭერით სარგებლობს, თქვენგან ვითხოვთ მხოლოდ ერთ რამეს — «რომ (პროგრესისტული) ბლო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 134 — 143. რ ე დ.

კის სიებში შეტანილ იქნენ სოციალ-დემოკრატებიც». ასე, სიტყვასიტყვით ასე წერდა აკიმოვი! ყველაფერზე, ყველაფერზე თანახმა ვარ — ოღონდ ლიბერალურ სიაში შემიტანონო!

«რეჩის» მხრივ პირდაპირ არასულგრძელობაა, რომ ესოდენ ზომიერი თხოვნაც კი უ ა რ ყ ო. საქმე ხომ სამი ივნისის ამომრჩევლებს ეხებაო, — მოაგონებენ აკიმოვს კადეტები. ხოლო რას წარმოადგენენ მ ა თ შორის სოციალ-დემოკრატები? ნულს — «გარდა დიდი ქალაქებისა, რომლებზეც ხომ ლაპარაკი არ არის». და კადეტთა ოფიციალური ორგანო მოწყალედ არიგებს მორჩილ და გამგონე აკიმოვს: «გარდა განაპირა მხარეებისა მათ (სოციალ-დემოკრატებს) თითქმის ყველგან მოუხდებათ იხელმძღვანელონ არა საკუთარი კანდიდატურების წამოყენების ვარაუდით, არამედ ხალხის მჩაგვრელთა შავ ბლოკზე პროგრესული ბლოკის გამარჯვების მოსაზრებებით».

ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსის მიერ თავდამცირებულად გაწოდებული ხელი ლიბერალმა უხეშად უკუაგდო! აი დამსახურებული ჯილდო დიდ ქალაქებში ომზე ხელის აღებისათვის. დიდი ქალაქები ჩვენ გვეკუთვნის იმიტომ, რომ ჩვენ ძლიერი ვართ, — ამბობენ კადეტები, — დანარჩენი რუსეთი კი ჩვენ გვეკუთვნის იმიტომ, რომ ძლიერი არიან სამივნისელები და მათი სამი ივნისის კანონი, რომელიც ჩვენთვის ოპოზიციის მონოპოლიას უზრუნველყოფსო.

ცუდი პასუხი როდია. აკიმოვის მიერ მიღებული გაკვეთილი სასტიკი, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილია.

«ნევსკაია ზვეზდა» № 14,
1912 წ. 24 ივნისი
ხელმოწერა: კ. ფ.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა

გაზეთები იუწყებიან, რომ IV სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის ვადისა და მისი არჩევნების დროის საკითხმა მთელი რიგი ეჭვები აღძრა მმართველ წრეებში. ზოგი იმის მომხრე იყო, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა იანვრამდე გადადებულიყო, ზოგი კი — ოქტომბრამდე. ახლა, როგორც ამბობენ, საკითხი გადაწყვეტილია მეორე აზრის სასარგებლოდ.

მაშასადამე, არჩევნები უკვე სულ ახლოსაა, — არჩევნებისაგან სულ რაღაც 7 — 9 კვირაღა გვაშორებს. უნდა ვიფიქროთ მთელ საარჩევნო მუშაობაში ენერგიის გ ა ა თ კ ე ც ე ბ ა ზ ე.

მე მინდა ამ სტატიაში შევჩერდე ერთ სპეციალურ საკითხზე, რომელმაც, ამავე დროს, მუშათა დემოკრატიისათვის მეტად დიდი და საერთო მნიშვნელობა მიიღო. ეს არის საკითხი პეტერბურგის არჩევნების როლის შესახებ.

არჩევნები პეტერბურგის მე-2 საქალაქო კურიაში IV სახელმწ. სათათბიროს არჩევნების მ თ ე ლ ი საარჩევნო კამპანიის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს.

მარტო პეტერბურგში არსებობს ოდნავ მაინც რიგიანად დაყენებული მუშური პრესა, რომელსაც, მიუხედავად მის წინააღმდეგ მთელი გააფთრებული დევნისა, ჯარიმებისა და რედაქტორთა დაპატიმრებისა, მიუხედავად მისი მდგომარეობის მთელი მერყეობისა, მიუხედავად ცენზურის მიერ მთელი

შევიწროებისა, უნარი შესწევს მოგვცეს მუშათა დემოკრატიის შეხედულებათა სუსტი ასახვა.

ყოველდღიური პრესის გარეშე არჩევნები ბნელ საქმედ რჩება და მისი მნიშვნელობა მასების პოლიტიკური განათლების აზრით სანახევროდ მცირდება, თუ უფრო მეტად არა.

ამის გამო პეტერბურგის არჩევნებს იმ საარჩევნო კამპანიის ნიმუშის მნიშვნელობა ეძლევა, რომელიც, რუსეთის წარმოუდგენელ მძიმე პირობებში, მხრებზე დააწვა მუშათა დემოკრატიას. სხვა, ყველასთვის დასანახავი საარჩევნო კამპანიის ჩატარება მუშებს არსად არ ძალუძთ. მუშათა კურიაში არჩევნებს, რა თქმა უნდა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მუშები აქ ვერ ხვდებიან მოსახლეობის სხვა კლასებს, ამიტომ არ შეუძლიათ საკმაოდ ფართოდ გაშალონ ის საერთო სახალხო მოთხოვნები, ის შეხედულებანი საერთო პოლიტიკის ამოცანებზე, რომლებიც მოწინავე, პროლეტარულმა დემოკრატიამ შეიმუშავა იმისათვის, რომ საერთოდ მთელი დემოკრატიის სახელმძღვანელო იყოს.

პეტერბურგში არჩევნები პირდაპირია. ამიტომ აქ წინასაარჩევნო ბრძოლა შეიძლება გაჩაღდეს გაცილებით უფრო გარკვეულად, ნათლად, უფრო პარტიულად, ვიდრე სხვა ადგილებში. დანარჩენ დიდ ქალაქებს ისევე დიდი მნიშვნელობა ექნებოდათ, როგორც პეტერბურგს, მაგრამ ადმინისტრაციული ზემოქმედება პროვინციაში ჯერ კიდევ იმდენად უფრო ძლიერია, ვიდრე დედაქალაქში, რომ მუშათა დემოკრატიისათვის ძნელია გზა გაიკაფოს, აიძულოს, რომ მას მოუსმინონ.

დასასრულ, პეტერბურგში ბრძოლა უნდა გაჩაღდეს მე-2 კურიაში ლიბერალებსა და დემოკრატიას შორის. კადეტები მე-2 კურიას თავიანთ კუთვნილებად თვლიან. პეტერბურგს წარმოადგენენ მილიუკოვი, როდიჩევი და კუტლერი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ დემოკრატიული ამომრჩევლების საკმაოდ ფართო მასის ეს წარმომადგენლობა ლიბერალების მიერ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნორ-

№ 15. НЕВСКАЯ № 15.

ЗВѢЗДА

Цѣна 5 коп.

Годъ изданія первый.

Воскресенье 1-го Іюля 1912 г.

№ 15

Поступилъ въ продажу „Спутникъ Избирателя".

— ЗАВѢТЫ —

Уроки классовой борьбы.

Значеніе выборовъ въ Петербургѣ.

Сравненіе столыпинской и народнической аграрной программы.

პირველი გვერდი გაზეთისა «ნევსკაია ზვეზდა» № 15, 1912 წ. 1 ივლისი, რომელშიც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები «პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა» და «სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება»

დაპატარავებულია

მალურად იქნეს ცნობილი. II სათათბიროს არჩევნებმა ცხადყო, რომ ქალაქის დემოკრატიულ ამომრჩევლებს შორის კადეტების «ბატონობა» სრულებითაც არ არის მტკიცე. თვით პეტერბურგში «მეშარცხენე ბლოკს» II სათათბიროს არჩევნებში, ე. ი. მუშათა და ბურჟუაზიული დემოკრატიის (ნაროდნიკების) ბლოკს, არა მარტო შ ე ე ძ ლ ო გაემარჯვნა, არამედ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა ც გაიმარჯვებდა, დანისა და კომპანიის მსგავს მენშევიკებს რომ არ გაეთიშათ მაშინ მუშების საარჩევნო კამპანია და ამით ნაროდნიკებში არ გამოეწვიათ საქმისათვის ფრიად მავნე ყოყმანი და მერყეობა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ «სოციალისტ-რევოლუციონერებიც» კი II სათათბიროს არჩევნებში თვით უკანასკნელ მომენტამდე მენშევიკებს მიჰყვებოდნენ და კადეტებთან ბლოკს იცავდნენ!

ახლანდელი საარჩევნო კანონის მიხედვით შესაძლებელია ხელახალი კენჭისყრა, ასე რომ არავითარი ბლოკი პირველ სტადიაში საჭირო და დასაშვები არ არის.

პეტერბურგში ბრძოლა გაიმართება მუშათა დემოკრატიასა და ლიბერალებს შორის. საეჭვოა ნაროდნიკებს იმდენი ძალა ექნეთ, რომ დამოუკიდებლად გამოვიდნენ: მეტისმეტად გულმოდგინედ ეწეოდნენ ისინი თავიანთი თავის «ლიკვიდაციას», მისდევდნენ რა ჩვენი ლიკვიდატორების ხაზს. ამიტომ ბურჟუაზიული დემოკრატიის (ტრუდოვიკებისა და ნაროდნიკების) მხარდაჭერა მუშებისათვის უზრუნველყოფილია თითქმის დანამდვილებით, თუ არჩევნების პირველ სტადიაში არა, ხელახალი კენჭისყრის დროს მაინც.

ლიბერალებს პიტერიდან ჰყავთ თავიანთი ბელადი, ბ-ნი მილიუკოვი. უმრავლესობა მათ დღემდე დიდი ჰყავდათ. ფულადი სახსრებიც, რასაც მათ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია აძლევს, აგიტაციის იარაღიც ორი ყოველდღიური გაზეთის სახით, ფაქტიურად შეწყნარებული, თითქმის de facto * ლეგალიზებული ორგანიზაციაც, — ყოველივე ეს კადეტებს უდიდეს უპირატესობას აძლევს.

* — ფაქტიურად, სინამდვილეში. რ ე დ.

მუშების მხარეზეა მუშათა მასა, თანმიმდევრული და პატიოსანი დემოკრატიზმი, ენერგია და სოციალიზმისა და მუშათა დემოკრატიის საქმისადმი ერთგულება. მუშებს შეუძლიათ გაიმარჯვონ ამ ძალებზე დაყრდნობითა და მათ ხელში ყოველდღიური მუშათა გაზეთის არსებობით. მუშების ბრძოლას პეტერბურგიდან დეპუტატთა ადგილებისათვის უთუოდ უდიდესი და სრულიად რუსეთის მნიშვნელობა ეძლევა IV სათათბიროს მთელ საარჩევნო კამპანიაში.

მთელი ოპოზიციის «ერთობაზე» ლაყბობის მოყვარულნი — პროგრესისტებითა და კადეტებით დაწყებული და ფრთხილ-გაიძვერა ლიკვიდატორ მარტოვით და ტლანქ-მოსულელო პროკოპოვიჩითა და აკიმოვით დამთავრებული — ყველანი ცდილობენ გვერდი აუარონ პეტერბურგის არჩევნების საკითხს ან ჩრდილში დატოვონ იგი. ისინი გვერდს უვლიან პოლიტიკურ ცენტრს და ხალისით მიძვრებიან, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ ჯურღმულებში. ისინი ბევრს, ცხარედ და მაღალფარდოვნად ლაპარაკობენ იმაზე, რაც მიზანშეწონილი იქნება არჩევნების მეორე სტადიაში, ე. ი. როცა საარჩევნო კამპანიის ძირითადი, მთავარი, გადამწყვეტი ნაწილი უკვე დამთავრებულია, — და ისინი «მჭევრმეტყველურად დუმან» პეტერბურგის შესახებ, რომელიც დაპყრობილია კადეტების მიერ და რომელიც ბრძოლით უნდა წავართვათ მათ, დავუბრუნოთ დემოკრატიას.

დემოკრატიის დეპუტატები პეტერბურგიდან არ ყოფილან არც 1905 წლის 11 დეკემბრის[41] კანონის და არც 1907 წლის 3 ივნისის[42] კანონის მიხედვით, ასე რომ სიტყვა დაბრუნება შეუფერებელი ჩანს. მაგრამ პეტერბურგი დემოკრატიას ეკუთვნის რუსეთში მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი მსვლელობის მიხედვით, და მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე სამი ივნისის საარჩევნო კანონის საშინლად მაღალი ჯვბირიც კი ვეღარ შეაკავებს «დემოკრატიულ წყალდიდობას».

მე-2 კურიის ამომრჩეველთა უმრავლესობა, უეჭველია, მოსახლეობის დემოკრატიული ფენებიდანაა. კადეტებს ისინი მიმხრობილი ჰყავთ იმით, რომ პირდაპირ ატყუებენ მათ, ასაღებენ თავს, ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიულ პარტიას, დემოკრატიად. ასეთ მოტყუებას პრაქტიკაში იყენებდა და იყენებს მსოფლიოში ყველა ლიბერალი ყველა და ყოველგვარი პარლამენტის არჩევნებში. და ყველა ქვეყნის მუშათა პარტიები თავიანთ წარმატებებს ზომავენ, სხვათა შორის, იმით, თუ რამდენად მოახერხებენ გამოგლიჯონ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ლიბერალთა გავლენას.

ეს ამოცანა ნათლად, გარკვეულად, მტკიცედ უნდა დაისახონ რუსმა მარქსისტებმაც. ამიტომ დიდი ქალაქების შესახებ მათ პირდაპირ თქვეს იანვრის ცნობილ თავიანთ გადაწყვეტილებებში, რომ აქ ბლოკები დასაშვებია, რადგანაც შავრაზმული საფრთხე დანამდვილებით არ არსებობს, მხოლოდ დემოკრატებთან ლიბერალების წინააღმდეგ *. ეს გადაწყვეტილება ჯიქურ უდგება საკითხს. იგი პირდაპირ პასუხს იძლევა საარჩევნო ტაქტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. იგი მთელი საარჩევნო კამპანიის სულს, მიმართულებას, ხასიათს განსაზღვრავს.

პირიქით, დიდ შეცდომას სჩადიან ის ლიკვიდატორები, რომლებსაც უყვართ კადეტებზე ლაყბობა, როგორც «ქალაქის დემოკრატიის» «წარმომადგენლებზე». ასეთი სიტყვები ამახინჯებენ საქმეს: ლიბერალების საარჩევნო გამარჯვებებს დემოკრატებზე, ლიბერალების საარჩევნო ოინებს დემოკრატი ამომრჩევლების მიმართ ამგვარად ასაღებენ კადეტების «დემოკრატიზმის» დამამტკიცებელ საბუთად. თითქოს ევროპამ ათობით არ იცოდეს იმის მაგალითები, რომ ანტიდემოკრატიულ პარტიებს წლობით მიჰყავდათ სადავით სხვადასხვა დემოკრატიული ფენები, სანამ ნამდვილი ბურჟუაზიული დემოკრატები, უფრო ხშირად კი სო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 17, გვ. 562. რედ.

ციალ-დემოკრატები არ გამოგლეჯდნენ ამ ფენებს მათთვის სულიერად უ ც ხ ო პოლიტიკური პარტიების გავლენისაგან.

ბრძოლა პეტერბურგის არჩევნებში არის ბრძოლა ლიბერალებსა და მუშათა დემოკრატიას შორის რუსეთის მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჰეგემონიისათვის.

პეტერბურგის არჩევნების ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს მივყავართ ჩვენ, სხვათა შორის, ორ პრაქტიკულ დასკვნამდე. ვისაც ბევრი მისცეს, მას ბევრიც მოეთხოვება. პეტერბურგის მუშებს უხდებათ საარჩევნო კამპანია აწარმოონ პეტერბურგის მე-2 საქალაქო კურიაში მთელი რუსეთის მ თ ე ლ ი მუშათა დემოკრატიის სახელით. მათ მხრებზე აწვებათ დიდი და ძნელი საქმე. ისინი ნიმუშს წარმოადგენენ. მათ ინიციატივის, ენერგიისა და სიმტკიცის მაქსიმუმი უნდა გამოიჩინონ. მათ გააკეთეს ეს მუშათა ყოველდღიური გაზეთის მიმართ. მათ არჩევნებშიც უნდა განაგრძონ ჩინებულად დაწყებული საქმე.

მთელი რუსეთის ყურადღება მიპყრობილია საარჩევნო ბრძოლაზე პეტერბურგში. და მთელი რუსეთის დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ც აქეთ უნდა წარიმართოს. რუსეთის ყველა კუთხიდან უაღრესად მრავალმხრივი დახმარების გარეშე მარტო პეტერბურგის მუშები ვერ დასძლევენ «მტერს».

«ნევსკაია ზვეზდა» №15,
1912 წ. 1 ივლისი
ხელმოწერა: ფ. ფ.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება

წინა სტატიებში (იხ. «ნევსკაია ზვეზდას» №№ 3 და 6) * ჩვენ მოვიყვანეთ ძირითადი მონაცემები ევროპის რუსეთში მიწათმფლობელობის შესახებ და დავახასიათეთ აგრარული საკითხის არსი რუსეთში. მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა შ ი შუასაუკუნეობრიობის მოსპობა — აი რა არის ეს არსი.

წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა, რომელიც მთელ მსოფლიოსა და ჩვენში — რუსეთში ბატონობს, და როგორც მემამულურ, ისე ნადელურ-გლეხურ შუასაუკუნეობრივ მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს შორის შეურიგებელია. ძველი, შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობა აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს, და, რაც უფრო გადამწყვეტი, ულმობელი, გაბედული იქნება ეს მსხვრევა, მით უკეთესია რუსეთის მთელი განვითარებისათვის, მით უკეთესია მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებსაც ახლა აწვება და ჩაგრავს, გ ა რ დ ა კაპიტალიზმისა, შუასაუკუნეობრიობის უამრავი ნაშთი.

იბადება კითხვა, როგორ შეიძლება, ასეთ ვითარებაში, ერთმანეთს შევადაროთ სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამა? ხომ არ წარმოადგენენ ისინი ერთმანეთის სრულ წინააღმდეგობას?

დიახ, ასეა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა ვერ სპობს ერთ ძირითად მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ს სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარულ პროგრამას შორის. სახელდობრ: ო რ ი ვ ე ეს

* იხ. ეს ტომი, გვ. 20 — 23 და 72 — 77. რ ე დ.

პროგრამა აღიარებს ძველი მიწათმფლობელობის მ ს ხ ვ რ ე-ვ ი ს აუცილებლობას. ძველის დამსხვრევა საჭიროა, და რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება გადაჭრით, — ამბობენ სტოლიპინური «მიწათმოწყობის» მოღვაწენი, — მაგრამ დამსხვრევა ისე უნდა მოხდეს, რომ მსხვრევის მთელი სიმძიმე დააწვეს გლეხთა უმრავლესობას, ყველაზე გაღატაკებულთ, ყველაზე ბედკრულთ. მემამულეებმა ამით არაფერი არ უნდა დაკარგონ. თუ გარდუვალია, რომ მათ უნდა დაკარგონ თავიანთი მიწების ნაწილი, ამ მიწების განსხვისება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მემამულეთა ნებაყოფლობითი თანხმობით და მემამულეთა თვალსაზრისით «სამართლიანი» შეფასებით. შეძლებულმა გლეხებმა დახმარება უნდა მიიღონ, ხოლო «სუსტ» გლეხთა მასის გაღატაკებას სრულებითაც არ უნდა მოვერიდოთო.

ასეთია სტოლიპინის აგრარული პროგრამის არსი. გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო, რომელმაც სტოლიპინს ეს პროგრამა უკარნახა, ისე მოიქცა, როგორც რეაქციონერთა — არა ლამაზმოუბართა, არამედ საქმის კაცთა ნამდვილი წარმომადგენელი. გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო სავსებით ერთგული იყო თავისი კლასობრივი ინტერესებისა, როცა ვარაუდი დაამყარა ღონიერებზე. და მართლაც, ცხრაასხუთი წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გლეხების წინააღმდეგ მარტო პოლიციური, მარტო ბიუროკრატიული დაცვა არ კმარა.

კიდევ სად შეეძლო გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს ეძებნა მოკავშირენი? მხოლოდ შეძლებული გლეხობის უმნიშვნელო უმცირესობაში, «კულაკებში», «ქვეყნის მჭამლებში». სოფლად სხვა მოკავშირის შოვნა მას არ შეეძლო. და აი იმის გულისათვის, რომ «ახალი მემამულენი» მიიმხრონ, რეაქციონერები არ მოერიდნენ იმას, რომ მათ ხელში ჩაუგდონ პირდაპირ ასაკლებად და გასაძარცვავად მ თ ე ლ ი ს ო ფ ე ლ ი.

რაკი მსხვრევა გარდუვალია, მოდი დავამსხვრიოთ ნ ა დ ე-ლ უ რ ი მიწათმფლობელობა ჩ ვ ე ნ სასარგებლოდ და

ახალ მემამულეთა სასარგებლოდ — აი იმ აგრარული პოლიტიკის არსი, რომელიც უკარნახა სტოლიპინს გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭომ.

მაგრამ, წმინდა-თეორიულად თუ ვილაპარაკებთ, საჭიროა ვაღიაროთ, რომ მსხვრევა, არანაკლებ გაბედული და გაცილებით უფრო გაბედულიც, შესაძლოა მეორე მხრივაც. ჯოხს ორი ბოლო აქვს. მაგალითად, ის 70 მილიონი დესეტინა მიწა, რაც 30 000 მემამულეს ეკუთვნის, 10 000 000 გლეხური კომლის განკარგულებაში რომ გადასულიყო, მათივე 75 მილიონი დესეტინის დამატებით, მთელი ეს მიწები რომ ერთმანეთში არეულიყო და შემდეგ შეძლებულ და საშუალო გლეხებს შორის განაწილებულიყო (ღარიბი გლეხობა სულ ერთია ვერაფრით მოხნავდა, დათესავდა, გააპატივებდა, მოუვლიდა მიწას), როგორი იქნებოდა ასეთი გარდაქმნის შედეგი?

დააყენეთ ეს კითხვა წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით, განიხილეთ ეს პრინციპული შესაძლებლობა მთელ მსოფლიოში კაპიტალისტური მეურნეობის საერთო პირობების თვალსაზრისით. თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ მიერ ნავარაუდევი გარდაქმნის შედეგი იქნებოდა შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის უფრო თანმიმდევრული, უფრო გაბედული, უფრო ულმობელი მსხვრევა, ვიდრე სტოლიპინის პროგრამაშია.

რატომ სახელდობრ შუასაუკუნეობრივისა და მხოლოდ შუასაუკუნეობრივისა? იმიტომ, რომ კაპიტალისტური მიწათმფლობელობა მიწის ხელიდან ხელში არავითარი გადასვლით და მთელი მიწის სახელმწიფოს ხელში არავითარი გადასვლითაც კი (პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებაში ეგრეთწოდებული «ნაციონალიზაცია» მიწისა) არ შეიძლება მოისპოს, თვით საქმის არსის მიხედვით. კაპიტალისტური მიწათმფლობელობა არის მიწის მფლობელობა იმის მხრივ, ვისაც კაპიტალი აქვს და ყველაზე უკეთ ეგუება ბაზარს. ვისი საკუთრებაც უნდა იყოს მიწა, ძველი მემამულის, სახელმწიფოსი თუ მონადელე გლეხისა, — სულ ერთია,

მიწა ვერ ასცდება მეპატრონის ხელს, რომელიც ყოველთვის შეძლებს მის იჯარით აღებას. იჯარა იზრდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მიწათმფლობელობის სრულიად სხვადასხვა ფორმების დროს. ვერავითარი აკრძალვა ვერ შეუშლის ხელს კაპიტალისტს, კაპიტალითა და ბაზრის ცოდნით აღჭურვილ მეპატრონეს, იმაში, რომ ხელში ჩაიგდოს მიწა, რაკი ბაზარი გაბატონებულია მთელ საზოგადოებრივ წარმოებაზე, ე. ი. რაკი ეს წარმოება კაპიტალისტური რჩება.

უფრო მეტიც. მიწის იჯარა უფრო მარჯვეც არის წმინდა კაპიტალიზმისათვის, ბაზართან ყველაზე სრული, თავისუფალი, «იდეალური» შეგუებისათვის, ვიდრე მიწის საკუთრება. რატომ? იმიტომ, რომ მიწის კერძო საკუთრება აძნელებს მის გადასვლას ხელიდან ხელში, აფერხებს მიწათსარგებლობის შეგუებას ბაზრის პირობებთან, ამკვიდრებს მიწას ამა თუ იმ ოჯახის ან პიროვნებისა და მისი მემკვიდრეების ხელში, თუნდაც ისინი ცუდი მეურნენი იყვნენ. იჯარა უფრო მოქნილი ფორმაა, რომლის დროსაც მიწათსარგებლობის შეგუება ბაზართან ყველაზე მარტივად, ყველაზე იოლად, ყველაზე სწრაფად ხდება.

სხვათა შორის, სწორედ ამიტომაა, რომ ინგლისი წარმოადგენს არა გამონაკლისს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებიდან, არამედ კაპიტალიზმის თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილ აგრარულ წყობას, როგორც აღნიშნავდა მარქსი თავის როდბერტუსის კრიტიკაში[43]. ხოლო რაში მდგომარეობს ინგლისის აგრარული წყობა? ძველი მიწათმფლობელობა, ლენდლორდიზმი, ახალი, თავისუფალი, წმინდა კაპიტალისტური იჯარის პირობებში.

ხოლო ეს ლენდლორდიზმი ულენდლორდებოდ რომ არსებობდეს, ე. ი. მიწა ლენდლორდების საკუთრება კი არ იყოს, არამედ სახელმწიფოსი? კაპიტალიზმის თვალსაზრისით, ეს იქნებოდა კიდევ უფრო სრულყოფილი აგრარული წყობა მიწათსარგებლობის ბაზართან შეგუების კიდევ უფრო მეტი თავისუფლებით, მიწის, როგორც მეურნეობის ობიექ-

ტის კიდევ უფრო ადვილი მობილიზაციით, ყოველგვარი კაპიტალისტური მიწათმფლობელობისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლის კიდევ უფრო მეტი თავისუფლებით, სიფართოვით, სიცხადითა და გარკვეულობით.

და აი, რაც უფრო მეტად ჩამორჩა ესა თუ ის ქვეყანა მსოფლიო კაპიტალიზმს, რაც უფრო გამალებით უხდება მას დაეწიოს მეზობლებს, რაც უფრო «თავმინებებული» აქვს მას თავისი «სენი», შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობისა და კაბალური წვრილი მეურნეობის სენი, რაც უფრო აუცილებლად საჭიროა ამ ქვეყნისათვის მიწათმფლობელობის მ თ ე ლ ი ურთიერთობის, მთელი აგრარული ყოფის ძ ი რ ე უ ლ ი მსხვრევა, — მით უფრო ბუნებრივი იქნება ასეთი ქვეყნის მიწათმოქმედ მოსახლეობაში მიწის ნაციონალიზაციის ყოველნაირი იდეებისა და გეგმების წარმოშობა და ფართოდ გავრცელება.

ცხრაასხუთმა წელმაც და ორივე პირველმა სათათბირომაც უეჭველად დაამტკიცა, — ხოლო მესამე სათათბირომ არაპირდაპირ, თავისი «გლეხი» (მემამულეთა საცერში გატარებული) დეპუტატების მეშვეობით დაადასტურა, — რომ რუსეთის მიწათმოქმედ მოსახლეობაში უაღრესად ფართოდაა გავრცელებული მიწის ნაციონალიზაციის ყოველნაირი იდეები და გეგმები. სანამ მოვიწონებდეთ ან დავგმობდეთ ამ იდეებს, საჭიროა ჩვენს თავს მივცეთ კითხვა, რ ა ტ ო მ გავრცელდნენ ისინი ფართოდ, რ ა სამეურნეო აუცილებლობამ გამოიწვია ისინი?

არ კმარა გავაკრიტიკოთ ეს იდეები მათი შინაგანი მთლიანობის, სიმწყობრისა თუ თეორიული სისწორის თვალსაზრისით. საჭიროა გავაკრიტიკოთ ისინი იმ სამეურნეო აუცილებლობის თვალსაზრისით, რომელმაც გამოხატულება პოვა ამ იდეებში, რარიგ «ჭირვეული», არასწორი, «მრუდეც» არ უნდა იყოს ზოგჯერ ეს გამოხატულება.

სამეურნეო აუცილებლობა, რომელმაც წარმოშვა მიწის ნაციონალიზაციის იდეები რუს გლეხობაში XX საუკუნის

დამდეგს, ძველი მიწათმფლობელობის მძაფრი მსხვრევის აუცილებლობაა. მთელი მიწის «გათანაბრებითი განაწილების» იდეები თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს იდეებია, რომლებსაც აუცილებლად წარმოშობს ბატონყმობის ნაშთებთან ბრძოლა და რომლებიც გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ გადააქვთ მიწაზე ისეთ ვითარებაში, როცა 30 000 «ნაბოლარა მემამულე მებატონეს» 70 მილიონი დესეტინა მიწა აქვს, ხოლო 10 000 000 დამონებულ გლეხს 75 მილიონი დესეტინა.

პირველი მიწების მეორის თანრიგში ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეორის მფლობელთა ხელში გადასვლა უტოპიურს არაფერს წარმოადგენს. უტოპიურია მხოლოდ ოცნება მიწის მეპატრონეთა შორის თანასწორობაზე ბაზრის ბატონობის დროს, უტოპიურია ოცნება კაპიტალიზმის დროს ყველა «მოქალაქის — მამაკაცისა და ქალის» (მათ შორის მეურნეობის უქონელისაც) «მიწის ფ ლ ო ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ზ ე». მაგრამ ა მ იდეების უტოპიურობამ არ უნდა დაგვავიწყოს იმის სავსებით ნამდვილი, ცოცხალი რეალობა, რაც მათში ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იმალება.

მიწათმფლობელობის ყ ვ ე ლ ა შუასაუკუნეობრივი საეხესხვაობის — მემამულურის, სანადელოს და სხვ. — მოსპობაში უტოპიური არაფერია. მიწასთან დაკავშირებული ძველი ურთიერთობის უკუგდებაში უტოპიური არაფერია. პირიქით, სწორედ კაპიტალიზმის განვითარება დაბეჯითებით მოითხოვს ა ს ე თ გაწყვეტას. მიწის «გათანაბრებითი განაწილებაც» და მისი «სოციალიზაციაც» კაპიტალიზმის დროს შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ეს უტოპიაა.

მიწის ნაციონალიზაცია კაპიტალიზმის დროს ეკონომიურად სავსებით შესაძლებელია, და მისი რ ე ა ლ უ რ ი მნიშვნელობა ყოველ შემთხვევაში, ე. ი. როგორადაც არ უნდა განხორციელდეს იგი, ვისი ხელით, რა პირობებში, მტკიცედ და ხანგრძლივად თუ არამტკიცედ და მცირე ხნით, — ყოველ შემთხვევაში მისი რეალური მნიშვნელობა ის იქნებოდა, რომ იგი მაქსიმალურად აღმოფხვრიდა ყოველივე შუასაუ-

კუნეობრივს რუსეთის მიწათმფლობელობაში და რუსეთის აგრარულ ყოფაში, ყველაზე თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ შეუგუებდა ა ხ ა ლ მიწათსარგებლობასა და მიწათმფლობელობას მსოფლიო ბაზრის ახალ პირობებს.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ მემარცხენე ნაროდნიკების გეგმის განხორციელება თუნდაც იმ ფორმით, რომ მთელი მიწები თანაბრად განაწილდეს ყველა მოქალაქეთა — კაცთა და ქალთა შორის. ასეთი განაწილება კაპიტალიზმის დროს უდიდესი უაზრობაა. იგი წელიწადსაც ვერ გაძლებდა, ვერასგზით ვერ გაძლებდა კაპიტალიზმის დროს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მისი შედეგები ნული ან მინუსი იქნებოდა?

სულაც არა! მისი შედეგები უდიდესი პ ლ უ ს ი იქნებოდა — სრულებითაც არა ის პლუსი, რომელსაც მემარცხენე ნაროდნიკები მოელიან, მაგრამ სავსებით რეალური პლუსი. ეს პლუსი ის იქნებოდა, რომ დაიმსხვრეოდა ყოველნაირი განსხვავებანი მიწათმფლობელობის ახლანდელ წოდებრივ და თანრიგობრივ ფორმებს შორის. ეს უდიდესი მოგება იქნებოდა მთელი სახალხო მეურნეობისათვის, კაპიტალიზმისათვის, პროლეტარიატისათვის, ვინაიდან რუსეთის განვითარებისათვის იმაზე უფრო მავნე არაფერია, ვიდრე ჩვენი ძველი, ახლანდელი, მიწათმფლობელობა. როგორც მემამულური, ისე სანადელო მიწათმფლობელობა — თ ა ვ ი დ ა ნ ბ ო ლ ო მ დ ე ბატონყმური ფორმებია მიწათმფლობელობისა.

მათი გათანაბრებითი განაწილება ვერ გაძლებდა, მაგრამ ძ ვ ე ლ ი ს ა კ ე ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა შეუძლებელი იქნებოდა! მიჯნები რაკი ერთხელ მოიშლებოდა, მათ ვერავითარი «რესტავრაცია» ველარ აღადგენდა. მსოფლიოში ვერავითარი პოლიტიკური ძალა ვერ შეუშლიდა ხელს ისეთი ა ხ ა ლ ი მიჯნების, საზღვრების, მიწათსარგებლობის ფორმების დამყარებას, რომლებიც შეესაბამებიან ბაზრის ა ხ ა ლ მოთხოვნებს.

«მიწის მიჯნები მოიშალოსო» — ამბობდა ერთი მემარცხენე ნაროდნიკი, მახსოვს, II სათათბიროში. მას წარმოედგი-

ნა, რომ ამით «გათანაბრებითი მიწათსარგებლობა» გამოვიდოდა. იგი ცდებოდა. მაგრამ მისი პირით — ასეთია ისტორიის ირონია! — მეტყველებდა ყველაზე თანმიმდევარი და უშიშარი, რადიკალური ბურჟუა, რომელიც გრძნობს ჩვენი «სანადელო», «თავადაზნაურული», «საეკლესიო» და სხვ. და სხვ. მიწათმფლობელობის ძველი, შუასაუკუნეობრივი «ტიხრების» უაზრობას, გრძნობს, რომ აუცილებელია მთელი ამ ტიხრების მოშლა მიწის ახალი განაწილებისათვის. ოღონდ ეს იქნება არა «სულობრივად», როგორც ნაროდნიკი ოცნებობს, არამედ კაპიტალის მიხედვით, როგორც ბაზარი გვაიძულებს.

ნაროდნიკების აღმშენებლობითი გეგმები უტოპიაა. მაგრამ მათი აღმშენებლობითი გეგმები შეიცავენ ნგრევის ელემენტს შუასაუკუნეობრიობის მიმართ. ეს ელემენტი კი სრულებითაც არ არის უტოპია. ეს სავსებით ცოცხალი რეალობაა. ეს ყველაზე თანმიმდევრული და პროგრესული რეალობაა კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის თვალსაზრისით.

მოკლედ შევაჯამოთ ჩვენი შეხედულებები. სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის რეალური მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ახდენს ძველი, შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის ძირეულ მსხვრევას. და ეს ძალიან კარგია. დამსხვრევის მეტი მას არაფერი დაუმსახურებია. ყველაზე უფრო რეაქციონერები არიან ის კადეტები «რეჩიდან» და «რუსსკიე ვედომოსტიდან», რომლებიც სტოლიპინს უსაყვედურებენ მსხვრევისათვის — ნაცვლად იმისა, რომ კიდევ უფრო თანმიმდევრული და გაბედული მსხვრევის აუცილებლობას ამტკიცებდნენ. შემდეგ სტატიაში ჩვენ დავინახავთ, რომ სტოლიპინურ მსხვრევას არ შეუძლია აღმოფხვრას კაბალა და შრომამიგება, ნაროდნიკულს კი შეუძლია *.

* იხ. ეს ტომი, გვ. 291 — 298. რედ.

ჩვენ ჯერჯერობით აღვნიშნავთ, რომ სტოლიპინური მსხვრევის ერთ-ერთი სავსებით რეალური შედეგია 30 მილიონის შიმშილობა. და ჯერ კიდევ არ ვიცით, სტოლიპინური მსხვრევა ხომ არ შეასწავლის რუს ხალხს იმას, თუ რ ო გ ო რ უ ნ დ ა მოახდინოს უფრო გაბედული მსხვრევა. ამას იგი უეჭველად ასწავლის. შეასწავლის თუ არა, — ამას მომავალი გვიჩვენებს.

«ნევსკაია ზვეზდა» № 15,
1912 წ. 1 ივლისი
ხელმოწერა: რ. ს.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

მდგომარეობა რსდმ პარტიაში და პარტიის უახლოესი ამოცანები

რსდმ პარტიამ მძვინვარე კონტრრევოლუციის უმაგალითო მძიმე წლები განიცადა და ამჟამად დგას თავისი ორგანიზაციის აღდგენის, თავისი ძალებისა და რუსეთის პროლეტარიატზე ხელმძღვანელი გავლენის განმტკიცების სწორ გზაზე, პროლეტარიატისა, რომელმაც მძლავრი დარტყმები აგემა თვითმპყრობელობას 1905 წელს და რომელიც დაანგრევს მას მომავალ რევოლუციაში.

მძიმე 1908 — 1911 წლები გათიშვის წლები იყო; სწორედ ამ დროს გამოეყო რსდმ პარტიას ახლანდელი მთავარი გამგეობა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც 1906 წელს ჩვენს პარტიაში შემოვიდა და ჩვენთან, ბოლშევიკებთან, ერთად იყო ოპორტუნისტ-მენშევიკების წინააღმდეგ.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატმა მუშებმა კრიტიკულად უნდა შეაფასონ ახლანდელი მთავარი გამგეობის ეს განდგომა რსდმ პარტიისაგან. ამიტომ მე დიდი სიამოვნებით ვიღებ პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ვ ა რ შ ა ვ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს წინადადებას — მოკლედ გავარკვიო «მუშათა გაზეთში» [44] პარტიის გათიშვის მიზეზები და ის საკალალო როლი, რომელიც ამ საქმეში ახლანდელმა მთავარმა გამგეობამ შეასრულა, და მივუთითო მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის უახლოეს ამოცანებზე.

I

ამხანაგ პოლონელ მუშებს მოეხსენებათ ბოლშევიკებისა და მენშევიკების უთანხმოება 1905 წლის რევოლუციის დროს. პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთელი რიგი გამოჩენილი წარმომადგენლები, მაგალითად, როზა ლუქსემბურგი, თავდაპირველად, 1904 წელს, მენშევიკების მხარეზე იყვნენ, მაგრამ რევოლუციამ მალე ცხადყო მათი შეცდომა, ნათლად დაამტკიცა მენშევიკების ოპორტუნიზმი.

1908 — 1911 წლების კონტრრევოლუციამ ახალი ეტაპი წარმოშვა რუსეთის ისტორიაში. ძველმა თვითმპყრობელობამ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია ბურჟუაზიული მონარქიისაკენ. წარმოიშვა მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის სათათბირო. ცარიზმს ჯერ კიდევ არ დაეკარგა ბატონყმური ხასიათი, მაგრამ იგი ახორციელებდა ბურჟუაზიულ აგრარულ პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო, რაც შეიძლება მალე დაემკვიდრებინა მიწის კერძო საკუთრება, მილიონობით გლეხთა უმაგალითო გაღატაკებისა და განადგურების ფასად. ბურჟუაზიულმა ლიბერალიზმმა მოახდინა მკვეთრი მობრუნება კონტრრევოლუციისაკენ და განდგომილების ნამდვილ ორგიებს აწყობდა.

საერთოდ ინტელიგენციაში გაბატონებული იყო უმაგალითო გათიშვა და არევდარევა. პროლეტარიატს თავს ატყდებოდა დევნა რევოლუციისათვის შურისმაძიებელი ცარიზმის მხრივ და ცილისწამების ღვარი რენეგატების მხრივ.

რსდმ პარტიის ამოცანა იყო — შეენარჩუნებინა მუშათა კლასის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშაობის ა ხ ა ლ პირობებთან შ ე გ უ ე ბ ი თ.

ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ გადადგმულმა პირველმავე ნაბიჯებმა გამოააშკარავა რსდმ პარტიაში ახალი ანტიპროლეტარული მიმდინარეობანი, რომლებიც ძირს უთხრიდნენ პარტიის თ ვ ი თ ა რ ს ე ბ ო ბ ა ს. ეს მიმდინარეობანი წარმოშობილი იყვნენ ჩვენი კონტრრევოლუციის ისტორიული

სიტუაციით. ეს ბურჟუაზიული მიმდინარეობანი იყვნენ ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი.

ლიკვიდატორები, რომლებიც ბურჟუაზიული დეზერტირობის ტალღამ გაიტაცა, რევოლუციას ჩამოშორდნენ. მათ ჯვარი დაუსვეს არალეგალურ პარტიას, ეძებდნენ თავისთვის ერთადერთ ლეგალურ ნიადაგს მთავრობის 3 (16) ივნისის ვითომდა «კონსტიტუციურ» რეჟიმში და ქადაგებდნენ მის კონსტიტუციურ განახლებას. «ღია მუშათა პარტია» და კონსტიტუციური რეფორმების ლოზუნგები — აი მათი პოლიტიკის არსი. ეს იყო არა სოციალ-დემოკრატიული, არამედ ლიბერალური მუშათა პოლიტიკა.

ცხადია, რომ ლიკვიდატორების შედარება სოც.-დემ. მუშათა პარტიებს შიგნით არსებულ დასავლეთევროპელ ოპორტუნისტებთან (როგორც ამას სჩადის ახლანდელი მთავარი გამგეობა ტიშკოს გავლენით) — პირდაპირ სასაცილოა. ჩვენი ლიკვიდატორები არ ცნობენ პარტიას მისი არალეგალური, ე. ი. ახლანდელი, ფორმით და აწყობენ ახალ ლეგალურ პარტიას. ეს პარტიის შიგნით არსებული მიმდინარეობა კი არ არის, არამედ პარტიისაგან ჩამოშორება. პარტიისაგან აშკარა ჩამოშორებამ და მისმა დანგრევამ ლიკვიდატორების მიერ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია თვით მენშევიკების მხრივ. მუშა მენშევიკები რუსეთში არ გაჰყვნენ ლიკვიდატორებს, ხოლო საზღვარგარეთ მენშევიკი პლეხანოვი სათავეში ჩაუდგა «პარტიელ» მენშევიკებს (ანტილიკვიდატორებს). პლეხანოვმა ახლა აშკარად და ცხადად აღიარა პრესაში, რომ ლიკვიდატორები აწყობენ ახალ პარტიას.

პოლონელი მუშების საინფორმაციოდ დავსძენთ, რომ ლიკვიდატორების მთავარი ორგანოებია: საზღვარგარეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატა»[45] (მარტოვი, დანი, აქსელროდი და სხვა «გოლოსელები»); რუსეთში — «ნაშა ზარია» (პოტრესოვი, ლევიცკი, ჩერევანინი და სხვ.). «ოტზოვისტებმა» (წარმოდგება სიტყვისაგან «ОТОЗВАТЬ» — გამოწვეულ იქნენ სოც.-დემ. დეპუტატები III სათათბიროდან) ბოიკოტი გამოუცხადეს

III სათათბიროს, მათ არ ესმოდათ იმის აუცილებლობა, რომ სათათბიროს ტრიბუნა და ყველა «ლეგალური შესაძ-ლებლობა» გამოყენებულ უნდა იქნეს რევოლუციური სო-ციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის. 1905 წლის რევოლუ-ციური ტაქტიკის ლოზუნგები მათ უშინაარსო ფრაზებად გადააქციეს. გამოცდილებამ მალე დაგვანახვა, რომ III სა-თათბიროს ბოიკოტი უაზრობაა, რომელიც რუსი სოციალ-დემოკრატი ბოიკოტისტების ნების წინააღმდეგაც კი ანარ-ქიზმის გზაზე აყენებს მათ. თუ 1907 წლის ზაფხულში ბოლ-შევიკების უმრავლესობა ბოიკოტის მომხრე იყო, უკვე 1908 წლის გაზაფხულზე მან შეძლო გაეგო გამოცდილების გაკვე-თილი და ფრიად მკვეთრი წინააღმდეგობა გაუწია «ოტზო-ვისტების» აგიტაციას პეტერბურგსა და მოსკოვში. რუსეთში ამ სრული დამარცხების შემდეგ, ოტზოვისტები და მათი და-მცველები საზღვარგარეთ ბოგინობდნენ «ვპერიოდის» სრუ-ლიად უძლური მცირე ჯგუფის სახით (ლუნაჩარსკი, ალექ-სინსკი და სხვ.).

საჭირო არ არის დავსძინოთ, რომ რუსეთში მეტი წილი ორგანიზაციების სისუსტის გამო, საზღვარგარეთის ჯგუფე-ბის რუსეთში მუშაობისაგან მოწყვეტის გამო ამ ჯგუფების უმრავლესობა სავსებით «თავისუფლად» ანგრევდა და ხრწნი-და პარტიას, სრულებით არ ცნობდა არავითარ დისციპლინას, რუსეთის არავითარი ორგანიზაციისაგან არ ჰქონდა ორგანო-სადმი ხელმძღვანელობის, ბროშურებისა და პროკლამაციე-ბის გამოცემის მანდატი. სხვადასხვა პრინციპულ შეხედულე-ბათა მქონე მცირე ჯგუფებს გარდა, ჩნდებოდნენ — როგორც ხდება ხოლმე — ცალკეული სრულიად უპრინციპო მცირე ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ პოლიტიკური კაპიტალი ეშოვნათ მაკლერობით, წვრილფეხა დიპლომატიით, ინტრიგე-ბით ვითომც პარტიის «შესარიგებლად» და «გასაერთიანებ-ლად». ამ დარგში დიდი ოსტატები იყვნენ ტროცკი ვენის გა-ზეთ «პრავდით» და ტიშკო მთავარი გამგეობით.

II

რსდმ პარტიის წინაშე წამოიჭრა საკითხი, როგორ აღედგინა პარტია.

ცხადია, რომ არ შეიძლებოდა პარტიის აღდგენა არც იმათთან ერთად, ვისაც პარტიის ლიკვიდირება უნდოდა, არც იმათთან, ვინც ბოიკოტი გამოუცხადა სათათბიროსა და ლეგალურ შესაძლებლობებს; ან საზღვარგარეთის მცირე ჯგუფებს, რომლებიც ამ ბურჟუაზიულ პოლიტიკას ახორციელებდნენ, ხელი უნდა აეღოთ მასზე და დამორჩილებოდნენ რუსეთში ორგანიზაციების, ჯგუფებისა და წრეების დიდ უმრავლესობას, ან რუსეთს უნდა აღედგინა პარტია წინააღმდეგ საზღვარგარეთის ამ მცირე ჯგუფებისა.

1910 წლის იანვარში უკანასკნელად შედგა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომა, რომელმაც სცადა სოციალ-დემოკრატიისაგან ჩამოშორების გზაზე მდგომი ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების ხსნა, მათი დაყენება პარტიული მუშაობის გზაზე. ორივე ამ გადახრის უაზრობა და არასოციალ-დემოკრატიულობა იმდენად აშკარა იყო, რომ ვერავინ ვერ გაბედა მათი დაცვა. ერთხმად აღიარებულ იქნა, რომ ეს მიმდინარეობანი ბურჟუაზიული არიან, რომ მხოლოდ და მხოლოდ მათგან გამიჯვნას შეუძლია შექმნას პარტიის აღორძინების პირობები.

მაგრამ ერთხმად გადაწყვეტა არ კმარა, თუ მას არ მოჰყვა ერთიანი მოქმედება. ხოლო ლიკვიდატორებმა და ოტზოვისტებმა, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა, კი არ შეასუსტეს, არამედ გააძლიერეს დამრღვევი მუშაობა. აღმოჩნდა, რომ პარტიისათვის იბრძოდა მისი ცენტრალური ორგანო ბოლშევიკებისა და პოლონელების ხელმძღვანელობით წლინახევრის (1910 წ. იანვარი — 1911 წ. ივნისი) განმავლობაში, ამასთან მენშევიკი პლეხანოვი ენერგიულ დახმარებას უწევდა ლიკვიდატორობასთან ბრძოლას.

პარტიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მთელი ძალღონით «მუშაობდნენ» ლიკვიდატორები, ვპერიოდელები, ტროცკი და ბუნდი. ლატვიელები მერყეობდნენ ისე, რომ უფრო ხშირად ლიკვიდატორების მხარეზე დგებოდნენ.

ლიკვიდატორებმა თავიანთი დამრღვევი მუშაობა იქამდე მიიყვანეს, რომ მოსპეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი! პლენუმმა გადაწყვიტა აღედგინა ცენტრალური კომიტეტი რუსეთში და კოოპტაციის წესით შეეყვანა ახალი წევრები, — მაგრამ ლიკვიდატორები იმაზეც კი არ დათანხმდნენ, რომ ერთ სხდომაზე მაინც გამოცხადებულიყვნენ, «მავნედ» გამოაცხადეს არალეგალური პარტიაც და არალეგალური ცენტრალური კომიტეტიც. განა შესაძლებელია ამის შემდეგ სხვა მიზნით, თუ არა ინტრიგისათვის, შეადარო ლიკვიდატორები დასავლეთევროპელ ოპორტუნისტებს?

პარტია დარჩა ცენტრალური კომიტეტის გარეშე. პარტიის დაშლა გარდუვალი იყო. მისი აღდგენა შეეძლოთ მხოლოდ რ უ ს ე თ ი ს, ე. ი. რუსეთში მოქმედ ორგანიზაციებს. და აი სწორედ აქ იჩინა თავი მთელი ბრწყინვალებით ტიშკოს ფარისევლურ-ინტრიგანულმა პოლიტიკამ. მთავარ გამგეობაში მან ჩაახშო უფრო პრინციპული პოლიტიკის მომხრენი და მიიყვანა მთავარი გამგეობა რსდმ პარტიასთან განხეთქილებამდე, იქამდე, რომ მთავარი გამგეობა პარტიასა და პარტიის ლიკვიდატორებს შ ო რ ი ს აღმოჩნდა.

რომ გავიგოთ ეს პოლიტიკა, რომელიც ზიანს აყენებს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, ჯერ მოვიყვანოთ ერთი ფაქტი ჩვენს პარტიაში ი დ ე უ რ ი ბრძოლის სფეროდან.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთხმად დაგმო ლიკვიდატორობა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი რეზოლუციის ერთი ნაწილი (მისი ეგრეთწოდებული § 1) რედაქტირებული იყო პირდაპირ საწინააღმდეგო აზრით: იგი ხელსაყრელი იყო ლიკვიდატორებისათვის. ამ პარაგრაფში გამოთქმულია აზრი, რომ სოციალ-დემოკრა-

ტია ამჟამად, ე. ი. კონტრრევოლუციის დროს, პირველად იყენებს სრულად საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მეთოდებს. ეს პარაგრაფი, რომელიც თავის დასაძვრენს უტოვებს რენეგატულ თეორიებს, წამოაყენა ტიშკომ, რომელიც ლიკვიდატორებსა და პარტიას შორის წაჯექ-უკუჯექობდა. ბუნებრივია, ლიკვიდატორებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ §-ს, დაეხმარნენ ტიშკოს «გამარჯვებაში»; ბოლშევიკების ნაწილი, ეგრეთწოდებული «შემარიგებელთა» (ე. ი. ფაქტიურად ტროცკისტთა) ჯგუფი აგრეთვე ლიკვიდატორებისაკენ ეშვებოდა.

პლენუმის შემდეგ პლეხანოვმა საუცხოოდ და მკაცრად დასცინა ამ პუნქტს (ისე რომ არ იცოდა, ვინ არის მისი ავტორი) იმისათვის, რომ იგი «გაბერილი», უსახური და ინტეგრალურია. მე გამოვედი პლეხანოვის შემდეგ და აღვნიშნე «შემარიგებლებთან» და ლიკვიდატორებთან ტიშკოს კავშირის წინააღმდეგ ჩემი უშედეგო ბრძოლის შესახებ *.

მთავარი გამგეობის მრავალ ლიტერატორთაგან ორი წლის განმავლობაში არც ერთს კრინტიც არ დაუძრავს ამ §-ის დასაცავად.

ტიშკოს წაჯექ-უკუჯექობამ მხოლოდ პარტიის შეხედულებათა ლიკვიდატორული დამახინჯება გამოიწვია.

კიდევ უფრო სავალალო იყო ასეთი პოლიტიკის შედეგები ორგანიზაციულ საკითხში.

ცენტრალური კომიტეტი არ არსებობს. პარტიის აღდგენა შეუძლია მხოლოდ რუსეთში არსებული ორგანიზაციების კონფერენციას. მაგრამ როგორ მოვიწვიოთ კონფერენცია? ცხადია, არა იმათთან ერთად, ვინც პარტიის ლიკვიდაციას ახდენს, არამედ უიმათოდ.

ტიშკო ქანაობს, წაჯექ-უკუჯექობას ეწევა და პარტიის «გაერთიანებას» თამაშობს იმათთან, ვინც მის ლიკვიდაციას ახდენს. ჯერ ტიშკო პლუს «შემარიგებელთა» მცირე ჯგუფი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 280 — 287.

(სრულიად უძლური საზღვარგარეთული მცირე ჯგუფი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში რუსეთის არც ერთი ორგანიზაციისაგან ერთი დაკვეთაც არ მიუღია თავის ნაბეჭდ ნაწარმოებებზე) უერთდებიან ბოლშევიკებს, კისრულობენ კ ო ნ ტ რ ო ლ ს კონფერენციის მოწვევისადმი, ფულს აძლევენ მის მომწვევ აგენტებს, გზავნიან ამ აგენტებს და ამასთან ამტკიცებენ, რომ ისინი პარტიას «აერთიანებენ» (ეს მტკიცება ჰომერულ ხარხარს იწვევს ლიკვიდატორებშიც და ჩვენშიც).

ეს აგენტები შემოვლას იწყებენ კ ი ე ვ ი დ ა ნ, სადაც ორგანიზაცია იმდენად უდავოდ მენშევიკური იყო, რომ ჩვენმა დაუძინებელმა მტრებმა, ტროცკიმ და ლატვიელებმაც კი აღიარეს ეს პრესაში. ჩვენს კონფერენციაზე ლიკვიდატორების გააფთრებული თავდასხმების გამო პოლონელმა მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ სწორედ ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მონაწილეობით შეიქმნა (1911 წ. ოქტომბერში) რუსეთის ორგანიზაციული კომისია კონფერენციის მოსაწვევად. და სწორედ ამ ორგანიზაციის (კიევის) დელეგატი კონფერენციაზე სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ იყო!

ცხადია, რომ რუსეთის ორგანიზაციულ კომისიაში უმრავლესობას შეადგენენ ბოლშევიკები და «პარტიელ» (ე. ი. ანტილიკვიდატორ) მენშევიკთა ნაწილი. სხვა ჯგუფები აქ წარმოდგენილი არ ყოფილან, ვინაიდან ისინი მხოლოდ საზღვარგარეთელ ფიქციებს წარმოადგენენ და რუსეთში კავშირი არა აქვთ.

და აი მაშინ ტიშკო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი იმის გამო, რომ საშუალება აღარ ჰქონდა შუამავლობა გაეწია და ინტრიგები მოეწყო, ლიკვიდატორებთან გაერთიანების თამაშით, ჩამოშორდა რუსეთის ორგანიზაციულ კომისიას და კონფერენციაზე არ მოვიდა, მიუხედავად ს ა მ გ ზ ი ს მიწვევისა.

ნაცვლად ამისა მან მონაწილეობა მიიღო ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ თ ა თათბირში[46] სხვა (ლიკვიდატორული) კონფერენ-

ციის მოწვევის საკითხზე და... წავიდა იქიდან, იქ ლიკვიდატორები არიანო!! განა კომედიანტი არ არის ასეთი «შემარიგებელი»? *

III

რსდმ პარტიის იანვრის კონფერენციამ გააერთიანა რუსეთის ორგანიზაციების უმრავლესობა: პეტერბურგი, მოსკოვი, ვოლგა, კავკასია, სამხრეთი, დასავლეთი მხარე. კონფერენციამ გამოარკვია, რომ ლიკვიდატორებმა («ნაშა ზარია») პარტიის გარეთ დაიყენეს თავი. კონფერენციამ მოიხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის მცირე ჯგუფებისათვის, რომლებიც თავიანთი მოქმედებით პარტიას ხრწნიან.

თავის 23 სხდომაზე კონფერენციამ დაწვრილებით განიხილა ტაქტიკის ყველა საკითხი, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ცენტრალური ორგანოს და ყველა ხელმძღვანელი პარტიული ინსტანციის წინა 4 წლის მუშაობის შესაბამისად. კონფერენციამ უმაღლეს პარტიულ ინსტანციად გამოაცხადა თავი და აირჩია ცენტრალური კომიტეტი.

ლიკვიდატორები და მათთან ერთად საზღვარგარეთის მთელი უძლური მცირე ჯგუფები ცოფმორეულნი რომ ესხმიან თავს პარტიის კონფერენციას, — ეს სავსებით გასაგებია. კონფერენციამ დაგმო ისინი. ყოველ მსჯავრდადებულს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში ლანძღოს თავისი გამსამართლებელნი.

მაგრამ არც სხვა ცენტრალური კომიტეტი და არც სხვა სოც.-დემ. პარტია ა რ ა რ ი ს. ტიშკო და მთავარი გამგეობა, რომლებმაც თავი ააარიდეს ამ კონფერენციას და არწმუნებენ პოლონელ მუშებს, რომ შესაძლებელია (მაკლერების მონაწილეობით) პარტიის «გაერთიანება» ლიკვიდატორებთანო, ატყუებენ მუშებს. ამ მოტყუების მიზეზით პოლონელმა

* «ფორვერტს»-ში მთავარი გამგეობა ტროცკის ლიკვიდატორთა აგენტს უწოდებს, «კრასნოე ზნამიაში» კი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია გაერთიანება არა მარტო პპს ლიკვიდატორულ ლევიცასთან, არამედ პოლონეთში ლიკვიდატორულ ბუნდთანაც!! ტიშკო კი დაპირებას იძლევა გაერთიანოს რსდმ პარტია რუს ლიკვიდატორებთან.

მუშებმა დაკარგეს შესაძლებლობა ეთათბირონ რუს ამხანაგებს, ერთობლივად განიხილონ ტაქტიკა და ლოზუნგები ისეთ მნიშვნელოვან მომენტში, როგორიცაა აპრილისა და მაისის დღეების რევოლუციური აღმავლობა, აგრეთვე IV სათათბიროს არჩევნები.

რუსეთის პროლეტარიატში რევოლუციური აღმავლობის გაძლიერება აშკარაა. დაეხმაროს ამ გაძლიერებას, განამტკიცოს არალეგალური ორგანიზაცია, მისცეს მოძრაობას სწორი რევოლუციური ლოზუნგები, საკადრისი პასუხი გასცეს ლეგალისტ-ლიკვიდატორთა ოპორტუნიზმს, გამსჭვალოს ლეგალური ორგანიზაციები ანტილიკვიდატორული სულისკვეთებით და ამ მიმართულებით ჩაატაროს IV სათათბიროს არჩევნები — აი უახლოესი ამოცანები, რომლებსაც რსდმ პარტია ამჟამად პრაქტიკულად ახორციელებს, რომელთა მიმართ თეორიული პოზიცია განსაზღვრულ იქნა სრულიად რუსეთის იანვრის კონფერენციაზე.

თავიანთი მუშაობის მიმართულების მიხედვით პოლონელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატი მუშები ჩვენთან ერთად არიან. ამრიგად, თავს ნებას მივცემ დავამთავრო იმ რწმენის გამოთქმით, რომ პოლონეთის პროლეტარიატი შეძლებს ორგანიზაციულადაც შემოგვიერთდეს ჩვენ, რსდმ პარტიას, ახლანდელი მთავარი გამგეობის პრინციპული მერყეობის მიუხედავად.

დაიბეჭდა 1912 წ. 16 ივლისს
გაზეთ «Gazeta Robotnicza»-ში
№ 15 — 16
ხელმოწერა: N. Lenin

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი პოლონურიდან

პასუხი ლიკვიდატორებს [47]

ლიკვიდატორები «ნევსკი გოლოსიდან» ტყავში ძვრებიან, რომ ჩ ა შ ა ლ ო ნ მუშათა არჩევნების ერთიანობა პეტერბურგში. ამას ისინი ვერ მოახერხებენ. ფარისევლური ყვირილი «ერთიანობაზე»... (ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ!!) ვერავის ვერ მოატყუებს.

მუშათა დემოკრატიის ერთიანობა უზრუნველყოფილია.

მუშები არ მიჰყვებიან იმათ, ვინც მუშათა დემოკრატიის ლიკვიდაციას ახდენს და მხოლოდ დაპირებას იძლევა შეცვალოს იგი... ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ღია «პარტიით». მუშათა მასის ერთიანობა და არა ამ ერთიანობის საზიანო «შეთანხმება» ლიკვიდატორთა ინტელიგენტურ გამთიშველ წრეებთან, აი რა სურთ შეგნებულ მუშებს. და «პ რ ა ვ დ ა» [48] ამ ლოზუნგს ახორციელებს.

ჩვენ ვერ შეგვაკრთობს არასაკადრისი გამოსვლები ლიკვიდატორებისა, რომლებიც ა შ კ ა რ ა დ კითხულობენ, ს ა დ «მოძებნონ» ის, რაც «აშკარაობას» ვერ დაიკვეხნის... შეთხზეთ, ბატონებო, თქვენი «ღია» პლატფორმა, აშენეთ თქვენი ახალი, «ღია» პარტია, ია და ვარდი გფენიათ!

P. S. * დაბეჯითებით გთხოვთ დაუყოვნებლივ ან რაც შეიძლება მალე მიპასუხოთ აქ აღძრულ საკითხზე. ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ უ მ ი ლ ი. შეიძლება ყველაფერი გავაფუჭოთ და გამოვიწვიოთ მუშების პროტესტი მ ა რ ცხ ნ ი დ ა ნ, თუ

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

ამაზე ხმა არ ამოვიღეთ. საჭიროა საკადრისი პასუხი გავცეთ ლიკვიდატორებს. ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მოვახდინოთ არჩევნები, თუ დავმალეთ, **ვისთვისაა** ეს მუშაობა (ლიკვიდატორებისათვის ხომ არა?). თუ თქვენ არ გინდათ **ყველაფერი** გაამწვავოთ და გააფუჭოთ «მარცხნით», მოათავსეთ ეს «პასუხი ლიკვიდატორებს». იმ შემთხვევაში, თუ ა რ მოათავსებთ, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დამიბრუნეთ ეს ფურცელი. ამას ჩემთვის **დიდი მნიშვნელობა აქვს!**

დაწერილია 1912 წ. ივლისში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შვეიცარიაში

შვეიცარიას ადგილობრივი სოციალისტები «ლაქიების რესპუბლიკას» ეძახიან. წვრილბურჟუაზიული ქვეყანა, სადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს უკვე დიდი ხნიდან მეხამრეობა წარმოადგენდა, მეტისმეტად დამოკიდებული იყო მდიდარ მუქთახორებზე, რომლებიც მილიონებს ფლანგავენ მთებში საზაფხულო გასეირნებაზე. წვრილი მეპატრონე, რომელიც მონურად იხრის ქედს მდიდარი ტურისტის წინაშე, აი როგორი იყო ამ ბოლო დრომდე შვეიცარიელი ბურჟუას ყველაზე გავრცელებული ტიპი.

ახლა საქმე იცვლება. შვეიცარიაში მსხვილი მრეწველობა ვითარდება. ამ სამრეწველო აღმავლობაში დიდ როლს ასრულებს ჩანჩქერებისა და მთის მდინარეების გამოყენება ელექტროენერგიის პირდაპირ მისაღებად. წყლის ვარდნის ამ ძალას, რომელიც მრეწველობისათვის ქვანახშირის მაგივრობას ეწევა, ხშირად «თეთრ ნახშირს» უწოდებენ.

შვეიცარიის ინდუსტრიალიზაციამ, ე. ი. იქ ინდუსტრიის, მსხვილი მრეწველობის განვითარებამ ბოლო მოუღო მუშათა მოძრაობის წინანდელ მოდუნებას. კაპიტალისა და შრომის ბრძოლა მწვავდება, დუნე, მეშჩანური სულისკვეთება, რომელიც წინათ ხშირად ბატონობდა შვეიცარიის ზოგიერთ მუშათა კავშირში, ქრება და მას ცვლის მებრძოლი განწყობილება შეგნებული, ორგანიზებული პროლეტარიატისა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ძალა.

შვეიცარიის მუშები ოდნავაც არ ტყუვდებიან იმაში, რომ მათი რესპუბლიკა ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელიც

იცავს იმავე დაქირავებულ მონობას, რაც უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში არსებობს. მაგრამ ამავე დროს შვეიცარიელმა მუშებმა მშვენივრად ისწავლეს თავიანთ რესპუბლიკურ დაწესებულებათა თავისუფლების გამოყენება მუშათა ფართო მასების გასანათლებლად და დასარაზმავად.

ამ მუშაობის ნაყოფმა თვალნათლივ იჩინა თავი საყოველთაო გაფიცვის დროს ციურიხში 12 ივლისს (29 ივნისს ძვ. სტ.).

საქმე ასე იყო. მღებავები და ზეინკლები ციურიხში უკვე რამდენიმე კვირას გაფიცული იყვნენ, ცდილობდნენ მიეღწიათ ხელფასის გადიდებისა და სამუშაო დღის შემცირებისათვის. მეპატრონეები გაბრაზდნენ და გადაწყვიტეს გაეტეხათ გაფიცულთა სიმტკიცე. ბურჟუაზიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც გულმოდგინებას იჩენდა კაპიტალისტების წინაშე, დაეხმარა მათ და შეუდგა უცხოელ გაფიცულთა გ ა ძ ე ვ ე ბ ა ს! (შვეიცარიაში ბევრი უცხოეთიდან ჩასული მუშა მუშაობს, განსაკუთრებით იტალიელები.) მაგრამ ამ უხეშმა ძალადობამ ვერ გასჭრა. მუშები ერთსულოვნად იდგნენ.

მაშინ კაპიტალისტებმა ასეთი ხერხი იხმარეს. ჰამბურგში (გერმანია) არსებობს ლუდვიგ კოხის განსაკუთრებული ფირმა, რომლის საქმიანობასაც შტრაიკბრეხერების მიწოდება შეადგენს. ციურიხელმა კაპიტალისტებმა — პატრიოტებმა და რესპუბლიკელებმა, ხუმრობა კი არ გეგონოთ! — ამ ფირმის საშუალებით გამოიწერეს შტრაიკბრეხერები, რომელთა შორის განზრახ მოქცეულ იყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ყოველნაირი ტიპები, მსჯავრდადებულნი გერმანიაში მაჭანკლობისათვის, ჩხუბისათვის და სხვ. ამ ჩამოკონკილებს ანუ ოქროს ასეულს (ლუმპენ-პროლეტარებს) კაპიტალისტებმა რევოლვერები მისცეს. ამ შტრაიკბრეხერთა გათავხედებული ბანდა მუშათა უბნის სამიკიტნოებში წავიდ-წამოვიდა და უმაგალითო ხულიგნობას სჩადიოდა. როცა მუშები ერთად შეიკრიბნენ, რომ ხულიგნები გაედევნათ, ერთმა მათგანმა რევოლვერით მ ო კ ლ ა გაფიცული მუშა.

მუშებმა მოთმინება დაკარგეს. მკვლელს სცემეს. გადაწყდა ციურიხის საქალაქო თვითმმართველობაში შეეტანათ შეკითხვა ხულიგანთა უწესოების შესახებ. ხოლო როცა ქალაქის გამგეობამ, რომელიც კაპიტალისტებს იცავს, გაფიცულთა პიკეტები აკრძალა, მუშებმა გადაწყვიტეს პროტესტი განეცხადებინათ ერთი დღის საყოველთაო გაფიცვით.

გაფიცვას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ყველა პროფესიულმა კავშირმა. სავალალო გამონაკლისს წარმოადგენდნენ მარტო მბეჭდავები. მათ აზრი გამოთქვეს გაფიცვის წინააღმდეგ, და ციურიხის ყველა მუშათა ორგანიზაციის 425 წარმომადგენლის კრება მბეჭდავთა ამ გადაწყვეტილებას შეხვდა მქუხარე ძახილით «ვაი სირცხვილო!». გაფიცვა გადაწყდა, თუმცა პოლიტიკური ორგანიზაციების ბელადები წინააღმდეგი იყვნენ (მეშჩანი, ოპორტუნისტი შვეიცარიელი ბელადების ძველი სულისკვეთება!).

რაკი იცოდნენ, რომ კაპიტალისტები და ადმინისტრაცია შეეცდებოდნენ მშვიდობიანი გაფიცვის ჩაშლას, მუშები მოიქცნენ ბრძნული წესით: «რაკი ომია, ომი იყოს». ომში მოწინააღმდეგეს არ ატყობინებენ, როდის მოხდება თავდასხმა. მუშებმა ხუთშაბათს განზრახ განაცხადეს, გაფიცვა სამშაბათს ან ოთხშაბათს მოხდებაო, ნამდვილად კი იგი დანიშნული იყო პარასკევს. კაპიტალისტებსა და ადმინისტრაციას ეს მოულოდნელად დაატყდა თავს.

გაფიცვას ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა. დილაადრიან გავრცელდა 30 000 ფურცელი გერმანულ და იტალიურ ენებზე. 2 000-მდე გაფიცულმა დაიკავა ტრამვაის პარკები. ყველაფერი შეჩერდა. ქალაქის ცხოვრება ჩაკვდა. პარასკევი ციურიხში საბაზრო დღეა, მაგრამ ქალაქი მკვდარივით იყო. საგაფიცვო კომიტეტმა ალკოჰოლის (ყოველნაირი სპირტიანი სასმელის) სმა აკრძალა, და მუშები ზუსტად იცავდნენ ამ გადაწყვეტილებას.

დღის 2 საათზე გაიმართა დიდებული მასობრივი დემონსტრაცია. სიტყვების დამთავრების შემდეგ მშვიდობიანად და უსიმღეროდ დაიშალნენ.

მთავრობამ და კაპიტალისტებმა, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მუშებს ძალადობას ჩაადენინებდნენ, დაინახეს თავიანთი მარცხი და ახლა პირდაპირ მძვინვარებენ გააფთრებისაგან. განსაკუთრებული ბრძანებულებით მთელ ციურიხის კანტონში აკრძალულია არა მარტო საგაფიცვო პიკეტები, არამედ გარეთ კრებებისა და დემონსტრაციების გამართვაც. პოლიციამ დაიკავა სახალხო სახლი ციურიხში და დააპატიმრა მუშათა მთელი რიგი ბელადები. კაპიტალისტებმა, რომლებიც შურს იძიებენ საყოველთაო გაფიცვისათვის, სამი დღის ლოკაუტი გამოაცხადეს.

მუშები დინჯად დგანან, სასტიკად იცავენ არყისა და ღვინის ბოიკოტს და ერთმანეთს ეუბნებიან: «რატომ არ დაისვენოს მუშა კაცმა წელიწადში სამ დღეს, როცა მდიდრები მთელ წელიწადს ისვენებენო».

«პრავდა» № 63, 1912 წ. 12 ივლისი
ხელმოწერა: ბ. ჟ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დემოკრატია და ნაროდნიკობა ჩინეთში

ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის სუნ იატ-სენის სტატია, რომელიც ჩვენ მოგვყავს ბრიუსელის სოციალისტურ გაზეთ «Le Peuple»-დან *, ჩვენთვის, რუსებისათვის, სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

ანდაზაა: გარედან უკეთ ჩანსო. სუნ იატ-სენი უაღრესად საინტერესო მოწმეა «გარედან», ვინაიდან იგი, ევროპულად განათლებული კაცი, ეტყობა, სრულებით არ იცნობს რუსეთს. და აი, ეს ევროპულად განათლებული წარმომადგენელი ჩინეთის მებრძოლი და ძლევამოსილი დემოკრატიისა, რომელმაც მოიპოვა რესპუბლიკა, ჩვენ წინაშე აყენებს — სრულიად დამოუკიდებლად რუსეთისაგან, რუსეთის გამოცდილებისაგან, რუსული ლიტერატურისაგან — წმინდა რუსულ საკითხებს. მოწინავე ჩინელი დემოკრატი პირდაპირ ისე მსჯელობს, როგორც რუსი. მისი მსგავსება რუს ნაროდნიკთან ისე დიდია, რომ ძირითადი აზრებისა და მთელი რიგი ცალკეული გამოთქმების სრულ იგივეობამდე მიდის.

გარედან უკეთ ჩანს. ჩინეთის დიდი დემოკრატიის პლატფორმა — ვინაიდან სუნ იატ-სენის სტატია სწორედ ასეთ პლატფორმას წარმოადგენს — გვაიძულებს და მარჯვე საბაბს გვაძლევს კიდევ ერთხელ, ახალი მსოფლიო მოვლენების თვალსაზრისით, განვიხილოთ საკითხი დემოკრატიზმისა და ნაროდნიკობის თანაფარდობისა აზიის თანამედროვე ბურჟუაზიულ რევოლუციებში. ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიო-

* — «ხალხი». რ ე დ.

ზული საკითხია იმ საკითხთაგან, რომლებიც რუსეთის წინაშე წამოიჭრა მის რევოლუციურ ეპოქაში, რაც 1905 წლიდან დადგა. და არა მარტო რუსეთის წინაშე, არამედ მთელი აზიის წინაშე, როგორც ჩანს ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის პლატფორმიდან, მეტადრე თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ პლატფორმას და რევოლუციური მოვლენების განვითარებას რუსეთში, თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში. რუსეთი ძალიან ბევრ და ძალიან არსებით რამეში, უეჭველია, ერთ-ერთი აზიური სახელმწიფოა და თანაც ერთ-ერთი ყველაზე ველური, შუასაუკუნეობრივი, სამარცხვინოდ ჩამორჩენილი აზიური სახელმწიფო.

რუსეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიას ნაროდნიკული ფერი აქვს — მისი შორეული და განმარტოებული წინამორბედით, აზნაურ გერცენით დაწყებული და მისი მასობრივი წარმომადგენლებით, 1905 წელს გლეხთა კავშირის წევრებით, 1906 — 1912 წლებში პირველი სამი სათათბიროს ტრუდოვიკი დეპუტატებით დამთავრებული. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ მთლად ასეთივე ნაროდნიკული ფერი აქვს ჩინეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიას. მაშ ვნახოთ, სუნ იატ-სენის მაგალითის მიხედვით, რაში მდგომარეობს იმ ასეულ და ასეულ მილიონობით ადამიანთა ღრმა რევოლუციური მოძრაობით წარმოშობილი იდეების «სოციალური მნიშვნელობა», რომელნიც ახლა საბოლოოდ ებმებიან მსოფლიო კაპიტალისტური ცივილიზაციის ნაკადში.

მებრძოლი, გულწრფელი დემოკრატიზმით გამსჭვალულია სუნ იატ-სენის პლატფორმის ყოველი სტრიქონი. სრული შეგნება იმისა, რომ «რასობრივი» რევოლუცია არ კმარა. არავითარი აპოლიტიციზმი ან თუნდაც უგულებელყოფა პოლიტიკური თავისუფლებისა, თუნდაც დაშვება იმ აზრისა, რომ შეიძლება ჩინეთის თვითმპყრობელობის შეთავსება ჩინეთის «სოციალურ რეფორმასთან», ჩინეთის კონსტიტუციურ გარდაქმნებთან და ა. შ. მთლიანი დემოკრატიზმი რესპუბლიკის მოთხოვნით. პირდაპირი დაყენება საკითხისა მასების მდგომარეობის, მასობრივი ბრძოლის შესახებ, მხურ-

ვალე თანაგრძნობა მშრომელებისა და ექსპლოატირებულებისადმი, რწმენა მათი სიმართლისა და მათი ძალისადმი.

ჩვენ წინაშეა ნამდვილად დიდი იდეოლოგია ნამდვილად დიდი ხალხისა, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო გოდებდეს თავის საუკუნეობრივ მონობაზე, არა მარტო ოცნებობდეს თავისუფლებასა და თანასწორობაზე, არამედ კიდევაც ებრძოდეს ჩინეთის საუკუნეობრივ მჩაგვრელებს.

თავისთავად გებადება სურვილი ერთმანეთს შეადარო ველური, მკვდარი, აზიური ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტი და ევროპის, ამერიკის რესპუბლიკების, მოწინავე კულტურის ქვეყნების სხვადასხვა პრეზიდენტები. იქაური რესპუბლიკათა პრეზიდენტები უკლებლივ ყველანი საქმოსნები, აგენტები ან ტიკინები არიან ბურჟუაზიის ხელში, რომელიც მთლად გახრწნილია, თავით ფეხამდე, გასვრილია ტალახითა და სისხლით, არა ფადიშაჰებისა და ბოგდიხანების სისხლით, არამედ მუშების სისხლით, რომლებსაც გაფიცვების გამო ხვრეტენ პროგრესისა და ცივილიზაციის სახელით. იქაური პრეზიდენტები წარმომადგენლები არიან ბურჟუაზიისა, რომელმაც ძალიან დიდი ხანია უარყო ახალგაზრდობის ყველა იდეალი, რომელიც მთლად მეძავი გახდა, მთლიანად მიეყიდა მილიონერებს, მილიარდერებს, გაბურჟუებულ ფეოდალებს და სხვ.

აქაური, აზიელი დროებითი პრეზიდენტი რესპუბლიკისა არის რევოლუციური დემოკრატი, კეთილშობილებითა და გმირობით აღსავსე, რაც ახასიათებს ისეთ კლასს, რომელიც დაღმა კი არ მიექანება, არამედ აღმავლობის გზით მიდის, რომელსაც მომავლისა კი არ ეშინია, არამედ სწამს იგი და თავდადებულად იბრძვის მისთვის, — კლასს, რომელიც იმას კი არ ებღაუჭება, რომ დაიცვას და აღადგინოს წარსული თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად, არამედ სძულს წარსული და უნარი შესწევს მოიშოროს მისი უკვე მკვდარი და ყოველივე ცოცხლის ჩამხშობი სიდამპლე.

რაშია საქმე? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მატერიალისტური დასავლეთი დალპა და რომ სინათლე მხოლოდ მისტიკური,

რელიგიური აღმოსავლეთიდან მოდის? არა, სწორედ პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთი საბოლოოდ დაადგა დასავლეთის გზას, რომ ამიერიდან ახალი ასობით და ასობით მილიონი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას იმ იდეალებისათვის ბრძოლაში, რომლებიც გამოიმუშავა დასავლეთმა. გაიხრწნა დასავლეთი ბურჟუაზია, რომლის წინაშეც უკვე დგას მისი მესაფლავე — პროლეტარიატი. აზიაში კიჯერ კიდევ არის ბურჟუაზია, რომელსაც უნარი შესწევს წარმოადგენდეს გულწრფელ, მებრძოლ, თანმიმდევრულ დემოკრატიას, საფრანგეთში XVIII საუკუნის დამლევის დიდ მქადაგებელთა და დიდ მოღვაწეთა ღირსეული ამხანაგი.

მთავარი წარმომადგენელი ანუ მთავარი სოციალური დასაყრდენი აზიის ამ ბურჟუაზიისა, რომელსაც ჯერ კიდევ უნარი შესწევს ისტორიულად პროგრესული როლი შეასრულოს, არის გლეხი. მის გვერდით არის უკვე ლიბერალური ბურჟუაზია, რომლის მოღვაწეებსაც, როგორიც არის, მაგალითად, იუან ში-კაი, ყველაზე მეტად შეუძლიათ ჩაიდინონ ღალატი: გუშინ მათ ბოგდიხანის ეშინოდათ, მონურად იხრიდნენ ქედს მის წინაშე; შემდეგ, — როცა ძალა დაინახეს, როცა რევოლუციური დემოკრატიის გამარჯვება იგრძნეს, — მათ ბოგდიხანს უღალატეს, ხვალ კი დემოკრატებს გასცემენ რომელიმე ძველ ან ახალ «კონსტიტუციურ» ბოგდიხანთან მორიგებისათვის.

ის დიდი, გულწრფელი დემოკრატიული აღფრთოვანება რომ არ იყოს, რომელიც აღაგზნებს მშრომელ მასებს, სასწაულების მოხდენის უნარს აძლევს მათ და რომელიც სუნ იატ-სენის პლატფორმის ყოველ ფრაზაში ჩანს, შეუძლებელი იქნებოდა ჩინელი ხალხის ნამდვილი განთავისუფლება საუკუნეობრივი მონობისაგან.

მაგრამ მებრძოლი დემოკრატიზმის ეს იდეოლოგია ჩინელ ნაროდნიკს შეხამებული აქვს, ჯერ-ერთი, სოციალისტურ ოცნებასთან, იმის იმედთან, რომ ჩინეთი ასცდება კაპიტალიზმის გზას, თავიდან აიცილებს კაპიტალიზმს, ხოლო მეორე

მხრივ, რადიკალური აგრარული რეფორმის გეგმასთან და ქადაგებასთან. სწორედ ეს ორი უკანასკნელი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა წარმოადგენს იმ ელემენტს, რომელიც ქმნის ნაროდნიკობას ამ ცნების სპეციფიკური მნიშვნელობით, ე. ი. დემოკრატიზმისაგან განსხვავებით, დემოკრატიზმისადმი დამატებით.

როგორია ამ მიმდინარეობათა წარმოშობა და მნიშვნელობა?

ჩინეთის დემოკრატია ვერ დაამხობდა ძველ წესწყობილებას ჩინეთში და ვერ მოიპოვებდა რესპუბლიკას, მასების უდიდესი სულიერი და რევოლუციური აღმავლობა რომ არ ყოფილიყო. ასეთი აღმავლობა გულისხმობს და წარმოშობს უაღრესად გულწრფელ თანაგრძნობას მშრომელი მასების მდგომარეობისადმი, უაღრესად მძაფრ სიძულვილს მათი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისადმი. ევროპასა და ამერიკაში კი, რომლისგანაც მოწინავე ჩინელებმა, ყველა ჩინელებმა, რამდენადაც ისინი ამ აღმავლობას განიცდიდნენ, ისესხეს თავიანთი განმათავისუფლებელი იდეები, დღის წესრიგში დგას უკვე განთავისუფლება ბურჟუაზიისაგან, ე. ი. სოციალიზმი. აქედან გარდუვალად წარმოიშობა ჩინელი დემოკრატების თანაგრძნობა სოციალიზმისადმი, მათი სუბიექტური სოციალიზმი.

ისინი სუბიექტურად სოციალისტები არიან, იმიტომ რომ მასების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგი არიან. მაგრამ ჩინეთის, ჩამორჩენილი, სამიწათმოქმედო, ნახევრადფეოდალური ქვეყნის, ობიექტური პირობები თითქმის ნახევარმილიარდიანი ხალხის ცხოვრების დღის წესრიგში აყენებენ ამ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მხოლოდ ერთ გარკვეულ, ისტორიულად თავისებურ სახეს, სახელდობრ ფეოდალიზმს. ფეოდალიზმი ემყარებოდა სამიწათმოქმედო ყოფაცხოვრებისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობას; ჩინელი გლეხის ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო იყო მისი მიჯაჭვა მიწაზე ამა თუ იმ ფორმით; ამ ექსპლოტაციის

პოლიტიკური გამომხატველები იყვნენ ფეოდალები, ყველანი ერთად და თვითეული ცალცალკე ბოგდიხანთან, როგორც სისტემის მეთაურთან ერთად.

და აი თურმე ჩინელი დემოკრატის სუბიექტურ-სოციალისტური მისწრაფებებიდან და პროგრამებიდან სინამდვილეში გამოდის მ ა რ ტ ო ო დ ე ნ «უძრავი საკუთრების» «ყველა უფლებრივი საფუძვლის შეცვლის» პროგრამა, მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ფეოდალური ექსპლოატაციის მოსპობის პროგრამა.

ეს არის სუნ იატ-სენის ნაროდნიკობის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა მისი პროგრესული, მებრძოლი, რევოლუციური პროგრამისა და მისი ვითომდა-სოციალისტური თეორიის ა რ ს ი.

ეს თეორია, თუ მას დოქტრინის თვალსაზრისით განვიხილავთ, წვრილბურჟუაზიული «სოციალისტი»-რეაქციონერის თეორიაა. ვინაიდან სრულიად რეაქციულია იმაზე ოცნება, რომ ჩინეთში შეიძლება «თავიდან აცილებულ იქნეს» კაპიტალიზმი, რომ ჩინეთში, მისი ჩამორჩენილობის გამო, უფრო ადვილია «სოციალური რევოლუცია» და ა. შ. და სუნ იატ-სენი უბადლო, შეიძლება ითქვას, ქალწულებრივი გულუბრყვილობით თვითონვე აცამტვერებს თავის რეაქციულ ნაროდნიკულ თეორიას, როდესაც აღიარებს იმას, რის აღიარებასაც ცხოვრება აიძულებს, — სახელდობრ: რომ «ჩინეთი დგას გიგანტური სამრეწველო» (ე. ი. კაპიტალისტური) «განვითარების წინაშე», რომ ჩინეთში «ვაჭრობა» (ე. ი. კაპიტალიზმი) «უდიდესი მასშტაბით განვითარდება», რომ «50 წლის შემდეგ ჩვენ გვექნება ბევრი შანხაი», ე. ი. კაპიტალისტური სიმდიდრისა და პროლეტარული გაჭირვებისა და სიღატაკის მილიონიანი ცენტრები.

მაგრამ იბადება კითხვა — და ეს არის თავი და თავი, აქ არის ყველაზე საინტერესო პუნქტი, რომლის წ ი ნ ა შ ე ც ხშირად ჩერდება კუდმოკვეცილი და გამოშიგნული ლიბერალური კვაზი-მარქსიზმი, — იბადება კითხვა, იცავს თუ არა

სუნ იატ-სენი თავისი რეაქციული ეკონომიური თეორიის საფუძველზე ნამდვილად რეაქციულ აგრარულ პროგრამას?

საქმეც ის არის, რომ არა. ჩინეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის დიალექტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩინელმა დემოკრატებმა, რომლებიც გულწრფელად თანაუგრძნობენ სოციალიზმს ევროპაში, იგი რეაქციულ თეორიად გადააკეთეს და კაპიტალიზმის «თავიდან აცილების» ამ რეაქციული თეორიის საფუძველზე ახორციელებენ წმინდა-კაპიტალისტურ, მაქსიმალურად კაპიტალისტურ აგრარულ პროგრამას!

მართლაც, რაში მდგომარეობს «ეკონომიური რევოლუცია», რომელზეც სუნ იატ-სენი ასე მაღალფარდოვნად და ბუნდოვნად ლაპარაკობს სტატიის დასაწყისში?

სახელმწიფოსათვის რენტის გადაცემაში, ესე იგი მიწის ნაციონალიზაციაში ჰენრი ჯორჯის მიხედვით რაღაც ერთიანი გადასახადის საშუალებით. «ეკონომიური რევოლუცია», რომელსაც სუნ იატ-სენი აყენებს და ქადაგებს, სხვას სრულიად არაფერს რეალურს არ შეიცავს.

განსხვავება გლეხურ მივარდნილ კუთხეში მიწის ღირებულებასა და შანხაიში მიწის ღირებულებას შორის რენტის სიდიდის განსხვავებაა. მიწის ღირებულება კაპიტალიზებული რენტაა. გააკეთო ისე, რომ მიწის «ღირებულების მატება» «ხალხის საკუთრება» გახდეს, ნიშნავს იმას, რომ რენტა, ე. ი. მიწის საკუთრება, გადასცე სახელმწიფოს ან სხვანაირად: მოახდინო მიწის ნაციონალიზაცია.

შესაძლებელია თუ არა ასეთი რეფორმა კაპიტალიზმის ფარგლებში? არა მარტო შესაძლებელია, არამედ იგი წარმოადგენს ყველაზე წმინდა, მაქსიმალურად თანმიმდევრულ, იდეალურად სრულყოფილ კაპიტალიზმს. მარქსმა აღნიშნა ეს «ფილოსოფიის სიღატაკე»ში», დაწვრილებით დაამტკიცა «კაპიტალის» III ტომში და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ განავითარა როდბერტუსთან პოლემიკაში «ზედმეტი ღირებულების თეორიებში» [49].

მიწის ნაციონალიზაცია შესაძლებლობას იძლევა მოისპოს აბსოლუტური რენტა და დატოვებულ იქნეს მხოლოდ დიფერენციული. მიწათმოქმედებიდან შუასაუკუნეობრივი მონოპოლიებისა და შუასაუკუნეობრივი ურთიერთობის რაც შეიძლება მეტად აღმოფხვრა, მიწის სავაჭრო ბრუნვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, მიწათმოქმედების რაც შეიძლება უფრო ადვილად შეგუება ბაზართან, — აი რა არის მიწის ნაციონალიზაცია, მარქსის მოძღვრების მიხედვით. ისტორიის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ნაროდნიკობა მიწათმოქმედებაში «კაპიტალიზმთან ბრძოლისათვის» ისეთ პროგრამას ატარებს, რომლის სრული განხორციელება მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის ყველაზე სწრაფი განვითარების მომასწავებელი იქნებოდა.

რა ეკონომიურმა აუცილებლობამ გამოიწვია აზიის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში მიწის საკითხში ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრამების გავრცელება? იმის აუცილებლობამ, რომ მოსპობილ იქნეს ფეოდალიზმი ყველა თავისი სახითა და გამოვლინებით.

რაც უფრო ჩამორჩებოდა ჩინეთი ევროპასა და იაპონიას, მით უფრო ემუქრებოდა მას დაქუცმაცება და ეროვნული რღვევა. მისი «განახლება» შეეძლო მხოლოდ ხალხის რევოლუციური მასების გმირობას, რომელსაც უნარი შესწევს პოლიტიკის სფეროში შექმნას ჩინეთის რესპუბლიკა, აგრარულ სფეროში — უზრუნველყოს მიწის ნაციონალიზაციის საშუალებით ყველაზე სწრაფი კაპიტალისტური პროგრესი.

მოხერხდება თუ არა ეს და რამდენად, — ეს სხვა საკითხია. სხვადასხვა ქვეყნები თავიანთ ბურჟუაზიულ რევოლუციაში ახორციელებდნენ პოლიტიკური და აგრარული დემოკრატიზმის სხვადასხვა საფეხურებს, და თანაც უაღრესად ჭრელი შეხამებით. ამას გადაწყვეტს საერთაშორისო ვითარება და ჩინეთში საზოგადოებრივი ძალების თანაფარდობა. ბოგდიხანი ალბათ გააერთიანებს ფეოდალებს, ბიუროკრა-

ტიას, ჩინელ სამღვდელოებას და მოამზადებს რესტავრაციას. იუან ში-კაი, წარმომადგენელი ბურჟუაზიისა, რომელმაც ძლივს მოასწრო ლიბერალურ-მონარქისტულისაგან ლიბერალურ-რესპუბლიკური გამხდარიყო (ვითომ დიდი ხნით?), მონარქიასა და რევოლუციას შორის წაჯექ-უკუჯექობის პოლიტიკას დაადგება. რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც სუნ იატ-სენი წარმოადგენს, სწორად ეძებს ჩინეთის «განახლების» გზას იმაში, რომ განვითარდეს გლეხთა მასების ყველაზე მეტი თვითმოქმედება, სიმტკიცე და გამბედაობა **პოლიტიკური** და **აგრარული** **რეფორმების საქმეში.**

დასასრულ, რამდენადაც ჩინეთში გაიზრდება შანხაების რიცხვი, გაიზრდება ჩინეთის პროლეტარიატიც. იგი ალბათ შექმნის ჩინეთის ამა თუ იმ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც, გააკრიტიკებს რა სუნ იატ-სენის წვრილ-ბურჟუაზიულ უტოპიებსა და რეაქციულ შეხედულებებს, უთუოდ გულისხმიერად გამოჰყოფს, დაიცავს და განავითარებს მისი პოლიტიკური და აგრარული პროგრამის რევოლუციურ-დემოკრატიულ არსს.

«ნევსკაია ზვეზდა» № 17,
1912 წ. 15 ივლისი
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

იტალიელ სოციალისტთა ყრილობა

ამ დღეებში ქალაქ რეჯიოში (ემილიის პროვინცია) დამთავრდა იტალიის სოციალისტური პარტიის XIII ყრილობა.

იტალიის სოციალისტურ პარტიაში შინაგანმა ბრძოლამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო. ჯერ იყო ორი ძირითადი მიმართულება: რევოლუციონერები და რეფორმისტები. პირველნი იცავდნენ მოძრაობის პროლეტარულ ხასიათს და იბრძოდნენ ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ე. ი. ზომიერების სულისკვეთების, ბურჟუაზიასთან შეთანხმებების, მუშათა მოძრაობის საბოლოო (სოციალისტურ) მიზნებზე ხელის აღების წინააღმდეგ. კლასობრივი ბრძოლა — აი ამ მიმართულების ძირითადი პრინციპი, მის შეხედულებათა საფუძველი.

რეფორმისტები რეფორმებისათვის, ე. ი. პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ცალკეულ გაუმჯობესებათათვის ბრძოლაში მუდამ ივიწყებდნენ მოძრაობის სოციალისტურ ხასიათს, იცავდნენ ბურჟუაზიასთან ბლოკებსა და კავშირებს თვით ბურჟუაზიულ სამინისტროში სოციალისტის შესვლამდე, თვით თანმიმდევრულ-რესპუბლიკურ რწმენაზე უარის თქმამდე (მონარქისტულ იტალიაში რესპუბლიკური პროპაგანდა თავისთავად არ ითვლება კანონის საწინააღმდეგოდ), თვით «კოლონიური პოლიტიკის», კოლონიების დაპყრობის, ადგილობრივ მკვიდრთა ჩაგვრის, ძარცვისა და გაჟლეტის დაცვამდე და სხვ.

ამ ორმა ძირითადმა მიმართულებამ, რომლებიც ამა თუ იმ სახით ყ ვ ე ლ ა სოციალისტურ პარტიაში არსებობს, იტა-

ლიაში გამოჰყო კიდევ ორი უკიდურესი მიმართულება, რომ-ლებიც სავსებით შორდებოდნენ სოციალიზმს და ამიტომ მუ-შათა სოციალისტური პარტიისაგან გამოყოფას იწვევდნენ. ამ არასოციალისტურ უკიდურესობათაგან ერთია ს ი ნ დ ი-კ ა ლ ი ზ მ ი, რომელიც ერთ დროს «მოდად» იქცა იტალია-ში. სინდიკალისტები იხრებოდნენ ანარქიზმისაკენ, გატაცე-ბული იყვნენ რევოლუციური ფრაზით, ანგრევდნენ მუშათა ბრძოლის დისციპლინას, უარს ამბობდნენ სოციალისტების მიერ პარლამენტის ტრიბუნის გამოყენებაზე ან იცავდნენ ასეთ უარს.

ანარქისტების გავლენა ყველგან სუსტია, და მუშათა მოძ-რაობა სწრაფად აღწევს თავს ამ სენს.

იტალიელი სინდიკალისტები (მათი ბელადის არტურო ლაბრიოლას მეთაურობით) ამჟამად უკვე სოციალისტური პარტიის გ ა რ ე თ დგანან. მუშათა მოძრაობაში მათი როლი უმნიშვნელოა. რევოლუციონერი-მარქსისტები იტალიაში, ისე-ვე როგორც სხვა ქვეყნებში, ოდნავაც არ აფარებენ ხელს პროლეტარული მოძრაობის გამხრწნელ ანარქისტულ განწყო-ბილებებსა და მიმართულებებს.

რეფორმისტები ნაკლებ მტკიცენი არიან იმ უკიდურესი მემარჯვენე რეფორმისტების მიმართ, რომლებიც, ექანებიან რა ლიბერალურ მუშათა პოლიტიკამდე, საბოლოოდ მიდიან ლიბერალების ბანაკში და გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე. ამიტომ მუშათა საქმის ამ მოღალატეების გამოყოფა სოცია-ლისტური პარტიისაგან იშვიათად ჩაივლის ხოლმე ისე, რომ არ მოხდეს რევოლუციონერი-მარქსისტების მეტისმეტად მწვავე ბრძოლა ყ ვ ე ლ ა რეფორმისტის წინააღმდეგ. ასე იყო, მაგალითად, საფრანგეთში, როცა ოპორტუნისტმა და რეფორმისტმა მილიერანმა საბოლოოდ იბრუნა პირი ბურ-ჟუაზიასთან შეთანხმებისაკენ და შევიდა ბურჟუაზიულ სა-მინისტროში.

ასეთია საქმის ვითარება იტალიაშიც. რეფორმისტები გაითიშნენ მემარცხენე რეფორმისტებად (ტურატის მეთაუ-

რობით) და მემარჯვენე რეფორმისტებად (მათი მეთაურია ბისოლატი). რეჯიო-ემილიის ყრილობა ამ გათიშვის უკანასკნელ აქტს მოასწავებს.

ყრილობაზე იყო სამი მიმართულება: 1) რევოლუციონერები (ყრილობაზე მათ ჰქონდათ 12 ნახევარ ათასამდე ხმა — პარტიაში მათ მომხრეთა რიცხვის მიხედვით); 2) მემარცხენე რეფორმისტები (9 ათასამდე) და 3) მემარჯვენე რეფორმისტები (2 ათასამდე). რევოლუციონერებმა წინადადება შეიტანეს გაერიცხათ პარტიიდან ბისოლატი და კიდევ სამი უკიდურესი მემარჯვენე რეფორმისტი. მემარცხენე რეფორმისტებიდანაც ერთი მესამედი მათი გარიცხვის მომხრე იყო, მაგრამ უფრო «რბილი» მოტივაციით, ხოლო ორი მესამედი გარიცხვის წინააღმდეგი იყო და უბრალო გაკიცხვას ემხრობოდა.

რევოლუციონერებმა, რომლებსაც, როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, უმრავლესობა ჰქონდათ, გაიმარჯვეს, და ბისოლატი და კომპანია გარიცხულ იქნენ.

რაში მდგომარეობდა ბისოლატის შეხედულებანი და მოქმედება, რამაც გამოიწვია მისი გაძევება პარტიიდან? ბისოლატი, პარტიის მრავალგზისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული სამინისტროს მხარდაჭერაში იქამდე მივიდა, რომ თვითონ გახდა თითქმის «უპორტფელო მინისტრი» (ე. ი., თუმცა მინისტრი არ იყო, მაგრამ ისე იქცეოდა, როგორც ბურჟუაზიული სამინისტროს თანამოაზრე და მონაწილე).

წინააღმდეგ რესპუბლიკური რწმენისა, რასაც მტკიცედ ადგანან იტალიელი სოციალისტები, ბისოლატიმ იწყო სიარული კვირინალში, ნახულობდა მეფეს და მოლაპარაკებას აწარმოებდა მასთან! ბისოლატი მივიდა თურქეთთან იტალიის ახლანდელი ომის დაცვამდე, თუმცა მთელმა პარტიამ გადაჭრით დაგმო ეს ომი, როგორც უსირცხვილო ბურჟუაზიული ძარცვა და გაუმჯობესებული საჟლეტი იარაღის საშუალებით ტრიპოლში აფრიკის მკვიდრთა გაჟლეტის ბინძური საქმე.

ბისოლატისა და კომპანიის გარიცხვის შემდეგ პარტიიდან გავიდა ყველა მემარჯვენე რეფორმისტი. მათ დააარსეს

თავიანთი პარტია, რომელსაც უწოდეს «სოციალისტური რეფორმისტული პარტია». ამ აბრის ქვეშ სინამდვილეში იფარება ლიბერალ-მონარქისტი «მუშათა» პოლიტიკოსების «პარტია».

გათიშვა მძიმე, მტკივნეული ისტორიაა. მაგრამ იგი ზოგჯერ აუცილებელი ხდება, და ასეთ შემთხვევებში ყოველგვარი სისუსტე, ყოველგვარი «სენტიმენტალობა» (სიტყვა, რომელიც რეჯიოში ჩვენმა თანამემამულემ ბალაბანოვამ იხმარა) დანაშაულია. მუშათა ბელადები არიან არა ანგელოზები, არა წმინდანები, არა გმირები, არამედ ადამიანები, როგორც ყველანი. ისინი შეცდომებს უშვებენ. პარტია უსწორებს ამ შეცდომებს. გერმანიის მუშათა პარტიას შემთხვევები ჰქონია გაესწორებინა თვით ისეთი დიდი ბელადების ოპორტუნისტული შეცდომები, როგორიც ბებელია.

მაგრამ თუ შეცდომას დაჟინებით იცავენ, თუ შეცდომის დასაცავად იქმნება ჯგუფი, რომელიც ფეხით თელავს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას, პროლეტარული არმიის მთელ დისციპლინას, მაშინ გათიშვა აუცილებელია. და იტალიის სოციალისტური პროლეტარიატის პარტია, რომელმაც თავისი წრიდან სინდიკალისტები და მემარჯვენე რეფორმისტები განდევნა, სწორ გზას დაადგა.

«პრავდა» № 66, 1912 წ. 15 ივლისი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რუსეთული «სიტყვის თავისუფლება»

გაზეთმა «რას ინებებთ», რომელსაც მდაბიურად «ნოვოე ვრემია» ეწოდება, გადაბეჭდა თავისი ღირსეული თანამოძმის, «პეტერბურგსკიე ვედომოსტის», კორესპონდენცია ივანოვო-ვოზნესენსკიდან.

«ჩვენი საფაბრიკო ქალაქის ქუჩებში უწმაწურმა ლაპარაკმა — სწერენ გაზეთს — განდევნა ადამიანური ლაპარაკი. იგინებიან ფაბრიკის მუშები, უწმაწურად ლაპარაკობენ მეეტლეები, კარგად ჩაცმული ადამიანები, გოროდოვოები სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს».

და «ნოვოე ვრემია» ზნე-ჩვეულების ამ სურათის გამო შენიშნავს:

«ბედნიერი მუშათა ქალაქი, სადაც განხორციელებულია ყველაზე გაბედული სოციალ-დემოკრატიული სურვილები სიტყვის თავისუფლების შესახებ, რომელიც არაფრით არ წესრიგდება».

მართლაც და, განა საგულისხმო არ არის ეს უხამსი გამოხდომა?

ვინ არ იცის, მთავრობის ერთგულად მომსახურე გაზეთის ბატონო რედაქტორებო, რომ, სწორედ, მთავრობასთან ყველაზე ახლო მდგომმა მემარჯვენე პარტიებმა III სათათბიროში «განახორციელეს» სიტყვის თავისუფლება უწმაწური ლაპარაკის მხრივ? ვინ არ იცის, რომ ბ-ნმა პურიშკევიჩებმა, მარკოვებმა და მ ა თ მ ა კოლეგებმა ამით სახელი გაითქვეს მთელ რუსეთში?

წინდაუხედავად, მართლაც წინდაუხედავად იქცევა «ნოვოე ვრემია»! მას შეეძლო უფრო მარჯვედ შეესრულებინა

მსახურის თავისი როლი... თორემ გაზეთში, რომელიც უმლიქვნელოდ ერთგულია მთავრობისა, ერთბაშად გამოდის გახსენება იმის შესახებ, თუ როგორ «სიტყვის თავისუფლებას» ახორციელებენ სათათბიროში პურიშკევიჩი და კომპანია და როგორს — სოციალ-დემოკრატი დეპუტატები.

პურიშკევიჩების სიტყვის თავისუფლება მემამულეთა სათათბიროში და სიტყვის თავისუფლება მუშათა კრებებში... თავის უხამს გულმოდგინეობაში მოუქნელი «ნოვოე ვრემია» კარგ წინასაარჩევნო თემას შეეხო!

«პრავდა» № 66, 1912 წ. 15 ივლისი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

როგორ ამხილებს ლიკვიდატორებს პ. ბ. აქსელროდი

I

მარქსისტთა შორის ოპორტუნისტული მიმდინარეობის განვითარებაში პ. ბ. აქსელროდს ორიგინალური როლის შესრულება უწერია. მაგალითად, თავის დროზე აქსელროდმა საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია «მუშათა ყრილობის» იდეით. მისმა ქადაგებამ მუშათა ერთგვარი რაოდენობა მიიზიდა და გაიტაცა. მაგრამ რაც უფრო ფართო იყო ეს ქადაგება, რაც უფრო უახლოვდებოდა საქმე პრაქტიკულ განხორციელებას, მით უფრო ნათელი ხდებოდა მთელი წამოწყების გ ა მ ო გ ო ნ ი ლ ი ხასიათი. წამოწყება თავისთავად ჩაიფუშა. გამოცდილებამ დაადასტურა ის, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ ბოლშევიკებს: აქსელროდის «იდეები» ოპორტუნისტული ინტელიგენციის გამონაგონია, ოცნებაა იმის შესახებ, თუ როგორ «აუარონ გვერდი» მკაცრ კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლას.

ახლა სწორედ ასევე დაემართა მუშათა გამომცემლობისა და «არაფრაქციული» მუშათა გაზეთის იდეას. პეტერბურგის მუშებიდან ვის არ ახსოვს, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ როგორ ელოლიავებოდნენ ლიკვიდატორები ამ იდეას? როგორ აცთუნებდნენ ისინი მუშებს იმის შესახებ ოცნებით, რომ «გვერდი აევლოთ» ბრძოლისათვის მუშათა დემოკრატიის შიგნით? როგორ სასაცილოდ გამოთქვამდნენ ისინი გულისწყრომას «ზვეზდის» წინააღმდეგ მისი იმ განმარტებისათვის,

რომ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის საკითხისათვის (გაიხსენეთ მეფუნთუშეთა გადაწყვეტილება[50]) გვერდის ავლა არ შეიძლება, რომ მითქმამოთქმა არაფრაქციული გაზეთისადმი მუშათა კონტროლის შესახებ მხოლოდ დემაგოგიაა?

და აი აქსელროდმა ლიკვიდატორული «ნევსკი გოლოსის» მე-6 ნომერში საუცხოოდ ამხილა — იძულებული იყო ემხილებინა — თავისი საკუთარი მეგობრების დემაგოგია. დემაგოგია შეუსრულებელ დაპირებათა მიცემაა. წარმტაცია ფიქრი მუშათა ფართო ყრილობაზე, მუშათა ლეგალურ გამომცემლობაზე, მუშათა არაფრაქციულ გაზეთზე. მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ ეს წარმტაცი რამეები ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ს რ უ ლ დ ე ს წინასწარი შეუპოვარი და ძნელი ბრძოლის გ ა რ ე შ ე საერთოდ პოლიტიკური თავისუფლებისათვის, მუშათა დემოკრატიის შიგნით მარქსიზმის გამარჯვებისათვის და სხვ. დემაგოგიურ დაპირებათა მიცემა ადვილი საქმეა. მაგრამ ცხოვრება მალე გვიჩვენებს მათს შეუსრულებლობას და ამხილებს «საამურ ოცნებათა» ოპორტუნიზმს.

«ნევსკი გოლოსის» მე-6 ნომერში აქსელროდი საოცრად ბევრ ფუჭ დეკლამაციას იძლევა, როგორიცაა მტკიცება, რომ იგი და მისი მეგობრები «პარტიის პროგრესული წარმომადგენლები არიან», ხოლო მოწინააღმდეგენი — «რეაქციული წარმომადგენლები». რა თქმა უნდა, აქსელროდისათვის მეტად სასიამოვნოა ეს ფიქრი, ლიკვიდატორებისათვის — ამის დაბეჭდვა. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იაფფასიანი დეკლამაციაა! საკუთარი თავის ქება «პროგრესულობისათვის»... უმჯობესი არ არის უთანხმოების არსისა და მნიშვნელობის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა?

«აზრი არაფრაქციული სოციალ-დემოკრატიული (ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული, უბრჭყალებოდ) ორგანოს შესახებ ამჟამად უტოპიაა და ამასთან ისეთი უტოპია, რომელიც ობიექტურად ეწინააღმდეგება პარტიულ-პოლიტიკური განვითარების და სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ პროლეტარიატის ორგანიზაციული გაერთიანების ინტერესებს. ბუნება კარიდან რომ გააგდო, — ფანჯარაში და ჭუჭრუტანებში შემოიჭრება».

ასე წერს აქსელროდი. ეს სრულებითაც არ არის ცუდი აზრები. ეს ძირითადად სავსებით სწორია. ეს გვიჩვენებს, რომ სრულებითაც არ იყვნენ მართალი აქსელროდის მეგობრები — ლიკვიდატორები, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ შეჰქონდათ მუშათა მასაში სწორედ ის აზრი, რომელსაც ახლა აქსელროდი გმობს. ოღონდ ჩვენ «პროგრესულობად» ვერ მივიჩნევთ ისეთ დაპირებათა მიცემას, რომელთა შესრულება შეუძლებელია...

«ჩვენში ორგანიზაციულად-ჩამოყალიბებული ფრაქციები, შეიძლებითქვას, არ არის — წერს აქსელროდი; — მათ ნაცვლად არიან სხვადასხვა წრეები და მცირე ჯგუფები, რომელთაგან ერთნი ცოტად თუ ბევრად გარკვეულ პოლიტიკურ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებებს ადგანან, მეორენი კი აქეთ-იქით ქანაობენ და ფეხში ედებიან პირველებს».

ფრაზის პირველი ნაწილი სავსებით სწორი არ არის. აქსელროდმა მშვენივრად იცის, რომ არის ორგანიზაციულად ს ა ვ ს ე ბ ი თ ჩამოყალიბებული რამ, ჩამოყალიბებული ისე, როგორც კი ეს ამჟამად შესაძლებელია. მაგრამ მეორე ნაწილი სწორია — მართლაც, ბევრია მცირე ჯგუფები, რომლებიც მერყეობენ და სხვებს ფეხში ედებიან. ამ სიმართლით, რაც მას ამბების მსვლელობამ ათქმევინა, აქსელროდი ისევ თავის მეგობრებს ამხილებს. ვინ არ იცის, რომ მერყევი მცირე ჯგუფების სწორედ მოჩვენებითი, ქაღალდზე არსებული «გაერთიანებით» მოაქვთ ახლა თავი აქსელროდის მეგობრებს? განა «ნევსკი გოლოსის» იმავე მე-6 ნომერში არ გვპირდებიან ისინი ყველა ლიკვიდატორის ამ ფიქტიურ «გაერთიანებას» ყველა მერყევთან?

«კინკლაობის ცენტრალური პუნქტი და მთავარი წყაროა, — განაგრძობს აქსელროდი, — ერთი მხრივ, სხვადასხვა პარტიული წრეების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ახალი, ღია სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობისადმი» (და არა ღია პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი, პატივცემულო პ. ბ. აქსელროდ? არ ვარგა უთანხმოების არსის დამახინჯება!), «ხოლო მეორე მხრივ — არსებითი უთანხმოებანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლესი პოლიტიკური ამოცანების დარგში და პოლიტიკურ ტაქტიკაში. როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის საკითხები განსაკუთრებით მწვავე, საჭირბოროტო ხდება სწორედ ახლა, როცა ახალი საზოგადოებრივ-

პოლიტიკური მოძრაობა იწყება. და სწორედ ამ საკითხების გამო რუსეთის სოციალ-დემოკრატია ორ მთავარ ბანაკად არის გათიშული. საკითხავია, ნავარაუდევი მუშათა ორგანო შეძლებს თუ არა ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის, და პრინციპულად დასაშვებია თუ არა ასეთი პოზიცია? ცხადია, არა»...

სავსებით სწორი დასკვნაა. აქსელროდმა ჩინებულად დაამარცხა არა მარტო თავისი ის მეგობრები, რომლებიც გუშინ გაჰყვიროდნენ ნეიტრალურ და არაფრაქციულ ორგანოზე, არამედ ისინიც, რომლებიც დღეს გულუბრყვილო ადამიანებს არწმუნებენ ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ მცირე ჯგუფებთან თავიანთ «თანხმობაში», «გაერთიანებაში», შეკავშირებაში და სხვ.

მთავარი ბანაკი, მართლაც, ორია. ერთი მათგანი ორგანიზაციულად სავსებით ჩამოყალიბებულია. მისი პასუხი აქსელროდის მიერ ჩამოთვლილ ყველა საკითხზე სავსებით ფორმალური, ზუსტი, გარკვეულია, არა ჰგავს ცალკეული ლიტერატორების დაბნეულ და ერთმანეთის საწინააღმდეგო სტატიებს. მეორე ბანაკს კი, სახელდობრ ლიკვიდატორულ ბანაკს, რომელსაც აქსელროდი ეკუთვნის, აშკარად არა აქვს არც ორგანიზაციული გაფორმება (მის ნაცვლად გვესმის მხოლოდ დაპირება ღია მუშათა პ ა რ ტ ი ი ს შესახებ, მხოლოდ ლაპარაკი მუშათა ღია პოლიტიკურ საზოგადოებებზე, რომლებიც კიდევ უფრო შეუძლებელია, ვიდრე მუშათა ყრილობა 1906 — 1907 წლებში), — არც გარკვეული, ზუსტი პასუხი თვით აქსელროდის მიერ ჩამოთვლილ საკითხებზე (გარკვეული პასუხის ნაცვლად არის მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიში ეჟოვისა, ლევიცკისა, კლიონოვისა, ჩაცკისა და სხვ.).

...«როგორც კი საგამომცემლო და ლიტერატურული მუშათა ჯგუფი გადაწყვეტს გამოვიდეს მოქმედების გარკვეული პროგრამით, დაიკავოს გარკვეული პოზიცია თუნდაც, მაგალითად, ისეთ საკითხებში, რომლებიც საარჩევნო კამპანიასთან არის დაკავშირებული, დააყენოს მუშათა წინაშე ამ კამპანიის ესა თუ ის ამოცანები და ლოზუნგები და გამოთქვას აზრი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისადმი ამა თუ იმ ტაქტიკის სასარგებლოდ, როგორც კი, ვამბობ მე, საგამომცემლო ამხანაგობა მოინდომებს პრინციპული პროლეტარული პოლიტიკური ორგანოს ხასიათი მისცეს თავის

გამოცემას, იგი პირისპირ აღმოჩნდება სწორედ იმ მტკივნეულ საკითხებთან და უთანხმოებასთან, რომლებიც აღელვებენ და ფლეთენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. და მაშინ შეიძლება მოხდეს, რომ თვით ეს ამხანაგობა გახდეს ასეთივე უთანხმოების ახალი კერა — თუ მისი წევრები წინასწარ არ მოილაპარაკებენ და ურთიერთს არ შეუთანხმდებიან ამ საკითხებზე».

ძლიერ მარჯვედ და ძლიერ კარგად ამარცხებს აქსელროდი ლიკვიდატორებს. ის, რაც ესაჭიროება «ამხანაგობას», უფრო მეტად ესაჭიროებათ «ნაშა ზარიასა» და «ნევსკი გოლოსს». მაშ რატომ არ მ ო ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ე ნ ისინი მ ტ კ ი ვ ნ ე უ ლ ს ა კ ი თ ხ ე ბ ს ა და უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა ზ ე? რატომ არ იძლევიან ზ უ ს ტ პ ა ს უ ხ ს თუნდაც იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც აქსელროდმა ჩამოთვალა (სხვადასხვა პარტიებისადმი დამოკიდებულება, ამოცანები, ლოზუნგები, ტაქტიკა)?

«მკურნალო, განიკურნე თავი შენი». აქსელროდმა ისე კარგად განუმარტა მ უ შ ე ბ ს «მტკივნეულ საკითხებზე» ნათელი და ზუსტი პასუხის საჭიროება, რომ «ნაშა ზარიას» და «ნევსკი გოლოსის» (და იქნებ არა მარტო ნევსკის...) ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ მ ა ყური უნდა მიუგდონ აქსელროდის სიტყვებს. ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა «მტკივნეულ საკითხებზე» ზუსტი და ნათელი პასუხის გაუცემლობა, არ შეიძლება სტატიებით დაკმაყოფილება — სწორედ ეს იქნება წრეობანა! — საჭიროა ზუსტი, ფორმალური, მოფიქრებული, გარკვეული გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ნ ი. აქსელროდი ტყუილად კი არ ლაპარაკობს — და ჩინებულადაც ლაპარაკობს! — მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ პ რ ო გ რ ა მ ა ზ ე, ა მ ო ც ა ნ ე ბ ს ა და ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ზ ე და ა. შ.

ლიკვიდატორებს, სხვათა შორის, იმიტომაც ეწოდებათ ლიკვიდატორები, რომ ისინი, ძველს რომ უკუაგდებენ, ახალს არ იძლევიან. ღია პარტია რომ სასარგებლოა, ხოლო ღია პოლიტიკური საზოგადოებანი აუცილებელი, — ამაზე ლაპარაკით ყურები გამოგვიჭედა ყველა ლიკვიდატორმა. მაგრამ მარტო ეს ლაპარაკი ხომ არ კმარა, ს ა ქ მ ე კი ლიკვიდატო-

რებს არა აქვთ, არა და არა. არა აქვთ სწორედ ის, რასაც აქსელროდი მუშებისაგან მოითხოვს!

«ნევსკი გოლოსის» ფელეტონში, ხაზს ქვემოთ, აქსელროდმა მოგვცა ჩინებული მამხილებელი მასალა წინააღმდეგ ლიკვიდატორებისა, რომლებიც ხაზს ზემოთ, გაზეთის საერედაქციო განყოფილებაში წერენ. დაკვირვებით წაიკითხეთ აქსელროდის ფელეტონი, და დაინახავთ, რომ ეს არის მოტყუება და თავის მოტყუება, თუ ლიკვიდატორები გაჰყვირიან საარჩევნო პლატფორმის თაობაზე «შეთანხმების» შესახებ, «ერთიანი» პლატფორმის შესახებ და სხვ.

«ზვეზდის მომხრემ» «ნევსკაია ზვეზდას» მე-16 ნომერში უკვე ამხილა ეს მოტყუება. მაგრამ აქსელროდის მხილება უფრო ღრმა და უფრო ძვირფასია, როცა იგი აქსელროდისაგან მომდინარეობს.

ჩვენ სავსებით ვემხრობით ერთიან პლატფორმას — სწორედ იმ პლატფორმას, რომელიც, «ზვეზდის მომხრის» სამართლიანი შენიშვნით, უკვე დიდი ხანია მიღებულია და ხორციელდება ბოლშევიკებისა და პარტიელი მენშევიკების მიერ. ჩვენ სავსებით ვემხრობით ერთიან საარჩევნო კამპანიას — სწორედ ამ პლატფორმაზე, ამავე გადაწყვეტილებების, ყველა «მტკივნეულ საკითხზე» გარკვეული და ზუსტი პასუხის ნიადაგზე.

როცა ლიკვიდატორები «ერთიანობაზე» გაჰყვირიან, ისინი ცდილობენ სიტყვის ჟღერით გაიყოლიონ განუვითარებელი მუშები. «ერთიანობა» სასიამოვნოა, «არაფრაქციული ორგანოები» უფრო სიმპათიურია! მაგრამ წაიკითხეთ თუნდაც აქსელროდის ნაწარმოებნი, და იგი გინგიმარტავთ, რომ არაფრაქციულობა შეუძლებელია, ეს უტოპიაა, — რომ მუშათა დემოკრატიაში ორი ბანაკია, — რომ ეს ბანაკები მოწინააღმდეგე ბანაკები არიან.

რას იზამ? ხომ არ აპირებენ ლიკვიდატორები თავიანთი შეხედულებების დასაფარავად დაიცვან «პლატფორმები»? — დიპლომატიური პლატფორმა, რომელიც ასე

უყვარს ბურჟუაზიას? — პლატფორმა, რომელიც «მტკივნეულ საკითხებზე» არავითარ პასუხს არ გულისხმობს, არამედ «უბრალოდ» და «მხოლოდ» იმას ემსახურება, რომ «სათათბიროში გაგიყვანოს»?

ეს უკიდურესი უპრინციპობა იქნებოდა. მუშები არასოდეს არ დაეთანხმებიან ამას. ასეთი პლატფორმები, რა «ღიაც» არ უნდა იყვნენ ისინი, ერთ ღღესაც ვერ იბოგინებენ.

არა. გვეყოფა თავის მოტყუება. დროა თვალი გავუსწოროთ სიმართლეს, რომელიც ამჯერად პირდაპირ ადიარა ლიკვიდატორების ბელადმა აქსელროდმაც. თუ თქვენ, ბატონო ლიკვიდატორებო, გინდათ დაიცვათ «თქვენი» პლატფორმა (თუმცა იგი დღემდე არ მოგიციათ, ხოლო არჩევნებამდე 6 კვირით ადრე შეთხზული პლატფორმები ჩვენ არა გვწამს!), — თუ თქვენ გინდათ დაიცვათ «თქვენი» ტაქტიკა (თუმცა იგი დღემდე ზუსტად, ფორმალურად, პარტიულად არსად არ ჩამოგიყალიბებიათ!), — მაშინ თქვენ თავს დააბრალეთ. მაშინ თ ქ ვ ე ნ ხ ა რ თ დამრღვევნი ერთიანობისა, რომელიც უ კ ვ ე არსებობს. მაშინ თ ქ ვ ე ნ დაგეკისრებათ მ თ ე ლ ი პასუხისმგებლობა ამ დარღვევისათვის.

არა. გვეყოფა თავის მოტყუება. ლიკვიდატორთა ყვირილი «ერთიანობის» შესახებ უბრალო თვალისახვევაა. ლიკვიდატორებმა მშვენივრად იციან, რომ მუშები მათ წინააღმდეგ არიან, და ასევე მშვენივრად იციან, თუ რა სრულ, გამანადგურებელ დამარცხებას მოუტანდა მათ ცალკე გამოსვლა. ამიტომ ისინი მზად არიან ყოველგვარ დაპირებაზე წავიდნენ — ოღონდ კი სათათბიროში აირჩიონ.

ასე არ შეიძლება. ასე მხოლოდ ბურჟუები იქცევიან. მუშათა დემოკრატია უჯერებს მხოლოდ პროგრამებს, გადაწყვეტილებებს, ტაქტიკას, ლოზუნგებს, რომლებიც არჩევნებამდე წ ლ ო ბ ი თ ტარდებოდა და არჩევნების დროს მხოლოდ მეასედ მ ე ო რ დ ე ბ ა. ხოლო ვინც ა მ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა თ ა გ ა რ ე შ ე, მხოლოდ არჩევნებისათვის,

თხზავს არაფრისმთქმელ «პლატფორმებს», ის არავითარი ნდობის ღირსი არ არის.

აქსელროდის ფელეტონი სასარგებლო რამ არის თავის მოტყუების გასაქარწყლებლად, «ახალი», «ღია», «საერთო» პლატფორმების სხვადასხვა შემთხზველთათვის ჭკუის სასწავლებლად.

II

დასასრული აქსელროდის სტატიისა, რომელზეც ჩვენ «ნევსკაია ზვეზდას» მე-18 ნომერში ვილაპარაკეთ, ახლა დაიბეჭდა «ნაშა ზარიაში». საერთოდ, ამ დასასრულმა მთლიანად დაადასტურა ჩვენი შეფასება, და შეგვიძლია მხოლოდ გავიმეოროთ: აქსელროდის სტატია სასარგებლო რამ არის თავის მოტყუების გასაქარწყლებლად, ლიკვიდატორობის ჭეშმარიტი ბუნების გამოსარკვევად, იმ ყბადაღებული «არაფრაქციულობის» მთელი სიცალიერის შესაფასებლად, რომელსაც ახლა ზოგიერთ წრეში ასე დიდად და ასე ამაოდ ელოლიავებიან.

განსაკუთრებული ძალითა და დამაჯერებლობით ურტყამს აქსელროდი ტროცკის, რომელსაც ამჟამად ლიკვიდატორებთან აქვს კავშირი (მტკიცე კი?). «პროგრესული ელემენტების იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება»... — წერს აქსელროდი, რომელიც თავს ირთობს იმით, რომ ლიკვიდატორებს პარტიულ პროგრესისტებს უწოდებს, ხოლო ჩვენ — პარტიულობის რეაქციონერებს — ...«დამოუკიდებელ ფრაქციად, ახლანდელ ვითარებაში, მათი პირდაპირი მოვალეობაა, გადაუდებელი ამოცანაა». «პარტიაში ასეთი მდგომარეობის დროს ლაპარაკობდე «არაფრაქციულობაზე», როგორც ხსნის ერთადერთ საშუალებაზე, იმას ნიშნავს, რომ ემსგავსებოდე სირაქლემას, რომელიც საფრთხის მოახლოებისას ქვიშაში ყოფს თავს, იმას ნიშნავს, რომ იტყუებდე თავს და სხვებსაც ატყუებდე სოციალ-დემოკრატიაში ნამდვილი ვითარების შესახებ»... («ნაშა ზარია» № 6, გვ. 15).

საბრალო ტროცკი! პ. ბ. აქსელროდის მხრივ პირდაპირ ულმობლობა და უსულგულობაა ასე აცამტვეროს ლიკვიდა-

ტორების ერთგული მეგობარი და «ნაშა ზარიას» თანამშრომელი. ახლა რაღას უნდა მოველოდეთ? გამოვა ტროცკი მქუხარე სტატიით ფრაქციონერ აქსელროდის წინააღმდეგ თუ მარტოვი შემარიგებელ ტროცკის შეარიგებს ფრაქციონერ აქსელროდთან და, ჩვეულებისამებრ, შეწებებას დაუწყებს გარღვეულს ერთი დუჟინი შენიშვნა-სალბუნის საშუალებით?

აბა, თუ ხუმრობით არა, განა შეიძლება ახლა ლაპარაკი ტროცკის, ლატვიელი და ებრაელი თითქმის-მარქსისტების და სხვ. ყბადაღებულ ბლოკზე * აქსელროდთან?

აქსელროდის სტატიაში არის ერთი პუნქტი, რომელიც სერიოზული გარჩევის ღირსია, სახელდობრ: ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის «გაევროპულების» შესახებ. მაგრამ, სანამ ამ პუნქტზე გადავიდოდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ლიკვიდატორთა ერთ-ერთ ხერხზე.

აქსელროდის სტატიის ერთ-ერთი გვერდი (მე-16) წარმოადგენს საერთოდ ანტილიკვიდატორების და განსაკუთრებით ამ სტრიქონების დამწერის მიმართ ყველაზე ძლიერი, გაბოროტებული, განგებ შერჩეული ლანძღვა-გინების კოლექციას. ლანძღვა-გინება პასუხადაც არ ეღირებოდა (აქსელროდის მდგომარეობაში სხვა აღარაფერი რჩება, თუ არ ლანძღვა და წყევლა-კრულვა), რომ არ იყოს დოკუმენტური მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგი სპეციალურად იყენებს ასეთ ლანძღვას, ზოგი თაკილობს მას.

მაგალითად, ბ-ნი ჩერნოვი «ზავეტი»-ში[51] კამენევის იმ მტკიცების პ ა ს უ ხ ა დ, რომ იგი, «მემარცხენე» ნაროდნიკების ბელადი, დემოკრატიიდან ლიბერალიზმისაკენ მიექანება, აგროვებს ლიკვიდატორებისა და ანტილიკვიდატორების მიერ ნახმარ ყველაზე სალანძღავ გამოთქმათა თაიგულს და ხითხითებს ამ თაიგულის გამო. ბ-ნ ჩერნოვის ხერხი იმდენად სა-

* აქსელროდის სტატია დათარიღებულია 1912 წლის 17 მაისით — ხ უ თ ი თ ვ ი ს შემდეგ, რაც ზეიმით შეიკრა ტროცკისტებისა და ლიკვიდატორების ბლოკი ანტილიკვიდატორების წინააღმდეგ ომისათვის «არაფრაქციულობის» დროშით!

ზიზღარი ხერხია, რომ საკმარისია მიუთითო მასზე და გვერდი აუარო.

ჯგუფების არც ერთი პრინციპული ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შიგნით მ ს ო ფ ლ ი ო შ ი ა რ ს ა დ არ წარმოებულა, მთელი რიგი პირადი და ორგანიზაციული კონფლიქტების გარეშე. «საკონფლიქტო» გამოთქმების სპეციალურად ამოკრეფა ბილწი ადამიანების საქმეა. ამ კონფლიქტების შიში, იმედგადაწყვეტით ან უგულებელყოფით მათთვის თავის არიდება — იქ ყველაფერი კინკლაობაა! — შეუძლიათ მხოლოდ სუსტნერვებიან დილეტანტებს «თანამგრძნობთაგან». ის ადამიანები, რომლებსაც სერიოზულად აინტერესებთ მუშათა მოძრაობა, ყოველთვის ისწავლიან, — ამის სწავლა შესაძლებელია და საჭიროც არის — თუნდაც მუშათა მოძრაობის დიდ მოღვაწეთა ისტორიული როლის შესწავლით, ი დ ე ა თ ა ბრძოლის, მიმდინარეობათა ბრძოლის «საკონფლიქტო» მხარის განსხვავებას პრინციპული მხარისაგან. ადამიანები ადამიანები არიან, და მარქსისტულ და ანარქისტულ (მარქსი და ბაკუნინი), გედისტურ და ჟორესისტულ, ლასალიანურ და ეიზენახურ და სხვა მიმდინარეობათა ისტორიული შეჯახებანი არ მომხდარან «საკონფლიქტო» მასალის, «კინკლაობის» გარეშე.

ამჟამადაც არიან ბილწი ლიტერატორები, რომლებიც სპეციალურად აგროვებენ «იმდროინდელ» ათასერთ უპატიოსნებისა და სხვ. ბრალდების თაიგულებს. მაგრამ არიან სერიოზული სოციალ-დემოკრატები, რომლებიც არკვევენ იმ უთანხმოებათა ი დ ე უ რ ფესვებს, რომლებიც ცალკეული ჯგუფების გათიშვის დროს, ცხოვრების ემიგრანტული პირობების დროს და სხვ. აუცილებლად იღებდნენ მეტისმეტი კინკლაობით აღსავსე კონფლიქტების ფორმას.

ნუ იფიქრებენ მკითხველები, რომ ჩვენ გვსურს «ხელი ავაღებინოთ» ვისმე იმ მონაცემების შესწავლაზე, რომლებზეც გადაკვრით — მხოლოდ გადაკვრით — ლაპარაკობს აქსელროდი თავისი სტატიის იმ ადგილებში, სადაც იგი ყველაზე მეტად ილანძღება. სწორედ პირიქით. ვისაც სურს ყველა-

ფერი იცოდეს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ, მას ჩვენ მ ო ვ უ წ ო დ ე ბ თ შეისწავლოს ეს მონაცემები. ისინი ს რ უ ლ ი სახით არის საზღვარგარეთ, არის არა მარტო მგზნებარე ბრალდებანი, არამედ დოკუმენტებიც და ნეიტრალურ მოწმე პირთა ჩვენებანიც. ამ დოკუმენტებისა და ამ ჩვენებათა შესწავლა პასუხს გასცემს იმ კითხვაზე, თუ რ ა-ტ ო მ არ დამთავრდა წარმატებით ლიკვიდატორებსა და ანტი-ლიკვიდატორებს შორის სრული ზავის ჩამოგდების ცდა, რომელიც 1910 წლის იანვარს ეკუთვნის.

აქსელროდის სტატიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ყველაზე პრინციპული ადგილია შემდეგი:

...«ფრაქციული გაფორმება და შეკავშირება პირდაპირი მოვალეობა და გადაუდებელი საქმეა პარტიული რეფორმის ან, უფრო სწორად...» (ისმინეთ!) ...«რევოლუციის მომხრეებისა, ვინაიდან მათ მხოლოდ ამ გზით შეეძლებათ შეასრულონ ამოცანა: გააევროპულონ, ე. ი. ძირეულად შეცვალონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხასიათი, როგორადაც იგი ჩამოყალიბდა რევოლუციამდელ და შემდგომ განვითარდა რევოლუციურ ეპოქაში, და მოაწყონ იგი იმავე საფუძვლებზე, რომლებზეც დამყარებულია ევროპის სოციალ-დემოკრატიის პარტიული წყობილება».

მაშასადამე, ლიკვიდატორები პარტიული რევოლუციის მომხრეები არიან. აქსელროდის ეს უაღრესად სამართლიანი განცხადება აღნიშვნის ღირსია: მწარე ჭეშმარიტება უფრო სასარგებლოა, ვიდრე «ჩვენი ამამაღლებელი» ტყუილი, უფრო ძვირფასია, ვიდრე დიპლომატიური ფანდები და შენიშვნები. მაშ მოახდინეთ პარტიული რევოლუცია, პატივცემულო პ. ბ. აქსელროდ! ჩვენ ვნახავთ, თქვენ და თქვენი მეგობრები მიაღწევთ თუ არა მეტ წარმატებას, ვიდრე იმ «რევოლუციონერებმა» მიაღწიეს, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ სცადეს «რევოლუცია» მოეხდინათ (რესპუბლიკის წინააღმდეგ) პორტუგალიაში [52].

მაგრამ მოყვანილ მსჯელობაში მთავარია ყბადაღებული «გაევროპულება», რომლის შესახებაც ყველა ყაიდაზე ლაპარაკობენ დანიც, მარტოვიც, ტროცკიც, ლევიცკიც, ყველ-

ლიკვიდატორიც. აქ არის მათი ოპორტუნიზმის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი.

«გაევროპულონ, ე. ი. ძირეულად შეცვალონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხასიათი»... ჩაუფიქრდით ამ სიტყვებს რა განსაზღვრავს ყოველგვარი სოციალ-დემოკრატიისა და მისი ძირეული ცვლილების «ხასიათს»? — უეჭველია, მოცემული ქვეყნის საერთო ეკონომიური და პოლიტიკური პირობები. უეჭველია, ამ პირობების მხოლოდ ძირეული ცვლილებების დროს შეიძლება ამა თუ იმ ხალხის სოციალ-დემოკრატიის ხასიათის ძირეულად შეცვლა.

ეს ჭეშმარიტებანი სრულიად ანბანური, სრულიად უდავოა. მაგრამ სწორედ ეს ანბანური ჭეშმარიტებანი ამხილებენ აქსელროდის ოპორტუნისტულ შეცდომას! მისი უბედურება სწორედ ის არის, რომ მას სურს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხასიათის» ძირეულ შეცვლაზე ოცნებით აუაროს გვერდი შეუპოვარ და მკაცრ ბრძოლას რუსეთის პოლიტიკური პირობების ძირეული შეცვლისათვის, რაც ჯერ კიდევ არ მომხდარა.

როგორც კადეტები, ხალისით ლაპარაკობენ რა გაევროპულებაზე (ლიკვიდატორებმა გადაიღეს კადეტების სიტყვაც, კადეტების აზრებიც), — ამ ბუნდოვანი სიტყვით ფარავენ პოლიტიკური თავისუფლების მტკიცე საყრდენთა ზუსტ ცნებას და «თამაშობენ» «კონსტიტუციურ ოპოზიციას», ისევ ლიკვიდატორები თამაშობენ «ევროპის სოციალ-დემოკრატიას», თუმცა იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი თავიანთი თამაშით ირთობენ თავს, ჯერ კიდევ არ არის კონსტიტუცია, ჯერ კიდევ არ არის «ევროპეიზმის» საფუძვლები, ჯერ კიდევ წინ არის შეუპოვარი ბრძოლა მათთვის.

შიშველი ველური, რომელიც თავზე ცილინდრს დაიხურავს და ამის გამო თავს ევროპელად წარმოიდგენს, საკმაოდ სასაცილო იქნება. სწორედ ასეთ ველურს მოგვაგონებს ბურჟუაზიის მომხრე მილიუკოვი, როცა III სათათბიროში გვარწმუნებს: «ჩვენ, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვს», —

და მუშების მომხრე აქსელროდი, როცა იგი თავზე იხურავს ცილინდრს წარწერით: «მე ევროპელი სოციალ-დემოკრატი ვარ». ორივენი, მილიუკოვიც და აქსელროდიც, სასაცილო არიან თავიანთი გულუბრყვილობით. ორივენი ოპორტუნისტები არიან, ოცნებით აღსავსე ფრაზებით «ევროპეიზმის» შესახებ ისინი გვერდს უვლიან იმ ძნელ და არსებითს საკითხს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს არა-ევროპულ ვითარებაში ესა თუ ის კლასი ევროპეიზმის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს უზრუნველყოფისათვის შეუპოვარი ბრძოლის ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ.

ოცნებით აღსავსე ფრაზების საშუალებით ცოცხალი და არსებითი საქმისათვის სწორედ გვერდის ავლა რომ გამოდის, ეს თვით აქსელროდმა დ ა ა მ ტ კ ი ც ა თავისი სტატიით. ტროცკიმ მოამზადა სავსებით ევროპული — დიახ, სავსებით, სავსებით ევროპული — პროექტი «პ რ ე ს ი ს კ ო მ ი ს ი ი ს», როგორც მუშათა გაზეთებისადმი მუშების «კონტროლის არჩევითი კოლექტიური ორგანოს», მოწყობისა (მე-18 გვ. აქსელროდის სტატიაში). ამასთან ტროცკიმ, ალბათ, რჩევაც კი ჰკითხა «ევროპელ სოციალ-დემოკრატებს» და მათგან, როგორც საჩუქარი, მიიღო ლოცვა-კურთხევა, რომელსაც იგი განსაკუთრებით ელოლიავება.

და აი «ევროპელმა სოციალ-დემოკრატმა» აქსელროდმა აცალა ორიოდე თვე, რომელთა განმავლობაშიც ტროცკი პეტერბურგის ყველა სოციალ-დემოკრატს თავს აბეზრებდა თავისი საერთო სიცილის გამომწვევი წერილებით «კონტროლის არჩევითი კოლექტიური ორგანოების» შესახებ, და, ბოლოს, შეიბრალა ტროცკი და განუმარტა მას, რომ «პრესის კომისია» არაფრის მაქნისია, რომ იგი შეუძლებელია, რომ მის ნაცვლად საჭიროა მუშების «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა» ლიკვიდატორულ «ჟივოე დელოსთან» (მე-18 და მე-19 გვ. აქსელროდის სტატიაში)!!

ეს პატარა მაგალითია, რომელსაც ჩვენ, სამწუხაროდ, იძულებული ვართ დავჯერდეთ. მაგრამ ეს მაგალითი ძლიერ დამახასიათებელია. ის სასაცილო შედეგი, რომელიც მოჰყვა

ტროცკის «ევროპულ» გეგმას «პრესის კომისიის» შესახებ, მოსდევს ყველა ლიკვიდატორის «ევროპულ» გეგმებსაც «ლია მუშათა პარტიის» ანუ «ლეგალური პოლიტიკური მუშათა საზოგადოებების» შესახებ, «კოალიციების თავისუფლებისათვის ბრძოლის» «კამპანიის» შესახებ და ა. შ.

ტროცკის «ევროპული» გეგმებიდან, რომლებიც ეხება «პრესის კომისიას», «ყველა გაფორმებული მუშათა ორგანიზაციის» მხრივ მუშათა გაზეთის მიმართ «კონტროლის არჩევითს კოლექტიურ ორგანოს» და სხვ., მ ხ ო ლ ო დ ის გამოვიდა, რომ «მუშათა გამომცემლობანას» ლეგალისტურმა თამაშმა განსაკუთრებული გაკვეთილი მოუტანა მუშებს, ლიკვიდატორებს კი სინამდვილეში ა რ გ ა მ ო უ ვ ი დ ა თ ა რ ც «პრესის კომისია», ა რ ც მუშათა პრესა! ასეთია ფაქტები.

«პრესის კომისია» იყო ოცნება ოპორტუნისტი ინტელიგენტისა, რომელმაც რუსეთის მუშათა მოძრაობის მძიმე არა-ევროპული პირობებისათვის გვერდის ავლით შეთხზა ჩინებული ევროპული გეგმა და ასეთი გეგმის შეთხზვის გამო საქვეყნოდ იკვეხნიდა თავის «ევროპეიზმს».

ლიკვიდატორთა ასეთი მწარე ხვედრი შემთხვევითი კი არა, გარდუვალია. როგორც კი მათი «ევროპული» გეგმები განხორციელებას მიუახლოვდება, ერთბაშად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს საპნის ბუშტებია, ოპორტუნისტი ინტელიგენტების გამონაგონია. ასე დაემართა მუშათა ყრილობასაც, «პრესის კომისიასაც», მუშათა ლეგალურ პოლიტიკურ საზოგადოებასაც (აბნეული შენიშვნები, რომლებითაც მარტოვი «ნაშა ზარიას» მე-5 ნომერში ცდილობს «გადაარჩინოს» ეს «გეგმა», ოდნავადაც ვერ აუმჯობესებს საქმეს), კოალიციების თავისუფლებისათვის ბრძოლის კამპანიასაც.

«ევროპეიზმს» ლიკვიდატორები უწოდებენ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობის პირობებს ევროპის მთავარ სახელმწიფოებში 1871 წ ლ ი ს შ ე მ დ ე გ, ე. ი. სწორედ ისეთ პერიოდში, როცა ბურჟუაზიული რევოლუციების მთელი ის-

ტორიული ეპოქა დამთავრებული იყო, როცა პოლიტიკური თავისუფლების ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი მტკიცედ და დიდი ხნით ჩამოყალიბდა. ამ სახელმწიფოებში სოციალ-დემოკრატიის «ხასიათის შეცვლა» მოხდა, ჯერ-ერთი, პოლიტიკური პირობების ძირეული შეცვლის შ ე მ დ ე გ, მას შემდეგ, რაც შედარებით მეტად მტკიცედ დამკვიდრდა გარკვეული კონსტიტუციური წყობილება; ხოლო, მეორე, ეს ცვლილება მხოლოდ დროებითი ცვლილება იყო გარკვეული პერიოდისათვის (რომელიც სწორედ უკანასკნელ ხანს, ევროპის ყველაზე ფრთხილი სოციალ-დემოკრატების საერთო აღიარებით, თავის დასასრულს უახლოვდება).

სავსებით განმტკიცებული ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის ასეთ პირობებში კამპანია, მაგალითად, კოალიციების თავისუფლებისათვის ან საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, საერთოდ კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — შეიძლება ყოფილიყო, გარკვეულ პირობებში, მუშათა კლასის კამპანია, ნამდვილი პოლიტიკური კამპანია, ნამდვილი ბრძოლა კონსტიტუციური რეფორმებისათვის.

ჩვენში კი ოპორტუნისტ ინტელიგენტებს ასეთი «ევროპული» კამპანიების ლოზუნგები გადმოაქვთ ევროპული კონსტიტუციონალიზმის ე ლ ე მ ე ნ ტ ა რ უ ლ საფუძვლებს მოკლებულ ნ ი ა დ ა გ ზ ე და ცდილობენ გ ვ ე რ დ ი ა უ ა რ ო ნ იმ თავისებურ ისტორიულ ევოლუციას, რომელიც ჩვეულებრივ წ ი ნ უ ს წ რ ე ბ ს ამ საფუძვლების შექმნას.

რეფორმიზმი ჩვენი აქსელროდისა და მისი მეგობრებისა, რომლებსაც «ევროპელ სოციალ-დემოკრატებად» მოაქვთ თავი, ბისოლატის, ამ ნამდვილი ევროპელის რეფორმიზმისაგან ი მ ი თ განსხვავდება, რომ ბისოლატი კლასობრივი ბრძოლისა და თანამიმდევრული მარქსისტული თეორიისა და პრაქტიკის პრინციპებს მსხვერპლად სწირავს რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს, რომლებსაც ნამდვილად ახორციელებს (ამა თუ იმ შეკვეცით) ნამდვილად გაბატონებული ლიბერალური ბურჟუაზია. აქსელროდი კი იმავე მსხვერპლს, რა-

საც ბისოლატი, სწირავს ისეთი რეფორმების გულისათვის, რომლებზეც მხოლოდ ფუჭად ლაყბობენ უძლური, არასერიოზული, მეოცნებე ლიბერალები.

ჩვენში, რუსეთში, ლიბერალური ბურჟუაზია ნამდვილ ძალად მხოლოდ მაშინ გახდება, როცა ჩვენი ქვეყნის განვითარება გადააბიჯებს ლიბერალების სიმხდალეს, მათს შემარიგებლურ, ორჭოფულ ლოზუნგებს. ყველგან ასე იყო ხოლმე. ლიბერალები ხელისუფლებად მხოლოდ მაშინ ხდებოდნენ, როცა დემოკრატია იმარჯვებდა ლიბერალების წინააღმდეგობის მიუხედავად.

დაწერილია 1912 წ. ივლისის დამლევს

დაბეჭდილია 1912 წ. 22 და 29 ივლისს
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდაში»
№№ 18 და 19
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
ტექსტთან კრებულისა
«მარქსიზმი და ლიკვიდატორობა»,
ნ. II, სპბ., 1914 წ.

ნახევარი წლის მუშაობის შედეგები[53]

ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნით პეტერბურგის მუშებმა დიდი, — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული საქმე გააკეთეს. მუშათა დემოკრატია უმაგალითო ძნელ პირობებში დაირაზმა და განმტკიცდა. რა თქმა უნდა, მუშათა დემოკრატიული პრესის სიმტკიცეზე ჩვენში ლაპარაკიც ზედმეტია. ყველამ კარგად იცის, თუ რა დევნას განიცდიან მუშათა გაზეთები.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, «პრავდის» შექმნა რუსეთის მუშების შეგნებულობის, ენერგიისა და დარაზმულობის თვალსაჩინო დადასტურებად რჩება.

სასარგებლოა თვალი გადავავლოთ წარსულს და ვნახოთ რუსეთის მუშათა მიერ საკუთარი პრესის შესაქმნელად გაწეული ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგი. პეტერბურგის მუშათა წრეებში სწორედ მიმდინარე წლის იანვრიდან საბოლოოდ გამოირკვა ინტერესი საკუთარი პრესისადმი, ყველა ჯურის ორგანოებში, რომლებსაც კავშირი აქვთ მუშათა სამყაროსთან, გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიები ყოველდღიური მუშათა გაზეთის შესახებ.

I

მონაცემები იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ შექმნა ყოველდღიური მუშათა პრესა რუსეთში, საბედნიეროდ, შედარებით სრული სახით არსებობს. ეს არის მონაცემები ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის თანხების შეგროვების შესახებ.

დავიწყოთ იმ თანხების შეგროვებით, რომლებითაც შეიქმნა «პრავდა». 1 იანვრიდან 30 ივნისამდე, სრული ნახევარი წლისათვის, ჩვენ გვაქვს «ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდას» და «პრავდის» ანგარიშები. საჯაროობა უზრუნველყოფდა ამ ანგარიშების აბსოლუტურ სისწორეს: შემთხვევითი შეცდომები დაუყოვნებლივ სწორდება დაინტერესებულ პირთა მითითებით.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა შეგროვებული თანხის საერთო ჯამი, არამედ შემომწირველთა შემადგენლობა. თუ, მაგალითად, «ნევსკაია ზვეზდამ» მე-3 ნომერში მოგვცა ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის შეგროვებული თანხის საერთო ჯამი 4 288 მან. 84 კაპ. (იანვრიდან 5 მაისამდე, თუ არ ჩავთვლით იმ თანხებს, რომლებიც 22 აპრილიდან, «პრავდის» გამოსვლის დაწყების დღიდან, პირდაპირ ამ გაზეთში შემოდიოდა), — ჩვენ წინაშე ერთბაშად დგება შემდეგი კითხვა. რა როლს ასრულებდნენ ამ თანხის შედგენაში თვით მუშები და მუშათა ჯგუფები? იგი თანამგრძნობთა დიდი შენატანებით ხომ არ არის შექმნილი? თუ თვითონ მუშებმა აქ მუშათა პრესისადმი პირადი, ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს და დიდი თანხა მუშათა ჯგუფების დიდი რაოდენობის შენატანებით შეადგინეს?

თვით მუშების თაოსნობის, ენერგიის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია 100 მან., შეგროვებული, ვთქვათ, მუშათა 30 ჯგუფის მიერ, ვიდრე ათეულობით «თანამგრძნობთა» მიერ შეგროვებული 1 000 მან. მუშათა მცირე საქარხნო და საფაბრიკო წრეების მიერ შეგროვებული შაურებით დაარსებული გაზეთი ბევრად უფრო საფუძვლიანად, მტკიცედ, სერიოზულად არის დაყენებული (ფინანსების თვალსაზრისითაც და — რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — მუშათა დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისითაც), ვიდრე თანამგრძნობი ინტელიგენციის

ПРАВДА

ЕЖЕДНЕВНАЯ РАБОЧАЯ ГАЗЕТА.

№ 80. Среда, 1 Августа 1912 г. ЦѢНА 2 коп.

Годъ кадетіи нервной

= ПРОСВѢЩЕНІЕ. =

„Бюллетень Конторщика"

„Большое цѣло".

Средства больничныхъ кассъ

Итогъ полугодовой работы

ОБЗОРЪ ПЕЧАТИ

Биржа труда

პირველი გვერდი 1912 წ. 1 აგვისტოს გაზეთ «პრავდისა» № 80, რომელშიც დაბეჭდილია გაგრძელება ვ. ი. ლენინის სტატიისა «ნახევარი წლის მუშაობის შედეგები»

ფაკსიმილეებულია

მიერ შეტანილი ათეული და ასეული მანეთებით დაარსებული გაზეთი.

ამ ძირითადი და ყველაზე არსებითი საკითხის შესახებ ზუსტი მონაცემები რომ გვქონოდა, ჩვენ ვიანგარიშეთ სამ აღნიშნულ გაზეთში დაბეჭდილი მონაცემები თანხების შეგროვების შესახებ. გამოვყავით მ ხ ო ლ ო დ ის თანხები, რომელთა შესახებაც ნაჩვენებია, რომ ისინი მუშათა ან მოსამსახურეთა ჯ გ უ ფ ე ბ მ ა შეაგროვეს.

ახლა ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის თანხები, რომლებიც შეაგროვეს თ ვ ი თ მუშებმა, და ამასთან არა ცალკეულმა მუშებმა, რომლებიც, შესაძლოა, შემთხვევით წააწყდნენ ამა თუ იმ შემგროვებელს, რომელთანაც დაკავშირებული არ ყოფილან იდეურად, ე. ი. თავისი შეხედულებებით, რწმენით, არამედ სახელდობრ მუშათა ჯ გ უ ფ ე ბ მ ა, რომლებიც, უეჭველია, წინასწარ ი მ ს ჯ ე ლ ე ბ დ ნ ე ნ, მიეცათ თუ არა ფული, ვ ი ს თ ვ ი ს მიეცათ, რა მიზნისათვის მიეცათ.

«ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდასა» და «პრავდის» თვითეულ ცნობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ სწორედ მუშათა თუ მოსამსახურეთა ჯ გ უ ფ მ ა შეიტანა ფული ყოველდღიურ მუშათა გაზეთისათვის, ვიღებდით თვით მუშათა ე რ თ ჯ გ უ ფ უ რ შ ე გ რ ო ვ ე ბ ა დ.

მერე მუშათა რამდენი ასეთი ჯგუფური შეგროვება აღმოჩნდა 1912 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში?

ხ უ თ ა ს ო თ ხ ი ჯ გ უ ფ უ რ ი შ ე გ რ ო ვ ე ბ ა!

მუშებს ჯგუფობით ხუთასზე მეტჯერ შეუტანიათ თანხები ს ა კ უ თ ა რ ი გაზეთის დასაარსებლად და დასახმარებლად, ხან ერთი დღის ხელფასის გამოყოფით, ხან ფულის ერთდროული შეტანით, ხან ამ შეტანის დროდადრო განმეორებით. 5 0 4 მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ მ ა, გარდა ცალკეული მუშებისა და თანამგრძნობი პირებისა, უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო საკუთარი გაზეთის დაარსებაში, — ეს რიცხვი, უეჭველია, გვიჩვენებს იმას, რომ მუშათა მ ა ს ე ბ შ ი გაიღვიძა ღრმა და შეგნებულმა ინტერესმა მუშათა გაზეთი-

სადმი, არა საერთოდ რომელიმე მუშათა გაზეთისადმი, არამედ სახელდობრ მუშათა დემოკრატიული გაზეთისადმი. რაკი მასებში ასეთი შეგნებულობა და აქტიურობა არსებობს, — არავითარი სიძნელე, არავითარი დაბრკოლება არ არის საშიში. არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი სიძნელეები და ისეთი დაბრკოლებანი, რომლებსაც, ასე თუ ისე, ვერ დასძლევს მუშათა მასების შეგნებულობა, აქტიურობა და დაინტერესება.

თვეების მიხედვით ეს 504 ჯგუფური შეგროვება ასე ნაწილდება:

1912 წ.	იანვარში	14
»	თებერვალში	18
»	მარტში	76
»	აპრილში	227
»	მაისში	135
»	ივნისში	34
	სულ ნახევარ წელიწადში	504

ამ პატარა ცხრილიდან ცხადად ჩანს, სხვათა შორის, აპრილ-მაისის დღეების, როგორც შემოგრუნების დღეების მთელი მნიშვნელობა. სიბნელიდან სინათლისაკენ, პასიურობიდან აქტიურობისაკენ, ცალკეულ პირთა მოქმედებიდან მასების მოქმედებისაკენ.

იანვარსა და თებერვალში მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვება ჯერ კიდევ სრულიად უმნიშვნელოა. ჩანს, საქმე ეს არის იწყება. მარტში უკვე შესამჩნევი, მნიშვნელოვანი ალმავლობაა. მუშებს შორის ერთ თვეში 76 ჯგუფური შეგროვება — ეს ყოველ შემთხვევაში გვიჩვენებს სერიოზულ მოძრაობას მუშებში, მასების შეუპოვარ მისწრაფებას რადაც უნდა დაუჯდეთ მიაღწიონ მიზანს, არ შეუშინდნენ შეწირულების გაღებას. ეს გვიჩვენებს მუშათა მასების დიდ ნდობას თავიანთი საკუთარი ძალებისადმი და მთელი საქმის დაყენებისადმი, დასაარსებელი გაზეთის მიმართულებისადმი და ასე შემდეგ. მარტში ყოველდღიური მუშათა გაზეთი ჯერ კი-

დევ არ ყოფილა: მუშათა ჯგუფები, მაშასადამე, აგროვებდნენ ფულს და უგზავნიდნენ «ზვეზდას», ასე ვთქვათ, სესხად.

აპრილი ერთბაშად იძლევა გიგანტურ აღმავლობას, რომელიც საქმეს წყვეტს. მუშათა შორის ერთ თვეში 227 ჯგუფური შეგროვება, საშუალოდ დღეში შვიდ შეგროვებაზე მეტი! კაშხალი გარღვეულია, მუშათა ყოველდღიური გაზეთი უზრუნველყოფილია. თვითეული ჯგუფური შეგროვება ნიშნავს არა მარტო შაურებისა და ორშაურიანების ჯამს, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან რამესაც: ერთობლივი, მასობრივი ენერგიის ჯამს, ჯგუფების გადაწყვეტილებას დაეხმარონ მუშათა გაზეთს, გაავრცელონ, წარმართონ, შექმნან იგი თავიანთი საკუთარი მონაწილეობით.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: აპრილში ხომ არ სჭარბობდა თანხების შეგროვება 22 აპრილის შემდეგ, ე. ი. «პრავდის» დაარსების შემდეგ? არა. «ზვეზდაში» 22 აპრილამდე მოთავსებულია ანგარიშები 188 ჯგუფური შეგროვების შესახებ. «პრავდაში» 22 აპრილიდან თვის დამლევამდე მოთავსებულია ანგარიშები 39 ჯგუფური შეგროვების შესახებ. მაშასადამე, აპრილის 21 დღის განმავლობაში, «პრავდის» დაარსებამდე, საშუალოდ დღეში მოდის 9 შეგროვება, ხოლო აპრილის უკანასკნელი ცხრა დღის განმავლობაში მხოლოდ 4 ჯგუფური შეგროვება დღეში.

აქედან ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს:

ჯერ-ერთი, მუშებმა ყველაზე მეტი ენერგია სწორედ «პრავდის» დაარსებამდე გამოიჩინეს. ფულს «სესხად» რომ აძლევდნენ, «ზვეზდას» ნდობას რომ უცხადებდნენ, მუშები გამოხატავდნენ მტკიცე გადაწყვეტილებას თავისი გაეტანათ.

მეორე, აქედან ჩანს, რომ მუშების სწორედ აპრილის აღმავლობამ შექმნა მუშათა გაზეთი «პრავდა». არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მუშათა მოძრაობის საერთო აღმავლობასა (არა ვიწრო-ამქრული, არა ვიწრო-პროფესიული ფორმით, არამედ მისი საყოველთაო-

ს ა ხ ა ლ ხ ო გაქანებით) და პეტერბურგის მუშათა დემოკრატიის ყოველდღიური ორგანოს შექმნას შორის უაღრესად მჭიდრო კავშირი არსებობს. ჩვენთვის საკმარისი არ არის პროფესიული გამოცემები, ჩვენ გვესაჭიროება საკუთარი პოლიტიკური გაზეთი — აი რა შეგნება მტკიცდებოდა მასებში აპრილის დღეებში; ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველგვარი პოლიტიკური მუშათა გაზეთი, არამედ სწორედ მოწინავე მუშათა დემოკრატიის გაზეთი; გაზეთი გვესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს მუშათა ბრძოლას, არამედ იმისათვის, რომ მთელ ხალხს ნიმუში და ლამპარი მივცეთ.

მაისში აღმავლობა ჯერ კიდევ მეტად ძლიერია. ჯგუფურ შეგროვებათა რაოდენობა საშუალოდ დღეში ოთხზე მეტია. ერთი მხრივ, აქ ჩანს აპრილ-მაისის საერთო აღმავლობა. მეორე მხრივ, მუშათა მასებს შეგნებული აქვთ, რომ ყოველდღიური გაზეთის გამოცემა თუმცა უკვე დაიწყო, მაგრამ პირველ ხანებში მისი მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელია, ჯგუფური დახმარება განსაკუთრებით საჭიროა.

ივნისში ჯგუფურ შეგროვებათა რაოდენობა იმაზე უფრო დაბლა ეცემა, ვიდრე მარტში იყო. რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყოველდღიური მუშათა გაზეთის დაარსების შ ე მ დ ე გ წარმოიშვა გაზეთისადმი დახმარების ს ხ ვ ა ფორმა, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო, სახელდობრ: მასზე ხელმოწერა და გაზეთის გავრცელება ამხანაგებში, ნაცნობებში, თანამემამულეებში და სხვ. «პრავდის» ყველა შეგნებული მეგობარი არ სჯერდება იმას, რომ თვით აწერს მასზე ხელს, არამედ ნიმუშისათვის, გასაცნობად ურიგებს და გზავნის გაზეთს სხვა ფაბრიკებში, მეზობელ ბინებსა და სახლებში, სოფელში და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია გვქონდეს ა ს ე თ ი ს ა ხ ი ს ჯგუფური დახმარების სრული სტატისტიკა.

II

მეტად საგულისხმოა განვიხილოთ, მუშათა შორის ეს 504 შეგროვება როგორ ნაწილდება ქალაქებისა და საფაბრიკო დაბების მიხედვით? რუსეთის რომელ ადგილებში და როგორი ენერგიით გამოეხმაურნენ მუშები მოწოდებას ყოველდღიური მუშათა გაზეთის შესაქმნელად?

ეს მონაცემები, საბედნიეროდ, გვაქვს მუშათა შორის ჩატარებული ყველა ჯგუფური შეგროვების შესახებ, რომელთა ანგარიშებსაც ბეჭდავდნენ «ზვეზდა», «ნევსკაია ზვეზდა» და «პრავდა».

ამ მონაცემების შეჯამებისას უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ პეტერბურგი, რომელიც ბუნებრივია სათავეში დგას პეტერბურგის მუშათა გაზეთის შექმნის საქმეში; — შემდეგ 14 ქალაქი და საფაბრიკო დაბა, საიდანაც თანხები მიღებულია მუშათა ერთზე მეტი ჯგუფისაგან, და, ბოლოს, ყველა დანარჩენი ქალაქი, რიცხვით 35, რომელთაგან ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ არის მიღებული მუშათა ჯგუფში შეგროვებული თანხა. ვიღებთ შემდეგ სურათს:

	სულ ჯგუფური შეგროვება
პეტერბურგი.....	412
14 ქალაქი 2—12 ჯგუფური შეგროვებით.....	57
35 » 1 » »	35
სულ 50 ქალაქში.....	504

აქედან ჩანს, რომ თითქმის მთელი რუსეთი, ამა თუ იმ ოდენობით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რა სიძნელეები ეღობება მუშათა დემოკრატიული პრესის გავრცელებას პროვინციაში, საოცარია დიდი რიცხვი იმ ქალაქებისა, რომლებიც პეტერბურგის მუშების მოწოდებას ნახევარი წლის განმავლობაში გამოეხმაურნენ.

რუსეთის 49 ქალაქში *, გარდა სატახტო ქალაქისა, მუშებს შორის თანხების ოთხმოცდათორმეტი ჯგუფური შეგროვება — ეს მეტად მნიშვნელოვანი რიცხვია, ყოველ შემთხვევაში დასაწყისისათვის. აქ უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი შემთხვევითს, გულგრილ, პასიურ შემწირველებზე: ჩვენ წინაშე, უეჭველია, არიან მთელ რუსეთში გაფანტული, მაგრამ მუშათა დემოკრატიისადმი შეგნებული თანაგრძნობით გაერთიანებული პროლეტარული მასების წარმომადგენლები.

შევნიშნოთ, რომ პროვინციული ქალაქების სათავეში დგას კიევი — 12 ჯგუფური შეგროვება, შემდეგ ეკატერინოსლავი — 8, და მხოლოდ მეოთხე ადგილზეა მოსკოვი — 6. მოსკოვისა და მთელი რაიონის ეს ჩამორჩენილობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს რუსეთის ყველა რაიონის შემდეგი ნაკრები მონაცემებით:

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წ. იანვარ-ივნისი

პეტერბურგი და მისი მიდამოები	415
სამხრეთი	51
მოსკოვი და მისი რაიონი	13
ჩრდილოეთი და დასავლეთი	12
ურალი და ვოლგისპირეთი	6
კავკასია, ციმბირი, ფინეთი	7
სულ რუსეთში	504

* აი ქალაქებისა და დაბების სრული სია. სპბ-ის მიდამოები: კრონშტადტი, კოლპინო, სესტრორეცკი. სამხრეთი: ხარკოვი — 4 ჯგუფ. შეგროვება, ეკატერინოსლავი — 8, ანანიევი — 2, ლუგანსკი — 3, ხერსონი, დონის როსტოვი, პაველოგრადი, პოლტავა, კიევი — 12, ასტრახანი — 4, ჩერნიგოვი, იუზოვკა — 3, მინაკოვო, შჩერბინ. მაღარო, რიკოვის მაღარო, ბელგოროდი, ელისავეტგრადი, ეკატერინოდარი, მარიუპოლი — 2, ნიჟნე-დნეპროვსკი, ნახჩევანი. მოსკოვის რაიონი: როდნიკი — 2, რიაზანი, ტულა — 2, ბეჟეცკი — 2. ჩრდილოეთი: არხანგელსკი — 5,

ეს მონაცემები შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს.

რუსეთში მუშათა დემოკრატიის გამოცოცხლების თვალსაზრისით, პროლეტარულმა პეტერბურგმა უკვე გაიღვიძა და თავის სახელოვან პოსტზე დგას. სამხრეთი იღვიძებს. დედამოსკოვს კი, დანარჩენ რუსეთთან ერთად, ჯერ კიდევ სძინავს. უკვე დროა იმანაც გამოიღვიძოს.

მთელი მოსკოვის რაიონის ჩამორჩენა ირკვევა დანარჩენ პროვინციულ რაიონებთან მისი შედარებით. სამხრეთი დაშორებულია პეტერბურგს და ბევრად უფრო დაშორებულია, ვიდრე მოსკოვი. და მაინც სამხრეთი, სადაც სამრეწველო მუშების ნაკლები რაოდენობაა, ვიდრე მოსკოვის რაიონში, თითქმის ერთიოთხად სჭარბობს ამ რაიონს მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობის მხრივ.

მოსკოვი, ეტყობა, ურალსა და ვოლგისპირეთსაც კი ჩამორჩა, ვინაიდან მოსკოვსა და მის რაიონში მუშების რაოდენობა არა ერთიორად, არამედ ბევრჯერ აღემატება ურალისა და ვოლგისპირეთის მუშების რაოდენობას. ამავე დროს მოსკოვსა და მის რაიონზე მოდის სულ 13 ჯგუფური შეგროვება, მაშინ როცა ურალსა და ვოლგისპირეთზე მოდის 6.

რა თქმა უნდა, მოსკოვისა და მისი რაიონის ჩამორჩენაზე გავლენას ახდენდა, ალბათ, ორი განსაკუთრებული პირობა. ჯერ-ერთი, აქ სჭარბობს საფეიქრო მრეწველობა. ხოლო ამ მრეწველობაში კონიუნქტურა, ე. ი. ბაზრის პირობები და წარმოების მეტ-ნაკლები გამოცოცხლების პირობები, უარესი იყო, ვიდრე, მაგალითად, მეტალურგიის დარგში. ამიტომ

ვოლოგდა. დასავლეთი: დვინსკი, ვილნო, გომელი, რიგა, ლიბავა, მიულგრაბენი. ურალი: პერმი, კიშტიმი, მინიარი, ორენბურგი. ვოლგისპირეთი: სორმოვო, ს. ბალაკოვო. კავკასია: ბაქო — 2, გროზნო, თბილისი. ციმბირი: ტიუმენი და ბლაგოვეშჩენსკი. ფინეთი: ჰელსანგფორსი.

ფეიქრები ნაკლებად მონაწილეობდნენ გაფიცვებში, ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ პოლიტიკისა და მუშათა დემოკრატიისადმი. მეორე, მოსკოვის რაიონში მეტია მიყრუებულ ადგილებში გაბნეული ფაბრიკები, სადაც გაზეთისათვის მიღწევა უფრო ძნელია, ვიდრე დიდ ქალაქში.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოყვანილი ცნობებიდან გამომდინარეობს ყველა ჩვენგანისათვის უეჭველი გაკვეთილი. მოსკოვში მუშათა გაზეთის გავრცელებას უაღრესად გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს. შეუძლებელია შევურიგდეთ მოსკოვის ჩამორჩენას. ყოველ შეგნებულ მუშას ესმის, რომ პეტერბურგი უმოსკოვოდ იგივეა, რაც ერთი ხელი უმეოროდ.

მოსკოვსა და მის რაიონში თავმოყრილია რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა უ მ ე ტ ე ს ი მასა. მაგალითად, 1905 წელს აქ, თვით მთავრობის სტატისტიკის მიხედვით, იყო ფაბრიკა-ქარხნების 567 ათასი მუშა, ე. ი. რუსეთის მუშათა მთელი რაოდენობის (1 660 ათასი) მ ე ს ა მ ე დ ზ ე მ ე ტ ი და გაცილებით მეტი, ვიდრე პეტერბურგის ოლქში (298 ათასი). ამიტომ მოსკოვის რაიონი მუშათა გაზეთის მკითხველთა და მეგობართა რაოდენობის, მუშათა დემოკრატიის შეგნებულ წარმომადგენელთა რაოდენობის მხრივ პ ი რ ვ ე ლ ადგილზე უნდა იდგეს. მოსკოვმა, რა თქმა უნდა, უნდა დააარსოს თ ა ვ ი ს ი ყოველდღიური მუშათა გაზეთი.

ჯერჯერობით კი პეტერბურგი უნდა დაეხმაროს მას. «პრავდის» მკითხველები ყოველ დილით უნდა ეუბნებოდნენ თავიანთ თავს და თავიანთ მეგობრებს: «მუშებო, გახსოვდეთ მოსკოველები!».

III

მოყვანილმა მონაცემებმა ჩვენი ყურადღება უნდა მიიპყრონ კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი და პრაქტიკული საჭირბოროტო თვალსაზრისით. ყველას ესმის, რომ პოლიტიკური გაზეთი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა თანამედროვე

საზოგადოების ყოველი კლასის მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთოდ, კერძოდ კი საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისაც.

ასევე მუშებსაც ესაჭიროებათ გაზეთი საერთოდ და კერძოდ IV სათათბიროს არჩევნების ჩასატარებლად. მუშებმა მშვენივრად იციან, რომ მათ არ შეუძლიათ კარგ რასმე მოელოდნენ არც III და არც IV სათათბიროსაგან; მაგრამ არჩევნებში ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ, ჯერ-ერთი, მუშათა მასების დარაზმვისა და პოლიტიკური განათლებისათვის არჩევნების დროს, როცა ცხოველდება პარტიული ბრძოლა და მთელი პოლიტიკური ცხოვრება, როცა მასები ასე თუ ისე სწავლობენ პოლიტიკას; ხოლო, მეორე, სათათბიროში თავიანთი მუშათა დეპუტატების გასაყვანად. ყველაზე შავრაზმულ, წმინდა-მემამულურ სათათბიროშიც კი მუშათა დეპუტატებს მცირე სარგებლობა როდი მოჰქონდათ და შეუძლიათ მოუტანონ მუშათა საქმეს, თუ ეს დეპუტატები ნამდვილი მუშა დემოკრატები არიან, თუ ისინი დაკავშირებული არიან მასასთან, და მასა სწავლობს წარმართოს, შეამოწმოს ისინი.

1912 წლის პირველ ნახევარში ყველა პოლიტიკურმა პარტიამ რუსეთში დაიწყო და, არსებითად, უკვე დაამთავრა ის, რასაც პარტიული ძალების წინასაარჩევნო მობილიზაცია ეწოდება. მობილიზაცია სამხედრო სიტყვაა. იგი ნიშნავს: ჯარების მოყვანას საბრძოლო მზადყოფნაში. მსგავსად იმისა, როგორც ომის წინ ჯარი მოჰყავთ საბრძოლო მზადყოფნაში, იწვევენ სათადარიგოებს, ურიგებენ იარაღს და საბრძოლო საჭურველს, — ისე არჩევნების წინ ყველა პარტია აჯამებს თავისი მუშაობის შედეგებს, ადასტურებს თავის გადაწყვეტილებებს პარტიის შეხედულებებისა და ლოზუნგების შესახებ, იკრებს ძალებს, ემზადება ყველა დანარჩენი პარტიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეს სამუშაო, არსებითად, ვიმეორებთ, უკვე დამთავრებულია. არჩევნებამდე რამდენიმე კვირა დარჩა; ამ

ხნის განმავლობაში შეიძლება დავძაბოთ და უნდა დავძაბოთ ძალები ამომრჩევლებზე, მასებზე გავლენის გასაძლიერებლად, მაგრამ თუ თვით პარტია (ყოველი კლასის პარტია) არ მომზადებულა ნახევარი წლის განმავლობაში, მას უკვე ვეღარაფერი უშველის, იგი უკვე ნ უ ლ ი ა არჩევნებში.

ამიტომ არის, რომ ის ნახევარი წელიწადი, რომელსაც ჩვენი სტატისტიკა ეხება, IV სათათბიროს არჩევნების წინ მუშათა ძალების გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი მობილიზაციის ნახევარი წელიწადია. ეს ნახევარი წელიწადი არის ნახევარი წელიწადი მუშათა დემოკრატიის მთელი ძალების მობილიზაციისა, რა თქმა უნდა, — არა მარტო სათათბიროსათვის წარმოებული ბრძოლის მხრივ, მაგრამ ჩვენს ყურადღებას ჯერჯერობით სწორედ ამ უკანასკნელზე ვაჩერებთ.

აქ იბადება ერთი საკითხი, რომელსაც ამას წინათ შეეხნენ «ნევსკაია ზვეზდა» № 16, და «პრავდა» № 61. ეს არის საკითხი ეგრეთწოდებული ლიკვიდატორების შესახებ, რომლებიც პეტერბურგში, 1912 წლის იანვრიდან, უშვებენ გაზეთებს «ჟივოე დელოს» და «ნევსკი გოლოსს». ლიკვიდატორები, რომლებსაც თავიანთი ცალკე გაზეთები აქვთ, ამბობენ, რომ არჩევნებში მუშათა დემოკრატიის «ერთიანობისათვის» საჭიროა «შეთანხმება» მათთან, ლიკვიდატორებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში «ორმაგი კანდიდატურების» აჩრდილით იმუქრებიან [54].

დაშინების ამ ცდებს დღემდე, როგორც ჩანს, ძლიერ ნაკლები წარმატება ჰქონდა.

და ეს სავსებით გასაგებია. როგორ შეიძლება სერიოზულად უწევდე ანგარიშს იმ ადამიანებს, რომლებმაც სამართლიანად დაიმსახურეს ლიკვიდატორებისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის გამტარებლების სახელწოდება?

მაგრამ, იქნებ, ამ ინტელიგენტთა ჯგუფის მცდარ, არასოციალ-დემოკრატიულ, შეხედულებებს მაინც ბევრი მუშა იზიარებს? მაშინ განსაკუთრებული ყურადღება ხომ არ უნდა მივაქციოთ ამ მუშებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ახლა

ობიექტური, აშკარა და სავსებით ზუსტი მონაცემები გვაქვს. 1912 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ლიკვიდატორებმა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დიდი ენერგია გამოიჩინეს «პრავდაზე», «ნევსკაია ზვეზდაზე», «ზვეზდაზე» და ლიკვიდატორობის საერთოდ ყველა მოწინააღმდეგეზე თავდასხმებში.

მერე რა წარმატება ჰქონდათ ლიკვიდატორებს მუშებს შორის? ამას მოწმობს ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის თანხების ის შეგროვება, რის შესახებაც ბეჭდავდნენ ცნობებს ლიკვიდატორული გაზეთები «ჟივოე დელო» და «ნევსკი გოლოსი». ყოველდღიური გაზეთის საჭიროება ლიკვიდატორებმა ძლიერ დიდი ხანია აღიარეს, 1911 წლიდან, თუ 1910-დან არა, და მთელი ძალებით ქადაგებდნენ ამ იდეას თავიანთ მომხრეებში. 1912 წლის თებერვლიდან გაზეთი «ჟივოე დელო», რომლის გამოცემა 20 იანვრიდან დაიწყო, შეუდგა ანგარიშების ბეჭდვას იმ შეგროვებული თანხების შესახებ, რომლებსაც იგი ამ მიზნისათვის იღებდა.

ამ შეგროვებული თანხებიდან (რომლებმაც 1912 წლის პირველ ნახევარში 139 მან. 27 კაპ. შეადგინეს) გამოვყოთ მ უ შ ებ ს შ ო რ ი ს თ ა ნ ხ ებ ი ს ჯ გ უ ფ უ რ ი შ ე გ რ ო ვ ე ბ ა, სწორედ ისევე, როგორც ეს არალიკვიდატორული გაზეთების მიმართ გავაკეთეთ. შევაჯამოთ «ჟივოე დელოს» თექვსმეტივე ნომრისა და «ნევსკი გოლოსის» ხუთივე ნომრის («ნევსკი გოლოსის» № 6 უკვე ივლისში გამოვიდა) ცნობები, — მივუმატოთ თუნდაც თვით «ჟივოე დელოს» დასახმარებლად შეგროვებული თანხები (თუმცა არალიკვიდატორული გაზეთებისათვის არ აგვიღია ცნობები ასეთი შეგროვების შესახებ). მივიღებთ შემდეგ მონაცემებს ნახევარი წლის განმავლობაში მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების საერთო რაოდენობის შესახებ:

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა 1912 წლის 1-ლ ნახევარში

	არალიკვიდატორული გაზეთებისათვის	ლიკვიდატორული გაზეთებისათვის
იანვარი	14	0
თებერვალი	18	0
მარტი	76	7
აპრილი	227	8
მაისი	135	0
ივნისი	34	0
სულ	504	15

მაშასადამე, ნახევარი წლის განმავლობაში ინტელიგენტ ლიკვიდატორთა წრის დაძაბული მეცადინეობით მოხერხდა მუშათა სულ 15 ჯგუფის მხარდაჭერის მოპოვება!

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ლიკვიდატორთა უფრო სრული დამარცხება 1912 წლის იანვრიდან? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო ზუსტი დადასტურება იმისა, რომ ჩვენ წინაშეა ინტელიგენტ ლიკვიდატორთა სწორედ წრე, რომელსაც უნარი შესწევს გამოსცეს ნახევრადლიბერალური ჟურნალი და გაზეთი, მაგრამ სრულიად მოკლებულია რამდენადმე სერიოზულ პროლეტარულ მასობრივ საყრდენს?

აი კიდევ მონაცემები ლიკვიდატორთა მიერ მიღებული იმ თანხების რაიონობრივი განაწილების შესახებ, რომლებიც მუშათა შორის ჯგუფურად შეგროვდა.

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის თანხებისჯგუფური შეგროვების რაოდენობა 1912 წლის 1-ლ ნახევარში

	არალიკვიდატორული გაზეთებისათვის	ლიკვიდატორული გაზეთებისათვის
პეტერბურგი და მიდამოები	415	10
სამხრეთი	51	1
მოსკოვი და მისი რაიონი	13	2
ჩრდილოეთი და დასავლეთი	12	1
ურალი და ვოლგისპირეთი	6	0
კავკასია, ციმბირი და ფინეთი	7	1
სულ	504	15*

* მოსკოვი—2, ნახჩევანი, ნოვონიკოლაევსკი და არხანგელსკი—თითო-თითო.

მაშასადამე, სამხრეთში ლიკვიდატორთა დამარცხება ნახევარი წლის მანძილზე უფრო ძლიერიც კია, ვიდრე პეტერბურგში.

მუშათა სტატისტიკის ეს ზუსტი მონაცემები, რომლებიც აშკარად იბეჭდებოდა მთელი ნახევარი წლის მანძილზე მოწინააღმდეგე მიმართულებათა გაზეთებში, საბოლოოდ წყვეტენ «ლიკვიდატორობის» საკითხს. შეიძლება რამდენიც უნდათ ლანძღონ ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეები და ცილი დასწამონ მათ, მაგრამ ზუსტი მონაცემები მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების შესახებ უცილობელია.

ახლა სავსებით გასაგებია, რატომ არ მოეკიდნენ სერიოზულად «ნევსკაია ზვეზდაც» და «პრავდაც» ლიკვიდატორთა მუქარას «ორმაგი კანდიდატურების» შესახებ. სასაცილო იქნებოდა სერიოზულად მოჰკიდებოდნენ იმ ადამიანთა მუქარას, რომლებმაც ნახევარი წლის აშკარა ბრძოლაში ცხადყვეს, რომ ნულზე ცოტა მეტს წარმოადგენენ. ლიკვიდატორობის ყველა დამცველი «ჟივოე დელოსა» და «ნევსკი გოლოსში» გაერთიანდა. და მათ ყველამ ერთად ნახევარი წლის განმავლობაში თავიანთ მხარეზე მიიზიდეს მუშათა თხუთმეტი ჯგუფი!

ლიკვიდატორობა არაფერია მუშათა მოძრაობაში; იგი ძლიერია მხოლოდ ლიბერალურ ინტელიგენციაში.

IV

მუშებს შორის თანხების ყოველგვარი შეგროვების შესახებ მონაცემები «პრავდაში», საერთოდ რომ ვთქვათ, მეტის-მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენენ. მუშათა მოძრაობისა და რუსეთის მუშა დემოკრატების ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარის შესახებ აქ პირველად ვიღებთ უაღრესად ზუსტ მონაცემებს. იმედი გვაქვს, ამ მონაცემების დამუშავებას კვლავ არა ერთხელ დავუბრუნდებით.

ახლა კი, ვამთავრებთ რა ყოველდღიური გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების მონაცემების მიმოხილვას, უნდა აღვნიშნოთ ერთი პრაქტიკული დასკვნა.

მუშებმა ჯგუფურად 504-ჯერ შეიტანეს თანხები თავიანთი პრესისათვის «ზვეზდასა» და «პრავდაში». მუშები აბსოლუტურად არ ისახავდნენ არავითარ სხვა მიზანს, გარდა თავიანთი მუშათა პრესის შექმნისა და მხარდაჭერისა. სწორედ ამიტომ ნახევარი წლის ამ მონაცემების უბრალო დამართალმა შეკრებამ შეადგინა რუსეთში მუშათა დემოკრატიის ცხოვრების მეტად ძვირფასი სურათი. ერთად შეგროვებულმა შაურებმა და ორშაურიანებმა, რომლებზეც აღნიშნულია: «ამა და ამ ფაბრიკის მუშათა ჯგუფისაგან», შესაძლებლობა მოგვცეს გვემსჯელნა მუშათა განწყობილების შესახებაც და მათი შეგნებულობის, დარაზმულობის, მუშათა საქმისათვის გულშემატკივრობის შესახებაც.

აი რატომაა აუცილებლად საჭირო განვაგრძოთ, განვავითაროთ, გავაფართოოთ მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების ეს ჩვეულება, რომელიც აპრილ-მაისის აღმავლობამ შექმნა, — და, რა თქმა უნდა, საჭიროა ისეთივე ანგარიშები შეგროვების შესახებ, როგორიც ყოველთვის იყო «პრავდაში».

მუშათა პრესის სიმტკიცის თვალსაზრისითაც, — მუშათა დემოკრატიის საერთო ინტერესების თვალსაზრისითაც, ამ ჩვეულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მუშათა პრესა უნდა განვავითაროთ და უფრო განვამტკიცოთ. ამისთვის საჭიროა ფული. მუშებს შორის თანხების მხოლოდ მუდმივი და მასობრივი შეგროვების პირობით შეიძლება ბეჯითი შრომით მივაღწიოთ მუშათა გაზეთების დამაკმაყოფილებლად დაყენებას რუსეთში. ამერიკაში არის მუშათა ერთი გაზეთი («მოწოდება გონებისადმი» [55]), რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. არ ვარგა ის რუსი მუშა, — ვიტყოდით ჩვენ, ერთი ცნობილი ანდაზის გადაკეთებით, — რომელსაც იმედი არა აქვს დაეწიოს და გაუსწროს თავის ამერიკელ თანამოძმეს.

მაგრამ გაცილებით, შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია საქმის არა ფინანსური, არამედ მეორე მხარე. დავუშვათ,

რომ ფაბრიკის სხვადასხვა განყოფილების ასი მუშა ხელფასის მიღებისას იხდის თითო კაპიკს მუშათა გაზეთისათვის. სულ იქნება ორი მანეთი თვეში. მეორე მხრივ, დავუშვათ, რომ კარგი ხელფასის მქონე ათი მუშა შემთხვევით შეხვდა ერთმანეთს და მათ ერთბაშად ათი მანეთი შეაგროვეს.

პირველი ორი მანეთი უფრო ძვირფასია, ვიდრე მეორე თუმანი. ეს იმდენად ნათელია თვითეული მუშისათვის, რომ აქ დიდი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის.

ჩვეულებად უნდა იქნეს შემოღებული, რომ თვითეული მუშა ხელფასის ყოველი აღების დროს იხდიდეს თითო კაპიკს მუშათა გაზეთისათვის. დაე გაზეთზე ხელმოწერა თავის რიგით მიმდინარეობდეს, დაე მან, ვისაც შეუძლია, იხადოს მეტი, როგორც დღემდე იხდიდა. მაგრამ ყველაზე მთავარია, — გარდა ამისა, შემოღებულ და გავრცელებულ იქნეს ჩვეულება «კაპიკისა მუშათა გაზეთისათვის».

ამ თანხების შეგროვების მთელი მნიშვნელობა ის იქნება, რომ ეს წესიერად ხდებოდეს ხელფასის ყოველი მიღებისას, განუწყვეტლივ, და ის, რომ მუშათა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა მონაწილეობდეს თანხების ამ მუდმივ შეგროვებაში. ანგარიშები შეიძლება იბეჭდებოდეს უბრალოდ: «ამდენი და ამდენი კაპიკი» — მაშასადამე, მოცემული ფაბრიკის ამდენმა და ამდენმა მუშამ შეიტანა ფული მუშათა გაზეთისათვის, — ხოლო შემდეგ, თუ არის უფრო დიდი შენატანები, შეიძლება დაიბეჭდოს: «გარდა ამისა, ამდენმა და ამდენმა მუშამ შემოიტანა ამდენი და ამდენი».

თუ შემოღებულ იქნება ეს ჩვეულება კაპიკისა მუშათა გაზეთისათვის, რუსეთის მუშები თავიანთ გაზეთებს მალე დააყენებენ ჯეროვან სიმაღლეზე. მუშათა გაზეთი უნდა იძლეოდეს მეტ და უფრო მრავალფეროვან მასალას, საკვირაო დამატებებს და სხვას, მას უნდა ჰყავდეს თავისი კორესპონდენტები სათათბიროშიც, რუსეთის ყველა ქალაქშიც, უცხოეთის უდიდეს ქალაქებშიც. მუშათა გაზეთი განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს და უმჯობესდებო-

დეს, — ეს კი შეუძლებელია, თუ მუშათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა მუდამ არ მოაწყობს თანხების შეგროვებას თავისი პრესის ორგანოებისათვის.

ყოველთვიური ნაკრები მონაცემები მუშათა კაპიკის შესახებ ყველას და თვითეულს აჩვენებენ, თუ როგორ იშორებენ რუსეთის ყველა კუთხის მუშები გულგრილობასა და უძრაობას, როგორ იღვიძებენ ისინი გონივრული კულტურული ცხოვრებისათვის, ამ სიტყვის არა კაზიონური და არა ლიბერალური მნიშვნელობით. შეიძლება ცხადად ვხედავდეთ, როგორ იზრდება ინტერესი მუშათა დემოკრატიისადმი, როგორ ახლოვდება დრო, როცა მოსკოვსაც და ყველა დიდ ქალაქსაც ექნებათ საკუთარი მუშათა გაზეთები.

გვეყოფა ბურჟუაზიული «კოპეიკას» ბატონობა![56] საკმაოდ იმეფა უპრინციპო ვაჭრულმა გაზეთმა. პეტერბურგის მუშებმა სულ რაღაც ნახევარი წლის განმავლობაში ცხადყვეს, თუ რა უდიდესი წარმატება შეიძლება მოჰყვეს მუშებს შორის თანხების ერთობლივად შეგროვებას. დაე მათი მაგალითი, მათი თაოსნობა ფუჭად ნუ ჩაივლის. დაე განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვეულება — მუშათა კაპიკი მუშათა გაზეთისათვის!

დაწერილია 1912 წ. 12 — 14 (25 — 27) ივლისს
დაბეჭდილია 1912 წ. 29 და 31 ივლისს, 1 და 2 აგვისტოს გაზეთ «პრავდაში» №№ 78, 79, 80 და 81
ხელმოწერა: სტატისტიკოსი

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით

ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში[57]

გერმანელ ამხანაგებს ხშირად უხდებათ კითხვა ცნობებისა რსდმ პარტიის შიგნით გააფთრებული ბრძოლისა და აზრთა ძირეული სხვადასხვაობის შესახებ. სამწუხაროდ, ასეთი ცნობები მომდინარეობს ცალკეული ემიგრანტული ჯგუფებიდან; მეტ წილ შემთხვევებში მათ იძლევიან ადამიანები, რომლებიც ან სრულებით არ იცნობენ საქმის ახლანდელ ნამდვილ მდგომარეობას რუსეთში, ან რომლებსაც შეგნებულად უნდათ შეცდომაში შეიყვანონ გერმანელი ამხანაგები ცალმხრივი პარტიულ-პოლიტიკური გაშუქებით. ყოველი ასეთი ემიგრანტული ჯგუფი წარმოადგენს თავის საკუთარ «მიმართულებას», ნამდვილად კი იგი შედგება ადამიანებისაგან, რომლებსაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი ცოცხალი კავშირი რუსეთის მებრძოლ მუშათა პარტიასთან ან სულაც არასოდეს არ ჰქონიათ ეს კავშირი. ერთ-ერთმა ასეთმა «ინფორმატორმა» შეძლო, სამწუხაროდ, «Vorwärts»-ის * ნდობის მოპოვება. მთელ რიგ სტატიებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა ორგანომ ადგილი მისცა რუსეთის პარტიაზე უმაგალითო ცილისწამების ნაკადს, რომელიც ამ ინფორმატორის კალმის ნაყოფი იყო და რომელიც ვითომდა «ობიექტური» წყაროებიდან მომდინარეობდა.

სინამდვილეში ეს წყაროები თავიდან ბოლომდე «სუბიექტური», თავიდან ბოლომდე ყალბი იყო. ვინაიდან

* — «წინ». რ ე დ.

«Vorwärts»-ს არ მოუთავსებია ჩვენი ფაქტიური შესწორება, ჩვენ იძულებული გავხდით გამოგვეცა ცალკე ბროშურა სათაურით: «Vorwärts»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში»,* რომელიც რამდენიმე ასეული ეგზემპლარის რაოდენობით გამოვიდა და გერმანიის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი პარტიული ორგანიზაციის გამგეობებსა და პარტიული პრესის უმნიშვნელოვანესი ორგანოების რედაქციებს დაეგზავნა.

ამ ბროშურის ფაქტიური მასალის წინააღმდეგ «Vorwärts»-მა ერთი სიტყვა ვერ თქვა და ამით მდუმარედ ცნო იგი.

ჩვენს გერმანელ პარტიულ ამხანაგებს შესაძლებლობა რომ მივცეთ განსაჯონ, თუ რამდენად სარწმუნოა ზოგიერთი ცნობა, რომელიც მათ ყურამდე აღწევს, მოგვყავს აქ წერილი, რომელიც რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობას გაუგზავნა. ლატვიელებმა გამგეობას წინადადება მისცეს მოეწყო თერთმეტი «ცენტრის» საერთო თათბირი საარჩევნო კამპანიისათვის მატერიალური დახმარების საკითხზე, რის შემდეგაც გამგეობა შეეკითხა ამ ცენტრებს ამ საკითხისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ. ეს წერილი წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის პასუხს და იქ ნათქვამია შემდეგი:

1912 წ. 30 ივლისი **

გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობას

პატივცემულო ამხანაგებო!

ამას წინათ მივიღეთ ლატვიის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის კომიტეტის მიერ თქვენთვის გამოგზავნილი 24 ივნისის წერილის პირი. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნდა აგვეხსნა თქვენთვის ამ ლატვიელების უცნაური გეგმა, ვინაიდან

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 639 — 655. — რ ე დ.

** ეს წერილი აქ მოგვყავს სტილისტიკური ხასიათის უმნიშვნელო ცვლილებებით.

იმ აზრისა ვიყავით, რომ არც ერთი მცოდნე ადამიანი ამ გეგმას სერიოზულად არ მოეკიდებოდა. მაგრამ ჩვენთვის გამოგზავნილი თქვენი 22 ივლისის წერილიდან ჩვენ გაკვირვებით შევიტყვეთ, რომ თქვენ აპირებთ მიიღოთ ეს გეგმა. ეს გვაიძულებს ჩვენ მტკიცე პროტესტი გამოვთქვათ, რომელსაც კიდევაც გიგზავნით. გამგეობის განზრახვა ობიექტურად სხვა არაფერია, თუ არ იმის ცდა, რომ ხელი შეუწყოს გათიშვას ჩვენს პარტიაში (რსდმპ) და ახალი, ჩვენდამი მტრული პარტიის შექმნას. ეს მთელ ინტერნაციონალში დღემდე გაუგონარი საქმეა. ამას ჩვენ დაწვრილებით განვუმარტავთ გერმანელ ამხანაგებს.

მდგომარეობა რსდმ პარტიაში 1912 წ. იანვრიდან

1912 წ. იანვარში მოეწყო რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია, რომელიც შემდგარი იყო — პეტერბურგის, მოსკოვის, მოსკოვის საოლქო, ყაზანის, სარატოვის, თბილისის, ბაქოს, ნიკოლაევის, კიევის, ეკატერინოსლავის, ვილნოს და დვინსკის ორგანიზაციების დელეგატებისაგან. ამ კონფერენციამ აღადგინა პარტია, აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი ნაცვლად ლიკვიდატორთა მიერ მოსპობილისა, ამასთან კონფერენცია იძულებული იყო ეს ლიკვიდატორები პარტიის გარეშე გამოეცხადებინა (იხ. ბროშურა: «Vorwärts»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში», რომელიც გამგეობას გამოეგზავნა; ბროშურაში მოხსენებული იყო ლიკვიდატორების, აგრეთვე პოლონელთა, ლატვიელთა, ბუნდის ნაციონალური ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ჯგუფების პროტესტები).

იანვარში გაიმართა აგრეთვე თათბირი, რომლის მიზანი იყო შექმნა საორგანიზაციო კომიტეტისა ახალი კონფერენციის, «საერთო პარტიული კონფერენციის» მოსაწვევად, როგორც მას უწოდებდნენ ლიკვიდატორები და მათი მეგობრები.

გამგეობისათვის გამოგზავნილ 24 ივნისის წერილში ლატვიელები ამტკიცებენ, რომ ამ «საორგანიზაციო კომიტეტს»

ქმნიან შემდეგი ორგანიზაციები და მიმართულებანი: ბუნდი, ლატვიელი სოციალ-დემოკრატები, კავკასიის საოლქო კომიტეტი, მენშევიკური «გოლოს სოციალ-დემოკრატა», ვენის «პრავდა» და «ვპერიოდის» ჯგუფი.

მაშასადამე, ერთ მხარეზეა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც არჩეულია რუსეთის, ე. ი. რუსეთში მომუშავე ორგანიზაციების კონფერენციაზე (მოწინააღმდეგეები მას ლენინურ მიმართულებას უწოდებენ); მეორე მხარეზეა ეგრეთწოდებული საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც «საყოველთაო» პარტიული კონფერენციის მოწვევას გვპირდება.

როგორია ეგრეთწოდებული ორგანიზაციული კომიტეტი-სადმი დამოკიდებულება რუსეთის სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც აქამდე ნეიტრალური არიან?

მენშევიკებში ყველაზე ცნობილი, პლეხანოვი, რომელიც მტკიცედ იბრძოდა ლიკვიდატორების მიერ პარტიის მოსპობის წინააღმდეგ, იანვრის პარტიულ კონფერენციაზე, მიუხედავად მიწვევისა, არ გამოცხადდა. 1912 წ. აპრილში მან გამოაქვეყნა თავისი მიწერ-მოწერა ორგან. კომიტეტის წარმომადგენელთან (იხ. მისი «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა», № 16).

პლეხანოვმა უარი თქვა ეგრეთწოდებულ ორგან. კომიტეტში მონაწილეობაზე და ეს იმით ახსნა, რომ ბუნდი იწვევს არა არსებული პარტიული ორგანიზაციების კონფერენციას, არამედ «დამფუძნებელს», ე. ი. ისეთს, რომელმაც ახალი პარტია უნდა დააარსოს. ეგრეთწოდებული საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც ნამდვილად ერთადერთნი უჭერენ მხარს ორგან. კომიტეტს, წარმოადგენენ, პლეხანოვის მტკიცებით, — ლიკვიდატორულ ჯგუფებს, რომლებიც პარტიას არ ეკუთვნიან და რომლებსაც სურთ ახალი პარტია შექმნან. «ახალ კონფერენციას ლიკვიდატორები იწვევენ», — წერს პლეხანოვი 1912 წ. აპრილში.

და აი ივლისში გამოვიდა ამ ორგან. კომიტეტის «ლისტოკი» № 3. აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, კრინტიც არ არის დაძრული პლეხანოვის საპასუხოდ. ამის მიხედვით შეგიძლიათ განსაჯოთ, რა ინფორმაციას აწვდიან გამგეობას ლატვიელები, — სწორედ ის ლატვიელები, რომლებიც ჩივიან, რომ «ლენინური» ცენტრალური კომიტეტი არ უპასუხებს ორგან. კომიტეტის წერილებზეო.

ნუთუ ესოდენ საკვირველია, რომ პარტიის, ძველი პარტიის ცენტრალური კომიტეტი არ უპასუხებს იმათ, ვინც, დღემდე ნეიტრალური პლეხანოვის სიტყვით, ახალ პარტიას ქმნის?

ორგან. კომიტეტმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაუმტკიცოს ნეიტრალურ პლეხანოვს, რომ იგი არ ქმნის ახალ პარტიას და არ ახდენს ძველი პარტიის ლიკვიდაციას.

ორგან. კომიტეტის მონაწილე ლატვიელებს, რომლებმაც გამგეობას მიმართეს 24 ივნისს, პარტიის წინააღმდეგ ლიკვიდატორთა ამ ორგან. კომიტეტის ნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ, ფაქტებითა და დოკუმენტებით უნდა ეჩვენებინათ ამ ბრძოლის შედეგები; ამის ნაცვლად ლატვიელები გამგეობას უჩვენებენ **ლიკვიდატორთა პოტიომკინის სოფლებს.**

ლატვიელები გამგეობას წინადადებას აძლევდნენ მოწვეული ყოფილიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თერთმეტი «ორგანიზაციული» ცენტრი, ორგანიზაცია და ფრაქცია. ასე იყო სიტყვასიტყვით (იხ. მე-4 გვ. ლატვიელთა 24 ივნისის წერილისა გამგეობისადმი).

მთელ მსოფლიოში დღემდე პარტიები იქმნებოდა ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ერთი ცენტრალური დაწესებულებით ერთიანდებიან. მაგრამ რუსმა და ლატვიელმა ლიკვიდატორებმა 1912 წელს დიდი აღმოჩენა მოახდინეს. — ამიერიდან პარტია შეიძლება შეიქმნას «ცენტრებისა, ორგანიზაციებისა და ფრაქციებისაგან».

11 ორგანიზაციული ცენტრის, ორგანიზაციისა და ფრაქციის რიცხვს ლატვიელ ლიკვიდატორთა უახლესი საარჩევნო გეომეტრიის მიხედვით ეკუთვნიან: ჯერ-ერთი, ორგან. კომი-

ტეტი და, მეორე, 6 ფრაქცია ან ორგანიზაცია ან ცენტრი, რომლებიც ამ ორგანიზაციულ კომიტეტს ქმნიან. ლატვიელების წერილში ასეც წერია: «პუნქტები 2-დან 7-მდე ჩათვლით ქმნიან ორგანიზაციულ კომიტეტს».

ამრიგად პარტიის ლიკვიდატორ ინტელიგენტთა ჯგუფი იღებს სამმაგ საარჩევნო უფლებას, მსგავსად არისტოკრატიისა დამპალ დაბებში:

1) კავკასიის საოლქო კომიტეტი — ფიქტიური ორგანიზაცია;

2) იგივე — პარიზის «გოლოსის» სახით, თუმცა «გოლოსს» არა აქვს მუდმივი მანდატი კავკასიისაგან;

3) იგივე — «ორგან. კომიტეტის» სახით.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის მუშები აღშფოთებითა და ზიზღით უარყოფენ აზრს ორმაგი კანდიდატურების საკითხის განხილვის შესახებ, ე. ი. ლიკვიდატორთა იმ ცდის შესახებ, რომ საზღვარგარეთის უმნიშვნელო ჯგუფებთან ერთად გამოიწვიონ გათიშვა, მით უმეტეს, რომ ეს ჯგუფები მხოლოდ დეზორგანიზატორ-ინტელიგენტებს წარმოადგენენ.

ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ საზღვარგარეთის აბსოლუტურად არც ერთ ჯგუფს იმ ჯგუფებიდან, რომლებიც ბრძოლას ეწევიან პარტიის წინააღმდეგ, უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში რუსეთის რომელიმე ორგანიზაციისაგან არ მიუღია მანდატი თავისი ორგანოს გასაძღოლად ან თავისი ფურცლების გამოსაქვეყნებლად. ლატვიელებს უნდათ საწინააღმდეგო დაუმტკიცონ გამგეობას; მაშინ მათ მიგვითითონ რუსეთის პრესაში ყოველ შემთხვევაში თუნდაც ერთ ასეთ მანდატზე 22 ივლისამდე.

«გოლოს სოციალ-დემოკრატა» რუსეთის რომელიმე ორგანიზაციის ორგანო არ არის.

ტროცკის ვენის «პრავდაც» არ არის რუსეთის რომელიმე ორგანიზაციის ორგანო. სამი წლის წინათ «პრავდა» უკრაინის «სპილკის»[58] (სამხრეთი რუსეთი) ორგანო იყო, მაგრამ სპილკამ უკვე დიდი ხანია გააუქმა თავისი მანდატი.

არც «ვპერიოდი», არც პლეხანოვი, არც «ბოლშევიკი-პარტიელები» არ სცემენ არავითარ ორგანოს, რომელიც რუსეთის რომელიმე ორგანიზაციის პარტიული ორგანო იყოს.

ძალიან ადვილია მითითება ჯგუფებზე, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობენ. აგრეთვე ძნელი არ არის «თანაგრძნობის» კორესპონდენციების ბეჭდვა. — მაგრამ იმისათვის, რომ გაუძღვე რუსეთში მომუშავე ორგანიზაციის ორგანოს თუნდაც ნახევარი წლის განმავლობაში, საჭიროა მუდმივი კავშირურთიერთობა, მუშათა მასის სრული ნდობა ადგილებზე, ტაქტიკურ შეხედულებათა ერთიანობა, რაც მხოლოდ ხანგრძლივი ერთობლივი მუშაობის შედეგი შეიძლება იყოს. ყველაფერი ეს აკლიათ საზღვარგარეთის მცირე ჯგუფებს, რომლებსაც პარტიის წინააღმდეგ რაზმავენ ლატვიელი და ბუნდელი დეზორგანიზატორები.

P.P.S.-ის * შესახებ ვიტყვით მოკლედ. ეს არაა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. იგი არასოდეს არ ეკუთვნოდა სდმ პარტიას. არსებობს მხოლოდ ერთი საფუძველი მის მოსაზიდავად, სახელდობრ: იგი «გვპირდება», რომ სოციალ-დემოკრატიული გახდება და ლიკვიდატორებს მიემხრობა! — დეზორგანიზატორებისა და გათიშვის მოყვარულთათვის ეს, რა თქმა უნდა, საკმარისია! თუ ერთობლივი განხილვისათვის მოზიდულ უნდა იქნეს P.P.S., მაშინ რატომ მოზიდულ არ უნდა იქნენ აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობენ, სიონისტი-სოციალისტები, ლატვიელ ესერთა კავშირი და მსგავსი «მიმართულებანი»?

III სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია

საორგანიზაციო ცენტრების რიცხვში გამგეობამ შეიტანა უცხოეთის მცირე ჯგუფები, და, პირიქით, არ მიუწვევია სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. რუსეთის მუშებისათვის სასარგებლო

* — პპს — პოლონეთის სოციალისტური პარტია. რედ.

იქნება იცოდნენ, როგორ შეჰყავთ შეცდომაში ტროცკისა და კომპანიას ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგები. ლატვიელები 24 ივნისის წერილში გამგეობას სწერენ:

«რაც შეეხება სათათბიროს ს.-დ. ფრაქციას, მასზე, როგორც საარჩევნო კამპანიისათვის მატერიალური დახმარების საკითხში შუამავალზე, ლაპარაკიც არ შეიძლება, ვინაიდან სათათბიროს სესია მთავრდება და ამავე დროს სათათბიროს ფრაქცია ამით თავის რწმუნებებს კარგავს» (არაერთგზის დასახელებული წერილის გვ. მე-2).

ეს ან შეგნებული მოტყუებაა, ან უსაზღვრო პოლიტიკური უმეცრებაა, რომელიც საკმაოდ ნათლად ახასიათებს, თუ რამდენად არიან გაცნობილნი ბრიუსელელი ლატვიელები არჩევნების საქმეს რუსეთში.

წერილი დათარიღებულია 24 ივნისით. 9 ივნისს, ე. ი. ახალი სტილით 22 ივნისს, III სათათბირო ოფიციალურად დათხოვნილ იქნა გაურკვეველი დროით, — ამასთან ყველა დეპუტატმა შეინარჩუნა თავისი რწმუნებანი, მათ შორის სოციალ-დემოკრატებმაც. უკანასკნელნი დღემდე არიან სათათბიროს დეპუტატები — ეს იცის წერაკითხვის მცოდნე ყოველმა მუშამ რუსეთში. მაგრამ ეს არ იციან პარტიის საზღვარგარეთელმა ცილისმწამებლებმა.

ერთადერთი ლეგალური სოციალ-დემოკრატები რუსეთში, რომლებიც, რუსეთის რომელ კუთხეშიც არ უნდა იმყოფებოდნენ, ერთადერთ ოფიციალურ ორგანიზაციას შეადგენენ — არიან სწორედ III სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის წევრები.

ყველა ლიკვიდატორს სძულს ეს ფრაქცია. ლიკვიდატორთა ფურცლები («ნაშა ზარია») მის წინააღმდეგ ლანძღვასა და ინსინუაციებს მიმართავენ, ყველა საზღვარგარეთელი დეზორგანიზატორი ჭორებს უგონებს მას. რატომ? იმიტომ, რომ უმრავლესობა ფრაქციისა, რომელშიც მუდამ სჭარბობდნენ მენშევიკი-პარტიელები, მუდამ გადაჭრით იბრძოდა ლიკვიდატორების წინააღმდეგ და ხელი შეუწყო იმას, რომ მათ პეტერბურგში რაიმე ვნება არ მოეტანათ.

ბროშურაში: «Vorwärts»-ის ანონიმი და ა. შ.» ჩვენ ერთი არსებითი ფაქტი გამოვაქვეყნეთ. მის წინააღმდეგ ვერავინ ერთი სიტყვაც ვერ დაძრა. ფრაქციის მხოლოდ ო რ ი წევრი თანამშრომლობს მუდმივად ლიკვიდატორულ გაზეთებში. ფრაქციის რ ვ ა წევრი მუდმივად თანამშრომლობს ანტილიკვიდატორულ გაზეთებში *.

ლატვიელებიც და ტროცკიც წინადადებას აძლევენ გამგეობას თათბირიდან გარიცხოს სრულიად რუსეთის ეს ერთადერთი კოლექტივი, რომელმაც ერთიანობა შეინარჩუნა! — ლატვიელები თუ კიდევაც სცდებოდნენ, არ იცოდნენ რა 24 ივნისს ის, რაც რუსეთში ყველა მუშამ იცოდა, რატომ არ შეიწუხეს მათ თავი 22 ივლისამდე, ე. ი. მთელი თვის გასვლის შემდეგ, გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომა? არსებობს შეცდომები, რომლებიც ძლიერ სასარგებლოა იმათთვის, ვინც სცდება.

განზრახვა ლატვიელებისა და ლიკვიდატორებისა, რომლებმაც გამგეობა მოატყუეს, ის არის, რომ წინააღმდეგ პარტიის უმრავლესობისა რუსეთში, წინააღმდეგ სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის უმრავლესობისა საზღვარგარეთის ფიქტიური მცირე ჯგუფების ბლოკის დახმარებით თავს მოგვახვიონ ლიკვიდატორთა კანდიდატები და მოტყუებით მიიღონ ფული გერმანელი მუშებისაგან. — ასეთია მოკლე აზრი გრძელი სიტყვებისა (ლატვიელების, ბუნდელების, ტროცკისა და კომპანიისა).

მაგრამ ეს მოტყუება დაუსჯელი არ დარჩება.

ოფიციალური შემოწმებისათვის მისაწვდომი მონაცემები პარტიის გავლენასთან შედარებით ლიკვიდატორების გავლენის შესახებ

ყოველ გონიერ ადამიანს ესმის, რომ ფუჭი ფრაზები ვითომ ფარული «ორგანიზაციების» შესახებ, რომლებიც ლიკვიდატორებს თანაუგრძნობენ, არავითარი ნდობის ღირსი არ არის.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 653 — 654. რ ე დ.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ლიკვიდატორების ყველა ორგანიზაცია რუსეთში ფიქტიურია.

ვისაც პირადად არა აქვს ზუსტი ცნობები რუსეთის სოც.-დემ. წრეებში საქმის მდგომარეობის შესახებ, მისთვის ძნელია ჭეშმარიტების დადგენა. მაგრამ მისთვისაც კი შესაძლებელია იპოვოს ეს ჭეშმარიტება, თუ იგი მას ძებნას დაუწყებს დოკუმენტების მიხედვით, არ დაუჯერებს ლიტონ სიტყვას და შეამოწმებს ამ დოკუმენტების აზრს. შემოწმებისათვის მისაწვდომი პირველი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ჩვენ უკვე მოვიყვანეთ — ეს არის სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის ძალების განაწილება ლიკვიდატორებსა და ანტილიკვიდატორებს შორის.

მაგრამ ახლა, პარტიის წინააღმდეგ ლიკვიდატორების ნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ, არსებობს შემდეგი, სავსებით ობიექტური და კიდევ უფრო დამაჯერებელი ფაქტები.

24 ივნისის წერილში (გვ. 5 და 6) ლატვიელებს მოხსენიებული აქვთ ლეგალური მარქსისტული გაზეთები პეტერბურგში. ისინი ასახელებენ «ჟივოე დელოს» და «ნევსკი გოლოსს», რომლებიც ატარებენ მენშევიკურ («გოლოს სოციალ-დემოკრატას») მიმართულებას, და მათ უპირდაპირებენ გაზეთებს: «ზვეზდას» და პეტერბურგის «პრავდას» (ნუ აურევთ მას ტროცკის ლიკვიდატორულ ვენის «პრავდაში»), რომლებიც, ლატვიელთა მტკიცებით, «ლ ე ნ ი ნ ის ჯ გ უ ფ ი ს მ ფ ლ ობ ე ლ ობ ა ს ა და ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ობ ა შ ი ი მ ყ ოფ ე ბ ი ა ნ».

დაე ეს მტკიცება თუნდაც მარჯვე არ იყოს, ლატვიელებმა მაინც აქ უნებლიეთ მოიყვანეს სერიოზული ფაქტი ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

თუ «ღია პარტია» ლიკვიდატორების მხოლოდ ფუჭი ლიბერალური ფრაზაა, აშკარა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა სათათბიროსა და პრესაში მარქსისტული პროპაგანდის მთავარი საქმიანობაა. აქ და მხოლოდ აქ შეიძლება ისეთი ფაქტების ნახვა, რომლებიც ობიექტურად ამტკიცებენ ლიკვიდატორებისა და ანტილიკვიდატორების ძალას.

ლატვიელების მიერ დასახელებულთა გარდა, სრულიად რუსეთის არავითარი სხვა პოლიტიკური ორგანო არ არსებობს. ლიკვიდატორებს აქვთ «ჟივოე დელო» და «ნევსკი გოლოსი», ანტილიკვიდატორებს — «ზვეზდა», უფრო გვიან «ნევსკაია ზვეზდა» და (პეტერბურგის) «პრავდა». რუსეთში არ არის არავითარი სხვა მიმართულება და ფრაქცია არც პრესაში, არც საზოგადოებრივ მასობრივ ასპარეზზე; ლატვიელების მიერ დასახელებული ყველა საზღვარგარეთის ჯგუფი სრული ნულია.

ახლა ჩვენ წინაშეა ორივე მიმართულების ნახევარი წლის მოღვაწეობის შედეგები.

ამ ნახევარი წლის განმავლობაში (1912 წ. იანვარი-ივნისი) რუსეთის ყველა პარტიამ დაიწყო და უკვე დაამთავრა არჩევნებისათვის მზადება. არჩევნებამდე ახლა მხოლოდ 6 თუ 8 კვირა რჩება. საარჩევნო სიები მეტ წილად უკვე შედგენილია. არჩევნების ფაქტიური შედეგი უკვე წინასწარ გადაწყვეტილია სწორედ ამ ნახევარი წლის მზადების საფუძველზე.

ლიკვიდატორებს მხარი დაუჭირეს ლატვიელთა სიის 1 — 7 «პუნქტებმა» (ორგან. კომიტეტი, ბუნდი, ლატვიის სოციალ-დემოკრატია, «გოლოსი», ვენის «პრავდა», კავკასიის საოლქო კომიტეტი, «ვპერიოდი»), ანტილიკვიდატორებს — ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც გააერთიანა რუსეთის, ე. ი. რუსეთში მოქმედი ორგანიზაციები (მარტო ერთმა «ლენინურმა მიმართულებამ», როგორც ლიკვიდატორები ამტკიცებენ).

ამრიგად, ვნახოთ, რა გააკეთეს ლიკვიდატორებმა და ანტილიკვიდატორებმა.

ლიკვიდატორებმა პეტერბურგში 1912 წ. 1 იანვრიდან 30 ივნისამდე (ძვ. სტ.) გამოსცეს გაზეთ «ჟივოე დელოს» 16 №№ და გაზეთ «ნევსკი გოლოსის» 5 №№, სულ 21 №№.

ანტილიკვიდატორებმა ამავე ნახევარი წლის განმავლობაში გამოსცეს გაზეთ «ზვეზდის» 33 №№, გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 14 №№ და გაზეთ «პრავდის» 53 №№, სულ 100 № №.

21 წინააღმდეგ 100-ისა.

ასეთია ძალთა თანაფარდობა ლიკვიდატორებსა და პარტიას შორის რუსეთში. მონაცემები გაზეთების შესახებ აშკარა მონაცემებია; ყველას შეუძლია შეამოწმოს და დაასაბუთოს ისინი.

როგორია საქმის ვითარება გაზეთების ტირაჟის მხრივ? ლატვიელები ამტკიცებენ, რომ ლიკვიდატორებმა გამოუშვეს 30 000 ეგზემპლარი. დავუშვათ, რომ ეს გაზვიადებული არ არის. ანტილიკვიდატორული გაზეთების შესახებ პირმა, რომელიც ამხ. ჰააზემ და სხვა წევრებმა ნახეს, გამგეობას დაუსახელა ციფრი 60 000 ეგზემპლარი. ეს თანაფარდობა ლიკვიდატორების გავლენას პარტიის გავლენასთან შედარებით წარმოგვიდგენს როგორც შეფარდებას 1:10.

თუ ცნობები ტირაჟის შესახებ გამოქვეყნებულიც არ არის და ამიტომ კაცს შეიძლება გადაჭარბებული ეჩვენოს, სამაგიეროდ გამოქვეყნებულია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო დამაჯერებელი მონაცემები.

ეს არის ცნობები რუსეთის მუშათა მასებთან ლიკვიდატორებისა და პარტიის კავშირურთიერთობის შესახებ.

შემოწმებისათვის მისაწვდომი აშკარა მონაცემები რუსეთის მუშათა მასებთან ლიკვიდატორებისა და პარტიის კავშირურთიერთობის შესახებ

მონაცემები გაზეთების გამოშვებული ნომრების რაოდენობისა და ტირაჟის შესახებ ჯერ კიდევ მთლიანად არ ამტკიცებენ პარტიის უპირატესობას ლიკვიდატორებთან შედარებით. გაზეთების გამოცემა შეუძლიათ ლიბერალ ინტელიგენტთა პატარა ჯგუფებსაც. «მუშებისადმი მეგობრული» ან თუნდაც რადიკალური ელფერის ყოველი ლიბერალური გაზეთი მუდამ იპოვის რუსეთში ბევრ .მკითხველს. მუშებს

გარდა მათ წაიკითხავენ ლიბერალები, აგრეთვე წვრილბურ-ჟუაზიული დემოკრატები.

მაგრამ არის ფაქტები, რომლებიც უფრო მარტივად და ნათლად ადასტურებენ ლიკვიდატორებისა და პარტიის კავშირურთიერთობას მუშათა მასებთან რუსეთში.

ეს არის მონაცემები ფულადი სახსრების შესახებ, რომლებიც მუშათა პრესის გამოცემას ხმარდება.

რუსეთში მუშებს შორის უკვე დიდი ხანია წარმოებს აგიტაცია მუშათა გაზეთის გამოსაცემად სახსრების შეგროვებისათვის. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ასეთი გაზეთის უქონლად არჩევნებში მონაწილეობა თითქმის ფიქტიურია. გაზეთი საარჩევნო კამპანიის მთავარი იარაღია, მასებს შორის მარქსისტული აგიტაციის მთავარი საშუალებაა.

მაგრამ საიდან შეიძლება ფულის შოვნა გაზეთისათვის?

საჭიროა მოეწყოს ფულის შეგროვება მუშებში. ეს შეგროვება ქმნის ფონდს და მოწმობს ამა თუ იმ ჯგუფის კავშირურთიერთობის ძალას. იგი ცხადყოფს მათს ავტორიტეტს, ნდობას მუშების მხრივ, მათს ნამდვილ გავლენას პროლეტარულ მასებზე.

და აი, მუშათა გაზეთისათვის ფულის ასეთი შეგროვება დაიწყო პეტერბურგში 1912 წლის დამდეგს. ნახევარი წელიწადი, 1 იანვრიდან 30 ივნისამდე საკმაო ვადაა. მონაცემები ფულის შეგროვების შესახებ ქვეყნდება ყველა ზემოდასახელებულ როგორც ლიკვიდატორულ, ისე ანტილიკვიდატორულ გაზეთში.

ნახევარი წლის ამ მონაცემებით მიღებული დასკვნები საუკეთესო მასალაა, აშკარა, სრული, ობიექტური, საბოლოო პასუხია რუსეთში ლიკვიდატორებისა და პარტიის ძალთა თანაფარდობის საკითხზე. ამიტომ დამატებაში ჩვენ მოვიყვანეთ სრული თარგმანი ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის ფულის შეგროვების შესახებ ნახევარი წლის ყველა ანგარიშისა თითქმის ყველა ზემოდასახელებული გაზეთიდან.

აქ მოგვყავს მხოლოდ შეჯამებული მონაცემები.

ნახევარი წლის განმავლობაში ანტილიკვიდატორულ გაზეთებში გამოქვეყნებულია ანგარიშები მუშათა ჯგუფებში ფულის 504 შეგროვებაზე, ე. ი. ისეთ შეგროვებაზე, რომელთა შესახებაც პირდაპირ მოყვანილია მუშათა იმ ჯგუფის დასახელება, სადაც შეგროვება მოხდა. ეს შეგროვება წარმოებდა რუსეთის 50 ქალაქსა და საფაბრიკო დაბაში.

იმავე ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე, ლიკვიდატორულ გაზეთებში გამოქვეყნდა ანგარიშები მუშათა ჯგუფებში ფულის 15 შეგროვების შესახებ. ეს შეგროვება მოხდა რუსეთის 5 ქალაქში *.

აი ეს ზუსტი ანგარიშები:

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშათა ჯგუფებში ფულის შეგროვება 1912 წ. 1 იანვრიდან 30 ივნისამდე

	ლიკვიდატორულ გაზეთებში	ანტილიკვიდატორულ გაზეთებში
იანვარი	0	14
თებერვალი	0	18
მარტი	7	76
აპრილი	8	227
მაისი	0	135
ივნისი	0	34
	15	504

იგივე: რუსეთის მთავარი რაიონები

პეტერბურგი	10	415
სამხრეთ რუსეთი	1	51
მოსკოვი	2	13
ჩრდილოეთი და დას. რუსეთი	1	12
ურალი და ვოლგა	0	6
კავკასია, ციმბირი, ფინეთი	1	7
	15	504

* წინაალმდეგ ჰორებისა, რომლებსაც ლიკვიდატორები ავრცელებენ, ფულის სწორედ ამ შეგროვებამ, რამაც 12 000 მარკაზე მეტი შეადგინა,

პარტიის წინააღმდეგ ნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ ლიკვიდატორები სავსებით დამარცხდნენ.

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა მოძრაობაში ლიკვიდატორები სრულ ნულს შეადგენენ. ამას ამტკიცებენ ზემომოყვანილი მონაცემები, რომელთა შემოწმება ყველას შეუძლია. ასეთია მთელი ნახევარი წლის მანძილზე რუსეთში გამოქვეყნებული ფაქტები, წინააღმდეგ ტროცკისა და ლიკვიდატორების კვეხნისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტროცკი «ჟივოე დელოს» თანამშრომელია. შემდეგ, თვითონ ლატვიელები 24 ივნისის წერილში აღიარებენ, რომ ექვსივე ჯგუფი — მათ შორის ტროცკი, მენშევიკური «გოლოსი», გაზეთების «ჟივოე დელოს» და «ნევსკი გოლოსის» ხელმძღვანელები — ქმნიან ეგრეთწოდებულ ორგანიზაციულ კომიტეტს. ამიტომ ჩვენი მონაცემები ამტკიცებენ, რომ არა მარტო ლიკვიდატორები, არამედ ყველა მათი ყოყოჩა საზღვარგარეთელი მეგობრებიც სრულ ნულს შეადგენენ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა მოძრაობაში.

მათ მხარეზეა საშუალოდ მხოლოდ ერთი მუშათა ჯგუფი ოცდაათ მუშათა ჯგუფზე რუსეთში.

აქ მოგვყავს აგრეთვე პეტერბურგის ყველა სოც.-დემ. გაზეთის მისამართები და გამოსვლის დღეები.

ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი:

1. «ჟივოე დელო». პეტერბურგი, ბ. მოსკოვსკაია, 16. № 1 — 1912 წ. 20 იანვარი, № 16 და უკანასკნელი — 1912 წ. 28 აპრილი (დახურულია).

2. «ნევსკი გოლოს». პეტერბურგი, კოლოკოლნაია, 3. № 1 — 1912 წ. 20 მაისი, № 5 — 1912 წ. 28 ივნისი (არსებობს დღემდე — 1912 წ. 29 ივლისამდე).

აგრეთვე გერმანელი ამხანაგების წინანდელმა დახმარებამ შექმნა ძირითადი ფონდი ჩვენი სოც.-დემ. პრესისა რუსეთში. ტექსტში მოხსენებული სრული თარგმანი ფულის შეგროვების შესახებ სხვადასხვა სოც.-დემ. გაზეთში ნახევარი წლის მანძილზე მოთავსებული ყველა ანგარიშისა გაეგზავნა გამგეობას, საკონტროლო კომისიას და ბებელს.

ანტილიკვიდატორები:

3. «ზვეზდა». პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 10, ბინა 14. № 1 (37) — 1912 წ. 6 იანვარი, № 33 (69) — 1912 წ. 22 აპრილი (დახურულია).

4. «ნევსკაია ზვეზდა». პეტერბურგი, ნიკოლაევსკაია, 33, ბინა 57. № 1 — 1912 წ. 26 თებერვალი, № 2 — 1912 წ. 3 მაისი, № 14 — 1912 წ. 24 ივნისი (არსებობს დღემდე).

5. «პრავდა». პეტერბურგი, ნიკოლაევსკაია, 37, ბინა 18. № 1 — 1912 წ. 22 აპრილი, № 53 — 1912 წ. 30 ივნისი (არსებობს დღემდე).

დასკვნა

სათათბიროს მომავალ არჩევნებში რსდმ პარტიის კანდიდატებს დაასახელებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები განურჩევლად შეხედულებისა და მიმართულებისა. სოციალ-დემოკრატ მუშათა უმცირესობა ყველგან უნდა დაემორჩილოს უმრავლესობას.

ყბადაღებული ორმაგი კანდიდატურები მხოლოდ სისულელეა, რომლის დანიშნულება მარტოოდენ საზღვარგარეთელი ამხანაგების დაშინება და ფულის ამოქაჩვაა.

ისღა გვაკლია, რომ ყბადაღებული ათი «მიმართულება» გვაშინებდეს ათი კანდიდატურით და საზღვარგარეთ თხოულობდეს ფულს თვითეული კანდიდატისათვის.

ორმაგი კანდიდატურები არ იქნებიან. ლიკვიდატორები იმდენად სუსტი არიან, რომ მათ სრულებით არ ძალუძთ წამოაყენონ მეორე კანდიდატურები. ჩვენ არავითარ მოლაპარაკებას არ ვეწევით ერთ მუჭა ლიკვიდატორებთან, რომლებმაც პარტიას უღალატეს. რუსეთში არც ცენტრალური კომიტეტი, არც ადგილობრივი ორგანიზაციები სერიოზულად არ უწევენ ანგარიშს ლიკვიდატორებს. ყურადღება მიაქციეთ, მაგალითად, პეტერბურგში მომხდარ უკანასკნელ ამბებს. ლიკვიდატორები გაზეთ «ნევსკი გოლოსში» (№ 6) იუწყებოდნენ, რომ პეტერბურგში მათთან (ლიკვიდატორებთან) წარმოებდა თათ-

ბირები საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ. როგორც «ნევსკაია ზვეზდამ» (№16), ისე «პრავდამაც» (№ 61) 21 და 23 ივლისს გამოაცხადეს, რომ თათბირზე მათ თავიანთი წარმომადგენლები არ გაუგზავნიათ; გარდა ამისა, თათბირის ერთმა მონაწილემ «ნევსკაია ზვეზდაში» განაცხადა, რომ მუშები მთელ რუსეთში გაატარებენ რსდმ პარტიის იანვრის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

«სხვადასხვა მიმართულებათა გაერთიანება», — განაცხადა მან, მზედველობაში ჰყავდა რა ლიკვიდატორები, — «სრულიად წარმოუდგენელია სოც.-დემ. საარჩევნო კამპანიაში» («ნევსკაია ზვეზდა» № 16, 1912 წ. 8 (21) ივლისი).

მსოფლიოში ვერავითარი ფულადი დახმარება ვერ მოუპოვებს ლიკვიდატორებს რუსეთის მუშების თანაგრძნობას. მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, რომ გამგეობის ფულით შესაძლებელია ფიქტიური მეორე კანდიდატურების წამოყენება სხვადასხვა ადგილებში. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ასეთი კანდიდატურებისათვის, რომლებიც ფაქტიურად გერმანული გამგეობის კანდიდატურები იქნებიან, რა თქმა უნდა, გამგეობას დაეკისრება. **ფულს, რომელიც ლიკვიდატორებს მიეცემათ, ისინი, რადგან ყოველდღიური გაზეთი არა აქვთ, მოიხმარებენ მეტოქე ორგანოს დასაარსებლად. ამ ფულს გათიშვის მოსაწყობად გამოიყენებენ ისინი, ვინც მრავალი წლის ბრძოლაში დაამტკიცა თავისი არარაობა, ფული გამოყენებული იქნება მისვლა-მოსვლისათვის და სხვ., ახალი პარტიის დაარსებისათვის.** — თუ გამგეობას სურს ამჟამად ამა თუ იმ გზით დაეხმაროს ლიკვიდატორებს, იგი გვაიძულებს, მიუხედავად მთელი ჩვენი პატივისცემისა გერმანიის მოძმე პარტიისადმი, მივმართოთ ინტერნაციონალს. მაშინ ჩვენ ვენის საერთაშორისო კონგრესს[59] დოკუმენტურად დავუმტკიცებთ, რომ გამგეობამ მზადყოფნა გამოთქვა ფულადი დახმარების საშუალებით ხელი შეუწყოს გათიშვას ჩვენში, წარმოშვას ორმაგი კანდიდატურები და გამოაცოცხლოს ეს ლეში — განადგურებული ლიკვიდატო-

რები. თუ გერმანელ ამხანაგებს სურთ დაეხმარონ რსდმ პარტიას, მათ ფული უნდა გადასცენ ძველი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და არა იმათ, რომლებიც ახალ პარტიას ქმნიან.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

მას შემდეგ, რაც გამგეობამ გააუქმა ნავარაუდევი თათბირი, მან შეგვატყობინა, რომ «არ შეგვიძლია მივცეთ ფული არც ერთ პარტიულ ჯგუფს რუსეთში საარჩევნო ბრძოლისათვის მანამდე, სანამ ყველანი ერთად არ მიგვითითებენ ჩვენ (გამგეობას) ისეთ დაწესებულებაზე, რომელიც საყოველთაო ნდობით სარგებლობს და უფლებამოსილია მიიღოს და გაანაწილოს ფულიო».

გამგეობის ეს მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი ნამდვილად იმაში მდგომარეობს, რომ მან უარი თქვა მხარი დაუჭიროს მუშათა პარტიას რუსეთში იმის გამო, რომ ამ პარტიას ცილი დასწამეს საზღვარგარეთის მცირე ჯგუფებმა და ლიკვიდატორთა «კონფერენციამ».

ზემოთ გამოთქმული შენიშვნების დამატებით ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია დავსძინოთ კიდევ შემდეგი.

რუსეთის გაზეთები, რომლებიც ლეგალურად არსებობენ და რომლებსაც მარქსისტული სულისკვეთებით ეწევა ხელმძღვანელობა, ამჟამად პარტიის სააგიტაციო მუშაობასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან აშკარა რუპორს წარმოადგენენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასებისათვის.

საზღვარგარეთ გამომავალ, რუსეთისათვის არალეგალურ გაზეთებს არსებითად არ შეუძლიათ პრეტენზია ჰქონდეთ, რომ ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ზემოთ დასახელებულ გაზეთებს, თუმცა მათი პრინციპული მნიშვნელობა მოძრაობის თეორიული გაშუქებისათვის, უეჭველია, მეტისმეტად დიდია. ცნობილია, ასეთ გაზეთებს რა ადვილად და ზოგჯერ წინდაუხედავად აარსებენ საზღვარგარეთ

გაფანტული რუს ემიგრანტთა პატარა ჯგუფები; ეს გაზეთები უბადრუკად ბოგინობენ თვით ამ ჯგუფებს შორის და თითქმის არ ხვდებიან პარტიის რუს წევრთა ხელში. ამიტომ მათ არსებითად არ შეიძლება მიეწეროთ რამდენადმე შესამჩნევი მნიშვნელობა რუსეთის პარტიული ცხოვრებისათვის.

ანტილიკვიდატორული გაზეთების ნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ (1912 წ. იანვრიდან ივნისამდე) არის ლიკვიდატორების ერთადერთი ორგანო — «ნევსკი გოლოსი». ამ გაზეთმა როგორც პოლიტიკურმა ორგანომ თითქმის შეწყვიტა არსებობა; თვენახევრის განმავლობაში (ივნისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე) გამოვიდა მხოლოდ ორი ნომერი (6 და 7). ცხადია, რომ ვერც ერთი ასეთი გაზეთი ვერ გაუძლებს პოლიციის მიერ დევნას, რაც რუსეთში მძვინვარებს ყველა მუშათა და თვით ბევრი სავსებით ზომიერი ლიბერალური გაზეთის წინააღმდეგ, თუ იგი სასიცოცხლო ძალას მუშათა მასებთან მჭიდრო კავშირიდან არ იღებს.

ახლა ასეთი, დიდი პოლიტიკური და უშუალო აქტუალური მნიშვნელობის მუშათა გაზეთებია: ყოველკვირეული «ნევსკაია ზვეზდა» და ყოველდღიური გაზეთი «პრავდა». ორივე გაზეთი პეტერბურგში გამოდის; ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წრიდან მათ აბუჩად ასაგდებად «ლენინის ჯგუფის» ორგანოებს უწოდებენ. ზემოთ მოყვანილი ობიექტური მონაცემებით, რომლებიც ყოველთვის შეიძლება აშკარად შემოწმდეს, ჩვენი გერმანელი ამხანაგებისათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ეს «ლენინის ჯგუფი» სინამდვილეში რუსეთის სოციალ-დემოკრატ მუშათა უდიდეს უმრავლესობას მოიცავს.

აქედან სავსებით გასაგებია, რატომ არ არის ნდობის ოდნავი უფლების ღირსი ყველა ცნობა, რომელიც ლიკვიდატორების და მათი თანამგრძნობი ჯგუფებისა და მცირე ჯგუფების წრიდან მომდინარეობს. ყველა ხმები, რომლებიც ამ მცირე ჯგუფებმა და მათთან ერთად ებრაელმა (ბუნდი) და რუსეთის მოძრაობასთან უშუალო კავშირის სრულიად

არამქონე ლატვიელმა ს.-დ-ებმა გაავრცელეს იმის შესახებ, რომ მოწვეულია თუ თითქოს მოწვეულ იქნება ყველა «მიმართულების» საყოველთაო კონფერენცია[60], წმინდა წყლის ჭორია. ვერავითარი ასეთი კონფერენცია, თუნდაც იგი მართლა შედგეს, რამდენადმე სერიოზულ როლს ვერ შეასრულებს რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაში. მაშასადამე, არსებითად, თუ კი გადავწყვეტთ მკვახე სიტყვა ვიხმაროთ, აქ საქმე გვაქვს თაღლითობასთან.

ჩვენს გერმანელ პარტიულ ამხანაგებს უფრო კარგად რომ გავუშუქოთ უეჭველად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, დასასრულ მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს ლიკვიდატორთა ერთ-ერთი ლიდერის აქსელროდის სტატიიდან, რომელიც ყოველკვირეულ «ნაშა ზარიას» უკანასკნელ წიგნაკშია დაბეჭდილი.

აქსელროდი წერს:

«აზრი «არაფრაქციული» სოციალ-დემოკრატიული... ორგანოს შესახებ ამჟამად უტოპიაა და ამასთან ისეთი უტოპია, რომელიც... ეწინააღმდეგება პარტიულ-პოლიტიკური განვითარების... ინტერესებს. ჩვენში ორგანიზაციულად-ჩამოყალიბებული ფრაქციები, შეიძლება ითქვას, არ არის; მათ ნაცვლად არიან სხვადასხვა წრეები და მცირე ჯგუფები, რომელთაგან ერთნი ცოტად თუ ბევრად გარკვეულ პოლიტიკურ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებებს ადგანან, მეორენი კი აქეთ-იქით ქანაობენ და ფეხში ედებიან პირველებს... შინაპარტიული კინკლაობის ცენტრალური პუნქტი და მთავარი წყაროა, ერთი მხრივ, სხვადასხვა პარტიული წრეების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ახალი, ღია, სოციალ-დემოკრატიული და მუშათა მოძრაობისადმი, ხოლო მეორე მხრივ — არსებითა უთანხმოებანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი პოლიტიკური ამოცანების დარგში და პოლიტიკურ ტაქტიკაში. როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის საკითხები... განსაკუთრებით მწვავე, საჭირბოროტო... ხდება სწორედ ახლა... და სწორედ ამ საკითხების გამო რუსეთის სოციალ-დემოკრატია ორ მთავარ ბანაკად არის გათიშული... საკითხავია, ნავარაუდევი (ზოგიერთი მუშის მიერ პეტერბურგში და ბევრი ინტელიგენტის მიერ საზღვარგარეთ) მუშათა ორგანო შეძლებს თუ არა ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის და პრინციპულად დასაშვებია თუ არა ასეთი პოზიცია? ცხადია, არა... პარტიაში საქმის ასეთი მდგომარეობის დროს ლაპარაკი «არაფრაქციულობაზე», როგორც ერთადერთ მხსნელ საშუალებაზე — ნიშნავს... ვიტყუებდეთ თავს

და ვატყუებდეთ სხვებს სოციალ-დემოკრატიაში საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ... ფრაქციული გაფორმება და შემჭიდროება პირდაპირი მოვალეობა და გადაუდებელი საქმეა პარტიული რეფორმის ან, უფრო სწორად, რევოლუციის» (პარტიაში) «მომხრეებისა».

უკანასკნელ სიტყვებში აქსელროდი, როგორც ჩანს, ლაპარაკობს ლიკვიდატორებზე... ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვურჩიოთ ჩვენს გერმანელ პარტიულ ამხანაგებს, თუ მათ სხვადასხვა მხრიდან დაუწყებენ ლაპარაკს «არაფრაქციულობის» შესახებ ან არაფრაქციული კონფერენციის შესახებ — ლიკვიდატორების მონაწილეობით, — საკითხში უკეთ გასარკვევად მოითხოვონ აქსელროდის მთელი დასახელებული სტატიის თარგმნა გერმანიის სოც.-დემ. პრესისათვის. მაშინ შეიძლება სწორი წარმოდგენის შედგენა ზოგიერთ ზღაპარზე.

რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია

საიდუმლოდ! ს.-დ. პარტიების მხოლოდ ორგანიზებული წევრებისათვის!

პოსტსკრიპტუმი

ბრაუშურისა: «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში»

დღეს, 1912 წ. 15 სექტემბერს, პარიზზე გამოგზავნით მივიღეთ გამგეობის შემდეგი წერილი, რომელმაც განსაკუთრებით ცხადად უნდა უჩვენოს გერმანელ ამხანაგებს, თუ რა მართალი ვიყავით, როცა პროტესტს ვაცხადებდით გამგეობის კერძო, უპასუხისმგებლო «ინფორმატორების» წინააღმდეგ, რომლებსაც აშკარად გამოსვლისა ეშინიათ.

პარტიის გამგეობა ამა თვის 10 რიცხვს წერს შემდეგს:

ბერლინი, 10 სექტემბერი, 1912.

ძვირფასო ამხ. კუზნეცოვ!

გთხოვთ, თუ შეიძლებოდეს, გვაცნობოთ, მართალია თუ არა, რომ იმ საარჩევნო ოლქებს, რომლებშიც სახ. სათათბიროს არჩევნების დროს მიღწეულია ყველა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შეთანხმება, სხვათა შორის, ეკუთვნიან:

ეკატერინოსლავი, ხარკოვი, ქალ. მოსკოვი და მოსკოვის გუბერნია, დონის ოლქი და ქალ. ოდესა. გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ ეს ცნობები მისამართით: გ. მიულერი, ხ ე მ ნ ი ც ი.

თუ 17 სექტემბრამდე არავითარ ცნობას არ მივიღებთ, მივიჩნევთ, რომ ზემომოყვანილი ცნობა სინამდვილეს შეეფერება.

პარტ. სალამით გ. მ ი უ ლ ე რ ი

ამ წერილზე ჩვენ შემდეგი პასუხი გავგზავნეთ:

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას.

ძვირფასო ამხანაგებო! თავისთავად გასაგებია, რომ ყველაფერი, რაც გამგეობას ეცნობა, დამყარებულია სიცრუეზე, რომ ყველაფერი ეს ლიკვიდატორთა ყმინდა წყლის მონაჭორია. ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ეს ზღაპარი გამგეობისათვის შეიძლება ეცნობებინათ მხოლოდ ლატვიელებს, ბუნდელებს ანდა ტროცკის მომხრეებს, რომლებმაც მხოლოდ ამას წინათ დახურეს «თავიანთი» კონფერენცია, რომლისთვისაც მათი სურვილი კი იქნებოდა დაერქმიათ «პარტიული კონფერენცია», მაგრამ რომელიც ნამდვილად ლიკვიდატორთა კონფერენცია იყო. რომ არ მოვიყვანოთ არაფერი ისეთი, რის დადასტურებაც არ შეიძლება, და რომ არ მოვიყვანოთ ციტატები ჩვენი ორგანიზაციული მიწერ-მოწერიდან, აქ დავჯერდებით მხოლოდ იმას, რომ მივუთითებთ პეტერბურგში გამოქვეყნებულ ერთ დოკუმენტზე.

პეტერბურგის ყოველდღიური მარქსისტული გაზეთის «პრავდის» 1912 წ. 28 აგვისტოს (ახ. სტ. 10 სექტემბრის) 102-ე ნომერში დაიბეჭდა ხარკოვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქარხნიდან გამოგზავნილი და სპეციალურად სათათბიროს არჩევნებისადმი მიძღვნილი წერილი. ამ წერილში პირდაპირ და აშკარად არის ნათქვამი, რომ «ლიკვიდატორთა კანდიდატების გვარები ჯერჯერობით არ ყოფილა გამოქვეყნებული» და რომ ეს უკანასკნელნი «უარყოფენ მუშათა პარტიის საჭიროებას» («პრავდა» № 102, გვ. 4, სვეტი 1).

მარტო აქედანაც გერმანელ ამხანაგებს შეუძლიათ დაინახონ, რა უსინდისოდ ატყუებენ მათ ლატვიელები, ბუნდელები, ტროცკის მომხრეები და ყველა მსგავსი კერძო ინფორმატორები. ცხადია, საქმე ის არის, რომ მათ ყველას და, რა თქმა უნდა, კავკასიელებსაც სურდათ მიეღოთ ფული ვითომდა არსებული «ორგანიზაციების» სახელით, რომელთა არსებობასაც ვერ დაადასტურებს და ვერ შეამოწმებს ვერც პარტიის გამგეობა, ვერც სხვა ვინმე.

ნუთუ გერმანიის პარტიას თავისი 90 სოციალ-დემოკრატიული ყოველდღიური გაზეთით — თუ მას არ სურს სახელი გაიტეხოს რუსეთის პარტიულ საქმეებში გაურკვევლობით — არ შეუძლია დაიწყოს დისკუსია რსდმ პარტიის შესახებ და აშკარად აიძულოს ყველა ინფორმატორი, რომელიც დღის სინათლეს ემალება, გამოვიდეს თავისი ხელმოწერით და საბუთებით?

რუსეთი მაინც იმდენად არ არის დაშორებული, როგორც ცენტრალური აფრიკა, და გერმანიის სოციალ-დემოკრატ მუშებს შეუძლიათ ძალღონის დაუძაბავად გამოარკვიონ ჭეშმარიტება და ამით გამგეობის გერმანელი წევრებიც გაათავისუფლონ კერძო პირთა, შ ე მ ო წ მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ი უ წ ვ დ ო მ ე ლ ი ზღაპრების მოსმენისაგან.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის
დავალებით

ნ. ლენინი

დაწერილია: ბროშურა 1912 წ.
ივლისში, პოსტსკრიპტუმი
სექტემბერში

დაბეჭდილია 1912 წელს ცალკე
ბროშურად გერმანულ ენაზე
ლაიფციგში

იბეჭდება
ბროშურის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

თავდაპირველი პოსტსკრიპტუმი ბროშურისა «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში»[61]

მას შემდეგ, რაც ზემოთ დაწერილი სტრიქონები უკვე ასაწყობად იყო გადაცემული, ჩვენ მივიღეთ «ნევსკი გოლოსის» № 7, რომელიც ძველი სტილით 17 აგვისტოს გამოვიდა პეტერბურგში. მაშასადამე, ლიკვიდატორების გაზეთის გამოცემა განახლდა 1½ თვის შეწყვეტის შემდეგ. (ამ ყოველკვირეული გაზეთის წინა ნომერი, № 6, გამოვიდა 5 ივლისს ძველი სტილით.)

თვით «ნევსკი გოლოსის» მე-7 ნომერში დაბეჭდილი ცნობები საუკეთესოდ ადასტურებენ რუსეთში ლიკვიდატორების ფაქტიური მნიშვნელობის იმ შეფასებას, რაც (შეფასება) მოცემულია ჩვენი ცენტრალური კომიტეტის წერილში **Vorstand**-ისადმი *.

მართლაც, ივლისის დამდეგს გაზეთის გამოცემა წყდება. ლიკვიდატორებისა და მათი მეგობრების მთელი ღონისძიებანი მიმართულია, თავისთავად იგულისხმება, იქითკენ, რომ განაახლონ მისი გამოცემა. თვენახევრის მანძილზე (ივლისი და აგვისტოს ნახევარი) ამ ღონისძიებათა შედეგების შესახებ თვით «ნევსკი გოლოსი» მე-7 ნომერში იუწყება შემდეგს:

---

* — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობისადმი. რედ.

«გაზეთის სახსრების გასაძლიერებლად გაზეთის კანტორაში შემოვიდა:

ივლისი. 14 პირისაგან 25 მ. თვითეულისაგან (ი. ფ., პ., გ., მ. ი., კ., ლ., კ. ფ., ლ., ბ., ვშ., ლვ., ვლ., ვ. პ., მოსკ-დან ბ-საგან); რ-ს ხელით — 50 მ.; მ-საგან — 11 მ.; შხ-საგან — 11 მ.; 8 პირისაგან 10 მ. თვითეულისაგან (ე., ი., ის., შ., რფ., ავგ., ობ., პ. ო.); ხ. ი-საგან — 8 მ.; ს-საგან — 7 მ.; ხ-საგან — 5 მ.; ბ. ბ-საგან — 5 მ.; ფ-საგან — 6 მ.; მ. ბ-საგან — 5 მ.; ლიბავიდან — 5 მ.; გმპ — 3 მ. სულ 546 მან.

აგვისტო. ვულფსონისაგან (ციურიხი) — 10 მ.; მისგანვე — 3 მ. 57 კ.; ბენზიასაგან (ციურიხი) — 15 მ.; გ-საგან (კიშინ.) — 20 მ.; აზ-ვისაგან (ასტრახანი) — 3 მ.; სპ-საგან (ბოგოროდსკი) — 15 მ.; ვ. ვ-საგან — 6 მ.; ე. ე. ფ-საგან — 59 მ.; დუბელნიდან ს-ს ხელით — 20 მ.; მოსკ-დან ბ-საგან — 25 მ.; ე. ლ-საგან — 10 მ.; ლ. ლ-საგან — 12 მ.; მ. გრ-საგან — 3 მ.; მოსკ. საინიც. ჯგ-საგან — 35 მ.; ბ. ბ-საგან — 5 მ.; ბ-საგან — 5 მ.; ლ. ლ-ს ხელით ან. კონსტ-საგან ძვ. პეტერგ-დან — 6 მ.; მეგობართა ჯგუფისაგან პარიზიდან — 8 მ. 54 კ.; პავლოგრადიდან ბ-საგან — 20 მ. სულ 281 მან. 11 კაპ.»

ასეთია თვით ლიკვიდატორების მიერ დაბეჭდილი ანგარიში. თვენახევრის განმავლობაში მათი მუშაობისა და მასებთან მათი კავშირის სურათი შემდეგია:

სულ შეგროვებულია.....	**827 მ. 11 კაპ.**	
აქედან		
მოსკოვის საინიციატივო ჯგუფი.....	35 მ.	—
პარიზელი მეგობრების ჯგუფი.....	8 მ.	54 კაპ.
ცალკეულ პირთა კერძო შენატანები:		
35 შენატანი სულ.....	708 მ.	
15 » »	75 მ.	57 კაპ.
სულ	827 მ.	11 კაპ.

ყველასათვის ცნობილია, და პლეხანოვმა ჯერ კიდევ 1912 წლის აპრილში პრესაში განაცხადა («დნევნიკ სოციალ-დემოკრატა» № 16), რომ «ს ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ო ჯ გ უ ფ ე ბ ი» ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ თ ა ჯგუფებია.

მაშასადამე, ლიკვიდატორებს დაეხმარნენ, მათი ორგანოს შეჩერების ყველაზე ძნელ მომენტში,

ე რ თ ი ჯგუფი ლიკვიდატორებისა რუსეთში

ე რ თ ი ჯგუფი მეგობრებისა პარიზში

35 შეძლებული პირი 20 მან. საშუალო შენატანით (40 მარკაზე მეტით თვითეული)

15 ცალკე პირი 5 მ. საშუალო შენატანით (10 მარკაზე მეტით თვითეული).

განა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს უფლება არა ჰქონდა ემტკიცებინა, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობაში ლიკვიდატორები სრული ნული არიან?

ლიკვიდატორები მიუთითებენ «კავკასიის საოლქო კომიტეტზე». კავკასიის **არც ერთი მუშათა ჯგუფისაგან** 1½ თვის განმავლობაში მათ ერთი შენატანიც არ შეუგროვებიათ.

ლიკვიდატორებს სურთ ისარგებლონ ბუნდისა და ლატვიის ს.-დ. ორგანიზაციის დახმარებით. არც ბუნდის და არც ლატვიელების **არც ერთი** მუშათა ჯგუფისაგან მათ 1½ თვის განმავლობაში არც ერთი შენატანი არ შეუგროვებიათ.

გაზეთ «პრავდაში», ანტილიკვიდატორების პეტერბურგის ყოველდღიურ ორგანოში, იმავე 1½ თვის განმავლობაში (ივლისი — 14 აგვისტო) დაბეჭდილია ანგარიშები მ უ შ ა თ ა შ ო რ ის ს ა ხ ს რ ე ბ ის 41 ჯ გ უ ფ უ რ ი შ ე გ რ ო ვ ე ბ ი ს შესახებ რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან, მათ შორის ნავთის (თერგის ოლქის გროზნოს) სარეწების მუშებისაგან («პრავდის» № 60) და ლიბავის ებრაელი მუშებისაგან («პრავდის» № 67). თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ მუშების ეს დახმარება «კავკასიის საოლქო კომიტეტის», ლატვიელებისა და ბუნდის ფრაზებსა და დეკლამაციებზე უფრო სერიოზულია.

ვერავითარი დახმარება ქვეყნად და ვერავითარი «კონფერენციები» ლატვიელებთან, ბუნდთან და სხვ. ლიკვიდატორულ ნ ულ ს ვერ გადააქცევენ ერთეულად რუსეთის მუშათა მოძრაობაში.

დაე გერმანელმა ამხანაგებმა იკისრონ არც თუ ძლიერ დიდი შრომა და შეაგროვონ დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი რსდმ პარტიის მდგომარეობის შესახებ და შეამოწმონ ისინი — რუსეთი მაინც ცენტრალური აფრიკა როდია, რომლის შესახებაც შეიძლება როგორიც გნებავთ «ნადირობის ამბების» მოყოლა. ალბათ, გერმანელ ამხანაგებს სურთ ბოლო მოუღონ ასეთ უცნაურ, **gelinde gesagt** *, მდგომარეობას, როცა იტალიის, შვეიცის და ყოველი სხვა სოციალიზმის შესახებ მათ აუწყებენ საქვეყნოდ დაბეჭდილი დოკუმენტებით, ხოლო რუსეთის სოციალიზმის შესახებ კერძოდ გადაცემული ზღაპრებითა და ჭორებით.

დაწერილია 1912 წ. აგვისტოში
იბეჭდება პირველად

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* — რბილად რომ ეთქვათ. რ ე დ.

კაპიტალიზმი და სახალხო მოხმარება

ამას წინათ ფრანგულმა ჟურნალმა «მეცნიერულმა მიმოხილვამ»[62] გამოაქვეყნა მონაცემები მარგარინის წარმოების შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მონაცემებმა კიდევ და კიდევ გაგვახსენეს უკვე დიდი ხნის შემჩნეული ფაქტი, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად უარესდება ხალხის კვება.

მარგარინს, როგორც ცნობილია, უწოდებენ განსაკუთრებული წესით დამუშავებულ ქონს (ქონიდან გამოყოფილია სტეარინი). ამ მარგარინიდან ამზადებენ ხელოვნურ კარაქს — მარგარინის კარაქს.

მარგარინის წარმოება ევროპის მთავარ ქვეყნებში ძლიერ გაიზარდა. გერმანია წელიწადში ამზადებს $12^1/_2$ მილიონ ფუთ მარგარინს, ინგლისი — $7^1/_2$ მილიონ ფუთს და ა. შ.

მარგარინი ნამდვილ კარაქზე იაფია. კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ნამდვილი კარაქის ყიდვის შეძლება არა აქვს. მუშები ისე მცირე ხელფასს იღებენ, რომ მათ უხდებათ იაფი, დაბალი ხარისხის, ნაყალბი პროდუქტების ყიდვა. ხოლო მთავარი მომხმარებელი ხომ მუშები არიან. მუშები მილიონებია, კაპიტალისტები — ასეულები. და აი იაფი, ნაყალბი პროდუქტის წარმოება იზრდება არა დღეობით, არამედ საათობით — ერთი მუჭა მილიონერების უმაგალითო ფუფუნების ზრდასთან ერთად.

იზრდება ბურჟუაზიის სიმდიდრე. იზრდება პროლეტარიატისა და მრავალი გაჩანაგებული წვრილი მეპატრონის, გლეხის, ხელოსნის, წვრილი ვაჭრის სიღატაკე და გაჭირვება.

საგულისხმოა, რომ მარგარინის მოხმარება ყველაზე დიდია სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც განსაკუთრებით განთქმული არიან იმით, რომ იქ დიდი რაოდენობით მზადდება ძროხის საუკეთესო ხარისხის კარაქი. რომ გავიგოთ, თუ რაოდენ დიდია მარგარინის მოხმარება, სახელმწიფოში დამზადებული მარგარინის მთელი რაოდენობა (იმპორტის მიმატებით და ექსპორტის გამოკლებით) უნდა გავყოთ მცხოვრებთა რაოდენობაზე.

ირკვევა, რომ მარგარინის მოხმარების ოდენობის მხრივ პირველ ადგილზე დგას დანია — 16,4 კილოგრამი მარგარინი წელიწადში (ერთ ფუთამდე) თვითეულ მცხოვრებზე. შემდეგ მოსდევს ნორვეგია — 15 გირვანქა, გერმანია — 7½ გირვანქა და ა. შ.

დანია ყველაზე მდიდარი ქვეყანაა კარაქის წარმოების მხრივ. დანიური კარაქი, ნამდვილი ძროხის კარაქი, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. მსოფლიოს ყველაზე დიდი და ყველაზე მდიდარი ქალაქი ლონდონი (მიდამოებიანად 6 მილიონამდე მცხოვრები) უფრო ეტანება დანიურ კარაქს და იხდის მასში ყველაზე მაღალ ფასს.

დანიის შეძლებული გლეხები, ყველაზე მეტად კი დანიის კაპიტალისტები დიდ ფულს შოულობენ კარაქის ვაჭრობით. და ამავე დროს დანია მსოფლიოში პირველი ქვეყანაა ნაყალბი კარაქის, მარგარინის მოხმარების მხრივ!

რით უნდა აიხსნას ეს?

ძალიან უბრალოდ. დანიის მოსახლეობის, ისევე როგორც ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის მოსახლეობის, უდიდეს უმრავლესობას მუშები და ხელმოკლე გლეხები შეადგენენ. ნამდვილი კარაქის ყიდვის შეძლება მათ არა აქვთ. დანიის საშუალო გლეხებიც კი, რადგან ფული უჭირთ, მათს მეურნეობაში დამზადებულ ძროხის კარაქს საზღვარგარეთ ყიდიან, ხოლო თავისთვის იაფ მარგარინს ყიდულობენ. იზრდება დანიელ კაპიტალისტთა სიმდიდრე, — იზრდება დანიელ მუშათა და გლეხთა სიღატაკე და გაჭირვება.

ჩვენში, რუსეთში იგივე ხდება. ძლიერ დიდი ხნის წინ, ორმოციოდე წლის წინათ, როცა სოფლებში მოდად იქცა ყველის ქარხნებისა და არტელების მოწყობა, დემოკრატმა მწერალმა ენგელგარდტმა შენიშნა, რომ გლეხები, ფული რომ უჭირთ, რძესა და კარაქს ყიდიან, ხოლო ბავშვები შიმშილობენ და იხოცებიანო.

მას შემდეგ ბევრჯერ აღუნიშნავთ ეს მოვლენა. იზრდება ყველის წარმოება, იზრდება რძის წარმოება გასაყიდად, მდიდრდებიან მცირეოდენი შეძლებული გლეხები და ვაჭრები, — ხოლო ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან. ღარიბ გლეხთა შვილები ურძეოდ რჩებიან და დიდი რაოდენობით იხოცებიან. ბავშვთა სიკვდილიანობა რუსეთში მეტისმეტად დიდია.

ხშირად რძე მიაქვთ ყველის ქარხნებში, ხოლო გლეხები უკან იღებენ მ ო ხ დ ი ლ რ ძ ე ს, რომელსაც საჭმელად ხმარობენ.

მდიდრებს — შემოსავალი წარმოების ზრდისა და ვაჭრობისაგან, ხოლო მუშებსა და გლეხებს — მარგარინი და მოხდილი რძე. ასეთია კაპიტალისტური სინამდვილე, რომელსაც ასე გულმოდგინედ აფერადებენ ლიბერალი და ოფიციალური მეცნიერები.

«პრავდა» № 70, 1912 წ. 20 ივლისი
ხელმოწერა: ბ. ბ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ლიბერალები და კლერიკალები

სამღვდელოება აპირებს აავსოს IV სათათბირო.

როგორ უნდა მოვეკიდოთ სამღვდელოების ამ გამოსვლას პოლიტიკურ ასპარეზზე?

დემოკრატია არასოდეს არ შეიძლება იდგეს იმ თვალსაზრისზე, რომ სამღვდელოება მონაწილეობას არ უნდა იღებდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს არქირეაქციული თვალსაზრისია. იგი იწვევს მხოლოდ კაზიონურ ფარისევლობას და სხვას არაფერს. ცხოვრებაში აბსოლუტურად შეუძლებელი, განუხორციელებელია ყოველგვარი ღონისძიებანი, რომლებიც პოლიტიკას და კლასობრივ ბრძოლას აშორებენ მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფს ან ნაწილს.

გავიხსენოთ, რომ ბებელი და გერმანიის სოციალ-დემოკრატები გერმანიაში იეზუიტების აგიტაციის თავისუფლების მომხრენი იყვნენ. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ლიბერალური ფრაზებისა იეზუიტების აგიტაციის «აკრძალვის» შესახებ, — ამბობდნენ ს.-დ-ები. ჩვენ არ გვეშინია იეზუიტებისა. დაე იეზუიტებს აგიტაციის ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ჰქონდეთ, — მაგრამ ჩვენთვისაც, სოციალ-დემოკრატებისთვისაც, უზრუნველყონ აგიტაციის სრული თავისუფლება. აი როგორ მსჯელობდნენ ბებელი და გერმანიის სოციალ-დემოკრატები.

რუსეთში მუშა დემოკრატები იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ მემამულეების ან სამღვდელოების და სხვ. სასარგებლოდ გაყალბებულ იქნეს საარჩევნო (და ყოველგვარი სხვა) უფლება და სრულებითაც არა იმის წინააღმდეგ, რომ სამღვდელოებამ თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ვდგავართ კლასობრივი

ბრძოლის თვალსაზრისზე და მოვითხოვთ პოლიტიკაში ყოველი კლასის, წოდების, სქესის, ხალხის, მოსახლეობის ფენისა თუ ჯგუფის მონაწილეობის სრულ თავისუფლებას.

ლიბერალები ამ საკითხზე უმართებულოდ, არადემოკრატიულად მსჯელობენ. მაგალ., თავადი ტრუბეცკოი ამას წინათ წერდა და «რეჩიც» ტაშს უკრავდა:

«ეკლესიის გადაქცევა პოლიტიკურ იარაღად მისი შინაგანი რღვევის ფასად ხდება». სამღვდელოებით სათათბიროს ავსების პროექტს იგი «ანტიქრისტიანულს და ანტიეკლესიურს» უწოდებდა.

ეს მართალი არ არის. ეს ფარისევლობაა. ეს უაღრესად რეაქციული თვალსაზრისია.

ტრუბეცკოი და სხვა ლიბერალები კლერიკალიზმის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში ა რ ა დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგანან. პოლიტიკურ ბრძოლაში სამღვდელოების მიერ მონაწილეობის მიუღებლობის ალმით ისინი ახორციელებენ მის უფრო ფარულ (და ამიტომ გაცილებით უფრო მავნე) მონაწილეობას.

მუშათა დემოკრატია მომხრეა პოლიტიკური ბრძოლის თავისუფლებისა ყველასათვის, მათ შორის სამღვდელოებისთვისაც. ჩვენ საარჩევნო ბრძოლაში, სათათბიროში და სხვ. სამღვდელოების მონაწილეობის წინააღმდეგნი როდი ვართ, არამედ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ სამღვდელოებას შუასაუკუნეობრივი პრივილეგიები ჰქონდეს. ჩვენ კლერიკალიზმის არ გვეშინია, ჩვენ მას ხალისით შევეკამათებით ყველასათვის თავისუფალ და თანასწორ ტრიბუნაზე. სამღვდელოება პოლიტიკაში მუდამ ფ ა რ უ ლ ა დ მონაწილეობდა; ხალხს სარგებლობის, ამასთან დიდი სარგებლობის, მეტს არაფერს მოუტანს ის, თუ სამღვდელოება პოლიტიკაში ა შ კ ა რ ა დ მიიღებს მონაწილეობას.

«პრავდა» № 74, 1912 წ. 25 ივლისი
ხელმოწერა: მ ი რ ი ა ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კადეტები და დემოკრატია

«ჩვენ შევეჩვიეთ ფიქრს, — წერს «რეჩის» მოწინავე, — რომ მარქსისტები კადეტებს აკუთვნებენ დემოკრატიული პარტიის მნიშვნელობას, თუმცა ასეთი საწყენი დამატებით: «ბურჟუაზიულ»» (ესე იგი: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული).

ძნელი წარმოსადგენია უფრო ღრმა პოლიტიკური უმეცრება «განათლებული ადამიანების» მხრივ, რომლებიც მარქსისტულ ლიტერატურას კითხულობენ. უნებურად იბადება კითხვა: ანგარიში ზოგჯერ ხომ არ აიძულებს ადამიანებს უმეცრად მოგვაჩვენონ თავი?

1906 წლიდან მოკიდებული, ჩვენ ასჯერ და ათასჯერ განგვიმარტავს, რომ კადეტები არიან ა რ ა დემოკრატები, არამედ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია. 1907 წლის გაზაფხულზე თვითეული პოლიტიკურად-განათლებული ადამიანისათვის ცნობილმა რუსეთის ყველა კუთხის მარქსისტთა ოფიციალურმა გადაწყვეტილებებმა დაადასტურეს ეს და საქვეყნოდ განაცხადეს, რომ კადეტები ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტიაა, რომ მათი დემოკრატიზმი «ფარისევლურია», რომ წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი კადეტებს მიჰყვება «მხოლოდ ტრადიციის (ჩვეულებრივისადმი, ძველისადმი ბრმა მიჩვევის) გამო და იმიტომ, რომ მას პ ი რ დ ა პ ი რ ა ტ ყ უ ე ბ ე ნ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი»[63].

ეს აზრები მას შემდეგ ასჯერ და ათასჯერ ყოფილა გამეორებული და განვითარებული.

კადეტები კი, ვითომც არაფერიაო, გვარწმუნებენ, თითქოს ისინი «შეეჩვივნენ ფიქრს», რომ მარქსისტები მათ დემო-

კრატიად თვლიან! ჭეშმარიტად: ყოველ ყრუზე უარესია ის, ვისაც გაგონება არა სურს.

ლიბერალები კონსერვატორებისაგან (შავრაზმელებისაგან) იმით განსხვავდებიან, რომ წარმოადგენენ ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელსაც ესაჭიროება პროგრესი და რამდენადმე მოწესრიგებული უფლებრივი წყობილება, კანონიერების, კონსტიტუციის დაცვა, ერთგვარი პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა.

მაგრამ ამ პროგრესულ ბურჟუაზიას კიდევ უფრო მეტად ეშინია დემოკრატიისა და მასების მოძრაობისა, ვიდრე რეაქციას. აქედან წარმოდგება ლიბერალების მუდმივი მისწრაფება ძველისათვის დათმობისაკენ, მასთან შეთანხმებისაკენ, ძველის ბევრი ძირეული საყრდენის დაცვისაკენ. ყოველივე ეს კი იწვევს ლიბერალიზმის სრულ უძლურებას, მის სიმხდალეს, ორპოფობას, მუდმივ მერყეობას.

დემოკრატია მოსახლეობის ფართო მასას წარმოადგენს. დემოკრატს არ ეშინია მასების მოძრაობისა, არამედ სწამს იგი. რუსეთში დემოკრატიაა ტრუდოვიკები და საერთოდ მემარცხენე «ნაროდნიკები». მარქსისტები მათ ბურჟუაზიულ დემოკრატიას უწოდებენ სრულიადაც არა «წყენის»-თვის», არამედ იმიტომ, რომ მიწის არავითარი გადანაწილება და დემოკრატიზმისაკენ სახელმწიფოს არავითარი შეცვლა ჯერ კიდევ არ სპობს კაპიტალის ბატონობას, ბურჟუაზიული წყობილების ბატონობას.

მუშა დემოკრატების პოლიტიკა ნათელია. მემარჯვენეთა წინააღმდეგ ლიბერალებთან შეთანხმებას ჩვენ ვცნობთ არჩევნების მხოლოდ მეორე საფეხურზე და მხოლოდ იქ, სადაც შეუძლებელია ლიბერალების დამარცხება დემოკრატებთან შეთანხმებით. ჩვენ ვიბრძვით ყველა ბურჟუაზიულ დემოკრატთან ერთად, სანამ ისინი თავიანთი დემოკრატიზმის ერთგულნი არიან.

«პრავდა» № 75, 1912 წ. 26 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ლიბერალების ლაშქრობა

ლიბერალები ამოძრავდნენ და ერთსულოვნად შემოუტიეს «პრავდას». კადეტური «რეჩის» მეწინავეებმა, უპარტიო-პროგრესულმა ბბ. პროკოპოვიჩმა და რ. ბლანკმა «ზაპროსი ჟიზნი»-ში ბრძოლა გაუმართეს მუშათა გაზეთს მისი იმ გადაწყვეტილებისათვის, რომ დამოუკიდებელი საარჩევნო კამპანია აწარმოოს პეტერბურგში.

««ნევსკაია ზვეზდასა» და «პრავდის» ცდები სრულიად ამაოა» — გვარწმუნებს «ზაპროსი ჟიზნი». «მათ ხომ არ შეუძლიათ სერიოზულად ჰქონდეთ იმედი მუშათა პარტიის კანდიდატის გამარჯვებისა პეტერბურგის საქალაქო კურიაში, რომელშიც მუშების მონაწილეობა უმნიშვნელოა!».

აი ლიბერალური მსჯელობის ნიმუში, აი ხერხები ამომრჩევლის დაშინებისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ობივატელობას, ვერ შეუმუშავებია თავისთვის სავსებით შეგნებული პოლიტიკა.

იყო დრო, როცა ლიბერალები ხალხს აშინებდნენ შავი რაზმის პირდაპირი გამარჯვებით არჩევნებში. ახლა კი უხეში სიცრუე «აღარ ჭრის». ყველამ იცის, რომ პეტერბურგში არჩევნებისას არავითარი, სრულიად არავითარი შავრაზმული საშიშროება არ არსებობს. და აი მიმართავენ სხვაგვარ დაშინებას: «მუშათა გამარჯვების იმედი ნუ გექნებათო».

არა, ბატონო ლიბერალებო, დემოკრატმა ამომრჩეველმა საერთოდ — მუშამ განსაკუთრებით — ბევრი რამ განიცადა, ბევრი რამ იფიქრა, ბევრი რამ ისწავლა განვლილ მძიმე ხუთ წელიწადში. ასეთი დაშინებით ვერაფერს ვერ მიაღწევთ.

არსად მსოფლიოში მუშებს თავიანთი საარჩევნო კამპანია დიდ ქალაქებში არ დაუწყიათ ისე, რომ მათ წინააღმდეგ ძლიერი ლიბერალური პარტიები არ მდგარიყვნენ. მსოფლიოში არსად არ მომხდარა, რომ მუშათა დემოკრატიას შეუპოვარი ბრძოლის უწარმოებლად წაერთმიოს ლიბერალებისათვის გავლენა წვრილი მოსამსახურეების, ნოქრების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრების და სხვათა მასებზე.

ვინც იმის წინააღმდეგია, რომ პეტერბურგის მუშებმა ახლავე დაიწყონ ეს ბრძოლა (უფრო სწორად: განაგრძონ ის, რაც 1906, 1907, 1909 წლებში დაიწყეს), იგი ამაოდ იღებს დემოკრატის სახელს, — იგი საქმით ლიბერალების მონად რჩება.

ახლა პეტერბურგში ათასობით ახალი დემოკრატი ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

დიდი საქმე, რაც პეტერბურგის მუშებმა გააკეთეს იმით, რომ თავიანთი მუშათა ყოველდღიური გაზეთი შექმნეს, ყველა საფუძველს გვაძლევს მოველოდეთ არანაკლებ დიდ წარმატებებს საარჩევნო ბრძოლაში.

ძველი ამომრჩევლებიდან მრავალი ათასი იღვიძებს ახალი, უფრო შეგნებული პოლიტიკური ცხოვრებისათვის, თავისი მუშათა გაზეთის შემწეობით სწავლობს ბრძოლას თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, იძენს ერთობლივი პოლიტიკური მოქმედების ჩვევას, იძენს იმ დიად საერთო-სახალხო ამოცანათა შეგნებას, რომელთაც მუშათა დემოკრატია წყვეტს.

პეტერბურგში ლიბერალებზე გამარჯვება შესაძლებელია. და დემოკრატიულ პეტერბურგს მღელვარება და ის ლანძღვა-გინება, დაშინება და შეყვირება, რასაც ლიბერალები მიმართავენ, ჩაუნერგავს მხოლოდ იმის ახალ რწმენას, რომ იგი სწორი გზით მიდის გამარჯვებისაკენ.

«პრავდა» № 77, 1912 წ. 28 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

აჯანყებანი არმიასა და ფლოტში [64]

უკანასკნელ ხანს ჩვენს ლეგალურ პრესაშიც კი დაიბეჭდა რამდენიმე ცნობა რევოლუციური მღელვარების შესახებ ჯარებში. აღვნიშნავთ სამ მთავარ ცნობას.

შავი ზღვის ფლოტში. სამხედრო-საზღვაო სასამართლომ სევასტოპოლში 27 ივნისს დახურულ სხდომაზე განიხილა ჯავშნოსან «იოან ზლატოუსტის» გალვანერის ზელენინის საქმე. მას კარპიშინთან და სილიაკოვთან ერთად ბრალად ედებოდა, რომ შეადგინა და გაავრცელა მიმართვა, რომელშიც მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ზელენინს, კარპიშინსა და სილიაკოვს სიკვდილი მიესაჯათ და ისინი 10 ივლისს დახვრიტეს.

იმავე სასამართლომ 2 ივლისს განიხილა იმავე ჯავშნოსნის ეკიპაჟის საქმე. 16 მეზღვაურს ბრალს სდებდნენ ამ ჯავშნოსნის ხელში ჩაგდებისათვის წაქეზებაში. ათს მიესაჯა სიკვდილი, ხუთს — 6 წლის კატორღა. მთავრობის 4 ივლისის დეპეშები იუწყებოდნენ, თითქოს ათმა სიკვდილმისჯილმა შეიტანა თხოვნა შეწყალების შესახებ.

ბალტიის ფლოტში. 16 ივლისისათვის კრონშტადტის ნავსადგურის სამხედრო-საზღვაო სასამართლოში დანიშნულია სასწავლო გემის «დვინას», კრეისერ «ავრორას» და ჯავშნოსან «სლავას» 65 მეზღვაურის საქმის განხილვა. ოქტიაბრისტთა გაზეთ «გოლოს მოსკვი»-ში ს.-პეტერბურგიდან 3 ივლისს ტელეფონით გადასცეს, რომ ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა ამ გახმაურებული პროცესის შესახებ. ამ 65 მეზღვაურს, როგორც ამბობენ, ბრალად ედებათ, რომ ეკუთვნიან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას და «ეკუთვნოდნენ ფარულ საზოგადოებას, რომელიც წყვეტდა

ეს ამბები გვაძლევენ გაკვეთილს, რომელიც ცენტრ. ორგანოს «ს.-დ.»-ის 27-ე ნომერშია აღნიშნული. აჯანყებისადმი მოწოდება ახლა უკიდურესი უგუნურებაა. აჯანყებანი ჯერ კიდევ ნ ა ა დ რ ე ვ ი ა. მუშათა მასების, გლეხობისა და არმიის საუკეთესო ნაწილის მხოლოდ შ ე ე რ თ ე ბ უ ლ შეტევას შეუძლია შექმნას ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი, ე. ი. დ რ ო უ ლ ი აჯანყების პირობები.

და მოწინავე მუშებმა მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ იმას, რომ განამტკიცონ, აღადგინონ, განავითარონ მუშათა კლასის ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი პარტია, რსდმპ. მ ხ ო ლ ო დ ასეთ პარტიას, რომელიც ეწევა რევოლუციურ აგიტაციას, იყენებს მუშათა პრესის საშუალებით და სათათბიროს მუშა დეპუტატების საშუალებით ლეგალური პროპაგანდის ყველა საშუალებას, შეეძლება შეაკავოს ძალების ფლანგვა უიმედო წვრილ აჯანყებებში და ამზადოს პროლეტარიატის არმია დიდი ძლევამოსილი აჯანყებისათვის.

გაუმარჯოს რევოლუციურ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს!

გაუმარჯოს შეთანხმებულ, ბეჯით, შეუპოვარ რევოლუციურ მუშაობას მილიონიანი მასების ფართო რევოლუციური შეტევის, მუშათა გაფიცვების, გლეხობის მოძრაობათა განვითარებისათვის!

რუსეთის ჯარის რევოლუციურ ნაწილს შეუძლია დაამარცხოს და დაამარცხებს მეფის მონარქიას მხოლოდ იმ პირობით, თუ სათავეში ჩაუდგება მილიონების შეტევას, მხოლოდ იმ პირობით, თუ უაღრესად მჭიდრო, განუყრელი კავშირი ექნება მათთან!

«რაბოჩაია გაზეტა» № 9,
1912 წ. 30 ივლისი (12 აგვისტო) [66]

ბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

IV სათათბიროს არჩევნების წინ

რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტია, მიუხედავად მთელი სასტიკი დევნა-შევიწროებისა, მიუხედავად მასობრივი დაპატიმრებისა, არჩევნების წინ გამოვიდა უფრო ნათელი, მკაფიო, ზუსტი პროგრამით, -ტაქტიკით, პლატფორმით, ვიდრე რომელიმე სხვა პარტია.

რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციამ 1912 წლის იანვარში შეაჯამა კონტრრევოლუციის მძიმე წლებში წარმოებული იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. კონფერენციის გადაწყვეტილებებმა სრული პასუხი გასცეს მოძრაობის ყველა საარსებო საკითხზე. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საარჩევნო პლატფორმა უბრალო საბოლოო სიტყვა იყო. პლატფორმა გამოსცა ცენტრალურმა კომიტეტმა რუსეთში, შემდეგ კი იგი გამოსცეს მთელმა რიგმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა[66]. მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ გამოაქვეყნა ცნობა კონფერენციის შესახებ და დაბეჭდა მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება.

კონფერენციის შემდეგ განვლილი ნახევარი წლის მანძილზე პარტიულ პრესაში და ათობით მოხსენებაში, საქარხნო წრეებში და მიტინგებზე აპრილ-მაისის დღეებში წარმოთქმულ ასობით სიტყვაში ხდებოდა კონფერენციის გადაწყვეტილებათა განმარტება და განხორციელება. პარტიის ლოზუნგები — რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწის კონფისკაცია — მოედო მთელ რუსეთს და მიღებულ იქნა მოწინავე პროლეტარების მიერ. მასების რევოლუციურმა აღმავლობამ, გაფიცვებითა და მიტინგებით დაწყებული და ჯარებში აჯანყებებით დამთავრებული, დაამტკიცა ამ ლოზუნგების სისწორე და სიცოცხლისუნარიანობა.

არჩევნები ჩვენმა პარტიამ უკვე გამოიყენა და ფართოდაც გამოიყენა. პოლიციის ვერავითარი «ახსნა-განმარტება», IV სათათბიროს ვერავითარი გაყალბება (ხუცური თუ სხვა-გვარი) ვერ წაგვართმევს ამ შედეგს. მტკიცედ პარტიულად დაყენებული აგიტაცია უკვე ყველგან მოეწყო და გეზი მისცა მთელ ს.-დ. საარჩევნო კამპანიას.

ბურჟუაზიული პარტიები ნაჩქარევად, ფაციფუცით წერენ «პლატფორმებს არჩევნებისათვის», დაპირებებისათვის, ამომრჩეველთა მოტყუებისათვის. ლიკვიდატორები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ ლიბერალებს, აგრეთვე თხზავენ ახლა ლეგალურ «პლატფორმას არჩევნებისათვის». ლიკვიდატორები გაჰყვირიან პლატფორმების შესახებ ლეგალურ, ცენზურას დაქვემდებარებულ პრესაში და ემზადებიან იმისათვის, რომ თავიანთი სრული დაბნეულობა, დეზორგანიზებულობა, უიდეობა დაფარონ წესიერი, ცენზურული «პლატფორმით არჩევნებისათვის».

არა პლატფორმა «არჩევნებისათვის», არამედ არჩევნები რევოლუციური ს.-დ. პლატფორმის გასატარებლად! — აი როგორ უყურებს საქმეს მუშათა კლასის პარტია. ჩვენ უკვე გამოვიყენეთ არჩევნები ამ მიზნისათვის და ბოლომდე გამოვიყენებთ მას, თვით მეფის შავრაზმულ სათათბიროსაც კი გამოვიყენებთ რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის რევოლუციური პლატფორმის, ტაქტიკის, პროგრამის საქადაგებლად. ძვირფასია მხოლოდ ისეთი პლატფორმები, რომლებიც ამთავრებენ რევოლუციური აგიტაციის ხანგრძლივ მუშაობას, აგიტაციისა, რომელმაც უკვე სრული პასუხი გასცა მოძრაობის ყველა კითხვაზე, და არა ის (განსაკუთრებით ლეგალური!) პლატფორმები, რომლებიც ითხზვება ნაჩქარევად, ნაპრალების ამოსავსებად, მყვირალა აბრისათვის, როგორც ამას ლიკვიდატორები აკეთებენ.

მას შემდეგ, რაც პარტია აღდგენილ იქნა, ნახევარმა წელმა განვლო, და, — სძლევს რა უმაგალითო სიძნელეებს, განიცდის რა გაცოფებულ დევნას, გრძნობს რა ხან აქ, ხან იქ

ადგილობრივი ცენტრებისა და საერთო ცენტრის, ცენტრალური კომიტეტის, მუშაობის დროდადრო შეწყვეტას, — პარტია მიდის და მიდის წინ, ავითარებს თავის მუშაობას და გავლენას მასებში. მუშაობის ეს განვითარება ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ მიმდინარეობს: საიდუმლო, ვიწრო, წინანდელზე უფრო დაფარულ არალეგალურ უჯრედებს უერთდება უფრო ფართო ლეგალური მარქსისტული ქადაგება. ახალ პირობებში რევოლუციის ახალი მომზადების სწორედ ეს თავისებურება დიდი ხანია შემჩნეული და აღიარებულია პარტიის მიერ.

და ახლა ჩვენ შეგვიძლია სრული პასუხი გავცეთ მყვირალა გამოსვლებზე ლიკვიდატორებს, რომლებიც «ორმაგი კანდიდატურებით» იმუქრებიან. ამაო მუქარაა, რომელიც არავის არ აშინებს! ლიკვიდატორები იმდენად დამარცხებული და უძლური არიან, რომ მათ ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ვერ გააცოცხლებს. მათ ფიქრიც კი არ შეუძლიათ იმაზე, რომ «ორმაგი კანდიდატურებით» გამოვიდნენ: ლიკვიდატორებს ეს რომ გაეკეთებინათ, ისინი ხმების უბადრუკ, სასაცილოდ უმნიშვნელო რაოდენობას მიიღებდნენ. მათ იციან ეს და არ მოახდენენ ცდას. ისინი სწორედ თვალისასახვევად, სიმართლის დასაფარავად ხმაურობენ.

«ვერავითარი დახმარებაო» — ვთქვით ჩვენ. ლიკვიდატორები იმედს საზღვარგარეთის დახმარებაზე ამყარებენ. მათმა მეგობრებმა — განსაკუთრებით ლატვიელებმა, ბუნდმა და ტროცკიმ — ა თ ი «ცენტრის, ორგანიზაციისა და ფრაქციის» მოწვევა გამოაცხადეს! ნუ ეხუმრებით! საზღვარგარეთი მდიდარი, დიდი და უხვია. მთელი «10 ცენტრი»!! ხერხები აქ ისეთივეა, როგორსაც მთავრობა IV სათათბიროში მიმართავს: წარმომადგენლობის მომზადება, ნულების ჯამის გადაქცევა «დიდი რიცხვების» მოსაჩვენებლად. ჯერ-ერთი, ტროცკი (რუსეთში იგი 0-ია, იგი მხოლოდ «ე ი ვ ო ე დ ე ლ ო ს» თანამშრომელია, მისი აგენტები ლიკვიდატორთა «საინიციატივო ჯგუფების» მხოლოდ დამცველები არიან). მეორე, «გოლოს

სოციალ-დემოკრატა», ე. ი. იგივე უძლური ლიკვიდატორები. მესამე, «კავკ. საოლქო კომ.» — იგივე ნული, მესამე რიგისა. მეოთხე, «ორგან. კომიტეტი» — მეოთხე რიგი ი მ ა ვ ე ლიკვიდატორებისა. მეხუთე და მეექვსე, ლატვიელები და ბუნდი, ამჟამად სავსებით ლიკვიდატორული... მაგრამ კმარა!

თქმაც არ უნდა, რომ ჩვენი პარტია სიცილით ხვდება საზღვარგარეთელ არარაობათა ამ თამაშს. ისინი ლენს ვერ გააცოცხლებენ, რუსეთში კი ლიკვიდატორები ლენი არიან.

აი ფაქტები.

ნახევარი წელიწადია ლიკვიდატორები და მათი ყ ვ ე ლ ა მეგობრები სასტიკ ბრძოლას ეწევიან პარტიის წინააღმდეგ. არსებობს ლეგალური მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი პრესა. იგი საშინლად არის შევიწროებული, არ შეუძლია გაბედოს და კრინტი დაძრას რესპუბლიკაზე, არც ჩვენს პარტიაზე, არც აჯანყებაზე, არც მეფის ბანდაზე. ფიქრიც კი სასაცილოა რსდმ პარტიის ლოზუნგების გატარებაზე ამ პრესის საშუალებით.

მაგრამ რუსეთში მუშა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. იგი ძალა გახდა. მან გზა გაიკაფა. მას აქვს თ ა ვ ი ს ი პრესა, შევიწროებული, მაგრამ თავისი, რომელიც თ ე ო რ ი უ ლ ა დ იცავს მარქსიზმს.

ამ ლეგალურ ასპარეზზე ყველას და თვითეულს შეუძლია ხედავდეს ანტილიკვიდატორების წინააღმდეგ ლიკვიდატორების ბრძოლის «წარმატებებს». ტროცკის ვენის, ლიკვიდატორულ, «პრავდაში» ვპერიოდელმა ს. ვ-მ[67] უკვე აღნიშნა ეს წარმატებანი: მუშებს შორის შ ე გ რ ო ვ ე ბ უ ლ ი თ ა ნ ხ ე ბ ი — წერდა იგი — თითქმის მთლიანად ანტილიკვიდატორების ხელში მიდის. და იგი თავს ინუგეშებდა: ეს იმიტომ კი არა, რომ მუშებში «ლენინელებს» თანაუგრძნობენო.

დიახ, რა თქმა უნდა, «იმიტომ კი არა», ლიკვიდატორების გულითადო მეგობარო!

მაგრამ მაინც შეხედეთ ფაქტებს.

ნახევარი წლის აშკარა ბრძოლა ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი მ უ შ ა თ ა გ ა ზ ე თ ი ს ა თ ვ ი ს.

ლიკვიდატორები 1910 წლიდან გაჰყვირიან ამ გაზეთზე. როგორია მათი წარმატება? ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მათმა გაზეთებმა «ჟ ი ვ ო ე დ ე ლ ო მ» და «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს მ ა» მოათავსეს ანგარიშები ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშათა ჯგუფებს შორის თანხების **15** (თ ხ უ თ მ ე ტ ი) შეგროვების შესახებ!! მუშათა თხუთმეტი ჯგუფი ნახევარ წელიწადში!

აიღეთ ანტილიკვიდატორების გაზეთები. ნახეთ ანგარიშები ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის თანხების შეგროვების შესახებ იმავე ნახევარი წლის განმავლობაში. დაითვალეთ მუშათა ჯგუფებს შორის თანხების შეგროვების რაოდენობა. თქვენ დაითვლით **504** მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ უ რ შ ე ნ ა ტ ა ნ ს!

აი ზუსტი მონაცემები თვეებისა და რუსეთის რაიონების მიხედვით:

	ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის 1912 წლის პირველ ნახევარში თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა	
	ანტილიკვიდატორული გაზეთებისათვის	ლიკვიდატორული გაზეთებისათვის
იანვარი	14	0
თებერვალი	18	0
მარტი	76	7
აპრილი	227	8
მაისი	135	0
ივნისი	34	0
ს უ ლ	504	15
პეტერბურგი და მიდამოები	415	10
სამხრეთი	51	1
დანარჩენი რუსეთი	38	4
ს უ ლ	504	15

ლიკვიდატორები სასტიკად დამარცხდნენ რუსეთის მუშათა ჯგუფების წინაშე. ლიკვიდატორები ლეში არიან, და საზღვარგარეთის ვერავითარი მრისხანე (ო, რა მრისხანე!) «კავშირები ჯგუფებისა, ცენტრებისა, ფრაქციებისა, მიმდინარეობებისა, მიმართულებებისა» ვერ გააცოცხლებენ ამ ლეშს.

ვერავითარი მყვირალა მანიფესტები საზღვარგარეთ, ვერავითარი ყალბი კონფერენციები «საინიციატივო ჯგუფებისა» ლიკვიდატორებთან ერთად ვერ წაშლიან და ვერ შეანელებენ ლიკვიდატორების ამ სრულ დამარცხებას რ უ ს ე თ ი ს ა ს ო ბ ი თ მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს წინაშე.

რუსეთში ს.-დ. მუშათა საარჩევნო კამპანიის ერთიანობა უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ა. იგი უზრუნველყოფილია არა ლიკვიდატორებთან «შეთანხმებებით», არამედ ლიკვიდატორების სრული დამარცხებით, რომლებსაც უკვე მიეკუთვნა მათი ნამდვილი როლი, ლიბერალი ინტელიგენტების როლი. დახედეთ, «ნაშა ზარიასათვის» რა შესაფერი გამოდგა ესერი ლიკვიდატორი სავინი. შეხედეთ, «ლისტოკ გოლოსა სოციალ-დემოკრატაში» ლ. მ.[68] როგორ აქებს ესერების «თაოსნობას», რომლებიც (ოტზოვისტური გაბრუების შემდეგ!) არაერთგზის ვარდებიან ლიკვიდატორობაში. დაუფიქრდით იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ იმავე ფურცელში პლეხანოვს ნიმუშად უყენებენ ცნობილ ესერ «მოღვაწეს» ავქსენტიევს. გაიხსენეთ, როგორ ეამბორება ყ ვ ე ლ ა ლიკვიდატორი P.P.S-ის * ა რ ა სოციალ-დემოკრატიულ «ლევიცას». ლიკვიდატორებო ყველა პარტიისა, შეერთდით!

ბოლოს და ბოლოს ყველა თავის თაროს პოულობს. ამბების მსვლელობა აერთიანებს ინტელიგენტი ლიკვიდატორების ჯგუფებს ყოფილი მარქსისტებიდან და ყოფილი ბომბიანი ლიბერალებიდან.

ხოლო მუშათა კლასის პარტიამ, რსდმ პარტიამ ნახევარი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც იგი განთავისუფლდა იმათი ტყვეობისაგან, ვინც მისი ლიკვიდაცია მოახდინა, წინ გადადგა — როგორც ეს მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს — უზარმაზარი ნაბიჯი.

«რაბოჩაია გაზეტა» № 9,
1912 წ. 30 ივლისი (12 აგვისტო)

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

* — პპს — პოლონეთის სოციალისტური პარტიის. რ ე დ.

შეიძლება თუ არა ახლა მუშათა მოძრაობის საფუძველი იყოს «კოალიციათა თავისუფლების» ლოზუნგი?

ლეგალურ პრესაში ლიკვიდატორები ტროცკის მეთაურობით ამტკიცებენ, რომ შეიძლება. ისინი მთელი ძალღონით ცდილობენ დ ა ა მ ა ხ ი ნ ჯ ო ნ მუშათა მოძრაობის ნამდვილი ხასიათი. მაგრამ ეს უიმედო ცდაა. წყალწაღებული ლიკვიდატორები ხავსს ეჭიდებიან, რომ თავიანთ უსამართლო საქმეს უშველონ.

1910 წელს ინტელიგენტთა მცირე ჯგუფებმა დაიწყეს კამპანია პ ე ტ ი ც ი ე ბ ი ს ა კავშირთა თავისუფლებისათვის. ეს გ ა მ ო გ ო ნ ი ლ ი კამპანია იყო. მუშათა მასები გულგრილნი დარჩნენ. ამ ფუჭი წამოწყებით პროლეტარიატს ვერ აღაგზნებ. ლიბერალებს სჩვევიათ რწმენა პოლიტიკური რეფორმებისა მეფის თვითმპყრობელობის დ რ ო ს. მუშებმა მაშინვე დაინახეს ამ წამოწყების სიყალბე და ყური მოიყრუეს.

მუშები რეფორმებისათვის ბრძოლის წინააღმდეგი როდი არიან, — ისინი იბრძოდნენ დაზღვევის კანონისათვის. თავიანთი დეპუტატების საშუალებით ისინი ყოველ საბაბს იყენებდნენ III სათათბიროში, რომ ოდნავი გაუმჯობესებისათვის მიეღწიათ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ III სათათბირო და დაზღვევის კანონი გამოგონება კი არა, პოლიტიკური ფაქ-

ტებია. ხოლო «კოალიციათა თავისუფლება» რომანოვების სამი ივნისის მონარქიის დროს დამპალი ლიბერალების ფუჭი დაპირებაა.

ლიბერალები რევოლუციის მტრები არიან. ახლაც კი ისინი პირდაპირ გამოდიან მის წინააღმდეგ, — ისინი ვერ გადააჩვია რევოლუციის შიშს შავრაზმულმა III სათათბირომ. ეშინიათ რა რევოლუციისა, ლიბერალები თავს ინუგეშებენ კონსტიტუციური რეფორმების იმედით და მუშებისათვის ქადაგებენ ერთ-ერთ ასეთ რეფორმას — კოალიციათა თავისუფლებას.

მაგრამ მუშებს არა სჯერათ არაკი «კონსტიტუციის» შესახებ III სათათბიროს დროს, საერთო უუფლებობის, თვითნებობის თარეშის დროს. მუშები სერიოზულად მოითხოვენ კოალიციათა თავისუფლებას და ამიტომ იბრძვიან მთელი ხალხის თავისუფლებისათვის, მონარქიის დამხობისათვის, რესპუბლიკისათვის.

აპრილ-მაისის გაფიცვებმა საქმით დაამტკიცეს, რომ პროლეტარიატი დაადგა რევოლუციური გაფიცვის გზას. ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის შეერთებამ, რევოლუციურმა მიტინგებმა, რესპუბლიკის ლოზუნგმა, რაც პეტერბურგის მუშებმა 1 მაისს წამოაყენეს, — ყველა ამ ფაქტმა საბოლოოდ დაამტკიცა რევოლუციური აღმავლობის დაწყება.

რუსეთში ფაქტიური, ობიექტური მდგომარეობა ასეთია: პროლეტარიატმა დაიწყო მასების რევოლუციური ბრძოლა მეფის მონარქიის დამხობისათვის, ჯარში იზრდება მღელვარება, რაც ამ ბრძოლისადმი მიმხრობას ნიშნავს. გლეხთა დემოკრატია, მისი საუკეთესო ნაწილი, ზურგს აქცევს ლიბერალებს და ყურს უგდებს მუშათა ავანგარდს.

ხოლო ლიბერალები, რევოლუციის მტრები, იცავენ მხოლოდ «კონსტიტუციურ» გზას, რევოლუციის საწინააღმდეგოდ იძლევიან «კოალიციათა თავისუფლების» დაპი-

რებას (ფუჭ და ყალბ დაპირებას) რუსეთის მეფის მონარ-ქიის დ რ ო ს!

აი ნამდვილად როგორია პოლიტიკური მდგომარეობა. აი როგორია რეალური საზოგადოებრივი ძალები: 1) მეფის მონარქია, რომელიც თელავს ყოველ «კონსტიტუციას»; 2) ლიბერალ-მონარქისტი ბურჟუები, რომლებიც რევოლუციის შიშით თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს სწამთ «თავისუფლების» შეერთება მეფის ხელისუფლებასთან და 3) რევოლუციური დემოკრატია; მასში უკვე წამოიმართა ბელადი — მუშათა მასები, და მათს მოწოდებას ეხმაურებიან მეზღვაურები და ჯარისკაცები ჰელსინგფორსიდან ტაშკენტამდე.

შეხედეთ, რა უიმედოდ სულელურია ასეთ ვითარებაში ლიკვიდატორების სიტყვები «კოალიციათა თავისუფლების» შესახებ! ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ამ ბრძენებმა ყველა «რეფორმიდან» ამოარჩიეს შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი კონსტიტუციური რეფორმა, რომელიც დაპირების გარდა არაფერს არ წარმოადგენს, და თავს ირთობენ. «ევროპული» კონსტიტუციონალიზმის თამაშით.

არა! მუშები თავიდან იშორებენ ლიბერალებსა და ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას. ყ ო ვ ე ლ რეფორმას, რომელიც მართლა დგება დღის წესრიგში, როგორც III, ისე IV სათათბიროში, დაზღვევით დაწყებული და კანცელარიების მონებისათვის ჯამაგირის მომატებით დამთავრებული, მუშები მხარს დაუჭერენ, განავითარებენ, თ ა ვ ი ა ნ თ ი კამპანიების საგნად გახდიან.

მაგრამ თვითმპყრობელობის დ რ ო ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი პოლიტიკური რეფორმის ფუჭ და უაზრო დაპირებას მუშები ზიზღიანი დაცინვით ხვდებიან. გაუმარჯოს მონარქიის დამხობისათვის, რესპუბლიკისათვის მასების დაწყებული რევოლუციური ბრძოლის გაფართოებასა და გაძლიერებას! ბრძოლა გვიჩვენებს, რა კონსტიტუციური ნახევრული რეფორმები გამოვა ახალი რევოლუციის დ ა მ ა რ ცხ ე ბ ი ს ა ს, ახლა კი — რევოლუციური შეტევის დასაწყისში —

არ არევოლუციური გზის, მშვიდობიანი კონსტიტუციური რეფორმის ქადაგება მასებისათვის შეუძლიათ მხოლოდ «ფუტლარში მჯდომ ადამიანებს».

დაწყებული რევოლუციური შეტევა რევოლუციურ ლოზუნგებს მოითხოვს. ძირს მონარქია! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, 8 საათიან სამუშაო დღეს, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციას!

«რაბოჩაია გაზეტა» № 9,
1912 წ. 30 ივლისი (12 აგვისტო)

იბეჭდება
«რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი [69]

ძვირფასო ამხანაგებო!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით ყველა შვეიცარიელი ამხანაგის წინაშე ქვემომოყვანილით ვადასტურებ, რომ ამ პარტიის საყოველთაო პარტიულმა კონფერენციამ 1912 წლის იანვარში სპეციალური რეზოლუციით მოიხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ცალკეული რუსული ჯგუფებისათვის.

შემდეგ ვადასტურებ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დღემდე დაამტკიცა მხოლოდ ერთადერთი რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საზღვარგარეთ — სახელდობრ საზღვარგარეთის ორგანიზაციათა კომიტეტი და მისი ციურიხის სექცია. ვურთავ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს მიერ გამოცემულ გერმანულ ბროშურას, სადაც დაწვრილებით არის აწერილი საზღვარგარეთ მყოფი რუსთა დეზორგანიზატორული მცირე ჯგუფების საქციელი *.

პარტიული სალამით ლენინი (ვ. ულიანოვი)

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

დაწერილია 1912 წ. ივლისში
დაბეჭდილია ჰექტოგრაფზე 1912 წ.
აგვისტოში ცალკე ფურცლად
გერმანულ ენაზე

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

* იხ. ეს ტომი, გვ. 237 — 259. რედ.

პრინციპული საკითხები

საარჩევნო კამპანიის მცირე გამოცოცხლება — და ოფიციალურ-კადეტური «რეჩი» ალაპარაკდა (როგორც იქნა გადაწყვიტა!) თავის პრინციპულ უთანხმოებაზე მემარცხენეებთან.

«სამი ივნისის რეჟიმთან შერიგებას ჩვენ არც ვფიქრობდით და არც ვფიქრობთო» — წერს «რეჩი».

მართალი არ არის. ფიქრობდით და ფიქრობთ, ბატონო კადეტებო. ამას ადასტურებს: თქვენი სიტყვები «პასუხისმგებელი» ოპოზიციისა და ნათესაობით ბრუნვაში დასმული ოპოზიციის შესახებ. ეს არის არა მარტო «ფიქრები» შერიგების შესახებ, არამედ 3 ივნისის რეჟიმთან «შერიგების» პოლიტიკა.

ახლა კარაულოვის ღვთისმლოცველი სიტყვები ღვთისმლოცველ III სათათბიროში? ახლა კადეტების მიერ ხმის მიცემა ბიუჯეტისათვის და მისი უდიდესი მუხლებისათვის? ახლა ბერიოზოვსკი მე-2-ის სიტყვები აგრარულ საკითხზე? ახლა გრედესკულის ამასწინანდელი განცხადებანი, რომლებიც «რეჩმა» გაიმეორა? განა ყოველივე ეს სწორედ რომ სამი ივნისის რეჟიმის საფუძვლებთან შერიგების პოლიტიკას არ წარმოადგენს? უეჭველია წარმოადგენს.

«ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ არ გვინახავს — წერს «რეჩი» — რომ სათათბიროს ფარგლებში სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა სხვანაირი ყოფილიყოს, ვიდრე სხვა ოპოზიციური პარტიების ტაქტიკა. ამ შემთხვევაში კი საქმე ხომ სათათბიროს არჩევნებს ეხებაო».

აი სოფიზმის და სიმართლის დამახინჯების ნიმუში! ს.-დ. ტაქტიკა III სათათბიროში არც ერთ საკითხში არ

ყოფილა კადეტების ტაქტიკის მონათესავე. ყველა საკითხში იგი პრინციპულად სხვაგვარი იყო: არა «შერიგების» ტაქტიკა, არა ლიბერალიზმის ტაქტიკა; ეს ყოველთვის იყო დემოკრატიის ტაქტიკა და კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა.

ნუთუ «რეჩი» დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ტაქტიკის მსგავსება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ «წინააღმდეგ ხმის მიცემას» და არა საკითხის პრინციპული დაყენების მსგავსებას სათათბიროს ორატორთა სიტყვებში, გადასვლის ფორმულებში?

ნუთუ «რეჩი» გაბედავს თქვას, რომ დასაშვებია სათათბიროში ლაპარაკობდე ერთს, სათათბიროს გარეთ — მეორეს? იმიტომ ხომ არა, რომ სათათბიროს გარეთ კადეტთა ქადაგების არა დემოკრატიული შინაარსის საკითხი მიჩქმალოს?

«ჩვენ ვერ უარვყოფთ — წერს «რეჩი» — რომ «დემოკრატიას», რომელსაც თვითონ ვემსახურებით, აქვს დამოუკიდებელი ამოცანებისა და გამოსვლების უფლებაო».

მართალი არ არის, ბატონო განათლებულო ლიბერალებო! სინჯეთ ჩამოაყალიბოთ თქვენი პრინციპული შეხედულებანი დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის განსხვავებაზე. სინჯეთ განმარტოთ ეს შეხედულებანი ინგლისის, საფრანგეთის ან გერმანიის ისტორიის მაგალითებით, თუნდაც გვერდზე რომ გადასდოთ სპეციალურად მუშური, პროლეტარული, მარქსისტული დემოკრატია. თქვენ ვერ უარყოფთ ბურჟუაზიული ლიბერალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის განსხვავებას ძველი წესწყობილებისადმი მათს დამოკიდებულებაში. და ჩვენ ყოველთვის დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ ხართ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია, და სრულიადაც არა დემოკრატიული პარტია.

ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში — ეს არის ტრუდოვიკები და ყველა სახის ნაროდნიკები.

საქმეს· რომ შეუდგები, ბოლომდე უნდა მიიყვანო. რადგან შეუდექით ლაპარაკს კადეტებისა და მემარცხენეების პრინციპებზე, მოდით მართლაც განვმარტოთ პრინციპები. მხოლოდ ასე შეიძლება საარჩევნო აგიტაციის აყვანა იმ საკითხებზე ცოტა უფრო მაღლა, თუ რამდენ უკანონობას სჩადის ესა და ეს ბოქაული, ესა და ეს გუბერნატორი ან ესა და ეს ადმინისტრაციული ინსტანცია.

«პრავდა» № 79, 1912 წ. 31 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

უკანასკნელი სარჩველი

რუსეთში თანამედროვე აგრარული საკითხის თემაზე ჩვენი წინა სტატია (იხ. «ნევსკაია ზვეზდა» № 15) დავამთავრეთ სიტყვებით:

«სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის რეალური მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ახდენს ძველი, შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის ძირეულ მსხვრევას. და ეს ძალიან კარგია. დამსხვრევის მეტი მას არაფერი დაუმსახურებია. ყველაზე უფრო რეაქციონერები არიან ის კადეტები «რეჩიდან» და «რუსსკიე ვედომოსტიდან», რომლებიც სტოლიპინს უსაყვედურებენ მსხვრევისათვის — ნაცვლად იმისა, რომ კიდევ უფრო თანმიმდევრული და გაბედული მსხვრევის აუცილებლობას ამტკიცებდნენ. შემდეგ სტატიაში ჩვენ დავინახავთ, რომ სტოლიპინურ მსხვრევას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა აღმოფხვრას კაბალა და შრომამიგება, ნაროდნიკულს კი შ ე უ ძ ლ ი ა.

ჩვენ ჯერჯერობით აღვნიშნავთ, რომ სტოლიპინური მსხვრევის ერთ-ერთი სავსებით რეალური შედეგია 30 მილიონის შიმშილობა. და ჯერ კიდევ არ ვიცით, სტოლიპინური მსხვრევა ხომ არ შეასწავლის რუს ხალხს იმას, თუ რ ო გ ო რ უ ნ დ ა მოახდინოს უფრო გაბედული მსხვრევა. ამას იგი უეჭველად ასწავლის. შეასწავლის თუ არა, — ამას მომავალი გვიჩვენებს» *.

მაშასადამე, ჩვენ წინაშე ახლა დგას საკითხი: შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის სტოლიპინურ მსხვრევას რა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 168 — 169. რ ე დ.

ტომ არ შეუძლია აღმოფხვრას კაბალა და შრომამიგება, ხოლო გლეხურ-ტრუდოვიკულ ან ნაროდნიკულ მსხვრევას შეუძლია?

ამ საკითხის გარჩევას რომ ვიწყებთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თემაზე ყველაზე უფრო გავრცელებული მსჯელობის, — ლიბერალური, ნაროდნიკული და ნაწილობრივ რევიზიონისტული მსჯელობის (პ. მასლოვი), — ერთ-ერთი ძირითადი მანკია საკითხის აბსტრაქტული დაყენება, დავიწყება კონკრეტული ისტორიული «შეცვლისა», რომელიც ნამდვილად ხდება. რუსეთში ხდება ის შეცვლა, რომელიც უკვე დიდი ხანია მოხდა დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში: ბატონყმური მეურნეობის შეცვლა კაპიტალისტური მეურნეობით.

საქმე ეხება და შეიძლება ეხებოდეს ამ შეცვლის მხოლოდ და მხოლოდ ფორმებს, პირობებს, სისწრაფეს, ვითარებას: ყველა სხვა მოსაზრება, რასაც ხშირად პირველ პლანზე აყენებენ ხოლმე, ერთი ადგილის მხოლოდ შეუგნებელი ტკეპნაა საქმის არსის გარშემო, სწორედ ამ შეცვლის გარშემო.

რუსეთის თანამედროვე მიწათმოქმედების უმთავრესი ბატონყმური ფორმაა კაბალა და შრომამიგება. ნატურალური მეურნეობის შედარებით მნიშვნელოვანი შენარჩუნება — არსებობა წვრილი მიწათმოქმედისა, რომელიც გაჭირვებით ცხოვრობს, მეურნეობას ეწევა ერთ მტკაველ ცუდ მიწაზე წარმოების ძველი, უბადრუკ-ლატაკური იარაღითა და საშუალებებით, — ამ წვრილი მიწათმოქმედის ეკონომიური დამოკიდებულება ლატიფუნდიის მეზობელ მფლობელზე, რომელიც მას ექსპლოატაციას უწევს არა მარტო როგორც დაქირავებულ მუშას (ეს უკვე კაპიტალიზმის დასაწყისია), არამედ სწორედ როგორც წვრილ მიწათმოქმედს (ეს საბატონო ბეგრის განგრძობაა), — აი ის პირობები, რომლებიც წარმოშობენ კაბალასა და შრომამიგებას, ან უფრო სწორად: ახასიათებენ ერთსაც და მეორესაც.

რუსეთის ევროპულ ნაწილში 30 000 უმსხვილეს მემამულეზე მოდის 10 000 000 უღარიბესი გლეხური კომლი. საშუალოდ ეს დაახლოებით ასეთ სურათს იძლევა: ერთი მემამულის გარშემო, რომელსაც 2 000 დესეტინაზე მეტი აქვს, ცხოვრობს 300-მდე გლეხური კომლი, რომლებსაც კომლზე 7 დესეტინამდე ცუდი და გამოფიტული მიწა აქვთ, ამასთან საშინლად ჩამორჩენილი, პრიმიტიული (ევროპული თვალსაზრისით, ამერიკულზე რომ აღარა ვთქვათ რა) ინვენტარი.

შეძლებულ გლეხთა ნაწილი «კაცი ხდება», ე. ი. წვრილ ბურჟუაზიად იქცევა და მიწას დაქირავებული შრომით ამუშავებს. ასეთსავე შრომას მიმართავს თავისი მიწების გარკვეულ ნაწილზე და გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებისათვის მემამულეც, ხშირად გუშინდელი მებატონე ან მისი ნაშიერი.

მაგრამ გარდა ამ კაპიტალისტური ურთიერთობისა არსებობს მემამულის მიწის დამუშავება გლეხური ინვენტარით, ე. ი. შრომამიგება, გუშინდელი საბატონო ბეგარის გაგრძელება, რომელიც რუსეთის ევროპული ნაწილის ყველა ძირითად რუსულ გუბერნიაში უკანა პლანზე სწევს კაპიტალისტურ ურთიერთობას, — არსებობს წვრილი მიწათმოქმედის (სწორედ როგორც მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი ს, როგორც წვრილი მეპატრონის) უკიდურესი გაჭირვების «გამოყენება» მეზობელი მემამულის «ეკონომიის მომსახურებისათვის», ე. ი. კ ა ბ ა ლ ა. მუშაობით ანაზღაურების პირობით ფულის სესხად მიცემაც, პურის სესხად მიცემაც, ზამთრობით დაქირავებაც, მიწის იჯარით გაცემაც, გზით, წყალსალევით, მდელოებით, საძოვრით, ტყით სარგებლობის უფლების მიცემაც, ინვენტარის სესხად მიცემაც და სხვ., და ა. შ. — შეადგენს თანამედროვე კაბალის ფორმათა უსასრულო სხვადასხვაობას.

საქმე ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ გლეხს ვალდებულს ხდიან თავისი ნაკელით გააპტიოს მებატონის მინდვრები, ხოლო «დიასახლისს» ვალდებულს ხდიან კვერცხი უზიდოს

მეგატონეს, — და ეს ხდება არა მეთვრამეტე, არამედ მეოცე საუკუნეში ქრისტეს შობიდან!

საკმარისია ნათლად და ზუსტად დავაყენოთ რუსეთის თანამედროვე მიწათმოქმედებაში დარჩენილი შუასაუკუნეობრიობისა და ბატონყმობის ამ ნაშთების საკითხი, რომ შევაფასოთ სტოლიპინის «რეფორმის» მნიშვნელობა. ამ «რეფორმამ», რა თქმა უნდა, არსებობის დრო გაუხანგრძლივა დაღუპვის გზაზე მდგომ ბატონყმობას, — სწორედ ისევე, როგორც 1861 წლის ყბადაღებულმა, ლიბერალებისა და ნაროდნიკების მიერ ნაქებმა, ეგრეთწოდებულმა «საგლეხო» (ნამდვილად კ ი მ ე მ ა მ უ ლ უ რ მ ა) რეფორმამ ა რ ს ე ბ ო ბ ი ს დ რ ო გ ა უ ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ა საბატონო ბეგარას და სხვა გარსით უკვდავყო იგი თვით 1905 წლამდე.

ძველი წყობილებისა და ძველი ბატონყმური მიწათმოქმედების «არსებობის დროის გახანგრძლივება» სტოლიპინის მიერ იმაში მდგომარეობს, რომ ახდილია კიდევ ერთი და ამასთან უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი სარქველი, რომლის ახდაც შეიძლებოდა მემამულეთა მთელი მიწათმფლობელობის ექსპროპრიაციის მოუხდენლად. ახდილია სარქველი და რამდენადმე გამოშვებულია ორთქლი — იმით, რომ სრულიად გაღატაკებულ გლეხთა ნაწილმა პირად საკუთრებად «განიმტკიცა» თავისი ნადელები და გაყიდა ისინი, ნადელიანი პროლეტარებიდან გადაიქცა წმინდა პროლეტარებად, — შემდეგ, იმით, რომ შეძლებული გლეხების ნაწილმა, განიმტკიცა რა თავისი ნადელები და ზოგიერთ შემთხვევაში მოეწყო ნაკვეთებზე, მოაწყო კიდევ უფრო მტკიცე კაპიტალისტური მეურნეობა, ვიდრე წინათ ჰქონდა.

ბოლოს, ახდილია სარქველი და გამოშვებულია ორთქლი იმით, რომ აქა-იქ მოსპობილია მიწების განსაკუთრებით აუტანელი დაქსაქსულობა და გაადვილებულია გლეხთა მიწის მობილიზაცია, რაც კაპიტალიზმის დროს აუცილებელია.

მაგრამ არსებობის დროის ამ გახანგრძლივებით შემცირდა თუ გადიდდა წინააღმდეგობათა საერთო რაოდენობა სოფლად?

შემცირდა თუ გადიდდა მებატონეთა ლატიფუნდიების მიერ ჩაგვრა? შემცირდა თუ გადიდდა «ორთქლის» საერთო რაოდენობა? ამ კითხვებზე მხოლოდ იმ პასუხის გაცემა შეიძლება, რომ გადიდდა.

30 მილიონის შიმშილობამ საქმით დაამტკიცა, რომ ამჟამად შესაძლოა მხოლოდ ეს უკანასკნელი პასუხი. ეს არის წვრილ მეპატრონეთა შიმშილობა. ეს არის კ ვ ლ ა ვ ი მ ა ვ ე ძველი, კაბალური, ღატაკი და მებატონეთა ლატიფუნდიებით შევიწროებული გლეხური მეურნეობის კრიზისის სურათი. ასეთი შიმშილობა მსხვილი ა რ ა ბ ა ტ ო ნ ყ მ ი ს მამულების, კაპიტალისტური ლატიფუნდიების არსებობისას ევროპაში არ არის და არც შეიძლება იყოს.

გლეხების მასა, გარდა მიწისაგან სავსებით განთავისუფლებული პროლეტარებისა (რომლებმაც «განიმტკიცეს» მიწა, რათა გაეყიდათ იგი) და შეძლებულ გლეხთა უმნიშვნელო უმცირესობისა, უწინდელ და უფრო უარეს მდგომარეობაში დარჩა. მიწის ვერავითარი განმტკიცება პირად საკუთრებად, ვერავითარი ღონისძიებანი მიწის დაქსაქსულობის წინააღმდეგ ვერ გახდის კულტურულებად, რამდენადმე მეურნეებად ღატაკ გლეხთა მასებს, რომლებსაც ცუდი, გამოფიტული მიწა აქვთ, გააჩნიათ მხოლოდ ძველი, მამაპაპური, მთლად გაცვეთილი ინვენტარი, ჰყავთ დამშეული მუშა და რქიანი პირუტყვი.

2 000 დეს. მიწის პატრონი (მარკოვის ან პურიშკევიჩის ტიპის) მემამულის გარშემო შვიდდესეტინიანი, პაწაწინა ნაკვეთების მფლობელები აუცილებლად დარჩებიან დამონებულ ღატაკებად, როგორც არ უნდა დაასახლონ ისინი, როგორც არ უნდა გაათავისუფლონ ისინი თემისაგან, როგორც არ უნდა «განუმტკიცონ» მათ პირად საკუთრებად მათი ღატაკური ნაკვეთები.

სტოლიპინის რეფორმა ვ ე რ აღმოფხვრის გლეხთა მასის ვერც კაბალასა და შრომამიგებას, ვერც მათს შიმშილობას. საჭიროა მრავალი ათეული წელი ასეთივე პერიოდული შიმში-

ლობისა, რათა ტანჯვით მოისპოს ახლანდელ მეურნეობათა მასა, იმისათვის, რომ «წარმატება» ჰქონდეს სტოლიპინის რეფორმას, ე. ი. რომ შეიქმნას ჩვენს სოფელში საერთო-ევროპული ტიპის ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული წყობილება. ამჟამად კი, სტოლიპინის «რეფორმის» ექვსი წლის მანძილზე გამოცდისა და იმ გლეხთა ექვსი წლის «ბრწყინვალე» პროგრესის შემდეგ, რომლებმაც «მიწა განიმტკიცეს» და სხვ., ოდნავი ეჭვიც კი არ შეიძლება იყოს, რომ ამ რეფორმას კრიზისი არ აღმოუფხვრია და ვერც აღმოფხვრის.

ამჟამადაც და რუსეთის უახლოესი მომავლისთვისაც სრულიად უდავო რჩება, რომ ჩვენ წინაშეა მთელი რიგი ნაშთების მხრივ ბატონყმური მეურნეობის ძველი კრიზისი, გაღატაკებული და მარკოვისა და პურიშკევიჩის ტიპის ლატიფუნდიებით დამონებული წვრილი მიწათმოქმედების ძველი კრიზისი.

და ეს კრიზისი, 30 მილიონის შიმშილობით ესოდენ ცხადად დასაბუთებული, დგას ჩვენ წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ სტოლიპინმა ახადა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი სარქველი, როგორიც კი საერთოდ აქვთ მარკოვებსა და პურიშკევიჩებს. მათ (და მათთან ერთად გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭომაც) სხვა ვერაფრის გამოგონება * ვერ შესძლეს, სხვა აღარაფრის გამოგონება არ შეიძლება პურიშკევიჩებისათვის მიწისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად, თუ არა ის, რომ ბურჟუაზიულ პოლიტიკას აწარმოებდნენ თვით ეს პურიშკევიჩები.

სწორედ ამაზე დაიყვანება რუსეთის თანამედროვე სოფლის წინააღმდეგობათა ჯამიც: ბურჟუაზიული აგრარული პოლიტიკის წარმოება ძველი მებატონეების მიერ მათი მიწისა და მათი ძალაუფლების სრული შენარჩუნების დროს. აგრა-

* თავისთავად იგულისხმება, რომ სიტყვა «გამოგონება» გაგებულ უნდა იქნეს «მარილგარეკით»: მბრძანებელი კლასის «გამოგონება» შემოფარგლული და განსაზღვრული იყო რუსეთისა და მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური განვითარების მთელი მსვლელობით. რუსეთში, რომელიც კაპიტალისტურად ვითარდება, კლასთა არსებული თანაფარდობის დროს გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, თუ სურდა შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება.

რულ დარგში ესეც წარმოადგენს «ნაბიჯს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე» *.

ახლისაკენ ეს ნაბიჯი გადადგა ძველმა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავისი ყოვლისშემძლეობა, თავისი მიწა, თავისი სახე და თავისი გარემო. ეს უკანასკნელი ნაბიჯია, რომლის გადადგმაც კი შეუძლია ძველს. ეს უკანასკნელი სარქველია. პურიშკევიჩებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ქვეყანას მბრძანებლობენ, სხვა სარქველები თავიანთ განკარგულებაში არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ.

და სწორედ იმიტომ, რომ ახლისაკენ ეს ნაბიჯი გადადგა ძველმა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავისი ყოვლისშემძლეობა, ამ ნაბიჯს არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა და არც მოჰყვება მტკიცე რამ. პირიქით, მას მოჰყვება — ამას ცხადად გვიჩვენებს ახლანდელი მომენტის ყველა სიმპტომი — ძველი კრიზისის ზრდა რუსეთის კაპიტალისტური განვითარების სხვა, უფრო მაღალ საფეხურზე.

ძველი კრიზისი იზრდება ახლებურად, ახალ ვითარებაში, კლასებს შორის გაცილებით უფრო გარკვეული ურთიერთობების პირობებში, მაგრამ იგი იზრდება, და მისი სოციალურ-ეკონომიური (და არა მარტო ეკონომიური) ბუნება არსებითად უწინდელი რჩება.

გლეხური ბურჟუაზიის კარგი, განცალკევებული მეურნეობების უმნიშვნელო რაოდენობა, — როცა მცირდება ნადელით შებოჭილ პროლეტართა რაოდენობა, — როცა ყოვლისშემძლეობას ინარჩუნებენ პურიშკევიჩები, — როცა არსებობს უდიდესი მასა დამონებული საშუალო გლეხებისა, რომლებიც გალატაკებული არიან და შიმშილით იხოცებიან, — როცა დიდდება ნადელით შეუბოჭავ პროლეტართა რაოდენობა, — აი რუსეთის დღევანდელი სოფლის სურათი.

განა კიდევ საჭიროა მტკიცება, რომ სტოლიპინურ აგრარულ პროგრამას არ შეუძლია, ხოლო ნაროდნიკულს (ამ სიტყვის ისტორიულ-კლასობრივი მნიშვნელობით) შეუძლია

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 423. რ ე დ.

მოსპოს კაბალა და შრომამიგება? განა შეიძლება სოფლის თანამედროვე მდგომარეობა არ ასაზრდოებდეს ისეთ აზრებს, რომ კარგი განცალკევებული მეურნეობანი მიწის მობილიზაციის სრული თავისუფლების პირობებში აუცილებლად მოუღებდნენ ბოლოს ყოველგვარ შუასაუკუნეობრივ შიმშილობას, ყოველგვარ კაბალასა და ყოველგვარ შრომამიგებას, თუ ეს მეურნეობანი გლეხების თავისუფალი არჩევით მოეწყობოდა მემამულეთა ყველა იმ სამოცდაათ მილიონ დესეტინა მიწაზე, რომელსაც ჯერჯერობით «მიწათმოწყობა» არ შეხებია? და ხომ არ მოხდება ისე, რომ ისტორიის ირონიამ გვათქმევინოს, სტოლიპინის მიწისმზომლები «ტრუდოვიკული» რუსეთისათვის გამოდგნენო?

«ნევსკაია ზვეზდა» № 20,
1912 წ. 5 აგვისტო
ხელმოწერა: რ. ს.

იბეჭდება გაზეთ
«ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

მცირე ცნობა

საკითხი იმის შესახებ, დემოკრატები არიან ჩვენი კადეტები თუ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია, დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს.

გავიხსენოთ, რომ ტრუდოვიკმა (ბურჟუაზიულმა დემოკრატმა) ვოდოვოზოვმაც კი მერყეობა გამოიჩინა ამ საკითხში.

შეეხო რა ამ საკითხს, «პრავდამ» დაიმოწმა ბ-ნ გრედესკულის ამასწინანდელი განცხადებანი, რომლებიც «რეჩმა» გაიმეორა*.

«რეჩი» უპასუხებს: «ბ-ნ გრედესკულის რა განცხადებებზე ლაპარაკობს «პრავდა», ჩვენ არ ვიცითო».

რა ჩინებული პასუხია, არა? «პრავდამ» ნათლად და ზუსტად თქვა, რომ ლაპარაკობს განცხადებებზე, რომლებიც «რეჩმა» გაიმეორა. როგორ? განა «რეჩმა» არ იცის ის, რაც «რეჩში» იბეჭდება?? მაგრამ უფრო ბუნებრივი ხომ არ იქნება ვივარაუდოთ, რომ დემოკრატიზმის წინასაარჩევნო თამაშისათვის ლიბერალებს სურთ დაივიწყონ ზოგი რამ თავიანთი ახლო წარსულიდან?

ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მეცნიერული საკითხის გამოსარკვევად, მოვიყვან ბ-ნ გრედესკულის სიტყვებს, რომლებიც მან თქვა მთელ რიგ საჯარო ლექციებში და გაიმეორა, რედაქციის თუნდაც ერთი შენიშვნის დაურთავად, «რეჩის» 117-ე (2071) ნომერში:

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 288. რედ.

«ჩემი ლექციის სულ ბოლოში, — წერდა ბ-ნი გრედესკული, — ვეკამათებოდი რა «ვეხის» მტკიცებას, რომ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას (თითქოს ინტელიგენციის მიზეზით) წარმატება არ ჰქონდა, და ვუპირისპირებდი რა ამ მტკიცებას იმათ აზრს, ვინც პ. ბ. სტრუვეზე გაცილებით მარცხნივ დგას, მაგრამ ვინც აგრეთვე ფიქრობს, რომ მოძრაობას ჩვენთვის სრულებით არაფერი არ მოუცია, მე, ამის საწინააღმდეგოდ, ვიცავდი თეზისს, რომ, პირიქით, ძლიერ ბევრი რამ არის გაკეთებული, რომ ჩაეყარა თვით საჭირველი მომავალ კონსტიტუციურ შენობას, ამასთან ჩაეყარა მეტად ღრმად და მტკიცედ, ხალხის მასის შიგ სიღრმეში. ეს ორი მტკიცება ერთმანეთისათვის რომ კრიტიკულად დამეპირისპირებინა და, ამასთან ერთად, გამომეთქვა აზრი, რომელსაც აგრეთვე პოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვნად ვთვლი ჩვენი დროისათვის, ორივე ამ მტკიცებას მომავლისაკენ ვუბრუნებდი პირს და ვამბობდი, რომ პირველი მათგანის თვალსაზრისით (თუ 1905 — 1906 წლებში არაფერი არ არის გაკეთებული) ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, ე. ი., სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, შეორე მოძრაობა უნდა მოვაწყოთ, მაშინ როცა მეორე მტკიცების თვალსაზრისით (რომ 1905 — 1906 წლებში საძირკველი ჩაეყარა რუსეთის კონსტიტუციას), პირიქით, მეორე სახალხო მოძრაობა საჭირო არ არის, არამედ საჭიროა მხოლოდ დინჯი, გულმოდგინე და მტკიცე კონსტიტუციური მუშაობა.

აი სწორედ აქ შემაწყვეტინა ლიბავის (საქმე ლიბავაში ხდებოდა) პოლიცმეისტერმა. ამრიგად, ლიბავაში მოხდა პოლიციის დემონსტრაცია რუსეთში ახალი რევოლუციის საჭიროების საჯარო უარყოფის წინააღმდეგ» («რეჩი» 1912 წ., № 117 (2071)).

ბ-ნმა გრედესკულმა სავსებით დაამტკიცა, რომ ბ-ნი ლიბავის პოლიცმეისტერი შეცდა. მაგრამ გარდა ამისა ბ-ნმა გრედესკულმა დაამტკიცა კიდევ ორი მნიშვნელოვანი რამ: — 1) რომ ბ-ნ გრედესკულისა და კომპანიის პოლემიკა «ვეხი»-სთან ცბიერი, ფუჭი საქმეა. ნამდვილად ყოველივე არსებითში მთელი კ.-დ. პარტია «ვეხურია», 2) რომ მეცნიერული, ეკონომიური და პოლიტიკური ნიშნების მიხედვით კ.-დ. პარტიის მარქსისტული დახასიათება უთუოდ სწორია.

«პრავდა» № 85, 1912 წ. 8 აგვისტო
ხელმოწერა: ნ. ბ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მუშათა ხელფასი და კაპიტალისტთა მოგება რუსეთში

1908 წელს მოხდა რუსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების გამოკვლევა[70]. ამ გამოკვლევამ, უეჭველია, მოგვცა გაზვიადებული ციფრები მუშათა ხელფასის შესახებ და შემცირებული ციფრები წარმოების სიდიდისა და კაპიტალისტთა მოგების ოდენობის შესახებ, ვინაიდან ჩვენში ყველა ასეთი გამოკვლევა ხდება წმინდა კაზიონური გზით, ამასთან გამოკითხავენ ხოლმე მხოლოდ კაპიტალისტებს, ხოლო მუშების გამოკითხვას საჭიროდაც არ თვლიან.

აბა ვნახოთ, რა გვიჩვენა ამ, კაპიტალისტებისათვის უფრო ხელსაყრელმა, სტატისტიკამ.

წინასწარი ცნობებით, — დღემდე კი მხოლოდ ეს ცნობებია გამოქვეყნებული, — რუსეთში სულ იყო თითქმის 20 000 ფაბრიკა და ქარხანა (ზუსტი ციფრი: 19 983; ფრჩხილებში მოვიყვანთ ზუსტ ციფრებს, ტექსტში კი რამდენადმე დავამრგვალებთ მათ, რათა უფრო ადვილი წარმოსადგენი და კითხვისას ადვილი დასამახსოვრებელი იყოს მთავარი ცნობები).

ორივე სქესის მუშათა მთელი რიცხვი იყო 2¼ მილიონი კაცი (2 253 787). ამ რიცხვში შევიდნენ მაღაროს მუშებიც და აქციზდადებულ საწარმოთა მუშებიც.

ყველა ამ მუშის ხელფასმა შეადგინა ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ა რ დ მანეთზე მ ე ტ ი (555,7 მილიონი).

ერთი მუშის საშუალო ხელფასი რომ გავიგოთ, ხელფასის საერთო თანხა მუშათა რიცხვზე უნდა გავყოთ. ამ გაყოფით მივიღებთ ციფრს — 246 მანეთს.

მაშასადამე, რუსეთში ფაბრიკა-ქარხნების ორი მილიონი ორას ორმოცდაათი ათასი მუშა 1903 წელს ხელფასს საერთოდ და საშუალოდ, ე. ი. ერთიმეორეზე, იღებდა სულ ოც მანეთსა და 50 კაპიკს თვეში!

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ თანხით მუშას ოჯახის შენახვა უხდება, — ისიც ბინებისა და სანოვაგის ახლანდელი სიძვირის დროს, — ასეთ ხელფასს არ შეიძლება მათხოვრული არ ვუწოდოთ.

ახლა ვნახოთ, როგორია კაპიტალისტთა მოგება. მოგების გამოსარკვევად წარმოების საერთო თანხას, ე. ი. ყველა ფაბრიკისა და ქარხნის საერთო შემოსავალს, უნდა გამოვაკლოთ კაპიტალისტთა მთელი ხარჯები.

წარმოების საერთო თანხაა 4½ მილიარდ მანეთზე მეტი (4 651 მილიონი მანეთი). კაპიტალისტთა მთელი ხარჯები — 4 მილიარდი (4 082 მილიონი მანეთი).

მაშასადამე, კაპიტალისტთა მოგება ნახევარ მილიარდ მანეთს აღემატება (568,7 მილიონი მანეთი).

საშუალოდ 1 საწარმოზე ეს მოგება უდრის 297 ათას მანეთს. თვითეული მუშა კაპიტალისტს წელიწადში აძლევს 252 მანეთ მოგებას.

შევადაროთ ახლა მუშათა ხელფასი და კაპიტალისტთა მოგება. თვითეული მუშა საშუალოდ (ე. ი. ერთიმეორეზე) წელიწადში იღებს 246 მანეთ ხელფასს, ხოლო კაპიტალისტს აძლევს 252 მანეთ მოგებას წელიწადში *.

აქედან გამომდინარეობს, რომ მუშა დღის ნახევარზე ნაკლებს მუშაობს თავისთვის, ხოლო დღის ნახევარზე მეტს — კაპიტალისტისათვის. თუ, მაგალითად,

* მუშა წელიწადში ქმნის სულ 498 მანეთის ახალ ღირებულებას.

სამუშაო დღის საშუალო სიდიდეს ავიღებთ 11 საათს, გამოვა, რომ მუშა ხელფასს იღებს მხოლოდ 5½ საათისათვის და რამდენადმე ნაკლებსაც, ვიდრე 5½ საათისათვის. ხოლო დანარჩენ 5½ საათს მუშა შრომობს მუქთად, არ იღებს არავითარ ხელფასს, და ის, რასაც მუშა ამ ნახევარ დღეში გამოიმუშავებს, კაპიტალისტთა მოგებას შეადგენს.

«პრავდა» № 85, 1912 წ. 8 აგვისტო
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საგაფიცვო ბრძოლა და ხელფასი

ყველამ იცის, რომ რუსეთის მუშების 1905 წლის ცნობილ საგაფიცვო ბრძოლას მეტად დიდი წარმატებანი მოჰყვა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე ეკონომიურ დარგში. ამ-ჟამად საფაბრიკო ინსპექტორების[71] ანგარიშების მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევენ საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ წარმატებათა სიდიდის შესახებ.

რუსეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშის საშუალო ხელფასი, ამ მონაცემების მიხედვით, უდრიდა:

1901	წელს	201	მან.	1906	წელს	231	მან.
1902	»	202	»	1907	»	241	»
1903	»	208	»	1908	»	242	»
1904	»	213	»	1909	»	236	»
1905	»	205	»	1910	»	242	»
საშუალოდ ხუთ				საშუალოდ ხუთ			
წელიწადში		206	»	წელიწადში		238	»

აქედან ვხედავთ, რომ 1905 წელი გარდატეხის წელი იყო. სახელდობრ, 1905 წლის შემდეგ ხელფასი ერთბაშად მატულობს 205-დან 231 მანეთამდე წელიწადში, ე. ი. 26 მანეთით, 10%-ზე მეტით.

1905 წლის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს ხელფასის 8 მანეთით შემცირებას 1904 წელთან შედარებით, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: ჯერ-ერთი, 1905 წელი ეკონომიური დეპრესიის, ე. ი. მრეწველობის დაცემის წელი იყო; მეორე, ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, მუშებმა ამ წელს გაფიცვის დღეებში ხელფასის მიუღებლობით დაკარგეს 17½ მილიონი მანეთი, ე. ი. თვითეულ მუშაზე საშუალოდ 10 მანეთზე მეტი წელიწადში.

მაშასადამე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნამდვილი ხელფასი 1905 წელს იყო 215 მანეთი წელიწადში, მაგრამ ამ

215 მანეთიდან მუშებმა ათ-ათი მანეთი მოახმარეს საგაფიცვო ბრძოლას, რომელიც 1905 წელს განირჩეოდა შესანიშნავი, მსოფლიოში მანამდე არსად ნახული სიმტკიცითა და სიფართოვით.

შედეგად ის მივიღეთ, რომ ახლა, როდესაც მთელი ათეული წლის, 1901 — 1910 წლების მონაცემებს ვიხილავთ, ნათლად ვხედავთ საოცარ განსხვავებას რევოლუციამდელ და რევოლუციისშემდგომ ეპოქას შორის.

1905 წლამდე რუსეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშის საშუალო ხელფასი იყო 206 მანეთი. 1905 წლის შემდეგ — 238 მანეთი, ე. ი. წელიწადში 32 მანეთით მეტი. ზრდა უდრის 15,5%-ს.

ხელფასის ზრდამ ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბიძგი განიცადა, რომ კაპიტალისტთა (რომლებიც, როგორც ცნობილია, ზედიზედ აუქმებდნენ ცხრაასხუთი წლის ყველა მონაპოვარს) ვერავითარმა შემდგომმა ღონისძიებებმა ვერ დააბრუნეს მუშა ცხოვრების უწინდელ დაბალ დონემდე. ცხრაას ხუთმა წელმა რუსეთის მუშის საარსებო დონე ისე აამაღლა, როგორც ჩვეულებრივ დროს ეს დონე რამდენიმე ათეულ წელიწადში არ მაღლდება.

1905 წლის გაფიცვებით მუშებმა, ოფიციალური სტატისტიკით, დაკარგეს 17½ მილიონი მანეთი გაფიცვის დღეებში ხელფასის მიუღებლობის გამო. 1905 წელს, იმავე სტატისტიკის მიხედვით, კაპიტალისტებს დაუმზადებელი დარჩათ 127,3 მილიონი მანეთის პროდუქტი.

ხოლო 1905 წლის შემდეგ ხელფასის გადიდებით მუშებმა ხუთი წლის განმავლობაში (1906 — 1910) მოიგეს საშუალოდ 32 მანეთი თითო მუშაზე, ე. ი. სულ, თუ 1,8 მილიონ მუშას ვიანგარიშებთ, 57,6 მილიონი მანეთი წელიწადში ანუ 286 მილიონი მანეთი მთელი ხუთი წლის განმავლობაში.

«პრავდა» №86, 1912 წ. 9 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამუშაო დღე მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებში

ინჟინერმა ი. მ. კოზმინიხ-ლანინმა გამოუშვა წიგნი მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაო დღისა და სამუშაო წელიწადის ხანგრძლივობის შესახებ.

ავტორის მიერ შეგროვებული მასალა ეკუთვნის 1908 წლის დამლევს და მოიცავს 219 669 მუშას, ე. ი. მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნის მუშათა მთელი რაოდენობის (307 773) 7/10-ზე ცოტა უფრო მეტს.

ამ მონაცემების საფუძველზე ავტორი საშუალო სამუშაო დღეს განსაზღვრავს 9 1/2 საათით — მოზრდილებისა და მოზარდთათვის, 7 1/2 საათით — მცირეწლოვანთათვის.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ მონაცემებში სრულებით არ შესულა საზეგანაკვეთო მუშაობის აღრიცხვა (საზეგანაკვეთო მუშაობის შესახებ ავტორს დასაბეჭდად გამზადებული აქვს განსაკუთრებული ნაშრომი), — მეორეც ის, რომ ავტორის მონაცემები დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ «მეწარმეებისა და მუშებისათვის სავალდებულო შინაგანაწესის წესებზე».

იცავენ თუ არა სინამდვილეში ამ წესებს, — ამ საკითხს ჩვენი ინჟინერი არც კი აყენებს. მხოლოდ მუშათა კავშირებს, თუ ისინი თავიანთ სტატისტიკას შექმნიდნენ, შეეძლებოდათ შეეგროვებინათ მონაცემები ამ საკითხზეც.

ცალკეულ საწარმოებში ეს 9 1/2 საათის სამუშაო დღე ძლიერ მერყეობს.

ავტორის ცხრილებიდან ჩანს, რომ 33 466 მუშა დღეში 10 საათზე მეტს მუშაობს! ეს გამოკვლეულ მუშათა მთელი რაოდენობის 15%-ზე მეტს შეადგენს.

13 189 მუშა მუშაობს დღეში 11 საათზე მეტს, ხოლო 75 მუშა — დღეში 12 საათზე მეტს. ასეთი უზომოდ-გრძელი სამუშაო დღით შევიწროებულ მუშათა მთავარი მასა საფეიქრო მრეწველობაზე მოდის.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ავტორის გამოკვლევა მუშათა დაახლოებით ერთ მესამედს არ შეხებია, იმ დასკვნას მივიღებთ, რომ მოსკოვის გუბერნიის 20 ათასზე მეტ ფაბრიკა-ქარხნის მუშას უმსგავსოდ-გრძელი სამუშაო დღე აქვს.

ბოლოს, ინჟინერ კოზმინიხ-ლანინის მონაცემები ცხადყოფს, რომ მეფაბრიკეები არ იცავენ რუსეთის 1897 წლის მეტად მოძველებულ კანონსაც კი, რომლითაც ნებადართულია 11½ საათის (!!!) სამუშაო დღე. ამ კანონით, ორ ცვლად მუშაობის დროს, თვითეული მუშის სამუშაო დრო, 2 კვირის ანგარიშით, დღე-ღამეში 9 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

ნამდვილად კი, ავტორის მიერ გამოკვლეული ორ ცვლად მომუშავე 83 990 მუშიდან 14 376 მუშა 9 საათზე მეტს მუშაობდა. ეს ორ ცვლად მომუშავე მუშათა მთელი რაოდენობის 17%-ს შეადგენს. ხოლო ორ ცვლად მომუშავე 3 733 მუშიდან, რომლებიც სარემონტო და დამხმარე სამუშაოებს ასრულებენ, 2 173 მუშა, ე. ი. თითქმის ³/₅, დღე-ღამეში 9 საათზე მეტს მუშაობდა! სულ გამოდის 16½ ათასი მუშა, რომლებსაც — ოფიციალური მონაცემებითაც კი — უფრო მეტ ხანს ამუშავებენ, ვიდრე კანონით არის ნებადართული!

8 საათიანი სამუშაო დღე მოსკოვის გუბერნიაში 1908 წელს არსებობდა მხოლოდ 4 398 მუშისათვის გამოკვლეულ მუშათა მთელი რაოდენობიდან — 219 669 კაციდან. მაშასადამე, 8 საათიანი სამუშაო დღე ახლაც კი სავსებით შესაძლებელია, რჩება მხოლოდ ის, რომ 215 ათასი მუშა დაეწიოს ამ ოთხ ათასს.

«პრავდა» № 88, 1912 წ. 11 აგვისტო
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამუშაო დღე და სამუშაო წელიწადი მოსკოვის გუბერნიაში

ამ სათაურით გამოსული ინჟინერ კოზმინიხ-ლანინის ნაშრომი (მ. 1912, რუსეთის საიმპ. ტექნ. საზოგადოების მოსკოვის განყოფილებასთან არსებული შრომის ხელშემწყობი მუზეუმის მუდმივი კომისიის გამოცემა. ფ. 1 მან. 75 კაპ.) წარმოადგენს შეჯამებულ მონაცემებს, რომლებიც 1908 წლის დამლევს ეხება.

მონაცემები მოიცავენ 219 669 მუშას, ე. ი. გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რიცხვის (307 773) 71,37%-ს. ავტორი ამბობს, რომ «მასალა გულდასმით გამოიკვლია თვითეული სამრეწველო საწარმოს მიხედვით ცალკე, და შეჯამებულ მონაცემებში შევიდა მასალის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევდა».

ასეთი სტატისტიკა — მიუხედავად დიდი დაგვიანებისა — ფრიად საინტერესო იქნებოდა, შეჯამებული ცნობები უფრო გააზრებული რომ იყოს. სამწუხაროდ, იძულებული ვართ სწორედ ეს სიტყვა ვიხმაროთ, ვინაიდან ბ-ნ კოზმინიხ-ლანინის ცხრილები მეტისმეტად გულდასმით არის შედგენილი, ყოველგვარი ჯამებისა და პროცენტული შეფარდების გამოანგარიშებაზე მას ძლიერ დიდი შრომა გაუწევია, მაგრამ ეს შრომა არარაციონალურად არის გაწეული.

უხვ მასალას თითქოს დაუძაბუნებია ავტორი. მას გაუკეთებია ასობით და ათასობით გამოანგარიშება, რომელიც სრულიად ზედმეტია და მხოლოდ ამძიმებს ნაშრომს, და არ გაუკეთებია რამდენიმე ათეული გამოანგარიშება, რომელიც

სრულიად აუცილებელია, ვინაიდან უიმათოდ არ გამოდის მოვლენის საერთო სურათი.

მართლაც, ავტორის ძირითად ცხრილებში, რომლებიც თითქმის მთელ წიგნს შეადგენენ, მოყვანილია ისეთი დეტალური მონაცემები, რომ, მაგალითად, მუშები, რომლებიც დღეღამეში 9 — 10 საათს მუშაობენ, დაყოფილი არიან 16 დანაყოფად, — სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით ორ მომიჯნავე კვირაში (109-დან 120 საათამდე) — და თვითეული დანაყოფისათვის გამოანგარიშებულია დღეღამის სამუშაო საათების საშუალო რაოდენობა! და ყველაფერი ეს გაკეთებულია ორგზის: წარმოების მუშებისა და დამხმარე მუშებისათვის.

არ შეიძლება არ დაგვეთანხმონ, რომ ასეთი დეტალიზაცია, ჯერ-ერთი, სრულიად ზედმეტია, რომ აქ გამოდის სტატისტიკით გატაცება სტატისტიკისათვის, ციფრების თავისებური თამაში — რაც ვნებს სურათის სიცხადესა და მასალის ვარგისიანობას შესასწავლად. ხოლო, მეორე, ამ «საშუალოთა» ცხრა მეათედი, რომლებიც ავტორს ერთი მეასედის სიზუსტით გამოუანგარიშნია, — პირდაპირ დაღუპული შრომაა, ვინაიდან ვინ იქნება თავდები, რომ წიგნის ათასი მკითხველიდან (საეჭვოა, რომ ამ წიგნს ათასი მკითხველი გამოუჩნდეს) თუნდაც ერთი იგრძნობს ასეთი «საშუალოს» საჭიროებას (ამასთან ამ ერთს შეუძლია თვითონ გამოიანგარიშოს იგი, თუ მაინცდამაინც ასეთი განსაკუთრებული უბედურება დაატყდება თავს!).

ამავე დროს წიგნში სრულებით არ არის აბსოლუტურად საჭირო შეჯამებანი, რომლებიც ავტორს შეეძლო გაეკეთებინა გაცილებით ნაკლები შრომის დახარჯვით და რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელია, თუ მოვინდომებთ აზრიანად გავეცნოთ გამოკვლევის მონაცემებს. არ არის შეჯამებული ცნობები: 1) რომლებიც მოგვცემდნენ წარმოებათა ჯგუფების მიხედვით ერთ, ორ და სამ ცვლად მომუშავე მუშათა რაოდენობის შეჯამებას; 2) წარმოებაში მომუშავე და

დამხმარე მუშათა რაოდენობის შეჯამებას; 3) რომლებიც მოგვცემდნენ წარმოებათა ჯგუფების მიხედვით სამუშაო საათების საშუალო რაოდენობას; 4) რომლებიც მოგვცემდნენ მოზრდილთა და მცირეწლოვანთა სამუშაო დროის საერთო ჯამს; 5) რომლებიც გამოყოფდნენ ფაბრიკებს, სადაც მუშათა რაოდენობა სხვადასხვაა.

შევჩერდეთ ამ უკანასკნელ პუნქტზე. ნაშრომის ავტორი, ჩანს, ისეთი შრომისმოყვარეა, — თუ ვიმსჯელებთ იმ ნაშრომების სიის მიხედვით, რომლებიც მას გამოუქვეყნებია და დასაბეჭდად გაუმზადებია, — მას აქვს ისეთი უხვი და საინტერესო მასალა, რომ, იქნებ, მისი ხერხების კრიტიკულმა გარჩევამ მოგვიტანოს არა მარტო თეორიული, არამედ აგრეთვე უშუალო-პრაქტიკული სარგებლობა. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ავტორის სიტყვები, რომ შეკრებილი «მასალა გულდასმით გამოიკვლია თვითეული სამრეწველო საწარმოს მიხედვით ცალკე».

მაშასადამე, ამ მასალის შეჯამება ფაბრიკების თუნდაც იმ ჯგუფების მიხედვით, რომლებიც ჩვენი ოფიციალური სტატისტიკითაც კი არის შემოღებული (20-მდე მუშა, 21 — 50, 51 — 100, 101 — 500, 501 — 1 000 მუშა და 1 000-ზე მეტი), სავსებით შესაძლებელი იყო. იგი საჭირო იყო თუ არა?

უთუოდ საჭირო იყო. სტატისტიკა უნდა იძლეოდეს არა ციფრების ნებისმიერ სვეტებს, არამედ შესასწავლი მოვლენის იმ სხვადასხვა სოციალური ტიპების ციფრობრივ გაშუქებას, რომლებიც ცხოვრებამ სავსებით დასახა ან სახავს. განა შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ 50 მუშიანი და 500 მუშიანი საწარმოები ჩვენთვის საინტერესო მოვლენის არსებითად სხვადასხვა სოციალურ ტიპებს ეკუთვნიან? რომ ყველა ცივილიზებული ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი განვითარება აძლიერებს ამ ტიპების განსხვავებას და იწვევს ერთი მათგანის განდევნას მეორის მიერ?

ავიღოთ სწორედ მონაცემები სამუშაო დღის შესახებ. ავტორის შეჯამებული ცხრილიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ

ის დასკვნა, — თუ თვითონ შევასრულებთ ერთგვარ საჭირო სტატისტიკურ სამუშაოს, რომელსაც წიგნში ვერ ვხედავთ, — ის დასკვნა, რომ 33 ათასი მუშა (220 ათასი გამოკვლეული მუშიდან) დღეღამეში 10 საათზე მეტს მუშაობს. ყველა 220 ათასი მუშის სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა კი 9½ საათს უდრის. იბადება კითხვა, უზომოდ გრძელი სამუშაო დღით განაწამები ეს მუშები წვრილ საწარმოებში ხომ არ მუშაობენ?

ეს კითხვა ბუნებრივად და გარდუვალად იბადება. იგი სრულებითაც არ არის ნებისმიერად შერჩეული. მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა ვალდებულს გვხდიან დავაყენოთ სწორედ ეს კითხვა, ვინაიდან ძლიერ ხშირი იყო სამუშაო დღის გახანგრძლივება წვრილი საწარმოების მიერ. კაპიტალისტური მეურნეობის პირობები წვრილ მეპატრონეებს იძულებულს ხდიან გაახანგრძლივონ სამუშაო დღე.

და აი გამოდის, რომ ამ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე პასუხის გასაცემად ავტორის მასალებში მონაცემები იყო, ავტორის შეჯამებულ მონაცემებში კი ისინი გაქრნენ! შეჯამებულ მონაცემებში ავტორმა მოგვცა დეტალური «საშუალოების» უგრძესი სვეტები, რომლებიც სრულიად გამოუსადეგარია, და არ მოუცია ფაბრიკების საჭირო დაყოფა მუშათა რაოდენობის მიხედვით.

მოსკოვის გუბერნიაში ასეთი დაყოფა კიდევ უფრო აუცილებელია (თუ შეიძლება აქ ვიხმაროთ შედარებითი ხარისხი), ვიდრე საზოგადოდ, ვინაიდან მოსკოვის გუბერნიაში, წარმოების უდიდეს კონცენტრაციასთან ერთად, ვხედავთ წვრილ საწარმოთა შედარებით ძლიერ დიდ რიცხვს. 1910 წლის სტატისტიკით, იქ იყო სულ 1 440 საწარმო 335 190 მუშით. მუშათა ამ რაოდენობის ნახევარი (167 199) თავმოყრილია 66 ფაბრიკაში, — ხოლო მეორე პოლუსზე ჩვენ წინაშეა 669 საწარმო, რომლებშიც მუშათა საერთო რაოდენობა 18 277 კაცს შეადგენს. ცხადია, რომ ჩვენ წინაშეა სულ სხვა-

დასხვა სოციალური ტიპები, და რომ სტატისტიკა, რომელიც მათ ვერ განასხვავებს, არაფრად არ ვარგა.

ავტორი იმდენად გაუტაცნია ციფრების მწკრივებს იმ მუშათა რაოდენობის შესახებ, რომლებიც მომიჯნავე ორ კვირაში მუშაობენ 94, 95 საათს და ა. შ. 144 საათამდე, რომ სრულებით გამოუტოვებია მონაცემები საწარმოთა რაოდენობის შესახებ. ეს რაოდენობა ნაჩვენებია მისი ნაშრომის მეორე ნაწილისათვის, სადაც ლაპარაკია სამუშაო წლის ხანგრძლივობაზე, მაგრამ პირველ ნაწილში, სადაც ლაპარაკია სამუშაო დღეზე, მოყვანილი არ არის არავითარი ცნობები საწარმოთა რაოდენობის შესახებ, — თუმცა ეს ცნობები ავტორს უეჭველია ჰქონდა.

მოსკოვის გუბერნიის უმსხვილესი ფაბრიკები არა მარტო სამრეწველო საწარმოთა თავისებური ტიპებია, არამედ მოსახლეობის თავისებური ტიპებიცაა თავისი განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო და კულტურული (ანუ, უფრო სწორად, უკულტურო) პირობებით. ამ ფაბრიკების გამოყოფა, საწარმოთა თვითეული თანრიგის შესახებ მონაცემების ცალკე დაწვრილებითი დამუშავება მუშათა რაოდენობის მიხედვით რაციონალური ეკონომიკური სტატისტიკის აუცილებელი პირობაა.

მოვიყვანოთ უმთავრესი შედეგები ბ-ნ კოზმინიხ-ლანინის ნაშრომიდან.

მისი გამოკვლევა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ შეეხო, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვის 219 669 ფაბრიკა-ქარხნის მუშას, ე. ი. მათი მთელი რაოდენობის 71,37%-ს, ამასთან მისი სტატისტიკა რამდენადმე უფრო მეტად შეეხო საფეიქრო მრეწველობის მუშებს, ვიდრე სხვა წარმოებათა მუშებს. გამოკვლეულ იქნა საფეიქრო მრეწველობის ყველა მუშის 74,6% და დანარჩენ წარმოებათა მუშების მხოლოდ 49 — 71%. როგორც ჩანს, ნაკლებ გამოკვლეულია მონაცემები წვრილ საწარმოთა შესახებ:

ყოველ შემთხვევაში, წლის სამუშაო დღეების რაოდენობის სტატისტიკა შეეხო საწარმოთა 58%-ს (811-ს 1908 წელს არსებული 1 394 საწარმოდან) და მუშათა 75%-ს (231 130-ს 307 773 მუშიდან). ცხადია, რომ აქ გამოტოვებულ იქნა სწორედ უფრო წვრილი საწარმოები.

სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ ავტორი შეჯამებულ მონაცემებს იძლევა მხოლოდ ერთად აღებულ მუშათა მთელი რაოდენობისათვის. გამოდის საშუალო — 9½ საათი დღეღამეში მოზრდილისათვის და 7½ საათი მცირეწლოვანთათვის. უნდა შევნიშნოთ, რომ მცირეწლოვანთა რაოდენობა დიდი არ არის: 1 363, მაშინ როცა მოზრდილია 218 306. ეს გვაფიქრებინებს, ხომ არ «დაუმალეს» ინსპექტორებს განსაკუთრებით მცირეწლოვანი მუშები?

მუშათა მთელი რაოდენობიდან — 219 669 კაციდან ერთ ცვლად მუშაობდა 128 628 კაცი (58,56%), 2 ცვლად — 88 552 (40,31%) და 3 ცვლად — 2 489 (1,13%). ორცვლიანი მუშაობა სჭარბობს ერთცვლიანს საფეიქრო მრეწველობაში: ორცვლიანი მუშაა («წარმოებაში მომუშავე» მუშა, ე. ი. დამხმარე მუშების ჩაუთვლელად) 75 391, მაშინ როცა ერთცვლიანია 68 604. რემონტზე მომუშავე და დამხმარე მუშების მიმატება იძლევა ჯამში 78 107 ორცვლიან და 78 321 ერთცვლიან მუშას. პირიქით, მელითონეებში ერთცვლიანი მუშაობა (17 821 მოზრდილი მუშა) მნიშვნელოვნად სჭარბობს ორცვლიანს (7 673).

იმ მუშათა საერთო რაოდენობის შეჯამებისას, რომელთა სამუშაო საათების რაოდენობა დღეღამეში სხვადასხვაა, ვიღებთ ასეთ მონაცემებს:

სამუშაო საათების რაოდენობა დღეღამეში	მუშათა რაოდენობა	
8 საათამდე	4 398	
8-დან 9 საათამდე	87 402	
9 » 10 »	94 403	
10 » 11 »	20 202	33 466
11 » 12 »	13 189	
12 საათი და მეტი	75	
სულ	219 669	

აქედან ჩანს, ჯერ კიდევ რა მცირეა რუსეთში რაოდენობა მუშებისა, რომლებიც დღეღამეში 8 საათზე მეტს არ მუშაობენ: სულ 4 398 კაცი 219 669-დან. პირიქით, რაოდენობა მუშებისა, რომლებსაც უზომოდ, უმსგავსოდ გრძელი სამუშაო დღე აქვთ, მეტად დიდია: 33 466 კაცი 220 ათასიდან, ე. ი. მუშათა 15%-ზე მეტი დღეღამეში 10 საათზე მეტს მუშაობს! და აქ სათვალავში არ შედის კიდევ საზეგანაკვეთო მუშაობა.

შემდეგ. ერთცვლიანი და ორცვლიანი მუშების სამუშაო დღის ხანგრძლივობის სხვადასხვაობა ჩანს შემდეგი მონაცემებიდან, რომლებიც ეხება მხოლოდ «წარმოებაში მომუშავე» მოზრდილ მუშებს, ე. ი. რემონტზე მომუშავე და დამხმარე მუშების ჩაუთვლელად, რომლებიც მუშათა საერთო რაოდენობის 8%-ს შეადგენენ.

სამუშაო დღის ხანგრძლივობა	პროცენტი მუშებისა (რომლებიც დღეღაქში აღნიშნული რაოდენობის საათებს მუშაობენ) ერთცვლიანის	ორცვლიანის
8 საათამდე	1,3	1,0
8-დან 9 საათამდე	13,3	81,9
9 » 10 »	60,7	14,7
10 » 11 »	15,2	1,4
11 » 12 »	9,5	1,0
12 საათი და მეტი	—	—
სულ	100,0	100,0

აქედან, სხვათა შორის, ჩანს, რომ ორცვლიან მუშათა 17% დღეღამეში მუშაობს 9 საათზე მეტს, ე. ი. მეტს, ვიდრე ნებადართულია ჩვენი 1897 წლის კანონითაც კი, რომელიც ბ-ნ ლანინს სამართლიანად მიაჩნია მეტისმეტად ჩამორჩენილად. ამ კანონის მიხედვით, ორცვლიანი მუშაობის დროს სამუშაო საათების რაოდენობა დღეღამეში არ უნდა აღემატებოდეს ცხრა საათს — 2 კვირის მუშაობის ანგარიშით. ბ-ნი ლანინი კი თავის ყველა ანგარიშსა და ცხრილში იღებს, სწორედ, «2 მომიჯნავე კვირის» პერიოდს.

თუ ასე აშკარად ირღვევა სავსებით გარკვეული და ზუსტი კანონი, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ემართება ჩვენი

საფაბრიკო კანონმდებლობის დანარჩენ დადგენილებათა უმრავლესობას.

სამუშაო საათების საშუალო რაოდენობა დღეღამეში ერთი ერთცვლიანი (მხოლოდ მოზრდილი და მხოლოდ «წარმოებაში მომუშავე») მუშისათვის 9,89 საათს შეადგენს. მაშასადამე, გაბატონებულია ათსაათიანი სამუშაო დღე ყოველგვარი შემცირების გარეშე, შაბათობითაც კი, და საზეგანაკვეთო მუშაობის ჩაუთვლელად. ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ შრომის ასეთი ხანგრძლივობა უთუოდ ზომას გადასული და შეუწყნარებელია.

სამუშაო საათების საშუალო რაოდენობა დღეღამეში ორცვლიანი მუშისათვის 8,97 საათს შეადგენს, ე. ი. პრაქტიკაში სჭარბობს ცხრა საათის სამუშაო დღე, რასაც კანონი ამ შემთხვევაში მოითხოვს. მისი რვა საათამდე შემცირება განსაკუთრებით აუცილებელია, იმის გამო, რომ ორ ცვლად მუშაობისას «ღამედ» ითვლება დრო საღამოს 10 საათიდან დილის 4 (!!) საათამდე, ე. ი. სინამდვილეში ღამის ფრიად და ფრიად დიდი ნაწილი მუშას ეთვლება «დღედ». ცხრა საათიანი სამუშაო დღე ღამის დღედ გადაქცევით, მუდმივი ღამის მუშაობით — აი რა არის გამეფებული მოსკოვის გუბერნიაში!

ბ-ნ კოზმინიხ-ლანინის მონაცემების ჩვენი მიმოხილვის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ სამუშაო წლის საშუალო ხანგრძლივობა მას განსაზღვრული აქვს 270 დღით. საფეიქრო მრეწველობის მუშებისათვის კი ეს ციფრი რამდენადმე ნაკლებია — 268,8 დღე, მელითონეებისათვის ცოტა მეტი — 272,3 დღე.

ეს მონაცემებიც, სამუშაო წლის ხანგრძლივობის შესახებ, კოზმინიხ-ლანინს მეტად არადამაკმაყოფილებლად აქვს დამუშავებული. ერთი მხრივ, უზომო, სრულიად შეუსაბამო დეტალიზაცია: შეჯამებულ ცხრილში დავითვალეთ მთელი 130 ჰორიზონტალური სვეტი სამუშაო წლის ხანგრძლივობის შესახებ! მონაცემები საწარმოთა რაოდენობის, მუშათა რაო-

დენობის და სხვ. შესახებ აქ მოყვანილია ცალკე სამუშაო დღეების თვითეული შეხვედრილი რაოდენობისათვის (წელიწადში), დაწყებული 22-ით და დამთავრებული 366-ით. ასეთი «დეტალიზაცია» ნედლი მასალის სრულ «მოუნელებლობას» უფრო წააგავს.

მეორე მხრივ, აქაც არ არის სრულიად აუცილებელი მონაცემები არც ფაბრიკებში მუშათა რაოდენობის მიხედვით, არც ძრავების სხვადასხვაობის მიხედვით (ხელით სამუშაო და მექანიკური ფაბრიკები). ამიტომ რაიმე სურათის მიღება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გავიგოთ სამუშაო წლის ხანგრძლივობის დამოკიდებულება სხვადასხვა პირობებისაგან, შეუძლებელია. ავტორის მიერ შეგროვებული უმდიდრესი მასალა დაღუპულია მეტისმეტად ცუდი შეჯამების გამო.

მსხვილ და წვრილ წარმოებას შორის განსხვავების მნიშვნელობას შეგვიძლია — დაახლოებით და სრულიადაც არა ზუსტად! — გავადევნოთ თვალი ავტორის მონაცემებითაც, თუ რამდენადმე გადავამუშავებთ მათ. ავიღოთ საწარმოთა ოთხი მთავარი ჯგუფი სამუშაო წლის ხანგრძლივობის მიხედვით: 1) რომლებიც მუშაობენ წელიწადში 200 დღემდე; 2) — 200-დან 250 დღემდე; 3) — 250-დან 270 დღემდე და 4) — 270 დღეს და მეტს.

თუ თვითეული ამ თანრიგისათვის შევაჯამებთ ფაბრიკების რაოდენობასა და ორივე სქესის მუშათა რაოდენობას, ასეთ სურათს მივიღებთ:

სამუშაო წლის ხანგრძლივობა	სამუშაო დღეების საშუალო რაოდენობა წელიწადში	რაოდენობა ფაბრიკებისა	რაოდენობა მუშებისა	მუშათა საშუალო რაოდენობა 1 ფაბრიკაზე
200 დღემდე.....	96	74	5 676	76
200—250 »	236	91	14 400	158
250—270 »	262	196	58 313	297
270 და მეტი.....	282	450	152 741	339
სულ ...	270	811	231 130	285

აქედან ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო მსხვილია ფაბრიკები, მით უფრო ხანგრძლივია (საერთოდ) სამუშაო წელი-

წადი. მაშასადამე, წვრილ საწარმოთა საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაცილებით ნ ა კ ლ ე ბ ი ა სინამდვილეში, ვიდრე შეიძლება ვიმსჯელოთ ამ საწარმოთა წილის მიხედვით, მაგალითად, მუშათა საერთო რაოდენობაში. ამ საწარმოებში სამუშაო წელიწადი იმდენად უფრო მოკლეა, ვიდრე მსხვილ საწარმოებში, რომ მათი წარმოების წილი სრულიად უმნიშვნელო უნდა იყოს. გარდა ამისა, მოკლე სამუშაო წლის გამო ეს (წვრილი) ფაბრიკები ვერ შექმნიან პროლეტარიატის მუდმივ კადრებს, — მაშასადამე, აქ მუშები უფრო «შებოჭილი არიან» მიწით, ალბათ, ნაკლებ ხელფასს იღებენ, ნაკლებ კულტურული არიან და სხვ.

მსხვილი ფაბრიკა სამუშაო წლის მაქსიმუმამდე გახანგრძლივებით აძლიერებს ექსპლოატაციას და ამით ქმნის პროლეტარიატს, რომელიც სავსებით წყვეტს კავშირს სოფელთან.

თვალი რომ გავადევნოთ სამუშაო წლის ხანგრძლივობის განსხვავებას ფაბრიკების ტექნიკური მოწყობის მიხედვით (ხელით სამუშაო და მექანიკური ძრავები და სხვ.), უეჭველია ვნახავთ მთელ რიგ უაღრესად საინტერესო მითითებებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, მუშათა მდგომარეობაზე, ჩვენი კაპიტალიზმის ევოლუციაზე და სხვ. მაგრამ ავტორი, შეიძლება ითქვას, არც კი შეხებია ყველა ამ საკითხს.

მან მოგვცა მხოლოდ ციფრები სამუშაო წლის საშუალო ხანგრძლივობისა წარმოების სხვადასხვა ჯგუფის ფაბრიკებში. საერთო საშუალოს მერყეობა ძლიერ მცირე გამოვიდა: წელიწადში 246 სამუშაო დღიდან IX ჯგუფში (მინერალურ ნივთიერებათა დამუშავება) წელიწადში 291 სამუშაო დღემდე XII ჯგუფში (ქიმიური წარმოება).

ეს განსხვავება, როგორც მკითხველი ხედავს, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განსხვავება სამუშაო წლის ხანგრძლივობისა საერთოდ წვრილ და მსხვილ ფაბრიკებში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ წარმოებას ეკუთვნიან ისინი.

განსხვავება წარმოების გვარეობის მიხედვით ნაკლებ დამახასიათებელი და ნაკლებ არსებითია სოციალურ-ეკონომიური სტატისტიკისათვის, ვიდრე განსხვავება წარმოებათა ოდენობის მიხედვით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ შეიძლებოდა პირველი განსხვავების უგულებელყოფა. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტურად შეუძლებელია გააზრებული სტატისტიკა მეორე განსხვავებისათვის ანგარიშის გაუწევლად.

«ნევსკაია ზვეზდა» № 21,
1912 წ. 12 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

ინგლისში

ექვსნახევარი წელიწადია, რაც ინგლისის ლიბერალიზმი ხელისუფლების სათავეში დგას. მუშათა მოძრაობა ინგლისში სულ უფრო ძლიერ იზრდება. გაფიცვები მასობრივი ხდება და გარდა ამისა ისინი წმინდა ეკონომიურ ხასიათს აღარ ატარებენ, პოლიტიკურ გაფიცვებში გადადიან.

რობერტ სმალი, ბელადი შოტლანდიელი მაღაროელებისა, რომლებმაც ამას წინათ მასობრივი ბრძოლის ასეთი ძალა გვიჩვენეს, აცხადებს, რომ მაღაროელების შემდგომ დიდ ბრძოლაში მათი მოთხოვნა იქნება ქვანახშირის მაღაროების გადაცემა სახელმწიფოს საკუთრებად. ეს შემდგომი დიდი ბრძოლა კი გარდუვალად ახლოვდება, ვინაიდან ინგლისის ყველა მაღაროელს მშვენივრად აქვს შეგნებული უძლურება მინიმალური ხელფასის ყბადაღებული კანონისა სერიოზულად გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა.

და აი ინგლისის ლიბერალიზმი, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება, იგონებს ახალ საბრძოლო მოწოდებას, რათა ამომრჩეველთა მასებში კვლავ რამდენიმე ხნით გამოიწვიოს ნდობა ლიბერალებისადმი. არ იცრუებ — ვერ გაყიდიო, ასეთია კაპიტალიზმის . ლოზუნგი ვაჭრობაში. არ იცრუებ — პარლამენტის მანდატებს ვერ მიიღებო, ასეთია კაპიტალისტური პოლიტიკის ლოზუნგი თავისუფალ ქვეყნებში.

ლიბერალების მიერ ამ მიზნით მოგონილი «მოდური» ლოზუნგია «მიწის რეფორმის» მოთხოვნა. სახელდობრ რას გულისხმობენ ამით ლიბერალები და მათი სპეციალისტი მასების მოტყუების დარგში, ლოიდ-ჯორჯი, გაურკვეველი

რჩება. ჩანს, საქმე ეხება მიწის გადასახადის გადიდებას, და მეტი არაფერი. ახალი მილიონების შეგროვება სამხედრო ავანტიურებისათვის, ფლოტისათვის — აი ნამდვილად რა იფარება მრავლისაღმთქმელ ფრაზებში «ხალხისათვის მიწის დაბრუნების» შესახებ და სხვ.

ინგლისში მიწათმოქმედება სავსებით კაპიტალისტურად წარმოებს: კაპიტალისტი ფერმერები საშუალო ოდენობის მიწის ნაკვეთებს იჯარით იღებენ ლენდლორდებისაგან (მიწათმფლობელებისაგან) და მიწას ამუშავებენ დაქირავებული მუშების საშუალებით.

ასეთი ვითარების დროს ვერავითარი «მიწის რეფორმა» ვერაფერს ვერ შეცვლის სოფლის მუშათა მდგომარეობაში. მემამულეთა მიწის გამოსყიდვა ინგლისში შეიძლება პროლეტარიატის ახალ ძარცვადაც კი გადაქცეულიყო, ვინაიდან მემამულეები და კაპიტალისტები, რომლებიც სახელმწიფოში ძალაუფლებას შეინარჩუნებდნენ, ერთისამად გაყიდდნენ თავიანთ მიწებს. გადაიხდიდა კი გადასახადთა გადამხდელი, ე. ი. იგივე მუშა.

ლიბერალების მიერ მიწის საკითხის გარშემო ატეხილმა ხმაურმა ერთი მხრივ სარგებლობა მოიტანა: მან გააღვიძა ინტერესი სოფლის მუშების დარაზმვისადმი.

აი როცა სოფლის მუშები ინგლისში გაიღვიძებენ და კავშირებად გაერთიანდებიან, მაშინ ლიბერალები ფონს ვერ გავლენ «რეფორმის» ან მოჯამაგირეებისა და დღიური მუშებისათვის ნადელების თვალთმაქცური «დაპირებით».

ამას წინათ ინგლისის ერთი მუშათა გაზეთის თანამშრომელმა ინახულა ჯოზეფ არჩი, სოფლის მუშათა ძველი ბელადი, რომელმაც ბევრი იშრომა, რომ ისინი შეგნებული ცხოვრებისათვის გამოეღვიძებინა. ეს საქმე ერთბაშად ვერ მოხერხდა — გულუბრყვილო იყო არჩის ლოზუნგიც — «სამი აკრი (აკრი 1/3 დესეტინაზე ცოტა მეტია) მიწა და ძროხა» თვითეულ სოფლის მუშას — დაიღუპა მის მიერ შექმნილი კავშირი, — მაგრამ მისი საქმე არ დაღუპულა, და სოფლის მუშების დარაზმვა ინგლისში კვლავ დგება დღის წესრიგში.

არჩი ახლა 83 წლისაა. იგი ცხოვრობს იმავე სოფელში და იმავე სახლში, სადაც დაიბადა. თავის მოსაუბრესთან ლაპარაკში მან აღნიშნა, რომ სოფლის მუშათა კავშირმა შეძლო გაედიდებინა ხელფასი 15, 16 და 17 შილინგამდე (შილინგი — დაახლოებით 48 კაპ.) კვირაში. ახლა სოფლის მუშების ხელფასმა ინგლისში კვლავ იკლო — ნორფოლკში, იქ, სადაც არჩი ცხოვრობს, — დავიდა 12 — 13 შილინგამდე კვირაში.

«პრავდა» № 89, 1912 წ. 12 აგვისტო
ხელმოწერა: პ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წარმოების კონცენტრაცია რუსეთში

რუსეთში, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიმდინარეობს წარმოების კონცენტრაცია, ე. ი. მისი სულ უფრო მეტი თავმოყრა მსხვილ და უმსხვილეს საწარმოთა მცირე რაოდენობაში.

კაპიტალისტური წყობილების დროს თვითეული ცალკე საწარმო სავსებით დამოკიდებულია ბაზარზე. ხოლო ასეთი დამოკიდების დროს რაც უფრო მსხვილია საწარმო, მით უფრო იაფად შეუძლია ყიდოს თავისი პროდუქტი. მსხვილი კაპიტალისტი უფრო იაფად იძენს ნედლ მასალას, უფრო მომჭირნეობით ხარჯავს მას, იყენებს უკეთეს მანქანებს და სხვ. წვრილი მეპატრონეები ღატაკდებიან და იღუპებიან. ხდება წარმოების სულ უფრო მეტი თავმოყრა, კონცენტრაცია მცირეოდენ მილიონერთა ხელში. მილიონერები ჩვეულებრივ კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ ძალაუფლებას სააქციო კომპანიების საშუალებით, რომლებიც მათ საშუალო და «წვრილფეხა» მეპატრონეთა კაპიტალებს აძლევენ.

აი, მაგალითად, რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის 1910 წლის მონაცემები 1901 წლის მონაცემებთან შედარებით [72].

საწარმოთა ჯგუფები მუშათა რაოდენობის მიხედვით	საწარმოთა რაოდენობა 1901	1910	მუშათა რაოდენობა ათასობით 1901	1910
50-მდე	12 740	9 909	244	220
51— 100	2 428	2 201	171	159
101— 500	2 288	2 213	492	508
501 - 1 000	403	433	269	303
1 000-ზე მეტი	243	324	526	713
ს უ ლ	18 102	15 080	1 702	1 903

ასეთია ჩვეულებრივი სურათი ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. წვრილ საწარმოთა რაოდენობა მ ც ი რ დ ე ბ ა: წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონეები ღატაკდებიან და იღუპებიან, გადადიან მოსამსახურეთა, ზოგჯერ პროლეტართა რიგებში.

უმსხვილეს საწარმოთა რაოდენობა სწრაფად იზრდება, და უფრო მეტად იზრდება მათი წილი მთელ წარმოებაში.

1901-დან 1910 წლამდე რაოდენობა უმსხვილესი ფაბრიკებისა, რომლებსაც 1 000-ზე მეტი მუშა ჰყავთ, თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა: 243-დან 324-მდე.

ამ ფაბრიკებში 1901 წელს იყო დაახლოებით ნახევარი მილიონი მუშა (526 ათასი), ე. ი. საერთო რაოდენობის მესამედზე ნაკლები, ხოლო 1910 წელს გახდა 7 0 0 ა თ ა ს-ზ ე მ ე ტ ი, საერთო რაოდენობის მესამედზე მეტი.

უმსხვილესი ფაბრიკები ახრჩობენ წვრილ ფაბრიკებს და სულ უფრო უყრიან თავს წარმოებას. მუშათა სულ უფრო დიდი მასები თავს იყრიან საწარმოთა მცირე რაოდენობაში, ეაგრამ მილიონობით გაერთიანებულ მუშათა შრომით მიღებული მთელი მოგება ერთ მუჭა მილიონერებს უვარდებაოთ ხელში.

«პრავდა» № 89, 1912 წ. 12 აგვისტო
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კარიერა

ამას წინათ გარდაცვლილმა მილიონერმა, «ნოვოე ვრემიას» გამომცემელმა, ა. ს. სუვორინმა, თავისი ცხოვრების ისტორიით ასახა და გამოხატა რუსეთის მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიის ძლიერ საინტერესო პერიოდი.

ღარიბი, ლიბერალი და დემოკრატიც კი თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში, — მილიონერი, თვითკმაყოფილი და უსირცხვილო მეხოტბე ბურჟუაზიისა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა პოლიტიკის ყოველი შემობრუნების წინაშე მლიქვნელი ამ გზის დასასრულს. განა ეს ტიპიური არ არის ეგრეთწოდებული საზოგადოების «განათლებულ» და «ინტელიგენტ» წარმომადგენელთა მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს? რა თქმა უნდა, ყველა როდი თამაშობს რენეგატობას ისეთი თავბრუდამხვევი წარმატებით, რომ მილიონერი გახდეს, მაგრამ ცხრა მეათედი, თუ ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი არა — ეწევა რენეგატობის სწორედ ასეთსავე თამაშს, ი წ ყ ე ბ ს რადიკალური სტუდენტობით, ა მ თ ა ვ რ ე ბ ს ამა თუ იმ სამსახურის, ამა თუ იმ აფიორის «შემოსავლიანი ადგილით».

ღარიბი სტუდენტი, რომელიც უსახსრობის გამო ვერ მოხვდა უნივერსიტეტში; სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი, რომელიც, გარდა ამისა, მსახურობს თავადაზნაურობის წინამძღოლის მდივნად ან კერძო გაკვეთილებს აძლევს წარჩინებულ და მდიდარ მებატონეთა ოჯახებში; დამწყები

ლიბერალი და დემოკრატი ჟურნალისტიც კი, რომელიც გამსჭვალულია სიმპათიით ბელინსკისა და ჩერნიშევსკისადმი, მტრობით რეაქციისადმი, — აი რით დ ა ი წ ყ ო სუვორინმა გასული საუკუნის 50 — 60-იან წლებში.

ლიბერალმა, ინგლისის ბურჟუაზიისა და ინგლისის კონსტიტუციის თანამგრძნობმა, მემამულე კატკოვმა პირველი დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისა და თავაშვებული შავრაზმელობისაკენ.

ლიბერალმა ჟურნალისტმა სუვორინმა მეორე დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრული) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, მოურიდებელი ლაქიობისაკენ წინაშე ძლიერთა ამა ქვეყნისათა. რუსეთ-თურქეთის ომმა ხელი შეუწყო ამ კარიერისტს «მიეგნო თავისი მოწოდებისათვის» და მოენახა თავისი გზა ლაქიისა, რომელიც ჯილდოდ იღებდა უდიდეს შემოსავალს მისი გაზეთისა «რ ა ს ი ნ ე ბ ე ბ თ?».

სუვორინის «ნოვოე ვრემიამ» მრავალი ათეული წლით მტკიცედ შეინარჩუნა ეს სახელწოდება «რ ა ს ი ნ ე ბ ე ბ თ?». ეს გაზეთი გახდა მექრთამე გაზეთების ნიმუში რუსეთში. «ნოვოევრემიელობა» იქცა გამოთქმად, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ცნებებს: მოღალატეობა, რენეგატობა, მლიქვნელობა. სუვორინის «ნოვოე ვრემია» ნიმუშია გაცხოველებული ვაჭრობისა «ჭიქობით და გატანით». აქ ვაჭრობენ ყველაფრით, დაწყებული პოლიტიკური რწმენით და დამთავრებული პორნოგრაფიული განცხადებებით.

ხოლო ახლა, მესამე დემოკრატიული აღმავლობის შემდეგ რუსეთში (XX საუკუნის დამდეგს), კიდევ რამდენმა ლიბერალმა იბრუნა პირი «ვეხის» გზისაკენ, ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, დემოკრატიის ლანძღვისაკენ, რეაქციის წინაშე მლიქვნელობისაკენ!

კატკოვი — სუვორინი — «ვეხელები», ყველა ესენი ისტორიული ეტაპებია რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის

შემობრუნებისა დემოკრატიიდან რეაქციის დაცვისაკენ, შოვინიზმისა და ანტისემიტიზმისაკენ.

შეგნებული მუშები აწრთობენ თავიანთ რწმენას, ესმით რა გარდუვალობა ბურჟუაზიის ასეთი შებრუნებისა, — ისევე როგორც გარდუვალობა მშრომელი მასების შემობრუნებისა მუშათა დემოკრატიის იდეებისაკენ.

«პრავდა» № 94, 1912 წ. 18 აგვისტო
ხელმოწერა: ი. ვ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს

1912 წ. 31 აგვისტო.

პატივცემულო ამხანაგო!

თქვენგან მივიღე ცირკულარი № 15 (1912 წ. ივლისის), რომლითაც პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ-ის მთავარი გამგეობა იუწყება ამ ორგანიზაციაში მომხდარი გათიშვის შესახებ.

მე, როგორც რსდმ პარტიის წარმომადგენელი საერთაშ. სოც. ბიუროში, იძულებული ვარ კატეგორიული პროტესტი განვაცხადო ამ ცნობის წინააღმდეგ ქვემომოყვანილი მიზეზების გამო. —

1. პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ -ის მთავარი გამგეობა აცხადებს, რომ ვარშავის კომიტეტი «არ ეკუთვნის რსდმ პარტიას, რომლის ავტონომიურ ნაწილსაც პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ. შეადგენს».

მაგრამ პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ-ის მთავარ გამგეობას სრულიად არავითარი უფლება არა აქვს არც გადაწყვიტოს, არც განაცხადოს, თუ ვინ ეკუთვნის რსდმ პარტიას, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ.

პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ-ის მთავარი გამგეობა ამჟამად თვითონ არ ეკუთვნის ჩვენს პარტიას, ვინაიდან ორგანიზაციული კავშირი არა აქვს არც 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე არჩეულ ცენტრალურ კომიტეტთან, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, არც ლიკვიდატორთა მოპირდა-

პირე ცენტრთან (ეგრეთწოდებულ «ორგანიზაციულ კომიტეტთან»).

2. ჭეშმარიტებას არ შეეფერება პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ-ის მთავარი გამგეობის მტკიცება, თითქოს გათიშვა მოხდა «უეცრად სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების სწორედ დაწყების წინ».

ჩემთვის პირადად ცნობილია, რომ პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ. სწორედ ამ მთავარ გამგეობას უკვე ორი წლის წინათ, როცა მან გამოიწვია მწვავე კონფლიქტი თავის ყოფილ წევრებთან მალეცკისთან და განეცკისთან და გამგეობიდან გააძევა განეცკი, — რომ მთავარ გამგეობას უკვე მაშინ უნდა განეჭვრიტა გათიშვა.

3. ფარისევლობაა მთავარი გამგეობის განცხადება

ჯერ-ერთი, რომ ვარშავის ორგანიზაციაში «ისევე როგორც მეფის რუსეთის ყველა სხვა რევოლუციურ ორგანიზაციაშიც» შეიპარნენ პროვოკატორები,

მეორე, — რომ გათიშვა მოხდა «ოხრანკის აქტიური ხელშეწყობით», თუმცა მთავარ გამგეობას არ ძალუძს დაასახელოს არც ერთი გვარი, ვერ ბედავს გამოთქვას რაიმე გარკვეული ეჭვი!

რამდენი ფარისევლობაა საჭირო, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მორალური მოსპობის მიზნით საჯაროდ წაუყენო მათ უსირცხვილო ბრალდება «ოხრანკის ხელშეწყობაში», თუმცა სიმამაცე არ გყოფნიდეს დაასახელო თუნდაც ერთი გვარი, გამოთქვა რაიმე გარკვეული ეჭვი!

დარწმუნებული ვარ, რომ ინტერნაციონალის ყოველი წევრი აღშფოთებით უკუაგდებს ბრძოლის ამ უმაგალითო ხერხებს.

მე მრავალი წლის მანძილზე ვიცნობ პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ. მთავარი გამგეობის ორივე ყოფილ წევრს — მალეცკის და განეცკის, რომლებიც აშკარად მხარდამხარ მიჰყვებიან ვარშავის კომიტეტს. სწორედ ვარშავის კომიტე-

ტისაგან მივიღე ამ ფაქტის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა.

და შექმნილ ვითარებაში ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაცნობო საერთაშ. სოც. ბიუროს პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ-ის ვარშავის კომიტეტის ამასთან დართული პროტესტი.

რადგან მთავარი გამგეობის განცხადება საერთაშ. სოც. ბიუროს ყველა წევრს დაეგზავნა, იძულებული ვარ გთხოვოთ თქვენ, პატივცემულო ამხანაგო, ყველა იმ პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც ინტერნაციონალს ეკუთვნიან, დაუგზავნოთ ჩემი ეს განცხადებაც ვარშავის კომიტეტის პროტესტთან ერთად.

პარტიული სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. 18 (31) აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1912 წ. 21 ნოემბერს
«Gazeta Robotnicza»-ში № 19
ხელმოწერა: **N. Lenin**

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი პოლონურიდან

კადეტები და აგრარული საკითხი

«პრავდის» წინააღმდეგ პოლემიკაში კადეტებმა ვერ შეძლეს, რამდენიც არ ეცადნენ, გვერდი აევლოთ საკითხისათვის იმის შესახებ, დემოკრატიული პარტია არიან ისინი თუ ლიბერალურ-მონარქისტული პარტია.

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. მას აქვს არა მარტო ზოგადპრინციპული მნიშვნელობა — რამდენადაც იძლევა მასალას ძირითადი პოლიტიკური ცნებების გამოსარკვევად. გარდა ამისა, ის საკითხი, თუ რა არის არსი კადეტთა პარტიისა, რომელიც მთელი ოპოზიციის ხელმძღვანელობის პრეტენზიას აცხადებს, განუყრელადაა დაკავშირებული საერთოდ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ყ ვ ე ლ ა ძირითად საკითხთან. ამიტომ ყველა, ვინც შეგნებულად ეკიდება საარჩევნო კამპანიას, ვინც აფასებს მის მნიშვნელობას მასების პოლიტიკური განათლების საქმეში, უდიდესი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ დავას კადეტთა პარტიის არსის შესახებ.

კადეტური «რეჩი» ახლა ცდილობს მიჩქმალოს ეს დავა, დაფაროს პრინციპული საკითხები ფანდებითა და ლანძღვა-გინებით («სიცრუე», «დამახინჯება» და სხვ.), გამოათრიოს ესა თუ ის სალანძღავი სიტყვები, რაც კი ლიკვიდატორებს ჩვენ წინააღმდეგ უხმარიათ მწვავე ორგანიზაციული კონფლიქტებით გამოწვეული უაღრესი პირადი გაგულისების მომენტში. ყველაფერი ეს ცნობილი და გაცვეთილი ხერხებია იმ ადამიანებისა, რომლებიც პრინციპულ დავაში თავიანთ სისუსტეს გრძნობენ. და ამიტომ კადეტებისადმი ჩვენი პა-

სუხი უნდა იყოს პრინციპული საკითხების განმეორებითი განმარტება.

როგორია საერთოდ დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის განსხვავება? ბურჟუაზიული დემოკრატიც და ლიბერალიც (ყველა ლიბერალი ბურჟუაზიული ლიბერალია, მაგრამ ყველა დემოკრატი არ არის ბურჟუაზიული დემოკრატი) განწყობილია ძველი წყობილების, აბსოლუტიზმის, ბატონყმობის, უმაღლესი წოდების პრივილეგიების და სხვ. წინააღმდეგ, განწყობილია პოლიტიკური თავისუფლებისა და კონსტიტუციური «უფლებრივი» წყობილების სასარგებლოდ. ასეთია მათი მსგავსება.

მათი განსხვავება. დემოკრატი წარმოადგენს მოსახლეობის მასას. იგი იზიარებს მასის წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენებს, მაგალითად, ყველა მიწის ახალი «გამათანაბრებელი» გადანაწილებით იგი მოელის არა მარტო ბატონყმობის ყველა კვალის მოსპობას (ასეთი მოლოდინი საფუძვლიანი იქნებოდა), არამედ კაპიტალიზმისათვის ძირის გამოთხრასაც (რაც სრულებითაც არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან მიწის ა რ ა ვ ი თ ა რ გადანაწილებას არ შეუძლია არც ბაზრისა და ფულის ძალაუფლების, არც კაპიტალის ძალაუფლებისა და ყოვლისშემძლეობის მოსპობა). მაგრამ დემოკრატს სწამს მასების მოძრაობა, მისი ძალა, მისი სამართლიანობა, სრულებითაც არ ეშინია ამ მოძრაობისა. დემოკრატი იცავს უკლებლივ ყ ვ ე ლ ა შუასაუკუნეობრივი პრივილეგიის მოსპობას.

ლიბერალი წარმოადგენს არა მოსახლეობის მასას, არამედ მის უმცირესობას, სახელდობრ: მსხვილ და საშუალო ლიბერალურ ბურჟუაზიას. ლიბერალს მასების მოძრაობისა და თანმიმდევრული დემოკრატიისა უ ფ რ ო ეშინია, ვიდრე რეაქციისა. ლიბერალი არა თუ არ ცდილობს ყველა შუასაუკუნეობრივი პრივილეგიის სრულ მოსპობას, არამედ პირდაპირ ი ც ა ვ ს ზოგიერთ და ფრიად არსებით პრივილეგიებს, ცდილობს, რომ ეს პრივილეგიები განაწილებულ იქნეს

პურიშკევიჩებსა და მილიუკოვებს შორის, და არა მთლიანად იქნეს მოსპობილი.

ლიბერალი პოლიტიკურ თავისუფლებასა და კონსტიტუციას ყოველთვის იცავს შეკვეცებით (როგორიცაა ორპალატიანი სისტემა და მრავ. სხვ.) — ამასთან თვითეული შეკვეცა მებატონეთა პრივილეგიების შენარჩუნებაა. ამრიგად ლიბერალი მუდამ ქანაობს მებატონეთა და დემოკრატიას შორის; აქედან წარმოდგება ლიბერალიზმის უკიდურესი, თითქმის დაუჯერებელი უ ძ ლ უ რ ე ბ ა ყველა რამდენადმე სერიოზულ საკითხში.

რუსეთის დემოკრატია — ეს არის მუშათა კლასი (პროლეტარული დემოკრატია) და ყველა ჯურის ნაროდნიკები და ტრუდოვიკები (ბურჟუაზიული დემოკრატია). რუსეთის ლიბერალიზმია კ.-დ. პარტია, აგრეთვე «პროგრესისტები» და III სათათბიროს ეროვნული ჯგუფების უმრავლესობა.

რუსეთის დემოკრატიას აქვს სერიოზული გამარჯვებანი, რუსეთის ლიბერალიზმს არც ერთი. პირველს შესწევდა ბრძოლის უნარი, და მისი დამარცხებანი მუდამ იყო მთელი რუსეთის დიდი, ისტორიული დამარცხებანი, ამასთან დამარცხების შემდეგაც კი დემოკრატიის მოთხოვნათა ნაწილი მუდამ სრულდებოდა. მეორეს, ე. ი. ლიბერალიზმს, ბრძოლის უ ნ ა რ ი ა რ შ ე ს წ ე ვ დ ა, და რუსეთის ისტორიაში მას არაფერი მიუძღვის, გარდა მებატონეთა მიერ ლიბერალების, როგორც ბატონების მიერ მონების აბუჩად აგდებისა.

შევამოწმოთ ეს ზოგადი მოსაზრებანი და ძირითადი პრინციპული წინაპირობები კადეტების აგრარულ პროგრამაზე. «პრავდამ» კადეტებს განუცხადა, რომ მათს არადემოკრატიზმს ამტკიცებს კ.-დ. ბერიოზოვსკი მე-2-ის სიტყვები აგრარულ საკითხზე III სათათბიროში *.

* იხ. ეს ტომი, გვ. 288. რ ე დ.

კადეტურმა «რეჩმა» № 208-ში უპასუხა: «ბერიოზოვსკი მე-2-ის სიტყვა, როგორც ცნობილია, დადასტურება იყო კ.-დ. პროგრამისა აგრარულ საკითხშიო».

დახედეთ, რა თავდასაძვრენი პასუხია! ჩვენ განვაცხადეთ, რომ ბერიოზოვსკი 1-ლის * სიტყვა საკითხის ა რ ა დემოკრატიული დაყენების ნიმუშია. «რეჩმა» მშვენივრად იცის, სახელდობრ რა მიგვაჩნია ჩვენ ლიბერალიზმის ნიშნად დემოკრატიზმისაგან განსხვავებით. მაგრამ მას ფიქრადაც არ მოსდის სერიოზულად გაარჩიოს საკითხი, გამოარკვიოს, დემოკრატიზმისაგან ლიბერალიზმის განსხვავების სახელდობრ რა ნიშნები მიაჩნია მას, «რეჩს», სწორად, შეამოწმოს, არის თუ არა ეს ნიშნები ბერიოზოვსკი 1-ლის სიტყვაში. არაფერს ამას «რეჩი» არ აკეთებს. «რეჩი» თავს იძვრენს საკითხისაგან, ამასთან პრინციპულ სისუსტესა და უპატიოსნობას ამჟღავნებს.

მაგრამ ბერიოზოვსკი 1-ლის სიტყვისათვის კადეტთა მ თ ე ლ ი პარტიის პასუხისმგებლობის უარყოფა «რეჩმაც» ვერ გაბედა. მან აღიარა, იძულებული იყო ეღიარებინა ეს პასუხისმგებლობა, უწოდა რა ბერიოზოვსკი 1-ლის სიტყვას «დადასტურება კ.-დ. პროგრამისა აგრარულ საკითხში».

კეთილი და პატიოსანი. აი ჩვენც მოვიყვანთ მთავარ ადგილებს III სათათბიროს წევრის, სიმბირსკელი მემამულის ა. ე. ბერიოზოვსკის ამ უდავო და ოფიციალურ-კადეტური სიტყვიდან. ჩვენ განვიხილავთ, ანალიზს გავუკეთებთ ორატორის მსჯელობას, დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგას იგი თუ ლიბერალურზე. და ჩვენ ვნახავთ, შეძლებენ თუ ვერა ბბ. კადეტები ჩვენი მტკიცების უარყოფას თავიანთ ვრცელ პრესაში ან კრებებზე.

«ჩემი ღრმა რწმენით, — ამბობდა III სათათბიროში, 1908 წ. ოქტომბერში ა. ე. ბერიოზოვსკი (ციტატი მოგვყავს «როსიის» სტენოგრაფიული

* «პრავდაც» და «რეჩიც» სცდებოდნენ, ბერიოზოვსკი მ ე-2-ზ ე რომ ლაპარაკობდნენ. კადეტია ბერიოზოვსკი 1-ლ ი, ალექსანდრე ელეაზარის-ძე, სიმბირსკელი მემამულე.

ანგარიშის მიხედვით), — ეს პროექტი» (ს.-დ. აგრარული პროექტი) «გაცილებით უფრო ხელსაყრელია მიწის მფლობელთათვისაც» (და არა მარტო გლეხებისათვის), «და ამას იმიტომ ვამბობ, ბატონებო, რომ ვიცნობ მიწათმოქმედებას, თვითონ ვეწევი მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მიწისმფლობელი ვარ. კულტურული სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის სახალხო თავისუფლების პარტიის პროექტი უეჭველად უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ახლანდელი წესი. არ უნდა ამოვგლიჯოთ იძულებითი გასხვისების შიშველი ფაქტი, არ უნდა აღვშფოთდეთ იმით და არ უნდა ვთქვათ, რომ ეს ძალადობაა, არამედ დავაკვირდეთ და შევაფასოთ, რა სახეს იღებს ის, რის წინადადებასაც ჩვენი პროექტი იძლევა, და როგორ ხორციელდება ეს იძულებითი გასხვისება»...

ჩვენ ხაზი გავუსვით ბ-ნ ა. ე. ბერიოზოვსკის ამ ჭეშმარიტად ოქრო სიტყვებს, თავისი იშვიათი სიმართლით ოქრო სიტყვებს. ვინც გაიხსენებს მარქსისტ-ბოლშევიკების სიტყვებსა და სტატიებს კადეტების წინააღმდეგ I სახ. სათათბიროს დროს ან ვინც იკისრებს შრომას ახლა გაეცნოს ამ სტატიებს, იგი უნდა დაგვეთანხმოს, რომ ბ-ნმა ა. ე. ბერიოზოვსკიმ 1908 წელს ბრწყინვალედ დაადასტურა 1906 წლის ბოლშევიკების სიტყვები. და ჩვენ ვკისრულობთ ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ყოველი, რამდენადმე ობიექტური ისტორია სამგზის დაადასტურებს მათს პოლიტიკას.

1906 წელს ჩვენ ვამბობდით: ნუ დაუჯერებთ ბგერას სიტყვებისას — «იძულებითი გასხვისება». მთელი საკითხი ის არის, ვინ ვის აიძულებს. თუ მემამულეები აიძულებენ გლეხებს ერთისამად გადაიხადონ ცუდი მიწების საფასური, მსგავსად 1861 წლის ყბადაღებული გამოსყიდვისა, ასეთი «იძულებითი გასხვისება» მემამულური რეფორმა იქნება, მემამულეთათვის ხელსაყრელი და გლეხებისათვის გამაჩანაგებელი *.

ლიბერალები, კადეტები, აყენებდნენ საკითხს იძულებითი გასხვისების შესახებ, ქანაობდნენ მემამუ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 10, გვ. 503 — 506. რედ.

ლეებსა და გლეხებს შუა, შავრაზმელებსა და დემოკრატიას შუა. 1906 წელს ისინი მიმართავდნენ დემოკრატიას და ცდილობდნენ თავიანთი «იძულებითი გასხვისება» დემოკრატიულ რაიმედ გაესაღებინათ. 1908 წელს ისინი მიმართავენ III სახ. სათათბიროს «ზუბრებს» და უმტკიცებენ მათ, რომ საჭიროა დავაკვირდეთ «რა სახეს იღებს და როგორ ხორციელდება ეს იძულებითი გასხვისებაო».

მოვუსმინოთ კ.-დ. პარტიის ოფიციალურ ორატორს:

«აიღეთ I სახ. სათათბიროს 42 წევრის პროექტი, — ამბობდა ა. ე. ბერიოზოვსკი, — იგი შეიცავდა მხოლოდ» (სწორედ რომ, ბ-ნო ბერიოზოვსკი!) «იმის აღიარებას, რომ აუცილებელია პირველ რიგში გასხვისებულ იქნეს ის მიწები, რომელთა ექსპლოატაციასაც თვით მემამულეები არ ეწევიან. შემდეგ სახალხო თავისუფლების პარტია მხარს უჭერდა კომისიების შექმნას ადგილზე, რომლებსაც განსაზღვრულ დროში უნდა გამოერკვიათ, რომელი მიწები უნდა ყოფილიყო გასხვისებული, რომელი არა და რამდენი მიწა ესაჭიროებოდათ გლეხებს, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ. ეს კომისიები ყალიბდებოდა ისე, რომ იქ წევრთა ნახევარი გლეხები იქნებოდნენ და ნახევარი არა-გლეხები».

ბ-ნმა ა. ე. ბერიოზოვსკიმ კინაღამ ბოლომდე თქვა. ყველა, ვინც კი მოისურვებს გაეცნოს კუტლერის (კადეტთა პარტიის აღიარებული წარმომადგენელი აგრარულ საკითხში) აგრარულ პროექტს, რომელიც დაბეჭდილია კადეტთა მიერ გამოცემული «აგრარული საკითხის» II ტომში, დაინახავს, რომ იმ პროექტის მიხედვით კომისიების თავმჯდომარეებს ნიშნავდა მთავრობა, ე. ი. ისინიც მემამულეთა წარმომადგენლები იყვნენ.

მაგრამ დავუშვათ კიდევაც, რომ ა. ე. ბერიოზოვსკიმ უფრო ზუსტად გამოხატა კ.-დ. შეხედულებანი, ვიდრე კუტლერმა. დავუშვათ, რომ ა. ე. ბერიოზოვსკიმ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ბოლომდე თქვა და რომ კადეტებს მართლაც სურთ კომისიები, რომლებიც შედგენილი იქნება გლეხებისა და «არა-გლეხებისაგან» თ ა ნ ა ბ რ ა დ კლასობრივი მთავრობის წარმომადგენლების გარეშე. მერე რა? ნუთუ ვინმე გაბედავს ამტკიცოს, რომ ასეთი პროექტი დემოკრატიულია??

დემოკრატია უმრავლესობის ბატონობაა. დემოკრატიული შეიძლება ეწოდოს მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ არჩევნებს. დემოკრატიული კომისიები მხოლოდ ისეთი კომისიებია, რომლებიც არჩეულია მ თ ე ლ ი მოსახლეობის მიერ საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. დემოკრატიზმის ზოგადი, ძირითადი, ანბანური ჭეშმარიტებიდან ეს ისე უდავოდ გამომდინარეობს, რომ უცნაურიც კია ყოველივე ამას ვუღეჭავდეთ ბატონ კადეტებს.

ქაღალდზე კადეტები აღიარებენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში, აგრარულ საკითხში, ისინი ა რ ცნობენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას! ვერავითარი ფანდები და შენიშვნები ვერ გააბათილებენ ამ ფაქტს, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

არ გეგონოთ, რომ კადეტები აქ მხოლოდ უხვევენ საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპს, დემოკრატიის პრინციპს. არა. ისინი საფუძვლად იღებენ ს ხ ვ ა პრინციპს, ახალთან ძველის, გლეხთან მემამულის, დემოკრატიასთან შავი რაზმის «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს» პრინციპს. ნახევარი ამათ და ნახევარი იმათო — აი რას აცხადებენ კადეტები.

სწორედ ეს არის მერყევი ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ტიპიური პრინციპი. მას სურს არა შუასაუკუნეობრივ პრივილეგიათა მ ო ს პ ო ბ ა, არამედ მათი გ ა ყ ო ფ ა მემამულეებსა და ბურჟუაზიას შორის. მართლაცდა, განა შეიძლება სადავო იყოს, რომ «არა გლეხებისათვის» (ე. ი. მემამულეებისათვის, მიუკიბავ-მოუკიბავად რომ ვთქვათ) მინიჭება თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ა გლეხებთან, მოსახლეობის 7/10-თან, შუასაუკუნეობრივ პრივილეგიათა შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა და დ ა დ ა ს ტ ურ ე ბ ა ა? აბა რა იყო შუასაუკუნეობრივი პრივილეგიები, თუ არა ის, რომ პოლიტიკაში ერთი მემამულე იმდენსავე ნიშნავდა, რამდენსაც ასობით და ათასობით გლეხი.

მემამულეთა და გლეხთა თანასწორობიდან ობიექტურად შეუძლებელია რაიმე სხვა გამოსავალი, გარდა პრივილეგიების გაყოფისა მემამულეებსა და ბურჟუაზიას შორის. სწორედ ასე იყო საქმე 1861 წელს: მემამულეებმა თავიანთი პრივილეგიების 1/1000 დაუთმეს ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას, ხოლო გლეხობის მასას არგუნეს ნახევარი საუკუნის (1861+50=1911) ტანჯვა: უუფლებობა, დამცირება, შიმშილით ნელი სიკვდილი, გადასახადების ამოწურვა და სხვ. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ, 1861 წელს ბურჟუაზიას თავისი პოლიტიკური პრივილეგიების 1/1000-ს რომ უთმობდნენ (საერობო, საქალაქო, სასამართლო რეფორმა და სხვ.), მემამულეები ეკონომიურად თვითონ იწყებდნენ გადაქცევას ბურჟუაზიად, იშენებდნენ არყის სახდელ, ჭარხლის შაქრის ქარხნებს, შედიოდნენ სააქციო საზოგადოებათა გამგეობებში და სხვ.

ახლა დავინახავთ, რა საბოლოო გამოსავალი გვიჩვენა თვითონ ბ-ნმა ა. ე. ბერიოზოვსკიმ გლეხთა უდიდეს რაოდენობასთან მემამულეთა უმნიშვნელო რაოდენობის ამ «თანასწორობიდან». მაგრამ მანამდე კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი ბერიოზოვსკის იმ სიტყვების მთელ მნიშვნელობას, რომ ამ ყბადაღებულ კომისიებს უნდა «გამოერკვიათ, რომელი მიწები უნდა ყოფილიყო გასხვისებული, რომელი არა და რამდენი მიწა ესაჭიროებოდათ გლეხებს, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ».

მთელი ლაპარაკი გლეხებისათვის მიწის გამოყოფის სხვადასხვა «ნორმებზე» და სხვ. — ყველაფერი ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რომლებითაც, აქვე უნდა ითქვას, ხშირად თავიანთ თავსაც და გლეხებსაც აბრუებენ ჩვენი ნაროდნიკი-ინტელიგენტები, მათ შორის ყველაზე «მემარცხენეებიც». სერიოზული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ საკითხს: ყველა მიწა იქნება გასხვისებული თუ არა? და უკანასკნელ შემთხვევაში: ვინ განსაზღვრავს, «რომელი მიწები არ იქნება გასხვისებული»? (იმაზე აღარ

ვლაპარაკობ, ვ ი ნ განსაზღვრავს გამოსასყიდი ფასის ოდენობას, ვინაიდან შუასაუკუნეობრივ პრივილეგიათა თვით გამოსყიდვა ლიბერალურ-ბურჟუაზიული წამოწყებაა, მაგრამ ძირითადად, საფუძველშივე აბსოლუტურად არადემოკრატიული, ანტიდემოკრატიული).

კადეტთა აგრარული პროექტის ყველა, დეტალურად გარჩეული, ჩინოვნიკურად გაუთოებული პარაგრაფი ფუჭი კანცელარიობანაა. სერიოზული საკითხი ერთია: ვ ი ნ განსაზღვრავს, რ ო მ ე ლ ი მიწები და რ ა პ ი რ ო ბ ე ბ ი თ უნდა იქნეს გასხვისებული? ყველაზე იდეალური კანონპროექტი, რომელიც გვერდს უვლის ამ საკითხს, მხოლოდ თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი.

მერე როგორ წყვეტს ამ ერთადერთ სერიოზულ საკითხს ბ-ნი ბერიოზოვსკი? ხომ ცხადია, რომ გლეხებისა და «არა-გლეხების» თანასწორობის დროს შეთანხმება მეტ წილ შემთხვევებში არ იქნება, — გუშინდელ ყმებთან მებატონეთა სიამტკბილობით შეთანხმებაზე კანონების წერაც ზედმეტია. მათთან «ს ი ა მ ტ კ ბ ი ლ ო ბ ი თ შეთანხმებაზე» მებატონეები ყოველგვარ კანონებს გარეშეც მუდამ თანახმა არიან.

ბ-ნმა ბერიოზოვსკიმაც ნათლად გასცა პასუხი მტკივნეულ კითხვაზე III სახ. სათათბიროს ზუბრებს. მოისმინეთ შემდგომ მისი სიტყვა:

«ამის გამო, ადგილებზე ამ საერთო კონკრეტული მუშაობით, რა თქმა უნდა, გამოირკვეოდა აგრეთვე რაოდენობა «გასასხვისებლად შ ე ს ა ძ ლ ო» (ისმინეთ!) «მიწისა და რაოდენობა გლეხებისათვის საჭირო მიწისა» (რისთვის საჭირო? ბეგარათა გასტუმრებისათვის? ამაზე მებატონეები მუდამ თანახმა იყვნენ!) «და, ბოლოს, თვითონ გლეხები დარწმუნდებოდნენ, რამდენად შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მათი სამართლიანი» (ჰმ! ჰმ! ღმერთო, დაგვიფარე ბატონის რისხვისაგან, ბატონის სიყვარულისაგან და მემამულის «სამართლიანობისაგან»!) «მოთხოვნები. შემდეგ ყველაფერი ეს გატარდებოდა სახ. სათათბიროში და» (ისმინეთ, ისმინეთ!) «სახ. საბჭოში და მათ მიერ გადამუშავების შემდეგ» (ჰმ! ჰმ!) «საბოლოო სანქციამდე მივიდოდა» (ე. ი. დამტკიცდებოდა კანონით). «ამ გეგმაშეწონილი» (ამაზე «გეგმაშეწონილი» რაღა იქნებოდა!)

«მუშაობის შედეგი უეჭველად იქნებოდა მოსახლეობის ნამდვილი საჭიროების ჭეშმარიტად დაკმაყოფილება და მასთან დაკავშირებული დამშვიდება და შენარჩუნება კულტურული მეურნეობებისა, რომელთა დანგრევას უკიდურესი საჭიროების გარეშე სახალხო თავისუფლების პარტია არასოდეს მოისურვებდა».

ასე ლაპარაკობდა წარმომადგენელი «სახალხო თავისუფლების პარტიისა», რომლისთვისაც სამართლიანი იქნებოდა გვეწოდებინა მემამულეთა დამშვიდების პარტია.

აქ ცხადზე უცხადესად ჩანს, რომ კადეტების «იძულებითი გასხვისება» არის გლეხების იძულება მემამულეების მიერ. ვინც ამის უარყოფას განიზრახავდა, მას უნდა დაემტკიცებინა, რომ სახ. საბჭოში მემამულეებს გლეხები სჭარბობენ! თავდაპირველად მემამულეების «თანასწორობა» გლეხებთან, ხოლო ბოლოს — თუ სიამტკბილობით შეთანხმება არ მოხდებოდა — პროექტის «გადამუშავება» სახ. საბჭოს მიერ.

«კულტურული მეურნეობების დანგრევას სახალხო თავისუფლების პარტია უკიდურესი საჭიროების გარეშე არასოდეს მოისურვებდაო», — განაცხადა ბ-ნმა მემამულე ა. ე. ბერიოზოვსკიმ, რომელსაც თავისი მეურნეობა ალბათ «კულტურულ» მეურნეობად მიაჩნია. ჩვენ კი ვეკითხებით: ვინ განსაზღვრავს, ვისი მეურნეობა და რა მხრივ არის «კულტურული» და სად იწყება «უკიდურესი საჭიროება»? პასუხი: ამას განსაზღვრავენ ჯერ მემამულეთა და გლეხთაგან თანაბრად შედგენილი კომისიები, შემდეგ კი სახ. საბჭო...

რას იტყვით? დემოკრატიული პარტია არიან კადეტები თუ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური პარტია? ეს «სახალხო თავისუფლების» პარტიაა თუ მემამულეთა დამშვიდების პარტია?

რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატია, ე. ი. ყველა ჯურის ტრუდოვიკები და ნაროდნიკები, ძლიერ სცოდავდა იმით, რომ გლეხების ხელში მემამულეთა მიწის გადასვლით

მოელოდა «გათანაბრებას», «შრომითი პრინციპების» გავრცელებას და სხვ., სცოდავდა იმითაც, რომ ფუჭი ლაპარაკით მიწათმფლობელობის სხვადასხვა «ნორმების» შესახებ ჩრდილავდა შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის ყოფნა-არყოფნის საკითხს, მაგრამ ეს დემოკრატია ეხმარებოდა ახალს განედევნა ძველი, და არა ძველისათვის მთელი რიგი პრივილეგიების შენარჩუნების პროექტებს თხზავდა.

არა, იმის უარყოფა, რომ კადეტები დემოკრატიული პარტია კი არა, არამედ კონტრრევოლუციური, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტიაა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების პირდაპირ აბუჩად აგდებას ნიშნავს.

დასასრულ მოკლედ განვიხილოთ ერთი კითხვა, რომელიც კიდევაც შეეძლო მოეცა ზოგიერთ გულუბრყვილო კადეტს. თუ კადეტების «იძულებითი გასხვისება» მემამულეების მიერ გლეხების იძულება იყო, რატომ უარყო იგი მემამულეთა უმრავლესობამ?

ამ კითხვაზე, თავისდა უნებურად, პასუხი მოგვცა ბ-ნმა მილიუკოვმა 1908 წლის 31 ოქტომბერს III სახ. სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვაში, როდესაც იგი გამოვიდა როგორც ისტორიკოსი. ისტორიკოსი მილიუკოვი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ 1905 წლის დამლევამდე ხელისუფლებასაც და მემამულეებსაც გლეხობა კონსერვატიულ ძალად მიაჩნდათ. პეტერგოფის 1905 წლის 19—26 ივლისის თათბირზე — ამ თათბირმა მოამზადა ბულიგინის სათათბირო — გაერთიანებული თავადაზნაურობის მომავალი საბჭოს ბურჯები, ა. ა. ბობრინსკი, ნარიშკინი და სხვ., იმის მომხრე იყვნენ, რომ სათათბიროში უმრავლესობა გლეხებს მისცემოდათ. ვიტე მაშინ იმ თვალსაზრისს დაადგა, რომ თვითმპყრობელობის დასაყრდენი უნდა იყოს (და შეიძლება

იყოს) ა რ ა თავადაზნაურობა და ა რ ა ბურჟუაზია, არამედ «გლეხთა დემოკრატია» *.

«ბატონებო, — ამბობდა ბ-ნი მილიუკოვი, — ეს საინტერესო მომენტია იმიტომ, რომ სწორედ ამ მომენტში ებადება მთავრობას აზრი იძულებითი გასხვისების შესახებ (ხმები: კუტლერს). დიახ, კუტლერს, ბატონებო... კ უ ტ ლ ე რ ი შ ე უ დ გ ა ი ძ უ ლ ებ ი თ ი გ ა ს ხ ვ ი ს ებ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ებ ა ს.

...იგი მუშაობდა, ბატონებო; ეს მ უ შ ა ო ბ ა გ რ ძ ე ლ დ ებ ო დ ა, არ ვიცი, ე რ თ თ უ ო რ თ ვ ე ს — 1 9 0 5 წ ლ ი ს დ ა მ ლ ე ვ ა მ დ ე. იგი დაუბრკოლებლად გრძელდებოდა მანამდე, სანამ მოსკოვის ცნობილი ამბები არ მოხდა, რის შემდეგაც განწყობილება მნიშვნელოვნად შეიცვალა».

1906 წლის 4 იანვარს შეიკრიბა თავადაზნაურობის წინამძღოლთა ყრილობა. მან უარყო კუტლერის პროექტი, რომელსაც ხმებისა და კერძო ცნობების მიხედვით იცნობდა. მან მიიღო თავისი აგრარული პროგრამა (მომავალი «სტოლიპინის» პროგრამა). 1906 წლის თებერვალში გადადგა მინისტრი კუტლერი. 1906 წლის 30 მარტს ვიტეს კაბინეტი (მისი «საგლეხო» პროგრამით) შეცვალა გურკო-გორემიკინის კაბინეტმა («სტოლიპინის», თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული პროგრამით).

ასეთია ფაქტები, რომლებიც იძულებული იყო ეცნო ი ს ტ ო რ ი კ ო ს მილიუკოვს.

ამ ფაქტებიდან ნათელი დასკვნა გამომდინარეობს. იძულებითი გასხვისების «კადეტური» პროექტი ეკუთვნოდა ვიტეს კაბინეტის მ ი ნ ი ს ტ რ ს კუტლერს, ვიტე კი გლეხებზე დამყარებულ თვითმპყრობელობაზე ოცნებობდა! როცა გლეხთა დემოკრატია ვითარდებოდა, ცდილობდნენ იგი, ეს დემოკრატია, მოესყიდათ, გაეხრწნათ, მოეტყუებინათ «მშვიდობიანი», «იძულებითი გასხვისების», «მეორე გან-

* იხ. «სახალხო თავისუფლების ფრაქციის ანგარიში» III სახ. საათბიროს მე-2 სესიის განმავლობაში (სპბ. 1909), გვ. 43. სამწუხაროდ, ფრიად სამწუხაროდ, ბერიოზოვსკის სიტყვები კადეტებს ა რ გადაუბეჭდავთ...

თავისუფლების» პროექტით, «მემამულეთა მიერ გლეხების» ჩინოვნიკური «იძულების» პროექტით.

აი რას გვეუბნებიან ისტორიული ფაქტები. კადეტების აგრარული პროექტი არის პროექტი ვიტეს კაბინეტის მინისტრისა «ეთამაშნათ» გლეხური ცეზარიზმი.

გლეხთა დემოკრატიამ ვერ გაამართლა იმედები. მან ცხადყო, — I სახ. სათათბიროში, ვგონებ, უფრო ნათლად, ვიდრე 1905 წელს, — რომ 1861 წლიდან იგი შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი გახდა. ა ს ე თ ი გლეხობის არსებობისას კუტლერულ-კადეტური პროექტი უაზრობა გახდა: გლეხები არა თუ ძველებურად არ მოატყუებინებდნენ თავს, არამედ კადეტურ ადგილობრივ საადგილმამულო კომისიებსაც კი ახალი შეტევის მოწყობისათვის გამოიყენებდნენ.

თავადაზნაურობის წინამძღოლებმა 1906 წლის 4 იანვარს სწორად გადაწყვიტეს, რომ ლიბერალ მემამულეთა (კუტლერისა და კომპანიის) პროექტი უიმედო რამ არის, და იგი უკუაგდეს. სამოქალაქო ომი ლიბერალურ-ჩინოვნიკურ პროექტერობას გ ა ს ც დ ა. კლასობრივმა ბრძოლამ უკუაგდო ოცნება «სოციალურ მშვიდობაზე» და საკითხი გადაჭრით დააყენა, «ან სტოლიპინისებურად, ან ტრუდოვიკულად».

«ნევსკაია ზვეზდა» № 22,
1912 წ. 19 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ფ რ ე ი

იბეჭდება გაზეთ
«ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

ცუდი დაცვა

«პრავდის» 9 აგვისტოს 86-ე ნომერში სტატიაში «საგაფიცკო ბრძოლა და ხელფასი» * ჩვენ მოვიყვანეთ ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის ცნობები რუსეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშების საშუალო ხელფასის შესახებ XX საუკუნის პირველ ათ წელიწადში.

აღმოჩნდა, რომ 1905 წლის ცნობილი საგაფიცკო ბრძოლით მუშებმა გაიდიდეს ხელფასი 206 მანეთიდან (საშუალოდ ერთ მუშაზე წელიწადში) 238 მანეთამდე, ე. ი. 32 მანეთით ანუ 15,5%-ით.

ჩვენი დასკვნა არ მოეწონა კაზიონურ გაზეთ «როსსიას» [73]. 15 აგვისტოს ნომერში იგი მოწინავე სტატიას უძღვნის ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობების დაწვრილებითს გადმოცემას (ამასთან რატომღაც ზუსტად არ ასახელებს გაზეთს, საიდანაც ეს ცნობებია აღებული) და ცდილობს უარყოს ჩვენი დასკვნები.

«ხელფასმა 1906 წელს მკვეთრად რომ აიწია, — ეს, რა თქმა უნდა, სწორია, — წერს «როსსია», — მაგრამ სწორია ისიც, რომ ამასთან ერთად და ამავე დროს ერთბაშად გაძვირდა აგრეთვე ყველა საქონელი და პროდუქტი»... და «როსსიას» შემდეგ მოყავს თავისი გამოანგარიშება, რომლის მიხედვითაც ხელფასი გადიდდა 20%-ით, ხოლო ცხოვრება გაძვირდა 24%-ით. «როსსიას» გამოანგარიშება მეტად არასწორია ყოველი მხრივ. ნამდვილად ხელფასის გადიდება უფრო ნაკლებია, ხოლო ცხოვრების გაძვირება უფრო მნიშვნელოვანი.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 304 — 305. რ ე დ.

მაგრამ ახლა არ დავიწყებთ «როსსიის» შეცდომების გასწორებას. ავიღოთ მისი ციფრები.

...«ეს ციფრები, — წერს «როსსია», — სრულებითაც არ მოწმობს, რომ მუშებს რაიმე მოეგოთ. ხოლო თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, თუ რა ხშირად უჩივიან ისინი მძიმე დროებას, შეიძლება უფრო მალე საწინააღმდეგო დასკვნა გამოვიტანოთ: ის, რომ საეჭვოა მათ რაიმე მოეგოთ».

მართლაც, განა უცნაურად არ მსჯელობს «როსსია»? თუ ხელფასი უფრო ნაკლებ გადიდდა, ვიდრე საარსებო პროდუქტების ფასმა მოიმატა, გამოდის, რომ საჭიროა ხელფასის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გადიდება! განა ეს ცხადი არ არის?

ხოლო როგორ შეუძლიათ მუშებს მიაღწიონ ხელფასის გადიდებას, თუ ეკონომიურ ბრძოლას არ აწარმოებენ და გაფიცვებს არ მოაწყობენ? ნუთუ უნახავს «როსსიას» ისეთი კაპიტალისტები, რომლებსაც საარსებო პროდუქტების ფასის გადიდების გამო თვითონ შეეთავაზებინოთ მუშებისათვის მათი ხელფასის გადიდება?

«როსსია» აღიარებს, რომ ხელფასმა მკვეთრად აიწია 1906 წელს, ე. ი. ფართო, მასობრივი საგაფიცვო ბრძოლის მეოხებით, რომლის მსგავსი სიმტკიცის მხრივ მსოფლიოს არ ახსოვს. მაგრამ პროდუქტების ფასის აწევა 1905 წელზე ადრე დაიწყო. მაგალითად, პურის ფასი რუსეთში 1903 წლიდან არ შემცირებულა, არამედ მხოლოდ იზრდებოდა. მეცხოველეობის პროდუქტების ფასი 1901 წლიდან არ შემცირებულა, არამედ მხოლოდ იზრდებოდა.

მაშასადამე, მუშებმა მხოლოდ და მხოლოდ საგაფიცვო ბრძოლით მიაღწიეს იმას, რომ პურისა და სხვა პროდუქტების ფასის გადიდებასთან ერთად ხელფასმაც აგრეთვე იწყო გადიდება. თუ ხელფასის გადიდება საკმარისი არ არის, — ხოლო ამას თვით «როსსია» აღიარებს, — მაშინ საჭიროა მისი შემდგომი გადიდება.

«პრავდა» № 96, 1912 წ. 21 აგვისტო
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორები და «ერთიანობა»[74]

თუ არ ისტერიკას, სხვას ვერაფერს დავარქმევთ «ნევსკი გოლოსის» ამ დღეებში გამოსულ მეშვიდე ნომერს. გაზეთის თითქმის 2 გვერდი, ნაცვლად მუშათა ქრონიკისა, შეიცავს «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» საშინელ ლანძღვას. კურიოზულია, რომ ეს ლანძღვა მოცემულია მუშათა კლასის «ერთიანობის», საარჩევნო კამპანიის «ერთიანობის» ლოზუნგით.

ბატონებო, — ვუპასუხებთ ლიკვიდატორებს, — მუშათა კლასის ერთიანობა დიადი პრინციპია. მაგრამ მართლაც ხომ სასაცილოა, თუ თქვენ, გაჰყვირით რა «ერთიანობაზე», — გსურთ თავს მოახვიოთ მუშათა კლასს ლიბერალ ინტელიგენტ-ლიკვიდატორთა ჯგუფის პლატფორმა და კანდიდატები.

«პრავდამ» ზ უ ს ტ ი ციფრებით დაამტკიცა, რომ «ლიკვიდატორობა არარაობაა მუშათა მოძრაობაში; რომ იგი ძლიერია მხოლოდ ლიბერალურ ინტელიგენციაში» («პრავდა» № 80, 1912 წ. 1 აგვისტო *). ახლა «ნევსკი გოლოსი» 17 აგვისტოს მე-7 ნომერში ლანძღავს «პრავდის» ამ სტატიებს, უწოდებს მათ «ფელეტონურ», «ხლესტაკოვურ» სტა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 228 — 233. რ ე დ.

ტიებს და სხვ. მაგრამ ის უბრალო ფაქტი, რომ «პრავდამ» ნახევარი წლის მანძილზე 504-ჯერ მიიღო მუშათა მიერ ჯგუფურად შეგროვებული თანხა, ხოლო ლიკვიდატორულმა გაზეთებმა მხოლოდ 15-ჯერ, — «ნევსკი გოლოსი» არც ცდილობს სადავოდ გახადოს.

აქედან სხვა რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, გარდა იმისა, რომ ყვირილი, ხმაური, ლანძღვა და შეძახილები ერთიანობის შესახებ — ყოველივე ეს მუშათა კლასში ლიკვიდატორების უკიდურესი და საბოლოო უძლურების უბრალო დაფარვაა?

რამდენიც უნდა გვლანძღოს «ნევსკი გოლოსმა», ჩვენ მშვიდად მივუთითებთ მუშებს ურყევ ფაქტებზე. დახედეთ «ნევსკი გოლოსის» მე-7 ნომერში ჩამოთვლილ შეგროვებულ თანხებს და «გაზეთის სახსრების გასაძლიერებლად» (ე. ი. — პირდაპირ რომ ვთქვათ — ლიკვიდატორული გაზეთის აღსადგენად, რომლის გამოცემა შეწყდა იმის გამო, რომ მუშათა მასები მას საკმაო დახმარებას არ უწევდნენ) ივლისსა და აგვისტოში შეგროვებულ თანხებს. ანგარიში ამ შეგროვებული თანხების შესახებ გვიჩვენებს 52 შენატანს 827 მან. 11 კაპ. საერთო თანხით. აქედან მხოლოდ ორი თანხაა ჯგუფურად შეგროვებული: ერთი «მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ო ჯ გ უ ფ ი ს ა გ ა ნ» — 35 მან., მეორე «მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ი ს ა გ ა ნ პ ა რ ი ზ ი დ ა ნ» — 8 მან. 54 კაპ., ხოლო დანარჩენი 50 ერთპიროვნული შენატანიდან 35 შეადგენს 708 მანეთს, ე. ი. თ ვ ი თ ე უ ლ ი შ ე ნ ა ტ ა ნ ი ს ა შ უ ა ლ ო დ 20 მ ა ნ ე თ ზ ე მ ე ტ ს.

დაე ჯავრობდეს და ილანძღებოდეს «ნევსკი გოლოსი», მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება. «საინიციატივო ჯგუფები» რომ ლიკვიდატორთა ჯგუფებია, რომლებიც მუშათა კლასის პარტიას გ ა ე თ ი შ ნ ე ნ, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. ეს პლეხანოვმაც კი აშკარად და პირდაპირ აღიარა ჯერ კიდევ 1912 წლის აპრილში.

გამოთიშულ ლიკვიდატორთა ჯგუფმა ბურჟუაზიულ ლიბერალ ინტელიგენტთა შენატანებით განაახლა თავისი გაზეთი მუშათა პრესის წინააღმდეგ საბრძოლველად!! და ეს ჯგუფი გაჰყვირის «ერთიანობაზე». აბა, როგორ არ გავიცინოთ?

«პრავდა» № 99, 1912 წ. 24 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საუბარი «კადეტჭამიოობის» შესახებ

«პრავდამ» და «ნევსკაია ზვეზდამ» მკაცრი, მაგრამ სავსებით დამსახურებული პასუხი გასცეს ბბ. ბლანკს, კოროობკას, კუსკოვას და კომპანიას მუშათა პრესის წინააღმდეგ მათი ბინძური ლიბერალური გამოხდომებისათვის.

თუმცა კარგი იყო პასუხი, რაც გასცეს «ვაჟბატონებს, რომლებიც ბოიკოტს უწევენ მუშებს», მაგრამ კიდევ დარჩა მეტად მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი, რომელიც განხილვას მოითხოვს. ბბ. ბლანკები და კუსკოვები თავიანთი უხეში სიცრუით შეეცადნენ მიეჩქმალათ, დაებნელებინათ იგი. მაგრამ ჩვენ არ უნდა მივაჩქმალვინოთ პრინციპული საკითხები, უნდა ცხადვყოთ მთელი მათი მნიშვნელობა, ბლანკურ-კუსკოვურ დამახინჯებათა, ცილისწამებისა და ლანძღვა-გინების გროვიდან უნდა ამოვგლიჯოთ ფესვები უთანხმოებისა, რომელიც ყველა შეგნებულ მუშას აინტერესებს.

ერთი ასეთი ფესვი შეიძლება გამოიხატოს სიტყვით: «კადეტჭამიობა». ყური დაუგდეთ ლიკვიდატორთა ცალკეულ, მაგრამ დაჟინებულ ხმებს, პარტიულად არა სავსებით ჩამოყალიბებული ხალხის შენიშვნებს, — და თქვენ საკმაოდ ხშირად შეხვდებით «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» მიმართ თუ საყვედურს არა, თავის ქნევას მაინც მათი «კადეტჭამიობის» გამო.

მაშ განვიხილოთ პრინციპული საკითხი «კადეტჭამიობის» შესახებ.

უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ორი გარემოება ხსნის «პრავდის» მიმართ ასეთი საყვედურის გაჩენას: 1) საარჩევნო კამპანიაში და საერთოდ თანამედროვე პოლიტიკაში «ორი და სამი ბანაკის» საკითხის არსის გაუგებლობა; 2) უყურადღებობა იმ განსაკუთრებული პირობებისადმი, რომლებშიც ახლა ჩაყენებულია მარქსისტული პრესა, მუშათა დემოკრატიის გაზეთები.

დავიწყოთ პირველი საკითხით.

ყველა ლიბერალი დგას ორი ბანაკის თეორიის ნიადაგზე: კონსტიტუციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ და კონსტიტუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მილიუკოვიდან იზგოევამდე, პროკოპოვიჩიდან მ. მ. კოვალევსკიმდე, ყველა თანახმაა ამაში. და არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ ორი ბანაკის თეორია გარდუვალად გამომდინარეობს მთელი ჩვენი ლიბერალიზმის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ა რ ს ი დ ა ნ.

რაში მდგომარეობს ეს არსი ეკონომიკის თვალსაზრისით? იმაში, რომ ლიბერალიზმი არის ბურჟუაზიის პარტია, რომელსაც ეშინია გლეხთა მასების მოძრაობისა, და კიდევ უფრო მეტად — მუშათა მოძრაობისა, ვინაიდან ამ მოძრაობას უნარი შესწევს შ ე ზ ღ უ დ ო ს (ახლავე, უახლოეს მომავალში, მთელი კაპიტალისტური წყობილების შეუცვლელად) ბურჟუაზიის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პრივილეგიების ოდენობა და ფორმები. ბურჟუაზიის ეკონომიური პრივილეგია კი არის კაპიტალის საკუთრება, რომელიც რუსეთში ორსაჯერ მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე ევროპაში.

ეს «რუსული» ზემოგება რომ გადაარჩინონ, არ უნდა დაუშვან მესამე ბანაკის დამოუკიდებლობა.

მაგალითად, ბურჟუაზიას სავსებით შეუძლია იბატონოს 8 საათიანი სამუშაო დღის პირობებშიც. მისი ბატონობა მაშინ უფრო სრული, ნამდვილი, ფართო და თავისუფალიც კი იქნება, ვიდრე 10—11 საათიანი სამუშაო დღის პირობებში. მაგრამ კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკა ისეთია, რომ თუ უკიდურესი საჭიროება, უკანასკნელი საჭიროება არა, ბურ-

ჟუაზია მშვიდ, ჩვეულ, შემოსავლიან (ობლომოვურად-შემოსავლიან) 10 საათიან სამუშაო დღეს არ შეცვლის 8 საათიანი სამუშაო დღით.

8 საათიან სამუშაო დღეზე რაც ვთქვით, ეს შეეხება ზედა პალატასაც, მემამულეთა მიწათმფლობელობასაც და ბევრ სხვა რამესაც.

ბურჟუაზია ხელს არ აიღებს ექსპლოატაციის ძველრუსულ მშვიდ, მოხერხებულ, შემოსავლიან ფორმებზე იმისათვის, რომ შეცვალოს ისინი მ ხ ო ლ ო დ ევროპული, მ ხ ო ლ ო დ დემოკრატიული ფორმებით (ვინაიდან დემოკრატია, დაე საწყენად ნუ დარჩებათ «ზავეტის» მგზნებარე გმირებს, ა გ რ ე თ ვ ე ბურჟუაზიული ბატონობის ფორმაა), — ხელს არ აიღებს, ვამბობთ ჩვენ, თუ უკიდურესი, უკანასკნელი საჭიროება არ იქნა.

ამ საჭიროების შექმნა შეუძლია მასების მხოლოდ ისეთ მოძრაობას, რომელმაც გარკვეულ სისტემასა და ძალას მიაღწია. და ბურჟუაზიაც, იცავს რა თავის ეკონომიურ ინტერესებს, იბრძვის ასეთი მოძრაობის წინააღმდეგ, ე ს ე ი გ ი მესამე ბანაკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს ლიბერალიზმის კლასობრივი არსი პოლიტიკის თვალსაზრისით? იმავე სოციალური ელემენტების მოძრაობის შიშში, ვინაიდან ამ მოძრაობას უნარი შესწევს ძირი გამოუთხაროს პოლიტიკურ პრივილეგიებს, რომლებსაც აფასებს ბურჟუაზია. ლიბერალიზმს დემოკრატიისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა. ეს დაამტკიცა 1905, 1906 და 1907 წლებმა.

პოლიტიკური პრივილეგიების ე ს ა თ უ ი ს ნ ა წ ი ლ ი რომ შეინარჩუნონ, საჭიროა არ დაუშვან მესამე ბანაკის დამოუკიდებლობა, — საჭიროა მ თ ე ლ ი ოპოზიცია შეაჩერონ ი მ და მხოლოდ იმ პოზიციაზე, რომელიც გამოხატულია ფორმულით კონსტიტუციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ თუ კონსტიტუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ეს ფორმულა მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ კონსტიტუციურ პოზიციას გამოხატავს. ეს ფორმულა ა რ ს ც ი ლ დ ე ბ ა კონსტიტუციური რეფორმების ჩარჩოებს. ამ ფორმულის არსი საუცხოოდ და სწორად გამოთქვა — უნებლიეთ წამოაყრანტალა — ბ-ნმა გრედესკულმა თავის იმ განცხადებებში, რომლებიც სრულიად უშენიშვნოდ გაიმეორა «რეჩმა» და რომლებიც ამას წინათ გადაბეჭდა «პრავდამ» *.

ამ ფორმულის არსი სავსებით «ვეხურია», ვინაიდან «ვეხის» სხვა რამ არც ესაჭიროება, სხვა რამ მას, სწორედ რომ ვთქვათ, არც უქადაგნია. «ვეხი» სრულებითაც არ არის კონსტიტუციის წინააღმდეგი, კონსტიტუციური რეფორმების წინააღმდეგი. «ვეხი» წინააღმდეგია «მ ხ ო ლ ო დ» დემოკრატიისა, რომელიც აკრიტიკებს ყოველგვარ კონსტიტუციურ ილუზიებს.

რუსული ლიბერალიზმი საკმაოდ «მარჯვე» პოლიტიკანი აღმოჩნდა, რომ საკუთარი თავისთვის «დემოკრატიული» ეწოდებინა დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დამოუკიდებლობის ჩახშობის მიზნით. ასეთია ყოველი ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედების ჩვეულებრივი და ნორმალური ხერხი ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში: დემოკრატიზმის აბრით მოატყუოს მასები, რათა ჩ ა მ ო ა შ ო რ ო ს ისინი ნამდვილ დემოკრატიულ თეორიას და ნამდვილ დემოკრატიულ პრაქტიკას.

ხოლო ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, გამოცდილებამ უდავოდ ცხადყო, რომ მხოლოდ ასეთ პრაქტიკას შეუძლია მოგვცეს ნამდვილი წინსვლა, მაშინ როდესაც ლიბერალიზმი თავისი შიშით დემოკრატიის წინაშე, თავისი ვეხურ-გრედესკულური თეორიებით გარდუვალად განუმზადებს თავის თავს უძლურებას: 1861 — 1904 წლების რუსული ლიბერალიზმის და 1849 — 1912 წლების გერმანული ლიბერალიზმის უძლურებას.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 299 — 300. რ ე დ.

მესამე ბანაკი, ბანაკი დემოკრატიისა, რომელსაც ესმის ლიბერალიზმის შეზღუდულობა, თავისუფალია მისი ორჭოფობისა და მოდუნებულობისაგან, მისი მერყეობისა და შიშით უკან ცქერისაგან, ეს ბანაკი ვერ ჩამოყალიბდება, ვერ იარსებებს, თუ სისტემატური, განუხრელი, ყოველდღიური კრიტიკა არ გაუწია ლიბერალიზმს.

როცა ამ კრიტიკას უგულებელყოფით ან მტრობით «კადეტჭამიობას» უწოდებენ, ამით შეგნებულად თუ შეუგნებლად სწორედ ლიბერალურ შეხედულებებს ატარებენ. ვინაიდან ნამდვილად კადეტიზმის მთელი კრიტიკა ამავე დროს, საკითხთა უკვე მარტო დაყენების გამო, არის რეაქციის კრიტიკა, მემარჯვენეთა კრიტიკა. ჩვენი პოლემიკა ლიბერალებთან — სავსებით სამართლიანად თქვა «ნევსკაია ზვეზდამ» (№ 12) * — «არის უფრო ღრმა და უფრო შინაარსიანი, ვიდრე ბრძოლა მემარჯვენეთა წინააღმდეგ» **.

ნამდვილად ას ლიბერალურ გაზეთზე რუსეთში ძლივს მოდის ერთი მარქსისტული გაზეთი, ისე რომ პირდაპირ სასაცილოა ლაპარაკი ჩვენ მიერ კადეტების კრიტიკის «გაზვიადების» შესახებ: ჯერჯერობით ჩვენ მეასედსაც არ ვაკეთებთ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებასა და ხალხში გაბატონებული «ზოგადოპოზიციური» განწყობილება შეიცვალოს ანტილიბერალური, გარკვეულად და შეგნებულად დემოკრატიული განწყობილებით.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 136 — 139. რედ.

** ამის პასუხად «რეჩი» გვეკამათება: თუ ასეა, მემარჯვენეებს თანაგრძნობით რატომ მოჰყავთ ციტატები «პრავდიდან» «რეჩის» წინააღმდეგო? «რეჩი» აქ ამახინჯებს სინამდვილეს: მემარჯვენეები «პრავდას» მეტ თავისუფლებას რომ აძლევდნენ, ვიდრე «რეჩს», ეს სერიოზული საბუთი იქნებოდა ს.-დ.-ის წინააღმდეგ. მაგრამ ყველამ იცის, რომ საქმე სწორედ პირიქითაა. თავისუფლება ჩვენს პრესას ასჯერ ნაკლები აქვს, ვიდრე «რეჩს», სიმკვიდრე ათასჯერ ნაკლები, «კონსტატუციური» დაცვა 10 000-ჯერ ნაკლები. ყოველ წიგნიერ კაცს ესმის, რომ «როსსია» და «ნოვოე ვრემია» «რეჩს» ა ო ი ზ ი ა ნ ი ბ ი ნ «პრავდიდან».

ასეთი «შეცვლის» გარეშე ხეირიანი და სასიკეთო რამ რუსეთში არა მომხდარა რა და არც შეიძლება მოხდეს.

«კადეტჭამიობაში» ბრალის დადება ან ათვალწუნებითი ღიმილი «კადეტჭამიობის» გამო სხვა არაფერია, თუ არ façon de parler *, თუ არ ხერხი ლიბერალურ შეხედულებათა გატარებისა, ხოლო როცა ლაპარაკია მუშების წინაშე ან მუშების შესახებ, სწორედ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის შეხედულებათა გატარებისა.

რამდენადმე თანმიმდევრული და მოფიქრებული ლიკვიდატორობის თვალსაზრისით «კადეტჭამიობაში» ბრალის დადება გასაგები და აუცილებელია. ეს ბრალის დადება სწორედ ლიკვიდატორობის არსს გამოხატავს.

შეხედეთ საერთოდ ლიკვიდატორთა შეხედულებებს, ამ შეხედულებათა შინაგან ლოგიკას, მათს კავშირსა და ცალკეული თეზისების ურთიერთდამოკიდებულებას: «კოალიციების თავისუფლება» კონსტიტუციური რეფორმაა, — ეკონომიურ გაფიცვებს ემატება, სულ ბევრი, «პოლიტიკური გამოცოცხლება», — ფართო საარჩევნო პლატფორმა ცხადდება «სიგიჟედ», — ამოცანა ყალიბდება როგორც პარტიის აშკარად არსებობისათვის ბრძოლის ამოცანა, ე. ი. ყალიბდება ისევ და ისევ როგორც კონსტიტუციური რეფორმა, — ხელისუფლება რუსეთში ცხადდება უკვე ბურჟუაზიულ ხელისუფლებად (ლარინი), სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია ცხადდება უკვე გაბატონებულ კლასად, — მუშებს ეუბნებიან, რომ «საკმარისია» ხელი ჩასჭიდონ აბსოლუტიზმისა და კონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგობას (მარტოვი).

მთლიანად სწორედ ეს არის რეფორმიზმი, სწორედ ეს არის ლიბერალური მუშათა პოლიტიკის შეხედულებათა

ამასთან ისინი «პრავდას» ახრჩობენ, ხოლო «რეჩის» წინააღმდეგ ბუზღუნებენ და ილანძღებიან. ეს ორი რამ დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

* — ლაპარაკის მანერა. რედ.

სისტემა. საქმეს ოდნავაც არ ცვლის ის, რომ ივანე თუ პეტრე, იცავენ რა ამ შეხედულებებს (მათს ამათ თუ იმ ნაწილს — ვინაიდან ლიკვიდატორობა «მზარდ ამოცანათა ზრდის პროცესშია»), თავიანთ თავს თვითონ სთვლიან მარქსისტებად.

საქმე მათი კეთილი განზრახვები კი არაა (ვისაც აქვს ასეთები), არამედ მათი პოლიტიკის ობიექტური მნიშვნელობა, ე. ი. ის, რაც ამ პოლიტიკიდან გამომდინარეობს, **cui prodest** იგი, ვისთვის არის სასარგებლო, ნამდვილად რომელ წისქვილს აბრუნებს ეს წყალი.

ეს არის მუშათა ინტერესების დაცვა იმ ნიადაგზე, რომელსაც ქმნის ლიბერალების «ბრძოლა» (თუ კინკლაობა?) მემარჯვენეებთან, და არა ბრძოლა მემარჯვენეთა დამაუძლურებელი დემოკრატიული, ანტილიბერალური ნიადაგისათვის. ლიკვიდატორები მუშათა მომხრეები არიან, ეს უეჭველია. მაგრამ მუშათა ინტერესები მათ ისე ესმით, რომ ამ ინტერესებს იცავენ იმ რუსეთის ჩარჩოებში, რომლის აშენებასაც ჰპირდებიან ლიბერალები, და არა იმ რუსეთის ჩარჩოებში, რომელსაც აშენებდნენ გუშინ და რომლის შენებასაც განაგრძობენ ხვალ (უხილავად აშენებენ დღესაც) დემოკრატები წინააღმდეგ ლიბერალებისა.

აქ არის მთელი საკითხის თავი და ბოლო. ახალი რუსეთი ჯერ კიდევ არ არის. იგი ჯერ კიდევ არ არის აშენებული. მუშებმა უნდა იშენონ «კლასობრივი» (ნამდვილად ამქრული) ბუდე იმ და ისეთ რუსეთში, რომელსაც მილიუკოვები აშენებენ პურიშკევიჩებთან ერთად, თუ მუშებმა თვითონ, თავისებურად, უნდა აშენონ ახალი რუსეთი სრულიად უპურიშკევიჩოდ და წინააღმდეგ მილიუკოვებისა.

ეს ახალი რუსეთი ყოველ შემთხვევაში ბურჟუაზიული იქნება, მაგრამ სტოლიპინის ბურჟუაზიული (აგრარული და არა აგრარული) პოლიტიკიდან სუნ იატ-სენის ბურჟუაზიულ პოლიტიკამდე «საკმაოდ დიდი დისტანციაა».

იმ ეპოქის მთელი არსი, რომელსაც რუსეთი განიცდის, ამ დისტანციის ოდენობის გამორკვევაა.

«წინააღმდეგ მილიუკოვებისა» — ვთქვით ჩვენ. სწორედ ეს «წინააღმდეგ» არის «კადეტჭამიობა». ამიტომ, არ გვეშინია რა სიტყვებისა, ჩვენ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ ვრჩებით და დავრჩებით «კ ა დ ე ტ ჭ ა მ ი ე ბ ა დ» და ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ მუშათა კლასის განსაკუთრებულ ამოცანებს **როგორც** მილიუკოვის წინააღმდეგ, **ისე** სუნ იატ-სენების წინააღმდეგ.

«კადეტჭამიობაში» ბრალის დადება არის მხოლოდ (შეგნებული თუ შეუგნებელი, სულ ერთია) მისწრაფება იმისადმი, რომ მუშები ახალი რუსეთის შენებისას კუდში მისჩანჩალებდნენ მილიუკოვებს და არა მიუძღოდნენ ჩვენს პატარა სუნ იატ-სენებს წინააღმდეგ მილიუკოვებისა...

ჩვენ დაგვრჩენია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მეორე გარემოების შესახებ, რომელიც მხედველობიდან რჩებათ მათ, ვინც «კადეტჭამიობაზე» ლაპარაკობს.

ამბობენ: რატომ დ ა დ ე ბ ი თ ა დ არ უნდა განვავითაროთ ჩვენი შეხედულებანი? რა საჭიროა გადაჭარბებული პ ო ლ ე მ ი კ ა? ისინი, ვინც ამას ლაპარაკობს, თითქოს შემდეგნაირად მსჯელობენ: ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ განსაკუთრებული ხაზისა, რომელიც სავსებით განსხვავდება კადეტური ხაზისაგან, — ჩვენ სამი ბანაკის წინააღმდეგნი არა ვართ, — ჩვენ მხოლოდ წინააღმდეგნი ვართ «პოლიტიკის შეცვლისა პოლემიკით», ლიკვიდატორთა ერთი მეგობრის ერთი მკვახე სიტყვა რომ ვიხმაროთ.

ასე მოლაპარაკეთათვის პასუხის გაცემა ძნელი არ არის: ჯერ-ერთი, თუ არ პოლემიკურად, სხვანაირად შეუძლებელია ახალ შეხედულებათა განვითარება (მარქსისტული შეხედულებანი ხომ ახალია თავისი გაჩენის დროის მიხედვითაც და თავისი გავრცელების მასშტაბითაც ლიბერალურ შეხედულებებთან შედარებით). მეორე, ის ასპარეზი, რომელზეც

«ნევსკაია ზვეზდა» და «პრავდა» მოქმედებენ, მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ თ ე ო რ ი უ ლ ი მარქსისტული ქადაგების ასპარეზია. შეცდომა იქნებოდა, ეს ასპარეზი უფრო დიდ რაიმედ რომ მიგვეღო: ეს არის მ ხ ო ლ ო დ თეორიული «a b c...» *, ანბანი, თეორიული დაწყება, მუშაობის მიმართულების ჩვენება, და ჯერ კიდევ არა თვით მუშაობა.

აღნიშნულ ასპარეზზე მარქსისტებს არ ძალუძთ თავიანთი პრაქტიკული დასკვნების «დადებითი» ფორმით მოცემა «დამოუკიდებელ გარემოებათა» გამო. ამიტომ ამ ასპარეზის მნიშვნელობის გაზვიადება ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ი შეცდომა იქნებოდა. სულ დიდი, რაც კი აქ შეიძლება, ეს არის ნ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ჩვენება, ამასთან მ ხ ო ლ ო დ კადეტების კრიტიკის ფორმით.

«ნოვოე ვრემია» და «ზემშჩინა» [75], ა ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ე ნ რა კადეტებს, საქმეს ისე სახავენ, რომ აი თქვენ, კადეტებს, გ ჭ ა მ ე ნ, და მეტი არაფერიო. «რეჩი», სავსებით გასაგები მიზეზების გამო, თ ა ვ ს ი ს ე გ ვ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ს, რომ იღებს ასეთ «განმარტებას». კორობკები და კუსკოვები, ზოგი უკიდურესი გონებაჩლუნგობის გამო, ზოგი უკიდურესი «კადეტლაქიობის» გამო, ასევე გვაჩვენებენ თავს.

მაგრამ პოლიტიკურად წიგნიერი ყოველი ადამიანი კარგად ხედავს, რომ მარქსისტული «კადეტჭამიობა» კადეტთა კრიტიკის პირდაპირ თ ვ ი თ ე უ ლ პუნქტში გვიჩვენებს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს **სხვა** «ოპოზიციისას», თუ ნებას მიბოძებთ ვიხმარო ეს შეუფერებელი სიტყვა.

როცა მარქსისტი კადეტს «ჭამს» კარაულოვის «ღვთისმლოცველი» სიტყვებისათვის, მარქსისტს არ ძალუძს განავითაროს თავისი დადებითი თვალსაზრისი. მაგრამ ყოველ წიგნიერ ადამიანს ესმის: დემოკრატია ვერ იქნება დემოკრატია, თუ იგი ღვთისმლოცველია.

---

* — ლათინური ანბანის საწყისი ასოები. რ ე დ.

როცა მარქსისტი კადეტს «ჭამს» გრედესკულის სიტყვებისათვის, მარქსისტს არ ძალუძს განავითაროს თავისი დადებითი თვალსაზრისი. მაგრამ ყოველ წიგნიერ ადამიანს ესმის: დემოკრატია ვერ იქნება დემოკრატია, თუ იგი გრედესკულის შეხედულებებს იზიარებს.

როცა მარქსისტი... მაგრამ ჩვენ ვერასოდეს ვერ დავამთავრებდით, თუ განვიზრახავდით ასეთნაირად ჩამოგვეთვალა ჩვენი «კადეტჭამიობის» ყველა კითხვა და პუნქტი. საკმარისია ორი მაგალითიც, რათა სავსებით გამოვარკვიოთ ჩვენი თეზისი მ ე ო რ ე გარემოების შესახებ: კ ა დ ე ტ ჭ ა მ ი ო ბ ა შ ი ბ რ ა ლ ი ს დ ა დ ე ბ ა ა რ ი ს ი მ ო ბ ი ვ ა ტ ე ლ უ რ ი, მ ა ვ ნ ე, ს ა ძ ა გ ე ლ ი ც რ უ რ წ მ ე ნ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ ვ ი ს ფ ო რ მ ა, რ ო მ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ა ს პ ა რ ე ზ ი თ ი თ ქ ო ს ს ა კ მ ა ო ა ს პ ა რ ე ზ ი ა.

ჩვენ «კადეტჭამიებად» დავრჩებით, სხვათა შორის, სწორედ იმისათვის, რომ ვებრძოლოთ ამ მავნე ცრურწმენას.

«ნევსკაია ზვეზდა» № 23,
1912 წ. 26 აგვისტო
ხელმოწერა: კ. ს — ი

იბეჭდება გაზეთ
«ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

მუშები და «პრავდა»

«პრავდამ» უკვე შეაჯამა ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგი.

ამ შეჯამებამ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ცხადყო, რომ მ ხ ო ლ ო დ თვით მუშების ღონისძიებათა შედეგად, ბრძოლაში მათი ენთუზიაზმის, სიმტკიცისა და შეუდრეკელობის მ ხ ო ლ ო დ უდიდესი აღმავლობის შედეგად, მ ხ ო ლ ო დ აპრილ-მაისის მოძრაობის შემდეგ შეიძლებოდა გაჩენილიყო პეტერბურგის მუშათა გაზეთი «პრავდა».

თავის შეჯამებაში «პრავდა» დასაწყისისათვის დასჯერდა მონაცემებს ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშების ჯგუფური შენატანების შესახებ. ეს მონაცემები გვიჩვენებენ მუშათა მიერ მხარდაჭერის მხოლოდ მ ც ი რ ე წ ი ლ ს, ამ მონაცემებით უშუალოდ არა ჩანს გაცილებით უფრო ძვირფასი და გაცილებით უფრო ძნელი მხარდაჭერა — მორალური მხარდაჭერა, პირადი მონაწილეობით მხარდაჭერა, გაზეთის მიმართულებისათვის მხარდაჭერა, მასალებით, განხილვით, გავრცელებით მხარდაჭერა და სხვ.

მაგრამ იმ შეზღუდულმა მონაცემებმაც, რომლებიც «პრავდის» განკარგულებაში იყო, გვიჩვენეს მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშათა ჯგუფებისა, რომლებმაც პ ი რ დ ა-პ ი რ დაუკავშირეს მას თავისი ბედი. საერთოდ გადავავლოთ თვალი ჯამს:

გაზეთ «პრავდისათვის» მუშათა ჯგუფური შენატანების რაოდენობა

1912 წ.	იანვარში	14
»	თებერვალში	18
»	მარტში	76
»	აპრილში	227
»	მაისში	135
»	ივნისში	34
»	ივლისში	26
»	აგვისტოში (19 აგვისტომდე)	21
	სულ	551

სულ ხუთას ორმოცდათერთმეტმა მუშათა ჯგუფმა შეუწყო ხელი «პრავდას» თავისი შენატანებით.

საინტერესო იქნებოდა შეგვეჯამებინა მუშათა მიერ შეგროვებული მთელი რიგი სხვა თანხები და შენატანები. «პრავდაში» მუდამ ვხედავდით ანგარიშებს ამა თუ იმ გაფიცვის ხელშესაწყობად შეტანილი თანხების შესახებ. ვხედავდით ანგარიშებს თანხების შეგროვების შესახებ «რეპრესირებულთა» სასარგებლოდ, «ლენელთა» სასარგებლოდ, «პრავდის» ცალკეულ რედაქტორთა სასარგებლოდ, თანხების შეგროვების შესახებ საარჩევნო კამპანიისათვის, დამშეულთა დასახმარებლად და სხვ., და ა. შ.

თანხების ამ შეგროვების სხვადასხვაობის გამო შეჯამება აქ გაცილებით ძნელია, და ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, შეუძლია თუ არა სტატისტიკურ გამოანგარიშებას მოგვცეს მოვლენის დამაკმაყოფილებელი სურათი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ თანხების ეს სხვადასხვა შეგროვება მოიცავს მუშათა ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან ნაწილს.

რუსეთის ყველა კუთხის მუშა-მოსამსახურეთა წერილებთან დაკავშირებით მუშათა მიერ თანხების შეგროვების შესახებ ანგარიშების გაცნობით «პრავდის» მკითხველები, რომლებიც რუსეთის ცხოვრების მძიმე გარეშე პირობების გამო მეტ წილ შემთხვევებში დაქსაქსული და დაშორიშორებული არიან, იღებენ ერთგვარ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან, როგორ იღვიძებენ მუშათა

დემოკრატიის ინტერესების დასაცავად ამა თუ იმ პროფესიის, ამა თუ იმ ადგილის პროლეტარები.

მუშათა ცხოვრების ქრონიკა «პრავდაში» მხოლოდ იწყებს განვითარებასა და განმტკიცებას. შემდეგში, უეჭველია, გარდა წერილებისა ფაბრიკებში მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ, ახალი პროლეტარული ფენის გამოღვიძების შესახებ, მუშათა საქმის ამა თუ იმ დარგისათვის თანხების შეგროვების შესახებ, მუშათა გაზეთი მიიღებს ხოლმე ცნობებს მუშათა შეხედულებებსა და განწყობილებაზე, საარჩევნო კამპანიაზე, მუშათა რწმუნებულების არჩევნებზე, იმაზე, თუ რას კითხულობენ მუშები, იმ საკითხებზე, რომლებიც მათ განსაკუთრებით აინტერესებთ, და სხვ.

მუშათა გაზეთი მუშათა ტრიბუნაა. მთელი რუსეთის წინაშე აქ ერთიმეორეზე უნდა ისმებოდეს საერთოდ მუშათა ცხოვრებისა და კერძოდ მუშათა დემოკრატიის საკითხები. პეტერბურგის მუშებმა ჩაუყარეს საფუძველი ამ საქმეს. მათს ენერგიას უნდა უმადლოდეს რუსეთის პროლეტარიატი პირველ ყოველდღიურ მუშათა გაზეთს ჟამთა სიავის მძიმე წლების შემდეგ. მაშ განვაგრძოთ მათი საქმე, ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი დედაქალაქის მუშათა გაზეთს და განვავითაროთ იგი — პირველი მერცხალი იმ გაზაფხულისა, როცა მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა გაზეთების მქონე მუშათა ორგანიზაციების ქსელით.

ეს რუსეთი ჩვენ, მუშებს, ჯერ კიდევ შესაქმნელი გვაქვს, და ჩვენ მას შევქმნით.

«პრავდა» № 103, 1912 წ. 29 აგვისტო
ხელმოწერა: ს ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წინათ და ახლა

თვრამეტი წლის წინათ, 1894 წელს, მუშათა მოძრაობა რუსეთში ის-ის იყო ისახებოდა თავისი უახლესი, მასობრივი და მარქსისტული მოძღვრების შუქით გაცისკროვნებული ფორმით.

სამოცდაათიანი წლები მუშათა კლასის სრულიად უმნიშვნელო ზედაფენას შეეხო. მისმა მოწინავეებმა უკვე მაშინ გამოიჩინეს თავი, როგორც მუშათა დემოკრატიის დიდმა მოღვაწეებმა, მაგრამ მასას ჯერ კიდევ ეძინა. მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგს დაიწყო მ ი ს ი გამოღვიძება, და ამასთან ერთად დაიწყო რუსეთის მთელი დემოკრატიის ისტორიის ახალი და ყველაზე სახელოვანი პერიოდი.

სამწუხაროდ, აქ, ჩვენს მცირე პარალელში, უნდა დავჯერდეთ მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოვლინების, სახელდობრ ეკონომიური ბრძოლისა და ეკონომიურ «მხილებათა» მხოლოდ ერთ მხარეს.

მაშინ, 1894 წელს, მოწინავე მუშათა სულ მცირეოდენი წრეები მხურვალედ განიხილავდნენ საფაბრიკო წესების მხილების დაყენების გეგმას. თვით მუშების საფუძვლიანი სიტყვა, რომელიც მიმართული იყო მათი ამხანაგებისადმი და მიუთითებდა კაპიტალის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ყველაზე აღმაშფოთებელ ფაქტებზე, მაშინ უაღრესად იშვიათი იყო. ვერც კი წარმოედგინათ, რომ ასეთ რამეებზე აშკარად შეიძლებოდა ლაპარაკი.

მაგრამ მუშათა მასას, რომელიც იღვიძებდა, უნარი შესწევდა ყურადღეღო, მიუხედავად ყველა სიძნელისა და წინააღმდეგ ყველა დაბრკოლებისა, საფაბრიკო წესების მხილებანი, რომლებიც მისდამი იყო მიმართული. ძლიერდებოდა საგაფიცვო ბრძოლა, განუწყვეტლივ ვითარდებოდა მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის კ ა ვ შ ი რ ი ბრძოლის სხვა, უფრო მაღალ ფორმებთან. რუსეთის დემოკრატიის მოწინავე რაზმი იღვიძებდა, — და ა თ ი წლის შემდეგ მან მთელი ძალით გვიჩვენა თავი. მხოლოდ ამ ძალას უნდა უმადლოდეს რუსეთი, რომ ძველი გარსი გარღვეულ იქნა.

ვისაც ახსოვს საფაბრიკო წესების პირველი მხილებანი, რომლებითაც პეტერბურგის მოწინავე მუშები 1894 წელს მიმართავდნენ მასებს, მისთვის მეტად საინტერესო და საგულისხმოა მათი შედარება საფაბრიკო წესების იმ მამხილებელ მასალასთან, რაც «პრავდაში» იბეჭდებოდა. მუშათა ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინების ეს მცირე შედარება ნათლად გვიჩვენებს მ თ ე ლ ი მისი გაქანების, მისი სიღრმე-სიგანის, ძალისა და სხვათა ზრდას.

მაშინ გვქონდა საფაბრიკო წესების ხუთიოდ-ექვსიოდე მხილება, რომლებსაც მუშები ფარულად ავრცელებდნენ რამდენიმე ათეულ ცალად.

ახლა გვაქვს ათეულ ათასობით ყოველდღიური «პრავდა», რომელიც იძლევა საფაბრიკო წესების რამდენიმე მხილებას, რაც შრომის სულ სხვადასხვა დარგს ეხება.

მაშინ იყო ხუთიოდ-ექვსიოდე ეგრეთწოდებული «წრე», რომლებიც, რა თქმა უნდა, ფარულად, ამა თუ იმ ინტელიგენტ-მარქსისტის მონაწილეობით, განიხილავდნენ საფაბრიკო წესებს და სახავდნენ «გამოსაქვეყნებელი» პუნქტების საგანს.

ახლაა მუშათა ასობით და ათასობით ჯგუფები, რომლებიც თავისთავად ჩნდებიან, განიხილავენ თავიანთ საარსებო საჭიროებას და დამოუკიდებლად მიაქვთ «პრავდაში» თავი-

ანთი წერილები, თავიანთი მხილებანი, თავიანთი მოწოდებანი წინააღმდეგობის გაწევისა და გაერთიანებისაკენ.

მხოლოდ თვრამეტი წელიწადი გავიდა — და მუშებმა პირველი ნიშნებიდან, ყველაზე მოკრძალებული დასაწყისიდან გადადგეს ნაბიჯი მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობისაკენ ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი მნიშვნელობით.

სამწუხაროდ, უნდა დავჯერდეთ საფაბრიკო წესების მხილებათა მ ხ ო ლ ო დ პარალელებს. მაგრამ ისინიც გვიჩვენებენ, თუ რა დიდია განვლილი გზა, საით მივყავართ ამ გზას.

თვრამეტი წელიწადი მცირე მანძილია მთელი კლასის ისტორიაში, კლასისა, რომელსაც კაცობრიობის განთავისუფლების უდიდესი მსოფლიო ამოცანა აკისრია.

ამ გზის მეტი წაწილი სიბნელეშია განვლილი. ახლა გზა ნაპოვნია. — გაბედულად და ერთსულოვნად გავწიოთ წინ!

«პრავდა» № 104, 1912 წ. 30 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მოსამართლეთა საერთაშორისო ყრილობა

ამჟამად ვენაში მიმდინარეობს მოსამართლეთა პირველი საერთაშორისო ყრილობა, აგრეთვე გერმანელ იურისტთა 31-ე ყრილობა.

წარჩინებულ დელეგატთა სიტყვებში მეტად რეაქციული სულისკვეთება სჭარბობს. ბატონმა ბურჟუაზიულმა იურისტებმა და მოსამართლეებმა ლაშქრობა გამოაცხადეს სამართალწარმოებაში ხალხის მონაწილეობის წინააღმდეგ.

ასეთი მონაწილეობის ორი მთავარი ფორმაა მიღებული თანამედროვე სახელმწიფოებში: 1) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელნიც წყვეტენ მხოლოდ დამნაშავეობის საკითხს; სასჯელს განსაზღვრავენ და პროცესს ხელმძღვანელობენ მხოლოდ მთავრობის მოსამართლეები; 2) შეფენთა სასამართლო, რომელნიც, როგორც ჩვენი «წოდებათა წარმომადგენლები», მთავრობის მოსამართლეთა თანაბრად მონაწილეობენ ყ ვ ე ლ ა საკითხის გადაწყვეტაში.

და აი კონსტიტუციურ სახელმწიფოთა «განათლებული» მოსამართლეები გამოდიან მჭუხარე სიტყვებით სამართალწარმოებაში სახალხო წარმომადგენლების ყოველგვარი მონაწილეობის წინააღმდეგ. ერთ-ერთი დელეგატი, ელსნერი, აცამტვერებდა რა ნაფიც მსაჯულთა და შეფენთა სასამართლოს, რომელიც თითქოს იწვევს «ანარქიას კანონების გამოყენებაში», მის ნაცვლად იცავდა მოსამართლეთა უ ც ვ ლ ე ლ ო ბ ა ს.

ამის გამო შევნიშნავთ, რომ აქ ლიბერალური მოთხოვნა წამოყენებულია დემოკრატიულის ნაცვლად და დემოკრატიზმისაგან სრული განდგომის დასაფარავად. სასამართლოში საბალხო წარმომადგენლების მონაწილეობა, უეჭველია, დემოკრატიული საწყისია. ამ საწყისის თანმიმდევრული გამოყენება მდგომარეობს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ ნაფიც მსაჯულთა არჩევისათვის არ იყოს ცენზი, ე. ი. საარჩევნო უფლების შეზღუდვა განათლების, საკუთრების, ბინადრობის და სხვა პირობებით.

ნაფიც მსაჯულთა შორის ამჟამად, მუშათა გამორიცხვის შედეგად, ხშირად სჭარბობს განსაკუთრებით რეაქციული მეშჩანობა. ამ ბოროტების განსაკურნებელი წამალი უნდა იყოს დემოკრატიზმის განვითარება მის თანმიმდევრულ და მთლიან ფორმამდე, და სრულიადაც არა საზიზღარი უარისთქმა დემოკრატიზმზე. ცნობილია, რომ სასამართლოს წყობილებაში თანმიმდევრული დემოკრატიზმის მეორე პირობად ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში აღიარებულია მოსამართლეთა არჩევითობა ხალხის მიერ.

მოსამართლეთა უცვლელობა კი, რომელსაც ასე ელოლიავებიან საერთოდ ლიბერალური ბურჟუები და კერძოდ ჩვენი, რუსეთის, ლიბერალი ბურჟუები, არის მხოლოდ გაყოფა შუასაუკუნეობრივი პრივილეგიებისა პურიშკევიჩებსა და მილიუკოვებს შორის, მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის. უცვლელობის სრული სახით გატარება სინამდვილეში არ შეიძლება, ამასთან უაზრობაც არის მისი დაცვა უვარგის, დაუდევარ, ცუდ მოსამართლეთა მიმართ. საშუალო საუკუნეებში მოსამართლეთა დანიშვნა მხოლოდ და მხოლოდ ფეოდალებისა და აბსოლუტიზმის ხელთ იყო. ბურჟუაზია, რომელსაც ახლა ფართო გზა მიეცა სასამართლო წრეებში, ფეოდალებისაგან თავს იცავს «უცვლელობის პრინციპის» საშუალებით (ვინაიდან დანიშნულ მოსამართლეთა უმრავლესობა, იმის გამო, რომ «განათლებულ» იურისტთა მეტი წილი ბურჟუაზიას ეკუთვნის, აუცილებლად ბურჟუაზიის წრიდან იქნება გამოსული). იცავს რა, ამრიგად,

თავს ფეოდალებისაგან, ბურჟუაზია ამავე დროს თავს იცავს დემოკრატიისაგან, რისთვისაც მოითხოვს, რომ მოსამართლენი ინიშნებოდნენ.

შემდგომ საინტერესოა აღინიშნოს შემდეგი ადგილები დრეზდენელი მოსამართლის დოქტორ გინსბერგის სიტყვიდან. იგი შეუდგა მსჯელობას კლასობრივი იუსტიციის შესახებ, ე. ი. თანამედროვე სამართალწარმოებაში კლასობრივი ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლის გამოვლინების შესახებ.

«ვინც ფიქრობს, — ამბობს დოქტორი გინსბერგი, — რომ სასამართლოში ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით აღიკვეთება კლასობრივი იუსტიცია, ის სასტიკად სცდება»...

მართალია, ბ-ნო მოსამართლევ! დემოკრატია საერთოდ ვერ აღკვეთს კლასობრივ ბრძოლას, არამედ მას მხოლოდ შეგნებულს, თავისუფალს, აშკარას ხდის. მაგრამ ეს საბუთი როდია დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს არის საბუთი მისი ბოლომდე თანმიმდევრული განვითარების სასარგებლოდ.

...«კლასობრივი იუსტიცია, უეჭველია, სინამდვილეში არსებობს», — განაგრძო საქსონელმა მოსამართლემ (საქსონელმა მოსამართლეებმა კი სახელი გაითქვეს გერმანიაში მუშათა წინააღმდეგ მკაცრი განაჩენებით), — «მაგრამ სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც სოციალ-დემოკრატებს ესმით, არა ღარიბებთან შედარებით მდიდრებისათვის უპირატესობის მინიჭების აზრით. პირიქით, კლასობრივი იუსტიცია სწორედ საწინააღმდეგო აზრით არსებობს. მე ასეთი შემთხვევა მქონდა. ვასამართლებთ სამნი, მე და ორი შეფენი. ერთი მათგანი აშკარა სოციალ-დემოკრატია, მეორე რაღაც ამგვარიეე. ბრალდებულია გაფიცვის მონაწილე, რომელმაც სცემა შტრეიკბრეხერს («მუშაობის მსურველ მუშას»—სიტყვასიტყვით ასე თქვა ბატონმა საქსონელმა მოსამართლემ), ყელში წაუჭირა ხელი და უყვიროდა: «ახლა ხომ ჩაგვიეარდი ხელში, შე წყეულო არამზადავ!».

ამისათვის ჩვეულებრივ უსჯიან 4-დან 6 თვემდე პატიმრობას, და ეს სულ მცირე სასჯელია ესოდენ ველური საქცელისათვის. და აი, უდიდესი ჯაფა დამჭირდა იმის მისაღწევად, რომ ბრალდებული არ გაემართლებინათ. შეფენმა — სოციალ-დემოკრატმა — მითხრა, მუშების ფსიქოლოგია არ გესმითო. მე კი ვუპასუხე, ძალიან კარგად მესმის ნაცემის ფსიქოლოგია-მეთქი»...

გერმანული გაზეთები, რომლებსაც მოსამართლე გინსბერგის სიტყვის ტექსტი მოჰყავთ, ამ ადგილას აღნიშნავენ: «ხ ა რ ხ ა რ ი». ბატონი იურისტები და ბატონი მოსამართლეები ხარხარებდნენ. უნდა გამოვტყდეთ, ამ საქსონელი მოსამართლის სიტყვა რომ მოგვესმინა, ჩვენც გულიანად გავიცინებდით.

კლასობრივი ბრძოლის შესახებ მოძღვრება ისეთი რამ არის, რომ მის წინააღმდეგ კიდევ შეიძლება წარმოვიდგინოთ მეცნიერული (ვითომდა, მეცნიერული) კამათის ცდა. მაგრამ საკმარისია საკითხი პრაქტიკულად ავიღოთ, დავაკვირდეთ ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენებს და — დახეთ! — ამ მოძღვრების ყველაზე თავგამოდებული მოწინააღმდეგე კლასობრივი ბრძოლის იქნებ ისეთივე ნიჭიერი პროპაგანდისტი აღმოჩნდეს, როგორც ბატონი საქსონელი მოსამართლე გინსბერგი.

«პრავდა» № 104, 1912 წ. 30 აგვისტო
ხელმოწერა: ი. ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

შვეიცარიაში

«პრავდის» 12 ივლისის 63-ე ნომერში * ჩვენ ვუამბეთ მკითხველებს ციურიხში 29 ივნისს (ახ. სტ. 12 ივლისს) მომხდარი საყოველთაო გაფიცვის შესახებ. გაგახსენებთ, რომ გაფიცვის მოწყობა გადაწყდა წინააღმდეგ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ბელადების ნება-სურვილისა. ციურიხის ყველა მუშათა ორგანიზაციის 425 წარმომადგენლის კრება, რომელმაც აზრი გამოთქვა გაფიცვის სასარგებლოდ, «ვაი სირცხვილოს» ყვირილით შეხვდა მბეჭდავთა განცხადებას, რომლებიც გაფიცვის წინააღმდეგი იყვნენ.

ამჟამად პრესაში დაიბეჭდა ამ ოპორტუნიზმის მამხილებელი ცნობები.

შვეიცარიელ მუშათა პოლიტიკური ბელადების ოპორტუნიზმი პარტიისადმი თურმე პირდაპირ ღალატამდე მისულა. სწორედ ამ მკვეთრი, მაგრამ სამართლიანი სიტყვებით ახასიათებენ შვეიცარიისა და გერმანიის მუშათა პრესის საუკეთესო ორგანოები ციურიხელი სოციალ-დემოკრატების, მაგისტრატის (ქალაქის მმართველობის) წევრების საქციელს. ციურიხის ქალაქის მმართველობამ, რომელიც კაპიტალისტებს იცავს, აკრძალა გაფიცულთა პიკეტები (და მაშინ მუშებმა გადაწყვიტეს პროტესტი განეცხადებინათ ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვით).

ციურიხის მაგისტრატში ცხრა წევრია, მათ შორის ოთხი სოციალ-დემოკრატი: ერისმანი, პფლიუგერი, ფოგელზანგერი, კლეტი.

* იხ. ეს ტომი, გვ. 182 — 185. რედ.

და აი, ახლა ცნობილი გახდა, რომ პიკეტების აკრძალვა ქალაქის მმართველობამ მიიღო ერთხმად, ე. ი. ერისმანმა და მისმა სამმა სოციალ-დემოკრატმა კოლეგამ ხმა მისცეს აკრძალვის სასარგებლოდ!!! ციურიხის საკანტონო მთავრობა ქალაქის მმართველობისაგან მოითხოვდა საერთოდ პიკეტების აკრძალვას, ხოლო ოთხმა ყოვლად ბრძენმა ჭიჭყინამ, ესე იგი ციურიხელმა სოციალ-დემოკრატმა, შეიტანა «კომპრომისული» წინადადება პიკეტები აეკრძალათ მხოლოდ იმ ორი მექანიკური სახელოსნოს მიდამოებში, სადაც მუშაობა შეწყვეტილ იქნა.

რა თქმა უნდა, პიკეტების ასეთი ნაწილობრივი აკრძალვა ნამდვილად სწორედ ის იყო, რასაც ბურჟუაზია მოითხოვდა, და «სოციალ-დემოკრატთა» (?!) წინადადება მიღებულ იქნა ქალაქის მმართველობის ბურჟუაზიული უმრავლესობის მიერ!

უფრო მეტიც. ამას წინათ ციურიხის ქალაქის მმართველობამ გამოაქვეყნა ანგარიში საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებული ამბების შესახებ. კაპიტალისტებმა, სამაგიეროს გადასახდელად, სამდღიანი ლოკაუტი გამოაცხადეს. ციურიხის ქალაქის მმართველობამ ერთხმად, მისი ოთხივე სოციალ-დემოკრატი წევრის მონაწილეობით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ წესრიგის დასაცავად საჭიროა პოლიციის ძალები განმტკიცებულ იქნეს ჯარის გამოძახებით.

მაგრამ ესეც ყველაფერი როდია. ციურიხის ქალაქის ბურჟუაზიულმა მმართველობამ გაშმაგებით დაუწყო დევნა ქალაქის საწარმოებში იმ მოსამსახურეებსა და მუშებს, რომლებიც გაფიცვაში მონაწილეობდნენ. მმართველობამ 13 მუშა ადგილებიდან გარეკა, 116-ს დისციპლინარული სასჯელი დაადო (თანამდებობით დააქვეითა, ჯამაგირი შეუმცირა). ქალაქის მმართველობის ეს გადაწყვეტილებანიც მიღებულ იქნა ერთხმად, ერისმანისა და მისი ორი კოლეგის მონაწილეობით.

ერისმანისა და კომპანიის საქციელს სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არ პარტიისადმი ღალატი.

გასაკვირველი არ არის, რომ ანარქისტ-სინდიკალისტებს შვეიცარიაში გარკვეული წარმატება აქვთ, როცა მათ უხდებათ მუშების წინაშე ისეთი სოციალისტური პარტიის გაკრიტიკება, რომელიც თავის რიგებში ასეთ ოპორტუნისტ-მოღალატეებს ითვლის. ერისმანისა და კომპანიის ღალატს სწორედ იმიტომ აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ საიდან და როგორ ემუქრება მუშათა მოძრაობას შინაგანი გახრწნის საფრთხე.

ერისმანი და კომპანია სრულიადაც არ არიან მტრის ბანაკში გადასული ჩვეულებრივი მოღალატეები, ესენი არიან მხოლოდ მშვიდობიანი მეშჩანები, ოპორტუნისტები, რომლებიც მიჩვეული არიან საპარლამენტო «ვერმიშელს», გაბრუებული არიან კონსტიტუციურ-დემოკრატიული ილუზიებით. დადგა კლასობრივი ბრძოლის მწვავე მომენტი, — ერთბაშად გაცამტვერდა კონსტიტუციური «წესრიგისა» და «დემოკრატიული რესპუბლიკის» ილუზიები — დაიბნენ და ჭაობში ჩაეშვნენ ქალაქის მმართველობის სოციალ-დემოკრატ წევრთა თანამდებობაზე მყოფი ჩვენი ობივატელები.

შეგნებულ მუშებს ამ საკვალალო მაგალითით შეუძლიათ დაინახონ, თუ რა უნდა გამოიწვიოს ოპორტუნიზმის გავრცელებამ მუშათა პარტიაში.

«პრავდა» № 105, 1912 წ. 31 აგვისტო
ხელმოწერა: ბ. ბ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამღვდელოება და პოლიტიკა

როგორც ცნობილია, ამჟამად დაძაბულ ღონისძიებებს ხმარობენ, რომ აამოძრაონ მთელი სამღვდელოება IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის და დარაზმონ იგი მთლიან შავრაზმულ ძალად.

მეტად საგულისხმოა, რომ რუსეთის მთელი ბურჟუაზია — მთავრობისაც, ოქტიაბრისტული, ოპოზიციურიც, კადეტური, — თანაბარი გულმოდგინებითა და მღელვარებით ამხილებს მთავრობის ამ გეგმებს და გმობს მათ.

რუს ვაჭარს და რუს ლიბერალ (უფრო სწორად, ვგონებ, მოლიბერალო) მემამულეს ეშინიათ უპასუხისმგებლო მთავრობის გაძლიერებისა, რომელსაც სურს თავისთვის «მოიკრიბოს» მორჩილი ხუცების ხმები. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ პუნქტში დემოკრატია ლიბერალიზმზე გაცილებით უფრო მტკიცედ არის ოპოზიციური (რბილად და არაზუსტად რომ ვთქვათ).

«პრავდაში» ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სამღვდელოების საკითხის არადემოკრატიული დაყენება ლიბერალების მიერ, რომლებიც ან პირდაპირ იცავენ პოლიტიკაში სამღვდელოების «ჩაურევლობის» არქირეაქციულ თეორიას, ან ურიგდებიან ამ თეორიას *.

დემოკრატი აუცილებლად მტრულად არის განწყობილი საარჩევნო უფლებისა და არჩევნების სულ ოდნავი გაყალ-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 267 — 268. რედ.

ბ ე ბ ი ს ა დ მ ი, მაგრამ იგი აუცილებლად მ ო მ ხ რ ე ა ყოველი სამღვდელოების უფართოესი მასების პირდაპირი და აშკარა ჩაბმისა პოლიტიკაში. პოლიტიკურ ბრძოლაში სამღვდელოების მხრივ მონაწილეობის მიუღებლობა უაღრესად მავნე ფარისევლობაა. სინამდვილეში სამღვდელოება ფარულად ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მონაწილეობდა პოლიტიკაში, და ხალხს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს სამღვდელოების გადასვლა აშკარა პოლიტიკაზე.

ამ საკითხში თვალსაჩინო ინტერესს წარმოადგენს ძველი სარწმუნოების მოსავთა ეპისკოპოსის მიხეილის სტატია, რომელიც ამ დღეებში «რეჩში» დაიბეჭდა. ამ მწერლის შეხედულებანი მეტად გულუბრყვილოა: მას წარმოუდგენია, მაგალითად, რომ «კლერიკალიზმი (ჩვენთვის) რუსეთისათვის უცნობია», რომ რევოლუციამდე მისი (სამღვდელოების) საქმე მხოლოდ ზეციური იყო და სხვ.

მაგრამ საგულისხმოა ამბების ფაქტიური შეფასება, რასაც იძლევა ეს, როგორც ჩანს, საქმეში ჩახედული კაცი.

...«უდავოდ მიმაჩნია, რომ არჩევნების გამარჯვება კლერიკალიზმის გამარჯვება არ იქნება, — წერს ეპ. მიხეილი. — გაერთიანებული, თუმცა ხელოვნურად, და ამავე დროს მათ ხმებსა და სინდისზე ამ ბატონობით, რა თქმა უნდა, შეურაცხყოფილი სამღვდელოება თავის თავს დაინახავს ორ ძალას შორის... და ამას მოჰყვება აუცილებელი გარდატეხა, კრიზისი, ხალხთან ბუნებრივი კავშირისადმი დაბრუნება. კლერიკალურ და რეაქციულ მიმდინარეობას რომ... მოესწრო განმტკიცება და თავისთავად მომწიფება, ეს, შეიძლება, არც მომხდარიყო. ახლა, როცა სამღვდელოება სიმშვიდის მდგომარეობიდან გამოყვანილია ჯერ კიდევ უწინდელი ძრწოლის ნაშთებიანად, იგი განაგრძობს თავის ისტორიას. და სამღვდელოების დემოკრატიზმი ამ ისტორიის გარდუვალი და უკანასკნელი ეტაპია, რომელიც დაკავშირებული იქნება სამღვდელოების ბრძოლასთან საკუთარი თავისათვის».

ნამდვილად საქმე უნდა ეხებოდეს არა «ბუნებრივი კავშირისადმი დაბრუნებას», როგორც გულუბრყვილოდ ფიქრობს ავტორი, არამედ მებრძოლ კლასთა შორის განაწილებას.

ასეთი განაწილების სიცხადე, მასშტაბი და შეგნებულობა, ალბათ, მოიგებს პოლიტიკაში სამღვდელოების ჩაბმით.

ხოლო ის ფაქტი, რომ საქმეში ჩახედული მეთვალყურეები აღიარებენ «უწინდელი ძრწოლის ნაშთების» არსებობას, სიცოცხლისუნარიანობასა და ძალას რუსეთის ისეთ სოციალურ ფენაშიც კი, როგორიც სამღვდელოებაა, ფრიად საყურადღებოა.

«პრავდა» № 106, 1912 წ. 1 სექტემბერი
ხელმოწერა: ი. ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ

სამარცხვინოდ განთქმულმა წიგნმა «ვეხიმ», რომელსაც უდიდესი წარმატება ჰქონდა რენეგატული მისწრაფებებით მთლიანად გაჟღენთილ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, არასაკმაო წინააღმდეგობა და არასაკმაოდ ღრმა შეფასება გამოიწვია დემოკრატიის ბანაკში.

ეს ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ «ვეხის» წარმატებათა დრო დაემთხვა ისეთ დროს, როცა დემოკრატიის «ლეგალური» პრესა თითქმის მთლად ჩახშობილი იყო.

ახლა ბ-ნი შჩეპეტევი «რუსსკაია მისლში»[76] (აგვისტო) გამოდის «ვეხელობის» განახლებული გამოცემით. ეს სავსებით ბუნებრივია ვეხელთა ორგანოს მხრივ, რომელსაც რენეგატთა მეთაური, ბატონი პ. ბ. სტრუვე რედაქტორობს. მაგრამ ასევე ბუნებრივი იქნება დემოკრატიის, განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის მხრივ, თუ იგი ახლა აანალიზებს თუნდაც ცოტა რამეს იქიდან, რა მხრივაც ვალში დარჩა «ვეხელთა» წინაშე.

I

ბ-ნი შჩეპეტევი გამოდის მოკრძალებული ფორმის «წერილით საფრანგეთიდან» — პ ა რ ი ზ შ ი მ ყ ო ფ ი რ უ ს ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. მაგრამ ამ მოკრძალებულ ფორმაში ნამ-

დვილად იფარება ფრიად გარკვეული «განხილვა» რუსეთის 1905 წლის რევოლუციისა და რუსეთის დემოკრატიისა.

«ჯერ კიდევ ახსოვს ყველას — წერს ვეხელი — ეს შემაშფოთებელი (ოჰო! შემაშფოთებელი ვისთვის, დიდად პატივცემულო ბ-ნო ლიბერალო?), მოუსვენარი და მთლად არეული 1905 წელი»...

«მოუსვენარი და მთლად არეული»! რაოდენი სიბინძურე და ჭაობი უნდა იყოს იმ ადამიანის სულში, რომელსაც ასეთი სიტყვების დაწერა შეუძლია. 1848 წლის რევოლუციის გერმანელმა მოწინააღმდეგეებმა ამ წელიწადს «უგუნური» წელი უწოდეს. იმავე აზრს ან, უფრო სწორად, იმავე უაზრო, საზიზღარ შიშს გამოხატავს რუსი კადეტი «რუსსკაია მისლიდან».

ჩვენ მას დავუპირდაპირებთ მხოლოდ მცირეოდენ, ყველაზე ობიექტურ და ყველაზე «უბრალო» ფაქტებს. მუშათა ხელფასი ამ წელს ისე იზრდებოდა, როგორც არასოდეს. მიწის საიჯარო ფასები ეცემოდა. ყველა ფორმა მუშათა გაერთიანებისა — შინამოსამსახურეთა ჩათვლითაც კი — უმაგალითო წარმატებით იზრდებოდა. მილიონობით იაფ გამოცემებს პოლიტიკურ თემებზე ისე ხარბად კითხულობდა ხალხი, მასა, «ქვედაფენები», როგორც აქამდე ჯერ კიდევ არასოდეს არ წაუკითხავთ რუსეთში.

მეტად დიდი ხნის წინათ ნეკრასოვი ამბობდა:

...Придет ли времячко
(Приди, приди, желанное!),
Когда народ не Блюхера
И не милорда глупого,
Белинского и Гоголя
С базара поносет?[77] *

* — ...მოვა კი დრო (მოდი, მოდი, სასურველო!), როდესაც ხალხი არა ბლიუხერისა და არა სულელი მილორდის, არამედ ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს წაიღებს ბაზრიდან?

ერთ-ერთი ძველი რუსი დემოკრატისათვის სანატრელი «დროება» დადგა. ვაჭრები თავს ანებებდნენ შვრიით ვაჭრობას და იწყებდნენ უფრო ხელსაყრელ ვაჭრობას — დემოკრატიული იაფი ბროშურით ვაჭრობას. დემოკრატიული წიგნი ს ა ბ ა ზ რ ო პროდუქტი გახდა. ბელინსკისა და გოგოლის იმ იდეებით, რომლებიც ნეკრასოვისათვის — როგორც რუსეთში ყველა პატიოსანი ადამიანისთვისაც — ძვირფასს ხდიდნენ ამ მწერლებს, მთლიანად გაჟღენთილი იყო ეს ახალი საბაზრო ლიტერატურა...

...რა «მოუსვენრობაა»! — შესძახა თავისი ფიქრით ვითომდა განათლებულმა, ნამდვილად კი ბინძურმა, საზიზღარმა, გათქვირებულმა, თვითკმაყოფილმა ლიბერალმა ღორმა, როცა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში დაინახა ეს «ხალხი», რომელსაც ბაზრიდან მოჰქონდა... ბელინსკის წერილი გოგოლისადმი.

და, ნამდვილად რომ ითქვას, ეს ხომ «ინტელიგენტური» წერილია — გამოაცხადა «ვეხიმ» როზანოვ-ნოვოევრემიელისა და ანტონ-ვოლინელის ტაშის გრიალში.

რა სამარცხვინო სანახაობაა! — იტყვის დემოკრატი საუკეთესო ნაროდნიკებიდან. რა საგულისხმო სანახაობაა! — დავსძენთ ჩვენ. როგორ აფხიზლებს იგი მათ, ვინც ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ა ლ უ რ ა დ უყურებდა დემოკრატიის საკითხებს, როგორ ა წ რ თ ო ბ ს იგი ყოველივეს, რაც კი ცოცხალი და ძლიერია დემოკრატიაში, ულმობლად უკუაგდებს დამპალ, ბატონკაცურ-ობლომოვურ ილუზიებს!

ლიბერალიზმისადმი იმედგაცრუება ფრიად სასარგებლო რამ არის იმისთვის, ვინც ოდესმე მოხიბლული იყო ლიბერალიზმით. ხოლო ვინც მოისურვებს გაიხსენოს რუსული ლიბერალიზმის ძველისძველი ისტორია, იგი უკვე დემოკრატ ჩერნიშევსკისადმი ლიბერალ კაველინის დამოკიდებულებაში დაინახავს რუსეთის მ ა ს ე ბ ი ს დემოკრატიული მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა დ მ ი ლიბერალი ბურჟუების კადეტური პ ა რ ტ ი ი ს დამოკიდებულების უზუსტეს პირველსახეს. რუსეთში ლიბერალურმა ბურჟუაზიამ «თავისი თავი იპოვა» ან, უფრო სწო-

რად, თავისი კუდი იპოვა. განა დრო არ არის, რუსეთში დემოკრატიამ თავისი თავი იპოვოს?

განსაკუთრებით აუტანელია ხოლმე იმის დანახვა, როცა შჩეპეტევის, სტრუვეს, გრედესკულის, იზგოევის და დანარჩენ კადეტ მოყვასთა მსგავსი სუბიექტები ნეკრასოვის, შჩედრინის და სხვათა კალთებს ებღაუჭებიან. ნეკრასოვი, რომელიც პირადად სუსტი იყო, მერყეობდა ჩერნიშევსკისა და ლიბერალებს შორის, მაგრამ მთელი მისი სიმპათია ჩერნიშევსკის მხარეზე იყო. ნეკრასოვი იმავე პირადი სისუსტის გამო სცოდავდა ლიბერალური მაამებლობის გამოვლინებით, მაგრამ თვითონვე მწარედ დასტიროდა თავის «ცოდვებს» და საჯაროდ ინანიებდა მათ:

Не торговал я лирой, но бывало,
Когда грозил неумолимый рок,
У лиры звук неверный исторгала
Моя рука... *

«ყალბი ხმა» — აი როგორ უწოდებდა თვითონ ნეკრასოვი თავის ლიბერალურ-მაამებლურ ცოდვებს. ხოლო შჩედრინი დაუზოგავად დასცინოდა ლიბერალებს და სამუდამოდ გააკრა ისინი სამარცხვინო ბოძზე ფორმულით: «სისაძაგლისადმი შეგუებით»[73].

როგორ მოძველდა ეს ფორმულა შჩეპეტევების, გრედესკულების და დანარჩენი ** ვეხელების მიმართ! საქმე ახლა სრულებითაც ის არ არის, რომ ეს ბატონები სისაძაგლეს ეგუებოდნენ. რა ბრძანებაა! მათ თვითონ თავიანთი თა-

---

* — არ მივაჭრია ჩანგით, მაგრამ ყოფილა, როდესაც დაუხდობელი ბედი მემუქრებოდა, ჩანგს ყალბ ხმას გამოაღებინებდა ჩემი ხელი...

** შესაძლოა შემოგვედავონ — გრედესკული, ისევე როგორც მილიუკოვი და კომპანია «ვეხის» ეკამათებოდნენო. დიახ, მაგრამ ისინი ამასთან ვეხელებად რჩებოდნენ. იხ., სხვათა შორის, «პრავდა» № 85. (იხ. ეს ტომი, გვ. 299 — 300. რ ედ.).

ოსნობით, თავიანთ ყაიდაზე, ნეოკანტიანელობისა და სხვა მოდური «ევროპული» თეორიების მიხედვით, ააგეს «სისაძაგლის» თ ა ვ ი ა ნ თ ი თ ე ო რ ი ა.

II

«ძოლად არეული 1905 წელი» — წერს ბ-ნი შჩეპეტევი. «ყველაფერი აირდაირია და დაიხლართა საყოველთაო აღრევასა და უთავბოლობაში».

ამ პუნქტის შესახებაც შეგვიძლია მხოლოდ მცირეოდენი თეორიული მოსაზრებანი წარმოვადგინოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიული მოვლენების შესახებ უნდა ვმსჯელობდეთ მ ა ს ე ბ ი ს ა და მთელი კლასების მოძრაობის მიხედვით და არა ცალკეული პირებისა და მცირე ჯგუფების განწყობილების მიხედვით.

რუსეთის მოსახლეობის უდიდეს მასას გლეხები და მუშები შეადგენენ. რაში შეიძლება დავინახოთ «სრული არევდარევა და უთავბოლობა» მოსახლეობის ამ მასის მიმართ? სრულიად პირიქით, ობიექტური ფაქტები უდავოდ მოწმობენ, რომ სწორედ მოსახლეობის მასებში წარმოებდა უმაგალითოდ ფართო და წარმატებითი დაყოფა, რამაც ს ა მ უ დ ა მ ო დ მოუღო ბოლო «არევდარევას და უთავბოლობას».

«მდაბიო ხალხში» მანამდე «საყოველთაო უთავბოლობაში» მართლაც «დახლართული და არეული» იყო პატრიარქალური დაბეჩავების ელემენტები და დემოკრატიზმის ელემენტები. ამას მოწმობს ისეთი ობიექტური ფაქტები, როგორიცაა ზუბატოველობისა და «გაპონადის» შესაძლებლობა.

სწორედ 1905 წელმა ამ «უთავბოლობას» ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო. რუსეთის ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ეპოქა, რომელსაც ასეთი ამომწურავი სიცხადით, არა სიტყვით, არამედ საქმით, გ ა ე ხ ს ნ ა ს საუკუნეობრივი უძრაობითა და ბატონყმობის საუკუნეობრივი ნაშთებით დახლართული ურთიერთობა. არ ყოფილა ეპოქა, როცა ასე მკა-

ფიოდ და «შეგნებულად» გამიჯნულიყვნენ კ ლ ა ს ე ბ ი. გამოერკვიოთ თავიანთი თავი მოსახლეობის მ ა ს ე ბ ს, მილიონების მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ შემოწმებულიყოს «ინტელიგენტთა» თეორიები და პროგრამები.

უდავო ისტორიულმა ფაქტებმა აბა როგორღა მიიღო ესოდენ დამახინჯებული სახე «რუსსკაია მისლელი» განათლებული და ლიბერალი მწერლის გონებაში? საქმე ძალიან მარტივად აიხსნება: ეს ვეხელი მთელ ხალხს ახვევს თავს თავის სუბიექტურ განწყობილებას. პირადად იგი და მთელი მისი ჯგუფი — ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია — იმ დროს განსაკუთრებით «უთავბოლო», «მთლად არეულ» მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. და თავისი უკმაყოფილება, რაც ბუნებრივად მოჰყვა ამ უთავბოლობასა და მასების მიერ ლიბერალიზმის მთელი სისაძაგლის მხილებას, ლიბერალს გადააქვს მ ა ს ე ბ ზ ე, თავის აბნეულობას სხვას აბრალებს.

მართლაც, განა უთავბოლო არ იყო ლიბერალების მდგომარეობა 1905 წლის ივნისში? ან 6 აგვისტოს შემდეგ, როცა ისინი მოუწოდებდნენ ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ, ხალხი კი ს ა ქ მ ი თ გვერდს უვლიდა სათათბიროს და სათათბიროზე შორს მიდიოდა? ან 1905 წლის ოქტომბერში, როცა ლიბერალებს დასჭირდათ «მამლაყინწურად ერბინათ» და «სახელოვნად» გამოეცხადებინათ გაფიცვა, თუმცა ჯერ კიდევ გუშინ მის წინააღმდეგ იბრძოდნენ? ან 1905 წლის ნოემბერში, როცა გამომჟღავნდა ლიბერალიზმის მთელი უბადრუკი უძლურება ისეთი მკაფიო ფაქტით, როგორიც იყო სტრუვეს ვიზიტი ვიტესთან?

თუ ვეხელი შჩეპეტევი ისურვებს და წაიკითხავს ვეხელი იზგოევის წიგნაკს სტოლიპინის შესახებ, დაინახავს, როგორ გ ა ხ დ ა იზგოევი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ელიარებინა ეს «უთავბოლობა» კადეტების მდგომარეობისა «ორ ცეცხლს შუა» I და II სახ. სათათბიროში. და ეს «უთავბოლობა» და ლიბერალიზმის უძლურება ჩნდებოდა გარდუვალად, ვინაიდან მას

არ ჰქონდა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი დასაყრდენი არც ზემოთ — პურჟუაზიაში, არც ქვემოთ — გლეხობაში.

ბ-ნ შჩეპეტევის მსჯელობა რუსეთის რევოლუციის ისტორიის შესახებ მთავრდება ასეთი მარგალიტით:

«თუმცა უნდა ითქვას, მთელი ეს არევდარევა ძლიერ დიდხანს არ გაგრძელებულა. ზედაფენები თანდათანობით განთავისუფლდნენ თითქმის პანიკური შიშისაგან, რამაც ისინი მოიცვა, და, მივიდნენ რა იმ მარტივ დასკვნამდე, რომ ჯარისკაცთა კარგი ასეული უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მთელი რევოლუციური სიტყვიერება ერთად აღებული, მოაწყვეს «დამსჯელი ექსპედიციები» და ამოქმედეს სწრაფმსროლელი იუსტიცია. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორიოდ-სამიოდე წლის განმავლობაში რევოლუცია იმდენად მოსპობილ და აღმოფხვრილ იქნა, რომ სადამცველო ხასიათის ზოგიერთი დაწესებულება ზოგან იძულებული იყო მისი ინსცენირება მოეწყო»...

თუ ავტორის წინა მსჯელობისათვის შეგვეძლო თუნდაც ზოგიერთი თეორიული კომენტარი დაგვერთო, ახლა ეს შესაძლებლობაც აღარა გვაქვს. უნდა დავჯერდეთ იმას, რომ ეს ჩინებული მსჯელობა რაც შეიძლება მაგრად და რაც შეიძლება მაღლა გავაკრათ ბოძზე, რომ უფრო დიდხანს და უფრო შორიდან ჩანდეს...

თუმცა, მკითხველს შეგვიძლია კიდევ ვკითხოთ: განა გასაკვირველია, რომ ოქტიაბრისტულ «გოლოს მოსკვის» ნაციონალისტურ იუდურ «ნოვოე ვრემიასთან» ერთად აღტაცებით მოჰყავდათ ციტატები შჩეპეტევის ნაწერებიდან? მართლაც, «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» ჟურნალის «ისტორიული» შეფასება რით განსხვავდება ორი დასახელებული გამოცემის შეფასებისაგან?

III

ბ-ნ შჩეპეტევის ნაწერებში ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს ემიგრანტული ყოფაცხოვრების ნარკვევებს. ამ ნარკვევების ანალოგია რომ მოვნახოთ, საჭირო იქნება გავჩხრიკოთ კატკოვის დროინდელი «რუსსკი ვესტნიკი»[79] და იქიდან ავიღოთ რომანები, სადაც აღწერილია თავადაზნაურობის კეთილშობილი წინამძღოლები, კეთილი და კმაყოფილი

გლეხები, უკმაყოფილო გულქვა, არამზადა და საზარელი რევოლუციონერები.

ბ-ნი შჩეპეტევი პარიზს აკვირდებოდა (თუ კი აკვირდებოდა) დემოკრატიაზე გაბოროტებული ობივატელის თვალით, რომელმაც რუსეთში მასობრივი დემოკრატიული წიგნის პირველ გაჩენაში მხოლოდ «მოუსვენრობის» დანახვა შეძლო.

ცნობილია, რომ თვითეული საზღვარგარეთ ხედავს იმას, რის დანახვაც უნდა. ანუ სხვა სიტყვით: თვითეული ახალ გარემოში თავის თავს ხედავს. შავრაზმელი საზღვარგარეთ ხედავს ჩინებულ მემამულეებს, გენერლებსა და დიპლომატებს. მცველი რაზმის აგენტი იქ ხედავს უკეთილშობილეს პოლიციელებს. რუსი ლიბერალი რენეგატი პარიზში ხედავს კეთილგანწყობილ კონსიერჟ ქალებსა და «საქმიან» * მედუქნეებს, რომლებიც რუს რევოლუციონერს ასწავლიან იმას, რომ მათში «ჰუმანიტარული და ალტრუისტული გრძნობები მეტისმეტად ახშობდნენ პიროვნების მოთხოვნილებებს და ხშირად მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო პროგრესისა და კულტურული განვითარების საზიანოდ» **.

ვინც სულით ლაქიაა, მას, ბუნებრივია, ყველაზე მეტად აინტერესებს სალაქიოებში გამეფებული ჭორი და სკანდალი. იდეურ საკითხებს, რომელთა განხილვა ხდება პარიზის რეფერატებზე და პარიზის პრესაში რუსულ ენაზე, მედუქნე და კონსიერჟი-ლაქია, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევს. სად ძალუძს მას დაინახოს, რომ ამ პრესაში დასმულია, მაგალითად, ჯერ კიდევ 1908 წელს, სწორედ ის საკითხები 3 ივნისის რეჟიმის სოციალური არსის, დემოკრატიზმში ახალ მიმდინარეობათა კლასობრივი ფესვების და სხვ. შესახებ ***, რომლებმაც ბევრად უფრო გვიან, ვიწროდ, უფრო დამახინჯებულად პოვეს გზა (შეკვეცილი სახით) პრესაში, რომელსაც «იცავს» გაძლიერებული დაცვა?

---

* გვ. 139 ბ-ნ შჩეპეტევის სტატიისა («რუსსკაია მისლ» 1912 წ., № 8).

** გვ. 153 იქვე.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 322 — 338. **რ ე დ.**

მედუქნე და ლაქია, რა «ინტელიგენტურ» სამოსელშიც არ უნდა ეხვეოდნენ ასეთი სულის მქონე ადამიანები, ვერ შეამჩნევენ და ვერ მიხვდებიან ამ საკითხებს. თუ ამ ლაქიას ლიბერალური ჟურნალის «პუბლიცისტი» ეწოდება, ეს «პუბლიცისტი» სრული დუმილით აუვლის გვერდს დიდ იდეურ საკითხებს. რომლებიც არსად, გარდა პარიზისა, აშკარად და ნათლად არ არის დაყენებული. სამაგიეროდ ასეთი «პუბლიცისტი» დაწვრილებით გიამბობთ იმას, რაც საუცხოოდ იციან სალაქიოებში.

იგი, ეს კეთილშობილი კადეტი უკეთილშობილეს ბ-ნ სტრუვეს ჟურნალში გიამბობთ, რომ «პარიზში კარგად ცნობილი ერთი რევოლუციონერი მოღვაწე ქალის ბინიდან» გაადევეს «პოლიციის დახმარებით» უბედური ემიგრანტი-როსკიპი, — რომ ქველმოქმედების მიზნით მოწყობილ ბალზე «უმუშევრებმა» კვლავ გამართეს სკანდალი, — რომ ბ-ნ შრეპეტევისათვის ცნობილ ერთ-ერთ სახლში გადამწერმა «წინასწარ წაიღო საკმაოდ დიდი თანხა და შემდეგ თავს არიდებს სამუშაოს», — რომ ემიგრანტები «დგებიან 12 საათზე, წვებიან ღამის 2 — 3 საათზე, მთელ დღეს სტუმრები, ხმაური, კამათი, უწესრიგობაა».

ყოველივე ამას კადეტ ბ-ნ სტრუვეს ლაქიური ჟურნალი გიამბობთ დაწვრილებით, ილუსტრაციებით, გემოიანად, პილპილმოყრით ისე, რომ ოდნავადაც არ ჩამოუვარდება მენშიკოვსა და როზანოვს «ნოვოე ვრემიადან».

«ფული მოიტა, თორემ ცხვირ-პირს დაგამტვრევო — ასეთი არაორაზროვან-მტრული ფორმა მიიღო ემიგრაციის ზედა და ქვედა ფენების ურთიერთობამ. მართალია, ეს ფორმულა ფართოდ არ გავრცელებულა, და «ქვედაფენების უკიდურესი მიმდინარეობა» წარმოდგენილი იყო» (ასე წერს წიგნიერი კადეტი ბ-ნ სტრუვეს ჟურნალში!) «მხოლოდ ორიოდე ათეული ფრიადსაეჭვო ელემენტით, რომლებსაც, შესაძლოა, გაწაფული ხელიც კი წარმართავს გარედან»...

შეჩერდით ამ მსჯელობაზე, მკითხველო, და დაუფიქრდით ჩვეულებრივი ლაქიის განსხვავებას ლაქია-პუბლიცისტი-

საგან. უბრალო ლაქია — რა თქმა უნდა, მასობრივად, იმ შეგნებული ელემენტების გამოკლებით, რომლებიც უკვე დაადგნენ კლასობრივ თვალსაზრისს და გამოსავალს ეძებენ თავიანთი ლაქიური მდგომარეობიდან, — გულუბრყვილო, გაუნათლებელი, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარი და განუვითარებელია; მას ეპატიება გულუბრყვილო მისწრაფება იყბედოს ის, რაც ყველაზე უფრო ადვილად აღწევს მის შეგნებამდე, რაც მისთვის ყველაზე უფრო გასაგები და მახლობელია. ლაქია-პუბლიცისტი «განათლებული» ადამიანია, რომელიც მიღებულია საუკეთესო ოჯახებში. მას ესმის, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე შანტაჟისტთა რაოდენობა ემიგრაციაში მეტად უმნიშვნელოა («ორიოდე ათეული» ა თ ა ს ო ბ ი თ ემიგრანტზე). მას ისიც კი ესმის, რომ ამ შანტაჟისტებს «წ ა რ მ ა რ თ ა ვ ს, შესაძლოა», «გ ა ფ ა ფ უ ლ ი ხ ე ლ ი» — რუსი ხალხის კავშირის საჩაიედან.

და, ესმის რა ყოველივე ეს, ლაქია-პუბლიცისტი მოქმედებს «როგორც განათლებულს შეჰფერის». ო, მან იცის კვალის დაფარვა და საქონლის შნოიანად ჩვენება! იგი შავი რაზმის მოსყიდული მჯღაბნელი კი არ გახლავთ, სრულებითაც არა. მან «თ ვ ი თ ო ნ ვ ე» აღნიშნა კიდეც, **რომ** შ ე ს ა ძ ლ ო ა ვინმე წარმართავს ორიოდე ათეულ შანტაჟისტსო, მაგრამ ამავე დროს ს წ ო რ ე დ მ ხ ო ლ ო დ ამ შანტაჟისტებზე, სკანდალებზე, გადამწერთა მიერ სამუშაოს შესრულებისათვის თავის არიდებაზე ლაპარაკობს!

«რუსსკაია მისლის» «მ წ ე რ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს» ნოვოევრემიელთა სკოლას ფუჭად როდი ჩაუვლია. ნოვოევრემიელი სუვორინი იკვეხნიდა, რომ არასოდეს არ იღებდა სუბსიდიას. — მას მ ხ ო ლ ო დ «თვითონ ეხერხებოდა» ხმის შეწყობა.

«რუსსკაია მისლი» სუბსიდიას არ იღებს — ღმერთმა დაიფაროს! მას მ ხ ო ლ ო დ «თვითონ ეხერხება» ხმის შეწყობა, რომელიც სასიამოვნოა ნოვოევრემიელებისა და გუჩკოვის «ვაჟბატონებისათვის».

IV

დიახ, ბევრი რამ არის სამძიმო ემიგრანტთა წრეში. მასში, მხოლოდ ამ წრეში, ისმებოდა ჟამთა სიავისა და მიყუჩების წლებში რუსეთის მთელი დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხები. ამ წრეში უფრო მეტია გაჭირვება და სიღატაკე, ვიდრე სხვა წრეში. მასში განსაკუთრებით დიდია თვითმკვლელობის პროცენტი, მასში მეტისმეტად, საშინლად დიდია პროცენტი ადამიანებისა, რომელთა მთელ არსებას ნერვების ერთი ავადმყოფური გუნდა წარმოადგენს. განა შეიძლება სხვანაირად იყოს განაწამებ ადამიანთა წრეში?

ემიგრანტთა წრეში მოხვედრისას სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა რამ დააინტერესებს. ზოგს დააინტერესებს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხების აშკარა დაყენება. ზოგს დააინტერესებს ბალზე მომხდარი სკანდალის, არაკეთილსინდისიერი გადამწერის, კონსიერჟ ქალთა და მედუქნეთა შორის ემიგრანტთა ცხოვრებით უკმაყოფილების ამბავი და სხვ. თვითეულს თავისი ინტერესი აქვს.

მაგრამ მაინც, როცა გამოცდი განაწამები, მოძულებული, ავადმყოფურად-ნერვული ემიგრანტული ცხოვრების მთელ სიმძიმეს, და როცა იფიქრებ ბატონ შჩეპეტევების, სტრუვეების, გოლოვინების, იზგოევებისა და კომპანიის ცხოვრებაზე, ვერასგზით თავს ვერ შეიკავებ, რომ არა თქვა: რა უზომო ბედნიერებაა, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით «წესიერ ადამიანთა» ამ საზოგადოებას, საზოგადოებას, სადაც ეს პირები მიღებული არიან, სადაც მათ ხელს ართმევენ!

ამ «წესიერ საზოგადოებაში», ალბათ, არავითარი სკანდალები არა ხდება. როსკიპები არ მოხვდებიან ხოლმე ამ ბატონების ბინებზე თითქმის ამხანაგების მდგომარეობაში. არა. ისინი სხვა ბინებზე რჩებიან.

უმუშევრები არ მართავენ სკანდალებს ამ საზოგადოების ბალებზე. მათი ბალები წესიერია. მათ ეს გაყოფილი აქვთ: როსკიპები (უმუშევრებიდან) სხვა ბინაზე არიან, ხოლო ბა-

ლები სხვა ბინაზე იმართება. და თუ ისინი გადამწერებს ქირაობენ, არასოდეს არ დაუშვებენ ისეთ გარყვნილებას, რომ გადამწერს წინასწარ მიჰქონდეს ფული და ამასთან ბედავდეს სამუშაოს შესრულებისათვის თავის არიდებას.

მათთან შეუძლებელია სკანდალები ფულის გამო. მათ გარშემო არ არიან მშიერი, განაწამები, ნერვებაშლილი ადამიანები, რომლებიც მზად არიან თავი მოიკლან. ხოლო თუ «მილიონები უძმობილდებიან» — დღეს «მეცნიერებას» ბ-ნ სტრუვეს და კომპანიის სახით, — ხვალ დეპუტატის წოდებას ბ-ნ გოლოვინის და კომპანიის სახით, — ზეგ დეპუტატის და ადვოკატის წოდებას ბ-ნ მაკლაკოვის და კომპანიის სახით [80], — განა რა არის ამაში სასკანდალო??

ყველაფერი აქ მთლიანად კეთილშობილებაა. თუ ბბ. სტრუვეების, გრედესკულების, შჩეპეტევებისა და კომპანიის ნაწერები დემოკრატიის წინააღმდეგ სიამოვნებას გვრიან რიაბუშინსკებს და სხვ., რა არის აქ ცუდი? სტრუვე სუბსიდიას ხომ არ იღებს, იგი «თვითონ» შეუწყობს ხოლმე ხმას! ვერავინ ვერ იტყვის, რომ «რუსსკაია მისლი» ბბ. რიაბუშინსკების კმაყოფაზე იყოს. არავის ფიქრად არ მოუვა, რომ ის სიამოვნება, რასაც ბბ. რიაბუშინსკები ზოგიერთი «პუბლიცისტისაგან» იღებენ, შეადაროს იმ სიამოვნებას, რასაც ძველად მემამულეებს ჰგვრიდნენ ყმა გოგოები, რომლებიც მათ ქუსლებს უფხანდნენ.

მართლაც, რით არის დამნაშავე ბ-ნი სტრუვე ან ბ-ნი გრედესკული, შჩეპეტევი და სხვ., თუ მათი ნაწერები და სიტყვები, რომლებშიც ისინი თავიანთ რწმენას გამოთქვამენ, რევოლუციაზე გაბოროტებული რუსი ვაჭრისა ან მემამულისათვის ქუსლების თავისებურ ფხანას წარმოადგენენ?

რა არის სასკანდალო იმაში, რომ ყოფილმა დეპუტატმა ბ-ნმა გოლოვინმა შემოსავლიანი კონცესია აიღო? მან ხომ მოიხსნა დეპუტატის წოდება!! მაშასადამე, სანამ იგი დეპუტატი იყო, კონცესია ჯერ კიდევ არ ყოფილა, იგი მხოლოდ მზად-

დებოდა. ხოლო როცა კონცესია მიიღო, დეპუტატობას თავი დაანება. განა ცხადი არ არის, რომ ეს სუფთა საქმეა?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ცილისმწამებლებს შეუძლიათ მითითება მაკლაკოვზე? იგი ხომ თაღიევს — როგორც თვითონ განაცხადა «რეჩში» დაბეჭდილ წერილში — «თავისი რწმენის თანახმად» იცავდა! შეუძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ ვერც ერთი პარიზელი კონსიერჟი ქალი და ვერც ერთი პარიზელი მედუქნე ვერ იპოვნის სრულებით ვერაფერს, — აბსოლუტურად ვერაფერს საძრახისს, უხერხულს, სასკანდალოს, — მთელი ამ პატივცემული კადეტური საზოგადოების ცხოვრებასა და მოქმედებაში.

V

ბ-ნ შჩეპეტევის ზოგადი პრინციპული მსჯელობა მთლიანად მოყვანის ღირსია:

«დღემდე, განსაკუთრებით იმ წრეებში, რომლებსაც კავშირი აქვთ რევოლუციასთან, ჰუმანიტარული და ალტრუისტული გრძნობები მეტისმეტად ახშობდნენ პიროვნების მოთხოვნილებებს და ხშირად მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო პროგრესისა და კულტურული განვითარების საზიანოდ. «საზოგადოებრივი სარგებლობისა» და «მთელი ხალხის კეთილდღეობისადმი» მისწრაფება მეტისმეტად გვავიწყებინებდა საკუთარ თავს, ჩვენს პირად საჭიროებასა და მოთხოვნილებებს, გვავიწყებინებდა იმდენად, რომ თვით საზოგადოებრივი გრძნობებისა და მისწრაფებების რეალიზაცია კი არ ხდებოდა დადებითი (!!) შემოქმედებითი და სავსებით შეგნებული მუშაობის სახით, არამედ ისინი ფატალურად იწვევდნენ თავის შეწირვის პასიურ ფორმებს. და არა მარტო სპეციალურად ამ დარგში, არამედ ყველაზე ჩვეულებრივი ურთიერთობის სფეროშიც პიროვნების მოთხოვნილებანი მუდამ და ყოველნაირად იჩაგრებოდა, ერთი მხრივ, «ავადმყოფური სინდისით», რომელსაც ღვაწლის და თავის შეწირვის ეს წყურვილი ხშირად ჰიპერტროფიამდე მიჰყავდა, მეორე მხრივ — თვით სიცოცხლის არასაკმაო დაფასებით, რაც ჩვენი კულტურის დაბალი დონით იყო შეპირობებული. ხოლო ამის შედეგი იყო მუდმივი გაორება, მუდმივი შეგნება საკუთარი ცხოვრების უმართებულობისა და თვით «ცოდვიანობისაც», მუდმივი მისწრაფება მსხვერპლად თავის შეწირვისადმი, ღატაკთა და ბედკრულთა დახმარებისადმი, ბოლოს, «დასაღუპავად განწირულთა ბანაკ-

ში» წასვლისადმი — ფაქტი, რომელიც ესოდენ სრულად და ესოდენ მკაფიოდ აისახა ჩვენს ლიტერატურაში.

ვერაფერს ასეთს ვერ შეხვდებით ფრანგი ხალხის შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებში»...

ეს არის კომენტარი ბ-ნ გრედესკულის იმ პოლიტიკური და საპროგრამო განცხადებებისა, რომლებიც «რეჩმა» სრულიად უშენიშვნოდ დაბეჭდა და რომლებიც «პრავდამ» (№ 85) გაიხსენა, როცა «რეჩმა» მათი დავიწყება მოისურვა.

ეს არის «ვეხის» განგრძობა და განმეორება. ამ მსჯელობის მაგალითით ერთხელ და ერთხელ კიდევ შეიძლება დავრწმუნდეთ და უნდა დავრწმუნდეთ, რომ «ვეხი» მხოლოდ მოსაჩვენებლად ებრძვის «ინტელიგენციას», რომ ნამდვილად იგი ებრძვის დემოკრატიას, მთლიანად ხელს იღებს დემოკრატიაზე.

«ვეხის», გრედესკულისა და «რეჩის» ერთიანობას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ახლა, არჩევნების დღეებში, როცა კადეტები, თამაშობენ რა დემოკრატიზმს, მთელი ძალღონით ცდილობენ მიჩქმალონ და მიაფუჩეჩონ პოლიტიკის ყველა ნამდვილად მნიშვნელოვანი და ძირითადი პრინციპული საკითხი. დემოკრატიის ერთ-ერთი არსებითი პრაქტიკული ამოცანაა დააყენოს ეს საკითხები საარჩევნო კრებებზე, — განუმარტოს რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას ბბ. შჩეპეტევებისა და ყველა ვეხელის სიტყვების აზრი და მნიშვნელობა, — ამხილოს «რეჩისა» და მილიუკოვების ფარისევლობა, როცა ისინი ცდილობენ მოიხსნან პასუხისმგებლობა «რუსსკაია მისლისათვის», თუმცა მასში წერენ კ.-დ. პარტიის წევრები.

ბბ. გრედესკულების, მილიუკოვების და სხვათა «კამათი», «პოლემიკა» ვეხელებთან მხოლოდ თვალთმაქცობაა, «ვეხისადმი» კ.-დ. მთელი პარტიის ღრმა პრინციპული სოლიდარობის მხოლოდ ფარისევლური დაფარვაა. მართლაც, განა შეიძლება «კამათი» მოყვანილი ციტატის ძირითად დებულებებთან? განა შეიძლება ასეთი შეხედულებების ადამიანებ-

თან ერთ პარტიაში რჩებოდე და ს რ უ ლ ი პასუხისმგებლობა არ გეკისრებოდეს ყოველგვარი დემოკრატიის უაღრესად ელემენტარულ პრინციპებზე გადაჭრით ხელისაღების ასეთი ქადაგებისათვის?

საკითხს აბნელებენ ისინი, ვინც à la * «ვეხი» თანხმდება დააყენოს იგი «ალტრუიზმისადმი» «ინდივიდუალიზმის» დაპირდაპირების ტერმინებით და სხვ. ამ ფრაზების პოლიტიკური აზრი ცხადზე უცხადესია: ეს არის მობრუნება დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ეს არის მობრუნება კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ლიბერალიზმისაკენ.

უნდა შევიგნოთ, რომ ეს მობრუნება შემთხვევითი როდია, არამედ ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობის შედეგია. აქედან უნდა გავაკეთოთ საჭირო პოლიტიკური დასკვნები ლიბერალიზმისაგან დემოკრატიის მკაფიოდ გამიჯვნის შესახებ. თუ ამ ჭეშმარიტებებს არ შევიგნებთ, თუ მათ ფართოდ არ გავავრცელებთ მოსახლეობის მასაში, ლაპარაკიც ზედმეტი იქნება რაიმე სერიოზული ნაბიჯის წინ გადადგმაზე.

«ნევსკაია ზვეზდა» №№ 24 და 25,
1912 წ. 2 და 9 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას»
ტექსტის მიხედვით

---

* — როგორც. რ ე დ

კადეტთა და ნოვოევრემიელთა ერთიანობა

ჩვენში ძალიან ხშირია მიდრეკილება — განიხილონ საარჩევნო კამპანია როგორც ბრძოლა მანდატებისათვის, ე. ი. ადგილებისათვის სათათბიროში.

შეგნებული მუშებისათვის ეს კამპანია უწინარეს ყოვლისა და უმეტესად ყოვლისა არის ბრძოლა პრინციპებისათვის, ე. ი. ძირითადი შეხედულებებისათვის, პოლიტიკური რწმენისათვის. ასეთი ბრძოლა, რომელიც მასების თვალწინ წარმოებს და მასებს პოლიტიკაში აბამს, წარმომადგენლობითი წყობილების ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას შეადგენს.

ჩვენი კადეტები, ჩვენ მიერ ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის შესახებ, «მშვიდობის» პოლიტიკისა და კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკის შესახებ პრინციპული საკითხების დაყენების პასუხად, თავს არიდებენ არსებითს პოლემიკას და მხოლოდ მარჯვნივ და მარცხნივ სისინებენ ჩვენი, ვითომდა, «კადეტჭამიობის» შესახებ.

ადამიანს კი თვალში ხვდება ფაქტები კადეტთა და ნოვოევრემიელთა გულამაჩუყებელი პრინციპული ერთიანობისა რუსეთის ცხოვრების პირველხარისხოვან საკითხთა შეფასებაში.

გამოვიდა «რუსსკაია მისლის» მე-8 წიგნაკი. ამ ჟურნალს რედაქტორობს კადეტი სტრუვე, და იქ წერენ კადეტები იზგოევი, სევერიანინი, გალიჩი და მრავალი სხვა.

ბ-ნი ა. შჩეპეტევი სათაურით «რუსები პარიზში» ათავსებს აქ ბინძურ შავრაზმულ პასკვილს რევოლუციასა და რევოლუციონერებზე. «ნოვოე ვრემია» დაუყოვნებლივ აძლევს ბანს «რუსსკაია მისლის» წამოწყებულ სიმღერას, მოყავს იქიდან მთელი რიგი «მარგალიტები» და აღტაცებით ამბობს: «ფიქრიც კი შემზარავია, რომ კაცობრიობის ეს უბადრუკი წარმომადგენლები (ე. ი. რევოლუციონერები «რუსსკაია მისლის» წარმოსახვით) პრეტენზიას აცახდებდნენ რუსეთის ცხოვრების განმაახლებელთა როლზე».

ნეტავ რას გვეტყვის ოფიციალურ-კადეტური «რეჩი»? — რომ ეს «არ შეეხება» არჩევნებს, ე. ი. ადგილებისათვის ბრძოლას? — თუ, რომ იგი «პასუხისმგებელი არ არის» «რუსსკაია მისლისათვის», ე. ი. პარტია პასუხისმგებელი არ არის თავისი წევრებისათვის, რომლებიც არც ერთ კადეტურ კონფერენციას ერთხელაც არ გაუკიცხავს?

დაე იძვრინოს თავი და იტრიალოს «რეჩმა», დაე უპრინციპო და უხასიათო ადამიანებმა მხრები იჩეჩონ ჩვენი «კადეტჭამიობის» გამო, ჩვენ კი არასოდეს არ მოგვბეზრდება ველაპარაკოთ რუსეთის მოქალაქეებს: შეიგნეთ კადეტების პრინციპები და სამარცხვინოდ გულგრილნი ნუ დარჩებით, როცა «კონსტიტუციური დემოკრატები» ლაფს ასხამენ დემოკრატიას.

აი მცირეოდენი, მაგრამ ყველაზე რელიეფური, ამასთან პრინციპული, და არა ჭორზე აგებული, ადგილები კადეტ-შავრაზმელის ბ-ნ შჩეპეტევის სტატიიდან:

«დღემდე, განსაკუთრებით იმ წრეებში, რომლებსაც კავშირი აქვთ რევოლუციასთან, ჰუმანიტარული» (ე. ი. კაცთმოყვარე) «და ალტრუისტული» (უანგარო, არა საკუთარი ტყავისათვის ზრუნვით შემოფარგლული) «გრძნობები მეტისმეტად აბშობდნენ პიროვნების მოთხოვნილებებს და ხშირად მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო პროგრესისა და კულტურული განვითარების საზიანოდ. «საზოგადოებრივი სარგებლობისა» და «მთელი ხალხის კეთილდღეობისადმი»

მისწრაფება — (ირონიული ბრჭყალები «რუსსკაია მისლს» ეკუთვნის) მეტისმეტად გვავიწყებინებდა საკუთარ თავს, ჩვენს პირად საჭიროებასა და მოთხოვნილებებს... ხოლო ამის შედეგი იყო მუდმივი გაორება, მუდმივი შეგნება საკუთარი ცხოვრების უმართებულობისა და თვით «ცოდვიანობისაც», მუდმივი მისწრაფება მსხვერპლად თავის შეწირვისადმი, ღატაკთა და ბედკრულთა დახმარებისადმი, ბოლოს, «დასაღუპავად განწირულთა ბანაკში» წასვლისადმი — ფაქტი, რომელიც ესოდენ სრულად და ესოდენ მკაფიოდ აისახა ჩვენს ლიტერატურაში» («რუსსკაია მისლ» № 8, გვ. 152 — 153).

რა ზიზღის ღირსია პარტია, რომელიც დემოკრატიზმზე პრეტენზიას აცხადებს და თავის რიგებში ითმენს ამ ვაჟბატონებს, რომლებიც ლაფს ასხამენ მთელი დემოკრატიის ყველაზე ანბანურ, ყველაზე ელემენტარულ დებულებებს, რწმენას, პრინციპებს.

ლიბერალურმა ბურჟუაზიამ შეიძულა დემოკრატია — ეს დაამტკიცა წიგნაკმა «ვეხიმ», ამას ყოველთვე ამტკიცებს «რუსსკაია მისლი», ეს დაამტკიცეს კარაულოვებმა და გრედესკულებმა.

ლიბერალები თვითონ ავლებენ მიჯნას თავიანთ თავსა და დემოკრატიას შორის.

«პრავდა» № 109, 1912 წ. 5 სექტემბერი
ხელმოწერა: ი. ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ნ. ს. პოლიანსკის წერილის გამო

ნ. ს. პოლიანსკის წერილი სოფლიდან, რომელიც «პრავდის» ამ ნომერშია მოთავსებული, მეტად საინტერესო საკითხს აყენებს. სასურველი იქნებოდა, რომ თვითონ გლეხები რაც შეიძლება ხშირად გამოთქვამდნენ აზრს ამ საკითხზე.

ჩვენი მხრივ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი.

ნ. ს. პოლიანსკი სავსებით მართალია, რომ მხოლოდ «მოცლილი უსაქმური» მიიჩნევს სათემო კრებას სულელებად. მხოლოდ თ ვ ი თ ო ნ გლეხებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის რა ფორმაა უფრო მოსახერხებელი ამა თუ იმ ადგილას. კანონისა თუ ადმინისტრაციის ყოველი ჩარევა გლეხების მიერ მიწის თავისუფლად გამოყენებაში ბატონყმობის ნაშთია. ასეთი ჩარევა მხოლოდ ზიანს მოუტანს საქმეს, მხოლოდ დაამცირებს და შეურაცხყოფს გლეხს.

გლეხმა-მუშამ «პრავდის» 38-ე ნომერში მოთავსებულ თავის წერილში საუცხოოდ დაგვანახვა, საქმის რა უაზრო გაჭიანურება მოსდევს ასეთ ჩარევას.

ახლა ვნახოთ, როგორ უნდა უყურებდნენ საკითხს: ხუტორი თუ თემი? — ათეულ მილიონობით ადამიანები, რომლებიც მუდამ შრომობენ და მუდამ ექსპლოატაციას განიცდიან.

ამ ადამიანებს საფიქრებელი აქვთ სრულებითაც არა ის, რა აირჩიონ, ხუტორი თუ თემი. მათ იმაზე უნდა იფიქრონ, თუ ვინ უწევს მათ ექსპლოატაციას, თუ როგორ შეამსუბუქონ და მოსპონ ეს ექსპლოატაცია.

მაგალითად, რუსეთის ევროპულ ნაწილში 30 000 უმსხვილეს მემამულეს აქვს 70 000 000 დესეტინა მიწა, და ამდენივე მიწა აქვს 10 000 000 უღარიბეს გლეხს. ეს გლეხები ხუტორებში იცხოვრებენ თუ თემებში, ამით მათი ღატაკური ცხოვრება ოდნავაც არ შეიცვლება. თუ მე ოჯახზე შვიდი დესეტინა ცუდი მიწა მაქვს, ხოლო მეზობელ მემამულეს 2 000 დესეტინა საუკეთესო მიწა, ასეთ შემთხვევაში ხუტორი იქნება თუ თემი, სულ ერთია, თითქმის იგივე გამოვა, რაც ბატონყმობის დროს იყო.

მშიერ ადამიანს თვალს უხვევენ ლაპარაკით: ხუტორი თუ თემი, ფლავი თუ შილაფლავიო. ჩვენ კი თათაბოს ვჭამთ, ჭაობზე ან ქვიშაზე ვცხოვრობთ, წყალსალევის, სიძოვრისა და სახნავისათვის საბატონო ბეგარაზე დავდივართ.

ხუტორების საშუალებით სურთ შექმნან «პატარა მემამულეები» — დიდი მემამულეების დასაცავად. მაგრამ მილიონობით და ათეულ მილიონობით გლეხები ამით მხოლოდ უფრო ძლიერ იშიმშილებენ.

დასავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობა მართლაც სწრაფად და წარმატებით განვითარდა მ ხ ო ლ ო დ ი ქ, სადაც ბატონყმური ჩაგვრის ყოველგვარი ნაშთები ბოლომდე იქნა მოსპობილი.

ნამდვილად თავისუფალ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედება კარგად არის დაყენებული, დარჩა მხოლოდ ერთი ძალა, რომელიც ავიწროებს გლეხსა და მუშას, — კაპიტალის ძალა. ამ ძალის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალებაა: დაქირავებულ მუშათა და გაღატაკებულ გლეხთა თავისუფალი კავშირი. ასეთი კავშირებიდან წარმოიშობა ახალი საზოგადოებრივი წყობილება, როცა დამუშავებული მიწები, გაუმჯობესებული მანქანები, ორთქლი და ელექტრობა ხელს შეუწყობს თვით მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას და არა ერთი მუჭა მილიონერების გამდიდრებას.

«პრავდა» № 118, 1912 წ. 15 სექტემბერი
ხელმოწერა: ფ რ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური ხაზის შესახებ

«ნევსკაია ზვეზდასა» და «პრავდას» აქვთ უეჭველად სავსებით გარკვეული სახე, რომელსაც იცნობენ არა მარტო მუშები, არამედ რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიაც — იმის გამო, რომ «პრავდასა» და «ნევსკაია ზვეზდას» თავს ესხმიან როგორც შავრაზმელები და ოქტიაბრისტები («როსსია», «ნოვოე ვრემია», «გოლოს მოსკვი» და სხვ.), ისე ლიბერალები («რეჩი», «ზაპროსი ჟიზნი» და სხვ.).

იმ პოლიტიკური ხაზის შეფასება, რომელსაც ხსენებული გაზეთები ატარებენ, წინასაარჩევნო კამპანიის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან ასეთი შეფასებით გარდუვალად მოწმდება შეხედულებანი ძირეულ პრინციპულ საკითხებზე. აი რატომ ვაპირებთ ჩვენ შევჩერდეთ ნ. ნიკოლინის სტატიაზე «ნევსკი გოლოსში», № 9, გაზეთების «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» ხაზის შესახებ. ამ სტატიაში, როგორც მკითხველი დაინახავს, ცოტა როდია უაღრესად მწყრალი სიტყვები, მაგრამ ეს შეიძლება (და უნდა) უგულებელყოთ, რადგან ავტორი ცდილობს არსებითად შეეხოს მნიშვნელოვან საკითხებს.

«უნდა ვაღიარო, — წერს ნ. ნიკოლინი, — რომ «პრავდა» ბევრ **მხრივ** საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ასრულებს ამოცანას — იყოს რუსეთის პროლეტარიატის სურვილების, საჭიროების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამომხატველი. სამწუხაროდ, თავის ამ სასარგებლო მუშაობას იგი მნიშვნელოვნად უკარგავს ფასს პოლიტიკური სინამდვილის ისეთი გამოხატვით, რომელიც სრულიად შეუსაბამოა, დაშორებულია სიმართლეს და თავისი შედეგების მიხედვით მავნეა საქმისათვის».

თავს ვანებებთ მწყრალ სიტყვებს და ვიღებთ მთავარს: პოლიტიკური სინამდვილის გამოხატვას. საკითხის ამ პირდაპირი, ნამდვილად ძირეული დაყენებისათვის სიამოვნებით ვაპატიებთ ავტორს მის გაჯავრებას. მოდით ვიდავოთ არსებითად. მართლაც, პრაქტიკული მუშაობის დარგში ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება, თუ არა გაქვს მტკიცე შეხედულებანი იმაზე, თუ რ ო გ ო რ ი ა ჩვენი «პოლიტიკური სინამდვილე».

პირდაპირ დააყენა რა საკითხი, ნ. ნიკოლინი ასეთ პასუხს იძლევა:

««პრავდა», რომელიც ამ შემთხვევაში «ნევსკაია ზვეზდას» მაგალითს ბაძავს, ცდილობს დაარწმუნოს თავისი მკითხველები, რომ მუშათა კლასმა უნდა აშენოს ახალი რუსეთი წინააღმდეგ ლიბერალებისა. ეს, რა თქმა უნდა, ამაყად გაისმის, მაგრამ სისულელის მეტს არაფერს შეიცავს. ახალ რუსეთს არავინ არ აშენებს, იგი შ ე ნ დ ე ბ ა (ხაზგასმულია თვით ნ. ნიკოლინის მიერ) სხვადასხვა ინტერესთა ბრძოლის რთულ პროცესში, და მუშათა კლასის ამოცანა ის კი არ არის, რომ დაისახოს ქიმერული გეგმები—შექმნას სხ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ყ ვ ე ლ ა ამ სხ ვ ა თ ა ახალი რუსეთი, არამედ ის, რომ ამ უკანასკნელის ფარგლებში შექმნას ყველაზე ხელსაყრელი პირობები თავისი შემდგომი განვითარებისათვის».

აქაც სიამოვნებით ვაპატიებთ ავტორს «გაგულისებას», უკიდურეს გაჯავრებას, რადგან იგი ცდილობს ჯიქურ მიუდგეს საკითხს. ნ. ნიკოლინი ბევრ ლიკვიდატორზე უფრო გულახდილად, გულწრფელად და მოფიქრებულად ეხება აქ ჩვენი ღრმა უთანხმოების ერთ-ერთ ყველაზე ღრმა წყაროს.

...«ახალ რუსეთს არავინ არ აშენებს, იგი შ ე ნ დ ე ბ ა პროცესში»... ვინ არ იცნობს ამ შესანიშნავ მსჯელობაში მთელი ლიკვიდატორული (და უფრო ფართოდაც კი: მთელი ოპორტუნისტული) მუსიკის ძირითად და უცვლელ ლეიტმოტივს?

მაშ უფრო ყურადღებით გავარჩიოთ ეს მსჯელობა.

თუ ახალი რუსეთი სხვადასხვა ინტერესთა ბრძოლის პროცესში შენდება, — ეს იმას ნიშნავს, რომ სხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ინტერესების მქონე კ ლ ა ს ე ბ ი სხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ

აშენებენ ახალ რუსეთს. ეს დღესავით ნათელია. რაღა აზრი აქვს ნ. ნიკოლინის ამ დაპირდაპირებას: «ახალ რუსეთს არავინ არ აშენებს, იგი შენდება და ა. შ.»?

სრულიად არავითარი აზრი არა აქვს. ეს უაზრობაა სრულიად ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისით.

მაგრამ ამ უაზრობაში არის თავისი ლოგიკა, ლოგიკა ოპორტუნიზმისა, რომელიც გარდუვალად, და არა შემთხვევით, ეშვება ნიკოლინის შეცდომებამდე, ცდილობს რა «მარქსისტულად» დაიცვას თავისი პოზიცია. აი სწორედ ამ «ოპორტუნიზმის ლოგიკაზე» უნდა შევჩერდეთ.

ვინც ამბობს: ახალ რუსეთს ასეთი და ასეთი კლასები აშენებენო, ის ისე მტკიცედ დგას მარქსიზმის ნიადაგზე, რომ არა მარტო ნ. ნიკოლინის მწყარალ სიტყვებს, არამედ... «გამაერთიანებელ-ლიკვიდატორულ» კონფერენციებსაც და მათს როგორიც გნებავთ სიტყვიერ «ჭექა-ქუხილს» არ ძალუძს მისი შერყევა.

ვინც ამბობს: «ახალ რუსეთს არავინ არ აშენებს, იგი შენდება და ა. შ.», ის კლასობრივი ბრძოლის ობიექტივიზმიდან (ე. ი. მარქსიზმიდან) მიექანება სინამდვილის ბურჟუაზიული გამართლების «ობიექტივიზმისაკენ». სწორედ აქ არის წყარო იმ შეცოდებისა — მარქსიზმიდან ოპორტუნიზმისაკენ დაქანებისა, რასაც სჩადის ნ. ნიკოლინი (თავისდა შეუმჩნევლად).

მე რომ ვთქვა: ახალი რუსეთი უნდა ავაშენოთ აი ასე და ასე, ვთქვათ, ჭეშმარიტების, სამართლიანობის, შრომითი გათანაბრების თვალსაზრისით და ა. შ., ეს იქნება სუბიექტივიზმი, რომელიც ქიმერათა სფეროში წამიყვანს. სინამდვილეში კლასთა ბრძოლა, და არა ჩემი საუკეთესო სურვილები, იქნება ახალი რუსეთის აშენების განმსაზღვრელი. ახალი რუსეთის აშენების ჩემი იდეალები ქიმერული არ იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ნამდვილად გამოხატავენ არსებული კლასის ინტერესებს, იმ კლასის ინტერესებს, რომელსაც ცხოვრების პირობები აიძულებენ გარკვეული მიმართულებით იმოქმედოს: კლასობრივი ბრძოლის ობიექტივიზმის

ამ თვალსაზრისზე რომ ვდგები, მე ოდნავაც არ ვამართლებ სინამდვილეს, არამედ პირიქით თ ვ ი თ ამ სინამდვილეში აღვნიშნავ მისი გარდაქმნის უაღრესად ღრმა (თუნდაც ერთი შეხედვით შეუმჩნეველ) წყაროებსა და ძალებს.

ხოლო თუ ვიტყვი: «ახალ რუსეთს არავინ არ აშენებს, იგი შ ე ნ დ ე ბ ა ინტერესთა ბრძოლაში», ამით მაშინვე ერთბაშად რაღაც ფარდას ვაფარებ ა მ ა დ ა ა მ კლასების ბრძოლის ნათელ სურათს, დათმობას ვაკეთებ იმათ მიმართ, ვინც ხედავს მმართველი კლასების, ე. ი. განსაკუთრებით ბურჟუაზიის მხოლოდ იმ მოქმედებას, რაც ზედაპირზე არსებობს. მე უნებურად ვეშვები ბურჟუაზიის გამართლებისაკენ, კლასობრივი ბრძოლის ობიექტივიზმის ნაცვლად კრიტერიუმად ვიღებ ყველაზე შესამჩნევ ან დროებითი წარმატების მქონე ბურჟუაზიულ მიმართულებას.

განვმარტოთ ეს ისტორიის სფეროდან აღებული მაგალითით. ახალი გერმანია (XIX საუკუნის მე-2 ნახევრის გერმანია) «შენდებოდა» სხვადასხვა ინტერესთა ბრძოლის პროცესში. არც ერთი ბურჟუა, განათლებულთაგან, არ დაიწყებს ამაზე დავას, — და არ გასცდება ამას.

ხოლო აი როგორ მსჯელობდა მარქსი ა ხ ა ლ ი გერმანიის შენების ყველაზე «კრიტიკულ» პერიოდში.

«მსხვილმა ბურჟუაზიამ, — წერდა მარქსი 1848 წელს, — თავიდანვე ანტირევოლუციურმა, თავდაცვითი და შეტევითი კავშირი შეკრა რეაქციასთან იმის გამო, რომ ეშინოდა ხალხისა, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიისა». «საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიას ერთი წუთითაც არ დაუტოვებია თავისი მოკავშირეები, გლეხები. მან იცოდა, რომ მისი ბატონობის საფუძველი იყო სოფლად ფეოდალიზმის მოსპობა, თავისუფალი მიწათმფლობელი გლეხთა კლასის შექმნა. გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზია ყოვლად უსინდისოდ ღალატობს გლეხებს, თავის ყველაზე ბუნებრივ მოკავშირეებს, რომლებიც მისი ხორცი ხორცთაგანი არიან და რომელთა გარეშე იგი უძლურია თავადაზნაურობის წინააღ-

მდეგ. ფეოდალურ უფლებათა შენარჩუნება... ასეთია გერმანიის 1848 წლის რევოლუციის შედეგი. მთამ თაგვი შვა»[81].

მარქსი ერთბაშად, ცოცხლებივით, წარმოგვიდგენს იმ კ ლ ა ს ე ბ ს, რომლებიც ა შ ე ნ ე ბ დ ნ ე ნ ახალ გერმანიას.

ბურჟუაზიული მეცნიერი, რომელიც «ობიექტივიზმის» გულისათვის ამართლებს სინამდვილეს, ამბობს: ბისმარკმა დაამარცხა მარქსი, ბისმარკმა გაითვალისწინა, როგორ «შ ე ნ-დ ე ბ ო დ ა ახალი გერმანია სხვადასხვა ინტერესთა ბრძოლის რთულ პროცესშიო». მარქსი კი «ისახავდა ქიმერულ გეგმებს აეშენებინა» მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის (რომელიც რეაქციასთან კავშირებზე არ თანხმდება) ძალებით დიდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, წინააღმდეგ ლიბერალებისაო.

სწორედ ამას ათასნაირად იმეორებენ ბურჟუაზიული მეცნიერები. განვიხილოთ ეს საკითხი წმინდა თეორიულად და ვკითხოთ ჩვენს თავს: რაში ცდებიან ისინი? იმაში, რომ ჩქმალავენ და აბნელებენ კლასობრივ ბრძოლას. იმაში, რომ ისინი (ვითომდა ღრმააზროვანი გამოთქმის საშუალებით: გერმანია შ ე ნ დ ე ბ ო დ ა პროცესში და ა. შ.) ჩქმალავენ იმ სიმართლეს, რომ ბისმარკის გერმანია ააშენა ბურჟუაზიამ, რომელიც მისმა «ღალატმა და გამცემლობამ» «უძლური» გახადა «თავადაზნაურობის წინააღმდეგ».

მარქსს კი კლასობრივი ბრძოლის ობიექტივიზმმა შესაძლებლობა მისცა ასჯერ უფრო ღრმად და უფრო ზუსტად გაეგო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი სინამდვილე, სრულებითაც არ ამართლებდა რა მას, არამედ პირიქით, აღნიშნავდა და გამოყოფდა მასში სწორედ იმ კლასებს, რომლებიც აშენებდნენ დემოკრატიულ გერმანიას, რომლებმაც შეძლეს დემოკრატიზმისა და სოციალიზმის დასაყრდენი გამხდარიყვნენ მოვლენათა ისეთი განვითარების დროსაც კი, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო ბისმარკისათვის.

მარქსმა ისე სწორად და ისე ღრმად გაიგო პოლიტიკური სინამდვილე, რომ 1848 წელს ნახევარი საუკუნით ადრე შეაფასა ბისმარკის გერმანიის ა რ ს ი: ეს არის გერმანია ბურ-

ჟუაზიისა, «რომელიც უძლურია თავადაზნაურობის წინააშეო». 1912 წლის არჩევნებში, მარქსის მიერ მიცემული შეფასებიდან 64 წლის შემდეგ, ეს შეფასება სავსებით დადასტურდა ლიბერალების ქცევით.

1848 წლიდან ლიბერალებთან ულმობელ, უმაგალითოდ მკაცრ და ლიბერალების საყოველთაო ღმუილის გამომწვევ (გვაპატიეთ მკაცრი გამოთქმა, პატივცემულო ნიკოლინ!) ბრძოლას რომ ეწეოდნენ, მარქსი და მარქსისტები სრულებითაც არ იყვნენ «ქიმერის» ადამიანები, როცა დიდი გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფოს «გეგმას» იცავდნენ.

პირიქით, ამ «გეგმას» რომ იცავდნენ, განუხრელად რომ ეწეოდნენ მის პროპაგანდას, მის მოდალატე ლიბერალებსა და დემოკრატებს რომ ამათრახებდნენ, მარქსი და მარქსისტები ზრდიდნენ სწორედ იმ კლასს, რომელიც «ახალი გერმანიის» ცოცხალ ძალებს შეიცავს და რომელიც — მარქსის თანმიმდევრული და თავდადებულად გაბედული ქადაგების მეოხებით — ახლა სავსებით აღჭურვილი დგას, მომზადებულია თავისი ისტორიული როლისათვის — არა მარტო ბისმარკის ბურჟუაზიის, არამედ საერთოდ ყოველი ბურჟუაზიის მესაფლავის როლისათვის.

* * *

გერმანიის ისტორიიდან მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს ოპორტუნიზმის ლოგიკას ნიკოლინის შეხედულებებში, რომელიც სწორედ იმიტომ მწყრალად გვლანძღავს «ძლიერი კადეტჰამიობისათვის», რომ ვერ ხედავს იმას, თუ თვითონ როგორ ეშვება ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ლიკვიდატორული იდეებისაკენ.

რაც უფრო გაწყრება და გაგულისდება ნ. ნიკოლინი (ის კი მარტო როდია!), მით უფრო მკაფიოდ და საფუძვლიანად გავუმეორებთ მას ჩვენ, როგორც პუბლიცისტები, რომ ჩვენი ბრძოლა კადეტებთან და ლიკვიდატორებთან გამომდინარეობს ისეთი მოსაზრებებიდან, რომლებიც ღრმად მოფიქრებულია და ხუთ წელიწადზე მეტი (ხოლო სიმართლეს თუ ვიტყვით,

ათ წელიწადზე მეტი) ხნის განმავლობაში ბევრჯერ აღბეჭდილა ყველა მარქსისტის ოფიციალურ გადაწყვეტილებებში. ნ. ნიკოლინის — ისევე როგორც მის მფარველობაში მყოფი ლიკვიდატორების — უბედურება ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ ამ დიდი ხნის, მრავალრიცხოვან, ზუსტ, ფორმალურ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს დაუპირდაპირონ რაიმე თუნდაც დაახლოებით ჩამოყალიბებული, გარკვეული, ცხადი.

რომ «მუშებმა უნდა აშენონ ახალი რუსეთი წინააღმდეგ ლიბერალებისა», ეს სრულებითაც არ არის «ამაყი» ფრაზა. ნ. ნიკოლინმა მშვენივრად იცის, რომ ეს აზრი გამოთქმულია მთელ რიგ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მარქსისტთა უმრავლესობის აღიარებით სარგებლობენ. არსებითად, ეს არის უბრალო შეჯამება რუსეთის პოლიტიკური გამოცდილებისა უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში მაინც. ეს ყველაზე უდავო ისტორიული ფაქტია, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასი ახალ რუსეთს აშენებდა «წინააღმდეგ ლიბერალებისა». ასეთი «შენებისათვის» მუშაობა არასოდეს არ დაიკარგება უკვალოდ, როგორიც უნდა იყოს ბისმარკობის რუს პრეტენდენტთა დროებითი «წარმატებანი».

რუსულ ოპორტუნიზმს, ბუნდოვანს, გაურკვეველს, გველხოკერას მსგავსს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ოპორტუნიზმს, არ ძალუძს გარკვეულად და მკაფიოდ გამოთქვას თავისი შეხედულებანი, ფორმალურად თქვას, რომ მუშათა კლასი არ უნდა აშენებდეს ახალ რუსეთს წინააღმდეგ ლიბერალებისა, არამედ ამას და ამას უნდა აკეთებდესო. ოპორტუნიზმი ოპორტუნიზმი აღარ იქნებოდა, ნათელი და პირდაპირი პასუხის მოცემის უნარი რომ ჰქონდეს. მაგრამ თავის უკმაყოფილებას მუშათა პოლიტიკით, თავის მიდრეკილებას ბურჟუაზიისადმი ოპორტუნიზმი გამოხატავს ფრაზით: «ახალ რუსეთს არავინ არ აშენებს, იგი შენდება ინტერესთა ბრძოლის პროცესშიო».

ხოლო იქიდან, რაც შენდება, ყველაზე მეტად ჩანს, ყველაზე მეტად გეცემა თვალში, ყველაზე მეტად სარგებ-

ლობს წუთიერი წარმატებით და «ბრბოს» მხრივ მოწონებით თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის «მშენებლობა», რომელსაც ლიბერალები ასწორებენ. «აბა რა საჭიროა ვიკვლიოთ რომელი კლასები სახელდობრ როგორ აშენებენ, ეს ქიმერებია; უნდა ავიღოთ ის, რაც შენდება», — აი ნიკოლინის მსჯელობის ნამდვილი მნიშვნელობა, აი ნამდვილი «ლოგიკა ოპორტუნიზმისა».

სწორედ ეს არის კლასობრივი ბრძოლის დავიწყება. სწორედ ეს არის ლიბერალური მუშათა პოლიტიკის პრინციპული საფუძველი. სწორედ ასეთი «ლოგიკით» აქვეითებენ მუშათა კლასს ჭეშმარიტი, თანმიმდევრული, თავდადებული დემოკრატიის ჰეგემონიის, ე. ი. ხელმძღვანელის როლიდან ლიბერალთა შავი მუშის როლამდე.

აქედან წარმოდგება ჩვენთვის, რუსებისათვის, კარგად ცნობილი ის ფაქტი, რომ სიტყვიერად ოპორტუნისტები აღიარებენ პროლეტარიატის პარტიის «დამოუკიდებელ» ხაზსაც, აღიარებს მას, თავისთავად ცხადია, ნიკოლინიც. სინამდვილეში კი იგი იცავს სწორედ არა დამოუკიდებელ ხაზს, არამედ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ხაზს.

ნიკოლინი განგვიმარტავს, გვიჩვენებს, თუ რა მცირე მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს დამოუკიდებლობა გამოაცხადა ლიკვიდატორთა პლატფორმამაც, რაც «ნევსკი გოლოსის» მე-8 ნომერმა უკვე გვაუწყა, იგი გამოაცხადა თვით ნიკოლინმაც, მაგრამ იქვე, სწორედ იმ დროს, როცა «დამოუკიდებლობას» აცხადებს, იგი ქადაგებს არადამოუკიდებელ პოლიტიკას.

უარს აცხადებს რა იმაზე, რომ მუშათა კლასი ახლანდელ პოლიტიკაში, დემოკრატიზმის ყველა საკითხში თავის ხაზს ატარებდეს (ან, რაც იგივეა, «ახალ რუსეთს აშენებდეს»), წინააღმდეგ ლიბერალებისა, ნიკოლინი ფაქტიურად მოუწოდებს მუშათა კლასს კუდში მისჩანჩალებდეს ლიბერალებს.

აი სად არის საქმის არსი. აი როგორია «ოპორტუნიზმის ლოგიკა». ხოლო ისეთი მსჯელობა, რომ მუშათა კლასის «იზოლაცია» არ უნდა მოვახდინოთ, რომ «პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ტვირთი მუშებს არ უნდა აწვეს მხრებზე», რომ საჭიროა «ძალთა კოორდინაცია და არა დაქსაქსვა» და ა. შ., ეს ხომ მხოლოდ ფუჭი დეკლამაციაა. სინამდვილეში ყოველივე ეს ერთისა და იმავეს აღწერა და სხვაგვარად თქმაა. ნუ განმარტოვდებით (ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი-ს ა გ ა ნ), «მოახდინეთ თქვენი ძალების კოორდინაცია» (ლ ი-ბ ე რ ა ლ თ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა ს თ ა ნ), აღიარეთ ლიბერალური პოლიტიკა ნამდვილ ბრძოლად პოლიტიკური თავისუფლებისა-თვის და არა პურიშკევიჩებთან გარიგებად, და სხვ. და ა. შ.

ჩვენ არ შევჩერებულვართ ამ დეკლამაციაზე, იმიტომ რომ, არსებითად დავა რომ მოინდომო, უნდა აიღო უთანხმოების ნამდვილი ამოსავალი პუნქტები, ფესვები და არა არსებითად არასწორი ხაზის დეკლამატორული სამკაულები.

«ნევსკაია ზვეზდა» № 26,
1912 წ. 16 სექტემბერი
ხელმოწერა: მ. მ.

იბეჭდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» ტექსტის მიხედვით

ამერიკელ მუშათა წარმატებანი

ამერიკული ყოველკვირეული მუშათა გაზეთის «გონებისადმი მოწოდების» უკანასკნელი ნომერი, რომელიც მიღებულია ევროპაში, იუწყება, რომ ამ გაზეთის გავრცელებამ 984 000 ეგზემპლარს მიაღწია. ადგილებიდან მიღებული წერილებისა და მოთხოვნების მიხედვით — წერს რედაქცია (№ 875, 7 სექტემბერი ახ. სტ.) — უეჭველად ჩანს, რომ უახლოეს კვირეებში ჩვენ მილიონს გადავამეტებთ.

ეს ციფრი — მილიონი ეგზემპლარი სოციალისტური გაზეთისა, რომელსაც უსირცხვილოდ ავიწროებენ და სდევნიან ამერიკის სასამართლოები და რომელიც იზრდება და მტკიცდება დევნის ცეცხლში, — გრძელ მსჯელობებზე უფრო თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა გადატრიალება ახლოვდება ამერიკაში.

ამას წინათ მლიქვნელური გაზეთი, მოსყიდულ მჯღაბნელთა ორგანო «ნოვოე ვრემია» წერდა «ფულის ძალაზე» ამერიკაში და ღვარძლიანად იმეორებდა ტაფტის, რუზველტის, ვილსონის, რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე ბურჟუაზიული პარტიების ყ ვ ე ლ ა კანდიდატის საშინელი გამყიდველობის ფაქტებს. ესეც თქვენ თავისუფალი, დემოკრატიული რესპუბლიკაო — სისინებდა რუსული მოსყიდული გაზეთი.

შეგნებული მუშები დინჯად და ამაყად უპასუხებენ ამაზე: ჩვენ ოდნავაც არა გვაქვს მცდარი წარმოდგენა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფართო დემოკრატიას. მსოფლიოში ვერავითარი დემოკრატია ვერ აღმოფხვრის კლასობრივ ბრძოლას და ფულის ყოვლისშემძლეობას. ამჯში როდია დემოკრატიის

მნიშვნელობა და სარგებლობა. მისი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი კლასობრივ ბრძოლას ფართოს, აშკარას, შეგნებულს ხდის. და ეს ფაქტია და არა მარჩიელობა, არა სურვილი.

როცა გერმანიაში სოც.-დემ. პარტიის წევრთა რიცხვმა 970 000 კაცს მიაღწია, როცა ამერიკაში ყოველკვირეული სოციალისტური გაზეთის გავრცელებამ 984 000 ეგზემპლარს მიაღწია, — ყველამ, ვისაც თვალები იმისთვის აქვს, რომ ხედავდეს, უნდა აღიაროს: განმარტოებულად პროლეტარი უძლურია; პროლეტართა მილიონები ყოვლისშემძლენი არიან.

«პრავდა» № 120, 1912 წ. 18 სექტემბერი
ხელმოწერა: მ. ნ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

იტალია-თურქეთის ომის დამთავრება

როგორც დეპეშებიდან ვიცით, იტალიისა და თურქეთის რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ზავის წინასწარ პირობებს.

იტალიამ «გაიმარჯვა». ერთი წლის წინათ იგი საძარცვავად შეესია თურქეთის მიწებს აფრიკაში და ამიერიდან ტრიპოლი იტალიისა იქნება. ზედმეტი არ არის თვალი გადავავლოთ XX საუკუნის «ცივილიზებული» სახელმწიფოს ამ ტიპიურ კოლონიურ ომს.

რით იყო გამოწვეული ომი? იტალიელ ბობოლა ფინანსისტთა და კაპიტალისტთა ანგარებით, რომლებსაც სჭირდებათ ახალი ბაზარი, სჭირდებათ იტალიის იმპერიალიზმის წარმატებანი.

რა იყო ეს ომი? ადამიანთა სრულყოფილი, ცივილიზებული ხოცვა-ჟლეტა, არაბთა გაწყვეტა «უახლესი» იარაღის საშუალებით.

არაბები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. როცა იტალიელმა ადმირალებმა წინდაუხედავად გადასხეს ომის დასაწყისში 1 200 მეზღვაური, არაბები თავს დაესხნენ მათ და 600-მდე კაცი დახოცეს. იტალიელებმა «დასასჯელად» გაჟლიტეს 3 000-მდე არაბი, აიკლეს და ამოხოცეს მთელი ოჯახები, გაწყვიტეს ქალები და ბავშვები. იტალიელები ცივილიზებული, კონსტიტუციური ერია.

1 000-მდე არაბი ჩამოახრჩვეს.

იტალიელთა ზარალი 20 ათას კაცს აღემატება; მათ შორის 17 429 ავადმყოფია; 600 უკვალოდ დაკარგული, 1 405 მოკლული.

ეს ომი იტალიელებს 800 მილიონ ლირაზე მეტი, ე. ი. 320 მილიონ მანეთზე მეტი დაუჯდათ. ომის შედეგია საშინელი უმუშევრობა, მრეწველობის მოდუნება.

დახოცილია 14 800-ზე მეტი არაბი. ომი, მიუხედავად «ზავისა», სინამდვილეში კვლავ გაგრძელდება, ვინაიდან არაბთა ტომები აფრიკის კონტინენტის შიდა ნაწილში, ნაპირიდან დაშორებით, არ დამორჩილდებიან. კიდევ დიდხანს გაგრძელდება მათში «ცივილიზაციის შეტანა» ხიშტით, ტყვიით, თოკით, ცეცხლით, ქალთა გაუპატიურებით.

იტალია, რა თქმა უნდა, არც უკეთესია და არც უარესი დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ყველას მათ ერთნაირად მართავს ბურჟუაზია, რომელიც არავითარ ხოცვა-ჟლეტას არ ერიდება იმისათვის, რომ მოგების ახალი წყარო მიიღოს.

«პრავდა» № 129, 1912 წ. 28 სექტემბერი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

აზარტული თამაში

«ნოვოე ვრემია» სავსებით ამჟღავნებს რუს ნაციონალისტთა გეგმებს. როცა კითხულობ ამ გაზეთს, რომელიც «გავლენიანია» ამ წრეებში, აგრეთვე ოქტიაბრისტებში, აშკარა ხდება, რომ ისინი მტკიცედ ატარებენ თურქეთის გაძარცვის გეგმას.

როგორც სჩვევიათ, შოვინიზმისა და სხვისი მიწების ხელში ჩაგდების პოლიტიკას ეწევიან უწინარეს ყოვლისა ავსტრიაზე ხალხის წასისიანების საშუალებით. «ბალკანეთის ხალხები — წერს «ნოვოე ვრემია» — დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წმიდა ბრძოლისათვის აღდგნენ. ავსტრიელი დიპლომატი ელის იმ წუთს, როცა შესაძლებელი იქნება მათი გაძარცვა».

ავსტრიამ ჩამოგლიჯა ნაჭერი (ბოსნია და ჰერცეგოვინა), იტალიამ ჩამოგლიჯა ნაჭერი (ტრიპოლი), ახლა ჩვენი ჯერია ხელი მოვითბოთო — აი «ნოვოე ვრემიას» პოლიტიკა. «დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წმიდა ბრძოლა» მხოლოდ ფრაზაა მიამიტების მოსატყუებლად, ვინაიდან თვით ჩვენში, რუსეთში, არავის ისე არ გაუთელავს ფეხქვეშ ყ ვ ე ლ ა ხალხთა ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის ნამდვილად დემოკრატიული პრინციპები, როგორც ნაციონალისტებსა და ოქტიაბრისტებს.

მაშ რატომ მიაჩნიათ ნაციონალისტებს, რომ მომენტი ხელსაყრელია ძარცვის პოლიტიკისათვის? ესეც ნათლად ჩანს «ნოვოე ვრემიადან». იტალია არ იომებს, ავსტრიისათვის სახიფათოა დაიწყოს ომი ბალკანეთის სლავების წინააღმდეგ,

როცა მათი მონათესავე მრავალმილიონიანი მოსახლეობა ჰყავს, ხოლო გერმანია თურქეთის განადგურების გამო ევროპის ომს არ გააჩაღებსო.

ნაციონალისტთა ვარაუდი უკიდურესად აშკარა და უსირცხვილოა. ისინი მაღალფარდოვან სიტყვებს ამბობენ ხალხთა «დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წმიდა ბრძოლაზე», თვითონ კი სრულიად გულგრილად სათამაშოდ ხდიან მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, სასაკლაოსაკენ ერეკებიან ხალხებს იმისათვის, რომ ერთმა მუჭა ვაჭარ-მრეწველებმა მოგება მიიღონ.

სამთა კავშირი (გერმანია, ავსტრია, იტალია) ამჟამად დასუსტებულია, ვინაიდან იტალიამ თურქებთან ომზე 800 მილიონი ფრანკი დახარჯა და ბალკანეთში იტალიისა და ავსტრიის «ინტერესები» ერთმანეთს არ ემთხვევა. იტალიას სურს კიდევ წაგლიჯოს ნაჭერი — ალბანეთი, ავსტრიას არ სურს დაუშვას ეს. ამის ვარაუდით, ჩვენი ნაციონალისტები გამალებულ აზარტულ თამაშს ეწევიან, იმედს ამყარებენ რა სამთა შეთანხმების ორი სახელმწიფოს (ინგლისი და საფრანგეთი) ძალასა და სიმდიდრეზე და იმაზე, რომ «ევროპა» არ ისურვებს გაჩაღოს საყოველთაო ომი სრუტეების გამო ან აზიის თურქეთის ხარჯზე «ჩვენი» მიწაწყლის «დამრგვალების» გამო.

დაქირავებული მონობის საზოგადოებაში ყოველი ვაჭარი, ყოველი მეპატრონე აზარტულ თამაშს ეწევა: «ან გავკოტრდები, ან გავმდიდრდები და სხვებს გავაკოტრებო». ყოველ წელიწადს კოტრდება ასობით კაპიტალისტი და ღატაკდება მილიონობით გლეხი, შინამრეწველი, ხელოსანი. ასეთსავე აზარტულ თამაშს ეწევიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, თამაშს მილიონობით ადამიანთა სისხლით, რომლებსაც ხან აქ, ხან იქ გზავნიან სასაკლაოზე სხვისი მიწების მიტაცებისა და სუსტი მეზობლების ძარცვის მიზნით.

«პრავდა» № 134, 1912 წ. 4 ოქტომბერი

იბეჭდება გასეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამღვდელოება არჩევნებში და არჩევნები სამღვდელოებით

გაზეთის ცნობებით წვრილ მიწათმფლობელთა და ეკლესიების წინამძღვართა ყრილობებზე ევროპ. რუსეთის 46 გუბერნიაში არჩეულ იქნა 7 990 რწმუნებული, მათგან 6 516 მღვდელი. ეს უკანასკნელნი 82%-ს შეადგენენ.

50 გუბერნიის სრული შედეგები ბევრით ვერაფრით შეცვლის ამ დასკვნას.

მაშ ვნახოთ, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ არჩევნებს.

წვრილი მიწათმფლობელებისა და მრევლისაგან, კანონის თანახმად, ირჩევენ ერთ რწმუნებულს მიწათმფლობელთა ყრილობაში მონაწილეობისათვის დაწესებული ს რ უ ლ ი ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო ც ე ნ ზ ი ს მიხედვით. მაშასადამე, რწმუნებულთა რაოდენობა ამომრჩეველთა მიწის ოდენობის პროპორციული უნდა იყოს.

1905 წლის სტატისტიკით ევროპ. რუსეთის 50 გუბერნიისათვის ასეთი მონაცემები გვაქვს:

საეკლესიო მიწები.....	1,9	მილ. დესეტ.
სასულიერო პირთა კერძო საკუთრებაში არსებული მიწები.....	0,3	» »
ს უ ლ სამღვდელოების ხელში	2,2	მილ. დესეტ.
მიწები ქალაქის მდაბიოთა კერძო საკუთრებაში...	3,7	» »
» » გლეხთა » » ...	13,2	» »
» » სხვათა » » ...	2,2	» »
ს უ ლ «საერო» წვრილი მიწათმფლობელობა	19,1	მილ. დესეტ.

აქ წვრილი მიწათმფლობელობა აღრიცხულია ალბათ ნაკლები სისრულით, ვიდრე სამღვდელოების მიწები. და მაინც გამოდის, რომ სულ წვრილი მიწათმფლობელობის კერძო საკუთრებაშია 21,3 მილიონი დესეტინა მიწა, აქედან სამღვდელოებას 2,2 მილიონი დესეტინა აქვს, ე. ი. 1/10-ზე ცოტა მეტი! ხოლო რწმუნებულები სამღვდელოებამ რვა მეათედზე მეტი გაიყვანა!!

როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოდ. წვრილი მიწათმფლობელები მეტად იშვიათად მიდიან არჩევნებზე: არც სახსრები მოეპრვებათ, ინტერესიც ნაკლები აქვთ და პოლიციაც ათასნაირად აბრკოლებს არჩევნების თავისუფლებას. ხუცებს კი «შთაგონებული აქვთ» ყველანი გამოცხადდნენ.

ხუცები ხმას მისცემენ მთავრობისათვის სასურველ კანდიდატებს. აი რატომ არის, რომ მემამულეებიც კი დრტვინავენ — ბურჟუაზიაზე რომ აღარა ვთქვათ რა. ოქტიაბრისტები და ნაციონალისტებიც დრტვინავენ. ყველანი ბრალს სდებენ მთავრობას იმაში, რომ იგი «აკეთებს» არჩევნებს. მემამულეებსა და მსხვილ ბურჟუაზიას კი თვითონ სურთ აკეთონ არჩევნები.

მაშასადამე, შეჯახება ხდება, ერთი მხრივ, აბსოლუტიზმსა და, მეორე მხრივ, მემამულეებსა და ბურჟუაზიულ ბობოლებს შორის. მთავრობას სურდა დაყრდნობოდა მემამულეებსა და ბურჟუაზიის ზედაფენებს; როგორც ცნობილია, ამაზეა აგებული 1907 წ. 3 ივნისის მთელი კანონი.

აღმოჩნდა, რომ მთავრობას ოქტიაბრისტებთანაც კი არ შეუძლია შეგუება. ფეოდალურ-ბურჟუაზიულმა მონარქიამაც კი ვერ მოახერხა «დამაკმაყოფილებლად» შეწყობოდა ამ კლასებს.

ეს მარცხი, უდავოა, ფაქტიურად აღიარებულია მთავრობის მიერ, რომელიც შეუდგა მორჩილი, ხელქვეითი სამღვდელოების სახით თავის საკუთარ მოხელეთა დარაზმვას!

ისტორიულ მეცნიერებაში მთავრობის ამ ხერხს, მთავრობისა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს აბსოლუტიზმის არსე-

ბითი ნიშნები, ბონაპარტიზმი ეწოდება. ამ შემთხვევაში დასაყრდენს წარმოადგენენ არა გარკვეული კლასები, ან არა მარტო ისინი, არა უმთავრესად ისინი, არამედ ხელოვნურად შერჩეული, უმთავრესად სხვადასხვა დამოკიდებული ფენებისაგან მოკრებილი ელემენტები.

რით აიხსნება ასეთი მოვლენის შესაძლებლობა «სოციოლოგიური» აზრით, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით?

— მტრული ან ერთმანეთის მეტოქე კლასების ძალთა გაწონასწორებით. თუ, მაგალითად, პურიშკევიჩები მეტოქეობას უწევენ გუჩკოვებსა და რიაბუშინსკებს, მაშინ მთავრობას, ამ მეტოქეთა ძალების ერთგვარი გაწონასწორებისას, შეუძლია მ ე ტ ი დამოუკიდებლობა (რა თქმა უნდა, ერთგვარ, საკმაოდ ვიწრო ფარგლებში) მიიღოს, ვიდრე ერთ-ერთი ამ კლასის გადამწყვეტი უპირატესობისას. ხოლო თუ ეს მთავრობა ისტორიულად დაკავშირებულია მემკვიდრეობითობით და ა. შ. აბსოლუტიზმის განსაკუთრებით «მკაფიო» ფორმებთან, თუ ქვეყანაში ძლიერია სამხედრო ხროვისა და ბიუროკრატიზმის ტრადიციები იმ მხრივ, რომ მოსამართლენი და მოხელენი არჩევითი არ არიან, მაშინ ამ დამოუკიდებლობის ფარგლები კიდევ უფრო ფართო იქნება, მისი გამოვლინებანი კიდევ... უფრო აშკარა, ამომრჩეველთა და ბრძანებით ხმის მიმცემ ამრჩევთა «შერჩევის» ხერხები კიდევ უფრო უხეში, თვითნებობა კიდევ უფრო საგრძნობი.

სწორედ რაღაც ამის მსგავსს განიცდის თანამედროვე რუსეთი. «ნაბიჯს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე» * ართულებს ბონაპარტიზმის მეთოდების გადმოღება. თუ საფრანგეთში ბურჟუაზიული მონარქია და ბონაპარტისტული იმპერია აშკარად და მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, სამაგიეროდ უკვე გერმანიაში ბისმარკმა მოგვცა როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის «შეხამების» ნიმუშები, იმ ნიშნების აშკარა სიჭარბით, რომლებსაც მარქსი «სამხედრო

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 423.

დესპოტიზმს»[82] უწოდებდა — ბონაპარტიზმზე. თუ აღარას ვიტყვით.

ამბობენ, ჭიჭყინა თევზს არაჟანში ხრაკვა უყვარსო. გამოურკვეველია, სად უყვარს ობივატელს «ხრაკვა» — ბურჟუაზიულ მონარქიაში, ძველ ბატონყმურ აბსოლუტიზმში, «უახლეს» ბონაპარტიზმსა თუ სამხედრო დესპოტიზმში თუ, ბოლოს, ყველა ამ «მეთოდის» ერთგვარ ნარევში. მაგრამ თუ ობივატელის თვალსაზრისით და ეგრეთწოდებული «უფლებრივი წესრიგის» თვალსაზრისით, ე. ი. წ მ ი ნ დ ა-იურიდიული, ფორმალურ-კონსტიტუციური თვალსაზრისით განსხვავება შეიძლება ფრიად მცირე გვეჩვენებოდეს, კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით აქ არსებითი განსხვავებაა.

ობივატელისათვის შეღავათი როდია, თუ შეიტყობს, რომ მას სცემენ არა მარტო ძველებურად, არამედ ახლებურადაც. მაგრამ ობივატელთა მჩაგვრელი რეჟიმის ს ი მ ტ კ ი ც ე, ამ რეჟიმის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა და გახრწნის პ ი რ ო ბ ე ბ ი, ამ რეჟიმის უნარი — განიცადოს სწრაფი... მარცხი — ყოველივე ეს ძლიერაა დამოკიდებული იმაზე, გარკვეული კლასების ბატონობის მეტად თუ ნაკლებად აშკარა, ღია, მტკიცე, პირდაპირი ფორმებია ჩვენს წინაშე თუ ასეთი ბატონობის სხვადასხვა შუალობითი, მერყევი ფ ო რ მ ე ბ ი.

კ ლ ა ს თ ა ბატონობის აღმოფხვრა უფრო ძნელია, ვიდრე ზედნაშენის მერყევი ფორმებისა, რომლებიც გამსჭვალული არიან სიძველის დახავსებული სულისკვეთებით და რომლებსაც შერჩეული «ამომრჩევლებით» ინარჩუნებენ.

საბლერისა და მაკაროვის ექსპერიმენტი IV სათათბიროს არჩევნებში სამღვდელოების «ორგანიზაციის» საქმეში ყოველი ადამიანისათვის საკმაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს «სოციოლოგიურადაც» და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც.

«ნევსკაია ზვეზდა» № 27,
1912 წ. 5 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» ტექსტის მიხედვით

ბ-ნ მილიუკოვის «პოზიცია»

კადეტთა პარტიის ბელადს სამ ფიჭვს შორის გზა აებნა.. იგი მენშიკოვური სიგრძის სტატიებს წერს «სამ პოზიციაზე», «ერთ პოზიციაზე», და, რაც უფრო მეტსა წერს, მით უფრო ნათელი ხდება, რომ იგი ყ ბ ა ს უ ქ ც ე ვ ს მკითხველს, მოსაწყენი და ფუჭი ლაყბობით ჩ ქ მ ა ლ ა ვ ს საქმის არსს.

საბრალო სწავლული ისტორიკოსი! იგი იძულებულია თ ა ვ ი მ ო გ ვ ა ჩ ვ ე ნ ო ს, რომ არ ესმის განსხვავება ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის. საქმის მთელი არსი ამ განსხვავებაშია, ბატონებო! საერთოდ სათათბიროს კენჭისყრაშიც, «რეფორმებისადმი» დამოკიდებულებაშიც, ბიუჯეტისათვის ხმის მიცემაშიც, «პარლამენტსგარეშე ტაქტიკის» საკითხშიც სხვადასხვა ფ ო რ მ ი თ თავს იჩენს საქმის ერთნაირი ა რ ს ი, ღრმა განსხვავება ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიასა და დემოკრატიას შორის.

ათასმეერთეჯერ მოკლედ გავუმეორებთ «გაუგებელ» ბ-ნ მილიუკოვებს, თუ რაშია ეს განსხვავება.

ლიბერალები იცავენ მთელ რიგ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ პრივილეგიებს (მეორე პალატა და სხვ.). დემოკრატია შეურიგებლად ებრძვის ყველა პრივილეგიას.

ლიბერალები უთანხმდებიან ძველის ძალებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დემოკრატია ამ ძალების აღმოფხვრის ტაქტიკას ახორციელებს.

ლიბერალებს ეშინიათ მასების თვითმოქმედებისა, არა აქვთ ამ თვითმოქმედების რწმენა, უარყოფენ მას; დემოკრა-

ტია თანაუგრძნობს, მხარს უჭერს, ავითარებს ამ თვითმოქმედებას, სწამს იგი.

ჯერჯერობით ესეც კმარა.

ნუთუ ბ-ნ მილიუკოვს მართლაც «არ ესმის» ეს განსხვავება, რომელიც ისტორიის სახელმძღვანელოებიდანაც კი ცნობილია?

ნუთუ მას «არ ესმის», რომ უკვე კ.-დ. პ რ ო გ რ ა მ ა დემოკრატების პროგრამა კი არ არის, არამედ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომ მხოლოდ ლიბერალებს (და ცუდ ლიბერალებს) შეეძლოთ III სათათბიროში ხმა მიეცათ ბიუჯეტისათვის, შეეძლოთ გამოეცხადებინათ თავი ლოიალურ ოპოზიციად? და ა. შ.

ბ-ნ მილიუკოვს მშვენივრად ესმის ეს და «ყბას გვიქცევს», თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ლიბერალიზმისა და დემოკრატიის განსხვავების ანბანი დაავიწყდა.

პრესაში რომ აღვბეჭდოთ კადეტების ეს უბადრუკი თავდაძვრენა, შევნიშნავთ ბ-ნ მილიუკოვს, რომ ს.-დ. მთელ ო ფ ი ც ი ა ლ უ რ პრესაში (გარდა, რა თქმა უნდა, ლიკვიდატორებისა, რომლებსაც სიამოვნებით დავუთმობთ ბ-ნ მილიუკოვს), ს.-დ. ხელმძღვანელი ინსტანციების ყ ვ ე ლ ა რეზოლუციაში, მესამე სათათბიროს ს.-დ-ების მთელ ხაზში ყოველთვის და მუდამ ათასობით ფორმით ვხვდებით იმ ძველი ტაქტიკის დაცვას, რომელზეც სოციალ-დემოკრატებმა, ბ-ნ მილიუკოვის სიტყვით, თითქოს ხელი აიღეს.

ეს უდავო ისტორიული ფაქტია, ბ-ნო სწავლულო ისტორიკოსო!

პრესაში უნდა აღვბეჭდოთ, რამდენად დაბლა დაეცნენ კადეტები, თუ ისინი ცდილობენ მოატყუონ საზოგადოება ესოდენ ელემენტარულ საკითხებში, რომლებიც მტკიცედ დადგენილია რუსეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიით.

დასასრულ პატარა შეკითხვა ბ-ნ მილიუკოვს, — რათა შევაჯამოთ და მოკლედ გავიმეოროთ ნათქვამი — როცა თქვენ, ბბ. კადეტებო, დაეთანხმეთ ვოილოშნიკოვის გარიცხვას ხუთი სხდომიდან [83], როგორ მოქმედებდით — როგორც ლიბერალები თუ როგორც დემოკრატები?

«პრავდა» № 136, 1912 წ. 6 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პეტერბურგის მუშების დეპუტატი

დედაქალაქის პროლეტარიატი თავის ერთ-ერთ რჩეულს გზავნის შავ, მემამულურ, ხუცურ სათათბიროში. სასახელო პოსტზე იქნება ეს რჩეული. იგი უნდა გამოდიოდეს და მოქმედებდეს მილიონთა სახელით, მან უნდა გაშალოს დიადი დროშა, იგი უნდა გამოხატავდეს იმ შეხედულებებს, რომლებსაც ფორმალურად, გარკვეულად, ზუსტად, წლობით გამოხატავდნენ მარქსიზმისა და მუშათა დემოკრატიის პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

ამ პოსტზე ერთი კაცის არჩევა ისეთი უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, რომ წვრილმანობა, სულმოკლეობა, სირცხვილი იქნებოდა გვეშინოდეს ვილაპარაკოთ საქმეზე პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად, გვეშინოდეს «ვაწყენინოთ» ამა თუ იმ პირს, ამა თუ იმ წრეს და ა. შ.

არჩევანი უნდა შეესაბამებოდეს შეგნებულ, მარქსისტ მუშათა უმრავლესობის ნებას. ეს აშკარაა. ამის პ ი რ დ ა პ ი რ უარყოფას ვერავინ ვერ გაბედავს.

ყველამ იცის, რომ 1908-დან 1912 წლამდე ასობით და ათასობით კრებაზე, დისკუსიაში, საუბარში, პრესის სხვადასხვა ორგანოს ფურცლებზე პეტერბურგის მუშებში იბრძოდნენ ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგენი და ლიკვიდატორები. საკადრისი არ არის ფრთის ქვეშ დაიმალო თავი, როგორც სულელი ფრინველი შვრება, და შეეცადო «დაივიწყო» ეს ფაქტი.

საქმეს აბნევენ ისინი, ვინც ახლა ერთი დეპუტატის არჩევის საკითხზე გაჰყვირის «ერთიანობის» შესახებ, საქმეს აბნევენ, ვინაიდან საკითხს ცვლიან და ყვირილით აფუჩეჩებენ საქმის არსს.

რა შუაშია აქ «ერთიანობა», როცა საჭიროა არჩეულ იქნეს ერთი და ყველანი თანახმა არიან, რომ იგი უნდა გამოხატავდეს შეგნებულ მარქსისტ მუშათა უმრავლესობის ნებას??

ლიკვიდატორებს ეშინიათ პირდაპირ თქვან, რომ მათ სურთ არჩეულ იქნეს ლიკვიდატორი ან «არაფრაქციული» (ე. ი. მერყევი), — და, რაკი ეშინიათ პირდაპირ დაიცვან თავიანთი შეხედულებანი, მოტყუებით აპარებენ მათ, გაჰყვირიან რა «ერთიანობაზე».

ჩვენი ვალია ვამხილოთ ეს აბნეულობა. თუ შეგნებულ მუშებს შორის ლიკვიდატორები უმრავლესობას შეადგენენ, — მსოფლიოში ვერავინ ვერ შეუშლის მათ ხელს აირჩიონ ლიკვიდატორი. უნდა გამოვარკვიოთ რაც შეიძლება ზუსტად, მშვიდად, მტკიცედ, წინდახედულად, სწორად, ვის მხარეზეა უმრავლესობა, არ უნდა შეგვაკრთოს იმ ადამიანთა ხმაურმა, რომლებიც თავიანთ შეხედულებათა დასაფარავად ქადაგებენ (არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე!) «ერთიანობას», 5 წლის ბრძოლის შემდეგ.

მუშები ბავშვები როდი არიან, რომ ასეთი ზღაპარი დაიჯერონ. შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება შემდეგი სამი გადაწყვეტილებიდან: 1) ავირჩიოთ ლიკვიდატორი; 2) ავირჩიოთ ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე; 3) ავირჩიოთ მერყევი. ხუთ წელიწადში, 1908 — 1912, ს.-დ. წრეში სხვა არავინ ყოფილა და არც ახლა არის!

მუშებმა, რომლებსაც სურთ მოზრდილი და დამოუკიდებელი ადამიანები იყვნენ, არ უნდა დაუშვან ის, რომ მათ შორის იყვნენ შტრაიკბრეხერები პოლიტიკაში. მუშებმა უნდა აიძულონ საზოგადოება პატივი სცეს შეგნებული მუშების უმრავლესობის ნებას და შეასრულოს იგი.

მუშებს ისეთი დეპუტატი სჭირდებათ, რომელიც უმრავლესობის ნებას გამოხატავდა და რომელსაც მტკიცედ ეცოდინებოდა, რა მუშაობას გასწევს სათათბიროში და სათათბიროს გარეთ.

უმრავლესობის ნება გამოცხადებულია, და პიტერის დეპუტატი ლიკვიდატორობის გაბედული მოწინააღმდეგე, თანმიმდევრული მუშათა დემოკრატიის მომხრე უნდა იყოს.

«პრავდა» № 144, 1912 წ. 16 ოქტომბერი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბალკანეთის ხალხები
და ევროპის დიპლომატია

საყოველთაო ინტერესი ახლა მიმართულია ბალკანეთისაკენ. ეს გასაგებიცაა. შესაძლოა მთელი აღმოსავლეთ ევროპისათვის რეკს ჟამი, როცა თავის თავისუფალ და გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან თვით ხალხები. ბურჟუაზიული «დიდი სახელმწიფოებისა» და მათი დიპლომატების თამაშისათვის, რომლებიც ზედმიწევნით დახელოვნებული არიან ინტრიგების, ერთმანეთისათვის ხრიკების მოწყობისა და ანგარებით ფეხის გამოდების მეცნიერებაში, ახლა ადგილი არ არის.

ბალკანეთის ხალხებს შეუძლიათ თქვან, როგორც ძველად ჩვენში ყმები ამბობდნენ: «ღმერთმა გვაშოროს ყოველგვარ ჭირზე უფრო ბატონის რისხვაც და ბატონის სიყვარულიც» [84]. ბალკანეთის გლეხებისა და მუშებისათვის ევროპის «დიდი სახელმწიფოების» როგორც მტრული, ისე ვითომდა მეგობრული ჩარევა მოასწავებს მხოლოდ იმას, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაციის საერთო პირობებთან ერთად მათ დაემატოთ ყოველნაირი ბორკილები და თავისუფალი განვითარების დაბრკოლებანი.

სხვათა შორის ამიტომ უნდა ვებრძოლოთ როგორც მთავრობის კაზიონურ, ისე ლიბერალურ «დიპლომატიას». მაგალითად, თავიდან ბოლომდე ცრუა მსჯელობა «რეჩისა», რომელიც ამ დღეებში «რუსეთის საზოგადოებას» (ე. ი. ბურჟუაზიას) მოუწოდებდა დაიხსომოს ინგლისის სამინისტრო ორგანოს სიტყვები, რომ ევროპა ბალკანეთში «ცუდ მმართ-

ველობას» არ დაუშვებსო! «დაე ჩვენი დიპლომატია გულზე ხელს ნუ დაიკრებსო» — გაჰყვირის «რეჩი».

სიდამპლისა და დახავსებისათვის მხარდაჭერის მეტი, თავისუფლებისადმი ბიუროკრატიული დაბრკოლებების მეტი არაფერი მოაქვს ბალკანეთისათვის თვით ყველაზე «ლიბერალურ» ბურჟუაზიულ ევროპას, — ვუპასუხებთ ჩვენ. სწორედ «ევროპა» უშლის ხელს ბალკანეთის ფედერაციული რესპუბლიკის დამყარებას.

მოწინავე მუშები ბალკანეთში და მთელი ბალკანეთის დემოკრატია თავიანთ იმედებს ამყარებენ მხოლოდ და მხოლოდ მ ა ს ე ბ ი ს შეგნების, დემოკრატიზმისა და თვითმოქმედების განვითარებაზე და არა ბურჟუაზიული დიპლომატების ინტრიგებზე, რა ლიბერალური ფრაზებითაც არ უნდა კოპწიაობდნენ ისინი!

«პრავდა» № 144, 1912 წ. 16 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მელიისა და საქათმის შესახებ

ბალკანეთის ომისა და მასთან «ევროპის» დამოკიდებულების საკითხი თანამედროვე პოლიტიკის ყველაზე საჭირბოროტო საკითხია. საერთოდ მთელი დემოკრატიისათვის და განსაკუთრებით მუშათა კლასისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას, თუ რა კლასობრივი ინტერესები ამოძრავებენ ამ შემთხვევაში ამა თუ იმ პარტიას.

ოქტიაბრისტების, ნაციონალისტების, უპარტიო «პატრიოტების» პოლიტიკა, «ნოვოე ვრემიადან» «რუსსკოე სლოვომდე», ცხადი და მარტივია. ავსტრიის წინააღმდეგ წასისიანება, მასთან ომისაკენ წაქეზება, ყვირილი რუსეთის «სლავურ ამოცანებზე» — ყოველივე ეს თეთრი ძაფით ნაკერი მისწრაფებაა — ჩამოაშორონ ყურადღება რუსეთის საშინაო საქმეებს და «ჩამოგლიჯონ ნაჭერი» თურქეთს. შიგნით რეაქციისათვის და გარეთ კოლონიური, იმპერიალისტური ძარცვისათვის მხარდაჭერა — ასეთია ამ უხეში «პატრიოტული» «სლავური» პოლიტიკის არსი.

კადეტების პოლიტიკა უფრო დახვეწილად და დიპლომატიურად არის შეფერადებული, მაგრამ, არსებითად, მათი პოლიტიკა — აგრეთვე იმპერიალიზმის რეაქციული დიდმპყრობელური პოლიტიკაა. ეს განსაკუთრებით საჭიროა შევითვისოთ, ვინაიდან ლიბერალები მზაკვრულად მალავენ თავიანთ შეხედულებებს დემოკრატიული ფრაზების საშუალებით.

შეხედეთ «რეჩს». ჯერ — მილიუკოვისა და საზონოვის «სატრფიალო შეხვედრამდე»[85] — საზონოვს უსაყვედურებ-

დნენ «დამთმობლობას», ნაციონალისტებს უსაყვედურებდნენ კონსტანტინოპოლის აღების «დიადი იდეის» შესუსტებას. ახლა, შეხვედრის შემდეგ, «რეჩი» ეთანხმება «როსსიას» და თავგამოდებით ლანძღავს «ნოვოე ვრემიას» «უაზრო მამლაყინწობას».

მაგრამ როგორია ახლა «რეჩის» პოლიტიკა?

არ უნდა დავიწყოთ ამაყი მოთხოვნებით, ვინაიდან მაშინ ჩვენ დავკარგავთ მხარდაჭერას (საფრანგეთისა და ინგლისისას) და «იმით დავამთავრებთ, რომ ძალაუნებურად იმაზე უფრო თავმდაბალიც კი გავხდებით, ვიდრე საჭიროა» (№ 278)!!

ამრიგად, «რეჩი» იმიტომ არის შოვინისტების წინააღმდეგი, რომ ისინი «უფრო თავმდაბლად დაამთავრებენ, ვიდრე საჭიროა». ესე იგი თქვენ, შოვინისტები, იკვეხნით და ვერაფერსაც ვერ მიიღებთო. ჩვენ კი იმის მომხრე ვართ, რომ მშვიდობიანად და წყნარად, საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიის მხარდაჭერით, დიდი თანხა წავგლიჯოთო!

მხარდაჭერა (სამთა შეთანხმებისა) «უნდა გვქონდეს იმავე ჩვენი მფარველობის ქვეშ მყოფ ბალკანელთა ინტერესებისათვის», — წერს «რეჩი». დაიხსომეთ ეს: «რეჩიც» იმის მომხრეა, რომ რუსეთი «მფარველობდეს» (იცავდეს) სლავებს, რომ მელია იცავდეს საქათმეს, მაგრამ უფრო მზაკვრულად იცავდეს!

«ყოველივე, რის მიღწევაც შეიძლება, ამ ერთადერთ გზაზეა — ევროპის დიპლომატიის ერთობლივი მუშაობის გზაზე», აცხადებს «რეჩი».

აშკარა საქმეა: კ.-დ. პოლიტიკის არსი იგივე შოვინიზმი და იმპერიალიზმია, რაც «ნოვოე ვრემიასი», მხოლოდ უფრო მზაკვრული, უფრო დახვეწილი. «ნოვოე ვრემია» უხეშად და სულელურად იმუქრება ომით მარტო რუსეთის სახელით. «რეჩი» «დახვეწილად და დიპლომატიურად» იმუქრება აგრეთვე ომით, მხოლოდ სამთა შეთანხმების სახელით, ვინაიდან თქმა: «იმაზე უფრო თავმდაბალი არ უნდა გავხდეთ, ვიდრე საჭიროაო», ნიშნავს სწორედ ომით დამუქ-

რებას. «ნოვოე ვრემია» მომხრეა სლავების მფარველობისა რ უ ს ე თ ი ს მიერ, «რეჩი» მომხრეა სლავების მფარველობისა სამთა შეთანხმების მიერ, ე. ი. «ნოვოე ვრემია» იმის მომხრეა, რომ საქათმეში მარტო ჩვენი მელია იყოს, «რეჩი» კი სამი მელიის შეთანხმების მომხრეა.

საერთოდ დემოკრატია და განსაკუთრებით მუშები, წინააღმდეგი არიან სლავების ყოველგვარი «მფარველობისა» მელიების და მგლების მიერ და მხარს უჭერენ ხალხთა სრულ თვითგამორკვევას, სრულ დემოკრატიას, სლავების განთავისუფლებას «დიდ სახელმწიფოთა» ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მფარველობისაგან.

ლიბერალები და ნაციონალისტები დავობენ ბურჟუაზიული ევროპის მიერ ბალკანეთის ხალხების გაძარცვისა და დამონების ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ე რ ხ ი ს შესახებ. მხოლოდ მუშები ეწევიან ჭეშმარიტი დემოკრატიის პოლიტიკას — თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ყველგან და ბოლომდე წინააღმდეგი არიან ყოველგვარი «მფარველობისა», ძარცვისა და ჩარევისა!

«პრავდა» № 146, 1912 წ. 18 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამარცხვინო რეზოლუცია

პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობის 10 ოქტომბრის რეზოლუციამ საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო.

რეზოლუცია ეხება ბალკანეთის ომს — მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას. რეზოლუცია მომდინარეობს გავლენიანი — ბურჟუაზიაში — საზოგადოებრივი დაწესებულებისაგან. რეზოლუცია ე რ თ ხ მ ა დ მიიღეს თავაშვებულმა რეაქციონერებმა და ლიბერალებმა.

ლიბერალი, თითქმის «დემოკრატი» (!?) და კადეტი, ფალბორკი «მხურვალე სიტყვაში» ამტკიცებდა ასეთი რეზოლუციის აუცილებლობას და მონაწილეობდა კომისიაში მის მომზადებაში, აგრეთვე მისთვის ხმის მიცემაში.

ეს რეზოლუცია კი ნიმუშია ბურჟუაზიული შოვინიზმისა, ნიმუშია ბურჟუაზიის არასაკადრისი ლაქიობისა «ძალაუფლების მპყრობელთა» წინაშე, ნიმუშია ბურჟუაზიის მიერ იმ პოლიტიკისათვის მხარდაჭერისა, რომელიც ხალხებს საზარბაზნე ხორცად აქცევს.

«პეტერბურგი, — ასეა ნათქვამი ბალკანეთის მეომარ სახელმწიფოთა დედაქალაქებისადმი მიმართულ რეზოლუციაში, — თქვენთან ერთად ცოცხლობს ჩაგრულ ხალხთა დამოუკიდებელი თავისუფლების იმ ნათელი მომავლის იმედით, რომლის გულისთვისაც თქვენ სისხლსა ღვრითო».

აი რა ფრაზებს ეფარება შოვინიზმი! ჩაგრულ ხალხებს არასოდეს და არსად არ მიუღწევიათ «თავისუფლებისათვის» ერთი ხალხის მიერ მეორის წინააღმდეგ ო მ ი ს საშუალებით. ხალხთა ომები მხოლოდ აძლიერებს ხალხთა დამონებას. ნამდვილი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა სლავი გლეხისა ბალკანეთში,

ისევე როგორც თურქი გლეხისა, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მ ხ ო ლ ო დ სრული თავისუფლებით თ ვ ი თ ე უ ლ ი ქვეყნის შიგნით და საესებით და ბოლომდე დემოკრატიულ სახელმწიფოთა ფედერაციით.

როგორც სლავი, ისე თურქი გლეხი ბალკანეთში ძმები არიან, რომლებსაც ერთნაირად «ჩაგრავენ» თავიანთი მემამულეები და თავიანთი მთავრობები.

აი სად არის ნამდვილი ჩაგვრა, აი სად არის ნამდვილი დაბრკოლება «დამოუკიდებლობისა» და «თავისუფლებისათვის».

რეაქციონერი და ლიბერალი შოვინისტები, რომლებიც პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობაში აშკარად გაერთიანდნენ (როგორც ისინი ფარულად არიან გაერთიანებულნი პრესაში, ვინაიდან «რეჩისა» და «ნოვოე ვრემიას» მსჯელობა ამ საკითხზე ა რ ს ე ბ ი თ ა დ ერთნაირია და მხოლოდ კილოთი და დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისაგან) — ეს შოვინისტები ქადაგებენ ხალხების გადაქცევას საზარბაზნე ხორცად!

«პრავდა» № 146, 1912 წ. 18 ოქტომბერი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ორი უტოპია

უტოპია ბერძნული სიტყვაა: «უ» ბერძნულად ნიშნავს «არას», «ტოპოს» — ადგილს. უტოპია არარსებული ადგილია, ფანტაზიაა, შეთხზული ამბავია, ზღაპარია.

უტოპია პოლიტიკაში იმგვარი სურვილია, რომლის განხორციელება არასგზით არ შეიძლება, არც ახლა, არც შემდეგში, — სურვილი, რომელიც საზოგადოებრივ ძალებს არ ეყრდნობა და რომელსაც არ ამაგრებს პოლიტიკური, კლასობრივი ძალების ზრდა, განვითარება.

რაც უფრო ნაკლებია თავისუფლება ქვეყანაში, რაც უფრო მცირეა კლასთა აშკარა ბრძოლის გამოვლინებანი, რაც უფრო დაბალია მ ა ს ე ბ ი ს განათლების დონე, — ჩვეულებრივად მით უფრო ადვილად წარმოიშვებიან პოლიტიკური უტოპიები და მით უფრო დიდხანს ძლებენ ისინი.

თანამედროვე რუსეთში ყველაზე მტკიცედ ძლებს და ერთგვარ გავლენას ახდენს მასებზე თავისი მიმზიდველობით ორგვარი პოლიტიკური უტოპია. ესენი არიან უტოპია ლიბერალური და უტოპია ნაროდნიკული.

ლიბერალური უტოპია იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს, მშვიდობით და თანხმობით, ვინმესთვის უწყენინებლად, პურიშკევიჩების გადაუყენებლად, გააფთრებული და ბოლომდე მიყვანილი კლასობრივი ბრძოლის გარეშე, მიღწეულ იქნეს რამდენადმე სერიოზული გაუმჯობესე-

ბანი რუსეთში, მის პოლიტიკურ თავისუფლებაში, მშრომელი ხალხის მასების მდგომარეობაში. ეს არის უტოპია თავისუფალი რუსეთის ზ ა ვ ი ს ა პურიშკევიჩებთან.

ნაროდნიკული უტოპია არის ნაროდნიკ ინტელიგენტისა და ტრუდოვიკ გლეხის ოცნება იმაზე, თითქოს შესაძლებელი იყოს მიწების ახალი და სამართლიანი განაწილების გზით კაპიტალის ძალაუფლებისა და ბატონობის მ ო ს პ ო ბ ა, დაქირავებული მონობის მოსპობა ან თითქოს შესაძლებელი იყოს მიწების «სამართლიანი», «გათანაბრებითი» განაწილების შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა კაპიტალის ბატონობის დროს, ფულის ძალაუფლების დროს, სასაქონლო წარმოების დროს.

რამ წარმოშვა ეს უტოპიები? რატომ ძლებენ ისინი საკმაოდ მტკიცედ თანამედროვე რუსეთში?

ისინი წარმოშობილი არიან იმ კლასთა ინტერესებით, რომლებიც ბრძოლას ეწევიან ძველი წესწყობილების, ბატონყმობის, უუფლებობის წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, «პურიშკევიჩების წინააღმდეგ», და რომლებსაც დამოუკიდებელი მდგომარეობა არ უჭირავთ ამ ბრძოლაში. უტოპია, ოცნება წარმოშობილია ამ არადამოუკიდებლობით, ამ ს ი ს უ ს ტ ი თ. მეოცნებეობა ს უ ს ტ თ ა ხვედრია.

საერთოდ ლიბერალური ბურჟუაზია და განსაკუთრებით ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია არ შეიძლება არ მიისწრაფოდეს თავისუფლებისა და კანონიერებისაკენ, ვინაიდან უამისოდ ბურჟუაზიის ბატონობა არ არის სრული, განუყოფელი, უზრუნველყოფილი. მაგრამ ბურჟუაზიას მასების მოძრაობისა უ ფ რ ო ეშინია, ვიდრე რეაქციისა. აქედან წარმოდგება ლიბერალიზმის განსაცვიფრებელი, წარმოუდგენელი ს ი ს უ ს ტ ე პოლიტიკაში, მისი სრული უძლურება. აქედან წარმოდგება დაუსრულებელი წყება ორაზროვნობისა, სიცრუისა, ფარისევლობისა, ლაჩრული თავდაძვრენისა ლიბერალების მთელ პოლიტიკაში, რომლებიც დემოკრატიზმს უ ნ დ ა თამაშობდნენ, რომ მასები მიიმხრონ, —

და რომლებიც ამავე დროს ღრმად ანტიდემოკრატიული არიან, უაღრესად მტრულად განწყობილი არიან მასების მოძრაობის მიმართ, მათი თაოსნობის, მათი ინიციატივის მიმართ, მათი იმ მანერის მიმართ, რომ «იერიში მიიტანონ ცაზე», როგორც თქვა ერთხელ მარქსმა ევროპის გასული საუკუნის ერთ-ერთი მასობრივი მოძრაობის შესახებ [86].

ლიბერალიზმის უტოპია არის უტოპია უძლურებისა რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების საქმეში, უტოპია ანგარებით აღსავსე ფულიანი ხალხისა, რომელსაც სურს «მშვიდობიანად» გაიყოს პრივილეგიები პურიშკევიჩებთან და ეს კეთილშობილური სურვილი გაასაღოს რუსეთის დემოკრატიის «მშვიდობიანი» გამარჯვების თეორიად. ლიბერალური უტოპია იმაზე ოცნებაა, რომ როგორმე გაიმარჯვონ პურიშკევიჩებზე ისე, რომ არ დაამარცხონ ისინი, როგორმე გატეხონ ისინი ისე, რომ არაფერი ატკინონ. ცხადია, ეს უტოპია მავნეა არა მარტო იმით, რომ იგი უტოპიაა, არამედ იმითაც, რომ იგი რ ყ ვ ნ ი ს მასების დემოკრატიულ შეგნებას. მასები, რომლებსაც სჯერათ ეს უტოპია, ვერასოდეს ვერ მოიპოვებენ თავისუფლებას; ასეთი მასები ღირსი არ არიან თავისუფლებისა; ასეთმა მასებმა სავსებით დაიმსახურეს, რომ მათ აბუჩად იგდებდნენ პურიშკევიჩები.

ნაროდნიკებისა და ტრუდოვიკების უტოპია არის ოცნება წვრილი მეპატრონისა, რომელიც კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის დგას, იმაზე, რომ დაქირავებული მონობა მოისპოს კლასობრივი ბრძოლის გაუჩაღებლად. როცა ეკონომიური განთავისუფლების საკითხი რუსეთისათვის ისეთივე უახლოესი, უშუალო, ს ა ჭ ი რ ბ ო რ ო ტ ო საკითხი გახდება, როგორიც ამჟამად პოლიტიკური განთავისუფლების საკითხია, მაშინ ნაროდნიკების უტოპია ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ მავნე აღმოჩნდება, ვიდრე ლიბერალების უტოპიაა.

მაგრამ ახლა რუსეთი ჯერ კიდევ განიცდის თავისი ბურჟუაზიული, და არა პროლეტარული გარდაქმნის ეპოქას; პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლების საკითხი კი არ მომწიფდა ბ ო ლ ო მ დ ე, არამედ პოლიტიკური თავის-

უფლების, ესე იგი (არსებითად) სრული ბურჟუაზიული თავისუფლების საკითხი.

ამ უკანასკნელ საკითხშიც ნაროდნიკების უტოპია თავისებურ ისტორიულ როლს ასრულებს. იგი უტოპიაა იმ საკითხში, თუ როგორი უნდა იყოს (და იქნება) მიწების ახალი განაწილების ეკონომიური შედეგები, ხოლო ამავე დროს თანამგზავრი და სიმპტომია გლეხთა მასების დიადი, მასობრივი დემოკრატიული აღმავლობისა, ე. ი. იმ მასებისა, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ბურჟუაზიულ-ბატონყმურ, თანამედროვე რუსეთში. (წმინდა ბურჟუაზიულ რუსეთში, ისევე როგორც წმინდა ბურჟუაზიულ ევროპაში, გლეხობა მოსახლეობის უმრავლესობა არ იქნება.)

ლიბერალების უტოპია რყვნის მასების დემოკრატიულ შეგნებას. ნაროდნიკების უტოპია რყვნის მათს სოციალისტურ შეგნებას, ხოლო ამავე დროს თანამგზავრი, სიმპტომი, ნაწილობრივ გამომხატველიც არის მათი დემოკრატიული აღმავლობისა.

ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ ანტიკაპიტალისტურ საშუალებად ნაროდნიკები და ტრუდოვიკები აყენებენ და ახორციელებენ მაქსიმალურად თანმიმდევრულ და გადამწყვეტ კაპიტალისტურ ღონისძიებას რუსეთში აგრარული საკითხის დარგში. მიწების ახალი განაწილების «გათანაბრებითობა» უტოპიაა, მაგრამ ყოველივე ძველთან, როგორც მემამულურ, ისე ნადელურ, ისე «სახაზინო» მიწათმფლობელობასთან კავშირის სავსებით გაწყვეტა, რაც აუცილებელია ახალი განაწილებისათვის, არის ყველაზე საჭირო, ეკონომიურად პროგრესული, ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც რუსეთია, ყველაზე აუცილებლად საჭირო ღონისძიება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით.

უნდა გვახსოვდეს ენგელსის შესანიშნავი თქმა:

«ფორმალურ-ეკონომიური აზრით ყალბი შეიძლება მსოფლიო-ისტორიული აზრით ჭეშმარიტება იყოს» [87].

ენგელსმა ეს ღრმა დებულება გამოთქვა უტოპიური სოციალიზმის შესახებ: ეს სოციალიზმი «ყალბი» იყო ფორმალურ-ეკონომიური აზრით. ეს სოციალიზმი «ყალბი» იყო, როცა ზედმეტ ღირებულებას უსამართლობად აცხადებდა გაცვლის კანონების თვალსაზრისით. ამ სოციალიზმის წინააღმდეგ მართალი იყვნენ ფორმალურ-ეკონომიური აზრით ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორეტიკოსები, ვინაიდან გაცვლის კანონებიდან ზედმეტი ღირებულება გამომდინარეობს სავსებით «ბუნებრივად», სავსებით «სამართლიანად».

მაგრამ უტოპიური სოციალიზმი მართალი იყო მსოფლიო-ისტორიული აზრით, ვინაიდან იგი იმ კლასის სიმპტომი, გამომხატველი, წინასწარ მაუწყებელი იყო, რომელიც, კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი, ახლა, XX საუკუნის დამდეგისათვის, გადაიქცა მასობრივ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს ბოლო მოუღოს კაპიტალიზმს და რომელიც შეუკავებლად მიდის აქეთკენ.

ენგელსის ღრმა დებულება აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, როცა შეფასებას ვაძლევთ თანამედროვე ნაროდნიკულ ან ტრუდოვიკულ უტოპიას რუსეთში (შესაძლოა არა მარტო რუსეთში, არამედ აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებში, რომლებიც XX საუკუნეში ბურჟუაზიულ რევოლუციებს განიცდიან).

ფორმალურ-ეკონომიური აზრით ყალბი, ნაროდნიკული დემოკრატიზმი ჭეშმარიტებაა ისტორიული აზრით; ყალბი, როგორც სოციალისტური უტოპია, ეს დემოკრატიზმი ჭეშმარიტებაა გლეხთა მასების იმ თავისებური ისტორიულად განპირობებული დემოკრატიული ბრძოლისა, რომელიც ბურჟუაზიული გარდაქმნის განუყრელ ელემენტს და მისი სრული გამარჯვების პირობას შეადგენს.

ლიბერალური უტოპია გლეხთა მასებს ბრძოლას გადაარჩევს ხოლმე. ნაროდნიკული უტოპია გამოხატავს მათი ბრძოლის მისწრაფებას, აღუთქვამს მათ გამარჯვებისათვის

მილიონ სიკეთეს, მაშინ როცა სინამდვილეში ეს გამარჯვება მხოლოდ ას სიკეთეს მოიტანს. მაგრამ განა ბუნებრივი არ არის, რომ მილიონობით მასები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ უმაგალითო სიბნელეში, გაჭირვებაში, სილატაკეში, სიბინძურეში, სიდუხჭირეში, დაბეჩავებაში, ათჯერ გადაჭარბებით წარმოიდგენენ შესაძლო გამარჯვების ნაყოფს?

ლიბერალური უტოპია დაფარვაა ახალი ექსპლოატატორების ანგარებითი სურვილისა — გაიყონ პრივილეგიები ძველ ექსპლოატატორებთან. ნაროდნიკული უტოპია გამოხატულებაა წვრილი ბურჟუაზიის მილიონობით მშრომელთა მისწრაფებისა ს ა ვ ს ე ბ ი თ მოუღონ ბოლო ძველ, ფეოდალ ექსპლოატატორებს და ყალბი იმედია — «თანვე» მოსპონ ახალი, კაპიტალისტი ექსპლოატატორები.

ცხადია, რომ მარქსისტები, რომლებიც მტრულად უყურებენ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ უტოპიას, უნდა იცავდნენ იმ კლასის დამოუკიდებლობას, რომელსაც შეუძლია თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ა დ იბრძოლოს ფეოდალიზმის წინააღმდეგ სწორედ იმიტომ, რომ იგი მეასედითაც არ «ჩაფლობილა» საკუთრების იმ მონაწილეობაში, რომელიც ბურჟუაზიას ფეოდალთა ორჭოფ მოწინააღმდეგედ, ხოლო ხშირად მოკავშირედაც კი ხდის. გლეხები «ჩაეფლნენ» წვრილ სასაქონლო წარმოებაში; მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ ისტორიულ გარემოებათა ხელსაყრელი შეხამებისას მიაღწიონ ფეოდალიზმის სავსებით სრულ აღმოფხვრას, მაგრამ ისინი არა შემთხვევით, არამედ გარდუვალად ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გამოიჩენენ ერთგვარ მერყეობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ლიბერალიზმსა და მარქსიზმს შორის.

ცხადია, რომ მარქსისტებმა მზრუნველობით უნდა გამოყონ ნაროდნიკული უტოპიების ჩენჩოდან გლეხთა მასების გულწრფელი, გაბედული, მებრძოლი დემოკრატიზმის საღი და ძვირფასი ბირთვი.

ძველ მარქსისტულ, გასული საუკუნის 80-იან წლების, ლიტერატურაში შეიძლება ნახოთ ამ ძვირფასი დემოკრატიული ბირთვის გამოყოფის სისტემატურად გატარებული მისწრაფება. ოდესმე ისტორიკოსები სისტემატურად შეისწავლიან ამ მისწრაფებას და გამოიკვლევენ მის კავშირს იმასთან, რამაც «ბოლშევიზმის» სახელწოდება მიიღო XX საუკუნის პირველ ათეულ წელიწადში.

დაწერილია 1912 წ. ოქტომბერში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «ეიზნში» № 1
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დავა ინგლისში ლიბერალურ მუშათა პოლიტიკაზე

ცნობილია, რომ ინგლისში ორი მუშათა პარტიაა: სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ახლა «ბრიტანეთის სოციალისტური პარტია» ეწოდებათ, და ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი მუშათა პარტია».

ეს გათიშვა ინგლისის სოციალისტურ მუშათა მოძრაობაში შემთხვევითი როდია. იგი დიდი ხნის წარმოშობილია. იგი წარმოშობილია ინგლისის ისტორიის თავისებურებებით. ინგლისში ყველაზე ადრე განვითარდა კაპიტალიზმი და ინგლისი დიდხანს იყო მთელი მსოფლიოს «საფაბრიკო სახელოსნო». ამ განსაკუთრებულმა, მონოპოლიურმა, მდგომარეობამ ინგლისში ცხოვრების შედარებით გვარიანი პირობები შეუქმნა მ უ შ ა თ ა ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა ს, ე. ი. გაწვრთნილი, კარგ-ხელფასიანი მუშების უმცირესობას.

აქედან წარმოდგება მეშჩანური, ამქრული სულისკვეთება ამ მუშათა არისტოკრატიაში, რომელიც სწყდებოდა რა თავის კლასს, მიჰყვებოდა ლიბერალებს და დაცინვით ეპყრობოდა სოციალიზმს როგორც «უტოპიას». სწორედ «დამოუკიდებელი მუშათა პარტია» არის ლიბერალური მუშათა პოლიტიკის პარტია. სამართლიანად ამბობენ, რომ ეს პარტია მხოლოდ სოციალიზმისაგანაა «დამოუკიდებელი», ლიბერალიზმისაგან კი ძალიან დამოკიდებულიაო.

ამ ბოლო დროს ინგლისის მონოპოლიას საბოლოოდ გამოეთხარა ძირი. ცხოვრების წინანდელი შედარებით გვარიანი

პირობები უკიდურესი გაჭირვებით შეიცვალა ცხოვრების სიძვირის გამო. უაღრესად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, ხოლო ამ გამწვავებასთან ერთად ნიადაგი ეცლება ოპორტუნიზმს, ისპობა მუშათა კლასში ლიბერალური მუშათა პოლიტიკის იდეების გავრცელების ყოფილი საფუძველი.

სანამ ეს იდეები კიდევ გავრცელებული იყო ინგლისის მუშების მნიშვნელოვან ნაწილში, მუშათა შორის გათიშვის მოსპობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ფრაზებითა და სურვილებით არ შეიძლება შ ე ი ქ მ ნ ა ს ერთიანობა, სანამ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა ლიბერალური მუშათა პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ ა ხ ლ ა ეს ერთიანობა მართლაც შესაძლებელი ხდება, ვინაიდან თ ვ ი თ «დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში» ი ზ რ დ ე ბ ა პ რ ო ტ ე ს ტ ი ლიბერალური მუშათა პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩვენს წინაშეა ამ პარტიის ოფიციალური ანგარიში მისი უკანასკნელი ყრილობის, «XX წლიური კონფერენციის», შესახებ, რომელიც შედგა მერტირში (Merthyr) 1912 წლის 27 და 28 მაისს. ამ ანგარიშში უაღრესად საინტერესოა კამათი «საპარლამენტო ტაქტიკის» საკითხზე; არსებითად ეს იყო კამათი უფრო ღრმა საკითხზე, სოციალ-დემოკრატიულ და ლიბერალურ მუშათა პოლიტიკაზე, თუმცა ორატორები ამ გამოთქმებს არ ხმარობდნენ.

ყრილობაზე კამათი გახსნა პარლამენტის წევრმა ჯოუეტმა. მან ლიბერალებისათვის მხარდაჭერის წინააღმდეგ შეიტანა რეზოლუცია, რომლის შესახებ ჩვენ ახლა უფრო დაწვრილებით ვიტყვით, ხოლო მისმა თანამოაზრემ კონუეიმ, რომელიც მხარს უჭერდა მის რეზოლუციას, პირდაპირ განაცხადა: «რიგითი მუშა ყოველთვის იძლევა კითხვას: აქვს თუ არა მუშათა პარტიას პარლამენტში თავისი დამოუკიდებელი ხაზი?». მუშებში ძლიერდება ეჭვი, რომ მუშათა პარტია ლიბერალების «ტყვეობაშია». «ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ვრცელდება შეხედულება, რომ მუშათა პარტია მხოლოდ ლიბერალური

პარტიის ფრთაა». უნდა შევნიშნოთ, რომ «მუშათა პარტიას» პარლამენტში შეადგენენ არამარტოის დეპუტატები, რომლებიც «დამოუკიდებელ მუშათა პარტიას» ეკუთვნიან, არამედ პროფესიული კავშირების მიერ გაყვანილი დეპუტატებიც. ასეთი დეპუტატები თავს უწოდებენ მუშათა დეპუტატებს და «მუშათა პარტიის» წევრებს, თუმცა «დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში» არ შედიან. ინგლისელმა ოპორტუნისტებმა განახორციელეს ის, რისკენაც ესოდენ ხშირად იხრებიან სხვა ქვეყნების ოპორტუნისტები, სახელდობრ: ოპორტუნისტი «სოციალისტი» დეპუტატების შეერთება ვითომდა უპარტიო პროფესიული კავშირების დეპუტატებთან. ყბადაღებული «ფართო მუშათა პარტია», რომელზეც ლაპარაკობდა ჩვენში 1906 — 1907 წლებში ზოგიერთი მენშევიკი, განხორციელებულია ინგლისში და მხოლოდ ინგლისში.

თავისი შეხედულებებისათვის პრაქტიკული გამოხატულება რომ მიეცა, ჯოუეტმა შეიტანა რეზოლუცია. იგი შედგენილია წმინდად «ინგლისურად»: არავითარი ზოგადი პრინციპები (ინგლისელები ამაყობენ თავიანთი «პრაქტიციზმით» და იმით, რომ არ უყვართ ზოგადი პრინციპები; ეს მუშათა მოძრაობაში იმავე ამქრული სულისკვეთების გამოხატულებაა). რეზოლუცია მოუწოდებდა თემთა პალატის მუშათა ჯგუფს უგულებელყო (უყურადღებოდ დაეტოვებინა) ყოველგვარი დამუქრება იმით, რომ ლიბერალური სამინისტრო შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს და, მაშასადამე, იძულებული გახდეს გადადგეს, — და ხმა მიეცა თვითეულ საკითხზე მტკიცედ (steadfastly), როგორც ღირსია საქმის არსი (on the merits of the questions).

ჯოუეტი თავისი რეზოლუციით ჯიქურ მიუდგა საკითხს. ლიბერალური სამინისტრო ინგლისში, ისევე როგორც მთელი ლიბერალური პარტია, მთელი ძალღონით შთააგონებს მუშებს: უნდა შევაერთოთ ძალები რეაქციის წინააღმდეგ (ე. ი.

კონსერვატიული პარტიის წინააღმდეგ); უნდა გავუფრთხილდეთ ლიბერალურ უმრავლესობას, რომელიც შეიძლება დადნეს, თუ მუშებმა ლიბერალებთან ერთად არ მისცეს ხმა; მუშები არ უნდა განცალკევდნენ, ისინი ლიბერალებს უნდა უჭერდნენ მხარსო. და აი ჯოუეტი ნათლად აყენებს კითხვას: ხმა მიეცით «მტკიცედ», ანგარიშს ნუ გაუწევთ ლიბერალური სამინისტროს დაცემის მუქარას, ხმა მიეცით არა ისე, როგორც ლიბერალური პარტიის ინტერესი მოითხოვს, არამედ ისე, როგორც ღირსია საქმის არსი, ე. ი. — მარქსისტული ენით რომ ვთქვათ — აწარმოეთ დამოუკიდებელი პროლეტარული კლასობრივი პოლიტიკა და არა ლიბერალური მუშათა პოლიტიკაო.

(«დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» რიგებში მარქსიზმს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ უარყოფენ და ამიტომ მარქსისტულ ენას სრულებით არ ხმარობენ.)

ჯოუეტს მაშინვე თავს დაესხნენ პარტიაში გაბატონებული ოპორტუნისტები. და — დამახასიათებელი ამბავია! — თავს დაესხნენ სწორედ როგორც ოპორტუნისტები, შემოვლით, მიკიბ-მოკიბულად. მათ არ ისურვეს პ ი რ დ ა პ ი რ ეთქვათ, რომ ლიბერალებისათვის მხარდაჭერის მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან. მათ თავიანთი აზრი გამოთქვეს ზ ო გ ა დ ი ფ რ ა ზ ე ბ ი ს საშუალებით, თანაც აუცილებლად მოიხსენიეს მუშათა კლასის «დამოუკიდებლობა». ერთი სიტყვით, მოიქცნენ მთლად ჩვენი ლიკვიდატორებივით, რომლებიც ყოველთვის განსაკუთრებით ძლიერ გაჰყვირიან მუშათა კლასის «დამოუკიდებლობაზე» სწორედ იმ მომენტში, როცა ემზადებიან ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ეს დამოუკიდებლობა ლიბერალური მუშათა პოლიტიკით შეცვალონ.

ოპორტუნისტული უმრავლესობის წარმომადგენელმა, მერეიმ, შეიტანა შემდეგი შინაარსის «შესწორება», ე. ი. კონტრრეზოლუცია:

«კონფერენცია აღიარებს, რომ მუშათა პარტიამ, თავისი მიზნების შეკეთ მისაღწევად, კვლავ უნდა გაითვალისწინოს თავისი ტაქტიკის ყველ»

შესაძლო შედეგი, როგორც უშუალო, ისე მეშვეობითი, ამასთან ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ მის გადაწყვეტილებებს უნდა წარმართავდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი ინტერესები, როგორც პარტიისა, და მისწრაფება გაადიდოს მისი მიზნების მისაღწევად მოხერხებულ შემთხვევათა რიცხვი».

შეადარეთ ერთმანეთს ეს რეზოლუციები. ჯოუეტი ნათლად მოითხოვს ლიბერალებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტას, მერეი კი ხმარობს არაფრის მთქმელ, ფრიად კეთილსახიერ და ერთი შეხედვით უდავო ზოგად ფრაზებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ფრაზები ფარავენ სწორედ ლიბერალებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკას. მერეი მარქსს რომ იცნობდეს და მარქსიზმის პატივისმცემელი ადამიანების წინაშე რომ გამოდიოდეს, მისთვის სულ იოლი საქმე იქნებოდა შეეფერადებინა თავისი ოპორტუნიზმი მარქსისტული გამოთქმებით და ეთქვა, რომ მარქსიზმი მოითხოვს თვითეული შემთხვევის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებას, რომ ჩვენ ხელ-ფეხს არ ვიბორკავთ, რომ, ვინარჩუნებთ რა ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენ «ვიყენებთ კონფლიქტებს», «ხელს ვეჭიდებთ» არსებული რეჟიმის «წინააღმდეგობათა აქილევსის ქუსლს» და სხვ. და ა. შ.

ოპორტუნიზმი შეიძლება გამოიხატოს როგორიც გნებავთ დოქტრინის ტერმინებით, მათ შორის აგრეთვე მარქსიზმის ტერმინებითაც. მთელი თავისებურება «მარქსიზმის ბედისა» რუსეთში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არა მარტო მუშათა პარტიის ოპორტუნიზმს, არამედ ლიბერალური პარტიის ოპორტუნიზმსაც (იზგოევი და კომპ.) მარქსიზმის «ტერმინებით» გამოწყობა უყვარს! მაგრამ ეს სხვათა შორის. დავბრუნდეთ მერტირში.

ჯოუეტს მხარი დაუჭირა მაკ-ლაჰლანმა.

«რაში მდგომარეობს პოლიტიკური პარტიის ინტერესები? — ამბობდა იგი. — განა მარტო იმაში, რომ თემთა პალატაში დეპუტატთა ადგილები შევინარჩუნოთ? თუ მხედველობაში ვიქონიებთ პარტიის ნამდვილ ინტერესებს, მაშინ მუშებს — კაცებს თუ ქალებს — პარლამენტის გარეთ ისევე უნდა გავუწიოთ ანგარიში, როგორც დეპუტატებს პარლამენტში. ჩვენ

სოციალისტური ორგანიზაცია ვართ. ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩვენს პრინციპებს უნდა ვახორციელებდეთო».

და მაკ-ლაჰლანმა დაიმოწმა ხმის მიცემა ჰესველის საპყრობილეში მომხდარი შემთხვევის გამო: იქ დაპატიმრებული პატარა ბიჭი წამებით მოკლეს. შეკითხვა პარლამენტში. ლიბერალურ სამინისტროს დამხობა მოელის: ინგლისი პრუსია როდია, და სამინისტრო, რომელიც უმცირესობაში რჩება, უნდა გადადგეს. და აი მუშა დეპუტატები, სამინისტრო რომ იხსნან, ხმას აძლევენ მტანჯველის გამართლებას.

მუშათა პარტია — ამბობდა მაკ-ლაჰლანი — მუდამ ანგარიშს უწევს იმას, თუ როგორ იმოქმედებს მისი ხმის მიცემა მთავრობის ბედზე. სამინისტრო დაეცემა — პარლამენტს დაითხოვენ — ახალ არჩევნებს დანიშნავენო. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საშიში. სამინისტროთა დაცემისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შედეგი იქნებოდა ო რ ი ვ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ს შ ე ე რ თ ე ბ ა (მაკ-ლაჰლანმა თქვა მხოლოდ «ორივე პარტიის», არ უხსენებია «ბურჟუაზიული»: ინგლისელებს მარქსისტული ტერმინები არ უყვართ!). მ ა გ რ ა მ, რ ა ც უ ფ რ ო მ ა ლ ე შ ე ე რ თ დ ე ბ ო დ ა ო რ ი ვ ე ე ს პ ა რ ტ ი ა, მ ი თ უ ქ ე თ ე ს ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა ჩ ვ ე ნ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. რასაც ჩვენი პროპაგანდისტები ამბობენ, იმას ცხოვრებაში უნდა ატარებდნენ ჩვენი დეპუტატები პარლამენტში. სანამ ეს ასე არ იქნება, მუშა-ტორი (ე. ი. კონსერვატორი) ა რ ა ს ო დ ე ს ა რ დ ა ი ჯ ე რ ე ბ ს, რ ო მ რ ა ი მ ე გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ა ლ ი ბ ე რ ა ლ ურ დ ა მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა ს შ ო რ ი ს. დაე თუნდაც დავკარგოთ ჩვენი ადგილები პარლამენტში, მაგრამ თუ ჩვენს პრინციპებს დავიცავთ, ამით მეტ სარგებლობას მოვიტანთ, ვიდრე იმის ცდებით, რომ ლიბერალური მთავრობის გული მოვიგოთ მისგან დათმობათა მიღების გულისთვისო!

კეირ ჰარდი, პარლამენტის წევრი, პარტიის ბელადია. იგი თავს იძვრენს და მელაკუდობს...

«კაცმა რომ თქვას, ქანქარასებური მდგომარეობა ჩვენ პარლამენტში არა გვაქვს: ლიბერალები და ირლანდიელები ტორებისა და მუშების კავშირზე უფრო ძლიერი არიან... ჰესველში წამების საქმეზე მე ხმა მივეცი მთავრობის სასარგებლოდ იმ რწმენით, რომ ასეთი ხმის მიცემა სწორი იყო არსებითად, და არა მთავრობისათვის მხარდასაჭერად. წამება უეჭველად იყო, და ჩვენ ყველანი პარლამენტში მივდიოდით იმ გადაწყვეტილებით, რომ ხმა მიგვეცა მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ პარლამენტში ჩვენ მოვუსმინეთ მოწინააღმდეგე მხარეს, და აღმოჩნდა, რომ თუმცა გამგეს ბრალი მიუძღვის სისასტიკეში, მაგრამ საერთოდ დაწესებულება საუკეთესოა სამეფოში. ასეთ პირობებში სწორი არ იქნებოდა ხმა მიგვეცა მთავრობის წინააღმდეგ... (აი სადამდე მიიყვანეს ინგლისელმა ოპორტუნისტებმა მუშათა პარტია: ბელადს კი არ უსტვინეს ასეთი სიტყვებისათვის, არამედ მშვიდად უსმენდნენ!)...

ბრალი მიუძღვით არა «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» წევრებს. მუშათა პარტიაში შევიდა მაღაროელთა ფედერაცია, ხოლო როცა მაღაროელთა დეპუტატები მუშათა ჯგუფში შევიდნენ, ა ღ მ ო ჩ ნ დ ა, რ ო მ ი ს ი ნ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ. და მათ თავიანთი შეხედულებანი არ შეუცვლიათ. ისინი მუშათა პარტიას შეუერთდნენ მ ხ ო ლ ო დ ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ა დ...

ჯოუეტის რეზოლუციას პარლამენტარიზმის მთელი სისტემა აბსურდამდე დაჰყავს. ყოველგვარი კენჭისყრის შედეგები აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

...ჩემი რჩევა იქნება გადაიდოს რეზოლუციაც და შესწორებაც»(!!!).

ლენსბერი მხარს უჭერს ჯოუეტის რეზოლუციას:

«კეირ ჰარდი ტყუილად ცდილობდა სულელურ და სასაცილო რამედ წარმოედგინა ეს რეზოლუცია, თითქოს იგი შეიცავს წინადადებას კენჭისყრა მოხდეს ცალკეული საკითხების მიხედვით, საქმის ყველა გარემოების გაუთვალისწინებლად. რეზოლუცია წინადადებას იძლევა ანგარიში არ გაეწიოს მ ხ ო ლ ო დ იმ მოსაზრებას, თუ როგორი იქნება კენჭისყრის შედეგი მთავრობის სიმტკიცის მიმართ. მე სოციალიზმი გავიზიარე, რადგან შემეზიზღა ის ხერხები, რასაც მიმართავენ პოლიტიკური საქმოსნები, რომლებსაც თავიანთ ხელში ჰყავთ თემთა პალატა კერძო კრებებისა და დეპუტატთა «მიმართულების» საშუალებით. და ჩემმა გამოცდილებამ დამანახვა, რომ ყოველი აღძრული საკითხი განიხილებოდა სწორედ იმ თვალსაზრისით, თუ რა გავლენას მოახდენს მთავრობის ბედზე ესა თუ ის კენჭისყრა.

მუშათა-პარტიას თითქმის სრულებით არ შეუძლია გაემიჯნოს ლიბერალურ პარტიას. მე არ ვიცი კანონმდებლობის ისეთი საკითხი, რომელშიც მუშათა პარტიას მოეხერხებინოს ლიბერალებისაგან გამიჯვნა. როგორც პარტია, ჩვენ მთავრობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი ვიყავით მუშათა დაზღვევის საკითხში. მუშათა პარტია მუდამ ხმას აძლევდა მთავრობას და მის პროექტებს.

ჰესველის გამასწორებელი დაწესებულების საკითხზე კენჭისყრა სირცხვილის გრძნობას იწვევს ჩემში. ფაქტია, რომ პატარა ბიჭს აწამებდნენ, იგი მოკვდა წამებისაგან, ჩვენ კი ხმას ვაძლევთ მთავრობას და ვამართლებთ მტანჯველს! ჩვენი «წამებიდგებლები» («rohips» — განმკარგულებლები ან იმისათვის რწმუნებულნი, რომ თვალყური ადევნონ თავიანთი ფრაქციის კენჭისყრას) მთელ პალატაში დარბოდნენ, კრებდნენ მუშა დეპუტატებს, რათა არ დაეშვათ მთავრობის დამარცხება... ადამიანები მიაჩვიო ხმა მისცენ სინდისის წინააღმდეგ — ეს იმას ნიშნავს, რომ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცე დემოკრატიის მომავალს ჩვენს სამშობლოში»...

ფილიპ სნოუდენი, პარლამენტის წევრი, ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული ოპორტუნისტი, გველივით იკლაკნება.

«ჩემი ბრძოლის ინსტინქტი მიკარნახებს ხმა მივცე რეზოლუციას, მაგრამ ჩემი სიღი გონება, ჩემი ჭკუა, ჩემი გამოცდილება მავალებს ხმა მივცე წინააღმდეგ. მე თანახმა ვარ, რომ ახლანდელი საპარლამენტო სისტემა დემორალიზაციას ახდენს იმათში, ვინც პარლამენტში მოვიდა იდეალიზმითა და პოლიტიკური ენთუზიაზმით აღფრთოვანებული, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ჯოუეტის რეზოლუციის მიღებამ არსებითი ცვლილება მოახდინოს. საქმის არსის განხილვისას არ შეიძლება დავჯერდეთ მარტო მოცემული შემთხვევის გარემოებებს. არის საკითხები, რომლებიც მუშათა პარტიისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კენჭისყრის როგორიც უნდა იყოს შედეგები მთავრობისათვის — ასეთია, მაგალითად, ქალთა საარჩევნო უფლების საკითხი, — მაგრამ განა შეიძლება უგულებელყოთ ყოველ წვრილმან საკითხზე კენჭისყრის შედეგები? ასეთი პოლიტიკა ხშირი საერთო არჩევნების აუცილებლობას გამოიწვევდა, ხოლო საზოგადოებისათვის ამაზე უფრო არასასიამოვნო არაფერია... პოლიტიკა კომპრომისია».

კენჭისყრის დროს რეზოლუციამ მიიღო 73 ხმა, წინააღმდეგ მიცემულ იქნა 195 ხმა.

ოპორტუნისტებმა გაიმარჯვეს. ეს გასაკვირველი არ არის ისეთ ოპორტუნისტულ პარტიაში, როგორიც არის ინგლისის «დამოუკიდებელი მუშათა პარტია». მაგრამ ოპორტუნიზმი

ოპოზიციას რომ იწვევს თვით ამ პარტიის რიგებში, — ეს ახლა საბოლოოდ გამორკვეული ფაქტია.

ოპორტუნიზმის მოწინააღმდეგენი ბევრად უფრო სწორად მოიქცნენ, ვიდრე იქცევიან ხშირად მათი თანამოაზრენი გერმანიაში, იცავენ რა დამპალ კომპრომისებს ოპორტუნისტებთან. თავისი რეზოლუციით აშკარად გამოსვლამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპული კამათი გამოიწვია, და ინგლისის მუშათა კლასზე ეს კამათი ღრმა გავლენას მოახდენს. ლიბერალური მუშათა პოლიტიკა არსებობას ინარჩუნებს ტრადიციით, რუტინით, ოპორტუნისტ წინამძღოლთა გაქნილობით, მაგრამ მისი კრახი პროლეტარიატის მასაში გარდუვალია.

დაწერილია 1912 წ. ოქტომბერში

ბირველად დაიბეჭდა 1913 წ. აპრილში ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 4

ხელმოწერა: W.

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

კადეტი პროფესორი

კადეტთა პარტიის ერთ-ერთი კანდიდატი, ბ-ნი პროფესორი ტუგან-ბარანოვსკი რუსეთის იმ ეკონომისტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ახალგაზრდობაში თითქმის-მარქსისტები იყვნენ, შემდეგ კი მალე «მოჭკვიანდნენ», «შეასწორეს» მარქსი ბურჟუაზიული თეორიების ნაგლეჯებით და დიდი რენეგატული დამსახურების გამო უზრუნველყვეს თავიანთთვის უნივერსიტეტის კათედრები, რომ მეცნიერულად გააბრიყვონ სტუდენტები.

მარქსისტობიდან ლიბერალად ქცეულმა ბ-ნმა ტუგანმა ამ დღეებში გაზეთ «რეჩში» შემოგვთავაზა, საჭირბოროტო საკითხზე ცხოვრების სიძვირის შესახებ, შემდეგი მსჯელობა:

«ჩემი (?) თვალსაზრისით, ცხოვრების გაძვირების ძირითადი (დახე!) მიზეზი სავსებით ნათელია. ეს არის მოსახლეობის უდიდესი ზრდა, თანაც უმთავრესად ქალაქის მოსახლეობისა. მოსახლეობის ზრდა იწვევს გადასვლას დამუშავების უფრო ინტენსიურ ხერხებზე, რაც სასოფლო-სამეურნეო შრომის კ ლ ე ბ ა დ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ც ნ ო ბ ი ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ იწვევს პროდუქტის ერთეულის ღირებულების გადიდებას».

ბ-ნ ტუგანს უყვარს ყვირილი: «მე», «ჩემი». სინამდვილეში იგი მარქსის მიერ დიდი ხნის წინათ გაბათილებულ ბურჟუაზიულ მოძღვრებათა ნაგლეჯებს იმეორებს.

«კლებადი ნაყოფიერების ცნობილი კანონი» ძველი ბურჟუაზიული ნაგავია, რომელიც ემსახურება კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა ს უმეცართა და ბურჟუაზიის დაქირავებულ მეცნიერთა ხელში. მარქსმა დიდი ხანია გააბათილა

ეს «კანონი», რომელიც ბრალს აკისრებს ბ უ ნ ე ბ ა ს (შრომის ნაყოფიერება ეცემა, — აქ ვერაფერს ვერ იზამო!), მაშინ როცა სინამდვილეში ბრალი მიუძღვის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ წყობილებას.

«სასოფლო-სამეურნეო შრომის კლებადი ნაყოფიერების კანონი» ბურჟუაზიული სიცრუეა. რ ე ნ ტ ი ს, ესე იგი მიწის მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა შემოსავლის, ზრდის კანონი კაპიტალიზმის დროს სიმართლეა.

ცხოვრების სიძვირის ერთ-ერთი მიზეზია მიწის მონოპოლია, ე. ი. მისი ყოფნა კერძო საკუთრებაში. ამიტომ მიწათმფლობელები სულ უფრო მეტ ხარკს იღებენ შრომის მ ზ ა რ დ ი ნაყოფიერებისაგან. მხოლოდ მუშების დარაზმვა თავიანთი ინტერესების დასაცავად, მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობა მოუღებს ბოლოს სიძვირეს.

მხოლოდ ბურჟუაზიის ლაქიებს, როგორიც არის კადეტი ბ-ნი ტუგანი, შეუძლიათ იცავდნენ ზღაპარს სასოფლო-სამეურნეო შრომის კლებადი ნაყოფიერების «კანონის» შესახებ.

«პრავდა» № 147, 1912 წ. 19 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მსოფლიო ისტორიის ახალი თავი

მთელი ევროპის ბურჟუაზიული პრესაც კი, რომელიც რეაქციული და ანგარებითი მიზნებით იცავდა ყბადაღებულ status quo-ს (სტატუს კვო — წინანდელი, უცვლელი მდგომარეობა) ბალკანეთში, ახლა ერთსულოვნად აღიარებს, რომ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი თავი.

თურქეთის განადგურება უეჭველია. ოთხთა კავშირში გაერთიანებულ ბალკანეთის სახელმწიფოთა (სერბია, ბულგარეთი, ჩერნოგორია, საბერძნეთი) გამარჯვებანი უდიდესია. ამ ოთხი სახელმწიფოს კავშირი ფაქტი გახდა. «ბალკანეთი ბალკანეთის ხალხებს» — ეს უკვე მიღწეულია.

რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ისტორიის ახალ თავს?

აღმოსავლეთ ევროპაში (ავსტრია, ბალკანეთი, რუსეთი) — დღემდე კიდევ აღმოფხვრილი არ არის შუასაუკუნეობრიობის მძლავრი ნაშთები, რომლებიც საშინლად აფერხებენ საზოგადოებრივ განვითარებას და პროლეტარიატის ზრდას. ეს ნაშთებია — აბსოლუტიზმი (შეუზღუდავი თვითმპყრობელური ძალაუფლება), ფეოდალიზმი (მებატონე-მემამულეთა მიწათმფლობელობა და პრივილეგიები) და ეროვნებათა ჩახშობა.

ბალკანეთის ქვეყნების შეგნებულმა მუშებმა პირველმა წამოაყენეს ბალკანეთში ეროვნული საკითხის თანმიმდევრული დემოკრატიული გადაწყვეტის ლოზუნგი. ეს ლოზუნგია: ბალკანეთის ფედერაციული რესპუბლიკა. ბალკანეთის ახლანდელ სახელმწიფოებში დემოკრატიული კლასების სისუსტემ (პროლეტარიატი მრავალრიცხოვანი არ არის,

გლეხები დაბეჩავებულნი, დაქსაქსულნი, უცოდინარნი არიან) გამოიწვია ის, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად აუცილებელი კავშირი ბალკანეთის მონარქიების კავშირი გახდა.

ეროვნულმა საკითხმა ბალკანეთში უდიდესი ნაბიჯი გადადგა თავისი გადაწყვეტისაკენ. მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ახლა მ ა რ ტ ო რ უ ს ე თ ი რჩება ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთში მონარქიების კავშირი შეიქმნა და არა რესპუბლიკების კავშირი, — მიუხედავად იმისა, რომ კავშირი განხორციელდა ომის მეოხებით და არა რევოლუციის მეოხებით, — მიუხედავად ამისა, გადადგმულია უდიდესი ნაბიჯი მთელ აღმოსავლეთ ევროპაში შუასაუკუნეობრიობის ნაშთების დანგრევისაკენ. და ნაადრევად ხარობთ, ბატონო ნაციონალისტებო! ეს ნაბიჯი თქვენს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ არის, ვინაიდან რუსეთში ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ი ა შუასაუკუნეობრიობის ნაშთები!

ხოლო დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატი კიდევ უფრო ძლიერად აცხადებს ლოზუნგს: არავითარი ჩარევა! ბალკანეთი — ბალკანეთის ხალხებს!

«პრავდა» № 149, 1912 წ. 21 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კადეტები და ნაციონალისტები

როცა ჩვენ აღვნიშნავდით, რომ კადეტები თავიანთი ძირითადი შეხედულებებით ნაციონალ-ლიბერალები არიან, რომ ისინი სრულიად **არა დემოკრატიულად** აყენებენ ეროვნულ საკითხს, «რეჩი» მწყრალად და ქედმაღლურად გვიპასუხებდა, ბრალს გვდებდა უცოდინარობასა და დამახინჯებებში.

აი დოკუმენტი, მრავალთაგან ერთი. დაე განსაჯონ მკითხველებმა და ამომრჩევლებმა.

18 ოქტომბერს ბ-ნ მ. მ. კოვალევსკისთან «სლავთა საკითხით დაინტერესებული პირების წრის» მეორე კრება იყო. წაიკითხეს საზოგადოებისადმი მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ ე. ანიჩკოვი, კარეევი, ლ. პანტელეევი (კანდიდატად იყო კ.-დ-ებისაგან), გ. ფალბორკი, შემდეგ, რასაკვირველია, ბ-ნი მ. მ. კოვალევსკი და სხვ.

ხომ არ მოისურვებს «რეჩი» თავი დაიძვრინოს კარეევის, პანტელეევისა და კომპანიისათვის პასუხისმგებლობისაგან?

ლიბერალთა მიმართვა საზოგადოებისადმი იმაში მდგომარეობს, რომ:

«**რუსის გული საერთოდ აღმავლობაში**... ძველს სლავებისადმი თანაგრძნობით **და იმ იმედით, რომ რუსული ეროვნული თვითშეგნება ხელს შეუწყობს** მათ მიერ თავიანთ გამარჯვებათა ნაყოფის შენარჩუნებას».

რით განსხვავდება ეს «ნოვოე ვრემიასა» და კომპანიის ნაციონალიზმისა და შოვინიზმისაგან? მხოლოდ თეთრი ხელთათმანებით და უფრო დიპლომატიური ფრთხილი გამო-

თქმებით. მაგრამ შოვინიზმი თეთრი ხელთათმანებითა და უაღრესად დახვეწილი გამოთქმებითაც საზიზღარია.

დემოკრატია არასოდეს არ ილაპარაკებს «საერთო აღმავლობაზე», როცა იქვე გვერდით (და ზევით!) დგანან რუსი ნაციონალისტები, რომლებიც ყოველნაირად ჩაგრავენ მთელ რიგ ხალხებს.

დემოკრატია არასოდეს არ მოითმენს, რომ საერთოდ სლავი დაუპირდაპირონ თურქს, როცა საჭიროა სლავი და თურქი გლეხების ერთად დაპირდაპირება სლავი და თურქი მემამულეებისა და ბაშიბუზუკებისადმი.

დემოკრატია არასოდეს არ დაუშვებს, რომ უველა ეროვნებაში თავისუფლების მომხრეთა და ჩაგვრის მტერთა თვითშეგნება შეცვლილ იქნეს «რუსული ეროვნული თვითშეგნებით», — როცა ჩაგრავენ და დევნიან პოლონელებს, ებრაელებს, საერთოდ «სხვა მოდგმის ხალხებს».

არც ერთმა პატიოსანმა დემოკრატმა, ჩაგრულ ეროვნებათა არც ერთმა გულწრფელმა მომხრემ, არ უნდა მისცეს ხმა კადეტებს!

«პრავდა» № 151, 1912 წ. 24 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ომის საშინელებანი

მეომარი მხარეები მთელი ძალღონით ცდილობენ დაუმალონ «გარეშეებს», ე. ი. მთელ მსოფლიოს, ის, რაც ბალკანეთში ხდება. კორესპონდენტებს ატყუებენ, აკავებენ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრძოლების დამთავრებიდან დიდი დრო გავა, უშვებენ ბრძოლის ველზე.

ამიტომ მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებანი გვაძლევენ საშუალებას დროგამოშვებით შევიტყოთ სიმართლე ომის შესახებ. ეტყობა, ასეთმა განსაკუთრებულმა გარემოებებმა შეუწყვეს ხელი ინგლისური გაზეთის «Daily Chronicle»-ის * კორესპონდენტს, ბ-ნ დონოუჰოეს (Donohoe). მან მოახერხა, თურქების არმიაში, დასწრებოდა ლულე-ბურგასთან მომხდარ ბრძოლას; შემდეგ ავტომობილით ჩავიდა კონსტანტინოპოლამდე, იქიდან ზღვით კონსტანცამდე (რუმინეთი). კონსტანციდან მას შეეძლო თავისუფლად გაეგზავნა დეპეშები ლონდონში.

თურქების დამარცხება საშინელი იყო. მათი 40 000-მდე (!) კაცი გაწყდა. ეს კატასტროფა მუკდენისაზე ნაკლები არ იყოო — წერს ინგლისელი. თურქების არტილერიის ქვემეხთა სამი მეოთხედი ბულგარელებს დარჩათ. ბულგარელები სულ ახლოს უშვებდნენ თურქებს, აცლიდნენ დაეწყოთ ხელჩართული ბრძოლა, — შემდეგ სწრაფად იხევდნენ უკან და... ტ ყ ვ ი ა მ ფ რ ქ ვ ე ვ ე ბ ი ასობით, ათასობით ცელავდნენ თურქებს.

---

* — «ყოველდღიური ქრონიკა». რ ე დ.

თურქების უკანდახევა გადაიქცა გაოგნებული, მშიერი, დატანჯული, გონებადაკარგული ბრბოების უწესრიგო გაქცევად. კორესპონდენტის ავტომობილი გაქცეულთა ბრბოში გაიჭედა. მშიერი თურქები მას პურსა სთხოვდნენ. მას უხდებოდა თვითონ შეეხვია ჭრილობები დაჭრილებისათვის. ექიმები ცოტაა. სახვევი მასალები არ არის. სურსათი არ არის. ბევრი სამხედრო ლაშქრობის მოწმე ვყოფილვარ — წერს ინგლისელი — მაგრამ ასეთი საშინელი უბედურება, ასეთი მასობრივი გაქცევა ანატოლიის (აზიის თურქეთი) მშიერი, განაწამები, დატანჯული, უმწეო გლეხებისა ვერასოდეს ვერ წარმომედგინაო.

«პრავდა» № 155, 1912 წ. 28 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ფრ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კადეტები და მსხვილი ბურჟუაზია

კადეტების გამარჯვება მოსკოვისა და პეტერბურგის 1-ლ საქალაქო კურიაში, შემდეგ მრეწველობისაგან სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში, — დასასრულ, უეჭველად დამტკიცებული ფაქტი, რომ რეაქციონერები ეხმარებოდნენ კადეტებს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, — ყოველივე ეს ჩვენი საზოგადოების ყველა კლასის ძალიან საინტერესო პოლიტიკური განვითარების ნიშნებია.

მოგაგონებთ სოციალ-დემოკრატების მთავარ გადაწყვეტილებას კ.-დ. პარტიის შესახებ, რაც მიღებულ იქნა 1907 წელს: «ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტიებმა და ამ პარტიებში მთავარმა, კ.-დ., უკვე ახლა გარკვევით შეაქციეს ზურგი რევოლუციას და ამოცანად ისახავენ მის შეწყვეტას კონტრრევოლუციასთან გარიგების გზით; ასეთი პარტიების სოციალურ საფუძველს წარმოადგენენ ბურჟუაზიის ეკონომიურად უფრო პროგრესული ფენები, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მაშინ როცა ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი კიდევ მიჰყვება ამ პარტიებს მხოლოდ ტრადიციის (ბრმად მიჩვევის) გამო და იმის გამო, რომ მას პირდაპირ ატყუებენ ლიბერალები» [88].

ამ დახასიათების სისწორე სავსებით დაადასტურა მოვლენებმა. მეორე საქალაქო კურიიდან (სადაც ბევრი დემოკრატი ამომრჩეველია) კადეტებს უკანსწევს დემოკ-

რატია. პირველი საქალაქო კურიიდან კადეტები სდევნიან ოქტიაბრისტებს.

რაც უფრო მძვინვარებს რეაქცია, რაც უფრო აშკარაა არჩევნების გაყალბება, მით უფრო გადადის მსხვილი კაპიტალი ლიბერალიზმის მხარეზე. კ.-დ. პარტიის კლასობრივი არსი, რაც მარქსისტებმა 1906 და 1907 წელს აღნიშნეს, ახლა თვალნათლივ მ ე ღ ა ვ ნ დ ე ბ ა მასების წინაშე.

აშკარა ხდება იმათი შეცდომა, ვინც კადეტებს ქალაქის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს პარტიად თვლიდა. კადეტების კავშირი რეაქციონერებთან საიდუმლოდან თანდათანობით იქცევა ა შ კ ა რ ა კავშირად: კ.-დ. მანსირევი ს.-დ. პრედკალნის წინააღმდეგ, კ.-დ. ნიკოლაევი ს.-დ. პოკროვსკის წინააღმდეგ რეაქციონერებს გაჰყავთ.

სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ძალები, მისი უძლეველობა დამოკიდებულია სწორედ იმაზე, რომ კაპიტალისტური საზოგადოების მ თ ე ლ ი განვითარება უფრო და უფრო ადასტურებს მის სისწორეს. კადეტები უკავშირდებიან მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც, მთელი თავისი კონტრრევოლუციურობის მიუხედავად, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა კმაყოფილი იყოს. დემოკრატია კადეტებს შორდება და მ ა რ ცხ ნ ი ვ მიდის.

«პრავდა» № 157, 1912 წ. 1 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ჰეშმარიტ-რუსული ზნეჩვეულება

გაზეთმა «ზემშჩინამ» ამ დღეებში, პურიშკევიჩის ლექსის გვერდით, მოათავსა სტატია «როსსიას» «განთქმული» (ამიერიდან უბრჭყალებოდაც განთქმული) კაზიონური პუბლიცისტის გურიევის შესახებ. «ზემშჩინა» გვარწმუნებს, რომ ეს «ლიბერალურ-ებრაული ელფერის პუბლიცისტია». უცნაურია! ნუთუ ოფიციალური «როსსიაც» ებრაულ-ლიბერალური ორგანოა?

მაგრამ რაშია საქმე? იმაში, რომ გურიევი ერთხმად გადააყენა პეტერბურგის ძაფის მანუფაქტურის გამგეობის წევრის თანამდებობიდან მისი აქციონერების საერთო კრებამ. გარდა ამისა, დადგენილია მიმართონ პროკურორს თხოვნით, რათა გურიევი მიცემულ იქნეს სამართალში არასწორი მოქმედებისათვის.

თურმე გურიევს 1 000 მანეთი შეუტანია და მ ე ს ა მ ე დ ი მოგების მიღების უფლება მიუღია, თუმცა ორმა კომპანიონმა მეფაბრიკემ 100 000 მანეთი შეიტანა! რისთვის გამოიჩინეს კაპიტალისტებმა ასეთი გულუხვობა გურიევისადმი?

იმისათვის, რომ ეს ვაჟბატონი ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველია, ოფიციალურ გაზეთ «როსსიას» თანამშრომელია და სხვ. და ა. შ. იგი ვიტეს პირადი მდივანი იყო. მას «განსაკუთრებული კავშირ-ნაცნობობა» აქვს. იგი დაჰპირდათ... მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ს უ ბ ს ი დ ი ე ბ ს!

ამრიგად, მთავრობასთან «კავშირი» ბატონ კაპიტალისტებს საკმაოდ დიდად «დაუფასებიათ»: ზუსტად 49 ათას მა-

ნეთად. საქონელი თქვენია — ფული ჩვენიო. თქვენ «მთავრობასთან კავშირი» გაქვთ, შეგიძლიათ სუბსიდიები გვიშოვნოთ, — ჩვენ ფული გვაქვსო. ვაჭრობაა გამართული ამდენ და ამდენ ათას მანეთად «მთავრობასთან კავშირი», ამდენად და ამდენად სუბსიდიების დაპირება, ამდენად და ამდენად კაზიონურ «როსსიაში» თანამშრომლობა. ინებეთ, ბ-ნო გურიევ!

გურიევმა მიიღო — და მოატყუათ. დაპირება არ შეასრულა, ხოლო მოითხოვა მესამედზე მეტი მოგება, თანაც შეუდგა შანტაჟის გაწევას, ე. ი. ფულის გამოძალვას საწარმოს კრედიტისათვის ძირის გამოთხრის მუქარით.

დამახასიათებელი საქმეა. ტიპიური საქმე. ყოფაცხოვრებითი მოვლენა. ილუსტრაცია თემისათვის: მთავრობასთან კავშირისა და სუბსიდიების შესახებ მათს ურთიერთობაში კაპიტალთან.

მხოლოდ რა შუაშია აქ «ებრაულ-ლიბერალური ელფერი», ბატონებო «ზემშჩინიდან»? ეს ჭეშმარიტ-რუსული, ჭეშმარიტ-კონსერვატიული ელფერია! თავს ნუ ისაწყლებთ, პურიშკევიჩის მეგობრებო!

«პრავდა» № 160, 1912 წ. 4 ნოემბერი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რეფორმისტების პლატფორმა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პლატფორმა

რევოლუციურმა აღმავლობამ რუსეთში აშკარად იჩინა თავი 1912 წლის პირველ ნახევარში. პოლიტიკურ გაფიცულთა რიცხვმა, მეფაბრიკეთა გამოანგარიშებით, ხუთ თვეში 515 000 კაცს მიაღწია. თუ როგორი იყო ამ გაფიცულთა ლოზუნგები, როგორი იყო მათი მოთხოვნები, როგორი იყო მათი დემონსტრაციების, მიტინგებისა და სხვ. პოლიტიკური შინაარსი, — ამას მოწმობს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მთლიანად გადაბეჭდილია ცენტრალური ორგანოს № 27-ში, სახელდობრ, პეტერბურგის მუშათა მაისის მოწოდება.

ამ ღირსსახსოვარ დღეებში პეტერბურგის მუშები გამოვიდნენ არა რეფორმისტული ლოზუნგებით, არამედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებით: დამფუძნებელი კრება, 8 საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მეფის მთავრობის დამხობა, დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჯარისკაცთა და მეზღვაურთა აჯანყებებმა და აჯანყების ცდებმა — თურქესტანში, ბალტიის ფლოტში და შავ ზღვაზე — მოგვცეს ახალი ობიექტური დადასტურება იმისა, რომ, კონტრრევოლუციის თარეშისა და მუშათა მოძრაობაში მოდუნების მრავალი წლის შემდეგ, რუსეთში ახალი რევოლუციური აღმავლობა დაიწყო.

ამ აღმავლობას დაემთხვა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დრო, როცა ყველა პარტიას, ყველა პოლიტიკურ მიმართულებას მ ო უ ხ დ ა ასე თუ ისე გამოსულიყო პოლიტიკური მდგომარეობის ს ა ე რ თ ო შეფასებით. და აი, თუ გვსურს სერიოზული ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს პოლიტიკურ ამოცანებს, როგორც მუშათა კლასის ამოცანებს და არა როგორც მცირე ჯგუფების კეთილ სურვილებს, თუ გვსურს მარქსისტულად შევამოწმოთ პროგრამები და პლატფორმები და შევადაროთ ისინი მასობრივი ბრძოლის ფაქტებსა და მოცემული საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასის გამოსვლებს, მაშინ სწორედ მასების ა მ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ი ს საზომით უნდა შევამოწმოთ, გამოვცადოთ სხვადასხვა საარჩევნო პლატფორმებიც. ვინაიდან სოციალ-დემოკრატიისათვის არჩევნები განსაკუთრებული პოლიტიკური ოპერაცია, რაიმე დაპირებათა და განცხადებათა ფასად მანდატების გამოდევნება კი არ არის, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული საბაბია აგიტაციისა შეგნებული პროლეტარიატის ძირითადი მოთხოვნებისათვის და მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძვლებისათვის.

მთავრობის ყველა პარტიის პროგრამები და პლატფორმები, შავი რაზმიდან გუჩკოვამდე, არავითარ ეჭვს არ იწვევს. კონტრრევოლუციურობა აქ პირდაპირია, აშკარაა. ეს პარტიები არა მარტო მუშათა კლასსა და გლეხობაში, არამედ ბურჟუაზიის ფართო ფენებშიც კ ი ოდნავ სერიოზული მხარდაჭერით რომ ვერ სარგებლობენ, — ეს საყოველთაოდ ცნობილია. ოქტიაბრისტებს ამ უკანასკნელმა ფენებმა თითქმის სავსებით შეაქციეს ზურგი.

ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიების პროგრამები და პლატფორმები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია თითქმის ოფიციალურად (მუსლიმანური ჯგუფის პლატფორმა), ნაწილობრივ ცნობილია სავსებით ზუსტად «დიდი» პოლიტიკური პრესიდან («პროგრესისტების», კადეტების პლატფორმები). ყველა ამ პროგრამისა და პლატფორმის ა რ ს ი შეუდარებ-

ლად წამოროშა კადეტმა გრედესკულმა განცხადებებში, რომ-ლებიც «რეჩმა» გადაბეჭდა და რომლებიც იქიდან მარქსისტულ პრესაში მოხვდა.

«საჭარო უარყოფა რუსეთში ახალი რევოლუციის საჭიროებისა» — აი როგორ ჩამოაყალიბა თვით ბ-ნმა გრედესკულმა თავისი შეხედულებანი (შეად. «სოციალ-დემოკრატი» № 27, გვ. 3), და მანვე დაუპირდაპირა რევოლუციონერებს ნამდვილი პლატფორმა ლიბერალიზმისა (კ.-დ. მეთაურობით): «საჭიროა მხოლოდ დინჯი, გულმოდგინე და მტკიცე კონსტიტუციური მუშაობაო».

ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს: ნამდვილი პლატფორმა, ვინაიდან რუსეთშიც, ისევე როგორც ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, მეტი წილი პლატფორმები მოსაჩვენებელი პლატფორმებია.

საქმის არსი კი სწორედ ის არის, რაც აღიარა ბ-ნმა გრედესკულმა (იშვიათ წუთს, როცა სიმართლის თქმის განწყობილებამ მოუარა). ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია წინააღმდეგია ახალი რევოლუციისა და იცავს მხოლოდ კონსტიტუციურ რეფორმებს.

სოციალ-დემოკრატია თანმიმდევრულად, ბურჟუაზიული დემოკრატია (ნაროდნიკები) მერყეობით იცავენ ახალი რევოლუციის «საჭიროებას», ეწევიან მის პროპაგანდას. მასობრივი ბრძოლის აღმავლობა დაიწყო. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ცდილობენ გააფართოონ და განამტკიცონ იგი, ხელს უწყობენ მას განვითარდეს კიდევ უფრო მაღლა, რევოლუციის სტადიამდე. რეფორმისტები კი აღმავლობას განიხილავენ მხოლოდ «როგორც გამოცოცხლებას», მათი პოლიტიკა კონსტიტუციურ დათმობათა, კონსტიტუციურ რეფორმათა მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკაა. მაშასადამე, ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა რუსეთის ისტორიის ამ «ეტაპზეც» ერთმანეთთან ბრძოლა დაიწყეს «ხალხზე», მასებზე გავლენისათვის. ვერავინ ვერ იწინასწარ-

მეტყველებს, რით დამთავრდება ბრძოლა, მაგრამ აგრეთვე ვერავინ ვერ დაეჭვდება იმაში, თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს რსდმ პარტიამ ამ ბრძოლაში.

ასე და მხოლოდ ასე შეიძლება მივუდგეთ პარტიის საარჩევნო პლატფორმის — და იმ საარჩევნო პლატფორმის შეფასებას, რომელიც ამ დღეებში გამოუშვა ლიკვიდატორთა კონფერენციის მიერ არჩეულმა «ორგ. კომიტეტმა».

პარტიის საარჩევნო პლატფორმა, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა იანვრის კონფერენციის შემდეგ გამოუშვა, შედგენილია აპრილ-მაისის ამბებამდე. ამ ამბებმა დაადასტურეს მისი სისწორე. მთელი პლატფორმა გამსჭვალულია ერთი აზრით: თანამედროვე რუსეთში კონსტიტუციური რეფორმების უიმედობის, უტოპიურობის კრიტიკით და რევოლუციის პროპაგანდით. პლატფორმის ლოზუნგები აღებულია სწორედ ისე, რომ სრული სიცხადით გამოხატოს რევოლუციური ამოცანები და სრულიად შეუძლებელი გახადოს მათი არევა კონსტიტუციური რეფორმების დაპირებებში. პარტიის პლატფორმა ისეთია, რომ იგი წარმოადგენს რევოლუციური სოციალ-დემოკრატის პირდაპირ მიმართვას ასეულ ათასობით პოლიტიკური გაფიცულებისადმი, გლეხთა მილიონნიანი ჯარის მოწინავეებისადმი, რომლებსაც განუმარტავს აჯანყების ამოცანებს. რევოლუციურ პარტიას ოცნებაც არ შეუძლია თავისი პლატფორმის უკეთესად შემოწმებაზე, ცხოვრების მიერ ამ პლატფორმის უკეთესად დადასტურებაზე, ვიდრე მაისის გაფიცვებისა და აჯანყების ივნის-ივლისის სამხედრო ცდების ეს პირდაპირი გამოხმაურებაა პარტიის განმარტებებზე.

შეხედეთ ლიკვიდატორთა პლატფორმას. მისი ლიკვიდატორული არსი ოსტატურად დაფარულია ტროცკის რევოლუციური ფრაზებით. გულუბრყვილო და სრულიად გამოუცდელი ადამიანები ამ საფარველმა შეიძლება ზოგჯერ დააბრმავოს და პარტიასთან ლიკვიდატორთა «შერიგებადაც» კი ეჩვენოს.

მაგრამ სულ მცირე ყურადღება სწრაფად გაფანტავს ასეთ თავმოტყუებას.

ლიკვიდატორთა პლატფორმა დაწერილია მაისის გაფიცვებისა და აჯანყების ზაფხულის ცდების შ ე მ დ ე გ. და ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვაყენებთ კითხვას, საქმიან რეალურ პასუხს ველით კითხვაზე ამ პლატფორმის არსის შესახებ: რ ო გ ო რ შეაფასა მან ეს გაფიცვები და ეს ცდები?

«ეკონომიური აღმავლობა»... «თავისი საგაფიცვო მოძრაობის ზრდით პროლეტარიატმა აღნიშნა ახალი საზოგადოებრივი აღმავლობის მომავალი დადგომა»... «პროლეტარიატის მძლავრი აპრილის მოძრაობა კოალიციათა თავისუფლების მოთხოვნით» — ე ს ა რ ი ს დ ა ე ს, რაც თქვეს ლიკვიდატორებმა პლატფორმაში აპრილ-მაისის გაფიცვების შესახებ.

მაგრამ ეს ხომ ტყუილია! ეს საქმის აღმაშფოთებელი დამახინჯებაა! აქ გამოტოვებულია მ თ ა ვ ა რ ი რამ, სახელდობრ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხასიათი პოლიტიკური გაფიცვისა, რომელიც მიმართულია ს წ ო რ ე დ ა რ ა ერთ-ერთი კონსტიტუციური რეფორმის მოპოვებისაკენ, არამედ მთავრობის დ ა მ ხ ო ბ ი ს ა კ ე ნ, ე. ი. რევოლუციისაკენ.

როგორ მოხდა, რომ არალეგალურ, რევოლუციურ, «წითელი» ფრაზებით აღსავსე პროკლამაციაში ნათქვამია ასეთი ტყუილი? — ეს უ ნ დ ა მომხდარიყო, ვინაიდან ა ს ე მ ი ა ჩ ნ ი ა თ ლიბერალებსა და ლიკვიდატორებს. ისინი გაფიცვებში ხედავენ იმას, რის დანახვაც სურთ, — კონსტიტუციური რეფორმებისათვის ბრძოლას. ისინი ვერ ხედავენ იმას, რის დანახვაც არ სურთ, ე. ი. რევოლუციურ აღმავლობას. რეფორმისათვის ჩვენ, ლიბერალებს, გვსურს ვიბრძოლოთ, რევოლუციისათვის არა — აი კლასობრივი პოზიციის ის · ს ი მ ა რ თ ლ ე, რომელმაც გამოხატულება პოვა ლიკვიდატორთა ტ ყ უ ი ლ შ ი.

აჯანყების ცდების შესახებ ვკითხულობთ: ...«ჯარისკაცები ყაზარმებში ძალადობით, დამცირებითა და შიმშილით მიჰყავთ ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ი პ რ ო ტ ე ს ტ ი ს ა ფ ე თ-

ქებებამდე, შემდეგ კი აწყნარებენ ტყვიით, თოკით» და ა. შ. ...

ეს ლიბერალური შეფასებაა. ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, აჯანყების ცდებში ვხედავთ მასების აჯანყების დასაწყისს, წარუმატებელ, ნაადრევ, არასწორ დასაწყისს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ წარმატებითს აჯანყებას მასა სწავლობს მხოლოდ წარუმატებელ აჯანყებათა გამოცდილებით, — მსგავსად იმისა, როგორც რუსეთის მუშებმა 1901 — 1904 წლების მთელი რიგი წარუმატებელი და ზოგჯერ განსაკუთრებით წარუმატებელი პოლიტიკური გაფიცვებით ისწავლეს 1905 წლის ოქტომბრის წარმატებითი გაფიცვა. მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაბეჩავებულნი ყაზარმით, დაიწყეს აჯანყებანი, — ვამბობთ ჩვენ. აქედან გამომდინარეობს ნათელი და პირდაპირი დასკვნა: მათ უნდა განვუმარტოთ, რისთვის და როგორ უნდა ამზადონ წარმატებითი აჯანყება.

ლიბერალები სხვანაირად მსჯელობენ: ჯარისკაცები «საასოწარკვეთილი პროტესტის აფეთქებებამდე» «მიჰყავთო», ამბობენ ისინი. აჯანყებული ჯარისკაცი ლიბერალისათვის არის არა რევოლუციის სუბიექტი, არა აჯანყების გზაზე დამდგარი მასის პირველი მაუწყებელი, არამედ მთავრობის ბოროტების ობიექტი («სასოწარკვეთილებამდე მიჰყავთ»), რომელიც გამოსადეგია ამ ბოროტების სადემონსტრაციოდ.

შეხედეთ, რა ცუდია ჩვენი მთავრობა, რომ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს ჯარისკაცები და შემდეგ ტყვიით აწყნარებსო — ამბობს ლიბერალი (დასკვნა: აი ჩვენ, ლიბერალები, რომ ვიყოთ ხელისუფლების სათავეში, ჩვენს დროს ჯარისკაცთა აჯანყებები არ მოხდებოდაო).

შეხედეთ, როგორ მწიფდება რევოლუციური ენერგია ღრმა და ფართო მასებში — ამბობს სოციალ-დემოკრატი — თუ ყაზარმული წვრთნით დაბეჩავებული ჯარისკაცები და მეზღვა-

ურებიც კი ჯანყდებიან და, ცუდად რომ ჯანყდებიან, ხალხს წარმატებით აჯანყებას ასწავლიან.

თქვენ ხედავთ: ლიკვიდატორებმა «განმარტეს» (სიტყვა განმარტების სენატური მნიშვნელობით) რუსეთში გაზაფხულისა და ზაფხულის რევოლუციური აღმავლობა.

ამის შემდეგ ისინი «განმარტავენ» ჩვენი პარტიის პროგრამას.

რსდმპ პარტიის პროგრამაში სწერია:

...«რსდმპ უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით, რომლის კონსტიტუციამაც უნდა უზრუნველყოს: 1) ხალხის თვითმპყრობელობა»... და ა. შ., — შემდეგ ჩამოთვლილია «თავისუფლებანი» და «უფლებანი».

თითქოს ამის არგაგება არ შეიძლება. «უახლოესი» ამოცანაა თვითმპყრობელობის დამხობა და მისი შეცვლა რესპუბლიკით, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებებს.

ლიკვიდატორებმა ყოველივე ეს გადააკეთეს.

...«სოციალ-დემოკრატია — ვკითხულობთ მათს პლატფორმაში — მოუწოდებს ხალხს იბრძოლოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის...

...მიისწრაფვის რა ამ მიზნისაკენ, რომლის განხორციელებასაც ხალხი შეძლებს მხოლოდ რევოლუციის შედეგად, სოციალ-დემოკრატია ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში (უსმინეთ!) მოუწოდებს მშრომელ მასებს დაირაზმონ შემდეგი მორიგი მოთხოვნების გარშემო: 1) საყოველთაო და ა. შ. საარჩევნო უფლება... სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს» და ა. შ.

ესერი ლიკვიდატორი ბ-ნი პეშეხონოვი 1906 წლის შემოდგომაზე, როცა იგი «ღია პარტიას» აარსებდა (და კინაღამ დააარსა... მხოლოდ პოლიციამ შეუშალა ხელი, სატუსაღოში ჩასვა!), წერდა, რესპუბლიკა «შორეული პერსპექტივაა», «რესპუბლიკის საკითხი უკიდურეს სიფრთხილეს მოითხოვს», მორიგი მოთხოვნები ახლა რეფორმებიაო.

მაგრამ ესერი ლიკვიდატორი გულუბრყვილო, მიამიტი, უხეში იყო და მიუკიბავ-მოუკიბავად ლაპარაკობდა. განა «ევროპელი» ოპორტუნისტები ასე იქცევიან? არა, ისინი უფრო

მოხერხებული, უფრო გაქნილი, უფრო დიპლომატიური არიან...

ისინი უარს არ ამბობენ რესპუბლიკის ლოზუნგზე, — ეს ხომ ცილისწამებაა! ისინი მხოლოდ «განმარტავენ» ამ ლოზუნგს ჯეროვნად, ხელმძღვანელობენ რა ყოველი ობივატელისათვის ცხადი მოსაზრებებით. რევოლუცია იქნება თუ არ იქნება, ეს ჯერ კიდევ საკითხია, — ამბობს ობივატელი მარტივად, და იმეორებს ტროცკი მეცნიერივით «ნაშა ზარიაში» (№ 5, გვ. 21). რესპუბლიკა «მ ხ ო ლ ო დ რევოლუციის შედეგად», «ხოლო ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში» «მ ო რ ი გ ი ა» კონსტიტუციური რეფორმები!

ყველაფერი ასე მოხდენილად გამოვიდა: რესპუბლიკა აღიარებულიც არის — და შორსაც არის გადაწეული. რრრევოლუციური სიტყვები უამრავია დახვავებული — ნამდვილად კი «ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში» (მთელი პლატფორმა დაწერილია მხოლოდ ამ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი კ ა მ პ ა ნ ი ი ს ა თ ვ ი ს!) «მორიგ» მოთხოვნებად წამოყენებულია რეფორმათა მოთხოვნები.

დიახ, დიახ, «დიპლომატიურ საქმეთა დიდი ოსტატები» მსხდარან ლიკვიდატორთა კონფერენციაზე... რა უბადრუკი ოსტატები ყოფილან! მაგრამ თუ წრეების დიპლომატებს აღტაცებაში მოიყვანენ, თუ მიამიტ-«შემარიგებელს» თავგზას აუბნევენ, მარქსისტი მათ სხვანაირ საუბარს გაუმართავს.

ობივატელი სჯერდება იმ უდავო, აშკარა და ც ა რ ი ე ლ ჭეშმარიტებას, რომ არ შეიძლება წინასწარ იცოდე, იქნება რევოლუცია თუ არა. მარქსისტი ამას არ სჯერდება; იგი ამბობს: ჩვენი პროპაგანდა და ყველა სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა იმის ე რ თ-ე რ თ ი გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა, იქნება რევოლუცია თუ არა. ასეულ ათასობით პოლიტიკური გაფიცულნი, ჯარის სხვადასხვა ნაწილების მოწინავენი გვეკითხებიან ჩვენ, ჩვენს პარტიას, საით წავიდნენ, რისთვის აჯანყდნენ, რის მიღწევას ეცადონ, გააფართოონ

დაწყებული აღმავლობა რევოლუციამდე თუ რეფორმებისათვის ბრძოლისაკენ წარმართონ იგი?

რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ პასუხი გასცა ამ კითხვებზე, რომლებიც ცოტა უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ობივატელურ-ტროცკისტული «ცხვირის ჩიჩქნა»: იქნება რევოლუცია თუ არ იქნება, ვინ იცისო?

ჩვენი პასუხია: კონსტიტუციური რეფორმების უტოპიურობის კრიტიკა, მათზე იმედების დამყარების სიყალბის განმარტება, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი აღმავლობისათვის ყოველმხრივი და ყოველნაირი მხარდაჭერა, ა მ ი ს ა თ ვ ი ს საარჩევნო კამპანიის გამოყენება. იქნება რევოლუცია თუ არ იქნება, — ეს დამოკიდებულია ა რ ა მ ა რ ტ ო ჩვენზე. მაგრამ ჩვენ ჩ ვ ე ნ ს საქმეს გავაკეთებთ, და ეს საქმე არასოდეს არ დაიკარგება. იგი მასებში ღრმად დათესავს დემოკრატიზმისა და პროლეტარული თვითმოქმედების თესლს, და ეს თესლი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მოგვცემს ნაყოფს, ხვალ იქნება ეს დემოკრატიულ რევოლუციაში თუ ზეგ სოციალისტურში.

ი ს ი ნ ი კი, ვინც მ ა ს ე ბ ს უქადაგებს თავის უხამს, ინტელიგენტურ, ბუნდისტურ-ტროცკისტულ სკეპტიციზმს: «იქნება რევოლუცია თუ არ იქნება, არ ვიცით, ხოლო «რ ი გ ში» რეფორმები დგასო», — ისინი უ კ ვ ე ა მ ჟ ა მ ა დ რყვნიან მასებს, უქადაგებენ მასებს ლიბერალურ უტოპიებს.

ნაცვლად იმისა, რომ საარჩევნო კამპანია გ ა ჟ ღ ი ნ თ ო ნ იმ, მოცემული, რეალური, «ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი» პოლიტიკური ვითარების სულისკვეთებით, როცა ნახევარი მილიონი მუშა რევოლუციურ გაფიცვებს მართავს, როცა გლეხთა ჯარის მოწინავენი კუდაბზიკა აზნაურ ოფიცრებს ტყვიას ესვრიან, — ნაცვლად ამისა ისინი ა შ ო რ ე ბ ე ნ თავიანთ ვითომდა «ევროპულ» (ისინი, ეს ლიკვიდატორები, ჩვენში ხომ ისეთი ევროპელები, ისეთი ევროპელები არიან!) «პარლამენტურ» მოსაზრებებს ამ რეალურ ვითარებას (რომელშიც ძალიან ცოტაა «ევროპული» და ძალიან ბევრია «ჩინური», ე ს ე

იგი დემოკრატიულ-რევოლუციური) და, იშორებენ რა მას რამდენიმე ისეთი ფრაზით, რომლებიც მათ არაფერს ავალებს, — ნამდვილ საარჩევნო კამპანიად რეფორმისტულ კამპანიას აცხადებენ!

ს.-დ. პარტიას IV სათათბიროს არჩევნების პლატფორმა იმისათვის ესაჭიროება, რომ კიდევ ერთხელ არჩევნების საბაბითაც, არჩევნების გამოც, არჩევნებზე დავაშიც ჯანუმარტოს მასებს რევოლუციის აუცილებლობა, საჭიროება, გარდუვალობა.

მათ, ლიკვიდატორებს, პლატფორმა ესაჭიროებათ «არჩევნებისათვის», ე. ი. იმისათვის, რომ მოსაზრებანი რევოლუციის შესახებ თავაზიანად მოიშორონ, როგორც ერთ-ერთი გაურკვეველი შესაძლებლობა, ხოლო «ნამდვილ» კამპანიად გამოაცხადონ საარჩევნო კამპანია კონსტიტუციური რეფორმების ნუსხისათვის.

ს.-დ. პარტიას სურს იმისათვის გამოიყენოს არჩევნები, რომ კიდევ და კიდევ შთააგონოს მასებს აზრი რევოლუციის აუცილებლობის შესახებ, სწორედ დაწყებული რევოლუციური აღმავლობის შესახებ. ამიტომ ს.-დ. პარტია მოკლედ და მკაფიოდ ეუბნება IV სათათბიროს ამომრჩევლებს: არა კონსტიტუციური რეფორმები, არამედ რესპუბლიკა, არა რეფორმიზმი, არამედ რევოლუცია.

ლიკვიდატორები IV სათათბიროს არჩევნებს იყენებენ კონსტიტუციური რეფორმების საქადაგებლად და რევოლუციის შესახებ აზრის შესასუსტებლად. ამისათვის, ამიტომ ჯარისკაცთა აჯანყებებს ხატავენ როგორც «სასოწარკვეთილი პროტესტის აფეთქებებს», რომლებამდეც ჯარისკაცები «მიიყვანეს», და არა როგორც იმ მასობრივი აჯანყების დასაწყისს, რომელიც გაიზრდება ან ჩაქრება, სხვათა შორის, იმითაც, რომ ახლავე მთელი ძალღონით, მთელი ენერგიით, მთელი ენთუზიაზმით დაუჭერს თუ არა მას მხარს რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატი მუშა.

ამისათვის «განმარტეს» მაისის გაფიცვები რევოლუციურიდან რეფორმისტულ გაფიცვებად.

ამისათვის «განმარტეს» პარტიული პროგრამა, და ნაცვლად «უახლოესი» ამოცანისა — შეიქმნას რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებებს, გვიკარნახებენ «ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში» მ ო რ ი გ მოთხოვნებად — IV სახელმწ. სათათბიროსათვის, კი ნუ ხუმრობთ! — ჩავთვალოთ სხვადასხვა თავისუფლებათა მოთხოვნა.

რა ბევრი რამ არის ძველებურ-ჩინური რუსეთის ცხოვრებაში! რა ბევრი რამ არის ძველებური ჩინური ჩვენს ცარიზმში და რა ბევრია იგი ჩვენს ლიკვიდატორებში, რომლებსაც სურთ საპარლამენტო ბრძოლისა და რეფორმიზმის «ცერემონიები» გადმოიტანონ იმ ვითარებაში, როცა მაღლა პურიშკევიჩები და ტრეშჩენკოვები არიან, დაბლა კი მასების რევოლუციური ცდებია! რა ბევრი რამ არის ძველებურ-ჩინური ინტელიგენტთა ამ ცდებში — თავი დაიცვან ხვოსტოვებისა და მაკაროვებისაგან იმით, რომ წარადგინონ სარეკომენდაციო წერილი მაკდონალდისა და ჟორესისაგან, ბისოლატისა და ბერნშტეინისაგან, კოლბასა და ფრანკისაგან!..

პარტიულ შეხედულებებთან ლიკვიდატორულ შეხედულებათა დიპლომატიური «შერიგება», რაც ტროცკიმ ლიკვიდატორთა კონფერენციაზე გაითამაშა, სინამდვილეში სრულიად არაფერს არ «არიგებს». იგი ვერ სპობს იმ უდიდეს პოლიტიკურ ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს ახლანდელი რუსეთის მთელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. ეს არის რეფორმისტული და რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული პლატფორმის ბრძოლა; ეს არის ბურჟუაზიის გამოსვლა მისი პარტიული ლიბერალური ბელადების სახით რუსეთში ახალი რევოლუციის საჭიროების წინააღმდეგ და მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური «მუშაობის» გზისათვის — წინააღმდეგ ასეულ ათასობით პროლეტარიატის გამოსვლისა რევოლუციური გაფიცვით, რომელიც მოუწოდებს მასებს თავისუფლებისათვის ნამდვილი ბრძოლისაკენ.

ჯერ რეფორმისტებს რომ დაუკრა თავი, ხოლო შემდეგ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას — ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსპო ეს ობიექტური პოლიტიკური ფაქტი, არ ნიშნავს იმას, რომ ოდნავ მაინც შეასუსტო მისი ძალა და წონა. კეთილ განზრახვებს — შეანელონ ამ ფაქტით წარმოშობილი უთანხმოება, — თუნდაც ეს განზრახვები მართლაც სავსებით «კეთილი» და გულწრფელი იყოს, — არ ძალუძს შეცვალოს კონტრრევოლუციის მთელი ვითარებით წარმოშობილი და შეურიგებლად მტრული პოლიტიკური ტენდენციები.

პროლეტარიატი აღდგა თავისი რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული დროშით, და იგი IV, შავი სათათბიროს წინადღეს არ დახრის ამ დროშას ლიბერალების წინაშე, არ დაკეცავს მას რეფორმისტების საამებლად, არ დათანხმდება მოადუნოს ან ჩააქროს თავისი პლატფორმა საწრეო დიპლომატიის მოსაზრებებით.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა რეფორმიზმის პლატფორმის წინააღმდეგ — ამ ნიშნით ჩაიარა მაისის გაფიცვებმა, ამ ნიშნით მიდის რსდმ პარტია მემამულურ-ხუცური სათათბიროს არჩევნებზეც, ამ ნიშნით წარიმართება პარტიის მთელი მუშაობა ამ სათათბიროში და ხალხის ფართო მასებში.

«სოციალ-დემოკრატი» № 28 — 29.
1912 წ. 5 (18) ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

არალეგალური პარტია და ლეგალური მუშაობა

რუსეთში სოციალ-დემოკრატების არალეგალური პარტიისა და ლეგალური მუშაობის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი პარტიული საკითხია; იგი მ თ ე ლ ი რევოლუციისშემდგომი ეპოქის განმავლობაში იპყრობს რსდმ პარტიის ყურადღებას, მან გამოიწვია ყველაზე გააფთრებული საშინაო ბრძოლა პარტიის რიგებში.

ყველაზე მეტად ამ საკითხის გარშემო წარმოებდა ლიკვიდატორების ბრძოლა ანტილიკვიდატორებთან, და ამ ბრძოლის გააფთრებული ხასიათი სავსებით აიხსნება იმით, რომ იგი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა ჩვენი ძველი, არალეგალური პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხს. რსდმ პარტიის 1908 წლის დეკემბრის კონფერენციამ გადაჭრით დაგმო ლიკვიდატორობა და გარკვეულად ჩამოაყალიბა განსაკუთრებულ რეზოლუციაში პარტიული შეხედულება ორგანიზაციულ საკითხზე: პარტიას შეადგენენ არალეგალური ს.-დ. უჯრედები, რომლებმაც უნდა შეიქმნან «მასებში მუშაობის დასაყრდენი პუნქტები» სხვადასხვანაირი ლეგალური მუშათა საზოგადოებების რაც შეიძლება უფრო ფართო და განშტოებული ქსელის სახით.

ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმაც და 1912 წლის იანვრის სრულიად რუსეთის კონფერენციამაც სავსებით დაადასტურეს პარტიის ეს შეხედულება. მისი სრული გარკვეულობა და სიმტკიცე, შეიძ-

ლება ითქვას, ყველაზე თვალსაჩინოდ დაახასიათა ამხ. პლეხანოვის უკანასკნელმა «დნევნიკმა» (№ 16 — 1912 წლის აპრილი). ვამბობთ: ყველაზე თვალსაჩინოდ, ვინაიდან სწორედ პლეხანოვმა დაიკავა მაშინ ნეიტრალური პოზიცია (იანვრის კონფერენციის მნიშვნელობის საკითხში). და, იდგა რა თავის ნეიტრალურ თვალსაზრისზე, მან სავსებით დაადასტურა ეს დადგენილი პარტიული შეხედულება, როდესაც თქვა, რომ ეგრეთწოდებული «საინიციატივო ჯგუფები» — რომლებიც პარტიულ ორგანიზაციას გამოეთიშნენ ან იქიდან გაიქცნენ ანდა მის გარეშე წარმოიშვნენ — არ შეიძლება პარტიულ ჯგუფებად ჩაითვალონ, თუ არ არის არალეგალური უჯრედების ყრილობის ან კონფერენციის განსაკუთრებული დადგენილებაო. პრინციპულად ეს ანარქიზმია, პრაქტიკულად ეს ლიკვიდატორობისათვის მხარდაჭერა და მისი დაკანონებაა, — წერდა ამხ. პლეხანოვი, — თუ «საინიციატივო ჯგუფებს» უფლებას აძლევენ თ ვ ი თ ო ნ განსაზღვრონ, ეკუთვნიან თუ არა პარტიასო.

ნეიტრალური პლეხანოვის ამ უკანასკნელი განმარტებით ის საკითხი, რომელიც ასე ბევრჯერ სავსებით გარკვეულადაა გადაწყვეტილი პარტიის მიერ, თითქოს ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ლიკვიდატორთა უკანასკნელი კონფერენციის რეზოლუცია გვაიძულებს ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მას, რადგან კვლავ არის ცდები — ააბნიონ გარკვეული და დააბნელონ ნათელი. «ნევსკი გოლოსმა» (№ 9), ანტილიკვიდატორების მიმართ გააფთრებული ლანძღვა-გინებით გამოაცხადა, ახალი კონფერენცია ლიკვიდატორული არ არისო. ამავე დროს კონფერენციის რეზოლუცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, არალეგალური პარტიისა და ლეგალური მუშაობის შესახებ, სავსებით თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ კონფერენცია მთლიანად ლიკვიდატორულია.

მაშასადამე, საჭიროა დაწვრილებით გავარჩიოთ ეს რეზოლუცია და ამისათვის მთლიანად მოვიყვანოთ იგი ციტატების სახით.

I

ლიკვიდატორთა კონფერენციის რეზოლუციას ეწოდება: «პარტიული მშენებლობის ორგანიზაციული ფორმების შესახებ», მაგრამ სინამდვილეში მისი პირველივე პუნქტი გვიჩვენებს, რომ ლაპარაკია არა მშენებლობის «ფორმებზე», არამედ იმაზე, თუ რა პარტია, ძველი თუ ახალი, სურთ აქ «აშენონ». აი ეს პირველი პუნქტი:

«განიხილა რა პარტიის მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების საკითხი, კონფერენცია მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. სოციალ-დემოკრატიის გარდაქმნა ს.-დ-იული პროლეტარიატის თვითმმართველ ორგანიზაციად შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ს.-დ-იული ორგანიზაცია ყალიბდება აშკარა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა გამოვლინებაში მუშათა მასების ჩაბმის პროცესში».

ამრიგად, **პარტიის** მშენებლობის შესახებ რეზოლუციის პირველ სიტყვას წარმოადგენს ს.-დ-ტიის გარდაქმნის აუცილებლობის უაპელაციოდ აღიარება. ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. ცხადია, პარტიის თვითეულ წევრს უფლება აქვს ცდილობდეს მის «გარდაქმნას», მაგრამ ლაპარაკი უკვე 4 წლის განმავლობაში ხომ აშკარად იმაზეა, რომ აღიარებულ იქნეს თუ არა ძველი პარტია! ვინ არ იცის ეს?

პარტიის რეზოლუცია (1908 წ. დეკემბერში) ცხადზე უცხადესად ლაპარაკობს ლიკვიდატორთა დაგმობაზე, რომელთაც სურთ «შეცვალონ» ძველი პარტია ახლით. პლეხანოვი 1912 წ. აპრილში ეკითხება «საინიციატივო ჯგუფების» დამცველებს, რომლებიც ლიკვიდატორულ კონფერენციას იწვევდნენ (და მოიწვიეს), ეკითხება პირდაპირ: «არსებობს ჩვენი ძველი პარტია თუ არაო?» («დნევნიკ სოციალ-დემოკრატა» № 16, 1912 წ. აპრილი, გვ. 8).

ამ კითხვისათვის გვერდის ავლა არ შეიძლება. იგი დაყენებულია 4 წლის ბრძოლით. იგი შეიცავს ეგრეთწოდებული პარტიული «კრიზისის» მთელ სიმწვავეს.

როცა ასეთ კითხვაზე გვიპასუხებენ: «ს.-დ-ტიის გარდაქმნა... შეიძლება მოხდეს მხოლოდ»..., ჩვენ მაშინვე ვხედავთ, რომ ეს პასუხი კი არ არის, არამედ მხოლოდ თავის დაძვრენაა.

პარტიის გარდაქმნაზე ლაპარაკი შეუძლიათ ძველი პარტიის წევრებს. როცა გვერდს უვლით იმ კითხვას, რომ არსებობს თუ არა ძველი პარტია, და პირდაპირ დეკრეტულად აცხადებთ (არაპარტიული «საინიციატივო ჯგუფების» მონაწილეობით) «გარდაქმნას», თქვენ, ბატონებო, მხოლოდ სავსებით ადასტურებთ, რომ ლიკვიდატორობის თვალსაზრისზე დგახართ! ეს გარემოება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა რეზოლუცია — «ს.-დ. პროლეტარიატის თვითმმართველი ორგანიზაციის შესახებ» სრულიად უშინაარსო, დეკლამატორული ფრაზების შემდეგ — საქმეს იმით განსაზღვრავს, რომ «გარდაქმნა» «შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ს.-დ. ორგანიზაცია ყალიბდება»... (უკვე აღარას ვამბობთ სასაცილო, მაღალფარდოვან და სულელურ ფრაზეოლოგიაზე)... «აშკარა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშათა მასების ჩაბმის პროცესშიო»!!

რას ნიშნავს ეს? უწოდებენ თუ არა ამ საკვირველი რეზოლუციის ავტორები გაფიცვასა და დემონსტრაციას «მასების ჩაბმას აშკარა» და ა. შ. ცხოვრებაში? ლოგიკით გამოდის, რომ უწოდებენ! ამ შემთხვევაში რეზოლუცია მთლად სისულელეა, ვინაიდან ყველამ მშვენივრად იცის, რომ «ორგანიზაცია ყალიბდება», გაფიცვები და დემონსტრაციებიც რომ არ ხდებოდეს. ორგანიზაცია — ყოვლად ბრძენო ბატონებო — მუდამ არსებობს, მასები კი აშკარად მხოლოდ დროგამოშვებით გამოდიან.

ბ. ბ. ლიკვიდატორები «აშკარა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებად» (ეს რა კაზიონურ-ლიბერალური სტილი აურჩევიათ, — გეგონება «რუსსკიე ვედომოსტში» წერენ 30 წლის წინათ!) გულისხმობენ მუშათა მოძრაობის ლეგა-

ლურ ფორმებს და სრულებითაც არა გაფიცვებს, დემონსტრაციებს და ა. შ.. კარგი და პატიოსანი. ამ შემთხვევაშიც რეზოლუცია სისულელეა, ვინაიდან ჩვენი ორგანიზაცია «ყალიბდება» და ჩამოყალიბდა სრულებითაც არა «მხოლოდ» ლეგალურ მოძრაობაში მასების ჩაბმის პროცესში. ორგანიზაცია ჩვენ გვაქვს ბევრ ადგილას, სადაც ლეგალური მოძრაობის არავითარი ფორმა არ არის დაშვებული.

ამრიგად რეზოლუციის ძირითადი პუნქტი (ორგანიზაცია ყალიბდება «მხოლოდ იმდენად»...) დანამდვილებით არაფრად არ ვარგა. ეს მთლად აბნეულობაა.

მაგრამ ამ აბნეულობაში ნათლად ჩანს ლიკვიდატორული შინაარსი. გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ლეგალურ მოძრაობაში მასების ჩაბმის პროცესშიო — აი რით განისაზღვრება ნამდვილად 1-ლი პუნქტის აბდაუბდა. ეს კი სწორედ წმინდა წყლის ლიკვიდატორობაა.

პარტია 4 წლის განმავლობაში ამბობდა: ჩვენი ორგანიზაცია შედგება არალეგალური უჯრედებისაგან, რომლებსაც გარს ახვევია ლეგალურ საზოგადოებათა რაც შეიძლება მეტად განშტოებული ქსელი.

ლიკვიდატორები 4 წელიწადია უარყოფენ, რომ ისინი ლიკვიდატორები არიან, და 4 წელიწადია გაიძახიან: გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ლეგალურ მოძრაობაში მასების ჩაბმის პროცესშიო. იმ საკითხს, თუ რისგან შედგება ჩვენი პარტია, როგორია ეს ძველი პარტია, გვერდს უვლიან და გვერდს უვლიან სწორედ ისე, როგორც ლეგალისტებს სჭირდებათ. ლაპარაკი იწილო-ბიწილოს წააგავს; პლეხანოვი 1912 წ. აპრილში კითხულობს — არსებობს ჩვენი ძველი პარტია თუ არა? — ლიკვიდატორთა კონფერენცია უპასუხებს: «გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასები ებმებიან ლეგალურ მოძრაობაშიო»!

ეს არის პასუხი ლეგალისტებისა, რომლებიც გუშინ გამოეთიშნენ პარტიას, რომლებიც გუშინ ძლიერნი იყვნენ და

პარტიას აღიზიანებდნენ, დღეს კი (როცა დამარცხდნენ) გაუბედავნი გახდნენ და მჭევრმეტყველების საშუალებით იცავენ თავს.

II

რეზოლუციის მეორე §-ში ნათქვამია:

«2. ვინაიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები რევოლუციამდელ ეპოქასთან შედარებით შეიცვალა, არსებული და ახლად წარმოშობილი არალეგალური პარტიული ორგანიზაციები უნდა შეეგუონ მუშათა ღია მოძრაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს».

კვლავ კარგი ლოგიკაა. საზოგადოებრივი პირობების შ ე ც ვ ლ ი დ ა ნ გამომდინარეობს ორგანიზაციის მხოლოდ ფორმის შ ე ც ვ ლ ა, მაგრამ ამ ცვლილების მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა რეზოლუციაში არაფრით არ არის დასაბუთებული.

რისთვის იმოწმებენ რეზოლუციაში «საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობების შეცვლას»? აშკარაა იმისათვის, რომ დაამტკიცონ, დაასაბუთონ, გამოიყვანონ თავიანთი პრაქტიკული დასკვნა: არალეგალური ორგანიზაცია საჭიროა ლეგალურ მოძრაობას შეეგუოსო. მაგრამ წანამძღვარიდან ასეთი დასკვნა სრულებითაც არ გამომდინარეობს. «პირობების შეცვლის გამო» ლეგალური მოძრაობა არალეგალურს უნდა შეეგუოს — ასეთი დასკვნა ამდენადვე კანონიერი იქნებოდა!

საიდან წარმოდგება ლიკვიდატორების ეს აბნეულობა?

იქიდან, რომ მათ სიმართლის თქმისა ეშინიათ და ორ სკამზე ჯდომას ცდილობენ.

სიმართლე ის არის, რომ ლიკვიდატორები დგანან «მიმდინარე მომენტის» ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ი (ლევიცკის, ლარინის, ეჟოვის და სხვების მიერ მოცემული) შეფასების თვალსაზრისზე, ვინაიდან იმის გამორკვევა, თუ რ ო გ ო რ «შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები», სწორედ ეს არის მომენტის შეფასება.

მაგრამ მათ ეშინიათ პირდაპირ გამოთქვან ეს შეფასება. მათმა კონფერენციამ ისიც კი ვერ გაბედა, რომ ეს საკითხი

დაეყენებინა. ჩუმად, ფარულად, კონტრაბანდულად ატარებს იგი იმ შეხედულებას, რომ მოხდა (რ ა ღ ა ც) ცვლილებანი, რომელნიც მოითხოვენ არალეგალურის «შეგუებას» ლეგალურთან.

ეს არის შეხედულება, რომელიც არაფრით არ განსხვავდება კადეტურისაგან, როგორც უკვე არაერთხელ აღუნიშნავს ს.-დ. პარტიულ პრესას. კადეტები სავსებით აღიარებენ, რომ მათი პარტია «საერთოდ იძულებულია არალეგალური დარჩეს» (იხ. ლიკვიდატორთა რეზოლუციის § 3) და რომ, პირობების შეცვლის გამო, არალეგალური პარტია ლეგალურ მოძრაობას უნდა შეეგუოს. კადეტებისათვის ეს საკმარისია. მათი პარტიის აკრძალვა, მისი არალეგალურად გახდომა მათთვის არის შემთხვევითობა, «არანორმალურობა», ნაშთი, ხოლო მთავარი, არსებითი, ძირითადია მათი ლეგალური მუშაობა. მათი ეს შეხედულება ლ ო გ ი კ უ რ ა დ გამომდინარეობს «მომენტის იმ შეფასებიდან», რომელიც გამოთქვა ბ-ნმა გრედესკულმა: ახალი რევოლუცია საჭირო არ არის, **არამედ საჭიროა** მხოლოდ **«კონსტიტუციური მუშაობაო».**

კადეტური პარტიის არალეგალურობა შემთხვევითობაა, გამონაკლისია «კონსტიტუციური მუშაობის» საერთო სისტემაში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ არალეგალური ორგანიზაცია უნდა «შეეგუოს ლეგალურ მოძრაობას». სწორედ ასეთიც არის საქმის ვითარება **კადეტების** პარტიაში.

ხოლო ს.-დ. პარტია ასე როდი უყურებს ამ საქმეს. ძირითადი დასკვნა მომენტის ჩვენი, პარტიული შეფასებიდან ის არის, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს ა ჭ ი რ ო ა დ ა მ ო დ ი ს. შეიცვალა ფ ო რ მ ე ბ ი განვითარებისა, რომელიც რევოლუციისაკენ მიდის, დარჩა რევოლუციის ძ ვ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი. აქედან დასკვნა: ორგანიზაციის ფორმები უნდა იცვლებოდეს, «უჯრედების» ფორმები მოქნილი უნდა იყოს, მათი გაფართოება ხშირად მოხდება არა თვით უჯრედების, არამედ **მათი** ლეგალური «პერიფერიის» გაფართოების გზით

და სხვ.. ყოველივე ეს ბევრჯერ არის ნათქვამი პარტიის რეზოლუციებში.

მაგრამ არალეგალური ორგანიზაციის ფ ო რ მ ე ბ ი ს ეს შეცვლა სრულებითაც არ იფარება ფორმულით: «შეგუებულ» იქნეს იგი ლეგალურ მოძრაობასთან. ეს სულ სხვა რამეა! ლეგალური ორგანიზაციები დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი პ უ ნ ქ ტ ე ბ ი არიან ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ უ ჯ რ ე დ თ ა იდეების მასებში გასატარებლად. მაშასადამე, გავლენის ფორმას ვცვლით, რათა წინანდელი გავლენა ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი მიმართულებით მიმდინარეობდეს.

ორგანიზაციების ფ ო რ მ ი ს მიხედვით არალეგალური «ეგუება» ლეგალურს. ჩვენი პარტიის მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით, ლეგალური საქმიანობა **«ეგუება»** არალეგალურ იდეებს. (აქედან წარმოდგება — ფრჩხილებში რომ ვთქვათ — «რევოლუციური მენშევიზმის» მთელი ომი ლიკვიდატორების წინააღმდეგ.)

მაშ განსაჯეთ, როგორია ჩვენი ლიკვიდატორების ღრმაგაზროვნება, როცა მათ პ ი რ ვ ე ლ ი წანამძღვარი (მუშაობის ფორმის შესახებ) მიიღეს, მეორე კი (მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი ს შესახებ) დაივიწყეს!! და თავის კადეტურ სიბრძნეს სათაურად წარუმძღვარეს მსჯელობა პარტიული მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს ორგანიზაციული ფორმების შესახებ. ასე რომ მათი მსჯელობა ასეთი გამოვიდა:

«პარტია უნდა ეაშენოთ ისე, რომ გარდავქმნათ (იგი) ლეგალურ მოძრაობაში მასების ჩაბმის გზით და შევუგუოთ მას არალეგალური ორგანიზაცია».

საკითხავია, ჰგავს თუ არა ეს პარტიის პასუხს? — (პარტიის შენება ნიშნავს იმას, რომ განვამტკიცოთ და გავამრავლოთ არალეგალური უჯრედები და გარს შემოვახვიოთ მათ ლეგალური დასაყრდენი პუნქტების ქსელი).

— თუ ეს იმას ჰგავს, რომ დავაკანონოთ თავის დასაძვრენი ლიკვიდატორებისათვის, რადგან ეს კადეტთა და ენესთა აზრების გამეორებას წარმოადგენს? სახალხო სოციალისტი

ბ-ნი პეშეხონოვი 1906 წ. აგვისტოში, როცა იგი «ღია პარტიას» აარსებდა, სწორედ ამ იდეებს იცავდა; იხ. «რუსსკოე ბოგატსტვო» 1906, № 8 და «პროლეტარი» № 4, სტატია «ესერული მენშევიკები» *.

III

რეზოლუციის § III-ში ნათქვამია:

«3. ს.-დ-იული პარტია უკვე ამჟამად, როცა მთლიანად მისი ორგანიზაცია იძულებულია არალეგალური რჩებოდეს, უნდა მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ ღიად აწარმოოს თავისი პარტიული მუშაობის ცალკეული ნაწილები და შექმნას ამისათვის სათანადო დაწესებულებანი».

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს კადეტთა პარტიის სიტყვასიტყვით ზუსტი, პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე სწორი სურათია. მაგრამ სიტყვები «ს.-დ.» აქ ტყუილად არის ნათქვამი.

კადეტთა პარტია «მთლიანად», მართლაც, «იძულებულია» არალეგალური რჩებოდეს, — ისინი მართლაც, «უკვე» ამჟამად (როცა ჩვენ, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვს...) მიისწრაფვიან იქითკენ, რომ ღიად აწარმოონ თავიანთი პარტიული მუშაობის ნაწილები.

ჩუმი წანამძღვარი, რომელიც ამ ლიკვიდატორული რეზოლუციის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ «კონსტიტუციური მუშაობა» აღიარებულია ერთადერთ — სულ მცირე რომ ვთქვათ: მთავარ, მტკიცე, ძირითად მუშაობად.

ეს სრულიადაც არ არის სწორი. სწორედ ესაა ლიბერალური მუშათა პოლიტიკის შეხედულებანი.

ს.-დ. პარტია არალეგალურია «მთლიანადაც» და თვითეულ უჯრედშიც და — რაც ყველაზე არსებითია — თავისი მუშაობის მთელი შინაარსითაც, მუშაობისა, რომელიც რევოლუციას ქადაგებს და ამზადებს. ამიტომ ს.-დ. პარ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 220 — 232. რ ე დ.

ტიის ყველაზე ღია უჯრედის ყ ვ ე ლ ა ზ ე ღია მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს «პარტიული მუშაობის ღიად წარმოებად».

მაგალითად, 1907 — 1912 წლებში რსდმ პარტიის ყველაზე «ღია» უჯრედი იყო სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია. მას შეეძლო ყველაზე «ღიად» ელაპარაკნა. იგი ე რ თ ა დ ე რ თ ი იყო ლეგალური და შეეძლო ლეგალურად ელაპარაკნა ძ ა ლ ი ა ნ ბ ე ვ რ რ ა მ ე ზ ე.

მ ა გ რ ა მ ა რ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე! და არა მარტო საერთოდ «არა ყველაფერზე», არამედ კერძოდ თავის პარტიაზეც კი, თავის პარტიულ მუშაობის შესახებაც კი «არა ყველაფერსა» და არა უმთავრესზე. ამიტომ, სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებაც კი ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ლიკვიდატორთა რეზოლუციის § 3. პარტიის დანარჩენ «ცალკეულ ნაწილებზე» კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ლიკვიდატორები «ღია», ლეგალური პარტიის მომხრენი არიან. მათ ახლა ეშინიათ (ისინი მუშებმა აიძულეს ეშინოდეთ, მათ ტროცკი ურჩევთ ეშინოდეთ) პირდაპირ თქვან ეს. მათ დაიწყეს ა მ ი ს ვ ე ლაპარაკი მ ც ი რ ე ო დ ე ნ ი ს ა ფ რ ე ბ ი თ. ისინი დუმან პარტიის ლეგალიზაციაზე. ისინი ქადაგებენ პარტიის ლეგალიზაციას **ნაწილ-ნაწილ!**

გამოთიშულ ლეგალისტთა «საინიციატივო ჯგუფები» ანტიპარტიული არიან—ეუბნებოდა ლიკვიდატორებს 1912 წლის აპრილში ნეიტრალური პლეხანოვი.—გამოთიშულ ლეგალისტთა «საინიციატივო ჯგუფები» — სწორედ ეს არის «პარტიის მუშაობის» ცალკეული ნაწილების ღიად წარმოება, უპასუხებს ლიკვიდატორული კონფერენცია;—სწორედ ეს არის ის «ღია მოძრაობა», რ ო მ ე ლ ს ა ც არალეგალური პარტია უნდა «შეეგუოს»; — სწორედ ეს არის ის «ღია ცხოვრება», რომელში «ჩაბმაც» პარტიის საჭირო «გარდაქმნის» საზომი და საწინდარიაო.

რა მიამიტები უშოვნიათ ლიკვიდატორებს, თუ სწორია მათი ნაამბობი, თითქოს ასეთი შეხედულებანი მოიწონეს ტროცკის მიერ მიყვანილმა «ანტილიკვიდატორებმაო»!

IV

რეზოლუციის უკანასკნელი §:

«4. შესაძლებლობა არა აქვს რა, თავისი არალეგალური არსებობის გამო, თავის ფარგლებში მოაქციოს მუშათა ფართო წრეები, რომლებზეც მისი გავლენა ვრცელდება, ს.-დ. ორგანიზაცია უნდა უკავშირდებოდეს პროლეტარიატის პოლიტიკურად აქტიურ ფენებს, ხოლო მათი მეშვეობით მასებსაც, რისთვისაც უნდა ქმნიდეს სხვადასხვაგვარ მეტად თუ ნაკლებად გაფორმებულ ლეგალურ თუ არალეგალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სხვადასხვაგვარ ლეგალურ საფარველებს (საარჩევნო კომიტეტები, 4 მარტის კანონის საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური საზოგადოებები, მუნიციპალური კომპანიები, სიძვირესთან ბრძოლის საზოგადოებანი და სხვ.), აგრეთვე ახდენდეს თავისი მოქმედების კოორდინაციას არაპოლიტიკურ მუშათა ორგანიზაციებთან».

აქაც ლეგალურ საფართა შესახებ უდავო მსჯელობით დ ა ფ ა რ უ ლ ი ა არა მარტო სადავო რამ, არამედ ლიკვიდატორულიც.

ლ ე გ ა ლ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს შექმნა — სწორედ ეს არის ის, რასაც ქადაგებდნენ ლევიცკი და ნ. რ-კოვი, სწორედ ეს არის პარტიის ლეგალიზაცია ნაწილ-ნაწილ.

ჩვენ უკვე წელიწადზე მეტი ხანია ვეუბნებით ლიკვიდატორებს: კმარა სიტყვები, დააარსეთ თქვენი «ლეგალური პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი საზოგადოებანი» როგორც, მაგალითად, «მუშათა კლასის ინტერესთა დაცვის საზოგადოებანი» და სხვ. კმარა ფრაზები, ხელი მოჰკიდეთ საქმეს!

მაგრამ მათ არ შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ საქმეს, ვინაიდან არ შეიძლება ლიბერალური უტოპიის განხორციელება ა ხ ლ ა ნ დ ე ლ რუსეთში. ასე დაფარულად მათ შეუძლიათ მხოლოდ დ ა ი ც ვ ა ნ თავიანთი «საინიციატივო ჯგუფები», რომლებიც გართული არიან სასარგებლო ლაპარაკითა და

ურთიერთწახალისებით, წინადადებებითა და მოსაზრებებით «ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაციების» შესახებ.

ისინი იცავენ თავიანთ «საინიციატივო ჯგუფებს», ოფიციალურად აცხადებენ რეზოლუციაში, რომ არალეგალური ორგანიზაციები უ ნ დ ა «უკავშირდებოდნენ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ა ქ ტ ი უ რ ფ ე ნ ე ბ ს, ხ ოლო მათი მეშვეობით მასებსაც»!!! მაშასადამე, სწორედ უჯრედებს გ ა რ ე თ დგანან «პოლიტიკურად აქტიურები»!—განა ეს უბრალო გამეორება არ არის იმ ცნობილი ფრაზებისა და შეძახილების შინაარსისა, რომ «მკვდრადქცეული პარტიიდან» ყოველივე აქტიური «საინიციატივო ჯგუფებში» გ ა ი ქ ც ა ო?

რასაც «ნაშა ზარია» და «დელო ჟიზნი» პირდაპირ ამბობდნენ, ლ ა ნ ძ ღ ა ვ დ ნ ე ნ რა არალეგალურ პარტიას, იმას ტროცკი და პარტიიდან გარიცხული ლიკვიდატორები «ცოტა უფრო რბილად» ამბობენ: თითქოს სწორედ ვიწრო არალეგალური პარტიის ფარგლებს გარეთ დგას ყველაზე «ა ქ ტ ი უ რ ი», სწორედ მას უნდა «ვუკავშირდებოდეთო». ჩვენ — გამოთიშული ლიკვიდატორები — აქტიური ელემენტი ვართ; ჩვენი მეშვეობით «პარტია» მასებს უნდა უკავშირდებოდესო.

პარტიამ სავსებით გარკვეულად თქვა: ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში საჭიროა ს.-დ. პარტიული უჯრედების თანამშრომლობა პროფესიულ კავშირებთან, მათში არსებულ ს.-დ. უჯრედებთან, პროფესიული მოძრაობის ცალკეულ მოღვაწეებთან. ან — სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კამპანიაში საჭიროა, რომ კავშირები პარტიის გვერდით მიდიოდნენ. ეს ნათელი, ზუსტი და გასაგებია. ამის ნ ა ც ვ ლ ა დ ლიკვიდატორები ქადაგებენ საერთოდ პარტიის მუშაობის ბუნდოვან «კოორდინირებას» «არაპოლიტიკურ», ე. ი. უპარტიო კავშირებთან.

პ. ბ. აქსელროდმა მისცა ტროცკის ლიკვიდატორობის იდეები. ტროცკიმ ურჩია აქსელროდს, «ნაშა ზარიაში» მის მწარე წარუმატებლობათა შემდეგ, დაფაროს ეს იდეები მათი გამაბუნდოვანებელი ფრაზებით.

ეს კომპანია ვერავის ვერ მოატყუებს. ლიკვიდატორთა კონფერენცია ასწავლის მუშებს უფრო მკაცრად დააკვირდნენ მიკიბულ-მოკიბული ფრაზების აზრს. მუშებს ეს კონფერენცია ამ მწარე, არასაინტერესო, მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არც თუ უსარგებლო «გაკვეთილის» მეტს არაფერს მისცემს.

ლიბერალური მუშათა პოლიტიკის იდეები ჩვენ შევისწავლეთ ლევიცკის საშინაო კოსტიუმში, მათი გამოცნობა ძნელი არ არის ტროცკის ზიზილ-პიპილებიან სამოსელშიც.

პარტიის იდეები არალეგალური ორგანიზაციისა და მისი ლეგალური მუშაობის შესახებ სულ უფრო მკაფიოდ მოჩანან მთელ ამ ფარისეველურ მასკარადებთან შედარებით.

«სოციალ-დემოკრატი» № 28 — 29,
1912 წ. 5 (18) ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სერბია-ბულგარეთის გამარჯვებათა სოციალური მნიშვნელობა

«მაკედონიისათვის ბულგარეთისა და სერბიის მიერ მისი დაპყრობა ნიშნავს ბურჟუაზიულ რევოლუციას, თავისებურ 1789 ან 1848 წელს», — ავსტრიელი მარქსისტის ოტო ბაუერის ეს სიტყვები ერთბაშად ააშკარავებს იმ ამბების მთავარ არსს, რომლებიც ახლა ბალკანეთში ხდება.

1789 წლის რევოლუცია საფრანგეთში, 1848 წლისა გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ბურჟუაზიული რევოლუცია იყო, იმიტომ რომ ქვეყნის განთავისუფლება აბსოლუტიზმისაგან და მემამულური, ბატონყმური პრივილეგიებისაგან სინამდვილეში კაპიტალიზმის განვითარების თავისუფლებას იძლეოდა. მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, ასეთ რევოლუციას სავსებით გადაჭრით მოითხოვდა მუშათა კლასის ინტერესები, და 1789 და 1848 წლების «უპარტიო» მუშებიც კი, რომლებიც ორგანიზებული არ იყვნენ კლასად, საფრანგეთისა და გერმანიის რევოლუციის მოწინავე მებრძოლები იყვნენ.

მაკედონია, ისევე როგორც ბალკანეთის ყველა ქვეყანა, ძლიერ ჩამორჩა ეკონომიურად. იქ ჯერ კიდევ დარჩენილია ბატონყმობის, მემამულე-ფეოდალთაგან გლეხების შუასაუკუნეობრივი დამოკიდებულების უძლიერესი ნაშთები. ასეთ ნაშთებს ეკუთვნის გლეხის მიერ ღალის გადახდა მემამულისათვის (ფულად ან პროდუქტებით), შემდეგ მოზიარეობა (ჩვეულებრივად გლეხი მაკედონიაში მოზიარეობის დროს

მემამულეს აძლევს მოსავლის მესამედს, ნაკლებს, ვიდრე რუსეთში) და ა. შ.

მემამულეები მაკედონიაში (ეგრეთწოდებული სპაგები) თურქები და მაჰმადიანები არიან, გლეხები კი — სლავები და ქრისტიანები. ამიტომ კლასობრივი წინააღმდეგობა მწვავდება რელიგიური და ეროვნული წინააღმდეგობით.

ამრიგად, სერბებისა და ბულგარელების გამარჯვებანი მოასწავებენ მაკედონიაში ფეოდალიზმის ბატონობისათვის ძირის გამოთხრას, მოასწავებენ გლეხ-მიწათმოქმედთა ცოტად თუ ბევრად თავისუფალი კლასის შექმნას, მოასწავებენ ბალკანეთის ქვეყნების მთელი იმ საზოგადოებრივი განვითარების უზრუნველყოფას, რაც შეფერხებული იყო აბსოლუტიზმითა და ბატონყმური ურთიერთობით.

ბურჟუაზიული გაზეთები, «ნოვოე ვრემიათი» დაწყებული და «რეჩით» დამთავრებული, ლაპარაკობენ ეროვნულ განთავისუფლებაზე ბალკანეთში, ხოლო ჩრდილში ტოვებენ ეკონომიურ განთავისუფლებას. ნამდვილად კი სწორედ ეს უკანასკნელია მთავარი.

მემამულეებისა და აბსოლუტიზმისაგან სრული განთავისუფლებისას, ეროვნული განთავისუფლება და ხალხთა თვითგამორკვევის სრული თავისუფლება გარდუვალი შედეგი იქნებოდა. პირიქით, თუ დარჩა ხალხების ჩაგვრა მემამულეებისა და ბალკანეთის მონარქიების მიერ, აუცილებლად დარჩება ამა თუ იმ ზომით ეროვნული ჩაგვრაც.

მაკედონიის განთავისუფლება რომ მომხდარიყო რევოლუციის გზით, ესე იგი როგორც სერბი და ბულგარელი, ისე თურქი გლეხების ბრძოლით ყველა ეროვნების მემამულეთა (და ბალკანეთის მემამულურ მთავრობათა) წინააღმდეგ, მაშინ განთავისუფლება ბალკანეთის ხალხების ალბათ ასჯერ ნაკლებ ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა, ვიდრე ახლანდელი ომი. განთავისუფლება მიღწეულ იქნებოდა გაცილებით უფრო იაფ ფასად და გაცილებით უფრო სრული იქნებოდა.

საკითხავია, რა ისტორიულმა მიზეზებმა გამოიწვია ის, რომ საკითხი წყდება ომით და არა რევოლუციით? ამის მთავარი ისტორიული მიზეზია ბალკანეთის ყველა ქვეყანაში გლეხთა მასების სისუსტე, დაქსაქსულობა, განუვითარებლობა, სიბნელე, აგრეთვე მცირერიცხოვნობა მუშებისა, რომლებსაც კარგად ესმოდათ საქმის ვითარება და მოითხოვდნენ ბალკანეთის ფედერაციულ (საკავშირო) რესპუბლიკას.

აქედან ცხადია ევროპის ბურჟუაზიისა და ევროპის მუშების ძირეული განსხვავება ბალკანეთის საკითხისადმი მათს დამოკიდებულებაში. ბურჟუაზია, ლიბერალურიც კი, როგორიც ჩვენი კადეტები არიან, «სლავთა» «ეროვნულ» განთავისუფლებაზე გაჰყვირის. ამით პირდაპირ მახინჯდება იმ მოვლენათა აზრი და ისტორიული მნიშვნელობა, რომლებიც ამჟამად ბალკანეთში ხდება, ამით ა ძ ნ ე ლ ე ბ ე ნ ბალკანეთის ხალხების ნამდვილი განთავისუფლების საქმეს. ამით ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ე ნ იმას, რომ ასე თუ ისე დატოვებულ იქნეს მემამულეთა პრივილეგიები, პოლიტიკური უუფლებობა, ეროვნული ჩაგვრა.

პირიქით, მუშათა დემოკრატია ერთადერთი იცავს ბალკანეთის ხალხების ნამდვილ და სრულ განთავისუფლებას. მხოლოდ ბალკანეთის ყველა ხალხის გ ლ ე ხ თ ა ბოლომდე მიყვანილ ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლებას შეუძლია მოსპოს რაიმე ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი შესაძლებლობა.

«პრავდა» № 162, 1912 წ. 7 ნოემბერი,
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

განახლებული ჩინეთი

მოწინავე და ცივილიზებულ ევროპას არ აინტერესებს ჩინეთის განახლება. ოთხასმა მილიონმა ჩამორჩენილმა აზიელმა მოიპოვა თავისუფლება, გაიღვიძა პოლიტიკური ცხოვრებისათვის. დედამიწის მოსახლეობის მ ე ო თ ხ ე დ ი ნაწილი გადავიდა, ასე ვთქვათ, ძილიდან სინათლეზე, მოძრაობაზე, ბრძოლაზე.

ცივილიზებული ევროპა ყურსაც არ იბერტყავს. დღემდე საფრანგეთის რესპუბლიკასაც კი არ უცვნია ოფიციალურად ჩინეთის რესპუბლიკა! ამის შესახებ მალე შეკითხვა იქნება საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

რით აიხსნება ევროპის ეს გულგრილობა? იმით, რომ დასავლეთში ყველგან მეფობს იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც სამი მეოთხედით უკვე დამპალია, მზად არის ყოველ ავანტიურისტს მიჰყიდოს მთელი თავისი «ცივილიზაცია» მუშების წინააღმდეგ «სიმკაცრის» ზომებში ან მანეთზე ზედმეტ შაურ მოგებაში. ჩინეთს ეს ბურჟუაზია უყურებს მ ხ ო ლ ო დ როგორც საკბილოს, რომელსაც ალბათ ახლა — მას შემდეგ, რაც მონღოლეთი «ნაზად ჩაიკრა გულში» რუსეთმა, — ჯიჯგნას დაუწყებენ იაპონელები, ინგლისელები, გერმანელები და სხვ.

მაგრამ ჩინეთის განახლება მაინც წინ მიდის. ამჟამად იწყება პარლამენტის — ყოფილი დესპოტიის პ ი რ ვ ე ლ ი პარლამენტის — არჩევნები. ქვედა პალატაში 600 წევრი იქნება, «სენატში» — 274.

საარჩევნო უფლება არ არის საყოველთაო და არ არის პირდაპირი. ირჩევენ მხოლოდ ისინი, ვისაც 21 წელი შეუსრულდა და მოცემულ საარჩევნო უბანში ცხოვრობს სულ მცირე 2 წელიწადს, თუ იხდის პირდაპირ გადასახადს დაახლოებით 2 მანეთის რაოდენობით ან აქვს დაახლოებით 500 მანეთის ქონება. ირჩევენ ჯერ ამრჩევებს, რომლებიც ირჩევენ დეპუტატებს.

უკვე ასეთი საარჩევნო უფლება მიგვითითებს შეძლებული გლეხობის კავშირზე ბურჟუაზიასთან, მაშინ როცა პროლეტარიატი არ არსებობს ან სრულიად უძლურია.

იმავე გარემოებაზე მიგვითითებს ჩინეთის პოლიტიკური პარტიების ხასიათი. მთავარი პარტია სამია:

1) «რადიკალურ-სოციალისტური», — რომელშიც ნამდვილად ისევე არ მოიპოვება სოციალიზმის ნატამალი, როგორც ჩვენს «სახალხო სოციალისტებში» (და 9/10 «სოციალისტ-რევოლუციონერებში»). ეს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიაა. მისი მთავარი მოთხოვნებია: ჩინეთის პოლიტიკური გაერთიანება, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება «სოციალური მიმართულებით» (იმდენადვე ბუნდოვანი ფრაზა, როგორც «შრომითი საწყისი» და «გათანაბრება» ჩვენს ნაროდნიკებსა და ესერებში), მშვიდობის შენარჩუნება.

2) მეორე პარტიაა ლიბერალები. მათ კავშირი აქვთ «რადიკალურ-სოციალისტურ» პარტიასთან და მასთან ერთად შეადგენენ «ეროვნულ პარტიას». ალბათ ამ პარტიას უმრავლესობა ეყოლება ჩინეთის პირველ პარლამენტში. ამ პარტიის ბელადია ცნობილი დოქტორი სუნ იატ-სენი. ახლა იგი განსაკუთრებით მუშაობს რკინიგზების ფართო ქსელის გეგმის შემუშავებაზე (რუსეთის ნაროდნიკების საყურადღებოდ: სუნ იატ-სენი ამას იმისათვის აკეთებს, რომ ჩინეთმა კაპიტალიზმის ბედი «აიცილოს»!).

3) მესამე პარტიას ეწოდება «რესპუბლიკელთა კავშირი» — ეს იმის ერთ-ერთი ნიმუშია, თუ რა ყალბია აბრები

პოლიტიკაში! ნამდვილად ეს არის კონსერვატიული პარტია, რომელიც ეყრდნობა უმთავრესად ჩრდილოეთ ჩინეთის, ე. ი. ჩინეთის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილის მოხელეებს, მემამულეებს, ბურჟუებს. «ეროვნული» პარტია კი უმთავრესად უფრო სამრეწველო, უფრო მოწინავე, უფრო განვითარებული სამხრეთ ჩინეთის პარტიაა.

«ეროვნული პარტიის» მთავარი დასაყრდენია გლეხთა ფართო მასა. მისი ბელადები საზღვარგარეთ აღზრდილი ინტელიგენციაა.

ჩინეთის თავისუფლება მოპოვებულია გლეხთა დემოკრატიისა და ლიბერალური ბურჟუაზიის კავშირით. მოახერხებენ თუ არა გლეხები, რომლებსაც პროლეტარიატის პარტია არ ხელმძღვანელობს, შეინარჩუნონ თავიანთი დემოკრატიული პოზიცია ლიბერალთა წინააღმდეგ, რომელნიც მხოლოდ მარჯვე მომენტს ელიან, რომ მარჯვნისაკენ გადაბარგდნენ, — ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

«პრავდა» № 163, 1912 წ. 8 ნოემბერი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების შედეგები და მნიშვნელობა

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულია ვილსონი, «დემოკრატი». მან 6 მილიონზე მეტი ხმა მიიღო, რუზველტმა (ახალი «ნაციონალური პროგრესული პარტია») — ოთხ მილიონზე მეტი, ტაფტმა («რესპუბლიკური პარტია») — სამ მილიონზე მეტი. სოციალისტმა ევგენი დებსმა — 800 000 ხმა.

ამერიკის არჩევნების მსოფლიო მნიშვნელობა მდგომარეობს არა იმდენად იმაში, რომ ძლიერ გაიზარდა სოციალისტთა ხმების რიცხვი; — ამერიკის არჩევნების მნიშვნელობა მდგომარეობს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პარტიების უდიდეს კ რ ი ზ ი ს ში, განსაცვიფრებელ ძალაში, რომლითაც იჩინა თავი მათმა გახრწნამ. დასასრულ, არჩევნების მნიშვნელობაა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი ს, როგორც სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალების, არაჩვეულებრივად ნათლად და მკაფიოდ გამოსვლა.

ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულ ქვეყანაში ის პარტიები, რომლებიც კაპიტალიზმის თვალსაზრისზე დგანან, ე. ი. ბურჟუაზიული პარტიები, ჩამოყალიბდნენ ძალიან დიდი ხნის წინათ და მით უფრო მტკიცედ, რაც უფრო მეტია პოლიტიკური თავისუფლება.

ამერიკაში თავისუფლება ყველაზე სრულია. და ო რ ი ბურჟუაზიული პარტია მთელი ნ ა ხ ე ვ ა რ ი ს ა უ კ უ ნ ი ს განმავლობაში — მონათმფლობელობის გამო 1860 — 1865

წლების სამოქალაქო ომის შემდეგ — განირჩეოდა აქ შესანიშნავი სიმტკიცითა და ძალით. წინანდელ მონათმფლობელთა პარტია ეს არის ეგრეთწოდებული «დემოკრატიული პარტია». კაპიტალისტების პარტია, რომელიც ზანგების განთავისუფლების მომხრე იყო, განვითარდა «რესპუბლიკურ პარტიად».

ზანგების განთავისუფლების შემდეგ განსხვავება ამ პარტიებს შორის სულ უფრო ნაკლები ხდებოდა. ამ პარტიების ბრძოლა წარმოებდა უმთავრესად საბაჟო გადასახადების მეტი თუ ნაკლები სიდიდის საკითხის გამო. არავითარი ს ე რ ი ო ზ უ ლ ი მნიშვნელობა ხალხის მასისათვის ამ ბრძოლას ა რ ჰ ქ ო ნ ი ა. ხალხს ატყუებდნენ, თავის საარსებო ინტერესებს აშორებდნენ ორი ბურჟუაზიული პარტიის ეფექტიანი და უშინაარსო დ უ ე ლ ე ბ ი ს საშუალებით.

ეს ეგრეთწოდებული «2 პარტიის სისტემა», რომელიც გამეფებული იყო ამერიკასა და ინგლისში, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის, ე. ი. ნამდვილად სოციალისტური პარტიის წარმოშობისათვის ხელის შეშლის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება იყო.

და აი ამერიკაში, ყველაზე მოწინავე კაპიტალიზმის ქვეყანაში, 2 პარტიის სისტემამ კრახი განიცადა! რამ გამოიწვია ეს კრახი?

მუშათა მოძრაობის ძალამ, სოციალიზმის ზრდამ.

ძველი ბურჟუაზიული პარტიები («დემოკრატიული» და «რესპუბლიკური») იყურებოდნენ წარსულისაკენ, ზანგთა განთავისუფლების ეპოქისაკენ. ახალი ბურჟუაზიული პარტია, «ნაციონალური პროგრესული პარტია», იყურება მ ო მ ა ვ ლ ი ს ა კ ე ნ. მისი პროგრამა მთლიანად ტრიალებს კაპიტალიზმის ყოფნა-არყოფნის საკითხის გარშემო, სახელდობრ მუშათა დაცვისა და «ტრესტების» საკითხების გარშემო, როგორც უწოდებენ ამერიკაში კაპიტალისტთა კავშირებს.

ძველი პარტიები წარმოშობილი არიან იმ ეპოქის მიერ, რომლის ამოცანაც კაპიტალიზმის უსწრაფესი განვითარება

იყო. პარტიების ბრძოლა იმით განისაზღვრებოდა, თუ უკეთ როგორ დაეჩქარებინათ და გაეადვილებინათ ეს განვითარება.

ახალი პარტია წარმოშობილია თანამედროვე ეპოქის მიერ, რომელიც აყენებს საკითხს კაპიტალიზმის თვით არსებობის შესახებ. ყველაზე თავისუფალ და ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, ამერიკაში, ეს საკითხი დღის წესრიგში დგება ყველაზე ნათლად, ყველაზე ფართოდ.

რუზველტისა და «პროგრესისტების» მთელი პროგრამა, მთელი აგიტაცია იმის გარშემო წარმოებს, თუ როგორ იხსნან კაპიტალიზმი... ბურჟუაზიული რეფორმების საშუალებით.

ის ბურჟუაზიული რეფორმიზმი, რომელიც ძველ ევროპაში გამოდის როგორც ლიბერალ პროფესორთა ლაყბობა, — ეს ბურჟუაზიული რეფორმიზმი ამერიკის თავისუფალ რესპუბლიკაში ერთბაშად გამოვიდა როგორც 4-მილიონიანი პარტია. აი ეს ამერიკულია.

— ჩვენ ვიხსნით კაპიტალიზმს რეფორმებით — ამბობს ეს პარტია. — ჩვენ შევქმნით ყველაზე მოწინავე საფაბრიკო კანონმდებლობას. ჩვენ შემოვიღებთ სახელმწიფო კონტროლს ყველა ტრესტისადმი (ამერიკაში ეს ნიშნავს მთელი მრეწველობისადმი!). ჩვენ შემოვიღებთ სახელმწიფო კონტროლს მათდამი, რომ არ იყოს სიღატაკე, რომ ყველა იღებდეს «რიგიან» ხელფასს. ჩვენ დავაწესებთ «სოციალურ და სამრეწველო სამართლიანობას». ჩვენ ყველა რეფორმას ვფიცულობთ... ჩვენ არ გვსურს მხოლოდ ერთი «რეფორმა»: კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია!

ამერიკაში მთელ ნაციონალურ სიმდიდრეს ახლა 120 ბილიონ (ათას მილიონ) დოლარს, ე. ი. დაახლოებით 240 ბილიონ მანეთს ანგარიშობენ. აქედან დაახლოებით მესამედი, დაახლოებით 80 ბილიონი მანეთი, ეკუთვნის ორ ტრესტს, როკფელერისას და მორგანისას, ან ემორჩილება ამ ტრესტებს! სულ ბევრი 40 000 ოჯახი, რომლებიც ამ

ორ ტრესტს შეადგენს, 80 მილიონი დაქირავებული მონის მფლობელია.

გასაგებია, რომ, ამ თანამედროვე მონათმფლობელთა არსებობისას, ყველა «რეფორმა» მხოლოდ მოტყუებაა. რუზველტი ა შ კ ა რ ა დ დაქირავებულია გაქნილი მილიარდერების მიერ ამ მოტყუების საქადაგებლად. მის მიერ დაპირებული «სახელმწიფო კონტროლი» გადაიქცევა — იმ პირობებში, როცა კაპიტალი კაპიტალისტების ხელში რჩება, — გაფიცვებთან ბრძოლის და მათი ჩახრჩობის საშუალებად.

მაგრამ ამერიკელმა პროლეტარმა უკვე გაიღვიძა და თავის საგუშაგოზე დგას. იგი მხნე ირონიით ხვდება რუზველტის წარმატებებს. — თქვენ აიყოლიეთ 4 მილიონი კაცი რეფორმების დაპირებით, პატივცემულო თაღლითო რუზველტ? ძალიან კარგი! ხვალ ეს ოთხი მილიონი დაინახავს, რომ თქვენი დაპირებანი მოტყუებაა, ეს მილიონები კი თქვენ მ ხ ო ლ ო დ იმიტომ მოგყვებიან, რომ გრძნობენ: ძველებურად ცხოვრება ა ღ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა.

«პრავდა» № 164, 1912 წ. 9 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ჩვენი პარტიის «მტკივნეული საკითხები»

«ლიკვიდატორობისა» და «ეროვნული» საკითხები

1912 წლის აგვისტოში პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარმა გამგეობამ მოიწვია პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის «სამხარეო კონფერენცია». ცნობილია, რომ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ეს მთავარი გამგეობა ამჟამად არის გამგეობა უ პ ა რ ტ ი ო დ. პოლონეთის დედაქალაქში, ვარშავაში, ადგილობრივმა ს.-დ.-მა ორგანიზაციამ გადაჭრით დაგმო დეზორგანიზატორული პოლიტიკა მთავარი გამგეობისა, რომელმაც ამის პასუხად მიმართა საზიზღარ საშუალებას — პროვოკაციაში ანონიმურად ბრალის დადებას, შექმნა თავისთვის ვარშავის ფიქციური ორგანიზაცია და საჩქაროდ მოიწვია «თავისი», სათანადოდ მოჭახრაკებული სამხარეო კონფერენცია.

შემდეგში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმა ვარშავის მუშათა კურიისაგან საბოლოოდ დაამტკიცა მთავარი გამგეობის მომხრეთა ფიქციურობა: 66 რწმუნებულიდან 34 ს.-დ. იყო, მათ შორის მთავარი გამგეობის მხოლოდ 3 (და ისიც საეჭვო) მომხრე.

ეს წინასწარი შენიშვნა აუცილებელია იმისათვის, რომ მკითხველმა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის სამხარეო კონფერენციის ის რეზოლუცია, რომელზეც ლაპარაკს ვაპირებთ, განიხილოს მ ხ ო ლ ო დ როგორც ტ ი შ კ ო ს მთავარი გამგეობის რეზოლუცია, მაგრამ არამც და არამც როგორც პოლონელი ს.-დ. მუშების რეზოლუცია.

I

საკითხი პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებისა რსდმ პარტიისადმი არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი და მწვავეა. ამიტომ ტიშკოს კონფერენციის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ამ საკითხზე, რარიგ ძნელიც უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ მიჩნევა, უფრო ყურადღებით შესწავლის ღირსია.

ძნელია სერიოზულად მოვეკიდოთ ლანძღვა-გინებით აღსავსე ტიშკოს რეზოლუციას თუნდაც იმის გამო, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ძ ი რ ი თ ა დ ი საკითხისადმი ლიკვიდატორობის შესახებ.

ეს ძირითადი საკითხია რსდმ პარტიაში 1908 — 1912 წლების მანძილზე. პარტია საშინლად განადგურებულია კონტრრევოლუციის მიერ. პარტია მთელ თავის ძალებს ძაბავს იმისათვის, რომ აღადგინოს თავისი ორგანიზაცია. და კონტრრევოლუციის მ თ ე ლ ი ო თ ხ ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი პარტია გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ბრძოლას აწარმოებს სოციალ-დემოკრატებს შორის არსებულ იმ მცირე ჯგუფებთან, რომლებსაც სურთ მოახდინონ პარტიის ლიკვიდაცია.

განა აქედან ნათლად არ გამომდინარეობს, რომ ის, ვისაც მკაფიოდ ვერ გადაუჭრია ლიკვიდატორობის საკითხი, ტ ყ უ ი ლ ა დ უწოდებს თავს პარტიის წევრს?

ტიშკოს კონფერენციაც თავის რეზოლუციაში რსდმ პარტიისადმი დამოკიდებულების შესახებ ყველაზე მეტ ადგილს უთმობს ლიკვიდატორობას. კონფერენცია აღიარებს, რომ ლიკვიდატორობა «უდიდესი შეფერხებაა რსდმ პარტიის განვითარებისათვის და სერიოზული საფრთხეა თვით მისი არსებობისათვის».

«აშკარა და თანმიმდევრული ლიკვიდატორობა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ურთიერთს გამორიცხავენო» — ნათქვამია რეზოლუციაში.

როგორც ხედავთ, ტიშკომ და კომპანიამ გაბედულად და მტკიცედ მოჰკიდეს ხელი პრობლემას — და თავი აარიდეს პასუხს!

ვინ არის «აშკარა და თანმიმდევარი» ლიკვიდატორი? და რა პრაქტიკულ დასკვნამდე მიგვიყვანა ლიკვიდატორობასთან ოთხი წლის ბრძოლის გამოცდილებამ?

ამ ბუნებრივ და სავალდებულო კითხვებს რსდმ პარტიის იანვრის კონფერენციამ ნათლად, ზუსტად და დამაჯერებლად უპასუხა: ლიკვიდატორები არიან გაზეთების — «ნაშა ზარიასა» და «ჟივოე დელოს» ჯგუფი. ამ ჯგუფმა თავი პარტიის გარეთ დააყენა.

ეს პასუხი შეიძლება სწორად ან არასწორად ჩათვალო, მაგრამ არ შეიძლება უარყო, რომ იგი ნათელია, არ შეიძლება თავი აარიდო თავისი პოზიციის ნათლად განსაზღვრას!

ტიშკოს კონფერენცია კი სწორედ თავის არიდებას ცდილობს, ქურდბაცაცასავით თავს იძვრენს და მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლევა. თუ მართალი არ არის, რომ «ნაშა ზარია» — ეს აშკარა და თანმიმდევრული ლიკვიდატორები არიან, როგორც ჩვენ გარკვეულად ვთქვით 1912 წლის იანვარში, რატომ მოხდა, რომ ტიშკომ და კომპანიამ 1912 წლის აგვისტოში პოლონელი ს.-დ. მუშების წინაშე ვერ გამოამჟღავნეს ჩვენი შეცდომა? თუ მართალი არ არის, რომ «ნაშა ზარიამ» თავი დააყენა პარტიის გარეთ, თუ თქვენ, ბატონებო — ტიშკო, როზა ლუქსემბურგ, ვარსკი, იგი პარტიაში მყოფად მიგაჩნიათ, რატომ არ თქვით ეს პირდაპირ? ეს თქვენი პირდაპირი მოვალეობა იყო პოლონელი ს.-დ. მუშების წინაშე!

და რამდენი ლანძღვა-გინებითა და წყევლა-კრულვითაც უნდა მოიხსენიოთ 1912 წლის იანვრის «ლენინური» კონფერენცია, ამ ხმაურით ვერავის ვერ მოატყუებთ გარდა იმ ადამიანებისა, რომლებსაც სურთ მოტყუებული იყვნენ. ვინაიდან იანვრის კონფერენციის შემდეგ არ შეიძლება შეგნებული და პატიოსანი სოციალ-დემოკრატი იყო, არ შეიძლება რსდმ პარ-

ტიაში საქმის ვითარებებზე ლაპარაკობდე, თუ ნათლად და მკაფიოდ არ გაეცი პასუხი კითხვაზე: ლიკვიდატორულია თუ არა «ნაშა ზარია» და სად არის ამ ჯგუფის ადგილი — პარტიაში თუ პარტიის გარეთ?

II

სიტყვაუხვი, მრავალფეროვანი, დაუსრულებელი ლანძღვა-გინება, რომელსაც ტიშკოს კონფერენცია მიმართავს «ლენინელების» წინააღმდეგ, განისაზღვრება ერთი რამით — გ ა თ ი შ ვ ა შ ი ბრალის დადებით.

რსდმ პარტიის იანვრის კონფერენციამ პარტიის გარეთ მდგომად ცნო მხოლოდ «ნაშა ზარიას» ჯგუფი. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ამ ფაქტიდან ტიშკოსა და მის მეგობრებსაც კი შეეძლოთ გაეკეთებინათ ის უბრალო და აშკარა დასკვნა, რომ გათიშვაში ბრალის დადება ნიშნავს «ნაშა ზარიას» ჯგუფის პ ა რ ტ ი უ ლ ო ბ ი ს აღიარებას.

ბავშვიც კი გაიგებს ამ დასკვნის გარდუვალობას. ტიშკო და კომპანია კი უკვე დიდი ხანია გამოვიდნენ ბავშვობის ასაკიდან...

ვინც ჩვენ ბრალს გვდებს გათიშვაში, მას იმდენი ელემენტარული გამბედაობა, ელემენტარული პატიოსნება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ პირდაპირ განაცხადოს: ««ნ ა შ ა ზ ა რ ი ა ს» ჯგუფი ლიკვიდატორული არ არის», «იგი ა რ უ ნ დ ა იყოს პარტიის გარეთ, არამედ მისი ადგილი პარტიის შ ი გ ნ ი თ არის», «იგი პარტიაში არსებული კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ნ ა ი რ ს ა ხ ე ო ბ ა ა ო» და ა. შ.

საქმის მთელი არსი სწორედ იმაშია, რომ ტიშკოს მსგავსი ვაჟბატონები, რომლებიც ბრალს გვდებენ გათიშვაში, მ ა ლ უ ლ ა დ, მორცხვად, გადაკრული სიტყვებით ამბობენ ამას (ვინაიდან ამას თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ შეიცავს ღრიანცელი გათიშვის შესახებ), რაკი ე შ ი ნ ი ა თ პირდაპირ თქვან ეს!

იმის თქმა და დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა, რომ «ნაშა ზარია» პარტიაში უნდა იყოს, ა დ ვ ი ლ ი რ ო დ ი ა. ვინც ამას ამბობს,

იგი კისრულობს ერთგვარ პასუხისმგებლობას — წყვეტს ერთგვარ პრინციპულ საკითხს — პირდაპირ იცავს ლიკვიდატორობის მეთაურებს. ასეთი ადამიანი შეიძლება ჩათვალო (და უნდა ჩათვალო) ლიკვიდატორთა მომხრედ, მაგრამ არ შეიძლება არ ცნო იგი რწმენის მქონე ადამიანად, არ შეიძლება უარყოფდე მის პოლიტიკურ პატიოსნებას, თუნდაც ლიკვიდატორთა განსაზღვრული ჯგუფის პარტიულობის ან არაპარტიულობის ვიწრო საკითხის დარგში.

ხოლო თუ მთელი მხარის, მთელი, უკაცრავად პასუხია, ორგანიზაცია ან ორგანიზაციათა ჯამი მიკიბულ-მოკიბულად და მალულად, მორცხვად და აზრის დაუმთავრებლად იცავს ლიკვიდატორებს, გათიშვაში ბრალს სდებს იმათ, ვინც ისინი პარტიიდან გარიცხა, და ვერ ბედავს პირდაპირ თქვას: «ლიკვიდატორთა ეს ჯგუფი პარტიაში უნდა იყოსო», — მაშინ აუცილებლად, ძალაუნებურად მიდიხარ ასეთ დასკვნამდე: ჩვენს წინაშეა არა სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია, რომლებიც ამა და ამ შეხედულებებს იზიარებენ, არამედ ინტრიგანთა წრე, რომელნიც ცდილობენ პოლიტიკური კაპიტალი შეიძინონ ლიკვიდატორებისა და ანტილიკვიდატორების ბრძოლის «გამოყენებით».

და იმისათვის, ვინც 1907 წლიდან იცნობს რსდმ პარტიის საშინაო საქმეებს, უკვე დიდი ხანია საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ ტიშკო და კომპანია ბუნდელების შემდეგ ნიმუშია ასეთი ინტრიგანებისა, «ნაყარნუყარი მარქსისტებისა», «ტუშინოელ გადამრბენთა», როგორც ეძახიან ასეთებს სოციალ-დემოკრატებს შორის. ტიშკო, ისევე როგორც ზოგიერთი ბუნდელი, მთელ თავის «პოზიციას» პარტიაში ამყარებს ლიკვიდატორთა და ანტილიკვიდატორთა შორის თამაშზე, შუამავლობაზე, «სასწორის იმ პაწია საწონის» მდგომარეობიდან სარგებლობის მიღებაზე, ურომლისოდაც არც ლიკვიდატორებს და არც ანტილიკვიდატორებს უმრავლესობა არა ჰყავთ!

1911 წლის შემოდგომაზე, როცა ტიშკოს ამ ძველმა «თამაშმა», რომელმაც ყველას თავი მოაბეზრა, ჩაფლავებამდე მიიყვანა იგი, მას პრესაში აშკარად ინტრიგანს უწოდებდნენ ორივე ურთიერთმოპირდაპირე მიმდინარეობის ორგანოები — ლიკვიდატორებიც და ანტილიკვიდატორებიც.

მართლაც, დადექით «სასწორის პაწია საწონის» თვალსაზრისზე, და მაშინ ტიშკოს კონფერენციის ულოგიკო, ბალღურად მიამიტური, პირდაპირ სასაცილოდ უძლური და უმწეო რეზოლუციები ერთბაშად სრულიად გასაგები გახდება. ასე, სწორედ ასე უნდა ლაპარაკობდეს ინტრიგანი: მე ვგმობ ლიკვიდატორობას... მაგრამ მე პირდაპირ არ ვამბობ, ვინ არის აშკარა და თანმიმდევრული ლიკვიდატორი! მე ვაღიარებ, რომ ლიკვიდატორობა საფრთხეს წარმოადგენს პარტიის თვით არსებობისათვის... მაგრამ მე პირდაპირ არ ვამბობ, ესა და ეს ჯგუფი პარტიაში უნდა იყოს თუ პარტიის გარეთ! ასეთი პოზიციიდან მე შემიძლია ყოველთვის, ყოველ გარემოებაში, სარგებლობა ვნახო, «პოლიტიკური კაპიტალი» შევიძინო, ვინაიდან უჩემოდ ანტილიკვიდატორი ვერ სძლევს ლიკვიდატორს, უჩემოდ ლიკვიდატორს პარტიაში უზრუნველყოფილი ადგილი არ ექნება!!

«ტიშკოს» პოლიტიკა შემთხვევითი, ინდივიდუალური მოვლენა როდია. გათიშვის და, საერთოდ, მიმართულებათა გააფთრებული ბრძოლის დროს გარდუვალია ისეთი ჯგუფების გამოჩენა, რომლებიც თავიანთ არსებობას ამყარებენ განუწყვეტელ გადარბენ-გადმორბენაზე, წვრილმან ინტრიგებზე. ეს ჩვენი პარტიის ცხოვრების სავალალო, არასასიამოვნო თვისებაა, რომელსაც განსაკუთრებით ამწვავებს ემიგრაციაში რევოლუციური მუშაობის პირობები. ინტრიგანთა ჯგუფები, ინტრიგანული თვისებები ზოგიერთი იმ ჯგუფის პოლიტიკაში, რომლებსაც განსაკუთრებით სუსტი ურთიერთობა აქვთ რუსეთთან, — ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც უნდა იცნობდე, რომ თვალი არ ააცვევინო ვისმე, რომ სხვადასხვა «გაუგებრობის» მსხვერპლი არ გახდე.

III

«ერთიანობის» ლოზუნგი, რა თქმა უნდა, «პოპულარულია» მუშათა ფართო წრეებში, რომლებმაც არ იციან, ვისთან უნდა იყოს ეს ერთიანობა, გარკვეული ჯგუფისადმი რა დათმობებს მოასწავებს ეს ერთიანობა, რა საფუძვლებს ემყარება პარტიაში ლიკვიდატორების შეყვანის ან პარტიიდან მათი გარიცხვის პოლიტიკა.

რა თქმა უნდა, იმაზე ადვილი არაფერია, რომ დემაგოგიურად გამოიყენო საქმის არსის ეს გაუგებლობა, იმისათვის, რომ «გათიშვაზე» გაჰყვიროდე. იმაზე ადვილი არაფერია, რომ წრეობრივ დიპლომატიას ფარავდე იმ მიმართულებათა «ერთიანობის» მოთხოვნით, რომლებიც საბოლოოდ გაიყარნენ.

მაგრამ შეუგნებელ ადამიანთა შორის რარიგ პოპულარულიც უნდა იყოს «ერთიანობის» ლოზუნგი, რარიგ მოხერხებულიც უნდა იყოს ამჟამად სხვადასხვა დემაგოგების, ინტრიგანების, წრეების დიპლომატებისათვის თავი შეაფარონ ამ ლოზუნგს, ჩვენ მაინც არ მოვიშლით იმას, რომ ყოველ შეგნებულ სოციალ-დემოკრატს მოვთხოვოთ ნათელი და მკაფიო პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც რსდმ პარტიის 1912 წლის იანვრის კონფერენციამ გადაწყვიტა.

1912 წლის აგვისტოში მოწვეულმა ლიკვიდატორთა კონფერენციამ ცხადყო, რომ მთელი დავის ღერძს წარმოადგენს სწორედ ლიკვიდატორობის საკითხი, ლიკვიდატორთა ჯგუფების პარტიულობის თუ არაპარტიულობის (თვით ანტიპარტიულობის) საკითხი. ვინც გვერდს უვლის საქმის ამ არსს, იგი თავს იტყუებს და სხვებსაც ატყუებს.

ხოლო ლაყბობა იანვრის კონფერენციის «ფრაქციულობის» შესახებ და სხვ. — ეს სწორედ საქმის არსისათვის ასე გვერდის ავლაა. კარგი, ბატონებო, შეიძლება ვუპასუხოთ მოლაყბეებს: დავუშვათ, რომ იანვრის კონფერენცია უაღრესად ფრაქციული, გამთიშველია, უფლებამოსილი არ არის და სხვ... მაგრამ ამ «საშინელი სიტყვებით» თქვენ ხომ

მხოლოდ თ ქ ვ ე ნ ი თ ა ვ ი ს წ ი ნ ა შ ე ი ძ ვ რ ე ნ თ თ ა ვ ს. სოციალ-დემოკრატების ნაწილმა — სულ ერთია როგორმა, — იანვარში განაცხადა, რომ «ნაშა ზარია» — ეს ანტიპარტიული, პარტიის გარეთ მდგომი ლიკვიდატორებია. ეს აზრი დასაბუთებულია საფუძვლიან, მოტივირებულ და პარტიის 4 წლის ისტორიიდან გამომდინარე რეზოლუციაში.

ვისაც სურს გულწრფელად განმარტოს და უარყოს ამ, ვთქვათ, «იანვრის» ს.-დ-ების შეცდომა, მან უნდა გაარჩიოს და უარყოს ეს რეზოლუცია, თქვას და დაამტკიცოს, რომ «ნაშა ზარია» პარტიაში უნდა იყოს, რომ მისი იდეები დამღუპველი არ არის პარტიისათვის, რომ ამ ჯგუფის მიმართ უნდა გავაკეთოთ ასეთი და ასეთი დათმობანი, რომ მას უნდა მოვთხოვოთ ასეთი და ასეთი ვალდებულებანი, რომ ამ ვალდებულებათა შესრულების გარანტიები ასეთი და ასეთი უნდა იყოს, რომ პარტიაში ამ ჯგუფის გავლენის ზომა ამგვარად და ამგვარად უნდა განისაზღვროს.

საკითხის ა ს ე დაყენება ნიშნავს იმას, რომ კეთილსინდისიერად და პატიოსნად უარყოფდე იანვრის სოციალ-დემოკრატების რწმენას, ნიშნავს გ ა ნ უ მ ა რ ტ ა ვ დ ე მუშებს იმას, რაც არასწორად მიგაჩნია. მაგრამ საქმის არსი სწორედ ის არის, რომ ა რ ც ე რ თ ახლანდელ იაფფასიან ყბედს, რომელიც გათიშვის შესახებ გაჰყვირის, ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს საკითხის ასე დაყენებისაკენ!!

და ამიტომ ჩვენ ზიზღით ვიშორებთ გზიდან დემაგოგებსა და ინტრიგანებს და მშვიდად ვიმეორებთ: ჩვენი რეზოლუცია ლიკვიდატორთა გარიცხვის შესახებ უარყოფილი არ არის და მისი უარყოფა არც შეიძლება. ახალი ფაქტები — როგორც, მაგალითად, ის, რომ გამოვიდა ლიკვიდატორული «ლ უ ჩ ი[89]», რომელიც ტროცკისტულ ფრაზას დაუნათესავდა, — მხოლოდ ასწილად ზრდიან ჩვენი რეზოლუციის ძალას. ფაქტები — მაისის გამოსვლა, მუშათა ჯგუფების ასობით დარაზმვა ანტილიკვიდატორული გაზეთის გარშემო,

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მუშათა კურიაში — ს ა ბ ო ლ ო ო დ ამტკიცებენ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ჩვენი პოზიციის სისწორეს.

ღრიანცელი «გათიშვის» შესახებ ვერ შეარყევს ამ რწმენას, ვინაიდან ეს ღრიანცელი ლიკვიდატორთა ლაჩრულ, ფარულ, ფარისევლურ დ ა ც ვ ა ს წარმოადგენს.

IV

რსდმ პარტიის 1912 წლის იანვრის კონფერენციამ დააყენა კიდევ ერთი სერიოზული პრინციპული საკითხი, — საკითხი ჩვენი პარტიის წ ყ ო ბ ი ს შესახებ ეროვნული თვალსაზრისით. ადგილის ნაკლებობის გამო მხოლოდ მოკლედ შევეხები ამ საკითხს.

სრული თუ არასრული ფედერაცია, «ყველაზე ცუდი ტიპის ფედერაცია» თუ სრული ერთიანობა? აი როგორ დგას ეს საკითხი.

ტიშკოს კონფერენცია ამ პრობლემასაც უპასუხებს მხოლოდ ლანძღვა-გინებით და ყვირილით: «სიყალბე», «ფაქტების დამახინჯება» და სხვ.. რა ფუჭი ყბედები არიან ეს ტიშკო და მისი ამალა!

ლატვიელი, პოლონელი, ებრაელი (ბუნდი) ს.-დ-ების სრული განკერძოებულობა ფაქტია. ყოველმა პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა იცის, რომ ბუნდთან ერთიანობის მსგავსი რამ პოლონეთში ა რ ა ფ ე რ ი ყოფილა და არ არის. იგივეა რუსებსა და ბუნდს შორის და ა. შ.. «ნაციონალებს» აქვთ თავიანთი განსაკუთრებული ორგანიზაციები, თავიანთი ცენტრალური ინსტანციები, ყრილობები და ა. შ.. რუსებს ე ს არა აქვთ, და მ ა თ ს ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია გადაწყვიტოს რუსეთის საკითხები ისე, რომ ამაში მონაწილეობას არ იღებდნენ ბუნდელები, პოლონელები, ლატვიელები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და რუსეთის საქმეებს არ იცნობენ.

ეს ფაქტია. მას ვერავითარი ლანძღვა-გინებით ვერ დაფარავ. 1907 წლიდან ჩვენს პარტიაში ყ ვ ე ლ ა ხედავდა ამას. ყველა გრძნობდა ამაში სიყალბეს. სწორედ ჩვენმა კონფერენციამ დაარქვა ამას «ყ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ ი ტ ი პ ი ს ფ ე დ ე რ ა ც ი ა» *.

საკითხის ასე დაყენებას პატიოსანმა და გულწრფელმა სოციალ-დემოკრატებმა არსებითად უნდა უპასუხონ.

ამ დაყენების სისწორე უაღრესად დამაჯერებლად დ ა ა დ ა ს ტ უ რ ა აგვისტოს კონფერენციამ, რომელმაც თ ვ ი თ პლეხანოვის აღიარებითაც «სოციალიზმი ნაციონალიზმს შეუგუა» თავისი ყბადაღებული რეზოლუციით «ეროვნულ-კულტურული» ავტონომიის შესახებ.

ბუნდიც და ტიშკოს მთავარი გამგეობაც ერთნაირად ფიცულობენ ყველა წმინდანს, რომ ერთიანობის მომხრენი არიან, ხოლო ვარშავაში, ლოძში, და სხვ. მ ა თ შ ო რ ი ს ს რ უ ლ ი გ ა თ ი შ ვ ა ბატონობს!!

«ლიკვიდატორული საკითხის» კავშირი «ეროვნულ საკითხთან» ჩვენ მიერ გამოგონილი კი არ არის, არამედ იგი თვით ცხოვრებამ გამოამეღავნა.

მაშ დაე ყველა სერიოზულად მოაზროვნე სოციალ-დემოკრატმა «ეროვნული საკითხიც» დააყენოს და განიხილოს. ფედერაცია თუ ერთიანობა? ფედერაცია «ეროვნებათათვის» ცალკე ცენტრებით, ისე რომ, რუსებს ცალკე ცენტრი ა რ ჰ ქ ო ნ დ ე თ, თუ სრული ერთიანობა? ნომინალური ერთიანობა ადგილებზე ბუნდის ფაქტიური გათიშვით (თუ გამოთიშვით) თუ ფაქტიური ერთიანობა თავიდან ბოლომდე?

ვინც ფიქრობს, რომ ამ საკითხებისათვის თავის არიდება შეიძლება, იგი სასტიკად ცდება. ვინც ვარაუდობს 1907 — 1911 წლების «ყველაზე ცუდი ტიპის ფედერაციის» უბრალო აღდგენას, იგი თ ა ვ ს ი ტ ყ უ ე ბ ს და ს ხ ვ ე ბ ს ა ც

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 554 — 556. რ ედ.

ა ტ ყ უ ე ბ ს. ამ ფედერაციის აღდგენა უკვე შ ე უ ძ ლ ე ბ ე-ლ ი ა. ეს მახინჯი აღარ აღდგება. პარტია სამუდამოდ განშორდა მას.

საითკენ განშორდა? «ავსტრიული» ფედერაციისაკენ? [90] თუ ფედერაციის ს რ უ ლ ი უარყოფისაკენ, ფაქტიური ერთიანობისაკენ? ჩვენ მეორის მომხრენი ვართ. ჩვენ იმის მოწინააღმდეგენი ვართ, რომ «სოციალიზმი ნაციონალიზმს შეუგუონ».

მაშ დაე ყველამ ყოველმხრივ მოიფიქროს და საბოლოოდ გადაჭრას ეს საკითხი.

დაწერილია 1912 წ. ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1913 წ. აგვისტოში ჟურნალ **«Pismo Dyskusyjne»**-ში («სადისკუსიო ფურცელი») № 1

ხელმოწერა: **N. Lenin**

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით თარგმანი პოლონურიდან

მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის[91]

რა ძირითადი აზრები უნდა დაედოს საფუძვლად მუშა ორატორის პირველ გამოსვლას სათათბიროში?

ბუნებრივია, რომ მუშები პირველ გამოსვლას განსაკუთრებული მოუთმენლობითა და განსაკუთრებული ყურადღებით დაელოდებიან. ბუნებრივია, რომ ისინი სწორედ პირველი გამოსვლისაგან მოელიან მთავარსა და ძირითადს, იმ საკითხებზე შეხედულების დაკვირვებულად ჩამოყალიბებას, რომლებიც ყველას განსაკუთრებით აღელვებს, რომლებიც განსაკუთრებით წამოყენებულია პირველ პლანზე საერთოდ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში, ხოლო განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის (როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურის) პრაქტიკაში.

ასეთ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის შემდეგი:

1) IV სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის საქმიანობის მემკვიდრეობითობა. მემკვიდრეობითობად უნდა ვგულისხმობდეთ ყველა წინანდელი სათათბიროს წინანდელ ს.-დ. ფრაქციებთან განუყრელი კავშირის შენარჩუნებას, აქასთან განსაკუთრებით საჭიროა გამოიყოს კავშირი მეორე სათათბიროს ს.-დ. ფრაქციასთან იმ ცნობილი თავდასხმის გამო, რომელიც მან კონტრრევოლუციის მხრივ განიცადა.

მემკვიდრეობითობას საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი, ვინაიდან, ბურჟუაზიული პარტიებისაგან განსხვავებით, მუშათა დემოკრატიას მიაჩნია, რომ მისი მუშაობა I, II, III

1.

К вопросу о программе
выступления раб. депутатов

Какія именно главныя вопросы должны быть поставлены въ основу первыхъ выступленій рабочихъ депутатовъ?

Очевидно, что рабочіе будутъ бросать первыя выступленія съ особенною энергіею и съ особенною выразительностью. Очевидно, что они будутъ именно въ первыхъ выступленіяхъ чаще и основнѣе, сосредоточивать публичное мнѣніе на тѣхъ вопросахъ, которые особенно болѣе волнуютъ, которые особенно выдвигаются на первый планъ въ настоящій моментъ страны вообще, въ интересахъ рабочаго движенія (политическихъ и экономическихъ) въ особенности.

Къ числу такихъ вопросовъ прежде:

пирველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა — «მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის». — 1912 წ. ნოემბერი

დაპატარავებულია

და IV სათათბიროში რაღაც მ თ ლ ი ა ნ ი და ე რ თ ი ა ნ ი ა, — და მოვლენათა ვერავითარი შემობრუნება (და ვერავითარი გადატრიალება, როგორიც იყო 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება) ვერ აიძულებს მას ყურადღება ჩამოაშოროს თავის ამოცანებს, თავის უცვლელ მიზნებს.

2) მეორე თეზისი, რომელიც აუცილებელია მუშა დეპუტატის პირველი გამოსვლისათვის, ეს არის სოციალიზმი. აქ, არსებითად, 2 თემაა. ერთია ის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია სოციალისტური პროლეტარიატის საერთაშორისო არმიის ერთ-ერთი რაზმია. სიტყვასიტყვით ასე თქვა პოკროვსკიმაც III სათათბიროში (იხ. მისი დეკლარაცია სტენოგრაფიულ ანგარიშებში, ოფიციალური გამოცემის გვ. 328, სხდომა მე-7, 1907 წლის 16 ნოემბერი). ეს მითითება, თავისთავად ცხადია, აბსოლუტურად აუცილებელია.

მაგრამ არის მეორე, ჩვენს დროს, მეტად მნიშვნელოვანი მითითება. ეს არის მითითება სოციალიზმის თ ა ნ ა მ ე დ რ ო-ვ ე მდგომარეობასა და ამოცანებზე **მთელ** მსოფლიოში. რით ხასიათდება ეს მდგომარეობა? ა) ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის ბრძოლის უკიდურესი გამწვავებით (ცხოვრების სიძვირე — მასობრივი გაფიცვები — სახელმწიფოთა ი მ პ ე-რ ი ა ლ ი ზ მ ი, მათი გააფთრებული კონკურენცია ბაზრებისათვის, მათი სიახლოვე ომთან) და ბ) სოციალიზმის განხორციელების სიახლოვით. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი იბრძვის არა იმისათვის, რომ აღიარებულ იქნეს მისი უფლება — შექმნას სოციალისტური პარტია, არამედ **ძალაუფლებისათვის**, საზოგადოების ახლებურად მოწყობისათვის. უაღრესად საჭიროა ითქვას ეს სათათბიროს ტრიბუნიდან, ეუწყოთ რუსეთის მუშებს, რომ დაიწყო დიდი ბრძოლები სოციალიზმისათვის ევროპასა და ამერიკაში, რომ მ ო ა ხ ლ ო ე ბ უ ლ ი ა სოციალიზმის გამარჯვება (გარდუვალი გამარჯვება) ცივილიზებულ მსოფლიოში.

3) მესამე თეზისია ბალკანეთის ომის, საერთაშორისო მდგომარეობისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ამ, ყველაზე საჭირბოროტო, თემისათვის გვერდის ავლა შეუძლებელია. იგი იყოფა შემდეგ საკითხებად:

ა) ბალკანეთის ომი. ბალკანეთის ფედერაციული რესპუბლიკის ლოზუნგი რუსეთის მუშა დეპუტატმაც უნდა წამოაყენოს. სლავებისა და თურქების მტრობის წინააღმდეგ. ბალკანეთში ყველა ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის.

ბ) ბალკანეთის ომში სხვა სახელმწიფოთა ჩარევის წინააღმდეგ. აუცილებლად შეერთება იმ დემონსტრაციასთან მშვიდობის სასარგებლოდ, რომელიც მოხდა ბაზელში, საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე[92]. ომი ომს! ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ! მშვიდობისათვის! ასეთია მუშათა ლოზუნგები.

გ) საერთოდ რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ — ბოსფორის, თურქეთის სომხეთის, სპარსეთის, მონღოლეთის დაპყრობის «ზრახვათა» (და დაწყებულ დაპყრობათა) საგანგებოდ მოხსენიებით.

დ) მთავრობის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ჩაგრული ხალხების მოხსენიებით: ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა, ებრაელები და ა. შ.. უაღრესად საჭიროა ზუსტად აღინიშნოს ყველა ეროვნების პოლიტიკური თვითგამორკვევის ლოზუნგი წინაალმდეგ ყოველგვარი აზრდაუმთავრებლობისა (როგორიცაა მარტო «თანასწორუფლებიანობა»).

ე) ლიბერალური ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ისე უხეში არ არის, მაგრამ განსაკუთრებით მავნეა თავისი ფარისევლობით, ხალხის «დახვეწილი» მოტყუებით. რით მეღავნდება ეს ლიბერალური (პროგრესისტულ-კადეტური) ნაციონალიზმი? — შოვინისტური სიტყვებით «სლავთა» ამოცანების შესახებ, — სიტყვებით რუსეთის «დიდმპყრობელური ამოცანების» შესახებ — სიტყვებით სხვა ქვეყნების ძარცვისათვის ინგლისთან და საფრანგეთთან რუსეთის შეთანხმების შესახებ.

4) მეოთხე თეზისი — რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა. აქ თემის არსია უუფლებობისა და თვითნებობის დახასიათება, პოლიტიკური თავისუფლების უკიდურესი საჭიროების გარკვევა.

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

(ა) იმის აუცილებლობა, რომ მოხსენიებულ იქნეს საპყრობილეები — კუტომარი, ალგაჩი და სხვ.[93].

(ბ) მითითება არჩევნების გაყალბებაზე — ბონაპარტიზმის ხერხები — მთავრობის მიერ ნდობის დაკარგვა იმ კლასებშიც კი (მემამულეებსა და ბურჟუაზიაში), რომლებზეც იმედს ამყარებდა 3 ივნისის გადატრიალება.

მღვდლები აიძულეს ხმა მიეცათ სინდისის წინააღმდეგ.

სათათბირო გამემარჯვენდა, ქვეყანა გამემარცხენდა.

(გ) განსაკუთრებით საჭიროა სწორად გამოიხატოს «კოალიციათა თავისუფლების» ყბადაღებული ლიკვიდატორული ლოზუნგის შეფარდება საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების ამოცანებთან. უაღრესად საჭიროა აღინიშნოს, რომ ბეჭდვითი სიტყვის, კავშირების, კრებების, გაფიცვების თავისუფლება **აბსოლუტურად** აუცილებელია მუშებისათვის, მაგრამ **სწორედ** მისი განხორციელებისათვის უნდა გვესმოდეს მისი **განუყრელი კავშირი** პოლიტიკური თავისუფლების საერთო საყრდენებთან, მთელი პოლიტიკური წყობილების ძირეულ ცვლილებასთან. არა ლიბერალური უტოპია კოალიციათა თავისუფლებისა სამი ივნისის რეჟიმის დროს, არამედ ბრძოლა **ამ რეჟიმთან** მთელი ხაზით, ამ რეჟიმის საფუძვლების წინააღმდეგ საერთოდ თავისუფლებისა და განსაკუთრებით კოალიციათა თავისუფლების გულისათვის.

5) მეხუთე თეზისი: გლეხობის აუტანელი მდგომარეობა. 30 მილიონის შიმშილობა 1911 წელს. სოფლის გაჩანაგება და გაღატაკება. მთავრობის «მიწათმოწყობა» მხოლოდ აუარესებს საქმეს. საფინანსო კეთილდღეობა სიყალბეა, მო-

ჩვენებითი კეთილდღეობაა, რომელიც ემყარება გადასახადების ამოქაჩვას, ხალხის არყით გაბრუებას. III სათათბიროს **მემარჯვენე** გლეხების («43 გლეხის») მოკრძალებული საადგილ-მამულო პროექტიც კი[94] მაუდქვეშ ამოდკეს. გლეხებისათვის აუცილებლად საჭიროა იხსნან თავი მემამულეთა უღლისაგან და მემამულური მიწათმფლობელობისაგან.

6) მეექვსე თეზისი: სამი ბანაკი IV სათათბიროს არჩევნებში და სამი ბანაკი ჩვენს ქვეყანაში:

(ა) მთავრობის ბანაკი. უძლურია. არჩევნების გაყალბება.

(ბ) ლიბერალიზმის ბანაკი. აქ უაღრესად საჭიროა აღინიშნოს, თუნდაც ორიოდე სიტყვით, ლიბერალების კონტრრევოლუციურობა: ისინი ახალი რევოლუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი არიან. შეიძლება სიტყვასიტყვით მოყვანილ იქნეს გრედესკულის სიტყვები, რომლებიც გადაბეჭდილია «პრავდის» № 85-ში (8 აგვისტოს) *: «მეორე სახალხო მოძრაობა (ესე იგი მეორე რევოლუცია) საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ დინჯი, გულმოდგინე და მტკიცე კონსტიტუციური მუშაობა» — სიტყვასიტყვით ასე თქვა გრედესკულმა, «რეჩმა» კი გადაბეჭდა ეს.

ლიბერალთა იმედები — მიღწეულ იქნეს კონსტიტუციური რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ახლანდელი წყობილების **საფუძვლების შენარჩუნებისას** ისე, რომ ფართო სახალხო მოძრაობა **არ იქნეს,** — უ ტ ო პ ი ა ა.

(გ) მესამე ბანაკი — დემოკრატია. მას სათავეში უდგას მუშათა კლასი. მესამე პირში, წარსულის შესახებ, შეიძლება ითქვას ის, რასაც «გოლოს მოსკვიც» **კი** ამბობდა, სახელდობრ ის, რომ მუშათა კლასი არჩევნებში მიდიოდა ს ა მ ი ლოზუნგით: (1) დემოკრატიული რესპუბლიკის; (2) 8 საათიანი სამუშაო დღის; (3) გლეხების სასარგებლოდ მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციის ლოზუნგებით.

7) მეშვიდე თეზისი: მითითება 1912 წლის პოლიტიკურ მოძრაობასა და გაფიცვებზე.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 299 — 300. რ ე დ.

(ა) უაღრესად საჭიროა აღინიშნოს, რომ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ გაფიცულთა რიცხვმა მილიონს მიაღწია. მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება.

(ბ) უაღრესად საჭიროა აღინიშნოს, რომ მუშები თავიანთი პოლიტიკური გაფიცვებით **საერთო-სახალხო** მიზნებს ისახავდნენ, აყენებდნენ არა კერძო, არამედ ს ა ე რ თ ო-ს ა ხ ა ლ ხ ო ამოცანებს.

(გ) საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვების კ ა ვ შ ი რ ი აძლევს ძალასა და ცხოველმყოფელობას მოძრაობას.

(დ) აღინიშნოს მუშების პროტესტი მეზღვაურთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

8) მერვე, არსებითი თეზისი, რომელიც ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს და მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან, ეს არის პროლეტარიატის ჰეგემონია. მისი ხელმძღვანელი როლი. მისი როგორც ბელადის როლი. იგი მიუძღვის მთელ ხალხს, მთელ დემოკრატიას. იგი მოითხოვს თავისუფლებას და მიჰყავს ხალხი თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. იძლევა მაგალითს, ნიმუშს. ამხნევებს. ქმნის ახალ განწყობილებას.

9) მეცხრე და უკანასკნელი თეზისი: მოკლე გამეორება და შეჯამება. მესამე პირში, შეგნებულ მუშებზე უნდა ითქვას, რომ ისინი «განუხრელად ერთგული არიან» ს ა მ ი პრინციპისა: ჯერ-ერი, სოციალიზმისა; მეორე, «ძველი, ბრძოლებში ნაცადი, რუს. ს.-დ. მუშათა პარტიის პრინციპებისა»: მუშები მისი ერთგული არიან. ეს ფ ა ქ ტ ი გადაცემულ უნდა იქნეს; მესამე, მუშები ერთგული არიან «თავიანთი რესპუბლიკური რწმენისა». საქმე ეხება არა მოწოდებას, არა ლოზუნგს, არამედ რწმენისადმი ერთგულებას. (მთელ რიგ მონარქიულ ქვეყნებში, ინგლისში, შვეიცარიაში, იტალიაში, ბელგიაში და სხვ., ღიად არსებობენ რესპუბლიკური პარტიები.)

P. S. * შეიძლება წამოიჭრას კიდევ საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ცალკე წამოყენებულ იქნეს «კოალიციათა თავისუფლება». მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ლიკვიდატორები ამ საფარქვეშ ატარებენ ლიბერალურ მოთხოვნას — მიღწეულ იქნეს კონსტიტუციური რეფორმა, ხოლო ამასთან შენარჩუნებულ იქნეს **საფუძვლები** სამი ივნისის — **.

დაწერილია 1912 წ. ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
2 — 3 გამოცემებში, ტომი XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სათათბიროში მუშა დეპუტატებისა და მათი დეკლარაციის საკითხისათვის [95]

გამოდის რა IV სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია აცხადებს თავისი საქმიანობის განუყრელ მემკვიდრეობითს კავშირს სახელმწიფო სათათბიროებში წინა ს.-დ. ფრაქციების საქმიანობასთან და განსაკუთრებით მეორე სათათბიროს ს.-დ. ფრაქციასთან, რომლის წინააღმდეგაც კონტრრევოლუციამ უმაგალითო პოლიტიკური შურისძიების აქტი ჩაიდინა. რუსეთის სოციალ-დემოკრატია სოციალისტური პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი საერთაშორისო არმიის რაზმია. ეს არმია ახლა მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება; ცხოვრების საყოველთაო სიძვირე, კავშირებად, კარტელებად, ტრესტებად, სინდიკატებად გაერთიანებული კაპიტალის მიერ ჩაგვრა და სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკა აუტანელს ხდის მუშათა მასების მდგომარეობას, ამწვავებს კაპიტალის ბრძოლას შრომასთან; სწრაფად ახლოვდება ის დრო, როცა ბოლო მოეღება კაპიტალიზმს, როცა მილიონობით გაერთიანებული პროლეტარები შექმნიან ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელშიც არ იქნება მასების სიღატაკე, არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია თავის ხმას უერთებს ყველა ქვეყნის მუშათა ხმას, რომლებმაც ბაზელის საერთაშორისო კონგრესზე მტკიცე პროტესტი გამოთქვეს ომის წინააღმდეგ. მუშები მშვიდობას მოითხოვენ. მუშები პროტესტს აცხადებენ ბალკანეთის საქმეებში რაიმე ჩარევის

წინააღმდეგ. ბალკანეთის ხალხთა მხოლოდ სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მხოლოდ ბალკანეთის ფედერაციულ რესპუბლიკას ძალუძს უზრუნველყოს საუკეთესო გამოსავალი ახლანდელი კრიზისიდან და ეროვნული საკითხის ნამდვილი გადაჭრა უკლებლივ ყველა ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის უეჭველი უფლების აღიარების გზით.

IV სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია განსაკუთრებით აცხადებს პროტესტს რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი გმობს ცდებს — გააფართოონ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორია სხვისი მიწების დაპყრობით ბოსფორის სანაპიროზე, თურქეთის სომხეთში, სპარსეთში, ჩინეთში, გმობს მონღოლეთის დაპყრობას, რაც არღვევს კეთილ ურთიერთობას ჩინეთის დიდ, მოძმე რესპუბლიკასთან.

ყოველგვარი შოვინიზმი და ნაციონალიზმი ულმობელ მტერს პოვებს ს.-დ. ფრაქციაში, მთავრობის უხეში, მხეცური ნაციონალიზმი იქნება ეს, რომელიც ჩაგრავს და ახშობს ფინეთს, პოლონეთს, უკრაინას, ებრაელებს და ყველა არა

მოახდინა 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება. სათათბირო გამემარჯვენდა მაშინ, როცა მთელი ქვეყანა გამემარცხენდა.

მთელ რუსეთს სული ეხუთება უუფლებობასა და თვითნებობაში. მთელი ცივილიზებული მსოფლიო უდიდესი აღშფოთებით შეიტყობს პოლიტიკურ პატიმართა ტანჯვისა და გვემის ამბავს კუტომარში, ალგაჩში და სხვა საპყრობილეებში, სადაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს აწამებენ. პოლიტიკური თავისუფლება ისე აუცილებელია რუსეთისათვის, როგორც ჰაერია აუცილებელი ადამიანის სუნთქვისათვის. თუ ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება არ იქნა, ისე რუსეთს არ შეუძლია იცოცხლოს და განვითარდეს, და უწინარეს ყოვლისა, ეს თავისუფლებანი ყველაზე მეტად ესაჭიროება პროლეტარიატს, რომელსაც რუსეთის ცხოვრების უუფლებობა ხელფეხს უბორკავს მისთვის აუცილებელ ბრძოლაში ხელფასის გადიდებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისათვის, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. კაპიტალის მიერ ჩაგვრა, ცხოვრების სიძვირე, უმუშევრობა ქალაქებში და განსაკუთრებით სოფლის გაღატაკება აუცილებელს ხდის მუშების გაერთიანებას კავშირებში და მათს ბრძოლას ცხოვრების უფლებისათვის, ხოლო პოლიტიკური თავისუფლების უქონლობა მუშას მონის ან ყმის მდგომარეობაში ტოვებს. მუშები არავითარ მსხვერპლს არ მოერიდებიან თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რადგან კარგად იციან, რომ რუსეთის ცხოვრების მთელი პოლიტიკური პირობების მხოლოდ ძირფესვიან შეცვლას, მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლებისა და საყრდენების სრულ უზრუნველყოფას შეუძლია მოგვცეს კაპიტალთან მუშათა ბრძოლის თავისუფლების გარანტია.

IV სათათბიროს არჩევნებმა და მუშათა 1912 წლის მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო მილიონამდე მუშამ, ცხადყო, რომ ახლოვდება დრო, როცა მუშები კვლავ სათავეში ჩაუდგებიან მთელ დე-

მოკრატიას და გასწევენ თავისუფლების მოსაპოვებლად. სამმა ბანაკმა მოსინჯა თავისი ძალები საარჩევნო ბრძოლაში. მთავრობის კონტრრევოლუციის ბანაკი იმდენად უძლური აღმოჩნდა, რომ საჭირო გახდა გაეყალბებინათ არჩევნები 3 ივნისის კანონითაც კი, დაბეჩავებული სოფლის მღვდლები აიძულეს ხმა მიეცათ სინდისის წინაალმდეგ, რწმენის წინაალმდეგ. ლიბერალიზმის ბანაკმა უფრო და უფრო გადაიწია დემოკრატიიდან მსხვილი ბურჟუაზიისაკენ. კადეტებმა თავიანთი კონტრრევოლუციურობა დაამტკიცეს შავ რაზმთან კავშირით ს.-დ. წინაალმდეგ რიგისა და ეკატერინოდარში, კოსტრომასა და პეტერბურგის 1-ლ კურიაში. ლიბერალური უტოპია კონსტიტუციური რეფორმებისა ახლანდელი პოლიტიკური წყობილების საფუძვლების შენარჩუნებისას, ხალხის მძლავრი მოძრაობის გარეშე, — ეს უტოპია სულ უფრო კარგავს ნიადაგს დემოკრატიაში. ლიბერალთა ლოზუნგი «საჭირო არ არის მეორე რევოლუცია, საჭიროა მხოლოდ კონსტიტუციური მუშაობა». და ამ ლოზუნგის სიყალბის შეგნებით ეწეოდა თავის ბრძოლას არჩევნებში მუშათა კლასი, თავის გარშემო აერთიანებდა რა მთელი დემოკრატიის ძალებს.

ყველასათვის ცნობილია, და მთავრობის პრესაც კი აცხადებდა, რომ მუშათა კლასი საარჩევნო კამპანიაში გამოდიოდა სამი ლოზუნგით: დემოკრატიული რესპუბლიკის, 8 საათიანი სამუშაო დღისა და გლეხთა სასარგებლოდ მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის ლოზუნგებით.

ეს სამი მოთხოვნა, სოც.-დემ. პროლეტარიატის რწმენით, აუცილებელი დამთავრებაა ისეთი მოთხოვნებისა, რომლებსაც ყოველი დემოკრატი იზიარებს, როგორიცაა საყოველთაო საარჩევნო უფლება, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, კავშირების, გაფიცვების თავისუფლება, მოსამართლეთა და მოხელეთა არჩევითობა ხალხის მიერ, მუდმივი არმიის გაუქმება და სახალხო მილიციის შემოღება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან და ასე შემდეგ.

გლეხთა მასების მდგომარეობა რუსეთში სულ უფრო აუტანელი ხდება. მთავრობის ეგრეთწოდებული «მიწათმოწყობა» მხოლოდ აუარესებს უმრავლესობის მდგომარეობას, აღატაკებს სოფელს, იწვევს 30 მილიონის შარშანდელ შიმშილობას, არ ქმნის საერთოდ მიწათმოქმედების არავითარ მტკიცე გაუმჯობესებას. ფინანსების მოჩვენებითი კეთილდღეობა დაყრდნობილია გადასახადების ამოქაჩვასა და მოსახლეობის არყით გაბრუებაზე, მთავრობა კი თავისი გაკოტრების გადადებას სულ ახალი და ახალი სესხების აღებით ახერხებს. III სათათბიროში 43 მემარჯვენე გლეხის მოკრძალებული საადგილ-მამულო პროექტიც კი მაუდქვეშ ამოდვეს. გასაკვირველი არ არის, რომ გლეხობის მთელი საუკეთესო ნაწილი სულ უფრო მეტად მიაპყრობს თვალს მუშათა კლასს, როგორც ხალხის ერთადერთ ბელადს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. გასაკვირველი არ არის, რომ 1912 წლის პოლიტიკურ გაფიცვებში, რომლებიც განუყრელადაა დაკავშირებული მუშათა კლასის ეკონომიურ მოძრაობასთან, მთელი დემოკრატია ხედავს ახალი ცხოვრების გარიჟრაჟს, — ახალი, უფრო მძლავრი, განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟს.

IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ამ მოძრაობის ინტერესებისა და საჭიროების დამცველი იქნება. მას მიაჩნია, რომ უფლება არა აქვს დაუმალოს IV სათათბიროს უმრავლესობას ის, რასაც ფიქრობს და გრძნობს რუსეთის ყველა შეგნებული მუშა. შეგნებული მუშები სოციალიზმის განუხრელად ერთგულნი რჩებიან. ისინი რჩებიან განუხრელად ერთგულნი ძველი, ბრძოლებში ნაცადი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. ამ პრინციპების გულისათვის ისინი რჩებიან განუხრელად ერთგულნი თავიანთი რესპუბლიკური რწმენისა.

დაწერილია 1912 წ. შუა ნოემბერში
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის
მიხედვით

15 ნოემბრის აბბის საკითხისათვის

(წარმოუთქმელი სიტყვა)

15 ნოემბერს გაიხსნა IV სათათბირო. 15 ნოემბერს მოხდა მუშების დემონსტრაცია პეტერბურგში[96]. წინა პოლიტიკურ გაფიცვებთან დაკავშირებით, ამ გაფიცვების ნიადაგზე, ამ დემონსტრაციამ დიდი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა მიიღო. გაფიცვებიდან მოხდა გადასვლა დემონსტრაციებზე. მასების მოძრაობა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა: პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებიდან ქუჩის დემონსტრაციებზე. ეს წინგადადგმული დიდი ნაბიჯია, რომელსაც ხაზი უნდა გაუსვას, რომელიც უნდა აღნიშნოს, ღირსეულად შეაფასოს პროლეტარიატის ყველა შეგნებულმა ხელმძღვანელმა.

ამ წინგადადგმულ ნაბიჯს მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რომ იგი დაემთხვა IV, მემამულური, შავი, სამი ივნისის სათათბიროს გახსნას. რა მშვენივრად შერჩეული მომენტია დემონსტრაციისათვის! ეს არის შესანიშნავი პროლეტარული ინსტინქტი, უნარი — დაუპირდაპირო და დაუპირისპირო შავი «პარლამენტის» გახსნა წითელ დროშებს დედაქალაქის ქუჩებში!

ეს არის შესანიშნავი პროლეტარული ინსტინქტი, უნარი დაუპირისპირო მლიქვნელურ, მონურ, კადეტურ-ოქტიაბრისტულ «დემონსტრაციას» («კონსტიტუციის» შესახებ როძიანკოს უბადრუკი ფრაზების გამო[97]) სასახლის შიგნით — ნამდვილი ტიპის, ნამდვილად ხალხური, ნამდვილად დემოკრატიული, წმინდა-მუშური (ინტელიგენცია — სამწუხა-

როდ — არ ჩანდა, თუ გაზეთებს დავუჯერებთ) დემონსტრაცია.

მლიქვნელური ლაყბობა «კონსტიტუციაზე» (ან ძმრიან ზუთხზე à la * როძიანკოსი) შავ სათათბიროში — და ნიმუში თავისუფლებისა და სახალხო წარმომადგენლობისათვის (უბრჭყალებოდ), რესპუბლიკისათვის დაწყებული ბრძოლისა სათათბიროს გარეთ, — ამ დაპირდაპირებაში თავი იჩინა რევოლუციური მასების ღრმა, სწორმა ინსტინქტმა.

ლიბერალთა — ლიკვიდატორთა «ლუჩი» «გაფრთხილებას» რომ იძლეოდა ასეთი დემონსტრაციის წინააღმდეგ, ეს შეეფერება მუშათა საქმის მოღალატეებს.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ «გაფრთხილებას» იძლეოდა ს.-დ. ფრაქცია? როგორ მოხდა, რომ იგი დაეცა კადეტების დონემდე? — მონების დონემდე? როგორ მოხდა, რომ აქ დამორჩილდნენ მისი ცალკეული წევრები? — როგორ დათანხმდნენ ასეთ შერცხვენაზე??

იბადება ვარაუდი, რომელსაც ზოგჯერ «კერძოდ» აყენებენ: ხომ არ ყოფილა პროვოკაციის შიში, რომელიმე «მომწოდებელ» ჯგუფში?

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ასეთი ვარაუდი იყო. ამართლებს თუ არა იგი ს.-დ. ფრაქციას? არა. ან უფრო სწორად რომ ვთქვათ: იგი ამართლებს მის ნაბიჯს პ ი რ ა დ ა დ, მაგრამ არ ამართლებს მის ნაბიჯს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ. იგი ათავისუფლებს სათათბიროს ს.-დ. ფრაქციას ეჭვისაგან მუშათა საქმისადმი ღალატში, მაგრამ არ ათავისუფლებს მას საყვედურისაგან პოლიტიკურ შეცდომაში.

მართლაც, როგორ მოიქცეოდა მ უ შ ა დეპუტატი, ნამდვილი მუშა დეპუტატი, სამი დღის განმავლობაში ისმენდა რა ცნობებს ამგვარი დემონსტრაციის მზადების შესახებ, უკანასკნელ დროს რომ გაეგონა «ხმა» (იქნებ ა გ რ ე თ ვ ე პროვოკატორული?): «აქ პროვოკაცია ხომ არ არისო?».

* — მსგავსად. რ ე დ.

მუშა დეპუტატი მონახავდა გზას რამდენიმე გავლენიან მუშასთან. მუშა დეპუტატი მიხვდებოდა, რომ ასეთ მომენტებში მისი ადგილია გამოჩენილ მუშებთან, რომ აქ ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია მუშებთან ყოფნა, ვიდრე საათობიროს ფრაქციის სხდომებზე ყოფნა. მუშა დეპუტატი გამოჩენილი მუშებისაგან, დედაქალაქის ორი-სამი (თუ 4-5 არა) გავლენიანი მუშისაგან შეიტყობდა, როგორია საქმის ვითარება, რას ფიქრობენ მუშები, როგორია მასების განწყობილება?

მუშა დეპუტატი შეიტყობდა ამას, შეძლებდა შეეტყო ეს, შეძლებდა გაეგო, რომ გაფიცვა იქნებოდა (15 — 50 **ათასი!!** ბურჟუაზიული პრესის ცნობებით), რომ დემონსტრაცია იქნებოდა, რომ ძალადობასა და უწესრიგობაზე მუშები არ ფიქრობენ, რომ, მაშასადამე, ხმები პროვოკაციის შესახებ სულელური ხმები იყო.

მუშა დეპუტატი შეიტყობდა ამას და თავს არ მოატყუებინებდა საზიზღარი «საინიციატივო ჯგუფის» დამფრთხალ ლიბერალ ინტელიგენტუნებს.

ხმები პროვოკაციის შესახებ. დავუშვათ. მაგრამ განა არ ყოფილა ასეთი ხმები გაპონადის დროს? კარგი კი იქნებოდა ნუშა ან მუშათა ბელადი, რომელიც ვერ გაარჩევდა მასების თავისებურ გაღვიძებას, რაც გაპონადაში დაიწყო, პროვოკატორ გაპონისაგან, პოლიციის პროვოკატორებისაგან, რომლებიც გაპონს უბიძგებდნენ!!

დავუშვათ, რომ 15 ნოემბრის დემონსტრაციის მომზადებაში პოლიციისა და პროვოკატორების ხელი ერია. დავუშვათ (თუმცა ეს დამტკიცებული არ არის და წარმოუდგენელია; უფრო დასაშვებია, რომ პროვოკატორული იყო ხმები პროვოკაციის შესახებ).

მაგრამ დავუშვათ. მერე რა? არ უნდა მიმართო ძალადობას, როცა მასზე ლაპარაკიც არ ყოფილა. უნდა აარიდო მასები ძალადობას. მაგრამ როგორ აარიდებ მშვიდობიან

გაფიცვას, როცა ისინი ბ ო ბ ო ქ რ ო ბ ე ნ? აარიდო დ ე-
მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ა ს??

სავალალო, სავალალო შეცდომა ჩაიდინა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მთლიანად. და სასიამოვნო იქნება შევიტყობდეთ, რომ ყველას როდი ჩაუდენია ეს შეცდომა, — რომ ბევრმა, ვინც ჩაიდინა იგი, შეიგნო და ალარ გაიმეორებს.

პროლეტარიატის მოძრაობა რუსეთში (როგორიც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს პოლიციის ხრიკები) უფრო მ ა-
ღ ა ლ ს ა ფ ე ხ ურ ზ ე ავიდა.

ღაწერილია 1912 წლის ნოემბრის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა 2 — 3
გამოცემებში, ტომი XVI
ხელმოწერა: ა რ ა-დ ე პ უ ტ ა ტ ი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წერილი ი. ბ. სტალინს [98]

ძვირფასო მეგობარო. ადგილობრივ პოლონურ გაზეთებში დაბეჭდილია, რომ იაგელო ფრაქციაში მიიღეს, მაგრამ სათათბირო ხმა მისცეს [99]. თუ ეს მართალია, მაშინ ეს პარტიულობის გადამწყვეტი გამარჯვებაა. «ლუჩის» აგიტაციის გამო აუცილებელია: 1) მოათავსოთ სტატია «დენში» [100], (პროექტს დღეს ვგზავნი)... კოლეგიაში [101] (მათ აუცილებლად უნდა ასწავლოთ და ასწავლოთ თქვენთან, რომ ყოველივე მნიშვნელოვანს გამოეხმაურონ რეზოლუციებით და მათი პირები დაუყოვნებლივ გამოგზავნონ აქ). ასეთი რეზოლუციის სანიმუშო პროექტი: «განიხილა რა ს.-დ. ფრაქციაში იაგელოს მიღების საქმის მთელი ვითარება, გაეცნო რა სტატიებს ამის შესახებ მარქსისტულ ორგანოში — «პრავდაში» და ლიკვიდატორთა გაზეთში — «ლუჩში», მიიღო რა მხედველობაში ამისა და ამის მოხსენება ამის თაობაზე სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში მომხდარი კამათისა და რუსეთის სხვადასხვა ს.-დ. ორგანიზაციების აზრების შესახებ, კოლეგია ადგენს: აღიარებულ იქნეს, რომ უარი იაგელოს გადამწყვეტი ხმით მიღებაზე ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო პარტიულობის თვალსაზრისით, ვინაიდან იაგელო წევრია არა ს.-დ. პარტიისა და IV სათათბიროში გავიდა ქ. ვარშავის მუშათა კურიის ამრჩევთა უმრავლესობის ნების წინააღმდეგ. გმობს რა «ბუნდისა» და ლიკვიდატორების ანტიპარტიულ აგიტაციას ფრაქციაში იაგელოს მიღების სასარგებლოდ, კოლეგია იმედს გამოთქვამს, რომ დეპუტატ იაგელოსათვის სათათბირო ხმის მიცემა ხელს შეუწყობს ყველა პოლონელი შეგნებული მუშის შემოკრებას

პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის გარშემო და მათს სრულ გაერთიანებას ყველა ეროვნების მუშებთან ერთად რსდმ პარტიის ერთიან ორგანიზაციებში».

თუ, მიუხედავად მოლოდინისა, ლიკვიდატორებმა გაიმარჯვეს და იაგელო მიღებულია, მაინც საჭიროა და ერთიორად უფრო საჭიროა ასეთივე შინაარსის რეზოლუცია სინანულის გამოთქმით და მთლიანად პარტიისადმი მიმართვით.

შემდეგ უაღრესად საჭიროა, რომ კოლეგიამ «გამოასწოროს» 13 ნოემბრის ცნობილი რეზოლუცია და მიიღოს ახალი. დაახლოებით: «განიხილა რა საქმის მთელი ვითარება 15 ნოემბრის გაფიცვასთან დაკავშირებით, კოლეგიას მიაჩნია, რომ გაფრთხილება გაფიცვის წინააღმდეგ ს.-დ. ფრაქციის მხრივაც და პეტერბურგის კომიტეტის მხრივაც გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ორგანიზაციის ნაწილი მომზადებული არ იყო იმ დღეს გამოსვლისათვის. მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რევოლუციური პროლეტარიატის გამოსვლა მაინც ფართოდ გაჩაღდა და იქცეოდა ქუჩის დემონსტრაციებად რესპუბლიკის, 8 საათიანი სამუშაო დღისა და მემამულეთა მიწების კონფისკაციის მოთხოვნით, რითაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა რუსეთის მთელი მუშათა მოძრაობა. ამიტომ გადაჭრით გმობს რა იმ პროპაგანდას რევოლუციური გაფიცვების წინააღმდეგ, რასაც ეწევიან ლიკვიდატორები, მათი... ჯგუფი და «ლუჩი», კოლეგია ურჩევს მუშებს წარმართონ მთელი ძალ-ღონე იმისაკენ, რომ უფრო ფართოდ და საფუძვლიანად, ერთსულოვნად მოამზადონ ქუჩის დემონსტრაციები და საპროტესტო პოლიტიკური გაფიცვები, ამასთან ეს უკანასკნელნი რაც შეიძლება უფრო ხანმოკლე (ერთი დღის) და ერთსულოვანი გახადონ. კოლეგია ეცდება განავითაროს აგიტაცია 1913 წლის 9 იანვრის გაფიცვისა და დემონსტრაციის მოსაწყობად, განსაკუთრებული პროტესტის გამოსათქმელად რომანოვთა გვარეულობის 300 წლისთავის წინააღმდეგ, რომლებსაც დამონებული ჰყავთ რუსეთი და სისხლით რწყავენ მას».

შემდეგ, უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭიროა, რომ ხუთმა (კურიალურმა) დეპუტატმა შეადგინოს დასაბუთებული რეზოლუცია ბადაევის საქმეზე. დაახლოებით: «მუშათა კურიის ხუთმა დეპუტატმა, მიიღო რა მხედველობაში ლიკვიდატორების მიერ «ლუჩში» და პეტერბურგის მუშებს შორის ამხ. ბადაევის წინააღმდეგ გაჩაღებული წასისიანება, დაადგინა — 1) არ იქნეს შეტანილი ეს საკითხი სათათბიროს ფრაქციაში, ვინაიდან ამ ფრაქციამ ბადაევი მიიღო და ფრაქციის შიგნიდან ერთი პროტესტიც არ ყოფილა ბადაევის მიღების წინააღმდეგ; 2) გამოკვლეულ იქნეს ბადაევის არჩევის პირობები იმ პირობით, რომ იგი თავს შეიკავებს ამ საკითხზე კენჭისყრაში; 3) 5 დეპუტატის მიერ დადგენილი შემოწმებული ფაქტი, რომ — ა) ანტილიკვიდატორული შინაარსის განაწესი წინასწარ დაიბეჭდა და ერთხმად იქნა მიღებული რწმუნებულთა კრებაზე, ბადაევის მომხრე ყველა ამრჩევი და რწმუნებული რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის თხოვნით მოქმედებდა ერთსულოვნად, დარაზმულად და როგორც მტკიცე თანამოაზრენი, — ბ) რომ ს.-დ. რწმუნებულთა კრებაზე 15 პეტერბურგის კომიტეტის სიის მომხრე იყო და 9 — ლიკვიდატორების მომხრე და რომ «ლუჩის» რწმუნებულთა და ამრჩევთა შორის ყველანი როდი მოქმედებდნენ როგორც ლიკვიდატორთა თანამოაზრენი, არამედ ნაწილი მერყეობდა (სუდაკოვი და ა. შ.), — გ) რომ, როცა გავიდა 3 და 3 ამრჩევი, ბადაევის მომხრეებმა თავიანთი ვალი შეასრულეს, წამოაყენეს რა წინადადება, რომ საკითხი გადაწყვეტილიყო წილის ყრით, რათა დავა ბურჟუაზიის წინაშე არ ყოფილიყო გამოტანილი, — დ) რომ ბადაევის მომხრეების მიერ ასეთი წინადადების შეტანის ფაქტი და ლიკვიდატორთა უარის ფაქტი... პ. და მ.[102] (ლიკვიდატორის) საკითხზე — ყოველივე ამის გამო დაადგინა: აღიარებულ იქნეს, რომ ბადაევი უეჭველად არის ს.-პეტერბურგის ს.-დ. მუშათა უმრავლესობის მიერ არჩეული და კანდიდატი ნამდვილად პეტერბურგის კომიტეტის თხოვნით, რომ მთელი დანაშაული სპბ. მუშათა

კურიაში ს.-დ. პარტიული არჩევნების დეზორგანიზაციისათვის ეკისრებათ ლიკვიდატორებს, რომლებიც, თუმცა იცოდნენ, რომ უმცირესობას წარმოადგენდნენ, არღვევდნენ უმრავლესობის ნებას. რომ ლიკვიდატორთა უარი წილის ყრაზე წარმოადგენს ყოველი სოციალ-დემოკრატის მოვალეობის აღმაშფოთებელ და მუშათა მოძრაობაში უმაგალითო დარღვევას [103]. დაადგინეს გამოაქვეყნონ ეს რეზოლუცია პრესაში და ერთსულოვნად გამოვიდნენ მუშებში ბადაევის სასარგებლოდ და ლიკვიდატორთა აგიტაციის წინააღმდეგ».

ეს რეზოლუცია აუცილებლად საჭიროა. ბადაევის საკითხი უკვე მოხვდა საერთაშორისო პრესაში. სტეკლოვმა «ნოიე-ცაიტში» * დაბეჭდა მიკიბულ-მოკიბული, მაგრამ საზიზღარი ფრაზები. ლიკვიდატორების მიერ საერთაშორისო კონგრესისათვის გერმანულ ენაზე გამოცემულ გერმანულ ბროშურაში ეშმაკმა იცის, რა არის დაბეჭდილი. დუმილი არ შეიძლება. სწორედ კურიალურმა დეპუტატებმა უნდა შეამოწმონ ფაქტი და გამოიტანონ გამართლება, ხოლო ამასთან ბადაევმა, რა თქმა უნდა, თავი უნდა შეიკავოს.

დაწერილია 1912 წ. ნოემბერში
იბეჭდება პირველად

იბეჭდება პოლიციის დეპარტამენტის
არქივში დაცული პირის
მიხედვით

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.

წერილი ი. ბ. სტალინს[104]

ვასილიევისათვის

6/XII

ძვირფასო მეგობარო, 9 იანვრის შესახებ უაღრესად საჭიროა წინასწარ მოიფიქროთ და მოამზადოთ საქმე. წინასწარ მზად უნდა იყოს ფურცელი მიტინგების, ერთდღიანი გაფიცვისა და დემონსტრაციებისაკენ მოწოდებით (ეს ადგილზე უნდა გადაწყდეს, ადგილზე უკეთ ჩანს)[105]. უნდა «გამოსწორდეს» 15 ნოემბრის შეცდომა, გამოსწორდეს, რა თქმა უნდა, ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ფურცლის ლოზუნგები უნდა იყოს სამი ძირითადი რევოლუციური ლოზუნგი (რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე და მემამულეთა მიწის კონფისკაცია), ხოლო განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი «ქვეყნის შემარცხვენელი» რომანოვთა დინასტიის 300 წლისთავს. თუ სრულად და სავსებით არა ხართ დარწმუნებული, რომ შესაძლებელია ასეთი ფურცელი გქონდეთ პიტერში, საჭიროა წინასწარ, დროზე, დაამზადოთ იგი აქ და წაიღოთ. ლიკვიდატორების თავხედობა იაგელოს საკითხში უმაგალითოა. თუ ჩვენ ექვსივენი მუშათა კურიიდან გვყავს, არ შეიძლება ხმაამოუღებლად დავემორჩილოთ ვიღაც ციმბირელებს. ექვსეული აუცილებლად უნდა გამოვიდეს უსასტიკესი პროტესტით, თუ მას ახშობენ, დაბეჭდოს პროტესტი «დენში» და განაცხადოს, რომ ისინი მიმართავენ ქვედა ფენებს, მუშათა ორგანიზაციებს. ლიკვიდატორებს სურთ გაბერონ თავიანთი უმრავლესობა და გაატარონ გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკ-

რატიასთან. ნუთუ ექვსი მუშური გუბერნიის მუშათა წარმომადგენლები დაემორჩილებიან სკობელევებსა და კომპანიას ან შემთხვევითს ციმბირელს[106]? მოიწერეთ უფრო ხშირად და უფრო მეტი, უფრო დაწვრილებით.

«ლუჩის» სტატიები გაფიცვების წინააღმდეგ უდიდესი სისაძაგლეა. საჭიროა მკვეთრი არალეგალური გამოსვლა. მალე მოიწერეთ, ასეთი გამოსვლის თქვენ მიერ დასახული გეგმებიდან რომელს ირჩევთ.

სალამი.

P. S.* დოკუმენტი დააბრუნეთ — მაგ დოკუმენტით ცხოვრება უხერხულია, პატრონი შეიძლება პიტერში იყოს.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
წიგნში: ««ზვეზდისა» და «პრავდის»
1911 — 1914 წლების ეპოქიდან».
ნაკვეთი III

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას მიერ
დაწერილი პირის
მიხედვით

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

რეფორმიზმის ავადმყოფობა

«რითი ვართ ავად?» — კითხულობდა ამას წინათ «ლუჩში» ავტორი ამ სათაურით მოთავსებული საგულისხმო ფელეტონისა, რომელიც დაწერილია 15 ნოემბრის გაფიცვის შთაბეჭდილებით.

პასუხი ნათელია შემდეგი ორი ციტატიდან:

«თითქოს ნათელი უნდა იყოს იმათთვის, ვინც ბელადების როლს იჩემებს, რომ განსაკუთრებული წესების გაუქმების და კოალიციათა თავისუფლების მოთხოვნა არის ერთადერთი, რაც დღეევანდელი დღისა და უახლოესი მომავლის ბრძოლის საქმეა, ხოლო არსებული წყობილების შეცვლა, რაზედაც ლაპარაკია მოწოდებაში, რაღაც სხვაა. იგი შეიძლება მიღწეულ იქნეს არა გაფიცვობანას თამაშით, რასაც ამჟამად ვხედავთ, არამედ გულმოდგინე გეგმაშეწონილი მუშაობით, პოზიციების თანდათანობით დაპყრობით, მთელი ძალების დაძაბვით, ჩინებული ორგანიზებულობით, და ამ ბრძოლაში არა მარტო მუშათა კლასის, არამედ ხალხის ფართო მასების ჩაბმით...

თუ შეგნებულად მოვეკიდებით ჩვენს ამოცანებს, თუ გეგმაშეწონილად გამოვალთ ჩვენი ინტერესების დასაცავად, თუ დღეს არ ავენთებით ისე, რომ ხვალ ჩავქრეთ, მაშინ ძლიერ პროფესიულ ორგანიზაციებსაც შევიქმნით და ღია პოლიტიკურ პარტიასაც, რომელთა წინააღმდეგ ხელის აღმართვას ვერავინ გაბედავს».

ეს ციტატები საკმარისია, რომ ავტორს ვუთხრათ: უმჯობესია, პატივცემულო, თქვენს თავს ჰკითხოთ: «თვითონ თქვენ რითი ხართ ავად?». და ჩვენ გიპასუხებთ: თქვენ ავად ხართ რეფორმიზმით, ეს აშკარაა. თქვენ გაქვთ «აკვიატებული იდეა», სტოლიპინური მუშათა პარტიის იდეა. ეს საშიში ავადმყოფობაა. «ლუჩის» ექიმები მთლად მოგიღებენ ბოლოს.

ავტორი სავსებით გარკვეულად და შეგნებულად ქადაგებს, წინააღმდეგ პოლიტიკური თავისუფლების საერთო მოთხოვნებისა, «ღია პოლიტიკურ პარტიას». ორი მოყვანილი ციტატის შედარება ამაში ეჭვს არ ტოვებს. მიკიბ-მოკიბვა აჭ ამაო იქნებოდა.

შევეკითხოთ ავტორს: რატომ არის, რომ «ღია პარტია» წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის (1906 წ. «ენესები») და მსხვილბურჟუაზიული ლიბერალიზმის (1906 — 1907 და შემდ. წლ. კ.-დ.) ოპორტუნისტებისა უტოპია აღმოჩნდა, თ ქ ვ ე ნ ი «ღია» მუშათა პარტია კი უტოპიური არ არის?

თქვენ აღიარებთ (ან, ყოველ შემთხვევაში, არჩევნებში «ღია» გამოსვლამ გ ა ი ძ უ ლ ა თ გეღიარებინათ), რომ კადეტები კონტრრევოლუციონერები არიან, რომ ისინი დემოკრატები არ არიან, საერთოდ არიან არა მასების პარტია, არამედ შეძლებული ბურჟუაზიის პარტია, «პირველი კურიის» პარტია. და აი თქვენ, «დინჯი რეალური პოლიტიკოსი», «აგზნებისა და მუშტის ქნევის» მტერი, ვითომდა მუშების სახელით აყენებთ ისეთ «უახლოეს» მოთხოვნას, რომელიც უტოპიური, მიუღწეველი აღმოჩნდა კადეტებისათვის!! დიდი უტოპისტი ხართ, მაგრამ თქვენი უტოპია პატარა, წვრილმანი, უბადრუკია.

თქვენდა შეუგნებლად, თქვენ გადმოგვედოთ გულგატეხილობის, სულმოკლეობის, სასოწარკვეთილების, რწმენის უქონლობის მოდური სენი — ახლა ასეთი მოარული ავადმყოფობაა! და ეს სენი გიბიძგებთ ოპორტუნიზმის ორმოსაკენ, რომლისთვისაც უკვე საყოველთაო დაცინვა დაიმსახურეს ენესებმაც და კადეტებმაც.

თქვენ მორიგ და საქმიან, «გეგმაშეწონილ» და «შეგნებულ» მოთხოვნად მიგაჩნიათ საგანგებო წესების გაუქმებისა და კოალიციათა თავისუფლების მოთხოვნა. თქვენ ძირეული უთანხმოება გაქვთ სოციალ-დემოკრატიასთან, ვინაიდან მას ე ს მ ი ს ასეთი რეფორმების განხორციელების (და სერიოზულობის) საერთო პირობები. თქვენ არსებითად ეთანხმებით პროგრესისტებსა და ოქტიაბრისტებს, ვინაიდან, სწორედ ეს

ადამიანები თავს იტყუებენ და სხვებსაც ატყუებენ ლაყბობით... რეფორმათა და «თავისუფლებათა» შესახებ საქმის ახლანდელი ვითარების ნიადაგზე. იტალიელმა რეფორმისტმა ბისოლატიმ მუშათა კლასს უღალატა რეფორმებისათვის, რომლებიც აღუთქვა ლიბერალმა მინისტრმა ჯიოლიტიმ უველა კლასის პარტიების «ღიად» არსებობისას. თქვენ კი მუშათა კლასს ღალატობთ რეფორმებისათვის, რომლებსაც მაკაროვისაგან იზგოევები და ბულგაკოვებიც კი არ მოელიან!

თქვენ ზიზღით ლაპარაკობთ «გაფიცვობანას თამაშზე». მე მოკლებული ვარ საშუალებას საკადრისად გიპასუხოთ აქ ამ პუნქტზე. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, რომ ღრმა ისტორიული მოძრაობისათვის «თამაშის» დარქმევა პირდაპირ უჭკუობაა. თქვენ გაჯავრებული ხართ გაფიცვებზე, როგორც გაჯავრებულია «ნოვოე ვრემია» (იხ. 17 ნოემბრის N, ნეზნამოვის სტატია), იზგოევები და ბულგაკოვები. ხოლო გაჯავრებული ხართ იმიტომ, რომ ცხოვრება ულმობლად აცამტვერებს თქვენს ლიბერალურ ილუზიებს. მუშათა მასები სავსებით ცნობენ ორგანიზაციის, სისტემის, მომზადების, გეგმაშეწონილობის აუცილებლობას, მაგრამ თქვენს სიტყვებს ისინი ზიზღით ეპყრობიან და მოეპყრობიან.

მძიმე ავადმყოფობა, რომლითაც თქვენ ხართ შეპყრობილი, გამოწვეულია მეტად გავრცელებული ბაცილით. ეს ლიბერალური მუშათა პოლიტიკის, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ლიკვიდატორობის ბაცილაა. იგი ჰაერში ტრიალებს. მაგრამ რარიგ გაჯავრებულიც უნდა იყოთ საერთოდ მოვლენათა მსვლელობაზე და კერძოდ 15 ნოემბერზე, ეს მსვლელობა მომაკვდინებელია ასეთი ბაცილისათვის.

«პრავდა» № 180, 1912 წ. 29 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გაღატაკება კაპიტალისტურ საზოგადოებაში

ბურჟუაზიული რეფორმისტები; ხოლო მათ შემდეგ ზოგიერთი ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან, ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მასების გაღატაკება არ ხდება. «გაღატაკების თეორია» სწორი არ არისო: მასების კეთილდღეობა თუმცა ნელა, მაგრამ იზრდება, — უფსკრული შეძლებულთა და ღარიბთა შორის კი არ ღრმავდება, არამედ მცირდებაო.

უკანასკნელ ხანს ასეთი მტკიცების მთელი სიყალბე სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ მეღავნდება მასების წინაშე. ცხოვრების სიძვირე მატულობს. მუშების ხელფასი, ყველაზე მედგარი და მუშებისათვის ყ ვ ე ლ ა ზ ე წარმატებიანი საგაფიცვო ბრძოლის დროსაც კ ი, გაცილებით უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მატულობს სამუშაო ძალის აუცილებელი ხარჯვა. ხოლო ამავე დროს კაპიტალისტთა სიმდიდრე თავბრუდამხვევი სისწრაფით მატულობს.

აი ზოგიერთი მონაცემები გერმანიის შესახებ, სადაც მუშების მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე რუსეთში, უფრო მაღალი კულტურული დონის მეოხებით, გ ა ფ ი ც ვ ე ბ ი ს ა და კავშირების თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მეოხებით, პოლიტიკური თავისუფლების, პროფესიული კავშირების მილიონობით წევრთა, მუშათა გაზეთების მილიონობით მკითხველთა მეოხებით.

ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ სოციალ-პოლიტიკოსთა მონაცემების მიხედვით, რომლებიც ოფიციალურ წყაროებს ეყრდნო-

ბიან, მუშათა ხელფასი გერმანიაში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საშუალოდ 25%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში ცხოვრების ღირებულება გადიდდა ს უ ლ მ ც ი რ ე 40%-ით!!

სურსათ-სანოვაგეც, ტანისამოსიც, სათბობიც, ბინებიც — ყველაფერი გაძვირდა. მუშა ღატაკდება ა ბ ს ო ლ უ ტ უ-რ ა დ, ე. ი. წინანდელზე პირდაპირ უფრო ღარიბი ხდება, იძულებულია უფრო ცუდად ცხოვრობდეს, უფრო ნაკლებად იკვებებოდეს, უფრო მეტს შიმშილობდეს, სარდაფებსა და სხვენებს აფარებდეს თავს.

მაგრამ კიდევ უფრო თვალსაჩინოა მუშების შ ე ფ ა რ-დ ე ბ ი თ ი გაღატაკება, ე. ი. საზოგადოებრივ შემოსავალში მათი წ ი ლ ი ს შემცირება. კაპიტალისტურ საზოგადოება-ში, რომელიც სწრაფად მდიდრდება, მუშების შ ე. დ ა რ ე-ბ ი თ ი წილი სულ უფრო ნაკლები ხდება, ვინაიდან სულ უფრო სწრაფად მდიდრდებიან მილიონერები.

რუსეთში არ არის საშემოსავლო გადასახადი, არ არის ცნობები საზოგადოების შეძლებული კლასების სიმდიდრის ზრდის შესახებ. ჩვენი კიდევ უფრო სავალალო სინამდვილე დაფარულია ფარდით — სიბნელის, უტყვობის ფარდით.

გერმანიაში მოიპოვება ზუსტი მონაცემები შეძლებული კლასების სიმდიდრის შესახებ. მაგალითად, პრუსიაში პ ი რ-ვ ე ლ ი 10 მილიარდი მარკის (5 მილიარდი მანეთის) ქონება, რომელიც გადასახადით იბეგრებოდა, ეკუთვნოდა 1902 წელს — 1 853 პირს, ხოლო 1908 წელს 1 108 პირს.

ყველაზე უფრო მდიდართა რიცხვი შემცირდა. მათი სიმ-დიდრე გაიზარდა: თვითეულ მათგანს 1902 წელს საშუალოდ 5 მილიონი მარკის ($2^1/_2$ მილიონი მანეთის) ქონება ჰქონდა, ხოლო 1908 წელს — 9 მილიონი მარკისა ($4^1/_2$ მილიონი მა-ნეთისა)!

ლაპარაკობენ «ზედა 10 000-ზე». პრუსიაში «ზედა 21 ათას» მდიდარს $13^1/_2$ მილიარდი მარკის ქონება ჰქონდა, ხო-ლო დაბეგრილი ქონების დანარჩენ 1 300 000 მფლობელს — 3 მილიარდი მარკისა.

პრუსიის ოთხ უდიდეს მილიონერს (ერთ მთავარს, ერთ ჰერცოგს და 2 გრაფს) 1907 წელს 149 მილიონი მარკის ქონება ჰქონდა, ხოლო 1908 წელს 481 მილიონი მარკისა.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში სიმდიდრე წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება — მუშათა მასების გაღატაკებასთან ერთად.

«პრავდა» № 181, 1912 წ. 30 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მუშათა კლასი და მისი «საპარლამენტო» წარმომადგენლობა

შეგნებულ მუშებს რუსეთში უკვე პირველად როდი აქვთ საქმე მუშათა კლასის კოლექტიურ წარმომადგენლობასთან სახელმწიფო სათათბიროში. და ყოველთვის, როცა იქმნებოდა ასეთი წარმომადგენლობა II, III, IV სათათბიროში (არაფერს ვამბობ პირველზე, რომელსაც ს.-დ-ის უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა), ყოველთვის იჩენდა თავს შ ე უ ფ ა რ დ ე ბ ლ ო ბ ა სოციალ-დემოკრატიის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა-ს ა და სათათბიროში მისი წარმომადგენლობის მოსაზრებებს, შეხედულებებს, მიმართულებას შორის.

ამ შეუფარდებლობაზე ზუსტი ცნობები გვაქვს მეორე სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. 1907 წლის გაზაფხულზე გარკვეულ იქნა ოფიციალურად და უდავოდ, თუ რა შეხედულებანი, მიმართულებანი, მიმდინარეობანი ან ფრაქციები სჭარბობენ სოციალ-დემოკრატიაში და რა — სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში.

აღმოჩნდა, რომ, ყოველი 500 ს.-დ. მუშისაგან თითო დელეგატს როცა გზავნიდნენ, ბოლშევიკებს მაშინ 105 დელეგატი ჰყავდათ, მენშევიკებს 97, არაფრაქციული იყო 4 [107].

ბოლშევიზმი აშკარად სჭარბობდა.

«ეროვნულ» ს.-დ-თა შორის პოლონელებს ჰყავდათ 44 დელეგატი, ბუნდისტებს — 57 და ლატვიელებს — 29. ვინაიდან ლატვიელებს შორის მაშინ ძალიან სჭარბობდნენ ოპორტუნიზმის, მენშევიკებისა და ბუნდის მოწინააღმდეგენი, საერთოდ «ნაციონალისტებს» შორისაც «მიმდინარეობათა» შეფარდება ისეთივე იყო, როგორიც იყო მათი შეფარდება სოციალ-დემოკრატიის «რუსულ» ნაწილში.

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში კი მაშინ 36 მენშევიკი იყო და 18 ბოლშევიკი, — ხოლო მუშათა კურიის დეპუტატებში — 12 მენშევიკი და 11 ბოლშევიკი[108]. ცხადია, რომ მენშევიკები სჭარბობდნენ.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატიაში და სათათბიროს ფრაქციაში «მიმდინარეობათა» ძალები განაწილებული იყო არა ერთნაირად, არამედ პირდაპირ საწინააღმდეგოდ.

შემთხვევითია თუ არა ეს?

არა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, საერთო წესით, მუშათა პარტიების საპარლამენტო წარმომადგენელთა შემადგენლობა უ ფ რ ო ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი ა თვით მუშათა პარტიების შემადგენლობასთან შედარებით. ძნელი არ არის დავინახოთ ამ მოვლენის მიზეზი: ჯერ-ერთი, ბურჟუაზიული ქვეყნების ყველა საარჩევნო სისტემა, ყველაზე დემოკრატიულიც კი, სინამდვილეში ზ ღ უ დ ა ვ ს მუშების საარჩევნო უფლებებს ან ასაკით (რუსეთში საჭიროა 25 წელიწადი), ან ბინადრობითა და სამუშაოს მუდმივი ადგილით (რუსეთში ნახევარი წელიწადი) და ა. შ.. ასეთი შეზღუდვები ყველაზე მეტად ხვდება პროლეტარიატის სწორედ ყველაზე ახალგაზრდა, უფრო შეგნებულ და გაბედულ ფენებს.

მეორეც, მუშათა პარტიების არაპროლეტარული ელემენტები, მუშათა კავშირების მოხელეები, წვრილი მეპატრონეები, მოსამსახურეები და, განსაკუთრებით, «ინტელიგენცია» — ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი საარჩევნო უფლების დროს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უფრო ადვილად (თავიანთი მოსაქმეობის, «საზოგადოებაში» დაკავებული მდგომარეობის, მომზადების მიხედვით და ა. შ.) სპეციალდებიან «საპარლამენტო» პროფესიაში.

რა დასკვნები გამოდის ამ ფაქტიდან და როგორი იყო საქმის ვითარება II სათათბიროსთან შედარებით, მესამესა და მეოთხეში, — ამ საკითხებს შემდეგ სტატიას მივუძღვნით.

«პრავდა» № 191, 1912 წ. 12 დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაციონალისტების «შერიგება» კადეტებთან

მთავრობის დეკლარაციის გამო სათათბიროში გამართული კამათის ყველაზე დიდი პოლიტიკური შედეგია გულისამაჩუყებელი გაერთიანება «ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს», ოქტიაბრისტებისა და კ ა დ ე ტ ე ბ ი ს ა. ჩვენს რუსულ ეგრეთწოდებულ «საზოგადოებაზე» იმდენად ახდენს გავლენას მაღალფარდოვანი და იაფფასიანი ფრაზა, რომ გვიხდება განსაკუთრებით მკვეთრად აღვნიშნოთ ეს ნ ა მ დ ვ ი ლ ი შედეგი ყ ვ ე ლ ა პარტიის გამოსვლისა პოლიტიკის პრინციპული საკითხების მათი კრიტიკით.

«პარტიები გაქრნენ» — წერდა ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი «ნოვოე ვრემია» (№ 13199). «დეპ. მაკლაკოვის მშვენიერმა სიტყვამ (7 დეკემბრის სხდომაზე) გაერთიანა მთელი სახელმწიფო სათათბირო, რომელმაც ყველა პარტიული ანგარიში და აზრთა უთანხმოება დაივიწყა და ტაშს უკრავდა მას».

ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი გაზეთის, ყოველნაირი მლიქვნელობის, ებრაელთა და სხვა მოდგმის ხალხთა დევნის ამ მთავარი ორგანოს ეს აზრები უნდა დაიხსომოს ყველამ, ვისაც პოლიტიკა სერიოზულად აინტერესებს, და დაუფიქრდეს მათ.

აზრთა პარტიული უთანხმოების «დავიწყების» გამო კი არ უკრავდნენ ტაშს მაკლაკოვს ოქტიაბრისტები და ნაციონალისტები, გუჩკოველები და ნოვოევრემიელები, არამედ იმის გამო, რომ მათ სწორად ესმით აზრთა ღრმა თ ა ნ ხ მ ო ბ ა ლიბერალურ ბურჟუაზიასა და ნაციონალისტ-მემამულეებს შორის.

მაკლაკოვმა აზრთა ეს თანხმობა გამოამჟღავნა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებში. «თუ რუსეთი არ მიისწრაფვის ომისაკენ, მას არც ეშინია ომისა» — შესძახა ამ კადეტმა, რასაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ი. ან კი როგორ არ უნდა დაეკრათ ტაში? პოლიტიკაში თუნდაც ოდნავ გარკვეული ყოველი ადამიანისათვის ცხადია — ამ სიტყვებით კადეტები გამოთქვამდნენ იმ აზრს, რომ ისინი ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ა ნ ომით დამუქრების პოლიტიკას, მილიტარიზმის, ხალხის მასების მჩაგვრელი და გამაღატაკებელი სახმელეთო და საზღვაო შეიარაღების პოლიტიკას.

ლიბერალები, რომლებიც მხარს უჭერენ მილიტარიზმს, საშიში არ არიან რეაქციისათვის, ვინაიდან რეაქციონერები სავსებით სწორად მსჯელობენ: მილიტარიზმისათვის მხარის დაჭერა ს ა ქ მ ე ა, ხოლო ლიბერალური შეძახილები — ლ ი ტ ო ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, რომელთა განხორციელება პირდაპირ შეუძლებელია რეაქციის ბატონობის დროს. «მოგვეცი მილიონები შეიარაღებისათვის — ჩვენ კი ლიბერალური ფრაზებისათვის ტაშს დაგიკრავთო», აი რას ეუბნება და უნდა ეუბნებოდეს ყოველი ჭკვიანი მებატონე-მემამულე სათათბიროს ბალალაიკინებს.

ხოლო მაკლაკოვის პოზიცია საშინაო პოლიტიკაში? განა შემთხვევითია, რომ მემარჯვენე მღვდელი «ყელამდე კმაყოფილია», როგორც თვით «რეჩი» ადასტურებს, — ანდა «ნოვოე ვრემია» აღტაცებით რომ ბეჭდავს მაკლაკოვის «ლეიტმოტივს»: «დაე, ნუ იქნება რუსეთის გაყოფა ორ ბანაკად, — ქვეყანა და მთავრობაო»?

არა, ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან თავისი ღრიანცელით «შერიგების» სასურველობის შესახებ მაკლაკოვი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ბანს აძლევს კოკოვცოვს. კოკოვცოვსაც «შერიგება» სურს!

კოკოვცოვს ა რ სურს ცვლილება საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაში. მაკლაკოვმა იმის გაგების ნ ა ს ა ხ ი ც ვერ გამოიჩინა, თუ რ ა ცვლილებაა აუცილებელი და რ ი თ

შეიძლება მიღწეულ იქნეს იგი. «შერიგება» არის სწორედ ის სიტყვა, რომელიც ფ ა რ ა ვ ს ერთადერთ სერიოზულ საკითხს ასეთი ცვლილების პირობათა და საშუალებათა შესახებ, — ფარავს არაფრის მთქმელი, მასების შეგნების დამაჩლუნგებელი, მათი მიმაძინებელი დამპალი ფრაზის საშუალებით.

ზიზღის ღირსია ის «საზოგადოება», რომელსაც შეუძლია ტაში დაუკრას მაკლაკოვების სიტყვებს «შერიგების» შესახებ.

ხოლო მუშების წარმომადგენლის მალინოვსკის სიტყვაში სამინისტროს დეკლარაციის გამო ნაციონალისტებიც და კადეტებიც ეცადნენ არ შეემჩნიათ საკითხების დ ა ყ ე ნ ე ბ ა დემოკრატიის მიერ. მაგრამ მალინოვსკი თავის სიტყვას ამბობდა სრულებითაც ა რ ა ამ ხალხისათვის.

«პრავდა» № 194, 1912 წ.
15 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ნაციონალ-ლიბერალები

უკანასკნელ წლებში რუსულ ლიბერალიზმში აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი ფენებად დაყოფა. საერთო-ლიბერალური ბანაკიდან გამოყოფას იწყებს «ნამდვილი» ბურჟუაზია. ლიბერალური კაპიტალი ქმნის თავის განსაკუთრებულ პარტიას, რომელშიც უნდა გადავიდეს (და გადადის) ბურჟუაზიის ბევრი ელემენტი, ვინც წინათ ოქტიაბრისტებთან ერთად მიდიოდა, და რომლისკენაც, მეორე მხრივ, მიდიან ყველაზე ზომიერი, მსხვილბურჟუაზიული, «სოლიდური» ელემენტები კადეტური პარტიიდან.

«პროგრესისტთა» ჯგუფი III და IV სათათბიროებში, აგრეთვე «პროგრესული» ჯგუფი სახელმწიფო საბჭოში ძალიან ახლო არიან იმასთან, რომ ამ ნაციონალურ-ლიბერალური ბურჟუაზიის ოფიციალური პარტიული წარმომადგენლობა გახდნენ საპარლამენტო ასპარეზზე. «პროგრესისტების» ამასწინანდელმა ყრილობამ არსებითად სწორედ ის ნაციონალურ-ლიბერალური პროგრამა დასახა, რომელსაც ახლა «რუსსკაია» მოლვა»[109] ახორციელებს.

რა სურთ ეგრეთწოდებულ «პროგრესისტებს»? რატომ ვუწოდებთ ჩვენ მათ ნაციონალ-ლიბერალებს?

მათ არ სურთ მემამულეთა და ბიუროკრატთა სრული და განუყოფელი ბატონობა. ისინი ცდილობენ მიაღწიონ — და პირდაპირ ამბობენ ამას — ზომიერ ვიწრო-ცენზიან კონსტიტუციას ორპალატიანი სისტემით, ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონით. მათ სურთ «ძლიერი ხელისუფლება», რომელიც აწარმოებს «პატრიოტულ» პოლიტიკას — «სამშობლოს

მრეწველობისათვის» ახალი ბაზრების ცეცხლითა და მახვილით დაპყრობის პოლიტიკას. მათ სურთ, რომ ბიუროკრატებმა მათ იმდენადვე გაუწიონ ანგარიში, რამდენადაც პურიშკევიჩებს. და მაშინ ისინი მზად არიან დაივიწყონ «ძველი ანგარიშები» რეაქციონერებთან და მათთან ხელიხელჩაკიდებულმა იმუშაონ «დიდი» კაპიტალისტური რუსეთის შესაქმნელად.

ოქტიაბრისტული პარტიისაგან ამ ადამიანებს აშორებს ის, რომ ამ უკანასკნელში მეტად ძლიერია მემამულური ელემენტი და ის, რომ იგი უაღრესად დამთმობია. კადეტური პარტიისაგან მათ აშორებს უკმაყოფილება იმის გამო, რომ კადეტები დემოკრატიას დემაგოგიურად ელაქუცებიან. კადეტთა ყალბი ლაპარაკი საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, მიწის იძულებით გასხვისებაზე (თუნდაც გამოსყიდვით) ამ «სურიოზულ» კონსტიტუციონალისტებს სრულიად ზედმეტად და შეუწყნარებლად ეჩვენებათ.

ნაციონალ-ლიბერალები პირდაპირ ამბობენ: არ უნდა გვეშინოდეს ბრალდებისა «რეაქციული ძალებისათვის ხელშეწყობაში», პირდაპირ უნდა ვიბრძოდეთ «მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისაკენ მოწოდებათა» და «შეძლებული კლასებისადმი სიძულვილის გაღვივების» წინააღმდეგ; «სამხედრო ძლიერების» საკითხებში არც მემარჯვენენი და არც მემარცხენენი არ უნდა იყვნენო:

«ჩვენ სამშობლოში დავბრუნდით... რუსეთის არმია... ჩ ვ ე ნ ი არმიაა... რუსეთის სასამართლო შემიაკას სასამართლო კი არ არის, არამედ ჩ ვ ე ნ ი ა... რუსეთის საგარეო ძლიერება ბიუროკრატიის ამპარტავნული ჟინი კი არ არის, ეს ჩ ვ ე ნ ი ძალა და სიხარულია» (იხ. «რუსსკაია მოლვას» საპროგრამო განცხადებანი).

ნაციონალ-ლიბერალებს უეჭველად აქვთ ერთგვარი «მომავალი» რუსეთში. ეს იქნება პარტია «ნამდვილი» კაპიტალისტური ბურჟუაზიისა, როგორსაც გერმანიაშიც ვხედავთ. წმინდა-ინტელიგენტური, ნაკლებ-«ნიადაგიანი» ლიბერალური ელემენტები კადეტებში რჩებიან. ნაციონალ-ლიბერალები შოულობენ ისეთ იდეოლოგებს, როგორიც არიან

სტრუვე, მაკლაკოვი, პროტოპოპოვი, კოვალევსკი და სხვები, რომლებსაც უკვე დიდი ხანია ცალი ფეხი რეაქციულ ბანაკში უდგათ. მათვე აუცილებლად მიემხრობიან ყოვლად ზომიერი «შიპოველი» ერობელ-მემამულური ელემენტები, რომლებიც აგრეთვე ვიწრო-ცენზიანი კონსტიტუციის, — მდიდართათვის განკუთვნილი «კონსტიტუციის» მომხრენი არიან. (ტყუილად კი არ იყო, რომ ბ-ნმა სტრუვემ ამას წინათ ასეთი სიყვარულით მოიგონა ბ-ნი შიპოვი...)

«პროგრესისტთა» ოცნება «ძლიერ ხელისუფლებაზე», რომელიც ლიბერალურ პოლიტიკას გაატარებს, უახლოეს ხანში, რა თქმა უნდა, განუხორციელებელია. გამარჯვებული რჩებიან ხვოსტოვები და პურიშკევიჩები. შესაძლოა, ნაციონალ-ლიბერალური პარტია ამჟამად საბოლოოდ ჯერ არც კი ჩამოყალიბდეს და მათი გაზეთი დაიღუპოს, როგორც სამი წლის წინათ დაიღუპა გაზეთი «სლოვო» [110], რომელიც საერთოდ იმავე მიზნებს ისახავდა. (თუმცა სათათბიროში «პროგრესისტები» რამდენადმე გაძლიერდნენ კადეტებთან შედარებით). მაგრამ ნაციონალ-ლიბერალური ბურჟუაზიის აშკარა გამოსვლა ყოველ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ რუსეთში კლასობრივი წინააღმდეგობანი მნიშვნელოვნად მომწიფდნენ.

კაპიტალისტური ბურჟუაზიის თვითგამორკვევას მუშებმა უნდა დაუპირდაპირონ გაათკეცებული ენერგია თ ა ვ ი ა ნ თ ი ორგანიზაციისა და თ ა ვ ი ა ნ თ ი კლასობრივი თვითგამორკვევის საქმეში.

«პრავდა» № 200, 1912 წ. 22 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორობასთან დაკავშირებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ

თეზისები

1. 4 წლის ბრძოლა ლიკვიდატორობასთან.

ლიკვიდატორობის განსაზღვრა პარტიის მიერ 1908 წ. **დეკემბერში.** ლიკვიდატორობის დაგმობა არა ლეგალური მუშაობისათვის, არამედ პარტიის დანგრევისათვის. ანტილიკვიდატორობის გამარჯვება ლეგალურ ასპარეზზე 1912 წელს («**პრავდა**» და **არჩევნები**).

2. ლიკვიდატორების მიერ გათიშვის მოხდენა. ლიკვიდატორები გაეთიშნენ პარტიას. მათი საინიციატივო ჯგუფები გათიშვის ნაყოფი და გამოვლინებაა.
3. 1912 წ. აგვისტოს კონფერენცია ანტიპარტიულია შემადგენლობით, და შემარიგებლებიც კი იძულებული იყვნენ ეს ეღიარებინათ.

იმის დაუშვებლობა, რომ ს.-დ. პარტიის სახელით გამოვიდნენ საზღვარგარეთის მცირე ჯგუფები, რომლებსაც პირდაპირი რწმუნება არა აქვთ რუსეთის რომელიმე ს.-დ. ორგანიზაციისაგან და არ მოქმედებენ მასთან თანხმობით.

4. აგვისტოს კონფერენციის რეზოლუციები მოძრაობის ძირითად საკითხებზე და უწინარეს ყოვლისა ძირითად საკითხზე არალეგალური პარტიის სრული და გულწრფელი აღიარების შესახებ განირჩევიან, განსაკუთრებით რბილად რომ ვთქვათ, «დიპლომატიით», ე. ი. საკითხზე პირდაპირი

პასუხის გაცემისათვის თავის არიდებით. სინამდვილეში ეს ლიკვიდატორული რეზოლუციებია.

5. ლიკვიდატორული ჯგუფის პოლიტიკურმა ქცევამ «ნაშა ზარიასა» და «ლუჩში» კონფერენციის (აგვისტოს კონფერენციის) შემდეგ ცხადყო ამ ჯგუფის უეჭველი ანტიპარტიულობა, რამაც გამოხატულება პოვა (ა) ღია პარტიის ქადაგებით; (ბ) «იატაკქვეშეთისადმი» დაცინვით ლეგალურ პრესაში; (გ) რევოლუციურ გაფიცვებთან და საერთოდ რევოლუციურ მასობრივ ბრძოლასთან ბრძოლით.

ამ ჯგუფთან, როგორც ანტიპარტიულ ჯგუფთან გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობა.

6. ლეგალურ პრესაში ერთიანობის ქადაგება, რაც გვერდს უვლის და აბნელებს საქმის არსს, სახელდობრ: არალეგალური პარტიის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა ღ ი ა რ ე ბ ი ს საკითხი მუშების მოტყუებაა.

7. არალეგალურ ორგანიზაციაში ყველა მიმდინარეობისა და ნაირსახეობის ერთიანობის აბსოლუტური აუცილებლობა. მოწოდება ამ ერთიანობისაკენ.

დაწერილია 1912 წ. დეკემბერში
პირველად დაიბეჭდა 1939 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ცნობა და რეზოლუციები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან[111]

დაიბეჭდა 1913 წ. თებერვალში ცალკე ბროშურად, გამოცემა რსდმ პარტიის ც. კ-ისა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია: «ცნობა» — ხელნაწერთან, «რეზოლუციები» — ჰექტოგრაფიულ გამოცემასთან

ცნობა

მიმდინარე წლის თებერვალში შედგა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან. თათბირში მოხერხდა მონაწილეობა მიეღოთ პეტერბურგის (ხუთი კაცი), მოსკოვის ოლქის (ორი), სამხრეთის (ორი), ურალისა და კავკასიის არალეგალური, პარტიული ორგანიზაციების წევრებს. ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა არჩევა შეუძლებელი იყო, და ამიტომ თათბირს თავი არ გამოუცხადებია კონფერენციად. ცენტრალური კომიტეტის ნაწილი ვერ დაესწრო პოლიციური მიზეზების გამო.

თათბირის თითქმის ყველა მონაწილე დიდ მონაწილეობას იღებდა მუშათა სხვადასხვაგვარ ლეგალურ საზოგადოებებში და ეგრეთწოდებულ «ლეგალურ შესაძლებლობებში». ამრიგად თათბირის შემადგენლობამ უზრუნველყო ის, რომ მიგვეღო რუსეთის ყველა მთავარ რაიონში მთელი პარტიული მუშაობის სწორი სურათი.

თათბირს 11 სხდომა ჰქონდა და შეიმუშავა რეზოლუციები დღის წესრიგის შემდეგ პუნქტებზე: 1) რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები. 2) არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობა. 3) სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია. 4) პარტიული პრესა. 5) დაზღვევის კამპანია. 6) ლიკვიდატორობასთან დამოკიდებულება. ერთიანობის საკითხი. 7) «ეროვნული» ს.-დ. ორგანიზაციების შესახებ.

რეზოლუციები მიღებულ იქნა ერთხმად — გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი ამხანაგის მიერ თავის შეკავება «დაზღვევის» რეზოლუციის ორ პუნქტზე და მეორისა — «ეროვნული» რეზოლუციის ცალკეულ საკითხებზე.

თათბირის რეზოლუციები, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა, იძლევიან პარტიული გამოცდილების შეჯამებას და სახელმძღვანელო ხაზს თანამედროვე რუსეთში ს.-დ. მუშაობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

* * *

1912 წლის გამოცდილების სისტემატურად გათვალისწინება სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, იმიტომ რომ ეს წელი რუსეთის მუშათა მოძრაობაში დიადი, ისტორიული გარდატეხის წელი იყო. გარდა იმისა, რომ დაცემულობა და რღვევა გამოცოცხლებით იცვლება, მუშათა კლასი გადავიდა მასობრივ შეტევაზე კაპიტალისტებისა და მეფის მონარქიის წინააღმდეგ. ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების ტალღა ისე აზვირთდა, რომ რუსეთი ამ მხრივ მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა, თვით ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყანაზე წ ი ნ დგას.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ვერც ერთ შეგნებულ მუშას ვერ დაავიწყებინებს იმას, თუ რამდენად გაგვასწრეს თავისუფალი ქვეყნების პროლეტარებმა მასების ორგანიზაციისა და კლასობრივი აღზრდის საქმეში. მაგრამ ამ ფაქტმა დაამტკიცა, რომ რუსეთი ა ხ ა ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მოახლოების ხანაში შევიდა.

მუშათა კლასს ეკისრება დიადი ამოცანა — რევოლუციურად გამოაღვიძოს და ბრძოლაში აღზარდოს მთელი დემოკრატიული მასები, უხელმძღვანელოს მათ მძლავრი შეტევისათვის, რომელმაც უნდა მისცეს რუსეთს თავისუფლება და რესპუბლიკა, დაანგრიოს რომანოვთა მონარქია. მასების აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა, მისი ორგანიზება, მისი გაფართოება, გაღრმავება და

გაძლიერება — ასეთია ახლანდელი მომენტის ძირითადი ამოცანა. ის სოციალ-დემოკრატი არ არის, ვისაც ეს ამოცანა ვერ შეუგნია, ვინც არ მუშაობს ამა თუ იმ არალეგალურ ორგანიზაციაში, ჯგუფში ან უჯრედში, რომელიც რევოლუციის განვითარების საქმეს ემსახურება.

* * *

პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა 1912 წელს ძირითადი მამოძრავებელი იყო იმ ცვლილებისა დემოკრატიის განწყობილებაში, რომელიც ყველას მიერ აღიარებულია. IV სათათბიროს არჩევნებშიც და ლეგალური მუშათა პრესის შექმნაშიც, რომელიც მარქსიზმის თეორიის ანბანურ საფუძვლებს მაინც ქადაგებს, სოციალ-დემოკრატიამ მოიპოვა დიდი გამარჯვებანი. მეფის მთავრობამ ხელი ვერ შეუშალა ამ წარმატებებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მასების აშკარა რევოლუციურმა ბრძოლამ მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება შეცვალა. განაგრძობს რა თავის განუხრელ, მტკიცე, სისტემატურ მუშაობას უკლებლივ ყველა და ყოველგვარ «ლეგალურ შესაძლებლობათა» გამოსაყენებლად, შავი სათათბიროს ტრიბუნით დაწყებული და სიფხიზლის რომელიც გნებავთ საზოგადოებით დამთავრებული, რსდმპ პარტია ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ პარტიის წევრის მაღალი წოდების ღირსია მხოლოდ ის, ვინც მთელ მუშაობას მასებში ნამდვილად ეწევა პარტიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც მოფიქრებული და მიღებულია მოახლოებული რევოლუციის თვალსაზრისით და არა სამი ივნისის «ლეგალობის» თვალსაზრისით. ჩვენი ამოცანაა კი არ დავემორჩილოთ იმ დაბნეულობასა და რღვევას, რომელიც 1908 — 1911 წლების ეპოქიდან დარჩა, არამედ ვებრძოლოთ მას. ჩვენი საქმეა კი არ გავყვეთ ქაოსური და უპრინციპო ლეგალიზმის მდინარებას, არამედ იმისათვის გამოვიყენოთ ყოველივე ლეგალური, რომ თანდათანობით დავრაზმოთ არალეგალური პარტიის გარშემო ყოველივე ის, რაც კი ცოცხალია. ჩვენი ლოზუნგია — არავითარი ზავი იმათთან, ვინც

ბოროტად იყენებს ლეგალიზმს იმისათვის, რომ თესოს სკეპ-ტიციზმი და გულგრილობა მასების რევოლუციური ბრძოლი-სადმი ან პირდაპირაც კი შეაფერხოს იგი.

ჩვენი მოთხოვნების განხორციელების საწინდარია არა მათი დაკნინება, არა ჩვენი პროგრამის შეკვეცა, არა ის ტაქ-ტიკა, რომ ნაკლებგანვითარებული ადამიანები მოვიზიდოთ რუსეთის ცარიზმის დროს ამა თუ იმ კონსტიტუციური რე-ფორმის სიადვილის ყალბი ლოზუნგით. არა. ეს საწინდარია — მასების აღზრდა თანმიმდევრული დემოკრატიზმის სულის-კვეთებით, კონსტიტუციურ ილუზიათა სიყალბის შეგნების სულისკვეთებით. ეს საწინდარია მოწინავე კლასის, პროლე-ტარიატის, რევოლუციური ორგანიზაცია და მასების დიდი რევოლუციური ენთუზიაზმი.

კონტრრევოლუციის პარპაშის ეპოქამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა იდეური აბნეულობა და რღვევა, ორგანიზაციული დაშლა მუშათა მოძრაობის ბევრ ცენტრში, კუსტარულობა და ზოგის იძულებითი მოწყვეტა პარტიისაგან, ხოლო ზოგის აგდებული და ბოროტი დამოკიდებულებაც კი «იატაკქვეშე-თისადმი», რომელიც რევოლუციის ანდერძს იცავს და რევო-ლუციურ ტაქტიკას იმუშავებს. ლიკვიდატორების გამოთიშ-ვამ სოც.-დემ. პარტიისაგან, «ეროვნული» სოც.-დემ. ორგანი-ზაციების ფაქტიურმა განკერძოებამ, ხოლო ადგილ-ადგილ მათ მიერ სოც.-დემ. პრინციპების დავიწყებამ და მათმა დაშ-ლამ — ყოველივე ამან უკიდურესად გაამწვავა ერთიანობის მოთხოვნა.

სოც.-დემ. პროლეტარიატის ერთიანობა მის გამარჯვება-თა აუცილებელი პირობაა.

სოც.-დემ. პროლეტარიატის ერთიანობა შეუძლებელია მისი პარტიის — რსდმ პარტიის ერთიანობის გარეშე.

და ჩვენ აქ ერთბაშად ვხედავთ, რომ არ შეიძლება ამ ერთიანობის საკითხის გადაწყვეტა ისე, თუ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც არ გადაწყდა არალეგალური პარ-ტიის აუცილებლობის საკითხი. ვინც ერთიანობაზე ლაპარა-კობს და ამავე დროს «ღია მუშათა პარტიას» ქადაგებს, ის

1

Совещание Ц.К. Рос. С.Д. Р.П.
Ленина с партийными работниками.

В феврале текущего года
состоялось совещание Ц.К. Рос. С.Д.
Р.П. с партийными работниками. В со-
вещании удалось привлечь членов жене-
вской, партийных организаций Петер-
бурга (меньш.), Московской области (бол.
ш.), Юга (бол.ш.), Урала и Кавказа. Про-
изведен выборов от местных организа-

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა — «ცნობა» რსდმ პარტიის
ც. კ-ის თათბირის შესახებ პარტიულ მუშაკებთან. — 1913 წ. იანვარი
დაპატარავებულია

თავსაც იტყუებს და მუშებსაც ატყუებს. ვინც ერთიანობაზე ლაპარაკობს და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს, შეიძლება გაირკვეს, შეიძლება თუნდაც მხოლოდ დაისვას ლეგალობის ფარგლებში, — ის თავსაც იტყუებს და მუშებსაც ატყუებს.

არა. არა ლიტონი ფრაზები «ერთიანობის» შესახებ ლეგალურ პრესაში, არა შეთანხმებანი ინტელიგენტთა სხვადასხვა, «დაქსაქსულ» მცირე ჯგუფებთან, არა საზღვარგარეთულ მოლაპარაკებათა დიპლომატია, არამედ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ რსდმ პარტიაში შემავალი ყ ვ ე ლ ა მუშის ადგილებზე გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, სინამდვილეში შ ე ე რ თ ე ბ ა ერთიან არალეგალურ ორგანიზაციად, — მხოლოდ ეს წყვეტს ერთიანობის საკითხს.

მუშები უკვე თვითონ, ქვემოდან, შეუდგნენ ერთიანობის საკითხის ამ ერთადერთ სერიოზულ, ერთადერთ საქმიან გადაწყვეტას. თათბირი ყველა სოციალ-დემოკრატს მოუწოდებს დაადგნენ ამ გზას.

სოც.-დემ. მუშები ყველგან აღადგენენ რსდმ პარტიის ერთიან არალეგალურ ორგანიზაციებს საქარხნო უჯრედების, საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების, რაიონული ჯგუფების, საერთო-საქალაქო ცენტრების, ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ლეგალურ დაწესებულებებში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების და სხვ. სახით. ვისაც არ სურს თვითონ ჩაიყენოს თავი უძლური ერთეულის მდგომარეობაში, — დაე წავიდეს ამ ორგანიზაციებში. არალეგალური პარტიის აღიარება, მასების რევოლუციური ბრძოლისათვის ხელშეწყობა აქ ხორციელდება თვით მუშების კონტროლით.

* * *

რღვევის პერიოდი გადის. დადგა ძალთა შემოკრების დრო. მაშ შევმჭიდროვდეთ რსდმ პარტიის არალეგალურ ორგანიზაციებში. ისინი კარს არ უხშობენ არც ერთ სოციალ-დემოკრატს, რომელსაც სურს იქ იმუშაოს, სურს ეხმარებოდეს პროლეტარიატის ორგანიზაციას, მის ბრძოლას კაპიტალ-

თან, მის დაწყებულ რევოლუციურ შეტევას მეფის მონარქიის წინააღმდეგ.

საერთონაციონალური პოლიტიკური კრიზისი ნელა, მაგრამ განუხრელად მწიფდება რუსეთში. სამი ივნისის სისტემა იყო მეფის შავრაზმული მონარქიის ხსნის უკანასკნელი ცდა, ბურჟუაზიის ზედაფენებთან კავშირით მისი განახლების ცდა, და ამ ცდამ კრახი განიცადა. დემოკრატიის ახალი ძალები არა დღეობით, არამედ საათობით იზრდებიან და მტკიცდებიან რუსეთის გლეხობასა და ქალაქის ბურჟუაზიაში. წინანდელზე უფრო სწრაფად დიდდება სოფლად და ქალაქებში პროლეტართა რიცხვი, მატულობს მათი ორგანიზებულობა, მათი დარაზმულობა, მათი რწმენა თავიანთ უძლეველობაში, რასაც მასობრივი გაფიცვების გამოცდილება განამტკიცებს.

რსდმ პარტიამ ერთ მთლიანობად უნდა დარაზმოს ამ პროლეტარიატის მოწინავე რაზმები და წაიყვანოს იგი რევოლუციური ბრძოლებისაკენ ჩვენი ძველი რევოლუციური მოთხოვნებისათვის.

რსდმ პარტიის ცენტრალური
კომიტეტი

1913 წ. თებერვალი

რეზოლუციები

რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები

1. მუშათა მოძრაობისა და რუსეთის რევოლუციის ისტორიაში 1912 წლის მანძილზე ყველაზე დიდ ფაქტს წარმოადგენს პროლეტარიატის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური საგაფიცვო ბრძოლის შესანიშნავი განვითარება. პოლიტიკურ გაფიცულთა რიცხვმა მილიონს მიაღწია.

2. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1912 წლის საგაფიცვო ბრძოლის ხასიათი. მუშები მთელ რიგ შემთხვევებში ერთდროულად აყენებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს, ეკონომიური გაფიცვების ხანას ცვლის პოლიტიკური გაფიცვების ხანა და პირიქით. კაპიტალისტებთან ბრძოლა კონტრრევოლუციის მიერ წართმეულ 1905 წლის მონაპოვართათვის და ცხოვრების მზარდი სიძვირე ფეხზე აყენებს მუშების ახალ და ახალ ფენებს, უაღრესად მწვავე ფორმით აყენებს მათ წინაშე პოლიტიკურ საკითხებს. ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შეერთებისა და შეხამების ყველა ეს სახე წარმოადგენს მოძრაობის ძლიერების პირობასა და საწინდარს და ქმნის რევოლუციურ მასობრივ გაფიცვას.

3. ფლოტსა და ჯარში უკმაყოფილების გამოვლენათა და აჯანყებათა დაწყება, რითაც აღინიშნა 1912 წელი, უეჭველად დაკავშირებულია მუშათა რევოლუციურ მასობრივ გაფიცვებთან, იგი მოწმობს მღელვარებისა და აღშფოთების ზრდას

დემოკრატიის ფართო წრეებში და კერძოდ გლეხობაში, რომელიც ჯარების მთავარი მასის მიმწოდებელია.

4. ყველა ამ ფაქტმა ქვეყნის საერთო გამემარცხენებასთან დაკავშირებით, რამაც თავი იჩინა IV სათათბიროს არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ მეფის შავრაზმულმა მთავრობამ ყოვლად უსირცხვილოდ გააყალბა ეს არჩევნები, საბოლოოდ ცხადყო, რომ რუსეთი კვლავ შევიდა მასების აშკარა რევოლუციური ბრძოლის ხანაში. ახალი რევოლუცია, რომლის დასაწყისშიც ჩვენ ვიმყოფებით, წარმოადგენს ცარიზმის სამი ივნისის პოლიტიკის გაკოტრების გარდუვალ შედეგს. ამ პოლიტიკამ ყველაზე მლიქვნელი მსხვილი ბურჟუაზიაც კი ვერ დააკმაყოფილა. ხოლო ხალხის მასების მდგომარეობა კიდევ უფრო უუფლებო გახდა, განსაკუთრებით ჩაგრული ეროვნებებისათვის, გლეხობა კი კვლავ მიყვანილია მილიონთა და მილიონთა შიმშილობამდე.

5. ასეთ პირობებში რევოლუციურ მასობრივ გაფიცვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ კიდევ იმიტომაც, რომ ისინი წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატისა და გლეხობის აპათიის, სასოწარკვეთილებისა და ღაქსაქსვის დაძლევის, მისი პოლიტიკური თვითმოქმედების გაღვიძების, რაც შეიძლება უფრო ერთსულოვან, ერთდროულ და ფართო რევოლუციურ გამოსვლებში მისი ჩაბმის ერთ-ერთ ყველაზე ნამდვილ საშუალებას.

6. გააფართოებენ და გააძლიერებენ რა აგიტაციას რსდმპარტიის უახლოესი მოთხოვნებისათვის, როგორიცაა — დემოკრატიული რესპუბლიკა, რვა საათიანი სამუშაო დღე და მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაცია გლეხობის სასარგებლოდ, — პარტიის ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე უნდა წამოაყენონ რევოლუციური მასობრივი გაფიცვებისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა, აგრეთვე მასების ყველა სახის რევოლუციური გამოსვლების განვითარება და ორგანიზაცია. განსაკუთრებით საჭიროა წამოყენებულ იქნეს, როგორც მორიგი ამოცანა, ქუჩის რევო-

ლუციური დემონსტრაციების მოწყობა როგორც პოლიტიკურ გაფიცვებთან შეხამებით, ისე დამოუკიდებელი გამოსვლების სახითაც.

7. გაფიცული მუშების წინააღმდეგ ზოგიერთი კაპიტალისტის მიერ ლოკაუტების (მასობრივი დათხოვნის) გამოყენება ახალ ამოცანებს აყენებს მუშათა კლასის წინაშე. საჭიროა ყურადღებით გათვალისწინებულ იქნეს გაფიცვის ეკონომიური პირობები ყოველ რაიონში, მრეწველობის ყოველ დარგში, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, გამოინახოს ლოკაუტების მოსაგერიებლად ბრძოლის ახალი ფორმები (მაგალითად, იტალიური გაფიცვა) და შეიცვალოს პოლიტიკური გაფიცვები რევოლუციური მიტინგებით და ქუჩის რევოლუციური დემონსტრაციებით.

8. ლეგალური პრესის ზოგიერთი ორგანოები, იმისაგან სრულიად დამოუკიდებლად, თუ როგორ შეფასებას აძლევენ ისინი ამა თუ იმ გაფიცვას, ეწევიან საერთო აგიტაციას რევოლუციური მასობრივი გაფიცვების წინააღმდეგ. ასეთ აგიტაციას, გარდა ლიბერალური პრესისა, ეწევა, მაგალითად, ლიკვიდატორთა ჯგუფი გაზეთ «ლუჩში», წინააღმდეგ იმ მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილისა, რომლებიც ასე თუ ისე მხარს უჭერენ ამ გაზეთს. ამის გამო ყველა პარტიული ს.-დ. მუშის ამოცანაა: 1) გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ამ ჯგუფთან; 2) სისტემატურად და გულმოდგინედ განუმარტონ ყველა მუშას განურჩევლად მიმართულებისა, თუ რაოდენ მავნეა აღნიშნული ქადაგება, და 3) შეამჭიდროონ მთელი პროლეტარული ძალები რევოლუციური აგიტაციის და მასების რევოლუციური გამოსვლების შემდგომი განვითარებისათვის.

არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობა

1. აჯამებს რა მუშათა მოძრაობისა და პარტიის მუშაობის 1912 წლის შედეგებს, თათბირი აღნიშნავს, რომ:

მასების რევოლუციური გამოსვლების დაწყებულმა ახალმა ტალღამ მთლიანად დაადასტურა წინა გადაწყვეტილებანი რსდმ პარტიისა (და განსაკუთრებით 1912 წლის იანვრის კონ-

ფერენციისა) პარტიის მშენებლობის საკითხზე. საგაფიცვო ბრძოლის მსვლელობამ 1912 წელს, IV სათათბიროს არჩევნების ს.-დ. საარჩევნო კამპანიამ, დაზღვევის კამპანიის მსვლელობამ და ა. შ. უეჭველად ცხადყო, რომ ახლანდელ ეპოქაში ორგანიზაციული მშენებლობის ერთადერთ სწორ ტიპს წარმოადგენს: არალეგალური პარტია, როგორც ჯამი პარტიული უჯრედებისა, რომლებსაც გარს ახვევია მუშათა ლეგალური და ნახევრადლეგალური საზოგადოებების ქსელი.

2. არალეგალური მშენებლობის ორგანიზაციული ფორმების ადგილობრივ პირობებთან შეხამება აუცილებლად სავალდებულოა. არალეგალური უჯრედების დაფარვის მრავალფეროვნება, მუშაობის ფორმების ადგილობრივ და საყოფაცხოვრებო პირობებთან შეხამებაში რაც შეიძლება მეტი მოქნილობა არალეგალური ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის საწინდარია.

3. ორგანიზაციული მშენებლობის დარგში ამჟამად მთავარი მორიგი ამოცანაა ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში ყველაზე აქტიური მუშათა ელემენტებისაგან შემდგარი წმინდა პარტიული არალეგალური საქარხნო კომიტეტების შექმნა. მუშათა მოძრაობის უდიდესი აღმავლობა ქმნის ისეთ პირობებს, რომლებშიც პარტიული საქარხნო კომიტეტების აღდგენა და არსებულთა განმტკიცება შესაძლებელი ხდება ადგილების უდიდეს უმრავლესობაში.

4. თათბირი აღნიშნავს, რომ ახლა სავსებით მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ დაქსაქსული ადგილობრივი ჯგუფებისაგან შეიქმნას ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაცია ყოველ ცენტრში.

როგორც საერთო-საქალაქო ორგანიზაციის ტიპი, დაისახა, მაგალითად, პეტერბურგში ხელმძღვანელი საქალაქო კომიტეტი, რომელიც შეიქმნა რაიონული უჯრედებისაგან არჩევითობის პრინციპისა და კოოპტაციის პრინციპის შეხამების გზით.

ორგანიზაციის ასეთი ტიპი შესაძლებლობას იძლევა დამყარდეს ყველაზე მჭიდრო და უშუალო კავშირი ხელმძღვა-

ნელ ორგანოსა და ძირეულ უჯრედებს შორის და ამავე დროს საშუალებას იძლევა შეიქმნას შემადგენლობით ვიწრო, მოძრავი და ყველაზე მეტად კონსპირირებული აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს მთელი ორგანიზაციის სახელით. თათბირი მუშათა მოძრაობის სხვა ცენტრებისთვისაც რეკომენდაციას აძლევს ამ ტიპს, ადგილობრივი და საყოფაცხოვრებო პირობებიდან გამომდინარე ცვლილებებით.

5. ადგილობრივ ორგანიზაციებსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით, აგრეთვე პარტიული მუშაობის წარმართვისა და გაერთიანების მიზნით, თათბირს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია საოლქო ცენტრების მოწყობა მუშათა მოძრაობის მთავარ რაიონებში.

6. როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანა ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ ს.-დ. ჯგუფებს შორის მუდმივი ცოცხალი კავშირის დამყარების საქმეში, აგრეთვე მუშათა მოძრაობის დიდ ცენტრებში ადგილობრივი მუშაობის ხელმძღვანელობის მოქნილი ფორმების შექმნის საქმეში, — ისახება ნდობით აღჭურვილ პირთა სისტემა. ნდობით აღჭურვილი პირები შერჩეულ უნდა იქნენ მუშებისაგან — ადგილობრივი მუშების ხელმძღვანელებისაგან. მარტო მოწინავე მუშებს საკუთარი ძალებით შეუძლიათ გაამაგრონ და განამტკიცონ პარტიის ცენტრალური აპარატი ადგილებზე, ისევე როგორც მთელ რუსეთში.

7. თათბირი სურვილს გამოთქვამს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა რაც შეიძლება ხშირად მოაწყოს თათბირები ს.-დ. მუშაობის სხვადასხვა დარგში მოქმედ ადგილობრივ პარტიულ მუშაკებთან.

8. თათბირი მოაგონებს არაერთგზის მიღებულ პარტიულ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ მუშათა პარტია სხვანაირად ვერ იარსებებს, თუ არ წესიერი საწევრო გადასახადებით, მუშათა შენატანებით. თუ ასეთი შენატანები არ იქნა, განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში, ისე პარტიის თუნ-

დაც სრულიად მცირერიცხოვანი ცენტრალური (ადგილობრივი და სრულიად რუსეთის) დაწესებულებების არსებობა აბსოლუტურად შეუძლებელია.

9. (არ უნდა გამოქვეყნდეს.)

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ

1. თათბირი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად უმაგალითო დევნისა და არჩევნების გაყალბებისა მთავრობის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადგილას სავსებით გარკვეულად დაისახა შავრაზმულ-ლიბერალური ბლოკი ს.-დ. წინააღმდეგ, — რსდმ პარტიამ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა IV სათათბიროს არჩევნებში. თითქმის ყველგან გაიზარდა ს.-დ-ებისათვის მიცემული ხმების რიცხვი მე-2 საქალაქო კურიაში, რომელსაც სოციალ-დემოკრატია სულ უფრო გლეჯს ხელიდან ლიბერალებს. ხოლო ჩვენი პარტიისათვის მთავარ კურიაში, მუშათა კურიაში, რსდმ პარტიამ შეინარჩუნა განუყოფელი ბატონობა, ამასთან მუშათა კლასმა ყველა კურიალური დეპუტატი-ბოლშევიკის არჩევით განსაკუთრებით ერთსულოვნად გაუსვა ხაზი თავის განუხრელ ერთგულებას ძველი რსდმ პარტიისა და მისი რევოლუციური პრინციპებისადმი.

2. თათბირი მიესალმება IV სათათბიროს ს.-დ. დეპუტატების ენერგიულ საქმიანობას, რაც გამოიხატა სათათბიროში მთელი რიგი გამოსვლებით, შეკითხვების შეტანითა და დეკლარაციის წაკითხვით, რომელმაც საერთოდ სწორად გამოხატა სოციალ-დემოკრატიის ძირითადი პრინციპები.

3. ცნობს რა როგორც ერთადერთ სწორს ჩვენს პარტიაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციას, რომ სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია ის ორგანოა, რომელიც ემორჩილება პარტიას, როგორც მთლიანობას, მისი ცენტრალური დაწესებულებების სახით, — თათბირი აღნიშნავს, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდისა და სათათბიროში პარტიის მუშაობის სწორად დაყენების ინტერესებისათვის საჭიროა ყურადღებით მოვეკიდოთ ს.-დ. ფრაქციის ყოველ ნაბიჯს და ამრიგად განვახორციელოთ პარტიის კონტროლი ფრაქციისადმი.

4. თათბირს არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ს.-დ. ფრაქციამ პირდაპირ დაარღვია პარტიული მოვალეობა იაგელოს შესახებ მიღებულ რეზოლუციაში. ეს რეზოლუცია მხარს უჭერს გამთიშველ ნაბიჯს, რაც გადადგა ბუნდმა, რომელიც შეუთანხმდა არასოციალ-დემოკრატიულ პარტიას (პპს) პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და გაიყვანა არასოციალ-დემოკრატი იაგელო ყველა სოციალ-დემოკრატ ამრჩევთა წინააღმდეგ, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ მუშა ამრჩევთა კოლეგიაში. ამრიგად ფრაქციამ გააღრმავა გათიშვა პოლონეთის მუშებში და გააძნელა მთელ პარტიაში ერთიანობის საქმე.

5. ამხ. ჩხენკელის მიერ ფრაქციის სახელით კულტურულ-ეროვნული ავტონომიის დაცვა ვითომც იმისათვის, რომ «შეიქმნას თვითეული ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის საჭირო დაწესებულებანი», წარმოადგენს პარტიული პროგრამის პირდაპირ დარღვევას [112]. არსებითად სრულიად ასეთივე ფორმულირება უარყო სპეციალური კენჭისყრით პარტიის II ყრილობამ, რომელმაც დაამტკიცა პარტიის პროგრამა [113]. ნაციონალისტური განწყობილების მიმართ დათმობა, ასეთი დაფარული ფორმითაც კი, დაუშვებელია პროლეტარული პარტიისათვის.

6. ის გარემოება, რომ ს.-დ. ფრაქციამ ხმა მისცა სამინისტროს დეკლარაციის გამო გადასვლის პროგრესისტულ (სინამდვილეში კი ოქტიაბრისტულ) ფორმულას და არ შეიტანა დამოუკიდებელი ს.-დ. ფორმულა, წარმოადგენს შეცდომას, რომელიც უნდა აღნიშნოს პარტიამ ლიბერალური პრესის ღვარძლიანი კომენტარების გამო [114].

7, 8 და 9. (არ უნდა გამოქვეყნდეს.) [115]

არალეგალური ლიტერატურის შესახებ

განიხილა რა არალეგალური გამომცემლობის ყოველმხრივ განვითარების აუცილებლობის საკითხი და შეიმუშავა რა ამ საკითხზე მთელი რიგი კონკრეტული მითითებანი, თათბირი

მტკიცედ მოუწოდებს პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, ყველა მუშურ უჯრედსა და ცალკეულ მუშებს გამოიჩინონ მეტი დამოუკიდებლობა და თაოსნობა, რათა მოაწყონ ტრანსპორტი და დაამყარონ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსთან კავშირი არალეგალური ლიტერატურის გასავრცელებლად.

დაზღვევის კამპანიის შესახებ

აღნიშნავს რა, რომ მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ, მიუხედავად მთელი დევნისა, დიდი ენერგია განავითარეს დაზღვევის კანონის შემოღებასთან დაკავშირებით პროლეტარიატის ინტერესების დაცვის საქმეში, — თათბირი ფიქრობს:

1. საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი და ერთსულოვანი ბრძოლა მთავრობისა და კაპიტალისტების ცდების წინააღმდეგ — აიძულონ მუშები აირჩიონ თავიანთი რწმუნებულები საავადმყოფო სალაროებში ბრმად — მუშათა კრებების დაუშვებლად.

2. მუშები ყველგან უნდა ცდილობდნენ თავისი ნებით მოაწყონ კრებები, რომ წინასწარ დასახონ სასურველი კანდიდატები რწმუნებულებისა.

3. მუშები უნდა აწყობდნენ რევოლუციურ მიტინგებს იმ ძალადობისა და აბუჩად აგდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებიც თან სდევს დაზღვევის კანონების შემოღებას.

4. ყოველ შემთხვევაში საჭიროა წინასწარ დავსახოთ რწმუნებულთა კანდიდატების მუშათა სია ყველაზე გავლენიანი სოციალ-დემოკრატი მუშების რიცხვიდან და ერთსულოვნად გავიყვანოთ ეს სია იქაც, სადაც არავითარი კრების მოწვევა არ ხერხდება.

5. რწმუნებულთა არჩევნების ბოიკოტი თათბირს მიზანშეუწონლად და მავნედ მიაჩნია. კაპიტალისტთა მთავარი ღონისძიებანი ამჟამად მიმართულია იმისაკენ, რომ არ დაა-

ნებონ მუშებს ხელში ჩაიგდონ ერთგვარი საფაბრიკო-საქარხ-ნო პროლეტარული უჯრედები, როგორიც უნდა გახდნენ მუ-შათა საავადმყოფო სალაროები. ბოიკოტი, რომელიც ამჟა-მად ქსაქსავს მუშებს, მხოლოდ ხელსაყრელი იქნებოდა კაპი-ტალისტთა აღნიშნული მისწრაფებისათვის.

6. ბრძოლა საავადმყოფო სალაროების დელეგატთა სწო-რი არჩევნებისათვის ერთი წუთითაც არ უნდა შეწყდეს. უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, მთელი ძალღონე, ყოველი ხელსაყრელი მომენტი ისე, რომ მეწარმეებს ერთი წუთითაც არ მიეცეთ საშუალება უზრუნველყოფილად ჩათ-ვალონ წარმოების ნორმალური მსვლელობა, უნდა გავაფარ-თოოთ და განვავითაროთ მუშათა ბრძოლა, — ხოლო ამავე დროს არ შეიძლება ხელი ავიღოთ ს.-დ. სიის გატარებაზე, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა. არჩევნები არ გამორიც-ხავს ბრძოლის შემდგომ განვითარებას. პირიქით — დელეგა-ტებად მტკიცე სოციალ-დემოკრატი მუშების გაყვანით ჩვენ გავაადვილებთ შემდგომ ბრძოლას სწორი არჩევნებისათვის, და ამ ბრძოლაში დელეგატები ყოველნაირად დაეხმარებიან მუშებს.

7. ყველგან, სადაც არჩევნები კრებების მოუწყობლად ხდება, საჭიროა აგიტაციის გაწევა რწმუნებულთა გადარჩე-ვისათვის არჩევნების ნამდვილი თავისუფლების საწყისებზე კრებების მოწყობით — მუშებისათვის მისაწვდომი ყველა საშუალებით.

8. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ დაუყოვნებლივ უნდა შეიტანოს შეკითხვა იმის გამო, რომ მუშებს უარს ეუბნებიან არჩევნებისათვის კრებების მოწყობაზე.

9. მთელი აგიტაცია დაზღვევის შემოღების გამო საჭიროა ვაწარმოოთ მეფის რუსეთში არსებული მთელი ვითარების გაშუქებასთან მჭიდრო კავშირში, ამასთან განვმარტოთ ჩვენი სოციალისტური პრინციპები და რევოლუციური მოთხოვ-ნები.

ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ

1. ლიკვიდატორობასთან პარტიის ოთხი წლის ბრძოლამ დაამტკიცა სრული სისწორე იმ განსაზღვრისა, რომელიც მოგვცა რსდმ პარტიის 1908 წლის დეკემბრის საერთო-პარტიულმა კონფერენციამ შემდეგ სიტყვებში:

«პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდები მოახდინოს რსდმ პარტიის არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია და შეცვალოს იგი უფორმო გაერთიანებით მაინცდამაინც ლეგალობის ფარგლებში, თუნდაც ეს უკანასკნელი მიღწეულ იქნეს პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ტრადიციების აშკარა უარყოფის ფასად».

მაშასადამე, ლიკვიდატორები დაგმობილი არიან სრულებითაც არა იმისათვის, რომ ლეგალური მუშაობის საჭიროება წამოაყენეს, არამედ არალეგალური პარტიის უარყოფისა და მისი დანგრევისათვის.

რუსეთში პირველი ყოველდღიური მარქსისტული მუშათა გაზეთის დაარსებამ და მუშათა კურიაში ყველა კურიალური დეპუტატი-ბოლშევიკის არჩევამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ პარტიამ შეძლო დაუფლებოდა ლეგალურ საქმიანობას და გარიყა ლიკვიდატორები.

2. მიდიოდნენ რა არალეგალური პარტიიდან და ჯგუფდებოდნენ რა ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან განცალკევებით, ლიკვიდატორები ახორციელებდნენ გათიშვას, რომელიც მათ იმით გააძლიერეს, რომ მთელ რიგ ადგილებში, განსაკუთრებით პეტერბურგში, შექმნეს ეგრეთწოდებული საინიციატივო ჯგუფები. რსდმ პარტიის 1912 წლის იანვრის კონფერენციამ, რომელმაც დაადგინა, რომ «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ლიტერატორთა ლიკვიდატორულმა ჯგუფმა, რომელიც საინიციატივო ჯგუფების ბირთვს წარმოადგენს, «საბოლოოდ დაიყენა თავი პარტიის გარეთ» *, — ამით მხოლოდ აღნიშნა ლიკვიდატორების მიერ ჩადენილი გათიშვა.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 576. რ ე დ.

3. 1912 წლის აგვისტოს კონფერენცია, რომელმაც თავის თავს «რსდმ პარტიის ორგანიზაციების კონფერენცია» უწოდა, ნამდვილად ლიკვიდატორული კონფერენცია აღმოჩნდა, ვინაიდან მისი მთავარი და ხელმძღვანელი ნაწილი იყო პარტიისაგან გამოთიშული და რუსეთის მუშათა მასებს მოწყვეტილი ლიტერატურული ჯგუფი ლიკვიდატორებისა.

4. მოწინავე მუშების უდიდესი უმრავლესობის ერთგულებამ არალეგალური პარტიისადმი აიძულა აგვისტოს კონფერენცია გაეკეთებინა მოჩვენებითი დათმობანი პარტიულობის მიმართ და ვითომც ეღიარებინა არალეგალური პარტია. ნამდვილად ამ კონფერენციის ყველა რეზოლუცია მთლად გამსჭვალულია ლიკვიდატორობით, და კონფერენციის შემდეგ «ნაშა ზარიამ» და «ლუჩმა», რომელმაც განაცხადა, რომ აგვისტოს გადაწყვეტილებებს უერთდება, მაშინვე კიდევ უფრო ძლიერ გააჩაღეს ლიკვიდატორული ქადაგება

ა) ღია პარტიისათვის,

ბ) იატაკქვეშეთის წინააღმდეგ,

გ) პარტიული პროგრამის წინააღმდეგ (კულტურულ-ეროვნული ავტონომიის დაცვა, III სათათბიროს აგრარული კანონების გადასინჯვა, რესპუბლიკის ლოზუნგის უკანა პლანზე გადაწევა და სხვ.),

დ) რევოლუციური მასობრივი გაფიცვების წინააღმდეგ,

ე) რეფორმისტული, მხოლოდ და მხოლოდ ლეგალისტური ტაქტიკისათვის.

ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა «ნაშა ზარიას» და «ლუჩის» ლიკვიდატორთა ჯგუფთან და მუშათა მასებისათვის იმის განმარტება, თუ რა უაღრესად მავნეა ამ ლიკვიდატორთა ქადაგება, კვლავ წარმოადგენს პარტიის ერთ-ერთ ამოცანას.

5. კამპანია «ერთიანობისათვის», რაც ლიკვიდატორებმა ლეგალურ პრესაში წამოიწყეს, გვერდს უვლის და აბნელებს მთავარ საკითხს არალეგალურ პარტიაში შესვლისა და იქ მუშაობის შესახებ, ამრიგად შეცდომაში შეჰყავს მუშები, ვინა-

იდან ეს საკითხი არც კი შეიძლება დაისვას ლეგალურ პრესაში. ნამდვილად ლიკვიდატორები კვლავ გამთიშველობას ეწევიან, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაგვანახვა არჩევნებმა პეტერბურგში: როცა ამრჩევები ორ თანასწორ ნაწილად გაიყვნენ, სწორედ ლიკვიდატორებმა უარყვეს წინადადება წილის ყრის შესახებ, რომელსაც ერთადერთს შეეძლო აღმოეფხვრა მუშების დაქსაქსვა ბურჟუაზიული პარტიების წინაშე.

6. რსდმ პარტიის არალეგალური ორგანიზაციის აღიარებისა და მასში შესვლის პირობით, ყველა მიმდინარეობისა და ნაირსახეობის ს.-დ. მუშათა ერთიანობა წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას და მას მტკიცედ მოითხოვს მუშათა მოძრაობის მთელი ინტერესები.

გაერთიანება სწორედ ასეთ საფუძვლებზე უკვე განხორციელებულია პეტერბურგის ნარვის რაიონულ ორგანიზაციაში და პროვინციის მთელ რიგ ორგანიზაციებში.

7. თათბირი უაღრესად ენერგიულად უჭერს მხარს ასეთ გაერთიანებას და რჩევას იძლევა ყველგან დაუყოვნებლივ დაიწყოს ასეთივე გაერთიანება ქვემოდან საქარხნო კომიტეტებიდან, რაიონული ჯგუფებიდან და ა. შ., ამასთან ამხანაგმა მუშებმა საქმით უნდა შეამოწმონ, ხორციელდება თუ არა არალეგალური ორგანიზაციის აღიარება და მზადყოფნა მხარი დაუჭირონ მასების რევოლუციურ ბრძოლასა და რევოლუციურ ტაქტიკას. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ფაქტიურად შეიქმნება ეს ერთიანობა ქვემოდან, დამთავრდება პარტიის საბოლოო შემჭიდროება და ერთიანობის სრული განმტკიცება სრულიად რუსეთის მასშტაბით.

«ერთვნული» ს.-დ. ორგანიზაციების შესახებ

1. 1912 წლის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ამ საკითხზე რსდმ პარტიის იანვრის კონფერენციის (1912 წ.) გადაწყვეტილების სისწორე *. ბუნდის მიერ არასოციალ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 554 — 556. რ ე დ.

დემოკრატ იაგელოს კანდიდატურისათვის მხარის დაჭერამ პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და ლიკვიდატორების, ბუნდისა და ლატვიელი სოციალ-დემოკრატების აგვისტოს (1912 წ.) კონფერენციის მიერ პარტიული პროგრამის დარღვევამ ნაციონალიზმის სასარგებლოდ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა ს.-დ. პარტიის წყობაში ფედერალისტური საწყისების სრული გაკოტრება და «ეროვნული» ს.-დ. ორგანიზაციების განკერძოებულობის დიდი მავნებლობა პროლეტარული საქმისათვის.

2. ამიტომ თათბირი მტკიცედ მოუწოდებს რუსეთის ყველა ეროვნების მუშებს უაღრესად მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ რეაქციის მებრძოლ ნაციონალიზმს, იბრძოლონ მშრომელთა მასებში ნაციონალისტური სულისკვეთების ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ და უაღრესად მჭიდროდ შეაკავშირონ და გააერთიანონ მუშები ადგილებზე რსდმ პარტიის ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობას უნდა ეწეოდნენ ადგილობრივი პროლეტარიატის თვითეულ ენაზე და აზორციელებდნენ ერთიანობას ქვემოდან, როგორც ეს დიდი ხანია წარმოებს კავკასიაში.

3. თათბირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის რიგების გათიშვის გამო, რაც უაღრესად ასუსტებს პოლონეთის ს.-დ. მუშების ბრძოლას. თათბირი იძულებულია აღნიშნოს, რომ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობა, რომელიც ამჟამად არ წარმოადგენს პოლონეთის პროლეტარიატის პოლონური ს.-დ. ორგანიზაციების უმრავლესობას, მიმართავს შეუწყნარებელ საშუალებებს ამ უმრავლესობასთან ბრძოლაში (მაგალითად, მთელ ვარშავის ორგანიზაციაზე დაუსაბუთებლად ეჭვის მიტანა პროვოკაციაში). თათბირი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც ურთიერთობა აქვს პოლონელ ს.-დ. მუშებთან, ხელი შეუწყონ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი ერთიანობის შექმნას.

4. თათბირი განსაკუთრებით აღნიშნავს უკიდურეს ოპორტუნიზმსა და ლიკვიდატორობას ბუნდის უკანასკნელ (IX) კონფერენციის გადაწყვეტილებებში. ამ კონფერენციამ უარყო რესპუბლიკის ლოზუნგი, უკანა პლანზე გადაწია არალეგალური მუშაობა და გამოიჩინა პროლეტარიატის რევოლუციური ამოცანების დავიწყება. ასეთივე დაგმობის ღირსია ბუნდის წინააღმდეგობა ყველა ს.-დ. მუშის გაერთიანებისადმი ადგილებზე (ვარშავაში, ლოძში, ვილნოში და ა. შ.), — გაერთიანებისადმი, რომელსაც 1906 წლიდან მრავალგზის მტკიცედ მოითხოვდა რსდმ პარტია თავისი ყრილობებისა და კონფერენციების სახით.

5. თათბირი მიესალმება ლატვიის ორგანიზაციის რევოლუციურ ს.-დ. მუშებს, რომლებიც ეწევიან მტკიცე პროპაგანდას ანტილიკვიდატორული სულისკვეთებით, და მწუხარებას გამოთქვამს, რომ ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტი მიდრეკილებას იჩენს მხარი დაუჭიროს ლიკვიდატორთა ანტიპარტიულ ნაბიჯებს.

6. თათბირი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ დაწყებული რევოლუციური აღმავლობა, მასობრივი ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები, ქუჩის დემონსტრაციები და მასების აშკარა რევოლუციური ბრძოლის სხვა სახეები ხელს შეუწყობენ ადგილებზე ს.-დ. მუშების სრულ შეკავშირებასა და შეერთებას ეროვნებათა ყოველგვარი გარჩევის გარეშე, რითაც გააძლიერებენ შეტევას რუსეთის ყველა ხალხის მჩაგვრელი ცარიზმის წინააღმდეგ და რუსეთის ყველა ერის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ერთიანდება.

ინგლისის მუშათა მოძრაობა 1912 წელს

გასულ წელს ყველაზე შესანიშნავი მოვლენა იყო მაღაროელთა გაფიცვა. თუ რკინიგზელ მუშათა გაფიცვამ 1911 წელს უკვე დაგვანახვა ბრიტანელი მუშების «ახალი სულისკვეთება», მაღაროელთა გაფიცვამ პირდაპირ ეპოქა შექმნა.

თუმცა მმართველი კლასები გაძლიერებით ემზადებოდნენ «ომისათვის», თუმცა ბურჟუაზია გულმოდგინედ ცდილობდა გაესრისა კაპიტალის ურჩი მონების წინააღმდეგობა, მაგრამ გაფიცვა მაინც წარმატებითი აღმოჩნდა. მაღაროელთა ორგანიზებულობა სანიმუშო იყო. შტრაიკბრეხერების კვალიც არ ყოფილა. ჯარისკაცების ან გამოუცდელი შავი მუშების დახმარებით ქვანახშირის ამოღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. და ექვსი კვირის ბრძოლის შემდეგ ინგლისის ბურჟუაზიულმა მთავრობამ დაინახა, რომ ქვეყნის მთელი სამრეწველო ცხოვრება ჩერდება, რომ ხორციელდება მუშური სიმღერის სიტყვები: «ყველა ბორბალი დადგება, თუ შენი ხელი ისურვებს»... [116]

მთავრობა დათმობაზე წავიდა.

«პრემიერ-მინისტრი ყველაზე ძლიერი მსოფლიო იმპერიისა, როგორიც კი ოდესმე არსებულა, მივიდა ქვანახშირის მრეწველთა გაფიცული მონების დელეგატთა კრებაზე და

ემუდარებოდა მათ წასულიყვნენ კომპრომისზე». ასე გვიხატავს ბრძოლის შედეგს ერთი საქმესგაცნობილი მარქსისტი.

ინგლისის მთავრობა, რომელიც ჩვეულებრივად მთელი წლების განმავლობაში «დღეს-ხვალიობით» კვებავს მუშებს რეფორმების დაპირებით, ახლა უკვე სერიოზულად აჩქარდა. ხუთ დღეში გატარდა ახალი კანონი პარლამენტში! ეს კანონი აწესებდა ხელფასის მინიმუმს, ე. ი. ხელფასის ისეთი ოდენობის დადგენის წესებს, რომელზე დაბლაც მან არ შეიძლება დაიწიოს.

მართალია, ეს კანონი, ისევე როგორც ყველა ბურჟუაზიული რეფორმა, უბადრუკი ნახევრული ღონისძიებაა და ნაწილობრივ მუშების პირდაპირი მოტყუება, ვინაიდან ხელფასის უმცირესი ოდენობის დაწესებისას მეპატრონეები მაინც ავიწროებენ თავიანთ დაქირავებულ მონებს. მაგრამ მაინც ყველა, ვინც ინგლისის მუშათა მოძრაობას იცნობს, ამტკიცებს, რომ მაღაროელთა გაფიცვის შემდეგ ინგლისის პროლეტარიატი ის აღარ არის, რაც იყო. მუშებმა ბრძოლა ისწავლეს. მათ დაინახეს ის გზა, რომელიც მათ გამარჯვებამდე მიიყვანს. მათ იგრძნეს თავიანთი ძალა. ისინი ის თვინიერი ცხვრები აღარ არიან, როგორადაც ასე დიდხანს ჩანდნენ დაქირავებული მონობის ყველა დამცველისა და მაქებარის სასიამოვნოდ.

ინგლისში საზოგადოებრივი ძალების თანაფარდობაში ისეთი ძვრა მოხდა, რომელსაც ციფრებით ვერ გამოხატავ, მაგრამ რომელსაც ყველა გრძნობს.

სამწუხაროდ, პარტიულ საქმეებში პროგრესი ინგლისში დიდი ვერ არის. «ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიასა» (წინანდელი ს.-დ. ფედერაცია) და «დამოუკიდებელ» (სოციალიზმისაგან) «მუშათა პარტიას» შორის განხეთქილება გრძელდება. ამ მეორე პარტიიდან პარლამენტის წევრთა ოპორტუნისტული ქცევა იწვევს მუშებში, ისევე როგორც ყოველთვის, სინდიკალისტურ განწყობილებას. საბედნიეროდ, ეს განწყობილება ძლიერი არ არის.

ინგლისის პროფესიული კავშირები ნელა, მაგრამ განუხრელად იბრუნებენ პირს სოციალიზმისაკენ — წინააღმდეგ პარლამენტის იმ ბევრი წევრისა მუშათაგან, რომლებიც დაჟინებით იცავენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ძველ ადათებს. მაგრამ ეს უკანასკნელი მოჰიკანები ძველ ადათებს ვერ გადაარჩენენ!

«პრავდა» № 1, 1913 წ. 1 იანვარი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს

იმის უარსაყოფად გამოსვლა, რაც ლ. მარტოვმა დაწერა «ლუჩში» (№ 37, 1912 წ. 28 ოქტომბერი), ძალიან გვიან მიხდება. მაგრამ რას იზამ? ტყუილის თქმა ადვილია. ხოლო სიმართლეს რომ მ ი ა გ ნ ო, ზოგჯერ ბევრი დროა საჭირო.

ლ. მარტოვი «ლუჩის» № 37-ში უშვერად მლანძღავს და მაგინებს, მიმართავს ამ მწერლისათვის ჩვეულ «ბნელ» ინსინუაციებს. რადგან ათ წელიწადში მივეჩვიე ლ. მარტოვის ბრძოლის ამ ხერხებს, ბოლომდე არც კი წამიკითხავს მისი სტატია. მაგრამ კოლეგებმა მიმითითეს, რომ ლ. მარტოვი ამხანაგ ჰააზეს, გერმანიის ს.-დ. ცენტრალური კომიტეტის წევრს, მიაწერს სიტყვებს, თითქოს «ლენინი ინტერნაციონალს ა ტ ყ უ ე ბ ს ო».

სიმართლისთვის რომ მიმეგნო, უნდა მომეძებნა მარტოვის სიტყვების წ ყ ა რ ო. მან დაიმოწმა რაღაც «სამთამადნო მუშათა გაზეთი» № 225. ის ვერ ვიპოვე. «Vorwärts»-ში * (გერმანიის ს.-დ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში) ასეთი სიტყვები არ არის. ისინი ვიპოვე მხოლოდ «Bremer Bürger-Zeitung»-ში ** (ბრემენის ს.-დ. ორგანო).

საჭირო იყო შევკითხოდი თვით ჰააზეს, რომ არ მიმებაძა ლ. მარტოვის წინდაუხედაობისათვის.

გერმანელი ს.-დ-ების ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა წერილობითი შეკითხვა.

აი ჰააზეს პასუხი:

---

* — «წინ». რ ე დ.

** — «ბრემენის სამოქალაქო გაზეთი». რ ე დ.

ცენტრალური კომიტეტი
გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.
ბერლინი, 1912 წ. 31 დეკემბერი

პატივცემულო ამხანაგებო! თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ განმარტება, რომელიც, თქვენი სიტყვით, მოთავსებულია «ლუჩში» საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ჩემი გამოსვლის შესახებ, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი, შეუძლია თუ არა ორგანიზაციულ კომიტეტს დაიჩემოს წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. მე განვაცხადე, რომ ეს დაუშვებელია, ვინაიდან, მისი საკუთარი განცხადებებითაც კი, ორგანიზაციული კომიტეტი ორგანიზაცია კი არ არის, არამედ მხოლოდ სურს იყოს ჯგუფების კავშირი, ორგანიზაციის ერთიანობის აღსადგენად. ამასთან დაკავშირებით მე აღვძარი საკითხი, სახელდობრ ვისა აქვს რუსეთის პარტიის წარმომადგენლობის უფლება მის ახლანდელ მდგომარეობაში, და შევნიშნე, რომ თუ სწორია მტკიცება, რომ ცენტრალური კომიტეტი საერთაშორისო ბიუროსთან ურთიერთობაში გამოდის, როგორც «რსდმპ», ამან შეიძლება წარმოშვას გაუგებრობანი.

ამრიგად, აქ არ ყოფილა არავითარი გალაშქრება ლენინის წინააღმდეგ, და საერთოდ შენიშნა სრულებითაც არ ატარებდა შეურაცხმყოფელ ხასიათს. მე მხოლოდ და მხოლოდ ის მინდოდა, რომ გამომერკვია საქმის ვითარება ზემოხსენებულ მტკიცებასთან დაკავშირებით და უწინარეს ყოვლისა აღმეძრა საკითხი, ხომ არ დადგა დრო გადაიდგას ნაბიჯები რუსეთ-პოლონეთის ყველა ჯგუფის გასაერთიანებლად. მე ძალიან ვწუხდი, რომ ლენინი ვერ ესწრებოდა.

მხოლოდ სისრულისათვის აღვნიშნავ, რომ სიტყვა «მოტყუება» ჩემს ბაგეს არ წარმოუთქვამს.

ამხანაგური სალამით ჰ ა ა ზ ე.

ამრიგად, მეათასეჯერ რომ გაველანძღე, ლ. მარტოვმა ტ ყ უ ი ლ ი გაიმეორა (ვიღაცის შემდეგ) ჰააზეს შესახებ.

ჰააზე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენლობისა, ჰააზე ს ა დ ა ვ ო დ არ თ ვ ლ ი დ ა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლობას.

ჰააზე არ თვლის ცენტრალურ კომიტეტს მ თ ე ლ ი რსდმ პარტიის წარმომადგენლად, პარტიაში «ნაციონალებისა» და

ლიკვიდატორების ჩათვლით, მაგრამ თვით ცენტრალურ კომიტეტსაც, რამდენადაც მე ვიცი, ა რ ა ს ო დ ე ს არ დაუჩემებია არც ერთის და არც მეორის წარმომადგენლობა.

«ნაციონალებს» (პოლონელებს, ბუნდს, ლატვიელებს) თავიანთი განსაკუთრებული წარმომადგენლები ჰყავთ.

ვიკმარებ ამ ფაქტიურ უარყოფას...

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 6 (19) იანვარს

დაიბეჭდა 1913 წ. 11 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 8

ბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

რევოლუციური გაფიცვის და ქუჩის დემონსტრაციების განვითარება

უკვე დიდი ხანია აღნიშნული და საყოველთაოდ აღიარებულია, რომ 1912 წელი უდიდეს მოვლენას წარმოადგენს საგაფიცვო ბრძოლის განვითარებაში. მაგრამ ყველამ როდი გაიგო და სწორად როდი მიიღო მხედველობაში ეს მოვლენა.

ავიღოთ წლის პირველი 11 თვის ცნობები პოლიტიკური გაფიცვების შესახებ. გამოდის:

1905 წელს	.....	1 052 ათასი
1906 »	.....	642 »
1907 »	.....	540 »
.....		.....
1912 წელს	.....	დაახლოებით 900 ათასი.

პირველი 9 თვის განმავლობაში პოლიტიკურ გაფიცულთა რიცხვი, სულ ფრთხილი გამოანგარიშებით, 700 ათასი იყო. პიტერში რწმუნებულთა ახსნა-განმარტების გამო მომხდარმა გაფიცვებმა მოიცვა 50 ათასამდე მუშა, სევასტოპოლში სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო საპროტესტო გაფიცვამ და 15 ნოემბერს, სათათბიროს გახსნის დღეს, მომხდარმა გაფიცვამ, მოსკოვის ფაბრიკანტთა საზოგადოების ცნობებით, მოიცვა 188 ათასი კაცი. ეს არის ცნობები 20 ნოემბრამდე. ცხადია, რომ 900 ათასი მინიმალური ციფრია. თუნდაც რომ გამოვაკლოთ 100 ათასი, რაც ძლივს თუ შეიძლება შედარდეს 1905 — 1907 წლებს (ქარხნები, რომლებიც საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის გამგებლობაში არ შედიან), გვაქვს 800 ათასი.

ყოველ შემთხვევაში მოძრაობამ უთუოდ გადააჭარბა 1906 და 1907 წლებს და ცოტათი ჩამორჩა 1905 წელს!

რას ნიშნავს ეს?

ამჟამად მოძრაობის საყოველთაო-სახალხო გაქანება, რა თქმა უნდა, 1905 წელზე გაცილებით სუსტია. მაშასადამე, რევოლუციური აღმავლობის დასაწყისი ახლა განუზომლად უფრო მაღალია, ვიდრე პირველი რევოლუციის წინ იყო. მაშასადამე, მომავალი მეორე რევოლუცია უკვე ახლა ამჟღავნებს პროლეტარიატის რევოლუციური ენერგიის გაცილებით მეტ მარაგს. გაიზარდა პროლეტარიატის რაოდენობა — **minimum** * 20 პროცენტით. გაიზარდა პროლეტარიატის კონცენტრაცია. მიწასთან კავშირისაგან დაჩქარებული განთავისუფლების გამო გაძლიერდა მოძრაობის წმინდა პროლეტარული ძირითადი დასაყრდენი. «კუსტარულ» მრეწველობაში, ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში პროლეტარული და ნახევრად-პროლეტარული მოსახლეობის მასა გაიზარდა უდიდესი ოდენობით, რომლის აღრიცხვაც შეუძლებელია.

ბოლოს, გაიზარდა მოწინავე დემოკრატიული კლასის შეგნებულობა, გამოცდილება და გამბედაობა. ამას ყველა ეთანხმება, მაგრამ ყველა ვერ ბედავს ბოლომდე დაუფიქრდეს იმას, თუ რა გამომდინარეობს აქედან. ყველა ვერ ბედავს თვალი გაუსწოროს სიმართლეს და აღიაროს, რომ ჩვენ წინაშეა რევოლუციური მასობრივი გაფიცვები, რევოლუციური აღმავლობის დასაწყისი.

ამაზე მიგვითითებს უწინარეს ყოვლისა ძირითადი და ყველაზე ობიექტური ფაქტი, რომელიც ყველაზე ნაკლებად იძლევა სუბიექტური გადასხვაფერების შესაძლებლობას: მოძრაობის მასშტაბი. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში — რევოლუციური საზოგადოებრივი ვითარების პირობების გარეშე — არ შეიძლებოდა ასეულ ათასობით მუშის წელიწადში

* — სულ მცირე. რედ.

რამდენჯერმე დარაზმვა პოლიტიკური გამოსვლების მოსახდენად სულ სხვადასხვა საბაბის გამო. ჩვენში კი ასეთი აღმავლობა სტიქიურად მიმდინარეობს, მიმდინარეობს იმიტომ, რომ ნახევრადპროლეტარული და გლეხური მოსახლეობის ათეული მილიონები გადასცემენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიანთ ავანგარდს დაგროვილი აღშფოთების განწყობილებას, რომელიც დღეს და გადმოდის.

რუსეთის მუშების რევოლუციური გაფიცვა 1912 წელს საერთო-სახალხო ხასიათს ატარებს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ვინაიდან საერთო-სახალხო მოძრაობად უნდა ვგულისხმობდეთ სრულიადაც არა ისეთ მოძრაობას, რომელსაც — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობებში — სოლიდარობას უცხადებს მთელი ბურჟუაზია ან თუნდაც ლიბერალური ბურჟუაზია. ასე ფიქრობენ მხოლოდ ოპორტუნისტები. არა. საერთო-სახალხო მოძრაობაა ის მოძრაობა, რომელიც გამოხატავს მთელი ქვეყნის ობიექტურ საჭიროებას, თავის მძიმე დარტყმებს მიმართავს მტრის ცენტრალური ძალების წინააღმდეგ, მტრისა, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. საერთო-სახალხო მოძრაობაა ის მოძრაობა, რომელსაც თანაუგრძნობს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა.

სწორედ ასეთია მიმდინარე წლის მუშათა პოლიტიკური მოძრაობა, რასაც თანაუგრძნობს ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული, მთელი დემოკრატია, რაც უნდა სუსტი, დაშინებული, დაქსაქსული და უმწეო იყოს იგი. უფრო გარკვეული გამიჯვნა ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის (რაც მიღწეულია არც თუ იმათ წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე, ვინც ოცნებობდა «სათათბიროს გამოგლეჯაზე რეაქციის ხელიდან») ახალი მოძრაობის უდიდესი პლუსია. წარმატება რომ ჰქონდეს, რევოლუციამ რაც შეიძლება უფრო ზუსტად უნდა იცოდეს, ვისთან ერთად შეიძლება საბრძოლველად წასვლა, ვინ არის არასაიმედო მოკავშირე, სად არის ნამდვილი მტერი.

აი რატომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ლიბერალების (კადეტების) აშკარა გამოსვლებს ახალი რევოლუციის წინააღმდეგ. აი რატომ აქვს რუსეთში სწორედ ახლა სრულიად განსაკუთრებული (ევროპასთან შედარებით) მნიშვნელობა რესპუბლიკის ლოზუნგს, რომელიც ბრძოლის მსურველი დემოკრატიის შეგნებას წმენდს იმ მონარქისტული (აგრეთვე «კონსტიტუციური») ილუზიებისაგან, რომლებიც ასე აუძლურებდნენ 1905 წლის შეტევას. რუსეთში ახალი რევოლუციის მომწიფების პროცესში ისტორიული მნიშვნელობა აქვს ორ მომენტს: ჯერ-ერთი, აპრილ-მაისის გაფიცვებს, როცა პეტერბურგის მუშებმა — მათი ხელმძღვანელი ორგანიზაციის, პეტერბურგის კომიტეტის დაპატიმრების მიუხედავადაც კი — წამოაყენეს რესპუბლიკის, 8 საათიანი სამუშაო დღისა და მიწების კონფისკაციის ლოზუნგი. მეორე, ნოემბრის გაფიცვებსა და დემონსტრაციებს (იხ. წერილები რიგიდან და მოსკოვიდან [117]; პიტერში იგივე იყო, მაგრამ დაპატიმრებამ გააქრო ჩვენი კორესპონდენტები). ამ დემონსტრაციების ლოზუნგი იყო არა მარტო «ძირს სიკვდილით დასჯა! ძირს ომი!», არამედ აგრეთვე «გაუმარჯოს რევოლუციურ მუშათა კლასს და რევოლუციურ არმიას!».

პეტერბურგის, რიგის, მოსკოვის ქუჩებში პროლეტარიატმა ხელი გაუწოდა გლეხური ჯარის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც გმირულად აღდგნენ მონარქიის წინააღმდეგ.

* * *

ლიბერალური ბურჟუაზია ახალი რევოლუციის წინააღმდეგია, რევოლუციური მასობრივი გაფიცვის წინააღმდეგია. მაგრამ ლიბერალები სრულიადაც არ არიან საერთოდ პოლიტიკური გაფიცვების წინააღმდეგნი, თუ ეს გაფიცვები მოწმობენ მხოლოდ «გამოცოცხლებას» და მხარს უჭერენ მხოლოდ კონსტიტუციური რეფორმების ლიბერალურ ლოზუნგს. და ობიექტურად, მათი «კეთილი» სურვილებისაგან დამოუკიდებლად, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის უბრალო მსახურნი არიან ჩვენი ლიკვიდატორები, რომლებმაც აღმავლო-

ბის ორივე ისტორიული მომენტი აღნიშნეს «გამოსვლებით»... რევოლუციური გაფიცვების წინააღმდეგ!! «ნევსკი გოლოსის» № 1-ში, 1912 წლის 20 მაისს, დაუვიწყარი და შეუდარებელი ვ. ეჟოვი აჯანყდა ეკონომიური გაფიცვების პოლიტიკური გაფიცვებით «გართულების» წინააღმდეგ და პირიქით, მათი «მავნე აღრევის» წინააღმდეგ (შდრ. «სოციალ-დემოკრატ» № 27, გვ. 4 *).

1912 წლის ნოემბერში ლიკვიდატორული «ლუჩიც» ამხედრდა გაფიცვების წინააღმდეგ. იგი შემდეგ შეეცადა «ყალბ კვალზე» დაეყენებინა უყურადღებო ადამიანები, იმოწმებდა რა იმას, რომ ს.-დ-ის ფრაქციაც 15 ნოემბრის გაფიცვის წინააღმდეგი იყო. მაგრამ ვინც რამდენადმე უკვირდება ამბების აზრს, იგი ადვილად შეამჩნევს «ლუჩის» სიყალბეს.

დიახ, ს.-დ-ის ფრაქციამაც და პეტერბურგის კომიტეტმაც მიიჩნიეს, რომ 15 ნოემბრის გაფიცვა დროული არ იყო. ისინი გაფრთხილებას იძლეოდნენ, რომ ეს გაფიცვა ამ დღეს არ მომხდარიყო. მუშათა პრესის ვალი იყო ცნობა მიეცა ამის შესახებ. «ლუჩმაც» და «პრავდამაც» ეს გააკეთეს.

მაგრამ «ლუჩმა» მარტო ეს როდი გააკეთა.

15 ნოემბრის ამბის შემდეგ (როცა ყველაზე გულმოდგინედ გაფიცული იყო სწორედ ის ვიბორგის რაიონი, რომელიც მანამდე ყველაზე მეტად იყო დაკავშირებული მენშევიკებთან), მას შემდეგ, რაც მოძრაობა დემონსტრაციამდე გაიზარდა, ბრძენი «ლუჩი» გამოვიდა სტატიებით (მოწინავე და 17 ნოემბრის მოწინავის შემდეგ 21 ნოემბრის ფელეტონი), რომლებშიც გაჰყვიროდა «ძალების საშიში გაფლანგვის» წინააღმდეგ, ირწმუნებოდა, რომ «გაფიცვებისადმი ხშირი მიმართვის შედეგად შენელდება მათდამი თანაგრძნობა», იძლეოდა ლოზუნგს: «მოვნახოთ სხვა გზა», «აფეთქებებით (!?!) ვერაფერს ვერ მივაღწევთ», გაჰყვიროდა «გაფიცვობანას თამაშის» წინააღმდეგ.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 127 — 128. რ ედ.

აი, ბბ. ლიკვიდატორებო, თქვენმა როგორმა «ფილოსოფიამ», რომელიც პეტერბურგის მუშებისათვის დიდი ხანია ცნობილია «ნევსკი გოლოსითაც» და თქვენი «საინიციატივო ჯგუფის» წევრების სიტყვებითაც, გამოიწვია პეტერბურგის მუშების კანონიერი სიძულვილი და ზიზღი თქვენდამი. ცალკეული გაფიცვა შეიძლება მოხდეს წარუმატებლად ან შეუფერებელ მომენტში, მაგრამ «გაფიცვობანას თამაშზე» ლაპარაკი, როცა ჩვენ წინაშეა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მოძრაობა, რომელმაც ფეხზე დააყენა თითქმის მილიონი პროლეტარი, შეუძლიათ მხოლოდ ლიბერალებს და კონტრრევოლუციონერებს!

ხშირმა გაფიცვებმა შეიძლება არაქათი გამოულიონ მუშებს. სავსებით შესაძლოა, რომ მაშინ საჭირო გახდეს მოწოდება უფრო მოკლე გაფიცვებისაკენ, უფრო მომზადებული დემონსტრაციებისაკენ. მაგრამ 15 ნოემბრის ამბავი შესანიშნავია სწორედ დემონსტრაციული მოძრაობის ახალი ნაბიჯით წინ!

ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად გამომტყდარიყავით თქვენს შეცდომაში (ვინაიდან თქვენ აშკარად შეცდით 15 ნოემბრის მნიშვნელობის საკითხში), — თქვენ, ლიკვიდატორებმა, უთავხედესი ლიბერალების მსგავსად დაიწყეთ ლაპარაკი რევოლუციური მოწოდების «პოლიტიკურ უწიგნურობაზე», — თქვენ, რომლებიც ლიბერალური პოლიტიკის ანაბანას იმეორებთ!

დაე მუშებმა განსაჯონ, რად ღირს ლიკვიდატორთა ფარისევლური სიტყვები პარტიასთან მათი «ერთიანობის» შესახებ, როცა რევოლუციური გაფიცვებისა და დემონსტრაციების წარმოშობისა და განვითარების ეპოქაში ისინი ბრძოლას იწყებენ მათ წინააღმდეგ, ლეგალურ პრესაში ლანძღავენ არალეგალურ მოწოდებებს!!

* * *

უნდა ითქვას, რომ არსებობს გაფიცვების წინააღმდეგ ლიკვიდატორთა ლაშქრობის უფრო ღრმა მიზეზი. ლიკვიდატორები ლიბერალების მონები არიან. ლიბერალებს კი მართ-

ლაც გულს უწყალებს რევოლუციური გაფიცვების შეუპოვრობა. უკვე ბუზღუნებს და ბრაზდება კიდეც «პროგრესისტი»-მეფაბრიკე. მილიუკოვებს შეეშინდათ იმისა, რომ არ დარღვეულიყო როძიანკოსთან მათი «ბლოკის» სიმშვიდე.

ლიკვიდატორული პოლიტიკა ლიბერალებისადმი მუშების დამორჩილებას ემსახურება. მარქსისტულ პოლიტიკას მუშები გ ლ ე ხ ო ბ ი ს ხელმძღვანელთა როლამდე აჰყავს. ლეგალურად ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ბბ. ლიკვიდატორებო, მაგრამ ამაზე უნდა იფიქრონ და ილაპარაკონ იმათ, ვისაც სურს რევოლუციური ს.-დ. იყოს.

თავისუფალ, კონსტიტუციურ ევროპაში პოლიტიკური გაფიცვა ჯერჯერობით (სანამ ჯერ კიდევ არ დაწყებულა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუცია) ემსახურება ცალკეული რეფორმებისათვის ბრძოლას. მონურ, აზიურ, მეფის რუსეთში, რომელიც შემდგომ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ რევოლუციას უახლოვდება, პოლიტიკური გაფიცვა გლეხობის და გლეხური ჯარის საუკეთესო ნაწილის გამოფხიზლების, გამოცოცხლების, ამოძრავების, რევოლუციური ბრძოლისათვის ამხედრების ერთადერთი სერიოზული საშუალებაა! უკვე განვლო, რუსეთის საბედნიეროდ, იმ დრომ, როცა არავინ იყო, ვინც «ხალხში წავიდოდა», გარდა გმირი ერთეულ-ნაროდნიკებისა. გადის ის დრო, როცა ცალკეულ ტერორისტებს შეეძლოთ ლაპარაკი ხალხის «აღგზნებაზე» ტერორის საშუალებით. რუსეთმა უკან მოიტოვა ეს სავალალო დრო. ცხრაას ხუთ წელს რევოლუციურმა პროლეტარიატმა იპოვა თავისთვის სხვა «გზა ხალხში წასასვლელად», მოძრაობაში მასების ჩაბმის სხვა საშუალება.

ეს საშუალებაა რევოლუციური გაფიცვა, შეუპოვარი, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეში, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადის, განმეორებითი გაფიცვა, — გაფიცვა, რომელიც ეკონომიურ გაუმჯობესებათათვის ბრძოლით ამხედრებს ჩამორჩენილთ ახალი ცხოვრების მოსაპოვებლად, — გაფიცვა, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს და ამათრა-

ხებს ცარიზმის ძალადობის, თვითნებობის, დანაშაულის ყველა განსაკუთრებულ აქტს, — გაფიცვა-დემონსტრაცია, რომელიც წითელ დროშას აღმართავს სატახტო ქალაქების ქუჩებში, რომელსაც რევოლუციური სიტყვები და რევოლუციური ლოზუნგები მიაქვს ხ ა ლ ხ შ ი, ხალხის მასაში.

ასეთ გაფიცვას ხელოვნურად ვერ გამოიწვევ, მაგრამ მას ვერც შეაჩერებ, როცა იგი ასეულ ათასობით ადამიანს მოედება.

დაე ლიბერალი, რომელიც ნაამებია იმით, რომ იგი სავარძელზე «თვით» როძიანკოს გვერდით დასვეს, ელაპარაკოს მუშებს: «ძმებო! საჭირო არ არის აფეთქებები, ეძებეთ სხვა გზა, მოჰკიდეთ ხელი მშვიდობიან პროფესიულ მოძრაობას, სერიოზულად ემზადეთ ღია ევროპული პარტიისათვის, ნუ აჯანყებთ გლეხს, ნუ ფლანგავთ ენერგიას გაფიცვებზე, თორემ «ჩვენ» თქვენი თანამგრძნობნი აღარ ვიქნებითო»!

მუშები შეძლებენ ასეთი სიტყვების შეფასებას და მათს გამოცნობას «ლუჩის» ყოველი მწერლის «თითქმის მარქსისტულ» გამოთქმათა სამოსელშიც კი.

მუშები მთელ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ მხარი დაუჭირონ სტიქიურად მზარდ რევოლუციურ გაფიცვას, გააძლიერონ, განავითარონ, შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ განამტკიცონ იგი გლეხებისა და ჯარის მოსამზადებლად აჯანყებისათვის. თუ გაფიცვები არაქათს ართმევენ მუშებს, — ისინი უნდა გამოვიყვანოთ შენაცვლებით, მათი ნაწილი დავასვენოთ და საბრძოლველად გამოვიყვანოთ დასვენებული ან «ახალი» ძალები. უნდა მოვაწყოთ უფრო მოკლე გაფიცვები. ზოგჯერ გაფიცვები დემონსტრაციებით უნდა შევცვალოთ. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები განუწყვეტლივ იმართებოდეს, რომ მთელმა გლეხობამ და მთელმა ჯარმა შეიტყოს მუშების შეუპოვარი ბრძოლა, რომ სოფელმა, თუნდაც ყველაზე მიყრუებულმა, ფაინახოს, რომ ქალაქებში მღელვარებაა, რომ აღდგნენ «მ ი ს ი ა ნ ე ბ ი», რომ ისინი ეწევიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომ ისინი იბრძვიან უკეთესი ცხოვრებისათვის,

უფრო დიდი ხელფასისათვის, ხელისუფლების უწესოებისა და თვითნებობის შეწყვეტისათვის, იმისათვის, რომ მემამულეთა მიწები გლეხებს გადაეცეთ, იბრძვიან მეფის მემამულური მონარქიის დამხობისათვის, რესპუბლიკისათვის. საჭიროა, რომ სოფლის ყრუ გაბოროტებამ და თავშეკავებულმა დრტვინვამ ყაზარმის აღშფოთებასთან ერთად მიზიდულობის ცენტრი პოვოს მუშების რევოლუციურ გაფიცვაში. საჭიროა დაუღალავად ვიმუშაოთ ამაზე, — და ჩვენ ვიხილავთ იმ დღეს, როცა პროლეტარიატი გლეხობასთან და ჯართან ერთად სახალხო აჯანყებით დაამხობს მემამულეებს, დაამხობს მეფის მონარქიას.

P. S. * «ლუჩს» პროგრესი აქვს: გულახდილ ვ. ა-ს (№ 56) შემდეგ დიპლომატი თ. დ. [118] (№ 65). მაგრამ, მიუხედავად «დიპლომატიისა», თ. დ-ის სიტყვების აზრი იგივეა: რევოლუციური გაფიცვის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ! ჩვენ წინაშეა წმინდა წყლის ლიბერალი, რომელსაც ა ზ რ ა დ ა ც არ მოსდის, რომ გაფიცვები აღვიძებენ გლეხებს, აჯანყებისაკენ მიჰყავთ ისინი, მასებში ავითარებენ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ აგიტაციას, აღვიძებენ ჯარს, რომ საჭიროა გაფიცვებიდან (რამდენადაც ისინი არაქათის წამრთმევია) ქუჩის დემონსტრაციებზე გადასვლა და სხვ.

თ. დ-ის უხამსი ლიბერალური ფრაზები «ორგანიზაციის უფლებისათვის ბრძოლაზე», როგორც «მორიგ ამოცანაზე» — კონსტიტუციური რეფორმა «მორიგი ამოცანა» ყოფილა ტრეშჩენკოს დროს! — რევოლუციური გაფიცვების წინააღმდეგ «ლუჩის» ბრძოლის ერთადერთი საფარველია. არ კმარა, ბბ. ლიკვიდატორებო!

«სოციალ-დემოკრატ» № 30,
1913 წ. 12 (25) იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

თავდაპირველი პოსტსკრიპტუმი სტატიისა «რევოლუციური გაფიცვის და ქუჩის დემონსტრაციების განვითარება» [119]

ს.-დ-ის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ თ. დ-ის «ტაქტიკურ შენიშვნებს» «ლუჩში». რა მალე გახუნდა მოჩვენებითი შემარიგებლობა და ტროცკისებური «გამაერთიანებელი» ფრაზები! რა აშკარად გამოჩნდა «ლუჩის» *რ ე ა ლ უ რ ი* მიმართულება — გაშიშვლებული ლიკვიდატორობა!

ლეგალურ ორგანოში თ. დ. სისტემატურად ეწევა ომს არა მარტო რევოლუციური მასობრივი გაფიცვების წინააღმდეგ (აჯანყებაზე ლაპარაკიც ზედმეტია), არამედ მასებში ყოველგვარი რევოლუციური აგიტაციის წინააღმდეგაც. არსებითად, თ. დ. მიდის ვ. ა-ზე («ლუჩი» № 56) გაცილებით შორს, ააშკარავებს თავის სრულ იდეურ ნათესაობას რევოლუციის ბუნდისტურ «ამოშლასთან». აი რა მოსდევს შედეგად ლიკვიდატორულ უარის თქმას «მომენტის» პირდაპირ, მკაფიო, ფორმალურ «შეფასებაზე»: ნამდვილად თ. დ. იძლევა სწორედ ლარინულ შეფასებას, როცა უარყოფს *ო ბ ი ე ქ ტ უ რ* პირობებს, რომლებიც მუშებისაგან *მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ* დარაზმვას *რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა თ ვ ი ს*, *რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ* მოძრაობაში საერთოდ მასებისა და კერძოდ გლეხობის ჩაბმისათვის.

თ. დ-ის სტატიებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

დაწერილია 1913 წ. იანვარში
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში

ახლანდელი გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში ნაყოფია კონფლიქტისა, რომელიც უკვე რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. პარტიის უკვე VI ყრილობაზე 1908 წელს, ერთი მხრივ, მთავარ გამგეობასა და, მეორე მხრივ, ვარშავის ორგანიზაციასა და დომბროვის რაიონის ორგანიზაციას შორის თავი იჩინა იმდენად მწვავე წინააღმდეგობამ, რომ ყრილობამ უარყო წინადადება მთავარი გამგეობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. კონფლიქტი ორგანიზაციული იყო, მაგრამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. პერიფერია მოითხოვდა, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა გავლენა მოეხდინა პარტიის პოლიტიკურ პოზიციაზე, ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ პარტიის ყველა ნაბიჯი ფართოდ განეხილათ ორგანიზაციებს.

მთავარი გამგეობა მაინც იმავე ადამიანების ხელში დარჩა. და მის უმრავლესობას ცნობილ ტიშკოს მეთაურობით არ შეუცვლია თავისი ტაქტიკა, სარგებლობდა რა პარტიის დასუსტებით, ჩავარდნებითა და კონტრრევოლუციის პირობებით. რსდმ პარტიაში ტიშკო პარპაშობდა და ინტრიგებს აწყობდა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის სახელით, ამასთან სრულებით არ უწევდა ანგარიშს უკანასკნელის ნება-სურვილს. პარტიის პოლიტიკაში დაიწყო ხანა უპრინციპობისა და მერყეობისა, მაგალითად, პროფესიული კავშირების საკითხში, პოლონეთის სოციალისტური პარტიისადმი დამოკიდებულების საკითხში, რსდმ პარტიის შიგნით პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის საკითხში.

ამხანაგებს, რომლებიც ამხილებდნენ წინააღმდეგობებს მთავარი გამგეობის პოლიტიკაში, მოითხოვდნენ თანმიმდევრულ პრინციპულ ხაზს, მთავარი გამგეობა ხმას აკმენდინებდა, არ უშვებდა დისკუსიას პრესაში და, რაც უფრო უარესია, მ უ დ ა მ იძლეოდა დაპირებას, რომ «უახლოეს დროში» დაიწყებდა დისკუსიას და მაშინ ერთბაშად დაბეჭდავდა ამხანაგების პროტესტებსაც ამ ტაქტიკის წინააღმდეგ. ტიშკოს მოწინააღმდეგეებს თვით მთავარ გამგეობაში, ყველა ძველ, მთელი პარტიისათვის კარგად ცნობილ მუშაკებს თითოთითოდ იშორებდნენ თავიდან. ერთმა უარი თქვა ხელახლა არჩევაზე უკვე VI ყრილობაზე და შეუძლებლად გამოაცხადა ტიშკოსთან მუშაობა, მეორე თავიდან მოიშორეს 1909 წელს, მესამემ 1911 წელს თქვა უარი მთავარ გამგეობაში მონაწილეობაზე.

მაგრამ 1911 წლის დამდეგიდან მოძრაობის გაძლიერებასა და გამოცოცხლებასთან ერთად უკმაყოფილებამ თავი იჩინა ადგილებზეც. «ბუნტს» სათავეში ჩაუდგა ვარშავის ორგანიზაცია, ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი და, რაც მთავარია, რევოლუციური მხრივ ყველაზე მტკიცე ორგანიზაცია, რომელსაც 1905 წლიდან დღემდე მემარცხენე ფრთა ეკავა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში.

მთავარი გამგეობა, რა თქმა უნდა, აღელდა და ემზადებოდა «აღსაკვეთად». იერიშის სიგნალი გახდა ვარშავის 1911 წლის დეკემბრის სარაიონთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციამ გაბედა და მოითხოვა «მხარის» უფრო ძლიერი წარმომადგენლობა უახლოეს პ ა რ ტ ი უ ლ კონფერენციაზე, ე. ი. ამით — რა უღვთო აზრია — შესუსტება მთავარი გამგეობის გავლენისა კონფერენციაზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ასეთი რეზოლუცია მიიღო ლოძის კონფერენციამაც. ვარშავა უფრო დანაშაულებრივად მოიქცა: მან ცხადყო, რომ ამას მოითხოვს არა ტყუილ-უბრალოდ, არამედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ი ზ ნ ი თ. მან მიიღო რამდენიმე პოლიტიკური რეზოლუცია, რომლებიც ტიშკოს არ მოეწონა: სხვათა შორის

უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მთავარ გამგეობას მისთვის არ წარუდგენია ანგარიში თავისი მოღვაწეობის შესახებ, მოითხოვა, რომ მთავარ გამგეობას პარტიისათვის გაეცნო თავისი მოღვაწეობა რსდმ პარტიის შიგნით და «რუსეთის» პოლიტიკა არ ეწარმოებინა პოლონელ მუშათაგან ფარულად და სხვ.

დაიწყო აშკარა ბრძოლა. ტიშკომ მიაყარა მთელი რიგი «ცირკულარები» და «განმარტებანი». მან «განმარტა», რომ 1) ვარშავის ორგანიზაციამ ფეხქვეშ გათელა პარტიული წესდება და გათიშვაზე წავიდა; 2) რომ ამ ორგანიზაციის რეზოლუციები ბოიკოტიზმის, ოტზოვიზმისა და ანარქიზმის გამოვლინებაა; 3) რომ ამ ორგანიზაციას მთავარ გამგეობასთან არავითარი იდეური უთანხმოება არა აქვს და, მაშასადამე, გათიშვა მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ ნიადაგს; 4) რომ ვარშავის ორგანიზაცია არ არსებობს, კონფერენცია ფიქტიური იყო, მაშასადამე, არავითარი გათიშვა არ არის და არც ყოფილა; 5) რომ ვარშავის ორგანიზაციამ დამოუკიდებლად ვერ გამოსცა ვერც ერთი ფურცელი და მთელი ლიტერატურული მუშაობა მთავარ გამგეობას მიანება; რომ მან უკანონოდ შექმნა საკუთარი გამთიშველი ტექნიკა და უშვებს თავის ფურცლებს. მან აგრეთვე დაახასიათა პირადად, საგვარეულოს დაწვრილებითი ცნობების მოყვანით, ორიოდე ვარშაველი «ინტელიგენტი-ვარხოლი*» და განმარტა, რომ გათიშვა მათ მოახდინეს, ხოლო ორგანიზაციაში არც უმუშავნიათ და არც მუშაობენო.

ბოლოს, როცა დაინახა, რომ ვარშავის ორგანიზაცია თავის პოზიციას არ თმობს, ტიშკომ გადაწყვიტა გამოეყენებინა... «გმირული» საშუალებანი. მან გადაწყვიტა მოეწვია ფ ი ქ ტ ი უ რ ი კონფერენცია და არ დაეშვა ამ კონფერენციაზე ოპოზიცია — ე. ი. მხარეში მოქმედი ამხანაგების უდიდესი უმრავლესობა. ამისათვის ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია — ვარშავის ორგანიზაცია ტიშკომ გამოაცხადა... «დაშლილად»,

* — მოკინკლავე. რ ე დ.

და ტიშკოს ორი-სამი აგენტისაგან შექმნილ იქნა გამთიშველი ცალკე «ვარშავის ორგანიზაცია».

მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელია «დასაბუთება», რომლითაც ტიშკომ «დაშალა» ვარშავის ორგანიზაცია. ტიშკომ გამოაცხადა, რომ ეს მისი ურჩი ორგანიზაცია პოლიციური პროვოკაციის იარაღია და სხვა არაფერი. ტიშკოს დღემდე არ მოუყვანია ამის დამადასტურებელი არც ერთი, თუნდაც სულ მცირე, სერიოზული ფაქტი. არ გამოუქვეყნებია არც ერთი სახელი თუნდაც ერთი ეჭვმიტანილი პირისა. უფრო მეტიც: თავისთვის უკანდასახევი გზა რომ დაეტოვებინა, ტიშკო საერთაშორისო ბიუროში შეტანილ განცხადებაში ლაჩრულად წერდა, რომ ვარშავაში, ისევე როგორც ყოველ ორგანიზაციაში, რომელიც ახლანდელ პირობებში მოქმედებს, ძლიერ ადვილად შეიძლებოდა დაბუდებულიყო პროვოკაციაო.

მაგრამ ტიშკომ სასიკეთოდ მიიჩნია «დაეშალა» ვარშავის ორგანიზაცია და რსდმ პარტიის ფარგლებს გარეთ მდგომადაც კი გამოეცხადებინა იგი. როგორც მკითხველი ხედავს, ეს უკვე ფრაქციული ბრძოლა კი არა, პირდაპირ რაღაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

გასაგებია, რომ თავგასულმა ტიშკომ ამ ნაბიჯით ათჯერ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია. კომისია, რომელიც თვითონ ტიშკომ დანიშნა პროვოკაციის გამოსაძიებლად, მის წინააღმდეგ წავიდა. ტიშკომ ამას იმით უპასუხა, რომ პარტიიდან გარიცხა მისი სამი წევრი — პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იყვნენ პარტიაში და წევრთა საერთო ნდობით სარგებლობდნენ. 44 ძველმა მუშაკმა უსასტიკესი პროტესტი გამოაქვეყნა «მთავარი გამგეობის» ამ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც დამაკარებელია ყოველი რევოლუციონერისათვის. მხარეშიც და საზღვარგარეთაც ყველგან მოითხოვენ პასუხი აგებინონ «მთავარ გამგეობას». ვარშავის ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, არ დაშლილა ტიშკოს საამებლად, არა-

ვედ განაგრძობს თავის მუშაობას, რაც ესოდენ ძნელია შექმნილ პირობებში. ვარშავაში მუშათა კურიიდან არჩევნები ბრწყინვალედ მოაწყო სწორედ «ოპოზიციამ». არჩევნებმა ს.-დ-ს მისცა აბსოლუტური უმრავლესობა ყველა დანარჩენ პარტიასთან შედარებით. ს.-დ-ის 34 რწმუნებულიდან 31 ოპოზიციის მომხრეა, 2 — მერყეევია და მხოლოდ ერთია ტიშკოს მომხრე. სამაგიეროდ პროვინციაში, სადაც «მუშაობას» მთავარი გამგეობა და მისი მომხრეები ეწევიან, საარჩევნო კამპანია ყ ვ ე ლ გ ა ნ წაგებულია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტიშკოს საქციელით გამოწვეული წვრილმანი, ულირსი კინკლაობა მალე წარსულს ჩაბარდება და პრინციპული უთანხმოება უფრო ნათლად დაისახება. უფრო კონკრეტულად იქნება გამოხატული აგრეთვე პოლონელ ს.-დ. მუშათა სურვილი ორგანიზაციულად უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ რუს ამხანაგებს. რსდმ პარტიაში ტიშკოს საქციელმა მთავარი გამგეობა იქამდე მიიყვანა, რომ იგი სავსებით მოსწყდა საერთო-პარტიულ ცხოვრებას, რომ მას რსდმ პარტიაში არც ერთი მოკავშირე არა ჰყავს და ორივე მხარე (ლიკვიდატორები და ანტილიკვიდატორები) ერთნაირად იჩეჩს მხრებს ტიშკოს და მისი «მთავარი გამგეობის» უცნაური და უიდეო «ტაქტიკის» გამო.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატია მძიმე ხანას განიცდის. მაგრამ გამოსავალი უკვე დაისახა. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ყველა ჯანსაღი ელემენტი ირაზმება. და შორს აღარ არის დრო, როცა პოლონეთის სოციალ-დემოკრატია იქნება არა სათამაშო უპრინციპო ინტრიგანის ხელში, არამედ ორგანიზაცია პარტიული ს.-დ. მუშებისა, რომლებსაც ექნებათ თავიანთი პრინციპები და თავიანთი ტაქტიკა.

საჭიროდ მიგვაჩნია ცნობას პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვის შესახებ დავუმატოთ ზოგიერთი ცნობა «პროვოკაციაში» ბრალის დადების შემდგომი ისტორიის შესახებ. ამის შესახებ ჩვენ გვატყობინებენ შემდეგს:

როზა ლუქსემბურგმა (საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრმა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისაგან) საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მისწერა, ვარშავის კომიტეტი გამთიშველებისაგან შედგება და ო ხ რ ა ნ კ ი ს ხ ე ლ შ ი ა ო, ამასთან აცნობა, ეს არ უნდა გამოქვეყნდესო!

ამავე დროს კი ტიშკომ თ ვ ი თ ო ნ გამოაქვეყნა ეს სისაძაგლე პოლონეთის ს.-დ. ლიტერატურაში!!

ლენინმა, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივნის გიუისმანსისაგან ტიშკოს ქაღალდის პირი რომ მიიღო, გიუისმანსს, რა თქმა უნდა, გაუგზავნა წერილი, რომ ეს შურისძიების «უაღრესად ვერაგული» აქტია, რომ მალეცკისა და განეცკის, ცენტრალური კომიტეტის ყოფილ წევრებს, ყველა იცნობს პარტიაში; — რომ თვით ტიშკოს მიერ დანიშნულმა საგამომძიებლო კომისიამ ვ ე რ ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ა ვერავითარი პროვოკაცია; — რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შორის პროვოკაციაზე ბეჭდვა, გვარების დაუსაბუთებლად, უაღრესად ბინძური და საზიზღარი საქმეა *.

მთავარმა გამგეობამ მხოლოდ ლანძღვა-გინებით უპასუხა.

შედგა ბაზელის კონგრესი. ვარშავის კომიტეტის დელეგაცია ე რ თ ხ მ ა დ ცნო რსდმ პარტიის ყ ვ ე ლ ა დელეგატმა, ლიკვიდატორებმაც, ლატვიელებმაც, ვპერიოდელებმაც, ბუნდელებმაც, ტროცკისტებმაც!

ვარშავის არჩევნებმა მოგვცა ო რ ი ვ ე ს.-დ. მუშა ამრჩევი — ვ ა რ შ ა ვ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ო მ ხ რ ე ე ბ ი, ტიშკოს და კომპანიის მოწინააღმდეგეები.

ტიშკოს პარალელური ორგანიზაციის ფიქტიურობა დამტკიცებულია ყველას წინაშე. პატიოსანი გზა — პროვოკაციაში ბრალის დადების უკანვე წაღება — ტიშკოს და მისი მთავარი გამგეობის ძალღონეს აღემატება.

მაგრამ ყველაზე კარგი არიან ჩვენი ლიკვიდატორები და მათი ო. კ., რომლებსაც «ერთიანობა» უყვართ. «ლუჩმა»,

* ი ხ. ეს ტომი, გვ. 327 — 329. რ ე დ.

რომელიც ოფიციალურად **ემხრობა** აგვისტოს კონფერენციას, **ორჯერ დაბეჭდა** ტიშკოს საზიზღარი სიცრუე!!

პირველად ეს გაკეთა ინიციალებს ამოფარებულმა ბატონმა. მეორედ — ბატონმა ავგუსტოვსკიმ[120].

რა გულადები არიან! ისინი ავრცელებენ სისაძაგლეს და მთავარი გამგეობის ზურგს უკან იმალებიან. ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ, ჩვენ სისაძაგლეს არ ვავრცელებთ, ჩვენ **«მხოლოდ»** ვიუწყებით მთავარი გამგეობის სახელით დაბეჭდვის (სისაძაგლის დაბეჭდვის) ფაქტსო!!

მარტოვი, ტროცკი, ლიბერი, ლატვიელები და კომპანია ტიშკოს ზურგს უკან ეფარებიან და ანონიმურად ავრცელებენ ტიშკოს სისაძაგლეს ლეგალურ პრესაში, სადაც დოკუმენტების მოყვანა არ შეიძლება!!

«სოციალ-დემოკრატ» № 30,
1913 წ. 12 (25) იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ბოლშევიზმის შესახებ [121]

ბოლშევიზმის წარმოშობა განუყრელადაა დაკავშირებული ეგრეთწოდებული «ეკონომიზმის» (მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისა და მისი ხელმძღვანელი როლის უარმყოფელი ოპორტუნიზმის) ბრძოლასთან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ 1897 — 1902 წლებში. ეკონომიზმი, რომელსაც მხარს უჭერდა ბუნდი, დაძლეულ და განდევნილ იქნა ძველი «ისკრის» ცნობილი კამპანიით (მიუნხენი, ლონდონი და ჟენევა 1900 — 1903 წ.წ.), რომელმაც მარქსიზმისა და რევოლუციური ს.-დ-ის პრინციპების საფუძვლებზე აღადგინა ს.-დ. პარტია (დაარსებული 1898 წელს, მაგრამ შემდეგ დაპატიმრებებით დანგრეული). რსდმ პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) ისკრელები გაითიშნენ: მათი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ემხრობოდა ძველი «ისკრის» პრინციპებსა და ტაქტიკას, უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა მ კი ოპორტუნიზმისაკენ იბრუნა პირი და მას მხარი დაუჭირეს «ისკრის» წინანდელმა მტრებმა, ეკონომისტებმა და ბუნდელებმა. აქედან წარმოდგა სახელწოდებანი: ბოლშევიზმი და მენშევიზმი (ბოლშევიკები და მენშევიკები — მეუმრავლესენი და მეუმცირესენი). 1903 — 1904 წლებში ბრძოლის მთავარი საგანი იყო მენშევიკების ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში. 1904 წლის დამლევიდან მთავარი ხდება ტაქტიკის სხვადასხვაობა. ა ხ ა ლ ი, მენშევიკების მხარეზე გადასული, «ისკრის» «საერობო კამპანიის გეგმა» (1904 წ. შემოდგომა) დაადგა შემდეგი ტაქტიკის დაცვის გზას: «ნუ დავაშინებთ ლიბერალებს». 1905 წელმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ტაქ-

ტიკური უთანხმოება (ბოლშევიკების ყრილობა, რსდმ პარტიის III ყრილობა 1905 წლის მაისში ლონდონში და იმ დროსვე მენშევიკების «კონფერენცია» ჟენევაში). მენშევიკები მუშათა კლასის ტაქტიკას ლიბერალიზმს უფარდებდნენ. ბოლშევიკები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა კლასის მიზნად სახავდნენ: ამ რევოლუციის მიყვანას ბოლომდე, დემოკრატიული გლეხობის გაყოლიებას ლიბერალიზმის ღალატის მიუხედავად. პრაქტიკულად ორივე მიმდინარეობის აზრთა მთავარი სხვადასხვაობა — 1905 წ. შემოდგომა: ბოლშევიკები მხარს უჭერენ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტს, მენშევიკები — სათათბიროში მონაწილეობას. 1906 წ. გაზაფხული — ასევე ვიტეს სათათბიროს მიმართ. I სათათბირო: მენშევიკები მხარს უჭერენ ლოზუნგს — სათათბიროს (კადეტური) სამინისტრო, ბოლშევიკები მხარს უჭერენ ლოზუნგს — მემარცხენეთა (ს.-დ. და ტრუდოვიკების) აღმასრულებელი კომიტეტი მასების უშუალო ბრძოლის მოსაწყობად და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მოყვანა შეიძლება მხოლოდ საზღვარგარეთის პრესაში. სტოკჰოლმის ყრილობაზე (1906 წ.) გაიმარჯვეს მენშევიკებმა, ლონდონის ყრილობაზე (1907 წ.) — ბოლშევიკებმა. 1908—1909 წლებში ბოლშევიკებს ჩამოშორდნენ «ვპერიოდელები» (მახიზმი ფილოსოფიაში და «ოტზოვიზმი» ანუ III სათათბიროს ბოიკოტი პოლიტიკაში: ბოგდანოვი, ალექსინსკი, ლუნაჩარსკი და სხვ.). 1909 — 1911 წლებში, ეწეოდა რა ბრძოლას მათ წინააღმდეგ (შეადარე ვ. ილინი «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი», მოსკოვი, 1909 წ. *), აგრეთვე ლიკვიდატორების წინააღმდეგ (მენშევიკები, რომლებიც არალეგალურ პარტიას უარყოფდნენ), ბოლშევიზმი დაუახლოვდა პ ა რ ტ ი ე ლ მ ე ნ შ ე ვ ი კ ებ ს (პლეხანოვი და სხვ.), რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ლიკვიდატორობას. ბოლშევიკების ორგანოები: «ვპერიოდი» და «პროლეტარი» (ჟენევა 1905 წ.), «ნოვაია ჟიზნ» (სპბ. 1905 წ.).

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 14. რ ე დ.

«ვოლნა», «ეხო» და სხვ. (სპბ. 1906 წ.), «პროლეტარი» ფინეთში (1906 — 1907 წლ.), ჟენევაში (1908 წ.) და პარიზში (1909 წ.), «სოციალ-დემოკრატი» პარიზში (1909 — 1912 წლ.). ბოლშევიზმის ზოგიერთი მთავარი ნაწარმოები ჩამოწერილი აქვს ვ. ილინს წიგნში «12 წლის მანძილზე», სპბ. 1908, იქვეა ლიტერატურის უფრო დეტალური დასახელება. მთავარი მწერალი ბოლშევიკები: გ. ზინოვიევი, ვ. ილინი, ი. კამენევი, პ. ორლოვსკი და სხვ. უკანასკნელ წლებში ბოლშევიკები იყვნენ მთავარი თანამშრომლები გაზეთებისა: «ზვეზდა» (1910 — 1912 წლ.), «პრავდა» (1912 წ.) სპბ-ში და ჟურნალებისა: «მისლი» (1910 წ.) მოსკოვში, «პროსვეშჩენიე» (1911 — 1913 წ.წ.) სპბ-ში.

დაწერილია 1913 წ. იანვრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1913 წელს ჟიგნში: ნ. ა. რუბაკინი. «წიგნთა შორის», ტ. II, მე-2 გამოცემა, მოსკოვ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

პუანკარეს არჩევის მნიშვნელობა

საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტს დიდი ამბით ულოცავენ. ჩაიხედეთ შავრაზმულ-დამრბევლურ «ნოვოე ვრემიაში» და ლიბერალურ «რეჩში»: რა მგრძნობიარე ერთსულოვნებაა პრეზიდენტ პუანკარესადმი მილოცვებში, საკუთარი კმაყოფილების გამოთქმაში!

საგარეო პოლიტიკის საკითხებისა და დასავლეთის ქვეყნებში საქმეთა მდგომარეობის შეფასებით განსაკუთრებით ცხადად მჟღავნდება ჩვენი შავრაზმელებისა და ჩვენი ლიბერალების ღრმა შინაგანი ნათესაობა. როცა ერთნიც და მეორენიც მიესალმებიან «ეროვნულ» პრეზიდენტს — პუანკარეს, რომელიც საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიისა და კლერიკალურ-ფეოდალური რეაქციის კავშირმა აირჩია, — ყველასათვის ცხადი ხდება, რომ შავრაზმელებსა და ლიბერალებს შორის თანხმობა არ არის მხოლოდ იმ საკითხში, თუ როგორი უნდა იყოს სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი.

მაგრამ პუანკარეს არჩევა უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე გულმოდგინე «მიმლოცველები» ფიქრობენ. შეგნებული მუშები, ამ არჩევის მნიშვნელობას რომ უფიქრდებიან, სამ გარემოებას აღნიშნავენ.

ჯერ-ერთი, პუანკარეს არჩევა ნიშნავს კიდევ ერთ ნაბიჯს წინ იმ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაში, რომელიც საფრანგეთს მოელის. პუანკარე პრემიერ-მინისტრი იყო პალატაში, რომელსაც რ ა დ ი კ ა ლ უ რ ი უმრავლესობა ჰყავდა.

ხოლო პრეზიდენტად იგი არჩეულია რადიკალების კანდიდატის პამსის წინააღმდეგ, არჩეულია კლერიკალურ-ფეოდალური რეაქციის დახმარებით, არჩეულია მემარჯვენე ბლოკის მიერ.

რას ნიშნავს ეს? საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში დგას უკანასკნელი ბურჟუაზიული პარტია, რადიკალები. მისი განსხვავება «რეაქციისაგან» სულ უფრო ნაკლები ხდება. სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ სულ უფრო მჭიდროდ ირაზმება მთელი ბურჟუაზია, რადიკალურიდან რეაქციულამდე, და სულ უფრო მეტად ქრება ზღვარი ერთსა და მეორეს შორის. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა პუანკარეს არჩევით. ასეთი დარაზმვა კლასობრივ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების ნამდვილი ნიშანია.

მეორე, საგულისხმოა პუანკარეს კარიერა — ტიპიური კარიერა ბურჟუაზიული მოსაქმისა, რომელიც რიგრიგობით მიეყიდება ხოლმე ყველა პარტიას პოლიტიკაში და ყველა მდიდარს პოლიტიკის «გარეშე». პროფესიით პუანკარე ადვოკატია 20 წლის ასაკიდან. 26 წლისა იგი იყო კაბინეტის უფროსი, 33 წლისა — მინისტრი. ყველა ქვეყნის მდიდრები და ფინანსისტი ბობოლები დიდად აფასებენ ასეთი მარჯვე კარიერისტების პოლიტიკურ კავშირურთიერთობას. «ბრწყინვალე» ადვოკატი-დეპუტატი — პოლიტიკური გაიძვერა, სინონიმებია «ცივილიზებულ» ქვეყნებში.

მესამე, საგულისხმოა საფრანგეთის სოციალისტების დემონსტრაცია პუანკარეს არჩევის დროს. ვალიანისათვის ხმის მიცემა დემონსტრაცია იყო კომუნის პატივსაცემად. ვალიანი კომუნის ცოცხალი ხსოვნაა. საკმარისია თუნდაც ერთხელ ნახო, როგორ ხვდებიან პარიზის მუშები სპეტაკი ჭაღარით მოსილი ვალიანის გამოჩენას ტრიბუნაზე, რომ მიხვდე ამას.

და აი, სწორედ იმ ვერსალში, სადაც 1871 წელს ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა სამშობლო მიჰყიდა ბისმარკს, რათა

პროლეტარიატის აჯანყება ჩაეხშო — სწორედ იმ დარბაზში, რომელშიც 42 წლის წინათ გაისმოდა საფრანგეთის იმ შავრაზმელი მემამულეების მხეცური ღრიანცელი, რომლებსაც მეფე სურდათ, მუშათა კლასის დეპუტატებმა ხმა მისცეს ძველ კომუნარს.

«პრავდა» № 11, 1913 წ. 15 იანვარი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გულახდილად

არხანგელსკის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ სათათბიროს კანონპროექტის ჩაფუშვა სახ. საბჭოში ჩვენმა გაზეთმა უკვე აღნიშნა. მაგრამ საჭიროა კიდევ და კიდევ შევჩერდეთ ამ ფაქტის მნიშვნელობაზე, რომელიც, მიუხედავად მთელი თავისი უმნიშვნელობისა, ამავე დროს მეტისმეტად დამახასიათებელია.

თითქმის ნახევარი საუკუნეა არსებობს თავადაზნაურული ერობა, **რო**მელიც ფეოდალური (რუსულად: ბატონყმური) ტიპის მ ე მ ა მ უ ლ ი ს უთუო უპირატესობას უზრუნველყოფს. და მხოლოდ ზოგიერთ გუბერნიაში, მაგალითად, ვიატკის გუბერნიაში, სადაც თავადაზნაურული მიწათმფლობელობა თითქმის არ არის, ერობას უფრო გლეხური ხასიათი აქვს; მაგრამ სამაგიეროდ იგი აქ უფრო მეტად გახვეულია ყოველგვარი ჩინოვნიკური აკრძალვების, დაბრკოლებების, შეზღუდვებისა და ახსნა-განმარტებების ქსელში. ასეთი თითქოს გაუვნებლებული და შეკვეცილი ერობის მოპოვებას უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ცდილობს არხანგელსკის გუბერნიაც.

და აი, შავრაზმული, მემამულური და ბურჟუაზიული III სათათბიროს დადგენილება არხანგელსკის ერობის შემოღების შესახებ უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა სახ. საბჭოს მიერ. რა საოცრად მკაფიო ნათელს ჰფენს ეს «წვრილმანი» ჩვენი «განახლებული» წყობილების ა რ ს ს! რა საუცხოო გაკვეთილია პოლიტიკის კლასობრივი ფესვების შესახებ!

სახ. საბჭოში ერობის მოწინააღმდეგეთა საბუთები გულახდილია: იქ ხომ თავადაზნაურობა არ არისო. მთელ გუბერ-

ნიაში «კერძო» მფლობელობაში სულ 2 660 დესეტინა მიწაა — ამბობდა ბ-ნი სტიშინსკი, მომხსენებელი სახ. **საბ-ჭოში.**

მაშასადამე, თუ მემამულე თავად-აზნაურები არ არიან, «ხალხს» იმის უნარიც კი არ შესწევს, რომ გზები შეაკეთოს და საავადმყოფოები მოაწყოს. მაგრამ თუ მემამულეები არ არიან, ისინი უნდა მოამრავლო პირდაპირ თუ არაპირდაპირ.

საიდან უნდა მოიყვანო? რუსეთის ცენტრიდან, სადაც ისინი საკმაოდ არიან. მემამულეები შავნიადაგიანი ცენტრისა, სადაც ყველაზე ახალია ბატონყმობის კვალი, სადაც ყველაზე მეტად დარჩენილია «საბატონო ბეგარა» (შრომამიგების სისტემა მეურნეობისა), სადაც განუყოფლად ბატონობენ, მეფობენ და განაგებენ კურსკელი ზუბრების მსგავსნი, — აი ვის შეიძლება დაეყრდნო სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეებში. ამ აზრით სახ. საბჭოს დამოკიდებულება არხანგელსკის ერობის საკითხისადმი ჩვენი სახელმწიფოებრიობის მეტად საგულისხმო და თვალსაჩინო გაკვეთილია.

«პრავდა» № 13, 1913 წ. 17 იანვარი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბრიანის კაბინეტი

ცნობილი რენეგატი ბრიანი, რომელიც ოდესღაც არქი-
რევოლუციონერი და «საყოველთაო გაფიცვის» მქადაგებელი
იყო, კვლავ აღმოჩნდა საფრანგეთის სამინისტროს სათავეში.
როგორც ინგლისში ჯონ ბერნსმა, მან უღალატა მუშათა
კლასს და მიეყიდა ბურჟუაზიას.

საინტერესოა მისი ახალი კაბინეტის შემადგენლობა. იქ
მეფობს სამეული: ჟონარი — ეტიენი — ბოდენი. რა ფიგუ-
რები არიან ესენი?

ჩაიხედეთ ლიბერალურ გაზეთებში, მაგალითად, «რეჩში»
№ 11. თქვენ დაინახავთ უაღრესად დაწვრილებითს ცნობებს
იმის შესახებ, თუ სად სწავლობდნენ მინისტრები, სად მსახუ-
რობდნენ. თქვენ დაინახავთ უსირცხვილო რეკლამას და გუ-
ლის მოგების სურვილს: ჟონარი მეფე ედუარდის მეგობარია!
ბოდენი კომუნარის ძმისწულია!

«ჟომინი და ჟომინი, არაყზე კი კრინტს არ ძრავენ» [122]. საქ-
მის ა რ ს ზ ე «რეჩი» დუმს. ეს არსი კი მეტად მარტივია:
მთელი სამეული ფინანსისტი მოსაქმეებისა და აფერისტების
უაღრესად გაქნილი და უსირცხვილო კომპანიაა. ეტიენი
მონაწილეობდა ყველა ბინძურ მილიონიან სკანდალში, დ ა წ-
ყ ე ბ უ ლ ი პ ა ნ ა მ ი თ. იგი გამოქნილია კოლონიების ისეთ
ფინანსურ ოპერაციებში, როგორც ეს ხდება ჩვენში ბაშკირ-
თა მიწების მიმართ. ჟონარი მონაწილეობდა უენცის (აფრი-
კა) უმდიდრესი რკინის მადნების კონცესიის არანაკლებ «პა-
ტიოსნად» მიღებაში. მისი ნათესავები სხვედან უდიდესი საა-
ქციო კომპანიების გამგეობებში. ბოდენი კაპიტალისტების,

მოიჯარეებისა და გემსაშენთა მფლობელების ნოქარია. მისთვის სწორედ შესაფერი ადგილია საზღვაო სამინისტროში... რაც შეიძლება ახლოს ფლოტისათვის იჯარებისა და მიწოდების საქმესთან!

ისე ცხადად, როგორც საფრანგეთში, არსად არ დასტურდება მარქსის სიტყვები: ბურჟუაზიული მთავრობები კაპიტალისტთა კლასის ნოქრები არიან [123]. და საფრანგეთის დიდი პროგრესი ის არის, რომ მუშათა კლასმა ჩამოგლიჯა ყველა ყალბი საფარველი, ბუნდოვანი ნათელი გახადა, «მოაშორა ბორკილებს მათი შემამკობელი ყალბი ყვავილები, — არა იმისათვის, რომ კაცობრიობამ კვლავ ატაროს ეს ბორკილები მათი იმ ფორმით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სიხარულსა და ყოველგვარ სიამეს, არამედ იმისათვის, რომ მან მოიშოროს ბორკილები და ხელი გაიწოდოს ცოცხალი ყვავილის მოსაწყვეტად» [124].

«პრავდა» № 14, 1913 წ. 18 იანვარი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

არჩევნების შედეგები

IV სათათბიროს საარჩევნო კამპანიამ დაადასტურა ისტორიული მომენტის ის შეფასება, რომელსაც მარქსისტები 1911 წლიდან იძლეოდნენ. ეს შეფასება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის კონტრრევოლუციის ისტორიის პირველი ხანა დამთავრდა. დაიწყო მეორე ხანა, რომელსაც ახასიათებს ბურჟუაზიული დემოკრატიის «მსუბუქი რაზმების» გამოღვიძება (სტუდენტთა მოძრაობა), შეტევითი ეკონომიური და უფრო მეტად კი არაეკონომიური მუშათა მოძრაობა და სხვ.

ეკონომიური დეპრესია, კონტრრევოლუციის გადამწყვეტი შეტევა, დემოკრატიის ძალების უკანდახევა და დაშლა, «პროგრესულ ბანაკში» რენეგატული, «ვეხური», ლიკვიდატორული იდეების თარეში, — აი რით განირჩევა პირველი ხანა (1907 — 1911). მეორე ხანა კი (1911 — 1912) ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც, იდეურადაც საწინააღმდეგო ნიშნებით განირჩევა: მრეწველობის აღმავლობა, კონტრრევოლუციის უუნარობა — განაგრძოს უწინდელი ძალის ან ენერგიის შეტევა და სხვ., დემოკრატიის გამოღვიძება, რამაც ვეხელობის, რენეგატობის, ლიკვიდატორობის განწყობილებანი აიძულა მ ი მ ა ლ უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ.

ასეთია სურათის საერთო ფონი, რომელიც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ 1912 წლის საარჩევნო კამპანიის სწორი შეფასებისათვის.

I. არჩევნების «კეთება»

IV სათათბიროს არჩევნების განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც კაცს ყველაზე მეტად ხვდება თვალში, ეს არის მთავრობის მიერ ამ არჩევნების სისტემატური გაყალბება. აქ მიზნად არ ვისახავთ შევაჯამოთ «არჩევნების კეთების» შედეგები; ამაზე საესებით საკმარისად ლაპარაკობდა მ თ ე ლ ი ლიბერალური და დემოკრატიული პრესა; ამაზევე ლაპარაკობს კადეტების მიერ IV სათათბიროში შეტანილი დაწერილებითი შეკითხვა; ჩვენ, ალბათ, მოვახერხებთ ამ საკითხს ვუძღვნათ განსაკუთრებული სტატია, როცა თავმოყრილ იქნება ვრცელი და რიცხობრივად განუწყვეტლივ მზარდი დოკუმენტალური ცნობები.

ამჟამად კი აღვნიშნავთ არჩევნების კეთების მხოლოდ ძირითად შედეგებს და ამ «კეთების» მთავარ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

სამღვდელოების მობილიზაცია ლიბერალ და ოქტიაბრისტ მემამულეთა წინააღმდეგ; — რეპრესიების გაათკეცება და კანონის სრულიად უბოდიშო დარღვევა, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ ქალაქებსა და სოფლებში; — იმავე საშუალებებით სოციალ-დემოკრატიისათვის მუშათა კურიის წართმევის ცდები — ასეთია 1912 წელს არჩევნების კეთების ძირითადი ხერხები. მიზანი მთელი ამ პოლიტიკისა, რომელიც ბონაპარტიზმის პოლიტიკას მოგვაგონებს, იყო მემარჯვენე-ნაციონალისტური უმრავლესობის შექმნა სათათბიროში, და ეს მიზანი, როგორც ვიცით, მიღწეული არ არის. მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, რომ მთავრობამ მოახერხა ჩვენს, უკაცრავად პასუხია, პარლამენტში «შეენარჩუნებინა» უწინდელი, მესამე სათათბიროს დროინდელი, მდგომარეობა: IV სათათბიროში დარჩა ორი უმრავლესობა, მემარჯვენე-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური.

1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონი მართვა-გამგეობის — და არა მარტო მართვა-გამგეობის — სახელმწიფო სის-

ტემას «აშენებდა» მებატონე მემამულეებისა და ბურჟუაზიის ზედაფენების ბლოკზე, ამასთან პირველი სოციალური ელემენტი ინარჩუნებდა ამ ბლოკში გიგანტურ უპირატესობას, ხოლო ორივე ელემენტის ზემოთ იდგა ფაქტიურად შეუკვეცელი ძველი ხელისუფლება. იმაზე, თუ როგორი იყო და როგორი რჩება ამ ხელისუფლების სპეციფიკური ბუნება, რომელიც შექმნილია ბატონყმობის საუკუნეობრივი ისტორიით და სხვ., ახლა ლაპარაკი ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში, 1905 წლის ძვრამ, ძველის კრახმა, მასებისა და კლასების აშკარა და მძლავრმა გამოსვლებმა გამოიწვიეს ამა თუ იმ სოციალურ ძალებთან კავშირის ძებნის საჭიროება.

«ტეტიაზე», გლეხზე დამყარებული იმედი, რაც 1905—1906 წლებში არსებობდა (ბულიგინისა და ვიტეს საარჩევნო კანონები), ჩაიფუშა. სამი ივნისის სისტემა «იმედს ამყარებდა ძლიერებზე», მემამულეებზე და ბურჟუაზიის ბობოლებზე. და აი III სათათბიროს გამოცდილებამ რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში უკვე გამოუთხარა ძირი ამ «იმედსაც»! შეუძლებელია წარმოდგენა უფრო მეტი მაამებლობისა, რასაც ოქტიაბრისტები 1907—1912 წლებში მიმართავდნენ, მაგრამ მაინც «ვერ აამეს» ოქტიაბრისტებმაც. მათთან ვერ მორიგდა ბუნებით მათი დიდი მონათესავე ძველი ხელისუფლებაც კი (ეგრეთწოდებული «ბიუროკრატია»). ბურჟუაზიულ პოლიტიკას სოფლად (9 ნოემბრის კანონი) და კაპიტალიზმისათვის ყოველგვარ ხელშეწყობას — ყველაფერ ამას წარმართავდნენ იგივე პურიშკევიჩები, და შედეგი საცალალო აღმოჩნდა. განახლებული, შეკეთებული, ახალი აგრარული პოლიტიკით, წარმომადგენლობითი დაწესებულებების ახალი სისტემით გამოცოცხლებული პურიშკევიჩელობა კვლავ ახშობდა ყველაფერს და ყოველივეს და აფერხებდა განვითარებას.

სამი ივნისის სისტემა გაბზარული აღმოჩნდა. არჩევნების «კეთება» აუცილებელი გახდა, როგორც აუცილებელია ბონაპარტიზმის ისტორიული ხერხები, როცა არ არის მყარი, მტკიცე, გამოცდილი მთლიანი სოციალური დასაყრდენი,

როცა საჭირო ხდება გზის გაკვლევა სხვადასხვაგვარ ელემენტებს შორის, თუ დემოკრატიული კლასები უძლური არიან ან დროებითი მიზეზებით განსაკუთრებით დასუსტებული არიან, ასეთ ხერხებს შეიძლება «წარმატებანი» ჰქონდეს მთელი რიგი წლების განმავლობაში. მაგრამ გასული • საუკუნის 60-იანი წლების ბისმარკის ან ნაპოლეონ III-ის «კლასიკური» მაგალითებიც კი მოწმობს, რომ უაღრესად მძაფრ გარდატეხათა მოუხდენლად (პრუსიაში ეს იყო «რევოლუცია ზემოდან» და რამდენიმე განსაკუთრებით იღბლიანი ომი) საქმე ვერ მოგვარდება.

II. ახალი სათათბირო

არჩევნების შედეგები რომ განვსაზღვროთ, ავიღოთ ოფიციალური ცნობები IV სათათბიროს პარტიული შემადგენლობის შესახებ და შევადაროთ ისინი III სათათბიროს არა მარტო მისი არსებობის ბოლოს (1912 წ.), არამედ დასაწყისშიც (1908 წ.). მივიღებთ შემდეგ საგულისხმო სურათს *:

	მესამე სათათბირო		მეოთხე სათათბირო
	1908 წ.	1912 წ.	
მემარჯვენეები	49	46	65
ნაციონ. და ზომიერი მემარჯვენეები	95	102	120
ოქტიაბრისტები	148	120	98
პროგრესისტები	25	36	48
კადეტები	53	52	59
სამი ეროვნ. ჯგუფი	26	27	21
ტრუდოვიკები	14	14	10
სოციალ-დემოკრატები	19	13	14
უპარტიოები	—	27	7
სულ	429	437	442

* ცნობები აღებულია სათათბიროს გამოცემებიდან: «მაჩვენებელი» 1908 წ.; «ცნობარი» 1912 წ. და «სახ. სათათბიროს (IV) ცნობათა ფურცელი», 1912, № 14, 1912 წ. 2 დეკემბერი, შესწორებული ცნობები 1912 წ. 1 დეკემბრისათვის. — სამი ეროვნ. ჯგუფი: პოლონელები, ბელორუსები და მუსლიმანები.

პირველი დასკვნა ამ ცნობებიდან ის არის, რომ IV სათათბიროში დარჩა უწინდელი ორი უმრავლესობა: მემარჯვენე-ოქტიაბრისტული 283 ხმით (65+120+98) და ოქტიაბრისტულ-კადეტური 226 ხმით (98+48+59+21).

თვითმპყრობელური მთავრობისათვის პრაქტიკულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია «საკუთარი» უმრავლესობა სათათბიროში. ამ მხრივ III და IV სათათბიროებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. III სათათბიროში მემარჯვენე-ოქტიაბრისტული უმრავლესობა დასაწყისში შეადგენდა 292 ხმას, ბოლოს — 268 ხმას. ახლა გამოვიდა საშუალო ამ ციფრებს შორის: 283.

მაგრამ III სათათბიროს დასაწყისიდან ბოლომდე მემარჯვენე უმრავლესობის კლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობას, თუ იგი თვითმპყრობელურ მთავრობად რჩებოდა, არ შეეძლო არ მიემართა არჩევნების კეთების სასწრაფო ზომებისათვის. ეს კეთება შემთხვევითობა და სისტემიდან გადახვევა კი არ არის, როგორც უყვართ ხოლმე საქმის წარმოდგენა მეიენდორფებს, მაკლაკოვებსა და კომპანიას, არამედ აუცილებლობაა «სისტემის» დასაცავად.

თქვენ ლაპარაკობთ «ქვეყანასთან» (ე. ი. ბურჟუაზიასთან) «ხელისუფლების შერიგების» შესახებ, ბბ. ლიბერალებო მაკლაკოვის მეთაურობით? მაგრამ თუ ასეა, ორში ერთი. ან თქვენი სიტყვები შერიგების შესახებ ლიტონი სიტყვები არ არის, — მაშინ თქვენ უნდა მიიღოთ «არჩევნების კეთებაც», ვინაიდან ასეთია რეალურ ხელისუფლებასთან შერიგების რეალური პირობა. თქვენ ხომ «რეალური პოლიტიკის» დიდი მოყვარულნი ხართ! ან თქვენი პროტესტები «არჩევნების კეთების» წინააღმდეგ ლიტონი სიტყვები არ არის, — და მაშინ თქვენ უნდა ლაპარაკობდეთ არა შერიგებაზე, არამედ ისეთ რამეზე, რაც სრულებით არა ჰგავს შერიგებას...

სამი ივნისის სისტემის მეორე უმრავლესობა: ოქტიაბრისტულ-ლიბერალური III სათათბიროს დასაწყისში შეად-

გენდა 252 ხმას, მის ბოლოს 235-ს და დაეცა 226-მდე IV სათათბიროში. მაშასადამე, არსებითად, მთავრობის «საარჩევნო კამპანიამ» გაიმარჯვა; მთავრობამ თავისი გაიტანა, პრაქტიკულად კვლავ და კვლავ დაადასტურა თავისი თვითმპყრობელობა. ყვირილი მემარჯვენე-ნაციონალისტური უმრავლესობის შესახებ მხოლოდ ფასგადიდებით ვაჭრობა იყო. ნამდვილად მთავრობას ესაჭიროება ორივე უმრავლესობა, ისინი კი ორივენი კონტრრევოლუციურ ნიადაგზე დგანან.

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცეს ამ უკანასკნელ გარემოებას, რომელსაც ჩქმალავენ ლიბერალები დემოკრატიის მოსატყუებლად, ხოლო ლიბერალი მუშა პოლიტიკოსები (ლიკვიდატორები) მოუაზრებლობის გამო. კადეტებისა და ოქტიაბრისტების ბლოკი, რომელმაც ასე მკაფიოდ იჩინა თავი როძიანკოს არჩევის დროს (ხოლო ამ ბლოკმა, ვგონებ, უფრო მკაფიოდ იჩინა თავი «რეჩის» უხამს, მონურ ფრაზებში როძიანკოს სიტყვის გამო), — ეს ბლოკი სულაც არ არის მხოლოდ «ტექნიკური» საქმე. ეს ბლოკი გამოხატავს საერთოდ ბურჟუაზიის, გუჩკოვიდან მილიუკოვამდე, კონტრრევოლუციური განწყობილების ერთიანობას; ეს ბლოკი შესაძლებელია მხოლოდ ამ განწყობილების მეოხებით.

მეორე მხრივ, მთავრობასაც ესაჭიროება ლიბერალურ-ოქტიაბრისტული უმრავლესობა სამი ივნისის რეჟიმის მთელი სისტემის თვალსაზრისით. ვინაიდან III (და IV) სათათბირო სრულიადაც არ არის «მუყაოს» დაწესებულება, როგორც ხშირად ყბედობენ როპშინის განცდებისა და «ოტზოვისტური» ფრაზის ჭაობში უიმედოდ ჩაფლული «მემარცხენე» ნაროდნიკები [125]. არა. III და IV სათათბირო — თვითმპყრობელობის განვითარებისა და ბურჟუაზიის განვითარების ეტაპია, — მათი ნამდვილად დაახლოების ცდაა, რაც აუცილებელია 1905 წლის გამარჯვებათა და დამარცხებათა შემდეგ. და ამ ცდის მარცხი იქნება მარცხი არა მარტო სტოლიპინისა და მაკაროვისა, არა მარტო მარკოვ მე-2-ისა

და პურიშკევიჩისა, არამედ «შემარიგებელ» მაკლაკოვისა და კომპანიისაც!

მთავრობისათვის საჭიროა ლიბერალურ-ოქტიაბრისტული უმრავლესობა, რათა ეცადოს წინ მიჰყავდეს რუსეთი და ამასთან ინარჩუნებდეს პურიშკევიჩების ყოვლისშემძლეობას. ხოლო არაჩვეულებრივად სწრაფი, მეტისმეტად ფიცხი ლიბერალურ-ოქტიაბრისტული «პროგრესიზმის» ალაგმვინ, შენელების საშუალება მთავრობას რამდენიც გნებავთ აქვს: სახ. საბჭოც და ბევრი რამ სხვაც...

III. ცვლილებანი სამი ივნისის სისტემის შიგნით

ზემომოყვანილი ცნობები საინტერესო მასალას წარმოადგენს კონტრრევოლუციის ეპოქაში მემამულეებსა და ბურჟუაზიაში პოლიტიკური პარტიების, დაჯგუფებებისა და მიმდინარეობების ევოლუციის საკითხზე. როგორც ბურჟუაზიული (გლეხური), ისე მუშათა დემოკრატიის შესახებ III და IV სათათბიროს შემადგენლობა თითქმის არაფერს არ გვეუბნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამი ივნისის სისტემა განზრახ აგებულია დემოკრატიის გამოსარიცხავად. ასევე «ეროვნული» პარტიებიც, ე. ი. რომლებიც «მეთაურ» ეროვნებას არ ეკუთვნიან, სპეციალურად დაჩაგრული და ჩახშობილი არიან 3 ივნისის სისტემით.

ამიტომ ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ მემარჯვენეებს, ოქტიაბრისტებსა და რუს ლიბერალებს — პარტიებს, რომლებიც მტკიცედ მოკალათდნენ სამი ივნისის სისტემაში და რომლებსაც ეს უკანასკნელი იცავს დემოკრატიისაგან, — და ვნახოთ, რა ცვლილებები მოხდა ამ პარტიების შიგნით.

	მესამე სათათბირო		მეოთხე სათათბირო	მეოთხე სათათბიროს შედარება მესამის დასაწყისთან
	1908 წ.	1912 წ.		
მემარჯვენეები.....	144	148	185	+ 41, ე. ი. + 28 %
ოქტიაბრისტები ...	148	120	98	— 50 » » — 34 %
ლიბერალები (პროგრ. და კ.-დ.)	78	88	107	+ 29 » » + 37 %

აქედან ნათლად ჩანს, როგორ დნება ეგრეთწოდებული «ცენტრი» პრივილეგიურ ფენებს შორის და როგორ ძლიერდება მათი მემარჯვენე და ლიბერალური ფრთები. საინტერესოა, რომ მემამულეებსა და ბურჟუაზიაში ლიბერალების რიცხვის ზრდა მიმდინარეობს მემარჯვენეთა ზრდაზე უ ფ რ ო ს წ რ ა ფ ა დ, მიუხედავად უაღრესად სასწრაფო ზომებისა, რომლებიც მთავრობამ მიიღო არჩევნების გაყალბებისათვის მემარჯვენეთა სასარგებლოდ.

არიან ადამიანები, რომლებსაც მხედველობაში აქვთ ეს ფაქტები და ხალისით ამბობენ მაღალფარდოვან სიტყვებს სამი ივნისის სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავების შესახებ, ზომიერ-ბურჟუაზიული პროგრესიზმის მომავალი გამარჯვების შესახებ და სხვ. ამ ადამიანებს ავიწყდებათ, ჯერ-ერთი, რომ, თუ მემამულეებში და განსაკუთრებით ბურჟუაზიაში იზრდება ლიბერალების რაოდენობა, ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება ლიბერალების მემარჯვენე ფრთა, რომელიც მთელ თავის პოლიტიკას მთლიანად აშენებს მემარჯვენეებთან «შერიგებაზე». ამის შესახებ ჩვენ ახლა დაწვრილებით ვიტყვით. მეორე, ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ყბადაღებული «გამემარცხენება ბურჟუაზიისა» მხოლოდ იმის სიმპტომია, რომ ნამდვილად მემარცხენდება დემოკრატია, რომელსაც მარტო ე რ თ ს შეუძლია მოგვცეს მამოძრავებელი ძალები რეჟიმის სერიოზული შეცვლისათვის. მესამე, ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სამი ივნისის სისტემა სპეციალურად ნავარაუდევია იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს, მეტად ფართო ფარგლებში, ლიბერალური ბურჟუაზიისა და მემამულეთა რეაქციულობის ანტაგონიზმი და ამასთანავე მათი გაცილებით უფრო დიდი ს ა ე რ თ ო ანტაგონიზმი მთელ დემოკრატიასთან და განსაკუთრებით მუშათა კლასთან.

შემდეგ. ჩვენს ლიბერალებს უყვართ საქმის ისე წარმოდგენა, რომ ოქტიაბრისტების განადგურება გამოწვეულია «არჩევნების კეთებით», რამაც ამ «მთავრობის უკანასკნელი განკარგულების პარტიას» მხარდაჭერა მოუსპოო და სხვ. ამასთან თვითონ ლიბერალები, რა თქმა უნდა, გამოდიან

პატიოსანი ოპოზიციის, დამოუკიდებელი ადამიანების, თვით «დემოკრატების» როლში, მაშინ როცა სინამდვილეში რომელიმე მაკლაკოვის განსხვავება ოქტიაბრისტებისაგან სავსებით მოჩვენებითია.

შეხედეთ ცვლილებებს, რაც III და IV სათათბიროს შუა პერიოდში მოხდა, იმ ცვლილებებთან შედარებით, რაც III სათათბიროს დასაწყისსა და ბოლოს შუა მოხდა. თქვენ დაინახავთ, რომ III სათათბიროს შიგნით ოქტიაბრისტულმა პარტიამ თავის წევრთა უფრო მეტი რაოდენობა დაკარგა (28), ვიდრე IV სათათბიროს არჩევნებში (22). ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ «არჩევნების კეთება» არ ყოფილა; იგი იყო უაღრესად ზომაგადასული მასშტაბით, განსაკუთრებით დემოკრატიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ გარდა არჩევნების ყოველგვარი კეთებისა, გარდა მთავრობის ზეგავლენისა და «პოლიტიკისა» საერთოდ, რუსეთის შეძლებულ კლასებს შორის მიმდინარეობს პროცესი პარტიული გამიჯვნისა, პროცესი კონტრრევოლუციის მემარჯვენე, ბატონყმურ-რეაქციული ფრთის გამიჯვნისა იმავე კონტრრევოლუციის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ფრთისაგან.

სათათბიროს მემარჯვენე-ოქტიაბრისტული უმრავლესობის ცალკეულ ჯგუფებსა და ფრაქციებს შორის (მემარჯვენეები, ნაციონალისტები, ზომიერი მემარჯვენეები, «ცენტრი», მემარჯვენე ოქტიაბრისტები და სხვ.) განსხვავება ისევე მერყევი, გაურკვეველი, შემთხვევითი, ხშირად ხელოვნურად მოწყობილია, როგორც განსხვავება ოქტიაბრისტულ-ლიბერალური უმრავლესობის შიგნით (მემარცხენე ოქტიაბრისტები, პროგრესისტები, კადეტები). ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელია სრულებითაც არა ის, რომ მთავრობისაგან დამოკიდებულ ოქტიაბრისტებს აძევებს ვითომდა დამოუკიდებელი (თურმე მაკლაკოვი!) კონსტიტუციონალისტ-დემოკრატი. ეს სულელური ლიბერალური არაკია.

დამახასიათებელია ის, რომ მიმდინარეობს ნამდვილი კლასობრივი პარტიების შექმნის პროცესი და, კერძოდ, «ქვეყა-

ნასთან ხელისუფლების შერიგების» შესახებ უაღრესად ოპოზიციური შეძახილებისა და მოთაფლული სიტყვების ხმაურში, მიმდინარეობს კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის პარტიის ჩამოყალიბება.

რუსეთში ყველაზე გავრცელებული ლიბერალური პრესა მთელ ძალღონეს ხმარობს, რომ მიჩქმალოს ეს პროცესი. ამიტომ ერთხელ კიდევ მივმართოთ სათათბიროს სტატისტიკის ზუსტ ცნობებს. გვახსოვდეს, რომ პარტიებზე, ისევე როგორც ცალკეულ ადამიანებზე, უნდა ვმსჯელობდეთ არა მათი სიტყვების, არამედ მათი საქმეების მიხედვით. სინამდვილეში კადეტები და პროგრესისტები ერთად მიდიან ყველაფერში, რაც კი ყველაზე მნიშვნელოვანია, ხოლო ერთნიც და მეორენიც III და IV სათათბიროშიც და ამას წინათ დამთავრებულ არჩევნებშიც ოქტიაბრისტებთან ერთად მიდიოდნენ (ეკატერინოსლავის გუბერნია: როძიანკოს ბლოკი კადეტებთან!) მთელ რიგ საკითხებში.

მაშ დავხედოთ ცნობებს ამ სამი პარტიის შესახებ:

	მესამე სათათბირო		მეოთხე სათათბირო	მეოთხე სათათბიროს შედარება მესამის დასაწყისთან
	1908 წ.	1912 წ.		
ოქტიაბრისტები ...	148	120	98	— 50, ე. ი. — 34 %
პროგრესისტები.....	25	36	48	+ 23 » » + 92 %
კადეტები	53	52	59	+ 6 » » + 11 %

ჩვენ ვხედავთ ოქტიაბრისტების რაოდენობის უდიდეს და განუხრელ შემცირებას; — კადეტების რაოდენობის უმნიშვნელო შემცირებას, შემდეგ მცირე გადიდებას; — პროგრესისტების რაოდენობის უდიდეს და განუხრელ გადიდებას, რომელთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა 5 წლის განმავლობაში.

რომ აგვეღო 1908 წლის ცნობები, რომლებიც ბ-ნ მილიუკოვს მოჰყავს 1912 წლის «ეჟეგოდნიკ რეჩი»-ში, გვ. 77, გაცილებით უფრო რელიეფური სურათი გამოვიდოდა. ბ-ნი

მილიუკოვი ანგარიშობს, რომ III სათათბიროში 1908 წელს იყო 154 ოქტიაბრისტი, 23 პროგრესისტი და 56 კადეტი. IV სათათბიროსთან შედარებით ეს მოგვცემს კადეტთა რაოდენობის სრულიად უმნიშვნელო გადიდებას და პროგრესისტთა რაოდენობის ერთიორად და უფრო მეტად გადიდებას.

პროგრესისტები 1908 წელს კადეტებზე ერთიორად და მეტად სუსტნი იყვნენ. ახლა პროგრესისტების რაოდენობა კადეტების რაოდენობის 80%-ზე მეტს შეადგენს.

მაშასადამე, აშკარავდება ის უდავო ფაქტი, რომ კონტრრევოლუციის პერიოდში (1908 — 1912 წ.წ.) რუსეთის ლიბერალიზმში ყველაზე დამახასიათებელია პროგრესიზმის უდიდესი ზრდა.

ხოლო ვინ არიან პროგრესისტები?

თავიანთი შემადგენლობითაც და თავიანთი იდეოლოგიითაც ესენი არიან ოქტიაბრისტებისა და კადეტების ნარევი.

პროგრესისტებს III სათათბიროში ჯერ კიდევ მშვიდობიან-განმაახლებელნი ერქვათ, და მათი ერთ-ერთი ბელადი, კონტრრევოლუციონერი აზნაური ლვოვი, I სათათბიროში კადეტი იყო. III სათათბიროში პროგრესისტთა რაოდენობა, როგორც ვნახეთ, 25-დან 36-მდე, ე. ი. 11 კაცით გადიდდა; ამ 11 დეპუტატიდან პროგრესისტებთან 9 გადავიდა სხვა პარტიებიდან, სახელდობრ: 1 კადეტებიდან, 2 ზომიერი მემარჯვენეებიდან, 1 ნაციონალისტებიდან და 5 ოქტიაბრისტებიდან.

რუსეთის ლიბერალიზმის პოლიტიკურ წარმომადგენელთა შორის პროგრესისტთა რაოდენობის სწრაფი ზრდა და «ვეხის» წარმატება «საზოგადოებაში» ერთი მედლის ორი მხარეა. პროგრესისტები პრაქტიკულ პოლიტიკაში ახორციელებდნენ იმას, რასაც თეორიაში ქადაგებდა «ვეხი», აფურთხებდნენ რევოლუციას, უარს ამბობდნენ დემოკრატიაზე,

აქებ-ადიდებდნენ ბურჟუაზიის ბინძურ გამდიდრებას, როგორც ღვთის საქმეს ქვეყნად, და სხვ. და ა. შ.

როცა კადეტი მაკლაკოვი ორატორობს ქვეყანასთან ხელისუფლების შერიგების შესახებ, იგი მხოლოდ ხოტბას ასხამს იმას, რასაც პროგრესისტები აკეთებენ.

რაც უფრო მეტი დრო გადის 1905 და 1906 წლების შემდეგ, მით უფრო ნათელი ხდება, თუ რამდენად მართალი იყვნენ მაშინ ბოლშევიკები, რომლებმაც კადეტები ამხილეს იმ მომენტში, როცა კადეტები უაღრესად იყვნენ აღტაცებულნი თავიანთი «გამარჯვებებით», აჩვენეს მათი პარტიის ნამდვილი არსი *, რასაც ახლა სულ უფრო და უფრო ცხადყოფს მოვლენათა მთელი მსვლელობა.

რუსეთის დემოკრატია ვერც ერთ გამარჯვებას ვერ მოიპოვებს, თუ მასებში გადაჭრით არ გამოუთხრის ძირს კადეტების «პრესტიჟს». და პირიქით, კადეტების ფაქტიური შეერთება ვეხელებთან და პროგრესისტებთან ერთ-ერთი პირობა და ერთ-ერთი სიმპტომია დემოკრატიის დარაზმვისა და განმტკიცებისა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

IV. რის გამო წარმოებდა ბრძოლა არჩევნებში?

არჩევნების შესახებ მსჯელობისა და სტატიების უმრავლესობაში ამ საკითხს სულ უფრო მეტად აყენებენ მეორე რიგში ან სულაც ჩქმალავენ. ეს კი საარჩევნო კამპანიის იდეურ-პოლიტიკური შინაარსის საკითხია, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გაურკვევლადაც ყველა დანარჩენი საკითხი, ყველა ჩვეულებრივი ცნობა «ოპოზიციის პროცენტების» შესახებ და სხვ. სავსებით კარგავს ფასს.

ამ საკითხზე ყველაზე გავრცელებული პასუხი ის არის, რომ ბრძოლა წარმოებდა კონსტიტუციის ყოფნა-არყოფნისათვის. ასეთი შეხედულებისა არიან მემარჯვენეები. ასეთი შეხედულებისა არიან ლიბერალები, მთელი მემარჯვენე და

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 10, გვ. 227 — 329.

მთელი ლიბერალური პრესა გამსჭვალულია იმ შეხედულებით, რომ იბრძოდა, არსებითად, ორი ბანაკი, ერთი — კონსტიტუციის სასარგებლოდ, მეორე — კონსტიტუციის წინააღმდეგ. კ.-დ. პარტიის ბელადი, ბ-ნი მილიუკოვი, და ამ პარტიის ოფიციალური ორგანო, «რეჩი», პირდაპირ აყენებდნენ ორი ბანაკის ამ თეორიას და ამასთან კ.-დ. პარტიის კონფერენციის სახელით.

აბა შეხედეთ ამ «თეორიას» არჩევნების შედეგის თვალსაზრისით. როგორ გაუძლო მან სინამდვილის მიერ გამოცდას?

ახალი სათათბიროს პირველი ნაბიჯი აღინიშნა კადეტების ბლოკით ოქტიაბრისტებთან (და მემარჯვენეთა ნაწილთანაც კი) როძიანკოს «კონსტიტუციური» კანდიდატურის შესახებ, რომლის სიტყვასაც, რაც თითქოს კონსტიტუციურ პროგრამას შეიცავდა, კადეტები აღტაცებით მიესალმნენ *.

ოქტიაბრისტების ბელადი როძიანკო, რომელსაც, როგორც ცნობილია, მემარჯვენე ოქტიაბრისტთა რიცხვს აკუთვნებენ, თავის თავს თვლის კონსტიტუციონალისტად, ისევე როგორც კრუპენსკი, «ცენტრის ფრაქციის» ანუ კონსერვატიული კონსტიტუციონალისტების ბელადი.

იმის თქმა, რომ ბრძოლა კონსტიტუციისათვის წარმოებდაო, არაფრის თქმას ნიშნავს, ვინაიდან მაშინვე იბადება კითხვა, რ ო მ ე ლ კონსტიტუციაზეა ლაპარაკი? კრუპენსკის ყაიდის კონსტიტუციაზე? თუ როძიანკოსი? თუ ეფრემოვლოვისა? თუ მაკლაკოვ-მილიუკოვისა? ამას მოჰყვება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კითხვა, კითხვა არა სურვილების, განცხადებების, პროგრამების შესახებ, — რომლებიც ქაღალდზე რჩება, — არამედ სასურველის მიღწევის ნამდვილ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა შესახებ.

* «რეჩის» მაშინდელ სტატიებს გარდა იხ. ბ-ნ მილიუკოვის განცხადება სათათბიროში 1912 წ. 13 დეკემბერს: «თავმჯდომარემ (როძიანკომ) წარმოთქვა სიტყვა,... გააკეთა თავისი დეკლარაცია, რ ო მ ე ლ ი ც ჩ ვ ე ნ ჩ ვ ე ნ ა დ მ ი ვ ი ჩ ნ ი ე თ» («რეჩი», № 343, 14 დეკემბერი)!! აი როგორია კადეტების კონსტიტუციური (ნუ ეხუმრებით!) დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა!

ამ უმთავრეს (და ერთადერთ სერიოზულ) პუნქტში უარ-უყოფელი და უდავოდ-სწორი რჩება «რეჩის» მიერ 1912 წელს გადაბეჭდილი (№ 117) განცხადება ბ-ნ გრედესკულისა იმის შესახებ, რომ ახალი რევოლუცია საჭირო არ არის, იმის შესახებ, რომ საჭიროა «მხოლოდ კონსტიტუციური მუშაობა». ეს განცხადება კადეტებს ი დ ე უ რ-პ ო ლ ი ტ ი-კ უ რ ა დ გაცილებით უფრო მტკიცედ და ღრმად აერთიანებს ოქტიაბრისტებთან, ვიდრე კონსტიტუციისადმი და თვით... დემოკრატიისადმი ერთგულების ათასგზისი ფიცი ვითომდა აშორებს მათ.

ყველა გაზეთიდან, რომლებსაც რუსეთში კითხულობენ, ალბათ დაახლოებით 90%-ს ოქტიაბრისტული და ლიბერალური გამოცემები შეადგენენ. უნერგავს რა მკითხველებს აზრს ორი ბანაკის შესახებ, რომელთაგან ერთი კონსტიტუციის მომხრეა, მთელი ეს პრესა უდიდეს გამრყვნელ მოქმედებას ახდენს მასების პოლიტიკურ შეგნებაზე. მხოლოდ ის რად ღირს, რომ მთელი ეს კამპანია მთავრდება როძიანკოს «კონსტიტუციური» დეკლარაციით, რომელსაც მილიუკოვი ილებს!

საკმაო საფუძველი არა აქვს, საქმის ასეთი ვითარების გამო, პოლიტიკური მეცნიერების ძველ — და ბევრის მიერ დავიწყებულ — ჭეშმარიტებათა გამეორებას. რა არის კონსტიტუცია? ი ს ა ჭ ი რ ბ ო რ ო ტ ო საკითხი რუსეთში.

კონსტიტუცია არის გარიგება ძველი (თავადაზნაურული, ბატონყმური, ფეოდალური, აბსოლუტისტური) საზოგადოების ისტორიულ ძალებსა და ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის. ამ გარიგების რეალურ პირობებს, ძველის დათმობათა ან ლიბერალური ბურჟუაზიის გამარჯვებათა ოდენობას, განსაზღვრავს ძველის ძალებზე დემოკრატიის, ხალხის ფართო მასების (და პირველ რიგში მუშების) გამარჯვებათა წარმატებანი.

ჩვენი საარჩევნო კამპანია შეიძლებოდა დამთავრებულიყო მილიუკოვის მიერ როძიანკოს «დეკლარაციის» მიღე-

ბით მხოლოდ იმიტომ, რომ სინამდვილეში ლიბერალიზმი ცდილობს მიაღწიოს არა ძველის პრივილეგიების (ეკონომიური, პოლიტიკური და სხვა პრივილეგიების) მოსპობას, არამედ მათ გაყოფას (მოკლედ რომ ვთქვათ) მემამულეებსა და ბურჟუაზიას შორის. ლიბერალიზმს დემოკრატიის სახალხო, მასობრივი მოძრაობისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა: აი საიდან წარმოდგება ლიბერალიზმის საოცარი, კაპიტალის ეკონომიური ძალის თვალსაზრისით, უძლურება პოლიტიკაში.

3 ივნისის სისტემაში ლიბერალიზმს აქვს შესაწყნარებელი, ნახევრად-ლეგალური ოპოზიციის მონოპოლია, და ახალი პოლიტიკური გამოცოცხლების (ვხმარობთ მეტად სუსტ და არაზუსტ სიტყვას) დაწყება ახალი, მზარდი, დემოკრატიის ფართო ფენებს ამ მონოპოლისტების გავლენის ქვეშ აყენებს. ამიტომ რუსეთში პოლიტიკური თავისუფლების საკითხის მთელი არსი ამჟამად სწორედ იმის ცხადყოფაა, რომ იბრძვის არა ორი, არამედ სამი ბანაკი, ვინაიდან მხოლოდ ამ უკანასკნელ ბანაკს, რომელსაც ლიბერალები ჩქმალავენ, ნამდვილად აქვს ძალა განახორციელოს პოლიტიკური თავისუფლება.

1912 წლის არჩევნებში ბრძოლა სრულებითაც არ წარმოებდა «კონსტიტუციის გამო», ვინაიდან კადეტები, მთავარი ლიბერალური პარტია, რომელიც უმთავრესად ესხმოდა თავს ოქტიაბრისტებს და ამარცხებდა მათ, შეუერთდნენ როძიანკოს დეკლარაციას. ბრძოლა, სამი ივნისის სისტემის პოლიციური მარწუხით შევიწროებული, წარმოებდა დამოუკიდებელი, ლიბერალიზმის მერყეობისა და «ოქტიაბრისტული სიმპათიებისაგან» თავისუფალი, დემოკრატიის გამოღვიძების, განმტკიცების, დარაზმვის გამო.

აი რატომ არის, რომ საარჩევნო კამპანიის ნამდვილი იდეურ-პოლიტიკური შინაარსის მხოლოდ-«პარლამენტური» თვალსაზრისით განხილვა ძირითადი შეცდომაა. ყველა «კონსტიტუციურ» პროგრამასა და პლატფორმაზე ასჯერ

უფრო რეალურია ის საკითხი, თუ როგორ ეპყრობოდნენ სხვადასხვა პარტიები და ჯგუფები პოლიტიკურ საგაფიცვო მოძრაობას, რომლითაც 1912 წელი აღინიშნა.

ყოველი ქვეყნის ბურჟუაზიული პარტიების პროლეტარული პარტიებისაგან გამოყოფის ერთ-ერთი საუკეთესო შესამოწმებელი საშუალებაა: დამოკიდებულება ეკონომიური გაფიცვებისადმი. თუ ცნობილი პარტია თავის პრესაში, თავის ორგანიზაციებში, თავის საპარლამენტო გამოსვლებში მუშებთან ერთად ა რ იბრძვის ეკონომიურ გაფიცვებში, — ეს პარტია ბურჟუაზიული პარტიაა, რარიგადაც არ უნდა ფიცულობდეს იგი თავის «ხალხურობას», თავის «რადიკალურ სოციალიზმს» და სხვ. რუსეთში, **mutatis mutandis** (სათანადო ცვლილებებით), იგივე უნდა ითქვას პარტიებზე, რომლებსაც სურთ დემოკრატიულ პარტიებად იწოდებოდნენ: ნუ ფიცულობ იმას, რომ რომელიღაც ქაღალდზე დაგიწერია კონსტიტუცია, საყოველთაო საარჩევნო უფლება, კოალიციების თავისუფლება, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა და სხვ., ეს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი გ რ ო შ ა დ არა ღირს, არამედ მაჩვენე შენი ს ა ქ მ ე ე ბ ი 1912 წლის პოლიტიკური საგაფიცვო მოძრაობის მიმართ! ეს კრიტერიუმიც ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა რ ი ს სრული, მაგრამ ეს მაინც საქმიანი კრიტერიუმია და არა ფუჭი დაპირება.

V. საარჩევნო ლოზუნგების შემოწმება ცხოვრების მიერ

საარჩევნო კამპანია იმიტომაა უაღრესად საინტერესო ყოველი შეგნებული პოლიტიკური მოღვაწისათვის, რომ იგი იძლევა ო ბ ი ე ქ ტ უ რ მასალას იმ საკითხზე, თუ როგორია საზოგადოების სხვადასხვა კ ლ ა ს ე ბ ი ს შეხედულებანი, განწყობილება და, მაშასადამე, ინტერესებიც. წარმომადგენლობითი დაწესებულების არჩევნები ამ მხრივ შეიძლება შედარდეს მოსახლეობის აღწერას: არჩევნები იძლევა პოლიტიკურ სტატისტიკას. რა თქმა უნდა, ეს სტატისტიკა კარ-

გიც არის ხოლმე (საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების დროს) და ცუდიც (ჩვენი, უკაცრავად პასუხია, პარლამენტის არჩევნები); რა თქმა უნდა, საჭიროა ვისწავლოთ ამ სტატისტიკის, — ისევე როგორც ყოველი სხვა სტატისტიკის, — კრიტიკა და კრიტიკულად გამოყენება. ბოლოს, რა თქმა უნდა, ეს სტატისტიკა უნდა ავიღოთ საერთოდ მთელ სოციალურ სტატისტიკასთან დაკავშირებით, და, მაგალითად, გაფიცვების სტატისტიკა იმათთვის, ვინც პარლამენტური კრეტინიზმის სენით არ არის დაავადებული, ხშირად ასჯერ უფრო სერიოზული და ღრმა აღმოჩნდება, ვიდრე არჩევნების სტატისტიკა.

მაგრამ ყველა ამ შენიშვნის შემდეგ უეჭველი რჩება, რომ არჩევნები ობიექტურ მასალას იძლევა. სუბიექტურ სურვილთა, განწყობილებათა, შეხედულებათა შემოწმება მოსახლეობის მასების მიერ ხმის მიცემის მხედველობაში მიღებით, მასებისა, რომლებიც სხვადასხვა კლასებს ეკუთვნიან, მუდამ ძვირფასი უნდა იყოს პოლიტიკოსისათვის ამ სიტყვის რამდენადმე სერიოზული მნიშვნელობით. პარტიების ბრძოლა სინამდვილეში, ამომრჩევლის წინაშე, შედეგების შეჯამებით — მუდამ იძლევა მასალას, რომელიც ამოწმებს — რამდენად გვესმის ის, თუ როგორია საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა ქვეყანაში, როგორია ამა თუ იმ «ლოზუნგების» მნიშვნელობა.

სწორედ ამ თვალსაზრისით შეეცდებით შეხედოთ არჩევნების შედეგებს.

პოლიტიკური სტატისტიკის საკითხზე მთავარი, რაც აქ უნდა ითქვას, ეს არის მისი დიდი ნაწილის უვარგისობა ადმინისტრაციის «ზომების» უაღრესად უსირცხვილო გამოყენების გამო: «ახსნა-განმარტება», ზეგავლენა, დაპატიმრება, გადასახლება და სხვ. და ა. შ. დაუსრულებლივ. მაგალითად, ბ-ნი ჩერევანინი, რომელიც «ნაშა ზარიას» № 9 — 10-ში აჯამებს ცნობებს სხვადასხვა კურიის რამდენიმე ასეული ამრჩევის შესახებ, იძულებულია აღიაროს, რომ «სასა-

ცილო იქნებოდა» მე-2 საქალაქო კურიასა და გლეხთა კურიაში ოპოზიციონერ ამრჩევთა პროცენტის შემცირება (III სათათბიროს არჩევნებთან შედარებით) მიგვეჩნია გამემარჯვენების დამადასტურებელ საბუთად. ერთადერთი კურია, რომლის მიმართაც მიმრეცოვებმა, ხვოსტოვებმა, ტოლმაჩოვებმა, მურატოვებმა და კომპანიამ ვერ შეძლეს სიყალბის ჩადენა, 1-ლი საქალაქო კურია იყო. და მან გვიჩვენა «ოპოზიციონერ» ამრჩევთა რაოდენობის ზრდა 56%-დან 67%-მდე, მაშინ როცა ოქტიაბრისტთა რაოდენობა შემცირდა 20%-დან 12%-მდე, ხოლო მემარჯვენეებისა — 24%-დან 21%-მდე.

მაგრამ თუ «ახსნა-განმარტებამ» გააქარწყლა მნიშვნელობა საარჩევნო სტატისტიკისა ამრჩევთა შესახებ, თუ დემოკრატიულმა კლასებმა, რომლებიც საერთოდ გამორიცხული არიან პრივილეგიურ სამივნისელთაგან, თავიანთ თავზე გამოცადეს ამ ახსნა-განმარტების მთელი მშვენიერება, დემოკრატიისადმი ლიბერალიზმის დამოკიდებულებამ მაინც იჩინა თავი არჩევნებში. ამ პუნქტის შესახებ მაინც ობიექტური მასალა გამოვიდა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ცხოვრების გამოცდილებით შევამოწმოთ ის, რასაც სხვადასხვა «მიმდინარეობანი» არჩევნებამდე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ.

დემოკრატიისადმი ლიბერალიზმის დამოკიდებულების საკითხი სრულიადაც არ არის «მხოლოდ პარტიული» საკითხი, ე. ი. ისეთი საკითხი, რომელიც არსებითია მხოლოდ ერთერთი მტკიცე-პარტიული ხაზის თვალსაზრისით. არა. ეს საკითხი ყველაზე არსებითია ყველასათვის, ვინც რუსეთში პოლიტიკური თავისუფლებისაკენ ისწრაფვის. ეს საკითხი სწორედ ის საკითხია, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული საერთო მისწრაფების საგანი ყოველივე იმისა, რაც კი რუსეთში წესიერი და პატიოსანია.

1912 წელს საარჩევნო კამპანიას რომ იწყებდნენ, მარქსისტები სწორედ ქვაკუთხედად სახავდნენ თანმიმდევრუ-

ლი დემოკრატიზმის ლოზუნგებს ლიბერალური მუშათა პოლიტიკის საწინააღმდეგოდ. ამ ლოზუნგების შემოწმება ორნაირად შეიძლება: ჯერ-ერთი, მსჯელობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეორე, 1912 წლის კამპანიის გამოცდილებით. სწორია თუ არა მარქსისტთა ლოზუნგები, ეს ახლა იქიდან უნდა ჩანდეს, თუ სინამდვილეში როგორი ურთიერთობა შეიქმნა ლიბერალებსა და დემოკრატებს შორის. ლოზუნგების ამ შემოწმების ობიექტივიზმი სწორედ ის არის, რომ ისინი ჩვენ თვითონ კი არ შეგვიმოწმებია, არამედ შეამოწმეს მასებმა, და არა მარტო საერთოდ მასებმა, არამედ კერძოდ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა.

შეიქმნა თუ არა არჩევნებში და არჩევნების შედეგად ლიბერალებისა და დემოკრატიის ისეთი ურთიერთობა, როგორსაც მარქსისტები მოელოდნენ? თუ ისეთი, როგორსაც ლიბერალები მოელოდნენ? თუ ისეთი, როგორსაც ლიკვიდატორები მოელოდნენ?

ამ საკითხში რომ გავერკვეთ, ჯერ უნდა გავიხსენოთ ყველა ეს «მოლოდინი». 1912 წლის თვით დასაწყისში, როცა არჩევნების საკითხი ის იყო აღიძრა, როცა კადეტებმა (თავიანთ კონფერენციაზე) ააფრიალეს ერთიანი ოპოზიციის (ე. ი. ორიბანაკის) და მემარცხენე ოქტიაბრისტებთან ბლოკების დასაშვებლობის დროშა, — მუშათა პრესამ აღძრა ლოზუნგების საკითხი «ჟივოე დელოში» დაბეჭდილ მარტოვისა და დანის სტატიებში, «ზვეზდაში» (№№ 11 (47) და 24 (60), ხოლო «ჟივოე დელო» №№ 2, 3 და 8) დაბეჭდილ ფ. ლ-კოს[126] და სხვების სტატიებში.

მარტოვი აყენებს ლოზუნგს: «განვდევნოთ რეაქცია იმ პოზიციებიდან, რომლებიც მას სათათბიროში უკავია»; დანი — «ხელიდან გამოვგლიჯოთ სათათბირო რეაქციას». მარტოვი და დანი «ზვეზდას» უსაყვედურებდნენ, რომ იგი ემუქრება ლიბერალებს და ცდილობს გამოსძალოს ლიბერალებს ადგილები სათათბიროში.

სამი პოზიცია დაისახა ნათლად:

1) კადეტები ემხრობიან ერთიან ოპოზიციას (ე. ი. 2 ბანაკს) და მემარცხენე ოქტიაბრისტებთან ბლოკების დაშვებას.

2) ლიკვიდატორები ემხრობიან ლოზუნგს: «ხელიდან გამოვგლიჯოთ სათათბირო რეაქციას», გავუადვილოთ კადეტებს და პროგრესისტებს «ხელისუფლების სათავეში მოქცევა» (მარტოვი «ჟივოე დელოს» № 2-ში). არ გამოვძალოთ ლიბერალებს ადგილები დემოკრატებისათვის.

3) მარქსისტები წინააღმდეგი არიან ლოზუნგისა: «ხელიდან გამოვგლიჯოთ რეაქციას სათათბირო», ვინაიდან ეს ნიშნავს ,ხელიდან გამოვგლიჯოთ რეაქციას მემამულე. «ჩვენი პრაქტიკული ამოცანა არჩევნებში არის სრულებითაც არა «რეაქციის განდევნა იმ პოზიციებიდან, რომლებიც მას სათათბიროში უკავია», არამედ საერთოდ დემოკრატიის, განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის გაძლიერება» (ფ. ლ-კო «ზვეზდის» № 11 (47)-ში) *. ლიბერალებს უნდა დავემუქროთ, გამოვძალოთ მათ ადგილები, გავუმართოთ მათ ბრძოლა, არ შევუშინდეთ შავრაზმული საფრთხის შესახებ ყვირილით დაშინებას (იგივე № 24 (60)-ში **). ლიბერალები -«ხელისუფლებას ექცევიან სათავეში» მხოლოდ მაშინ, როცა იმარჯვებს დემოკრატია წინააღმდეგ ლიბერალიზმის მერყეობისა.

მარქსისტებისა და ლიკვიდატორების უთანხმოება მეტისმეტად ღრმა და შეურიგებელია, რა ადვილადაც არ უნდა ეჩვენებოდეთ სხვადასხვა გულკეთილ ადამიანებს შეურიგებელის სიტყვიერად შერიგება. «ხელიდან გამოვგლიჯოთ რეაქციას სათათბირო» — ეს იდეების მთელი წრეა, პოლიტიკის მთელი სისტემაა, რომელიც ობიექტურად ნიშნავს ჰეგემონიის გადაცემას ლიბერალებისათვის. «ხელიდან გამოვგლიჯოთ დემოკრატია ლიბერალებს» — პოლიტიკის საწინააღმდეგო სისტემაა, რომელიც იმას ემყარება, რომ მხოლოდ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 586. რედ.

** იქვე, გვ. 673 — 674. რედ.

ლიბერალებზე დამოკიდებულებისაგან თავდაღწეულ დემოკრატიას ძალუძს ნამდვილად ძირი გამოუთხაროს რეაქციას.

აბა შეხედეთ, ნამდვილად რა გამოვიდა იმ ბრძოლიდან, რომელზეც ასე მსჯელობდნენ და ბჭობდნენ მის დაწყებამდე.

მოწმედ, რომელიც ბრძოლის შედეგებს განსაზღვრავს, მოვიყვანოთ ბ-ნი ვ. ლევიცკი «ნაშა ზარიადან» (№ 9—10), — ალბათ, ამ მოწმეს უკვე არავინ დასწამებს «ზვეზდისა» და «პრავდის» ხაზისადმი მიკერძებას.

ეს მოწმე აი როგორ განსაზღვრავს ბრძოლის შედეგებს მე-2 საქალაქო კურიაში — როგორც ცნობილია, ერთადერთ კურიაში, რომელშიც არჩევნები ოდნავ მაინც წააგავდა «ევროპულ» არჩევნებს და რომელშიც არის თუნდაც სულ მცირე შესაძლებლობა შეჯამებულ იქნეს ლიბერალიზმისა და დემოკრატიის «შეხვედრათა» შედეგები.

მოწმეს დაუთვლია ს.-დ. 63 გამოსვლა, რომელთაგან 5 შემთხვევაში იყო იძულებითი უარის თქმა კანდიდატურაზე, 5 შემთხვევაში სხვა პარტიებთან შეთანხმება და 53 დამოუკიდებელი გამოსვლა. ამ 53 შემთხვევიდან 4 იყო 4 დიდ ქალაქში და 49 ამრჩევთა არჩევნების დროს.

ამ 49 შემთხვევიდან 9 შემთხვევაში გამოურკვეველია, ვის ებრძოდნენ ს.-დ.; 3 შემთხვევაში — მემარჯვენეებს (სამივე შემთხვევაში გაიმარჯვეს ს.-დ.); 1 შემთხვევაში ტრუდოვიკებს (გაიმარჯვეს ს.-დ.); დანარჩენ 36 შემთხვევაში — ლიბერალებს (21 შემთხვევაში გაიმარჯვეს ს.-დ.; 15-ში — დამარცხდნენ).

რუს ლიბერალებს რომ გამოვყოფთ, მივიღებთ მათ წინააღმდეგ ს.-დ. ბრძოლის 21 შემთხვევას. აი შედეგები:

	გაიმარჯვეს		სულ
	ს.-დ-ებმა	ს.-დ-ის მოწინააღმდეგეებმა	შემთხვევა
ს.-დ. კადეტების წინააღმდეგ.....	7	8	15
ს.-დ. სხვა ლიბერალების წინააღმდეგ*	4	2	6
სულ	11	10	21

მაშასადამე, ს.-დ-ების მთავარი მოწინააღმდეგე იყვნენ ლიბერალები (36 შემთხვევა წინააღმდეგ სამისა); სოციალ-დემოკრატებს მთავარი დამარცხებანი კადეტებმა მიაყენეს.

შემდეგ, შეთანხმების 5 შემთხვევიდან ორ შემთხვევაში იყო ოპოზიციის საერთო შეთანხმება მემარჯვენეების წინააღმდეგ; სამ შემთხვევაში «საქმე შეიძლება ეხებოდეს მემარცხენეთა ბლოკს კ.-დ. წინააღმდეგ» (ხაზგასმა ჩემია; «ნაშა ზარია» № 9 — 10, გვ. 98). მაშასადამე, შეთანხმებათა რაოდენობა საერთოდ გამოსვლის შემთხვევათა რაოდენობის 1/10-ზე ნაკლებია. შეთანხმებათა 60% კ.-დ. წინააღმდეგ შეთანხმებებია.

ბოლოს, 4 დიდ ქალაქში შედეგები ასეთია:

	მიიღეს ხმები (მაქსიმალური ციფრები):			
			რიგა	
	სპბ.	მოსკოვი	1-ლი არჩევნები	ხელახ. არჩევნები
კადეტებმა.....	19 376	20 310	3 754	5 517
სოც.-დემოკრატებმა....	7 686	9 035	4 583	4 570
ოქტიაბრისტებმა.....	4 547	2 030	3 674	—
მემარჯვენეებმა	1 990	1 073	272	—
ტრუდოვიკებმა.....	1 075	—	—	—

მაშასადამე, ყველა 4 დიდ ქალაქში ს.-დ. ებრძვიან კადეტებს, ამასთან 1 შემთხვევაში კ.-დ. იმარჯვებენ ხელახალ არჩევნებში ოქტიაბრისტების დახმარებით

* პროგრესისტები და კ.-დ. პროგრესისტებთან ან ტრუდოვიკებთან ერთად.

(ასეთებს ვაკუთვნებთ «ბალტიისპირეთის კონსტიტუციური პარტიის» კანდიდატს).

თვით მოწმის დასკვნა:

«ქალაქის დემოკრატიის წარმომადგენლობაზე კადეტების მონოპოლიას ბოლო ეღება. ამ დარგში ს.-დ-ის უახლოესი ამოცანაა ლიბერალიზმისათვის წარმომადგენლობის წართმევა ყველა 5 ქალაქში, რომლებსაც დამოუკიდებელი წარმომადგენლობა აქვთ. ამისათვის ფსიქოლოგიური» (??) «და ისტორიული» (ეკონომიური რაღა იქნა?) «წინაპირობები — დემოკრატი ამომრჩევლის «გამემარცხენება», კ.-დ. პოლიტიკის უნიადაგობა და პროლეტარული თვითმოქმედების ახალი გამოღვიძება უკვე არსებობს» («ნაშა ზარია», ციტ. წიგნი, გვ. 97).

VI. კ.-დ. პარტიის შესახებ ილუზიების «დასასრული»

1. ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ «ერთიანი ოპოზიციის» ან «ორი ბანაკის» კადეტური ლოზუნგის ნამდვილი მნიშვნელობა იყო დემოკრატიის მოტყუება, ლიბერალების მიერ მოტყუებით მითვისება დემოკრატიული გამოღვიძების ნაყოფისა, ლიბერალების მიერ შ ე კ ვ ე ც ა, მ ო დ უ ნ ე ბ ა, დ ა უ ძ ლ უ რ ე ბ ა იმ ერთადერთი ძალის ამ გამოღვიძებისა, რომელსაც ძალუძს წინ წაიყვანოს რუსეთი.

2. ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ «აშკარა», «ევროპული» საარჩევნო ბრძოლის რამდენადმე მსგავსი ერთადერთი საარჩევნო ბრძოლა იყო ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ დემოკრატიის გამოგლეჯა ლიბერალების ხელიდან. ეს ლოზუნგი ც ო ც ხ ა ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა იყო, ეს ლოზუნგი გამოხატავდა ახალი მოძრაობისათვის ახალი დემოკრატიის გამოღვიძებას, რაც რეალურად მიმდინარეობს. ხოლო ლიკვიდატორების ლოზუნგი «საათბიროს გამოგლეჯა რეაქციის ხელიდან» იყო ლიბერალურ-ინტელიგენტური წრის დამპალი გამონაგონი.

3. ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ მხოლოდ ის «გააფთრებული» ბრძოლა კადეტების წინააღმდეგ, მხოლოდ ის «კადეტჭამიობა», რასაც გვისაყვედურებდნენ ლიბერალების უხასიათო მსახურნი, ლიკვიდატორები, გამოხატავდა ნამდვილი

მასობრივი კამპანიის ნამდვილ საჭიროებას, ვინაიდან კადეტები სინამდვილეში უ ფ რ ო უ ა რ ე ს ი აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩვენ მათ ვსახავდით. კადეტები აღმოჩნდნენ შავრაზმელთა პირდაპირი მოკავშირეები ს.-დ. პრედკალნის წინააღმდეგ, ს.-დ. პოკროვსკის წინააღმდეგ! [127].

ეს ხომ ისტორიული გარდატეხაა რუსეთში: შავრაზმელები, რომლებიც კადეტებისადმი სიძულვილში სიბრმავემდე მიდიოდნენ, მთავარ მტერს კადეტებში ხედავდნენ, მოვლენათა მსვლელობამ იქამდე მიიყვანა, რომ კადეტები გაჰყავდათ ს.-დ-ის წინააღმდეგ. ამ ვითომდა-პატარა ფაქტით გამოიხატება უდიდესი პარტიული ძვრა, რომელიც გვიჩვენებს, თუ არსებითად რა ზერელე იყო შავრაზმელების გალაშქრება კ.-დ. წინააღმდეგ და პ ი რ ი ქ ი თ, — პურიშკევიჩმა და მილიუკოვმა არსებითად რა ადვილად ი პ ო ვ ე ს თ ა ვ ი ა ნ თ ი თ ა ვ ი, იპოვეს თავიანთი ერთიანობა ს.-დ. წინააღმდეგ.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, არათუ არ ვამცირებდით კადეტებთან შესაძლო ბლოკებს (მე-2 სტადიაში და სხვ.), არამედ სულ უფრო ვ ა ზ ვ ი ა დ ე ბ დ ი თ მათ, ვინაიდან ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ი მოხდა მთელი რიგი შემთხვევები კადეტების ბლოკისა ოქტიაბრისტებთან ჩვენ წინააღმდეგ! ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უ ა რ ი ვ თ ქ ვ ა თ (როგორც სურდა ზოგიერთ გუშინდელ უგუნურად გულმოდგინე ოტზოვისტსა და მათს მეგობრებს) გამოვიყენოთ მთელ რიგ შემთხვევებში, მაგალ., საგუბერნიო საარჩევნო კრებებში, ჩვენი ბლოკები კადეტებთან მემარჯვენეთა წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ს ა ე რ თ ო ხ ა ზ ი (3 ბანაკი; დემოკრატია კ.-დ. წინააღმდეგ) დაადასტურა და კიდევ უფრო განამტკიცა ცხოვრებამ.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ბბ. ლევიცკიმ, ჩერევანინმა და «ნაშა ზარიას» სხვა თანამშრომლებმა ყოველგვარი ქების ღირსი გულმოდგინებითა და ბეჯითობით შეაგროვეს ძვირფასი მასალა არჩევნების ჩვენი სტატისტიკისათვის. სამწუხაროა, რომ მათ არ შეუჯამებიათ მასალა —

რომელიც, ჩანს, ჰქონდათ — ს.-დ. წინააღმდეგ ოქტიაბრისტებთან და მემარჯვენეებთან კადეტების პირდაპირი და არაპირდაპირი ბლოკების შემთხვევათა რაოდენობის **შესახებ.**

პრედკალნი და პოკროვსკი მარტონი როდი არიან; საგუბერნიო საარჩევნო კრებებში კიდევ ბევრი იყო ანალოგიური შემთხვევა. ისინი არ უნდა დავივიწყოთ. მათ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

შემდეგ. ჩვენს «მოწმეს», რომელიც იძულებული იყო გაეკვეთებინა ზემომოყვანილი დასკვნები კადეტების შესახებ, სრულებით არ უფიქრია, თუ კ.-დ. პარტიის რა შეფასება დაადასტურა ამ დასკვნებმა. ვინ უწოდებდა კადეტებს ქალაქის დემოკრატიის პარტიას? და ვინ ამტკიცებდა 1906 წლის მარტიდან, თუ უფრო ადრეც არა, რომ ეს ლიბერალური პარტია დემოკრატი ამომრჩევლის მოტყუებით ბოგინობს?

ახლა ლიკვიდატორები, როგორც გულმავიწყი ივანეები, ამღერდნენ: «კადეტების მონოპოლიას ბოლო ეღებაო»... მაშასადამე, «მონოპოლია» ყოფილა? რას ნიშნავს ეს? მონოპოლია არის კონკურენციის აცილება. იყო თუ არა 1906 — 1907 წლებში ს.-დ. კონკურენცია კადეტების წინააღმდეგ უფრო მეტად აცილებული, ვიდრე 1912 წელს??

ბ-ნი ვ. ლევიცკი იმეორებს ვულგარულ ფრაზას და არ უფიქრდება მის მიერ წარმოთქმულ სიტყვების აზრს. მონოპოლია მას «უბრალოდ» იმ აზრით ესმის, რომ სჭარბობდნენ კ.-დ., ხოლო ახლა ამას ბოლო ეღება. მაგრამ თუ თქვენ მარქსიზმზე აცხადებთ პრეტენზიას, ბატონებო, ოდნავ მაინც უნდა უფიქრდებოდეთ პარტიების კლასობრივი ხასიათის საკითხს და არა ასე უდარდელად ეკიდებოდეთ თქვენს გუშინდელ განცხადებებს.

თუ კ.-დ. ქალაქის დემოკრატიის პარტიაა, მაშინ მათი სიჭარბე არის არა «მონოპოლია», არამედ ქალაქის დემოკრატიის კლასობრივი ინტერესების შედეგი! ხოლო თუ მათი სიჭარბე ორიოდე წლის შემდეგ «მონოპოლია», ე. ი. შემთხ-

ვევითი და არანორმალური რამ აღმოჩნდა კაპიტალიზმის საერთო და ძირითადი კანონების და კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასების თანაფარდობის თვალსაზრისით, — მაშინ, მაშასადამე, გამოდის, რომ ის ადამიანები, რომლებსაც კ.-დ. ქალაქის დემოკრატიის პარტიად მიაჩნდათ, ოპორტუნისტები იყვნენ, ემორჩილებოდნენ წუთიერ წარმატებას, ქედს იხრიდნენ კადეტიზმის მოდური ბრწყინვის წინაშე, შორდებოდნენ კადეტების მარქსისტულ კრიტიკას და გადადიოდნენ მათ წინაშე ლიბერალურ მლიქვნელობაზე.

ბ-ნ ვ. ლევიცკის დასკვნა მთლიანად, სიტყვასიტყვით, ადასტურებს ბოლშევიკების მიერ 1907 წელს ლონდონში მიღებულ იმ გადაწყვეტილებას კ.-დ. პარტიის კლასობრივი ბუნების შესახებ, რომლის წინააღმდეგაც გააფთრებით ილაშქრებდნენ მენშევიკები. თუ ქალაქის დემოკრატია მიჰყვებოდა კადეტებს «ტრადიციის გამო და იმიტომ, რომ მას პირდაპირ ატყუებდნენ ლიბერალები», როგორც ნათქვამია ამ გადაწყვეტილებაში, მაშინ სავსებით გასაგებია, რომ 1908 — 1911 წლების მძიმე გაკვეთილებმა გაფანტეს «კონსტიტუციური ილუზიები», ძირი გამოუთხარეს «ტრადიციას», ამხილეს «მოტყუება» და ამით ბოლო მოუღეს «მონოპოლიას».

ჩვენს დროში ძლიერ გავრცელებულია წარსულის ნებსითი და უნებლიე დავიწყება, — უაღრესად ქარაფშუტული დამოკიდებულება ზუსტი, პირდაპირი, ნათელი პასუხებისადმი პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და 1905 — 1907 და 1908 — 1912 წლების მდიდარი გამოცდილებით ამ პასუხების შემოწმებისადმი. გამოღვიძებული დემოკრატიისათვის არაფერი არ არის ისე დამღუპველი, როგორც ასეთი დავიწყება და ასეთი დამოკიდებულება.

VII. ერთ «უდიდეს საშიშროებაზე თავადაზნაურული მიწათმფლობელობისათვის».

საარჩევნო ბრძოლის შედეგებს რომ აჯამებს, ბ-ნი ჩერევანინი ანგარიშობს, რომ ოპოზიციას «წმინდა ხელოვნური გზით, მხოლოდ სავსებით განსაკუთრებული ღონისძიებებით წაერთვა 49 ადგილი». ნამდვილად მოპოვებული ადგილებისათვის ამ ადგილების მიმატება იძლევა, მისი აზრით, რიცხვს 207-ს, ე. ი. აბსოლუტურ უმრავლესობაზე სულ 15-ით ნაკლებს. ავტორის დასკვნაა: «სამი ივნისის სისტემის ნიადაგზე, საგანგებო ხელოვნურ ღონისძიებათა მიუღებლად, თავადაზნაურულ-ბატონყმური რეაქცია არჩევნებში სრულ და გადამწყვეტ (??!) დამარცხებას განიცდიდა».

«თავადაზნაურული მიწათმფლობელობისათვის ამ უდიდესი საშიშროების წინაშე»... — განაგრძობს ავტორი — ხუცესთა შეტაკებას მემამულეებთან მნიშვნელობა არა აქვს (ციტ. წიგნის გვ. 85).

აი რეაქციის ხელიდან სათათბიროს გამოგლეჯის ლოზუნგის შედეგი! ჩერევანინმა სასტიკად დასაჯა მარტოვი იმით, რომ აბსურდამდე მიიყვანა მისი ლოზუნგი და «საარჩევნო ბრძოლის შედეგებთან» ერთად, ასე ვთქვათ, განამტკიცა ლიკვიდატორული ილუზიების შედეგები.

IV სათათბიროში პროგრესისტულ-კადეტური უმრავლესობა იქნებოდა «უ დ ი დ ე ს ი ს ა შ ი შ რ ო ე ბ ა თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ უ ლ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს»! ეს პირდაპირ მარგალიტია.

მაგრამ ეს სიტყვის წამოცდომა კი არა, არამედ გარდუვალი შედეგია მთელი იდეური შინაარსისა, რომლის ჩაქსოვასაც საარჩევნო კამპანიაში ლიბერალები და ლიკვიდატორები ცდილობდნენ.

კადეტებთან შედარებით პროგრესისტების როლის გიგანტურად გადიდება, — ამ პროგრესისტების მიერ პოლიტიკაში კადეტების მთელი რენეგატობის (ვეხიზმის) განხორციელება, — თვით კადეტების ფაქტიური გადასვლა, მდუმარედ და

ფარულად, პროგრესიზმის პოზიციაზე, — ყოველივე ეს ა რ უ ნ დ ო დ ა თ დაენახათ ლიკვიდატორებს და ყოველივე ამან ისინი «ჩერევანინისებურ» მარგალიტამდე მიიყვანა. «საჭირო არ არის ძლიერ ბევრი ლაპარაკი კადეტების კონტრრევოლუციურობაზე» — ასე თუ დაახლოებით ასე წერდა ერთხელ ტრუდოვიკი (ნაროდნიკი-ლიკვიდატორი) ბ-ნი ვოდოვოზოვი. სწორედ ასე უყურებდნენ საქმეს ჩვენი ლიკვიდატორებიც.

მათ III სათათბიროს გაკვეთილიც კი დაივიწყეს, სადაც კადეტმა ბერიოზოვსკიმ ოფიციალურ სიტყვაში «განმარტა» კ.-დ. აგრარული პროგრამა და დაამტკიცა, რომ იგი ხ ე ლ-ს ა ყ რ ე ლ ი ა თავადაზნაურ მემამულეთათვის. და ახლა, 1912 წელს, «ოპოზიციური» მემამულეთა სათათბიროსაგან, პროგრესისტებისაგან, ამ მცირედ სახეცვლილი ოქტიაბრისტებისაგან, მოველოდეთ «უდიდეს საშიშროებას თავადაზნაურული მიწათმფლობელობისათვის»...

იცით რა, ბ-ნო ჩერევანინ... იფანტაზიორეთ, მაგრამ ზომა იცოდეთ!

ჩვენ გვაქვს არჩევნების შედეგების საუცხოო ილუსტრაცია ლიკვიდატორული ტაქტიკის ჩერევანინისეულ შედეგთან დაკავშირებით. IV სათათბირომ მიიღო, 132 ხმით 78 ხმის წინააღმდეგ, პროგრესისტების გადასვლის ფორმულა.

სწორედ ოქტიაბრისტი ანტონოვი იყო, ოფიციალურად რომ განაცხადა სრული კმაყოფილება ამ უაღრესად უხამსი. უაღრესად უშინაარსო ფორმულის, როგორც ოქტიაბრისტული ფორმულის გამო! რა თქმა უნდა, ბ-ნი ანტონოვი მართალია. პროგრესისტებმა წმინდა-ოქტიაბრისტული ფორმულა შეიტანეს. პროგრესისტებმა შეასრულეს თავიანთი როლი კადეტებთან ოქტიაბრისტების შემარიგებლებისა.

ოქტიაბრიზმი განადგურებულია, გაუმარჯოს ოქტიაბრიზმს! «განადგურებულია» გუჩკოვის ოქტიაბრიზმი, გაუმარჯოს ეფრემოვ-ლვოვის ოქტიაბრიზმს *.

* 16 დეკემბრის «რეჩი» ირწმუნება, რომ სოციალ-დემოკრატებმაც ხმა პროგრესისტთა საზიზღარ ფორმულას მისცესო. ეს დაუჯერებელია.

VIII. დამარცხების დაფარვა

განსახილველი დაგვრჩა შედეგები არჩევნებისა ყველაზე მნიშვნელოვან კურიაში, მუშათა კურიაში.

ეს კურია რომ ს.-დ. მხარეზეა, ეს არავისათვის საეჭვო არ ყოფილა და არც არის. აქ აღარ წარმოებდა ბრძოლა ნაროდნიკებთან: მათ შორის ა რ ა ღ მ ო ჩ ნ დ ა წინააღმდეგობა ნაროდნიკული ლიკვიდატორობისადმი («თაოსნობა» [128] პარიზში და ენესებისადმი პიტერში) და ნაროდნიკული ოტზოვიზმისადმი, და დაცემულობის მიმდინარეობათადმი წინააღმდეგობის ამ უქონლობამ მემარცხენე ნაროდნიკები ნ უ ლ ა დ აქცია.

მუშათა კურიაში ბრძოლა მიმდინარეობდა მხოლოდ მარქსისტებსა და ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს, ლიკვიდატორებს შორის. მარქსისტებმა პირდაპირ და ცხადად, აშკარად და საზიზღარი ფანდებისადმი მიუმართავად 1912 წლის იანვარში გამოაცხადეს, რომ მ უ შ ა თ ა კურიაში (და მხოლოდ მასში) დაუშვებელია შეთანხმება მუშათა პარტიის დ ა მ ა ნ გ რ ე ვ ე ლ ე ბ თ ა ნ*.

ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლიკვიდატორების აგვისტოს კონფერენციას შემარიგებელმა პლეხანოვმაც კი «უბადრუკი», ლიკვიდატორული (წინააღმდეგ «ნაშა ზარიას» ფიცისა), ხოლო მის რეზოლუციებს «დ ი პ ლ ო მ ა ტ ი ა», ე. ი., პირდაპირ რომ ვთქვათ, მოტყუება უწოდა.

რაღა გვიჩვენა არჩევნების შედეგებმა?

მოგვცა მან, თუ არა, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მასალა იმ საკითხზე, თუ რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს იანვრისა და აგვისტოს განცხადებანი? ვისი მომხრე აღმოჩნდნენ მუშათა კლასის არჩეულნი?

«პრავდა» დუმს ამაზე. შესაძლოა, რომ მსხდომი (თუ წასასვლელად ამდგარი?) სოციალ-დემოკრატები იმათ შორის «ჩარიცხეს», რომლებმაც ხმა მისცეს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 561. რ ე ო

ამის შესახებ არსებობს უაღრესად ზუსტი სტატისტიკური მასალა, რომლის მიფუჩეჩებას, მიჩქმალვას, ყვირილითა და ლანძღვით დაფარვას ცდილობენ (ამაოდ!) ლიკვიდატორები.

მეორე სათათბიროთი დაწყებული (პირველს ს.-დ. უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა), არსებობს ზუსტი ანგარიში მუშათა კურიიდან არჩეული სათათბიროს დეპუტატებისა, რომლებიც განაწილებული არიან ს.-დ. პარტიის სხვადასხვა «მიმდინარეობებს» შორის. აი ეს ცნობები:

სახ. სათათბიროს დეპუტატები, რომლებიც არჩეული იყვნენ მუშათა კურიიდან:

			მენშევიკები	ბოლშევიკები	უკანასკნელთა %
II	სათათბირო	..... (1907)	12	11	47
III	»	..... (1908 — 1912)	4	4	50
IV	»	..... (1912)	3	6	67

ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ!

1907 წელს პარტიაში ბოლშევიკებს ჰყავდათ უმრავლესობა, რომელიც ოფიციალურად იყო გამოანგარიშებული (105 ბოლშევიკი დელეგატი და 97 მენშევიკი დელეგატი). მაშასადამე, 47% მუშათა კურიაში (მთელ ფრაქციაში იყო 18 ბ.+36 მ.=54) შეადგენდა დაახლოებით 52%-ს მუშათა პარტიაში.

1912 წელს პირველადაა კ უ რ ი ი ს დეპუტატთა მ თ ე ლ ი ექვსეული ბოლშევიკები. ცნობილია, რომ ეს 6 გუბერნია მთავარი სამრეწველო გუბერნიებია. ცნობილია, რომ იქ თავმოყრილია პროლეტარიატის შეუდარებლად უფრო მეტი ნაწილი, ვიდრე სხვა გუბერნიებში. ამიტომ გასაგებია, — და 1907 წელთან შედარებით სავსებით დამტკიცებულია — რომ მუშათა კურიაში 67% ნიშნავს 70%-ზე მეტს მუშათა პარტიაში.

მესამე სათათბიროს პერიოდში, როცა ინტელიგენცია მუშათა პარტიიდან გარბოდა, ხოლო ლიკვიდატორები ამას

ამართლებდნენ, მუშები გაურბოდნენ ლიკვიდატორებს. ლიკვიდატორ ბელოუსოვის გაქცევა III სათათბიროს ს.-დ. ფრაქციიდან და მთელი ამ ფრაქციის (3/4-ით მენშევიკური) მობრუნება მენშევიზმიდან ანტილიკვიდატორობისაკენ * იმის სიმპტომი და სწორი მაჩვენებელი იყო, რომ მუშათა წრეში ი გ ი ვ ე პროცესი მიმდინარეობს. და ეს დაადასტურა IV სათათბიროს არჩევნებმა.

ამიტომაა, რომ «ნაშა ზარიაში» ოსკაროვი, მარტოვი, ჩერევანინი, ლევიცკი და სხვ. საშინლად ჯავრობენ, ასობით ნამდვილი პურიშკევიჩული «კომპლიმენტით» ამკობენ ვითომდა სექტანტურ, ვითომდა ლენინურ, ვითომდა წრეს.

კარგი წრე და კარგი სექტანტობა კია, რომლის მხარეზეც არის მუშათა კურიის განუხრელი ზრდა 1908 — 1912 წლებში ამ კურიის თვით 67%-მდე IV სათათბიროში! უხეირო პოლემისტები არიან ლიკვიდატორები. ისინი გვლანძღავენ ** რაც ძალი და ღონე აქვთ, ჩვენთვის კი საუკეთესო კომპლიმენტი გამოდის.

უხვი შეძახილებით, ლანძღვით, ლიტონი მტკიცებით გადაწყვეტა სადავო საკითხებისა სწორედ ინტელიგენტური

* ლიკვიდატორი ოსკაროვი სასაცილო ფორმით აღიარებს ამ უდავო ფაქტს: ბოლშევიკებმა «თ ა ვ ი ს ი გ ა ი ტ ა ნ ე ს: ყველაზე პასუხსაგებ მომენტში ფაქტიურად, თუ ფორმალურად არა, გათიშეს ფრაქცია» («ნაშა ზარია», ციტ. წიგნი, გვ. 3) — მესამე სათათბიროს ფრაქცია. აქ «გათიშვა» ეწოდება ან ლიკვიდატორ ბელოუსოვის გაქცევას, ან იმას, რომ ფრაქციიდან 2 იყო ლიკვიდატორულ გაზეთში, 8 — ანტილიკვიდატორულში, დანარჩენები ნეიტრალური იყვნენ.

** გვერდს უვლიან რა მუშათა კურიაში არჩევნების შედეგებს, ლიკვიდატორები მეტი ხალისით ხმაურობენ პიტერის შესახებ: ვაი სირცხვილოო! რა თქმა უნდა, სამარცხვინოა, ბატონებო! სამარცხვინოა იმათთვის, ვის წინააღმდეგაც მიღებული იყო წინასწარ დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი, ე. ი. ორგანიზაციის მიერ გატარებული გ ა ნ ა წ ე ს ი. გ ა ნ ა წ ე ს ი ს საწინააღმდეგოდ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს გაყვანა სამარცხვინოა. უფრო სამარცხვინო იყო უარის თქმა წილისყრაზე, როცა მიღებულ იქნა 3 და 3. პიტერში ცნობილმა «პრავდისტმა» პ-მ პირდაპირ შესთავაზა წილისყრა ლიკვიდატორ მ-ს და მან უარი თქვა ამაზე!! სირცხვილი ლიკვიდატორებს პიტერის არჩევნებისა-თვის!

წრეების ჩვეულებრივი მანერაა. მუშები სხვა რამეს ამჯობინებენ: ობიექტურ მონაცემებს. ხოლო რუსეთში, მისი ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის დროს არ არის და არ შეიძლება იყოს მუშათა მასებში ამა თუ იმ მიმდინარეობის ძალისა და გავლენის სხვა ობიექტური საზომი, გარდა მუშათა პრესისა და სათათბიროს მუშათა კურიისა.

ამიტომ, ბატონო ლიკვიდატორებო, რაც უფრო მეტს იხმაურებთ და მოჰყვებით ლანძღვას «ნაშა ზარიასა» და «ლუჩში», ჩვენ მით უფრო დამშვიდებით მივცემთ მუშებს კითხვას: გვიჩვენეთ მასებთან კავშირის სხვა ობიექტური კრიტერიუმი, გარდა მუშათა პრესისა და სათათბიროს მუშათა კურიისა.

დაე მკითხველები, რომლებსაც აყრუებენ ყვირილით «სექტანტური» «ლენინის წრის» შესახებ და სხვ., დამშვიდებით დაუფიქრდნენ ამ ობიექტურ მონაცემებს მუშათა პრესის და სათათბიროს მუშათა კურიის შესახებ. ეს ობიექტური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ლიკვიდატორები იმიტომ ყვირიან, რომ დაფარონ თავიანთი სრული დამარცხება.

მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა შევადაროთ «ლუჩის» შექმნა, — რომელიც არჩევნების დღეს კერძო ინიციატივის მეოხებით გაჩნდა, — და «პრავდის» შექმნა. მუშათა მოძრაობის აპრილის ტალღა რუსეთის მასობრივი მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი, ისტორიული ტალღაა. მეფაბრიკეთა გამოანგარიშებითაც კი ამ მოძრაობაში ასეულ ათასობით მუშა მონაწილეობდა. და თვით ამ მოძრაობამ, როგორც თავისი თანაპროდუქტი, შექმნა «პრავდა», — ჯერ იმით, რომ გააძლიერა «ზვეზდა», იგი ყოველკვირეულიდან ორდღიური გახადა, შემდეგ კი მუშათა შენატანები «პრავდისათვის» აიყვანა 76-მდე მარტში და 227-მდე აპრილში (თუ ვიანგარიშებთ მუშების მხოლოდ ჯგუფურ შენატანებს).

ჩვენ წინაშეა იმის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუში, თუ მოძრაობა, რომლისთვისაც სრულიად უცხოა რეფორმისტული ხასიათი, თანაპროდუქტის სახით როგორ იძლევა ან რეფორმებს, ან დათმობებს, ან ჩარჩოების გაფართოებას და სხვ.

რეფორმისტები ღალატობენ მუშათა მოძრაობას, როცა მის უდიდეს გაქანებას უყენებენ რეფორმისტულ ლოზუნგებს (როგორც ჩვენი ლიკვიდატორები აკეთებენ). რეფორმიზმის მოწინააღმდეგეები კი არა მარტო ერთგულნი არიან პროლეტარიატის შეუკვეცელი ლოზუნგებისა, არამედ საუკეთესო «პრაქტიკოსებიც» არიან: სწორედ ფართო გაქანება და სწორედ შეუკვეცელი ლოზუნგები უზრუნველყოფენ იმ ძალას, რომელიც თანაპროდუქტის სახით იძლევა ან დათმობას, ან რეფორმას, ან ჩარჩოების გაფართოებას, ან თუნდაც იმის დროებითს საჭიროებას, რომ ზედაფენებმა ითმინონ ქვედა ფენების არასასიამოვნო გამოცოცხლება.

სანამ ლიკვიდატორები 1908 — 1912 წლებში ლანძღავდნენ «იატაკქვეშეთს», ამართლებდნენ იქიდან «გაქცევას», ლაყბობდნენ «ღია პარტიის» შესახებ, — მათ ჩამოშორდა მთელი მუშათა კურია, და მათ ვერ შეძლეს გამოეყენებინათ აპრილ-მაისის ტალღის პირველი და დიადი აზვირთება!

ბ-ნი მარტოვი «ნაშა ზარიაში» აღიარებს მისთვის ამ სამწუხარო გარემოებას, ამასთან ამ აღიარებას განსაკუთრებით სასაცილო ფორმით იძლევა. იგი ლანძღავს და ნულებად აღიარებს პლეხანოველთა და ვპერიოდელთა ჯგუფებს, რომლებსაც თვით ლიკვიდატორები გუშინ სახავდნენ «ცენტრებად» და მიმდინარეობებად წინააღმდეგ ჩვენი მოთხოვნისა ანგარიში გაეწიათ მხოლოდ რუსეთის ორგანიზაციებისათვის. და მარტოვი მწუხარებით, გაბოროტებით, უამრავი გესლიანი (ბურენინულად-გესლიანი) სიტყვით აღიარებს, რომ «ლენინის» «სექტანტურმა წრემ» «გაძლო» და «შეტევაზეც კი გადმოდის», «გამაგრდა რა ასპარეზებზე, რომლებსაც იატაკქვეშეთთან საერთო არა აქვთ რაო» («ნაშა ზარია», ციტ. წიგნი, გვ. 74).

მაგრამ მარტოვის მთელი ეს აღიარება ღიმილს იწვევს. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ, როცა მოწინააღმდეგე შეცდომას სჩადის, გვიხარია, ხოლო როცა იგი სწორ ნაბიჯს დგამს, ზოგჯერ ბავშვურად ვბრაზობთ.

გმადლობთ ქათინაურისათვის, რომელიც ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ი თ ჩვენ შესახებ გეთქვათ, ლიბერალო ლიკვიდატორო! ჩვენ 1908 წლის დამლევიდან დაჟინებით მოვითხოვთ მოძრაობის ღია ფორმების გამოყენებას, 1909 წლის გაზაფხულზე ამის გამო ჩვენ კავშირი გავწყვიტეთ მთელ რიგ მეგობრებთან[129]. და თუ ამ «ასპარეზებზე» ძალა . აღმოვჩნდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმის გულისათვის არსი არ დაგვითმია. იმისათვის, რომ დროზე გამოგეყენებინათ ფორმა, რომ გესარგებლათ აპრილის აღმავლობით, რომ მიგეღოთ მარქსისტისათვის ძვირფასი თანაგრძნობა მუშათა კურიისა. ხელი კი არ უნდა აგეღოთ ძველზე, რენეგატულად კი არ უნდა მოპყრობოდით მას, არამედ მტკიცედ დაგეცვათ მისი იდეები, მისი ტრადიციები, მისი მატერიალური სუბსტრატები. სწორედ ა მ იდეებით იყო გამსჭვალული აპრილის აღმავლობა, სწორედ ისინი სჭარბობდნენ 1912 წლის მუშათა კურიაში, და მხოლოდ იმათ, ვინც მათი ერთგული იყო ყველა ასპარეზზე და ყველა ფორმით, შეეძლო ევლო როგორც ამ აღმავლობის, ისე ამ კურიის დონეზე.

დაწერილია 1913 წ. იანვარში

დაიბეჭდა 1913 წ. იანვარში
ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 1
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

ცხოვრება გვასწავლის

ვისაც გულწრფელად აინტერესებს განმათავისუფლებელი მოძრაობის ბედი ჩვენს ქვეყანაში, მას არ შეიძლება არ აინტერესებდეს უწინარეს ყოვლისა ჩვენი მ უ შ ა თ ა მოძრაობა. აღმავლობის წლებმა, ისევე როგორც კონტრრევოლუციის წლებმაც, ცხადზე უცხადესად გვიჩვენა, რომ მ თ ე ლ ი განმათავისუფლებელი ძალების ს ა თ ა ვ ე შ ი მიდის მუშათა კლასი და რომ, ამიტომ, მუშათა მოძრაობის ბედი უმჭიდროესად არის გადახლართული საერთოდ რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ბედთან.

აიღეთ მრუდი, რომელიც გამოხატავს მუშათა ს ა გ ა ფ ი ც ვ ო მ ო ძ რ ა ო ბ ა ს უკანასკნელი რვა წლის მანძილზე! და სცადეთ დახატოთ ასეთივე მრუდი ხაზი, რომელიც გამოხატავს რუსეთის საერთოდ მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასა და დაცემას ამ წლების მანძილზე. ორივე მრუდი მთლიანად დაემთხვევა ერთმანეთს. ერთი მხრივ, მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობასა და, მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობას შორის უაღრესად მჭიდრო, განუყრელი კავშირი არსებობს.

დააკვირდით მონაცემებს საგაფიცვო მოძრაობის შესახებ რუსეთში, დაწყებული 1905 წლით.

წლები	გაფიცვების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა (ათასობით)
1905	13 995	2 863
1906	6 114	1 108
1907	3 573	740
1908	892	176
1909	340	64
1910	222	47
1911	466	105

1912 დაახლოებით $1^1/_2$ მილიონამდე (ეკონ. და პოლიტ.).

განა ეს მონაცემები ცხადზე უცხადესად არ გვიჩვენებენ, რომ რუსეთში მთელი საერთო-სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის საუკეთესო ბარომეტრია რუსი მუშების საგაფიცვო მოძრაობა?

უდიდესი აღმავლობა (1905 წ.) იძლევა დაახლოებით 3 მილიონ გაფიცულს. 1906 და 1907 წლებში მოძრაობა ეცემა, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერ მაღალ დონეზე რჩება და საშუალო რიცხვით იძლევა 1 მილიონ გაფიცულს. შემდეგ მოძრაობა სწრაფად იწყებს კლებას და ეცემა — ეცემა თვით 1910 წლამდე ჩათვლით: 1911 წელი გარდატეხის წელია. მრუდი იწყებს, თუმცა ჯერ კიდევ მოკრძალებით — მაღლა აწევას. 1912 წელი ახალი უდიდესი აღმავლობის წელია. მრუდი მტკიცედ და გადაჭრით მაღლდება 1906 წლის დონემდე და გეზი აშკარად უჭირავს იმ წლისაკენ, როცა სამმილიონიანმა ციფრმა მ ს ო ფ ლ ი ო რეკორდს გადააჭარბა.

დადგა ა ხ ა ლ ი ე პ ო ქ ა. ახლა ეს სრულიად უეჭველია. 1913 წლის დასაწყისი ამის საუკეთესო საწინდარია. ცალკეული კ ე რ ძ ო საკითხებიდან მუშათა მ ა ს ა მიდის ს ა ე რ თ ო საკითხის დაყენებისაკენ. უფართოესი მასების ყურადღების ცენტრშია ჩვენი რუსული ცხოვრების უკვე არა მხოლოდ ცალკეული მოუწესრიგებლობანი. საკითხი ისმის ამ მოუწესრიგებლობათა მ თ ე ლ ი ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ი ს შესახებ, საქმე ეხება არა რეფორმებს, არამედ რეფორმას.

ცხოვრება გვასწავლის. ცოცხალი ბრძოლა ყველაზე უკეთ წყვეტს იმ საკითხებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ესოდენ სადავო იყო. შეხედეთ ახლა, 1912 წლის შემდეგ, თუნდაც ჩვენს დავას «პეტიციის კამპანიის» შესახებ და «კოალიციების თავისუფლების» ლოზუნგის შესახებ. რა გვიჩვენა გამოცდილებამ?

ფრიად ზომიერ პეტიციაზე მუშათა თუნდაც მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი ხელმოწერის შეგროვება შეუძლებელი აღმოჩნდა. ხოლო მარტო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გაფიცვების მ ი ლ ი ო ნ ი მონაწილე—ფაქტი აღმოჩნდა. ლაპარაკი იმაზე, რომ «კოალიციების თავისუფლების» ლოზუნგს იქით აღარ უნდა წავიდეთ, თორემ მასები ვეღარ გაგვიგებენ და არ დაირაზმებიანო, — ცხოვრებას მოწყვეტილი ადამიანების ფუჭი და უსაქმური ლაპარაკი გამოდგა. ხოლო ცოცხალი, რეალური მილიონიანი მასები სწორედ ყველაზე ფართო, ძველი, შეუკვეცელი ფორმულების გარშემო დაირაზმნენ. მხოლოდ ეს ფორმულები აღაფრთოვანებდნენ მასებს. ვინ მიდიოდა ნამდვილად მასებთან ერთად და ვინ უიმათოდ და მათ წინააღმდეგ — ახლა საკმაოდ დამაჯერებლად არის ცხადყოფილი.

თვით მასების მხნე, ახალი, მძლავრი მოძრაობა უკუაგდებს, როგორც უვარგის ძონძებს, ხელოვნურ, კაბინეტებში გამოცხობილ, რეცეპტებს და წინ, სულ წინ მიდის.

ამაშია ისტორიული აზრი იმ გრანდიოზული მოძრაობისა, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება.

«პრავდა» № 15. 1913 წ. 19 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ახალი დემოკრატია

«რეჩის» საახალწლო ნომრის «ნაირ-ნაირ შეხვედრებში» ბ-ნი ტანი შეეხო მნიშვნელოვან საკითხს, რომელსაც მუშებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ეს არის ახალი დემოკრატიის ზრდის საკითხი.

«აი უკვე ერთი წელიწადია ან იქნებ მეტიც, — წერს ბ-ნი ტანი, — რომ ცხოვრების კალაპოტი კვლავ იწყებს შეცვლას და დნობას. წყლის კლების ნაცვლად ჩნდება მატება, ღმერთმა უწყის საიდან, მიწისქვეშა წიაღიდან და შორეული წყაროებიდან. სამ წელიწადს ყველგან სიჩუმე და სიცარიელე იყო. ახლა ჩნდებიან ადამიანები, ზედიზედ მოძვრებიან სხვადასხვა ხვრელებიდან და მიყრუებული კუთხეებიდან...

...ყველაზე საინტერესონი გლეხთა წოდების ადამიანები არიან, რომლებიც ქვედაფენებიდან მოვიდნენ. მათი სახელი ლეგიონია. მათ დაიკავეს ცხოვრების საშუალო სფეროები და ხელყოფენ უმაღლეს სფეროებსაც კი, განსაკუთრებით პროვინციაში. ტექნიკოსები, მოანგარიშეები, აგრონომები, მასწავლებლები, ერობის ყოველგვარი მოსამსახურეები. ისინი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. უფერული სახისანი, ძვალმსხვილნი, გარეგნულად მოუხეშავნი; რეფლექსებისადმი მიდრეკილება არა აქვთ, პირიქით, კატასავით სიცოცხლისუნარიანნი არიან... ცხოვრებას, ჩანს, კიდევ ერთი საფეხურით წაუწევია წინ, ვინაიდან ჩვენ, რაზნოჩინცები, — მათთან შედარებით ისევე ვართ, როგორც თავადაზნაურები ჩვენთან შედარებით იყვნენ».

მარჯვედ და სწორად არის ნათქვამი, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველი რაზნოჩინცებიც და ახლებიც, «გლეხთა წოდებისანი», დემოკრატიული ინტელიგენცია და ნახევრადინტელიგენცია — წარმოადგენენ ბურჟუაზიას მებატონე თავადაზნაურებისაგან განსხვავებით.

მაგრამ ბურჟუაზია სხვადასხვა ფენებისაა ხოლმე, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ისტორიული შესაძ-

ლებლობანი. ბურჟუაზიისა და მდიდარი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენებისათვის: ადვოკატებისა, პროფესორებისა, ჟურნალისტებისა, დეპუტატებისათვის და სხვ., თითქმის მუდამ დამახასიათებელია მიდრეკილება პურიშკევიჩებთან კავშირისადმი. მათთან ამ ბურჟუაზიას ათასობით ეკონომიური ძაფი აკავშირებს.

პირიქით, გლეხური ბურჟუაზია და ახალი, «გლეხთა წოდების», ინტელიგენცია ათასობით ძაფით დაკავშირებულია უუფლებო, ჩაგრული, ბნელი, მშიერი გლეხობის მასებთან და თავისი ცხოვრების ყველა პირობით მტრულად არის განწყობილი ყოველგვარი პურიშკევიჩლობისადმი, მასთან ყოველგვარი კავშირისადმი.

ეს ახალი, უფრო მრავალრიცხოვანი, მილიონთა ცხოვრებასთან უფრო ახლო მდგომი, დემოკრატია სწრაფად სწავლობს, მაგრდება, იზრდება. იგი გამსჭვალულია, მეტწილად, გაურკვეველი ოპოზიციური განწყობილებებით, იგი იკვებება ლიბერალური ნაგავით. შეგნებულ მუშებს ეკისრებათ დიდი და პასუხსაგები ამოცანა — ხელი შეუწყონ ამ დემოკრატიის განთავისუფლებას ლიბერალურ ცრურწმენათა გავლენისაგან. მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ დასძლევს იგი ამ ცრურწმენებს, მოიშორებს ლიბერალური ილუზიების უბადრუკობას, კავშირს გაწყვეტს ლიბერალებთან და ხელს გაუწოდებს მუშებს, — შეეძლება მას, რუსეთის ახალ დემოკრატიას, სერიოზული რამ გააკეთოს თავისუფლების საქმისათვის.

«პრავდა» № 15, 1913 წ. 19 იანვარი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ნაროდნიკობის შესახებ

ბ-ნმა ა. ვ. პ-მა [130] «რუსსკოე ბოგატსტვოს» მე-12 ნომერში დაწერა «სახელმძღვანელო» სტატია «მორიგ» თემაზე სათაურით: «სახალხო თუ პროლეტარული სოციალიზმი?».

ეს სტატია მეტისმეტად არასერიოზული და თავისთავად უშინაარსოა. სიტყვების ასეთ ფუჭ გროვას, მიკიბულ-მოკიბული, შიშველი ფრაზის ასეთ ნავარდს, შეხედულებათა ასეთ დომხალს (ეკლექტიციზმს) უკვე კარგა ხანია არ შევხვედრივართ სერიოზულ ორგანოდ მიჩნეული ამ ნაროდნიკული ჟურნალის «სახელმძღვანელო» სტატიებში.

მაგრამ სტატია იმით არის დამახასიათებელი, რომ ეხება მეტად სერიოზულ და საჭირბოროტო საკითხს ნაროდნიკობის რღვევის შესახებ. ნაროდნიკობა არის იდეოლოგია (შეხედულებათა სისტემა) გლეხთა დემოკრატიისა რუსეთში. ამიტომ ყოველი შეგნებული მუშა ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს იმას, თუ როგორ იცვლება ეს იდეოლოგია.

I

ნაროდნიკობა ძლიერ ძველია. მის მამამთავრებად თვლიან გერცენსა და ჩერნიშევსკის. ქმედითი ნაროდნიკობის აყვავება იყო 70-იანი წლების რევოლუციონერების «სიარული ხალხში» (გლეხობაში). ნაროდნიკების ეკონომიურ თეორიას ყველაზე უფრო სრულად ამუშავებდნენ ვ. ვ. (ვორონცოვი) და ნიკოლაი — ონი [131] გასული საუკუნის 80-იან წლებში. XX საუკუნის დასაწყისში სოციალისტ-რევოლუციონერები ყვე-

ლაზე უფრო ჩამოყალიბებულად გამოხატავდნენ მემარცხენე ნაროდნიკების შეხედულებებს.

1905 წლის რევოლუციამ, რომელმაც რუსეთის მთელი საზოგადოებრივი ძალები გვიჩვენა კლასების აშკარა, მასობრივ მოქმედებაში, მოგვცა ნაროდნიკობის გენერალური შემოწმება და განსაზღვრა მისი ადგილი. გლეხთა დემოკრატია — აი ნაროდნიკობის ერთადერთი რეალური შინაარსი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია თავისი ეკონომიური მდგომარეობით იძულებულია ესწრაფოდეს არა პურიშკევიჩისა და კომპანიის პრივილეგიების მოსპობას, არამედ მათ განაწილებას მებატონეებსა და კაპიტალისტებს შორის. პირიქით, ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში — გლეხობა — იძულებულია ესწრაფოდეს ყველა ამ პრივილეგიის მოსპობას.

ნაროდნიკების ფრაზები «სოციალიზმის», «მიწის სოციალიზაციის», გათანაბრების შესახებ და სხვ. — ცარიელი ლაპარაკია, რომლითაც მოსავენ პოლიტიკაში სრული თანასწორობისადმი და ბატონყმური მიწათმფლობელობის სრული მოსპობისადმი გლეხების მისწრაფების რეალურ ფაქტს.

1905 წლის რევოლუციამ საბოლოოდ ცხადყო ნაროდნიკობის ეს სოციალური არსი, მისი ეს კლასობრივი ბუნება. მასების მოძრაობამ — გლეხთა 1905 წლის კავშირების ფორმითაც, 1905 და 1906 წლებში ადგილებზე გლეხთა ბრძოლის ფორმითაც, ორივე პირველი სათათბიროს არჩევნების ფორმითაც («შრომის» ჯგუფების შექმნა) — ყველა ამ უდიდესმა სოციალურმა ფაქტმა, რომელმაც მოქმედებაში გვიჩვენა მილიონობით გლეხები, მტვერივით აღგავა ნაროდნიკული, ვითომდა სოციალისტური, ფრაზა და გამოააშკარავა ბირთვი: გლეხთა (ბურჟუაზიული) დემოკრატია ძალების უდიდესი, ჯერ კიდევ ამოუწურავი მარაგით.

ვისაც ახალ, თანამედროვე, რუსეთში უდიდესი ეპოქის გამოცდილებამ ვერ ასწავლა ნაროდნიკობის რეალური შინაარსის გარჩევა მისი სიტყვიერი გარსისაგან, — მისი

საქმე წასულია, იგი სერიოზულად არც კია სათვალავში ჩასაგდები, იგი შეიძლება იყოს სიტყვებით მოთამაშე მწერალი (როგორიცაა ა. ვ. პ. «რუსსკოე ბოგატსტვოდან»), მაგრამ არა პოლიტიკური მოღვაწე.

შემდეგ სტატიაში უფრო ახლოს ვნახოთ ნაროდნიკობის რღვევა და ეს მწერალი.

II

1905 წლის გამოცდილებას სწორედ იმიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რომ მან აუცილებელი გახადა ნაროდნიკების თეორიების შემოწმება მასების მოძრაობით. და ამ შემოწმებამ ერთბაშად გამოიწვია ნაროდნიკობის დაშლა, მათი თეორიების კრახი.

ესერების უკვე პირველ ყრილობაზე, 1905 წლის დეკემბერში, მათგან ჩამოშორება იწყეს «სახალხო სოციალისტებმა», რომლებიც საბოლოოდ გამოცალკევდნენ 1906 წლის შემოდგომისათვის.

ამ «სახალხო სოციალისტებმა» დაასწრეს ჩვენს ლიკვიდატორებს. ისინი სწორედ ასევე მღეროდნენ «ღია პარტიის» შესახებ, სწორედ ასევე მოახდინეს მათ თანმიმდევრული დემოკრატიის ლოზუნგების ლიკვიდაცია და ასევე რენეგატულად მსჯელობდნენ (იხ., მაგალითად, ბ-ნ პეშეხონოვის სტატიები 1906 წლის «რუსსკოე ბოგატსტვოს» მე-8 ნომერში). ესენი იყვნენ გლეხი კადეტები, და მეორე სათათბიროს (რომელსაც ბოიკოტს არ უწევდნენ ნაროდნიკები და თვით ესერები) დაამტკიცა, რომ გლეხთა დეპუტატების მეტი ნაწილი მიჰყვებოდა ოპორტუნისტებს «რუსსკოე ბოგატსტვოდან», ხოლო ნაკლები ნაწილი — ესერებს. მეორე სათათბიროს საბოლოოდ დაადასტურა ის, რაც უკვე ჩანდა «თავისუფლების დღეების» (1905 წლის შემოდგომაზე და 1906 წლის გაზაფხულზე) ნაროდნიკული გაზეთებიდან, სახელდობრ: ესერები სხვა არა იქნებიან რა, თუ არა რუსეთის გლეხთა დემოკრატიის მემარცხენე ფრთა, აქის გარეშე ისინი არარა არიან.

ნაროდნიკობის რღვევა სულ უფრო და უფრო ნათლად ადასტურებს ამას. კონტრრევოლუციის თარეშის დროს ეს რღვევა სწრაფად მიმდინარეობდა: მემარცხენე ნაროდნიკები თვითონ «გამოეთიშნენ» სათათბიროელ ტრუდოვიკებს. ძველი პარტია ფაქტიურად დაშალეს, ახალი არ შეუქმნიათ. რენეგატობამ (თვით როპშინის სამარცხვინო ნაწარმოებებამდე «ფერმკრთალი ცხენი», «ის, რაც არ ყოფილა») ფართო გზა პოვა «მემარცხენე» ნაროდნიკებისკენაც კი. მათი ნაწილი («თაოსნობელნი») თავს ანებებს ბოიკოტს. ნაწილი მიილტვის მარქსიზმისაკენ (ნ. სუხანოვი, — თუმცა მას ძლიერ ბევრი რამ ჯერ კიდევ აბნეული აქვს). ნაწილი — ანარქიზმისაკენ. რღვევა, საერთოდ, შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე სოციალ-დემოკრატებში, ვინაიდან ოფიციალური ცენტრები არის, მაგრამ ა რ ა რ ი ს ნათელი, გარკვეული, პრინციპული ხაზი, რომელსაც შეეძლოს ე ბ რ ძ ო ლ ო ს დაცემულობას.

და აი, ბ-ნი ა. ვ. პ. გვიჩვენებს ამ იდეური დაცემულობის ნიმუშს. ნაროდნიკებს ოდესღაც ჰქონდათ თავიანთი თეორია. ახლა დარჩათ მხოლოდ აქა-იქ ამოგლეჯილი «შენიშვნები» მარქსიზმის შესახებ. მარჯვე ბურჟუაზიული გაზეთის ყოველი ეპრინციპო ფელეტონისტი მოაწერს ხელს ბ-ნ ა. ვ. პ-ის სტატიას «სახალხო» სოციალიზმის დასაცავად ისე, რომ არავითარ რისკს არ გასწევს, არავითარ ვალდებულებას არ იკისრებს, ა რ ა ფ რ ი ს ა ღ ი ა რ ე ბ ა ა რ დ ა ს ჭ ი რ დ ე ბ ა. ვინაიდან «სახალხო» სოციალიზმი არის სრულიად ცარიელი ფრაზა, რომლის დანიშნულებაა იმ საკითხის შ ე მ ო ვ ლ ა, თუ რ ო მ ე ლ ი კლასი ან სოციალური ფენა ეწევა ბრძოლას სოციალიზმისათვის ყველგან მსოფლიოში.

საკმარისია მოვიყვანოთ ბ-ნ ა. ვ. პ-ის ლაყბობის ორი ნიმუში.

...«თურმე, — წერს იგი, — პარტია, რომელსაც შეთვისებული აქვს პროლეტარული სოციალიზმის დოქტრინა, სინამდვილეში მზად არის **განავითაროს** თავისი ძალები სხვა, «ნახევრადპროლეტარული» და თვით «ბურჟუაზიული» ფენების ხარჯზეც».

მართლაც რომ მე-4 კლასის გიმნაზიელის შესაფერისი მსჯელობაა! მთელი მსოფლიოს სოციალისტურ პარტიებში არიან ნახევრად პროლეტარებიც და ბურჟუებიც... მ ა შ ა-ს ა დ ა მ ე? მაშასადამე, — დაასკვნის ბ-ნი ა. ვ. პ., — შეიძ-ლება იმ ფაქტის გვერდის ავლა, რომ მ ხ ო ლ ო დ პროლეტა-რიატი მთელ მსოფლიოში 1) ეწევა სისტემატურ ბრძოლას კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ და 2) არის ს.-დ. პარტიე-ბის მ ა ს ო ბ რ ი ვ ი დასაყრდენი.

მე-2 მაგალითი:

«ავიღოთ თუნდაც სტუდენტობა — წერს ომახიანი ბ-ნი ა. ვ. პ. — ეს ხომ ნამდვილი ბურჟუაზიაა, მაგრამ სოციალისტები მასში, ახლა არ ვიცი, და სულ ცოტა ხნის წინათ კი თითქმის უმრავლესობას შეადგენდნენ».

განა ეს უმაგალითო რამ არ არის? განა ეს საბუთი გულ-უბრყვილო ესერი გიმნაზიელი გოგონას შესაფერისი არ არის? 1905 — 1907 წლების შემდეგ ვერ შეამჩნიო, როგორ გაიმიჯ-ნენ, ყველა პოლიტიკური გამოსვლის ასპარეზზე, ათეულ მილიონობით გლეხები და მილიონობით მუშები, — და მნიშ-ვნელობას აძლევდე (რ ო გ ო რ ც ს ა ბ უ თ ს «პროლეტარუ-ლი სოციალიზმის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!) იმ ფაქტს, რომ ლიბე-რალური და დემოკრატიული მოსწავლე ახალგაზრდობა რუ-სეთში ესერებსა და ესდეკებს თანაუგრძნობს! იცით რა, ბ-ნო ა. ვ. პ., ზომა უნდა იცოდეთ...

შეგნებული მუშები ნაროდნიკების მიმართ პირდაპირ და აშკარა პოლიტიკას უნდა ეწეოდნენ. ულმობლად უნდა დას-ცინოდნენ ვითომდა სოციალისტურ ფრაზებს და ა რ ა ფ ა რ-ვ ი ნ ე ბ დ ნ ე ნ მ ა თ შ ი ერთადერთ სერიოზულ საკითხს თანმიმდევრული დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს შესახებ.

«სახალხო» სოციალიზმი, გათანაბრება, მიწის სოციალიზა-ცია, კოოპერაციები, შრომითი საწყისი? ეს უარყოფადაც არა ღირს. ეს ცხოვრებამ და რევოლუციამ უკვე დიდი ხანია მთლიანად ა ღ გ ა ვ ე ს პოლიტიკის სერიოზული საკითხების სფეროდან. ამ ლაყბობით თქვენ მხოლოდ მალავთ ს ე რ ი ო-ზ უ ლ საკითხს: დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს შესახებ. თქვენ აშ-

კარად და პირდაპირ უნდა თქვათ, თანმიმდევრული დემოკრატიის ლოზუნგების ერთგული ხართ თუ არა? გინდათ თუ არა და უნარი შეგწევთ თუ არა ეს ლოზუნგები აქციოთ სისტემატურ მუშაობად ზუსტად განსაზღვრული სოციალური ფენის მასებში? თუ ჰო, — მუშა დემოკრატი თქვენი მოკავშირე და მეგობარია დემოკრატიის ყველა მტრის წინააღმდეგ. თუ არა, — გაგვეცალეთ, თქვენ მხოლოდ მოლაყბე ხართ.

«პრავდა» №№ 16 და 17;
1913 წ. 20 და 22 იანვარი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სოციალ-დემოკრატებისადმი [132]

მთლიანად მოგვყავს პეტერბურგის გაზეთის — «ლუჩის» უკანასკნელი ნომრის (1913 წ. 19 იანვარი, № 15 — 101) მოწინავე სტატია:

მუშათა მასები და იატაკქვეშეთი

«მელითონნებს კვლავ უარი უთხრეს კავშირის რეგისტრაციაზე. მიუხედავად ყველა დათმობისა, რაზეც მუშები მზად იყვნენ წასულიყვნენ, საკრებულომ უკლებლივ ყველა პარაგრაფი მიუღებლად ცნო. მოქმედებდა აქ მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოება, რომელიც, როგორც ერთ დროს გაზეთები იუწყებოდნენ, მოითხოვდა, რომ მელითონნეებისათვის ახალი პროფესიული კავშირის დაარსების ნება არ მიეცათ, თუ თვითონ საკრებულომ გადაწყვიტა არ დაეშვა ასეთი კავშირის არსებობა — ეს საქმის არსს არა ცვლიხ. პეტერბურგის მუშათა ყველაზე მოწინავე და ყველაზე კულტურულ ნაწილს ის უმცირესი უფლებაც კი ერთმევა, რომელიც მათ კავშირთა და საზოგადოებათა შესახებ დროებითი წესების საფუძველზე ეკუთვნით! რამდენი ძალა დაიხარჯა, რამდენი სიცოცხლე დაიღუპა ამ მცირედი უფლებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ახლა ხელის ერთი მოსმით არარაობად აქცევენ!

და ყველაზე უფრო უცნაური ის არის, რომ მუშათა ფართო მასები სრულებით არ ეხმაურებიან უფლებათა ამ წართმევას. ლეგალური ორგანიზაციების ყველა უკანასკნელი დევნის გავლენით ზოგან მუშათა წრეში «იატაკქვეშეთისადმი» სიმპათიაც კი ცოცხლდება და მტკიცდება. ჩვენ სრულებითაც არ ვარიდებთ თვალს ამ ფაქტს, რომელიც, ჩვენი აზრით, სამწუხაროა. მაგრამ რადგან მიჩვეული არა ვართ სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრას, ვცდილობთ გავერკვეთ მის აზრში.

ახლანდელი ლაპარაკი «იატაკქვეშეთის» შესახებ მნიშვნელოვნად მოგვაგონებს ძველ, ახლა, ვგონებ, საფუძვლიანად დავიწყებულ კამათს ტერორის შესახებ. ტერორის წინაშეც ბევრი «ქედს იხრიდა», რათა შეე-

ნიღბა თავისი საკუთარი უვარგისობა. კარგია, რომ გმირები არსებობენ, ჩვენ კი როგორც იქნება კუდში ავედევნებითო. ასეა ახლაც. ჩვენ გვეზარება ფიქრი, გვეზარება ახალი გზების ძებნა, და ველით, რომ იატაკქვეშეთი ჩვენ მაგივრად გადაწყვეტს, და მაშინ უკვე სხვისი პასუხისმგებლობით ვიმოქმედებთ. გამოვა — კარგია, არ გამოვა და — ვიცით, ბრალი ვის დავდოთო.

სწორედ ეს ფსიქოლოგია, რომელსაც, არ უარვყოფთ, ფესვები ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში აქვს და რომელიც საკმაოდ აიხსნება იმ მძიმე მსხვერპლით, რაც უკვე მიტანილია აშკარა მოძრაობის სამსხვერპლოზე, — სწორედ ეს ფსიქოლოგია უპასუხისმგებლობისა, იმის შეუცნობელი სურვილისა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში განაცხადონ «ჩვენი ხელი არ ურევიაო», უკარნახებს მუშათა მასის ზოგიერთ ფენებს კვლავ პატივისცემით მოეპყრონ იატაკქვეშეთს. ჩვენ ვლაპარაკობთ იატაკქვეშეთისადმი პატივისცემაზე და არა იატაკქვეშეთში გაქცევაზე, იმიტომ რომ იატაკქვეშეთში ფაქტიურად მუდამ მხოლოდ ერთეულები იყვნენ, — მასას იატაკქვეშეთში არა ესაქმება რა, — ხოლო ეს ერთეულები კი, რომლებიც არავის წინაშე არ იყვნენ პასუხისმგებელნი, მეთაურობდნენ მასობრივ გამოსვლებს.

მაგრამ, ამბობენ, ყველა «ლეგალური შესაძლებლობა» ამოწურულია და ამის შედეგად ჩვენში თითქმის მთლიანად მოსპობილია ლეგალური ორგანიზაციებიო. აი სახელდობრ ეს არ არის სწორი, რომ ამოწურულია ყ ვ ე ლ ა შესაძლებლობა. ნამდვილად ჯერ კიდევ ძლიერ ნაკლებად არის განხორციელებული ის ძ ი რ ი თ ა დ ი შესაძლებლობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მუშათა კლასის ყოველი გამარჯვება. ჩვენ ვილაპარაკეთ მასების გეგმაშეწონილ მონაწილეობაზე თავიანთი ორგანიზაციების დაცვაში. ყველაფერი, რაც აქამდე კეთდებოდა, კეთდებოდა არასაკმაოდ გ ე გ მ ა შ ე წ ო ნ ი ლ ა დ ა ც და მ ა ს ე ბ ი ს საკმაო მონაწილეობის მიუღებლადაც. კოალიციების თავისუფლების პეტიციაზე ათასობით ხელმოწერა არაფერია ფაბრიკა-ქარხნების ასეულ ათასობით მუშებთან შედარებით. ჩვენი პროფესიული, საგანმანათლებლო და ყოველგვარი სხვა საზოგადოებების წევრები, რომელთა რაოდენობა ათეულობით და იშვიათად ასეულობით აღირიცხება, მცირე წვეთია იმ მუშების უდიდეს რაოდენობასთან შედარებით, რომლებიც ამა თუ იმ პროფესიაში მუშაობენ, ამა თუ იმ უბანში ცხოვრობენ და სხვ. ფაქტიურად ხომ ის პირები, რომლებსაც კავშირები ნამდვილად აინტერესებთ და რომლებიც კავშირებში მუშაობენ, — ამაზე ნაკლებიცაა.

ლეგალურ ორგანიზაციებში ყველაზე საშიშ პოსტებზე მუშათა ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს რომ წამოაყენებს, მასა ადვილად ჩამოყრის ხოლმე ხელებს და მზად არის თვით საქმე მიატოვოს, როცა მის რიგებს

გამოსტაცებენ ამ მოწინავე მებრძოლებს. სწორედ აქ არის თანამედროვე მუშათა მოძრაობის სისუსტის მიზეზი, და სწორედ აქ არის შეუპოვარი და მტკიცე ს.-დ. მუშაობის ფართო ასპარეზი».

ძნელი წარმოსადგენია უფრო სრული, უფრო ზუსტი და უფრო მჭევრმეტყველური დოკუმენტი, რომელიც აშუქებდეს ჩვენი ს.-დ. პარტიის მტკივნეულ საკითხებს, ვიდრე ეს სტატიაა. «ლუჩის» 101-ე ნომერში მოწინავემ შესანიშნავად სწორად შეაჯამა «ლუჩის» ასევე ნომერი და ლიკვიდატორების, ჰ. ბ. აქსელროდის, ფ. დანის, ვ. ეჟოვის, ლევიცკის, პოტრეესოვის, მარტოვის, მარტინოვის და სხვ. მთელი ხუთი წლის პროპაგანდა.

ამ მოწინავისათვის დაწვრილებითი კომენტარი რომ გაგვეკეთებინა, მოგვიხდებოდა ტომის დაწერა, იმის გამეორება, რაც ყველა მიმდინარეობის მარქსისტებს 1909 — 1912 წლებში პრესაში უთქვამთ ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ რამეს. მუშათა მასაში ცოცხლდება და მტკიცდება სიმპათია იატაკქვეშეთისადმი, ახლდება პატივისცემა მისდამი. ეს ფაქტი რომ სამწუხარო ფაქტად მიიჩნიო, ნიშნავს იმას, რომ იყო ლიბერალი და არა ს.-დ., კონტრრევოლუციონერი და არა დემოკრატი. იატაკქვეშეთის შედარება ტერორთან მასებში რევოლუციური მუშაობის უმაგალითო აბუჩად აგდებაა. მხოლოდ იატაკქვეშეთი აყენებს და წყვეტს მოახლოებული რევოლუციის საკითხებს, წარმართავს რევოლუციურ ს.-დ. მუშაობას, მუშათა მასებს იზიდავს სწორედ ამ მუშაობით.

იატაკქვეშეთში მუდამ შედიოდნენ და შედიან ყველაზე შეგნებული, ყველაზე უკეთესი, მასის ყველაზე საყვარელი მოწინავე მუშები. იატაკქვეშეთის კავშირი მასებთან ახლა შეიძლება იყოს და არის ხოლმე უფრო ფართო და უფრო მჭიდრო, ვიდრე წინათ, უმთავრესად იმის გამო, რომ მასები უფრო შეგნებული არიან, აგრეთვე ნაწილობრივ სწორედ «ლეგალურ შესაძლებლობათა» მეოხებითაც. სულელური და საზიზღარია ლაპარაკი ღია პარტიის შესახებ, მაგრამ ჩვენი

ს.-დ. პარტიული უჯრედებისათვის, მასებში მ ა თ ი მუშაობისათვის «ლეგალური შესაძლებლობანი» სრულებითაც არ არის ამოწურული და ვ ე რ ც ი ქ ნ ე ბ ა «ამოწურული».

ნუთუ «ლუჩის» 101-ე ნომრის მოწინავე ვერ შეანჯღრევს ყ ვ ე ლ ა ს.-დ-ს? ნუთუ ს.-დ. შორის აღმოჩნდება თუნდაც ერთი «მიმდინარეობა», რომელიც შეიწყნარებს ასეთ ქადაგებას?

ნუთუ ეს შემაჯამებელი მოწინავე ხელს ვერ შეუწყობს ს.-დ. პარტიის ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს მ ტ კ ი ვ ნ ე უ ლ ი საკითხის გადაწყვეტას?

ლიკვიდატორობის დიპლომატები საბოლოოდ მხილებული არიან «ლუჩის» 101-ე ნომერში. მათ ნიღაბი აეხადათ. «ლუჩისა» და «ნაშა ზარიას» ლიკვიდატორების ჯგუფთან ერთიანობაზე ლაპარაკი ახლა მხოლოდ ფარისევლებს შეუძლიათ.

დროა იმ ს.-დ-ებმა, რომლებიც დღემდე სხვადასხვა მიზეზის გამო მერყეობდნენ, კითხვაზე გარკვეულ პასუხს არ იძლეოდნენ, მორიდებული ფორმით დასაშვებად ცნობდნენ «ლუჩთან» «შეთანხმებას», «ერთიანობის» შესახებ სიტყვებით ფარავდნენ «ლუჩთან» გაერთიანებას, — დროა ბოლოს და ბოლოს შეწყვიტონ მერყეობა და პირდაპირ გამოთქვან თავიანთი აზრი.

შეუძლებელია ერთიანობა «ლუჩთან», სავსებით შესაძლებელი და აუცილებლად საჭიროა ერთიანობა «ლუჩის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ვინაიდან საქმე ეხება «ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ე თ ი ს» ერთიანობას, არალეგალური ს.-დ. პარტიის, რსდმ პარტიის ერთიანობას და მასებში მისი რევოლუციური მუშაობის ერთიანობას.

დაწერილია 1913 წ.
22 იანვარს (4 თებერვალს)

დაბეჭდილია ცალკე ფურცლად
ჰექტოგრაფზე

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით

აზეფეების სამყაროში

ნაციონალისტურმა პრესამ საშინელი ხმაური ატეხა ალიოხინის «შემთხვევის» გამო. რას ბრძანებთ! ავსტრიელებმა შეურაცხყოფა მიაყენეს რუსეთს, უდანაშაულოდ დააპატიმრეს ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი რუსი ინჟინერი, აბუჩად იგდებდნენ დაპატიმრებულს! დასასრული არ ჰქონდა «პატრიოტულ» გამოსვლებს ავსტრიის წინააღმდეგ.

და აი, ახლა გამოაშკარავდა ამ საქმის მთელი მექანიკა — მარტივი, ძველი, დიდი ხნის ცნობილი მექანიკა. ბ-ნი ალიოხინი მსხვერპლი გახდა ავსტრიის პოლიციის «თანამშრომლის» ვეისმანისა, რომელიც თვეში 2 000 კრონად (800 მანეთად) უთვალთვალებდა რუსეთის ჯაშუშებს ავსტრიაში.

რუსი ინჟინერი, რომელსაც გერმანული არ ესმოდა — და, გარდა ამისა, ალბათ, ნახევრად ველურიც იყო — გულუბრყვილოდ წამოეგო იმ პროვოკატორის ანკესზე, რომელსაც იგი არსენალების დასათვალიერებლად დაჰყავდა.

«ნოვოე ვრემია» და შავრაზმული და მთავრობის მიმართულების ჩვენი სხვა გაზეთები თავგამოდებით იცავენ ხოლმე რუს აზეფებს. მაგრამ როცა აზეფი ავსტრიის სამსახურში აღმოჩნდა, კეთილგანმზრახი რუსები «პატიოსანი» აღშფოთებით აღიგზნენ.

მაგრამ, გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ვეისმანი რუსეთის ყოფილი ჯაშუში და პროვოკატორია. ამ ვეისმანის კარიერა უაღრესად საგულისხმოა.

მამამისს საროსკიპო ჰქონდა. შვილი, ასეთი მომზადების შემდეგ, რუსეთის ჯაშუში გახდა ავსტრიაში, ვენაში, და გარდა ამისა უთვალთვალებდა რუს პოლიტიკურ ემიგრანტებს. 1901-დან 1905 წლამდე ვეისმანი, ამრიგად, რუსეთის პოლიციას ემსახურებოდა, ერთსა და იმავე დროს იყო როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ჯაშუში.

შემდეგ ვეისმანი რუსეთის პოლიციას წაეჩხუბა და ავსტრიის პოლიციის სამსახურში გადავიდა.

ეს იყო და ეს.

საწყალი ალიოხინი რუსეთის ყოფილი ჯაშუშის მსხვერპლი აღმოჩნდა. აბა როგორ არ უნდა აღაშფოთოს რუსეთის ლაქიური გაზეთები ავსტრიის ამ «ვერაგობამ»?

«პრავდა» № 20, 1913 წ. 25 იანვარი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზია და რეფორმიზმი

«რეჩის» მსჯელობა გაფიცვების არსებითი საკითხის გამო მუშების უდიდესი ყურადღების ღირსია.

ლიბერალურ გაზეთს მოჰყავს ოფიციალური ცნობები საგაფიცვო მოძრაობის შესახებ:

წლები	გაფიცვები	მუშები (ათასობით)
1905	13 995	2 863
1906	6 114	1 108
1907	3 573	740
1908	892	176
1909	340	64
1910	222	47
1911	466	105
1912	1 918	683

გაკვრით აღვნიშნავთ, რომ 1912 წლის ციფრები აშკარად შემცირებულია: პოლიტიკური გაფიცვების მონაწილენი ნაანგარიშევია სულ 511 ათასი. ისინი ერთიორად მეტი იყვნენ. გაგახსენებთ აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ 1912 წლის მაისში «რეჩი» უარყოფდა ჩვენი მუშათა მოძრაობის პოლიტიკურ ხასიათს და ირწმუნებოდა, მთელი მოძრაობა მხოლოდ ეკონომიურ ხასიათს ატარებსო. მაგრამ ჩვენ განზრახული გვაქვს ახლა საქმის სხვა მხარეზე შევჩერდეთ.

როგორ აფასებს ამ მოვლენას ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია?

«დაკმაყოფილებული არ არის რუსეთის მოქალაქეთა პოლიტიკური შეგნების» (რატომ მხოლოდ შ ე გ ნ ე ბ ი ს??) «ძირითადი მოთხოვნილებანიო» — წერს «რეჩი».

«მუშათა კლასი ყველგან ქალაქის დემოკრატიის ყველაზე მოძრაკა და ყველაზე ამთვისებელი ფენაა... ხალხის ყველაზე ქმედითი ფენაა... კონსტიტუციურ პირობებში... ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში... არ დაიკარგებოდა (პუტილოვის ქარხანაში მომხდარი გაფიცვის გამო) ათეულ ათასობით სამუშაო დღე წარმოების ისეთ დარგში, რომელსაც ახლა, საგარეო გართულებათა გამო, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება» (№ 19).

ბურჟუაზიის თვალსაზრისი ნათელია. «ჩვენ» გვსურს იმპერიალიზმის, სხვისი მიწების ხელში ჩაგდების პოლიტიკა. «ჩვენ» ხელს გვიშლის გაფიცვები. «ჩვენ» ვკარგავთ «დაკარგული» სამუშაო დღეების ზედმეტ ღირებულებას. «ჩვენ» გვსურს მუშების ისეთივე «ნორმალური» ექსპლოატაცია, როგორიც ევროპაშია.

კეთილი და პატიოსანი, ბბ. ლიბერალებო! თქვენი სურვილი კანონიერია, ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ თქვენს მისწრაფებას... თუ... თ უ იგი უსიცოცხლო, ფუჭი არ არის!

«რეჩი» განაგრძობს: «პრუსიის სახელმწიფო მოღვაწეებს (უნდა ეთქვა: პრუსიის მემამულეებს) თავისუფლებისადმი თანაგრძნობის გამო კი არ მიუციათ «ს.-დ. პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს ლ ე გ ა ლ ი ზ ა ც ი ა». რეფორმებს სათანადო ნაყოფი მოაქვთ, როცა მათ დროზე იძლევიან».

ასეთია ჩვენი ბურჟუაზიის დასრულებული რეფორმიზმი. იგი სჯერდება ოხვრა-ხვნეშას, მას სურს დაარწმუნოს პურიშკევიჩები ისე, რომ არ აწყენინოს მათ, შეურიგდეს მათ ისე, რომ არ განდევნოს ისინი. ყოველი გონიერი კაცისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ «ს.-დ. პარტიის ლეგალიზაციის» ლოზუნგი თავისი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მნიშვნელობით (ე. ი. ცალკე მცირე ჯგუფების კეთილ განზრახვათაგან დამოუკიდებლად) ამ უბადრუკი და უძლური ბურჟუაზიული რეფორმიზმის განუყრელი შემადგენელი ნაწილია.

შევნიშნავთ მხოლოდ ერთს. ბისმარკმა რეფორმების გატარება მხოლოდ იმიტომ მოახერხა, რომ გასცილდა რეფორმიზმის ჩარჩოებს: მან მოახდინა, როგორც ცნობილია, მთელი რიგი «რევოლუციები ზემოდან», მან მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანას წაართვა 5 მილიარდი ფრანკი, მას შ ე ე ძ ლ ო ოქროს მდინარითა და უმაგალითო სამხედრო წარმატებებით გაბრუებული ხალხისათვის მიეცა საყოველთაო საარჩევნო უფლება და ნამდვილი კანონიერება.

ხომ არ ფიქრობთ, ბბ. ლიბერალებო, რომ ამის მსგავსი რამ შესაძლებელია რუსეთში?? მაშ არხანგელსკის ერობის საკითხის გამოც კი (აი «რეფორმა» ამას ჰქვია!) უიმედო საქმედ რატომ აცხადებდით რეფორმებს რუსეთში??

«პრავდა» № 23, 1913 წ. 29 იანვარი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრაკდის» ტექსტის მიხედვით

ლია პარტიის შესახებ

გაზეთი «ლუჩი», რომელმაც ინტელიგენტურ წრეებში ძით უფრო მეტად იცის ხოლმე «ხმაური», რაც უფრო ნაკლებად კითხულობენ მას მუშები, უკეთესი საქმის შესაფერი გულმოდგინებით განაგრძობს თავის პროპაგანდას ლ ი ა მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს სასარგებლოდ.

ამ გაზეთის საახალწლო მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ ძველ სიცრუეს, თითქოს 1912 წელმა «მუშათა რუსეთისათვის თავის მორიგ ლოზუნგად და საბრძოლო დროშად წამოაყენა საკითხი კოალიციათა თავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ და საკითხი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აშკარად არსებობისათვის ბრძოლის შესახებ».

ყველამ, ვისაც ნამდვილად ჰქონია კავშირი 1912 წლის მასობრივ მუშათა მოძრაობასთან და ყურადღებით უდევნებია თვალი მისი პოლიტიკური სახისათვის, მშვენივრად იცის, რომ «ლუჩელი» ლიკვიდატორები აქ სიცრუეს ამბობენ. მორიგ ლოზუნგად და საბრძოლო დროშად მუშები ს ხ ვ ა რამეს აყენებდნენ. ეს განსაკუთრებული სიცხადით ჩანდა, მაგალ., მაისის დღეებში, როცა სხვადასხვა მიმდინარეობის თ ვ ი თ ო ნ მოწინავე მუშებმა (და ს.-დ. უმრავლესობაში ნაროდნიკების უმცირესობის მონაწილეობითაც კი) წამოაყენეს ს ხ ვ ა ლოზუნგი, აღმართეს სხვა «საბრძოლო დროშა».

«ლუჩელმა» ინტელიგენტებმა ეს იციან, მაგრამ თ ა ვ ი ა ნ თ რწმენანაკლებობას, თ ა ვ ი ა ნ თ გაგების შეზღუდულობას, თ ა ვ ი ა ნ თ ოპორტუნიზმს ისინი თავს ახვევენ მუშებს.

ნაცნობი და არც ახალი სურათია! რუსეთში კი ასეთი დამახინჯება მის ავტორებს მით უფრო ადვილად ჩაუვლით ხოლმე, რომ იგი გარკვეულ ასპარეზებზე «აშკარა» გამოვლინების მონოპოლიით სარგებლობს.

მაგრამ «ლუჩის» სიცრუე სიცრუედ რჩება. და იგი ღრმავდება, როცა «ლუჩი» განაგრძობს:

«მუშათა მასების 1913 წლის პოლიტიკური მობილიზაციის ცენტრში სწორედ ეს ლოზუნგი იქნება»...

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ: წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მუშათა მასებისა, რომლებმაც უკვე ს ხ ვ ა ლოზუნგი წამოაყენეს, «ლუჩელი» ინტელიგენტები შემოფცქვნიან და შეკვეცენ მას! თქვენი ნებაა — მაგრამ, ბატონებო, თქვენ სრულებითაც არა სოციალ-დემოკრატიულ, არამედ ლიბერალურ საქმეს აკეთებთ.

დაე გაიხსენოს მკითხველმა «ლუჩისა» და «პრავდის» ამასწინანდელი კამათი ღია პარტიის შესახებ. რატომ კადეტებსაც კი არ გამოუვიდათ ღია პარტია? — კითხულობდა «პრავდა» *. ხოლო «ლუჩში» ფ. დ. უპასუხებდა:

«კადეტებმა თავიანთი სურვილი უტოპიად მიიჩნიეს», როცა მათ წესდება არ დაუმტკიცეს, ლიკვიდატორები კი «შეუპოვარ გეგმაშეწონილ მუშაობას ეწეოდნენ და პოზიციას პოზიციაზე იპყრობდნენ» (იხ. «ლუჩი» № 73).

თქვენ ხედავთ: ფ. დ-მ თავი ააარიდა პასუხს! კადეტებიც ეწეოდნენ შეუპოვარ მუშაობას, და ისინი «იპყრობდნენ პოზიციებს» ლეგალურ ლიტერატურასა და ლეგალურ კავშირებში. მაგრამ ღია პ ა რ ტ ი ა კადეტებსაც კი ა რ ა ა ქ ვ თ.

მაშ კადეტები კვლავ რატომ ოცნებობენ და ლაპარაკობენ ღია პარტიაზე? იმიტომ, რომ ისინი არიან კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის პარტია, რომელიც თანახმაა შ ე უ რ ი გ დ ე ს პურიშკევიჩებს ლიბერალებისადმი გარკვეული დათმობებისათვის, «მშვიდობიანი» ღია კ.-დ. პარტიისადმი დათმობისათვის.

* იხ. ეს ტომი, გვ. 524 — 526. რ ე დ.

აი როგორია ობიექტური, ე. ი. კეთილი სურვილებისა და ლამაზი სიტყვებისაგან დამოუკიდებელი, მნიშვნელობა ლაპარაკისა ღია პარტიაზე სამი ივნისის რეჟიმის ეპოქაში. ეს ლაპარაკი გამოხატავს თანმიმდევრულ დემოკრატიაზე ხ ე ლ ი ს ა ღ ე ბ ა ს და პურიშკევიჩებთან ზ ა ვ ი ს ქადაგებას.

მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა მ ი ზ ნ ე ბ ს ისახავენ ლიკვიდატორები ღია პარტიის თავიანთი ქადაგებით, თუ როგორია მათი განზრახვები და ვარაუდები. ეს სუბიექტური საკითხია; ცნობილია, რომ ჯოჯოხეთი «კეთილი» განზრახვებით არის მოკირწყლული. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ობიექტური მნიშვნელობა ღია მუშათა პარტიის ქადაგებისა სამი ივნისის რეჟიმის დროს, როცა ლიბერალური პარტია ღია არ არის და სხვ.

ღია პარტიის შესახებ ლიკვიდატორული ლაპარაკის ეს ობიექტური მნიშვნელობა დემოკრატიის საერთო-სახალხო და ძირითად პირობებზე და მოთხოვნებზე ხელის აღებაა.

ყოველი შეგნებული მუშა სწორედ ამიტომ ეკიდება უარყოფითად ლიკვიდატორების ქადაგებას, ვინაიდან «ღია პარტიის» საკითხი ძ ი რ ი თ ა დ ი საკითხია, მუშათა კლასის პარტიის თ ვ ი თ ა რ ს ე ბ ო ბ ი ს საკითხია. ლიკვიდატორული ქადაგება ნამდვილად მუშათა პარტიის სწორედ თვით არსებობას უთხრის ძირს.

«პრავდა» № 24, 1913 წ. 30 იანვარი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გლეხთა მიწების მობილიზაცია

მიწების მობილიზაცია ეწოდება მიწის საკუთრების გადასვლას ხელიდან ხელში. ჩვენი გლეხების მიმართ დღემდე კანონშიც და «საზოგადოებრივ» აზრშიც (ლიბერალურშიც კი, კადეტებს შორის) დარჩენილია ბატონყმური შეხედულება, რომ გლეხთა მიწების მობილიზაცია მავნეა და რომ იგი უნდა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

დემოკრატიის თვალსაზრისით უკვე მარტო იმ აზრის დაშვება, რომ გლეხებს — მოზრდილ ადამიანებს და სრულუფლებიან მოქალაქეებს — შეიძლება აუკრძალონ ან გაუძნელონ მათი მიწის გაყიდვა, გლეხობის ყველაზე უსირცხვილო აბუჩად აგდებაა. მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სადაც ყველა მოხელე და მრავალი ლიბერალი ჯერ კიდევ გამსჭვალულია ძველი ბატონყმური შეხედულებით მეურვეობაში მყოფი, მოუსაზრებელი, არასრულუფლებიანი «ტეტია გლეხის» მიმართ, შეიძლება რჩებოდეს ასეთი დამოკიდებულება მობილიზაციისადმი.

მეურნეობის თვალსაზრისით მობილიზაციის ყოველგვარი აკრძალვა და შეზღუდვა დიდად საზიანოა. ცხოვრების რამდენადმე ხელრიანი პირობების დროს გლეხი არასოდეს არ გაყიდის თავის მიწას. ხოლო თუ გაჭირვება ან სხვა პირობები (სხვაგან დასახლება, მუშაკის სიკვდილი და სხვ.) აიძულებენ მას გაყიდოს, მაშინ ვერავითარი კანონი ვერ შეაკავებს. კანონს მუდამ აუვლიან გვერდს, და აკრძალვა მხოლოდ გააუარესებს მიწის გაყიდვის პირობებს.

ყველაზე მემარჯვენე კადეტების, ლიბერალებისა და შავრაზმელების ნარევის ორგანოს — «რუსსკაია მისლის» იანვრის წიგნაკში ვინმე თავადი ვ. ობოლენსკი, რომელიც, როგორც ჩანს, იზიარებს ჩვეულებრივ შავრაზმულ-ლიბერალურ შეხედულებას მობილიზაციაზე, იძულებული იყო მოეყვანა ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც ამტკიცებენ მობილიზაციის შეზღუდვათა უგუნურებასა და მავნეობას. არა-გლეხებს უკრძალავენ ნადელების ყიდვას. მყიდველი ეწერება გლეხად! კრძალავენ იმას, რომ ერთი ყიდულობდეს სულზე დაწესებულ ექვს ნადელზე მეტს. მყიდველი დებს ფიქტიურ, ყალბ გარიგებებს ნათესავების სახელზე და სხვ.! კრძალავენ სანადელო მიწების დაგირავებას. სწორედ ამით უადვილდებათ ოინები სპეკულანტებს, უძნელდებათ მიწის შეძენა საშუალო გლეხებს!

მხოლოდ ბატონყმობის მომხრეები და ფარისევლები შეიძლება მოელოდნენ მობილიზაციის შეზღუდვათაგან «შველას» გლეხებისათვის. შეგნებული გლეხები გამოსავალს სულ სხვა რამეში ეძებენ.

«პრავდა» № 26, 1913 წ. 1 თებერვალი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ზოგი რამ გაფიცვების შესახებ

გაზეთი «ლუჩი» მთელ რიგ სტატიებში მასობრივი გაფიცვების წინააღმდეგ ილაშქრებდა.

რა თქმა უნდა, აქ არ შეგვიძლია ისეთი პასუხი გავცეთ «ლუჩს», როგორისაც ღირსია.

დავჯერდებით მცირეოდენ წმინდა თეორიულ შენიშვნებს «ლუჩის» ქადაგების ხ ა ს ი ა თ ი ს შესახებ. გულმოდგინედ მოჰყავდათ რა მაგალითები დასავლეთი ქვეყნებიდან, ათასობით ყაიდაზე იმეორებდნენ რა სიტყვებს: «ანარქო-სინდიკალიზმი» და სხვ., — «ლუჩელმა» მწერლებმა ამით გამოამჟღავნეს, რომ სრულებით არ ესმით რუსეთში 1912 წელს მომხდარი გაფიცვების ისტორიული თავისებურება.

ევროპაში გაფიცვებს XX საუკუნეში არსად არ ჰქონიათ, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ისეთი მნიშვნელობა, როგორიც აქვთ ახლანდელი ეპოქის რუსეთში. რატომ?

იმიტომ, რომ მთელ ევროპაში დიდი ხანია აბსოლუტურად დამთავრებულია ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდი, ხოლო რუსეთში დღის წესრიგში დგას — ამ სიტყვის ისტორიული მნიშვნელობით — სწორედ ასეთი გარდაქმნები.

აქედან წარმოდგება საერთო-სახალხო ხასიათი ეკონომიური, და უფრო მეტად არაეკონომიური, გაფიცვებისა რუსეთში. ასეთ საერთო-სახალხო ხასიათს (ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნათა თვალსაზრისით) მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ ევროპული გაფიცვები, რომლებიც სულ სხვა გარდაქმნათა მომასწავებელი არიან. შემდეგ, რუსეთში გაფიცვების დამოკიდებულება წვრილი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების

(გლეხების) მდგომარეობისადმი აგრეთვე სრულებით არა ჰგავს ამ დამოკიდებულებას დასავლეთ ქვეყნებში.

ყოველივე ამას ერთად თუ ავიღებთ, მივხვდებით, რომ «ლუჩის» ქადაგება ჩრდილში ტოვებს რუსეთის 1912 წლის ეკონომიური და არაეკონომიური გაფიცვების სწორედ საერთო-სახალხო, დემოკრატიულ მნიშვნელობას. პროლეტარიატის, როგორც ჰეგემონის (ხელმძღვანელის) გამოსვლა, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლიბერალების ანტიდემოკრატიულ განწყობილებათა — აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ისტორიულად-თავისებური ჩვენს გაფიცვებში. და აი სწორედ ეს არ ესმით «ლუჩელ» მწერლებს და ვერც მიხვდებიან თავიანთი ლიკვიდატორული თვალსაზრისით.

საქმე, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ეხება ამა თუ იმ ცალკე გაფიცვის მიზანშეწონილობის შეფასებას. საქმე სრულებითაც არ ეხება იმას, რომ საჭიროა გაფიცვის რაც შეიძლება გეგმაშეწონილი მომზადება, ხოლო ზოგჯერ გაფიცვის ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი მოქმედებით შეცვლაც კი. საქმე ეხება იმას, რომ ლიკვიდატორებს ს ა ე რ თ ო დ არ ესმით გაფიცვების ი ს მნიშვნელობა საზოგადოდ, რომელიც არსებული ვითარებისათვის შეუფერებელს, შეუსაბამოს ხდის «კოალიციათა თავისუფლების» ან «ღია პარტიის» ლოზუნგს.

არა ცალკეულ შემთხვევებს, არამედ მოძრაობის მთელ ხასიათს უწერენ ლიკვიდატორები მინუსს იქ, სადაც მარქსისტები და შეგნებული მუშები წერენ პლუსს. «ლუჩის» ქადაგება აი ამიტომ იწვევდა და იწვევს მუშების სამართლიან აღშფოთებას.

«პრავდა» № 27, 1913 წ. 2 თებერვალი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რუსები და ზანგები

რა უცნაური დაპირისპირებაა? — იფიქრებს მკითხველი. — როგორ შეიძლება ერთმანეთს შედარდეს ერთ-ერთი რასა და ერთ-ერთი ერი?

შესაძლებელი დაპირისპირებაა. ზანგები ყველაზე გვიან განთავისუფლდნენ მონობისაგან და დღემდე ატარებენ მონობის ყველაზე უფრო მძიმე კვალს — მოწინავე ქვეყნებშიც კი, ვინაიდან კაპიტალიზმს არ შეუძლია «დაიტიოს» სხვაგვარი განთავისუფლება, გარდა უფლებრივისა, და ამ უკანასკნელსაც ყოველნაირად კვეცს.

რუსების შესახებ ისტორია ამბობს, რომ ისინი «თითქმის» განთავისუფლდნენ ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი მონობისაგან 1861 წელს. დაახლოებით იმავე დროს, ამერიკელ მონათმფლობელებთან სამოქალაქო ომის შემდეგ, განთავისუფლდნენ მონობისაგან ზანგები ჩრდილოეთ ამერიკაში.

ამერიკელი მონების განთავისუფლება ნაკლებ «რეფორმატორული» გზით მოხდა, ვიდრე რუსი მონების განთავისუფლება.

ა მ ი ტ ო მ ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, რუსებს მონობის გ ა ც ი ლ ე ბ ი თ მ ე ტ ი კვალი აჩნევიათ, ვიდრე ზანგებს. და უფრო ზუსტიც კი იქნებოდა, თუ ვილაპარაკებდით არა მარტო კვალზე, არამედ დაწესებულებებზეც... მაგრამ ამ პატარა სტატიაში დავჯერდებით ნათქვამის ერთ მცირე ილუსტრაციას: წერა-კითხვის ცოდნის საკითხს. ცნობილია, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა მონობის ერთ-ერთი კვალია. მოსახლეობის უმრავლესობა არ შეიძლება

წერა-კითხვის მცოდნე იყოს ქვეყანაში, რომელსაც ჩაგრავენ ფაშები, პურიშკევიჩები და სხვ.

— რუსეთში წ ე რ ა-კ ი თ ხ ვ ი ს უ ც ო დ ი ნ ა რ ი ა 73%, თუ არ ჩავთვლით ბავშვებს 9 წლის ასაკამდე.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგებს შორის წერა-კითხვის უცოდინარია (1900 წ.) — 44 ½ %.

ცივილიზებული, მოწინავე ქვეყნისათვის, ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკისათვის, სამარცხვინოა წერა-კითხვის უცოდინართა ასეთი უმსგავსოდ მაღალი %. ამასთან ყველამ იცის, რომ ს ა ე რ თ ო დ ზანგების მდგომარეობა ამერიკაში შეუფერებელია ცივილიზებული ქვეყნისათვის: კაპიტალიზმს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მისცეს ს რ უ ლ ი განთავისუფლება და სრული თანასწორობაც კი.

საგულისხმოა, რომ ამერიკაში თეთრკანიანთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა სულ 6%-ს შეადგენს. მაგრამ თუ ამერიკას გავყოფთ ყოფილ მონათმფლობელურ (ამერიკული «რუსეთი») და არა-მონათმფლობელურ (ამერიკული არა-რუსეთი) რაიონებად, თ ე თ რ კ ა ნ ი ა ნ თ ა შ ო რ ი ს წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტს მივიღებთ: პირველში 11 — 12%-ს, მეორეში 4 — 6%-ს!

ყოფილ მონათმფლობელურ რაიონებში თ ე თ რ კ ა-ნ ი ა ნ თ ა შ ო რ ი ს წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი ე რ თ ი ო რ ა დ მ ე ტ ი ა. მონობის კვალი მარტო ზანგებს როდი აჩნევიათ!

სირცხვილი ამერიკას ზანგების მდგომარეობისათვის!..

დაწერილია 1913 წ. იანვრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. ჟურნალ «კრასნაია ნივაში» № 3
ხელმოწერა: W.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ერთი აღმოჩენის შესახებ

ბურჟუაზიული საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ მილიონთა დაქირავებული შრომით ცხოვრობს და არსებობს. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა მემამულეთა შემოსავალიც, კაპიტალისტთა მოგებაც, მაძღარი ცხოვრების ყოველგვარი «წარმოებული» წყაროებიც, როგორიცაა ჰონორარი, ჯამაგირი და სხვ. ხოლო ის ძალა, რომელიც მილიონებს დაქირავებულთა რიგებში ერეკება, შიმშილია.

ეს ძველი, საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ფაქტია. ბურჟუაზიული საზოგადოება მას ეჩვევა და «ვერ ამჩნევს». მაგრამ ფუფუნების გვერდით გაჭირვებისა და სიღატაკის აღმაშფოთებელი შემთხვევები დროდადრო — განსაკუთრებით თუ საფრთხე ემუქრება ბბ. ბურჟუების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას! — საჭიროს ხდიან «აღმოჩენებს». თვითეულ დიდ ქალაქში, რომელიმე მიყრუებულ სოფელში დროგამოშვებით «აღმოაჩენენ ხოლმე» საშინელ, საზიზღარ, ადამიანისათვის შეუფერებელ სიბინძურეს, სიღატაკეს, გაპარტახებას. «აღმოაჩენენ», საზოგადოებას აუწყებენ «დიდი» გაზეთების საშუალებით, ერთ-ორ დღეს ილაპარაკებენ და დაივიწყებენ. მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო...

ამასწინათ პეტერბურგში საზოგადოება ერთ-ერთ ასეთ «აღმოჩენას» გააცნო ვინმე ექიმმა კოზლოვსკიმ, რომელსაც როჟდესტვენსკის ნაწილის 251 კუთხის ბინა დაუთვალიერებია.

«ბნელი, ნესტიანი ოთახები, შეხუთული ჰაერი, ჭუჭყი, ძილი სკივრებზე, იატაკზე, საშინელი სივიწროვე (3 578 მცხოვრები 251 ბინაში), კედლებზე გასრესილი ბაღლინჯოები, შემაძრწუნებელი სურათია» («ნოვოე ვრემია» № 13236).

სახალხო ჯანმრთელობის საზოგადოებამ, რომელმაც ეს მოხსენება მოისმინა, დაადგინა დამუშავდეს საკითხი... აღიძრას შუამდგომლობა... შეტანილ იქნეს თხოვნა გამოკვლევის შესახებ... ე. ი. გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო.

მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი ქალაქ ს.-პეტერბურგის 1911 წლის სტატისტიკიდან. «მათხოვართა გადარჩევა და მოვლა-პატრონობის განსაკუთრებული საკრებულოს» განკარგულებაში გადაცემულ იქნა 16 960 მათხოვარი. მათგან 1 761 მ ი ც ე მ ულ ი ქ ნ ა ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი — სუფთა ბატონებს ნუ აწუხებთო! — 1 371 გაიგზავნა სამშობლოში (სოფელი «მიჩვეულია» სიღატაკის ატანას), 1 892 მოვლა-პატრონობისათვის დატოვებულია საკრებულოს დაწესებულებებში და 9 694 — გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ულ ი ა.

ასე თუ ისე ხომ იშრომეს საკრებულოში, «გადარჩევა» მოახდინეს, აბა ტყუილად ხომ არ აძლევენ მათ ჯამაგირს.

იმავე 1911 წელს შრომის საქალაქო ბირჟას (მოსკოვის კარს იქით) მიმართა სამუშაოს მძებნელმა 43 156 შავმა მუშამ. სამუშაო მიიღო 6 076 კაცმა.

«განთავისუფლებულნი» (მათხოვრები «მოვლა-პატრონობისაგან», შავი მუშები სამუშაოსაგან) ღამეს ათევენ ქუჩაში, ღამის თავშესაფრებში, კუთხის ბინებში... აი მასალა აღმოჩენებისათვის.

«პრავდა» № 29, 1913 წ. 5 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

29-დან 31 იანვრამდე ახალი სტილით ლონდონში მიმდინარეობდა ბრიტანეთის მუშათა პარტიის XIII ყრილობა. ესწრებოდა 500 დელეგატი.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ომის წინააღმდეგ და მნიშვნელოვანი უმრავლესობით — რეზოლუცია, რომელიც პარტიის წარმომადგენლებს პარლამენტში წინადადებას აძლევს ხმა მისცენ საარჩევნო რეფორმის ყოველი პროექტის წინააღმდეგ, რომელიც საარჩევნო უფლებებს ქალებზე არ ავრცელებს.

ინგლისის «მუშათა პარტია», რომელიც ოპორტუნისტული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» და სოციალ-დემოკრატიული «ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის» გვერდით არსებობს, ფართო მუშათა პარტიის მსგავს რასმე წარმოადგენს. ეს არის კომპრომისი სოციალისტურ პარტიასა და არასოციალისტურ პროფესიულ კავშირებს შორის.

ეს კომპრომისი წარმოშობილია ინგლისის ისტორიის თავისებურებებით, მუშათა კლასის არისტოკრატიის გამოცალკევებით არასოციალისტურ, ლიბერალურ პროფესიულ კავშირებში. ამ კავშირების დაწყებული შემობრუნება სოციალიზმისაკენ მრავალი შუალედური, დახლართული მდგომარეობის გაჩენას იწვევს.

მაგალ., პარტიული დისციპლინის საკითხზე მიღებულია რეზოლუცია, რომელიც პარტიისა და საპარლამენტო ფრაქციის გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის პარტიიდან გარიცხვით იმუქრება.

დაიწყო დავა, რომელიც რომელიმე სხვა ქვეყანაში შეუძლებელია: ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს რეზოლუცია, ლიბერალების წინააღმდეგ თუ სოციალისტების წინააღმდეგ?

საქმე ის არის, რომ პარლამენტში 40 მუშათა დეპუტატიდან 27 არასოციალისტია!! ცამეტი სოციალისტისათვის — ამბობდა ვილი ტორნი, სოციალისტი, ილაშქრებდა რა რეზოლუციის წინააღმდეგ, — ხელ-ფეხის შეკვრა უნდათ არასოციალისტებისათვის დამორჩილებითო. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრმა ბრიუს გლეიჟერმაც კი, რომელიც რეზოლუციას იცავდა, აღიარა, რომ ექვსიოდე ისეთი მუშათა დეპუტატია, რომელთა ადგილი კონსერვატორებს შორის არისო.

რეზოლუცია მიღებულ იქნა.

რეზოლუცია იმის შესახებ, რომ პარტიული ორგანიზაციების ბინებში გამოიკიდოს ხოლმე არა მარტო ოპორტუნისტული ყოველდღიური გაზეთის: «ყოველდღიური უწყების» პლაკატები, — უარყოფილ იქნა 643 000 ხმის უმრავლესობით 398 000 ხმის წინააღმდეგ. კენჭისყრის დროს აქ მხედველობაში იღებენ იმ წევრთა რიცხვს, რომლებსაც დელეგატები წარმოადგენენ.

ყრილობაზე უმრავლესობა ეკუთვნოდათ არასოციალისტებს და მეტად ცუდ სოციალისტებს. მაგრამ გაისმოდა გარკვეული ხმები, რომ მუშათა მასა უკმაყოფილოა ასეთი პარტიისა, რომ იგი დეპუტატებისაგან მოითხოვს კანონმდებლობანას ნაკლებ თამაშს და მეტ სოციალისტურ პროპაგანდას.

«პრავდა» № 30, 1913 წ. 6 თებერვალი
ხელმოწერა: ბ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კონსტიტუციური ილუზიების დამსხვრევა

«ჩვენ, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვს» — ამბობდა 1907 წლის 3 ივნისის შემდეგ ბ-ნი მილიუკოვი. ასეთი სასაცილო სიტყვებით ინუგეშებდა თავს ბელადი ლიბერალური ბურჟუაზიისა, ფარავდა რა იმას, რომ ამ უკანასკნელს არ აქვს რწმენა ხალხისადმი, არ სურს, ეშინია გადაუხვიოს «კონსტიტუციურ» გზას.

მეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ ახლა, როცა თვით იგივე ბ-ნი მილიუკოვი ან მისი გაბღენძილი, კაზიონურ-ლიბერალური «რეჩი» აღიარებენ «საზოგადოებრივი აღმავლობის დაწყებას» (№ 26), თვალსაჩინო ხდება ამ კონსტიტუციური ილუზიების კრახი. იმის სურვილი, რომ თავიდან მოიშორონ უსიამოვნო სინამდვილე (და უსიამოვნო აუცილებლობა გზისა, რომელიც «კონსტიტუციურს» არა ჰგავს), — იმის სურვილი, რომ თავი დაიმშვიდონ და სხვებიც დაამშვიდონ «კონსტიტუციური» სიტყვებით, აი რა არის ამ ილუზიების საფუძველი.

აბა ნახეთ, რას ამბობენ ლიბერალები მიმდინარე მომენტის შესახებ!

«სათათბიროში მოწყენილობაა, იმიტომ რომ ბრძოლა არ არის» (გვ. 25).

ძალას ვინ გატანდათ, ბატონებო, რომ აცხადებდით, კონსტიტუცია გვაქვსო!

«ყველა სიტყვა ითქვა. ახლა საჭიროა საქმე, მ ი ს დ ა მ ი რ წ მ ე ნ ა კ ი ა რ ა რ ი ს. აქედან წარმოდგება აპათია» (იქვე).

თქვენ თავს იმშვიდებდით ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა დ მ ი რწმენით და ამ სიტყვებით უმთავრესად ოქტიაბრისტებს მიმართავდით. ახლა ალიარებთ, რომ ამ სიტყვებით ფარავდით ს ა ქ მ ი ს ა დ მ ი რ წ მ ე ნ ი ს უქონლობას.

თქვენ თვითონ გამოუტანეთ საკუთარ თავს, ბატონო ლიბერალებო, თქვენი გაკიცხვა.

საერთოდ დემოკრატიას, — განსაკუთრებით მუშებს — სიტყვებისადმი (კონსტიტუციის შესახებ) რწმენა არ ჰქონ- *

დაწერილია 1913 წ. იანვრის დამლევს

იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — სტატიის ხელნაწერი მთლიანად არ შენახულა. რ ე დ.

გმადლობთ გულახდილობისათვის

მადლობას მოვახსენებთ შავრაზმულ გაზეთ «ნოვოე ვრემიას» იმისათვის, რომ დაბეჭდა გულახდილი სიტყვები კობილინსკისა, მემარჯვენეთა ბელადისა სახ. საბჭოში. მადლობას მოვახსენებთ თვით «ბელადსაც».

«ხშირად აღმოჩნდება ხოლმე — ამბობდა ბ-ნი კობილინსკი — რომ სახ. სათათბიროს წევრებს არ გააჩნიათ საკანონმდებლო საქმიანობის არც ცოდნა და არც უნარი... კ ა ნ ო ნ ე ბ ს ა ს ე მ ხ ო ლ ო დ მ ე დ უ ქ ნ ე ე ბ ი წ ე რ ე ნ.

...ჩვენ თავს გვესხმიან იმისათვის, რომ უარვყავით კანონპროექტი არხანგელსკის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ... სახ. სათათბიროს სრულებით არ უფიქრია იმაზე, რომ, რადგან არხანგელსკის გუბერნიაში კულტურული ელემენტები არ არის და მოსახლეობა მცირეა, იქ საერობო სამმართველოებში საჭირო გახდებოდა არჩევა, როგორც ჩვენში ოხუნჯობდნენ, ე რ თ ი ტ ე ტ ი ი ს ა, ერთი ირმისა და ერთი დათვისა.

...ყოველ შემთხვევაში ტ ე ტ ი უ რ ი ერობის შექმნას, როგორც მას III სახ. სათათბირო აპროექტებდა, ჩ ვ ე ნ ა რ დ ა ვ უ შ ვ ე ბ თ».

აბა, როგორ არ უნდა მოვახსენოთ მადლობა ასეთი გულახდილობისათვის მემარჯვენეთა ბელადს სახ. საბჭოში, ე. ი. სახ. საბჭოს ბელადს?

ნაცვლად გაცვეთილი, არაფრისმთქმელი, ლიბერალური ფრაზებისა სახ. საბჭოს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, სულით და გულით ვურჩევთ მკითხველებს ყურადღება მიაქციონ საკითხის ამ ნათელ, მართალ დაყენებას სახ. საბჭოს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ.

მედუქნეები სახ. სათათბიროში... ტეტიები, დათვები ერობაში... მედუქნეებსა და ტეტიებს არ დავუშვებთ. აი მემამულე-მებატონის ნამდვილი ენა.

და შენიშნეთ: ის მართალია, ეს მებატონე, რომ სახ. სათათბიროში ა რ ა რ ი ს უმრავლესობა «უმედუქნეებოდ», ე. ი., შეგნებული მუშის (და არა ველური მემამულის) ენით რომ ვთქვათ, — უ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ო დ. ის მართალია, ეს მემამულე, რომ თვითმმართველობა ნამდვილად გ ლ ე ხ უ რ ი (ეს სიტყვა შეგნებულ მუშებს უმჯობესად მიაჩნიათ, ვიდრე გამოთქმა: «ტეტიური», რომელიც გავრცელებულია ველურ მემამულეებში) თვითმმართველობა იქნებოდა. გლეხები უმრავლესობას შეადგენენ.

სახ. საბჭო სრულებითაც არ არის შემთხვევითი პოლიტიკური დაწესებულება, არამედ კ ლ ა ს ი ს ორგანოა — აი რას ამბობს კობილინსკის მართალი სიტყვა. ეს კლასი მსხვილი მემამულეები არიან. ისინი ა რ დ ა უ შ ვ ე ბ ე ნ «მედუქნესა და ტეტიას».

მაშ კობილინსკისაგან ისწავლეთ, ბატონო რუსეთის ლიბერალო «მედუქნეებო», ბ-ნო ოქტიაბრისტებო და კადეტებო, პოლიტიკური საკითხების სერიოზულად დაყენება!

«პრავდა» № 35, 1913 წ. 12 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ერთიანობის საკითხი

«პრავდაში» დაბეჭდილმა კოსტრომელ მუშათა დეპუტატის შაგოვის წერილმა (№ 22 — 226) მეტისმეტად ნათლად გვიჩვენა, თუ რა პირობით მიაჩნიათ მუშებს შესაძლებლად სოციალ-დემოკრატიის ერთიანობის განხორციელება. მუშათა კურიის მთელი რიგი სხვა დეპუტატების წერილებმა («პრავდა» №№ 21 — 28) დაადასტურეს ეს შეხედულება. ერთიანობა უნდა განახორციელონ თვითონ მუშებმა «ქვემოდან». ლიკვიდატორები იატაკქვეშეთის წინააღმდეგ კი არ უნდა ეწეოდნენ ბრძოლას, არამედ თვითონ უნდა შედიოდნენ იატაკქვეშეთში.

გასაკვირველია, რომ საკითხების ესოდენ ნათლად და პირდაპირ დაყენების შემდეგ «ლუჩის» 27-ე (113) ნომერში ვხვდებით ტროცკის ძველ, მაღალფარდოვან, მაგრამ სრულიად უშინაარსო ფრაზებს. აქ არ არის ერთი სიტყვაც კი საკითხის ა რ ს ი ს შესახებ! არ არის ზ უ ს ტ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს მოყვანისა და მათი ყოველმხრივ გარჩევის ოდნავი ცდაც კი! არ არის თუნდაც გადაკვრით მითითება ერთიანობის რ ე ა ლ უ რ პ ი რ ო ბ ე ბ ზ ე! ლიტონი შეძახილები, მაღალფარდოვანი სიტყვები, ქედმაღლური გამოსვლები მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომლებსაც ავტორი არ ასახელებს, რიხიან-მედიდური მტკიცებანი, — აი ტროცკის მთელი ავლადიდება.

ეს არ ვარგა, ბატონებო. თქვენ ელაპარაკებით «მუშებს», რ ო გ ო რ ც ბ ა ვ შ ვ ე ბ ს, ხან აშინებთ მათ უაღრესად მრისხანე სიტყვებით («წრეობანას ბორკილები», «საშინელი პრლემიკა», «ჩვენი პარტიული ისტორიის ფეოდალურ-ბატონყმური პერიოდი») — ხან ცდილობთ «დაიყოლიოთ» ისინი,

როგორც დაიყოლიებენ ხოლმე, დაურწმუნებლად და საქმის განუმარტავად, პატარა ბავშვებს.

მუშებთან არ გაგივათ, არც დაშინება, არც დაყოლიება. ისინი თ ვ ი თ ო ნ შეადარებენ ერთმანეთს «ლუჩსაც» და «პრავდასაც», წაიკითხავენ, მაგალ., მოწინავეს «ლუჩის» 101-ე ნომერში («მუშათა მასები და იატაკქვეშეთი») — და ეხოლოდ ზურგს შეაქცევენ ტროცკის დეკლამაციას.

«პრაქტიკაში იატაკქვეშეთის ვითომდა პრინციპულ საკითხს სოციალ-დემოკრატიის ყველა ნაწილი სავსებით ერთნაირად წყვეტს»... წერს ტროცკი ხაზგასმით. პეტერბურგის მუშებმა გამოცდილებით იციან, რომ ეს ასე არ არის. მუშები რუსეთის ყველა კუთხეში, «ლუჩის» დასახელებულ მოწინავეს თუ წაიკითხავენ, მაშინვე დაინახავენ, რომ ტროცკი თავს არიდებს ჭეშმარიტებას.

«სასაცილო და უაზროა მტკიცება, — ვკითხულობთ მის წერილში, — თითქოს «ლუჩისა» და «პრავდის» პოლიტიკურ ტენდენციებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდეს». გვერწმუნეთ, პატივცემულო ავტორო, რომ ვერც სიტყვა «უაზრო», ვერც სიტყვა «სასაცილო» — მუშებს ვერ შეაშინებს, მათი თხოვნა იქნება ელაპარაკოთ მათ, რ ო გ ო რ ც მ ო ზ რ დ ი ლ ე ბ ს, ა რ ს ე ბ ი თ ა დ: აბა ჩამოაყალიბეთ ეს ტენდენციები! აბა დაამტკიცეთ, რომ შეიძლება «ლუჩის» 101-ე ნომრის მოწინავის «შერიგება» სოციალ-დემოკრატიასთან!

არა. ფრაზებით, თუნდაც «შემარიგებლური», თუნდაც ყველაზე ენატკბილი ფრაზებით მუშებს ვერ დააპურებთ.

«ჩვენი ისტორიული ფრაქციები, ბოლშევიზმი და მენშევიზმი, — წერს ტროცკი, — თავიანთი წარმოშობით წმინდა-ინტელიგენტური წარმონაქმნებია».

ეს ლიბერალური ზღაპრის გამეორებაა. ნამდვილად კი რუსეთის მთელმა სინამდვილემ მუშების წინაშე დააყენა საკითხი ლიბერალებისა და გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ. არავითარი ინტელიგენციაც რომ არ ყოფილიყო,

მუშები გვერდს ვერ აუვლიდნენ ამ საკითხს: გაჰყვნენ ლიბერალებს თუ ლიბერალების წინააღმდეგ უხელმძღვანელონ გლეხებს.

ლიბერალებისათვის ხელსაყრელია უთანხმოების ეს საფუძველი დასახონ, როგორც «ინტელიგენტების» მიერ შეტანილი. მაგრამ ტროცკი მხოლოდ თავს ირცხვენს, ლიბერალურ ზღაპარს რომ იმეორებს.

«პრავდა» № 39, 1913 წ. 16 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რა ხდება ნაროდნიკობაში და რა ხდება სოფლად?

ჟურნალი «რუსსკოე ბოგატსტვო» გვიჩვენებს ნაროდნიკული ანუ ტრუდოვიკული ნაკადის ან რუსეთის ცხოვრების მიმდინარეობის სწორედ იმ ორ შტოს, რომლებსაც შეიძლება თვალი გავადევნოთ პოლიტიკური ცოდნის სხვა, უფრო სწორი, უფრო უშუალო წყაროებითაც.

გავიხსენოთ, მაგალითად, კამათი I და II სათათბიროში. სამწუხაროდ, როგორც ერთის, ისე მეორის სტენოგრაფიული ანგარიშების გაყიდვა ახლა აკრძალულია. მაგრამ, ასე თუ ისე, რუსეთის გლეხობისა და რუსეთის ტრუდოვიკობის შეხედულებათა და მისწრაფებათა შესასწავლად საჭირო უდიდესი პოლიტიკური მასალა, რაც ამ ანგარიშებშია, ნაწილობრივ უკვე გახდა, ნაწილობრივ მომავალში გახდება ყოველი განათლებული ადამიანის კუთვნილებად. ამ მასალიდან გამომდინარე მთავარი დასკვნა ის არის, რომ ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ ი-ტრუდოვიკები (მათ შორის ინტელიგენტი-ესერებიც) და გ ლ ე ხ ი-ტრუდოვიკები არსებითად სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს წარმოადგენენ.

ინტელიგენტ-ნაროდნიკებს მიდრეკილება აქვთ შემარიგებლური ანუ «ზოგადსაკაცობრიო» ფრაზისადმი. მათში ყოველთვის იგრძნობა ლიბერალი. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისი მათთვის ორგანულად უცხოა. ისინი რეზონიორები არიან. ისინი დემოკრატიულ გლეხობას ეწევიან უ კ ა ნ, მისი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ცოცხალი და უშუალო

ბრძოლიდან ბუნდოვანი, ნაცოდვილარი, უძლური ვითომდა-სოციალისტური ფრაზისაკენ.

გლეხი-ნაროდნიკები ორივე პირველ სათათბიროში ცეცხლი, მგზნებარება იყვნენ. ისინი გამსჭვალული არიან უშუალო და გადამწყვეტი მოქმედებისაკენ მისწრაფებით. ისინი უმეცარნი, გაუნათლებელნი, გულუბრყვილონი არიან, მაგრამ თავიანთი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ისეთი პირდაპირობით, შეურიგებლობით, სიძულვილით აღდგებიან ხოლმე, რომ უაღრესად სერიოზულ საზოგადოებრივ ძალას გ რ ძ ნ ო ბ თ.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ინტელიგენტი-ნაროდნიკები ყოვლად ცუდი სოციალისტები და განმაგნიტებული დემოკრატები არიან. გლეხი-ტრუდოვიკები სრულიადაც არ თანაშობენ სოციალიზმობანას, რომელიც მათთვის აბსოლუტურად უცხოა, მაგრამ ისინი «მთელი არსებით», გულწრფელი, მხურვალე და ძლიერი დემოკრატები არიან. რუსეთში გლეხური დემოკრატია გაიმარჯვებს თუ არა, — ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ვინაიდან ეს მეტად რთულ ობიექტურ პირობებზეა დამოკიდებული. მაგრამ სავსებით უეჭველია, რომ ტრუდოვიკულ გლეხობას შ ე უ ძ ლ ი ა გაიმარჯვოს მხოლოდ იმ ტენდენციების ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ, რომლებიც მის მოძრაობაში ნაროდნიკულ ინტელიგენციას შეაქვს. სიცოცხლის უნარიან, აწალ, გულწრფელ დემოკრატიას შ ე უ ძ ლ ი ა გაიმარჯვოს, ხელსაყრელი ისტორიული ვითარების დროს, — ხოლო «სოციალისტური» ფ რ ა ზ ა, ნაროდნიკული რეზონიორობა ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს.

ეს დასკვნა რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გაკვეთილად მიმაჩნია, და იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე დავასაბუთებ მას ნაროდნიკების მიერ ორივე სათათბიროში წარმოთქმული სიტყვების დაწვრილებითი ანალიზითა და 1905 — 1907 წლების სხვა პოლიტიკური მასალით. ამჟამად კი მსურს აღვნიშნო ამ დასკვნის შესანიშნავი დადასტურება «რუსსკოე ბოგატსტვოს» — მთავარი და ყველაზე სოლი-

დური ნაროდნიკული ორგანოს — უკანასკნელი (1912 წ., № 12) წიგნაკით.

ამ წიგნაკში ორი სტატია უეჭველად ტიპიურ შთაბეჭდილებას ახდენს. ბ-ნ ა. ვ. პ-ის სტატია («სახალხო თუ პროლეტარული სოციალიზმი?») «სახალხო სოციალისტებისა» და ესერების ინტელიგენტური მსჯელობის ნიმუშია.

გარდუვალი რომ იყოს რუსეთის გლეხობის მასობრივი ძალის ისე წარმართვა, როგორც ეს ბბ. ა. ვ. პ. და კომპანიის მ ს ჯ ე ლ ო ბ ი თ «გამოდის», რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის საქმე უიმედოდ წაგებული იქნებოდა. ვინაიდან ფრაზებიდან და რეზონიორობიდან ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მივიღოთ ისტორიული მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. ა ს ე თ ი ნაროდნიკობის იმპოტენტობა საბოლოოა.

ბ-ნ კრიუკოვის სტატიაში—«უცეცხლოდ»—გლეხობაზე და გლეხურ ცხოვრებასა და გლეხურ ფსიქოლოგიაზე ლაპარაკობს ვინმე ენატკბილი ხუცესი, რომელიც სწორედ ისე გვისურათებს გლეხობას, როგორადაც ეს უკანასკნელი თ ვ ი თ ო ნ გამოდიოდა და გამოდის. თუ ეს დასურათება სწორია, რუსეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიას — სწორედ გლეხობის სახით — მოელის დიდი ისტორიული მოქმედება, რომელსაც თანმხლებ მოვლენათა რამდენადმე ხელსაყრელ ვითარებაში ყველა შანსი აქვს ძლევამოსილი იყოს.

რომ განვმარტოთ ეს, მოკლედ დავახასიათებთ ბ-ნ ა. ვ. პ-ის «იდეებს» და მოვიყვანთ რამდენიმე ციტატს რუსეთის გლეხობის აღწერიდან, რომელიც ენატკბილ ხუცესს აქვს მოყვანილი.

ბ-ნი ა. ვ. პ. ნაროდნიკობის საფუძვლებს იცავს «ზავეტის» მწერალ სუხანოვისაგან, რომელიც მარქსიზმს უ თ მ ო ბ ს ნაროდნიკობის მთელ რიგ კარდინალურ თეორიულ დებულებებს და ამასთან მარქსისტებისა და ნაროდნიკების გაერთიანების მსგავს რაღაცას ქადაგებს.

ბ-ნ ა. ვ. პ-ს გაერთიანების საწინააღმდეგო არა აქვს რა, ბაგრამ ნაროდნიკობის პრინციპების «დათმობას» არ აპირებს.

და ნაროდნიკობის პრინციპული სიწმინდისა და სიმტკიცის სწორედ ეს დ ა ც ვ ა ისეთი, უეჭველია, კომპეტენტური და თვალსაჩინო ნაროდნიკის მიერ, როგორიც არის ბ-ნი ა. ვ. პ., ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს მისი პოზიციის სრულ უ ი-მ ე დ ო ბ ა ს, ა ს ე თ ი ნაროდნიკობის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ უ ს ი ც ო ც ხ ლ ო ბ ა ს.

ბ-ნი სუხანოვი იქამდე მივიდა, რომ თქვა, ბუნებით სოციალისტური კლასი მხოლოდ პროლეტარიატია. რა თქმა უნდა, თუ კაცი რამდენადმე თანმიმდევრულად აზროვნებს, ეს ნიშნავს, რომ აღიაროს მარქსიზმი და მთლიანად დაუსვას ჯვარი ნაროდნიკულ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს.

ბ-ნი ა. ვ. პ. მხედრდება ბ-ნ სუხანოვის წინააღმდეგ, მაგრამ მისი არგუმენტები რაღაც უმაგალითოდ უბადრუკია. თავიდან ბოლომდე ეს არის შენიშვნები, შესწორებები, კითხვითი ნიშნები, ეკლექტიკური შენიშვნები იმ თემაზე, რომ რევიზიონიზმი «უზომოდ აზვიადებს» ცხოვრების მიერ თეორიაში შეტანილ შესწორებებს, ხოლო ორთოდოქსია ამაოდ ხდის მათ სადავოდ. დომხალი, რომელსაც ბ-ნი ა. ვ. პ. გვთავაზობს, ორი წვეთი წყალივით წააგავს კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი სოციალიზმის წინააღმდეგ «ჰუმანიტარული» ბურჟუების მოსაზრებებს, რომლებიც ჩვეულებრივია ევროპის ყველა ქვეყანაში.

ბ-ნი ა. ვ. პ. ვერ ბედავს უარყოს ის ძირითადი და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ მთელ მსოფლიოში მხოლოდ პროლეტარიატი ეწევა ყოველდღიურად სისტემატურ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ, რომ სწორედ ის შეადგენს სოციალისტური პარტიების მასობრივ დასაყრდენს. გლეხობა რომ მ ი თ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ა დ იჩენს თუნდაც სუსტ სოციალისტურობას, რ ა ც უ ფ რ ო თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა ქვეყანა პოლიტიკურად, — ეს ბ-ნმა ა. ვ. პ-მა არ შეიძლება არ იცოდეს. იგი მხოლოდ თ ა მ ა შ ო ბ ს ევროპელი ბურჟუაზიული პროფესორებისა და ოპორტუნისტების აზრების ნაგლეჯებით, რათა ა რ ი ვ-დ ა ნ ი ო ს საქმე, და არც კი ცდილობს

მარქსიზმის წინააღმდეგ წამოაყენოს თუნდაც ისეთი რამ, რაც მთლიანი, პირდაპირი, ნათელი სოციალური თეორიის მსგავსი იქნება.

ამიტომ ბ-ნ ა. ვ. პ-ის სტატიაზე მოსაწყენი არაფერია. რუსეთში ნაროდნიკული სოციალიზმის სრული იდეური სიკვდილისათვის ამაზე უფრო დამახასიათებელი არაფერია. იგი მოკვდა. ბ-ნ ა. ვ. პ-ის «იდეებს» სრულად ნახავთ დასავლეთის ყოველ ბურჟუაზიულ სოციალ-რეფორმისტულ გამოცემაში. მათი უარყოფაც კი არ არის საინტერესო.

მაგრამ თუ რუსეთში მოკვდა ნაროდნიკული სოციალიზმი, თუ იგი მოკლა 1905 წლის რევოლუციამ და დაასამარეს ბბ. ა. ვ. პ-ებმა, თუ მისგან დარჩა მხოლოდ დამპალი ფრაზა, სამაგიეროდ გლეხური დემოკრატია რუსეთში, რომელიც სრულებითაც არ არის სოციალისტური, არამედ ისეთივე ბურჟუაზიულია, როგორიც იყო ამერიკის დემოკრატია 1860 წლებში, საფრანგეთისა XVIII საუკუნის დამლევს, გერმანიისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და სხვ. და ა. შ., ეს დემოკრატია ცოცხალია.

ენატკბილი ხუცესის ნაამბობი სოფლის შესახებ, რასაც ბ-ნი კრიუკოვი გადმოგვცემს, სავსებით ადასტურებს ამას. ხოლო ის, რასაც კრიუკოვი გვაუწყებს, — შევნიშნავთ გაკვრით, — კიდევ უფრო რელიეფურად და, ვგონებ, უფრო ზუსტად გამომდინარეობს დემოკრატიის აშკარა მტრის, ვეხელი ბულგაკოვის მიერ «რუსსკაია მისლში» მოცემული დაკვირვებიდან (1912 წ., № 11: «არჩევნებზე»).

«მლიქვნელობა და ლაჩრობა» — ამბობს კრიუკოვის ხუცესი რუსეთის სამღვდელოების შესახებ — «ეს მუდამ იყო!.. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ არასოდეს არ ყოფილა ისეთი შემაძრწუნებლად გულდამშვიდებული, მდუმარე ჩამოშორება ეკლესიისაგან, როგორც ახლაა. ეკლესიაში თითქოს გაქრა სიცოცხლის სული. ეიმეორებ: მარტო ინტელიგენცია კი არ წასულა, — ხალხი წავიდა... ეს უნდა ვაღიაროთ, — მე ხომ ორ წელიწადს სოფლის მღვდელი ვიყავი».

ენატკბილი ხუცესი იხსენებს ცხრაას ხუთ წელს. მაშინ ხუცესი გლეხებს მანიფესტს უხსნიდა.

«მე მოველოდი — მოთქვამს იგი — თვალის ახელას, მჭიდრო კავშირს, ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს, სიფხიზლეს, ჯანსაღ შეგნებას, გამოღვიძებას, ენერგიას... თვალის ახელა თითქოს მოხდა, მაგრამ ერთობისა და კავშირის ნაცვლად გაჩნდა ღვარძლი და შუღლი. და უპირველეს ყოვლისა სოფელმა სწორედ მეც მომახვედრა და — საკმაოდაც. თითქოს მე სავსებით, სულით და გულით, მისი მომხრე ვიყავი... სწორედ ამ თავისუფლებებს განვუმარტავდი და სხვა. მერე როგორ მისმენდნენ! მე კი მეგონა, რომ იმაზე ფართოდ განმარტება, როგორც მე განვუმარტავდი, არ შეიძლებოდა, მაგრამ არა... სოფელში სხვა სიტყვებმაც შემოაღწია. და სწორედ ამ ახალმა განმმარტებლებმა უფრო არივ-დარიეს საქმე: ეს მიწაო, ეს თანასწორობაო, ეს ბატონებიო. რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, გ ლ ე ხ ებ ი ა მ ა ს ე რ თ ბ ა შ ა დ მ ი ხ ვ დ ნ ე ნ დ ა შ ე ი თ ვ ი ს ე ს. და პირველ რიგში ჩემთან მოვიდნენ და გამომიცხადეს, დრამას ორასს კი არა, ასს გადაგიხდითო...

...მაგრამ მე განსაკუთრებით მ ა ტ კ ი ნ ა გ უ ლ ი არა ამ ფაქტმა — ასი მანეთის შესახებ, არამედ ყოველივე იმის ერთობლიობამ, რამაც ასე ნაჩქარევად შეადგინა სოფლის ახალი სახე. მერე როგორ ყოველი მხრივ ცდილობდნენ აეხილათ მისთვის თვალი, მოეცილებინათ ბისტი, მისი ეს სიბნელე გაეშუქებინათ! და, სიმართლე რომ ითქვას, მიაღწიეს კიდეც. უსინათლო ადამიანმა დაინახა მცირეოდენი სინათლე და ამ მომენტიდან ის ბრმა აღარ არის... თუმცა თვალი არ აჰხელია. მაგრამ ამ ნახევრად თვალხილულობასთან ერთად მან შეიძინა მხოლოდ უაღრესად მწარე შემეცნება და უმძაფრესი ღვარძლი... და ზოგჯერ მას, იქნებ, სანატრელადაც უხდება თავისი ბნელი უმეცრება. და ისეთი ღვარძლი ჩამოვარდა სოფლად, ისეთი ღვარძლი, რომ ახლა მით, თითქოს, გაჟღენთილია მთელი ჰაერი... დანა, კეტი, ცეცხლის წაკიდება. უძლურების სიცხადე. მწვავე, შურუძიებელი წყენა, შინაბრძოლა, განურჩეველი სიძულვილი, შური ყოველივე უფრო ბედნიერისადმი, მყუდროსადმი, შეძლებულისადმი. რა თქმა უნდა, წინათაც იყო შურიც, ღვარძლიც, მწუხარებაც, ბალწი შეცოდებაც, მაგრამ ადამიანებს სწამდათ ნება ღვთისა და ამქვეყნიურ სიკეთეთა ამაოება, სწამდათ და პ ო ე ლ ო ბ დ ნ ე ნ ძ ა ლ ა ს ე თ მ ი ნ ა თ საიქიო ჯილდოს იმედით. ახლა ეს რწმენა აღარ არის. ახლა იქ ასეთი რწმენაა: ჩვენ დამმონებლები ვართ, ისინი — დამონებულები. თავისუფლების შესახებ მთელი ლაპარაკიდან სოფლის ნიადაგზე აღმოცენდა ღვარძლი და ლენცოფა... ახლა კიდევ ეს ახალი კანონი მაწის შესახებ, — ძმა ძმაზე აღდგა, შვილი მამაზე, მეზობელი მეზობელზე. ისეთი ღვარძლი და შფოთი დატრიალდა, რომ სოფელი შიგ ჩაისრჩობა, აუცილებლად ჩაისრჩობა».

ენატკბილი ხუცესის მიერ (წმინდა წყლის ნაროდნიკი-ინტელიგენტია!) სოფლის ამ დამახასიათებელ აღწერაში ჩვენ

ხაზი გავუსვით ზოგიერთ განსაკუთრებით დამახასიათებელ სიტყვას.

ხუცესი «სიყვარულის» მომხრეა, «სიძულვილის» მტერია. ამ მხრივ იგი მთლიანად იზიარებს იმ ტოლსტოურ (შეიძლება აგრეთვე ითქვას: იმ ქრისტიანულ) უაღრესად-რეაქციულ თვალსაზრისს, რომელსაც მუდამ ავითარებენ ჩვენი კადეტები და კადეტთა მსგავსნი. ალბათ, ასეთ ხუცესს საწინააღმდეგო არა აქვს რა იოცნებოს რაღაც «მიწის სოციალიზაციაზე», ილაყბოს კოოპერაციების «სოციალისტურ» მნიშვნელობაზე, «მიწათმფლობელობის ნორმებზე», მაგრამ როცა საქმე «სიყვარულის» ნაცვლად სიძულვილამდე მივიდა, იგი მაშინვე დაფრთხა, მოდუნდა და ყურები ჩამოყარა.

სიტყვიერი, ფრაზებით მორთული «სოციალიზმი» («სახალხო, და არა პროლეტარული») — რამდენიც გნებავთ, ამას ევროპაშიც ყოველი წიგნიერი მეშჩანი მოიწონებს. მაგრამ, თუ საქმე მივიდა «სიძულვილამდე» ნაცვლად «სიყვარულისა», მორჩა. ჰუმანური ფრაზის სოციალიზმი — ჩვენ მომხრე ვართ; რევოლუციური დემოკრატია — ჩვენ წინააღმდეგი ვართ.

ის, რასაც ენატკბილი ხუცესი ლაპარაკობს გაცვეთილ თემაზე სოფლად «ხულიგნობის» შესახებ, ფაქტიურად არავითარ ახალს არ წარმოადგენს. მაგრამ მისი საკუთარი ნაამბობიდან ნათლად ჩანს, რომ «ხულიგნობა» მ ე ბ ა ტ ო ნ ე ე ბ ი ს შემოტანილი ცნებაა. «მწვავე, შურუძიებელი წყენა» — აი რას აღნიშნავს ენატკბილი ხუცესი. ეს კი, უეჭველია, ისეთი რამ არის, რაც ფრიად და ფრიად დაშორებულია «ხულიგნობას».

მარქსისტებს ნაროდნიკობასთან ბრძოლაში ძველთაგანვე თავიანთ ამოცანად მიაჩნდათ დაენგრიათ მანილოვობა, მოთაფლული ფრაზები, სენტიმენტალური ზეკლასობრივი თვალსაზრისი, უხამსი «ხალხური» სოციალიზმი, რომელიც საქმოსნურ მიდგომასა და აფიორებში გამოქნილ რომელიმე ფრანგ «რადიკალ-სოციალისტს» შეჰფერის. მაგრამ მარქსის-

ტებს ამავე დროს ძველთაგანვე თავიანთ ასეთსავე სავალდებულო ამოცანად მიაჩნდათ ნაროდნიკულ შეხედულებათა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ბირთვის გამოყოფა. ნაროდნიკული სოციალიზმი დამპალი და მყრალი ლეშია. გლეხური დემოკრატია რუსეთში, თუ მას სწორად სახავს კრიუკოვის ენატკბილი ხუცესი, ცოცხალი ძალაა. იგი არც შეიძლება ცოცხალი ძალა არ იყოს, სანამ პარპაშებენ პურიშკევიჩები, სანამ შიმშილობს ოცდაათ მილიონობით კაცი.

«განურჩეველი სიძულვილიო» გვეუბნებიან. ჯერ-ერთი, ეს მთლად მართალი არ არის. «გარჩევას» ვერ ხედავენ პურიშკევიჩები, ვერ ხედავენ ჩინოვნიკები, ვერ ხედავენ გულკეთილი ინტელიგენტები. მეორე, რუსეთში მუშათა მოძრაობის დასაწყისშიც ხომ იყო გარკვეული ელემენტი «განურჩეველი სიძულვილისა», მაგალითად, მანქანების დამტვრევის ფორმით გასული საუკუნის 60 — 80-იანი წლების გაფიცვების დროს. ამან სწრაფად განვლო. მთავარი ეს როდია. უხამსობა იქნებოდა «თეთრი ხელთათმანები» მოგვეთხოვა არსებული ვითარების ადამიანებისაგან, რომლებიც მოთმინებას კარგავენ.

არსებითია კავშირის ღრმად გაწყვეტა ძველ, უიმედოდ-რეაქციულ მსოფლმხედველობასთან, ღრმად შეთვისება სწორედ იმ მოძღვრებისა «დამონებულთა» შესახებ, რომელიც მკვდარი ძილის კი არა, ცოცხალი სიცოცხლის საწინდარია.

დალპა ნაროდნიკული სოციალიზმი თვით მემარცხენემდეც კი. ცოცხალია და სიცოცხლისუნარიანია ამოცანა დემოკრატიის გაწმენდისა, განათლებისა, გამოღვიძებისა, დარაზმვისა «სიყვარულის», «მოთმინების» და სხვ. მოძღვრებებთან კავშირის შეგნებულად გაწყვეტის ნიადაგზე. წუხს ენატკბილი ხუცესი. ჩვენ კი ყველა საფუძველი გვაქვს შევხაროდეთ მხნე მუშაობის მდიდარ ასპარეზს.

«პროსვეშჩენიე» № 2, 1913 წ. თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

მზარდი შეუსაბამობა

პუბლიცისტის შენიშვნები

I

ამას წინათ შედგა კ.-დ. დეპუტატების მორიგი თათბირი ამ პარტიის ადგილობრივ მოღვაწეებთან ერთად.

როგორც მოსალოდნელი იყო, იხილებოდა ახლანდელი პოლიტიკური მომენტის თავისებურებები. ამ მომენტის ლიბერალური შეფასება შემდეგია:

«ყურადღება მიექცა მზარდ შეუსაბამობას ძირითადი კანონმდებლობის დარგში ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებასა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუძლებლობას შორის საკანონმდებლო დაწესებულებათა ახლანდელი წყობილების დროს და სახალხო წარმომადგენლობისადმი ხელისუფლების ახლანდელი დამოკიდებულების დროს».

ენა დახლართულია ისე, როგორც ძაფის მორგვი, რომელსაც დიდხანს ეთამაშებოდა კატის კნუტი. საბრალო ჩვენი ლიბერალები, ნათლად ვერსად გამოუთქვამთ თავიანთი აზრები!

მაგრამ უფრო ახლოს დააკვირდით: უბედურება იმდენად ის კი არ არის, რომ ლიბერალებს ვ ე რ ს ა დ გამოუთქვამთ აზრები, რამდენადაც ის, რომ სათქმელი ა რ ა ფ ე რ ი აქვთ. იზრდება შეუსაბამობა არა მარტო ქვეყნის მოთხოვნილებებსა და «ახლანდელი წყობილების» უიმედობას შორის და სხვ., — არამედ აგრეთვე ქვეყნის მოთხოვნილებებსა და ლიბერალიზმის უ მ წ ე ო ბ ა ს შორის.

რატომ არის შეუძლებელი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ბბ. ლიბერალო პოლიტიკოსებო? კადეტების პასუხი: ხელს უშლის საკანონმდებლო დაწესებულებათა ახ-

ლანდელი წყობილება და სახალხო წარმომადგენლობისადმი ხელისუფლების ახლანდელი დამოკიდებულება.

დასკვნა: საჭიროა სხვაგვარი წყობილება და ხელისუფლების სხვაგვარი დამოკიდებულება. საბელდობრ როგორი, ამას დავინახავთ კ.-დ. თათბირის «ოთხი დებულების» გარჩევისას შემდეგ სტატიებში.

მაგრამ მანამდე უნდა დავაყენოთ მთავარი კითხვა: მერე რით აიხსნება «ახლანდელი» «წყობილება და დამოკიდებულება»? საიდან შეიძლება გაჩნდეს ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი? კადეტებს ამაზე არც უფიქრიათ! მათი დუმილი ამ ძ ი რ ი თ ა დ კითხვაზე გამოხატავს დახავსებულ, აზიურ ობივატელურ მსჯელობას, მსგავსად იმისა, რომ იყვნენ ცუდი მრჩევლები, შეიძლება იყვნენ კარგი მრჩევლებიო...

ხომ არ არსებობს, ბბ. კადეტებო, კავშირი «ახლანდელსა» და რომელიმე კ ლ ა ს ი ს, მაგალითად, მსხვილი მემამულეების ან უმდიდრესი ბურჟუების კლასის ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს შორის? ხომ არ არის სრული შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა «ახლანდელსა» და გ ა რ კ ვ ე უ ლ ი კ ლ ა ს ებ ი ს ინტერესებს შორის? განა ცხადი არ არის, რომ ყველა კლასებს შორის ურთიერთობის გაუთვალისწინებლად მსჯელობა პოლიტიკურ მომენტზე ფუჭი ლაყბობაა?

ვაგლახ! ლაყბობის გარდა კადეტები ვერაფრით ვერ დაფარავენ «მზარდ შეუსაბამობას» მათ პოლიტიკასა და ქვეყნის მოთხოვნილებებს შორის.

II

საერთოდ ჩვენს ლიბერალებს — და მათთან ერთად ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებსაც (ლიკვიდატორებს) — უყვართ დაუსრულებელი ლაპარაკი რუსეთის «გაევროპულების» შესახებ. პაწაწკინტელა სიმართლე აქ დიდი სიცრუის დაფარვას ემსახურება.

უეჭველია, რუსეთი, საერთოდ რომ ვთქვათ, ევროპულდება, ე. ი. წარმოებს მისი გარდაქმნა ევროპის ხატად და

მსგავსად (ამასთან ახლა «ევროპას» უნდა მივაკუთვნოთ, წინააღმდეგ გეოგრაფიისა, იაპონია და ჩინეთი). მაგრამ ეს გაევროპულება საერთოდ წარმოებს ალექსანდრე II-ის დროიდან, თუ პეტრე დიდის დროიდან არა, წარმოებს აღმავლობის დროსაც (1905), რეაქციის დროსაც (1908 — 1911), წარმოებს პოლიციაშიც და მარკოვის ტიპის მემამულეებშიც, რომლებიც «აევროპულებენ» დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის თავიანთ ხერხებს.

სიტყვა «გაევროპულება» ისეთი ზოგადი გამოდის, რომ იგი ემსახურება საქმის დახლართვას, პოლიტიკის საარსებო საკითხების დაბნელებას.

ლიბერალებს რუსეთის გაევროპულება სურთ. მაგრამ გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოც თავისი 1906 წ. 9 ნოემბრის (1910 წ. 14 ივნისის) კანონით გაევროპულებისაკენ ისწრაფვის.

ლიბერალებს ევროპული კონსტიტუცია სურთ. მაგრამ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შემოღებული კონსტიტუციები ერთი მხრივ ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს და მეორე მხრივ ბურჟუაზიასა, გლეხებსა და მუშებს შორის ხანგრძლივი და მძიმე კლასობრივი ბრძოლის შედეგი იყო. დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები, რომლებითაც ლიბერალები ჩვენს რეაქციონერებს «არცხვენენ», მხოლოდ ჩანაწერია ბრძოლის შედეგისა, რომელიც მიღებულ იქნა ძველზე ახლის იმ მთელი რიგი გამარჯვებების შემდეგ, რაც ძნელად იქნა მოპოვებული, და იმ მთელი რიგი დამარცხებების შემდეგ, რაც ძველმა ახალს მიაყენა.

ლიბერალებს სურთ, რომ ჩვენში შედეგი გაჩნდეს პლუსებისა და მინუსების იმ ერთობლიობის გარეშე, რომელიც შედეგს შეადგენს! ლიბერალური პროგრამა და ლიბერალური ტაქტიკა აი რით განისაზღვრება: ჩვენში ჩამოყალიბდეს ევროპული წყობილება იმ მძიმე ბრძოლის გარეშე, რომელმაც იგი ევროპაში შექმნა!

გასაგებია, რომ ჩვენი კობილინსკები ლიბერალების სურვილებსა და არგუმენტებს ხვდებიან შეურაცხმყოფელი გამოსვლებით «მედუქნეებისა» და «ტეტიების» წინააღმდეგ. — თქვენ გსურთ, ბ-ნო ლიბერალებო, — ამბობენ კობილინსკები, — ქაღალდზე აღბეჭდოთ ის გამარჯვებანი, რომლებიც ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ მოგიპოვებიათო.

III

კ.-დ. თათბირმა ტაქტიკის საკითხზე 4 დებულება მიიღო. 1-ლში ნათქვამია:

«ტაქტიკა ოპოზიციის გაერთიანებული მოღვაწეობისა მთელი ფრონტით, რაც სახ. სათათბიროს მორიგი საქმიანი მოღვაწეობის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ამავე დროს ვერ უზრუნველყოფს ვერც სახ. სათათბიროს მტკიცე და მუდმივი უმრავლესობის მიღებას ოპოზიციის კანონპროექტებისათვის, ვერც იმ კანონპროექტების ნამდვილ განხორციელებას, რომლებიც ოპოზიციას შეეძლო გაეყვანა სახ. სათათბიროში სათათბიროს ცენტრის შემწეობით».

ეს აბდაუბდა რუსულად რომ ვთარგმნოთ, აი რას ნიშნავს:

ლიბერალებს მხოლოდ ოქტიაბრისტებთან ერთად შეუძლიათ შეადგინონ უმრავლესობა სახ. სათათბიროში. ასეთი უმრავლესობა მუდმივი როდია, ხოლო მისი გადაწყვეტილებანი ვერ ხორციელდება.

მართალია. მაგრამ აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ამ გადაწყვეტილებებისათვის «აუცილებელი», «მორიგი» და «საქმიანი» (!??) მოღვაწეობის დარქმევა ნიშნავს საკუთარი თავის მოტყუებას და ხალხის მოტყუებას.

ოქტიაბრისტებთან ერთად ხმის მიცემით მემარჯვენეთა წინადადებებს რომ ჩავშლით, არ დავდგებით IV სათათბიროში კანონმდებლობითი მუშაობის თვალსაზრისზე, არ დავთესავთ კონსტიტუციურ ილუზიებს — აი რა უნდა ეთქვათ ხალხისათვის კადეტებს, თუ მათ მართლა სურთ, რომ მარტო სიტყვით არ იყვნენ დემოკრატები.

კ.-დ. თათბირის პირველი «დებულება» გვაოცებს თავისი «ულოგიკობით». IV სათათბიროს არამუდმივი და არამტკიცე უმრავლესობის კანონპროექტების მიღებას, რომლებიც სინამდვილეში არ ხორციელდება, «საქმიან» მოღვაწეობას უწოდებენ!! თვითონ კადეტებს ამისთვის ათასჯერ უწოდებიათ, და მართებულადაც უწოდებიათ, ვერმიშელი და მოწყენილობა.

მაგრამ კ.-დ. ტაქტიკა, რომელიც ლოგიკის თვალსაზრისით აშკარად უაზროა, გასაგები ხდება კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით. გავიხსენოთ, რას ამბობდნენ სოციალ-დემოკრატები III და IV სათათბიროს შესახებ, დაწყებული 1907 წლიდან. — სათათბიროში ორი უმრავლესობაა, ამბობდნენ ისინი: მემარჯვენე-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური. ორივე კონტრრევოლუციურ ნიადაგზე დგას (შდრ. «პროსვეშჩენიე», 1913, № 1, გვ. 13) *.

კადეტების 1913 წლის თებერვლის თათბირმა დაადასტურა ის, რასაც 1907 წლიდან ჩვენს ოფიციალურ გადაწყვეტილებებში ვამბობდით.

«ტაქტიკა ოპოზიციის გაერთიანებული მოღვაწეობისა მთელი ფრონტით... სათათბიროს ცენტრის შემწეობით» კადეტებისათვის სწორედ იმიტომ არის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი, რომ ისინი, ისევე როგორც ოქტიაბრისტები, კონტრრევოლუციურ ნიადაგზე დგანან. ერთთა და მეორეთა შინაგანი ნათესაობის დროს გასაგებია, რომ მათ სასურველად მიაჩნიათ ერთობლივი «საქმიანი» მოღვაწეობა, მიუხედავად მისი ახლანდელი უიმედობისა.

ოქტიაბრისტები მუდამ წუწუნებენ თავიანთ პრესაში, ლანძღავენ რევოლუციას, ლანძღავენ მთავრობას, მემარჯვენეებს, სახ. საბჭოს, — სათათბიროში კი სჯერდებიან რეფორმების სურვილს და მიჰყვებიან მთავრობას.

კადეტები კიდევ უფრო მეტად წუწუნებენ თავიანთ პრესაში, ლანძღავენ რევოლუციას, ლანძღავენ მთავრობას, მემარჯვენეებს, სახ. საბჭოს და ოქტიაბრისტებს, — სათათბი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 601 — 603. რ ე დ.

როში კი სჯერდებიან რეფორმების სურვილს და ცდილობენ თავიანთი ოპოზიციურობა ოქტიაბრისტებისას შეუხამონ.

IV

კ.-დ. თათბირის მეორე დებულებაში ნათქვამია:

«სახ. სათათბიროს, როგორც საკანონმდებლო და პოლიტიკური ფაქტორის, არსებითი გაძლიერება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ გზით, თუ განხორციელდება სამი ძირითადი პირობა: საარჩევნო კანონის დემოკრატიზაცია (საყოველთაო საარჩევნო უფლება), სახ. საბჭოს ძირითადი რეფორმა და სამინისტროს პასუხისმგებლობა».

აქ მოცემული ტაქტიკის არსი შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით: რეფორმიზმი.

ისტორიის მეცნიერება გვეუბნება, რომ არსებული პოლიტიკური წყობილების რეფორმისტული შეცვლა, საერთოდ რომ ვთქვათ, იმით განსხვავდება არარეფორმისტულისაგან, რომ პირველ შემთხვევაში ძალაუფლება წინანდელი მმართველი კლასის ხელში რჩება; მეორე შემთხვევაში — ძალაუფლება წინანდელი კლასის ხელიდან ახალი კლასის ხელში გადადის. კადეტებს არ ესმით ისტორიულ გარდაქმნათა კლასობრივი საფუძველი. თეორიის თვალსაზრისით, ეს კადეტების ძირითადი შეცდომაა.

პრაქტიკის თვალსაზრისით, აღნიშნული თეორიული განსხვავება იმაში მდგომარეობს, იცვლება თუ არა კერძო, როცა საერთო და ძირითადი უცვლელი რჩება, თუ იცვლება ეს უკანასკნელი.

სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიის სხვადასხვა მომენტში ბურჟუაზია რეფორმისტული იყო ხოლმე, იყო ისეთიც, რომელიც რეფორმიზმს არ სჯერდებოდა. მეორე მხრივ, მუშათა კლასი, რომელიც რეფორმებს არასოდეს არ მიაწერს არსებითი ცვლილებების შეტანის უნარს, გარკვეულ პირობებში სრულებითაც არ ამბობს უარს უახლოეს მოთხოვნათა წამოყენებაზე რეფორმების სახით.

მაშასადამე, საქმე ის არის, რომ კადეტებს უცილობლად მიაჩნიათ ბატონობის შენარჩუნება ახლანდელი გაბატონებული

კლასის, ე. ი. ფეოდალური ტიპის მსხვილი მიწათმფლობელების მიერ. კადეტები კვლავ დგანან ნათესაობით ბრუნვაში დასმული ოპოზიციის თვალსაზრისზე, კვლავ იმ შეხედულებას ადგანან, რომ «რუსეთში, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია არის».

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კადეტების «სამი ძირითადი პირობა» — ეს არის ფეოდალურ მიწათმფლობელობასა და კაპიტალს შორის ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიების ს ი ა მ ტ კ ბ ი ლ ო ბ ი თ განაწილების პირობები, რომლებსაც ლიბერალური ბურჟუაზია გვთავაზობს.

ოქტიაბრისტები იმავე თვალსაზრისზე დგანან («ხელისუფლების შერიგება ქვეყანასთან» — ოქტიაბრისტ თუ კადეტ მაკლაკოვის ენით), ამასთან ოქტიაბრისტები განაწილების ისეთ პირობებს აყენებენ, რომლებიც უფრო «მ ა ა მ ე ბ ე ლ ი ა» მიწათმფლობელობისათვის.

ოქტიაბრისტების დიდი მაამებლობა გაკოტრდა. რა საფუძველი გვაქვს სხვა შედეგს მოველოდეთ კადეტების ნაკლები მაამებლობისაგან? რეფორმიზმის თვალსაზრისით, ოქტიაბრისტები გაცილებით უფრო თანმიმდევრულნი არიან, ვინაიდან მან, ვინც ამ თვალსაზრისზე დგება, მხედველობაში უნდა მიიღოს, მ ი ს ა ღ ე ბ ი ა თ უ ა რ ა რეფორმები, ხოლო ოქტიაბრისტული «რეფორმები» გაცილებით უფრო «მისაღებია».

დასკვნა ერთია: იზრდება შეუსაბამობა ლიბერალურ რეფორმიზმსა და ქვეყნის მოთხოვნილებებს შორის.

V

კ.-დ. თათბირის მესამე დებულებაში ნათქვამია:

«ამ პირობების მომზადება კ.-დ. ტაქტიკის ძირითადი ამოცანა **უნდა** გახდეს, ამასთან მორიგი საკანონმდებლო მოღვაწეობა, ოპოზიციის **სხვა** ჯგუფებთან და ცენტრთან ერთად, გამოყენებულ უნდა იქნეს, რამდენადაც ეს განსახორციელებელი აღმოჩნდება, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ძირითადი ამოცანების განხორციელებას» (**«რეჩი»** № 34, 4 **თებერვალი**).

წინა «დებულება» დათმობა იყო მემარცხენე კადეტებისადმი ან, უფრო სწორად, მისატყუებელი იყო დემოკრატიისათვის: მხარი დაგვიჭირეთ ჩვენ, კადეტებს, ვინაიდან ჩვენ «დემოკრატები» ვართ, ჩვენ საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრენი ვართო!

მარცხნივ თავის დაქნევის შემდეგ — სერიოზული მიბრუნება მარჯვნივ: მე-3 დებულება, თუ ამ აბდაუბდას გასაგები ენით ვიტყვით, ამბობს: ჩვენ, კადეტები, ვცნობთ პროგრესისტებთან და ოქტიაბრისტებთან ერთობლივ მორიგ საკანონმდებლო მოღვაწეობას!

მაგრამ ეს «მორიგი» კანონმდებლობა ხომ განუხორციელებელ კანონპროექტებს იძლევა, როგორც ეს 1-ლ დებულებაშია აღიარებული? კადეტებს აქვთ შენიშვნა: «რამდენადაც განსახორციელებელია». ესე იგი, უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენ ვერმიშელს გავაკეთებთ, მაგრამ პასუხისმგებლობა ამისათვის ოქტიაბრისტებს დაეკისროთო! მართლაც, ხუმარები არიან ჩვენი კადეტები...

შემდეგ. არც პროგრესისტები, არც ოქტიაბრისტები, რომლებიც კადეტებზე უფრო თანმიმდევრულად ადგანან რეფორმისტულ თვალსაზრისს, არ ეთანხმებიან ისეთ «მეტისმეტად»-ლიბერალურ მოთხოვნებს, როგორიცაა საყოველთაო საარჩევნო უფლება, სახ. საბჭოს ძირითადი რეფორმა და სხვ. მაშ როგორ შეუძლიათ კადეტებს, რომლებიც კვლავ აცხადებენ პრეტენზიას დემოკრატიზმზე, გამოაცხადონ დემოკრატიის ამ აშკარა მოწინააღმდეგეებთან ერთობლივი მორიგი საკანონმდებლო მოღვაწეობა?

კადეტებს აქაც შენიშვნა აქვთ: ჩვენ, კ.-დ., საყოველთაო საარჩევნო უფლების მომზადებაზე ვმუშაობთ, მომზადებაზე ოქტიაბრისტებთან ერთობლივი მოღვაწეობის საშუალებით, რომელიც საყოველთაო საარჩევნო უფლების «განხორციელებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდესო»!

არც თუ ძალიან ოსტატური ფანდია: როძიანკოს სიტყვას ჩვენ ვაცხადებთ როგორც «კონსტიტუციურს», ჩვენ ხმა

ვაძლევთ (არა შეცდომით, როგორც ს.-დ., არამედ რწმენით) სამინისტროს დეკლარაციის გამო გადასვლის ოქტიაბრისტულ ფორმულას, ვინაიდან ყოველივე ეს ა რ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა საყოველთაო საარჩევნო უფლების «მომზადებასო»!!

აქ უკვე ველარ ვიტყვით, რომ კადეტები ხუმარები არიან. აქ ს ხ ვ ა სიტყვა უნდა ყოფილიყო ხმარებული...

ევროპის ყველა ქვეყანაში კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზია, რომელმაც ზურგი შეაქცია დემოკრატიას, კვლავ ირწმუნება, რომ იგი მუშაობს «ძირითადი» დემოკრატიული რეფორმების მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ზ ე (პრუსიაში — ნაციონალ-ლიბერალებთან ერთად, საფრანგეთში — ყველა პროგრესისტთან ერთად).

ის ბურჟუაზია, რომელიც საბოლოოდ დაადგა რეფორმისტულ გზას, დამპალი, თავისი ლიბერალიზმით უძლური, დემოკრატიულ გარდაქმნათა საქმეში უიმედო, მუშებისადმი მტრული ბურჟუაზიაა, რომელიც ხალხს ჩ ა მ ო შ ო რ დ ა და მემარჯვენეებს მ ი ე მ ხ რ ო.

VI

კ.-დ. თათბირის უკანასკნელ, მე-4, დებულებაში ნათქვამია:

«თათბირს დროულად მიაჩნია, ხსენებული სამი ლოზუნგის წამოყენებასთან ერთად, აღიძრას საკითხი საპარლამენტო ბრძოლის უფრო აქტიური ტაქტიკური ღონისძიებათა გამოყენების შესახებ».

მხოლოდ საპარლამენტო? და მხოლოდ აღიძრას საკითხი? მაინც რას ნიშნავს: «საპარლამენტო ბრძოლის უფრო აქტიური ტაქტიკური ღონისძიებანი», — ალაჰმა უწყის. კადეტების თათბირს თითქოს განგებ ჩამოუყალიბებია თავისი დებულებანი სრულიად გაუგებარი ენით.

უფრო აქტიურ ღონისძიებებზე რომ ლაპარაკობენ, კადეტებს აშკარად სურთ გვიჩვენონ, რომ მემარცხენდებიან. მაგრამ ეს სწორედ მხოლოდ მ ო ს ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ა დ, რადგან აქედან ვერაფერს გარკვეულს ვერ ამოიკითხავ.

საერთოდ რომ ვთქვათ, საპარლამენტო ბრძოლის რა «ღონისძიებებს» შეიძლება ეწოდოს უფრო აქტიური?

ხმა არ მისცე გადასვლის ოქტიაბრისტულ და პროგრესისტულ ფორმულებს.

არ წარმოსთქვა სიტყვები «ქვეყანასთან ხელისუფლების შერიგების» შესახებ.

არასოდეს არ სდუმდე, როცა მემარჯვენე-ოქტიაბრისტულ უმრავლესობას ანტიდემოკრატიული ღონისძიებანი გაჰყავს.

არ დაეთანხმო საერთო, პრინციპული კამათის შეწყვეტას და შეკვეცას.

ვურჩევთ ყველას და თვითეულს, ვისაც კადეტებთან ურთიერთობა აქვს, არ დაავიწყდეს შეეკითხოს მათ: «აღძრეს» თუ არა საკითხი უფრო აქტიურ ღონისძიებათა შესახებ? როგორ გადაწყვიტეს მათ ეს საკითხი, თუ დააპირეს მისი აღძვრა? საქმით როგორ იყენებენ ისინი «უფრო აქტიურ ღონისძიებებს»?

ქვეყანა მემარცხენდება. ახალი დემოკრატია იღვიძებს ცხოვრებისათვის. კადეტების მოჩვენებითს ოდნავ გამემარცხენებას სავსებით გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს: მოატყუონ ეს ახალი დემოკრატია, გაიყოლიონ იგი, გაასაღონ თავი მის წარმომადგენლებად.

დემოკრატიის საარსებო ამოცანაა ხელი შეუშალოს ამ მოტყუებას. ვისაც წარსულის მძიმე გაკვეთილებიდან არ გამოუტანია ის დასკვნა, რომ კადეტების მიერ დემოკრატიული ელემენტების ნაწილობრივი ხელმძღვანელობაც კი აუცილებლად იწვევს მერყეობას, ღალატს, უსახელოდ დამარცხებას უბრძოლველად, — მას ვერაფერი ვერ უსწავლია. იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც დემოკრატიის მტერი.

VII

კადეტების თათბირი, საერთოდ და მთლიანად აღებული, წარმოადგენს საინტერესო დოკუმენტს ჩვენი «ცენტრის» პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ასეთ დოკუმენტებს, ორგანიზებული პარტიების ზუსტ და ფორმალურ გადაწყვეტი-

ლებებს, ჩვენში პრესა ჩვეულებრივ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. არ უყვართ «რეზოლუციები». ურჩევნიათ ინტერვიუ და ჭორები.

მაგრამ პოლიტიკისადმი სერიოზული დამოკიდებულება მოითხოვს პარტიულ გადაწყვეტილებათა გარჩევას უდიდესი ყურადღებით, და მარქსისტები ასეთი გარჩევისათვის გააკეთებენ ყველაფერს, რაც კი მათზეა დამოკიდებული.

კადეტებს ჩვენ «ცენტრი» ვუწოდეთ. მიღებულია, რომ ასე უწოდებენ ოქტიაბრისტებს, რომლებიც მემარჯვენეებსა და ოპოზიციას შუა დგანან.

მაგრამ, — პოლიტიკური პარტიების კლასობრივი საფუძვლების თვალსაზრისითაც და საერთოდ თანამედროვე პოლიტიკის არსის თვალსაზრისითაც, — არ შეიძლება სათათბირო ვიკმაროთ პარტიების ანალიზის დროს, არ შეიძლება მხოლოდ ოქტიაბრისტებს ვთვლიდეთ «ცენტრად».

შეხედეთ ჩვენი პარტიების კლასობრივ საფუძვლებს: მემარჯვენეები და ნაციონალისტები, საერთოდ, მებატონე-მემამულეები არიან. ისინი ემხრობიან ახლანდელი რეჟიმის შენარჩუნებას და «გაძლიერებას».

ოქტიაბრისტებსა, პროგრესისტებსა და კადეტებს შორის ჩვენ ვხედავთ მემამულეს, უეჭველია, უფრო ბურჟუაზიული ტიპისას, ხოლო შემდეგ მსხვილი ბურჟუაზიის მასას. ყველა ამ პარტიას რეფორმები სურს. ისინი ყველანი ქმნიან ნამდვილ ცენტრს მემამულე-მებატონეებსა და დემოკრატიას (გლეხურ და მუშათა დემოკრატიას) შორის.

ბურჟუაზიას დემოკრატიისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა; ეს შეეხება პროგრესისტებსაც და კადეტებსაც. ორი უკანასკნელი პარტიის ოპოზიციურობა, რასაკვირველია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყოველდღიური პოლიტიკის პრაქტიკულ ამოცანებში, მაგრამ ამ ოპოზიციურობამ არ უნდა დაფაროს ჩვენგან ამ პარტიების კლასობრივი ნათესაობა ოქტიაბრისტებთან.

მებატონე-მემამულეები ბატონობენ ერთპიროვნულადაც და ბურჟუაზიის ზედაფენებთან ბლოკითაც. მებატონეები რე-

ფორმების წინააღმდეგნი არიან. ბურჟუაზია, საერთოდ რომ ვთქვათ, რეფორმების მომხრეა, მაგრამ იგი სჯერდება რეფორმისტულ პოზიციას, რის თქმაც არ შეიძლება არც გლეხურ, არც — განსაკუთრებით — მუშათა დემოკრატიაზე.

კადეტების თათბირი ნათლად გვიჩვენებს კადეტების რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ს, როგორც მათს განსაკუთრებულ ტაქტიკას. ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნათელვყოთ ამ ტაქტიკის კ ა ვ შ ი რ ი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებთან და ამ ტაქტიკის ა რ ა ს ა კ მ ა რ ი ს ო ბ ა, მისი «მზარდი შეუსაბამობა» ქვეყნის მოთხოვნილებებთან. ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნათელვყოთ კადეტების ძირითადი ნათესაობა ოქტიაბრისტებთან და აბსოლუტური შეუძლებლობა დემოკრატიის რაიმე წარმატებებისა კადეტების ხელმძღვანელობით.

VIII

ჩემი სტატია უკვე დამთავრებული იყო, როცა მივიღე გაზეთ «გოლოს მოსკვის» № 30, კადეტების თათბირისადმი მიძღვნილი სარედაქციო სტატიით «შემდეგ როგორღა მოვიქცეთ?».

ამ სტატიას, სათათბიროში 6 თებერვლის კენჭისყრასთან დაკავშირებით (მიღება გადასვლის ფორმულისა კასოს ახსნა-განმარტების გამო) [133], ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი ისეთ ნათელ შუქს ჰფენს ოქტიაბრისტებისადმი კადეტების დამოკიდებულების საკითხს, რომ უთუოდ საჭირო ხდება ვილაპარაკოთ ამაზე.

ოქტიაბრისტების ოფიციალური ორგანო, «გოლოს მოსკვი», კადეტების თათბირს (იგი მას რატომღაც კონფერენციას უწოდებს) სახავს როგორც მემარჯვენე კადეტებზე მემარცხენე კადეტების გამარჯვებას მილიუკოვის მეთაურობით.

«საკანონმდებლო მოღვაწეობა — ასე გადმოგვცემს «გოლოს მოსკვი» კ.-დ. რეზოლუციას — შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ ეწინააღმდეგება ამ ძირითად ამოცანებს» (ე. ი. საყო-

ველთაო საარჩევნო უფლებას, სახ. საბჭოს რეფორმას და სამინისტროს პასუხისმგებლობას).

«უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ასეთი ფორმულის მიღება უდრის ხელისაღებას ყოველგვარ საკანონმდებლო მუშაობაზე განხორციელების რეალური შესაძლებლობის ფარგლებში, და კადეტური ოპოზიცია ამიერიდან უპასუხისმგებლო ოპოზიციის აშკარა ხასიათს იღებს».

«გოლოს მოსკვის» აქედან გამოჰყავს დასკვნა, რომ რჩება მხოლოდ სათათბიროს დათხოვნა, ვინაიდან ოქტიაბრისტები არასოდეს არ დაადგებიან კადეტების ესოდენ «შეურიგებელ (ნუ ეხუმრებით!) პოზიციას», სათათბიროში არავითარი უმრავლესობა არ არის, «სრული უიმედობაა»...

აი როგორ იწერება ისტორია!

აი შესანიშნავად სად მჟღავნდება კადეტების **უღრმესი** ნათესაობა ოქტიაბრისტებთან და მათი «ჩხუბის» ნამდვილი ხასიათი: მეგობრების ჩხუბი...

6 თებერვალს მოსკოვში ოქტიაბრისტების ოფიციალური ორგანო აცხადებს, როგორც ვნახეთ, ოქტიაბრისტებისა და კადეტების ბლოკის სრულ დანგრევას კ.-დ. თათბირის შემდეგ, რომელიც 4 თებერვალზე ადრე შედგა (4 თებერვალს «რეჩმა» გამოაქვეყნა ცნობა თათბირის შესახებ).

იმავე 6 თებერვალს ს.-პეტერბურგში, IV სახ. სათათბიროში, ოქტიაბრისტები და კადეტები ერთად 173 ხმით 153 ხმის წინააღმდეგ იღებენ კასოს ახსნა-განმარტებაზე გადასვლის ოქტიაბრისტულ-კადეტურ ფორმულას — ფორმულას, რომელიც შემდეგ შემთხვევით უარყოფილ იქნა შემოწმებითი კენჭისყრის დროს!!

რას იტყვით, ხომ კარგია?

ჩვენ წინაშეა პირდაპირ კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ აჭახრაკებენ თავიანთ პოლიტიკურ «საქმეებს» ოქტიაბრისტები და კადეტები. მათ არავითარი «ბლოკი» არა აქვთ, ღმერთმა დაიფაროს! მაგრამ ხალხის მოსატყუებლად ისინი ისე «მარჯვედ» ინაწილებენ როლებს, რომ ვერავითარი ფორმალური ბლოკი ვერ იქნებოდა მათთვის ასე «მოხერხებული». კადეტები ხედავენ, რომ ქვეყანა მემარცხენდება, **რომ**

ჩნდება ახალი დემოკრატია, და ამიტომ მემარცხენეობას თამაშობენ, თავიანთი თათბირის საშუალებით ავრცელებენ რამდენიმე აბსოლუტურად არაფრისმთქმელ, სრულიად უშინაარსო, მაგრამ მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ფრაზების მ ს გ ა ვ ს, ფრაზას. ოქტიაბრისტები გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ საზოგადოებაში ამ განწყობილებას თუ შთაბეჭდილებას, თითქოს კადეტები გამემარცხენდნენ იმით, რომ ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ, «გოლოს მოსკვის» სარედაქციო სტატიაში, აცხადებენ, კადეტების პოზიცია შეურიგებელიაო, შეუძლებლად აცხადებენ კადეტებთან ოქტიაბრისტების შეერთების საშუალებით უმრავლესობის შექმნას სათათბიროში, აცამტვერებენ კადეტებს მემარცხენეობისათვის, ხმაურობენ სათათბიროს დათხოვნის შესახებ და სხვ. და ა. შ.

ნამდვილად კი — ხმაურში ევაჭრებიან კადეტებს და სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე მკვეთრად ილაშქრებენ კადეტების მემარცხენეობის წინააღმდეგ, უ თ ა ნ ხ მ დ ე ბ ი ა ნ მათ საერთო ფორმულის შესახებ!!

«არც მწვადი დამწვარა, არც შამფური». დემოკრატიაც მოტყუებულია, შეცდომაშია შეყვანილი, შეტყუებულია კადეტურ ნახირში (კადეტებიც ხომ მემარცხენეები არიან... დახედეთ, როგორ ლანძღავენ მათ ოქტიაბრისტები მემარცხენეობისათვის!), ოქტიაბრისტულ-კადეტური ბლოკიც შავრაზმულ სათათბიროში შენარჩუნებული, განმტკიცებული და განვითარებულია.

სურვილი გებადება შესძახო: ო, ზეცავ! ნეტავ როდის მიხვდება რუსეთის დემოკრატია ლიბერალური კადეტური მატყუარობის ამ მარტივ მექანიკას? ევროპის ყველა ქვეყანაშიც ხომ ლიბერალი ბურჟუაზიული პოლიტიკოსები, ასე თუ ისე, სწორედ ამ თამაშს მიმართავენ: ხალხის წინაშე, არჩევნებისათვის, ოფიციალურ გამოსვლებში გაჰყვირიან და ფიცულობენ — ჩვენ დემოკრატები, რადიკალები (გერმანელი «თავისუფლად მოაზროვნეები», ლოიდ-ჯორჯი და კომპანია ინგლისში), სოციალისტებიც კი (რადიკალ-სოციალისტები საფ-

რანგეთში) ვართო. ს ა ქ მ ი თ კ ი, თავიანთ ნ ა მ დ ვ ი ლ პ ო ლ ი ტ ი კ ა ში უთუოდ ანტიდემოკრატიულ მთავრობებთან და პარტიებთან, სხვადასხვა ელფერისა და სხვადასხვა ეროვნების ოქტიაბრისტებთან ე რ თ ა დ მიდიან.

რა ძველია ეს ისტორია და რა უსასრულოდ-ხშირად იმეორებენ მას კადეტები!

IX

«გოლოს მოსკვი» ირწმუნება, რომ არჩევნების წინ კადეტები

«გააფთრებულ პოლემიკას ეწეოდნენ მემარცხენეებთან, ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა საკანონმდებლო მუშაობა რეალური პირობების ფარგლებში. სწორედ ეს იძლეოდა საფუძველს, რომ გვქონოდა ოპოზიციასთან სათათბიროს ცენტრის შეთანხმების შესაძლებლობის იმედი. მაგრამ არჩევნების შემდეგ კ.-დ. პარტიის ხელმძღვანელთა შეხედულებებში არსებითი ცვლილება მოხდა. მილიუკოვის მიერ შეტანილი და კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია სათათბიროს ტაქტიკის საკითხზე ძირეულად განსხვავდება ყოველივე იმისაგან, რასაც არჩევნების დროს ლაპარაკობდნენ ალბათ იმისათვის, რომ მოეპოვებინათ ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის ხმები. საეჭვოა, რომ უკანასკნელი დათანხმებულიყო მხარი დაეჭირა კადეტებისათვის იმ პლატფორმაზე, რომელიც ახლა კონფერენციამ წამოაყენა».

აი ნიმუში მსჯელობისა, რომელშიც არ იცი, რა გაიკვირვო: გულუბრყვილო ცბიერება თუ გულუბრყვილო უმეცრება.

კადეტების შეხედულებებში ა რ ა ვ ი თ ა რ ი ცვლილება არ არის. ისინი მუდამ იყვნენ და რჩებიან ლიბერალურ პარტიად, რომელსაც მოტყუებით მიჰყავს თან დემოკრატია. 1912 წლის არჩევნებშიც მსხვილი ბურჟუაზიის წინაშე კადეტებს წინ ჰქონდათ წამოწეული თავიანთი «ნამდვილი» სახე, თავიანთი «სოლიდარობა» საქმოსნებისა, თავიანთი «სიფხიზლე» კაპიტალისტთა კლასის მსახურებისა. დემოკრატი ამომრჩევლის წინაშე კი იგივე კადეტები ამავე დროს ფიცულობდნენ, რომ ისინი დემოკრატები არიან, და რომ სათათბიროში მათი ტაქტიკა არსებითად არაფრით არ განსხვავდება სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკისაგან.

კადეტების პოლიტიკის ეს ორი მხარე თვითეული ლიბერალური პარტიის «კოსტიუმის აუცილებელი კუთვნილებაა» ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, პარტიის ცალკეული წევრები ხშირად თავიანთ სპეციალობად აირჩევენ ხოლმე, ზოგი—დემოკრატიზმის თამაშს, ზოგი — იმათ გამოფხიზლებას, ვინც «გატაცება იცის», და «სურიოზული» ბურჟუაზიული პოლიტიკის წარმოებას. მაგრამ ასე ხომ ყველა ქვეყანაშია. მაგალითად, ცნობილი ლიბერალი შარლატანი ინგლისში, ლოიდ-ჯორჯი, ხალხის წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში თავის თავს პირდაპირ რევოლუციონერად და თითქმის სოციალისტად სახავს ხოლმე, ნამდვილად კი ეს მინისტრი პოლიტიკაში მიჰყვება თავის ბელადს, ასკვიტს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება კონსერვატორს.

თუ «გოლოს მოსკვის» სტატია ბ-ნ მილიუკოვს მემარცხენე კადეტების წარმომადგენლად სახავს, ეს მხოლოდ ღიმილს იწვევს. ბ-ნი მილიუკოვი ნამდვილად წარმომადგენელია კადეტების ოფიციალური დიპლომატიისა, რომელიც პარტიის არადემოკრატიულ არსს დემოკრატიულ ფრაზასთან არიგებს.

«გოლოს მოსკვი» წერს:

«ბ-ნ მილიუკოვის ეს ახალი «არჩევნებისშემდგომი» პოზიცია კონფერენციას სრულიადაც არ მოუწონებია ერთსულოვნად. მის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაჟინებით მოითხოვდა სათათბიროს ცენტრთან შეთანხმების ტაქტიკას იმ მიზნით, რომ გატარებულიყო ცალკეული პროექტები და კულტურული რეფორმები. ამ თვალსაზრისის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ სხვადასხვა კანონპროექტების განხილვისას ფრაქციაკომპრომისზე უნდა მიდიოდეს და ცდილობდეს გაატაროს ისინი ლიბერალური სულისკვეთებით და ამასთან მიუღებელი არ გახადოს ისინი». ამას მოჰყვა გამოსვლა «ცნობილი კადეტური დისციპლინის» და ბ-ნ მილიუკოვის «თვითმპყრობელური ნება-სურვილისადმი» კადეტების «უსიტყვო დამორჩილების» წინააღმდეგ.

თამაში აშკარაა. თეთრი ძაფითაა ნაკერი. ოქტიაბრისტები «აგულისებენ» მემარჯვენე კადეტებს, ცდილობენ დამარცხებულად დასახონ ისინი და მემარცხენე კადეტებთან უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამოიწვიონ. მაგრამ ოქტიაბრისტების ამ თამაშით (რომელიც შეუძლებელი იქნებოდა, კ.-დ.

და ოქტიაბრისტები ერთი ოჯახის წევრები რომ არ იყვნენ) არ ქრება უდავო ფაქტი, რომ არსებობს ელფერთა განსხვავება მემარცხენე და მემარჯვენე კადეტებს შორის, ჩვენი ლიბერალიზმის ლოიდ-ჯორჯებსა და ასკვიტებს შორის.

შეხედეთ «რუსსკაია მოლვას». პროგრესისტების ამ ორგანოს, ოქტიაბრისტებსა და კადეტებს შორის კომპრომისის ქადაგების ორგანოს, თავისთან მიჰყავს კ.-დ. პარტიის სულ უფრო მეტი ოფიციალური წევრი. არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, «ვეხის» ბელადის — სტრუვეს შემდეგ, იქ აღმოჩნდნენ მანსირევიც, მაკლაკოვიც, ობოლენსკიც, გრედესკულიც, ალექსანდროვიც. ამ ჯურის ხალხი ოქტიაბრისტებთან მეტი დაახლოებისაკენ რომ იხრებოდა, ეს უეჭველია. სხვანაირად ეს არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ასევე უეჭველია, რომ მილიუკოვი მათ არიგებს «მემარცხენე კადეტებთან» ისეთ პლატფორმაზე, რომელსაც აბრა დემოკრატიული აქვს და არსი ოქტიაბრისტული.

X

სათათბიროში კასოს ახსნა-განმარტების გამო სხვადასხვა პარტიების მიერ წარდგენილი გადასვლის ფორმულები დიდ ინტერესს წარმოადგენენ. ისინი გვაძლევენ ზუსტ, სხვადასხვა პარტიების დეპუტატების მიერ ოფიციალურად დადასტურებულ მასალას პოლიტიკური ანალიზისათვის. ჩვეულებრივ ამ მასალას ყველაზე მეტად სწორედ ანალიზი აკლია. იგი იკარგება ყოველდღიური პრესის შენიშვნებში ან სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშების გროვაში. მასზე კი უთუოდ ღირს შევჩერდეთ იმისათვის, რომ გავარკვიოთ სხვადასხვა პარტიების ნამდვილი ბუნება.

«რეჩის» სარედაქციო სტატია უნდობლობის ფორმულის მიღების მეორე დღეს აცხადებს: «ამრიგად, რუსმა საზოგადოებამ სახ. სათათბიროსაგან მიიღო ის, რის იმედის უფლებაც ჰქონდა» (№ 37, 7 თებერვალი). თითქოს გამოდის, რომ «საზოგადოებამ» მხოლოდ ეს უნდა იცოდეს: ნდობას უცხადებს თუ არა სათათბირო ბ-ნ კასოს, მეტი არაფერი!

ეს სწორი არ არის. ხალხმა და დემოკრატიამ უნდა იცოდნენ უნდობლობის მ ო ტ ი ვ ე ბ ი, რათა ე.ს მ ო დ ე თ იმ მოვლენის მიზეზები, რომელიც პოლიტიკაში არანორმალურად არის აღიარებული, და რათა შეეძლოთ იპოვონ გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ნორმალურისაკენ. მარტო ერთ სიტყვაზე «არ ვენდობით» გაერთიანება კადეტებისა, ოქტიაბრისტებისა და სოციალ-დემოკრატებისა ძლიერ ცოტა რამეს იძლევა ამ უაღრესად სერიოზული საკითხებისათვის.

აი ოქტიაბრისტების გადასვლის ფორმულა:

«სახ. სათათბიროს... მიაჩნია: 1) რომ საშუალო სკოლის მოსწავლეთა ყოველგვარი ჩაბმა პოლიტიკურ ბრძოლაში დამღუპველია რუსეთის ახალგაზრდა ძალების სულიერი განვითარებისათვის და მავნეა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობისათვის; 2) რომ იმ შემთხვევებში, როცა ხელისუფალთ დროზე აქვთ მიღებული ცნობა არასასურველი მოვლენების შესახებ საშუალო სკოლაში, საჭიროა გამაფრთხილებელი ზომები და არა ლოდინი, სანამ მოვლენები არანორმალურ ხასიათს მიიღებენ *; 3) გადაჭრით წინააღმდეგია მოსწავლეთა მიმართ იმ პოლიტიკური ზომების გამოყენებისა, რაც ბუნებრივი პედაგოგიური ზეგავლენის ნაცვლად ხმარებულ იქნა 1912 წლის 10 დეკემბერს ისე, რომ ამის შესახებ სასწავლებელთა უფროსებმა არ იცოდნენ; 4) ანტიპედაგოგიურად მიაჩნია ის აუჩქარებლობა, რომლითაც წყდება სასწავლებლებიდან დათხოვნილ მოსწავლეთა ბედი, და, მოელის რა ამ შემთხვევის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას მოსწავლეთათვის კეთილსასურველი აზრით, — გადადის მორიგ საქმეებზე».

როგორია ამ ვოტუმის პოლიტიკური იდეები?

სკოლაში პოლიტიკა მავნეა. მოსწავლეები დამნაშავენი არიან. მაგრამ ისინი უნდა დასაჯონ პედაგოგებმა და არა პოლიციელებმა. მთავრობის უკმაყოფილო ვართ «კეთილმოსურნეობის» უქონლობისა და აუჩქარებლობისათვის.

---

* ეს ტექსტი შეტანილია 25 იანვრის სხდომაზე. 1 თებერვლის სხდომაზე § 2 შეცვლილია ასე: «მოცემული კერძო შემთხვევის გამო აღნიშნავს რა საშუალო სკოლაში გაბატონებულ ფორმალურ და გულგრილ დამოკიდებულებას მოსწავლეთადმი, პედაგოგიური პერსონალის განკერძოებულობას ოჯახისაგან, საჭიროდ მიაჩნია დაწესდეს საერთო კეთილსასურველი შეხედულება მოზარდ თაობაზე».

ეს ანტიდემოკრატიული იდეებია. ეს ლიბერალური ოპოზიციაა: ძველი ხელისუფლების სისტემა დაე დარჩეს, მაგრამ ი გ ი გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო რბილად. სცემე, მაგრამ ზომა იცოდე და ნუ გაახმაურებ.

შეხედეთ პროგრესისტების გადასვლის ფორმულას:

...«სათათბიროს მიაჩნია: 1) სახალხო განათლების სამინისტრომ, რომელსაც შეტყობილი ჰქონდა რაც უკანასკნელ ხანს სპბ-ის საშუალო სასწავლებლებში ხდებოდა, გულგრილობა გამოიჩინა თავისი მოვალეობისადმი და არ დაიცვა საშუალო სკოლა პოლიციის შეჭრისაგან; 2) პოლიციის მოხელეთა მიერ დაშვებული ხერხები, რაც სახალხო განათლების სამინისტრომ უპროტესტოდ მიიღო და რაც გამოიხატებოდა სკოლების გაჩხრეკით, ბავშვების დაპატიმრებითა და საპოლიციო უბანში მოთავსებით, კვლევა-ძიების დაუშვებელი საშუალებებით, არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა სახელმწიფო უშიშროების დაცვას, არამედ საშუალო სკოლაში წესრიგის აღდგენას; 3) სახალხო განათლების სამინისტროს ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ოჯახისაგან სკოლის ჩამოშორებისაკენ, ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი და გონებრივი განვითარების ჩამხშობი უსულგულო ფორმალიზმით ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმ მოვლენების წარმოშობისათვის, რომლებიც არანორმალურია სკოლის ცხოვრებაში. არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია რა სახალხო განათლების სამინისტროს ახსნა-განმარტება, სათათბირო გადადის მორიგ საქმეებზე».

ეს ფორმულა შეტანილ იქნა 30 იანვარს, და პროგრესისტებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ ოქტიაბრისტებს, თუ ისინი დაუმატებენ უნდობლობას. ამ ვაჭრობის შედეგი ზემოთ დავინახეთ.

რა ნიადაგზე შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა წარმოებულიყო ვაჭრობა? ძირითადში შეთანხმების ნიადაგზე.

პროგრესისტებსაც არანორმალურად მიაჩნიათ პოლიტიკა სკოლაში, ისინიც მოითხოვენ «წესრიგის აღდგენას» (ბატონყმურის). მათაც აქვთ ნათესაობით ბრუნვაში დასმული ოპოზიცია, ოპოზიცია არა ძველი ხელისუფლების სისტემისადმი, არამედ მისი «გულგრილი, უსულგულო» და სხვ. გამოყენებისადმი. პიროგოვი 1860-იან წლებში თანახმაა, რომ ცემა საჭიროა, მაგრამ მოითხოვდა, რომ ცემა ხდებოდეს ა რ ა გულგრილად, ა რ ა უსულგულოდ. პროგრესისტები

იმის წინააღმდეგნი როდი არიან, რომ ახლანდელი სოციალური ელემენტები «წესრიგს აღადგენდნენ», მაგრამ რჩევას აძლევენ გააკეთონ ეს «მეტი თანაგრძნობით». რა პროგრესი გვაქვს ნახევარი საუკუნის განმავლობაში!

კადეტების გადასვლის ფორმულა:

«მოისმინა რა სახალხო განათლების მინისტრის ახსნა-განმარტება და მიიჩნია რა: 1) რომ ამ ახსნა-განმარტებაში მთლიანად არეულია პედაგოგიური თვალსაზრისი და პოლიციური თვალსაზრისი; 2) რომ ეს ახსნა-განმარტება წარმოადგენს იმ ნორმალური საფუძვლების სრულ უარყოფას, რომლებზეც შეიძლება დამყარებულ იქნეს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის მეგობრული ურთიერთობა; 3) რომ სამინისტროს პოლიტიკა, იწვევს რა მოსწავლეთა შორის დიდ უკმაყოფილებას და საზოგადოების კანონიერ გაღიზიანებას, თვითონ ეხმარება იმ ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის ნაადრევად ჩაბმას პოლიტიკაში და ამრიგად თვითონ ქმნის იმ პირობებს, რომელთა წარმოშობის წინააღმდეგ წინასწარ გამაფრთხილებელი ზომები უნდა მიეღო; 4) რომ მოსწავლეთადმი ისეთივე მოპყრობა, როგორც სახელმწიფო დამნაშავეთადმი, ცხოვრებას უმახინჯებს ყველაზე ნიჭიერებს მოზარდი თაობიდან, მრავალ მსხვერპლს ართმევს მის რიგებს და საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის მომავლისათვის, — სათათბირო არადამაკმაყოფილებლად ცნობს მინისტრის ახსნა-განმარტებას და გადადის მორიგ საქმეებზე».

გაცილებით უფრო რბილი და ფრაზებით შენიღბული ფორმით აქ ა გ რ ე თ ვ ე დაგმობილია «ნაადრევი» ჩაბმა პოლიტიკაში. ეს ანტიდემოკრატიული თვალსაზრისია. ოქტიაბრისტებიც და კადეტებიც პოლიციურ ღონისძიებებს გმობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ნაცვლად მოითხოვენ წ ი ნ ა ს წ ა რ გ ა მ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ე ლ ზ ო მ ე ბ ს. სისტემამ კრებები კი არ უნდა გარეკოს ხოლმე, არამედ წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები მიიღოს. ცხადია, რომ ასეთი რეფორმით თვითონ სისტემა მხოლოდ შეფერადდება, მაგრამ არ შეიცვლება. ჩვენ უკმაყოფილო ვართ სამინისტროს პოლიტიკით, — ამბობენ კ.-დ., — და მათ, მთლად ისე, როგორც ოქტიაბრისტებს, გამოუდით, რომ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ს უ რ დ ე ს ამ

პოლიტიკის შეცვლა და არ მოითხოვდე სხვა რამეს, გაცილებით უფრო ღრმას.

კადეტები მთავრობის წინააღმდეგ გაცილებით უფრო მკვეთრ გაბოთქმებს ხმარობენ, ვიდრე ოქტიაბრისტები, და პოლიტიკურად განუვითარებელი ელემენტები სიტყვების ამ სიმკვეთრის იქით ვერ ამჩნევენ კადეტებისა და ოქტიაბრისტების მიერ ს ა კ ი თ ხ ი ს ლიბერალური, ანტიდემოკრატიული დ ა ყ ე ნ ე ბ ი ს სრულ იგივეობას.

სათათბირო ხალხს სერიოზულად უნდა ასწავლიდეს პოლიტიკას. ვინც პოლიტიკას კადეტებისაგან სწავლობს, იგი კი არ ავითარებს, არამედ რყვნის თავის შეგნებას.

ოქტიაბრისტები, პროგრესისტები და კადეტები რომ ვაჭრობდნენ და საერთო ფორმულაზე შეთანხმდნენ, ეს შემთხვევითი კი არ არის, არამედ შედეგია მათი იდეურ-პოლიტიკური სოლიდარობისა ძირითადში. კადეტურ პოლიტიკაზე უბადრუკი არაფერია: ახსნა-განმარტების არადამაკმაყოფილებლად ცნობის გულისათვის ისინი თანხმდებიან სკოლებში პოლიტიკის პირდაპირ დაგმობაზე. მაგრამ კადეტები ამაზე იმიტომ თანხმდებოდნენ, რომ ისინი თვითონ გმობენ «ნაადრევ» ჩაბმას.

შრომის ჯგუფის ფორმულა:

«იღებს რა მხედველობაში: 1) რომ საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ 1912 წ. 9 დეკემბერს ჩადენილმა უხეშმა ძალადობამ, რამაც საზოგადოება განაცვიფრა საშუალო სკოლის მოსწავლეთადმი პედაგოგიური ზედამხედველობის საქმეში დამცველი განყოფილების სამარცხვინო მიზიდვით, სახალხო განათლების მინისტრის ბ-ნ კასოს ახსნა-განმარტებაში მხოლოდ სრული მოწონება და საზოგადოებრივი აზრისადმი ნიშნისმომგები დაცინვა პოვა; 2) რომ ძიებისა და დაცვის სისტემა, რაც გაერთიანებული სამინისტროს და კერძოდ სახალხო განათლების მინისტრის კასოს, მთელი პოლიტიკის შედეგია, საბოლოო განადგურებას იწვევს და მომავალში მძიმე განსაცდელს განუმზადებს მოზარდ თაობას, — სახ. სათათბირო მოითხოვს: 9 დეკემბერს დათხოვნილი ყველა პირის დაუყოვნებლივ მიღებას უკანვე და, არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია რა სახალხო განათლების მინისტრის კასოს ახსნა-განმარტება, — მის დაუყოვნებლივ გადაყენებას და გადადის მორიგ საქმეებზე».

ეს ფორმულა, სიმართლე რომ ითქვას, მკვეთრად-ლიბერალური ფორმულაა, მაგრამ მასში არ არის ის, რაც, ლიბერალისაგან განსხვავებით, დემოკრატს უნდა ეთქვა. ლიბერალსაც შეუძლია სამარცხვინოდ მიიჩნიოს დამცველი განყოფილების მიზიდვა პედაგოგიური ზედამხედველობის საქმეში, მაგრამ დემოკრატმა უნდა თქვას (და ხალხსაც უნდა ასწავლოს ეს), რომ არავითარ «ზედამხედველობას» უფლება არა აქვს ხელყოს პოლიტიკის შესახებ წრეებისა და საუბრების თავისუფლად მოწყობა. ლიბერალსაც შეუძლია დაგმოს «გაერთიანებული სამინისტროს მთელი პოლიტიკა», მაგრამ რუსეთში დემოკრატმა უნდა განმარტოს, რომ არის ზოგიერთი ზოგადი პირობები, რომელთა გამო რომელიც გნებავთ სხვა სამინისტრო იძულებული იქნება არსებითად იგივე პოლიტიკა აწარმოოს.

ტრუდოვიკთა ფორმულის დემოკრატიზმი ჩანს მხოლოდ მის კილოში, ავტორების განწყობილებაში. განწყობილება, თქმა არ უნდა, პოლიტიკური სიმპტომია. მაგრამ გადასვლის ფორმულას ცოდვა არ იქნება მოვთხოვოთ მოფიქრებული აზრი, და არა მარტო «სულიერად გამამხნევებელი» განწყობილება.

სოციალ-დემოკრატების გადასვლის ფორმულა:

«მოისმინა რა სახალხო განათლების მინისტრის ახსნა-განმარტება და ხედავს რა მასში: 1) მტკიცე გადაწყვეტილებას — ებრძოლონ მოსწავლე ახალგაზრდობის ბუნებრივ და სასიხარულო მისწრაფებას თვითგანათლების გზით თავისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისაკენ და ამხანაგური ურთიერთობისაკენ; 2) ჩინოვნიკური ფორმალიზმის, ჯაშუშობისა და პოლიციური ძიების იმ სისტემის გამართლებას, რომელსაც ნერგავენ უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლაში და რომელიც გონებრივად და ზნეობრივად ასახიჩრებს ახალგაზრდობას, ულმობლად ახშობს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ხასიათის დამოუკიდებლობის ყოველგვარ გამოვლინებას და მოსწავლეთა შორის წარმოშობს თვითმკვლელობის ეპიდემიას, — სახ. სათათბიროს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია ეს ახსნა-განმარტება. ამასთანავე მიაჩნია რა, რომ 1) სახალხო განათლების საქმეში პოლიციური თვალსაზრისის ბატონობა განუყრელად დაკავშირებულია რუსეთის მთელი ცხოვრების მიმართ დამცველი პოლიციის ბატონობასთან, მოქალაქეთა ორგანიზებული თვითმოქმედების ყველა სახის ჩახშობასთან და

ᲛᲐᲗᲘᲡ ᲣᲣᲤᲚᲔᲑᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛ 2) ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲡ ᲫᲐᲚᲣᲤᲡ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲡ ᲐᲛ ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲙᲝᲚᲐᲪ, — ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ».

არა გვგონია შეიძლებოდეს უმწიკვლოდ მივიჩნიოთ ეს ფორმულაც. არ შეიძლება არ ვუსურვოთ მას უფრო პოპულარული და უფრო ზუსტი ჩამოყალიბება, არ შეიძლება დასანანად არ მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული არ არის პოლიტიკაში ჩაბმის კანონიერება და სხვ. და ა. შ.

მაგრამ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲘᲓᲔᲔᲑᲡ. ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲗᲥᲕᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ: ᲬᲠᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲩᲐᲑᲛᲘᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ «ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲐᲓ» ᲩᲐᲑᲛᲘᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲒᲛᲝᲑᲐ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲑᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲐ. ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲔᲕᲠᲪᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ «ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲓᲐᲜ» ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ. ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ «ᲒᲐᲜᲣᲧᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ», ᲯᲔᲠ-ᲔᲠᲗᲘ, «ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ», ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

დაწერილია 1913 წ. 6 — 9 (19 — 22) თებერვალს

დაბეჭდილია 1913 წ. მარტსა და აპრილში ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» №№ 3 და 4
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

«მიწათმოწყობის» ზოგიერთი შედეგი

როგორია ახალი აგრარული პოლიტიკის შედეგები? ეს საკითხი აინტერესებს — სავსებით კანონიერადაც — ყველა მუშას. მთავრობის სტატისტიკა ისე ცუდად და მიკერძებით წარმოებს, რომ მას ვერ ენდობი. უეჭველია, რომ ახალი აგრარული პოლიტიკა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პოლიტიკაა, მაგრამ მას მთლიანად განაგებენ ბ-ნი პურიშკევიჩები, მარკოვები და კომპანია, ე. ი. ძველი ტიპის მებატონეები. ასეთი «გამგებლობისაგან» ძნელია მოველოდეთ სხვა რამეს, გარდა კრახისა.

აღვნიშნოთ ბ-ნ ვ. ობოლენსკის დასკვნები «რუსსკაია მისლის» უკანასკნელ წიგნაკში (1913, № 2). ეს შავრაზმულ-კადეტური ჟურნალია. სტატიის ავტორიც კონტრრევოლუციონერია, — ე. ი. მოწმე, რომელიც უფრო მემამულეებისაკენ იხრება. ამ ავტორს სამარის გუბერნიაში უპოვია მაზრა (ნოვოუზენსკის), სადაც «მიწათმოწყობას» «უდიდესი» წარმატებები ჰქონია: მეურნეთა ნახევარზე მეტისათვის მიწა გამოუყვიათ ერთ ადგილზე.

და მაინც დასკვნა, რომელიც ავტორს უ ნ დ ა გამოეტანა, ასეთია:

...«რაც შეეხება ახალი აგრარული რეფორმის უახლოეს შედეგებს, ...არა გვგონია შეიძლებოდეს მათი ოდნავ მაინც სანუგეშოდ მიჩნევა... სანადელო მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა გლეხ ნახევრადპროლეტართა ხელიდან ჩალის ფასად გადავიდა შეძლებული გლეხებისა და შეძსყიდველ-სპეკულანტების ხელში... გაიზარდა საიჯარო ფასები... კულტურ-უნარიანობის მხრივ განსხვავება საუბნო და მიწადაქსაქსულ სათემო მფლობელობას შორის სრულიად უმნიშვნელოა... ახალმა კანონმა... ხელი

შეუწყო წინააღმდეგობის გამწვავებას სამეურნეო ცხოვრების პირობებსა და მის შინაგან შინაარსს შორის... შესაძლოა, გლეხთა გონება ახლა უფრო ენერგიულად მუშაობს, ვიდრე წარსული რევოლუციის ყველაზე უფრო გაცხარებულ პერიოდში».

იმაზე, თუ ს ა ი თ კ ე ნ არის მიმართული გლეხთა მომუშავე გონება, არც ღირს შევეკითხოთ «რუსსკაია მისლის» თანამშრომელ ლიბერალს. ტყუილად კი არ არის, რომ მან სავსებით მიჩქმალა საკითხი მემამულეთა მიწებზე ბატონყმური მეურნეობის შესახებ.

მაგრამ ღირს დავუფიქრდეთ ლიბერალი მემამულის დასკვნებს. ყველა წინააღმდეგობა გამწვავდა, გაიზარდა ექსპლოატაცია, გაიზარდა საიჯარო ფასები, ს რ უ ლ ი ა დ უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ა მეურნეობის პროგრესი. «შესაძლოა» კი არა, დანამდვილებით მუშაობს გლეხთა გონება.

«პრავდა» № 45, 1913 წ. 23 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი

მარქსის მოძღვრებაში მთავარია პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული როლის გამორკვევა. დაადასტურა თუ არა ეს მოძღვრება მოვლენათა მსვლელობამ მთელ მსოფლიოში მას შემდეგ, რაც იგი მარქსმა ჩამოაყალიბა?

პირველად იგი მარქსმა 1844 წელს წამოაყენა. მარქსისა და ენგელსის «კომუნისტური მანიფესტი», რომელიც 1848 წელს გამოვიდა, იძლევა ამ მოძღვრების უკვე მთლიან, სისტემატურ გადმოცემას, რომელიც დღემდე საუკეთესო გადმოცემად რჩება. ამ დროიდან მსოფლიო ისტორია აშკარად იყოფა სამ მთავარ პერიოდად: 1) 1848 წლის რევოლუციიდან პარიზის კომუნამდე (1871); 2) პარიზის კომუნიდან რუსეთის რევოლუციამდე (1905); 3) რუსეთის რევოლუციის შემდეგ.

გადავავლოთ თვალი მარქსის მოძღვრების ბედს თვითეულ ამ პერიოდში.

I

პირველი პერიოდის დასაწყისში მარქსის მოძღვრება სრულებითაც არ არის გაბატონებული. იგი სოციალიზმის მხოლოდ ერთ-ერთი უაღრესად მრავალრიცხოვანი ფრაქციათაგანი თუ მიმდინარეობათაგანია. გაბატონებულია კი სოციალიზმის ისეთი ფორმები, რომლებიც ძირითადად ჩვენს ნაროდნიკობას ენათესავებიან: ისტორიული მოძრაობის მატერიალისტური საფუძვლის გაუგებლობა, კაპიტალისტური საზოგა-

დოუბის თვითეული კლასის როლისა და მნიშვნელობის გამოყოფის უნარის უქონლობა, დემოკრატიული გარდაქმნების ბურჟუაზიული არსის დაფარვა სხვადასხვა, ვითომდა-სოციალისტური ფრაზებით «ხალხის», «სამართლიანობის», «სამართლის» და სხვათა შესახებ.

1848 წლის რევოლუცია სასიკვდილო ლახვარს სცემს მ ა რ ქ ს ა მ დ ე ლ ი სოციალიზმის ყველა ამ მოხმაურე, ჭრელ, მყვირალა ფორმას. რევოლუცია ყველა ქვეყანაში გვიჩვენებს საზოგადოების სხვადასხვა კლასებს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა-შ ი. 1848 წლის ივნისის დღეებში რესპუბლიკური ბურჟუაზიის მიერ მუშათა დახვრეტა პარიზში საბოლოოდ არკვევს მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატის სოციალისტურ ბუნებას. ლიბერალურ ბურჟუაზიას ამ კლასის დამოუკიდებლობისა ასჯერ უფრო მეტად ეშინია, ვიდრე რომელიც გნებავთ რეაქციისა. მშიშარა ლიბერალიზმი მლიქვნელობს მის წინაშე. გლეხობა სჯერდება ფეოდალიზმის ნაშთების გაუქმებას და გადადის წესრიგის მხარეზე, მხოლოდ ხანდახან მერყეობს მ უ შ ა თ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს ა და ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ლ ი ბ ე რ ა-ლ ი ზ მ ს შორის. ყველა მოძღვრება ა რ ა-კლასობრივი სოციალიზმისა და ა რ ა-კლასობრივი პოლიტიკის შესახებ ფუჭი ჩმახვა გამოდის.

პარიზის კომუნა (1871) ამთავრებს ბურჟუაზიულ გარდაქმნათა ამ განვითარებას; მხოლოდ პროლეტარიატის გმირობას უნდა უმადლოდეს თავის განმტკიცებას რესპუბლიკა, ე. ი. სახელმწიფო წყობილების ის ფორმა, რომელშიც ყველაზე უფრო შეუნიღბავი ფორმით არის მოცემული კლასობრივი ურთიერთობა.

ევროპის ყველა სხვა ქვეყანაში უფრო დახლართულ და ნაკლებად დასრულებულ განვითარებას შედეგად მოსდევს იგივე ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული საზოგადოება. პირველი პერიოდის (1848 — 1871), ქარტეხილებისა და რევოლუციების პერიოდის, დასასრულისათვის მარქსამდელი სოცია-

ლიზმი კ ვ დ ე ბ ა. იბადებიან დამოუკიდებელი პ რ ო ლ ე ტ ა-
რ უ ლ ი პარტიები: პირველი ინტერნაციონალი (1864 — 1872)
და გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

II

მეორე პერიოდი (1872 — 1904) პირველისაგან განსხვავ-
დება «მშვიდობიანი» ხასიათით, აღარ არის რევოლუციები,
დასავლეთში მოთავდა ბურჟუაზიული რევოლუციები. აღმო-
სავლეთი საამისოდ ჯერ კიდევ არ მომწიფებულა.

დასავლეთი შედის მომავალ გარდაქმნათა ეპოქისათვის
«მშვიდობიანი» მზადების ხანაში. ყველგან ყალიბდება თავი-
სი საფუძვლით პროლეტარული სოციალისტური პარტიები,
რომლებიც სწავლობენ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის
გამოყენებას, თავიანთი ყოველდღიური პრესის, თავიანთი
საგანმანათლებლო დაწესებულებების, თავიანთი პროფესიული
კავშირების, თავიანთი კოოპერატივების შექმნას. მარქსის
მოძღვრება სრულ გამარჯვებას აღწევს და ფ ა რ თ ო ვ დ ე ბ ა.
ნელა, მაგრამ განუხრელად მიდის წინ პროლეტარიატის ძალე-
ბის შერჩევისა და შეგროვების, მომავალი ბრძოლებისათვის
მისი მომზადების პროცესი.

ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ მარქსიზმის თეორიუ-
ლი გამარჯვება აიძულებს მის მტრებს მარქსისტებად შ ე ი-
მ ო ს ო ნ. შინაგანად-დამპალი ლიბერალიზმი ცდილობს გამო-
ცოცხლდეს სოციალისტური ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს სახით.
დიადი ბრძოლებისათვის ძალების მომზადების პერიოდს ისინი
განიხილავენ როგორც ამ ბრძოლებზე ხელისაღებას. მო-
ნების მდგომარეობის გაუმჯობესებას დაქირავებული მონობის
წინააღმდეგ საბრძოლველად ისინი განმარტავენ როგორც მო-
ნების მიერ თავისუფლების თავიანთი უფლებების გროშად გა-
ყიდვას. ღაჩრულად ქადაგებენ «სოციალურ ზაკს» (ე. ი. ზაკს
მონათმფლობელობასთან), კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღე-
ბას და სხვ. სოციალისტ პარლამენტარიებსა და მუშათა მოძ-
რაობის სხვადასხვა მოხელეებს შორის, «თანამგრძნობ» ინტე-
ლიგენციაში მათ ძლიერ ბევრი მომხრე ჰყავთ.

III

ოპორტუნისტებს ჯერ კიდევ ვერ ეჯერებინათ გული «სოციალური ზავის» ქება-დიდებით და ლაპარაკით — «დემოკრატიის» დროს აუცილებელი არ არის ქარტეხილებიო, რომ აზიაში უდიდესი მსოფლიო ქარტეხილების ახალი წყარო გაიხსნა. რუსეთის რევოლუციას მოჰყვა თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის რევოლუცია. ახლა ჩვენ სწორედ ამ ქარტეხილებისა და ევროპაზე მათი «უკუფენის» ეპოქაში ვცხოვრობთ. როგორიც არ უნდა იყოს ბედი ჩინეთის დიდი რესპუბლიკისა, რომელზეც ახლა კბილებს ილესავენ სხვადასხვა «ცივილიზებული» აფთრები, მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს ძველ ბატონყმობას აზიაში, ვერ აღგვის პირისაგან მიწისა ხალხის მასების გმირულ დემოკრატიზმს აზიურ და ნახევრადაზიურ ქვეყნებში.

მასობრივი ბრძოლის მომზადებისა და განვითარების პირობებისადმი უყურადღებო ზოგიერთი ადამიანი სასოწარკვეთილებამდე და ანარქიზმამდე მიჰყავდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დიდი ხნით გადადებას ევროპაში. ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ რა ბეცი და სულმოკლეა ანარქისტული სასოწარკვეთილება.

სასოწარკვეთილებას კი არა, მხნეობას უნდა გვინერგავდეს ფაქტი რვაასმილიონიანი აზიის ჩაბმისა იმავე ევროპული იდეალებისათვის ბრძოლაში.

აზიის რევოლუციებმა დაგვანახვეს ლიბერალიზმის იგივე უხასიათობა და სისაძაგლე, დემოკრატიული მასების დამოუკიდებლობის იგივე განსაკუთრებული მნიშვნელობა, ყოველგვარი ბურჟუაზიისაგან პროლეტარიატის იგივე მკაფიო გამიჯვნა. ვინც როგორც ევროპის, ისე აზიის გამოცდილების შემდეგ ა რ ა-კლასობრივ პოლიტიკაზე და ა რ ა-კლასობრივ სოციალიზმზე ლაპარაკობს, იგი პირდაპირ იმის ღირსია, რომ გალიაში ჩასვან და რომელიმე ავსტრალიურ კენგურუსთან ერთად გამოდგან საჩვენებლად.

აზიის შემდეგ ამოძრავდა — მხოლოდ არა აზიურად — ევროპაც. 1872 — 1904 წლების «მშვიდობიანი» პერიოდი სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. სიძვირე და ტრესტების მიერ ჩაგვრა იწვევს ეკონომიური ბრძოლის უმაგალითო გამწვავებას, რამაც ადგილიდან დაძრა ლიბერალიზმის მიერ ყველაზე უფრო გარყვნილი ინგლისელი მუშებიც კი. ჩვენ თვალწინ მწიფდება პოლიტიკური კრიზისი თვით ყველაზე «სალკლდოვან» ბურჟუაზიულ-იუნკრულ ქვეყანაში, გერმანიაში. გამალებული შეიარაღება და იმპერიალიზმის პოლიტიკა თანამედროვე ევროპიდან ისეთ «სოციალურ ზავს» ქმნიან, რომელიც ყველაზე მეტად თოფისწამლიან კასრს წააგავს. ხოლო ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული პარტიის გახრწნა და პროლეტარიატის მომწიფება განუხრელად მიდის წინ.

მას შემდეგ, რაც მარქსიზმი გაჩნდა, მსოფლიო ისტორიის სამი დიდი ეპოქიდან თვითეულს მოჰქონდა მისთვის ახალი დადასტურება და ახალი ტრიუმფები. მაგრამ მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა.

«პრავდა» № 50, 1913 წ. 1 მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ვაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მსხვილი მემამულური და წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა რუსეთში

1861 წლის 19 თებერვლის ეს-ეს არ-ს გასული წლისთავის გამო ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მიწის თანამედროვე განაწილება ევროპის რუსეთში.

ევროპის რუსეთში მიწის განაწილების უკანასკნელი ოფიციალური სტატისტიკა გამოცემულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და ეხება 1905 წელს.

ამ სტატისტიკის ცნობებით, 500 დესეტინაზე მეტი მიწის ჰქონე უმსხვილესი მემამულე იყო (დამრგვალებით) დაახლოებით 30 000, მათ ჰქონდათ დაახლოებით 70 000 000 დესეტინა მიწა.

დაახლოებით 10 000 000 უღარიბეს გლეხურ კომლს ჰქონდა ი მ დ ე ნ ი ვ ე მიწა.



მაშასადამე, ერთ უმსხვილეს მემამულეზე საშუალოდ მოდის 330-მდე უღარიბესი გლეხური ოჯახი, ამასთან თვითეულ გლეხურ ოჯახს აქვს დაახლოებით 7 (შ ვ ი დ ი) დესეტინა მიწა, ხოლო თვითეულ უმსხვილეს მემამულეს — დაახლოებით 2 300 (ო რ ი ა თ ა ს ს ა მ ა ს ი) დესეტინა.

ამის თვალნათლივ განსაჰარტავად შედგენილია ზემოთ დაბეჭდილი ნახაზი.

შუაში დიდი თეთრი ოთხკუთხედი მსხვილი მემამულის მამულია. გარშემო პატარა კვადრატები არის გლეხთა წვრილი ნაკვეთები.

კვადრატია სულ 324, ხოლო თეთრი ოთხკუთხედის ფართობი 320 კვადრატს უდრის.

«პრავდა» № 51, 1913 წ. 2 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ყალბი ნოტები

ბ-ნ მილიუკოვის სიტყვა სახ. სათათბიროში საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხზე განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმიტომ, რომ ორატორს დასჭირდა შეხებოდა მთელ რიგ თემებს, რომლებსაც დემოკრატიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ.

საერთოდ ჩვენს პრესაში — და კერძოდ ლიბერალურში — სულ უფრო მტკიცდება საზიზღარი უპრინციპო ჩვეულება: დასჯერდნენ სახოტბო (ბ-ნი ლიტოვცევი «რეჩში») ან სალანძღავ წერილებს სათათბიროში წარმოთქმული სიტყვების შესახებ და ა რ ა ს ო დ ე ს არ გაუკეთონ ანალიზი სიტყვების ი დ ე უ რ შინაარსს!

მუშებს არ სწამთ ბურჟუაზიული პოლიტიკანობა. მუშებს სურთ ი ს წ ა ვ ლ ო ნ პოლიტიკა. ამ სურვილის საპასუხოდ ჩვენ შევეცდებით მოვახდინოთ ბ-ნ მილიუკოვის სიტყვის ანალიზი.

...«თქვენ, — ამბობდა ბ-ნი მილიუკოვი, გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ლ ი ვ მიმართავდა რა ოქტიაბრისტებს, — თქვენ ხელისუფლებასთან დაკავშირებული არა ხართ არა მარტო გარკვეული ვალდებულებებით, თქვენ ხელისუფლებასთან დაკავშირებული არა ხართ მადლობითაც კი» —

ვინაიდან არჩევნებს თქვენ წინააღმდეგ აყალბებდნენო.

ბ-ნი მილიუკოვი, ერთ-ერთი უაღრესად განათლებული კადეტთაგანი, პროფესორი, რედაქტორი და სხვ., სრული სერიოზულობით ავითარებდა ამ საბუთს და დასძენდა კიდეც:

...«როგორც ჩანს, რუსეთში არ არის ის საზოგადოებრივი ფენა, რომელიც მხარს უჭერდეს მთავრობის ახლანდელ პოლიტიკასო»... («როსსია» № 2236).

ამ მსჯელობის სიყალბე აშკარაა. იმავე ბ-ნ მილიუკოვს შემდეგ მოჰყავდა ციტატი ფრანგ შალის ნაწარმოებიდან, რომელიც სამართლიანად ამბობს, რომ «ა მ ო ც ა ნ ი ს კ ვ ა ნ ძ ი» «ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ა ო».

«კონსერვატიული III სათათბიროს მისაღებად, — ამბობს შალი, — უმრავლესობა გადატანილი უნდა ყოფილიყო გლეხებიდან მემამულეებზე... მაწის საკუთრებას და სიმდიდრის არისტოკრატიას შეუძლიათ შექმნან ბლოკი ხმების 5/8 რაოდენობით (სახ. სათათბიროს წევრების არჩევის დროს, ჩვენი საარჩევნო კანონის მიხედვით), ხოლო უმცირესობა პირდაპირ ვასრესილია: კანონმდებელი გლეხებს, საშუალო კლასსა და ქალაქის დემოკრატიას იწვევს არა არჩევნების მოსახდენად, არამედ არჩევნების საყურებლად, არა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, არამედ დასასწრებლად».

ჭკვიანურად და სწორად მსჯელობს რეაქციონერი შალი. მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ მილიუკოვს საინტერესო ციტატებისათვის,... რომლებიც ა ც ა მ ტ ვ ე რ ე ბ ე ნ ბ-ნ მილიუკოვის ფრაზიორობას! როგორც ჩანს, რუსეთში ა რ ი ს საზოგადოებრივი «ფენა» (მემამულეთა — ფეოდალთა თუ მეგატონეთა კლასი), რომელიც მხარს უჭერს მთავრობის პოლიტიკას და «ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს თ ა ნ» დაკავშირებულია კლასობრივი ინტერესებით. «ვალდებულებებით» და «მადლობით» კავშირი კი საერთოდ სისულელეა, — დაიხსომეთ ეს, სწავლულო ბ-ნო კადეტო!

შემდეგ სტატიაში * ჩვენ ცხადვყოფთ, ეს სწავლული კადეტი როგორ უტრიალებდა გარშემო — როგორც კატა ცხელ ფაფას — იმ «ა მ ო ც ა ნ ი ს კ ვ ა ნ ძ ს» (ე. ი. აგრარულ საკითხს), რომელიც სწორად მიუთითა რეაქციონერმა შალმა.

«პრავდა» № 55, 1913 წ. 7 მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 714 — 716. რ ე დ.

«ამოცანის კვანძი»

ჩვენ დავინახეთ, რომ იმ «ამოცანის კვანძად», რომელიც რუსეთის წინაშე დგას, ფრანგ რეაქციონერ შალს, რომლის ნაწარმოებიდანაც ციტატები მოჰყავს ბ-ნ მილიუკოვს, სწორად მიაჩნია აგრარული საკითხი *.

ბ-ნმა მილიუკოვმა მოიყვანა ჭკვიანი რეაქციონერის ჭკვიანური სიტყვები, მაგრამ ამ სიტყვებში ვერაფერი ვერ გაიგო!

...«ის გლეხი, რომელიც აქ თქვენ (ე. ი. ოქტიაბრისტებმა და მთავრობამ: ბ-ნი მილიუკოვი მ ა თ ესაუბრება!) თქვენი ხელით გაიყვანეთ, განა შეიძლება დამოკიდებული გახადოთ? იგი ხომ მიწის შესახებ ლაპარაკობს ამ კათედრიდან და ლაპარაკობს იმასვე, რასაც ამბობდა I და II სახ. სათათბიროს დამოუკიდებელი გლეხი. არა, ბატონებო, რუსეთის ცხოვრებაში არ არის **რუს** გლეხზე უფრო დამოუკიდებელი და უფრო მტკიცე ელემენტი». (ტაში მარცხნიდან და ხმები: სწორია.)

ჩანს, ტაშს უკრავდნენ მხოლოდ ფარისეველი კადეტები, ვინაიდან ყველამ იცის, ჯერ-ერთი, რომ III და IV სახ. სათათბიროებში გლეხები ლაპარაკობენ ა რ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ «იმასვე», არამედ უფრო სუსტ რამეს, ვიდრე I და II სახ. სათათბიროებში,—ხოლო, მეორე, რომ რუსეთის ცხოვრებაში ა რ ი ს უფრო დამოუკიდებელი და უფრო მტკიცე ელემენტი. თვითონ ბ-ნი მილიუკოვი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი იყო ეღიარებინა თავის სიტყვაში, რომ რუსეთში პოლიტიკური თავისუფლებისათვის «ყველაზე მეტი» მ უ შ ე ბ მ ა გააკეთეს. ან იქნებ «დამოუკიდებლობა» შეიძლება სხვა საზომით იზომებოდეს?

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 712 — 713. რ ე დ.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარია ის, რომ შეიძლება თუ არა ა ხ ლ ა 130 000 მემამულისა და გლეხთა მასის ინტერესების შერიგება? ბ-ნმა მილიუკოვმა ამ საკითხის «გარშემო ილაყბა», რ ო მ პ ა ს უ ხ ი ს ა თ ვ ი ს თ ა ვ ი ა ე რ ი დ ე ბ ი ნ ა.

ხოლო ბ-ნი ს. ლიტოვცევი, რომელიც «რეჩმა» დაიქირავა პ. მილიუკოვისათვის ხოტბის შესასხმელად, წერდა, რომ მისმა სიტყვამ

«გაფანტა ბურუსი ამ მწვავე და სადავო საკითხის გარშემო. საყოველთაო საარჩევნო უფლება ბევრისათვის დღემდე რაღაც საფრთხობელაა, რევოლუციურობის მწვერვალია».

აი კიდევ და კიდევ ნიმუში ფრაზიორობისა!

ისწავლეთ რეაქციონერ შალისაგან, ბ-ნო ლიბერალო მოლაყბეებო! ამოცანის კვანძია აგრარული საკითხი. შეიძლება თუ არა ა ხ ლ ა ამ საკითხში მემამულეთა 130 000 ოჯახისა და გლეხთა 10 000 000 ოჯახის ინტერესების შერიგება? ჰო თუ არა?

აი სად არის საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხის «კ ვ ა ნ ძ ი», ბ-ნო მილიუკოვ, და თქვენ რ ყ ვ ნ ი თ ხალხის პოლიტიკურ შეგნებას, ა ნ ა გ ვ ი ა ნ ე ბ თ რ ა ფრაზებით საქმის ამ არსს, რომელიც ნათელია ყოველი გონიერი ადამიანისათვის.

თუ კითხვაზე თქვენ უპასუხებთ: ჰო, — თქვენს მტკიცებას მე გავაბათილებ თ ქ ვ ე ნ ი ვ ე აღიარებით, რომ III და IV სახ. სათათბიროებში გლეხები ლაპარაკობენ (თუმცა უფრო სუსტად) «ი მ ა ს ვ ე», რასაც I და II სახ. სათათბიროებში.

თუ კითხვაზე თქვენ უპასუხებთ: ა რ ა, — მაშინ ბათილდება მ თ ე ლ ი თქვენი ლაყბობა ახლანდელ რუსეთში საყოველთაო საარჩევნო უფლების შემარიგებლურ, არა-«ც ა ლ მ ხ რ ი ვ» ხასიათზე.

და მეცნიერული მითითება ბისმარკზე მხოლოდ ბაკშოობაა, ვინაიდან ბისმარკმა საყოველთაო საარჩევნო უფლება «შემოიღო» მაშინ, როცა გერმანიის ბურჟუაზიული განვითა-

რებით უკვე შერიგებული იყო მემამულეთა და ყველა შეძლებული გლეხის, თვით საშუალო გლეხთა ნაწილის ინტერესები.

შესაძლოა, გამჭრიახი მკითხველი შეგვეკითხოს: აქედან ხომ არ გამომდინარეობს, რომ რუსეთში შეუძლებელია საყოველთაო საარჩევნო უფლება? —არა, ვუპასუხებთ გამჭრიახ მკითხველს, აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ რუსეთში შეუძლებელია რეფორმისტული თვალსაზრისი.

«პრავდა» № 56, 1913 წ. 8 მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბატონყმობის ლიბერალური შეფერადება

ლიბერალი ისტორიკოსი ბ-ნი მილიუკოვი, კ.-დ. პარტიის ბელადი, ამას წინათ «რეჩის» მოწინავეში წერდა:

«სოციალური უთანასწორობა რუსეთში (ბატონყმობა) უფრო სუსტი და შემთხვევით შექმნილი აღმოჩნდა, ვიდრე სხვაგან სადმე ცივილიზებულ სამყაროში. მან წინააღმდეგობის გაუწევლად (!!!) დაუთმო კალმის პირველსავე მოსმას. მილიუტინმა და სოლოვიოვმა ადვილად განახორციელეს ის, რის შესაძლებლობაც ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის დროს იწინასწარმეტყველა გრაფმა სტროგანოვმა».

ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ყველა ლიბერალი ისტორიკოსი და ნაროდნიკ-ისტორიკოსთა ნაწილი შეალამაზებს ხოლმე ბატონყმობას და ბატონყმურ სახელმწიფო ხელისუფლებას რუსეთში. მაგრამ ყველა როდი მისულა იქამდე, რომ წარმოეთქვა ისეთი სამარცხვინო «მარგალიტები», როგორიც ჩვენ მოვიყვანეთ.

რუსეთში ბატონყმობა და მამულიან მებატონეთა წოდება სუსტი და შემთხვევით შექმნილი კი არა, არამედ გაცილებით უფრო «მტკიცე», მყარი, მძლავრი, ყოვლისშემძლე იყო, «ვიდრე სხვაგან სადმე ცივილიზებულ სამყაროში». არა «წინააღმდეგობის გაუწევლად», არამედ უდიდესი წინააღმდეგობის გაწევით თმობდა იგი თავისი პრივილეგიების მცირე ნაწილებს. ან, იქნებ, ბ-ნი ლიბერალი მიგვითითებს ჩერნიშევსკის ბედის მსგავს მაგალითებზე «ცივილიზებულ სამყაროში»?

მილიუტინი და სოლოვიოვი თ ვ ი თ ო ნ იცავდნენ მებატონეთა პრივილეგიებს და არაჩვეულებრივად მძიმე «გ ა მ ო ს ა ს ყ ი დ ს» ამ პრივილეგიებისათვის. დუმს რა ამაზე,

ბ-ნი მილიუკოვი ამახინჯებს ისტორიას, რომელიც მოწმობს ბატონყმური პრივილეგიების, სრული ძალაუფლებისა და ყოვლისშემძლეობის ნახევარსაუკუნოვან «სიცოცხლისუნარიანობას» მილიუტინისა და კომპანიის შემდეგ, «მ ა თ ი» ბატონყმური რეფორმის შემდეგ.

რატომ აფერადებენ ლიბერალი ისტორიკოსები ბატონყმობას და ბატონყმურ რეფორმებს? იმიტომ, რომ ასეთი რეფორმების მოღვაწეებში ისინი ხედავენ მათთვის სასიამოვნო მლიქვნელობას მებატონეთა წინაშე, მათთვის სანუგეშო შიშს დემოკრატიის წინაშე, მათთვის მახლობელ მისწრაფებას რეაქციასთან ბლოკისადმი, კლასობრივი ბრძოლის მათთვის ნაცნობ შელამაზებას.

საქმე ეხება შორეულ წარსულს. და ამავე დროს კლასობრივი ბრძოლისადმი ლიბერალების (ლიბერალებისა «გარეგნობით და ჩინოვნიკებისა სულით» [134]) მაშინდელი და ახლანდელი დამოკიდებულება ერთი და იმავე ხასიათის მოვლენაა.

ბატონყმობის შეფერადებით ბ-ნმა მილიუკოვმა მშვენივრად დაგვიხატა თავისი თავი, თავისი პარტია და მთელი რუსული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, რომელიც გულუბრყვილოთა მოსატყუებლად თავის თავს დემოკრატიას აკუთვნებს.

«პრავდა» № 57, 1913 წ. 9 მარტი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ქანცის გამოცლის «მეცნიერული» სისტემა

ამერიკის კაპიტალიზმი ყველაზე წინ არის. ტექნიკის უდიდესი განვითარება, პროგრესის უდიდესი სისწრაფე — ყოველივე ეს აიძულებს ძველ ევროპას მიბაძოს იანკებს. მაგრამ ევროპის ბურჟუაზიას ამერიკიდან გადმოაქვს არა დემოკრატიული დაწესებულებანი, არა პოლიტიკური თავისუფლება, არა სახელმწიფოს რესპუბლიკური წყობილება, არამედ მუშის ექსპლოატაციის უახლესი ხერხები.

ახლა ევროპაში, ხოლო ნაწილობრივ რუსეთშიც, ყველაზე მეტად ლაპარაკობენ ამერიკელი ინჟინრის ფრედერიკ ტეილორის «სისტემაზე». ამ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ პეტერბურგის გზათა ინჟინრების ინსტიტუტის საალტო დარბაზში ბ-ნმა სემიონოვმა წაიკითხა მოხსენება ამ სისტემის შესახებ. ტეილორმა თვითონ აღწერა ეს სისტემა «მეცნიერულის» სახელწოდებით, და მის წიგნს გულმოდგინედ თარგმნიან და უწევენ პროპაგანდას ევროპაში.

რაში მდგომარეობს ეს «მეცნიერული სისტემა»? იმაში, რომ გამოწუროს მუშას სამჯერ მეტი შრომა იმავე სამუშაო დღის განმავლობაში. ამუშავებენ ყველაზე ღონიერ და მარჯვე მუშას; განსაკუთრებული საათით — წამობითა და წამის ნაწილებით — აღნიშნავენ დროის იმ რაოდენობას, რაც იხარჯება თვითეულ ოპერაციაზე, თვითეულ მოძრაობაზე; იმუშავებენ მუშაობის ყველაზე ეკონომიურ და ყველაზე ნაყოფიერ ხერხებს; საუკეთესო მუშის მუშაობას აღბეჭდავენ კინემატოგრაფიულ ლენტზე და სხვ.

შედეგად კი იმავე 9 — 10 სამუშაო საათში გამოსწურავენ მუშას ერთისამად მეტ შრომას, ულმობლად გამოულევენ მთელ ძალას, გასამკეცებული სისწრაფით გამოსწოვენ დაქირავებული მონის ნერვებისა და კუნთების ენერგიის თვითეულ წვეთს. დროზე ადრე მოკვდება? — ჭიშკარს იქით ბევრი სხვაა!..

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი ნიშნავს პროგრესს ქანცის გამოცლის ხელოვნებაში.

აი მაგალითი ტეილორის წიგნიდან.

შედარებულია მუშაობა შემდგომი გადამუშავებისათვის გასაგზავნი თუჯის ჩატვირთვაზე ურიკებში, შედარებულია ძველი და ახალი, «მეცნიერული» სისტემა:

	ძველი	ახალი
	სისტემა:	
ჩატვირთვაზე მომუშავე მუშათა რაოდენობა.....	500	140
ერთი მუშა, საშუალოდ, ტვირთავს ტონობით (61 ფუთ,).....	16	59
მუშის საშუალო ხელფასი.....	2 მან. 30 კ.	3 მან. 75 კ.
მეფაბრიკის ხარჯი ერთი ტონის ჩატვირთვაზე.....	14,4 კ.	6,4 კ.

კაპიტალი თავის ხარჯებს ე რ თ ი ო რ ა დ და უფრო მეტად ამცირებს. მოგება იზრდება. ბურჟუაზია აღტაცებულია და უზომოდ აქებ-ადიდებს ტეილორებს!

მუშას ჯერ ხელფასს უმატებენ. ასობით მუშა კი დათხოვნილია. ვინც დარჩა, ოთხჯერ უფრო ინტენსიურად მუშაობს, წელში წყდება. გამოსწურავენ მუშას მთელ ძალას და გააგდებენ. იღებენ მხოლოდ ახალგაზრდებს და ღონიერებს.

ქანცს აცლიან მეცნიერების ყველა წესის მიხედვით...

«პრავდა» № 60, 1913 წ. 13 მარტი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ჩვენი «წარმატებანი»

ფინანსთა მინისტრიც ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ თავის განმარტებითს ბარათში და მთავრობის ყველა პარტიაც თავიანთ თავსა და სხვებს არწმუნებენ, რომ ჩვენი ბიუჯეტი მტკიცედ დგასო. ამასთან, სხვათა შორის, იმოწმებენ მრეწველობის «წარმატებებს», რომელიც უკანასკნელ წლებში, უეჭველია, აღმავლობას განიცდიდა.

ჩვენი მრეწველობა, ისევე როგორც რუსეთის მთელი სახალხო მეურნეობა, კაპიტალისტურად ვითარდებოდა და ვითარდება. ეს უდავოა. ამას მტკიცებაც არ ესაჭიროება. მაგრამ დაკმაყოფილება «განვითარების» შესახებ მონაცემებით და თვითკმაყოფილ-ბაქია მითითებებით: «ამდენი და ამდენი პროცენტით იზრდებაო» — იმას ნიშნავს, რომ თ ვ ა ლ ი დ ა ვ ხ უ ჭ ო თ რუსეთის უ მ ა გ ა ლ ი თ ო ჩამორჩენილობისა და სიღატაკის წინაშე, რასაც ეს მონაცემები ამჟღავნებენ.

მთელი ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის პროდუქტების ღირებულება 1908 წელს იყო 4 307 მილიონი მანეთი, ხოლო 1911 წელს — დაახლოებით 4 895 მილიონი მანეთი, — აღტაცებით ამბობს ფინანსთა მინისტრი.

აბა შეხედეთ, რა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა აქვს ამ ციფრებს. ამერიკაში ყოველ ათ წელიწადში ხდება აღწერა. ჩვენი ციფ-

რის მ ს გ ა ვ ს ი ციფრი რომ ვიპოვოთ, უნდა დავუბ-
რუნდეთ 1860 წელს, როცა ამერიკაში ჯერ კიდევ იყო ზანგე-
ბის მ ო ნ ო ბ ა.

1860 წელს ამერიკაში დამუშავებითი მრეწველობის პრო-
დუქტების ღირებულება განისაზღვრებოდა 3 771 მილიონი
მანეთით, ხოლო 1870 წელს უკვე 8 464 მილიონი მანეთით.
1910 წელს იქ უკვე გვაქვს 41 344 მილიონი მანეთი, ე. ი.
თითქმის ც ხ რ ა ჯ ე რ მეტი, ვიდრე რუსეთში. რუსეთის მო-
სახლეობა შეადგენს 160 მილიონს, ხოლო ამერიკისა — 1910
წელს შეადგენდა 92 მილიონს და 1860 წელს 31 მილიონს!

რუსეთში ფაბრიკა-ქარხნის მუშის საშუალო ხელფასი
1911 წელს იყო 251 მანეთი წელიწადში, 8,2%-ით მეტი (ყვე-
ლა ხელფასის თანხის მიხედვით), ვიდრე 1910 წელს — აღტა-
ცებით ამბობს ფინანსთა მინისტრი.

ამერიკაში 1910 წელს სამრეწველო მუშის საშუალო ხელ-
ფასი იყო 1 0 3 6 მ ა ნ ე თ ი, ე. ი. რუსი მუშისაზე ო თ ხ-
ჯ ე რ და უფრო მეტი. 1860 წელს ეს ხელფასი უდრიდა 5 7 6
მ ა ნ ე თ ს, ე. ი. იყო რუსი მუშის ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ხელფას-
ზე ორჯერ მეტი.

XX საუკუნის რუსეთი, სამი ივნისის «კონსტიტუციის»
რუსეთი, მ ო ნ უ რ ა მ ე რ ი კ ა ზ ე დ ა ბ ლ ა დ გ ა ს.

რუსეთში ფაბრიკა-ქარხნის ერთი მუშის შრომის წლიური
ნაყოფიერება იყო 1908 წელს — 1 810 მანეთი, ხოლო ამერი-
კაში 1860 წელს — 2 860 მანეთი, 1910 წელს — 6 264 მანეთი.

ეს მცირეოდენი ციფრებიც საკმარისია, რომ მოკლედ გან-
ვმარტოთ, თუ რა არის თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კაპიტალიზმი
და რა არის ბატონყმობის შუასაუკუნეობრივი ჩაგვრა, რომე-
ლიც ბორკავს კაპიტალიზმს და განაპირობებს გლეხობის ფარ-
თო მასების მძიმე მდგომარეობას.

ხოლო გლეხობის მდგომარეობა გარდუვალად აკნინებს
საშინაო ბაზარს და დაბლა ეწევა მუშას, რომელიც 1911 წელს
ერთიორად ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე ამერიკელი მუშა

მონობის ეპოქაში იღებდა. მაგრამ ყოველივე დანარჩენს გარდა, მსოფლიო ბაზრის პირობები რუსეთის წინაშე აყენებენ არჩევანს: ან გასრესილ იქნეს კონკურენტების მიერ, რომელთა კაპიტალიზმი სხვა ტემპით და მართლაც ფართო საფუძველზე მიდის წინ, ან მოიშოროს ბატონყმობის ყველა ნაშთი.

«პრავდა» № 61, 1913 წ. 14 მარტი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

შეთანხმება თუ გათიშვა?

(სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში უთანხმოების საკითხისათვის)

სოციალ-დემოკრატიის საზოგადოებრივი აზრი შეშფოთებულია ფრაქციის გათიშვის მუქარით, რაც 7 დეპუტატის წერილში გაისმა. საკითხმა მუშებს შორის სამართლიანად გამოიწვია მწვავე ინტერესი. საჭიროა ზუსტად და ნათლად გავერკვეთ მდგომარეობაში.

ერთ მხარეზეა მუშათა კურიის ექვსივე დეპუტატი, ე. ი., როგორც ყველას ესმის, რუსეთის მუშათა კლასის უდიდესი უმრავლესობის წარმომადგენლები. მეორე მხარეზეა 7 დანარჩენი დეპუტატი, რომლებსაც ფრაქციის შიგნით შემთხვევით აქვთ 1 ხმის უმრავლესობა.

გარეგნულად დაეა იმის გამო წარმოებს, რომ 7 დეპუტატს სურს აიძულოს დანარჩენი 6 გახდნენ გაზეთ «ლუჩის» თანამშრომლები და აზრს გამოთქვამს «პრავდისა» და «ლუჩის» შეერთების სასარგებლოდ. 7 დეპუტატის ეს მოთხოვნები ჩვენ — აშკარად ვიტყვით — პირდაპირ არასერიოზულად მიგვაჩნია. განა შეიძლება «ხმების უმრავლესობით» აიძულო ვინმე იმუშაოს გაზეთში, რომლის მიმართულებასაც არ იზიარებ? (იმაზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომ საკუთარი თავის პატივისმცემელი ყოველი რედაქცია თვითონ იტყოდა უარს ძალად, იძულებით მიყვანილ ასეთ «თანამშრომლებზე».) განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი «პრავდისა» და «ლუჩის» შეერთებაზე?

რა თქმა უნდა, არა! და ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, რომ პროლეტარიატის საქმისადმი ღალატად ჩავთვლიდით «პრავდის» მიერ უარის თქმას ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, და, მაშასადამე, — «პრავდისა» და «ლუჩის» შეერთებასაც მანამდე, სანამ «ლუჩს» ხელიარ აუღია ლიკვიდატორულ ქადაგებაზე — «იატაკქვეშეთის» წინააღმდეგ, პოლიტიკური გაფიცვების წინააღმდეგ და სხვ. სერიოზულმა ს.-დ. მოღვაწეებმა ვეჭვობთ დაიჯერონ, რომ «პრავდა» და მუშათა 6 დეპუტატი გადაწყვეტდნენ თვითმკვლელობას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს «ლუჩს» სწადია. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, და 7 დეპუტატი კარგს იზამს, თუ აღარ დაუბრუნდება თავის სრულიად მიუღებელ და განუხორციელებელ «გეგმას».

მაგრამ ფრაქციაში უთანხმოების საკითხი ამით როდი ამოიწურება. ყველა გრძნობს, იმ დავის გარეგნულ სახეს იქით, რომელიც «ლუჩში» იძულებით თანამშრომლობას შეეხება, იფარება კიდევ რაღაც სხვა, უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი დავა. ეს დავა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ეკიდება ლიკვიდატორობას ფრაქციის თვითეული ნაწილი.

და ვფიქრობთ: აქ მუშებს უწინარეს ყოვლისა უფლება აქვთ მოსთხოვონ შვიდ დეპუტატს, რომ მათ პირდაპირ, ზუსტად, ნათლად და გარკვეულად თქვან, თუ როგორია მათი დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი? შვიდი დეპუტატი მოვალეა ეს ისევე აშკარად გააკეთოს, როგორც მუშათა ექვსმა დეპუტატმა გააკეთა. III სახ. სათათბიროს ფრაქციაში დეპუტატთა დიდი უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ. მაგრამ ლიკვიდატორობას ისინი მკვეთრად უარყოფითად უყურებდნენ. როგორღა უყურებს მას ახლა 7 დეპუტატი? მათ თვითონ აღძრეს საკითხი «ლუჩის» შესახებ, ე. ი. ლიკვიდატორობის შესახებ. ამიტომ ისინი ორმაგად არიან

ვალდებულნი აშკარად და ზუსტად თქვან: როგორ უყურებენ ისინი «ლუჩის» ქადაგებას იატაკქვეშეთის წინააღმდეგ (იხ. «ლუჩი» № 101 და სხვ.), პოლიტიკური გაფიცვების წინააღმდეგ, განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუშათა კლასის ჰეგემონიის წინააღმდეგ და სხვ. უამისოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოვიდეთ.

ჩვენ პირდაპირ ვამბობთ: ს.-დ. ფრაქციაში რომ აღმოჩენილიყო თუნდაც ერთი დეპუტატი, რომელიც სათათბიროს ტრიბუნიდან დაიწყებდა «ლუჩის» 101-ე ნომრის სტატიის («იატაკქვეშეთისადმი» სიმპათიის ზრდა «სამწუხარო» ფაქტია და სხვ.) მსგავსი სიტყვების წარმოთქმას, — ასეთ დეპუტატთან კავშირის გაწყვეტა გარდუვალი იქნებოდა. და ის ს.-დ. დეპუტატი, რომელიც არ წამოდგებოდა და არ იტყოდა, ეს ორატორი სოციალ-დემოკრატიის აზრს არ გამოხატავსო, უღალატებდა თავის მოვალეობას მუშათა კლასის წინაშე.

სწორია თუ არა ჩვენი ეს აზრი? ჩვენ დამშვიდებით გამოგვაქვს ეს საკითხი მუშათა სამსჯავროს წინაშე...

თუ ფრაქციის ორ ნახევარს შორის სერიოზული უთანხმოებაა, ერთიანობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე თანაბრად ეცდება შეთანხმების მიღწევას. საპროგრამო საკითხების ერთი ხმის შემთხვევითი უმრავლესობით «გადაწყვეტა» გათიშვის გამოწვევაა. ეს ყველას ესმის. ადამიანები, რომლებსაც სერიოზულად სურთ ერთიანობა, არასოდეს არ წავლენ საკითხთა ასეთი «გადაწყვეტის» გზით.

შესაძლებელია თუ არა ეს შეთანხმება ფრაქციაში, ახლანდელი შემადგენლობის დროს? აქამდე იგი შესაძლებელი იყო. მაგალითი: ფრაქციის დეკლარაცია, რომელიც წაკითხულ იქნა IV სათათბიროს მუშაობის დაწყებისას. ლიკვიდატორული პრეტენზიები ფრაქციამ უკუაგდო; და ამან გახადა შესაძლებელი ორივე ნაწილის შეთანხმება. თუ არის კეთილი

ნება, თუ შვიდი დეპუტატი გათიშვას არ ამზადებს, ეს კვლავაც შესაძლებელი იქნება ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხში.

დეკლარაციის მაგალითი იმის მაგალითია, თუ რას უნდა ვაკეთებდეთ, რომ გათიშვა თავიდან ავიცილოთ. «კულტურულ-ეროვნული ავტონომიის» მაგალითი კი იმის მაგალითია, თუ რას არ უნდა ვაკეთებდეთ, რომ გათიშვა თავიდან ავიცილოთ. ამ მოთხოვნის წამოყენება, როგორც ეს ამხ. ჩხენკელმა გააკეთა, ნიშნავს ს.-დ. პროგრამის გაუქმებას. თუ დღემდე ლიკვიდატორები გვარწმუნებდნენ, ეს მოთხოვნა პროგრამას «არ ეწინააღმდეგებაო», ახლა ისინი მხილებული არიან თვით ბუნდელების მიერ, რომლებიც (იხ. «ცაიტი» * № 9) ჩხენკელს ულოცავენ სწორედ იმას, რომ მან «თავი დაანება იმ გაყინულ თვალსაზრისს, რომელზეც ოფიციალური თეორია დგას ეროვნულ საკითხში». პროგრამის გაუქმება 7 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ნიშნავს გათიშვის მზადებას. ეს ყველა შეგნებულ მუშას ესმის.

მაშასადამე — შეთანხმება თუ გათიშვა! ასე დგას საკითხი.

ჩვენი წინადადება რა არის? — შეთანხმება!

შესაძლებელია თუ არა ეს შეთანხმება? — შესაძლებელია!

სასურველია თუ არა ეს შეთანხმება? — სასურველია!

რა არის საჭირო ამ შეთანხმების განსახორციელებლად? — არ გაუქმონ პროგრამა, არ ლანძღონ «იატაკქვეშეთი», დარჩნენ ძველი დროშის ერთგულნი! ჩვენი მოთხოვნები, როგორც მკითხველი ხედავს, მცირეა.

7-ისა და 6-ის შეთანხმების სასარგებლოდ, გათიშვის წინააღმდეგ! აი რა უნდა მოითხოვოს ყველა შეგნებულმა მუშამ.

«პრავდა» № 62, 1913 წ. 15 მარტი
ხელმოწერა: ბ. ბ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* — «დროებაში». რ ედ.

«თავისუფალი ნაღდი ფული»[135]

მთავრობის გაზეთები მლიქვნელური «ნოვოე ვრემიას» მეთაურობით აქებ-ადიდებენ ჩვენს მთავრობას სახელმწიფო მეურნეობის ჩინებული შედეგებისათვის. აბა ერთი დაუფიქრდით: 450 მილიონი მანეთი «თავისუფალი ნაღდი ფული» შინიდან კი არ გაგვაქვს, შინ შემოგვაქვს — აი, თვითონ ხედავთ, როგორ ვეწევით «ჩვენ» მეურნეობასო.

და «ნოვოე ვრემია», შავრაზმელ მემამულეთა და ოქტიაბრისტ ვაჭართა გაზეთი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთი მარაგით — 450 მილიონი მანეთით ომიც კი ოდნავ არ არის საშიში.

მაგრამ დავხედოთ ფინანსთა მინისტრის განმარტებით ბარათს 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ; — იქნებ იქ, გარდა საკუთარი თავის ქება-დიდებისა (ეს სიკეთე ბარათში რამდენიც გნებავთ არის!), ვნახოთ ზუსტი ცნობები, თუ საიდან წარმოდგება ყბადაღებული «თავისუფალი ნაღდი ფული»?

გადავშლით ბ-ნ მინისტრის განმარტებით ბარათს და იქ ვკითხულობთ (I ნაწილის გვ. 15), რომ ხუთი წლის — 1908 — 1912 წლების განმავლობაში სესხებმა ხაზინას მისცა 339½ მილიონი მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში გამოსყიდულია 252,1 მილიონი მანეთის სესხები.

მაშასადამე, სესხები, საერთოდ და მთლიანად, გადიდდა 87,4 მილიონი მანეთით. აი ეს გახლავთ «თავისუფალი ნაღდი ფულის» პირველი «წყარო». როგორც ხედავთ, ვერაფერი ოსტატური წყაროა.

მაგრამ გავყვეთ ქვემოთ. ცნობილია, რომ 1908 წლის 1 ოქტომბრიდან ერთი ვედრო სახაზინო არყის ფასი აწეულია ზღვრულ ოდენობამდე, სახელდობრ 8 მანეთიდან 8 მანეთამდე და 40 კაპიკამდე (ჩვეულებრივისა, ხოლო სუფრის არყისა — 11 მანეთიდან 12 მანეთამდე).

ამ «საფინანსო ღონისძიების» შედეგად ერთი ვედრო სახაზინო არყის საშუალო ფასი ხუთი წლის — 1908 — 1912 წლების განმავლობაში იყო 8 მან. 48 კაპ., ე. ი. ზუსტად 42 კაპიკით მეტი, ვიდრე წინა ოთხი წლის განმავლობაში (1904 — 1907 წლებში ვედრო არაყი ღირდა 8 მან. 06 კაპ.).

5 წლის (1908 — 1912 წლების) განმავლობაში ხაზინამ გაყიდა სულ 440½ მილიონი ვედრო ორმოცგრადუსიანი არაყი. ვედროზე მოგების 42 კაპიკით გადიდებამ სახელმწიფოს მისცა 185 მილიონი მანეთი.

ეს გახლავთ «თავისუფალი ნაღდი ფულის» მეორე წყარო!

მესამე წყარომ, სახაზინო რკინიგზებმა, 4 წლის განმავლობაში (1908 — 1911) სახელმწიფოს მისცა 53 მილიონი მანეთი «სუფთა მოგება», თუ არ ჩავთვლით ხაზინის მიერ დახარჯული კაპიტალების, 2¼ მილიარდი მანეთის, პროცენტებსა და დაფარვის გადასახდელებს!! 1912 წლისათვის ეს «მოგება» ავიღოთ იმ რაოდენობით, როგორც 1911 წელს იყო, ე. ი. 105 მილიონი მანეთი. მთელი ხუთი წლის განმავლობაში ვიღებთ 158 მილიონ მანეთ «მოგებას». გასაგებია, რომ ისეთი სახელმწიფო «მეურნეობა», როცა მილიარდიან ხარჯებზე «არ თვლიან» პროცენტებსა და დაფარვის გადასახდელებს, უფრო სახელმწიფო ოინბაზობას წააგავს. აღვნიშნავთ, რომ რომელიმე «მემარცხენე ჟურნალისტმა» კი არა (ღმერთმა დაიფაროს!), არამედ თვითონ სახელმწიფო კონტროლმა განსაზღვრა ხაზინის მიერ დახარჯული სარკინიგზო კაპიტალების პროცენტები და დაფარვის გადასახდელები 397,6 მილიონი მანეთის რაოდენობით 4 წლის განმავლობაში (1908 — 1911). მთელი ხუთი წლის — 1908 — 1912 წლების განმავლო-

ბაში ეს შეადგენს 500 მილიონ მანეთს! ეს მტაცებლური მეურნეობის ნიმუშია.

ვაჯამებთ «თავისუფალი ნაღდი ფულის» სამ წყაროს:

1)	მიღებულია	სესხებით	87,4 მილიონ მან.
2)	»	სახაზინო არყის ფასის გადიდებით	185 » »
3)	»	სახაზინო რკინიგზებისაგან (თუ არ ჩავთვლით დახარჯული კაპიტალების პროცენტებსა და დაფარვის გადასახდელებს — 500 მილიონ მანეთს	158 » »
		სულ	430,4 მილიონი მან.

ვგონებ, საკმარისია? უფრო წვრილი «წყაროების» აღნიშვნა საჭირო აღარ არის.

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენი მებატონე-მემამულეები უდიდესი გენიოსები არიან ფინანსების დარგში? ფულის სესხად აღება, არყის ფასის გადიდება, დახარჯული («მეურნეობაზე» დახარჯული) მილიარდების პროცენტებისა და დაფარვის გადასახდელების «ჩაუთვლელობა» — განა ეს გენიოსობა არ არის?

განა ეს ჩვენი ბიუჯეტის «სიმტკიცეს» არ ადასტურებს?

«პრავდა» № 62, 1913 წ. 15 მარტი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დასაწყისიდან ეს ჟურნალი ლიბერალ ნაროდნიკთა ორგანო იყო. 1906 წლიდან «რუსსკოე ბოგატსტვო» ფაქტიურად ენესების («სახალხო სოციალისტების») ნახევრადკადეტური პარტიის ორგანო ხდება. — 1.

2 «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ი კ» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყვნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები, ესერები, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე ლიბერალები. ჟურნალს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მუშათა მასებთან. ამ ჟურნალის მიმართულებას ლენინი 1914 წელს განსაზღვრავდა როგორც ნაროდნიკობისა და მარქსიზმის ნარევს. — 1.

3 «ზ ა პ რ ო ს ი ე ი ზ ნ ი» — ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა 1909 — 1912 წლებში პეტერბურგში. ჟურნალში თანამშრომლობდნენ კადეტები, სახალხო სოციალისტები და მენშევიკი-ლიკვიდატორები. ლენინი ამ ჟურნალს «ლიკვიდატორულ-ტროდოვიკულ-ვეხისტურს» უწოდებდა. — 2.

4 ლაპარაკია რუსეთის იმპერიის სისხლის სამართლის დებულების 129-ე მუხლზე, რომელიც აწესებდა მკაცრ სასჯელს, თვით კატორღაში გაგზავნამდე, მეფის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული საჯარო გამოსვლებისა და ნაწარმოებთა გავრცელებისათვის. — 1.

5 რ — კ ო ვ ი — ნ. ა. როეკოვი, ისტორიკოსი, სოციალ-დემოკრატი, ემხრობოდა მენშევიკ-ლიკვიდატორებს. — 4.

6 «ე ი ვ ო ე დ ე ლ ო» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველკვირეული ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წელს, გამოვიდა 16 ნომერი. — 5.

7 ლენინი გულისხმობს «ღ ი ა მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ს.-დ. მ ო ლ ვ ა წ ე თ ა ს ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ო ჯ გ უ ფ ე ბ ს, რომლებსაც მენშევიკი-ლიკვიდატორები ქმნიდნენ 1910 წლის დამლევიდან, არალეგალური პარტიული ორგანიზაციების დასაპირდაპირებლად. ხელი აიღეს რა რევოლუციურ პროგრამასა და ტაქტიკაზე, ლიკვიდატორები მიისწრაფოდნენ მოესპოთ პროლეტარიატის რევოლუციური არალეგალური პარტია. «საინიციატივო ჯგუფები» მათ მიაჩნდათ იმ ახალი ფართო ლეგალური პარტიის უჯრედებად, რომელიც სტოლიპინის რეჟიმს ეგუებოდა. ლიკვიდატორებმა მოახერხეს შეექმნათ «საინიციატივო ჯგუფები» პეტერბურგში, მოსკოვში, ეკატერინოსლავსა და კონსტანტინოვკაში (დონბასი). ეს იყო ინტელიგენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებსაც მუშათა კლასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ისინი ილაშქრებდნენ მუშათა საგაფიცვო ბრძოლისა და რევოლუციური დემონსტრაციების წინააღმდეგ, ებრძოდნენ ბოლშევიკებს IV სათათბიროს არჩევნებში. «საინიციატივო ჯგუფების» ცენტრები იყო: «გოლოს სოციალ-დემოკრატა», რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა, და ლიკვიდატორთა ლეგალური ორგანოები რუსეთში — «ნაშა ზარია» და «დელო ჟიზნი». — 5.

8 «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა 1910 — 1914 წლებში პეტერბურგში. «ნაშა ზარიას» გარშემო ჩამოყალიბდა ლიკვიდატორთა ცენტრი რუსეთში. — 5.

9 ბ უ ლ გ ა რ ი ნ ი ფ. ბ. — XIX საუკუნის პირველი ნახევრის რეაქციონერი ჟურნალისტი და გამომცემელი; აბეზღებდა და ცილს სწამებდა იმდროინდელ პროგრესულ ჟურნალებსა და მოწინავე მწერლებს; ცნობილია როგორც ა. ს. პუშკინის დამბეზღებელი.

ბ უ რ ე ნ ი ნ ი ვ. პ. — ჟურნალისტი, რეაქციული გაზეთის «ნოვოე ვრემიას» თანამშრომელი; გააფთრებით სდევნიდა ყველა პროგრესული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს.

ლენინი ამ სახელებს ხმარობს როგორც საზოგადო სახელებს იმათ მიმართ, ვინც პოლემიკის უპატიოსნო მეთოდებს იყენებს. — 7.

10 «Vorwärts» («წინ») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო. ავტორი რსდმ პარტიის პრაღის კონფერენციის წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური სტატიებისა, რომლებიც მოთავსებული იყო «Vorwärts»-ში, იყო ტროცკი. — 7

11 იგულისხმება ორგანიზაციული კომიტეტი, რომელიც 1912 წლის იანვარში შეიქმნა ლიკვიდატორების — ბუნდის, კავკასიის საოლქო კომიტეტისა და ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლების თათბირზე. ორგანიზაციული კომიტეტი ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციის მომწვევი ოფიციალური ორგანო იყო. — 8.

12 «პრავდა» (ვენის) — მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი, ტროცკის ფრაქციული ორგანო; გამოდიოდა 1908 — 1912 წლებში ვენაში. გაზეთი იფარებდა «არაფრაქციულობის» ნიღაბს და ყველა ძირითად საკითხში ეკავა ლიკვიდატორული პოზიცია, აგრეთვე მხარს უჭერდა ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს. გაზეთს ეხმარებოდნენ შემარიგებლები, სინამდვილეში ტროცკის ფარული აგენტები, ზინოვიევი და კამენევი, რომლებმაც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1910 წლის იანვარში სცადეს გადაექციათ ეს გაზეთი ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ. 1912 წელს ტროცკი და მისი გაზეთი ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკის ორგანიზატორები იყვნენ. — 8.

13 «ზა პარტიუ» — მენშევიკთა და შემარიგებელთა პარიზის ჯგუფების ფურცელი; გამოდიოდა არაპერიოდულად პარიზში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის თებერვლამდე. — 9.

14 ლენინს ციტატი მოჰყავს ა. ი. გერცენის ნაწარმოებიდან «დასასრული და დასაწყისი» (იხ. ა. ი. გერცენი. რჩეული თხზულებანი, 1937, გვ. 349). — 12.

15 ლენინს ციტატი მოჰყავს წერილებიდან «ძველი ამხანაგისადმი» (წერილი მეოთხე და მეორე). იხ. ა. ი. გერცენი. რჩეული თხზულებანი, 1937, გვ. 385, 379. — 14.

16 «კოლოკოლ» — პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა დევიზით «ცოცხლებს ვეძახი!» («Vivos voco!»). ჟურნალს უშვებდნენ ა. ი. გერცენი და ნ. პ. ოგარიოვი ა. ი. გერცენის მიერ დაარსებულ თავისუფალ რუსულ სტამბაში 1857 წლიდან 1865 წლის აპრილამდე ლონდონში და 1865 წლიდან 1868 წლის დეკემბრამდე ჟენევაში ყოველთვიურად და თვეში ორჯერ. 1868 წელს ჟურნალი გამოდიოდა ფრანგულ ენაზე; ამავე დროს იბეჭდებოდა მისი დამატებანი რუსულ ენაზე. — 15.

17 «პოლიარნაია ზვეზდა» — ლიტერატურულ-პოლიტიკური კრებული; კრებულის პირველი სამი წიგნი გამოსცა ა. ი. გერცენმა,

შემდეგი წიგნები — ა. ი. გერცენმა და ნ. პ. ოგარიოვმა ლონდონში, თავისუფალ რუსულ სტამბაში 1855 — 1862 წლებში. კრებულის უკანასკნელი წიგნი გამოიცა ჟენევაში 1868 წელს. სულ გამოვიდა რვა წიგნი. — **15.**

18 «ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე) (ჯერ ყოველკვირეულად, 1912 წლის იანვრიდან — კვირაში ორჯერ და მარტიდან — კვირაში სამჯერ). გაზეთში თანამშრომლობდნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ს. ერემეევი, აგრეთვე ა. მ. გორკი. 1911 წლის შემოდგომამდე «ზვეზდაში» მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი-პარტიელები (პლეხანოველები). გაზეთის იდეურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა (საზღვარგარეთიდან) ლენინი. ლენინმა «ზვეზდაში» გამოაქვეყნა 30-მდე სტატია.

1912 წლის გაზაფხულზე, ლენის დღეებში, «ზვეზდას» რედაქტორობდა ი. ბ. სტალინი. «თავისუფლად» ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში ი. ბ. სტალინმა გაზეთის №№ 30, 31, 32 და 33-ში გამოაქვეყნა 8 სტატია. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ლეგალური «ზვეზდა» იყო მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთი, რომელიც იცავდა არალეგალური პარტიის პროგრამასა და ტაქტიკას. «ზვეზდამ» ფართოდ დააყენა მუშათა კორესპონდენციების განყოფილება, მუდმივი, მტკიცე კავშირი დაამყარა მუშებთან. მისი ცალკეული ნომრების ტირაჟი 50 — 60 ათასს აღწევდა. გაზეთი მუდამ განიცდიდა რეპრესიებს მთავრობის მხრივ: 69 ნომრიდან 30 კონფისკებულ იქნა, 8 დაჯარიმდა.

«ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდის» გამოცემა; მთავრობამ იგი დახურა «პრავდის» გამოსვლის დღეს. — **24.**

19 ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შედგა პეტერბურგში 1912 წლის მარტში; იგი მიეძღვნა უმთავრესად IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის საკითხებს. კონფერენციის გადაწყვეტილებათა შეფასება მოცემულია ლენინის სტატიაში «ლიბერალიზმი და დემოკრატია» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 683 — 694). — **80.**

20 «ვ ე ხ ი» — კადეტური კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენ-

ზონისა და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლების სტატიებით. სტატიებში რუსეთის ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ბ. გ. ბელინსკისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის; ლანძღავდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას უძღვნიდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ იგი «თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით» ბურჟუაზიას «ხალხის რისხვისაგან» იცავსო. კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას თვითმპყრობელობისადმი სამსახურისაკენ. ლენინი «ვეხის» პროგრამას ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა ს», «მთელ ნიაღვარს რეაქციული სიბინძურისა, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 145 — 156). — 31.

21 გაზეთ «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს» შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 324 — 326.

«ს ვ ე ტ» — ყოველდღიური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1882-დან 1917 წლამდე.

«გ ო ლ ო ს მ ო ს კ ვ ი» — ყოველდღიური გაზეთი, მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის და დიდ მემამულეთა კონტრრევოლუციური პარტიის — ოქტიაბრისტების ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906-დან 1915 წლამდე. — 88.

22 სტატია «ა ნ კ ე ტ ა მ ს ხ ვ ი ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» გამოქვეყნდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 5 — 7.

«პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალი შეიქმნა ლენინის მითითებით, ნაცვლად მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური ჟურნალის — «მისლისა», რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. საზღვარგარეთ მყოფი ლენინი ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს»: რედაქციას უკეთებდა სტატიებს, რეგულარული მიწერ-მოწერა ჰქონდა სარედაქციო კოლეგიის წევრებთან. ჟურნალში გამოქვეყნდა ლენინის ნაშრომები: «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვები.

პეტერბურგში ყოფნის დროს 1912 და 1913 წლებში ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ნაშრომი «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», რომელიც 1914 წელს გამოიცა ცალკე ბროშურად სახელწოდებით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» (იხ. ი. ბ. სტალინი. «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი». თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395). «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი. სამხატვრო-ლიტერატურულ განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვ.. ჟურნალის ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ. 1917 წლის შემოდგომაზე «პროსვეშჩენიეს» გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ლენინის ნაშრომები «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — **50.**

23 გ უ შ კ ა, ა. ო. და ამ სტატიის ტექსტში ქვემოთ მოხსენიებული ა. ე რ მ ა ნ ს კ ი — მენშევიკ-ლიკვიდატორ ო. ა. კოგანის ლიტერატურული ფსევდონიმებია. — **50.**

24 8 7-ე მ უ ხ ლ ი ძირითადი სახელმწიფო კანონებისა მინისტრთა საბჭოს უფლებას ანიჭებდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის დროს უშუალოდ მეფისათვის შეეტანა კანონპროექტები დასამტკიცებლად. — **59.**

25 «რ ე ჩ» — ყოველთვიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **69.**

26 «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა» — ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 26 თებერვლიდან (10 მარტიდან) 5 (18) ოქტომბრამდე. გამოვიდა 27 ნომერი. «ნევსკაია ზვეზდა» თავდაპირველად გამოდიოდა გაზეთ «ზვეზდასთან» ერთად, ერთდროულად, და უნდა შეეცვალა იგი დახურვის ან კონფისკაციის შემთხვევაში; 1912 წლის 22 აპრილიდან (5 მაისიდან) გამოდიოდა დახურული «ზვეზდის» ნაცვლად. გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 20 სტატია.

გაზეთის რედაქციაში მუშაობდნენ ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლ-მინსკი, ნ. ნ. ბატურინი და სხვები. — **73.**

27 რ. ბ. — რ. მ. ბლანკი, პუბლიცისტი, კადეტი. — **80.**

28 ლენინი გულისხმობს პ. ნ. მილიუკოვის სიტყვას, რომელიც მან 1909 წლის ივნისში წარმოთქვა საუზმეზე ქალაქ ლონდონის ლორდ-მერთან, როცა ინგლისში იმყოფებოდა III სახელმწიფო სათათბიროს და სახელ-მწიფო საბჭოს დელეგაცია. მილიუკოვმა განაცხადა კადეტების ერთ-გულების შესახებ მეფის თვითმპყრობელობისადმი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანამ რუსეთში სათათბირო არსებობს, «რუსეთის ოპოზიცია იქნება ოპოზიცია მისი უდიდებულესობისა და არა მისი უდიდებულესობისადმიო». — **82.**

29 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; გამო-დიოდა მოსკოვში 1863 წლიდან; გაზეთს უშვებდნენ მოსკოვის უნი-ვერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; 1917 წლის ოქ-ტომბრის რევოლუციის შემდეგ გაზეთი მალე დაიხურა. — **89.**

30 «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს» — მენშევიკი-ლიკვიდატორების ლეგალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის მაისიდან აგვისტომ-დე. — **90.**

31 იგულისხმება სტოლიპინის მიერ გამოცემული 1906 წლის 9 (22) ნოემბრის ბრძანებულება თემიდან გლეხების გამოყოფის შესახებ.

სტოლიპინის მიწის რეფორმის შეფასება იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 120 — 121. — **96.**

32 ახალი რევოლუციური აღმავლობის დახასიათება და ახალ პირობებში ბოლშევიკური პარტიის ამოცანების განსაზღვრა ლენინმა მოგვცა სტა-ტიის «რევოლუციური აღმავლობის» გამოქვეყნებამდე: 26 აპრილს (9 მაისს) რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციის სხდომაზე მოხსენებაში რუსეთის ამბებისა და ამ ამბებით ნაკარნახევი პარტიული ტაქტიკის შესახებ და 31 მაისს (13 ივნისს) რეფერატში თემაზე «რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა». რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციის ნაბეჭდ განცხადებაში მოთავსებულია რეფერატის გეგმა, რომელიც ემთხვევა ამ სტატიის გეგმას. — **109.**

33 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — არალეგალური გაზეთი, რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ კი გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ: ჯერ პარიზში, შემდეგ — ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია შედგენილი იყო, თანახმად რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ლენინის ოთხმოცზე მეტი სტატია და შენიშვნა. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას თანმიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები — მენშევიკები მარტოვი და დანი საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «გოლოს სოციალ-დემოკრატაში».

ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია მარტოვისა და დანის გასვლა 1911 წლის ივნისში რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» ლენინი რედაქტორობდა.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები: «წერილები კავკასიიდან», «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის», «არჩევნები პეტერბურგში» და სხვები (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 185 — 208, 267 — 269, 290 — 305). — **111.**

34 «ა ს ე ი ყ ო — ა ს ე ი ქ ნ ე ბ ა» — შინაგან საქმეთა მინისტრის მაკაროვის სიტყვები, რაც მან თქვა სახელმწიფო სათათბიროს 1912 წლის 11 (24) აპრილის სხდომაზე პასუხად ს.-დ. ფრაქციის შეკითხვისა ლენაზე მომხდარი დახვრეტის გამო. — **117.**

35 «ბ უ დ უ შ ჩ ე ე» («L' Avenir») — ყოველკვირეული ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1911 წლის ოქტომბრიდან 1914 წლის იანვრამდე ვ. ლ. ბურცევის რედაქციით რუსულ ენაზე (ზოგიერთი მასალა იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზე). გაზეთში თანამშრომლობდნენ მენშევიკები და ესერები. — **128.**

36 ლენინი გულისხმობს ლიკვიდატორთა ორგანიზაციული კომიტეტის გადაწყვეტილებას ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციაზე პო-

ლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) «ლევიცის» მიწვევის შესახებ.

პ პ ს — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, რომელიც დაარსდა 1893 წელს. პპს-მა თავის პროგრამას საფუძვლად დაუდო დამოუკიდებელი პოლონეთისათვის ბრძოლა, სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგანდას ეწეოდა პოლონელ მუშებში და ცდილობდა ჩამოეშორებინა ისინი რუს მუშებთან ერთობლივი ბრძოლისაგან თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით პპს 1906 წელს გაითიშა ორ ფრაქციად: პპს-ის «ლევიცად» და პპს-ის «პრავიცად» («ფრაკები»).

პირველი მსოფლიო ომის წლებში «ლევიცის» ნაწილი ინტერნაციონალისტურ პოზიციას დაადგა და დაუახლოვდა პოლონეთის ს.-დ. პარტიას; 1918 წლის დეკემბერში მათ შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია.

«პ რ ა ვ ი ც ა», რომელსაც სათავეში ედგა პილსუდსკი, განაგრძობდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას; შემდეგში მისგან აღორძინდა პპს. მას შემდეგ, რაც 1918 წელს შეიქმნა პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო, პპს, რომელიც მმართველი პარტია გახდა, ანტისაბჭოთა პოლიტიკას ახორციელებდა და მხარს უჭერდა მაშინ პოლონეთის შემადგენლობაში შემავალი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა დამონებას. მეორე მსოფლიო ომის დროს პპს გაითიშა ორ ჯგუფად. პპს-ის რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი, რომელიც გამოდიოდა «ვრნ» სახელწოდებით («Wolność, równość i niepodległość» — «თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა»), დაადგა ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას. მეორე ნაწილი, რომელსაც ეწოდებოდა «პოლონელ სოციალისტთა მუშათა პარტია», პოლონეთის მუშათა პარტიასთან (კომუნისტებთან) და უპარტიო პოლონელ პატრიოტებთან ერთად ეწეოდა ბრძოლას ფაშისტური მონობისაგან პოლონეთის განთავისუფლებისა და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პპს პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კოალიციის შემადგენლობაში შედის. — **129.**

87 იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ. კ. პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 131. — **130.**

88 «დ ნ ე ვ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — არაპერიოდული ორგანო, რომელსაც გ. ვ. პლეხანოვი უშვებდა; გამოდიოდა ჟენევაში დიდი შუალედებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე;

გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლდა 1916 წელს პეტროგრადში, გამოვიდა ერთი ნომერი. — **131.**

39 1912 წლის თებერვალში III სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შემადგენლობიდან გავიდა ირკუტსკის გუბერნიის დეპუტატი მენშევიკი-ლიკვიდატორი ტ. ო. ბელოუსოვი. იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «სათათბიროს ს.-დ. ფრაქციიდან დეპუტატ ტ. ო. ბელოუსოვის გასვლის გამო» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 17, გვ. 625 — 631). — **132.**

40 «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბ ა ლ ღ ე ბ ა დ» აქ იგულისხმებიან ბოლშევიკი-შემარიგებლები, რომლებსაც თავიანთი მცირე ჯგუფები ჰყავდათ რუსეთში და საზღვარგარეთ; «ნ ა ც ა დ დ ი პ ლ ო მ ა ტ ე ბ ა დ» — ვენის ტროცკისტული «პრავდის» ლიკვიდატორული მცირე ჯგუფი და ბუნდის ლიდერები. — **149.**

41 ლენინი გულისხმობს 1 9 0 5 წ ლ ი ს 11 (24) დ ე კ ე მ ბ რ ი ს კ ა ნ ო ნ ს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ. ამ კანონით ამომრჩევლები იყოფოდნენ 4 კურიად: მიწათმფლობელთა (მემამულენი), საქალაქო (ბურჟუაზია), გლეხთა და მუშათა. ხმის უფლება ჰქონდათ 25 წლის ასაკს მიღწეულ პირებს. მიწათმფლობელთა და საქალაქო კურიებისათვის დაწესებული იყო ქონებრივი ცენზი, გლეხთა კურიაში — არჩევნების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ოჯახის უფროსებს, მუშათა კურიაში — მუშებს, რომლებიც საწარმოში ნამუშევარი იყვნენ არა ნაკლებ 6 თვისა. არჩევნები არათანასწორი იყო. მემამულის ერთი ხმა უდრიდა კაპიტალისტების სამ ხმას, გლეხების 15 ხმას და მუშების 45 ხმას. არჩევნებში მონაწილეობის უფლება წართმეული ჰქონდათ: ქალებს, სოფლის მეურნეობის მუშებს, შავმუშებს, შინამრეწველებს, მოსწავლეებს და სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს. მუშათა კურიაში არჩევნების უფლება ეძლეოდათ იმ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს, სადაც იყო სულ ცოტა ორმოცდაათი მამაკაცი მუშა. ფაბრიკები და ქარხნები, სადაც მუშების რიცხვი ათასს აღემატებოდა, ირჩევდნენ ერთ რწმუნებულს ყოველ სრულ ათასზე. არჩევნები მრავალსაფეხურიანი იყო: მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის — ორსაფეხურიანი, მუშებისათვის — სამსაფეხურიანი, ხოლო გლეხებისათვის — ოთხსაფეხურიანი. — **158.**

42 1907 წლის 3 (16) ივნისს მეფის მთავრობამ II სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და გამოსცა ახალი კანონი სათათბიროს არჩევნების შესახებ. ახალი კანონი ბევრად ადიდებდა სათათბიროში მემამულეე-

ბისა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლობას და რამდენჯერმე ამცირებდა გლეხთა, მუშათა და არარუს ეროვნებათა დეპუტატების რიცხვს. საქალაქო კურია იყოფოდა ორად: მსხვილი ბურჟუაზია გამოყოფილი იყო პირველ საქალაქო კურიად, ქალაქის დანარჩენი ამომრჩევლები კი — მეორე კურიად. ახალი კანონის მიხედვით ერთი ამრჩევი მოდიოდა: მიწათმფლობელთა კურიაში (მემამულენი) — 230 ამომრჩეველზე; პირველ საქალაქო კურიაში — ათას ამომრჩეველზე; მეორე საქალაქო კურიაში — 15 ათას ამომრჩეველზე; გლეხთა კურიაში — 60 ათას ამომრჩეველზე და მუშათა კურიაში — 125 ათას ამომრჩეველზე. 6 სამრეწველო გუბერნიაში: პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის, ეკატერინოსლავის, კოსტრომისა და ხარკოვის გუბერნიებში სავალდებულო იყო მუშათა კურიებისაგან თითო მუშა დეპუტატის არჩევა. სამი ივნისის საარჩევნო კანონმა უზრუნველყო მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიის შავრაზმული ბლოკის სრული ბატონობა III და IV სახელმწიფო სათათბიროებში. — **158.**

48 იხ. კ. მარქსი: «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 2, 1936, გვ. 7 — 9. მარქსის ეს დებულებები ლენინის მიერ გადმოცემული და განმარტებულია ნაშრომში «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევისათვის» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 15, გვ. 154 — 157). — **164.**

44 «მ უ შ ა თ ა გ ა ზ ე თ ი» (**«Gazeta Robotnicza»**) — პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ვარშავის კომიტეტის არალეგალური ორგანო; გამოდიოდა 1906 წლის მაის-ოქტომბერში. გამოცემა განახლდა 1912 წელს. 1912 წლის გათიშვის შემდეგ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში წარმოიშვნენ პარალელური პარტიული კომიტეტები. იყო ვარშავის ორი კომიტეტი და გამოდიოდა ორი ორგანო «მუშათა გაზეთის» სახელწოდებით: ერთს სცემდნენ მთავარი გამგეობის მომხრენი ვარშავაში, მეორეს კი — ოპოზიციური ვარშავის კომიტეტი კრაკოვში. ვ. ი. ლენინის სტატია «მდგომარეობა რსდმ პარტიაში და პარტიის უახლოესი ამოცანები» გამოქვეყნდა კრაკოვში გამომავალ «მუშათა გაზეთში» № 15 — 16. პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიაში მომხდარი გათიშვის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში» (ეს ტომი, გვ. 581 — 587). — **170.**

45 «გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის

დეკემბრამდე ჟენევაში, შემდეგ პარიზში. «გოლოს სოციალ-დემოკ-რატას» დახასიათება იხ. ლენინის სტატიაში «ლიკვიდატორთა «გ-ოლოსი» პარტიის წინააღმდეგ» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 188 — 199). — 172.

6 იგულისხმება ლიკვიდატორთა თათბირი, რომელიც შედგა 1912 წლის იანვარში რუსეთში. ამ თათბირზე შეიქმნა ორგანიზაციული კომიტეტი ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციის მოსაწვევად. — 177

7 წერილი «პასუხი ლიკვიდატორებს» ლენინმა «პრავდისა-თვის» დაწერა და რედაქციის მიერ მიღებულია 1912 წლის 11 (24) ივლისს. — 180.

8 «პრავდა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, დაარსებულია ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად და ი. ბ. სტალინის ინიციატივით. «პრავდის» პირველი ნომერი, რომელიც მომზადებულ იქნა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, გამოვიდა პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს). 1914 წლიდან «პრავდის» პირველი ნომრის გამოსვლის დღე მუშათა პრესის დღესასწაული გახდა.

«პრავდა» მუშათა მასობრივი გაზეთი იყო, იგი გამოდიოდა თვით მუშების მიერ შეგროვებული ფულით. გაზეთის გარშემო ყალიბდ-ებოდა მუშა კორესპონდენტთა და მუშა მწერალთა ფართო წრე. გამო-ცემის მარტო ერთი წლის მანძილზე მასში გამოქვეყნდა 11 ათასზე მეტი მუშათა კორესპონდენცია. «პრავდა» ვრცელდებოდა საშუალოდ 40 ათასი ეგზემპლარი, ხოლო ცალკეულ თვეებში მისი ტირაჟი დღეში 60 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

კრაკოვში მყოფი ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, აძლევდა მითითებებს მის რედაქციას. პეტერბურგში ყოფნისას, ნარიმში გადასახლებიდან გამოქ-ცევის შემდეგ, 1912 წლის 12 (25) სექტემბრიდან და 1913 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) ახალ დაპატიმრებამდე, ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა «პრავდაში». 1913 წ. იანვარ-თებერვალში გაზეთის რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. 1913 წლის თებერვალში ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად მოახდინა «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაცია ვ. ი. ლენინის მითითებათა მიხედვით. 1912 წლის მაისიდან 1913 წლის დეკემბრამდე «პრავდის» მდივნად და რედაქციის წევრად მუშაობდა ვ. მ. მოლოტოვი. რედაქ-ციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატუ-რინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ელი-

ზაროვა და სხვები. «პრავდაში» აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები.

«პრავდა» მუდამ განიცდიდა დევნას პოლიციის მხრივ. თავისი არსებობის პირველ წელს იგი კონფისკებულ იქნა 41-ჯერ, რედაქტორების წინააღმდეგ აღიძრა 36 სასამართლო საქმე, საერთო ანგარიშით რედაქტორები საპყრობილეში იყვნენ 47½ თვეს. ორ წელიწადსა და სამ თვეში «პრავდა» რვაჯერ დახურა მეფის მთავრობამ, მაგრამ იგი კვლავ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით: «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ», «პროლეტარსკაია პრავდა», «პუტ პრავდი», «რაბოჩი», «ტრუდოვაია პრავდა». 1914 წლის 8 (21) ივლისს გაზეთი დახურეს.

«პრავდის» გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის 5 (18) მარტიდან «პრავდა» გამოდიოდა როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანო. გაზეთის რედაქციაში შევიდნენ მ. ი. კალინინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ს. ერემეევი, მ. ს. ოლმინსკი. რედაქციის მდივნად პირველი ნომრიდან მუშაობა დაიწყო მ. ი. ულიანოვამ. 12 (25) მარტს გადასახლებიდან დაბრუნდა ი. ბ. სტალინი და 15 (28) მარტს შევიდა «პრავდის» სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. 5 (18) აპრილს, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, რედაქციის შემადგენლობაში შევიდა ვ. ი. ლენინი და სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდამ», დროებითი მთავრობის მიერ დევნის გამო, ოთხჯერ შეიცვალა სახელწოდება და გამოდიოდა როგორც «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». ივლისის დღეების შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ი. ლენინი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა, პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ი. ბ. სტალინი. 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს გამოსვლა დაიწყო «პრავდის» სახელწოდებით. («პრავდის» მნიშვნელობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 184 — 190). — **180.**

49 იგულისხმება: 1) კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 131 — 141; 2) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწილი II, 1947, გვ. 202 — 227; 3) «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი I, 1936, გვ. 192 — 202. — **192.**

50 იგულისხმება მეფუნთუშეთა პეტერბურგის კავშირის გამგეობის რეზოლუცია, რომელშიც წამოყენებული იყო ანტილიკვიდატორული ყოველდღიური მუშათა გაზეთის გამოცემის მოთხოვნა. გამგეობა მიე-

სალმებოდა «პრავდის» მომავალ გამოსვლას და მოუწოდებდა კავშირის ყველა წევრს მოეწყოთ ფულის შეგროვება მის სასარგებლოდ. ცნობა რეზოლუციის შესახებ გამოქვეყნებულია «ზვეზდაში», № 27, 1912 წლის 8 (21) აპრილს. — **202.**

51 «ზ ა ვ ე ტ ი» — ესერული მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 — 1914 წლებში. — **209.**

52 იგულისხმება პორტუგალიელი მონარქისტების 1912 წლის ზაფხულის ცდა მოეწყოთ ამბოხება მონარქიის აღდგენის მიზნით. ამბოხება ჩაქრობილ იქნა. — **211.**

53 სტატია «ნ ა ხ ე ვ ა რ ი წ ლ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი» დაწერილია 1912 წლის ივლისის პირველ ნახევარში. დარჩენილია ლენინის მიწერ-მოწერა «პრავდის» რედაქციასთან ამ სტატიის გამოქვეყნების თაობაზე. რედაქციისადმი წერილში ლენინი ითხოვდა დაებეჭდათ «ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგები» «პრავდის» ოთხ ნომერში, ცალკე ფელეტონებად და თანხმდებოდა სტატიის მხოლოდ ცენზურულ შესწორებებზე. სტატია დაიბეჭდა «პრავდაში» ისე, როგორც წინადადებას იძლეოდა ლენინი. — **217.**

54 ლენინი გულისხმობს მენშევიკ-ლიკვიდატორების მუქარას — წამოეყენებინათ IV სათათბიროს არჩევნებში მუშათა კურიიდან, ბოლშევიკთა კანდიდატების დასაპირდაპირებლად, თავიანთი კანდიდატები. — **230.**

55 «მ ო წ ო დ ე ბ ა გ ო ნ ე ბ ი ს ა დ მ ი» (**«Appeal to Reason»**) — ამერიკელი სოციალისტების გაზეთი; დაარსდა კანზასის შტატში (აშშ) 1895 წელს; პირველი მსოფლიო ომის დროს ინტერნაციონალისტური პოზიცია ეკავა. — **234.**

56 «გ ა ზ ე ტ ა კ ო პ ე ი კ ა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული ბულვარული ტიპის გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1908 წლიდან; დახურულ იქნა 1918 წელს. — **236.**

57 ბროშურა «ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს რ ს დ მ პ ა რ ტ ი ა ში» დაწერილია ლენინის მიერ კრაკოვში და პირველად გამოიცა ლაიფციგში გერმანულ ენაზე 1912 წლის სექტემბერში. ბროშურის ძირითად შინაარსს შეადგენს რსდმ პარტიის ცენტრა-

ლური კომიტეტის წერილი, დაწერილი 16 — 17 (29 — 30) ივლისს. წერილი წარმოადგენდა პასუხს გერმანიის ს.-დ. პარტიის ცენტრალური გამგეობის მიმართვაზე რსდმ პარტიის საზღვარგარეთის «ცენტრებისა» და «ჯგუფების» მოწვევის შესახებ იმ ფულის გასანაწილებლად, რაც გერმანიის ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელობამ გამოყო IV სათათბიროს საარჩევნო კამპანიისათვის. რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარი თქვა მონაწილეობა მიეღო თათბირში; თათბირი არ შედგა. ნაწილი ფული გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობამ გამოყო ლიკვიდატორული ორგანიზაციული კომიტეტისა და კავკასიის საოლქო კომიტეტის განკარგულებაში, ბუნდისა და ლატვიის ს.-დ. პარტიისათვის, რითაც დახმარება გაუწია ლიკვიდატორებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბროშურა «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში» «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ გაუგზავნა გერმანიის ს.-დ. პარტიის საოლქო და საოკრუგო ცენტრებს, პარტიის ხემნიცის ყრილობის დელეგატებს, რომელიც შედგა 1912 წლის სექტემბერში, და გერმანიის უმნიშვნელოვანესი ს.-დ. გაზეთების რედაქციებს. — **237**.

58 «ს პ ი ლ კ ა» («კავშირი») — უკრაინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია; წარმოიშვა 1904 წლის დამლევს; შედიოდა რსდმ პარტიის შემადგენლობაში ავტონომიური საოლქო ორგანიზაციის უფლებებით. რსდმ პარტიის შინაპარტიულ ბრძოლაში იგი მენშევიკებს ემხრობოდა. რეაქციის პერიოდში «სპილკა» დაიშალა. 1912 წელს არსებობდნენ «სპილკის» დაქსაქსული მცირე ჯგუფები. ამ დროისათვის მისი წევრების უმრავლესობა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად გადაიქცა. როგორც «სპილკის» ორგანო ტროცკის ლიკვიდატორული გაზეთი «პრავდა» (ვენისა) გამოდიოდა მხოლოდ 1908 წელს (პირველი ორი ნომერი). — **242**.

59 II ინტერნაციონალის მორიგი (IX) საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევა ნავარაუდევი იყო ვენაში 1913 წლის შემოდგომაზე. მაგრამ ბალკანეთში 1912 წელს დაწყებულ ომთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა საგანგებო კონგრესი 1912 წლის ნოემბერში ბაზელში. — **253**.

60 ლაპარაკია 1912 წლის აგვისტოში ვენაში შემდგარ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა გ ვ ი ს ტ ო ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ზ ე, რომელზეც ჩამოყალიბდა ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკი. ბლოკის ორგანიზატორი იყო ტროცკი. კონფერენციას დაესწრნენ ბუნდის, კავკასიის საოლქო კომიტეტის, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის და საზღვარგა-

რეთ მყოფი ლიკვიდატორთა მცირე ჯგუფების: «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის, ტროცკის ვენის «პრავდისა» და «ვპერიოდის» ჯგუფის წარმომადგენლები. რუსეთიდან დელეგატები გაგზავნეს: ლიკვიდატორთა პეტერბურგისა და მოსკოვის «საინიციატიო ჯგუფებმა» და ლიკვიდატორული გამოცემების «ნაშა ზარიას» და «ნევსკი გოლოსის» რედაქციებმა; დაესწრო აგრეთვე «სპილკის» საზღვარგარეთის კომიტეტის წარმომადგენელი. დელეგატთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები და რუსეთის მუშათა კლასს მოწყვეტილი პირები.

კონფერენციამ მიიღო ანტიპარტიული ლიკვიდატორული გადაწყვეტილებანი ს.-დ. ტაქტიკის ყველა საკითხზე და აზრი გამოთქვა არალეგალური პარტიის არსებობის წინააღმდეგ.

ჰრელი ელემენტებისაგან შექმნილმა აგვისტოს ბლოკმა უკვე თვით კონფერენციაზე იწყო დაშლა. ლიკვიდატორებმა ვერ შეძლეს აერჩიათ ცენტრალური კომიტეტი და დასჯერდნენ ორგანიზაციული კომიტეტის ჩამოყალიბებას. ბოლშევიკების დარტყმების შედეგად ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკი მალე საბოლოოდ დაიშალა (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 168 — 171). — **256.**

61 ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **260.**

62 «მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა» (**«La Revue Scientifique»**) — ჟურნალი; გამოდიოდა პარიზში 1863 წლიდან. — **264.**

63 ლენინს ციტატი მოჰყავს რსდმ პარტიის V ყრილობის რეზოლუციიდან «ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 100). — **269.**

64 სტატია «ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ნ ი ა რ მ ი ა ს ა დ ა ფ ლ ო ტ ში» გამოქვეყნდა «რაბოჩაია გაზეტაში», № 9, 1912 წლის 30 ივლისს (12 აგვისტოს).

«რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ბოლშევიკების პოპულარული ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე); გამოვიდა 9 ნომერი. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე პარტიელი მეწშევიკები. «რაბოჩაია გაზეტას» დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ლენინი. ლენინმა გაზეთში დაბეჭდა 10-ზე მეტი სტატია. რსდმ პარტიის პრაღის კონფერენციამ (1912 წლის იანვარი) აღნიშნა, რომ «რაბოჩაია

გაზეტა» მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავდა პარტიას და პარტიულობას, და იგი რსდმ პარტიის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ გამოაცხადა. — **278.**

65 «რაბოჩაია გაზეტას» მე-9 ნომერში მოცემულია გამოსვლის არასწორი თარიღი — 12 (30) აგვისტო; სწორი თარიღია 30 ივლისი (12 აგვისტო). — **276.**

66 «რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა» ვ. ი. ლენინმა დაწერა პარიზში, პრაღის კონფერენციის ცოტა ხნის შემდეგ. რუსეთში საარჩევნო პლატფორმა გამოიცა ცალკე ფურცლად პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და ვრცელდებოდა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ ფურცელთან ერთად — «პარტიისათვის!» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 226 — 232). ფურცლები მიტანილ იქნა 18 პუნქტში, მათ შორის უდიდეს პროლეტარულ ცენტრებში. რუსული გამოცემიდან გადაბეჭდილი «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა» დამატების სახით მოთავსებული იყო გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 26-ე ნომერში. იგი გამოსცა აგრეთვე ბევრმა ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. თბილისში პლატფორმა გადაბეჭდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ. (პლატფორმის ტექსტი იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 17, გვ. 606 — 614). — **277.**

67 ს. ვ. — სტანისლავ ვოლსკი — ა. ვ. სოკოლოვის ფსევდონიმი; ოტზოვისტი, «ვპერიოდის» ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი. — **280.**

68 ლ. მ. — ლ. მარტოვი — მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი. — **282.**

69 «წ ე რ ი ლ ი შ ვ ე ი ც ა რ ი ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ა დ მ ი» ვ. ი. ლენინმა დაწერა შემდეგი ამბების გამო. 1912 წ. ივლისში რსდმ პარტიის ციურიხის გაერთიანებული ორგანიზაციის მენშევიკურ-ლიკვიდატორულმა ბიურომ წერილი გაუგზავნა ს.-დ. ორგანიზაციის **«Die Eintracht»**-ის («თანხმობა») გამგეობას და შვეიცარიის მუშათა კავშირს. წერილში ბიურომ თავი გამოაცხადა რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ჯგუფების ერთადერთ წარმომადგენლად ციურიხში. 27 ივლისს (9 აგვისტოს) ციურიხში შედგა რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის შვეიცარიის ბოლშევიკური სექციის თათბირი. თათბირს დაესწრნენ ციურიხის, დავოსის, ბერნის, ლოზანისა და ჟენევის ბოლშევიკური ჯგუფების წარმომადგენლები. თათბირმა განიხილა და მიიღო რეზოლუციები: 1) პარტიაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ;

2) საზღვარგარეთ საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) ლიკვიდატორული ბიუროს წერილის წინააღმდეგ პროტესტის რეზოლუცია. უკანასკნელი რეზოლუცია და ვ. ი. ლენინის წერილი, რომელიც ადასტურებს ციურიხის ბოლშევიკური სექციის უფლებამოსილებას, დაწერილია გერმანულ ენაზე და გამოქვეყნებულია ჰექტოგრაფიული ფურცლის სახით. — **287.**

70 იგულისხმება რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა გამოკვლევა, რაც ფინანსთა სამინისტროს მრეწველობის განყოფილებამ ჩაატარა 1908 წელს. გამოკვლევის შედეგების შესახებ წინასწარი ცნობები გამოაქვეყნა ვ. ე. ვარზარმა სტატიაში «იმპერიის დამმუშავებელი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა 1909 წლის დამდეგისათვის», რომელიც დაიბეჭდა «ფინანსების, მრეწველობისა და ვაჭრობის უწყებაში», № 50, 1911 წლის 11 (24) დეკემბერს. ლენინმა გამოიყენა ამ სტატიის ნაკრები ცხრილის მონაცემები. — **301.**

71 იგულისხმება «საფაბრიკო ინსპექტორთა 1910 წლის ანგარიშების კრებული», სპბ., 1911, გვ. XXXVII. — **304.**

72 ციფრობრივი მონაცემები ლენინს აღებული აქვს «საფაბრიკო ინსპექტორთა 1910 წლის ანგარიშების კრებულიდან», სპბ., 1911, გვ. XV. — **322.**

73 «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური პოლიციურ-შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლიდან 1914 წლამდე. 1906 წლიდან — შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ორგანო. — **343.**

74 სტატიას «ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი და «ე რ თ ი ა ნ ო ბ ა»» დართული აქვს «პრავდაში» სპეციალური თავი, რომელიც შეიცავს ლიკვიდატორების მიერ «პრავდის» წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა კრიტიკას. სტატიის ეს თავი დაწერილია მ. ს. ოლმინსკის მიერ. — **345.**

75 «ზ ე მ შ ჩ ი ნ ა» — ყოველდღიური შავრაზმული გაზეთი; სახელმწიფო სათათბიროს უკიდურესი მემარჯვენე დეპუტატების ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 წლიდან 1917 წლამდე. — **356.**

76 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან 1918 წლის ნახევრამდე. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. ლენინი ამ პერიოდში

«რუსსკაია მისლს» უწოდებს «ჩერნოსოტენნაია მისლს» (შავრაზმულ აზრს). — **374.**

77 ლენინს მოჰყავს ნაწყვეტი ნეკრასოვის პოემიდან «ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად» (იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 247).

ქვემოთ ტექსტში მოყვანილი სტროფი ამოღებულია ნეკრასოვის ლექსიდან «უცნობ მეგობარს, რომელმაც გამომიგზავნა ლექსი «შეუძლებელია»» (იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 135 — 136). — **375.**

78 სიტყვები «ს ი ს ა ძ ა გ ლ ი ს ა დ მ ი შ ე გ უ ე ბ ი თ» ლენინს აღებული აქვს სალტიკოვ-შჩედრინის ზღაპარ-სატირიდან «ლიბერალი» (იხ. მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი. რჩეული თხზულებანი, 1947 გვ. 554 — 557). — **377.**

79 «რ უ ს ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ» — პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც 1856 — 1906 წლებში გამოდიოდა. 1856 — 1887 წლებში ჟურნალი გამოდიოდა მოსკოვში, რედაქტორი და გამომცემელი იყო მ. ნ. კატკოვი. თავდაპირველად ჟურნალის მიმართულება ლიბერალური იყო, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჟურნალი გადაიქცა ბატონყმური რეაქციის ორგანოდ. კატკოვის სიკვდილის შემდეგ «რუსსკი ვესტნიკი» გამოდიოდა 1888 — 1896 წლებში პეტერბურგში, 1896 — 1902 წლებში — მოსკოვში და 1902 — 1906 წლებში — კვლავ პეტერბურგში. — **380.**

80 იგულისხმება შემდეგი ფაქტები. 1908 წ. ნოემბერსა და დეკემბერში მოსკოვში «მიმდინარე საკითხებზე» წარმოებდა დახურული თათბირები მსხვილი მრეწველებისა (გუჟონი, კრესტოვნიკოვი და სხვ.) კადეტ მოღვაწეებთან (სტრუვე, მანუილოვი, კიზევეტერი და სხვ.).

1910 წლის ოქტომბერში III სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ფ. ა. გოლოვინმა განაცხადა, რომ იხსნის დეპუტატის რწმუნებებს, და რამდენიმე ხნის შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღო რკინიგზის კონცესიაში.

1912 წლის მარტში III სათათბიროს წევრი ვ. ა. მაკლაკოვი, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატის წოდება ჰქონდა, გამოდიოდა დამცველად მსხვილი ბაქოელი ნავთის მრეწველის თაღიევის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისი მოსამსახურის ინჟინერ ბებუთოვის წამება. — **385.**

81 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 163 და 340. — **398.**

82 იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა», 1940, გვ. 35. — **412.**

83 III სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის წევრ ა. ა. ვოილოშნიკოვის მიერ სამხედრო ბეგარის წესდების შესახებ 1911 წლის 2 (15) დეკემბრის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის გამო სათათბიროს თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა, რომ ვოილოშნიკოვი გაერიცხათ 5 სხდომიდან. როცა ვოილოშნიკოვი იმავე სხდომაზე მეორედ გამოვიდა სიტყვით, გარიცხვის ვადა გაუდიდეს 15 სხდომამდე. კადეტებმა ხმა მისცეს თავმჯდომარის პირველ წინადადებას. — **415.**

84 იხ. ა. ს. გრიბოედოვი. «კაი ჭკუისაგან». თხზულებანი, 1945, გვ. 11. — **419.**

85 საგარეო საქმეთა მინისტრ საზონოვთან მილიუკოვის შეხვედრა, რომლის დროსაც განხილულ იქნა მეფის მთავრობის პოლიტიკა ბალკანეთში, მოხდა 1912 წლის სექტემბერში. — **421.**

86 იგულისხმება კ. მარქსის 1871 წლის 12 აპრილის წერილი ლ. კუგელმანისადმი, რომელშიც მოცემულია პარიზის კომუნის შეფასება (**იხ.** კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 263). — **428.**

87 იხ. ფ. ენგელსის წინასიტყვაობა კ. მარქსის წიგნის «ფილოსოფიის სიღატაკის» პირველი გერმანული გამოცემისათვის (კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 9). — **429.**

88 იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 100. — **450.**

89 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე; არსებობდა «მ დ ი დ ა რ ი ბ უ რ ჟ უ ა მ ე გ ობ რ ე ბ ი ს სახსრებით» (ლენინი). — **496.**

90 «ა ვ ს ტ რ ი ი ს» ფ ე დ ე რ ა ც ი ა დ იგულისხმება ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული წყობა ეროვნებათა მიხედვით. ვენის პარტიულ ყრილობაზე 1897 წელს ერთიანი პარტია ლიკვი-

დირებულ იქნა და მის ნაცვლად დაარსდა ექვსი ეროვნული «სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის»: გერმანული, ჩეხური, პოლონური, რუსი-ნული, იტალიური და სამხრეთსლავური ჯგუფების ფედერაციული კავშირი. ყველა ამ ჯგუფს აერთიანებდა საერთო ყრილობა და საერთო ცენტრალური გამგეობა. ბრიუნის ყრილობაზე 1899 წელს პარტიის ცენტრალური გამგეობა გარდაქმნილ იქნა ფედერაციულ ორგანოდ, რომელიც ეროვნული ს.-დ. პარტიების აღმასრულებელი კომიტეტები-საგან შედგებოდა. ორგანიზაციული ფედერალიზმის შედეგად ავსტ-რიის ერთიანი ს.-დ. პარტია დაიშალა. — **499**.

91 თეზისები «მ უ შ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი გ ა მ ო ს ვ-ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს» «პრავდის» რედაქციამ მიიღო 1912 წლის 7 (20) ნოემბერს და ისინი საფუძვლად დაედო IV სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის დეკლარაციას. თეზისების ხელნაწერი მთლიანად არ არის დაცული. დეკლარაციის მიღებას წინ უსწრებდა ბოლშევიკი დეპუტატების მძაფრი ბრძოლა ფრაქციის მენშევიკურ შვიდეულთან. დეკლარაციის შემუშავებაში ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. ბოლშევიკმა დეპუტატებმა მიაღწიეს იმას, რომ დეკ-ლარაციაში შეტანილ იქნა ბოლშევიკური პლატფორმის ძირითადი მოთხოვნები, მაგრამ მენშევიკებმა მოახერხეს გაეტარებინათ კულ-ტურულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვნის პუნქტი. დეკლარაცია ს.-დ. ფრაქციის სახელით სათათბიროს 1912 წლის 7 (20) დეკემბრის სხდომაზე გამოაქვეყნა დეპუტატმა მალინოვსკიმ (შემდეგში მხილებულ იქნა როგორც პროვოკატორი). დეკლარაციის წაკითხვის დროს მალი-ნოვსკიმ გამოტოვა მთელი რიგი პუნქტები, მათ შორის პუნქტი საყო-ველთაო საარჩევნო უფლების შესახებ. სათათბიროს სხდომის სტენო-გრამისა და დეკლარაციის ტექსტის გამოქვეყნებისათვის «პრავდის» რედაქცია მიცემულ იქნა სასამართლო პასუხისგებაში, ხოლო გაზეთი კონფისკებულ იქნა. — **500**.

92 I I ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ს ა გ ა ნ გ ებ ო ს ა ე რ თ ა შ ო რ ი-ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი მიმდინარეობდა ბაზელში 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (ახ. სტ.). კონგრესის გახსნის დღეს გაიმართა ომის საწინააღმდეგო ხალხმრავალი დემონსტრაცია და ომის წინააღმდეგ პროტესტის საერთაშორისო მიტინგი. კონგრესის 25 ნოემბრის სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა მანიფესტი, რომელიც მუშებს მოუწოდებდა პროლეტარიატის ორგანიზაცია და ძლიერება გამოეყენებინათ ომის საფრთხის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძო-ლისათვის. — **504**.

93 ლენინს მხედველობაში აქვს კუტომარისა და ალგაჩის საპყრობილეებში მყოფ პოლიტიკურ პატიმართა შორის მომხდარი მღელვარება. მღელვარების საბაბი გახდა იმიერბაიკალის სამხედრო გუბერნატორის განკარგულება ნერჩინსკის კატორღის საპყრობილეებში პოლიტიკურ პატიმრებთან მოპყრობის სამხედრო წესების შემოღების შესახებ, რომელიც 1912 წ. ზაფხულის დამლევს გამოიცა. კუტომარის საპყრობილის პოლიტიკურმა პატიმრებმა ამას 15 დღის შიმშილობითა და თვითმკვლელობებით უპასუხეს. ასეთივე ხასიათის ამბები მოხდა ალგაჩის საპყრობილეშიც. ამ ამბების გამოხმაურება იყო პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავისა და რიგის მუშათა საპროტესტო გაფიცვები. ს.-დ. ფრაქციისა და შრომის ჯგუფის სახელით IV სათათბიროში შეტანილ იქნა შეკითხვა პოლიტიკური პატიმრების აბუჩად აგდების შესახებ. ხმების უმრავლესობით შეკითხვის განხილვა გადადებულ იქნა და შემდეგში არ განახლებულა. — 505.

94 ლაპარაკია გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს (უპარტიოებისა და მემარჯვენეების) ა გ რ ა რ უ ლ პ რ ო ე ქ ტ ზ ე, რომელიც III სათათბიროს წარედგინა განსახილველად 1908 წლის 10 (23) მაისს. პროექტი ითვალისწინებდა მემამულეთა იმ მიწის იძულებით გასხვისებას, საშუალო საბაზრო ფასად, რომელსაც თვითონ მფლობელები არ ამუშავებდნენ. აგრარული რეფორმის გასატარებლად წინადადებას იძლეოდნენ შექმნილიყო ადგილობრივი საადგილმამულო კომისიები, რომლებიც ხმების საყოველთაო მიცემით იქნებოდა არჩეული. ამ პროექტის შეფასება ლენინს მოცემული აქვს სტატიაში «აგრარული კამათი III სათათბიროში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 15, გვ. 368 — 386). — 506.

95 დოკუმენტი «ს ა თ ა თ ბ ი რ ო შ ი მ უ შ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ა დ ა მ ა თ ი დ ე კ ლ ა რ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს» წარმოადგენს ს.-დ. ფრაქციის დეკლარაციის პროექტს. დოკუმენტი გადაწერილი იყო ნ. კ. კრუპსკაიას მიერ და სათათბიროს დეპუტატ ბოლშევიკებს გაეგზავნათ კრაკოვიდან 1912 წლის 13 (26) ნოემბერს. დეკლარაციის პროექტი ხელში ჩაუვარდა მეფის პოლიციას და 1932 წელს აღმოჩენილ იქნა პოლიციის დეპარტამენტის არქივში. — 509.

96 დემონსტრაცია მოწყობილი იყო ბოლშევიკების — პეტერბურგის ცალკეული რაიონებისა და საწარმოების წარმომადგენლების ინიციატივით. სათათბიროს გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ბოლშევიკებმა საწარმოებში გაავრცელეს ფურცელი, რომელიც მუშებს მოუწოდებდა 15 (28) ნოემბერს მოეწყოთ ერთდღიანი პოლიტიკური გაფიცვა და

დემონსტრაცია თავრიდის სასახლისაკენ. ლიკვიდატორები გაზეთ «ლუჩში» გამოვიდნენ დემონსტრაციის წინააღმდეგ. 13 (26) ნოემბერს IV სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ მოიწვია თათბირი პეტერბურგის კომიტეტის, «პრავდის» რედაქციის, ლიკვიდატორების ხელმძღვანელი ცენტრის — ორგანიზაციული კომიტეტისა და ლიკვიდატორულ გაზეთ «ლუჩის» წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირზე ბოლშევიკებმა მხარი დაუჭირეს მუშების წინადადებას, რომ შავრაზმული სათათბიროს გახსნის დღე აღნიშნული ყოფილიყო გაფიცვითა და დემონსტრაციით; ლიკვიდატორებმა კატეგორიულად გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ. თათბირის შემდეგ ს.-დ. ფრაქცია პრესაში გამოვიდა პოლიტიკურად მცდარი განცხადებით, რომ ფურცელი, რომელიც მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებდა, არ გამოუცია პეტერბურგის არც ერთ ავტორიტეტულ ს.-დ. ჯგუფს. ლიკვიდატორების წინააღმდეგობისა და ს.-დ. ფრაქციის პოლიტიკური შეცდომის მიუხედავად, სათათბიროს გახსნის დღეს გაფიცული იყო ათეულ ათასობით მუშა. მთელ რიგ საწარმოებში მოეწყო სახელდახელო მიტინგები, რომლებზეც მუშებს გამოჰქონდათ გადაწყვეტილებანი გაზეთ «ლუჩის» ბოიკოტის შესახებ.

დემონსტრაციის შემდეგ სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკები გამოვიდნენ მუშათა კრებებზე და აღიარეს თავიანთი შეცდომა. — **514**.

97 ლენინს მხედველობაში აქვს როძიანკოს სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა IV სათათბიროს თავმჯდომარედ მისი არჩევის შემდეგ. თავის გამოსვლაში როძიანკომ განაცხადა მეფისადმი თავისი «ურყევი ერთგულება» და თავი წარმომადგენლობითი კონსტიტუციური წყობილების მომხრედ გამოაცხადა. — **514**.

98 ვ. ი. ლენინის წერილი კრაკოვიდან პეტერბურგში გაეგზავნა ი. ბ. სტალინს 1912 წლის 28 ნოემბერს (11 დეკემბერს). იგი გადაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ქიმიური წესით. გაგზავნის დროს წერილი ხელში ჩაუვარდა პოლიციის დეპარტამენტს, გაშიფრულ და საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ იქნა. წერილის პირი აღმოჩნდა დეპარტამენტის არქივში. გაშიფრვის დროს ზოგიერთი სიტყვა ვერ გაერჩიათ, წერილში არის გამოტოვებული ადგილები. — **518**.

99 ი ა გ ე ლ ო, ე. ი. — პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) წევრი — არჩეული იყო IV სათათბიროს დეპუტატად ქ. ვარშავისაგან. ბოლშევიკები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ იაგელოს მიღებისა ს.-დ. ფრაქციაში, ვინაიდან იაგელო სათათბიროში გავიდა ბურჟუაზიის და პპს-სა და ბუნდის ბლოკის მხარდაჭერით. პირველი კენჭისყრის დროს ს.-დ. ფრაქცია ორად გაიყო: 6 დეპუტატმა (შენშე-

ვიკებმა) ხმა მისცეს იაგელოს მიღების სასარგებლოდ და 6 (ბოლშევიკებმა) — წინააღმდეგ. როცა ჩამოვიდა ირკუტსკის დეპუტატი — მემარჯვენე მენშევიკი მანკოვი — მენშევიკებმა უპირატესობა მიიღეს და იაგელო მიღებულ იქნა ს.-დ. ფრაქციის წევრად. მაგრამ ბოლშევიკი დეპუტატების ზეგავლენით მისი უფლებები ფრაქციის შიგნით შეზღუდული იყო: ყველა შინაპარტიულ საკითხში იაგელომ მხოლოდ სათათბირო ხმა მიიღო. — **518.**

100 «დ ე ნ» — გაზეთ «პრავდის» პირობითი სახელწოდება. — **518.**

101 დოკუმენტის ტექსტში გამოტოვებულია სიტყვები. კ ო ლ ე გ ი ა — IV სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის ბოლშევიკური ნაწილი. — **518.**

102 წერილში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. «პ.» — ნ. გ. პოლეტაევი, ბოლშევიკი, III სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ლიკვიდატორი «მ.» — ალბათ, ე. მაევსკი (ვ. ა. გუტოვსკის ფსევდონიმი), ლიკვიდატორული გაზეთის — «ლუჩის» ერთ-ერთი თანამშრომელი. — **520.**

103 IV სათათბიროს არჩევნებში პეტერბურგის გუბერნიის მუშათა კურიაში ბოლშევიკების საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს შეიკრიბა მუშათა კურიის რწმუნებულთა ყრილობა; დაესწრო 50 რწმუნებული; ყრილობის მიერ არჩეულ ექვს ამრჩევში ოთხი ბოლშევიკი იყო.

მეფის მთავრობამ, მუშათა კურიაში სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შიშით, გააუქმა რწმუნებულთა არჩევნები პეტერბურგის 21 საწარმოში. ამის საპასუხოდ ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტმა, ი. ბ. სტალინის წინადადებით, მოუწოდა მუშებს გამოეცხადებინათ ერთდღიანი პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვამ 100 ათასამდე მუშა მოიცვა. მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო და დამატებითი არჩევნები გამოაცხადა. ყველა საწარმოში, სადაც დამატებითი არჩევნები მოხდა, მუშებმა მიიღეს «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის», დაწერილი ი. ბ. სტალინის მიერ. 17 (30) ოქტომბერს «განაწესი» მიღებულ იქნა ახალი საგუბერნიო საკრებულოს მიერ, მაგრამ ამრჩევთა ხელმეორე არჩევის დროს კენჭისყრა წარმოებდა არა პლატფორმების მიხედვით, რის შედეგადაც არჩეული აღმოჩნდა 3 ბოლშევიკი და 3 ლიკვიდატორი. მუშათა კურიისაგან სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატის გამოსარკვევად ბოლშევიკებმა ლიკვიდატორებს წილისყრა შესთავაზეს. ლიკვიდატორებმა უარი თქვეს წილისყრაზე. ამრჩევთა საგუბერნიო ყრილობაზე

პეტერბურგის გუბერნიის მუშათა კურიისაგან დეპუტატად არჩეულ იქნა ბოლშევიკი ა. ე. ბადაევი. — **521.**

104 წ ე რ ი ლ ი ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა დ მ ი გადაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ქიმიური წესით სხვა წერილის სტრიქონებს შორის. დოკუმენტი ნაპოვნია პოლიციის დეპარტამენტის საქმეთა პერლუსტრირებულ მიწერ-მოწერაში.

ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი — ი. ბ. სტალინი. — **522.**

105 ფ უ რ ც ე ლ ი 1 9 1 3 წ ლ ი ს 9 ი ა ნ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს დაწერილია იყო ამ წერილის მითითებათა საფუძველზე და გამოიცა რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის, კავშირების ცენტრალური ბიუროს და რსდმ პარტიის მოსკოვის რაიონის კომიტეტის ხელმოწერით. — **522.**

106 იგულისხმება IV სათათბიროს დეპუტატი მემარჯვენე მენშევიკი ი. ნ. მანკოვი. — **523.**

107 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის V ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა. — **530.**

108 ლენინს მხედველობაში აქვს II სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შემადგენლობა. — **531.**

109 «პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ თ ა» ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა პეტერბურგში 1912 წლის 11 — 13 (24 — 26) ნოემბერს. ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხი ფრაქციის ტაქტიკისა IV სათათბიროში. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება «პროგრესისტთა» ჯგუფების ორგანიზაციული ჩამოყალიბების შესახებ პარტიად. ახალი პარტიის პროგრამას საფუძვლად დაედო კონსტიტუციურ-მონარქისტული წყობილების მოთხოვნა.

«პროგრესისტთა» ორგანო გახდა გაზეთი «რუსსკაია მოლვა», რომელიც პეტერბურგში 1912 — 1913 წლებში გამოდიოდა. — **535.**

110 «ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1904 — 1909 წლებში. 1905 წლის ნოემბრიდან 1906 წლის ივლისამდე იყო ოქტიაბრისტთა პარტიის ორგანო, ხოლო შემდეგ — «მშვიდობიანი განახლების მომხრეთა» კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის ორგანო; ამ პარტიას ლენინი «მშვიდობიანი გაძარცვის პარტიას» უწოდებდა. — **537.**

111 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს თ ა თ ბ ი რ ი პ ა რ ტ ი უ ლ მ უ შ ა კ ე ბ თ ა ნ, რომელსაც კონსპირაციის

მოსაზრებებით «თებერვლის» თათბირი ეწოდა, შედგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10 — 14 იანვარს). მას დაესწრო 14 კაცი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წევრები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი და IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკები.

მოსამზადებელი მუშაობა თათბირის მოსაწვევად ჩატარებული იყო უშუალოდ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ. IV სათათბიროს არჩევნების დამთავრების შემდეგ ი. ბ. სტალინმა აღძრა საკითხი საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის თათბირის მოწვევის შესახებ სათათბიროს დეპუტატ ბოლშევიკებთან ერთად. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრს, უგზავნიდა მითითებებს თათბირის მოწვევის შესახებ. წერილებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უაღრესად საჭიროა სტალინის პირადად ჩასვლა. თათბირს თავმჯდომარეობდა ლენინი; იგი გამოვიდა მთელ რიგ საკითხებზე, დაწერა რეზოლუციები და ცნობა თათბირის შესახებ.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილებანი მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და განიხილა ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებანი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ და საკითხი «პრავდის» რედაქციისა და ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მუშაობის შესახებ.

თათბირის რეზოლუციები დაამტკიცა ცენტრალურმა კომიტეტმა და ისინი ჰექტოგრაფიული გამოცემის სახით გამოვიდა. თებერვლის პირველ ნახევარში რეზოლუციები «ცნობასთან» ერთად გამოიცა პარიზში ცალკე ბროშურად. ბროშურის გამოცემის ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. 1913 წლის აპრილში პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ პარტიულ ორგანიზაციებს, ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულებსა და ცალკეულ პარტიულ მუშაკებს ცირკულარული წერილით წინადადება მისცა განეხილათ «თებერვლის» თათბირის გადაწყვეტილებანი კომიტეტებში, პარტიულ უჯრედებსა და წრეებში. ა. მ. გორკისადმი წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ თათბირი «ძალიან კარგად ჩატარდა და როლს შეასრულებსო». — **541.**

112 იგულისხმება მენშევიკი დეპუტატის ა. ი. ჩხენკელის გამოსვლა მთავრობის დეკლარაციის გამო სათათბიროს 1912 წლის 10 (23) დეკემბრის სხდომაზე. — **557.**

113 რსდმ პარტიის II ყრილობის მიერ უარყოფილი ფორმულირება — ეს არის ბუნდელ გოლდბლატის წინადადება «სახელმწიფოს შემად-

გენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების» შესახებ პარტიის პროგრამის მე-8 პარაგრაფში შეტანილი ყოფილიყო დამატება: «და შექმნა დაწესებულებებისა, რომლებიც მათთვის უზრუნველყოფენ კულტურული განვითარების სრულ თავისუფლებას». — **557.**

114 IV სათათბიროს 1912 წლის 15 (28) დეკემბრის სხდომაზე, მთავრობის დეკლარაციის გამო კამათის შეწყვეტის შემდეგ, კადეტებმა, «პროგრესისტებმა», ტრუდოვიკებმა და ნაციონალისტებმა შეიტანეს მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულები. ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა «პროგრესისტთა» ფორმულა, რომელშიც გამოთქმული იყო რწმენა, რომ მთავრობა განახორციელებს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს. ამ ფორმულას ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებმაც. შემდეგში მათ თავიანთი ხმის მიცემა შეცდომად ჩათვალეს. — **557.**

115 სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის მუშაობის შესახებ რეზოლუციის გამოუქვეყნებელ პუნქტებში (7, 8 და 9) თათბირი წინადადებას აძლევდა ბოლშევიკ დეპუტატებს ფრაქციაში მიეღწიათ მენშევიკურ შვიდეულთან თანასწორობისათვის, მოეხსნათ თავიანთი გვარები ლიკვიდატორული გაზეთის — «ლუჩის» თანამშრომელთა სიიდან და დარაზმულიყვნენ პარტიული მუშაობისათვის. რეზოლუციის ამ პუნქტების ტექსტი არ შენახულა. — **557.**

116 ლენინს მოჰყავს სიტყვები გერმანელი პოეტის გეორგ ჰერვეგის მუშათა სიმღერისა, რომელიც დაწერილი იყო 1864 წელს გერმანიის გაერთიანებული მუშათა კავშირისათვის. — **565.**

117 იგულისხმება რიგიდან და მოსკოვიდან მიღებული კორესპონდენციები, რომლებიც 1913 წლის 12 (25) იანვარს მოთავსებული იყო გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 30-ე ნომერში. ამ კორესპონდენციებში ლაპარაკი იყო მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე. 1912 წლის 29 ოქტომბერს (11 ნოემბერს) რიგელმა მუშებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია სიკვდილით დასჯის განაჩენების წინააღმდეგ, რომლებიც სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გამოუტანა ჯავშნოსან «იოან ზლატოუსტის» ათ მეზღვაურს, და კუტომარის საკატორღო საპყრობილეში პოლიტპატიმართა წამებისა და ბალკანეთში დაწყებული ომის წინააღმდეგ. რიგის ქუჩებში გაიარა 1 500-ზე მეტმა მუშამ და მოსახლეობა მათ თანაგრძნობით შეხვდა. 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს) რიგის ბევრ დიდ ფაბრიკაში დაიწყო პოლიტიკური გაფიცვა. 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) გაიფიცნენ მოსკოვის

მთელი რიგი ფაბრიკების მუშები. იყო ცდა მოეწყოთ დემონსტრაცია, მაგრამ პოლიციამ გაფანტა შეკრებილი მუშები. — **574.**

118 ვ. ა. — ვ. მ. **აბროსიმოვი**, მენშევიკი-ლიკვიდატორი, შემდეგში მხილებულ იქნა როგორც პროვოკატორი.

თ. დ. — თ. ი. **დანი**, მენშევიკ-ლიკვიდატორების ლიდერი. — **579.**

119 ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **580.**

120 ა ვ გ უ ს ტ ო ვ ს კ ი — მენშევიკ-ლიკვიდატორის ს. ო. ცედერბაუმის ფსევდონიმი. — **587.**

121 სტატია «ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» დაწერილი იყო მეორე ტომისათვის ნ. ა. რუბაკინის წიგნისა «წიგნთა შორის». ლენინმა ეს სტატია გაგზავნა 1913 წლის 12 (25) იანვარს და დაურთო წერილი, რომელშიც დაბეჭდვის პირობად მოითხოვდა «შ ე ტ ა ნ ი ლ ი ა რ ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ა რ ა ვ ი თ ა რ ი ცვლილება». სტატია მთლიანად გამოქვეყნდა. — **588.**

122 ლენინს მოჰყავს სიტყვები დ. ვ. დავიდოვის ლექსიდან «ძველი ჰუსარის სიმღერა» (იხ. დ. ვ. დავიდოვი. ლექსების სრული კრებული, 1933, გვ. 106). — **596.**

123 ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი დებულება «კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან»: «თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლება მარტოოდენ კომიტეტია, რომელიც მთელი ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს განაგებს» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 49). — **597.**

124 ლენინს საკუთარი თარგმანით მოჰყავს ამონაწერი კ. მარქსის ნაწარმოებიდან «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 386). — **597.**

125 «ო ო პ შ ი ნ ი ს გ ა ნ ც დ ე ბ ა დ» ლენინი გულისხმობს რეაქციულ იდეებსა და დაცემულობის განწყობილებას, რომლებიც რეაქციის წლებში ფართოდ გავრცელდა ესერულ ინტელიგენციაში და ყველაზე მკაფიო გამოხატულება პოვა როპშინის (ბ. სავინკოვის) ლიტერატურულ ნაწარმოებებში. — **603.**

126 ფ. ლ — კ ო — ლენინის ფსევდონიმი. — 616.

127 ლაპარაკია IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე რიგასა და ეკატერინოდარში, სადაც კადეტებმა მემარჯვენე შავრაზმულ პარტიებთან ერთად ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატ კანდიდატთა წინააღმდეგ. — 621.

128 «თ ა ო ს ნ ო ბ ა» («L'Initiative») — ნაროდნიკულ-ლიკვიდატორული მიმართულების ჟურნალი; ესერების ჯგუფის გამოცემა. გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი 1912 წ. ივნისში პარიზში. — 626.

129 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის 1908 წლის მეხუთე კონფერენციის გადაწყვეტილებანი და «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის 1909 წლის ივნისის თათბირის რეზოლუციები (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 125 — 132, 142 — 152). — 631.

130 ა. ვ. პ. — «სახალხო სოციალისტების» პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ა. ვ. პეშეხონოვის ფსევდონიმი. — 637.

131 ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ — XIX. საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი. — 637.

132 სტატია «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ა დ მ ი», რომელიც მხოლოდ პარტიის წევრებისათვის იყო განკუთვნილი, გამოიცა კრაკოვში ჰექტოგრაფიულ ფურცლად. — 648.

133 სახალხო განათლების მინისტრის კასოს ახსნა-განმარტება სათათბიროში გამოწვეული იყო სათათბიროს 44 დეპუტატის 1912 წლის 14 (27) დეკემბრის შეკითხვით ვიტმერის კერძო გიმნაზიაში კრებაზე პეტერბურგის საშუალო სასწავლებლების 34 მოსწავლის დაპატიმრების გამო. ოხრანკამ მოსწავლეებზე ეჭვი მიიტანა, რომ ისინი არალეგალურ წრეს ეკუთვნიანო. შეკითხვის განხილვა გრძელდებოდა სათათბიროს ხუთ სხდომაზე. 1913 წლის 6 (19) თებერვალს ხმების უმეტესობით მიღებულ იქნა მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომელიც არადამაკმაყოფილებლად ცნობდა მეფის მინისტრის ახსნა-განმარტებას. — 691.

184 ვ. ი. ლენინის მიერ მოყვანილი სიტყვები წარმოადგენენ ნ. ა. ნეკრასოვის ლექსის «იავნანას» შემდეგი სტრიქონების პერიფრაზს:

«გარეგნობით ჩინოვნიკი,
სულით ფლიდი იქნები...»

(იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 4). — **718.**

185 ამ გამოცემაში სტატიაში ««თავისუფალი ნაღდი ფული»» სიტყვების — «უფრო სახელმწიფო ოინბაზობას წააგავს» — შემდეგ წინადადებამდე — «ეს მ ტ ა ც ე ბ ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ნიმუშია» ჩართულია 1941 წელს აღმოჩენილი დამატება, რომელიც დაბეჭდილი არ ყოფილა «პრავდის» 62-ე ნომერში 1913 წლის 15 მარტს პირველად გამოქვეყნებულ სტატიის ტექსტში და ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემებში. — **728.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1912* წლის აპრილი — *1913* წლის მარტი)

1912

აპრილი — ივნისის ოციანი რიცხვები (ახ. სტ.).	ლენინი ცხოვრობს პარიზში.
აპრილი, 22 (მაისი, 5).	გამოდის ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის — «პრავდის» პირველი ნომერი.
აპრილი, 25 (მაისი, 8).	ლენინის სტატიები «IV სათათბიროს არჩევნების კამპანია და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები», «ლიკვიდატორები პარტიის წინააღმდეგ» და «გერცენის ხსოვნას» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 26-ე ნომერში.
აპრილი, 26 (მაისი, 9).	ლენინი რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციის სხდომაზე აკეთებს მოხსენებას ლენაზე მომხდარი დახვრეტის, რუსეთში გაფიცვებისა და ამ ამბებით ნაკარნახევი პარტიული ტაქტიკის შესახებ.
მაისი, 6 (19).	ლენინის სტატია «მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-3 ნომერში.
მაისი, 8 და 9 (21 და 22).	ლენინის სტატია «ტრუდოვიკები და მუშათა დემოკრატია» ქვეყნდება «პრავდის» მე-13 და მე-14 ნომრებში.
მაისი, 10 (23).	ლენინის სტატია «პოლიტიკური პარტიები რუსეთში» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-5 ნომერში.

მაისი, 22 (ივნისი, 4).	ლენინის სტატიები «არსი «აგრარული საკითხისა რუსეთში»» და «წინასაარჩევნო მობილიზაციის ზოგიერთი შედეგი» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-6 ნომერში.
მაისი, 31 (ივნისი, 13).	ლენინი რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციის მიერ salle de L'Alcazar-ში მოწყობილ კრებაზე კითხულობს რეფერატს თემაზე «რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა». ლენინის სტატია «ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვა» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-10 ნომერში.
ივნისი, 3 (16).	ლენინის სტატია «გადასახლების საკითხი» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-11 ნომერში.
ივნისი, 4 (17).	ლენინის სტატიები «რევოლუციური აღმავლობა», «რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის 1912 წლის იანვრის კონფერენციის ლოზუნგები და მაისის მოძრაობა», «ლიკვიდატორები რევოლუციური მასობრივი გაფიცვის წინააღმდეგ» და ««გამაერთიანებლები»» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 27-ე ნომერში. ლენინი ლაიფციგში კითხულობს რეფერატს «რევოლუციური აღმავლობის შესახებ რუსეთში».
ივნისი, ოცდაორი რიცხვები (ახ. სტ.).	რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციისა და გაზეთ «პრავდის» რედაქციისადმი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად ლენინი პარიზიდან გადადის კრაკოვში.
ივნისი, 10 (23).	ლენინის სტატია «ლიბერალებთან ჩვენი პოლემიკის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-12 ნომერში.
ივნისი, 17 (30).	ლენინის სტატია «კაპიტალიზმი და «პარლამენტი»» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-13 ნომერში.

ივნისი, 21 (ივლისი, 4).	ლენინი კრაკოვში დაბინავდა ზვეკინეცის ქუჩაზე, სახლი № 218.
ივნისი, 24 (ივლისი, 7).	ლენინის სტატია «არჩევნები და ოპოზიცია» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-14 ნომერში.
ივნისის ბოლო.	ლენინი წერს სტატიას «მდგომარეობა რსდმ პარტიაში და პარტიის უახლოესი ამოცანები». სტატია გამოქვეყნებულია «Gazeta Robotnicza»-ში (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ოპოზიციის — «როზლამელების» ორგანო), № 15 — 16, 3 (16) ივლისს.
ივლისი 1 (14).	ლენინის სტატიები «პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა» და «სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-15 ნომერში.
ივლისი, 6 (19).	ლენინი «პრავდის» რედაქციას სწერს წერილს, რომელშიც ამხილებს ტროცკის როგორც საზიზღარ მატყუარასა და ცილისმწამებელს.
ივლისი, არაუგვიანეს 8 (21).	ლენინი «პრავდის» რედაქციას სწერს წერილს «პასუხი ლიკვიდატორებს» და მოითხოვს უფრო მტკიცედ წარმოებდეს ბრძოლა ლიკვიდატორებთან IV სათათბიროს არჩევნებში.
ივლისი, 11 (24).	ლენინი გაზეთ «ნევსკაია ზვეზდის» რედაქციას სწერს წერილს, სადაც მკაცრად გმობს რედაქციას ლიკვიდატორებთან პოლემიკის შიშისათვის.
ივლისი, 12 (25).	ლენინის სტატია «შვეიცარიაში» ქვეყნდება «პრავდის» 63-ე ნომერში.
ივლისი, 12 — 15 (25 — 28).	ლენინი წერს სტატიას «ნახევარი წლის მუშაობის შედეგები» და უგზავნის მას «პრავდის» რედაქციას გამოქვეყნების წესის მითითებით. სტატია გამოქვეყნებულია «პრავდაში», №№ 78, 79, 80 და 81, 29 და 31 ივლისს (11 და 13 აგვისტოს), 1 და 2 (14 და 15) აგვისტოს.

ივლისი, 15 (28).	ლენინის სტატია «დემოკრატია და ნაროდნიკობა ჩინეთში» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-17 ნომერში. ლენინის სტატიები «იტალიელ სოციალისტთა ყრილობა» და «რუსეთული «სიტყვის თავისუფლება»» ქვეყნდება «პრავდის» 66-ე ნომერში.
ივლისი 17 (30).	ლენინი ადგენს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის ტექსტს პასუხად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის იმ შეკითხვისა, რომელიც ეხებოდა რსდმ პარტიის პარტიული «ცენტრების», ორგანიზაციებისა და ფრაქციების თათბირის მოწვევას IV სათათბიროს არჩევნებში ერთიანობის მიღწევის მიზნით. წერილი შეადგენს ძირითად შინაარსს ბროშურისა — «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში».
ივლისი, 19 (აგვისტო, 1).	ლენინი «პრავდის» რედაქციას სწერს წერილს, რომელშიც მოითხოვს პასუხს რედაქციის განზრახვაზე — შემოეღო გაზეთის განყოფილება, მიძღვნილი IV სათათბიროს არჩევნებისადმი და მიმართული ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ლენინი ა. მ. გორკის სწერს წერილს, რომელშიც ატყობინებს რევოლუციურ აღმავლობას რუსეთში და ყოველდღიური მუშათა გაზეთის — «პრავდის» გამოსვლას.
ივლისი, 20 (აგვისტო, 2).	ლენინი «პრავდის» რედაქციას სწერს წერილს, რომელშიც მიუთითებს, რომ აუცილებელია «გაჩაღდეს პოლემიკა» კადეტურ პრესასთან IV სათათბიროს არჩევნების წინ. ლენინის სტატია «კაპიტალიზმი და სახალხო მოხმარება» ქვეყნდება «პრავდის» 70-ე ნომერში.
ივლისი, 22 და 29 (აგვისტო, 4 და 11).	ლენინის სტატია «როგორ ამხილებს ლიკვიდატორებს პ. ბ. აქსელროდი» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-18 და მე-19 ნომრებში.
ივლისი, 25 (აგვისტო, 7).	ლენინის სტატია «ლიბერალები და კლერიკალები» ქვეყნდება «პრავდის» 74-ე ნომერში.

ივლისი, 26 (აგვისტო, 8).	ლენინის სტატია «კადეტები და დემოკრატია» ქვეყნდება «პრავდის» 75-ე ნომერში.
ივლისი, 28 (აგვისტო, 10).	ლენინის სტატია «ლიბერალების ლაშქრობა» ქვეყნდება «პრავდის» 77-ე ნომერში.
ივლისი, 30 (აგვისტო, 12).	ლენინის სტატიები «აჯანყებანი არმიასა და ფლოტში», «IV სათათბიროს არჩევნების წინ», «შეიძლება თუ არა ახლა მუშათა მოძრაობის საფუძველი იყოს «კოალიციათა თავისუფლების» ლოზუნგი?» ქვეყნდება «რაბოჩაია გაზეტას» მე-9 ნომერში.
ივლისი, 31 (აგვისტო, 13).	ლენინის სტატია «პრინციპული საკითხები» ქვეყნდება «პრავდის» 79-ე ნომერში.
ივლისის ბოლო — აგვისტოს დასაწყისი.	ლენინის მიერ დაწერილი «წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი» გამოდის ჰექტოგრაფიულ ფურცლად გერმანულ ენაზე ციურიხში.
აგვისტო, 5 (18).	ლენინის სტატია «უკანასკნელი სარქველი» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» მე-20 ნომერში.
აგვისტო, 8 (21).	ლენინის სტატიები «მცირე ცნობა» და «მუშათა ხელფასი და კაპიტალისტთა მოგება რუსეთში» ქვეყნდება «პრავდის» 85-ე ნომერში.
აგვისტო, 9 (22).	ლენინის სტატია «საგაფიცვო ბრძოლა და ხელფასი» ქვეყნდება «პრავდის» 86-ე ნომერში.
აგვისტო, 11 და 12 (24 და 25).	ლენინის სტატიები «სამუშაო დღე მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებში», «ინგლისში», «წარმოების კონცენტრაცია რუსეთში» ქვეყნდება «პრავდის» 88-ე და 89-ე ნომრებში.
აგვისტო, 12 (25).	ლენინის სტატია «სამუშაო დღე და სამუშაო წელიწადი მოსკოვის გუბერნიაში» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 21-ე ნომერში.
აგვისტო, 18 (31).	ლენინის სტატია «კარიერა» ქვეყნდება «პრავდის» 94-ე ნომერში.

ლენინი «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს» სწერს წერილს, სადაც პროტესტს აცხადებს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი გამგეობის წერილის წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს ატყობინებდა გათიშვის შესახებ პოლონელ სოციალ-დემოკრატებს შორის.

აგვისტო, 19 (სექტემბერი, 1). ლენინის სტატია «კადეტები და აგრარული საკითხი» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 22-ე ნომერში.

აგვისტო, 21 (სექტემბერი, 3). ლენინის სტატია «ცუდი დაცვა» ქვეყნდება «პრავდის» 96-ე ნომერში.

აგვისტო, 22 (სექტემბერი, 4). ლენინი კრაკოვში საცხოვრებლად გადადის ლიუბომირსკის ქუჩაზე, სახლი № 47.

აგვისტო, 24 (სექტემბერი, 6). ლენინის სტატია «ლიკვიდატორები და «ერთიანობა»» ქვეყნდება «პრავდის» 99-ე ნომერში.

აგვისტო, 26 (სექტემბერი, 8). ლენინის სტატია «საუბარი «კადეტჰამიობის» შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 23-ე ნომერში.

აგვისტო, 29 (სექტემბერი, 11). ლენინის სტატია «მუშები და «პრავდა»» ქვეყნდება «პრავდის» 103-ე ნომერში.

აგვისტო, 30 (სექტემბერი, 12). ლენინის სტატიები «წინათ და ახლა» და «მოსამართლეთა საერთაშორისო ყრილობა» ქვეყნდება «პრავდის» 104-ე ნომერში.

აგვისტო, 31 (სექტემბერი, 13). ლენინის სტატია «შვეიცარიაში» ქვეყნდება «პრავდის» 105-ე ნომერში.

აგვისტოს ბოლო. ლენინი წერს შესავალსა და ბოლოსიტყვაობას ბროშურისათვის «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში».

სექტემბერი, 2 და 9 (15 და 22). ლენინის სტატია «კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 24-ე და 25-ე ნომრებში.

სექტემბერი, 5 (18).	ლენინის სტატია «კადეტთა და ნოვოვერმიელთა ერთიანობა» ქვეყნდება «პრავდის» 109-ე ნომერში.
სექტემბერი, 15 (28).	ლენინის სტატია «ნ. ს. პოლიანსკის წერილის გამო» ქვეყნდება «პრავდის» 118-ე ნომერში.
სექტემბერი, 16 (29).	ლენინის სტატია «პოლიტიკური ხაზის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 26-ე ნომერში.
სექტემბერი, 18 (ოქტომბერი, 1).	ლენინის სტატია «ამერიკელ მუშათა წარმატებანი» ქვეყნდება «პრავდის» 120-ე ნომერში.
სექტემბერი, 28 (ოქტომბერი, 11).	..ლენინის სტატია «იტალია-თურქეთის ომის დამთავრება» ქვეყნდება «პრავდის» 129-ე ნომერში.
სექტემბრის მეორე ნახევარი.	ლენინი ა. მ. გორკის სწერს წერილს IV სათათბიროს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ და სთხოვს წეროს «პრავდაში». ლენინის ბროშურა «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში» გერმანულ ენაზე გამოდის ლაიფციგში.
ოქტომბერი. 4 (17).	ლენინის სტატია «აზარტული თამაში» ქვეყნდება «პრავდის» 134-ე ნომერში. ლენინი ა. მ. გორკის სწერს წერილს, რომლითაც წინადადებას აძლევს მუდმივად ითანამშრომლოს «პრავდაში».
ოქტომბერი, 5 (18).	ლენინის სტატია «სამღვდელოება არჩევნებში და არჩევნები სამღვდელოებით» ქვეყნდება გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» 27-ე ნომერში.
ოქტომბერი, 6 (19).	ლენინის სტატია «ბ-ნ მილიუკოვის «პოზიცია»» ქვეყნდება «პრავდის» 136-ე ნომერში.
ოქტომბერი, 13 (26).	ლენინი «პრავდის» რედაქციას სწერს წერილს, რომლითაც მოითხოვს, რომ რედაქციამ უფრო გაბედულად გაშალოს ბოლშევიკების საარჩევნო პლატფორმა პეტერბურგის მუშათა კურიის რწმუნებულთა ყრილობის წინ, სრულად გამოაქვეყნოს სიები ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ ამრჩევთა კანდიდატებისა,

	მიუძღვნას სათათბიროს არჩევნებს «პრავდის» სპეციალური ნომერი.
ოქტომბერი. 16 (29).	ლენინის სტატიები «პეტერბურგის მუშების დეპუტატი» და «ბალკანეთის ხალხები და ევროპის დიპლომატია» ქვეყნდება «პრავდის» 144-ე ნომერში.
ოქტომბერი. 18 (31).	ლენინის სტატიები «მელიისა და საქართმის შესახებ» და «სამარცხვინო რეზოლუცია» ქვეყნდება «პრავდის» 146-ე ნომერში.
ოქტომბერი, 19 (ნოემბერი, 1).	ლენინის სტატია «კადეტი პროფესორი» ქვეყნდება «პრავდის» 147-ე ნომერში.
ოქტომბერი, 21 (ნოემბერი, 3).	ლენინის სტატია «მსოფლიო ისტორიის ახალი თავი» ქვეყნდება «პრავდის» 149-ე ნომერში.
ოქტომბერი, 24 (ნოემბერი, 6).	ლენინის სტატია «კადეტები და ნაციონალისტები» ქვეყნდება «პრავდის» 151-ე ნომერში.
ოქტომბერი, 28 (ნოემბერი, 10).	ლენინის სტატია «ომის საშინელებანი» ქვეყნდება «პრავდის» 155-ე ნომერში.
ოქტომბერი.	ლენინი წერს სტატიას «დავა ინგლისში ლიბერალურ მუშათა პოლიტიკაზე»; გამოქვეყნებულია ჟურნალ «პროსვეშჩენიეში», № 4, 1913 წ. ლენინი წერს სტატიას «ორი უტოპია».
ოქტომბრის მეორე ნახევარი — ნოემბრის დასაწყისი.	ლენინი გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» სტამბას უგზავნის ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილ «პეტერბურგის მუშების განაწესს თავიანთი მუშა დეპუტატისათვის»; ხაზგასმით აღნიშნავს დოკუმენტის შენახვის უაღრესად დიდ მნიშვნელობას.
ნოემბრის დასაწყისი.	ლენინი წერს თეზისებს «მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის» სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის შედგენისას სახელმძღვანელოდ.

ნოემბერი, 4 (17). ლენინის სტატია «ჭეშმარიტ-რუსული ზნეჩვეულება» ქვეყნდება «პრავდის» 160-ე ნომერში.

ნოემბერი, 5 (18). ლენინის სტატიები «რეფორმისტების პლატფორმა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პლატფორმა» და «არალეგალური პარტია და ლეგალური მუშაობა» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 28 — 29.

ნოემბერი, 7 (20). ლენინის სტატია «სერბია-ბულგარეთის გამარჯვებათა სოციალური მნიშვნელობა» ქვეყნდება «პრავდის» 162-ე ნომერში.

ნოემბერი, 8 (21). ლენინის სტატია «განახლებული ჩინეთი» ქვეყნდება «პრავდის» 163-ე ნომერში.

ნოემბერი, 9 (22). ლენინის სტატია «ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების შედეგები და მნიშვნელობა» ქვეყნდება «პრავდის» 164-ე ნომერში.

ნოემბერი, 11 (24). ლენინი «პრავდის» რედაქციას უგზავნის ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ «პეტერბურგის მუშების განაწესს თავიანთი მუშა დეპუტატისათვის» და წინადადებას იძლევა გამოქვეყნდეს იგი «პრავდაში» თვალსაჩინო ადგილზე მსხვილი შრიფტით.

ნოემბერი, 13 (26). ლენინი IV სათათბიროს დეპუტატ ბოლშევიკებს უგზავნის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის მის მიერ დაწერილ პროექტს.

ნოემბერი, ოციანი რიცხვები. ლენინი წერს სტატიას «15 ნოემბრის ამბის საკითხისათვის (წარმოუთქმელი სიტყვა)».

ნოემბერი, 28 (დეკემბერი, 6). ლენინი სწერს ი. ბ. სტალინს წერილს 9 იანვრის წლისთავის აღსანიშნავად ერთდღიანი გაფიცვის, მიტინგებისა და დემონსტრაციებისათვის მომზადების შესახებ და ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში IV სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკების ამოცანათა შესახებ.

ნოემბერი, 28 (დეკემბერი, 11). ლენინი პეტერბურგში ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» რედაქციაში დეპუტატ ბოლშევიკებს უგზავნის საანკეტო ფურცელს მუშათა კურიაში არჩევნების შედეგების შესაჯამებლად.

ლენინი ი. ბ. სტალინს სწერს წერილს, რომელსაც ურთავს რეზოლუციების პროექტებს IV სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკებისათვის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში დეპუტატ იაგელოს მიღების გამო და სათათბიროს გახსნის დღეს გაფიცვისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ნოემბერი, 29 (დეკემბერი, 12). ლენინის სტატია «რეფორმიზმის ავადმყოფობა» ქვეყნდება «პრავდის» 180-ე ნომერში.

ნოემბერი, 30 (დეკემბერი, 13). ლენინის სტატია «გაღატაკება კაპიტალისტურ საზოგადოებაში» ქვეყნდება «პრავდის» 181-ე ნომერში.

ნოემბერი. ლენინი კრაკოვში ჩასულ ი. ბ. სტალინთან ერთად ატარებს ცენტრალური კომიტეტის სხდომას, რომელზეც განხილულ იქნა «პრავდის» რედაქციაში ფულის კრიზისის საკითხი.

ლენინი წერს სტატიას «ჩვენი პარტიის «მტკივნეული საკითხები». «ლიკვიდატორობის» და «ეროვნული» საკითხები»». პირველად დაიბეჭდა 1913 წ. აგვისტოში **«Pismo Dyskusyjne»**-ში («სადისკუსიო ფურცელი»), № 1, რომელიც გამოსცეს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვარშავისა და ლოძის კომიტეტებმა.

დეკემბერი, 12 (25). ლენინის სტატია «მუშათა კლასი და მისი «საპარლამენტო» წარმომადგენლობა» ქვეყნდება «პრავდის» 191-ე ნომერში.

დეკემბერი, 15 (28). ლენინის სტატია «ნაციონალისტების «შერიგება» კადეტებთან» ქვეყნდება «პრავდის» 194-ე ნომერში.

დეკემბერი, 22 (1913 წლის 4 იანვარი). ლენინის სტატია «ნაციონალ-ლიბერალები» ქვეყნდება «პრავდის» მე-200 ნომერში.

დეკემბერი.	ლენინი წერს თეზისებს «ლიკვიდატორობასთან დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ» პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირისათვის.
დეკემბერი, 28 — იანვარი, 1 (1913 წლის 10 — 14 იანვარი).	ლენინი ხელმძღვანელობს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირს პარტიულ მუშაკებთან. თათბირში ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს ი. ბ. სტალინი. თათბირმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები: რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები; არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობა; სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ; არალეგალური ლიტერატურის შესახებ; სადაზღვევო კამპანიის შესახებ; ლიკვიდატორობასთან დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ; «ეროვნული» ს.-დ. ორგანიზაციების შესახებ. თათბირზე ლენინი და სტალინი სახავენ მთელ რიგ ღონისძიებებს «პრავდის» რედაქციის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ლენინი დეპუტატ ბოლშევიკებთან ერთად ატარებს ცენტრალური კომიტეტის სხდომას, რომელზეც წარმოებს IV სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის მოღვაწეობის საკითხთა განხილვა.

1913

იანვრის დასაწყისი.	ლენინი რედაქციას უკეთებს რეზოლუციებს და წერს «ცნობას» პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირის შესახებ.
იანვარი, 1 (14).	ლენინის სტატია «ინგლისის მუშათა მოძრაობა 1912 წელს» ქვეყნდება «პრავდის» პირველ ნომერში.
იანვარი, 6 (19).	ლენინი წერს სტატიას «სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს»; გამოქვეყნებულია «პრავდაში» № 8, 11 (24) იანვარს.
იანვარი, 12 (25).	ლენინის სტატიები «რევოლუციური გაფიცვის და ქუჩის დემონსტრაციების ვანვითარება» და «გათიშვა

პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 30-ე ნომერში.

ლენინი სწერს წერილს «პრავდის» რედაქციას და მოითხოვს რედაქციის რეორგანიზაციას.

ლენინი გზავნის სტატიას «ბოლშევიზმის შესახებ» ნ. ა. რუბაკინის გამოცემის — «წიგნთა შორის» — მეორე ტომისათვის.

იანვარი, 15 (28). ლენინის სტატია «პუანკარეს არჩევის მნიშვნელობა» ქვეყნდება «პრავდის» მე-11 ნომერში.

იანვარი, 17 (30). ლენინის სტატია «გულახდილად» ქვეყნდება «პრავდის» მე-13 ნომერში.

იანვარი, 18 (31). ლენინის სტატია «ბრიანის კაბინეტი» ქვეყნდება «პრავდის» მე-14 ნომერში.

იანვრის მეორე ნახევარი. ლენინი და სტალინი აწყობენ რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული მუშაკების «თებერვლის» თათბირის «ცნობისა» და რეზოლუციების გამოცემას.

იანვარი, 19 (თებერვალი, 1). ლენინის სტატიები «ცხოვრება გვასწავლის» და «ახალი დემოკრატია» ქვეყნდება «პრავდის» მე-15 ნომერში.

იანვარი, 20 და 22 (თებერვალი, 2 და 4). ლენინის სტატია «ნაროდნიკობის შესახებ» ქვეყნდება «პრავდის» მე-16 და მე-17 ნომრებში.

იანვარი, 22 (თებერვალი, 4). ლენინი წერს მოწოდებას «სოციალ-დემოკრატებისადმი», სადაც ილაშქრებს ლიკვიდატორების წინააღმდეგ; გამოცემულია ჰექტოგრაფიულ ფურცლად კრაკოვში 1913 წლის იანვარში.

იანვარი, 25 (თებერვალი, 7). ლენინის სტატია «აზეფების სამყაროში» ქვეყნდება «პრავდის» მე-20 ნომერში.

იანვარი, 29 (თებერვალი, 11). ლენინის სტატია «ბურჟუაზია და რეფორმიზმი» ქვეყნდება «პრავდის» 23-ე ნომერში.

იანვარი, 30 (თებერვალი, 12).	ლენინის სტატია «ღია პარტიის შესახებ» ქვეყნდება «პრავდის» 24-ე ნომერში.
იანვარი.	ლენინი ა. მ. გორკის სწერს წერილს მოსკოვში ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის გამოცემის გეგმის შესახებ და ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» გაფართოების შესახებ; უგზავნის მას «თებერვლის» თათბირის რეზოლუციებს. ლენინი «პრავდის» რედაქციას უგზავნის მასალას IV სათათბიროში მთავრობის ბიუჯეტის საკითხზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატთა გამოსვლებისათვის. ლენინის სტატია «არჩევნების შედეგები» ქვეყნდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეში», № 1.
იანვრის ბოლო.	ლენინი წერს სტატიას «რუსები და ზანგები».
თებერვლის დასაწყისი.	ლენინი წერს სტატიას «კონსტიტუციური ილუზიების დამსხვრევა».
თებერვალი, არა უგვიანეს 1 (14).	ლენინი ა. ე. ბადაევს სწერს წერილს, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს «პრავდის» რედაქციას 24-ე ნომერში ა. ბოგდანოვის წერილის დაბეჭდვისათვის.
თებერვალი, 1 (14).	ლენინის სტატია «გლეხთა მიწების მობილიზაცია» ქვეყნდება «პრავდის» 26-ე ნომერში.
თებერვალი, 2 (15).	ლენინის სტატია «ზოგი რამ გაფიცვების შესახებ» ქვეყნდება «პრავდის» 27-ე ნომერში.
თებერვალი, 5 (18).	ლენინის სტატია «ერთი აღმოჩენის შესახებ» ქვეყნდება «პრავდის» 29-ე ნომერში.
თებერვალი, 6 (19).	ლენინის სტატია «ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა» ქვეყნდება «პრავდის» 30-ე ნომერში.
თებერვალი, 6 — 9 (19 — 22).	ლენინი წერს სტატიას «მზარდი შეუსაბამობა. პუბლიცისტის შენიშვნები», რომელშიც აკრიტიკებს კადეტების თათბირის გადაწყვეტილებებს; გამოქვეყნებულია ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-3 და მე-4 ნომრებში.

თებერვალი, 8 (21). ლენინი «პრავდის» რედაქციას სწერს წერილს, რომელშიც ულოცავს გაზეთის გაუმჯობესებას და აღნიშნავს, რომ კ. მარქსის გარდაცვალების 30 წლისთავისათვის საჭიროა გამოიცეს სპეციალური ნომერი.

თებერვალი, 12 (25). ლენინის სტატია «გმადლობთ გულახდილობისათვის» ქვეყნდება «პრავდის» 35-ე ნომერში.

თებერვალი, 16 (მარტი, 1). ლენინის სტატია «ერთიანობის საკითხი» ქვეყნდება «პრავდის» 39-ე ნომერში.

თებერვალი, 28 (მარტი, 8). ლენინის სტატია ««ძიწათმოწყობის» ზოგიერთი შედეგები» ქვეყნდება «პრავდის» 45-ე ნომერში.

თებერვალი. ლენინი ა. მ. გორკის სწერს წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ ი. ბ. სტალინი მუშაობს სტატიაზე «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია».

ლენინის სტატია «რა ხდება ნაროდნიკობაში და რა ხდება სოფლად?» ქვეყნდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-2 ნომერში.

მარტი, 1 (14). ლენინის სტატია «კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი» ქვეყნდება «პრავდის» 50-ე ნომერში.

მარტი, 2 (15). ლენინის სტატია «მსხვილი მემამულური და წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა რუსეთში» ქვეყნდება «პრავდის» 51-ე ნომერში.

მარტი, 7 (20). ლენინის სტატია «ყალბი ნოტები» ქვეყნდება «პრავდის» 55-ე ნომერში.

მარტი, 8 (21). ლენინის სტატია ««ამოცანის კვანძი»» ქვეყნდება «პრავდის» 56-ე ნომერში.

მარტი, 9 (22). ლენინის სტატია «ბატონყმობის ლიბერალური შეფერადება» ქვეყნდება «პრავდის» 57-ე ნომერში.

მარტი, 10 — 13 (23 — 26). ლენინი ხელმძღვანელობს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს კრაკოვში.

მარტი, 13 (26). ლენინის სტატია «ქანცის გამოცლის «მეცნიერული» სისტემა» ქვეყნდება «პრავდის» მე-60 ნომერში.

მარტი, 14 (27). ლენინის სტატია «ჩვენი «წარმატებანი»» ქვეყნდება «პრავდის» 61-ე ნომერში.

მარტი, 15 (28). ლენინის სტატიები «შეთანხმება თუ გათიშვა? (საათბიროს ს.-დ. ფრაქციაში უთანხმოების საკითხისათვის)» და ««თავისუფალი ნაღდი ფული»» ქვეყნდება «პრავდის» 62-ე ნომერში.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

IV სათათბიროს არჩევნების კამპანია და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები . . 1 — 6

ლიკვიდატორები პარტიის წინააღმდეგ . . . 7 — 10

გერცენის ხსოვნას . . . . . 11 — 19

მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში . . . 20 — 23

ტრუდოვიკები და მუშათა დემოკრატია . . . 24 — 33

I 24

II 27

III 30

პოლიტიკური პარტიები რუსეთში . . . . 34 — 49

ანკეტა მსხვილი კაპიტალის ორგანიზაციების შესახებ . . . . . 50 — 71

I 50

II 54

III 56

IV 62

V 66

VI 69

არსი «აბრარული საკითხისა რუსეთში» . . . 72 — 77

წინასაარჩევნო მობილიზაციის ზოგიერთი შედეგი 78 — 84

ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვა . . . 85 — 94

გადასახლების საკითხი . . . . . 95 — 108

რევოლუციური აღმავლობა . . . . . 109 — 118

რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის 1912 წლის იანვრის კონფერენციის ლოზუნგები და მაისის მოძრაობა . . . . . 119 — 126

ლიკვიდატორები რევოლუციური მასობრივი გაფიცვის წინააღმდეგ . . . . . 127 — 128

«გამაერთიანებლები» . . . . . 129 — 133

ლიბერალებთან ჩვენი პოლემიკის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ . . . . . 134 — 143

კაპიტალიზმი და «პარლამენტი» . . . . . 144 — 147

არჩევნები და ოპოზიცია . . . . . 148 — 152

პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა . . . 153 — 160

სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება . . . . . 161 — 169

მდგომარეობა რსდმ პარტიაში და პარტიის უახლოესი ამოცანები . . . . . 170 — 179

I 171

II 174

III 178

პასუხი ლიკვიდატორებს . . . . . 180 — 181

შვეიცარიაში . . . . . 182 — 185

დემოკრატია და ნაროდნიკობა ჩინეთში . . . 186 — 194

იტალიელ სოციალისტთა ყრილობა . . . . 195 — 198

რუსეთული «სიტყვის თავისუფლება» . . . . 199 — 200

როგორ ამხილებს ლიკვიდატორებს პ. ბ. აქსელროდი . . . . . 201 — 216

I 201
II 208

ნახევარი წლის მუშაობის შედეგები . . . . 217 — 236

I 217
II 225
III 228
IV 233

ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში . 237 — 259
გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობას 238
მდგომარეობა რსდმ პარტიაში 1912 წ. იანვრიდან . . 239
როგორია ეგრეთწოდებული ორგანიზაციული კომიტეტი-სადმი დამოკიდებულება რუსეთის სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც აქამდე ნეიტრალური არიან? . . . 240
III სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია . 243
ოფიციალური შემოწმებისათვის მისაწვდომი მონაცემები პარტიის გავლენასთან შედარებით ლიკვიდატორების გავლენის შესახებ 245
შემოწმებისათვის მისაწვდომი აშკარა მონაცემები რუსეთის მუშათა მასებთან ლიკვიდატორებისა და პარტიის კავშირურთიერთობის შესახებ 248
დასკვნა 252
პოსტსკრიპტუმი 257

თამდაპირველი პოსტსკრიპტუმი ბროშურისა «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში» . 260 — 263

კაპიტალიზმი და სახალხო მოხმარება . . . . 264 — 266

ლიბერალები და კლერიკალები . . . . . 267 — 268

კადეტები და დემოკრატია . . . . . 269 — 270

ლიბერალების ლაშქრობა . . . . . 271 — 272

აჯანყებანი არმიასა და ფლოტში . . . . . 273 — 276

IV სათათბიროს არჩევნების წინ . . . . . 277 — 282

შეიძლება თუ არა ახლა მუშათა მოძრაობის საფუძველი იყოს «კოალიციათა თავისუფლების» ლოზუნგი? . . . . . 283 — 286

წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი 287

პრინციპული საკითხები . . . . . 288 — 290

უკანასკნელი სარკველი . . . . . 291 — 298

მცირე ცნობა . . . . . 299 — 300

მუშათა ხელფასი და კაპიტალისტთა მოგება რუსეთში . . . . . 301 — 303

საგაფიცვო ბრძოლა და ხელფასი . . . . . 304 — 305

სამუშაო დღე მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებში . 306 — 307

სამუშაო დღე და სამუშაო წელიწადი მოსკოვის გუბერნიაში . . . . . 308 — 318

ინგლისში . . . . . 319 — 321

წარმოების კონცენტრაცია რუსეთში . . . . . 322 — 323

კარიერა . . . . . 324 — 326

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს . . . . . 327 — 329

კადეტები და აგრარული საკითხი . . . . . 330 — 342

ცუდი დაცვა . . . . . 343 — 344

ლიკვიდატორები და «ერთიანობა» . . . . . 345 — 347

საუბარი «კადეტჰამიოგბის» შესახებ . . . . . 348 — 357

მუშები და «პრავდა» . . . . . 358 — 360

წინათ და ახლა . . . . . 361 — 363

მოსამართლეთა საერთაშორისო ყრილობა . . 364 — 367

შვეიცარიაში . . . . . 368 — 370

სამღვდელოება და პოლიტიკა . . . . . 371 — 373

კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ 374 — 388

I 374
II 378
III 380
IV 384
V 386

კადეტთა და ნოვოევრემიელთა ერთიანობა . . 389 — 391

ნ. ს. პოლიანსკის წერილის გამო . . . . . 392 — 393

პოლიტიკური ხაზის შესახებ . . . . . 394 — 402

ამერიკელ მუშათა წარმატებანი . . . . . 403 — 404

იტალია-თურქეთის ომის დამთავრება . . . . 405 — 406

აზარტული თამაში . . . . . 407 — 408

სამღვდელოება არჩევნებში და არჩევნები სამღვ-
დელოებით . . . . . 409 — 412

ბ-ნ მილიუკოვის «პოზიცია» . . . . . 413 — 415

პეტერბურგის მუშების დეპუტატი . . . . . 416 — 418

ბალკანეთის ხალხები და ევროპის დიპლომატია . 419 — 420

მელიისა და საქათვის შესახებ . . . . . 421 — 423

სამარცხვინო რეზოლუცია . . . . . 424 — 425

ორი უტოპია . . . . . 426 — 432

დავა ინგლისში ლიბერალურ მუშათა პოლიტიკაზე 433 — 441

კადეტი პროფესორი . . . . . 442 — 443

მსოფლიო ისტორიის ახალი თავი . . . . 444 — 445

კადეტები და ნაციონალისტები . . . . . 446 — 447

ომის საშინელებანი . . . . . 448 — 449

კადეტები და მსხვილი ბურჟუაზია . . . . . 450 — 451

ბეშმარიტ-რუსული ზნეჩვეულება . . . . . 452 — 453

რეფორმისტების პლატფორმა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პლატფორმა . . . . 454 — 465

არალეგალური პარტია და ლეგალური მუშაობა . 466 — 478

I 468
II 471
III 474
IV 476

სერბია-ბულგარეთის გამარჯვებათა სოციალური მნიშვნელობა . . . . . 479 — 481

განახლებული ჩინეთი . . . . . 482 — 484

ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების შედეგები და მნიშვნელობა . . . . . 485 — 488

ჩვენი პარტიის «მტკივნეული საკითხები». «ლიკვიდატორობისა» და «ეროვნული» საკითხები . 489 — 499

I 490
II 492
III 495
IV 497

მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის . . . . . 500 — 508

სათათბიროში მუშა დეპუტატებისა და მათი დეკლარაციის საკითხისათვის . . . . . 509 — 513

15 ნოემბრის ამბის საკითხისათვის (წარმოუთქმელი სიტყვა) . . . . . 514 — 517

წერილი ი. ბ. სტალინს . . . . . 518 — 521

წერილი ი. ბ. სტალინს . . . . . 522 — 523

რეფორმიზმის ავადმყოფობა . . . . . 524 — 526

გალატაკება კაპიტალისტურ საზოგადოებაში . . 527 — 529

მუშათა კლასი და მისი «საპარლამენტო» წარმომადგენლობა . . . . . 530 — 531

ნაციონალისტების «შერიგება» კადეტებთან . . 532 — 534

ნაციონალ-ლიბერალები . . . . . 535 — 537

ლიკვიდატორობასთან დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ. თეზისები . . . 538 — 539

ცნობა და რეზოლუციები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან . . . . . 541 — 564

ცნობა . . . . . 543 — 550

რეზოლუციები . . . . . 551 — 564

რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები 551

არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობა . . . 553

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ 556

არალეგალური ლიტერატურის შესახებ 557

დაზღვევის კამპანიის შესახებ 558

ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ 560

«ეროვნული» ს.-დ. ორგანიზაციების შესახებ . . . 562

ინგლისის მუშათა მოძრაობა 1912 წელს . . . 565 — 567

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს . . . . . 568 — 570

რევოლუციური გაფიცვის და ქუჩის დემონსტრაციების განვითარება . . . . . 571 — 579

თავდაპირველი პოსტსკრიპტუმი სტატიისა «რევოლუციური გაფიცვის და ქუჩის დემონსტრაციების განვითარება» 580

გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში . 581 — 587

ბოლშევიზმის შესახებ . . . . . 588 — 590

პუანკარეს არჩევის მნიშვნელობა . . . . . 591 — 593

გულახდილად . . . . . 594 — 595

ბრიანის კაბინეტი . . . . . 596 — 597

არჩევნების შედეგები . . . . . 598 — 631

I. არჩევნების «კეთება» 599
II. ახალი სათათბირო 601
III. ცვლილებანი სამი ივნისის სისტემის შიგნით . . 604
IV. რის გამო წარმოებდა ბრძოლა არჩევნებში? . . 609
V. საარჩევნო ლოზუნგების შემოწმება ცხოვრების მიერ 613
VI. კ.-დ. პარტიის შესახებ ილუზიების «დასასრული» . 620
VII. ერთ «უდიდეს საშიშროებაზე თავადაზნაურული მიწათმფლობელობისათვის» 624
VIII. დამარცხების დაფარვა 626

ცხოვრება გვასწავლის . . . . . 632 — 634

ახალი დემოკრატია . . . . . 635 — 636

ნაროდნიკობის შესახებ . . . . . 637 — 642

I 637
II 639

სოციალ-დემოკრატებისადმი . . . . . 643 — 646

მუშათა მასები და იატაკქვეშეთი 643

აზეფების სამყაროში . . . . . 647 — 648

გურჟუაზია და რეფორმიზმი . . . . . 649 — 651

ღია პარტიის შესახებ . . . . . 652 — 654

გლეხთა მიწების მოგბილიზაცია . . . . . 655 — 656

ზოგი რამ გაფიცვების შესახებ . . . . . 657 — 658

რუსები და ზანგები . . . . . 659 — 660

ერთი ალმოჩენის შესახებ . . . . . 661 — 662

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა . . . . 663 — 664

კონსტიტუციური ილუზიების დამსხვრევა . . . 665 — 666

გმადლობთ გულახდილობისათვის . . . . 667 — 668

ერთიანობის საკითხი . . . . . 669 — 671

რა ხდება ნაროდნიკობაში და რა ხდება სოფლად? . 672 — 679

მზარდი შეუსაბამობა. პუბლიცისტის შენიშვნები. . . . . 680 — 702

I 680
II 681
III 683
IV 685
V 686
VI 688
VII 689
VIII 691
IX 694
X 696

«მიწათმოწყობის» ზოგიერთი შედეგი . . . . 703 — 704

კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი . . 705 — 709

I 705
II 707
III 708

მსხვილი მემამულური და წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა რუსეთში . . . . . 710 — 711

ყალბი ნოტები . . . . . 712 — 713

«ამოცანის კვანძი» . . . . . 714 — 716

ბატონყმობის ლიბერალური შეფერადება . . . 717 — 718

ქანცის გამოცლის «მეცნიერული სისტემა» . . . 719 — 720

ჩვენი «წარმატებანი» . . . . . 721 — 723

შეთანხმება თუ გათიშვა? (სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში უთანხმოების საკითხისათვის) . 724 — 727

«თავისუფალი ნაღდი ფული» . . . . . 728 — 730

შენიშვნები . . . . . 731 — 762

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 763 — 779

ილუსტრაციები

პირველი გვერდი გაზეთისა «ნევსკაია ზვეზდა» № 15, 1912 წ. 1 ივლისი, რომელშიც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები «პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა» და «სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამის შედარება» . . . 155

პირველი გვერდი 1912 წ. 1 აგვისტოს გაზეთ «პრავდის» № 80, რომელშიც დაბეჭდილია გაგრძელება ვ. ი. ლენინის სტატიისა «ნახევარი წლის მუშაობის შედეგები» 219

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა — «მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის». — 1912 წ. ნოემბერი 501

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა — «ცნობა» რსდმ პარტიის ც. კ.-ის თათბირის შესახებ პარტიულ მუშაკებთან. — 1913 წ. იანვარი 547

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-1951.
უე 0387. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 50,25.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 334.